საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

თხზულებანი თორმეტ ტომად

ტომი

IX

თბილისი · 1996

რედაქტორისაგან

ივ. ჯავახიშვილის თხზულებების წინამდებარე IX ტომში შევიდა მის მიერვე დაარსებული სერიის — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ — მესამე წიგნის I—III ნაკვეთები.

პირველი ნაკვეთი — „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ გამოვიდა 1926 წელს; მეორე შევსებული გამოცემა პროფ. ი. აბულაძის რედაქციით — 1949 წელს[1].

მეორე ნაკვეთი — „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ გამოქვეყნდა 1926 წელს, 1925 წელს დაიბეჭდა ამ სერიის მესამე ნაკვეთი — „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“.

სამივე წიგნი ავტორის მიერ ჩაფიქრებული იყო როგორც ქართული საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგების საუნივერსიტეტო კურსების სახელმძღვანელოები. ამ კურსებს ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ჯერ პეტერბურგის, ხოლო შემდეგ თბილისის უნივერსიტეტებში. მაგრამ, თავისი ხასიათითა და მასშტაბურობით საერთაშორისო ანალოგების დონეზე შესრულებული ეს წიგნები ბევრად სცილდებიან საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოთა მოთხოვნილებებს და ფუნდამენტურ გამოკვლევათა რიგში დგებიან.

ქართულ საისტორიო და ფილოლოგიურ მეცნიერებაში სამი დამხმარე სამეცნიერო დისციპლინების შემოტანით ივ. ჯავახიშვილმა მტკიცე მეცნიერული ნიადაგი შექმნა მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ცნობილი ბელგიელი მეცნიერ-ორიენტალისტი პ. პეეტერსი, რომელიც დიდი ინტერესით ეცნობოდა ივ. ჯავახიშვილის ყოველ ახალ შრომას, აქვეყნებდა მათზე რეცენზიებს ევროპის სამეცნიერო ჟურნალებში, სამივე ნაკვეთის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაუფარავი განცვიფრებით წერდა: „უდიდეს აღფრთოვანებას იმსახურებს ის თავდადება, რომლითაც ივ. ჯავახიშვილმა ხელი მოჰკიდა ქართული ფილოლოგიის აღჭურვას ისტორიულ მეცნიერებათა სრული ენციკლოპედიით. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე — „ქართველი ერის ისტორიაზე“ მუშაობის პარალელურად მან შეძლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოექვეყნებინა ამ კოლექციის სამი ტომი, რომელთა ძირითადი გეგმა მუშაობის პროცესში ფართოვდებოდა და იხვეწებოდა“[2].

თვით ივ. ჯავახიშვილი კი, მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სიფრთხილით, „პალეოგრაფიის“ ბოლოსიტყვაობაში წერდა: „მკითხველს ვთხოვ, ახსოვდეს, რომ წინამდებარე წიგნი ამ დარგში მხოლოდ პირველი ცდაა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი საკითხის შესახებ ჯერ პასუხი არ მოგვეპოვება და ბევრი საკითხი მხოლოდ წამოყენე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა, თბილისი, 1949.

[2] Anal. Ballandiana, T. XLVI, 1928, p. 395.

ბულია. ჩემი მიზანი იყო ქართველ მკვლევართა და მკითხველთათვის ცხადმეყო, რომ ქართულ დამწერლობას თავისი მრავალსაუკუნოვანი საგულისხმო ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი ერის ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფი არის და რომლის შესწავლასაც ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც კულტურის ისტორიის სხვაგვარ გამოხატულებას. მინდოდა, ამასთანავე, ამ პირველი ცდით საისტორიო მეცნიერებისათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო. როდესაც ჩვენ ამას მოვესწრებით, მაშინ ადვილად შესწორდება ის ნაკლი, რომელიც ამ ჩემს ნაშრომს აქვს"[3].

მოტანილი სიტყვები ერთნაირად შეიძლება გავრცელდეს სამივე ნაკვეთზე.

ამ წიგნების გამოქვეყნების შემდეგ, მართლაც, ბევრი გაკეთდა სამივე დისციპლინაში. ამისდა მიუხედავად ივ. ჯავახიშვილის სამივე წიგნი დღეგრძელი აღმოჩნდა: 70 წელი გავიდა მათი გამოქვეყნებიდან და არც ერთს არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და სასწავლო ღირებულება. ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი დარგობრივი ტერმინოლოგია კი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიულსა და ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ამ ხნის მანძილზე სამივე დამხმარე მეცნიერება ვითარდებოდა ივ. ჯავახიშვილის გაკვალული გზით. ბევრი რამ ახალი გამოვლინდა, ბევრი რამ დაზუსტდა. მრავალი მოსაზრება, ივ. ჯავახიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული, დადასტურდა. ზოგი თამამი ჰიპოთეზა კი ასევე ჰიპოთეზად დარჩა. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს, რომლის შესახებაც ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სანამ ქართული დამწერლობის უფრო ძველი და უძველესი ძეგლები მიწის გულიდან ამოღებული არ არიან, მეცნიერს მსჯელობის დროს მეტისმეტი სიფრთხილე და განსაკუთრებული სამეცნიერო ღონეობით თავისი თავის მძიმე შეცდომებისაგან შეძლებისაებრ უზრუნველყოფა მართებს" (აქვე, გვ. 201). უფრო ქვემოთ კი ხაზგასმითაა აღნიშნული: „სანამ ქართული დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ჯერჯერობით ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს" (აქვე, გვ. 230). სამწუხაროდ, ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი ფაქტიური მასალა არ გამოვლინდა. ამისდა მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება რჩება პირველ სერიოზულ და თამამ ცდად ამ მეტად რთული პრობლემის შესწავლის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილის „თხზულებათა" სხვა ტომებისაგან განსხვავებით, წინამდებარე IX ტომი სამ დამოუკიდებელ ნაკვეთს მოიცავს. თითოეულ ნაკვეთს თავისი რედაქტორი ჰყავს.

„ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" მოამზადა ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" — ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა მ, „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია" — გ. დ უ ნ დ უ ა მ.

ნაკვეთებზე ჩატარებული სამუშაოს ხასიათი, ჩამოყალიბებული ნაკვეთების სარედაქტორო წინათქმებში, განსაზღვრა თითოეული ნაკვეთის სპეციფიკამ.

---

[3] აქვე, გვ. 233.

ნაკვეთის რედაქტორები ერთიანი გეგმით არ მუშაობდნენ. მაგრამ ერთი საერთო მიზანი კი ამოძრავებდათ: რაც შეიძლება ნაკლებად შეხებოდნენ ავტორისეულ ტექსტს.

„დიპლომატიკისა“ და „ნუმიზმატიკა-მეტროლოგიისაგან“ განსხვავებით, რომლებიც წინამდებარე გამოცემაში მეორე გამოცემებით არიან წარმოდგენილნი, „ქართული პალეოგრაფიის“ გამოცემა რიგით მესამეა. 1949 წელს ილ. აბულაძის რედაქციით გამოქვეყნდა „ქართული პალეოგრაფიის“ მეორე გამოცემა. ამ გამოცემაში „ზოგი რამ გამომცემლობამ დღევანდელი ნორმის შესაბამისად შეცვალა“. დანარჩენი უცვლელად განმეორდა. ამავე დროს, „პალეოგრაფიას“ დაემატა ორი „დამატება“. პირველ დამატებაში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1932—1933 წლებში დაწერილი ორი გამოკვლევა ენციკლოპედიისათვის: „ანბანი“ და „ასო“. ორივე გამოუქვეყნებელი წერილი ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში აღმოჩნდა. მეორე დამატებაში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, რომელიც 1923 წელს გამოქვეყნდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ II ტომში.

ჩვენ საჭიროდ ვცანით ახალ გამოცემაში არსებული მასალისათვის დაგვემატებინა ივ. ჯავახიშვილის კიდევ ორი ნაშრომი, რომლებიც ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის საკითხებს ეხება. პირველია, რეცენზია: Е. Такайшвили, Матерналы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества“ (Хр. Восток, т. I. вып. I, 1912 г.), და მეორე გამოკვლევა: „К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованным эпиграфическим памятникам“ (Хр. Восток, т. I, вып. III, 1912 г.); იხ. დამატება III, IV.

პალეოგრაფიის წინამდებარე გამოცემაში, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელი იყო, გასწორდა მითითებები წყაროებსა და გამოცემებზე, ციტატებში გაპარული შეცდომები და ჩარჩენილი კორექტურული შეცდომები. საჭირო შემთხვევებში სწორებანი და რედაქტორის შენიშვნები ჩატანილია სქოლიოში.

გამოცემაში აღდგენილია ტექსტში დამოწმებული 4 ტაბულა (I—IV), რომელთა დაბეჭდვა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ფოტოები „პალეოგრაფიისათვის“ დაბეჭდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელმა მ. მღებროვმა. რედაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია აგრეთვე გაეზარდა წიგნის ბოლოში დართული საილუსტრაციო ტაბულების რაოდენობა განსაკუთრებული სიძველისა და მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტების ფოტონიმუშებით.

სამივე წიგნისათვის ტერმინთა, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა ერთიანი საძიებელი შეადგინა მ ზ ი ა ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ.

მადლიერებით გვინდა მოვიხსენოთ გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორის მოადგილე ო თ ა რ გ ი ო რ გ ა ძ ე და გამომცემლობის რედაქტორი ლ ე ი ლ ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, რომლებმაც დიდი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ რთული წიგნის გამართვასა და გამოცემას.

რედაქცია მადლობას უხდის აგრეთვე აკადემიის სტამბის ასოთამწყობ ა ნ ა ბ უ ა ჩ ი ძ ე ს, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა IX ტომში წარმოდგენილი სამივე წიგნი თავიდან ბოლომდე დიდი გულისყურითა და მონდომებით ააწყო.

ილ. მეტრეველი.

ნაკვეთი პირველი

ქ ა რ თ უ ლ ი
დამწერლობათმცოდნეობა

ანუ

პალეოგრაფია

პროფ. გრიგოლ ფილიმონის ძეს წერეთელს ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს

მეორე გამოცემის რედაქტორისაგან

აკად. ივ. ჯავახიშვილის «ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია» პირველად 1926 წ. გამოვიდა. საისტორიო მეცნიერებათა ამ დარგში იგი პირველი გამოკვლევაა, რომელშიც მისმა ავტორმა მთელი სისრულით, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო (საკვლევი მასალისა და გამოსაყენებელი სამეცნიერო ლიტერატურის მხრით), სისტემატურად განიხილა საგნის ყველა ძირითადი საკითხი. ავტორის მიზანი, რომ „ამ პირველი ცდით საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევაძიების საგნად ქცეულიყო"[1], მიღწეულია. ფუძემდებელი ეს ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტის მოთხოვნილებით წარმოიშვა, დღესაც უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ამ გარემოებითაა გამოწვეული, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობამ ხელი მოჰკიდა მის ხელმეორე გამოქვეყნებას, რომლის ხელმძღვანელობა ჩვენ მოგვანდო. «ქართული პალეოგრაფიის» პირველი გამოცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მართლწერის მხრით ზოგი რამ გამომცემლობამ დღევანდელი ნორმის შესაბამისად შეცვალა, აქ თითქმის უცვლელად მეორდება.

წინანდელ გამოცემას დამატების სახით ზოგი რამ დავურთეთ:

პირველი დამატება — ა. ანბანი და ბ. ასო — წარმოადგენს სტატიებს, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1932—33 წწ-ში დაწერა მაშინ ქართულ ენაზე გამოსაცემად წამოწყებული «საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონის» რედაქციის შეკვეთით. იგინი დღემდის გამოუქვეყნებელი იყვნენ და, რადგან ქართულ პალეოგრაფიასაც შეეხებიან, მიზანშეწონილად ვცანით აქ მაინც წარმოგვედგინა.

მეორე დამატებად გავუშვით ავტორის ის ნაკვლევი, რომელიც შეეხება ხანმეტი ტექსტების აღმოჩენას, რაც ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში სამართლიანად ეპოქალური მნიშვნელობის მქონედ ითვლება. ეს ნაკვლევი: «ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით)» თბილისის უნივერსიტეტის მ ო ა მ ბ ი ს მეორე ტომიდან გადმოვბეჭდეთ.

ნიმუშები, რომლებიც ამ დამატების წინანდელ გამოცემას ჰქონდა დართული, აქაც გამეორებულია, მხოლოდ ისინი აქ საგრძნობლად არიან გაზრდილი. ეს კი იმიტომ, რომ განსვენებული მეცნიერის არქივსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ხელნაწერების განყოფილებაში), სადაც ის ერთხანს მოღვაწეობდა, აღმოჩნდა მის მიერ (საკუთარი ხელით) გაშიფრული პალიმფსესტებიდან ამოკითხული მეტად საინტერესო მასალა. პალიმფსესტებიდან ამოკითხული მასალა ოთხთავის ტექსტს წარმოადგენს და ამიტომ ის სა-

---

[1] იხ. აქვე ბოლოსიტყვაობა, გვ. 233.

თანადო რიგით წინათ გამოქვეყნებულს დაემატა. იმ ახალი ნიმუშებიდან კი, ბიბლიის ტექსტს რომ არ წარმოადგენს, ცალკე წარმოვადგინეთ ერთი ნაწილი, რომელიც სრულად XI ს-ის ერთ ხელნაწერში მივაკვლიეთ („მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ"), ხოლო მეორე ნაწილი ნიმუშების ბოლო რიგში მოექცა, ისე როგორც წინა გამოცემაში, მაგრამ აქ იგი დიდად გაზრდილია. ხანმეტი ტექსტის ეს წყება, რომლის წყარო მერმინდელი დროის ხელნაწერებში ჯერ მიუკვლეველი რჩება, შინაარსის მიხედვით მიჩნეულია აპოკრიფად და დასათაურებულია როგორც «საქმენი მოციქულთანი».

ბიბლიის ხანმეტ ტექსტებს ზოგან ავტორის ხელნაწერში, კიდეებზე შედარების ნაკვალევი გააჩნდა მერმინდელი ხანის ხელნაწერ ძეგლებთან მიმართებით; ეტყობა, იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად უჭერენ ისინი მხარს ამ ძეგლების ტექსტებს. ასეთი ინტერესის გამო, რომელიც, ბუნებრივია. სხვებსაც აღეძვრის, ჩვენ მერმინდელ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტის სათანადო ადგილები ნიმუშებს ქვეშ მივუწყეთ.

წინამდებარე გამოცემასთან დაკავშირებით წამოჭრილი ამა თუ იმ საკითხის გარშემო მივმართავდით პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, რომელსაც დაუზარელი დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ.

ილია აბულაძე

1949. 9. VI

თბილისი.

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოკვლევა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წ., როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევსებული და დამთავრებული მაქვს 1918—1921 წწ. ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში სხვათა შორის ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი. ახლა ეს გამოკვლევა იბეჭდება. ქართული სიგელთმცოდნეობის, ანუ დიპლომატიკისა და ქართული საფას-საზომთმცოდნეობის, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის წიგნების მსგავსად ეს ქართული დამწერლობათმცოდნეობის წიგნიც ჩემი შრომის „ისტორიის მიზნისა და მეთოდების“ მესამე წიგნის იმ ნაწილადა მაქვს განკუთვნილი, რომელიც საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგებს ეხება.

ამ ქართული პალეოგრაფიის შესახებს ჩემ შრომას ვუძღვნი ცნობილ ქართველ ელინისტსა და განთქმულ პალეოგრაფს პროფ. გრიგოლ ფილიმონის ძეს წერეთელს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს ამშვენებს და ჩვენი მეცნიერების აღორძინების მონაწილეა.

ტფილისი. 1925. 9 თებ.
ივ. ჯავახიშვილი

თავი პირველი

პალეოგრაფიული ცოდნის მიზანი და თანამედროვე მიღწეულობანი

წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ეწოდება და ამიტომ ამ ძველ ქართულ ტერმინზე დამყარებული დამწერლობათმცოდნეობა მნიშვნელობით ევროპულ მეცნიერებაში მიღებულ პალეოგრაფიას უდრის. დამწერლობათმცოდნეობის მიზანსა და დანიშნულებას წერილობითი ძეგლების გარეგანი, ნივთიერი მხარის შესწავლა შეადგენს: მათი საწერი მასალისა და ასოთა მოხაზულობის გამოკვლევა, ნაწერის წაკითხვა და დაფასება-განსაზღვრა აქვს ნაკისრები. რადგან წერილობითი ძეგლები ხშირად დაზიანებული და უთარიღოა ხოლმე, პალეოგრაფიას, ანუ დამწერლობათმცოდნეობას ამგვარი ძეგლების ქრონოლოგიურად განსაზღვრა და დათარიღებაც უხდება. ამ მოთხოვნილებამ თავისთავად დამწერლობის განვითარების ყველა საფეხურის, მისი ისტორიული თავგადასავლის შესწავლას ხელი შეუწყო და ამ სამეცნიერო დარგის უპირველეს, არსებით მოვალეობად გახადა. ასეთი მიზნის მქონებელს, რასაკვირველია, მას თვით დამწერლობის წარმოშობის საკითხიც თავისი კვლევა-ძიების ქვაკუთხედად უნდა გაეხადა.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობის უტყუარი, ზედმიწევნითი ისტორია მხოლოდ დამწერლობის გაჩენის შემდგომ იწყება და ამა თუ იმ ერის წარსულის ნამდვილი თავგადასავლის მარტო წერილობითი ძეგლების შესწავლის დახმარებით შეიძლება, დამწერლობათმცოდნეობის დამხმარე სამეცნიერო დარგის უაღრესი მნიშვნელობა ყველა საისტორიო მეცნიერებათათვის ცხადი შეიქნება: ისტორიისა, მწერლობისა, ხელოვნებისა, ენათმეცნიერებისა, სამართლისა და ეკონომიური ისტორიისათვის წარმოებული კვლევა-ძიების აუცილებელი პირველი საფეხურია. ამიტომ არის, რომ პალეოგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და ზოგიერთ დარგს, როგორც მაგ., სიგელთმცოდნეობას, მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს.

დამწერლობათმცოდნეობის სამეცნიერო კვლევა-ძიების ნამდვილი დამწყებელი გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი Mabillon-ი იყო, რომელიც თავის 1681 წ. გამოსულ შესანიშნავ შრომაში დიპლომატიკის, ანუ სიგელთმცოდნეობის შესახებ „De re diplomatica libri VI", მეოთხე თავში საწერი მასალისა და დამწერლობის სხვადასხვა სახეობას არკვევდა. მაგრამ მაბილონს ამ სამეცნიერო ცოდნისათვის არავითარი განსაკუთრებული სახელი არ შეუქმნია. პალეოგრაფიის ნამდვილი დამაარსებელი და მომნათვლელი მეორე გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი Montfaucon-ი იყო, რომელმაც 1708 წ. გამოაქვეყნა თავისი დიდებული ნაწარმოები „Palaeographia graeca sive de ortu et progressu litterarum" — ბერძნული პალეოგრაფია, ანუ ასოთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

XIX ს. პირველ მეოთხედამდე დამწერლობათმცოდნეობა მაინც სიგელთმცოდნეობასთან, ანუ დიპლომატიკასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და რადგან ამ უკანასკნელი სამეცნიერო დარგის შესახებ უკვე იბეჭდება ჩემი გამოკვლევა „სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა საზოგადოდ და მეტადრე ქართული", რომელშიაც დიპლომატიკასთან დაკავშირებული პალეოგრაფიული ცოდნის თავგადასავალიც არის მოკლედ გადაშლილი, ამიტომ ამ საგანზე აქ საუბრის გაგრძელება ზედმეტად მიმაჩნია.

მხოლოდ 1821 წ. საფრანგეთში დაარსებულმა „École royale des charles" შეუწყო ხელი პალეოგრაფიის მუდმივ განვითარებას. უკვე 1838 წ. გამოვიდა de Wailly s-ის „Éléments de paléographie", ხოლო ერთი წლის შემდეგ A. Chassant s-ის „Paléographie des charles et des manuscrits du XI au XVII siècle". ამავე წელს დაიწყო J. B. Silvestre-ის ძვირფასი ოთხტომიანი მსოფლიო პალეოგრაფიის ალბომი, მშვენიერი ფაქსიმილეებით შემკული „Paléographie universelle. Collection de facsimilés d'écriture de tous les peuples et de tous les temps avec notices par Champollion-Figrac" (1839—1841 წწ.).

ამგვარივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამწერლობათმცოდნეობის წარმატებისათვის გერმანიაში Monumenta Germaniae historica-ს გამოცემის დაწყებას და 1854 წ. ავსტრიაში „Institut für österreichische Geschichtsforschung" ავსტრიის საისტორიო კვლევა-ძიების ინსტიტუტის დაარსებას. ამ სამმა შესანიშნავმა დაწესებულებამ პალეოგრაფია და დიპლომატიკა თავის საგანგებო კვლევა-ძიების მიზნად აქციეს და უაღრეს სამეცნიერო ზედმიწევნილობამდის აამაღლეს.

რადგან დამწერლობათმცოდნეობის თანამედროვე მკვლევართა შრომები ამ თავის სხვადასხვა ადგილას და საგანგებოდ ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიაში არის მოთავსებული, ამიტომ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დამწერლობათმცოდნეობა ორ მთავარ დარგად იყოფა: ეპიგრაფიკად, ანუ წარწერათმცოდნეობად, და საკუთრივ პალეოგრაფიად. ანუ ხელითნაწერთმცოდნეობად.

წარწერათმცოდნეობა მხოლოდ წარწერების გარეგანს. ფორმალურ მხარეს, მარტო წარწერის მოხაზულობასა და წარწერებში მიღებულ ფორმულებს იკვლევს ხოლმე. მათი ენისა და შინაარსის მხრივ განხილვა-განმარტება კი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ან სხვა სათანადო სამეცნიერო დარგის საქმეა.

იგივე უნდა ითქვას ხელითნაწერთმცოდნეობაზე, ანუ საკუთრივ პალეოგრაფიაზე: ისიც ნაწერის მხოლოდ ტექნიკურს, მოხაზულობითს მხარეს იკვლევს და იმ მასალას, რომელზედაც და რომლითაც ესა თუ ის ნაწერი აღბეჭდილია. ძეგლის შინაარსს პალეოგრაფია არ ეხება და აქაც მოქმედების ასპარეზი ენათმეცნიერებას, დიპლომატიკას, ფილოლოგიას, ისტორიას, ანუ სხვა სათანადო სამეცნიერო დარგსა აქვს დათმობილი.

რაკი ეპიგრაფიკაცა და პალეოგრაფიაც ნაწერის გარეგან მხარეს, ასოთა მოხაზულობათა მოყვანილობას იკვლევს უმთავრესად, ამ მხრივ მათ შორის თითქოს არსებითი განსხვავება არ არის და ორივე შესაძლებელი იყო შეერთებულიყო. მაგრამ ეპიგრაფიკა, ანუ წარწერათმცოდნეობა მაგარ. მკვრივ მასალაზე, ქვა-ლითონზე აღბეჭდილ ნაწერს იხდის თავის შესწავლის საგნად, პალეოგრაფია კი თხელ და ნაზ მასალაზე, ხელითა და საღებავით ნაწერს იკვ-

ლევს ხოლმე გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით. შინაარსის მხრით შესაძლებელია წარწერასა და ხელნაწერშიაც ერთნაირი ძეგლი იყოს, მაგ., შეწირულების ან აღაპის წიგნი, მაგრამ თავისი გარეგანი თვისებებით, გრაფიკულად მათ შორის დიდი განსხვავება იქნება და წარწერისა და სიგლის ნაწერს თავისი თვალსაჩინო დამახასიათებელი თვისებები მოეპოვება, რომელთა საგანგებო ცოდნაა საჭირო.

ნაწერის მოხაზულობის ნიშანდობლივი თავისებურება წარწერებსა და ხელნაწერებში სახმარი იარაღისა და საწერი მასალის სხვაობის შედეგია. წარწერები მკვეთრი იარაღით არის ხოლმე ამოკვეთილი თუ ამოყვანილი. რადგან ამისთვის მასალად მაგარი საგანი — ქვა, ლითონი, ძვალი ან ხე იყო ჩვეულებრივ ნახმარი და მასალის სიმტკიცე-სიმაგრის გამო მკვეთელი იარაღის მოძრაობისათვის ორივე ხელის მოხმარება და ძალა იყო საჭირო, ამიტომ ასოთა მოხაზულობას თავისებურება ენიჭებოდა, ძეგლის ხასიათი ჰქონდა ხოლმე. ეს გარემოება — სახელდობრ, წარწერათა და ხელითნაწერთათვის სახმარი მასალა-იარაღის სრული სხვაობა, — ეპიგრაფიკასა, ანუ წარწერათმცოდნეობასა და პალეოგრაფიას, ანუ ხელითნაწერთმცოდნეობას ზოგადი დამწერლობათმცოდნეობის ცალ-ცალკე სპეციალობად ქმნის.

მაგრამ რაკი ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიას, თავ-თავიანთ განსაკუთრებულ სარბიელს გარდა, ასოთა მოხაზულობის განვითარების შესწავლის დროს საერთო მიზანი და სამუშაოც აქვთ, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ დამწერლობათმცოდნეობა ორ მთავარ ნაწილად გაგვეყო: ზოგად, თეორიულ, და სპეციალურ, პრაქტიკულ დამწერლობათმცოდნეობად. თეორიული დამწერლობათმცოდნეობა ამ სამეცნიერო დარგის ზოგად საკითხებს უნდა არკვევდეს, სახელდობრ, ანბანის წარმოშობისა თანდათანი განვითარებისა, ცვლილებათა ფაქტორებისა და საერთო დამახასიათებელი თვისებების, საწერი მასალისა და წერის ხელოვნების შესწავლას, დასასრულ, უთარიღო ძეგლების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღების მეთოდოლოგიას უნდა შეიცავდეს, პრაქტიკული კიდევ დამწერლობის ისტორიის ყოველ ნიშანდობლივ თვისებათა და თავისებურების და თვით წერითი ხელობის წმინდა ტექნიკურ მხარეებს არკვევდეს.

წინამდებარე გამოკვლევა მხოლოდ ქართული დამწერლობათმცოდნეობის სამეცნიერო დარგისათვის საძირკვლის ჩაყრის პირველი ცდაა. მისი საგანი მარტო ქართული პალეოგრაფიაა. მაგრამ რადგან ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი სხვა ერთა პალეოგრაფიის ცნობების გათვალისწინება-შედარებასაც აუცილებლად ხდის, ამიტომ მკითხველისათვის რომ ამ გამოკვლევაში მსჯელობის მიმდინარეობა უფრო ადვილად გასაგები გახდეს და მისი საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობის შესახებ განსჯის საშუალება იქმნეს, უნდა ბერძნულ-რომაული და მეტადრე მახლობელი აღმოსავლეთის პალეოგრაფიული ცოდნის თანამედროვე დონის მოკლე მიმოხილვა წარმემძღვანებინა წინ. იგი სრული არ არის და აქ მხოლოდ ის საკითხებია გაშუქებული, რომელთა ცოდნა ქართული დამწერლობათმცოდნეობის გასაგებად აუცილებლად საჭირო იყო.

დამწერლობის განვითარებას კაცობრიობის ისტორიაში, პირველყოფილ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, სამი მთავარი საფეხური ჰქონია. უუძველეს საფეხურად ცნებათდამწერლობითი, ე. წ. იდეოგრაფიული, ხატოვანი

დამწერლობა, ანუ, როგორც ბერძნები უწოდებენ, „პიეროგლიფები“ უნდა ჩაითვალოს, როდესაც აზრი სურათის საშუალებით იყო ხოლმე აღბეჭდილი და თითოეულ სიტყვას მისი სურათის მხაზველობითი წესით წარმომდგენი ცალკე ნიშანი გამოხატავდა. ამგვარი დამწერლობა იცოდნენ მაგ., ეგვიპტელებმა, რომელთაც მწერლობის ძეგლები უკვე 4000 წ. ქ. წ. უნდა ჰქონოდათ. თავისებური, ეგვიპტურისაგან დამოუკიდებლივ დამუშავებული, ხატოვანი დამწერლობა ხეთებსაც ჰქონდათ ძველი დროიდანვე. ჩინელების დამწერლობაც უუძველესი ხატოვანისაგან არის განვითარებული. ამერიკაში მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთაც თავისებური სისტემის ხატოვანი დამწერლობა სცოდნიათ.

დამწერლობის შემდეგ საფეხურად ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც ყოველი მარცვლისათვის ხაზების საშუალებით შექმნილი ცალკე ნიშანი არსებობს. ამგვარად, ყოველი სიტყვისათვის ცალკე ნიშნის მაგიერ, როგორც ხატოვან ცნებათდამწერლობასა ჰქონდა, სილაბურს, ანუ მარცვალთდამწერლობაში სიტყვებს ჯერ მარცვლებად ჰყოფდნენ, ხოლო შემდეგ თითოეული მარცვლისათვის მიკუთვნილი ნიშნის ერთიმეორის გვერდით დასმით ამა თუ იმ სიტყვას წერდნენ ხოლმე. მარცვლოვან დამწერლობათა შორის განთქმულია ე. წ. ლურსმული დამწერლობა, რომელშიაც მარცვლების გამომხატველი ნიშნებისათვის ლურსმნის მსგავსი ხაზების ჯგუფები იხმარებოდა. თავდაპირველად იქაც, სადაც ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა განსაკუთრებით იყო მიღებული, მას ხატოვანი დამწერლობა უძღოდა წინ და ხაზოვანი დამწერლობა მხოლოდ ხატოვანის სქემატურად გამარტივებულ განვითარებას წარმოადგენს. ეს ჩინური დამწერლობის ისტორიითაც მტკიცდება[1] და ლურსმულის ისტორიითაც, რომელიც აგრეთვე ცნებათდამწერლობითი საფეხურის მერმინდელი განვითარებაა[2]. მარცვალთდამწერლობითი სისტემა მარტო ქალდეველთ, ასურელებსა და ბაბილონელთ კი არ ჰქონდათ, არამედ მათგან შეთვისებით სპარსელებს, ურარტელებსა და ბევრს სხვებსაც. თვით ბერძნებსაც კი კვიპროსზე თავდაპირველად მარცვლოვანი დამწერლობა ჰქონიათ[3].

თუმცა ბაბილონელთა სამწერლობო ძეგლები ეგვიპტელებისას წლოვანებით ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც უუძველესი დროიდან იწყება და ბაბილონელთა დამწერლობის ნიმუშები 2900—2800 წწ. უნდა ეკუთვნოდნენ.

ერთ დროს ლურსმული დამწერლობა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და თვით აფრიკაშიაც იყო საყოველთაოდ გავრცელებული და იხმარებოდა სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთშორის მიწერ-მოწერის დროს.

დამწერლობის მესამესა და თანაც უაღრეს განვითარებას ბგერითი, ანბანური დამწერლობა წარმოადგენს. უძველეს ამგვარ დამწერლობად წინათაც და ახლაც ფინიკიელთა ითვლება, რომელნიც მისი გამომგონი თუ არა, მაინცდამაინც მნიშვნელობის საუკეთესო შემგნებელნი და გამავრცელებელნი იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნული ანბანისაგან უშუალოდ ყველა ევროპული ანბანის წარმომშობი ლათინური ანბანი წარმოსდგა, ხოლო თვით

---

[1] M. Ph. Berger, Histoire de l'ècriture dans l'antiquitè, Paris, MDCCCXCI, გვ. 41—43.

[2] იქვე, 68—77.

[3] Dr. W. Larfeld, Griechische Epigraphik, 3. Aufl. 1914, გვ 200—203.

ბერძნული ფინიკიელთაგან არის ნასესხები, მაშინ ცხადი გახდება ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ფინიკურ ანბანს კაცობრიობის წინაშე მიუძღვის.

მართალია, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, ვითომც ბერძნული ანბანი არამეულიდან იყოს წარმომდგარი, მაგრამ თვით ბერძნები, მაგ., ჰეროდოტე, ბერძნული ანბანის გამომგონედ კადმოსს ფინიკიელსა თვლიდა (V, 59) და ასოებს **φοινικήϊα γράμματα** ფინიკიურის ასოებს უწოდებდა. ერთ წარწერაშიაც ნახმარია **γράμματα φοινικικά** ასონი ფინიკიურნი, ხოლო ფილო ბიბლოსელს დაწერილი ჰქონდა **Περὶ στοιχείων φοινικικῶν** ფინიკიურ ასოთათვის. პოეტს ლუკანსაც ანბანის პირველ შემომღებლებად ფინიკიელნი ჰყავს დასახელებული თავის შემდეგ ლექსში:

„Phoenices primi, famae si creditur, ansi
Mansuram rudibus vocem signasse figuris
Nondum flumineas Memphis contextere biblos
Noverat, et saxis tantum, volucresque feraeque
Scupltaque servabant magicas animalia linguas“[4].

თვით ფინიკიელთა ანბანის სადაურობის საკითხი თუმცა საკამათოა და ზოგს, როგორც მაგ., დეეკესა და ჰომმელს, მისი სათავე ლურსმულ დამწერლობაში ეგულება, ზოგი ევანსივით კრიტოსის დამწერლობას ადარებს, ზოგი (ედ. მაიერი) კიდევ ხეთების ხატოვან დამწერლობას უკავშირებს[5], მაგრამ ძველად ბერძენ და რომაელ მეცნიერთა და ისტორიკოსთ დამწერლობაში ფინიკიელნი ეგვიპტელთა მოწაფეებად მიაჩნდათ. ტაციტს ეს აზრი და დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები სრული მკაფიობით აქვს გამოთქმული: „Primi per figuras animalium Aegyptii sensus mentis effingebant (ea antiquissima monimenta memoriae humanae inpressa saxis cernuntur) et litterarum semet inventores perhibent; deinde Phoenicas quia mari praepollebant, intulisse Graeciae gloriamque adeptos, tamquam reppererint quae acceperant. Quippe fama est Cadmum classe Phoenicum vectum rudibus adhuc Graecorum populis artis eius auctorem fuisse“. (Ann., 11, 14).

ერთგვარი მიახლოებით გადაწყვეტილია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა გაჩენილიყო პირველად ანბანური ბგერათდამწერლობა. რადგან ტელ-ელ-ამარნის XIV ს. ქ. წ. მრავალ ძეგლთა შორის არც ერთი ანბანური დამწერლობის ძეგლი არ მოიპოვება, ეს, ლიძბარსკის აზრით[6], იმის დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს, რომ მაშინ 1400 წ. ქ. წ. ჯერ ანბანური წერა არ არსებობდა[7]. თუ ასე გადაჭრით თქმა ძნელია, ის მაინც ცხადია, რომ ზემოაღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1400 წ. თუნდაც ანბანური დამწერლობა სადმე უკვე ყოფილიყო, ის მაშინ იმდენად განუვითარებელი და მოუხეშავი უნდა ყოფილიყო, რომ მისი ხმარება ფიქრად არავის მოსდიოდა.

---

[4] Larfeld, Gr. Epigraphik, 204 და Gardthausen Gr. Palaeogr., II[2], 24.
[5] Gardthausen, Gr. Palaeographie, II, 10—21.
[6] Lidzbarski, Ephemeris für semitische Epigraphik, I, 110.
[7] Gardthausen, Gr. Palaeogr., 26—27.

მოაბურ-ფინიკიური ანბანთდამწერლობითი უძველესი ძეგლი მესას წარწერაა, რომელიც დიდი ზედმიწევნილობით შეიძლება დათარიღებული იყოს და დაახლოებით 890 წ. ქ. წ. უნდა იყოს შედგენილი. გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფ. თ. ნიოლდეკეს სამართლიანი დაკვირვებით მესას წარწერის ასოთა მოხაზულობის კარგი და მტკიცე ჩამონაკვთილობა ცხადყოფს, რომ ფინიკიელებს დიდი ხანია უკვე დამწერლობა უნდა ჰქონოდათ და მისი დასაწყისი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადრე, რამდენიმე საუკუნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. თვით დროის განსაზღვრის გამო მეცნიერთა შორის თანხმობა არ სუფევს, მაგრამ უმეტესობას ანბანური დამწერლობის დასაწყისის ხანად დაახლოებით XII—XI სს. მიაჩნიათ ქ. წ.[8].

ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ანბანის ფინიკიურისაგან წამომდინარეობას სრული უეჭველობით შემდეგი სამი გარემოება ამტკიცებს: ჯერ ერთი ბერძნული დამწერლობის უძველეს ძეგლებში ყველა ასოთა მოხაზულობა ფინიკიური ანბანისას გასაოცრად წააგავს. მრავალ შემთხვევაში კი მათი სრული იგივეობა სუფევს. აი მაგ., მოაბიტურ-ფინიკიურისა და ბერძნული ანბანის შედარებითი ტაბულა, ისე როგორც ლარფელდს თავის ბერძნულ ეპიგრაფიკაში (იხ. Tabel III), ფ. ბერჟეს თავის ცნობილს შრომაში დამწერლობის ისტორიის შესახებ (გვ. 142 — შემდეგი) და გარდტჰაუზენს ბერძნულს პალეოგრაფიაში (II 44) აქვთ წარმოდგენილი (იხ. ტაბულა I).

შემდეგ ბერძნული ანბანის ფინიკიურ-სემური ანბანისაგან წარმომდინარეობას ასოთა ბერძნული სახელებიც ცხადყოფენ, რადგან ეს სახელები ბერძნული კი არა, არამედ ფინიკიურ-სემურია, მხოლოდ ოდნავ გადასხვაფერებული, მაგ.: ა — ალეფ, რაც ხარსა ნიშნავს, ბერძნულად ალფა; ბ — ბეტ, ე. ი. სახლი, ბერძ. ბეტა; გ — გიმელ (აქლემი), ბერძ. გამმა, გემმა; დ — დალეტ (კარი), ბერძ. დელტა; ჰ — ჰე, ბერძ. ეჲ; ვ — ვაუ (კავი), ბერძ. ვაუ; ზ — ზაინ, ბერძ. ძეტა; ჰ — ჰეთ, ბერძ. ეტა; თ — თეთ, ბერძ. თეტა; ი — იოდ (ხელი), ბერძ. იოტა; კ — კაფ, ბერძ. კაპპა; ლ — ლამედ (არწივი), ბერძ. ლამბდა; მ — მემ, მომ, ბერძ. მი; ნ — ნუნ (თევზი), ბერძ. ნჳ, ნო; ს — სამექ, ბერძ. სიგმა; ფ — ფ ((პირი), ბერძ. პეი, პი; კ — კოფ, ბერძ. კოპპა; რ — რეშ (თავი), ბერძ. ჰრო; შ — შინ (კბილი), ბერძ. სან; ტ — ტაუ (ჯვარი), ბერძ. ტაუ.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ბერძნული ანბანის ასოთა რიგი, მერმინდელ დანართ ასოთა გარდა, სწორედ ფინიკიურ-სემურ ანბანის ასოთა რიგს მისდევს[9].

თავდაპირველად ბერძნების ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შედგებოდა, რომელიც ფონეტიკურად ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა. თითოეული ჯგუფთაგანი 11 ნიშანს შეიცავდა (1—11 და 12—22) და Mediae-თი (Beth, Gimel, Daleth) ან Liquidae-თი (Lamed, Mem, Nun) იწყებოდა. პირველ ჯგუფს თავში მხოლოდ ალეფ უძღვის წინ, ხოლო ბოლოში † ჯვარის ნიშანი, რომელიც დასასრულის ნიშნად გამოდის (ლარფელდი, 205—206).

რადგან „ალეფ“ ხარსა ნიშნავს და ხარი ვითარცა რქოსანი პირუტყვი ეგვიპტელებსა და მთვარის თაყვანისმცემელ ერებსაც წმინდა, საზვარაკო ცხოველად მიაჩნდათ, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ასოთა რიგში პირველად

[8] იქვე, გვ. 27.

[9] Larfeld, Gr. Epigr., 205—206.

ხარის „ალეფ“-ის გამომხატველ ნიშანს ერთგვარი სარწმუნოებრივი დედააზრი, ვედრების გამომხატველი დანიშნულება ჰქონიყო, იმგვარადვე როგორც ქრისტიანობის შემდგომ ყოველივე ნაწერი ჩვეულებრივ † ჯვარის ნიშნით იწყებოდა. ამგვარად, გარკვეული პრინციპების მიხედვით დალაგებული სემიანთა ანბანი ბერძნებსაც სწორედ ამავე დალაგებულობით შეუთვისებიათ. ასოთა თანამიმდევნობის მტკიცე რიგი სემიანთა ანბანში ცხადად ირკვევა ებრაელთა აკროსტიქული მწერლობის საშუალებით (იხ. ფსალმუნი 111, 119, 145, იერემიას გოდება 1—4, იგავნი 31, 10—31 და ნაკლულევანი ფსალმუნები 9, 10, 25, 34, 37). ბერძნული ანბანის რიგი კი თვით ანბანურად დალაგებულ ასოთა რამდენიმე შენახული ნიმუშებიდან ჩანს (იხ. ლარფელდის ბერძ. ეპიგრაფიკა, 205, 218).

ბერძნების მიერ შეთვისებული 22 ბგერისათვის ნიშნების შემცველი სემიანთა ანბანი ბერძნული ენის ბგერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო, თანაც მას რამდენიმე ისეთი ასო ჰქონდა, რომლის მსგავსი ბგერა ბერძნულს არ მოეპოვებოდა. აკლდა, დასასრულ, ამ ანბანს ხმოვანების გამომხატველი ნიშნებიც. ამის გამო ბერძენთა სამწერლობო მოღვაწეობას უნდა ყველა ეს ნაკლი შეევსო და ბერძნული ენის ბგერათა შესატყვისი ნიშნები შეექმნა.

ხმოვანთა გამოსახატავად გამოყენებული იყო მშვინავ ბგერათა ნიშნები, რომელთა მსგავსიც ბერძნებს არ ჰქონდათ. ამგვარად, „ა“-ნის აღსანიშნავად „ალეფ“-ი შემოიღეს და „ჰე“ — მოკლე და გრძელი „ე“-ნის, „ეფსილონისა“ და „ეტას“ გამოსახატავად, და „აჲნი“ — მოკლე და გრძელი „ო“-ნის, „ომიკრონისათვის“ და „ომეგისათვის“, ხოლო „ჲოდ“-ი „ინის“ გადმომცემ ასოდ იქცა. „ჲ“ ნახევარხმოვან ჲოტის, j-ს აღსანიშნავად ბერძნულში არავითარი ასო არ იყო შემოღებული, რაც ცხადყოფს, რომ იმ დროს, როდესაც ხმოვანთათვის ბერძნები ნიშნების ძებნას შეუდგნენ, ნახევარხმოვანი „ჲ“ ბერძნულში უკვე გამქრალი უნდა ყოფილიყო (ლარფელდი, გვ. 214). ფ. პრეტორიუსისა არ იყოს, სემიან_თანხმოვანთა ასოების ბერძნულ ხმოვანთა გამომხატველ ასოებად გადაქცევის ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მომხდარიყო, რადგან რაკი ბერძნებს ამ ბგერათა წინამორბედი სპირიტუსის გამოთქმა არ შეეძლოთ, ამ ასოების სახელები „ალეფ“, „ჰე“, „აჲნ“, „ჲოდ“ ხმოვნებად უნდა მოჩვენებოდათ და გაეგოთ (იქვე).

სემიანთა ანბანის ბერძნულისათვის მოგვარება-შევსების პროცესი, რასაკვირველია, ერთბაშად და საზოგადოდ ერთგზის არ მომხდარა, არამედ თანდათანობით, დროთა და ხანგრძლივი გამოცდილების განმავლობაში უნდა შემუშავებულიყო. ცნობილია, რომ ყველაზე გვიან მოკლე და გრძელი „ო“-ნისათვის იყო საგანგებო ნიშნები შემოღებული. მაგრამ ეს ბერძნული ანბანის უკანასკნელი ნიშანი გრძელი ონის, „ომეგას“ ასო მილეტის რიცხვითს ანბანს უკვე 700 წ. ქ. წ. შეთვისებული ჰქონია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ სხვა უფრო ადრინდელ შემოღებულ ასოთა დრო ამაზე გაცილებით უფრო უწინარეს, ქ. მილეტის დაარსებისა და VIII ს. ნახევრის შუა ათეულებში უნდა ვიგულისხმოთ ქ. წ.[10].

ბერძნული რიცხვანბანის უძველესი დამთავრებული სახე 27 ასოსაგან შედგება, რომელთა საშუალებით 1—900-მდე ერთეულის გამოსახვა შეიძლება. აი მათი ასორიცხვითი მნიშვნელობა (იხ. ტაბულა 2).

10 Larfeld, Gr. Epigr., 240—241.

ლარფელდის აზრით ამგვარი რიცხვანბანი მილეტში VIII ს. დამლევს მაინცდამაინც უნდა ყოფილიყო. იგი აღმოსავლეთი საბერძნეთის შემოღებული უნდა იყოს, რადგან ფ, ქ და ფს-ის რიგობრივი მიდევნილობა ამის ცხადი მაჩვენებელია (იქვე, 293—294).

ბერძნული დამწერლობის ჩვენამდის მოღწეული უძველესი ძეგლები VII ს. დამდეგს ქ. წ. არ სცილდება. თვით ბერძნები 776 წ. ქ. წ. მიაწერდნენ ოლიმპიელ ძლევამოსილთა შესახებ ცნობების შემცველ მატიანეს. მაგრამ, რა დროს ჩნდება პირველად ბერძნული ანბანური დამწერლობა, ამის შესახებ მეცნიერთა შორის სრული უთანხმოებაა. ზოგნი, როგორც მაგ. ლარფელდი, ფიქრობენ, რომ ფინიკიელთ ბერძნებისათვის ანბანის სწავლება მხოლოდ XIV—XI სს. შეეძლოთ ქ. წ., დაახლოებით XI ს-ში[11], გარდტჰაუზენს კი ყველა ამგვარი შეხედულების მეცნიერთა აზრი და საბუთიანობა არ აკმაყოფილებს და მათი დებულება საეჭვოდ მიაჩნია. მისი შეხედულებით ფრთხილ მკვლევარს XI ს-ზე უწინარეს ბერძნულ ანბანთდამწერლობის არსებობისათვის არავითარი სანდო საბუთები და კვალი არ მოეპოვება[12].

ფინიკიელთა დამწერლობის უძველეს ძეგლად 1876 წ. კვიპრის კუნძულზე ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის ნაპირზე ამოჭრილი წარწერა ითვლება, რომელიც სიდონის მეფის ჰირამის მსახურისაგან ღვთაება ბაალ-ლებინისადმი მიძღვნილობას შეიცავს. თუმცა ეს წარწერა უთარიღოა, მაგრამ ასოთა მოხაზულობით ისე წააგავს მოაბის მესის წარწერას, რომ, თუ ეს უკანასკნელი ძეგლი 890 წ. ახლო ხანებში ითვლება დაწერილად, კვიპრის ბრინჯაოს ჭურჭლის წარწერაც დაახლოებით 800 წ. უნდა მიეკუთვნოს ქ. წ. (ამ უძველესი წარწერის სურათი მოთავსებულია Corpus inscriptionum Semiticarum-ში (1—partie, t. I, № 5) და M. Pr. Berger-ის' Histoire de l'écriture dans l'antiquité, Paris, 1891 წ., გვ. 122 და 123). შემდეგ ამავე დროის ძეგლებად უმთავრესად წვრილი წარწერიანი ნივთები და ბეჭედია ჯერ მიჩნეული. დიდი მანძილის მერმე, ფინიკიური წარწერა 650—595 წწ. ქ. წ. დროინდელი იპსამბულის დიდი ტაძრის კოლოსის მუხლებზე ამოკაწრული წარწერაა (ბერჟეს თხზ., 170—171). დაახლოებით ამავე ხანს, VI—V სს., ეკუთვნის ბებლოსის ტაძრის სვეტის წარწერაც, რომელზედაც სპარსულად გამოწყობილი მეფე იეჰაუმელექია გამოქანდაკებული თავის დედოფლის ეგვიპტელთა ღვთაების სახით წარმოდგენილი ბაალატ-გებალისადმი გამარჯვების ძღვნის მიმრთმევი. ამ წარწერათა დამწერლობას გარდამავალი ხასიათი და მოხაზულობა აქვს (ბერჟეს თხზ., 171—172).

400—100 წწ. ქ. წ. ფინიკიელთა დამწერლობა უკვე სრულებით ჩამოყალიბებულია: ასოებს მოხაზულობის მხრივ მცირედი ცვალებადობა ემჩნევა. განსხვავება უფრო საგრძნობია კუთხობრივ-ადგილობრივ პირობებისდა მიხედვით. სამი განსხვავებული სახეობის დამწერლობაა ამ ნიადაგზე წარმოშობილი: სიდონური, კვიპრული და კართაგენული. მაგრამ მათ შორის მაინცდამაინც ძალიან დიდი განსხვავება არაა. სიდონური დამწერლობის ნიმუშად ესმუნაზარის სარკოფაგზე ამოჭრილი წარწერა ითვლება, რომელიც 380 წ. ახლო ხანებისად არის მიჩნეული ქ. წ. და მოთავსებულია CIS I, № 3 და

[11] იქვე, 207—209.

[12] Gardthausen, Gr. Palaeogr., II, 28—34.

ბერჟეს თხზულებაში (გვ. 172—175). ფინიკიელთა ამ ხანის დამწერლობას სიმკვირცხლე და მოქნილობა ემჩნევა, რაც კალმის ხმარებისა და გაკრული ხელით ხშირი ვარჯიშობის შედეგი უნდა იყოს (იქვე, 177).

146 წ. ქ. წ. როცა კართაგენი რომაელებმა გაანადგურეს, ამ დროიდან მოყოლებული, ახალი პირობების წყალობით ფინიკიურ დამწერლობას დიდი ცვლილება დაეტყო, ისე რომ ასი წლის შემდეგ ასოთა მოხაზულობა უკვე თვალსაჩინოდ იყო შეცვლილი და ახალი ნეოპუნურად, აგრეთვე ნუმიდურ-პუნურად, ანუ ახალ-პუნურად (l'ecriture néo-punique ou numidico-punique) წოდებული დამწერლობა შეიქნა. ახალი პოლიტიკური გარემოების გარდა გაკრულ ხელს აქაც დამწერლობის ჩამონაკვთვის დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ბერჟე, 178—185). სარდინიაშიც ნაპოვნია ლათინურად და ახალ-პუნურად დაწერილი წარწერა (იქვე, 179 და CIS I, № 149). საყურადღებოა, რომ ამ დამწერლობაში თხზული ასოებიც იხმარება (ბერჟე, 184—185). ახალ-პუნურმა დამწერლობამ შედარებით დიდი ხანგრძლივობა გამოიჩინა და აფრიკის მთელ ფინიკიელთა შორის იყო გავრცელებული IV საუკუნემდე ქ. შ. (ბერჟე, 186—187).

IX—VIII სს. ე ბ რ ა უ ლ ი ანბანი, ქანაანელთა ანბანად მიჩნეული, ფინიკიელთა ანბანს ძალიან მიაგავდა. ამგვარი დამწერლობა შემდეგშიაც იხმარებოდა, თვით IV—I სს. ქ. წ-თაც, საბეჭდავ ბეჭდებისა და, II ს-მდის ქ. შ., ებრაული ფულების ზედწერილებისათვის. ის გარემოება, რომ სამარიტელებმა ამის მსგავსი დამწერლობა შემდეგშიაც შეინახეს და XIII ს. დამდევსაც კი გვხვდება ქ. შ., იმის მომასწავებელია, რომ ებრაელებს უძველესი დამწერლობა ჯერ კიდევ 400 წ. ქ. წ. საყოველთაოდ მიღებული უნდა ჰქონოდათ, რადგან ამ დროიდან მოყოლებული სამარიტელნი ებრაელებზე უკვე დაშორებულნი იყვნენ და მათგან ანბანსაც ვეღარ შეითვისებდნენ.

ამგვარი უძველესი ებრაული დამწერლობის უპირველეს ძეგლად სილოას წარწერა ითვლება, რომელიც VIII ს. დასასრულს ეკუთვნის. მერმე, დაახლოებით IV ს. შემდგომ ქ. წ., ებრაელებმა ასურებისაგან არამეული დამწერლობა შეითვისეს, რომელიც IX—VIII სს. ქ. წ. უნდა წარმომდგარიყო საერთო დედა-ანბანიდან. ამ არამეულისაგან შეთვისებული ანბანისაგან ებრაული კუთხოვანი დამწერლობა წარმოდგა (იხ. ტაბულა 3).

ა რ ა მ ე ვ ე ლ თ ა დამწერლობის უძველეს ძეგლად ამობორცვილი ასოებით გამოყვანილი ზენჯირლის წარწერა უნდა ჩაითვალოს, რომელიც დაახლოებით 750—720 წწ. ქ. წ. არის ამოჭრილად მიჩნეული (ბერჟე, გვ. 210; სურათი და წარწერა იხ. იქვე, გვ. 206—209). ამ ძეგლის დამწერლობა იმდენად მიაგავს ფინიკიელთა და ებრაელთა უძველეს დამწერლობას, [რომ] მხოლოდ ენის თავისებურება გვაძლევს საშუალებას მისი სადაურობისა და კუთვნილების უცილობლად გამორკვევისა. მაგრამ თანაც არამეულ დამწერლობას უკვე ამ თავითვე ასოთა კუთხოვანი მოყვანილობის მომრგვალებისადმი მიდრეკილება ემჩნევა (იქვე, 210).

ნინევიის ნანგრევებში ნაპოვნია ასირიული და არამეული წარწერებით შემკული სასწორის ბრინჯაოს აბრები, რომელთაგან ზოგი VIII—VII სს. ეკუთვნის ქ. წ. ამ აბრებზე, მეტადრე აქემენიანთა სპარსეთში ბატონობის ხანში, არამეულ წარწერათა ასოებს ერთი მეტად დამახასიათებელი ცვლილება დაეტყო, სახელდობრ, ყველა ასოს, რომელთაც თავი შეკრული ჰქონდათ, რო-

გორც მაგ., ბ, დ, აჲნ, რ-ს თავები გაეხსნათ და ასე პირლია იწერებოდნენ (იხ. ტაბულა 4). ასოთა მოხაზულობის ამგვარი ცვლილებისადმი მიდრეკილება ჯერ ნინევიის ორენოვანი წარწერებით შემკულ აბრებს ემჩნევათ, მაგრამ სპარსთა ბატონობის ხანაში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა და პირები მთლად გაეღოთ (ბერჟე, 212—214). ამასთანავე ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა ზოგან მრგვლოვანად იქცა და თვით მოხაზულობაც გამარტივდა (იქვე, 216). არაბეთის ტეიმას სვეტის წარწერაც დაახლოებით ამგვარივე დამწერლობის ძეგლად უნდა ჩაითვალოს, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ 500—400 წწ. ქ. წ. არამეველნი არაბეთშიაც ყოფილან შეხიზნულნი (იქვე, 219—220).

მაგრამ პაპირუსზე ნახმარმა გაკრულმა ხელმა და კალამმა შესცვალა არამეული პირვანდელი დამწერლობის გარეგანი მოხაზულობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მეტად გამარტივებული, მომრგვალებული და სქელი და წვრილი ხაზებისადმი მიდრეკილებით ხასიათდება (იხ. ნიმუში ბერჟეს თხზ., გვ. 218).

როგორც ე. დრუენის[13] გამოკვლევამ ფაჰლაური ფულების ზედწერილების შესახებ ცხადყო, ავესტური და ფაჰლაური დამწერლობა სპარსეთის ხანის არამეულ დამწერლობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული და ფაჰლაური ზენდურის გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს (ბერჟე. 245). თუმცა ზენდური ანბანი საბოლოოდ ჩამონაკვთილად V—IV სს. ითვლება ქ. წ., მაგრამ ჯერჯერობით არამცთუ იმდროინდელი არაფერია შენახული, უძველესი ზენდური ხელნაწერები მხოლოდ X—XII სს. მოგვეპოვება ქ. შ. (ბერჟე, 240). ხოლო წარწერებისა და მეტადრე ერანული ფულების ზედწერილების დამწერლობის საშუალებით ზენდურ-ფაჰლაური ანბანის ზემოაღნიშნულზე უფრო უძველესი ხანის მოხაზულობის გათვალისწინებაც შეიძლება.

სილვესტრ დე-სასის, ოლსჰაუზენისა, ლონგპერიეს, ედ. თომასისა, მორდტმანისა, დარმესტეტეს და დრუენის გამოკვლევებში ეს საკითხი შესწავლილია და ჩვენ ხელთა გვაქვს არშაკუნიანი შაჰების ფულების ზედწერილების მიხედვით აღდგენილი ზენდურ-ფაჰლაური ასოების მოყვანილობა უკვე 100 წლიდან მოყოლებული ქ. წ. (ბერჟე, 248—250), სადაც ამ დამწერლობის განვითარების ტაბულაა მოთავსებული. ზენდურ-ფაჰლაური დამწერლობის ნათესაობა არამეულთან უფრო ცხადად ემჩნევა იმ ფაჰლაურ დამწერლობას, რომელსაც ე. წ. „ქალდეველნი" თავიანთი ენისათვის ხმარობდნენ და რომელსაც ქალდეურ-ფაჰლაური დამწერლობა ეწოდება.

არამეულისაგანვეა წარმომდგარი პალმირული, რომელიც კუთხოვან ებრაულს თვალსაჩინოდ მიაგავს. ინგლისელის, ალეპოელი ვაჭრის William Halifax-ის მიერ 1678 წ. პალმირის ნანგრევთა ღირებულების პირველად აღნიშვნის შემდგომ კარგა ხანმა განვლო, სანამდის მათი და იქ შენახული წარწერების შესწავლა შესაძლებელი გახდებოდა. სახელდობრ, Wood და Dawkins-მა 1751 წ. პალმირის ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ მასალების შეგროვებისთანავე 30 წარწერის პირი გადმოიღეს და თავიანთ ქვეყანაში ჩაიტანეს. ოქსფორდის მუზეუმში შეწირულმა წარწერათა სამმა ღედანმა აბბატ ბარტელმის (l'abbé Barthélemy) და Swinton-ს საშუალება მის-

[13] E. Drouin, Observations sur les monnais à légendes en pehlevi-arabe, Extrait de la Revue archéologique, Paris Leroux, 1886.

ცეს პალმირული დამწერლობის წაკითხვა მოეხერხებინათ. მარკიზ დე ვოგუემ (de Vogüé) ჯერ 1854 წ. მარტო ნახა და შეისწავლა პალმირა, ხოლო 1861 წ. Waddington-თან ერთად კვლავ ეწვია ამ ქვეყანას და ამ ორგზისმა შესწავლამ მეცნიერებას პალმირული დამწერლობის მრავალი ძეგლი შესძინა, რომელნიც ამ ფრანგ გამოჩენილი მეცნიერის შრომაში Syrie centrale, inscrtiptions semitiques (Paris Baudry, 1868 წ.) არის გამოქვეყნებული, ხოლო შემდეგ Mordtmann-ის, Huber-ისა და Euting-ისაგან შეკრებილ წარწერებთან ერთად CIS-ში დაიბეჭდა. და აბამელიქ-ლაზარევისაგან აღმოჩენილი პალმირის ნიხრის შემცველი წარწერის ესტამპაჟი სხვა ძეგლების ესტამპაჟებთან ერთად ერნესტ გოტძემ ჩაიტანა ევროპაში. ხოლო როდესაც ეს პალმირის ნიხრის წარწერა პეტერბურგში, ერმიტაჟში იქნა ჩატანილი, პროფ. კ. კოკოვცევმა გამოაქვეყნა ამ ძეგლის სურათი, ტექსტი და გამოკვლევა (ЗВОРАОб).

საგულისხმოა, რომ პალმირულ წარწერათა მომეტებული ნაწილი დათარიღებულია.

პალმირული დამწერლობის უძველესი ძეგლი მე-9 წ. არის ამოჭრილი ქ. წ., უმეტესი ნაწილი მათგან კი 128—271 წწ. ეკუთვნის ქ. შ. უძველეს წარწერაში ასოთა მოხაზულობა მარტივი და კუთხოვანია, თანაც არამეულისას მიაგავს. შემდეგ კი პალმირული დამწერლობა თანდათანობით მრგვლოვანი ხდება და ლამაზდება. დედოფალ ზენობიას და მისი მეუღლის ოდეინათის ქანდაკებაზე 271 წ. ამოჭრილი წარწერის ასოებს მოხაზულობით უკვე ცხადი მსგავსება ემჩნევა კუთხოვან ებრაულთან, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო მოხდენილია (ბერჟე, 265—268). სამშობლოს გარეშე გაბნეულ პალმირელებს აქა-იქ თავიანთი არსებობის კვალი წარწერების სახით უკვდავუყვიათ და ერთი მათგანი თვით ინგლისშიც კი არის აღმოჩენილი, ალბათ, რომაელთა ჯგუფში მყოფი ერთ-ერთი პალმირული მეომრის მიერ აღბეჭდილი იქნება (იქვე, 270).

თუ პალმირული დამწერლობა სამოქალაქო ცხოვრების მიმდევარ არამეელთა ძეგლია, ნაბატეველთა დამწერლობა ამავე ტომის თვით არაბეთშიაც კი შეჭრილი უბინადრო შტოის კულტურული ნამუშაკევის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. ნაბატეველნი თუმცა მობინადრე ხალხი არ იყვნენ, მაგრამ არაბებსავით მათაც მაინც კლდეში გამოკვეთილი ქალაქები და სასახლეები ჰქონდათ: ქ. ბოსრა, ჰებრან, სალქატ ჰაურანის მთებში პალესტინის აღმოსავლეთით, ქ. პეტრა არაბეთში და მრავალი სადგური სინას მთის სალოცავისაკენ მიმავალი გზის აქეთ-იქით მდებარე კლდეებთან. პირველად Burckhardt-ისა და დამასკოში მყოფი პრუსიის კონსულის Wetzstein-ის მიერ აღმოჩენილი ნაბატეველთა წარწერები ჯერ Waddington-ის და დე ვოგუესაგან იყო წესიერად გადმოღებული და მეცნიერულად შესწავლილი, შემდეგ Dougthy-ის და Charles Huber-ის მიერ ნაპოვნი წარწერები ერ. რენანისაგან. სხვადასხვა მეცნიერნი: ბეერ, ლოტენ დე ლავალ, ლევი, ლეპსიუს, ნიოლდეკე, ზახაუ და ოძტინგი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ნაბატეველთა წარწერების შესწავლაში. CIS-შიც ამ დამწერლობას განსაკუთრებული ნაწილი აქვს დათმობილი.

საყურადღებოა, რომ ნაბატეველთა თითქმის ყველა წარწერა დათარიღებული აღმოჩნდა და მე-9 წ. იწყება ქ. წ. და 75 წ. ქ. შ. თავდება. ნაბატეველ-

თა დამწერლობა არამეულსა და ასურულ-არაბულ დამწერლობათა შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს, და მის დამახასიათებელ თვისებად ასოთა მოხაზულობის მომრგვალება და მეტადრე გადაბმა უნდა ჩაითვალოს, ის, რაც შემდეგში ასურულსა და არაბულ დამწერლობაში ასე განვითარდა და დაკანონდა. ვითარცა მოგზაურთაგან დანაწერს შეშვენის, ნაბატეველთა დამწერლობას გაკრული ხელის ძლიერი გავლენა ემჩნევა და მათ ასოთა მოხაზულობის მრავალი ცვლილება სწორედ ამით არის წარმოშობილი. იქ სადაც წინათ ასოს ბოლო დასწვრივ იყო დახრილი, აქ უკვე მოხრილი და ზოგჯერ მთლად მომრგვალებულ-პირშეკრულია. ამ მხრივ დამახასიათებელია ასო „მიმ“-ი, რომელიც უძველეს არამეულში, პაპირუსებში, და პალმირულში თავლიაა, ნაბატეველთა დამწერლობაში მთლად პირშეკრულია. საყურადღებოა აგრეთვე თავგადახრილი „იოდი“ — ინი და ალეფის თვალსაჩინოდ შეცვლილი მოხაზულობა (იხ. ბერჟე, 271—279).

ა ს უ რ უ ლ ი დამწერლობა პალმირულ გაკრულ დამწერლობასთან იყო თავდაპირველად დაკავშირებული, ისე რომ, მაშინ ასურული ანბანი პალმირულისაგან ძლივს განირჩეოდა. უძველეს წარწერად, რომელშიაც აღბეჭდილია ასურული დამწერლობის წარმოშობა, უნდა Saulcy-ის მიერ იერუსალიმში აღმოჩენილი ადიაბენის დედოფლის ელენეს სარკოფაგის ორენოვანი წარწერა ჩაითვალოს, სადაც ასურულად ესტრანგელოს მსგავსი დამწერლობითა და კუთხოვანი ებრაულით წერია „წადან დედოფალი“. ეს წარწერა 44—70 წწ. ეკუთვნის ქ. შ., რადგან დედოფალი ელენე იერუსალიმში მხოლოდ 44 წ. დამკვიდრდა. ამ ორი სიტყვის დამწერლობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ შვიდ ასოდან უმრავლესობას არამეული მოხაზულობა აქვს, მაგრამ „ლ“ და „ალეფს“ კი უკვე ასურულის მსგავსი მოყვანილობა ემჩნევა. პროფ. ზახაუსაგან აღმოჩენილს II ს. მეორე ნახევრის ბერძნული და ასურული წარწერით შემკული ძეგლიც ასურული დამწერლობის განვითარების ამგვარსავე სურათს გვიშლის. ოთხ ასოს იქ ჯერ კიდევ ძველი, არამეული მოხაზულობა აქვს[14]. მაგრამ ედესელ მეფეთა ფულებზე გამოყვანილი ზედწერილებიდან ჩანს, რომ II ს. ქ. შ. ასურული დამწერლობა უკვე თითქმის მთლად ჩამონაკვთილი ყოფილა.

ამგვარი ძეგლები მეტად ცოტაა ჯერჯერობით აღმოჩენილი და უძველესი ასურული თარიღიანი ხელნაწერი ედესაში 411 წ. არის ნაწერი ქ. შ. და ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. იგი იმ დამწერლობით არის დაწერილი, რომელსაც შემდეგში „ესტრანგელო“-ს უწოდებდნენ. როგორც ეტყობა მაშინ და ნესტორიანთა და მონოფიზიტ ასურთა განხეთქილებამდე ესტრანგელო ერთადერთი საყოველთაოდ გავრცელებული ასურული დამწერლობა ყოფილა. როდესაც ნესტორიანნი ედესიდან გადევნილ იქნენ და, ექსორია ქმნილთ, თავი სასანიანთა სამეფოში შეაფარეს, ესტრანგელო განსაკუთრებით ნესტორიან ასურთა დამწერლობად იქცა, იაკობიანთა ასურებმა კი უფრო გაკრული დამწერლობა შექმნეს, რომელსაც მართლმადიდებელი ქრისტიანები მელქითნი და მარონიტებიც ხმარობდნენ. ასურული დამწერლობა განსაკუთრებით ხელითნაწერთა დამწერლობაა და მის დამახასიათებელ თვისებას, ერთი მხრით, ასოთა

---

[14] Zeitschrift d. deutschen morgenländischen Gesellschaft, t. XXXVI, 1882, გვ. 142—167.

გადაბმა შეადგენს, რამაც მათი მოხაზულობა თვალსაჩინოდ შესცვალა და გაამარტივა, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ იქ სტრიქონები მარტო მარჯვნიდან მარცხნივ კი არ იწერებოდა, როგორც დანარჩენ სემიანთა დამწერლობაში, არამედ, როგორც ირკვევა, ზევიდან ქვევითკენ გადაბმული ასოებით ისე, რომ სტრიქონები დასწვრივ მიიმართებოდა. ამგვარად არის ნაწერი ნესტორიანთა 781 წ. ასურული წარწერა, რომელიც 1625 წ. ჩინეთში, სი-ნგან-ფუ-ში იყო ნაპოვნი. ერ. რენანმაც აღმოაჩინა აკურას სამლოცველოს კედელზე პატარა ასურული წარწერა ამგვარადვე დასწვრივი მიმართულებით ამოჭრილი სტრიქონებით. პროფ. ზახაუსაც აქვს ამნაირივე მაგალითი მოყვანილი, ხოლო რაიტმა (W. Wright) ეგვიპტეში დეირ-ელ ბაჰრის კოპტური სამლოცველოს კედელზე VI ს. ამ წესითვე ნაწერი მამაო ჩვენო იპოვა (ბერჟე, 280—286, გვ. 285 სტრიქონთა დასწვრივი დამწერლობის ნიმუშის სურათია მოყვანილი).

ს ა ბ ა (ებრ. შება, ბერძ. საბა, გერმ. Saba, ფრან. Safa) და საბაელნი (გერმ. die Sabäer, ფრან. les Sabéens) ებრაელთა შორისაც განთქმულნი, სამხრეთ არაბეთში მდებარე მდიდარი, თავისი სურნელოვანებებით სახელმოხვეჭილი სამეფო და დაწინაურებული კულტურული ყოფა-ცხოვრებით ცნობილი ერი იყო. საბაელთ მწერლობა და საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ, რომელსაც საბაური ეწოდება (ფრან. l'alphabet safaïtique, გერმ. das Safa-Alphabet). ამ დამწერლობის ძეგლად მრავლად აღმოჩენილი წარწერებია ქვებზე და შენობებზე. პირველად საბაელთა ძეგლებს ინგლისელმა ვაჭარმა Cyril Graham-მა მიაგნო 1857 წ., ცოტა ხნის შემდგომ გერმანელმა Dr. Wetzstein-მა შეაგროვა საბას კლდეებზე 260-მდე წარწერა, რომელთა რამდენიმე ნიმუში გამოაქვეყნა კიდეც თავის საყურადღებო შრომაში „Reisebericht über Hauran und die Trachonen" (Berlin, 1860 წ.).

Waddigton-მა და ვოგუემ თავიანთ მოგზაურობის დროს ამ ძეგლებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და ვოგუემ 400-ზე მეტი წარწერა გადმოიღო და გამოაქვეყნა თავის სახელოვან შრომაში „Syrie centrale, inscriptions sémitiques, 2-e partie. Les inscriptions du Safa" (Paris, 1874 წ.). სხვათა უნაყოფო ცდის შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა ჰალევიმ შეძლო 1877 წ. ამ წარწერათა ანბანის გამოცნობა თავის გამოკვლევაში „Essai sur les inscriptions du Safa" (Journal asiatique, 7-e série, vol, X, p. 293—450, 1877 წ.).

საბაელთა დამწერლობის ძეგლები უნებლიეთ იპყრობდა ყურადღებას თავის ასოთა მოხაზულობით, რომელსაც ბევრ შემთხვევაში ფინიკიელთა ანბანთან დიდი მსგავსება აქვს. ეს გარემოება ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ საბაელთა ანბანი უნდა ძველი იყოს. პრეტორიუსი, მაგ., ფიქრობს, რომ იგი უკვე ქ. წ. VIII ს. უნდა ყოფილიყო. ბერჟესაც ეს დამწერლობა ძველად და ფინიკიურთან დაკავშირებულად მიაჩნია (გვ. 310, 312—313, 315—323). საბაელთა დამწერლობასთან პირდაპირი ნათესაობა ჩრდილოეთ არაბეთის ჰიმიარიტულ წარწერათა ანბანსა აქვს, რომელიც საბაელთა დამწერლობისაგან ასოთა მხოლოდ უფრო მრგვლოვანი და განვითარებული მოხაზულობით განირჩევა.

ჰ ი მ ი ა რ ი ტ ე ლ თ ა წარწერები პირველად ორმა ინგლისელმა სამხედრო პირმა, მეზღვაურმა Wellsted-მა და Gruttenden-მა აღმოაჩინეს 1835 წ. ცნობა

ამის შესახებ სამი წლის შემდეგ გამოქვეყნებული იყო Journal of the R. Geographical Society (vol. VII, p. 20—34 და vol. VIII, p. 267). იმავე წელს ფრანგმა ნიჭიერმა მკვლევარმა Furgence Fresnel-მა გამოაქვეყნა თავისი „Lettres sur l'histoire des Arabes avant l'islamisme“ (Journal asiatique 3-e serie, t. V et VI, avril-décembre 1838), რომელშიაც გამორკვეული იყო, რომ მაჰმადიანი მწერლები შეცდომით არაბეთში ძველ დროს ბინადარ სხვადასხვა კულტურისა და ტომის ხალხს არაბებად თვლიდნენ და რომ ჰიმიარიტული შემდეგშიაც, მაჰმადიანობის დროსაც, მთლად არ გამქრალა და ებრაულსა და არაბულს შუა მდგომი ენა იყო. ამან მკვლევართ თვალსაჩინოდ გზა გაუშუქა და სამი წელიწადიც არ იყო გასული, რომ გერმანელმა მეცნიერებმა გეზენიუსმა, ევალდმა და როიდიგერმა ინგლისელ მეზღვაურთა მიერ ნაპოვნი წარწერების წაკითხვა და გაგება შეძლეს. 1843 წ. ფრანგმა მოგზაურმა ფრანსუა არნომ (François Arnaud) მარებში აღმოაჩინა ახალი ჰიმიარიტული წარწერები, რომელთა გადმოღებული პირი 1844 წ. გადასცა ფრეზნელს. უკვე 1845 წ. ამ უკანასკნელმა მიღებულ წარწერათა ფრანგული თარგმანი და განმარტება გამოაქვეყნა Journal asiatique-ში. გერმანელი მეცნიერი ოსიანდერის (Osiander) გამოკვლევათა წყალობით ჰიმიარიტულ წარწერათა შესწავლა დაწინაურდა. მასალებიც მატულობდა და 1869 წ. იოსებ ჰალევიმ (Joseph Halévy) ჩაიტანა საფრანგეთში 686 წარწერის პირი, რომელთა მომეტებული ნაწილი ახლად იყო აღმოჩენილი (იხ. Rapport sur une mission archéologique dans le Yémen. Paris, 1872 წ. და Études sabéennes. Journal asiatique maijuin, octobre 1873 წ. და décembre 1874 წ.), გლაზერმაც (Glaser) თავისი სამგზისი მოგზაურობის დროს 2000 ახლად ნაპოვნი სხვადასხვა დროის წარწერის პირები და სურათები შესძინა მეცნიერებას (ბერჟე, 301—306).

გერმანელ მეცნიერთა მორდტმანისა და დ. მჳლერისა და ფრანგ მეცნიერთა ჰალევისა და იოსებ და ჰარტვიგ დერენბურგების (Joseph et Hartwig Derenbourg, Etudes sur l'épigraphie du Yémen, I série, Journal asiatique, 1884 წ.) გამოკვლევების წყალობით ჰიმიარიტული წარწერების შესწავლა არ შეწყვეტილა და წარმატებაშია.

ჰიმიარიტული ანბანის დამახასიათებელ თავისებურებას ზოგი ბგერისათვის ორმაგი სახეობის ასოს შემოღება შეადგენს, მაგ., დალეტისა, ჰეთისა, ტეთისა და ცადესათვის იქ ორ-ორი ასოა (ბერჟე, 308). ამასთანავე ჰიმიარიტულსა და საბაელთა ანბანს, მის ბევრ ასოს ფინიკიელთა დამწერლობისადმი გასაოცარ მსგავსებასთან ერთად, ზოგიერთი ასოს მოხაზულობა თვალსაჩინოდ აქვს შეცვლილი. ამგვარი თვისებისაა ალეფ, ბეტ, ჰე, ვავ, კაფ და მემ-ის ასოთა მოხაზულობა. მაგრამ ამ მხრივ საბაური ფინიკიურს უფრო უდგება, ჰიმიარიტული მოხაზულობა კი, როგორც ეტყობა, მერმინდელი განვითარების შედეგი უნდა იყოს (იხ. ბერჟე, გვ. 323-ზე).

ეთიოპური დამწერლობა ჰიმიარიტულის უშუალო განვითარებას წარმოადგენს. იმ ცხადი მსგავსების გამო, რომელიც საბაური დამწერლობის ბევრ ასოს მოხაზულობის მხრივ ფინიკიელთა უძველეს დამწერლობასთან ემჩნევა, მეცნიერთა ერთს ჯგუფს საბუთს აძლევს საბაურ-ჰიმიარიტული დამწერლობა ძველად მიიჩნიოს. მაგრამ რადგან წარწერათა უმრავლესობა ქ. წ. და შ. ახლო ხანებს ეკუთვნის, სხვა მეცნიერთათვის ამ შეხედულებას საეჭვოდა ხდის და ეს

დამწერლობა სწორედ შენახული ძეგლების დროინდელად მიაჩნიათ (იხ. Larfeld G. E., გვ. 236. ჰიმიარიტული, ეთიოპური, ღეზური და საბაური დამწერლობათა ნიმუში იხ. ტაბ. V).

მაჰმადიანობასთან ერთად გავრცელებული არაბული კუფური დამწერლობა მაჰმადიანობის შემოქმედების ნაყოფი არ ყოფილა, არამედ არაბულ წარმართული კულტურის ნაანდერძევია. იგი თავდაპირველად მხოლოდ ერთი ტომის, კორეიშიტებს შორის იყო გავრცელებული და მის უცილობელს ბატონობას მარტო კორანმა გაუკაფა ფართო გზა არამცთუ არაბეთში და არაბთა შორის, სრულებით მათთვის უცხო ხალხთა შორისაც, რომელთაგან სპარსელებს უკვე დიდი ხანია თავიანთი დამწერლობაცა და მწერლობაც მოეპოვებოდათ. ვეტცშტაინმა ლეჯაში აღმოაჩინა (Ansgewählte Inschriften № 110) ჰარანის წარწერა, რომელიც ბერძნულად და არაბულად არის 568 წ. ქ. შ., ე. ი. 60 წ. უწინარეს მუჰამედის ჰიჯრამდე.

მაჰმადიანობის დროინდელი კუფური არაბული ასოებით, ვარაყით, გამოყვანილი უძველესი (ჰიჯრით 72 წ.) წარწერა იერუსალიმში თავისი ასოთა მოხაზულობით ჰარანის ზემოაღნიშნული წარწერისაგან დიდად არ განსხვავდება. ნაბატეველთა წარწერების აღმოჩენამა და გავრცელების საზღვრებმა ცხადყო, რომ ნაბატეველთა დამწერლობა მთელ ჩრდილოეთ არაბეთში ყოფილა მიღებული და თვით მაქამდისაც კი აღწევდა. ეს გარემოება მკვლევართ აფიქრებინებს, რომ ნაბატეველთა ანბანს არაბული კუფური დამწერლობის შემუშავების დროს თავისი გავლენა უნდა ჰქონოდა. მაგრამ რადგან კუფური დამწერლობის საზოგადო იერი და ასოთა მოხაზულობა ასურულისას თვალსაჩინოდ მიემსგავსება, სრული აუცილებლობით ირკვევა, რომ კუფურ-არაბული დამწერლობის ჩამონაკვეთის დროს ასურულ დამწერლობას პირველხარისხოვანი მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული (ბერჟე, 287—293).

სომხური დამწერლობის ძეგლები უცილობლად VII საუკუნეზე ქ. შ. უწინარესი ჯერ აღმოჩენილი არ არის. უძველეს ძეგლებად წარწერები ითვლება, მაგრამ სომხური პალეოგრაფია, როგორც ცალკე სამეცნიერო დარგი, ჯერ არ არსებობს იმისდა მიუხედავად, რომ მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლია შენახულ-გამოცემული და მრავალი ხელნაწერის არაერთი მეცნიერული აღწერილობაა გამოქვეყნებული. როგორც სომეხ, ისე ევროპელ მეცნიერთ უფრო სომხური ანბანის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი აინტერესებდათ. ამგვარ მკვლევართა მრავალრიცხოვანებისდა მიუხედავად, საკითხი ჯერაც გამოურკვეველია, ერთი მხრით, კორჳნის თხზულებაში აღბეჭდილი სომხური ისტორიული თეორიის წყალობით სომხური ანბანის გამოგონების შესახებ, მეორე მხრით, სომხური დამწერლობის ისტორიული განვითარების შეუსწავლებლობის გამო. განსვენებულ სომეხთა მეცნიერს ზარბანალიანს თავის თხზულებაში *Հայկական հին դպրութեան պատմութիւն* სომხური ძველი მწიგნობრობის ისტორიაში (ვენეტიკი, 1897 წ.) სომხური პალეოგრაფიის საკითხებისათვის 83 გვერდი აქვს დათმობილი, რომელშიაც სომხური ანბანის წარმოშობა-სადაურობაა განხილული, წერითი ხელოვნების შესახები ცნობებია მოყვანილი და ხელნაწერთა დახასიათება მოიპოვება (გვ. 10—94). ყველა ეს მეტად მცირე წვლილია იმ უხვ მასალასთან შედარებით, რომელიც სომხურ წერილობითს ძეგლებში და ხელნაწერთა უკვე გამოქვეყნებულ აღწერილობებში მოიპოვება.

1913 წ. არქ. გარეგინ ოვსეფიანმა გამოაქვეყნა ***Քարտէզ հայ հնագրութեան, գրչութեան արուեստը հին Հայոց մէջ, մասն Ա*** (ვალარშაპატშია დაბეჭდილი) სომხური დამწერლობის ხელოვნების ძეგლების ნიმუშების წარწერების, ხელნაწერებისა და სხვა სურათების შემცველი.

ეს გამოცემა მომავალ მკვლევართ წინასწარი გაცნობისათვის დიდ სამსახურს გაუწევს. მაგრამ თვით ამ წიგნს პალეოგრაფიული გამოკვლევა არ ახლავს.

1914 წ. სამაგიეროდ პროფ. იოს. ორბელმა სომხურ ეპიგრაფიკას უძველესი სომხური წარწერების ფოტოგრაფიული სურათებით შემკული ტექსტის გამოქვეყნებითა და გამოკვლევებით ჩაუყარა საძირკველი. ძეგლები აქ დიდი ზედმიწევნილობითა და დაკვირვებით არის შესწავლილი და პალეოგრაფიულადაც დახასიათებულია. მას გამოქვეყნებული აქვს: 1) Шесть армянских надписей VII—X вв. (Христианский Восток, т. III, вып. 1, 72—91), 2) Указатель слов и имен к 13 армянским надписям VII века (იქვე, გვ. 95—100), 3) Багаванская надпись 639 г. (იქვე, II, 109), Армянские надписи на камне (იქვე, II, 147—154), 6) Две строительские надписи князей Камсараканов (იქვე, III, 297—306), 6) Надписи Мармашена (Петроград, 1914 г. Изд. Анийского Музея древностей, Памятники арм. эпиграфики, I) და სხვა.

ამგვარად, სომხური ეპიგრაფიკის მეთოდური მეცნიერული შესწავლა უკვე დაწყებულია. საჭიროა, რომ ხელნაწერებში უხვად დაცულ მასალებსაც თავისი განსაკუთრებული მკვლევარნი, პალეოგრაფები აღმოუჩნდნენ.

სომხური წარწერების ტექსტების შეგროვება თითქმის უკვე ასი წელიწადია რაც წარმოებს და დიდი მუშაობა არის ამ მხრივ გაწეული. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჰოვჰ. შაჰატუნიანის, სარგ. ჯალალიანის, ნ. სარგისიანის და მ. ფაფაზიანის შრომები. ალიშანს თავის 5 წიგნად გამოცემულ ნაწარმოებში (*Շիրակ 1881* წ. *Վենետիկ, Արարատ 1890* წ. იქვე, *Սիսական 1893* წ. *Նշմարք եւ Նշխարք Հայաստանի 1870* წ., *Սիսուան 1885* წ.) ყველა წინანდელი ნაშრომიდან ამოღებული მასალებისათვის თავი მოყრილი აქვს. დასასრულ, თუ მთელი არა, უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული სომხური წარწერების ერთგვარი საძიებელი არის შედგენილი, მოკლე ამონაწერებით შემკული კ. კოსტანიანის მიერ, რაც 1913 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში Biblioteca Armeno-Georgica, II, ***Կ. Կոստանեանց. Վիմական տարեգիր. ցուցակ ժողովածու արձանագրութեանց Հայոց.*** ამ შრომაში მსურველს შეუძლია მოძებნოს მანამდე არსებული სომხური ეპიგრაფიკული მასალების შემცველი ნაწარმოებების სიაც.

უძველეს ცნობილს ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში ქ ა რ თ უ ლ ი მწიგნობრობის დასაწყისისა და მისი გამომგონებლის შესახებ არაფერია ნათქვამი. არსებობდა თუ არა მაშინ სხვა რომელიმე თხზულება, რომელშიაც ამ საკითხზე ლაპარაკი ყოფილიყო, ძნელი სათქმელია. სომხურ მწერლობაში კი კორჲუნსა და მოსე ხორენელს თავიანთ თხზულებებში ქართული ანბანის გამოგონებაზეც აქვთ საუბარი. მათი სიტყვით, ქართული ანბანიც იმავე მესროპის მიერ უნდა იყოს ვითომც შედგენილი, რომელმაც ჯერ სომ-

ხური, ხოლო შემდეგ ალბანური ანბანიც შექმნა[15]. ქართულად მხოლოდ XI ს. საისტორიო თხზულებაში, რომელიც ლ. მროველს ეკუთვნის, მოიპოვება გარკვეული ცნობა ქართული ანბანის შემოღების შესახებ. იქ, სახელდობრ, ნათქვამია, რომ პირველად ქართველმა მეფემ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართულიო"-ო (*131—132, გვ. 22). სახელოვან ქართველ მეცნიერს ბატონიშვილ ვახუშტს ამ საკითხზე საგანგებოდ არაფერი აქვს ნათქვამი და ამ მხრივ ის ლ. მროველის თეორიას მისდევდა.

როგორც ხშირად სხვაგანაც მომხდარა, საქართველოშიაც საზოგადო და ფართო საკითხების გადაწყვეტას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე პალეოგრაფიის ძირითადი საკითხების კვლევა-ძიებას: ჯერ ისიც კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული, ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათანი განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტას ლამობდნენ, როგორიც ქართული ანბანის სადაურობაა. საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ 1881 წელს V საარქეოლოგიო კრებაზეც იყო თბილისში წამოყენებული. ამ საგანს ეხებოდა ორი მოხსენება: ერთში, რომელიც „Грузинская палеография"-ს სათაურით დ. ბაქრაძემ წაიკითხა, ეს საკითხი მხოლოდ გაკვრით არის მოხსენებული, ვითარცა უცილობელი და უკვე საბოლოოდ გამორკვეული, უმთავრეს მიზნად კი მომხსენებელს ქართული ანბანის მოხაზულობის ისტორია მიაჩნდა. მეორეში, რომელიც ილ. ოქრომჭედლიშვილს ეკუთვნოდა და სახელად ეწოდება „Об изобретении грузинского алфавита", საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ სწორედ საგანგებოდ არის განხილული. დ. ბაქრაძემ თავისი მოხსენების მთავარი დებულებანი თავის 1889 წელს გამოსულს წიგნშიც — „ისტორია საქართველოსი" — გაიმეორა, ხოლო ილ. ოქრომჭედლიშვილმაც თავისი აზრი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ ქართულადაც გამოაქვეყნა 1881 წელს წერილში: „ვინ მოიგონა ქართული ანბანი" („ივერია", № 10) და 1890 წელს გაიმეორა გამოკვლევაში: „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის ძველ ისტორიისა". („ივერია", 1890 წ., № 36, 38, 40—42).

ქართული ანბანის სადაურობის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის... ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა... ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასოთმთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით უახლოვდებიან დევა-ნაგერსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვადასხვა დროს არის სხვადასხვა ალფაბეტებიდამ შევსებული და, ჩემის მოსაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი ზღვის ნაპირზე"[16].

ქართული ხუცურ-მხედრული ანბანის შედარებით სიძველისა და თანდათანობითი განვითარების შესახებ დ. ბაქრაძეს ნათქვამი აქვს, რომ უძველეს

---

[15] *Կորիւն. Պատմ. ս. Մեսրոպայ*, თბ., 1919, გვ. 22—23, 29—30 და 38—49; *Մ. Խորենացի. Պատմ., „Պատմագիրք Հայոց"*, 1913, გვ. 328—329.

[16] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტ. საქართ., 83—84; შეად. Труды V-го Арх. съезда в Тифлисе, 1881, გვ. 208.

დროს, V—VII სს-ში, წარწერებში გვხვდება მხოლოდ ასომთავრული ხუცური. „იმ დროს სრულებით არა სჩანს კვალი არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასო-მთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველს ხასიათსა. ამათ შორის არც იპოება ზოგიერთი ასოები, რომელნიც მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში შემოდიან ხმარებაში. ჳ სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება — ოჳ... ნუსხა-ხუცური პირველად შეგვხვდება ერთს ძველს ოთხ-თავის ვარიანტში, რომელსაც თვით მისი ქორონიკონი მიაწერს VII საუკუნესა... შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ვრცელდება... ამ ნუსხა-ხუცურში... ოჳ-ს ნაცვლად იხმარება ჳ მაშინ, როდესაც ოჳ ასო-მთავრულში XII—XIII საუკუნემდე რჩება, თუმცა ჳ უკვე შემოღებულია. ჳ სულ პირველად იწერება *ⴍⴓ*... ეს ოჳ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთი მეორესა და ამგვარად ადგენენ ერთ ასოსა, რომელიც ჯერ ისევ ოთხ-კბილიანი (ოჳ), მას უკან სამ-კბილიანი (ჳ). ამ ჳ-დამ წარმოსდგა მხედრული ჳ. ჩვენის აზრით, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოღებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს. ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, მაგრამ უფრო განმარტივებული და გაადვილებული სახმარად. უძველეს მხედრულს, რომელიც ჯერ კიდევ ნუსხა-ხუცურს მიემსგავსება, ჩვენა ვპოულობთ, სხვათა შორის, პირველად სომხითის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰხადიან „ბერძნულ“ ეკლესიად; მეორედ სოუქ-სუს ეკლესიაზე აფხაზეთში (XI საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის წინად ნაპოვნს დიდს ტყავზე ნაწერს ბაგრატ IV-ის გუჯარში“-ო[17].

1886 წ. გამოსულ წიგნში „Сведения о памятниках грузинской письменности“ ალ. ცაგარელმა ზოგიერთი საზოგადო ხასიათის დაკვირვება და დასკვნა გამოთქვა ქართული დამწერლობის ისტორიის შესახებ. განხილულ კოლექციებშიო, ნათქვამი აქვს მას, მოიპოვება ხელნაწერები პაპირუსზე, ეტრატზე, ბამბიცინსა და ქაღალდზეც, რომელნიც შავი მელნითა და სინგურით არიან დაწერილნი, აქ ქართული VII—XVIII სს-ის დამწერლობის მრავალგვარი, ძვირფასი ნიმუშებია შენახული. მაგ., VII—VIII სს-ის პაპირუსის თთვენში ულამაზო, უშნო ხელია, ასომთავრული ხუცურნარევი. ამავე დროს პაპირუსისავე ფსალმუნში კი უკვე ნუსხახუცურით არის ნაწერი და მხოლოდ ფსალმუნებისა და მუხლების თავშია ასომთავრული ნახმარი. მოხდენილი ხელით ნაწერი VIII—X სს-ში ხელნაწერები საბაწმინდური რამდენიმეა, მათ შორის 864 და 925 წწ. მამათა ქმნილებათა მრავალთავები. X—XI სს-ის სინას მთისა და ათონური, ან სამცხური ხელნაწერებიც შნოიანია. თითქმის ყოველ დიდ მონასტერს თავისი საკუთარი ხელი ჰქონდა; მაგ., ათონური ხელი წვრილხაზოვანია (Тонкое), ვიწრო, მოხდენილი მოყვანილობის ასოებს მისდევდა, სინური კი, თუმცა შნოიანობით არ ჩამოუვარდება, მაგრამ ფართო, სქელი ხაზების მოყვარულია. ეტყობა ამასთანავე, რომ ქართველი დამწერელ-გადამწერლები იმ ერთა ასოთა დამწერლობის მოყვანილობასა და მოხაზულობას ჰბაძავდნენ, რომელთა შორისაც მათ ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ. თავისი ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად პროფ. ალ. ცაგარელს თანდართულ ტაბულაზე მოყვანილი №№ VI და III ნიმუშები აქვს დამოწმებული, რომელთაგან პირველი ასურულს, ხოლო მეორე აბაშურს, ანუ კოპტურს

[17] იქვე, 84—85; შეად. Труды V-го Арх. съезда, გვ. 209—210.

მიაგავსო. ხელნაწერებში გვხვდება ისეთი დამწერლობაც, რომელიც ნუსხა-ხუცურსა და მხედრულს შორის გარდამავალ საფეხურად უნდა ჩაითვალოს. ამის ნიმუშად მას თავის ტაბულაზე № VIII-ად მოთავსებული ათონური გაკ-რული ნუსხახუცური მაგალითი მიაჩნდა. დასასრულ, ალ. ცაგარელი ამტკი-ცებდა, რომ მერმინდელი დამწერელ-გადამწერელნი ხშირად ძველ, ზოგჯერ რამდენიმე საუკუნით უწინარეს არსებული ძეგლების ხელსა ჰბაძავდნენ და განაახლებდნენ ხოლმეო. მისი აზრით, VII—VIII სს. სინური პაპირუსის ფსალ-მუნის ხელის მსგავსი X—XI სს. ეტრატის ათონურსა და XIV—XVI სს. ქა-ღალდის ხელნაწერებშიაც კი გვხვდება[18].

1881 წ. თბილისში მომხდარ არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის შრომებში, რომელიც 1887 წ. გამოქვეყნდა, ქართული, უფრო სიგელ-გუჯრებიდან გადა-ღებული მდივანმწიგნობრული დამწერლობის, ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ნიშნებია დართული, ხოლო № 16 ფურცელზე ქართული დამწერლობის ის-ტორიული განვითარების გამომხატველი ტაბულაა მოთავსებული. აქ 5 სხვა-დასხვა დროის ქართული ანბანია მოყვანილი: X ს. ხუცური ანბანი, XI ს. მხედრული ანბანი, XII ს. მხედრული, XV ს. მხედრული და აწინდელი. რამ-დენადაც პროფ. ალ. ცაგარლისაგან პირადად გამიგონია, ეს ტაბულა დ. ბაქ-რაძისა და მისი შედგენილია. იმ დროისათვის ეს ტაბულა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო იყო, რომ როგორც პალეოგრაფიულ ნიმუ-შებს, ისევე ამ ტაბულას შესაფერისი გამოკვლევა არ უძღოდა წინ და ეს ძვირფასი მასალები გამოუყენებელი დარჩა. პროფ. ალ. ცაგარლის ზემოაღ-ნიშნული პალეოგრაფიული ტაბულები და ეს ნიშნები ტაბულითურთ მიმდი-ნარე საუკუნის დამდეგამდე ქართული წიგნური დამწერლობის წინასწარ გა-საცნობად თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ერთადერთი წყარო იყო.

ქართული წიგნური დამწერლობის ნიმუშების კრებული მ. ჯანაშვილს ჰქონდა გამოქვეყნებული 1900 წ. რუსულად დაბეჭდილი წიგნაკის — „Царица Тамара"-ს დამატების სახით, რომელშიაც სხვადასხვა დამწერლობის მაგა-ლითებით შემკული პალეოგრაფიული ტაბულები მოიპოვება. პროფ. ნ. მარმა 1902 წ. გამოაქვეყნა Агиографические материалы по рукописям Ивера (იხ. ЗВОРАО6), რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა სანიმუშო ფოტოგრაფიულ სურათებსაც შეიცავს. მკითხველმა აქ სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშები შეიძლება ნახოს. ამ გამოცემის ღირსებას პალეოგრა-ფიის თვალსაზრისით ხელნაწერთა სწორედ ეს ფოტოგრაფიული სურათები შეადგენს. შატბერდის განთქმული კრებულის რამდენიმე სომხური მინაწერის და ერთი № 69 ათონური ქართული ხელნაწერის ფოტოგრაფიული სურათებიც პროფ. ნ. მარსვე აქვს დართული თავის შრომებში (იხ. Тр. по арм.-груз. фи-лол., II და III წიგნები).

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების დამწერლობა ამ მცირეოდენობამ-დეც კი სამეცნიერო დაკვირვების საგნად არ ყოფილა. Dubois de Montpe-reux-ს Voyage autour du Caucase-ს წარწერათა ატლასიც აქვს დართული (წიგნი გამოიცა პარიზში 1839—1843). აკად. მარი ბროსეს სამ წიგნად გამო-ცემულ Voyage archéologique en Transcaucasie-ის პირველი წიგნი 1949 წ. დაიბეჭდა პეტერბურგში და 18 ლითოგრაფიულ ტაბულას შეიცავს, მეორე

[18] ალ. ცაგარელი, люцини, одной из важнейших направлений

1850 წ. იქვე და 16 ლითოგრაფიული ტაბულით არის შემკული, ხოლო მესამე 11 ლითოგრაფიული ტაბულიანი იქვეა დაბეჭდილი 1851 წ. დ. ბაქრაძის 1878 წ. გამოქვეყნებული შრომა Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, რომელსაც ატლასი აქვს თანდართული, ქართულ წარწერათა ტექსტსაც შეიცავს და ატლასებში ზოგი მათგანის პალეოგრაფიულ პირებსაც. მართალია, პირები ხელით იყო გადახატული, მაგრამ ქართული ეპიგრაფიკული დამწერლობის დაახლოებითი წარმოდგენა მკითხველს მაინც შეეძლო.

აღსანიშნავია ივ. როსტომაშვილის Ахалкалакский уезд в археологическом отношении (с ключом к чтению надписей древней Джавахетии и картой), რომელიც 1898 წ. СМОМПК XXV წიგნში იყო დაბეჭდილი (გვ. 1—133) ე. თაყაიშვილის თანდართული შენიშვნითურთ (გვ. 134—136). თუმცა იმ წერილში მოთავსებული ძეგლების ფოტოგრაფიული სურათები იმდენად ბუნდოვანია, რომ ძნელი გასარჩევია და წარწერების პალეოგრაფიული პირიც ხელითაა ნახატი და, რასაკვირველია, ზედმიწევნილობა დაცული არ არის, მაინც აქ თავმოყრილი ძეგლები თავიანთი დამწერლობით მეტად საყურადღებო ეპიგრაფიკულ და პალეოგრაფიულ მასალას წარმოადგენენ და ქართული დამწერლობათმცოდნეობის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუხვევს.

1905 წ. ქართული წარწერების გამოქვეყნებისათვის ყოველდღიური გაზეთის გარდა სხვა არავითარი ორგანო არ არსებობდა და მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ეპიგრაფიკული მასალებიც არის გაბნეული. მათი მოძებნა „ქართული ბიბლიოგრაფიის“ საშუალებით შეიძლება. ჟურნალ „მოამბე“-ში, სხვათა შორის, ე. თაყაიშვილის „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ დაიბეჭდა, რომელიც შემდეგ 1907 წ. ცალკეც გამოვიდა და ამ სათაურით შემკული ნაშრომის პირველ წიგნად არის გამოცემული. ამ ნაშრომის მეორე წიგნი საქართველოს საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების ორგანოში „ძველი საქართველოს“ III წიგნში დაიბეჭდა და 1909 წ. ცალკეც მეორე წიგნის სახელობით გამოვიდა. ამ მეორე წიგნის ზოგი ძეგლები, სახელდობრ, ტყვირის და სუჯუნის ეკლესიების ძეგლების აღწერილობა ავტორმა რუსულადაც გამოაქვეყნა 1916 წ. Христианский Восток-ში (გვ. 40—50 და 282—300). ქართულ გამოცემასთან ამ უკანასკნელს ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ნაშრომს ძეგლების ფოტოგრაფიულად გადაღებული სურათები აქვს დართული და რედაქციისაგან შესწორებული აქა-იქ შეპარული შეცდომები. 1910 წ. პროფ. ნ. მარმა გამოსცა Надпись Епифания католикоса Грузии (ИАН, გვ. 1433—1442) ფოტოტიპური სურათითურთ.

1905 წ. ე. თაყაიშვილმა დაიწყო ბეჭდვა თავისი ნაშრომის „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, რომელიც ხუთ ნაწილად გამოქვეყნდა. პირველი, IV და V ნაწილები იბეჭდებოდა СМОМПК (იხ. ამ ორგანოს вып. XXXV, 1905; вып. XLIII, 1913 და вып. XLIV, 1914), II და III ნაწილები კი გამოქვეყნებული იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებებში (იხ. ИКОИМАО, 1905. II წიგნი და 1907 წ. III წიგნი). ე. თაყაიშვილის ეს ნაწარმოები ცალკეც გამოვიდა. ხუთივე ნაწილის ღირსებას ძეგლთა თანდართული ფოტოგრაფიულ-პალეოგრაფიული სურათები შეადგენს, მეტადრე II და III ნაწილებია წარწერათა მშვენიერი სურათებით შემკული.

დიუბუას, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ივ. როსტომაშვილისა და ე. თაყაიშვილის ზემოაღნიშნულ ნაშრომებში დიდი ეპიგრაფიკული მასალა არის გამოქვეყნებული, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ ძეგლების წმინდა ეპიგრაფიკული შესწავლა-გამოკვლევის საგნად არ ყოფილა, არამედ თითქმის განსაკუთრებით საისტორიო მასალის მსგავსად იყო გამოქვეყნებული. ამასთანავე იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ გამოქვეყნების დროს წარწერა გამომცემელთ სრული სისწორით ვერ გადმოეცათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბევრი შეუკრებელი ეპიგრაფიკული ძეგლები მოიპოვება. ზემონათქვამიდან ცხადი იქნება, რომ ქართული წარწერათამცოდნეობა მომავლის აუცილებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს; იმისდა მიუხედავად, რომ აქამდე დიდი მასალა იყო გამოქვეყნებული და მათი ფოტოგრაფიული სურათები კაბინეტში მჯდომარე მკვლევარსაც კი ამ სამეცნიერო დამხმარე დარგის შესწავლის საშუალებას აძლევდა, იგი ჯერ არ არსებობს. თავისთავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიად საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი.

ქართული მდივანმწიგნობრული ხელის განვითარების წინასწარ შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საქართველოს სიძველეთა“ პალეოგრაფიული დამატების I და II რვეულები, რომლებშიაც XI—XIV სს. სიგლების პირებია დაბეჭდილი („პალეოგრაფიული ალბომი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1909 და 1920 წწ.).

ბაგრატ IV შიომღვიმის სიგელის პალეოგრაფიული პირი გამოქვეყნებული იყო ე. თაყაიშვილის მიერვე 1894 წ. (Сигель грузинокого царя Баграта IV; იხ. ЗВОРАОб., т. IX, გვ. 59—68). 1911 წ. პროფ. ნ. მარმა დაბეჭდა Грузинские приписки гречеокого Евангелия из Коридии (ИАН. 1911, გვ. 211—240), რომელსაც ამ მინაწერების ფოტოგრ. სურათები აქვს დართული. დასასრულ, პროფ. აკ. შანიძემ 1924 წ. თბილისში 1188 წ. ხელნაწერიდან ამოღებული ამავე დამწერლობით ნაწერი „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაისი“ პალეოგრაფიულად გამოაქვეყნა (უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამოცემაა და უნივერსიტეტის ლითოგრაფიაშია დაბეჭდილი). ყველა ზემოჩამოთვლილი გამოცემის, პროფ. ნ. მარისაგან გამოქვეყნებულის გარდა, მთავარ ნაკლს ის გარემოება შეადგენს, რომ პალეოგრაფიული პირები ხელით არის გადაღებული, რაც მოხაზულობის ზედმიწევნილობის დაცულობის თანამედროვე მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. უკვე კარგა ხანია მეცნიერებამ ამისათვის ფოტოგრაფია გამოიყენა და ჩვეულებრივ ჰელიოგრავიურისა ან ცინკოგრაფიის, ანდა ფოტოლითოგრაფიის საშუალებით ბეჭდავენ ხოლმე.

ზემოაღნიშნული წყაროების გარდა, ქვემოთ პალეოგრაფიის შესასწავლად მთავარი მნიშვნელოვანი წყაროები იქნება ჩამოთვლილი. M. Lidzbarski, Handbuch der nordsemitischen Epigraphik; მისივე, Ephemeris für semitische Epigraphik, I და II.—Franz Praetorius, Ueber den Ursprung des Kanaanäischen Alphabets; მისივე, Bemerkungen zum südsemitischen Alphabet, ZDMG. 58 B. (1894 წ.), Zum semitisch-griechischen Alphabet. ZDMG, 1908, B. 62.—Friedr. Delitzsch, Die Entstehung des ältesten Schriftsystems oder Ursprung der Keilinschriften, Leipzig, 1897.—Ed. de Rougé, Mémoire sur l'origine égyptienne de l'alphabet phénicien. Paris, 1874,—I. Halévy, Mélanges d'épigraphie et d'archéologie semitique, Paris, 1874.—E. Meyer-ს ფინიკიური ანბანის სათავედ ხეთური ანბანი მიაჩნია (Geschichte des Altertums Bd. 2. 1898, გვ. 280 შემდ.)—De Vogüé, La Syrie Centrale. Inscriptions sémitiques, Paris, 1868 და 1877 წწ. — Corpus Inscriptionum Semiticarum. — D.

Chwolson. Corpus Inscriptionum hebraicarum, St-Petersburg, 1882; მისივე, Syrisch-Nestorianische Grabinsschriften aus Semiretschie, Mèmoires de l'Acadèmie de St-Petersbourg, 1890, VII sèrie, t. XXXVII, Nr. 8.—Ch. Clermont-Ganneau, Études d'archéologie orientale (Bibliothèque de l'Ecole des Hautes Études, Paris, 1897, 113. fascicule).—Ph. Berger, Histoire de l'ecriture dans l'antiquité, 2-ième édition, Paris, 1912, — Adolf Kirchhoff, Studien zur Geschichte des griechischen Alphabets, Berlin, 1887,— Wilhelm Larfeld, Griechische Epigraphik, 1914, მესამე გამოცემა, აქ მსურველი იპოვის მთელი სათანადო წყაროების სიას.— Fr. Praetorius, Zur Geschichte des griechischen Alphabets, ZDMG, 56 B. 1902,—Corpus inscriptionum Graecarum, edd. A. Boeskhius, A. Kirchhoffius, E. Curtius, H. Roehlius, I—IV, 1828—1877,—Inscripticnes Graecae, I—XIV —Inscriptiones Graecae antiquissimae... ed. H. Roehl, 1882, მესამე სასკოლო გამოცემა 1907, —Inscriptiones Graecae ad res Romanas pertinentes. Paris, 1901 და შემდ. — Tituli Asiae Minoris, ვენის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა E. Kalinka-ს მიერ. — B. Latyschev, Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini Graecae et Latinae. Petropoli 1885, 1890, 1902 წწ.—მშვენიერი ფოტოტიპიური გამოცემაა Otto Kern-ის Inscriptiones Graecae, Tabulae in usum scholarum VII. Bonnae.

Silvestre, Palèographie universelle. Collection des facsimilés d'ècriture, Paris, 1839.—William Wright. The Paleographicale Society. Facsimiles of manuscripts and inscriptions (Oriental series), London, 1875—1883.—Eugenius Tisserant, Specimina codicum orientalium, Tabulae in usum scholarum VIII, Bonnae. მშვენიერი ფოტოტიპური გამოცემაა, რომელშიაც სამარიტული, ებრაული, ასურული, პალესტინისა, მანდეური, არაბული, ეთიოპური, კოპტური ხელნაწერების ნიმუშებია დაბეჭდილი. წინასიტყვაობაში მკითხველი ხელნაწერების აღწერილობათა და სხვადასხვა პალეოგრაფიის შესახები მწერლობის სიას იპოვის.—არაბულ-სპარსულ-თურქულ დამწერლობის შესახებ: De Sacy Nouveaux aperçus sur l'histoire de l'écri-chez les Arabes du Hèdjaz (Journal Asiatique, Sèrie I, X, გვ. 209 და შემდ.)—Arnold, The present order of the alphabet in Arabic,—Fleischer, Zur Gestchichte der arabischen Schrift, ZDMG, XVIII, 288—291.—Karabacek, Papyrus Rainer და სხვა წერილები. — საგულისხმო ცნობებსა და დამწერლობისა და საწერი იარაღის სურათებს შეიცავს C. Huart-ის Les Calligraphes et les Miniaturistes de l'Orient Musulman, Paris, 1908. — B. Moritz, Arabische Schrift. Enzyklopaedie des Islam, 7-e Lieferung, 1910, გვ. 399—410, ცხრა დამწერლობათა საუცხოო ნიმუშებისა და ერთი ანბანის ისტორიული განვითარების მაჩვენებელი ტაბულითურთ. იქვეა სათანადო ბიბლიოგრაფიაც—ბერძნულ-ლათინური პალეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია E. Thompson. Handbook of Greek and Latin Palaegraphy, London, 1906, მე-3 გამ. — Fr. G. Kenyon. The Paleography of Greek Papyri.

V. Gardthausen, Griechische Paleographie, მე-2 გამ. I და II წიგნი, 1913. — W. Wattenbach, Anleitung zur griechischen Palaeographie; მისივე Anleitung zur lateinischen Paläographie და მეტადრე Das Schriftwesen in Mittelalter. — Ludwig Traube, Vorlesungen und Abhandlungen, I, Zur Paläographie und Handschriftenkunde, München, 1909, — B. Breitholz, Lateinische Paläographie, 1912, მე-2 გამ. — Alf. Jacob, Sciptura. იხ. Dictionnaire des antiquités grecques et romaines, sous la direction d. M. Ed. m. Sagio, 1909., Paris, გვ. 1125—1135.—Arthur Mentz., Geschichte der griechisch-römischen Schrift bis zur Erfindung des Buchdrucks mit beweglichen Lettern, Leipzig, 1920.— O. A. Добиаш—Рождественская, История письма в средние века, руководство к изученню латинской палеографии. Петербург, 1923, изд. Броккауз—Ефрон.—ბერძნული დამწერლობის ძეგლთა ნიმუშებისათვის უნდა მკითხველმა მიმართოს შემდეგ გამოცემებს: Henri Omont, Facsimilés des manuscripts grecs datés de la Bibliothèque Nationale du IX au XIV-e siècle, Paris, 1890., მისივე, Facsimilés des plus anciens manuscripts grecs en onciale et en minuscule du IV-e au XII siècle, Paris, 1892 და Facsimilés des manuscripts grecs du XV-e et XVI-e siècle, Paris, 1887, მშვენიერი გამოცემანია. — Bibliothèque Nationale, dèpartement des manuscripts: Facsimilés de manuscripts Grecs, Latins et Français du V-e au XIV siècle exposès dans la Galerie Mazarine, Paris. — Girolamo Vitellie Cesare Paoli, Collezione Fiorentina di facs mili paleografici greci e latini. Firenze, 1884—97. — G. Wattenbach et Ad. von Velsen. Exempla codicum Graecorum litteris minus-

culis scriptorum, 1898., Heidelbergae. — W. W a t t e n b a c h, Schriftafeln sur Geschichte der griechischen Schrift, Berlin, 1876—77, — Palaeographical Society, Facsimiles of Manuscripts and Inscriptions edited by E. A. B o n d and E. M. T h o m p s o n, London, 1873—94.

რუსული დამწერლობისა და პალეოგრაფიის შესასწავლად საუკეთესოდ ითვლება აკად. ს ო ბ ო ლ ე ვ ს კ ი ს ა და პროფ. ე. შ ჩ ე პ კ ი ნ ი ს შრომები: акад. С о б о л е в с к и й, Славяно-русская палеография, Петр., 1909,—Проф. В. Н. Щ е п к и н, Учебник русской палеографии, Москва, 1920, Государственное издат.

პალეოგრაფიის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა და დებულებანი ლ უ დ ვ ი გ ტ რ ა უ ბ ე ს ა აქვს დაწერილი (იხ. L u d w i g T r a u b e, Vorlesungen und Abbandlungen herausgegeben von F. B o i i, I. Band, München, 1909,—Geschichte der Paläographie, გვ. 1—80 და Grundlagen der Handschriftenkunde. გვ. 81—127.—პალეოგრაფიისა და დამწერლობათმცოდნეობის გასაცნობად ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილ წიგნთაგან შეიძლება დასახელებულ იქნეს პროფ. S c h u b a r t-ის Das Buch bei den Griechen und Römern. 1907; პროფ. O. W e i s e-ს Schrift und Buchwesen in alter und neuer Zeit (Aus Natur und Geisteswelt 4. Bändchen)-და Fritz S p e c h t-ის Die Schrift und Ihre Entwicklung. Berlin, 1909, რომელნიც სურათებითა და დამწერლობათა ნიმუშებითაც არიან შემკულნი.

თავი მეორე

ტერმინები და ცნობები ძველი ქართული და სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების შესახებ

ვიდრე ქართული პალეოგრაფიის შესწავლასა და განხილვას შევუდგებოდეთ, თავდაპირველად ჩვენ ყველა ის ცნობა და ტერმინი, რომელშიც კი ძველ სხვა ერთა და ქართულ მწიგნობრობასა და წიგნების შემზადებას შეეხება და ქართულ სხვადასხვა წყაროშია გაბნეული, უნდა შეკრებილი და ზედმიწევნით შესწავლილი გვქონდეს. უნდა ვიცოდეთ, რა და რა ტერმინები იხმარებოდა უცხოეთისა და ქართულ მწიგნობრობაში. ან როგორ სწერდნენ და ამზადებდნენ წიგნებსა და საბუთებს, თანაც რა იარაღსა და მასალას ხმარობდნენ ამისთვის.

მწერლობას, წერა-კითხვას და მწერლობითს განათლებას ძველ საქართველოში „მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა“ ეწოდებოდა. იოანე საბანისძეს აბო თბილელის შესახებ მაგ., ნათქვამი აქვს, რომ სანამ აბო თავის სამშობლო ქვეყანაში არაბთა შორის ცხოვრობდა უკვე „სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა“ (ც˝ჲ ჰაბოჲსი, 63, 27), არაბული წერა-კითხვა და განათლება შეთვისებული ჰქონდაო. ხოლო როდესაც ერისთავთერისთავს ნერსეს ქართლში წამოჰყვა, მაშინ „შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჯსნილად“ (იქვე, 64, 10), ქართული წერა-კითხვა და განათლებაც შეისწავლაო. გ. მერჩულის სიტყვითაც, გრიგოლ ხანძთელმა ბავშვობიდანვე „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ. სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ“ (ც˝ჲ გგ˝ლ ხანძ˝თლსჲ, გვ. გ.). აქაც ისტორიკოსს ხანძთის არქიმანდრიტის მიერ უცხო ენების წერა-კითხვის შესწავლაზე აქვს ლაპარაკი. ამ სიტყვა „მწიგნობრობა“-ს ანბანის, საწერ ნიშნების ზოგად სახელადაც ხმარობდნენ. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, ვითომც პირველად ფარნავაზ მეფემ „შექმნა „მწიგნობრობა ქართული“ (ც˝ჲ მეფეთა, * 132, გვ. 22), ე. ი. ქართული ანბანის მომპოვებელი და შემომღები იყოო.

სამწიგნობრო ხელოვნებას თავისი დიდი და საგულისხმო თავგადასავალი აქვს, რომლის ცოდნა აუცილებელია ადამიანის სულიერი კულტურის ყოველი მკვლევარისათვის და განათლებულ მკითხველსაც მისი ცოდნა კაცობრიობის წარმატების ერთ თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას გადაუშლის თვალწინ. სამწერლობო ხელოვნების ისტორიის განხილვის დროს უნდა სამი მთავარი საკითხი იყოს განხილული: პირველი საწერ მასალას ეხება, მეორე საწერ იარაღებს, მესამე კიდევ თვით წერის ტექნიკის გარეგან პირო-

ბებს. რადგან ყოველი სამწერლობო ხელოვნება, ვითარცა კულტურული ცხოვრების სხვა მხარეებიც, მეზობელ და თვით შორეულ ერთა ისტორიასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ქართული მწიგნობრობის თავვადასავლის მიმოხილვაში ჩვენ სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების განვითარებასაც, მეტადრე პირველი ორი საკითხის განხილვის დროს, უნდა გავუწიოთ ანგარიში.

§ 1. საწერი მასალა

მწერლობის ძეგლებისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალა იხმარებოდა ხოლმე. ჯერ ქვა, ლითონი, ძვალი და, საზოგადოდ, მაგარი, შედარებით მძიმე და ხშირად ძნელად შესაძრავი ნივთიერება იყო მიღებული, შემდეგ თხელი და სუბუქი მასალა შემოვიდა. ადამიანის ნააზრევის მაგარ ნივთიერებაზე აღბეჭდვა, რასაკვირველია, სულ სხვანაირ იარაღსაც მოითხოვდა, ვიდრე შემდეგდროინდელ თხელ მასალაზე დასაწერად იყო საჭირო. ამიტომ მასალის, იარაღისა და ტექნიკური აღსრულების აღსანიშნავად ძველადაც თავთავისი ტერმინები იხმარებოდა და ახლაც ასევეა მიღებული.

ქვაზე და სხვა მაგარ ნივთიერებაზე გამოყვანილ სიტყვასა თუ აზრს, რასაც ახლა წარწერა ეწოდება, ძველ დროს „ზ ე დ ა წ ე რ ი ლ ი“ ერქვა. სახარებაში მაგ., იქ, სადაც საუბარია დრაჰკან ფულზე და აღნიშნულია, რომ იესომ მათ ჰკითხა ვისი სახელი აწერიაო, ასეა ნათქვამი: „ჰრქუა მათ იესუ: «ვისი არს... ესე... ზედაწერილი» ჰრქუეს მას: «კეისრისაჲ» (მათე, XXII, 20—21). მართალია, რაკი აქ ფულზეა ლაპარაკი, ამიტომ „ზედაწერილ“-ს თითქოს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახელოვანი ქართველი მეცნიერის ქვემომოყვანილი სიტყვები ცხადყოფენ, რომ, თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც ამ ტერმინს წარწერის ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია.

ბატონიშვილს ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს „მეფეთა სახელნი... ზედაწერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“-ო (ისტ. საქართ., ჩუბ. 1, ჰიჰ. 3—4).

ამგვარადვე იმას, რასაც ბერძნები ἡ ἐπιγραφή, τὸ ἐπίγραμμα-ს, ხოლო რომაელნი inscriptio-ს, ფრანგები inscription, გერმანელები კი inschrift-ს, რუსები надпись-ს ეძახიან, ძველ ქართულ მწერლობაში „ზედაწერილი“ ან ზედწერილი რქმევია. მაგრამ უკვე ძველადვე ამავე მნიშვნელობით „წ ა რ წ ე რ ა“-სა და „წ ა რ წ ე რ ი ლ ს ა“-ც ხმარობდნენ, მაგ., გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფის ბერძნული ტექსტის „ἐπέγραψαν ἐν τῷ τάφῳ“-ს (de Boor-ის გამოც. II, 13, 17) ქართულად ნათარგმნი უდრის „წარწერნეს საფლავსა მისსა ზედა“ (გ. მონაზონის ხრონ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა 5, 13), „მის მიერ წარწერილად პოვნილნი“ (5, 14). მაშასადამე, აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი თანამედროვე ტერმინი „წარწერა“. რაკი ამჟამად ჩვენ ამ ცნების აღსანიშნავ ტერმინად წარწერასა ვხმარობთ, ამიტომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძველ ტერმინს შეიძლება ფულების წარწერის მნიშვნელობა შევუნარჩუნოთ და „ზედწერილი“ ლათინურ legenda-ს, ფრანგულ légende-ის შესატყვის ტერმინად ვიხმაროთ.

წარწერები, როგორც ებრაელთა საღმრთო წერილის ერთ-ერთ წიგნშიაც არის აღნიშნული, ქვაზე, ლითონზე ან სხვა მკვრივ ნივთიერებაზე იყო ხოლმე

გამოყვანილი. თუ თვით კედლის ან შენობის ქვაზე არ იყო მოთავსებული, მაშინ საგანგებოდ დამზადებულ ქვებზე აჰრევინებდნენ ხოლმე, კეთდებოდა საამისოდ „ფ ი ც ა რ ი ქ ვ ი ს ა ნ ი“. საღმრთო წერილში, მაგ., ნათქვამია: „ჰრქუაჲ ო̃ნ მოსეს: „აღმოვედ ჩემდა მთად... და მოგცნე შენ ფიცარნი ქვსანი, სჯული და მცნებანი ჩემნი, რომელი დავწერე“ (გამოსლ. 24, 12), „გამოსთალნა მოსე ორნი იგი ფიცარნი ქვსანი“ (იქვე 34, 4), „და დავწერნე ფიცართა მათ სიტყუანი იგი“ (იქვე, 34, 1), „განიყუნეს ტომად-ტომად ნათესავნი იგი ქამისნი და პოვნეს ფიცარნი ქვისანი და შექმნეს იგინი წიგნად, და მიიწია წიგნი ნათესავითი ნათესავად“ (ც̃ჲ პანსოფი ალექს. Keimena, I, 50). დაბადებაში შესატყვის ადგილებში ბერძნულად სწერია τὰ πυξία λίθινα, πλάξ, ლათინურად tabulae lapideae.

მაგრამ ქვის ფიცრებს გარდა განათლებული კაცობრიობის სამწიგნობრო ხელოვნებას სხვაგვარი საწერი მასალაც უხმარია, მაგალითად, ხის ფიცრებიც. რომში ძველად ხის ფიცრებზე უწერიათ და რომაული კანონმდებლობის უძველესი ძეგლები, მათ შორის განთქმული „თორმეტი ფიცრის კანონები“, ხის ფიცრებზე ყოფილა ნაწერი თუ ამოჭრილი. ლიტონი, დაუმუშავებელი ფიცრის გარდა ძველ საბერძნეთსა და რომის სახელმწიფოებში საწერ მასალად ცვილგადაკრული ხის ფიცრებიც იყო ძალიან გავრცელებული. ეგვიპტელებს, როგორც ეტყობა, ამგვარი მასალა არ უხმარიათ საწერად.

ამნაირ ფიცრებს ლათინურად cerae, tabulae ceratae, tabulae cerussatae-ს უწოდებდნენ, რაც ქართულად ნიშნავს ცვილნი, ფიცარნი ცვილოანნი.

ძველ ქართულ მწერლობაში ასეთი ტერმინი ჯერ არა ჩანს, მაგრამ „ხატი ცვლოანი“ სამჯერ იხსენიება გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში (ც̃ჲ ი̃ე და ეფთ̃მსი, 31, 4), და ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ tabulae ceratae ქართულად სწორედ „ფიცარნი ცვილოანნი“ იქნებოდა.

გერმანულ პალეოგრაფიულ მწერლობაში ამის აღსანიშნავად მიღებულია die Wachstafel, ფრანგულში bois enduit de cire. რაკი ცვილოანი ფიცრები ხშირად, მეტადრე როდესაც კერძო ცხოვრებაში სახმარებლად იყო განკუთვნილი, პატარა ტანისა იყო ხოლმე, ამიტომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ცვილოან ფიცრებს გარდა, რომელიც ამგვარი მასალის დიდი ზომის ძეგლების აღმნიშვნელ ტერმინად უნდა დარჩეს, უნდა „ცვილოანი დაფა“-ც შემოვიღოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული, შედარებით პატარა ზომის, ამგვარი საწერი მასალის აღსანიშნავად.

ცვილოან დაფებს ის დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ ნაწერის წაშლა და ხელახლად დაწერა ადვილად შეიძლებოდა. ამიტომ ის შავად დაწერისათვის ძალიან კარგი იყო და სწორედ ამისთვის ხმარობდნენ. მაგრამ, ამას გარდა ცვილოან დაფებზე ანგარიშები და საბუთებიც იწერებოდა. საწერ იარაღად წვეტიანი მკვრივი ნივთიერება იხმარებოდა. პირველად 1786 და 1788 წწ. Vöröspatak-ში იყო 131—167 წწ. დაწერილი ტექსტის შემცველი 25 ამგვარი ცვილოანი დაფა ნაპოვნი, რომლებიც ამჟამად ბუდაპეშტის მუზეუმში ინახება, შემდეგ 1875—76 წწ. კიდევ 130 ცალი ამნაირივე დაფა 15—62 წწ. ნაწერითურთ პომპეიშიც აღმოჩნდა. ეს ცვილოანი დაფები, ჩვეულებრივ, ორი, სამი და უფრო მეტი ფიცრების კრებულადაა აკინძული, წიგნის ანუ უფრო რომ კარედი ხატის მსგავსად გაკეთებული ყოფილა. უფრო

ხშირად სამი დაფის შემცველია ხოლმე, რომელთაგან პირველი და უკანასკნელი დაფის გარეგანი მხარე უცვილოა, ცხადია, იმიტომ, რომ აქ ნაწერი ხელის ხლებით დაზიანდებოდა. ხოლო პირველი და მესამე დაფის შიგნითი მხარე და მეორის ორივე გვერდი ცვილით იყო მოფენილი და ნაწერს შეიცავს ხოლმე. ამგვარად, 6 გვერდიდან 4 გვერდი დაწერილი იყო ხოლმე, ორი კი დაუწერელია და გარეკანის მსგავსად არის. ბერძნულად ორი დაფის შემცველს შეკვრებს diptycha, ანუ ორკეცი ეწოდებოდა (მხ. რ. δίπτυχον), სამი დაფისას — triptycha, ანუ სამკეცი და რამდენიმე დაფისას — polyptycha, მრავალკეცი. რომაელებს ამის შესატყვის ტერმინად ჰქონდათ duplices, triplices და multiplices, ხოლო ერთად შეკინძულს, შეკვრას caudex-ს ან codex-ს კოდექსს ეძახდნენ ხოლმე. შემდეგში ეს უკანასკნელი ტერმინი ხელნაწერი წიგნის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ქართულად ბერძნული „დიპტჳხონ“-ის ხატის აღსანიშნავად „კ ა რ ე დ ი“ ხატი იყო ძველად მიღებული (ამის დამამტკიცებელი საბუთები მოყვანილი იქნება ცალკე გამოკვლევაში ქართული ხელოვნებისა და შინაურ ყოფა-ცხოვრების შესახებ), ამიტომ, საფიქრებელია, რომ ქართულ ძველ მწერლობაში ზემომოყვანილ ბერძნულ-ლათინური ტერმინის შესატყვისად „კ ა რ ე დ ი“, „ო რ კ ა რ ე დ ი“, „ს ა მ კ ა რ ე დ ი“ და „მ რ ა ვ ა ლ-კ ა რ ე დ ი“ იქნებოდა, და თანამედროვე მწერლობაშიც სწორედ ასევე უნდა ვიხმაროთ.

როდესაც ამგვარ ორკარედში სიგელი ეწერა ხოლმე, მაშინ ისე ყოფილა მიღებული, რომ მეორე და მესამე გვერდზე საბუთის დედანი ეწერა ხოლმე, ხშირად ავხელად დაწერილი, მეოთხე გვერდზე კი მოწმეთა ხელრთვა და ბეჭდები იყო დასმული. ამავე გვერდზე სიგლის კაიხელად გარდანაწერი მისდევდა, რომელიც მეხუთე გვერდზე თავდებოდა. დედანი რომ არავის გაეფუჭებინა ან დაეზიანებინა, პირველი ორი კარი ძაფით შეკრული და ბეჭდით დაბეჭდილი იყო, საბუთის პირის, გარდანაწერის წაკითხვა კი ყველას შეეძლო.

ცვილოანი დაფები, კარედები, ორკარედები და მრავალკარედები საფრანგეთსა და გერმანიაში ჯერ კიდევ XIII—XIV სს-შიაც იხმარებოდა ანგარიშებისა და სხვადასხვა მიზნითაც. სხვათა შორის, შენახულია XV ს. გერმანელი მოწაფეების სასკოლო სავარჯიშო სამუშაოს შემცველი ცვილოანი დაფებიც. ამგვარი ძეგლები პარიზის, ჟენევის, ფლორენციისა და გერმანიის მუზეუმებშია.

ხმარობდნენ თუ არა აღმოსავლეთში ხის ფიცრებსა და ცვილოან დაფა-კარედებს, ჯერ გამოსარკვევია. არაბთა სახალიფოში მხოლოდ ერთი, ისიც დაზიანებული ხის ფიცარია ნაპოვნი, რომლის ერთ გვერდზე მელნით არის დაწერილი, მეორე გვერდზე კი ნაწერი ამოფხაჴნილია. ძეგლთა ასეთი სიმცირისდა მიუხედავად, მაინც საფიქრებელია, რომ ცვილოანი თუ უცვილო კარედი დაფებისა და მრავალკარედების საწერ მასალად გამოყენება უნდა აღმოსავლეთშიაც სცოდნოდათ და ყოფილიყო გავრცელებული. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთში, მაგ., არაბულში „ბაბ“, ხოლო იქიდან სპარსულში და ქართულშიაც ერთი წიგნის, თხზულების ნაწილებს ან თავებს „კარი“ ერქვა. არაბულადაც „ბაბ“ სწორედ კარს ნიშნავდა. ამ ტერმინის წარმოშობისა და დედააზრის გაგება შეუძლებელია, თუ თხზულებასა და წიგნს ძველად სწორედ კარედ ან მრავალკარედ დაფებზე დაწერილად, მართლაც ცალ-ცალკე კარებად ნაწერ და ერთად შეკინძულ კრებულად არ წარმოვიდგენთ. ამიტომ ნაწარმოების ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინი „კარი“

ცხადყოფს, რომ ძველად აღმოსავლეთშიაც ცვილოან მრავალკარედებზე წერა უნდა სცოდნოდათ და ტერმინი „კარი“-ც სწორედ ამ ხანის წარმონაშობი და ამისი ნაშთი უნდა იყოს[1].

უხსოვარ დროიდან ეგვიპტელები საწერ მასალად ერთი მცენარის (Cyberus, Papyrus L.) გულიდან თხლად და სიგრძეზე ათლილს ნივთიერებასა ხმარობდნენ. წინათ ეს მცენარე სხვადასხვა ცხელ ქვეყანაში მოდიოდა, ეხლა კი პალესტინასა და ნუბიაში იზრდება ველურად. მას ნოტიო, ჭაობიანი ნიადაგი უყვარს და უფრო მდორე მდინარის ნაპირებს რჩეობს. ბერძნები ამ მცენარეს **πάπυρος** „პ ა პ ჳ რ ო ს“-ს ეძახდნენ და ბერძნებისაგან ეს სიტყვა რომაელებმა და შემდეგ მთელმა განათლებულმა კაცობრიობამაც შეითვისა (papyrus, der Papyrus) ამ მცენარისაგან გაკეთებულ საწერი მასალის აღსანიშნავად. არაბები ამას „კირტას“, „კირტას მისრი“-ს უწოდებდნენ. ხოლო ქართულად პაპჳრუსის შესატყვის ტერმინად, როგორც ეს დაბადების ქართული თარგმანიდან ჩანს, „ჭ ი ლ ი“ უნდა ყოფილიყო, ხოლო სომხურში „პრტუ“ *պրտու*. ესაიას ქართულ თარგმანში, მაგ., ერთგან ნათქვამია: განხმეს „ყოველი ძირი ლელწმისა და ჭილისა“-ო (19,6). ბერძნულად აქ სწერია **καλάμου καὶ πάπύρου** „კალამუ კაი პაპჳრუ“, სომხურად *եղեգան և պրտու*:

საბა ორბელიანის ცნობით, ჭილი სხვადასხვანაირი იყო. „ჭილიცა სამოთხ გვარი არის: შოლდო არს დაბალი და ღერო-მრგვალი ჭილი, ვივილოსი არს მაღალი და მრგვალი ჭილი, ჩალამგელა არის ფოთელ-ბრტყელი ჭილი და სხუაგუარნიცა არიან“-ო. მისივე სიტყვით, ჭილო იყო „ნიორთა და მისთანა ერთი შენაძრობი ძირთაგანი“, ე. ი. თავის ერთს ჩამოცლილ ფურცელს ეწოდებოდა. აქედანვეა ჭილობიც ნაწარმოები.

ბერძნებმა ჭილის საწერ მასალად ხმარება ეგვიპტელებისაგან ისწავლეს. ბერძნებისაგან კიდევ რომაელებმა და მთელმა დასავლეთმა ევროპამ.

კარაბაჩეკისა (I. Karabacek) და ბირტის (Th. Birt) სიტყვით, ჭილს, ანუ პაპჳრუსს ასე აკეთებდნენ: ჯერ ღეროს წყალში ალბობდნენ და არჩევდნენ ხოლმე, „შემდეგ მწვანე კანს მცენარის შუაგულამდე აცლიდნენ, ხოლო ამის შემდგომ მცენარის შუაგულს ბასრი მჭრელი დანით თითის სიგანე თხელ ზოლებად სიგრძეზე ჩამოაფცქვნიდნენ ხოლმე. ამ ჩამონაფცქვენს ბერძნები „სქიზას“, რომაელები scissura „სცისურას“, ნახლეჩს, ნათალს ეძახდნენ. ასეთ ჩამონათალ ზოლებს სველ ფიცარზე ერთიმეორის გვერდით სიგანეზე დაალაგებდნენ და ერთგვარი წებოთი ერთმანეთზე მიაკრავდნენ, ხოლო ზემოდან განდაგან დალაგებული და მიწებოებული ჭილის ზოლებს დაადებდნენ ხოლმე. შემდეგ ამგვარად შემზადებულ ფურცლებს სტკეპნიდნენ, ასწორებდნენ და აშრობდნენ. ჭილის შემზადების დაწვრილებითი აღწერილობა პლინიუს უმცროსსა აქვს, რომლის სრული ტექსტი და განმარტება მოყვანილია თეოდორ ბირტის თხზულებაში[2].

---

[1] აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ეგვიპტელებიც წიგნის თავს „რო“-ს, ე. ი. პირს, კარებს უწოდებდნენ და ბერძნებიც V ს. დამდეგს ამგვარადვე ნაწერის სვეტს δέλτος „დელტო“-ს კარს ეძახდნენ (Th. Birt. Die Buchrolle in der Kunst. Lpz. 1907, გვ. 2, 10).

[2] Theodor Birt, Kritik und Hermeneutik nebst Abriss des antiken Buchwesens, München, 1913, გვ. 265—268.

ასე გაკეთებულ პილის საწერ ფურცლებს ბერძნები χάρτης „ქარტეს“-ს უწოდებდნენ და აქედან არის ლათინური charta და არაბული „კირტას“-იც წარმომდგარი. მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ამ სახელს ზოგჯერ სხვა საწერ მასალებსაც, მაგ. ტყავს, ეტრატსაც ეძახდნენ ხოლმე. პილის ფურცლები დასავლეთ ევროპაში X ს-მდე იხმარებოდა, მერმე კი ქრება და წარმოებაც ისპობა. ძველად კი ეგვიპტეში და ჰერკულანეუმში ეს საქმე ფართოდ იყო დაყენებული და საქარხნო წარმოებად იყო ქცეული.

პილს საწერ მასალად არაბებიც ხმარობდნენ, მაგრამ პაპირუსზე დაწერილ ძეგლთა მომეტებული ნაწილი დაიღუპა. უძველესი არაბული პილზე ნაწერი საბუთები VII ს. მეორე ნახევრისაა; დათარიღებულთაგან კი ერთი 931 წ. ქ. შ., ხოლო მეორე 935 წ. არის შედგენილი. იყო თუ არა მიღებული თვით საქართველოში პილი საწერ მასალად, ჯერ გამორკვეული არ არის. ჩვენამდის მხოლოდ ორმა პილზე ნაწერმა ქართულმა ძეგლმა მოაღწია და ორივე პალესტინისაა, საბა წმიდის ლავრისა, და სინას მთის ქართველთა მონასტრიდანაა; ერთი მათგანი ფსალმუნია, მეორე თთვენი. ორივე ძეგლი სინას მთიდან საეკლესიო ისტორიის მკვლევარმა რუსმა ცნობილმა მეცნიერმა პორფირი უსპენსკიმ ჩაიტანა რუსეთში. ამ ორთაგან თთვენი შერეული ეტრატპილის ფურცლებიდან ნაწერ-აკინძული შედგენილობისაა და VII—VIII სს. კი არა, როგორც პროფ. ალ. ცაგარელი ფიქრობდა, არამედ VIII—IX სს. ეკუთვნის, მხოლოდ პილზე დაწერილი ფსალმუნი კი პროფ. ალ ცაგარლის აზრისდა საწინააღმდეგოდ, რომელიც ამ ხელნაწერს VII—VIII სს. მიაკუთვნებს, ნამდვილად IX ს. ძეგლია. ორთავე ხელნაწერის აღწერილობა და სურათები პროფ. ალ. ცაგარლის ნაშრომში Сведения о памятниках грузинской письменности (СПб, 1889, გვ. 17—21 და 50—53) არის მოყვანილი. ამჟამად უძველესი ამ ორ პილის ხელნაწერთაგანი, თთვენი, რუსეთიდან საქართველოს დაუბრუნდა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში არის დაცული.

წერდნენ თუ არა თვით საქართველოშიაც პილზე წიგნებსა და სიგლებს, ჯერ კიდევ გამოსარკვევია და მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული. მაგრამ ჯერ ცოტა ვიცით ამის შესახებ სხვა ქვეყნებში. უკვე ჰეროდოტეს ცნობებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთში და მეტადრე აზიაში საწერ მასალად უძველეს დროიდანვე საქონლის ტყავეულობას ხმარობდნენ, რომელიც ამავე დანიშნულებისათვის იონიელ ბერძნებსაც ჰქონიათ. ბერძენთა ისტორიკოსი ამ საწერ მასალას ტყავს διφθέρα „დიფთერა“-ს უწოდებს. რომაელებიც ამავე მნიშვნელობის სიტყვას membrana „მემბრანა“-ს ხმარობდნენ ტერმინად. მხოლოდ შემდეგში შემოდის გამონათქვამი membrana pergamena, ე. ი. პერგამული ტყავი, რომელიც მერმე მარტივად περγαμηνόν „პ ე რ გ ა მ ე ნ ო ნ“, pergamena „პ ე რ გ ა მ ე ნ“-ად იწოდებოდა და რომლისგანაც წარმოიშვა ფრანგული le parchemin, გერმანული Pergament. ასეთი სახელი ამ საწერ ტყავს ქ. პერგამონისაგან მიენიჭა, რადგან აქ, როგორც ეტყობა, ამ მასალის დამზადება წარმატებული ყოფილა და პერგამონს ეს თავისი ნაწარმოები სხვა ქვეყნებშიაც გაჰქონდა.

„მემბრანა“-ს ტყავს საწერ მასალად უკვე ციცერონი იხსენიებს, მაგრამ მისი სიძვირე მის გავრცელებას აძნელებდა. მხოლოდ II—III სს-ში ქ. შ.

იგი უკვე ჰილს მეტოქეობას უწევს და, IV ს-ში, როდესაც membrana pergamena პერგამული ტყავი შემოდის ტერმინად, იგი ჰალს, პაპირუსს სჯობნის კიდეც. ამ შედარებით ახალი საწერი მასალის მთავარ ღირსებას დიდი გამძლეობა და მოქნილობა შეადგენდა ისე, რომ მისი წიგნად შეკერვაც შეიძლებოდა. ამ ორმა თვისებამ მის გაბატონებას ხელი შეუწყო. აღსანიშნავია, რომ IV—V სს. უკვე ჰილის გრაგნილების წიგნად აკინძულ ტყავზე გადაწერა დაიწყეს ისე, რომ მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული იესო ქრისტეს და მოციქულებსაც სურათზე უკვე გრაგნილის მაგიერ წიგნით ხელში ხატავდნენ ხოლმე (იხ. V. Schultze-ეს მიხედვით Traube-ეს წიგნში 92). საბუთებისათვის კი ტყავის საწერ მასალად გამოყენება გაცილებით უფრო გვიან შემოდის, სახელდობრ VII ს-ში, მეტადრე კი VIII-ში. VIII—XIII სს. ეტრატის განსაკუთრებული ბატონობის ხანად უნდა ჩაითვალოს.

საწერ ეტრატს ცხვრის, კრავის, თხისა და ხბოს ტყავისაგან აკეთებდნენ. რადგან ეტრატის ფურცელს ბერძნულად აგრეთვე ქარტეს, ხოლო ლათინურად charta-ც ეწოდებოდა, ამიტომ ცხვრის ტყავისაგან გაკეთებულ ეტრატს რომაელები charta ovina-ს ეძახდნენ, ხბოს ტყავისას — charta vitulina და თხის ტყავისას charta caprina ერქვა.

ტყავს საწერ მასალად ისე აკეთებდნენ, რომ ჯერ მას ბალნის მოსაცლელად კირნარევ წყალში ჩასდებდნენ, შემდეგ ბასრი იარაღით ბალანს მოაშორებდნენ და ტყავის ზედაპირის სრულიად მოსასუფთავებლად ისევ კირის წყალში ჩადებდნენ ხოლმე. მერმე ამ ტყავს გაჭიმავდნენ, გააშრობდნენ და გალიპავდნენ, სულ ბოლოს კი წერისათვის შესამზადებლად ცარცს, კირს წაუცხებდნენ ხოლმე. რაკი ტყავის გარეთა მხარე, ზედაპირი ბალნის ნაალაგევის წყალობით უფრო მუქი ფერისა იყო, ამიტომ დამუშავების შემდგომაც ზედაპირი ყვითელი გამოდიოდა, ქვედა პირი კი თეთრი. ამის გამო ამ ქვედაპირს album „ალბუმ"-ს, თეთრს ეძახდნენ.

ძველად ეტრატის მრეწველობითა და ვაჭრობით განთქმულ ქ. პერგამონს გარდა ამ საწერი მასალის გაკეთებას სხვაგანაც მისდევდნენ, როგორც საბერძნეთში, ისევე იტალიაში, შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაშიც, რომელთა ეტრატს თავ-თავისი დამახასიათებელი თვისებები ჰქონდათ. იტალიის ეტრატი თავისი მაღალი ღირსებითა და სინაზით იყო ცნობილი. საფრანგეთში ცხვრის ტყავისაგან გაკეთებულ ეტრატს parchemin-ს უწოდებდნენ, ხოლო ხბოს ტყავისას velin „ველენ"-ს, რომელიც ლათინური „ვიტულინა"-სგან არის წარმომდგარი.

ყოველ დიდ, სამწერლობო მოღვაწეობით განთქმულ მონასტერს IX ს.-იდან მოყოლებული დასავლეთ ევროპაში თავისი ეტრატის გამკეთებლები ჰყავდა, რომელსაც ერქვა pergamenarius. XII ს-ში კი გერმანიაში ეტრატის „შექმნა" წარმოებად და სავაჭრო საგნად იქცა.

ბერძნული „დიფთერა" და „პერგამენონისა" და ლათინური „მემბრანა" და „პერგამენას" შესატყვისად საწერ მასალად დამუშავებულ ტყავს ქართულად „ეტრატი" ეწოდებოდა: „თუ რას მაწერიებდე, მიხარიან ეტრატი გიზლო"-ო, სწერდა 982 წ. გადამწერი ტყავზე ნაწერი ხელნაწერის მომგებს, შემკვეთელს (სინას მთის ხელნაწ. № 71, გვ. 1a). „ამის წიგნისა ეტრატი დაიწერა ქ˜კსა :სნე:" 1035 წ-საო (ქ˜კბი I, 177).

ტერმინ „ეტრატი“-ს სადაურობა ჯერ გამოსარკვევია. საბუთების აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთა შორის საბა ორბელიანსა და ვახუშტის „ავთრათი“-ც აქვთ მოხსენებული. პირველი მათგანის განმარტებით ეს სიტყვა ბარათს ნიშნავდა (ლექსიკ.). საიდან არის ამოღებული ეს სიტყვა და რაზეა დამყარებული მისი მნიშვნელობის განმარტება, არა ჩანს. შესაძლებელია, „ავთრატი“ ზეპირად შეთვისებული ბერძნული ἄφθαρτος „აფთარტოს“-ი იყოს, რაც წარუვალს, გაუხრწნელს, გაუფუჭებელს ნიშნავდა .იქნებ ავთრათი წარმომდგარიყო გამონათქვამის ἡ ἄφθαρτη βίβλος „ჰე აფთარტე ბიბლოს“-გან, რაც გაუფუჭებელ, მაგარ ჰილს, შემდეგ გამძლე წიგნს ნიშნავს და ტყავის გამძლეობის გამომხატველი იყო ჰილის გაუძლებლობის საწინაალმდეგოდ. ეგების „ეტრატი“-ც ამ „ავთარტი“, „ავთრატი“-ს ფონეტიკური სახეობა იყოს? ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც ზედმიწევნით გვეცოდინება, როდის და რა სახეობით ჩნდება ჩვენ მწერლობაში ეს ორი ტერმინი. ჯერხანად ამ საკითხისათვის საყურადღებოა, რომ როგორც პროფ. აკ. შანიძის რედაქციითა და ლექსიკონითურთ გამოცემულ ბეს. გაბუურის „ჰევსურული მასალები“-დანა ჩანს, ხევსურულად მაგარ ქაღალდს „ატრატაი“ ეწოდება, გუდამაყრულში კი „ატრატი“ იხმარება (იხ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული I და II წ., გვ. 258 და 262). ხევსურული „ატრატი“ ეტრატის პირვანდელ ბერძნულ „ავთარტა“-სთან ახლო მდგომი სახეობა უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ „ატრატაი“-ა „ატრატე“-ს მაგიერ და, შესაძლებელია, ეს იმ ცნობილი ბერძნული კილოს კვალის მაჩვენებელი იყოს, რომლისაგან ეს სიტყვა, ალბათ, ზეპირად იქნა ქართულში შეთვისებული.

საბა ორბელიანს ეტრატი განუმარტავს როგორც „ქაღალდი ტყავისა“ (ლექსიკ.).

უკვე უძველესი, აქამდე ცნობილი ქართული ხელნაწერები V—VI სს., სახარებისა და სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლები ეტრატზეა დაწერილი. მასალა საუკეთესო ღირსებისაა და მშვენიერად არის დამუშავებული დიდი ტანის ფურცლებად. ტექსტი ამ ეტრატის ფურცლებზე ფართოდ და ადგილის დაუზოგავად არის დაწერილი და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში, V—VI სს-შიც ეს საწერი მასალა საკმაოდ მოიძებნებოდა. XI—XII სს-ებამდე ეტრატს ქართულ სამწიგნობრო ხელოვნებაში მეტოქე არ უჩანს და ყველა ხელნაწერი ეტრატზეა დაწერილი. თუნდაც რომ ჰილზე ნაწერი ძეგლები დაღუპვის გამო არ გვქონდეს, მაინც მისი სრული გაქრობა და ეტრატის ხელნაწერების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში საწერ მასალად უფრო ეტრატი უნდა ყოფილიყო მიღებული, ვიდრე ჰილი.

. რასაკვირველია, ეტრატი საქართველოში მარტო უცხოეთიდან მოტანილი საქონელი კი არ იქნებოდა, არამედ, ცხადია, ეტრატის გაკეთება საქართველოში უნდა სცოდნოდათ. თუ 1365 წ. საქართველოს პოლიტიკური დაკნინებისა და კულტურული დაქვეითების ხანაში ავგაროზ ბანდაის ძეს სხვა ხელობათა შორის, რომელიც მას შესწავლილი ჰქონდა, შეეძლო დაესახელებინა „შექმნაჲ ეტრატისაჲ“[3], მით უმეტეს „ეტრატის შექმნა“ ძველ დროს ეცოდინებოდათ, როდესაც მრავალი წიგნი იწერებოდა და ეტრატის დიდი მოთხოვნილებაც იყო.

---

[3] მ. ჯანაშვილი, ქართ. მატიანე, 54:

სომხები ეტრატის აღსანიშნავად **մագաղաթ** „მაგალათ“-ს ხმარობდნენ. მაგრამ თავდაპირველად ამ სიტყვას გრაგნილის, წიგნის მნიშვნელობა აქვს და ესაიას 34,2 თავში მყოფი ეს ტერმინი ბერძნული ტექსტის „ბიბლიონ“-ს და ქართული თარგმანის „წიგნს“ უდრის. „მაგალათი“ — „მაგაღათი“ ასურულიდან ნასესხები სიტყვაა და ასურულადაც „მეგალლთა“ სწორედ გრაგნილს, წიგნსა ნიშნავდა[4].

არაბები ეტრატის აღსანიშნავად ხმარობდნენ رق „რაკკ“-ს და جلد „ჯილდ“-ს, რაც ტყავს და შემდეგ წიგნის ნაწილს, ტომსაც ნიშნავდა, „ფულჯან“-საც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. არაბები ეტრატს მისი სიძვირის გამო ძველად იშვიათად ხმარობდნენ და უფრო სიგლებისა და კორანისათვის. ამ უკანასკნელისათვის ჩვეულებრივ დიდი ზომის ფურცლებს ხმარობდნენ ხოლმე. შემდეგში კი არაბებიც წიგნებს ეტრატზე წერდნენ.

ეტრატს დამწერლობის განვითარებისა და მწიგნობრობა-განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფ წერასა და გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა. ძეგლების მხატვრული დამუშავება-შემკობაც სწორედ ეხლა იყო შესაძლებელი. ეტრატის სიმტკიცე მასზე დაწერილ ძეგლს ისეთ ხანგრძლივობას ანიჭებდა და მისი დაუზიანებლივ წაკითხვა-ხმარება იმდენად შესაძლებელი ხდებოდა, რომ წინათ, ჰილზე ნაწერი ძეგლების არსებობის დროს, ამაზე ოცნებობაც კი შეუძლებელი იყო. ერთი წიგნი ეხლა მრავალ საუკუნის განმავლობაში და მრავალი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგი შეიქნა. ეტრატის მეტ სიძვირეს ეს მისი უცილობელი თვისებები იმდენად ამცირებდა, რომ ჰილმა მეტოქეობას ვერ გაუძლო და მოისპო.

მაგრამ ეტრატსაც შემდეგში თავისი მეტოქე და მტერი გაუჩნდა. ამგვარ მეტოქედ სამწიგნობრო ხელოვნებაში ქაღალდი გამოვიდა. იოს. კარაბაჩეკმა 1887 წ. თავისი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევით „Das arabische Papier. Eine historisch-antiquarische Untersuchung (in Mit. Pap. Erzherzog Rainer II—III, 87—178) და ი. ვიზნერმა (I. Wiesner) ქაღალდის მიკროსკოპიულ-ნივთიერი მხარის შემცველი სამი კვლევა-ძიებით: „Die Faijumer und Uschmuneiner Papiere“, რომელიც იმავე წელიწადს და იმავე ორგანოში იყო გამოქვეყნებული (გვ. 179—260) და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა ამ სათაურით შემკული „Die Mikroskopische Untersuchung des Papiers mit bes. Berücksichtigung der ältesten orientalischen und europäischen Papiere“ (Wien 1887). — „Mikroskopische Untersuchung alter ostturkestanischer und anderer asiatischer Papiere“, რომელიც 1902 წ. ვენის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში დაიბეჭდა (Denkschriften Wien. Akademie math. — naturwiss. Cl., Bd. 72, გვ. 583—632) და 1903—04 წწ-ში იქვე გამოქვეყნებული შრომით „Ein neuer Beitrag zur Geschichte des Papieres (Sitzungsberichte Wien. Akademie, Bd. 148, 6. Abhandlung) სრული ეჭველობით დაამტკიცეს, რომ ქაღალდიც ევროპელებმა აღმოსავლეთისაგან მიიღეს პირველად და მისი გაკეთებაც იქიდანვე ისწავლეს. ქაღალდი პირველად ჩინეთში იქნა შემო-

---

[4] H. Hübschmann, Armenische Grammatik I. Theil. Armenische Etymologie, გვ. 310.

ღებული. ჩინური მემატიანის გადმოცემით ქაღალდი 105 წ. ქ. შ. ერთ მოხელე წაი — ლუნ-ს მოუგონია[5].

აღმოსავლეთ თურქისტანში ნაპოვნია IV ს. ქ. შ. ჩინური ქაღალდი. ჩინეთში სხვადასხვა ქაღალდს აკეთებდნენ, მაგრამ ამ ხელობას საიდუმლოდ ინახავდნენ და მეტადრე უცხოელებს უმალავდნენ. 751 წ. ქ. შ. არაბებს ერთი ჩინელი ჩაუვარდათ ტყვედ ხელში, რომელსაც ქაღალდის გაკეთება სცოდნია და არაბებისათვის მანამდე სასტიკად დაცული ჩინური მომპოვნებლობის საიდუმლოება გაუმჟღავნებია. არაბთა მოხელეების ზედამხედველობითა და მეთვალყურეობით მას ქაღალდის გაკეთება უჩვენებია და უსწავლებია კიდეც.

არაბთა უზარმაზარ საბრძანებელში ისეთი მასალა, რომელსაც ჩინელები თავიანთ ქვეყანაში ქაღალდის გასაკეთებლად ხმარობდნენ, არ მოიძებნებოდა და ამის გამო არაბებმა ქაღალდის გაკეთება ტილოს ნაგლეჯებისა და ძონძებისაგან დაიწყეს. ამ გარემოებას უაღრესი მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან ქაღალდის ღირებულება ძალიან გააიაფა. შემდეგ ქაღალდის გაკეთების ტექნიკა იმ მხრივაც გააუმჯობესეს, რომ უფრო მაგარი წებოს ხმარებას მიჰყვეს ხელი. ამან ჩინურ ქაღალდთან შედარებით არაბთაგან გაკეთებულ ქაღალდს გაცილებით უფრო მეტი სიმტკიცე მიანიჭა. ამ ორმა გაუმჯობესებამ ეს საწერი მასალა ისე გააიაფა და მისი გაკეთება იმდენად გააადვილა, რომ ქაღალდს უცილობელი გაბატონებისათვის თანდათანობით გზა გაუკაფა. ეტრატს იგი მხოლოდ გამძლეობით ჩამოუვარდებოდა.

794—95 წწ. ქ. შ. არაბებს ქ. ბაღდადში უკვე ქაღალდის სახელმწიფო ქარხანა ჰქონდათ. აქედან ეს ახალი საწერი მასალა მთელ არაბთა სახელმწიფოში გავრცელდა: ასურეთს, ეგვიპტეს, ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთშიც. არაბები ახალ საწერ ნივთიერებას უწოდებდნენ ورق ვარაკ, ვარაყს, რაც ფოთოლსა ნიშნავს, მეტადრე კი كاغد كاغذ ქაღიდ, ქაღად, ქაღიზ-ს. მაგრამ ზოგჯერ ქაღალდის აღსანიშნავად ძველს, პილის აღმნიშვნელ ტერმინს „ქირტაზ“-საც ხმარობდნენ ხოლმე. საუკეთესო ქაღალდად შემდეგში დამასკური და მამბიჯური ქაღალდი ითვლებოდა. ამ ჩრდილოეთ ასურეთში მდებარე ქ. მამბიჯის (ძველი ჰიერაპოლისია) სახელიდან არის წარმომდგარი ევროპული ტერმინი charta bombycina „ბომბიცინა“, რომელიც უძველეს ქაღალდს ეწოდებოდა და კარაბაჩეკისა და ვიზნერის შრომებამდე შეცდომით განსაკუთრებულ, გერმანიაში XI—XIII სს. აღმოჩენილ ქაღალდად იყო მიჩნეული.

უძველესი, ქაღალდზე ნაწერი არაბული ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 870 წ. არის დაწერილი, ალბათ ქ. ბაღდადში. მეორე, ქაიროს წიგნთსაცავში დაცული ქაღალდის ხელნაწერი, რომელიც 878—79 წწ. დაწერილად ითვლებოდა, უფრო 912—13 წწ. საფიქრებელია და ქ. დამასკოში უნდა იყოს დაწერილი. ესპანეთში ქაღალდი უკვე XI ს. შუა ხანებში იყო ცნობილი, მაგრამ ქაღალდის გამკეთებელი საკუთარი ქარხანა XII ს. შუა რიცხვებში ჩნდება პირველად. პირიქით არაბთა სახალიფოში ქაღალდის გაკეთება დიდ საწარმოო საქმედ იქცა. უკვე „ფიჰრისტ“-ის შემდგენელს ქაღალდის 7 სხვადასხვა ხარისხი აქვს დასახელებული. შემდეგ ხომ ეს წარმოება გასაოცარი სისწრაფით უფრო და უფრო ფართოვდებოდა და უმჯობესდებოდა, რადგან ყველა დიდ ქალაქში ქაღალდის ქარხნები გაჩნდა, რომელნიც ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ

[5] F. Hirth, Chinesische Studien, I, 1890, გვ. 266.

და სხვადასხვა ზომისა და ხარისხისას აკეთებდნენ. ძვირფასი, მხატვრული თხზულებებისა და ძეგლებისათვის დიდი ტანის ფურცლები კეთდებოდა და XI ს. ერთი კორანია შენახული, რომლის ფურცლების სიგრძე-სიგანე 117×98 სანტიმეტრს უდრის.

ესპანეთიდან ქაღალდი დასავლეთი ევროპის დანარჩენ ქრისტიანთა ქვეყნებშიაც გავრცელდა. უკვე მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში პეტრე კლუნიელმა (1122—1150) იცოდა, რისაგან კეთდებოდა ქაღალდი. იტალიამ პირველად ქაღალდის გაკეთება უკვე XII ს. დამლევიდან, საფრანგეთმა კი XIII ს-იდან შეისწავლეს და თავის ქვეყანაშიც შემოიღეს, როგორც ეს მტკიცდება ქაღალდის გამჭვირვალე საქარხნო ნიშნებით, რომელსაც ფრანგები filigrane, გერმანელები კი das Wässerzeichen — წყლის ნიშანს უწოდებდნენ (აქედანაა წარმომდგარი რუსული ტერმინი водяные знаки) და ქართულად შეიძლება „ჭვირნიშანი“ დავარქვათ. ამ დროს მეტადრე ფაბრიანოს ქაღალდი იყო განთქმული, რომელიც მარკ ანკონაში (Mark Ancona) კეთდებოდა და ცნობილია carta Fabrianensis — ფაბრიანული ქარტის სახელით. XIII ს. მეორე მეოთხედიდან ქაღალდს უკვე სიგლებისთვისაც ხმარობდნენ და უძველესი ქაღალდზე დაწერილი საბუთი 1228 წ. არის შედგენილი კეისარ ფრიდრიხ II სამდივანმწიგნობროში. მაგრამ ქაღალდის ეტრატთან შედარებით ნაკლები გამძლეობისა და მდარე ღირსების გამო სწორედ ამავე ხელმწიფემ 1231 წ. სიცილიაში სიგლებისათვის საწერ მასალად ქაღალდის ხმარება აკრძალა.

საფრანგეთმა და იტალიამ ისე ფართოდ მოაწყვეს ქაღალდის მრეწველობა, რომ პირველს დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიაშიც გაჰქონდა თავისი ნაწარმოები, მეორე კი მილანიდან და ვენეტიკიდან სამხრეთ გერმანიაში გატანილი ქაღალდის ვაჭრობით იყო ცნობილი. მხოლოდ XIV ს. დამდეგიდან. 1320 წ. ახლო ხანებში ქაღალდის ქარხნები გერმანიაშიაც კიოლნსა და მაინცშიც არსდება. შემდეგ თანდათანობით ქარხნების რიცხვი გამრავლდა და XV ს-ში ქაღალდის ქარხანა უკვე ექვს ქალაქში გაიხსნა.

XIV ს. მოყოლებული ქაღალდი დასავლეთ ევროპაში ისე გავრცელდა და გაიაფდა, რომ ეტრატს უკვე მეტოქეობის გაწევა აღარ შეეძლო. სიგლებისთვისაც ჩვეულებრივ ქაღალდის ხმარება დაიწყეს და ეტრატზე მხოლოდ განსაკუთრებულ საზეიმო საბუთებსღა აწერინებდნენ. XV ს. უკვე ქაღალდია ყველგან გაბატონებული და ეტრატი ქრება.

ქაღალდის გაკეთების ტექნიკა არაბებმა შეიმუშავეს და საქაღალდო მასალის, ჩვრების დაშლისა, გაწმენდისა, გათეთრებისა, წისქვილში დაფქვისა და შემდეგ წებოთი შემტკიცების ყოველგვარი ღონეობა-საშუალებანი, თვით ქაღალდის მავთულმაგვარი პირეულის მქონებელ ფურცლებად ჩამოსხმაც და ქაღალდის შეფერადებაც კი ევროპელებს არაბებისა და აღმოსავლეთისაგან აქვთ შეთვისებული. საშუალო საუკუნეებში ევროპელებმა ამ ტექნიკაში ის შესცვალეს, რომ აღმოსავლეთში მიღებული მცენარეულობის წებოს მაგიერ უფრო მაგარი, ცხოველთაგან შემზადებული წებოს ჩართვა დაიწყეს. ამან ევროპულ ქაღალდს უფრო მეტი სიმტკიცე და სიმაგრე მიანიჭა.

იმ დროს, როდესაც მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევისა და ბატონობის წყალობით აღმოსავლეთი კულტურული დაქვეითების გზას დაადგა, დასავლეთ ევროპა ჰაბუკური სიმხნით წარმატების გზას იკაფავდა. ქაღალდის წარმოებაშიც აღმოსავლეთის მოწაფემ, დასავლეთმა თავის მასწავლებელს ისე აჯობა, რომ აღმოსავლეთს მოწაფეობაც აღარ შეეძლო.

XV ს-იდან მოყოლებული ქაღალდის წარმოება აღმოსავლეთში უკვე შეფერხებული ჩანს და ეხლა უკვე ქაღალდი თანდათან დასავლეთ ევროპიდანაც შეაქვთ აღმოსავლეთში. 1496 წ. გარდაცვლილი ალ-საქავის ცნობით, რომელიც „თარიხ ხუდატ მისრ"-შია შეტანილი, 40-ტომიანი წიგნი მომეტებულ ნაწილად „ფრანგულ" ქაღალდზე ყოფილა დაწერილი. XV ს. დამლევს ევროპული ქაღალდი უკვე აღმოსავლეთისას სჯობნის, ხოლო XVI ს. დამლევს ეგვიპტეში დაწერილი წიგნები ხშირად იტალიურ ქაღალდზე არის ნაწერი.

ზემოდასახელებულ თხზულებათა გარდა, ქაღალდის ისტორიის შესასწავლად აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერის A. Blauchet-ს ნაშრომი Essai sur l'histoire du papier (Paris 1900 წ.). დასავლეთ ევროპაში ქაღალდისათვის შემოღებული საქარხნო გამჭვირვალე ნიშნები, „ჭვირნიშნები", რომელნიც გარკვეული დროიდან გაკეთებულობის თარიღსაც შეიცავენ ხოლმე, პალეოგრაფიაში უთარიღო ხელნაწერების დასათარიღებლად და ქაღალდის სადაურობის გამოსარკვევად იყო მეთოდოლოგიურ ღონეობად გამოყენებული. სახელმძღვანელოების მთელი რიგი არსებობს, რომელშიაც ჭვირნიშნების მიხედვით სხვადასხვა ქარხნის ქაღალდებია შესწავლილი. ეს მეთოდოლოგიური საშუალება იმდენად ზედმიწევნითი და თანაც შედარებით მარტივია უთარიღო ხელნაწერთა დროის განსაზღვრისათვის, რომ დამწერლობათამცოდნეობის ყოველი მკვლევარისათვის ამ ღონეობით სარგებლობა აუცილებელია. ჭვირნიშნების შესასწავლად საყურადღებოა C. M. Briquet-ს La légende paléographique du papier de coton (1884 წ.), მეტადრე ამავე მეცნიერის 4-ტომიანი საუცხოო გამოკვლევა და ძვირფასი ნაშრომი Les filigranes (Paris 1907 წ.), რომელშიაც 16000 ჭვირნიშნის სურათის გარდა ჭვირნიშნების ისტორიული მიმოხილვაც და ბიბლიოგრაფიაც მოიპოვება. იტალიაში XII ს. მოყოლებული ნახმარი ჭვირნიშნების შესახებ Paoli-Lohmeyer-ის Grundriss der ateinischen Paläographie und der Urkundenlehre-შია ცნობები. რუსულად დაწერილია Н. П. Лихачев-ის გამოკვლევა Бумага и древнейшие бумажные мельницы в Московском государстве, რომელიც 1891 წ. დაიბეჭდა და შემდეგ მისივე დიდი ნაწარმოები Палеографическое значение бумажных водяных знаков, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. გამოკვლევისა და ჭვირნიშნების აღწერილობის შემცველი პირველი ნაწილი 1899 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა. კარგი გამოცემაა, 4000 ნიშნის განმარტება-სურათებითა და ავტოტიპიური ტაბულებით შემკული. ზემოაღნიშნული შვეიცარიელი მკვლევარის ბრიკეს შრომის გამოსვლამდე ლიხაჩოვის წიგნი ერთი საუკეთესოთაგანი იყო ამ დარგში.

ვითარცა VII—IX საუკუნეებში არაბთა სახალიფოს ფარგლებში და მფარველობაში მყოფს და ბაღდადთან ეკონომიურად დაკავშირებულს, აღმოსავლეთ საქართველოს, საფიქრებელია, ქაღალდის ხმარება შედარებით ადრე უნდა შემოელო. მაგრამ ამ საკითხის გამორკვევისათვის ჯერჯერობით არავის ყურადღება არ მიუქცევია და სრულებით შესწავლილი არ არის. რამდენადაც ქართული ხელნაწერების არსებულ აღწერილობათა მიხედვით გამორკვევა შეიძლო, XI ს-ზე უწინარეს ქაღალდზე დაწერილი ქართული ხელნაწერები არა ჩანს. XI ს. ჯერჯერობით 4 ქაღალდის ხელნაწერი მოიპოვება (თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის №№ 73, 124, 162, 390). XII—XIII სს. ქაღალდის ხელნაწერი კი შედარებით უფრო ბევრი არის (იხ. №№

61, 76, 77, 80, 101, 108, 109, 110, 128, 129, 174, 188, 189, 199, 258, 365, 528 და სხვა). მაგრამ ყველა ეს ხელნაწერი უთარიღოა და მათი დაწერილობის დრო თ. ჟორდანიას ხელის მიხედვით აქვს განსაზღვრული. ამის გამო სრული უეჭველობით ყველა ზემოჩამოთვლილი ხელნაწერის XI—XII სს-ად მიჩნევა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ქართული დამწერლობათმცოდნეობის მტკიცე დებულებათა ჯერჯერობით უქონლობის გამო ამ ძეგლების დათარიღებას ჯერ გულდასმითი და ფრთხილი შემოწმება სჭირდება. ამიტომ ამჟამად საქართველოში ქაღალდის გაჩენის დროის გამოსარკვევად ერთადერთ სანდო წყაროდ დათარიღებული ხელნაწერები უნდა იქნეს მიჩნეული. ამგვარ ძეგლთაგან აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ქაღალდის ხელნაწერი № 65, რომელიც 1188 წ. არის გადაწერილი (იხ. თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსი, პალეოგრაფიული რვეული გამოქვეყნებული აკაკი შანიძის მიერ, 1924 წ. წინასიტყვაობა). ეს გარემოება ცხადყოფს, რომ XII ს. მეორე ნახევარში ქაღალდი უკვე საეკლესიო მწერლობის ძეგლებისთვისაც კი იხმარებოდა. ხოლო რადგან ეკლესია ძველ ჩვეულებას უფრო დიდხანს ინახავდა და ახალს ნელა ითვისებდა ხოლმე, ამიტომ, საფიქრებელია, რომ საერო ძეგლებისათვის და კერძო პირთაგან ქაღალდის ხმარება საქართველოში თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-იდან მაინც არის საგულისხმებელი.

როდის შემოდის პირველად ქართულ მწერლობაში ტერმინი „ქაღალდი", ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჯერჯერობით შემიძლია მხოლოდ შოთა რუსთველის ვეფხის-ტყაოსანი დავასახელო პირველ ძეგლად, სადაც ეს სიტყვა ნახმარია. დიდებული მგოსანი ნესტან დარეჯანს ასე ალაპარაკებს:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები.
(იუსტ. აბულაძის გამ., სტრ. 1222).

აქ ეს ტერმინი უკვე ჩვეულებრივ სიტყვად ჩანს და, რასაკვირველია, გაცილებით ამაზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ შემოსულად. ეს გარემოება არც გასაკვირველია, თუ გავიხსენებთ, რომ ქაღალდი ხელნაწერთა დასაწერად საქართველოში უკვე XI ს. ყოფილა ნახმარი. ამ ნივთიერების აღმნიშვნელი ტერმინის არაბული სახეობა იმ გზას გვიჩვენებს, რომლითაც ქაღალდი საქართველოში უნდა შემოსულიყო.

აღსანიშნავია, რომ „ქაღალდი" დაბადებაშიც ორჯერ იხსენიება და ბერძნულად „ქარტერია" ეწოდება. „ქაღალდნიცა... და დასაწერნი ლერწამნი, რომელსაცა გაასაკმარებდენ"-ო (3 მაკაბ., 4, 15-20). ამას რომ თავისი სრულებით დამაკმაყოფილებელი განმარტება არა ჰქონდეს, ეს ყოვლად გაუგებარი და უცნაური გარემოება იქნებოდა, რადგან იმ დროს. როდესაც დაბადება თავდაპირველად ქართულად იყო ნათარგმნი, ქაღალდი ჩინეთს გარდა სხვაგან ჯერ უცნობი იყო და ამგვარი სიტყვაც ქართულად მაშინ არ მოიპოვებოდა. მაკაბელთა წიგნი, რომელშიაც ტერმინი „ქაღალდი" გვხედება ბაქარის 1743 წ. დაბადების გამოცემაში, მოსკოვში ‑მყოფ დაბადების ხელნაწერის ნაკლულოვანობის გამო, XVIII ს. რუსულიდან იყო ნათარგმნი[6].

---

[6] იხ. პროფ. ალ. ცაგარლის Сведения о памятниках груз. письменности I, 9—10.

4. ივ. ჯავახიშვილი, ტ. IX

შემდეგ, როდესაც ეტრატი აღარ კეთდებოდა, მწერალს ერთადერთ საწერ მასალად ქაღალდი ჰქონდა და ონანა მდივანსავით უნდა ენატრა: „ნეტამცა მწერალს სამწერლო ვითა სწადს, ესრეთ უნება... ქაღალდი, კალამიც კელთა უნება“ (ბარამიანი 1726 წ. ხელნაწერი, იხ. ე. თაყაიშვილის Опис. I, 530).

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ XVIII ს. პირველ ნახევარში ქართველი კალიგრაფები საუკეთესო საწერ მასალად სპარსულ ქაღალდსა თვლიდნენ. ონანა მდივანს 1726 წ. თავის ბარამიანის შესავალში ეს პირდაპირ ნატვრის სახით აქვს გამოთქმული. ნეტავი მწერალს, როგორც სურს, ისე ჰქონდეს „მელანი, სპარსთა ქაღალდი და კარგი კალამიო“ (Опис. I, 530).

საერთოდ ჯერ გამორკვეული არ არის, პირველად როდის შემოდის ჩვენში ევროპული ქაღალდი, იმგვარადვე, როგორც სრულებით შესწავლილი არ არის არც არქეოლოგიურად და არც ქიმიურ-მიკროსკოპულად ძველი ქართული ხელნაწერების ქაღალდის თვისებები და სადაურობა. არც ის არის გამორკვეული, ჰქონდა თუ არა საქართველოს XII—XIII სს. თავისი საკუთარი ქაღალდი, თუ უცხოეთიდან მოტანილით კმაყოფილდებოდა. ე. თაყაიშვილი პირველი ქართველი მკვლევარია, რომელმაც ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნებს მიაქცია ყურადღება და უთარიღო ხელნაწერების დროის განსაზღვრისათვის ეს ნიშნები გამოიყენა. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ხელნაწერთა აღწერილობაში მას ბევრი საყურადღებო დაკვირვება აქვს დაგროვილი, რომლის შემდეგ სისტემატურად დამუშავებას ჰპირდებოდა მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ ეს განზრახვა აქამდის განუხორციელებელი დარჩა და მომავლის საქმეა.

§ 2. საწერი იარაღი და საღებავი

საწერი იარაღი, რასაკვირველია, საწერი მასალის თვისებებზე იყო დამოკიდებული. საამისოდ მაგარი, მკვრივი ნივთიერება იყო ნახმარი, თუ რბილი და ნაზი.

ამას გარდა, თვით რბილი საწერი მასალისათვისაც საწერი იარაღი დროთა განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცვალა და ყველა ამ გარემოებას დამწერლობათმცოდნეობაში, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს.

მაგარ მასალაზე გამოყვანილი წარწერები ორნაირად იყვნენ ასრულებულნი ან „შ თ ა წ ე რ ი ლ ი“, „ა მ ო ჭ რ ი ლ ი“ ასოებით, როდესაც ასოთა მოხაზულობა ჩაღრმავებითა და ამოჭრით იყო გამოყვანილი, ანდა, პირიქით, ასოების მოყვანილობა და ნაკვთი წარწერის ეზოზე უფრო ამაღლებული იყო და „გ ა მ ო ქ ა ნ დ ა კ ე ბ ი თ“ იყო გამოყვანილი. მაგ., დაბადების ქართული თარგმანის „შთაწერილი მკერდსა ზედა ფიცრისა“ (იერემია 17, 1) ბერძნულს **γεγλυμμένη** „გეგლჟმმენე“-ს უდრის, ხოლო გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფის სიტყვები სვეტზე „ამოჭრილნი ასონი“ (3, 8-9) ბერძნული დედნის **γεγλυμμένα**-ს თარგმანია, **γλύφω** კი ბერძნულად სწორედ ამოჭრას ნიშნავდა. ამიტომ ცნების გამოსახატავად „შთაწერა“ იმ ტექნიკურ საშუალებას, რომლითაც ამგვარი წარწერები გამოჰყავდათ ხოლმე, ზედმიწევნით უდგება.

ამობორცვილ ასოებს რომ „გ ა მ ო ქ ა ნ დ ა კ ე ბ უ ლ ი“ უნდა რქმეოდა, ამას ბასილ ზარზმელის შემდეგი სიტყვები გვაფიქრებინებენ: „ვითარცა ალე-

შენა (ზარზმის ეკლესია) შტოდთურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქროდ იგი კაცისა მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: «აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტჳრთავს ჯუარი ქრისტესი»-ო (ც˜დ სრპ˜ნსი 180, 12-15). იობის წიგნის ქართული თარგმანის სიტყვებიც „დაიწერდენ სიტყუათა ჩემთა და... ქუათა ზედა გამოიქანდაკონ“ (19, 23-24) ბერძნულის ἐν πέτραις ἐγγλυφῆναι ლათინურს in petris insculpta-ს უდრის.

რკინის, ბრპენისა და სხვა მაგარ მასალაზე „შთაწერისათჳს“ არსებობდა განსაკუთრებული იარაღი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო „ფრჩხილი ადამანტისაჲ“ ან რკინისა. იერემიას ქართულ თარგმანში მაგ., ნათქვამია: „შთაწერილ არს ნაწერსა შინა რკინისა ფრჩხილითა ადამანტისაჲთა“-ო (17, 1) ბერძნულად ფრჩხილი ὄνυξ „ონუქს“-ად არის აღნიშნული.

რბილ მასალაზე საწერ იარაღსაც მაშინ თავისი სახელი ჰქონდა: თავდაპირველად შემდეგ ჩვეულებრივ ტერმინად ქცეული „კალამი“, როგორც ეტყობა, არ იხმარებოდა. წ˜ა ნინოს შატბერდისეულ-ჭელიშისეულ ც˜აში, მაგ., ნათქვამია: «მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ... ცხორებაჲ ჩემი», „მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“-ო (Опис. II, 735). საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს, რომ „საწერელი მელან-კალამი“-აო. მაგრამ ქართული დაბადების შედარება ბერძნულ დედანთან ცხადყოფს, რომ მაშინ „საწერელი“ სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. ესაიას თარგმანში ნათქვამია: „მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა... და დაწერე მას ზედა საწერელითა“ (VIII, 1). ქართულ ტერმინს „საწერელი“ ბერძნულად უდრის ἡ γραφίς „გრაფის“, ლათინურად კი graphium-ი ერქვა, გერმანულად ამას ეწოდება der Griffel, სომხურად գրիչ „გრიჩ“-ი იხმარება. ბერძნული „გრაფის“ უმთავრესად ცვილოან ტაბულებზე საწერ იარაღს ნიშნავდა. ამ მხრივ შატბერდისეული წ˜ა ნინოს ცხოვრების ზემომოყვანილი ცნობა საყურადღებოა და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, იქაც ხომ ცვილოანი საწერი მასალა არა აქვს ავტორს ნაგულისხმევი.

რაღა უნდა ყოფილიყო „ა ღ ს ა წ ე რ ე ლ ნ ი წ ი გ ნ ი ს ა ნ ი“? საფიქრებელია, რომ ამ ტერმინით საერთოდ საწერი მასალა და იარაღი იგულისხმებოდა. თუ თავდაპირველად, V—VI სს-ში, როდესაც საღმრთო წერილი ქართულად ყოფილა ნათარგმნი, „საწერელი“ ცვილოანი ტაბულების საწერი იარაღის, გრიფელის მნიშვნელობით იხმარებოდა, შემდეგში ამ ტერმინს მნიშვნელობა შესცვლია და, როგორც საბა ორბელიანსაც აქვს აღნიშნული, მელან-კალმის მთელი გაწყობილების სახელად იხმარებოდა. შატბერდისეულ წ˜ა ნინოს ც˜ის ზემომოყვანილ ამონაწერში საწერელი შესაძლებელია ამ მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი. მაინცდამაინც XVII—XVIII სს-ში რომ ეს ტერმინი სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა, ამას ამდროინდელი მზითვის წიგნებიც ცხადყოფენ: ქსნის ერისთვის ასულის ანას (1692—1703 წწ.) მზითვის წიგნში სხვათა შორის წერია: „საწერელი ერთი კარგი და პატიოსანი თევზის კბილისა ოქროს რიზებითა და მისის იარაღითა — მაკრატლითა და ყალამთათაშითა“-ო (ს˜ქს სძ˜ვლნი II, 433). ქსნის ერისთვის, დავითის ასულის ელენეს 1713 წ. მზითვის წიგნშიაც ნათქვამია: „საწერელი სადაფქარისა ერთი ვერცხლის თავით და გაწყობილობით“-აო (ს˜ქს სძ˜ვლნი III, 497). იესე ოსეს-

შვილსაც თავის თავგადასავალში მოთხრობილი აქვს, რომ მას უადგილოდ მყოფსა და მდივან-მწიგნობრობის თანამდებობის მოაჯეს ერეკლე მეფისაგან ბრძანება მოსვლია მისი ხელის გამოსაცდელად დუშეთს ასულიყო: „ვიქირავე ერთი ცხენი, ავიღე ერთი საწერელი... და წაველ... მიმიწოდეს... დამაწერინეს“-ო (გვ. 41).

ზემომოყვანილი ცნობებიდან ცხადად ჩანს, რომ „საწერელი“ ისეთი რამე იყო, რაც ყოველს განათლებულ ადამიანს, კაცი იქნებოდა იგი თუ ქალი, უნდა ჰქონოდა. მდივან-მწიგნობარს უიმისოდ თავისი მოვალეობის ასრულება არ შეეძლო. ამასთანავე, საწერელი საწერი იარაღის ერთგვარ საცავადა ჩანს და ზოგჯერ მდიდრულად იყო შემკული. ხან თევზის კბილისა კეთდებოდა, ხან სადაფისაგან, რაზები ჰქონდა დასაკეტავად, ან ვერცხლის თავი ებურა. შიგ, ამ საწერი იარაღის საცავში, თვით იარაღს გარდა, მთელი „გაწყობილობა“-ც ელაგა. ეს გაწყობილობა, რასაკვირველია, რამდენიმე ლერწმის ნაჭრისაგან შედგებოდა, რომ, ძველი გაცვეთილ-დამოკლებული საწერი იარაღის მაგიერ მწერალს ახალი გაეკეთებინა, და, ამას გარდა, მაკრატელი და „ყალამთარში“. უკანასკნელი სიტყვა სპარსული قلمتراش და ქართულად კალმის მჭრელს, კალმის დანას უდრის. ამ დანით კალამს სთლიდნენ ხოლმე და წვეტს უკეთებდნენ. მაკრატელი რისთვისღა იდვა საწერელში, არა ჩანს.

ზოგჯერ, და უკვე XVIII ს. დამდეგიდან, „ს ა წ ე რ-კ ა ლ ა მ ი“ სამელნესა და კალამსა ნიშნავდა. დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს დავითიანში ერთგან, მაგ. ნათქვამი აქვს: კახთ-ბატონმა „მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქაღალდი, საწერკალამი... მისწერა ვახტანგს“(ზ. ჭიჭინაძის გამ. 41). ცხადია, ამ ტერმინს აქ სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აღმოსავლეთში სამელნე თვით საწერელში იყო მოთავსებული და ამის გამო ბოლოს და ბოლოს საწერელი და საწერ-კალამი ერთი და იგივე გამოდიოდა. მაშასადამე, ქართული საწერელი სპარსულ قلمدان „კალემდონ“, „ყალამდან“-ს უდრის. ამ უკანასკნელი სიტყვის ფორმა ქართულშიაც არის შემოსული და ნიშნავს საწერ იარაღს მთელი თავისი აწყობილობით.

მას შემდგომ, რაც საწერ ნივთად ქვისა, ლითონის ან ცვილის მაგიერ ჰილის ფურცლები და ტყავი ან ეტრატი შემოიღეს, ძველი „საწერელითა“ და „ბრჩხილით“ მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო. ჰილი და ტყავი იმდენად ნაზი ნივთიერებაა, რომ ასოების ამოკაწვრით, ამოჭრით, თუ ჩაჰდევით გამოყვანა შეუძლებელი იყო. ამიტომ საწერ იარაღად ლერწმის კალამი შემოვიდა. რადგან ქართული ეტრატის ძეგლები V—VI სს. დროიდანაც გვაქვს შენახული, ლერწმის საწერი იარაღი საქართველოში ამ დროს და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო.

ჯერ „საწერელ“-თან ერთად, ხოლო შემდეგში განსაკუთრებით საწერ იარაღად „კ ა ლ ა მ ი“ იხმარებოდა. მეათე საუკუნეში უკვე სხვა იარაღით წერა ვეღარც კი წარმოედგინათ და დაჩი ამბობს კიდეც თავის წერილში, რომ ფსალმუნნი „დაწერნა კალამმან ღმრთისამან დავით სულისა მიერ წმიდისა“-ო (ქრონიკები I, 100). მაქსიმე აღმსაარებელის ც˝ის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია: „კალამი მიების ჴელსა მას დაკუეთილსა და წერნ“ (Keimena, I, 94). შოთა რუსთაველიც მოგვითხრობს, რომ ჩემი თხზულების წერის დროს „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნაძ რხეული“. ნესტან დარეჯანს თავის წერილში, „უსტარში“ ნათქვამი აქვს: „ტანი კალმად მაქვს, კალამი

ნავღელთა ამონაწები“ (ვეფხის-ტყაოსანი, იუსტ. აბულაძე, სტრ. 1222). მაშასადამე, შოთასაც საწერ იარაღად კალამი უხმარია.

კალამს ბერძნულადაც ეწოდება ὁ κάλαμος „ჰო კალამოს“, ლათინურად calamus. პროფ. ნ. მარი ფიქრობს, რომ ქართული კალამი ნასესხები სიტყვა არ არის, რადგან ამ ფესვს ქართულში მრავალი მონათესავე (წალამი, ჩალა, სალამური და სხვა) მოეპოვება, ევროპულ სხვა ენებში კი ეს ფესვი განმარტოებულია (Яфетические названия деревьев и растений).

თუმცა კალამი თავდაპირველადაც და შემდეგშიაც განსაკუთრებით ლერწმისაგან გაკეთებულ საწერ იარაღსა ნიშნავდა, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მას ლერწმისაგან აღარ აკეთებდნენ და სხვა ნივთიერებისაგან ამზადებდნენ ხოლმე, საწერი იარაღის აღმნიშვნელ ტერმინად წინანდებურად „კალამი“ იხმარებოდა. ლერწმის მაგიერ ფრინველის ფრთისაგან, მეტადრე ბატის ფრთისაგან დაიწყეს კალმის გამოჭრა. ონანა მდივანიც ბარამიანში ერთგან ამბობს: „კალამს მიზიდავს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა“-ო (1726 წ. ხელთნ., Опис. I, 529). მეორეგან ნათქვამი აქვს: „კალმად ბატის ფრთა მქონდა“-ო (იქვე, 526—527). ლერწმის საწერ იარაღისაგან გასარჩევად ამგვარ კალამს „ფრთის კალამს“ (იქვე, I, 529) უწოდებდნენ.

თუ ბატის ფრთის კალამი დასავლეთ ევროპაში პირველად V ს-იდან იხსენიება და ამის შემდგომ განუწყვეტლივ იხმარებოდა XIX ს-მდე, საქართველოში მისი ხსენება ჯერჯერობით XVIII ს. პირველ მეოთხედზე უწინარეს არა ჩანს. საზოგადოდ აღმოსავლეთში ლერწმის კალამს ირჩეობდნენ და ამიტომ ბატის ფრთის კალმით წერა მაინცდამაინც ძალიან მიღებული არ უნდა ყოფილიყო, როდესაც კაიხელად წერა უნდოდათ.

XVIII ს. პირველ ნახევარში, სახელდობრ, ღვთაების 1721 წ. გუჯარში იხსენიება დასასრულ „კალამნი ფოლადისანი“. ერთგან იქ ნათქვამია: „აღწერის... მიზეზად... მიპყრია კალამნი ფოლადისანი“ (ისტ. საბ. I, 13). არც გასაკვირალია, რადგან, თუ დასავლეთ ევროპაში ლითონის კალმები XVI ს-ზე უწინარეს არ ჩანს, სამაგიეროდ აღმოსავლეთში ცნობები მათი არსებობის შესახებ საშუალო საუკუნეებშიაც კი გვხვდება და ამიტომ შესაძლებელია საქართველოშიც ფოლადის კალმის არსებობაზე უფრო ადრინდელი ცნობაც აღმოჩნდეს.

ლერწმის, ფოლადისა და ფრთის კალმებს მხოლოდ ხელის დაჭერით არც ჰილზე, არც, მით უმეტეს, ეტრატზე და ქაღალდზე ასოების მტკიცედ აღბეჭდვა არ შეეძლოთ: თუ კალმის წვერი რომელსამე საღებავში ჩაწობილი „ამონაწობი“ არ იყო, მისი მოსმის კვალი ან ოდნავ, ან სრულებით არ ჩანდა. ამიტომ კალმის შემოღებისთანავე საღებავის ხმარებასაც მიჰყვეს ხელი და საღებავით დაიწყეს წერა. ეს აზრი უეჭველია მხატვრობიდან უნდა იყოს ნაკარნახევი და ჩინელები და იაპონელები ეხლაც წერის დროს იმგვარსავე ბეწვისაგან გაკეთებულ ყალამს ხმარობენ ხოლმე, როგორიც მხატვრობაშია მიღებული. რაკი საწერი მასალა ჩვეულებრივ თეთრი ან მოყვითალო იყო, საღებავიც შავი ან წითელი იხმარებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ საღებავად შავი იყო მიღებული, წითელსა და მწვანეს კი განსაკუთრებულ შემთხვევებში მოიშველიებდნენ ხოლმე.

უკვე ეგვიპტეში წერისათვის ორსავე საღებავს ხმარობდნენ. ეგვიპტეში აღმოჩენილი ჰილები ცხადყოფენ, რამდენად დახელოვნებული ყოფილან ეგვიპ-

ტელნი შავი საწერი საღებავის დამზადებაში. ვერც ათასი წლის ხნიერებამ, ვერც სინოტიემ, თუ მხურვალე მწველმა მზემ, მათ ფერი და ბრწყინვალება ვერ შეუცვალა და ვერა დააკლო რა. როგორც ეტყობა, შავი საწერ-საღებავი ჭვარტლისა, წყლისა და წებოსაგან კეთდებოდა, მაგრამ შედგენილობა და შემზადების ღონეობა ზედმიწევნით გამორკვეული არ არის. ბიზანტიაში, დაახლოებით IV ს-იდან მოყოლებული ქ. შ. მოწითალო შავი საწერ-საღებავი იხმარებოდა, რომელიც გამძლეობითაცა და ფერითაც ძველს ძალიან ჩამოუვარდებოდა. ამ ახალ საწერ-საღებავს უჩივის მგოსანი პერსიუსი, რომელიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქართველ ერთ მწერალივით გოდებს, რომ ხან ვასქელდებოდა და ხან გათხელდებოდა, ხან კალამი ქაღალდსა სვრიდა ხოლმე[7].

წითელი საღებავითაც უყვარდათ ეგვიპტეში წერა. ჰიერატულ ჰილებზე თითოეული თავების სათაურები მომეტებულად წითურად არის ნაწერი. ეს ჩვეულება ბერძნებმა და რომაელებმაც შეითვისეს და წესად დასდვეს ისე, რომ თვით სიტყვა rubrum „რუბრუმ“ თითქმის სათაურის მნიშვნელობითლა იხმარებოდა[8]. ხოლო რაკი თავების სათაურებსაც რომაელები წითელი მელნითა წერდნენ, აქედან წარმოდგა თავებად დაყოფილობის ლათინური სახელი rubrica, „რუბრიკა“, რაც წითურსა ნიშნავს[9]. რაკი შავი და წითელი საღებავი იყო ხოლმე წერისათვის საჭირო, ამიტომ საწერი იარაღის საცავს ორი პატარა სამელნე ჰქონდა ხოლმე. შემდეგში ორთვლიანს ლითონის, ან გამომწვარი თიხის სამელნეს აკეთებდნენ ხოლმე შავი და წითელი საღებავისათვის[10].

ქართულ თანამედროვე ენასა და მწერლობაში საწერ-საღებავის საზოგადო სახელად „მ ე ლ ა ნ ი“ იხმარება. ეხლა ჩვენ ვამბობთ წითელი, ლურჯი, მწვანე, შავი მელანიო. მაგრამ ძველ ქართულში შავი და წითელი საწერ-საღებავისათვის ცალ-ცალკე ტერმინები იხმარებოდა. ერთს X—XI სს. მინაწერში მაგ., ნათქვამია: „აწ რომელი წ ი თ ლ ი თ ა წერილ არს მარტოდ... იუწყება რიცხუსა [თავთა?] განწესებისა... ხოლო რომელი იგი მელნითა არს ქუემოწერილი... არს ̄კათოლიკჲ რიცხუ“-ო (იხ. თ. ჟორდანიას. Спис. I, 332). რაკი „წითელი“, ცხადია, წითელი საწერ-საღებავის აღმნიშვნელია, ამიტომ „მელანი“ შავი საწერ-საღებავის აღსანიშნავი ტერმინი უნდა ყოფილიყო. „მელანი“ ბერძნული სიტყვაა. ბერძნულად კი μέλας, — εἶνα μέλαν შავს, მუქ, ბნელსა ნიშნავდა, ხოლო τὸ μέλαν „ტო მელან“ საწერ-საღებავსა ეწოდებოდა. ჩვენშა წინაპრებმა არამცთუ მარტო X—XI სს-ში, როგორც ზემომოყვანილი მაგალითიდანა ჩანს, იცოდნენ, რომ „მელანი“ შავსა ნიშნავდა და შავი საწერ-საღებავის სახელი იყო, არამედ შემდეგშიაც ეს გარემოება დავიწყებული არ ჰქონიათ და საბა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს ლექსიკონში „მელანი შავი საწერელი“ არისო. სომხები მელანს Թանաք „თანაქ“-სა, საღებავს კი դեղ „დეღ“-ს, წამალს უწოდებენ.

ჩემი თხოვნით V—VI სს. ქართული პალიმფსესტების ქიმიური დამუშავების დროს პროფ. იოველ ქუთათელაძემ გამოარკვია, რომ იმ ხანაში საქარ-

---

[7] W. S c h u b a r t, Das Buch bei den Griechen und Römern, 1907, გვ. 20.

[8] W. S c h u b a r t, Das Buch etc., 20.

[9] Th. B i r t, Kritik und Hermeneutik, 1913, გვ. 11.

[10] W. S c h u b a r t, Das Buch etc., 20.

თველოში რკინისაგან შემზადებული მელანი უხმარიათ, შემდეგ XIII—XIV სს-ში კი უკვე სხვანაირი მელანი ჩანს.

რაკი ტექსტი სათაურებსა და საზენაო ასოებს გარდა მთლად შავი საწერ-საღებავით იწერებოდა ხოლმე, ამიტომ ქართულში მელანი საწერ საღებავის ზოგად სახელად იქცა. შესაძლებელია უკვე ძველ დროსვე ამ ტერმინს ამგვარი ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდეს და იქნება, როდესაც გიორგი ხუცეს-მონაზონიც ამბობდა — „აწ მე, მელნითა ოდენ ცხოვლითა სიტყუაჲ გამომისახავნ“-ო (ც˜ჲ გ˜ი. მთ˜წმდლსი 350), სწორედ ამ საზოგადო მნიშვნელობით გულისხმობდა ამ ტერმინს.

მელანისა და წითელის გარდა, საწერ-საღებავის ტერმინად ძველ ხელნაწერებში ხშირად სიტყვა „ს ი ნ გ უ რ ი“-ც გვხვდება. მაგ., სინას მთის მონასტრის 992 წ. ხელნაწერებში № 16 და № 19 შემდეგი წინადადებაა: „სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი ესედ ქანწილი ზის ნიშნად სინგურითა, სადა დასრულდებოდეს, ბოლოჲ ესე ჯუარი ზის სინგურითვე“ (იხ. პირველში გვ. 316a, მეორეში გვ. 262a—278a, შეადარე ქ˜კბს I, 208, 5). სხვა ხელნაწერში ამგვარივე განმარტება ასეა გამოთქმული: „მუნვე წითლითა წილქანი ზის“-ო (ქ˜კბი I, 94). ამგვარადვე ამ მეორე შემთხვევაში სინგურის მაგიერ „წითელი“ წერია. ამიტომ, სინგურიც წითელი საწერ-საღებავის სახელი და ტერმინი უნდა იყოს.... თვით სინას მონასტრის ზემოაღნიშნულ ხელნაწერებშიც განმარტებაში მოხსენებული ნიშნები მართლაც წითელი საღებავით არის ნაწერი. სინგურის მნიშვნელობა საბა ორბელიანსაც ხსომებია და მას ნათქვამი აქვს, რომ „სინგორი და სინგური წითელი სახატავია“. მას სინგურის შედგენილობა და შემზადების ღონეობაც სცოდნია: „ვერცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გამოადნობენ“ და ისე აკეთებენო (ლექსიკ.).

უეჭველია, სინგური ყოველ წითელ საწერ-საღებავს არ ეწოდება, არამედ განსაკუთრებული შედგენილობისა და თვისებისა უნდა ყოფილიყო. თვით სინგურით ნაწერის ფერიცა და განსაკუთრებული ბრწყინვალება ცხადად განირჩევა ჩვეულებრივ წითელი მელნით ნაწერის თვისებებისაგან და მათ სხვაობას შედგენილობის მხრივაც ცხადად მოწმობს. სინგური ეწოდებოდა ქართულად იმ საწერ-საღებავს, რომელსაც ბერძნები **κιννάβαρις** „კინაბარის“ **τεγγάβαρις**, რომაელები sacrum incaustum-ს, რუსები ბერძნულიდან ნასესხებ **киноварь**-ს ეძახდნენ.

სინგურითა და წითლით მარტო სათაურები და საზედაო ასოები კი არ იწერებოდა, არამედ ბიზანტიის კეისრები სინგურს საბუთებში ხელისმოსაწერადაც ხმარობდნენ ხოლმე. მაქსიმე აღმსაარებელის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ მეფემან თჳსითა ჴელითა დაწერა სინგურითა წამებაჲ დამტკიცებაჲ ძეგლსა მას სარწმუნოებისასა“-ო (Keimena, I, 102). მეექვსე მსოფლიო კრების ძეგლის წერის ეფთჳმე მთაწმიდელის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია, რომ ამ კრების „აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეგლი და საეკლესიოჲ იგი კანონნი წინაშე ღმრთისმსახურისა კოსტანტინე მეფისა წარიკითხეს და თავადმან კოსტანტინე მეფემან თჳსითა ჴელითა წითლითა წამლითა სიმტკიცე... მის ძეგლისა აღწერა“-ო. (ა. ხახანაშვილის გამ., გვ. 78). ბიზანტიაში კეისრის კარზე განსაკუთრებული მოხელე (**ὁ ἐπὶ τοῦ κανικλείου**) იყო,

რომელსაც სინგურის სამელნე ებარა, რომ, როდესაც კეისარს საბუთებზე ხელი ჰქონდა მოსაწერი, ეს სამელნე მიერთმია[11].

ჩვეულებრივ წითელ მელანს ბერძნები „მელანიონ კოკკინონ"-ს, რომაელები კი rubrum, rubrica, minium-ს ეძახდნენ. ჩვეულებრივ სამელნეს ბერძნულ მწერლობაში „მელანდოქიონ", „მელანდოქე", „მელანდოქეიონ"-ს უწოდებდნენ.

ვისაც ძველი ხელნაწერები ხელთ ჰქონია და მათი ჩაწერის სილამაზისა და სისწორისათვის უნებლიეთ თვალი მიუქცევია, ის ალბათ შეამჩნევდა, რომ ეტრატისა და ქაღალდის სტრიქონებს ქვეშე ხაზების ნაალაგევი ემჩნევა ხოლმე. საწერ მასალაზე ეს ხაზები, როგორც ეტყობა, ბლაგვად წაწვეტილი ძვლის დაჭერით არის გაყვანილი უსაღებავოდ ისე, რომ ეტრატისა თუ ქაღალდის დახაზულობა ხაზების ჩაჭდეულობის სახით ემჩნევა მხოლოდ და ისეთი სიფრთხილით არის დახაზული, რომ ხშირად ხაზების ჩანაჭდევს მარტო გულდასმითი განხილვა დაანახვებს დამკვირვებელს.

იმ განსაკუთრებულ იარაღს, რომელსაც სწორი ხაზების გავლებისათვის მოიშველიებდნენ ხოლმე, „ს ა ხ ა ზ ა ვ ი" ეწოდებოდა. ერთი დამწერთაგანი თავს იმით იმართლებს, რომ „არა-ქონებისათჳს სახაზავისა ჩემი" სამუშაო ხეირიანად ვერ დავწერეო (თ. ჟორდანიას Опис. I, 294).

სახაზავს ბერძნები უწოდებდნენ „კანონ"-ს, რაც თავდაპირველად მუხლედ სწორ ლერწამსა ნიშნავდა, რომაელები კი regula და linearium-ს. ქართული ტერმინი ამ უკანასკნელი ლათინური ტერმინის მსგავსად არის ნაწარმოები.

§ 8. წერის ტექნიკის გარეგანი პირობები და დამწერელნი

ადამიანის ნააზრევის ნიშნებით აღბეჭდვას ქართულად „წ ე რ ა ჲ" ეწოდებოდა და ეწოდება. უძველეს დროიდანვე მოყოლებული ეს ტერმინი იხმარება და ამ ცნების გამოსახატავად იგივე ფესვია სხვა ქართულ კილოკავებშიც. თუმცა „წერაჲ" საბა ორბელიანს განმარტებული აქვს როგორც „კალმის მოსმა" (ლექსიკ.), მაგრამ ეს, რასაკვირველია, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა არ არის. როგორც წერტილი თავდაპირველად ნაჩხვლეტს ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგში იქნა ტერმინად ქცეული, წერის მნიშვნელობასაც თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა. ბერძნული γράφω „გრაფო", რომელიც გერმანულ kerben-ს ენათესავება, ჯერ ამოფხაჭნას, ნიშნების ამოთხრას ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ წერას, ამგვარად „წერა"-ს თავდაპირველი მნიშვნელობაა გამოსარკვევი. იქნებ მისი პირვანდელი მნიშვნელობის შემნახველ სიტყვებად „მწერი" და „წერტილი" იყოს და თავდაპირველად წერა ჩხვლეტას, ჩაჭრას ნიშნავდა და ამგვარად წარწერის გამოყვანისათვის განკუთვნილი ტერმინი იყო და მხოლოდ შემდეგ იქცა ნაზ მასალაზე აღბეჭდვის აღმნიშვნელ ტერმინადაც? ამის გამორკვევა ენათმეცნიერების საქმეა.

წერისათვის შესაფერისი გარეგანი პირობები იყო აუცილებლად საჭირო, რომ დაწერილი სათანადო გარკვეულობითა და სილამაზით გამოსულიყო. ამ გარეგანი პირობების შესწავლა-გამორკვევა თავისთავადაც საგულისხმოა ვი-

---

[11] Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., 1884, გვ. 175.

თარცა ერის კულტურული ცხოვრების ერთი გამოხატულებათაგანი, და დამწერლობისა და ნაწერის სხვადასხვა თვისების გასათვალისწინებლად და დასაფასებლადაც აუცილებლად საჭიროა.

როგორ წერდნენ საქართველოში? შოთა რუსთაველი ამაზე გვიპასუხებს: „დაჯდა წერად ანდერძისა საბრალოსა საუბრისად"-ო (ვეფხის-ტყაოსანი, იუსტ. აბულაძის გამ., 94, სტროფი 725).

გიორგი მთაწმიდელის სიტყვითაც, რაკი ქართველი ბერები სწუხდნენ, რომ წინამძღვრობის მრავალგვარი მოვალეობა ეფთჳმე მთაწმინდელს სამწერლობო მოღვაწეობას უშლიდა, მონასტრის მამასახლისობას თავი დაანებებინეს „და ესრეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა... და თავადი წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმანნა" (ც˜ჲ ი˜ესი და ეფთ˜მსი § 109, 2-4).

მაგრამ ყოველთვის და ყველგან მჯდომარე არ წერდა დამწერელი ან მწიგნობარი. ბარამიანის ავტორი, მაგ., პირდაპირ ამბობს, რომ „მწიგნობარს მართებს მეფეთ წინ დაჩოქილითა წერანი"-ო (1726 წ. ხელნაწერის ანდერძი, ე. თაყაიშვილის Опис. I, 529). სპარსთა შემოსევის გამო თბილისიდან დუშეთში შეხიზნული ერთი დამწერთაგანი მოგვითხრობს, რომ „უმეტესად მუქლთა ზედა... ვსწერენ კაბადონნი ამისნი"-ო (1800 წ. ხელნაწერის ანდერძი, თ. ჟორდანიას Опис. I, 294). აღსანიშნავია, რომ ძველ საბერძნეთსა და რომშიაც წერისათვის მაგიდას არ ხმარობდნენ, არამედ ან დგომელა წერდნენ ან იატაკზე მჯდომარე და ფურცლის მუხლზე დაყრდნობით. ამგვარი ბარელიეფური ქანდაკებაც კი არსებობს[12].

იმ ადამიანს ან ხელოსანს, რომელსაც წარწერას ამოაჭრევინებდნენ თუ გამოაქანდაკებინებდნენ, „წ ა რ მ წ ე რ ე ლ ი" ერქვა. გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფის ქ˜ლი თარგმანის სიტყვები „ტყუილით სადმე დაწერეს ესე წარმწერელთა მათ" (5, 17-18) ბერძნული დედნის „ψευδῶς οἱ γ ε γ ρ α φ ό τ ε ς ἀνέγραψαν τοῦτο"-ს უდრის (I, 14).

ხოლო ვინც ხელითა წერდა მას „დ ა მ წ ე რ ე ლ ი", „მ წ ე რ ა ლ ი" და „მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი" ეწოდებოდა. ათონის დაბადების 978 წ. ხელნაწერში მაგ, ნათქვამია: „დაესრულა წინასწარმეტყუელებაჲ ესაიაჲსი. ქრისტე, შეიწყალე თორნიკ პატრიკი და გლახაკი მიქაელ (მქ˜ლ) მწერალი". „დაიწერა წ˜ჲ ესე წიგნი ჴელითა სამთა მწერალთა[ჲთა]: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა ქორონიკონი იყო რ˜ჟθ (ალ. ცაგარელი, СПГП, I, 70,73). ათონის 981 წ. ხელნაწერშიც აღნიშნულია: „ქ˜ე ადიდე სულითა მამაჲ [იოვანე] და შჳლი მათი ეფთჳმე, ამისი თარგმანი... და მეცა შემიწყალე გლახაკი საბა, ამისი უცბად მწერალი" (იქვე, I, 82). ამავე სავანის 1008 წ. ხელნაწერში ნათქვამია: „ბრძანებითა... მამისა ჩ˜ნისა ეფთჳმესითა ჩუენ გლახაკნი და ცოდვილნი არსენი ნინოწმიდელი და იოვანე გრძელიძე და ოქროპირი ღირს ვიქმენით დაწერად ჴელითა ჩ˜ნითა წ˜თა ამათ წიგნთა თარგმანებულთა განმანათლებელისა წ˜ისა მამისა ჩ˜ნისა ეფთჳმესითა ბერძულისაგან ქართულად... (გევედრებით) ჩუენ მწერალნი... მოგვიჴსენიოთ"-ო (იქვე. I, 91—92).

---

[12] Th. Birt. Die Buchrolle, 196—209 და Kritik und Hermeneutik, 302.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XI ს. ხელნაწერის ერთ მინაწერში აღნიშნულია: „ქ̃ე შ̃ე სული სტეფანესი, ამის წიგნისა დამწერელისაჲ“ (იქვე, II, გვ. 34, § 115). იერემიას ქართულ თარგმანში წერია: „შეპყრობა ბარუქისი მწიგნობრისაჲ“ (36, 26). ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანში „მწიგნობარი“ γραμματεύς-ის „გრამმატეუსას“ მნიშვნელობით არის ნახმარი, რაც ბერძნულად მდივან-მწიგნობარს, გადამწერელს და შემდეგში საღმრთო წერილის მეცნიერს ეწოდებოდა.

პანსოფი ალექსანდრიელის ცხოვრების ქართულ თარგმანში ნათქვამია: „ეშმაკი იგი იქმნა სახედ მწიგნობრისა და კელთა აქუნდა ქარტაჲ და აღსწერდა სიტყუასა მას“ (Keimena I, 56).

ძველ ქართულ მწერლობასა და სახელმწიფოებრიობაში „მწიგნობარი“ სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების შემდგენელ-დამწერელ მოხელეს ეწოდებოდა.

ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში ერთს XII ს. აღაპში „დიდი აღმწერალი“-ს თანამდებობაც იხსენიება. იქ ნათქვამია: ვალის გარდაუხდელობის გამო იყო „სოფელნი დაჭერილნი... დიდისა აღმწერალისაგან სამეუფოჲთა ბრძანებითა... აღილო წიგნი სიმტკიცისაჲ... რომელსა ზედა არის ბეჭედი პროტონოტარისაჲ ა (1) და დიდისა აღმწერელისა ა (1)“ (ათონის კრებ., 269). აქ მოხსენებული მოხელე ბიზანტიის კეისრის თანამდებობის პირი ყოფილა და, როგორცა ჩანს, უნდა სახელმწიფო საჭურჭლის ხელისუფალი ყოფილიყო.

დანაწერი თავის ღირსებისდა მიხედვით ფასდებოდა. ამის შესაფერისი აღმნიშვნელი ტერმინებიც არსებობდა: ზოგი მათგანი წერის საერთო თვისებებს ახასიათებს, ზოგი კიდევ პიროვნულს. ყოველი ადამიანის დანაწერს თავისი განსაკუთრებული თავისებურება აქვს, რომლითაც მისი დაწერილის სხვის დაწერილისაგან გარჩევა შეიძლება. დამწერლის ნამუშაკევის ამგვარი თავისებურების აღსანიშნავად „კ ე ლ ი“ იხმარებოდა. იესე ოსეშვილს თავის თავგადასავალში ნაამბობი აქვს, რომ ერეკლე მეფე „დუშეთს რუსეთის კელმწიფეს არზას სწერენ და... რუსეთის დიდრონ კაცებს წიგნსა“. ამ საბუთების დასაწერად „რუსთველის იოვანეს იმედი აქვთ. იმისი კელი ნახეს, ვერ იყო საკადრისი. დაღონებას მიეცნენ... მიმიწოდეს, მამაო ჩვენო დამაწერინეს, მერმე კელმწიფის წიგნი, მერმე დიდებულთა, და დიდად მოიწონეს ბატონებმა“-ო (გვ. 41). ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის ანდერძში ონანა მდივანიც ამბობს „არც კელის სიკეთესა გაუფრთხილდი“ და ამიტომ „კარგი კელი არ გამოვიდა და კელი ვერ გამოვიჩინე“-ო. წიგნის შემკვეთთ „ნახიან სწრაფადობა კალამთა ჩემთა, მაგრამ კელის სიავეს არ დამაჯერა“-ო. მისივე სიტყვით, ვისაც შესაფერისად დაწერა არ შეეძლო, რასაკვირველია, „კელი დაეწუნება“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис., I, 527, 529, 530).

ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ წერილობითი ძეგლების ყოველი დარგისათვის გარკვეული მოთხოვნილება არსებობდა და თითოეულისათვის შესაფერისი „საკადრისი კელი“ უნდა ყოფილიყო. როდესაც უკვე ცნობილი პირი არ მოეპოვებოდათ, სანამ ვისმეს რომელიმე ძეგლისა თუ საბუთის დაწერას, თუ გადაწერას მიანდობდნენ, ჯერ დამწერელის „კელის სიკეთე“-ს თუ „კელის სიავეს“ არკვევდნენ ხოლმე. „კარგი კელი“ თუ „პავი“ ჰქონდა და, როცა მწერალი შესაფერის ხელს „გამოიჩენდა“ და არაფერი „დაეწუნებოდა“, მაშინ მიანდობდნენ ხოლმე სამუშაოს.

დაწერილისა და ხელის თვისებებისდა მიხედვით თვით წერის პროცესის აღნიშვნისათვისაც სხვადასხვა გამონათქვამი იხმარებოდა. ჩვეულებრივი „წერის“ გარდა, დამწერელთა ანდერძებში გვხვდება ტერმინები „ზომად წერაჲ“, „უცბად წერაჲ“ „ფარჩხად წერაჲ“, „ჩხრეკაჲ“ და „დაჩხრეკაჲ“. ეფთჳმე მთაწმიდელს, მაგ., 1002 წ. ხელნაწერის ანდერძში ნათქვამი აქვს: „ზომად წერისათჳს შემინდევით, უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მიწერია“-ო (ქკ˝ბი I, 139).

ვისაც თავდაბლობის გამოჩენა უნდოდა და თავისი დაწერილი საკადრისი ხელით დაწერილად არ მიაჩნდა, ის თავის ნამუშევარს „უცბად წერა“-ს უწოდებდა და თავის თავისთვისაც „უცბად მწერალი“-ს სახელის მეტს არას გამოიმეტებდა ხოლმე. 1008 წ. ათონის მონასტრის ერთს ხელნაწერში მაგ., აღნიშნულია: „დაიწერა მეორე ესე წიგნი ჴელითა ჩუენ ცოდვილთა არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა... ლოცვა ყავთ წ˝თა მამათა ჩ˝თთ˝ს იოვანესა და ეფთჳმისა თარგმანისათჳს... და ჩუენ უცბად მწერალთა“-თვისო (ალ. ცაგარელი, СПГП I, 86). სინას მთის მონასტრის ქართული № 1 ხელნაწერის დამწერელი ყოფილა „იოვანე უცბა (sic) მწერალი“ (გვ. 124a).

ათონის 1074 წ. კრებულში მიქელ დაღალისონელი თავის დაწერილის შესახებ ამბობს: „ფარჩხად წერის-თჳს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა და დასასრულსა ჰასაკთასა ვიქცეოდე“-ო (საეკ. მუზ. გამოც., გვ. 175). ალ. ცაგარელს ეს ადგილი „ფარიხად წერისათჳს“-ად წაუკითხავს და თანაც რუსულად განმარტებული აქვს, „разгонисто, крупно“-ო (СПГП I. 46). „ფარჩხად“ წანაკითხი სწორე უნდა იყოს. ს. ორბელიანს ლექსიკონში სიტყვა „ფარჩხატი“ აქვს, რომელიც შორი-შორს წყობილად აქვს განმარტებული. ფარჩხვა და პარჭყვა ერთი და იმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. პარჭყვა კი ხელების თითების გაშლას ეწოდება. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ფარჩხად წერაჲ“ მართლაც, ს. ორბელიანისა არ იყოს, შორი-შორს უშნოდ წერას უნდა ნიშნავდეს.

არასათანადო წერის ან დამწერელისაგან თავდაბლობით თავის ნაშრომის დახასიათებლად და აღსანიშნავად ტერმინი „ჩხრეკაჲ“ და „დაჩხრეკაჲ“-ც იხმარებოდა. მაგ., სინას მთის 1044 წ. № 13 ხელნაწერში დამწერელს ნათქვამი აქვს: „არაჲ ვიშაოდე (sic) ჩხრეკაჲ ურგებისა ჩემისათუის“ (გვ. 270b). ხოლო ამავე მონასტრის X ს. № 15 ხელნაწერში აღნიშნულია: „დავჩხრიკე წ˝ა ესე სახარებაჲ ოთხთავი ჴელითა ჩემ ცოდვილისაჲთა“-ო (გვ. 292a). წიგნი ესე „დაიჩხრიკა ჴელითა იოსებ შავისა“-ითაო (ქკ˝ბი I 130).

თვით დამწერელიც ასეთ შემთხვევაში თავის თავს „მ ჩ ხ რ ე კ ე ლ ი“-ს ან „მ ჩ ხ რ ე კ ა ლ ი“-ს სახელს უწოდებდა: „ლოცვა ყავთ... ისაკისთჳს გლახაკისა მჩხრეკელისა“ (1030 წ. ხელნ. ქკ˝ბი II, 169), მჩხრეკ˝ლი ამისი იოვანე-ზოსიმე“ (სინას მთის 982 წ. ხელნაწ. № 71, გვ. 183b), „მიქელ მჩხრეკალი“-ო (სინას მთის 994 წ. ხელნაწ. № 19, გვ. 53b და 107b, 199b).

„ჩხრეკა“ ქექვას ნიშნავს ეხლა. მაგრამ ამ ზმნის თავდაპირველი მნიშვნელობა თანამედროვე მეგრულს უკეთესად აქვს დაცული, რადგან „ჩხირკა“ მეგრულად თხრას, გათხრას ეწოდება (იოს. ყიფშიძე, მეგრ. გრ., 369). ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ჩხრეკა წერითი ხელოვნების ძველი, წარწერათა გამოყვანის აღსანიშნავად განკუთვნილი ტერმინი უნდა იყოს.

თავისთავად იგულისხმება, რომ მარტო ტერმინი „ჩხრეკაჲ" და „დაჩხრეკაჲ" ნაწერის ღირსებას, მის სიმდარეს არ ამტკიცებს. ხშირად ეს მხოლოდ ან გულწრფელი თავდაბლობის, ან ზრდილობიანად ქცეული თავდაბლობის გამომხატველი იყო. ეს გარემოება იმითაც მტკიცდება, რომ, ჩვეულებრივ გამონათქვამს გარდა, ამავე დროს „ჰავად ჩხრეკაჲ" და „უცბად ჩხრეკაჲ"-ც გვხვდება. სინას მთის 982 წ. ხელნაწერში, მაგ., ნათქვამია: „ჰავად ჩხრეკისათჳს... შემინდევით", ხოლო იმავე მონასტრის 994 წ. ხელნაწერის დამწერი მკითხველსევედრება: „უცბად ჩხრეკისათჳს შემინდეთ"-ო (№ 17, გვ. 308a და № 19, გვ. 53b). ერთს 1091 წ. ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია, ვიცი, რომ „უნდოდ და ჰავად ჩხრეკისა"-თვის კითხვისა და ლოცვის ღირსი არა ვარო (ქ˝კბი I, 215). ცხადია, ასეთ შემთხვევაში „ჩხრეკაჲ" წერასა ნიშნავს, თორემ ცუდად წერის მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, „ჰავად ჩხრეკა" ხომ ორი ერთნაირი სიტყვის გამეორება იქნებოდა.

ცუდი ხელის მქონებელი თავისთვის „მ ჩ ხ ა ბ ა ვ ი"-ს სახელსაც ხმარობდა ხოლმე: „ამისსა მჩხაბავსა გაბრიელსა შეუნდვენ ღმერთმან"-ო (XIII ს. ხელნაწ. მ. ჯანაშვილის Опис. III, 195, სადაც შეცდომით „მჩხიბავი"-ა დაბეჭდილი). ს. ორბელიანიც ამბობს: „მჩხაბავი ავად მწერალი არისო" (ლექსიკ.). ცუდი დამწერელობის აღსანიშნავადვე უნდა იყოს ნახმარი გამონათქვამი „მწერალი ნაცრიანი". XII—XIII სს. ხელნაწერში ნათქვამია: „მიოხე წ˝ო მარიამ, ნაცრიანი მწერალი, ძე აბრაამისა, გლახაკი დიმიტრი" (თ. ჟორდანია. Опис. II, 112).

ქართულ ძველ მწერლობაში ბევრი საგულისხმო ცნობებია გაფანტული, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, თუ რაზე იყო „კარგი ჴელი", „ჴელის სიკეთე" თუ „სიავე" დამოკიდებული.

ერთ ქართველ დამწერთაგანს კარგადა აქვს გამოთქმული, რომ დამწერლის მუშაობის წესიერი და სათანადო ასრულებისათვის უპირველესად შესაფერისი ხელშემწყობი პირობები იყო საჭირო. ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის დამწერელი ონანა მდივანი პირდაპირ ნატრულობს: „ნეტამც მწერალსა სამწერლო, ვითა სწადს, ისრეთ უნება: მელანი, სპარსთა ქაღალდი, კალამიც ჴელთა უნება, გამართვით სწერდეს... სიწყნარით ასო გააწყოს", მაშინ „არც ჴელი დაეწუნება"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 530). ამგვარად, სათანადო საწერი მასალა და იარაღი ერთი მხრით, მეორე მხრით „გამართვით" წერისათვის მოწყობილობა და მუშაობის „სიწყნარე" იყო აუცილებელი. ამნაირი ნატვრის გამეორება ყველას შეეძლო და XVIII ს-ზე უწინარესი ხანის მწერლებისათვისაც გამოსადეგი იყო იმ მცირედი განსხვავებით, რომ XIII ს-მდე მყოფი მწერალი საწერ მასალად ქაღალდის მაგიერ ეტრატს ინატრებდა.

საქართველოს დაქვეითების ხანის მწერლები ფრთის კალამსა და იმდროინდელ მელანსაც უჩივიან. იმავე ონანა მდივანს ნათქვამი აქვს: „ფრთის კალამს მოსდის ბეწვი და უმალ წვერზედან გაისვა". ხოლო მისივე სიტყვით: „ცუდი მელანი ქაღალდსა უმალ შიგ გავარდებისა, მელანი მქრქალი (sic), უსამყე ცუდმან ქაღალდმან გაისვა" (იქვე, Опис. I, 529). ამავე პირის სიტყვით მისი დანაწერის ნაკლი, რომ მან „ჴელის გამოჩენა" ვერ შეძლო, უმთავრესად ქაღალდისა, კალმისა და მელნის უვარგისობის ბრალი ყოფილა: „ჴელი ვერ გამოვიჩინე, ქაღალდმა მიყო ზიანი, მელანმა იქლო ფერითა"-ო (იქვე, I, 529). ამ თავის ნამუშევრის წუნის გამართლებისათვის სხვაგანაც ასევე აქვს მობო-

დიშებული: „არც კელის სიკეთეს გაუფრთხილდი. ამად რომ კალმად ბატის ფრთე მქონდა და ქაღალდსა და მელანსაც თქვენც დახედეთ, რა ცუდნი და არას კელისანი არიან, და ამისთვის კარგი კელი არ მოვიდა“-ო (იქვე, I, 526—527).

მაგრამ თავიდათავი რასაკვირველია, შესაფერისი დროული განსწავლულობა და გამოცდილება იყო. გრიგოლის ც˜ის გადამწერი თავისი დანაწერის ნაკლს სწორედ სათანადო და პატარაობიდანვე განსწავლულობის უქონლობით იბოდიშებს: „თუ რაჲ დამეკლოს, გინა დავაკლო წალმართ, სიყრმისაგან არა მესწავა წერად, შემინდევით შრომისათჳს“-ო (ქ˜კბი I, 166). 1661 წ. ჟამნვულანის დამწერი კიდევ მიზეზად თავის ახლად მოსწავლეობას და გაუწვრთნელობას ასახელებს: „სრულ იქმნა... კელითა ჩემ ცოდვილისა ათანასესითა. ახლადმოსწავლე ვიყავ და, თუ რაიმე დამეშავებინოს, ნუ მწყევთ“-ო (ე. თაყაიშვილი, საისტ. მასალ. II, 49). ცხადია, „ახლად მოსწავლე“ გამოცდილ დამწერს ვერ შეედრებოდა ხელით იმგვარადვე, როგორც ვისაც პატარაობიდანვე წერა შესწავლილი არ ჰქონდა, წერის ხელოვნებას ისე კარგად ვერ შეითვისებდა, როგორც თავის დროზე და შესაფერისად გაწვრთნილი.

მაგრამ გამოცდილი და დახელოვნებული მწერალიც ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ერთნაირად და ერთი და იმავე ხელითა და შნოიანობით არ წერდა. მის ნაწერსაც სხვადასხვა გარემოების გავლენა აუცილებლად ემჩნეოდა ხოლმე. ეფთჳმე მთაწმიდელი, მაგ., თავისი ხელნაწერის „ზომად წერა“-ს იმით იბოდიშებს, რომ „უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მიწერია“-ო (ქ˜კბი I, 139). უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ დღისით სამონასტრო მოვალეობის ასრულებით მოუცლელი ზოგი მწერალი თუ გადამწერელი, ან მკითხველი ბერები ღამ-ღამობით მუშაობდნენ. ამის გამო ათონის ქართველთა მონასტერში ერთადერთი გამონაკლისი და ზეთის სყიდვისა და ანთების უპირატესობა იმ მონაზვნებს ჰქონდათ, „რომელნი მკითხველნი იყვნიან, ანუ მწერალნი და წასანახავად, ანუ საწერლად აინთიან, სხუაჲ კულა არა იყო წესი, რათამცა... კანდელსა ანთებდეს“ (გ˜ი მთ˜წმიდ˜ლი, ც˜ჲ ი˜ესი და ეფთ˜მესი 81,1). თვით ეფთჳმე მთაწმიდელსაც, როგორც მისი ცხოვრების აღმწერელს სამართლიანად აღნიშნული აქვს, „უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან..; ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“-ო (იქვე, 50,4). ამ გარემოებას შეუძლებელია დამწერელის ხელზე გავლენა არ მოეხდინა. მიქელ დალალისონელი კიდევ თავისი „ფარჩხად წერის“ მიზეზად გადაჩვეულობასა და სიბერეს ასახელებს: „რამეთუ მესამესა წელიწადსა ბოსტანსა და დასასრულთა ჰასაკთასა ვიქცეოდე“-ო (ათონის კრებ., გვ. 175), — მესამე წელიწადი ყოფილა, რაც უკვე კარგა მოხუცებული მებოსტნეობაში ჩაბმულა. ცხადია, ასეთ პირობებში აღარც ხელი დაემორჩილებოდაღა და ვერც თვალიღა გაუჰრიდა ხეირიანად.

ავგაროზ ბანდაისძეს თავის გადაწერილ ხელნაწერის ანდერძში აღნიშნული აქვს: „ოდეს ვიწყე წერად (1348 წ. დაუწყია), ყრმა ვიყავ და აქა მიჭცოვნებულმან სრულ ვყავ ქორონიკონსა: მიგ:“ 1365 წელსაო (თ. ჟორდანია, Опис. II, 94). 17 წლის განმავლობაში უწერია წიგნი და, რასაკვირველია, იქ ნაწერის თვისებაცა და ღირსებაც დაწერილობის დროისდა მიხედვით განსხვავებული იქნება. ამ წლოვანებით გამოწვეული განსხვავების გარდა, მას ნაამბობი აქვს ცხოვრებისა და სულიერი მდგომარეობისათვის იმ ყოველ-

მხრივ მძიმე პირობების შესახებაც, რომელნიც მის მუშაობას აძნელებდნენ: „ღირს ვიქმენ... მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... ქელ ვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა, ქორონიკონი იყო: ლვ:", ე. ი. 1348 წ. (იქვე, II, 93). ასეთ მძიმე პირობებში კარგ დამწერელსაც შეიძლება ხალისი დაჰკარგოდა და გულმოდგინეობა დაჰკლებოდა. ის სიწყნარე, რომელიც შნოიანი წერისათვის ქართველ გადამწერლებს აუცილებელ პირობად მიაჩნდათ, ავგაროზ ბანდაისძესთანა პირობებში ნამყოფს ადამიანს ხომ შეუძლებელია ჰქონოდა.

დასასრულ, ნაწერის ვითარება თვით მომუშავის მოცლილობა-მოუცლელობასა და დაღლილობაზეც იყო დამოკიდებული. უეჭველია, წერის სისწრაფე, „სწრაფადობა კალამთა", დამწერელს საშუალებას არ აძლევდა ასოები წესიერად და ლამაზად გამოეყვანა და „განწყობით" დაეწერა. ონანა მდივანს აღნიშნული აქვს, რომ ბარამიანის გადაწერაში კალმის ისეთი სწრაფადობა გამოუჩენია, რომ „დავსწერე დღეში ერთი რვეული და მისთვის ვერ არი კაი ქელი"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 520—527).

ვეფხის-ტყაოსნის 1671 წ. ხელნაწერის გადამწერელი დაღლილობას უჩივის: „რა ქელ-ვყავ ესე წერითა ქელნი დამიშრო კალამმან, თვალნი გაშტერდეს მზერითა" (ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყაოსანი, 14).

1800 წ. ერთი ხელნაწერის დამწერი სპარსთა შემოსევის შემდგომ ტფილისიდან ლტოლვილი მოგვითხრობს; „მწირობისა ჩემისასა ქალაქსა დუშეთს.. უმეტესად მუქლთა ზედა არა სწორითა კასშათითა ვჰსწერენ კაბადონნი ამისნი (ე. ი. ხელნაწერისა) არა ქონებისათვს სახაზავისა"-ო (თ. ჟორდანია, Опис. I, 294).

ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ დანაწერის ღირსებაზე, დამწერლის პირადი მხატვრული ნიჭისა და სხვა თვისებებს გარდა, კულტურულ დონეს, დროულსა და სათანადო განსწავლულობასაც, წლოვანებას, გულდასმულობას, მოცლილობას თუ მოუცლელობით გამოწვეულ წერის სისწრაფეს და ცხოვრების ყველა ხელშემწყობ თუ შემაფერხებელ პირობებსაც გავლენა ჰქონდა. ეს გარემოება პალეოგრაფს უთარიღო ხელნაწერების მარტო ხელის მიხედვით დათარიღების დროს ყოველთვის უნდა ახსოვდეს. მას მუდამ უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ ყველა თანამედროვენი ერთნაირად არ წერენ და ერთი და იგივე ადამიანიც თავის სიყრმის, სიჭაბუკის, ხნიერებისა და სიბერის ხანაში ერთნაირი ხელის მქონებელი არ არის და თვით თავისი წლოვანების ერთსა და იმავე ხანაში მისი დანაწერი წერის პირობებისდა მიხედვით ხშირად თვალსაჩინოდ განირჩევა ხოლმე.

„კარგი მწერლისა" და „ხელოვანის" სახელის მოსახვეჭად და განთქმულობის მოსაპოვებლად ჯერ ერთი „ლამაზი" ასოების გამოყვანა უნდა სცოდნოდა მწერალს, „საჩინო ქელი" უნდა ჰქონოდა და თავისი ხელოვნების ყველა მოთხოვნილება დაეცვა. გ. მთაწმიდელის ცნობით თეოფანე ხუცესი იყო „ქელოვნებით მწერალი წიგნთა" (ცხ ი̃ესი და ეფთ̃მესი 111,3). ღვთაების 1722 წ. გუჯარში ნათქვამია: „ქელოვან ხარ... ქელითა წერასა"-ო (ისტ. საბ. I, 41).

ძველად ხელნაწერს ისეთივე მოწიწებით ეპყრობოდა პატრონიცა და დამწერელიც, როგორც ხელოვნების ძეგლს, ამიტომ მის ნაწერს სილამაზე და

შნო უნდა ჰქონოდა. საკმარისია, ადამიანმა ეტრატზე დაწერილი ძველი ქართული ხელნაწერები გადასინჯოს, რომ ეს გარემოება მისთვის ცხადი შეიქნეს.

ეტყობა, რომ საქართველოს განათლების ცენტრები ამ მხრივ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. კარგ მწერალს არამცთუ თანამედროვეთა შორის ჰქონდა ხოლმე სახელი განთქმული, მისი ნაშრომი მერმინდელი შთამომავლობისათვისაც განსაკუთრებული ნდობით იყო მოსილი და შემდეგდროინდელი გადამწერნი დიდნად სწორედ ასეთ პირთა ნამუშევარს ირჩევდნენ. აი მაგ., რა არის გელათის მონასტრის XII—XIII სს. № 25 ხელნაწერში ნათქვამი: „წიგნისა სიმართლისათჳს იჳ ნუ ვის გაქუს, პირველ დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა“-ო (XB, V, 12).

ირკვევა, რომ ძველად წერისა და დანაწერისათვის გარკვეული „კანონი“ ყოფილა შემუშავებული, როგორც ასოთა მოხაზულობა-გამოყვანისათვის, ისევე მათი „ჩასხმისა“-თვის. ამ წესების დარღვევა უკანონოდ იყო მიჩნეული და დაწერილს „უნდოდ და ჰავად“ ხდიდა. 1091 წლის ერთს ხელნაწერში დამწერელი თითონვე გულახდილად აღიარებს: „უნდოდ და ჰავად ჩხრეკისა და უკანონავად (sic) და იწროდ ჩასხმისათვის არა უმეცარ ვარ, რამეთუ არა კითხვასა, გინა ლოცვასა ღირს ვარ, არამედ წინაუკმო“-ო (ქ̃კბი I, 215). მაშასადამე, „ასოთა დასხმა“, თუ „ჩასხმა“ სტრიქონში „იწროდ“ არ შეიძლებოდა, არამედ „გაწყობით“, მძივივით ასხმულს უნდა ჰგვანებოდა. ონანა მდივანი ტყუილად არ ნატრულობდა, რომ ნეტამც იმ მწერალს, რომელმაც „სიწყნარით ასო გააწყოს“-ო. ის ნანობდა, რომ აჩქარებული მუშაობის გამო „ასო ვერ დავსხი გაწყობით, ვერც ჵე ლამაზი ანი“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 529).

რასაკვირველია, წიგნის მომგებელიცა და წამკითხველნიც მარტო დანაწერის სილამაზეს არ ეძებდნენ და არ ეტანებოდნენ, მათ თვით ამ წიგნის შინაარსი აინტერესებდათ. ამიტომ მთავარი ყურადღება ტექსტის სისწორესა ჰქონდა მიპყრობილი, რომ თხზულება უცდომელად ყოფილიყო გადაწერილი. ის ვინც ამ მხრივ ყოველ უმკაცრეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, „მწერალი უმართლესი“ ან „სიმართლითა აღსავსე“ ეწოდებოდა. ამ მხრივ ერთი საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება გელათის მონასტრის XII—XIII სს. № 25 ხელნაწერში. გადამწერს იქ ნათქვამი აქვს: „დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა, — და თჳთ რად არა წარმოგიდგინებ კაცსა მას მოჴსენებითა სახელისაჲთა, — იოანე დიაკონისა წ̃ისა დედოფლისა ბორენაჲს გაზრდილისაჲთა, რომელ მე ესრე მესმა, რომელ გიორგი ბროლასა კათალიკოს — ყოფილსა აქაჲთ მისებრი და მის უმართლესი მწერალი არ გამოსრულა ჩუენ ქართველთა ნათესავთა შინა“-ო (XB, V, 121).

როდესაც გადამწერელს სილამაზით განთქმული ხელი არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ტექსტის ზედმიწევნითი გადმოწერა იცოდა, ეს გარემოება ხელის სილამაზეზე ნაკლებ არა ფასობდა, პირიქით, უფრო მეტადაც. გელათის მონასტრის 1711 წ. № 26 ხელნაწერში, მაგ., აღნიშნულია: „დალაცათუ არა სადამე საჩინო არს ჴელი ესე, არამედ... სიმართლითა აღსავსე“-ო (XB, V, 122), ხოლო ვეფხის-ტყაოსნის 1671 წ. საქ. საისტ. საზოგ. № 757 ხელნაწერის გადამწერი კვეხულობს კიდეც: „ჴელსა მკითხველი შეატყობს, სიმართლით სხვა სჯობს წერითა“-ო (ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყაოსანი, 14).

როდესაც წიგნის შეძენის მსურველს ახალდაწერილი წიგნი უნდოდა, გადამწერელს შეუკვეთდა, ამ შინაარსის თხზულება ან კრებული მჭირდება და

მომიმზადეო. ამნაირი წიგნის შემძენელს „მ ო მ გ ე ბ ე ლ ი" ეწოდებოდა (იხ. სინას მთის მონასტრის 984, 976 და 981 წწ. ხელნაწ.). თუ საჭიროდ მიიჩნევდა ან თუ დამწერელი შესაფერის საწერ მასალას ვერ იშოვიდა, მომგებელი მასალას თვითვე შოულობდა და მიუტანდა ხოლმე. მიქელ დალალისონელს, მაგ., თავის ანდერძში აღნიშნული აქვს: ათონის 1074 წ. კრებული დავწერე „დეკანოზობასა" იაკობ მღვდელისასა, განზრახვითა მისითა... „ეტრატი იაკობ დეკანოზმან მოიღო"-ო (გვ.175). როდესაც წიგნის მომგებელს სადმე განთქმული გადამწერი ეგულებოდა, მანძილს არ შეუშინდებოდა ხოლმე. ჩვენამდის მოაღწია ერთმა საგულისხმო წერილმა, რომელიც განთქმულ მწერალ იოანეს 984 წელს სინას მთიდან წიგნის მომგებელი მიქელისათვის მიუწერია, როდესაც შეკვეთილი წიგნი შემკვეთელისათვის დამთავრებული გაუგზავნია. აი თვით წერილიცა: „ქრისტემან მომიბოძენ ჯუარი და წმიდაჲ ლოცვაჲ თქვენი, ძმაო და უფალო ჩემო მიქელ, რომელი გებრძანა, დამიწერია. მარიამ მეგჳპტელისაჲ არა ეპოვე. სხუაჲ ვერაჲ ვიცოდე, რაჲმცა დავწერე. რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხავად დავწერე, შემინდევ, არაჲ მქონდა. ყოველთა ძმათა თაყვანის ცემასა და ლოცვასა მოვახსენებ. ესე მე ადრე დავწერე, გარნა არავინ ვპოვე, ვისმცა მივსცე: ამ კჳრილესადა წარმომიცემიან. თუ რას მაწერიებდე, მიხარიან ეტრატი გიზლო"-ო (სინას მთის მონასტრ. 984 წ. ხელნაწ.). ეტყობა, მიქელს, სხვათა შორის, მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების გადაწერაც შეუკვეთია, მაგრამ იოანეს მისი ტექსტი სინას მთაზე ვერ უშოვია და იმის მაგიერ საკითხავები გადაუწერია. თუ ამაზე არ დამთანხმდები, რასაც დამაწერინებ, სიხარულით აგინაზღაურებ ამ ეტრატსაო. საგულისხმოა აგრეთვე გადამწერის ბოდიში დაგვიანებისათვის: შეკვეთილი დროისათვის დამზადებული მქონდა, მაგრამ მგზავრი არ იყო, რომ გამომეტანებინაო.

§ 4. გადამწერელთა ამხანაგობანი და თაბუნები

სათითაო გადამწერელთა გარდა ჯგუფობრივი გადამწერლობაც იცოდნენ. ქართულ ძველ ხელნაწერებში მრავალი ცნობა მოიპოვება ერთი ხელნაწერის ორი და სამი პირისაგან გადაწერილობის შესახებ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ჩვენ ერთი განსწავლულობის და სკოლის წარმომადგენლებთან გვაქვს ხოლმე საქმე, რომელთაც ამ ხელოვნების ყველა მოთხოვნილება ერთნაირად ესმით და ერთი და იმავე ხელით წერა შეუძლიათ, მაგ., ოშკ-ათონის 978 წ. დაბადების ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა წ̃ჲ ესე წიგნი ჴელითა სამთა მწერალთა[ჲთა] — მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა"-ო (ა. ცაგარელი, СПГП I, 73). ტბეთის 995 წ. სახარებაც დაწერილი ყოფილა „ჴელითა ორთა მწერალთა[ჲ]თა — დ̃თ გლახაკისათა და გლახაკისა ოქროპირისათა" (იქვე, 20). იოანე ოქროპირის სახარების თარგმანების შემცველ ათონის მონასტრის 1008 წ. ხელნაწერიც „დაიწერა მეორე ესე წიგნი ჴელითა ჩუენ ცოდვილთა — არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა" (იქვე I, 86). ამგვარი შინაარსის ამონაწერების მოყვანა ბლომად შეიძლება.

ცხადია, რომ ერთი ამ რამდენიმე გადამწერთაგანი გადაწერის ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყო და გადამწერთა ურთიერთშორის დამოკიდებულება გარკვეული წესებით იქნებოდა მოგვარებული. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ გადამწერთა ერთნაირი ამხანაგობანი უნდა ყოფილიყო. XI—XII სს., როდესაც საქართველოს კულტურულმა განვითარებამ უაღრეს

საფეხურს მიაღწია, გადამწერლების ამხანაგობათა არსებობა და საზოგადოდ ამ ხელობის ფართოდ, სავაჭრო მიზნით ერთობლივი წარმოება ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ჯერ ამ საკითხის შესასწავლად საჭირო ცნობები ამ ხანისათვის არ მოგვეპოვება. არც ის ვიცით, თუ რა სახელი ეწოდებოდა მაშინ ამგვარ გადამწერლების ამხანაგობებს. მხოლოდ XVIII ს. პირველი ნახევრის ერთ წიგნში გვხვდება ამ საგულისხმო საკითხის შესახები საყურადღებო ცნობა. ციხის გულანში სახელდობრ ნათქვამია: „მე ცოდვილმან მღვდელმან საბამ ქელ-ვყავ პატიოსნისა გულანისა ამის აღწერა ბრძანებითა პატიოსნის ნაკაშიძის ბეჟანისათა... ესე წ~ა პატიოსანი სრული გულანი ჩემის ცოდვილის ხელით დამიწერია... ამის წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა“-ო (დ. ბაქრაძე. АПГАдж., გვ. 274). „თაბუნი“ და „ასნაფი“ ერთი და იგივე სიტყვაა და XVII—XVIII სს-ში ამქრის მნიშვნელობით იხმარებოდა. აქედან ცხადი ხდება, რომ გადამწერთა ამხანაგობას „თაბუნი“ ჰრქმევია. თუ ასეთი რამ საქართველოს ამ კულტურული დაქვეითების ხანაში ყოფილა, მით უმეტეს ეს X— XII სს-ში, ჩვენი ქვეყნის კულტურული აყვავების ხანაშია საგულისხმებელი.

§ 6. გადამწერელთა შრომის ნაყოფიერება

საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება დამწერელ-გადამწერთა მუშაობის ნაყოფიერებისა და „კალამთა სწრაფადობა“-ზე. მართალია, პირდაპირი ცნობები შედარებით მერმინდელია და XVII—XVIII სს. ვითარებას გვისურათებს, მაგრამ არაპირდაპირი ძველი დროისათვისაც მოგვეპოვება და მერმინდელებთან ერთად საყურადღებო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევს XI—XII საუკუნეებისათვისაც.

ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების სიტყვებიდან ჩანს, რომ განთქმულ ხელოვან გადამწერელს თეოფანე ხუცესს თავის სიცოცხლეში დაახლოვებით 75 მოზრდილი წიგნი გადაუწერია (ამის შესახებ იხ. აქვე § 12, წიგნების ფასი). უფრო საყურადღებოა ცნობები ეფთვიმე მთაწმიდელის შრომის ნაყოფიერების შესახებ, რომელიც მისგან შექებული თეოფანე ხუცესისაზე გაცილებით უფრო ძლიერი ყოფილა. მარტო გიორგი მთაწმიდელს მის ცნობებში 60 თხზულება აქვს ჩამოთვლილი. მთლად კი ეფთვიმე მთაწმიდელს 90-მდე ნაწარმოები აქვს ქართულად ნათარგმნი და გადმოკეთებული[13]. ზოგი მათგანი დიდი თხზულებებია. თუ გავიხსენებთ, რომ ხანგრძლივი (978—1028), 50 წლის სამწერლობო მოღვაწეობა 14 წლის განმავლობაში (998—1012 წწ.)[14] სამონასტრო საქმეების მართვა-გამგეობით იყო შეწყვეტილ-შეფერხებული და ნამდვილი ინტენსიური მუშაობის წარმოება მას, მაშასადამე, მხოლოდ 36 წლის განმავლობაში შეეძლო ეწარმოებინა, მაშინ ეფთვიმე მთაწმიდელის ნაყოფიერება სწორედ რომ განმაცვიფრებელი გვეჩვენება; წელიწადში 2—3 თხზულება უთარგმნია. მის ამ მოღვაწეობას, რასაკვირველია, თეოფანე ხუცესისას ვერც კი შევადარებთ: სად მთარგმნელ-შემთხზველის შემოქმედებითი მუშაობა და სად სხვის ნათარგმნისა თუ ორიგინალური ნაშრომების გადა-

[13] პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. ისტ., I, თბ., 1941, 170—188.
[14] იქვე, 196—207.

წერა! მაგრამ ეფთჳმე ჰთაწმიდელსაც ხომ თავისი თარგმანისა და ნაწარმოებების დაწერაც უხდებოდა. მარტო ამ დაწერილობის ნაყოფიერების მხრივაც რომ შევადაროთ ეფთჳმესი და თეოფანეს შრომის ნაყოფიერება, ეფთჳმე სჯობნის. მისი ნაწერი რომ მხოლოდ იმავე საფასით შევაფასოთ, როგორითაც თეოფანესია შეფასებული, ეფთჳმე მთაწმიდელის შრომების ღირებულება 1800 დრაჰკან-დუკატს აღემატება.

აღსანიშნავია გიორგი მთაწმიდელის შრომის დიდი ნაყოფიერებაც. თავის 23 წლის სამწერლობო მოღვაწეობის დროს (1042—1065), რომელთაგან უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მუშაობა ამ სფეროში არ შეეძლო, მას 40 შრომა დაუწერია, ხან ვითარცა მთარგმნელს, ხან ვითარცა რედაქტორს, ხან ვითარცა მეცნიერს თავისი საკუთარიც. ამგვარად, თუ 17 წელიწადს ვიანგარიშებთ, ყოველ წლივ 2 ნაშრომზე მეტი გამოდის. ზოგი მათგანი დიდი წიგნები იყო და რთულ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა. რასაკვირველია, აქაც ჩვენ შემოქმედებითი მუშაობის ძეგლებთანა გვაქვს საქმე, მაგრამ, მარტო წერითი პროცესის მხრითაც რომ მივუდგეთ საკითხს, შრომის დიდ ნაყოფიერებასთან გვაქვს საქმე, მეტადრე თუ ამავე დროს გიორგი მთაწმიდელის მრავალფეროვანს, ინტენსიურ მოღვაწეობას მონასტერსა და გარეთაც გავიხსენებთ.

ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის დამწერელი ონანა მდივანი თავის ანდერძში თავმოწონებით ამბობს: „დღეში ერთი რვეული დავსწერი ოთხმოცდათექვსმეტი ლექსი, რომე მრავალთა ნახიან სწრაფადობა კალამთა ჩემთა"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 527). ერთი რვეული 16 გვერდს შეიცავდა და ონანა მდივნის სიტყვებიდან ჩანს, რომ დღეში 16 გვერდის (30,5×20,5 სანტ.) დაწერა უკვე „კალამთა სწრაფადობად" ითვლებოდა. მაშასადამე, ჩვეულებრივ დამწერი ამაზე გაცილებით ნაკლებ ნაყოფიერებას იჩენდა და ნაკლების დაწერას ასწრებდა.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების ვეფხისტყაოსნის 1646 წ. № 99 ხელნაწერის გადამწერს ნათქვამი აქვს: „ვიწყე ესე... „ვეფხის-ტყაოსანი" თიბათვისა ცამეტსა, სრულ [ვყავ ათ]რვამეტსა აგვისტოსა ქ~კსა სამას ოცდათოთხმეტსა, [თუ] რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაში ვსწერდი. ეს წიგნი ოცდაცხრა რვეული არის"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 570). ამგვარად, ვეფხისტყაოსნის გადაწერა 13 თიბათვეს, ანუ ივლისს[15] დაწყებულა და 18 აგვისტოს დამთავრებულა. სულ 35 დღე გამოდის და ამ ხნის განმავლობაში 29 რვეული, ანუ 464 გვერდი დაუწერია. თუ გადამწერმა ყოველდღე, კვირა-უქმეებსაც იმუშავა, მაშინ დღეში 13 გვერდზე ცოტა მეტი დაუწერია. მაგრამ თუ გადამწერი კვირა-უქმეებს მტკიცედ იცავდა, მაშინ მისი ნაყოფიერება თითქმის ონანა მდივნისას უდრის და დღეში 15 გვერდი (28×20 სანტ.) გამოდის.

ციხის გულანის ანდერძში მის XVII—XVIII სს. პირველი ნახევრის გადამწერელს საბა მღვდელსაც აღნიშნული აქვს: „ღმთაების გულანი ჩავიგდე კელთ, მარტომან გავაკეთე, ისიც თვრამეტს წელიწადს განვასრულე"-ო (დ. ბაქრაძის АПГА, გვ. 274). დ. ბაქრაძის სიტყვით, აქ აღნიშნული ღვთაების გულანი შემოქმედის გულანი უნდა იყოს (იქვე, 275). ხოლო, ამავე მკვლევარის

[15] ს. ორბელიანის სიტყვით (ლექსიკ. იხ. „თიბისა" და „თთვე"), მაგრამ ახლა ივნისს. თუ ივნისად მივიღებთ, 66 დღე იქნება და დღეში 7—8 გვერდი გამოდის.

სიტყვით, შემოქმედის გულანი 1004 სქელ ქაღალდის ფურცელს შეიცავს და 2 ფუთს იწონის, მრავალი სურათებითაც არის შემკული. ღ. ბაქრაძე ამბობს, თითქოს ციხის გულანში საბა მღვდელს ნათქვამი ჰქონდეს, რომ მე და ჩემმა თაბუნმა ამ გულანზე 18 წელიწადს ვიმუშავეთო (იქვე, 150). მაგრამ თვით საბა სულ სხვას მოგვითხრობს და განსვენებულ მკვლევარს აქ შეცდომა მოსვლია. საბას ჯერ ნათქვამი აქვს: „ამის (ე. ი. ციხის გულანის) წერაშიდ (sic) ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა. კიდევ ღმთაების გულანი ჩავიგდე ჴელთ, მარტო გავაკეთე, ისიც თვრამეტს წელიწადს განვასრულე“-ო (იქვე, 274). აქედან ცხადია, რომ საბა მღვდელს შემოქმედისა და „ღმთაების გულანი“ სხვადასხვა წიგნებად აქვს აღნიშნული და ბაქრაძის აზრი გულანის ამ ორი სახელის იგივეობის შესახებ თვით ამ ძეგლების გადამწერის მკაფიო ცნობას ეწინააღმდეგება. ამას გარდა, მას გარკვევითა აქვს აღნიშნული, რომ შემოქმედის გულანი მან და მისმა „თაბუნმა“ გადაწერა, ე. ი. რამდენიმე თანამშრომელი ჰყოლია ამ წიგნის გადაწერის დროს, და ეს გარემოება თვით შემოქმედის გულანის მინაწერ-ანდერძის ცნობებითაც მტკიცდება (იქვე, 149—150). „ღმთაების გულანი“ კი მე მარტომ გავაკეთე“-ო, უთანამშრომლებოდ უწერია და სწორედ ამ გულანზე ამბობს, რომ 18 წელიწადს დავამთავრეო. ეს გარემოება ისედაც საფიქრებელია, რადგან მრავალი გადამწერის თანამშრომლობას ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა, ეს წიგნი ამდენ ხანს რომ ეწერათ: თანაშემწენი, ცხადია, საქმის დასაჩქარებლად უნდა ყოფილიყვნენ მიწვეულნი.

რაკი „ღმთაების გულანი“ არა ჩანს, მის სიდიდეზე დაახლოებითი მსჯელობა შემოქმედის გულანის მიხედვით შეგვიძლია, რადგან მათი შინაარსის იგივეობა ამ ხელნაწერთა ერთტანიანობას გულისხმობს. შემოქმედის გულანი კი 1004 ფურცლიანი, ანუ 2008 გვერდიანი დიდი ტანის წიგნია. თუ ეს რაოდენობა საბა მღვდელს 18 წლის განმავლობაში დაუწერია, გამოდის, რომ წელიწადში მას ორთაშუა რიცხვით 111-გვერდზე ცოტა მეტი ($^5/_9$) უწერია, უნდა გავიხსენოთ, რომ საბას ვითარცა ხუცესს თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულება უხდებოდა; ამისთვისაც ცოტა დრო არ დასჭირდებოდა და სრულებით მოცლილი არ იყო, რომ განუწყვეტლივ „ღმთაების გულანის“ გადაწერაზე ემუშავნა. შესაძლებელია, შემოქმედის გულანივით ისიც დასურათებული ყოფილიყო და მაშინ ამავე დროს მას ხატვაც მოუხდებოდა. როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, ამ გულანის გადაწერის დროს კიდევ სხვა ორი გულანის გადაწერა-შემზადებაშიაც მიუღია მონაწილეობა და ამისთვისაც დრო დასჭირდებოდა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო საბა მღვდლის ზემომოყვანილი ცნობა, რომელიც დღეში დაახლოებით $^1/_3$ გვერდის გადაწერას გვაგულისხმევინებს, გადამწერელთა შრომის ჩვეულებრივი ნაყოფიერების გამოსარკვევად დამახასიათებელი და გამოსაყენებელი არ არის, მაგრამ საყურადღებოა თვით ნაწერის თვისებათა გასარკვევად და დასაფასებლად.

იგივე უნდა ითქვას ავგაროზ ბანდაისძის 17 წლის განმავლობაში გადაწერილი 500 გვერდიანი ეტრატის დიდტანიანი (34×24 სანტ.) წიგნის შესახებ ცნობაზეც, რომლის მიხედვითაც ავგაროზის ნაყოფიერება წელიწადში 29 გვერდს ძლივს სცილდება. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც გადამწერს განუწყვეტლივ არ უნდა ემუშავნა და მისი გადამწერლობის ხანგრძლივობაც ამით

უნდა იყოს გამოწვეული. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას თეოფანე ხუცესისა, ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელების შესახები ცნობები ცხადყოფენ. ავგაროზ ბანდაისძესა და საბა მღვდელსავით მათაც რომ თითო მოზრდილი ხელნაწერი 17—18 წლის განმავლობაში ეწერათ, მაშინ მათ ნამუშევარს საუკუნეები მოუნდებოდა.

1715. წ. ფსალმუნის ხელნაწერის გადამწერელი გვაუწყებს: „ვიწყე წმიდაჲ ესე დავითი დღეთა ზატიკისათა, მენელსაცხებელთ კჳრიაკისა წინადღით, შაბათს, და სრულ ვყავ შობითგან ბრმის კჳრიაკის წინადღით, შაბათს, დღესასწაულსა წ͠ა მეფეთა კოსტანტინე და ელენესთა ჯვრის გამოჩენასა"-ო (მ. ჯანაშვილი, Опис. III, 193). რაკი ხელნაწერი 225 ფურცელს, ანუ 450 გვერდს შეიცავს, დღეში 20 გვერდი უწერია, თუ კჳრაობითაც უმუშავნია, თუ არა და 23 გვერდი, მაგრამ პატარა ტანისა (9,9×6,9 სანტ.).

გელათისეული გულანის ხელნაწერში აღნიშნულია: „ვიწყეთ წერად ამისა ქ͠კსა ტ͠მა (=1653 წ.) და სრულ იქმნა წელიწადსა ორსა, ქ͠კსა ტ͠მგ"-ო (=1655 წ.; თ. ჟორდანია, Опис. II, 202). თ. ჟორდანიას ცნობით ეს დიდი ტანის (44×28 სანტ.) წიგნი ამჟამად 1161 ფურცელს შეიცავს, მაგრამ შუაში ბევრი ფურცლები ჰკლებია (იქვე, გვ. 192—193). რადგან დანაკლისის რაოდენობა თ. ჟორდანიას ზედმიწევნით აღნიშნული არა აქვს, დაახლოებით, რომ გულანის ფურცლების თავდაპირველი რიცხვი 2000-ად ვიანგარიშოთ, დიდი შეცდომა არ იქნება: თვით დამწერელს აქვს აღნიშნული, რომ ამაზე სრული წიგნი საქართველოში არ მოიპოვებაო, 2 წელიწადის დღეთა რიცხვს რომ 12 მთავარი დღესასწაულისა და კვირა დღეები გამოვაკლოთ და 610 საშუალო დღე ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ დაახლოებით დღეში 6½ დიდტანიანი გვერდი დაუწერიათ.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებათა 1785 წ. გადამწერელს მიხაელ ხუცეს-დეკანოზს კიდევ ნათქვამი აქვს: „მოვყევ წერად თთუჱსა აპრილსა: ი͠ე: (15) და გავასრულე მთიბათჳს: დ: (4), რომელ იქნება დღე ორმოცდაათი"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 678). ამ ხელნაწერში სულ 408 გვერდია 30×20,5 სანტ. ზომისა. რაკი თვით გადამწერელი 50 დღეს ანგარიშობს, ისე გამოდის, რომ დღეში 8 გვერდი უწერია.

ამგვარად, საბა მღვდლისა და ავგაროზ ბანდაისძის ცნობებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ონანა მდივნის, ეფხისტყაოსნის, ფსალმუნისა და სხვა ხელნაწერების ანდერძებიდან ამოღებული ზემომოყვანილი ამონაწერებით ირკვევა, რომ კარგი და სწრაფი გადამწერი დღეში 20—23 პატარა ტანის (9,9×6,9 სანტ.) გვერდის, 13—16 მოზრდილი (30,5×20,5 სანტ.) გვერდისა და 6—8 დიდი ტანის (44×28, ან 30×20,5 სანტ.) გვერდის დაწერას ახერხებდა. თუ გავიხსენებთ, რომ მაშინ ხელნაწერი ლამაზი და გარკვეული, თანაც თავიდან ბოლომდე ერთნაირი ხელით უნდა ყოფილიყო დაწერილი, გადამწერელის ამოდენი ნაყოფიერება მისი მართლაც თვალსაჩინო კალმის სწრაფადობად უნდა იქნეს მიჩნეული. ისედაც დიდხანს დღეში 16 გვერდის შნოიანი, კაიხელადი წერა ადვილი საქმე არ არის. ჩვეულებრივ, როგორც დავრწმუნდით, ამაზე ნაკლებს აწრებდნენ 13—15 გვერდამდე, უეჭველია ამაზე უფრო მცირე რაოდენობის ნაყოფიერებაც უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ხელნაწერი განსაკუთრებული სილამაზით უნდა ყოფილიყო დაწერილი.

§ 6. ხელნაწერის შემადგენელი ნაწილები

ყოველ ცალკე ხელნაწერს, დანიშნულებისა და შინაარსისდა მიუხედავად, „წ ი გ ნ ი“ ეწოდებოდა. „მოიღო წიგნი იგი შჯულისა“ (გამოსლ. 24,7) ქართული თარგმანისა ბერძნულს τὸ βιβλίον τῆς διαθήκης და ლათინურს librum testamenti-ს უდრის. იერემიას წინასწარმეტყველების წინადადებათა „მოიღენ წიგნი სხუაჲ და დაწერეთ ყოველნი ესე სიტყუანი მყოფნი ქარტასა შინა... თქუა უფალმან „შენ დასწუ ქარტაჲ ესე“-ს (36, 28-29) სიტყვები „წიგნი“ უდრის ბერძნულად τὸ χαρτίον „ტო ქარტიონ“-ს, ლათინურს volumen-ს და სომხურს Քարտէս „ქარტეს“-ს. ხოლო „ქარტაჲ“-ც ამავე ბერძნულ-ლათინური ტერმინების შესატყვისობას წარმოადგენს.

როგორც „ბჳბლოს“ და „ბიბლიონ“, ისევე „ქარტეს“ ბერძნულად ჰილის მცენარეს ეწოდებოდა, რომლისაგანაც საწერი მასალა, ჰილი, პაპირუსი კეთდებოდა[16].

საწერი მასალის შესახებ საუბრის დროს (თავი II, § 1) საბა ორბელიანის განმარტება იყო მოყვანილი, რომ „ვივილოსი არს მაღალი და მრგვალი ჰილი“. ამ ცნობაში ნახმარი სიტყვა „ვივილოსი“ ბერძნული „ბჳბლოს“-ის შესატყვისობაა მხოლოდ საშუალო საუკუნეებისა და ახალი ბერძნული გამოთქმით. ეს უკანასკნელი გარემოება ცხადყოფს, რომ „ვივილოსი“ ტერმინად არ შეიძლება ქართულში IX—X სს-ზე უწინარეს იყოს შემოსული. ამ დროისათვის კი ჰილი ვითარცა საწერი მასალა უკვე ქრებოდა. ს. ორბელიანის ეს ცნობა მხოლოდ იმ მხრივაა საგულისხმო, რამდენადაც ირკვევა, რომ ამ ბერძნული სიტყვის პირვანდელი აზრი ქართულ მწერლობასაც სცოდნია. შემდეგ ბჳბლოსისა და ქარტეს-ის მნიშვნელობა ერთიმეორისაგან განსხვავდა და ქარტესი საწერი მასალის აღმნიშვნელი შეიქნა, ბჳბლოსი კი თვით დანაწერის, ხელნაწერი წიგნისა. იერემიას ზემომოყვანილ ქართულ თარგმანში ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ასევეა განსხვავებული. მერმე, რადგან ხელნაწერები ჰილის გრაგნილზე იწერებოდა, ბჳბლოსს და ბიბლიონს გრაგნილის მნიშვნელობა მიენიჭა[17]. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ლათინურ liber-სა და volume-საც[18].

ქართული „წიგნის“ პირვანდელი გრაგნილის აღმნიშვნელობის ნაშთად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართულად ყოველგვარ საბუთებს „წიგნი“ ეწოდებოდა. ამის დამამტკიცებელი მრავალი ცნობა ჩემს ქართულ სიგელთმცოდნეობასა, ანუ დიპლომატიკაშია მოყვანილი და ამიტომ აქ ამაზე სიტყვის გაგრძელება აღარა ღირს. ორიოდე მაგალითს მოვიყვან მხოლოდ იმას დასამტკიცებლად, რომ ბერძნული „ქარტეს“-ის ქართული შესატყვისობა „ქ ა რ ტ ა ჲ“ მარტო ნათარგმნ ძეგლებში კი არ გვხვდება საწერი მასალის მნიშვნელობით, არამედ ნამდვილ ქართულ თხზულებებშიაც. არსენი კათალიკოსი ზედაზნის მონასტრის წინამძღვარს, მიქაელს, საპასუხო წერილში ატყობინებდა: „ქარტაჲ იგი წულილი, რომელ წარმოგეძღუნა ჩუენდა, [წარვიკითხეთ]. რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაზნელისანი... გამოვიკითხეთ“-ო (იხ. ჩემი

---

[16] Th. B i r t, Kritik und Hermeneutik nebst Abriss des antiken Buchwesens, 1913, გვ. 264.

[17] იქვე, გვ. 264, 273.

[18] იქვე, გვ. 273, 274.

ისტორიის მიზანი, I², 7). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც რიტორული გაზვიადებით ნათქვამი აქვს: „რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს“ იმ დავლის აღნუსხვა, რომელიც დიდებული მეფის ძლევამოსილ ლაშქარს ბრძოლის შემდგომ ხელთ ჩაუვარდაო (ც˝ა მფ˝სა დ˝თსი* 500, გვ. 307). ეს ორი ამონაწერიც საკმარისია, ვგონებ, დასარწმუნებლად, რომ X—XII სს-ში „ქარტაჲ“ საქართველოში საწერი მასალის ჩვეულებრივი აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა.

დახვეული საწერი თუ დაწერილი მასალისათვის განსაკუთრებულ ტერმინად „გ რ ა გ ნ ი ლ ი“ იხმარებოდა. გრაგნვა და შეგრაგნვა დახვევასა და შეხვევას ეწოდებოდა და, ამიტომ, გრაგნილი მარტივად დახვეულს ნიშნავდა. ესაჲას 8, 1-ში წერია: „თქუაჲ უფალმან ჩუენმან: „მოიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა დიდისა და დაწერე მას ზედა საწერლითა“-ო. ამ წინადადებაში „ქარტაჲ“ საწერ მასალას ნიშნავს, გრაგნილი კი მის გარეგან მოყვანილობასა და სახეს, მის დახვეულობას ახასიათებს. ბერძნულად აქ ნახმარია **τόμος** — „ტომოს“, ლათინურად tomus. ორივე სიტყვა თავდაპირველად „ნაჭერს“ აღნიშნავდა, მაგრამ ჩვეულებრივ ერთი ნაჭერი, ერთი ცალი გრაგნილის მნიშვნელობითაც იხმარებოდა ხოლმე[19].

რაკი „წიგნი“ გრაგნილს წარმოადგენდა, ამიტომ მისი გახსნა ნამდვილად გრაგნილის გაშლას უდრიდა. ამ მოქმედების გამოსახატავად იხმარებოდა სიტყვა „გ ა ნ ყ ო ფ ა ჲ“. სახარებაში წერია: „მისცეს მას წიგნი ესაჲა წინაწარმეტყუელისაჲ, აღდგა და განყო წიგნი იგი კითხვად და პოვა ადგილი რომელსა წერილ იყო“ (ლუკა 4, 16-17). ბერძნულ ტექსტში ნახმარია ზმნა **ἀναπτύσσειν**, ლათინურად plicare, explicare, სომხურად ***[illegible]***, რომლის აწმყოა ***բանամ***, რაც ყველა გრაგნილის გაშლასა აღნიშნავდა (ბერძნული და ლათინური ტერმინის შესახებ იხ. Th. Birt, K. u. H. გვ. 272). რა ეწოდებოდა ძველად გრაგნილის შეხვევას, არა ჩანს.

საწერ მასალად ეტრატის შემოღებამ დიდი, შეკეცილ-აკინძული წიგნების შემზადებაც შესაძლებელი გახადა და წიგნს ის სახე მისცა, როგორც ჩვენ ახლა ჩვეულებრივ გვეხატება. წიგნი შედგებოდა რვეულებისაგან. „რვეული“ ბევრგან გვხვდება. სინას მთის განთქმულ გადამწერს იოანესაც თავის 984 წ. წერილში ნათქვამი აქვს: თქვენი შემოკვეთილი წიგნის გადაწერის დროს „რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხავებად დავწერე“-ო (სინას მთის ხელნაწერი). ონანა მდივანს თავის დაწერილი ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის შესახებ აღნიშნული აქვს: „დავსწერე დღეში რვეული ერთი“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 520—27). ვეფხისტყაოსნის 1646 წ. ხელნაწერის ანდერძშიაც ნათქვამია: „ესე წიგნი ოცდა ცხრა რვეული არის“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 570), ხოლო 1671 წ. ხელნაწერში წერია: „ესე წიგნი არის რვეულად“-ო (ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყაოსანი, 16). რვეული კიდევ შეიცავდა ფურცელთა გარკვეულ რაოდენობას. ჯვარის მონასტრის № 77 ხელნაწერში ნათქვამია: „მე სულითა საწყალობელი... გ˝ი ღირს მყო მოგებად წ˝თა ამათ მარხვანთა დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუეობით გამოსვლისა ხუარაზმელთაგან. ესე ყ˝ლთა შემდგომითი-შემდგომად მოგეთხრას მაშინდელი ყოველთა ქრისტიანეთა ჭირნი და განსაცდელნი, ოკრებანი მონასტერთანი და ეკლესიათანი, რომელ არასა-

---

[19] Th. Birt, Kritik und Hermeneutik, 274.

და დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი“-ო (ა. ცაგარელი, СПГП II, § 77). ვეფხისტყაოსნის 1646 წ. ხელნაწერში აღნიშნულია: „წიგნი ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორა[ს ოცდა თო]რმეტი“-ო[20], ხოლო 1871 წ. ხელნაწერში იკითხება: „ეს წიგნი არის რვეული ლდ (34) და ფურცელი სო[ბ][21]“.

„რვეული“, ცხადია, რვისაგან არის წარმომდგარი იმგვარადვე, როგორც შვიდეული შვიდისაგან. ვისაც ქართული ხელნაწერების აღწერილობაზე უმუშავნია, მას ეცოდინება, რომ რვეულები ჩვეულებრივ მართლაც რვა ფურცელს, ანუ 16 გვერდს შეიცავს ხოლმე. ამასვე ადასტურებს 1671 წ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ზემომოყვანილი ცნობაც: თუ იქ 272 ფურცელი იყო. ხოლო რვეულებად 34, მაშ, თითო რვეულში სწორედ 8 ფურცელი ყოფილა. ამავე გარემოების გამო, რაკი 1646 წ. ხელნაწერში 29 რვეული ყოფილა, ცხადია, იქ 232 ფურცელი უნდა ყოფილიყო და არა 272, რომელიც უნაშთოდ არც კი იყოფა.

ფ უ რ ც ე ლ ს ორი მხარე აქვს, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი ჰქონდა. უკანა მხარეს ფურცლის „ზ უ რ გ ი“ ჰრქმევია. კორიდეთის სახარების ბეშქენის ერთ მინაწერში ნათქვამია: „ამას ზურგით... პაპისა ჩემისა კელითა დაწერილ არს“-ო[22]. რა ეწოდებოდა ფურცლის წინა მხარეს, ჯერ არა ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ „ზედა პირი“ ერქმეოდა.

ქართულ ხელნაწერებში ფურცლების რიცხვის აღნიშვნა მიღებული არ იყო და სათვალავი რვეულების მიხედვით სცოდნიათ. თითოეული რვეულის პირველი ფურცლის პირზე რიცხვი არის აღნიშნული, ზოგჯერ ეს რიცხვი რვეულის უკანასკნელი ფურცლის ზურგზეც არის ხოლმე გამეორებული.

ყოველი გრძელი გრაგნილი ერთი მეორეზე გადაკერებული, ან მიწებებული ფურცლებისაგან შედგებოდა. ამ ცალ-ცალკე ფურცლებს თავისი სახელი ჰქონდა და „კეფი“ ეწოდებოდა. იერემიას 36, 23-ში ნათქვამია: „აღმო-რა-იკითხის იუდა სამი კეფი, ანუ ოთხი, მოჰკუეთდის მათ საჭრელითა მწიგნობრისათა“-ო. ბერძნულ ტექსტში ქართული კეფის შესატყვისად ნახმარია σελίδας და ლათინურში pagellas, სომხურში էջ — „ეჯ“. საბა ორბელიანმაც იცოდა, რომ „წერილთა ფურცელთა ეწოდების კეფი“ (ლექსიკ., იხ. კაბადონის ქვეშე). მართლაც, ბერძნული σελίς „სელის“ და ლათინური pagina და pagella გრაგნილის ფურცელსა ნიშნავდა[23]. რადგან „კეფი“ დაბადების ქართულ თარგმანშია ნახმარი, ძველი ტერმინი უნდა იყოს. ფურცელი შედარებით უფრო ახალი ჩანს. მაგრამ მათ შორის არსებულ განსხვავებას, ვგონებ, ის უნდა შეადგენდეს, რომ კეფი გრაგნილის შემადგენელ ფურცლებს ეწოდებოდა, ფურცელი ხელნაწერის რვეულთა ნაწილის სახელი იყო.

---

[20] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (Опис. II. 570) და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს (ვეფხისტყ. 10) ეს დაზიანებული რიცხვი ასე აღუდგენიათ: „ორა[ს სამოცდა თო]რმეტი“, მაგრამ ასე აღდგენა არ შეიძლება, რადგან 272 არ იყოფა 29-ზე უნაშთოდ, რვეულებიც 9 გვ-ნი გამოდის. თუმცა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით ეხლა ხელნაწერში 247 გვერდია, ე. ი. იმ რიცხვზე მეტი, ვიდრე ჩვენ აღდგენილში არის, მაგრამ ეს ამ ხელნაწერის შეკეთების დროს სხვა ქაღალდზე დანაწერი ჩართული ფურცლებით აიხსნება (იხ. Опис. II, 570).

[21] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს 270 აქვს (ვეფხისტყ., 16). 270 უნაშთოდ არ იყოფა 34 რვეულად და ამიტომ რიცხვი სწორი არ არის.

[22] Н. Марр. Грузин. приписки греч. Евангелия из Корндин. ИАН. 1911, გვ. 227.

[23] Th. Birt, K. u. H. 269 და 297.

კეფისა, თუ ფურცლის ზედა და ქვედა პირს ახლა გვერდებს ვუწოდებთ, მაგრამ ამ სიტყვას ძველად სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონია. საბა ორბელიანის სიტყვით, „ფურცლისა ცალსა პირსა — კ ა ბ ა დ ო ნ ი, ხოლო ნახევარსა კაბადონისასა — გ ვ ე რ დ ი“ ეწოდება (ლექსიკ., იხ. კაბადონის ქვეშე). ამჟამად XVIII ს.-ზე ადრინდელი ძეგლი ხელთ არა მაქვს, რომელშიაც ტერმინი კაბადონი იყოს ნახმარი, მაგრამ თვით სიტყვა ძველია და მომავალში ამაზე უფრო ადრინდელი ძეგლებიდანაც შესაძლებელი იქნება ამონაწერების მოყვანა. 1800 წ. ერთს ხელნაწერში აღნიშნულია: „უმეტესად მუკლთა ზედა... ვჰსწერენ კაბადონნი ამისნი“-ო (თ. ჟორდანია, Опис. I, 293).

მაშასადამე, ირკვევა, რომ იმას, რასაც ახლა გვერდს ვუწოდებთ, ძველად კაბადონი რქმევია, ხოლო გვერდები მაშინ ფურცლის ზედა და ქვედა პირზე, ერთ გვერდზე ორ სვეტად ნაწერის სვეტებს ეწოდებოდა და გვერდი სწორედ „ნახევარს კაბადონისას“, ანუ ერთს სვეტს აღნიშნავდა...

დაწერილ ტექსტს საწერ მასალაზე, გრაგნილის სახით თუ შეკრული წიგნის სახით იყო იგი წარმოდგენილი, ყოველთვის შუაგული ეკავა და ოთხივე მხრით თანასწორზომიანი დაუწერელი ზოლი იყო ხოლმე დატოვებული. ნაწერი ან მთლიანი იყო, ან ორ და ზოგჯერ უფრო მეტ „გვერდად“, ანუ სვეტად იყო ხოლმე გამოყვანილი. როდესაც ტექსტი სვეტებად იყოფებოდა, მაშინ სვეტებს შუაც, რასაკვირველია, დაუწერელი ასწვრივი ზოლიც იყო ხოლმე დატოვებული. ასეთი ტექსტის ოთხივე მხრით დაუწერელ ზოლებს ძველად „კიდე“ ეწოდებოდა. ეფრემ მცირეს ერთ თავის თხზულებაში ნათქვამი აქვს: ჩემი განმარტებანი „უკეთუ... უქმდეს... კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა, თავსა წიგნისასა დავწერო. ამისთჳსცა ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილსა... შიგნით გარეშით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ“-ო ქ῀კბი I, 217). მაშასადამე, ტექსტი შეიძლება ან „შიგნითი დანაწერი“-ს სახით, ან „კიდეთა წარწერილი“ ყოფილიყო.

შემდეგში ქართულ მწერლობაში „კიდეს“ მაგიერ ტერმინად „არშია“ შემოდის. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს 1779 წ. გადაწერილი წიგნის ანდერძში წყევლა-კრულვა აქვს იმათთვის, ვინც „უბრალოთ არშიაზე ბღარჯვა დაუწყოს“ (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 553).

ძეგლებში გვხვდება აგრეთვე ტერმინები „ს ტ ი ქ ო ნ ი“, „ს ტ რ ი ქ ო ნ ი“ და „ტ რ ი ქ ო ნ ი“. ეფრემ მცირეს თავის თხზულებაში „განწესებაჲ თავთაჲ წ῀თა მოციქულთა საქმისაჲ“ აღნიშნული აქვს: „ესევითარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალებიან, კიდესა სტიქონისასა იოტაჲ დამისუამს და შინა სიტყუას წინაჲა ესევითარად უსაკუთრესი [II] ესრეთ. აწ უკუეჲ სა[დაცა] კიდესა სტიქონისასა, ანუ სიტყუასა ზედა იოტაჲ ჰჳოო და სიტყუასა თანა უსაკუთრესი, ცან ვითარმედ მცირედ ცვალებაჲ ჰნებებია მას სიტყუასა“-ო (იერუსალ. ხელნაწ. № 25; № 38 ალ. ცაგარელის აღწერილობით, ნ. მარის გადმონაწერიდან). ცხადია, „სტიქონი“ აქ ნაწერის ერთ ხაზს ნიშნავს და ბერძნულ στίχος — „სტიქოს“-ისაგან არის წარმომდგარი. ეს სიტყვა ბერძნულადაც ხაზს, მწკრივს, პოეზიაში ერთ ლექსს აღნიშნავს.

ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის დამწერს თავის ანდერძში აღნიშნული აქვს: აქა-იქ „ტრიქონი მოფხეკილი და მეორედ გაკეთებული არის... მრავალგზის მოფხეკილი ტრიქონი ამისთვის მოვიდა, რომ მას უკან გავაკეთე“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 527). არჩილიანშიც ნათქვამია: „ხუთი ლექსი და

ათი სტრიქონი იამბიკო"-ო (იქვე, II, 162). ს. ორბელიანის განმარტებით „ტრიქონი წერილთ ნაწერთ რიგი"-ა (ლექსიკ.). მაგრამ ამავე მეცნიერს მიეპოვება სიტყვა „სტრიხონი"-ც, რომელიც მისი განმარტებით „სტრიქონი" არის (ლექსიკ.). ზემომოყვანილი ამონაწერების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ზეპირად შეთვისებული ბერძნული სიტყვა „სტიქოს", ანუ „სტიხოს" ქართულად ჯერ „სტიქონ"-ად, ან „სტიხონ"-ად ქცეული, შემდეგ „სტრიქონ"-ად და „სტრიხონ"-ად გამხდარა, რომელსაც მერმე თავკიდური „ს"-ანიც მოსცილებია და „ტრიქონ"-ად შექმნილა. ყველა ამ სიტყვას ნაწერის ერთი ხაზის მნიშვნელობა ჰქონდა.

„სტიქონ"-ს კიდეები აქვს: ეფრემ მცირე პირდაპირ ამბობს — „კიდესა სტიქონისასა იოტაჲ დამისუამს"-ო. რაკი იყო „კიდეჲ სტიქონისაჲ", მისი შუანაწილის აღმნიშვნელი ტერმინიც იქნებოდა.

დასასრულ, ყოველ წიგნს ჰქონდა წიგნის „თ ა ვ ი" და „ბ ო ლ ო". ონოფრე მაჭუტაძეს დავით გარეჯის 1712 წ. გუჯარში ნათქვამი აქვს: „წიგნი სწავლისა — თავს წმინდის დავითის ცხოვრება უწერია"-ო (თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, 58).

§ 7. წიგნის შემზადება

წიგნი რომ წასაკითხავად სახმარებელი გამხდარიყო, ამისათვის დიდი მუშაობა „მ უ შ ა კ ო ბ ა ჲ" იყო საჭირო. მთელ ამ, წიგნის შესაქმნელად საჭირო მუშაობას „წიგნისა შემზადებაჲ" ეწოდებოდა. ეფთჳმე მთაწმიდელის თარგმნილი გრიგოლის ცხოვრების მინაწერში ნათქვამია: „არსენი ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერალისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელისძისათჳს, რომელმან დიდითა წადიერებითა იხარკა ამის წიგნისა შემზადებაჲ", ლოცვა ბრძანეთო (ქ˜ძი I, 166).

დამწერელობა სხვადასხვა თვისების მუშაობას მოითხოვდა იმისდა მიხედვით, თუ რა დანიშნულება ჰქონდა წიგნს: მხოლოდ თავისთვის უნდოდა იგი, თუ სხვათა წასაკითხავადაც, მხატვრული წერილობითი ძეგლი უნდა ყოფილიყო, თუ წიგნის პატრონს მხოლოდ მისი შინაარსი აინტერესებდა, თითონვე წერდა მას, თუ სხვას შეუკვეთდა და დააწერინებდა, დასასრულ, ორიგინალური ნაწარმოების ან მთარგმნელის საკუთარი ხელით პირველად დაწერილი ნაშრომი იყო, თუ გადაწერილი.

რაკი კარგი და ლამაზი ხელით წერა ყველას არ შეეძლო, ავტორის ავტოგრაფი, რასაკვირველია, ისეთი ხელოვნებით დაწერილი ვერ იქნებოდა, როგორიც დახელოვნებული და განთქმული გადამწერლისას მოეთხოვებოდა. ეს გარემოება რომ ძველი ქართული მწერლობისათვისაც ანგარიშსასაწევი იყო, ამის დამადასტურებელი ცნობები ქვემოთ არა ერთი შეგვხვდება.

ყოველი დამწერელის, ავტორისა თუ მთარგმნელის საკუთარი ხელით ნაწერს, ავტოგრაფს ძველ საქართველოში „ნ უ ს ხ ა ჲ" ერქვა. მაგ., ეფთჳმე მთაწმიდელის ნათარგმნი თეოდორეს ცხოვრების ბოლო მინაწერში ნათქვამია: „ჴელითა გლახაკისა და ცოდვილისა ეფთჳმესითა... ითარგმნა წამებაჲ წ˜ისა თეოდორესი დასაბამითგანთა წელთა ხ˜ფკა (6521 = 1013 წ.) მთასა ათონას... ესე ზემოწერილნი სიტყუანი სიმდაბლითა სავსენი თვით ნეტარისა მამისა ეფთჳმეს

თავისა ნუსხასა ეწერა...ეგრეთვე აღვწერე სიმდაბლე მათი“-ო (ქ˝კბი I, 166). გადამწერს სურდა მკითხველისათვის აეხსნა, რომ ზემომოყვანილ სტრიქონებში ეფთჳმე მთაწმიდელის შესახებ ნახმარი გამონათქვამი „გლახაკისა და ცოდვილისა“ მას კი არ ეკუთვნის, არამედ თვით მთარგმნელს, ეფთჳმეს, რომელსაც თავდაბლობით თავის თავზე ასე დაუწერია. რადგან მისი საკუთარი ხელით დაწერილს დედანში, „ნუსხასა“ ასე ეწერა, მეც მისი ანდერძი ასევე უცვლელად გადმოვწერეო.

ეფთჳმე მთაწმიდელის საკუთარი ხელით დაწერილ მათეს თავის სახარების თარგმანებაშიც ნათქვამია: „გევედრებით ყოველთა, რომელნი ამას წიგნსა სწერდეთ, ესე ანდერძი დაუკლებლად თანა დაწერეთ. ვინ არა დაწეროს, დიდსა ბრალსა თანამდებ არს: აღესრულა ესე ნუსხაჲ თარგმანებისა მათეს თავისაჲ ჴელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ეფთჳმესითა“-ო (ქ˝კბი I, 139). გიორგი მთაწმიდელსაც თავის თხზულებაში მოყვანილ ცნობათა სიმართლის დასამტკიცებლად აღნიშნული აქვს: „ესე ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმესა ჴელთა ნუსხისაგან დაგჳწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ“-იო (ც˝ჲ იე˝სი და ეფთ˝მსი 31,7). არჩილ მეფის დაწერილ ვისრამიანის 1701 წ. წიგნის მინაწერშიც ნათქვამია: „ოროლი ერთ-რიგი ლექსები რომ აქ (გვხვდება)... ამ მიზეზისათვის: პირველ რომ ითქვა და ნუსხად დაიწერა, ის ნუსხა დაიფარა სადმე და მეორედ რომ თქმადვე იწყო, მაშინ გამოჩნდა (პირველი დაკარგული ნუსხა), — ერთი პირველ-თქმულისაგან და მეორე მეორედ თქმულისაგან ერთად შეიყარნენ“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 159).

„ნუსხაჲ“ არაბულიდან შეთვისებული ტერმინია. არაბულადაც نسخة „ნუსხაჰ“ პირველ ხელნაწერსა და დედანსა ნიშნავს, თავდაპირველ ტექსტს. მაგრამ შემდეგ გადანაწერის მნიშვნელობაც ენიჭება და თანამედროვე სპარსულში, რომელსაც ეს სიტყვა არაბულიდანვე აქვს შეთვისებული, ნუსხა სწორედ პირსა და გადანაწერს ეწოდება. ქართულში მას საკუთარი ხელით ნაწერის, ავტოგრაფის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ აქაც უკვე ერთგვარი რყევა ემჩნევა და ზოგჯერ მხოლოდ დედნის აღმნიშვნელი-ღა გამოდის. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ არსენი კათალიკოს ამარტოლს ნათქვამი აქვს: „მწერალი მართალი და კარგი მკითხველი ნუ დამწყევს — ეგე პირველი ნუსხაჲ არს და სწრაფით ნაწერი“ო (ქ˝კბი II, 110). ისე ჩანს, რომ „პ ი რ ვ ე ლ ი ნ უ ს ხ ა ჲ“-ს გარდა, შესაძლებელია მეორე ნუსხაც ყოფილიყო. რაკი ავტორი თავისი დანაწერის მდარე ხელს იმით იბოდიშებს, რომ პირველი ნუსხა არის და ამის გამო, ვითარცა სწრაფად დაწერილი, შნოიანად ვერ გამომიეიდაო, საფიქრებელი ხდება, რომ აქ „პირველი ნუსხაჲ“ თავდაპირველად დაწერილს აღნიშნავს, რომელსაც იმავე პირის საკუთარი ხელით აუჩქარებლივ და შნოიანად გადაწერილი ავტოგრაფიეე მოჰყვებოდა.

აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანს სიტყვა ნუსხის თავდაპირველი მნიშვნელობა უკვე აღარ ესმოდა და თავის ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული: „ნუსხა ჩქარად აღწერილი“ არისო. არსენი კათალიკოსი ამარტოლი თავისი პირველი ნუსხის შესახებ, როგორც დავრწმუნდით, მართლაც ამასვე ამბობს — „სწრაფით ნაწერი“-აო. მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო და ყოველი მწერლის ნუსხა აუცილებლად აჩქარებით დაწერილი არ უნდა ყოფილიყო. ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ ნუსხის ძირითადი მნიშვნელობა სულ სხვა გარემოების გამომხატველი იყო. საბას სიტყვები და განმარტება მხოლოდ იმ

მხრივ არის საყურადღებო, რომ დამწერლობის ერთი ტერმინის, „ნუსხა ხუცური“-ს, მნიშვნელობის გაგებას გვიადვილებს: იგი გაკრული ხუცური ხელის სახელი ყოფილა.

ნუსხისაგან ზმნაც და მოქმედი პირის სახელიც იყო ნაწარმოები: „ნ უ ს ხ ვ ა ჲ“ მოქმედებას აღნიშნავდა, რომლის აღმსრულებელს „მნუსხველი“ ერქვა. გიორგი მთაწმიდელის მიერ ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“-ს ქართული თარგმანის ანდერძში ვკითხულობთ: „დაესრულა ექუსთა დღეთა წ̃ისა ბასილისი. ვინც სწერდეთ (ე. ი. გადასწერდეთ) ნუსხასა ჩუენსა, ნუ ესრეთ სწერთ (ე. ი. გადასწერთ) ვითა ჩუენსა ნუსხასა... გარნა ესრეთ სწერეთ, ვითარცა ახლად აღეწერა წ̃ასა ბასილის, რამეთუ ჭეშმარიტად დაღაცათუ მწიკულევანი ჴელი ჩუენი ნუსხვიდა და თარგმანიდა. გარნა თჳთ იგი იყო მნუსხველიცა და თარგმანიცა. თუ არა ჩუენგან ამის ჭჳრვობაჲცა შეუძლებელ იყო, არა თუ თარგმნაჲ. თუ რაჲ ზომნი ღუაწლნი გჳნახავნ ამის თარგმნასა, იგი ღ̃ნ იცის, რამეთუ აღურაცხელად ღრმა არს და შეუკადრებელ. და ღ̃ნ იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ: დიდად ჴელი აღმიპყრეს“-ო (თ. ჟორდანია, Опис. I, 44). ამ ანდერძის შინაარსის გასაგებად გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ „ექუსთა დღეთა“ დიდ და ძნელ გადმოსაცემ თხზულებად ითვლებოდა და ამის გამო მისი ხელახალი თარგმნა პასუხსაგები საქმე იყო, რადგან ძველი თარგმანიც არსებობდა, რომელსაც მაშინდელი მკითხველი მიჩვეული იყო. ამიტომ ახალი, ძველისაგან განსხვავებული ტექსტი შეიძლება საეჭვოდ მიეჩნიათ. გიორგი მთაწმიდელი სწორედ ამიტომ ევედრება მისი ხელით ნაწერისაგან ამ თხზულების გადამწერთ, მის დედანს ისევე ენდონ, როგორადაც თვით წ̃ა ბასილის ხელით დაწერილსა და ნათარგმნს ენდობოდნენ. რადგან თუმცა ხორციელად მე ვთარგმნიდი და ნათარგმნ ტექსტს ვწერდი, მაგრამ სულიერად ის იყო ჩემი შთამგონებელი და ამიტომ ნამდვილად მთარგმნელიცა და ამ თარგმანის ჩამწერელი „მნუსხველიც“ თითონ ისვე უნდა ჩაითვალოსო. რასაკვირველია, გ. მთაწმიდელს ამგვარი მსჯელობა თავისი ახალი თარგმანისათვის გზის გასაკაფავად აქვს გამოყენებული. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მით არის საყურადღებო, რომ „ნუსხვა“ და „მნუსხველი“-ს მნიშვნელობის გაგებას გვიადვილებს.

ათონის მონასტრის XI ს. ეტრატის ხელნაწერშიც აღნიშნულია: „ითარგმნა წიგნი ესე მეტაფრასტი ქალაქსა... კოსტანტინეპოლსა... უღირსისა მიერ თეოფილეჲსა ხუცეს-მონაზონისა, მათივე ჴელითა მიერ გაინუსხა“-ო (ალ. ცაგარელი, СПГП I, 80). აქაც მთარგმნელს, თეოფილეს, თავის ანდერძში იმის მცნება უნდოდა მკითხველისათვის, რომ ეს ხელნაწერი მარტო მის თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ ამავე დროს მისი ნაშრომის ავტოგრაფიც იყო, მისი საკუთარი ხელით არის დაწერილი.

ნუსხვა ზმნის გარდა „დ ა ნ უ ს ხ ვ ა ჲ“-ც არსებობდა. ოპიზის მონასტრის 1093 წ. ეტრატის პარაკლიტონში ათანასე ბერს ნათქვამი აქვს: „ქ̃ე ადიდე წ̃ა მამაჲ გიორგი მთაწმიდელი, რომლისა შეწევნითა დავნუსხე წ̃ა ესე პარაკლიტონი“-ო (თ. ჟორდანია, Опис. I, 95). დანუსხვა აქ, ვგონებ, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან გადაწერას უნდა ნიშნავდეს.

რაკი წიგნებსა და სიგელ-გუჯრებს ჩვეულებრივ დახელოვნებულ დამწერლებსა და მდივან-მწიგნობრებს აწერინებდნენ, ამიტომ ნუსხას, ვითარცა ავტოგრაფს და აჩქარებით ნაწერს, დროთა განმავლობაში, შავად დაწერილი

დედნის მნიშვნელობა მიენიჭა, რომლიდანაც შემდეგ სათანადო ხელითა და სილამაზით უნდა გადაეწერათ. გადამწერისათვის დედნად მიცემულ შავად დაწერილ ტექსტს „დანუსხვილი“ ერქვა, ხოლო წესიერად და შნოიანად გადაწერილ პირს „კაიხელად დაწერილი“, თვით მოქმედებას კი „კაიხელად დაწერა“ რქმევია. აი, მაგ., დავით მეფისაგან 1722 წ. ნაპოძეზს ღვთაების გუჯარში რა აქვს ნათქვამი მეფის დას მარიამს, რომელსაც ეს საბუთი გადაუწერია: „მე (და მათი)... მარიამ ვწერ ნაბრძანებსა ჴელითა ჩემითა, რომე ბატონი (დავით მეფე) სენმა მძიმემან შეიპყრა, თეის დანუსხვილი ნუსხა დაჳვიდეა და კაიხელად ველარ დაწერა, იმ სენით კიდეც მიიცვალა ეს რომც გავასრულეთ“-ო (ისტ. საბ. I, 21, შენ.). ამგვარად, იმას, რასაც ბერძნები αὐτόγραφον „ატოგრაფონ“, რომაელებიც ამასვე, გერმანელები Konzept, das Brouillon, ფრანგები autographe, brouillon-ს, რუსები черновик-ს უწოდებენ, ქართულად თითქოს დანუსხვილი რქმევია, სუფთად დაწერილს კი „კაიხელად დაწერილი“, რაც ბერძნულ ἀντίγραφον „ანტიგრაფონ“-ს, ლათინურ transcriptum, transumptum და exemplum-ს, ფრანგულ mettre au net-ს და გერმანულ die Reinschrift-ს უდრის.

„ნუსხა“ რომ XVIII ს. დამდეგსაც კი ავტორის საკუთარი ხელით დაწერილ დედანს ეწოდებოდა და „კაიხელად დაწერილი“ გადანაწერსა ნიშნავდა, ეს გიორგი XI [ის მიერ] საბა-სულხან ორბელიანისადმი 1707 წ. მიწერილი წერილიდანაც ჩანს. იქ, ბოლოში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ლექსიკონი გამოგეგზავნა... მიამა... დიალ კარგი წიგნია... ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია. თუ ამას გარკვევით კაიხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება: ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გარდმომიწერინე“-ო (ს˜ქს სძ˜ელნი II, 223).

მაგრამ „დანუსხვილი“-ს გარდა, შავად დაწერილის აღსანიშნავად სხვა, უფრო გარკვეული შინაარსის ტერმინიც იყო. შავად დაწერას ძველად „ჰავქელად დაწერაჲ“ ჰრქმევია. კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში ამირსპასალარს ამილახორს ქან ჰიასძეს ნათქვამი აქვს: „დაწერილი ესე... მე ქანსა ჩემითა ჴელითა დამიწერია ნიშნად და ჰვქელად“-ო. აკად. ნ. მარს „ჰვქელად“ უქარაგმოდ ვერ წაუკითხავს და რუსულადაც უთარგმნელად დაუტოვებია[24], მაგრამ, ცხადია, რომ „ჰავქელად“ უნდა იქნეს წაკითხული, რაც „კაიხელად დაწერის“ საწინააღმდეგო ცნებისა და შავად დაწერის გამომხატველია.

XVII ს. დამდეგის ძეგლებში გადანაწერის მნიშვნელობით სპარსულიდან ტერმინი „სევადაი“-ც შემოდის. ლუარსაბ მეფის 1615 წ. წყალობის წიგნში, მაგ., ნათქვამია: „ესეცა სწორე სევადაი არის, ღმერთი მომეცეს თავდებათა და ამისი დედანი აქა მაქუს“-ო. შემდეგ მინაწერში აღნიშნულია: „ესე სევადაი მე ქაიხოსრო ბეგს წამიღია“ო (ს˜ქს სძ˜ელნი II, 229). სევადაის მნიშვნელობა ს. ორბელიანს ასე აქვს განმარტებული; „როარტაგთა და სხუათა უსტართა სახესა გარდანაწერსა (ეწოდების) პატინესი, რომელსა სპარსნი სავადას უხმობენ“-ო (ლექსიკ., წერილის ქვეშე). ამგვარად, ისე გამოდის, თითქოს მეფეთა ბრძანების წიგნსა და კერძო წერილების პირს ჰრქმევია სევადაი, ანუ საავადაი.

---

[24] Н. Марр, Грузинские приписки греч. Евангелия из Коридии, ИАН. 1911, გვ. 223—224.

ყოველი წიგნი, თუ სიგელი საწერ მასალაზე გამოყვანილი „ნაწერი“ არის. ეს ტერმინი მასალაზე აღბეჭდილი ტექსტის აღმნიშვნელია, თუმცა მარტივ ზედსართავ სახელადაც იხმარება ხოლმე. ვეფხისტყაოსნის 1680 წ. ხელნაწერის გადამწერს ნათქვამი აქვს: გიორგი მეფემ „ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის ვეფხისტყაოსანისა... და ენება, რათამცა ფრიად კეთილ-მშვენიერ ყოფილიყო, რომელ არ[ს]ცა ფრიად კეთილ და შუენიერ თუინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდე“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 576). აქ ნაწერი დაპირისპირებული და გარჩეულია ხელნაწერის თვით საწერი მასალისა და მხატვრული შემკულობისაგან. ს. ორბელიანის განმარტებით „ნაწერი წერილთ ნაწილი“ არის, წერილი კი „ეწოდების ყოველთა კალამთაგან აღწერილსა, გინა ბეჭდის ტვიფართაო“ (ლექსიკ.), ე. ი. ყოველს მწერლობის ძეგლს. მაშასადამე, „ნაწერი“ ამ ძეგლთა შინაარსის აღმბეჭდელი ნაწილია. და ამ მხრივ ლათინურ textus, ანუ tenor-ს უდრის. მაგრამ ქართულად ნაწერი ზედსართავ სახელადაც იხმარება (მაგ., „არს... სწრაფით ნაწერი“) და ამის გამო მისი ვითარცა ტერმინის მნიშვნელობა გარკვეულობას ჰკარგავს.

ყოველი ნაწერი წესიერად, სწორ ხაზებად დალაგებულ სვეტად ან სვეტებად უნდა ყოფილიყო. ხაზების სისწორე რომ სასტიკად დაცული ყოფილიყო, ამისთვის საწერ მასალას წინასწარ ხაზავდნენ ხოლმე (იხ. აქვე თავი II, § 2). ერთი გადამწერთაგანი ბოდიშობს: „არა სწორითა კასშათითა ვჰწერენ კაბადონნი“ ამისნი „არა ქონებისათჳს სახაზავისა“-ო (თ. ჟორდანია, Опис. I, 294). ტერმინი „კასშათი“ ს. ორბელიანის ლექსიკონში არ არის, მაგრამ, ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით, ნაწერის ხაზს უნდა ნიშნავდეს.

აქა-იქ გაბნეული წერა, რომელიც მხოლოდ მერმინდელ მინაწერებში და აღაპების წიგნებში გვხვდება, „აშლით წერა“-დ ან „დაფანჩულად წერა“-დ იწოდებოდა და უწესოებად იყო მიჩნეული. მით უმეტეს საძრახისი იყო „არშიაზე ბღარჯვა“ (ნიკ. ჩაჩიკაშვილის 1779 წ. ანდერძი, ე. თაყაიშვილი, Опис. II, 553). ტექსტი ყოველთვის „დაწყობით“ უნდა ყოფილიყო დაწერილი. ათონის მონასტრის აღაპების გადამწერელს, იოანე თფილაისძეს ნათქვამი აქვს: ჩვენი მონასტრის „ესე აღაპნი იქი-აქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად. ხოლო მე ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა. . გარდავწერენ დაწყებით ვითა ჯერ იყო... და ვინ სხუასა აღაპსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ, ადგილი ყოველგან დაგვტეობია“-ო (ათონ. კრებ. 274).

ახალი თხზულებისა თუ თარგმანის შესაძენად და გასავრცელებელ საშუალებად მაშინ მხოლოდ „გარდაწერაჲ“ იყო. 1091 წ. ხელნაწერში ნათქვამია: „ესე აწ ჩემთჳს გარდამოვიწერე, ვითარ ვჰგონებ უნაკლულოდ და მართლად. ვისცა გარდაწერაჲ გენებოს, მინდობილ იყვენით“-ო (ქ˝კბი I, 215); „ესე ოთხთავი მამის გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გადმოვწერე“-ო (1060 წ. ხელნაწ., ქ˝კბი I, 207).

გადაღებულ პირს „გარდანაწერი“ ერქვა, რაც ლათინ. transcriptum-ს, ფრანგ. transcription ან copie-ს და გერმან. Abschrift, Copie-ს უდრის. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „როარტაგთა და სხუათა უსტართა სახესა გარდანაწერსა... სპარსნი სავადას უხმობენ“-ო (ლექსიკ., წერილის ქვეშე). ხოლო იმ პიროვნებას, რომელიც წიგნების გადაწერას მისდევდა, „გარდამწერელი“ ერქვა. ეფრემ მცირე ფილოთეონის თარგმანის ანდერძში სთხოვდა: „გე-

ვედრებით ყ˜თა მკითხველთა და მსმენელთა და გადამწერელთა"-ო (ქ˜კზ II, 43).

როგორც ამავე გამოკვლევის II თავის § 3-ში აღნიშნული გვქონდა, მკითხველი გადაწერილ წიგნში ავტორისა თუ მთარგმნელის ნაშრომის სისწორით დაცვას თხოულობდა, „წიგნისა სიმართლე"-ს, რომ ტექსტი „უნაკლულოდ და მართლად" ყოფილიყო გადმოღებული, არც „დაკლებული" ჰქონოდა და არც „შემატებული" რეოდა. ამიტომ გადამწერლის მთავარი საზრუნავი იყო თავისი გადანაწერის „უცთომელობაჲ" დაეცვა, რომ ზნეობრივი მოვალეობა ჰქონოდა თავისი შემკვეთელისათვისაცა, და მერმინდელ გადამწერთათვის ეთქვა: „ვითარ ვჰგონებ უნაკლულოდ და მართლად" მაქვს ტექსტი გადმოღებული, ვისაც გადაწერა გნებავდეთ, „მინდობილ იყვენით"-ო (1091 წ. ხელნაწ., ქ˜კზ I, 215).

თავისი ნამუშევრის ასეთი ღირსებამოსილებისათვის გადამწერელს უპირველესად უნდა ისეთი ხელნაწერი მოეძებნა გადასაწერად, რომელიც თითონ სანდო იყო და საუცხოო გადამწერლისაგან შესრულებულად ითვლებოდა. იმ ძეგლს, რომლიდანაც გადამწერელი თავის გადანაწერს გადმოიღებდა, „დედაჲ" ეწოდებოდა თავდაპირველად, ხოლო შემდეგში „დედანი". გელათის XII—XIII სს. № 25 ხელნაწერში ნათქვამია: ჩემ მიერ გადაწერილი „წიგნისა სიმართლისათჳს იჳვ ნუ ვის გაქუს — პირველ დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა"-ო (XB, V, 121). მაშასადამე, გადამწერლის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა როგორმე „დედაჲ მართალი" ეშოვა; ხოლო შემდეგ უნდა ცდილიყო, რომ დედნის ტექსტი, თუნდაც რომ მისი შინაარსი თუ ენა უცნაურად ჩვენებოდა, მაინც უცვლელად გადმოეწერა. ამავე ზემოდასახელებულ ხელნაწერში აღნიშნულია: „ვინცა სწერდეთ ამისგან, ვითა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. მრავალნი უცხონი სიტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრევე ვპოვე"-ო (XB, V, 122) და ისე დავტოვე, როგორც ტექსტში მქონდაო.

კარგი გადამწერლები თავიანთი გადანაწერის ანდერძში, როდესაც დედნად მათ ავტორის ნუსხა არ ჰქონდათ, ხშირად თავიანთი დედნის შთამომავლობასაც აღნიშნავდნენ ხოლმე. ზოგან სამი დედნად ყოფილი წინამორბედი გადამწერლის ვინაობაც კი არის ხოლმე აღნიშნული ისე, რომ ხელნაწერთა შთამომავლობითი შტოის შედგენაც კია შესაძლებელი. XI ს. № 845 ხელნაწერ სახარების ანდერძში, მაგ., ნათქვამია: „ნიკოლას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი... მისითა დედითა დავწერე, რომელი მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათა — და შეემოწმა მესამედ"-ო (მ. ჯანაშვილის Опис. III, 61). ერთი სვინაქსარის ანდერძშიც ათანასე გადამწერელს აღნიშნული აქვს: „ფრიადითა... გულსმოდგინებითა გარდმოვწერე მესამისა წიგნისაგან მეოთხედ წიგნად"-ო (ხელნაწ. № 840, იქვე, III, 52). ეტყობა, ნუსხიდან მოყოლებული, ეს ხელნაწერი მეოთხე გადანაწერი ყოფილა. ხელნაწერთა ანდერძების ამგვარი ცნობების უაღრესი მნიშვნელობა პალეოგრაფისა და ფილოლოგ-ისტორიკოსთათვის თავისდათავად ცხადია და მათ გადმოწერა-შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

იმას გარდა, რომ გადამწერელი დედნის ტექსტის შეგნებულსა და განზრახ შეცვლა-შესწორებას უნდა მორიდებოდა, მას იმისთვისაც „გულმოდგინებაჲ" უნდა გამოეჩინა, რომ უნებლიეთი შეცდომაც არ შეჰპაროდა გადანაწერში.

ეს კი ისეთი ადვილი საქმე არ იყო, როგორც შეიძლება გამოუცდელ ადამიანს ეჩვენოს, რადგან გადამწერს თავისი მუშაობის დროს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა ხოლმე წინ. ზოგი მათგანი ობიექტური ხასიათისა იყო, ზოგი სუბიექტური და გადამწერლის პირად თვისებებზე იყო დამოკიდებული. ჩვენ ხელნაწერებში ამ საკითხის შესასწავლად მრავალი საგულისხმო ცნობაა გაფანტული, რომლიდან ზოგს აქვე მოვიყვან.

ერთი ჩივის: „დიდნი ჭირნი ვნახე უცთომელობისათჳს, დედაჲ წურილი მედვა წინ"-ო, მაგრამ ყველაფერი „გულმოდგინებითა გარდავწერე თჳსითა ჴელითა"-ო (XB, V, 119, 120—121). მეორე კიდევ თავის მკითხველს აუწყებს: „დედაჲ გიორგი მთაწმიდელისა... მქონდა, მაგრამ ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ მოდღევნებული-"ო (1093 წ. ოპიზის პარაკლიტონი, თ. ჟორდანია, Опис. I, 95, § 93). ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებათა 1785 წ. ხელნაწერის გადამწერელი მიხაილ ხუცესიც თავის წიგნის მკითხველს არწმუნებს: „რომელიცა დედანი იყო, იმ დედანზედ ჩაკითხვით და განსწორებით და შემოწმებით ქმნილ არს და (თუ) მაინც რომელიმე ლექსი (ე. ი. სიტყვა) პოვოთ ცთომილი, მოხუცებულობისა მიზეზი იქნების", რადგან 66 წლისა და 4 თვისა ვარო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 678). № 433 ხელნაწერში კიდევ ნათქვამია: „მარინას და ანასტასის საკითხავი მესამედი ბნელი იყო და არა წაიკითხვოდა"-ო (თ. ჟორდანია, Опис. II, 18). პეტრე ლარაძე თავის მხრივ გვამცნებს: „ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა" (წ.-კ. გ. ს. ხელნაწ. № 4732, ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყ. 19). ზებედე გადამწერელიც ასე ბოდიშობს: „ავისა ნაშრომისათჳს ნუ დამწყევთ, რამეთუ... ამის წერაშიან არცა პატივი მქონდა და არცა ვინ იყო ჴელისა აღმპყრობელი ჩემი. შიმშილითა გლახ რუდუნებითა ვწერდი"-ო (თ. ჟორდანია, Опис. II, 207). ხოლო ანჩისხატის დეკანოზს ალექსის 1756 წ. ხელნაწერში აღნიშნული აქვს: „დედანი ფრიად გარყუნილ იყო მწერალთაგან (ე. ი. გადამწერელთაგან) და მე, რომელსა შემძლებელ ვიქენ, გულსმოდგინებით დიდათ ვეცადე"-ო (თ. ჟორდანია, I, 398).

როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, გადამწერელთა მოვალეობის პირნათლად ასრულებას შემდეგი ობიექტური პირობები აბრკოლებდა ხოლმე: ხან „დ ე დ ა ჲ წ უ რ ი ლ ი", ესე იგი „წ უ რ ი ლ ა დ ნ ა წ ე რ ი ი ყ ო". ამ მხრივ გიორგი მთაწმიდელის ხელი იმდენად წვრილი ყოფილა, რომ „კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა"-ო. როდესაც ამგვარი ხელნაწერი დედნად ისეთ ადამიანს შეხვდებოდა, რომელიც „მ ო დ ღ ე ვ ნ ე ბ უ ლ ი", ხანში შესული იყო, უცდომელად გადაწერა, რასაკვირველია, გაუძნელდებოდა. შემდეგ ტექსტის სისწორით გადმოღებას ართულებდა ძველი ან „უძველესი და ძნელად აღმოსაცნობელი დედანი", როდესაც „ბ ნ ე ლ ი" ხელნაწერი იყო, და ან ნაწერის ჩაშავების თუ სიმქრთალის გამო, ან ასოთა მოხაზულობის განსხვავების წყალობით, წაკითხვა გაძნელებული იყო, დასასრულ, თუ დედანი „გ ა რ ყ უ ნ ი ლ ი", ანუ დამახინჯებული იყო მერმინდელ მხმარებელთა თუ გადამწერელთაგან.

როგორც აღნიშნული გვქონდა, გადამწერლისა თუ აღმწერლის ზოგი „ც თ ო მ ი ლ ი", „ნ ა მ ც თ ა რ ი" (1728 წ. ხელნაწ., მ. ჯანაშვილის Опис. III, 71), ან საერთოდ „ც თ ო მ ი ლ ე ბ ა ჲ" მის სუბიექტური თვისებებითაც იყო ხოლმე გამოწვეული. იგი უყურადღებობის ან ჯეროვანი ყურადღების მოუკ-

რებლობის შედეგი იყო, „უდებებისა ნაყოფი“ არის უეჭველია. ამას თვით ქართველი დამწერლებიც გულახდილად აღიარებდნენ. ეფრემ მცირეს, მაგ., ფილოთეონ ისტორიის თარგმანის ანდერძში ნათქვამი აქვს: მე „ცთომილებაჲ... მომიტევეთ, რამეთუ იგი ოდენ არს ჩემი უდებებისა და უღირსებისა ნაყოფი“-ო (ქ˜კბი II, 43). სწორედ ამ უდებების დროს დამწერელი თავის გულისყურს ვერ დაუდებდა, შეცდომები შეეპარებოდა ხოლმე და მისი გადანაწერი დედანთან შედარებით ან „დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი“ იყო, ან „შ ე მ ა ტ ე ბ უ ლ ი“. ცთომილების მეორე გამომწვევი მიზეზი გულმავიწყობა იყო და „დ ა ვ ი წ ყ ე ბ ი ს ა გ ა ნ“ მოსდიოდა ხოლმე დამწერელს. ანჩისხატის დეკანოზს; ალექსის, 1756 წ. ხელნაწერში აღნიშნული აქვს: თუ რამ „დამიშთა დავიწყებისაგან“ (დედნიდან გადაუწერელი), კითხვის დროს თქვენ თითონ გაასწორეთო (თ. ჟორდანია, Опис. I, 398). გადამწერელ-აღმწერელის ცდომილებანი ბევრი სხვა მიზეზითაც იყო ხოლმე გამოწვეული, რომელთა შესახებ აქ აღარაფერს ვიტყვი, რადგან ეს საკითხი ფილოლოგიას ეხება, მით უმეტეს, რომ ფილოლოგიის მეთოდოლოგიაზე ცალკე საგანგებო გამოკვლევაში გვექნება საუბარი.

რაკი სრული უცდომელობა ძნელი მისაღწევი იდეალი იყო და ყოველი დამწერელი მოვალე იყო დედნის ტექსტი უაღრესი სისწორით დაეცვა, ამიტომ დამთავრებული თხზულებისა თუ გადანაწერის დედანთან გულდასმითი შედარება და შეპარულ შეცდომათა შესწორება სავალდებულო წესად იყო მიჩნეული. ამგვარ მუშაობას ეწოდებოდა „შ ე წ ა მ ე ბ ა ჲ“, ან „შ ე მ ო წ მ ე ბ ა ჲ“ და „გ ა ნ მ ა რ თ ვ ა ჲ“. ეს იმდენად აუცილებელ მოვლენად იყო მიჩნეული, რომ ყოველი დამწერელი ამის პირნათლად ასრულების შესახებ თავის ანდერძში მკითხველს მუდამ აცნობებდა ხოლმე. აი, მაგ., რას ამბობს შიომღვიმის 978 წ. ხელნაწერის გადამწერელი: „გულმოდგინედ ვიხარკე, რათა უცთომელად დავწერო და კუალად შევაწამე და სადაცა ვპოვე გინა თუ დაკლებული, ანუ შემატებული ვიდრე ასოდ ერთადმდე, ყოველივე განვმართე... თქუენცა, რომელნი სწერდეთ (ე. ი. გადასწერდეთ), ეგრეთვე ყავთ, რათა უბრალო იქმნეთ“-ო (ქ˜კბი I, 123). ეფთჳმე მთაწმიდელის ნათარგმნი მაქსიმე აღმსაარებლის ც˜ის 1035 წ. ახლო ხნის ხელნაწერის გადამწერელიც მკითხველს მოუთხრობს: „რაჲ წიგნსა შინა ვპოვე, რომლისაგან გადავწერე, არა გამომიცვალებია სიტყუაჲ, არცა მიკაზმავს.. და არცა რაჲ დამიკლია და თუ რაჲმე დამრჩომოდა, შევაწამე წიგნსა და ჩაურთე“-ო (ქ˜კბი I, 170). 1060 წ. ერთ ხელნაწერშიც აღნიშნულია: „ესე ოთხთავი მამის გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გადმოვწერე და შეწამებაჲ დიადი მიხარკებია“-ო (ქ˜კბი I, 207). ბრეთის XIII ს. სახარების გადამწერი ამბობს: „შევგიწამებია ფრიადითა გამოწულილითა“-ო (იქვე, I, 207). გელათის XII—XIII სს. სჯულის კანონის № 25 ხელნაწერის ანდერძში აღნიშნულია: „წიგნისა სიმართლისათჳს იჳვ ნუ ვის გაქუს — პირველ დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა... და მერმე დიდ მოჭირვებით შემიმოწმებია“-ო (ХВ, V, 121).

როგორც ამ ზემომოყვანილი და მრავალი კიდევ სხვა ამის მსგავსი ცნობებიდანა ჩანს, ქართველ დამწერლებს მშვენივრად ჰქონიათ თავიანთი მოღვაწეობის დიდი პასუხისმგებლობა შეგნებული და ყოველგვარი საშუალება უხმარიათ, რომ უნებლიეთი შეცდომებიც კი თავიანთი ნაშრომისათვის თავიდან აეცილებინათ, რომ მათ გადანაწერში „ერთიცა ა ს ო ჲ მ რ უ დ ი და ნ ა კ-

ლ უ ლ ი და არცა მეტი“ არ ყოფილიყო (1060 წ. ხელნაწ., ქ˝ები I, 208). მათ კარგად იცოდნენ, რომ მათი დანაწერის ნაკლს მკითხველი არ აპატიებდა და, იმას გარდა, რომ თანამედროვეთა შორის სახელი გაუტყდებოდათ, თუ იქ რამე „შეცთომილი გინა სიტყუა მეტ ნაკლები“ აღმოჩნდებოდა (1056 წ. ხელნაწ., თ. ჟორდანია, Опис. I, 398), შთამომავლობაც წყევლა-კრულვით აავსებდა.

შეცდომების „განმართვა“ ან ასოთა და სიტყვების ჩამატებით, ან მცდარის ამოფხეკითა და მის მაგიერ ხელახლად სწორე ასოს თუ სიტყვის ჩაწერით შეიძლებოდა. ამიტომ ხელნაწერში მკვლევარი ამოფხეკილ და ახლად ჩაწერილ ასო-სიტყვებს შეხვდება, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ყოველთვის და ყველგან დედნის ტექსტის აღდგენისა და გადანაწერის შეცდომის შესწორებასთან არა გვაქვს ხოლმე საქმე. ზოგჯერ ეს ძველი ტექსტის ახალ ნათარგმნ ტექსტთან შესათანხმებლად წარმოებული მუშაობის ნაყოფია. მკვლევარს ეს გარემოება მეტადრე სახარების ტექსტის შესწორებათა თვისებების დახასიათების დროს უნდა ახსოვდეს. შემდეგ, შესაძლებელია, ავტორის ავხელად დაწერილ პირველ ნუსხასთანაც გვქონდეს საქმე, როდესაც ავტორი თუ მთარგმნელი შემოქმედების პროცესში თავისი ნაწარმოების ტექსტს თვით სცვლიდა. ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერში ამ მხრივ ერთი საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება :„რომელიც ტრიქონი მოფხეკილი და მეორედ გაკეთებული არის, ისიც სხვის საუბრის გონების გართვით სხვა სიტყვა დავსწერი... მრავალგზის მოფხეკილი ტრიქონი ამისთვის მოვიდა, რომ მას უკან გავაკეთე, ზოგი რამ გაუჩალხავი ლექსი დამრჩომოდა“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. I, 527). მაშასადამე, ავტორის ნაწარმოების ხელნაწერში „მოფხეკილი ტრიქონები“ მარტო „სხვის საუბრის გონების გართვით“ კი არ აიხსნება, არამედ მას ზოგიერთი „გ ა უ ჩ ა ლ ხ ა ვ ი ლ ე ქ ს ი“, ე. ი. პირველი თქმის დროს უხეიროდ გამოსული ლექსები ხელმეორედ გაულექსავს და გაუსწორებია. ამგვარი ავტორისაგან ავხელად დაწერილსა და მრავალი ამოფხეკილ შესწორებულჩანართი სტრიქონებით არის სავსე იოანე ზოსიმეს უძველესი ქართული კალენდარის „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ-ს სინას მთის მონასტრის წიგნთსაცავში დაცული № 34 ხელნაწერი, რომელიც 1902 წ. ჩემგან გადმოწერილ იქნა მთლიანად, მაგრამ რომელსაც აქამდის გამოცემა ვერ ეღირსა[25].

როდესაც ხელნაწერის შემზადება დამთავრებული იყო, აღმწერელი — ავტორი ან დამწერელი თუ გადამწერელი თავისი ნაშრომისა და ნამუშევარის, აგრეთვე თავის ვინაობისა და სამუშაოსთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებაც მკითხველს წერილობით ცნობებს უტოვებდა ხოლმე. ასეთი ხასიათის ცნობას „ა ნ დ ე რ ძ ი“ ეწოდებოდა და, ჩვეულებრივ, წიგნის ბოლოში იყო მოთავსებული, მაგრამ ზოგჯერ ხელნაწერის შუაშიაც იწერებოდა ხოლმე. ზოგჯერ თვით წიგნის მომგებელიც და ყოველთვის მერმინდელი გადამწერელიც დედნის ანდერძის შემდგომ თავის ანდერძსაც წერდა ხოლმე. ამგვარად და ამის წყალობით ამ ანდერძში წიგნის მთელი თავგადასავალია ხოლმე მოთხრობილი და ამიტომ, როგორც პალეოგრაფისათვის, ისევე ფილოლოგ-ისტორიკოსისათვის ანდერძების ცნობებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის ჯეროვანი ყურადღებით უნდა იქნენ შესწავლილი. ამ ანდერძების

[25] ამჟამად ის გამოცემულია: „ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, გვ. 200—226, თბ., 1947 (რედ.).

უაღრესი მნიშვნელობა ძველადაც კარგად ესმოდათ და სათანადო მოწიწებით ეპყრობოდნენ. 1047 წ. ხელნაწერში ნათქვამია: „ვის ამათ წიგნთა ძალისა ცნობაჲ გინდეს, ზემოჲ ანდერძი აღმოიკითხეთ და მისგან სცანით"-ო (ქ˜კბი I, 192). გელათის მონასტრის 1048 წ. ხელნაწერში 1002 წ. ნუსხიდან მოყვანილია ეფთჳმე მთაწმიდელის შემდეგი შინაარსის ანდერძიც: „გევედრებით ყოველთა, რომელნი ამას წიგნსა სწერდეთ, ესე ანდერძი დაუკლებლად თანა დაწერეთ. ვინ არა დაწეროს, დიდსა ბრალსა თანამდებ არს. — აღესრულა ესე ნუსხაჲ თარგმანებისა მათეს თავისაჲ ჴელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ეფთჳმესითა" და სხვა (ქ˜კბი I, 239). ცხადია, 1048 წ. ხელნაწერის გადამწერელს ეფთჳმე მთაწმინდელის 1002 წ. ნუსხის ანდერძიც სიტყვასიტყვით გადმოუწერია. გ. ხუცეს-მონაზონსაც ნათქვამი აქვს: „უკუეთუ ვინმე იყოს... და უნდეს... ძალი თითოეულისა წიგნისაჲ, თუ რაჲ სწერია, ამის წიგნისა ბოლოს პოოს... განმარტებულად თითოეულისა წიგნისა ზანდუკი და ანდერძი..., რომელი წმიდამან ბერმან იოანე პატრიკ ყოფილმან აღწერა, რაჲამს იგი თავისა თჳსისათჳს გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნნი"-ო (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წმდლსჲ, 311).

წიგნის „შეწამება" და „განმართვა" რომ დამთავრდებოდა, მის „შემოსვა"-ს შეუდგებოდნენ ხოლმე. შემოსვა, ვგონებ, რვეულებად და წიგნად აკინძვას უნდა ნიშნავდეს. მათეს თავის იოანე ოქროპირის თარგმანების ეფთჳმე მთაწმიდელის ქართული თარგმანის 983 წ. ხელნაწერის ანდერძში, მაგ., ნათქვამია: „წ˜ისა სახარებისა მათეს თავისაჲ ოდენ თარგმანი სამ წიგნად შეიმოსა. ესე პირველი წიგნი არს: ა˜(ე. ი. პირველ) თავითგან ი˜ჱ (მე-18) თავადმდე სწერია ამა წიგნსა. მეორესა წიგნსა ი˜თ (მე-19) თავითგან მ˜ე (45) თავადმდე. მესამესა მ˜ვ (46)-გან ჟ˜(90)-მდე ამას შინა დასრულდების"-ო (ალ. ცაგარელი, СПГП I, 92). მაინც და მაინც „შემოსვა" და დაკაზმა რომ ერთსა და იმავეს არა ნიშნავდა, ეს სრულებით ცხადია. ამავე ხელნაწერში შემოსვის შესახები ცნობის შემცველი ანდერძი ერთი ხელით არის დაწერილი და სულ სხვა ხელით წერია: „მე ცოდვილმან თ˜ე შევკაზმე წიგნი ესე"-ო (იქვე, I, 92).

ვინც წიგნსა კერავდა, „შ ე მ მ ო ს ვ ე ლ ი"-ს ანუ „მ მ ო ს ვ ე ლ ი"-ს სახელს ატარებდა, ყდის გამკეთებელს კი „მ კ ა ზ მ ა ვ ი", ანუ „მ კ ა ზ მ ე ლ ი" ეწოდებოდა. მმოსველი და მკაზმავი რომ ერთი და იგივე პირი არ იყო და, მაშასადამე, „შემოსვა" და „დაკაზმა" ერთსა და იმავეს აღმნიშვნელი არ შეიძლება ყოფილიყო, ამას ათონის მონასტრის 1008 წ. ხელნაწერის ანდერძის შემდეგი ცნობაც ცხადყოფს: „დაიწერა მეორე ესე წიგნი ჴელითა ჩუენ ცოდვილთა არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა... ლოცვა ყავთ... ჩ˜ნ უცბად მწერალთა და სერაპიონ მმოსელისათჳს... მე ცოდვილმან თ˜ე შევკაზმე"-ო (СПГП I, 86).

ცხადია, შემოსვა რთული საქმე არ არის და ამიტომაა რომ ზოგჯერ „მწერალი" იმავე დროს „შემმოსველი"-ც ყოფილა (იხ. СПГП I, 90—91 და 83 და სხვაგანაც).

შემოსილ წიგნს „მკაზმავი" მიიღებდა ხოლმე ყდის გასაკეთებლად. უფრო იშვიათი შემთხვევა იყო, მაგრამ ზოგჯერ დამწერელს წიგნი თვითონვე დაუკაზმავს. მკაზმაობას თვით მონასტრის არქიმანდრიტები და უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პირებიც არ უკადრისობდნენ: „ამა წიგნისა მკაზმავსა პატრონისა ჯუარისა მონასტრისა არქიმანდრიტსა მამასა იოსებს შეუნდოს ღმერთმან"-ო (СПГП II, 14, § 15). ვისაც ძველი ქართული ხელნაწერების ტყავის სა-

უცხოო, ჩაჭდეული სახეებით შემკული ყდები უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენად განვითარებული და დაწინაურებული უნდა ყოფილიყო ეს ხელობა ძველ საქართველოში. სასურველია, რომ ეს საკითხი საგანგებოდ და ჯეროვნად იქნეს შესწავლილი.

§ 8. წიგნების მხატვრული შემკობა

შეძლებული და მხატვრული მოთხოვნილების მქონებელი წიგნის შემკვეთელი და მომგებელი ცდილობდა თავისი წიგნი სურათებით, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, „ხ ა ტ ე ბ ი თ“ შეემკო. პირველ ფურცელზე „კ ა მ ა რ ა“-ს ახატვინებდა, ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას კი სურათებს ურთავდა ხოლმე.

„კამარების“ დამხატველს განსაკუთრებული სახელი „კ ა მ ა რ ა თ ა მ წ ე რ ა ლ ი“ ჰრქმევია. აკად. მ. ბროსეს ჯრუჭის სახარების 940 წ. მინაწერში ამოუკითხავს: „ქ҃კი იყო რ҃დ. ქ҃ე შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თეოდორე“ (Voyage XII, 83).

როგორც ჩანს, წიგნის შემკობილობის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს აგრეთვე „ჯაზული“, ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნში წერია: „საეროს წიგნთაგან — ვეფხის-ტყაოსანი ერთია ჯაზულით დახატული ერთი“-ო (ს҃ქს სძ҃ველნი III, 483). საისტორიო საზოგადოების № 342 ხელნაწერში, 1661 წ. ჟამგულანში, წიგნის მომგებელი ამბობს: „აღვაწერინეთ... ყოველითურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა ესე ჟამგულანი“-ო (ე. თაყაიშვილი, საისტ. მასალ. III, 49). ს. ორბელიანის სიტყვით, „ჯაზვალი სპარსთა ენაა (ე. ი. სიტყვა), ქართულად ოქორა ჰქვიან“-ო (ლექსიკ.), მაგრამ ოქორა „რკინის ჯაზვარად“-ვე აქვს განმარტებული და არაფერი ირკვევა. جدول „ჯადვალ“ არაბულად წყაროს, ბაღის რუს, შემდეგ ხაზს, ნახაზს, ცხრილს და წიგნის ნაწერის სვეტსაც ნიშნავს. ე. თაყაიშვილის სიტყვით, „ტექსტი... ზის ფერადებით დახატულ ოთხკუთხედში“ (საისტ. მასალ. III, 46) და, შესაძლებელია, ჯაზულად სწორედ ეს ტექსტის გარემომცველი ფერადებით დახატული ოთხკუთხედი ჩარჩოები იწოდებოდა.

მდიდრულად შემზადებული ხელნაწერი შეიძლება მთლად ან ზოგან „ოქროს ვარაყითა წერილი“ ყოფილიყო. ბიჭვინთის იადგარში, მაგ., იხსენიება „კონდაკი ოქროს ვარაყითა წერილი“ (ა. ხახანაშვილი, გუჯრები 142). ამავე ძეგლში ნახმარია ტერმინი „ჭრელი ნუსხა“. იქ წერია: „ერთი პატიოსანი ძილისპირი ჭრელის ნუსხითა“-ო (იქვე). დაბადების ქართული თარგმანის „ჭრელი“ ბერძნული ტექსტის ποικίλα „პოიკილა“-ს უდრის (შესაქმეთაჲ 30, 39), რაც მრავალფერად შემკობას ნიშნავს. ამიტომ „ჭრელი ნუსხა“ თითქოს სხვადასხვა ფერადებით მხატვრულად დაწერილ ავტოგრაფს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ, შესაძლებელია, აქ სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.

თითოეული დარგისა და დანიშნულების წიგნს თავის „შესაფერისი შემკობა“, დასურათება სჭირდებოდა, „საკადრისად დახატვა“ უნდოდა. ნიკოლოზ კათალიკოზს 1687 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: „დიდი გულანი დავაწერინე და მისად საკადრისად დავახატვინე“-ო (ისტ. საბ. IV, 65).

როდესაც შეკვეთილი წიგნის დასურათება სწადდათ, დამწერელს წინდაწინვე დაავალებდნენ გარკვეული, დასურათებისათვის განკუთვნილი ფურც-

ლები ცარიელი, დაუწერელი დაეტოვებინა. დამწერელი რომ თავის სამუშაოს დაამთავრებდა, მაშინ წიგნს მხატვარსა და „კამარათა მწერალს“ გადასცემდნენ, რომ ცარიელ ფურცლებზე სურათები დაეხატათ... ამგვარად, ჯერ ტექსტი იწერებოდა, მერმე სურათებს ხატავდნენ ხოლმე. ამ მხრივ შემოქმედის 1749 წ. გულანში შემდეგი საგულისხმო და ზემოგამოთქმული აზრის დამადასტურებელი ცნობა მოიპოვება. სხვადასხვა ადგილას იქ მამია გურიელის ხელით წერია: „ამაზედ მეზვერე და ფარისეველი დახატე“, „აქ გარდამოხსნა დახატე“-ო (დ. ბაქრაძე, АПГА, 150).

საქ. საისტორიო საზოგადოების ვეფხისტყაოსნის 1671 წ. ხელნაწერის გადამწერელის შემდეგი ლექსიც ამავე გარემოებას ადასტურებს:

„ბრძანებით შემოქმედისა რა ჴელ-ვჰყავ ესე წერითა,
ჴელნი დამიშრო კალამმან, თვალნი გაშტერდეს მზერითა,
...აწ გაგიჩნდების, მხატვარო, შემკობა შესაფერითა“
(ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყ., 14).

ზოგჯერ ხელნაწერის შემზადების ბევრი ხნის შემდგომ ახერხებდნენ სურათების დახატვინებას, ხან კი უსახსრობის გამო დატოვებული ფურცლები დაუხატველი და ხელნაწერი დაუსურათებელი რჩებოდათ. შეძლებული ადამიანი სურათებსა და „კამარებს“ საბერძნეთიდანაც გამოიწერდა ხოლმე ან თითონ მოჰქონდა. ტბეთის 995 წ. სახარებაში სამოელ ეპისკოპოზს, მაგ., აღნიშნული აქვს: „მე გლახაკმან სამოელ... (ვიხილე) წიგნი ესე ოთხთავი სახარება და ვპოვე აღწერილი და შემკული ყოვლითა განგებულებითა, ხოლო ნაკლულევან იყო ხატთა და კამარათაგან და გულს-ვიდგინე დიდითა ხარკებითა და მოვიხვენ ესე ხატნი და კამარანი საბერძნეთით, ქალაქით დიდით სამეუფოჲთ და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასა“-ო (ალ. ცაგარელი, СПГП I, 21). ყველა ეს გარემოება როგორც პალეოგრაფს, ისევე ხელოვნების ისტორიკოსს მუდამ უნდა მხედველობაში ჰქონდეს.

გიორგი XI-ისეული ვეფხისტყაოსნის 1680 წ. ხელნაწერშიც ამგვარივე წიგნების მხატვრული შემკობის ტრფიალის ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება. მისი დამწერელი მკითხველს მოუთხრობს: „უფალმან ჩუენმან გიორგი ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსანისა და წარაგო მრავალი წარსაგებელი ვითარცა საცნიურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი (? მხილველთანი?) ჴელოვნებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ-შუენიერ ყოფილიყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ და შუენიერ... ესეცა უწყოდით, უფალნო ჩემნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკვია წიგნი ვეფხის-ტყაოსანი მსგავსად პატრონის ჩუენისად“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис. II, 575—576).

ყოველ კარგად შემკულსა და მნიშვნელოვან ხელნაწერს თავისი ძვირფასი ყდა ჰქონდა, დაკაზმული იყო ხოლმე. ზოგჯერ მდიდრულად და მხატვრულადაც იყო ხოლმე მოჭედილი. მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოსს თავის 1020 წ. სიგელში აღნიშნული აქვს, რომ მარტო მან საკათალიკოსო საყდარს შესძინა სახარება „გარე თვლითა და მარგალიტითა შემკობილი“, კიდევ ერთი წიგნი „ეგრევე ვეცხლითა შეკაზმულნი ღილკილოთა ვეცხლისათა“, კურთხევანი „გარე ოქროს ხატითა მოჭედილნი და ცურითა მოჭედილნი“, „მატიანენი სათანაონი ვეცხლით მოცვარულნი“ (ქ͠კბი II, 32—33) და კიდევ ორიც სხვა.

საკმარისია, ადამიანმა ოქრომქანდაკებელის ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი სახარების ყდას გადაავლოს თვალი (სურათი იხ. ჩემი ქ˝ლ ერის ისტორიის II, 641), რომ მაშინდელ განათლებულ ქართველ მომგებელთა დიდი მხატვრული მოთხოვნილება და გემოვნება ცხადი შეიქნეს. მაგრამ ეს საკითხი უკვე დამწერლობათმცოდნეობისა და სამწიგნობრო ხელოვნების სფეროს არ ეკუთვნის, არამედ ქართული ხელოვნების ისტორიის საქმეა.

§ 9. დაზიანებული წერილობითი ძეგლების განახლება

წიგნების გავრცელებულობისა და ხმარების შესახებ § 10-ში მოყვანილია ხელნაწერებში დაცული გოდება და ჩივილი წიგნების ზოგიერთი წამკითხველის დაუდევარი და გაუფრთხილებელი ხმარების გამო, ანდა ზოგჯერ ხელნაწერების ცხადი და შეგნებული, ანგარებით ნაკარნახევი დაზიანების შესახებ. ხან ნათხოვარი წიგნიდან მათთვის საინტერესო შინაარსის რვეულებსა და სურათებს ამოგლეჯდნენ თუ ამოჭრიდნენ ხოლმე, ხან რომელიმე პირისათვის საზიანო ცნობის შემცველ ფურცელს ამოჰკვეთდნენ და გაანადგურებდნენ. „ფურცლის ამოკუეთაჲ" და „რვეულის ამოგლეჯა", რასაკვირველია, საძრახისი საქმე იყო. ამისთვის, როგორც ჩანს, საზღაურის „გარდაჴდევინება"-ც სცოდნიათ, მაგრამ ეს დაზიანებულ ძეგლს, რასაკვირველია, ვერას უშველიდა. კორიდეთის სახარების მურვანის ხელით დაწერილი მინაწერიდან ჩანს, რომ ამ წიგნიდან გადასაჴადების გარიგების შემცველი ფურცელი განზრახ ამოუჭრიათ: „ფორცელი ამოკოეთილი იყო და არ... [გარდაგაჴ]დევინე (გადასახადი), ავიღე თქუენგან სამსახური... და ფორცლისა ამოკოეთაიცა გაგიშოი"-ო[26].

განზრახი და დაუდევარი ხმარებით გამოწვეული დაზიანების გარდა, ქართული წერილობითი ძეგლების კეთილდღეობა მტრების შემოსევაზეც იყო დამოკიდებული. უამრავი ხელნაწერი, სიგელ-გუჯრები და წარწერები სწორედ ამის გამო დაიღუპა ან დაზიანდა. საქართველოს ისტორია სავსეა ამგვარი უბედურების შესახები ამბებით და ამაზე ბევრი ლაპარაკი არც არის საჭირო. მხოლოდ ერთ საგულისხმო ცნობას მოვიყვან ჯვრის მონასტრის № 77 ხელნაწერის მინაწერიდან, რომელშიაც ჯალალედინის საქართველოში შემოსევის დროს ქართულ სამონასტრო და სხვა წიგნთსაცავებზე თავდამტყდარი უბედურების მთელი საშინელებაა დასურათებული. იქ ნათქვამია: „მე სულითა საწყალობელი... გიორგი ღირს მყო მოგებად წ˝თა ამათ მარხვანთა დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუეობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მოგეთხრას მაშინდელი ყოველთა ქრისტიანეთა ჭირნი და განსაცდელნი, ოჴრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არასადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი"-ო (СПГП I, 26, § 77). ცნობა, უეჭველია, გაზვიადებულია, მაგრამ ძალზე შემცირებულიც მაინც დიდი კულტურული უბედურების გამომხატველია.

წერილობითი ძეგლების დაზიანება ზოგჯერ მხოლოდ ნაწერს დაეტყობოდა ხოლმე, ზოგჯერ მისი მთლიანობაც იყო დარღვეული. პირველი ხასიათის

---

[26] Н. Марр, Груз. приписки греч. Евангелия из Коридки. ИАН, 1911, გვ. 228—229.

ზიანს „დაშავება“ და „დაშავებული“ ჰრქმევია, მეორე ხასიათის ზიანს კიდევ „დაშლილობა“ და „დაშლილი“ ეწოდებოდა. დაზიანებულ ძეგლთა პატრონნი ამ ორგვარივე ზიანის გამოსწორებას შეუდგებოდნენ ხოლმე, როდესაც ცხოვრების ხელშემწყობი პირობები და ქონებრივი შესაძლებლობა ამის საშუალებას აძლევდა: დაშავებული ნაწერის განახლებასა და დაშლილი და დაფხრეწილი ხელნაწერების ჯერ დანაკლისი ფურცლებისა და ტექსტის შევსებას, ხოლო შემდეგ შეკვრა-დაკაზმას შეუდგებოდნენ ხოლმე. დაშავებული ნაწერის განახლებას „განცხოველებაჲ“ ერქვა, ხოლო წიგნისას „განახლება“, „გაახლება“ და „ჩამატება“. კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში ნათქვამია: „ამას ზურგით რომელ პაპისა ჩემისა ჴელითა დაწერილ არს, დაშავებულ იყო [და] მე ძისწულმან მისმან ბეშქენ გა[ნ]ვაცხოეელე“-ო[27].

დაშლილი წიგნის განახლების შესახებაც ბევრი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ სანიმუშოდ მხოლოდ ორიოდეს მოვიყვან. ბეშქენ ერისთავთერისთავს კორიდეთის სახარებაში ჩაუწერია: „ერთი სახარებაჲ განთჳსული კორიდული დაშლილი ვპოვე... შევჰკაზმე... სახარებაჲ მათეჲსი სადაგად შევმოსე“-ო[28]. გელათის მონასტრის XIII ს. № 17 ხელნაწერშიც ნათქვამია: „გავაკეთე წ~ჲ ესე წიგნი სჯულის კანონი ფრიად დაშლილი და დაძუელებული ფრიადითა შრომითა“-ო (XB, V, 119—120).

ზოგჯერ ამგვარი გადასული ნაწერისა და დაძველებული, დაშლილი თუ დაგლეჯილ-დაზიანებული წიგნების და წიგნთსაცავის ყველა ხელნაწერის ერთთავად განახლება და გაცხოველება უწარმოებიათ. ამ მხრივ დაძველებულ-დაზიანებული ხელნაწერების შესახებ ერთი ფრიად საგულისხმო და საყურადღებო ცნობა მოიპოვება ჯვარის მონასტრის № 77 ეტრატის ხელნაწერის 1570 წ. მინაწერში: „შეიკაზმა წ~ა ესე... მარხვანი ჴელითა ურბნელისა მთავარეპისკოპოზისა ელჳსისათა და ჴელითა ჩემ ცოდვილისა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბაჲსითა ესრე სახედ, რომელ მე ვაცხოველებდ და დაკლებულსა დავსწერდ და დაფარულსა განვაცხადებდ, ხოლო იგი ჰკაზმავნ და ჰკრავნ. და ორნივე ზოგად ვიპირვებდით არა ხოლო ამის წიგნისა, ყოველთავე წიგნთა რაოდენიცა ახლად განვაკეთეთ... აღესრულა მუშაკობაჲ ამისი... ქ~კს ს~ჲჱ (268 = = 1570), დასაბამითგან წელთა ხ~ოჱ (6078), ხოლო ქრისტეს მოსლვითგან წელთა ჩ~ფო (1570). ამასვე ქორონიკონსა მოვედით ჩუენცა საქართუელოჲთ“ (ალ. ცაგარელი, СПГП II, 26—27, № 77).

ნიკოლოზ კათალიკოსსაც მცხეთის 1687 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: „ძველს წიგნებს რა გაახლება, ჩამატება და შეკრვა უნდოდა, ყველა გავაკეთებინე“-ო (ისტ. საბ. IV, 66).

დასასრულ, კიდევ ერთი მეტად იშვიათი და ამის გამო განსაკუთრებით ძვირფასი ცნობა არსებობს, რომლიდანაც ჩანს, რომ მარტო ხელნაწერების განახლება კი არა, თვით წარწერების განახლება და ძველის მაგიერ დაახლოებით ძველივე შინაარსის ახლის გაკეთება სცოდნიათ საქართველოში. სვეტიცხოვლის საქადაგე ხატს სახელდობრ შემდეგი წარწერა აქვს: „შევამკე და შევაჰედინე კუბო (ე. ი. ხატის ბუდე) ესე სვეტისცხოველის საქადაგე ხატისა

[27] Н. Марр. Груз. приписки греч. Евангелия из Коридин. ИАН. 1911, გვ. 227.
[28] იქვე, გვ. 238.

ჩვენ ყოვლისა ჩრდილოეთისა და აბხაზეთის კათოლიკოზმან გურიელმან მალაქია... ოდეს შაჰაბაზმა ყეენმა კახეთი და ქართლი აღაოხრა, კახეთისა და ქართლის ბატონები ორივენი ლიხეთის მთას აქეთ გარდმოვიდნენ... და ქართლისა კათოლიკოზი იოანე ჩვენთან მოვიდა და აქ ჩვენთან მიიცვალა... ქ. პირველად გაეკეთებინა კუბო ესე დედის ბიძასა ჩვენსა კათოლიკოზს გურიელს, დალეწილიყო და შემუსვრილიყო. ხელახლა ჩვენ საქართველოს მეფე[თა] შარავანდედმა კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ განვაახლეთ და ვერცხლი ოცი მარჩილი დავდევით. ისევ როგორც გურიელის კათოლიკოზის სახელი ეწერა, ისევ დავწერეთ... ქკ˜სა უ˜დ (404 = 1716 წ.), ˜სვეტისცხოვლის სახე არ იყო და ჩვენ გამოვიყვანეთ“-ო[29]. მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსის მალაქიას ზემომოყვანილი წარწერა მისი და მისდროინდელი კი არ ყოფილა, არამედ დომენტი კათალიკოსის ბრძანებით გადმონაწერსა და განახლებულ წარწერას წარმოადგენს. აქ ეს გარემოება აღნიშნულია, სხვაგან შეიძლება აღნიშნული არც იყოს. ამიტომ პალეოგრაფს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ძველი წერილობითი ძეგლების გაცხოველება-განახლება იშვიათი შემთხვევა არ იყო, ნაწერისა თუ ტექსტის შეფასების დროს ამასაც უნდა ანგარიში გაუწიოს ხოლმე.

§ 10. წიგნების გავრცელებულობა და ხმარება

საქართველოში წიგნს დიდი გასავალი ჰქონდა და წიგნების დიდი მოთხოვნილება იყო. რამდენად დიდ ღირებულებად და განძეულობად ითვლებოდა წიგნი, ამის გასათვალისწინებლად შეიძლება გიორგი მერჩულის ერთი ცნობა იქნეს აღნიშნული, რომ გრიგოლ ხანძთელმა ახლად აგებულ უბის მონასტერში „ილარიონ ვინმე იერუსალჱმით მოსრული... დაადგინა მამასახლისად, რამეთუ... აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი, და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, დაუტევნა მონასტერსა მას“ (ც˜ჲ გგ˜ლ ხანძ˜თლსჲ, გვ. კგ, § კა). დაიწერებოდა თუ არა ახალი თხზულება, გადმოითარგმნებოდა თუ არა ახალი ძეგლი, ამ ახალი წიგნების შეძენის მსურველნი ჩნდებოდნენ და მათი გადაწერა იწყებოდა. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, დავით დიდი კურაპალატი ეფთჳმე მთაწმიდელს „ზედაჲსზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს“ წიგნებს და „წარსცემდეს“ საქართველოში წამოსაღებად და გასავრცელებლად. ისიც თავის თავსა და ჯანმრთელობას არ ზოგავდა და ახალ-ახალ წიგნებს თარგმნიდა და წერდა „და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა“-ო (ც˜ა ი˜ესი და ეფთ˜მსი, 48,1).

ამგვარადვე გიორგი მთაწმიდელის ნათარგმნი თუ საკუთარი თხზულებები უცხოეთში მყოფ ქართველთ „ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროჲს ყოველთასა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან და თჳსისა მონასტრისა, ბარალამ წმიდისათჳს დააწერინა“-ო (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წმდლსჲ, 316). გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, „რომელნიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გარდაწერილ არიან“ (იქვე, 310).

წიგნების გარკვეული რაოდენობა არსებობდა, ის მინიმუმი, ურომლოდაც არც ერთ ეკლესიას და მონასტერს წესიერი მოქმედება არ შეეძლო და რომელიც ყოველ მათგანს უეჭველად უნდა ჰქონოდა. დოროთეოზ კათალიკოსს

---

[29] Натроев, Сваети-Цховели, 413; ხატის სურათი 420 V.

იტრიის XVI ს. დამლევის სიგელში ნათქვამი აქვს: „წიგნები, რაც ერთს მონასტერს მოუნდების, ყუელა კარგი და პატიოსანი“ შევწირეო (ს˜ქს სძ˜ელნი III, 127).

მონასტრებისა და კულტურის სხვა დაწესებულების გარდა, წიგნების მოყვარულნიც იყვნენ, რომელნიც თავიანთთვის საკუთრივ აწერინებდნენ ან გადაიწერდნენ ხოლმე ხელნაწერებს. გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, ბერმა იოანე პატრიკ-ყოფილმა „თავისა თჳსისათჳს გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნნი“ გიორგი მთაწმიდელისა (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წმდლსჲ, 311). ასეთ მოყვარულს ეწოდებოდა „ტრფიალი წიგნთაჲ“. 1047—53 წწ. გადაწერილი სახარების თარგმანების ხელნაწერის ანდერძში აღნიშნულია, რომ „ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ მოსწრაფედ ტრფიალი წიგნთა საღმრთოთაჲ“ ყოფილა (ქ˜კბი I, 193), და ეს ცნობა გიორგი ხუცესმონაზონსაც დადასტურებული აქვს. ასეთი პირები ცდილობდნენ, რომ თავიანთთვის გადმონაწერი თუ შეძენილი წიგნები მხატვრულად შეემკოთ და ყოველისფრით სამაგალითოდ გაეხადათ. ამავე გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის „თითოეულისა წიგნისა ზანდუკი და ანდერძი ღმრთივ-შუენიერად... ბერმან იოანე პატრიკ-ყოფილმან აღწერა“ და დაურთო, როდესაც ამ ნაწარმოებებს თავისთვისა წერდაო (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წმდლსჲ, 311).

წიგნების კითხვის წყურვილი და მოთხოვნილება საქართველოში შემდეგშიაც დიდი იყო, თუმცა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების გამო, წიგნების რიცხვი წინანდელთან შედარებით შემცირდა. ერთ ხელნაწერ კრებულში დამწერელს ნათქვამი აქვს: „აღიწერა და სრულ იქმნა წიგნი ესე კაცთა შესაქმე, ექუსთა დღე, სახისმეტყუელება, კურთხევა და ცხორება ათორმეტთა ნათესავთა და ათორმეტთა თუალთა არონისთა და სხუანი სწავლანი იოანე ოქროპირისანი ბრძანებითა მეფისა გიორგისითა. რომელსა სუროდა მრავალთა საღმრთოთა და სამეცნიეროთა წერილთა კითხვა და თარგმანება, რათა განმარტებულად გამოიძიოს ღთივ წერილნი, რომელსა შეუკრებიეს გულსა მისსა ყოველი სწავლა და მეცნიერება“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис., II, 653).

ყოველ წიგნს თუ წერილს თავისი დანიშნულება ჰქონდა: ზოგი იყო „ს ა ღ მ რ თ ო ჲ წ ი გ ნ ი“, ზოგი „ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო“, ზოგი „ს ა კ ი თ ხ ა ვ ი“ და „ს ა ე რ ო ანუ გ ა რ ე შ ე“. გიორგი იმერთა მეფის თანამეცხედრეს დედოფალთა-დედოფალს დიასამიძის ასულს თამარ-ყოფილს ქრისტინეს თავის 1586 წ. გელათის სიგელში ნათქვამი აქვს: „შემოგწირეთ... ჩემი საკითხავი ჟამნი და ოთხთავი, დავითნი“-ო (დას. საქ. საბ. I, 33).

წიგნები იმდენად აუცილებელი იყო ყოველი განათლებული ოჯახიშვილისა და ადამიანისათვის, რომ წესად იყო მიღებული გასათხოვარი ქალისთვის მზითევში უეჭველად წიგნებიც უნდა გაეტანებინათ. ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნში, მაგ., აღნიშნულია: „სახარება ერთი, კიდევ სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, კელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის მხედრული დავითნი ერთი, სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი, — თავისის ოქროქსოვილის ბოხჩებითა... საეროს წიგნისაგან: ვეფხის-ტყაოსანი ერთი, ჯაზულით დახატული ერთი, ლეილ-მეჯნური[ანი] ერთი, უსუფ-ზილიხანიანი ერთი, საამიანი ერთი“ (ს˜ქს სძ˜ელნი III, 483). ამგვარად, ბატონიშვილს მზით-

ვად გაჰყოლია 8 სასულიერო და ხუთი საერო წიგნი, ე. ი. სულ 13 წიგნი თავისი ბუდეებით.

ქსნის ერისთავის ასულს ელენეს 1713 წ. მზითვის წიგნის მიხედვით მზითევში მიუღია: „სამღვთო წიგნებისაგან — სახარება, დავითნი ჭელით ნაწერი ვერცხლის ბირკებითა, ჟამნი ერთი ჭელით ნაწერი, პატარა ჟამნი, სტამბისა ჟამნი ერთი, ყოვლად წმიდის სავედრებელი ერთი, წმიდის მარინას ცხორება ერთი, სარწმუნოება ერთი" (იქვე, III, 493), სულ 8 წიგნი. ხოლო „გარეშეს (ე. ი. საერო) წიგნისაგან — ვეფხის-ტყაოსანი, ზილიხანიანი ერთი, ირდუხტიანი ერთი" (იქვე, III, 497), ანუ 3 წიგნი. ამგვარად, სასულიერო და საერო შინაარსის მზითვად გატანებულ წიგნთა რიცხვი 11 უდრის.

იოანე დოლენჯიშვილის ქალს, ანასაც 1796 წ. 3 წიგნი — დავითნი, ლოცვები და ვახტანგიანი მზითვად წაუღია და სამიც — სამოციქულო, პარაკლიტონი და ზატიკი მზითევს გარეშე (ს˝ქს სძ˝ვლნი I, 403 და 406), ანუ სულ 6 წიგნი.

წიგნს, მეტადრე კარგსა და მხატვრულად შესრულებულს, მტერიც ბევრი ჰყავდა: ზოგს სხვის მშვენიერსა თუ საგულისხმო შინაარსის საკითხავ წიგნზე ეჭირა თვალი, ზოგმა წიგნის გაფრთხილება არ იცოდა და კითხვის დროს აფუჭებდა ან საინტერესო ნაწილის ამოგლეჯით თავისთვის შესანარჩუნებლად, ან შინაარსით აღტაცებული თუ სხვა გრძნობით ამოძრავებული, თავის აზრსა და სურვილს იქვე ტექსტის გვერდით მიაწერდა ხოლმე. ამიტომ იყო, რომ მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი თავისი 1779 წ. დაწერილი წიგნის ანდერძში გამწარებით ამბობდა: „წყეული იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით წაიღოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეული იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოთ არშიაზე ბღარჯვა დაუწყოს და ან ფინთად და უნაღვლელად და ნისიათ იხმაროს"-ო (ე. თაყაიშვილი, Опис., II, 553).

ჩაჩიკაშვილის სიტყვები ცხადყოფენ, რომ ამ ხანაში მაინც იშვიათი მოვლენა არ ყოფილა, რომ, როცა პატრონს დავიწყებული ჰქონდა, თუ ვის მისცა დანამდვილებით თავისი წიგნი წასაკითხავად, წამღებს ნათხოვარი წიგნი „აღარ გამოეჩინოს". მოწონებული ამბავის გულისათვის „რვეულის ამოგლეჯა" ან „ფურცელის ამოხევა" და ბოროტი განზრახვით „ამოკვეთა"-ც სცოდნიათ. საერთოდ წიგნის ცუდად და „უნაღვლელად და ნისიად ხმარება", მეტადრე მერმინდელი კულტურული დაქვეითების ხანაში, ცხოვრების მტკივნეული ნაკლი ყოფილა.

§ 11. საშინაო და სათანაო ხელნაწერები და წიგნთხაცავები

წიგნები დანიშნულებისდა მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთნი შინ, სახლში სახმარებლად იყვნენ განკუთვნილნი — ასეთ წიგნებს მაშინ „ს ა შ ი ნ ა ო ნ ი" ეწოდებოდა, — მეორენი თან სატარებლად ჰქონდათ ხოლმე, რომელთაც „ს ა თ ა ნ ა ო ნ ი" ერქვათ. მელქისედეკ კათალიკოსს თავის 1020 წ. სიგელში, მაგ., ჩამოთვლილი აქვს: „სათანაო ოთხთავი სახარება :ა:" (1), „სათანაო მრავალთავი ერთი", „მატიანენი საშინაონი", დასასრულ „ჟამის წირვანი სათანაონი: ა:" (ქ˝ძი II, 32—33).

სინას მთის № 77 (ა. ცაგარლის კატალოგით № 54) ხელნაწერიდან ჩანს, რომ მონასტრებში წიგნებისათვის განსაკუთრებული ოთახი ყოფილა, სადაც ხელნაწერები ელაგა და საიდანაც წიგნების გამოტანა სენაკში წასაკითხავად აკრძალული ყოფილა. ვისაც კითხვა სურდა, იქვე, იმავე ოთახში უნდა წაეკითხა და წაკითხვის შემდგომ ხელნაწერი თავისსავე ალაგას დაედვა. იქ, ამ წიგნის ანდერძში, ნათქვამია: „ვინც ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს ანუ სხ˜სა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გალმა გაიღოს, ანუ სენაკსა შინა დაიდვას, ანუ ეკლესიის სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა გაუქსნელად". ეს წიგნები „ისხნენ საწიგნეთა ზედა: ვის უნდენ, იკმარნის, ვის არა, მ˜ჳდობაჲ მის თანა:. რომელმან ესე ანდერძი ამოკუეთოს, ანუ სხ˜ჲ ფურცელი, კრულია ქრისტეჲს ღ˜ისა ჩ˜ნისა ძალითა და ჯუარისა ცხოველმყოფელისაჲთა"-ო (გვ. 191a—b).

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ სამკითხველო ოთახში ხელნაწერები „საწიგნეთა ზედა" ყოფილა დალაგებული, რომელნიც თითქოს თაროების მსგავსად უნდა იყოს საფიქრებელი. ტერმინი „ს ა წ ი გ ნ ე ნ ი" მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგელშიც გვხვდება. მას ნათქვამი აქვს, რომ მას საკათალიკოსო საყდრისათვის შეუწირავს „საწიგნენი ოქროჲთა და ვეცხლით ცურვებულნი ერთი" (ქ˜კბი II, 33). საბა ორბელიანის განმარტებით, „საწიგნე წიგნთა ადგილი" უნდა იყოს (ლექსიკ.). მაგრამ ეს ისეთი ბუნდოვანი განმარტებაა, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. სინას მთის ხელნაწერის ცნობა უფრო გარკვეულია და „საწიგნე" წიგნების დასადები ყოფილა, მაგრამ რა სახის, თაროს მაგვარი თუ ფერხედი, ძნელი სათქმელია. მელქისედეკ კათალიკოსის ოქრო-ვერცხლით დაფერილი საწიგნის შესახები სიტყვებიც, ალბათ, ხელნაწერების დასაწყობს გულისხმობს, მაგრამ ძვირფასად და ხელოვნურად გაკეთებულს. ძნელი წარმოსადგენელია, რომ აქ წიგნის ბუდე იგულისხმებოდეს, რადგან მაშინ ერთის მაგიერ რამდენიმე ცალი მაინც იყო მოსალოდნელი.

იმ სენაკს, რომელშიაც ხელნაწერები ელაგა წასაკითხავად, „წიგნის საცავი" ეწოდებოდა. ეფრემ მცირეს თავის ფსალმუნთა თარგმანებაში ნათქვამი აქვს: „რაოდენნიცა იყვნეს წიგნის საცავსა სჳმეონ წმიდისასა თარგმანებანი დავითისნი, ყოველნივე დედად მქონდეს"-ო (გვ. 247). ანტონ კათალიკოსსაც აღნიშნული აქვს: „წესი გამორჩევის და ჴელდასხმისა მღვდელმთავრობითისა... ეპოვნეთ საუნჯეთა შინა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა"-ო (თ. ჟორდანია, Опис., I, 227, ხელნაწ. № 20), ე. ი. მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავში.

ამ დიდსა და ძირითად წიგნთსაცავებს გარდა, მრავალრიცხოვან მონასტრებში, როგორც ეს სინას მთის № 67 ხელნაწერიდან ჩანს, დაყუდებულთათვის პატარა სასენაკო წიგნთსაცავებიც ყოფილა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მეფეს არამცთუ ძირითადი, არამედ მოძრავი, სათანაო წიგნთსაცავიც კი ჰქონია. მისი სიტყვით, დავით აღმაშენებელს „დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყინებელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტჳრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდაჴდის ჰონესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან ჴელითა" (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი *547, გვ. 315).

რასაკვირველია, დიდ წიგნთსაცავებს იქ დაცული ხელნაწერების სია, კატალოგი ჰქონდა ხოლმე. პროფ. ნ. მარმა სინას მთის № 92 ხელნაწერის ყდაზე შიგნით გაკრული ეტრატის პალიმფსესტზე აღმოაჩინა რომელიღაც მონასტრის X ს. ამგვარი კატალოგის ნაწყვეტი. იქ სულ ოცდაორი წიგნის სათაური არის შენახული. მათ შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ც არის დასახელებული. ზოგი თხზულება ორ-ორ და მეტ ცალადაც, ექვსცალიანი წიგნიც კი იხსენიება და სულ 52 ხელნაწერია მოხსენებული[30].

კატალოგის ამ ნაწყვეტის მიხედვით სამონასტრო და სხვა წიგნთსაცავების სიმდიდრის რაოდენობის გათვალისწინება არ შეიძლება. მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგელში ნათქვამია, „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერია, ჯუმლად არს თავი: კე:" (ქ˘კბი II, 33). თუ მარტო მას ამოდენად გაუმდიდრებია მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავი, სხვებიც ხომ, წინანდელი და მერმინდელი კათალიკოსებიც წიგნების გამრავლებისათვის ზრუნავდნენ და ამიტომ უფლება გვაქვს განთქმული მონასტრებისა და სამეფო წიგნთსაცავები შედარებით მდიდარ წიგნთსაცავებად ვიგულისხმოთ.

პროფ. ალ. ცაგარლის ცნობით, ათონის მონასტერში წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში 86 ხელნაწერი, იერუსალემის ჯვრის მონასტერში 147 და სინას მთის მონასტერში 93 ხელნაწერი იყო. ვერც ერთი ამ რიცხვთაგანი უცხოეთში მდებარე ქართული მონასტრის წიგნთსაცავების ოდინდელი სიმდიდრის გამომხატველად ვერ ჩაითვლება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ, თვით ეფთვმე მთაწმიდელის სიტყვით, მარტო თეოფანე ხუცესს ათონის მონასტრისათვის 1500 დრაჰკანი დუკატის ღირებულების ანუ 75 წიგნზე მეტი შეუწირავს. თუ ამ რიცხვს პირადად ეფთვმე მთაწმიდელის აღწერილ 90 წიგნსა და გიორგი მთაწმიდელის 40 წიგნსაც მივუმატებთ, მარტო ამ სამი პირის ნაღვაწის რაოდენობა 205 ხელნაწერს უდრის, ნამდვილად კი გაცილებით აღემატებოდა. მაგ., გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, თორნიკეს 7 წიგნი შეუწირავს, მათ შორის ქართული დაბადების სრული ტექსტი ყოფილა (ც˘ჲ ი˘ესი და ეფთ˘მსი 31,3). ხოლო ათონის აღაპებისდა მიხედვით XI— XII სს. ამავე მონასტრისათვის სჳმონ ხერკელს 5 წიგნი უჩუქებია (ათონის კრებული, გვ. 217), პეტრე ხუცესს 8 წიგნი (იქვე, გვ. 223) და იოანე რუს ყოფილს 5 წიგნი (იქვე, გვ. 227). ეს 25 წიგნიც რომ მივათვალოთ, 230 ხელნაწერი გვექნება. ცხადია, ვერც ეს რიცხვი ჩაითვლება ათონის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერების ნამდვილი რაოდენობის გამომხატველად, რადგან ამ მონასტრის წინანდელი სიმდიდრის შესახებ ჩვენ ხელთ მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი ცნობებია და, უეჭველია, შეწირულებათა და ნასყიდობათა შესახები მომეტებული ნაწილი ან სამუდამოდ დაიღუპა, ან გამოუქვეყნებელი და ჯერ უცნობია. ათონის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერთა რაოდენობის ჩვენ მიერ გამოანგარიშებულ რიცხვს, 230 წიგნს, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცხადყოფს, თუ რამდენად დაშორებულია სინამდვილეს ამ მონასტრის ხელნაწერთა აწინდელი რაოდენობა, 86, და, მეორე მხრით, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათონის ქართველთა მონასტერს დიდი წიგნთსაცავი უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ხელნაწერთა რამდენიმე ასეული და მეტიც უნდა ყოფილიყო.

---

[30] Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае. Сообщ. Прав. Палест. общ., 1903, წიგნი XIV, გვ. 45.

ვანის XII ს. სახარების გადამწერლის ანდერძიდან ცხადი ხდება, რომ ათონის ქართველთა მონასტერს, XII ს-ში მაინცდამაინც, ორი წიგნთსაცავი ჰქონია: ერთი დიდი და ერთიც პატარა, — იმას გარდა, რაც ყოველდღიური ღვთისმსახურებისათვის საჭირო წიგნები თვით ეკლესიაშივე ელაგა. თამარ დედოფლის მლოცველი იოვანე თავის ანდერძში მკითხველს თავისი გადანაწერის ვითარებას ასე აუწყებდა: „ესე საცნაურ [ი]ყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი სახარებანი მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი საეკლესიოჲსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იხმარებენ, აღწერილ არიან და არა მისგან, რომელი თჳთ გიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის საცავს, არამედ მისგან გარდაწერილისაგან“. ხოლო რაკი ამ გადანაწერებში შეცდომები შეჰპარვიათ და გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი ტექსტი დამახინჯებული ყოფილა, ამიტომ „დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია, მო-რა-ვიდა მთასა წმიდასა, ძიებად ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს. და პოა დიდსა წიგნის საცავსა შინა. და აღივსო სიხარულითა და მიერ გადმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღ-მო-რა-ვიდა რომანიას, მე ჴელთ-ვჯავ ცოდვილმან იოვანე აღწერად“-ო (ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი I, 15—16). ათონის მონასტრებში ქართველებს „დიდი წიგნთსაცავი“ ჰქონიათ. მისი ამგვარი სახელი გვაფიქრებინებს, რომ პატარა წიგნთსაცავიც უნდა ჰქონოდათ, რომელშიაც, ალბათ, საშუალო მკითხველისათვის ჩვეულებრივ საკითხავი წიგნები იქნებოდა მოთავსებული. დიდ წიგნთსაცავში, რომელშიაც მაშინ ცნობილი ყველა ქართული და ქართულად ნათარგმნი ძეგლი და მათი ბერძნული დედანი იქნებოდა შეგროვებული, სხვათა შორის, უძვირფასესი ხელნაწერები, გამოჩენილ მეცნიერ-მოღვაწეთა ნუსხები, ავტოგრაფებიც ყოფილა დაცული, როგორც გიორგი მთაწმიდელისა და, უეჭველია, იოანე და ეფთჳმე მთაწმიდელების მიერ საკუთარი ხელით ნაწერი ძეგლები. ეტყობა, როგორც თანამედროვე ქართველი ბერები, ისევე მერმინდელი თაობანი, მათ ნაღვაწს დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ და თვალის ჩინივით სიფრთხილით იცავდნენ.

რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ათონის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავი, თუნდაც იმ ცნობიდან ჩანს, რომელიც ათონის მთის მონასტრების 1726 წ. და 1744 წ. მომხილველი ვ. ბარსკის აღწერილობაშია შეტანილი. მისი სიტყვით, ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავი ათონის ყველა სხვა მონასტრის წიგნთსაცავებზე უფრო დიდი ყოფილა და, მრავალ სიგელ-გუჯრებს გარდა, უძველეს ხელნაწერებს შეიცავდა. იქ, ქართულის გარდა, ბლომად ყოფილა ბერძნული და ლათინური[31] სხვადასხვა შინაარსის წიგნებიც. ბარსკის სიტყვით, იქ 3000 ხელნაწერზე მეტი ყოფილა, რომელთაგან ზოგი იშვიათი იყო, ან სხვაგან არსად იშოვებოდა (Пешеходца Василия Григоровича Барского-Палки-Албова, уроженца Киевского, Монаха Антиохийского, путешествие к св. местам, в Европе, Азии и Африке находящимся, предпринятое в 1723 г. и оконченное в 1747 г., им самим написанное, изд. 3-ье, СПб. 1793 წ., ნაწილი II, 591—592 და ალ. ცაგარელის СПГП, I, 63—64).

---

[31] ცნობილია, რომ რომაელი ბერებისათვის საკუთარი მონასტრის აგებას ათონზე იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელებმა შეუწყვეს ხელი.

როგორც სამონასტრო და საკათალიკოსო, ისევე სამეფო და კერძო მესაკუთრეთა წიგნთსაცავების ზრდა, რასაკვირველია, მშვიდობიანობის დროს იყო შესაძლებელი. თუ უძველეს ხანას ცნობების უქონლობის გამო თავს დავანებებთ, წიგნთსაცავები თვით საქართველოში, მეტადრე X—XII სს-ში უნდა ყოფილიყვნენ მდიდარი.

ტბეთის სახარების XII ს. ანდერძში ნათქვამია: ტბეთის საყდარში „იხხნეს ძუელნი წიგნნი მრავალნი"-ო (МАК XII, 156). აქ მრგლოვანი ასომთავრულით დაწერილი ხელნაწერები იგულისხმება და ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ამ დროს XII ს-ზე უწინარეს დაწერილი ხელნაწერები ტბეთს მრავალი ჰქონია. მაშასადამე, დიდი წიგნთსაცავის პატრონიც ყოფილა. ამავე დროს მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავში, დავით გარეჯისა, შიომღვიმისა, გელათისა და სხვა მონასტრების წიგნთსაცავებში წიგნების რიცხვი, უეჭველია, ასობით უნდა ყოფილიყო. საპატრიარქოსა და სამეფო წიგნთსაცავებში ხომ ხელნაწერთა ამაზე მეტი რიცხვია საფიქრებელი. ამასთანავე, უეჭველია, საპატრიარქო წიგნთსაცავში, ქართულის გარდა, ბერძნული ხელნაწერებიც იყო, როგორც ამას საქართველოში ახლაც დაცული ბერძნული წიგნები ცხადყოფენ, ხოლო სამეფო წიგნთსაცავში არაბული და, მეტადრე, სპარსული ხელნაწერებიც ბლომად იქნებოდა. დავით აღმაშენებლის შესახებ თვით მაჰმადიან ისტორიკოსებსაც აქვთ ცნობა, რომ ყურანის თარგმანება იცოდა.

მტრების მრავალგზისი შემოსევა წიგნთსაცავების არამცთუ ზრდას აფერხებდა, ხშირად მათ არსებობასაც კი სპობდა, ყოველთვის კი მათ საგრძნობ ზიანს აყენებდა ხოლმე. ჰუნებისა და ხაზართა შემოსევასაც რომ ამ მხრივ ხეირის დაყრა არ შეეძლოთ, ეს ცხადია, მაგრამ ამაზე მეტი კულტურული უბედურება XIII ს-იდან იწყება. ამ მხრივ საქართველოს წიგნების საგანძურებს საშინელი ზიანი ხვარაზმელთა შემოსევამ მიაყენა ჯალალედინის მეთაურობით. ვინმე გიორგი იერუსალემის ჯვარის მონასტრის ერთი წიგნის მინაწერში მაშინ დატრიალებული უბედურების ამბავს მკითხველს ასე მოუთხრობს: მე „გიორგი ღირს მყო მოგებად წ~თა ამათ მარხვანთა დიდსა სიგლახაკესა შინა შემდგომად ტყუეობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველი შემდგომითი-შემდგომად მიგეთხრას მაშინდელნი ყოველთა (იგულისხმება საქართველოს) ქრისტიანეთა ჭირნი და განსაცდელნი, ოჴრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არასადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი. იერუსალემს შუკათა შინა შთასულმან ვნახე ესე ორნი წიგნნი — ერთი ესე და ერთი საწინასწარმეტყუელო — სპარსსა კაცსა ჰქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლივ წაუხუენ ესე სადღესასწაულო"-ო (ალ. ცაგარელი, СПГП, II, 26, № 77). რასაკვირველია, ეს ცნობა მაშინდელ უბედურებას გაზვიადებულად გვისურათებს: არც ისე იქნებოდა საქმე, რომ საქართველოს არც ერთ მონასტერსა და ეკლესიაში ერთი წიგნის ფურცელიც კი არ გადარჩენილიყო. IX—XII სს. ხელნაწერებმა მთლიანადაც ათობით მოაღწიეს ჩვენამდის. მაგრამ ჯალალედინის შემოსევის გამანადგურებელი შედეგი ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც ის თავის ლაშქრითურთ მივიდა, თვით მისივე კარის ისტორიკოსის, ნესევის თხზულებაშიაც არის აღნიშნული და მონღოლთა დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელსაც აქვს აღწერილი. რაც მტრის ხელს თბილისში გადაურჩა, უეჭველია, ის თვით ქართველთაგან მტრის ხელში ჩავარდნილი დედაქალაქის გადაწვის დროს უნდა დაღუპულიყო. ამი-

ტომ, საფიქრებელია, რომ მაშინ თბილისში სამეფო სასახლის წიგნთსაცავიც განადგურდებოდა. თემურ-ლენგისაგან საქართველოში და სხვა ქვეყნებში დატრიალებული უბედურება და აოხრება საკმაოდ კარგად არის ცნობილი, რომ ამაზე ლაპარაკი საჭირო იყოს. მთავარი მონასტრების, ეკლესიებისა და ციხეების დანგრევამ, უეჭველია, თან მათი მონღოლთა ბატონობის შემდგომ შევსებულ-განახლებული ქონებაც, რასაკვირველია, წიგნების უდიდესი ნაწილიც იმსხვერპლა. რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ამ თემურ-ლენგის შემოსევისაგან მოყენებული ზიანი, იქიდანაც ჩანს, რომ 1546 წ. ლუარსაბ მეფისა და კათალიკოსისაგან შედგენილი სვეტიცხოვლის საყდრის განძის ანგარიშში მხოლოდ 51 წიგნიღა იხსენიება, მათ შორის ქართლის ცხოვრების ერთი ხელნაწერიც[32].

ლუარსაბ მეფის დროს საქართველო, როგორც ვიცით, კვლავ მტრის შემოსევის მსხვერპლად იქცა. შაჰთამაზის დროს როგორც თბილისი, ისევე მცხეთა მეტად დაზიანდა, თვით ლუარსაბ მეფეც წამებულ იქნა. შემდეგ შაჰაბაზის ხანგრძლივმა სამხედრო მოქმედებამა და დაქსაქსულისა და შეუთანხმებელი აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულმა თავგანწირულმა უსწორო ბრძოლამ ჩვენი ქვეყანა, მეტადრე ამიერი საქართველო, საშინლად დააზარალა და კულტურულად გაანადგურა.

მტრების მრავალგზისი შემოსევის დროს სხვა ქონებასთან ერთად წიგნთსაცავები და მრავალი წიგნიც დაიღუპა. მაგრამ ყოველთვის, როცა მშვიდობიანობა დამყარდებოდა და ცოტად თუ ბევრად მყუდრო ცხოვრება შესაძლებელი შეიქმნებოდა, მაშინვე დაზიანებული ხელნაწერების განახლება-შეკეთებას იწყებდნენ, ხოლო განადგურებული წიგნების მაგიერ სადმე გადარჩენილი დედნებიდან ხელახლად გადააწერინებდნენ ხოლმე. ხელნაწერთა განახლების შესახებ საკმაო ცნობებია ამისთვის განკუთვნილ § 8-ში და აქ ამაზე მეტი საუბარი საჭირო აღარ არის. წიგნების დანაკლისის შესავსებად წარმოებული ფართო მუშაობის გასათვალისწინებლად გელათის წ̃ა გიორგის მონასტრის ხელნაწერში ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება: „დაიწერა... ბრძანებითა დიდისა აბხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისა (sic?) კათალიკოზისა პატიოსნისა ეფთჳმისითა... ბიჭჳნთისა ღვთისმშობელო, აცოცხლე... რამეთუ ჭეშმარიტად იჭირვოდა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროან და პატიოსანთა, ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუენ გუიბოძებდა მათსა ალალსა მათისა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცხრებოდა... ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერალთაჲ გვაწერინებდა დიდისა პატივითა და წყალობითა"-ო (ქ̃კბი II, 435, — 1605 წ. ქვეშე).

მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მონასტრები და ტაძრები მთელი მათი ქონებით ხშირად ისე იყო ხოლმე განადგურებული, რომ საქმის თითქმის ისევ თავიდან დაწყება უხდებოდათ ხოლმე. მეფე სვიმონს, მაგ., 1566 წ. სიგელში აღნიშნული აქვს, რომ „ძველითგან მრავალჟამ დავიწყებული საყდარი საეპისკოპოზო ურბნისი... მოშლილი იყო ჟამთა ვითარებისაგან და ულმრთოთა

[32] იხ. ეს საბუთი ან. ნატროშვილის Свэти-Цховели-ში, გვ. XVII—XX, მეტადრე გვ. XIX—XX.

აგარიანთა კელითა ტყუედ ქმნილ იყო განძი და გუჯარი მისი“-ო. ცხადია, გუჯარ-განძეულობასთან ხელნაწერებიც წაღებული, ანუ განადგურებული იქნებოდა. „კუალად... კელ-ვყავ და ვიწყეთ განახლებად“-ო (ს˜ქს სძ˜ვლნი I, 321).

ამგვარადვე დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის 1712 წ. გუჯარში მოყვანილი ცნობით, გარეჯის „უდაბნონი და მონასტერნი ჟამთა ვითარებისა და ქუეყანის შლილობისაგან აოჴრებული იყო. როსცა რომ კახეთს მშვიდობა და შენობა ჩავარდნილიყო, მეფის არჩილის დროს, ორნი კარგნი მღვდელ-მოლოზონნი (sic) დამდგარიყუნენ — პავლე და ნიკოლოზ, კარგნი და პატიოსანნი. აღარცა რა არჩილ მეფეს დასცალებოდა და ის მღვდელ-მონაზონნიც (sic) მიცვალებულიყვნენ, მაგდენი მონასტრის შემატების საქმე არა დასცალებოდათ რა. იმათ მიცვალებას უკან ჩუენც ზედ მოვესწრენით. იმათი ნაღვაწიცა და ამ გუჯრის უწინდელი ჩუენი ნაღუაწიცა, — ურჯულონი ლეკნი დაგვესხნენ თავსა — და მონასტრის კრებულიც დახოცეს და მონასტრის საკმარნი ჭურჭელნი და საეკლესიო იარაღი ყუელა წარსტყუენეს, იავარყუეს და მოაოჴრეს. ამა ზემოთი წერილი, რომელსაც მოგითხრობს და მოგახსენებსთ, მასუკანდელი ნამუშაკევი და ნაღვაწი არის“-ო[33]. ონოფრე მაჭუტაძის გუჯარში რამდენსამე ადგილას გარეჯის უდაბნოს წიგნებიც არის ჩამოთვლილი: ერთგან 13 წიგნია დასახელებული, მეორეგან — 10 წიგნი (იქვე, გვ. 57), მესამე ადგილას — 26 (იქვე, გვ. 58), მეოთხე ადგილას — 5 წიგნია[34] (იქვე, 59—60) და მეხუთე ადგილას 33 წიგნი (იქვე, 62—63). მაშასადამე, განახლებული დავით გარეჯის უდაბნოს ახლად შექმნილი წიგნთსაცავი 1712 წელს სულ 87 წიგნს შეიცავდა, რომელთაგან 15 წიგნი ნაბეჭდი იყო და 1 ვერცხლით მოჭედილი.

რამდენი შეემატა მას შემდეგში 1721 წლამდე, ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ამის შერმინდელი ამბების წყალობით, ჯერ თურქთა, შემდეგ სპარსთა ბატონობისა და თავაშვებული ნავარდის დროს სამონასტრო ქონებასა და წიგნთსაცავს ზრდის მაგიერ, უეჭველია, ზიანი უნდა მოსვლოდა. ამით აიხსნება, რომ დავით გარეჯის უდაბნოს ქონების 1764 წ. აღწერილობაში ისევ 87 წიგნი ჩანს, მათგან 2 მოჭედილია, 4 ნაბეჭდი და ორიც რუსული წიგნია[35], ისე რომ ქართული წიგნების რიცხვი 85 გამოდის. ამგვარად, წიგნთსაცავის ქონება თავის პირვანდელ, განახლების დროინდელ 1712 წ. მდგომარეობასთან შედარებით გაზრდის მაგიერ შემცირებულა კიდეც.

მაგრამ ამ პოლიტიკურ-კულტურული დაქვეითების ხანაშიაც ცოტად თუ ბევრად მყუდროდ მყოფი მონასტრების წიგნთსაცავებსაც რომ ხელნაწერები შესაძლებელია ასობით ჰქონოდათ, ამას დოდოს მონასტრის ქონების სიაც ცხადყოფს: ამ სიის მიხედვით, მის წიგნთსაცავს 217 წიგნი ჰქონია. ამ სიის თარიღი თ. ჟორდანიას აღნიშნული არა აქვს, ალბათ, თარიღი უკვე აღარ იყო შერჩენილი. მაგრამ ცხადია, რომ დოდოს მონასტერს ეს წიგნები მხოლოდ გარეჯის უდაბნოს მონასტრების (მათ შორის დოდოს მონასტრისაც) განახ-

---

[33] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 68—69.

[34] იქვე, გვ. 112—114.

[35] იქვე, გვ. 150.

ლების შემდგომ, ე. ი. 1690 წ. მერმე[36] და 1778 წლამდე შეეძლო შეეგროვებინა და შეეძინა, რადგან ამ წლის საბუთში დოდოს მონასტერი უკვე აოხრებულად და უმკვიდროდ არის მოხსენებული[37].

ქართული წიგნთსაცავების შესახები ცნობებისა და მათი ქონების X—XII სს-ში დიდ შედგენილობაზე მსჯელობის სიმართლის გასათვალისწინებლად ამავე საკითხის შესახებ სხვა ქვეყნების ისტორიის ცოდნაა საჭირო. მაშინ ბევრი რამე არც დაუჯერებელი გვეჩვენება და არც გაგვაკვირვებს. ეგვიპტეს, ასურეთს, ხეთას, საბერძნეთსა და რომს, დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიაში, არაბეთსა და სპარსეთში საწიგნთსაცავო ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვაც ბევრს საგულისხმო ცნობებს მოგვცემს. ამიტომ ქვემოთ სწორედ ამაზე გვექნება საუბარი.

განათლებული კაცობრიობისათვის წიგნების შეგროვებაზე ზრუნვა და წიგნთსაცავების არსებობა ახალი საქმე არ არის. განთქმულ სალოცავ ტაძრებში წიგნების შენახვა და დაცვა უკვე ძველ ეგვიპტელებს ჰქონდათ ჩვეულებად. ჭილზე ნაწერი ძეგლები ეგვიპტის მშრალი ჰავის წყალობით მშვენივრად ინახებოდა და მრავალი მათგანი საუკუნეთა განმავლობაში უქმად მდებარე და უცნობი არქეოლოგიური კვლევაძიების წყალობით XIX—XX სს-ში კვლავ აღმოჩნდა და შორეული წარსულის პოლიტიკური და კულტურული ისტორია გაგვიშუქა. ეგვიპტის მეფემ ამენხოტეპ IV (XIV ს. ქ. წ.) ეგვიპტის სახელმწიფო დავთარხანა თებიდან თავის დაარსებულ ქ. ახტ-ატონში გადაიტანა, რომლის ნანგრევებსაც ახლა ტელ-ელ-ამარნა ეწოდება. 1887 წ. აქ ნანგრევებში ფელახების მიერ აღმოჩენილ იქნა ამ არქივის, უეჭველია, მცირე ნაწილი: სულ 358 საბუთი იყო ნაპოვნი, რომელნიც ქ. წ. XIV ს. დამდეგის დიდ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ მიწერ-მოწერასა და ზავის წიგნებს შეიცავდნენ.

ეგვიპტელებს არც ბაბილონელნი და ასურელები ჩამოუვარდებოდნენ ამ მხრივ. ჯერ კიდევ სუმერიელ მეფეთა სატახტო ქალაქ ნიპურში მთავარი სახელმწიფო დავთარხანა იყო და ტაძართან მდიდარი წიგნთსაცავიც არსებობდა. ხოლო ძველი ნინევიის ნაქალაქევის 1854 წ. გათხრამ მეფე ასურბანიპალის (669—525) კარის წიგნთსაცავი აღმოაჩინა, მრავალ ლურსმულწარწერიანი თიხის დაფების შემცველი. ამ წიგნთსაცავის წიგნების შინაარსი მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი ყოფილა: იქ საღმრთო წერილის წიგნებიც არის, შელოცვა-მისნობის ნაწარმოებებიც, საისტორიო თხზულებებიც, ვარსკვლავთმრიცხველობის სახელმძღვანელოებიც და მცენარეებისა და ცხოველთა სახელების შემცველი სიებიც; დასასრულ, წერილები და საბუთებიც. ქ. ბაღდადის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სიპარას ნაშთის 1879 წ. გათხრის დროს ნანგრევებში 40—50000 ამგვარი ლურსმულ-ტექსტიანივე თიხის დაფები აღმოჩნდა. რადგან ყველა ეს დაფა წესიერად დალაგებული იყო, ცხადი გახდა, რომ აქაც დიდი წიგნთსაცავი უნდა ყოფილიყო.

1905 წ. ბაღაზკეოიში ჰუგო ვინკლერის მიერ წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამაც 14—13 ქრისტესწინეთი საუკუნეების საბუთების შემცველი ხეთელთა სახელმწიფო დავთარხანა აღმოაჩინა.

ყველა ამ გარემოებათაგან ცხადი ხდება, რომ უძველესი აღმოსავლეთისა და სამხრეთის ყველა კულტურულ სახელმწიფოში სასახლეებთან და ტაძრებ-

---

[36] იქვე, № 8 სიგელი.

[37] იქვე, გვ. 122, № 113 საბუთი.

თან წიგნთსაცავები და დავთარხანები სცოდნიათ. ზოგი მათგანი ახლანდელი თვალთსაზრისითაც მოზრდილ წიგნთსაცავად უნდა იქნეს მიჩნეული.

ლუდვიგ ტრაუბეს აზრით, საბერძნეთში წიგნების შეგროვების სიყვარულისათვის მისაბაძი მაგალითი არისტოტელეს უნდა მიეცა. თავის ყოველმხრივი ცოდნისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და სამეცნიერო კვლევაძიებისათვის მრავალგვარი შინაარსის წიგნები სჭირდებოდა და მდიდარი წიგნთსაცავიც ჰქონდა, რომელიც კარგა ხნის შემდეგ სულამ რომში გაიტანა. ვილამოვიცს წიგნთსაცავის შეგნებულ დამაარსებლად ფილოსოფოსი პლატონი მიაჩნია. ამ ორი დიდი ადამიანის მაგალითმა საბერძნეთისა და ბერძენთა განათლებული წრეები წიგნთსაცავის დაარსებისა და გამდიდრებისათვის წაახალისა. თუ უკვე პტოლემაიოს ლაგის (323—284) არა, პტოლემაიოს ფილადელფოსის (284—247) მიერ მაინც უნდა იყოს დაარსებული განთქმული ალექსანდრიის წიგნთსაცავი, რომელშიაც 47 წ. ქ. წ. 450000 გრაგნილამდე უნდა ყოფილიყო. ამ წიგნთსაცავის წიგნთა შემცველობის მეტად დიდი რიცხვი ეჭვს იწვევს და ცნობის სხვადასხვანაირი განმარტება არსებობს, მაგრამ მისი სიმდიდრე მაინც ძველად კარგად იყო ცნობილი. 47 წ. ქ. წ. ეს წიგნთსაცავი დაიწვა. შემდეგ ატალ I-ისა (241—197 წწ.) და მისი შვილის ეუმენესის (197—158 წწ.) მიერ დაარსებული და საუცხოოდ მოწყობილი პერგამენონის წიგნთსაცავი იყო განთქმული, რომელიც მერმე რომაელებმა თავიანთ დედაქალაქში გადაიტანეს.

საბერძნეთში კერძო პატარა წიგნთსაცავებიც იყო ათენში (პტოლემაიონში), დელფიში, კორინთში, ჰალიკარნასში. მაგრამ მომეტებული მათგანი რომაელების ბატონობის ხანაში გაჩნდა.

რომში წიგნთსაცავები კეისრობის დამყარების შემდგომ არსდება. თვით ცეზარს ბერძნული და ლათინური წიგნთსაცავების დაარსება რომში ჰქონდა განზრახული და წიგნთსაცავის გამგედ დანიშვნა უნდოდა, მაგრამ ვერ განახორციელა. პირველად აზინიუს პოლიომ შექმნა atrium libertalis-ში მოთავსებული წიგნთსაცავი და უმეტესი ნაწილი წიგნთსაცავთაგანი სწორედ აუგუსტუსისა, ტიბერიუსისა და ჰადრიანე კეისრების დროს დაარსდა. ჰადრიანეს დროს ჰერენიოს ფილონმა დაწერა 12-წიგნიანი თხზულება περὶ κτήσεως καὶ ἐκλογῆς βιβλίων — წიგნების შეძენისა და ამორჩევისათვის. შემდეგში სხვა კეისრებიც საჯარო წიგნთსაცავების დაარსებაზე ზრუნავდნენ, ისე რომ ერთს აღწერილობაში რომში 28 წიგნთსაცავი იხსენიება. მათ შორის ყველაზე უფრო განთქმული ტიბერიუსის მიერ გახსნილი ულპიას წიგნთსაცავი იყო, რომელიც V ს-შიაც ჯერ კიდევ არსებობდა. როგორც რომში, ისევე პროვინციებშიაც კერძო წიგნთსაცავები იყო. რომის იმპერიის მერმინდელმა პოლიტიკურკულტურულმა დაქვეითებამ სხვა ბევრ მონაპოვართან ერთად წიგნთსაცავებიც იმსხვერპლა: რაც ცეცხლს გადურჩა, დატაცებულ იქნა და დაიფანტა ან განადგურდა.

მაშინდელი წიგნთსაცავების ყველა წიგნი გრაგნილების სახით იყო შემზადებული, რომელნიც armaria, loculi, აგრეთვე nidi-დ წოდებულ განსაკუთრებულ კარადებში იყო ხოლმე მოთავსებული. გრაგნილების დასაყენებლად ეს კარადები ასწვრივ რამდენიმე განყოფილებად იყო დაყოფილი. წიგნთსაცავის კარადებისაგან თავისუფალ ადგილებს ქანდაკებებით, სურათებითა და სხვა სამკაულით ამშვენებდნენ ხოლმე.

ქრისტიანობამ და საეკლესიო დაწესებულებებმა წარმართი საბერძნეთისა და რომის მრავალ კულტურულ მონაპოვართან ერთად ეკლესიებში საზუთებისა და წიგნების შენახვის ჩვეულებაც შეითვისეს და ეკლესიის განძეულობასთან წიგნებიც საგანძურში ინახებოდა ხოლმე. რასაკვირველია, წიგნებით ყველაზე უფრო მდიდარი რომის პაპის საგანძური და წიგნთსაცავი იყო, რომელსაც თავისი სიმდიდრე დროთა განმავლობაში პოლიტიკური უკუღმართობის წყალობით არაერთხელ თითქმის სულ მთლად დაუკარგავს, ისე რომ ამ საქმის ხელახლად დაწყებაც კი საჭირო გამხდარა. უკვე პაპი გრიგოლ დიდის დროს რომის ტახტის წიგნთსაცავი საკმაოდ მოზრდილი ყოფილა და იქიდან ახალ გაქრისტიანებულ ქვეყნებში ხელნაწერები იგზავნებოდა ხოლმე. VII—VIII სს-ში სასულიერო წიგნები მთელ დასავლეთ ევროპაში, მეტადრე ჩრდილოეთის ქვეყნებში, სწორედ რომიდან იგზავნებოდა ხოლმე. მაგრამ XI ს-ში დატრიალებულმა უბედურებამ რომის პაპის წიგნთსაცავი ხელახლად შესაგროვებელ-მოსაწყობი გახადა. მხოლოდ პაპი ინოცენცი III-ის (1198 წ.) დროიდან მოყოლებული არქივისა და სამდივანმწიგნობროს ქონება შედარებით უკეთესად არის დაცული. მაგრამ XIII ს. დასასრულსაც კი პაპის წიგნთსაცავში XII ს. ხელნაწერები მხოლოდ თითო-ოროლა მოიპოვებოდა. ამ წიგნთსაცავის 1295-ისა და 1311 წლების კატალოგებიდან ჩანს, რომ მას XIII ს-ში სულ 750 წიგნი ჰქონია და ამ ხანაში დასავლეთი ევროპის თითქმის უუმდიდრესი წიგნთსაცავი ყოფილა. ამავე დროს მას მხოლოდ ინგლისის კენტერბერის (Canterbury) საყდრის წიგნთსაცავი თავის 700-მდე წიგნითურთ თუ შეედრებოდა. მაგრამ პარიზის სორბონის წიგნთსაცავი უკვე მათ მეტოქეობასაც უწევს და სჯობნის კიდეც. 1338 წ. კატალოგით სორბონის წიგნთსაცავს 1720 წიგნი ჰქონია.

რომის ტახტის ამ წიგნთსაცავს შემდეგშიაც განსაცდელი არ ასცდენია და მისი უდიდესი ნაწილი კვლავ დაიღუპა. პაპმა ნიკოლოზ V (1447—1455) წიგნთსაცავისათვის შენობის მოწყობით და ხელნაწერთა შეგროვებისა და გადაწერინებით ვატიკანის განთქმულ წიგნთსაცავს მტკიცე საფუძველი შეუქმნა. მისმა მომდევნო პაპმა სიქსტუს IV ახალი შენობა დაამთავრა 1475 წ. და მაშინვე წიგნთსაცავი და დავთარხანა ცალ-ცალკე დაწესებულებად აქცია: პირველს Bibliotheca publica ეწოდა, მეორეს Bibliotheca secre ta.

წიგნების წერა და გავრცელება დასავლეთელმა ბერებმა აღმოსავლეთის მონაზვნების მიმბაძველობით თანდათან თავიანთ ხელობად გაიხადეს. ამასთანავე, რაკი მწერლობა და მეცნიერებაც საშუალო საუკუნეებში ბერების ხელთ იყო და მათი შემოქმედებით არსებობდა, ამიტომ მონასტრებსაც თანდათანობით წიგნთსაცავები გაუჩნდათ. დასავლეთ ევროპის მონასტრებს ამგვარი მოღვაწეობის მაგალითი თეოდორიხ მეფის ყოფილმა მწიგნობართუხუცესმა კასიოდორმა მისცა, როდესაც მან VI ს. შუა რიცხვებში სახელმწიფო მოღვაწეობას თავი დაანება და 540 წ. თავის დაარსებულ ვივარიუმის ბენედიქტელთა მონასტერს სათავეში ჩაუდგა. ვითარცა კლასიკური განათლების მქონებელ ადამიანს, მას ჯერ რომში უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლის დაარსება უნდოდა, მაგრამ ხელშემშლელი პოლიტიკური პირობების გამო ვერა გააწყო რა. ამის შემდგომ თავის მონასტერში ძველი ბერძნულ-რომაული მწერლობისა და მეცნიერებისათვის მყუდრო კერა შექმნა. ხელნაწერების შეგროვებას შეუდგა და გადაწერა დაიწყო თითონაც და თვის ძმობის წევრებსაც

ამუშავებდა. რაკი ლათინური ენა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ერთადერთი საეკლესიო ენა იყო, ამიტომ მისი კარგი ცოდნა ყველა სასულიერო პირისათვის აუცილებლად საჭირო შეიქნა. ლათინური ენა კი იტალიელთ გარდა ყველა სხვა ერისათვის უცხო ენა იყო, რომლის შეთვისება მხოლოდ შესწავლით შეეძლოთ. რაც დრო გადიოდა, ძველი რომაული კულტურის ტრადიციების გავლენა უფრო და უფრო სუსტდებოდა და ჰქრებოდა. კარგი ლათინური ენის შეთვისებისათვის წარმართული ხანის მწერალთა თხზულებების მაგალითებით სარგებლობა იყო საჭირო და ეს მოთხოვნილება იყო, რომ რომაული კულტურის წერილობითი ძეგლები სამუდამო დაღუპვას გადაარჩინა და სამონასტრო წიგნთსაცავებში სღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო თხზულებებთან ერთად ბევრი სხვა შინაარსის წიგნის ქონებაც აუცილებელი გახადა.

თუ პირველ ხანებში დასავლეთ ევროპის მონასტრებს ჯერ კიდევ პატარა წიგნთსაცავები ჰქონდათ, VIII—IX სს-იდან მოყოლებული მათი შედგენილობა თანდათან სწრაფად მატულობს. მაგ., 822 წელს რაიხენაუს მონასტერს წიგნთსაცავში 450 მრავალმხრივი შინაარსის ხელნაწერი ჰქონია. რიკვიეს წიგნთსაცავში 831 წ. 500 ხელნაწერი ყოფილა, ლორშში IX ს. 600 წიგნი ითვლებოდა, ხოლო ბობიოს წიგნთსაცავში ამავე დროს 700 ხელნაწერი იყო. ყველა ტიბიკონის გავლენიანი ბერების მოღვაწეობის მთავარი ყურადღება სამწერლობო მოღვაწეობისაკენ იყო მიპყრობილი. საშუალო საუკუნეებში ანდაზადაც კი იქცა გამონათქვამი claustrum sine armario est castrum sine armis— უკარადო ციხე უიარაღო ბანაკიაო, რომლის მიხედვით წიგნების კარადა მაშინდელი კულტურული ცხოვრების აუცილებელ კუთვნილებად იყო ქცეული.

წიგნთსაცავებს დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში armarium ან almarium, ან librarium, libraria-ს ეძახდნენ. წიგნები საწიგნე მაგიდებზე ან თაროებზე ეწყოთ ბრტყლად, როცა მომცრო წიგნთსაცავი იყო და თავისუფალი ადგილი ბევრი ჰქონდათ, ან ასწერივ ერთიმეორეს გვერდით დალაგებული იყო, როდესაც დიდი წიგნთსაცავი იყო ხოლმე. წაკითხვის შემდგომ უწესრიგო დალაგებისა და არეულობის თავიდან ასაცილებლად გარკვეული წესები იყო შემოღებული. მაგრამ რაკი ხშირად ვერც წესები შველოდა საქმეს და განსაკუთრებით რომ წიგნები არავის გაეტანა და მიეთვისებინა, ხელნაწერების მიჯაჭვა დაიწყეს: რგოლითა და საკმაოდ გრძელი მაგარი ძეწკვით წიგნს თაროზე ამაგრებდნენ ისე, რომ მისი ჩამოღება და წაკითხვა შეიძლებოდა, მაგრამ მკითხველი ხელნაწერს თავისი ჩვეულებრივი ადგილიდან ვერ შეძრავდა და წიგნთსაცავიდანაც ვერსად გაიტანდა.

წიგნთსაცავები, რასაკვირველია, სამეფო, მთავრებისა და თავადების კარზეც იყო, მაგრამ ამგვარი წიგნთსაცავი გარეშე პირთათვის მიუწვდომელი იყო. საჯარო წიგნთსაცავები დასავლეთ ევროპაში პირველად იტალიაში გაჩნდა ჰუმანიზმის ხანაში და იქიდან ეს მაგალითი სხვა ქვეყნებშიაც მისაბაძი შეიქნა[38].

წიგნთსაცავების მოწყობილობისა და სიმდიდრის საკითხი ბიზანტიაში ჯერ თითქმის შესწავლილი არ არის. წიგნთსაცავების ხელნაწერად დაცული ძველი კატალოგებიც კი ჯერ საკმაოდ გამოქვეყნებული არაა, არამედ მხოლოდ სამი-

[38] საბერძნეთ-რომისა და დასავლეთ ევროპის წიგნთსაცავების შესახებ იხ. Ludwig Traube, Die Bibliotheken, მისი Vorlesungen und Abhandlungen-ის I, 103—127; Wattenbach-ის Schriftwesen, გვ. 570-დან ბოლომდე; B. Bretholz-ის Lateinische Paläographie, § 2 Bibliotheken und Archive, გვ. 30—35.

ოთხი ამგვარი ძეგლია გამოცემული. მათ შორის პირველი ადგილი უკავია მიხაელ ატალიატის მიერ 1077 წ. დაარსებული მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერთა სიას, რომელიც კ. ნ. სათასმა დაბეჭდა 1872 წ. (იხ. **Μεσαιωνικὴ Βιβλιοθήκη ἐπιστασίᾳ K. N. Ζάθα,** ვენედიგი — პარიზი, 1,41). შემდეგ 1892 წ. შარლ დილმა პატმოსის მონასტრის წიგნთსაცავის XIII საუკუნის დამდეგის ქონების დავთარის ტექსტი და გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელშიაც ამ სავანის წიგნების დაწვრილებითი სიაც მოიპოვება[39]. ამავე მონასტრის წიგნთსაცავის 1355 წ. კატალოგი გამოცემული აქვს A. Mai-ს Nova patrum bibliotheca-ს VI წიგნში (მე-2 ნაწილის გვ. 537—539) და გადაბეჭდილი Migne-ის Patrologia gr. t. 149, გვ. 1049—1052. მესამეჯერ W. Studemund-ს აქვს გამოცემული Philologus-ის 26 წიგნში (1867, გვ. 167—183).

შ. დილის საგულისხმო გამოკვლევაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ პატმოსის მონასტრის წიგნთსაცავი, ვითარცა გარეშე მტრის განადგურებისაგან დაცული და ბიზანტიური განათლების განთქმული კერათაგანი, შეიძლება ბერძნული სამონასტრო წიგნთსაცავების მდგომარეობის გასათვალისწინებლად გამოყენებულ იქნეს. 1201 წ. პატმოსის წიგნთსაცავს სულ 330 ხელნაწერი ჰქონია, რომელთაგან 267 წიგნი ეტრატზე იყო დაწერილი და 63 ბომბიცინის ქაღალდზე (βιβλία τὰ βαμβύκινα). შინაარსისდა მიხედვით უმთავრესად სასულიერო მწერლობის ძეგლები ყოფილა და საერო მწერლობის ნაწარმოებთაგან 20 ხელნაწერი არც კი ჰქონიათ. სასულიერო შინაარსის ძეგლთა შორის ერთ მესამედზე მეტი სამღვდელმსახურო წიგნები — სახარება, ფსალმუნები, ოქტოიხონი, სვინაქსარი და სხვაც ამის მსგავსი ყოფილა. ეს გარემოება, რასაკვირველია, ბერძენი ბერების ვიწროდ შემოფარგლული ინტერესისა და მსოფლმხედველობის გამომ[ამ]ჟღავნებელია. შემდეგში პატმოსის სამონასტრო წიგნთსაცავი გამდიდრებულა და, 1355 წ. ცნობების მიხედვით, იქ უკვე 380 ხელნაწერი ყოფილა. მაგრამ, როგორც შ. დილს გამორკვეული აქვს, ამ დროიდან მოყოლებული პატმოსის წიგნთსაცავი თავის განძეულობას ვეღარ უვლის და მის ხელნაწერთა რიცხვი ზრდის მაგიერ მცირდება. 1382 წლისათვის მას უკვე 80 წიგნი ჰქონია დაკარგული და მხოლოდ 300 ხელნაწერის მქონებელიღა ყოფილა. შემდეგშიაც წიგნთსაცავის გაღარიბების პროცესი, როგორც ეტყობა, კარგა ხანს არ შეჩერებულა და სწორედ ამ ხანებში უნდა ჰქონდეს პატმოსს 200-მდე მეცამეტე საუკუნეზე უწინარეს დაწერილი ხელნაწერები დაკარგული. მერმე მონასტერს თავისი წიგნთსაცავის შევსება კვლავ განუახლებია, შემოწირულების სახითაც მიუღია და სხვა გაოხრებული სავანეებიდან გადმოტანილი წიგნებითაც გაუმდიდრებია, ისე რომ XIX ს. მას უკვე 735 ხელნაწერი ჰქონდა. მაგრამ უძველეს ხელნაწერებს, მეტადრე საერო შინაარსის წიგნებს, როგორც ჩანს, დიდი უყურადღებობითა და დაუდევრობით ეპყრობოდნენ და არც ერთი მათგანი, რომელიც 1201 და 1355 წწ. დავთრებში იხსენიება, შენახული არ არის[40].

მაგრამ, უეჭველია, იმ დიდი ცოდნისმოყვარეობისდა მიუხედავად, რომელიც პატმოსის მონასტრის დამაარსებელს ჰქონია პირადად და თავისი სავა-

---

[39] Ch. Diehl, Le trèsor et la bibliothèque de Patmos au commencement du 13-e siècle. Byzantinische Zeitschrift, 1892, 1. Band., გვ. 537—539.

[40] იხ. შ. დილის ზემოდასახელებული გამოკვლევა, გვ. 498—507

ნისათვისაც ჩაუნერგავს, იმ დიდი მნიშვნელობისდა მიუხედავად, რომელიც ამ მონასტერს ჰქონდა, მაინც მისი წიგნთსაცავის სიდიდის ოდენობა 1201 წლისათვის ბიზანტიის ძველი და განთქმული მონასტრებისა და საპატრიარქო წიგნთსაცავების სიმდიდრის საერთო გამომხატველად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. უეჭველია, X—XII სს-ში პატმოსის სამონასტრო წიგნთსაცავებზე გაცილებით უფრო მდიდარი წიგნთსაცავები უნდა ყოფილიყო, რომელთა შემადგენლობა რამდენიმე ასეულ ხელნაწერად უნდა ვიგულისხმოთ.

დიდი სამონასტრო წიგნთსაცავების შედგენილობის ასობით ანგარიში რომ მოპარბებული არ არის, ამას ეფრემ მცირის ერთი საყურადღებო ცნობაც ამტკიცებს. მისი სიტყვით, მას საშუალება ჰქონია ერთი საკითხი შეესწავლა ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავი მთის სჳმეონ-წმიდის ბერძენთა მონასტრის წიგნთსაცავში მყოფ „ოთხას ოცთა მათგან წიგნთა, თეოდორე პატრიაქისა მიერ სჳმეონ-წმიდას შეწირულთა“ (ქ˝კბი I, 217). თუ მარტო თეოდორე პატრიარქს 420 ხელნაწერი მიურთმევია ამ სავანისათვის, ცხადია, ამ მონასტრის წიგნთსაცავი უკვე XI ს-ში ამაზე გაცილებით მეტი განძეულობის მფლობელი უნდა ყოფილიყო.

შემდეგ ფოტიოსის „მჲრიობიბლონ“-ად წოდებული ცნობილი თხზულება, რომელიც ავტორს ჯერ კიდევ ერისკაცობაში 858 წლამდე აქვს დაწერილი და 289 წიგნიდან ამოკრებილ ცნობებს შეიცავს[41], ცხადყოფს, რომ IX ს-შიაც კი განათლებულ ერისკაცს ბიზანტიაში საშუალება ჰქონდა ამოღენა და ამაზე გაცილებით უფრო მეტი თხზულებებით ესარგებლა: ფოტიოსსაც თავისი ნაწარმოებისათვის ბევრი ისეთი ნაშრომი არ გამოუყენებია, რომელთა მაშინ არსებობის შესახებ უტყუარი ცნობები მოიპოვება. ცხადია, ფოტიოსის განკარგულებაში თუ სარგებლობისათვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი შინაარსის წიგნთსაცავი უნდა ყოფილიყო.

არაბებმაც, იმისდა მიუხედავად, რომ კულტურული ცხოვრების ასპარეზზე შედარებით გვიან გამოვიდნენ, მწერლობისა და მეცნიერების სწრაფი შეთვისების დიდი ნიჭი გამოიჩინეს. მათი სამწერლობო მოღვაწეობის ინტენსივობა გასაოცარია და თავიანთი კულტურული ცხოვრების პირობების შესაქმნელადაც ბევრი მუშაობა ჰქონდათ გაწეული. მართალია, ყველაფერი მკვიდრი არაბების გაკეთებული არ არის და ამ კულტურულ შემოქმედებაში დიდი წვლილი გაარაბებულ ებრაელ[ებ]ს, ასურელ[ებ]სა და სპარსელებს აქვთ შეტანილი, მაგრამ მათი ნაღვაწი მაინც არაბული კულტურის კუთვნილებას შეადგენს.

ისე მოეწყო და ჩვეულებად იქცა, რომ მაჰმადიანობის მეცნიერების შესასწავლად დაარსებულ მედრესეებს უეჭველად წიგნთსაცავებიც ჰქონდათ[42]. ჯერ კიდევ ხალიფა მამუნმა სიბრძნის სახლად წოდებული სამეცნიერო დაწესებულება დააარსა, რომელთანაც დიდი წიგნთსაცავიც იყო. ამ მაგალითის წყალობით ეგვიპტის ფატიმიელმა ხალიფებმაც ქაიროში „დარ-ალ-ილმ“ — სიბრძნის სახლი შექმნეს. პირველი საჯარო წიგნთსაცავი ბაღდადში 381 წ. ჰიჯრიდან (991—92 წ. ქ. შ.) უნდა იყოს დაარსებული. ხოლო იმავე ბაღდადში, XIII ს. პირველ ნახევარში, სანამ მას მონღოლები აიღებდნენ და გაანადგურებდნენ, უკვე 36 წიგნთსაცავი ყოფილა[43].

[41] K. Krumbacher, Geschichte d. byzantinischen Literatur, 2 გამოც. გვ. 517.

[42] Alfred von Kremer, Culturgeschichte des Orients unter den Chalifen, II, 481

[43] იქვე, II, 483.

X ს. ორი წიგნთსაცავის დაწვრილებითი აღწერილობაა შენახული: ერთი მათგანი ბუხარაში იყო, მეორე კიდევ შირაზში. ბუხარის წიგნთსაცავის ხელნაწერები დარგებისდა მიხედვით იყო დალაგებულ-მოთავსებული; ერთ ოთახში არაბული წიგნები და პოეტური ნაწარმოებები ელაგა, მეორე ოთახში სამართლის მეცნიერების შინაარსის წიგნები იყო და ასე მწერლობის თითოეულ დარგს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ხელნაწერები სკივრებში ელაგა ისე, რომ წიგნები ერთიმეორეზე იყო დაწყობილი. წიგნთსაცავს ხელნაწერების კატალოგი ჰქონდა, რომლის მიხედვითაც ყოველი წიგნის მოძებნა შეიძლებოდა.

შირაზის წიგნთსაცავი უფრო უკეთესად იყო მოწყობილი. ის გრძელ სტოაში ყოფილა მოთავსებული, სადაც ყველა კედელს ხელნაწერების შესანახად ხის კარადები ჰქონდა მიმაგრებული. კარადებს ადამიანის ოდენა სიმაღლე და 3 წყრთა სიგანე ჰქონიათ. კარადები მხატვრულად შემკული ყოფილა და კარები ისე ჰქონდათ გაკეთებული, რომ დახურვისას ზევიდან ეშვებოდა და გასაღებად ქვევიდან ზევით უნდა ყოფილიყო აწეული. წიგნები ამ კარადებში თაროებზე ელაგა. ყოველი დარგისათვის ცალკე ყუთები იყო ხელნაწერთა კატალოგებითურთ. ცნობაა, ვითომც არ ყოფილიყოს არც ერთი ისეთი ძანამდე დაწერილი წიგნი, რომელიც ამ წიგნთსაცავს არ ჰქონოდეს. თუნდაც რომ ეს ცნობა გაზვიადებული იყოს, მაინც იმის მომასწავებელია, რომ ამ წიგნთსაცავის მეთაურნი ცდილობდნენ მათ ხელნაწერთა საგანძური შეძლებისდა გვარად სრული ყოფილიყო და ამ დაწესებულების მაშინდელ მნახველებსა და მკითხველებსაც ამგვარივე შთაბეჭდილება ჰქონიათ. ამ წიგნთსაცავს ჰყავდა განსაკუთრებული გამგე „ვაქილ"-ი, ხელნაწერების მცველი „ხაზინ"-ი და მეთვალყურე „მუშრაფ"-ა, რომელნიც ქალაქის საპატიო მკვიდრთაგანნი იყვნენ ხოლმე[44].

განთქმული მეცნიერის იაკუტის ცხოვრების თავგადასავლიდან ცნობილია, რომ 1216 წ., როდესაც ის ქ. მერვში მივიდა, იქ 10 საუცხოო მდიდარი წიგნთსაცავი-დახვედრია. ორი ამ წიგნთსაცავთაგანი დიდ მიზგითში ყოფილა მოთავსებული, რომელთაგანი ერთი, „აზიზია"-დ წოდებული წიგნთსაცავი, 12000 ხელნაწერს შეიცავდა. ამ დაწესებულების გამგენი იმდენად ცდილობდნენ მეცნიერთა მუშაობისათვის ხელი შეეწყოთ, რომ იაკუტისათვის 200 წიგნის თავის ბინაზე წაღების ნებართვაც კი მიუციათ იმისდა მიუხედავად, რომ ზოგი მათგანი 200 დინარი ღირდა[45].

§ 12. წიგნების ფასი

გადამწერლობა ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა ხელობებიც. რასაკვირველია, ყოველ განათლებულ ადამიანს შეეძლო თავისთვის რომელიმე წიგნი დაეწერა ან გადაეწერა, მაგრამ ყველას არ ჰქონდა ამისთვის საჭირო მოცლილობა და მეტადრე კარგი და ლამაზი ხელი, რომ საკითხავი წიგნისათვის შესაფერისი ყოფილიყო. ამიტომ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გადამწერლობა ხელობად ჰქონდათ არჩეული და მთელ ან მთელ თავისუფალ დროს

---

[44] პროფ. ვ. ბარტოლდი, Хранение документов в государствах мусульманского Востока, გვ. 71, წერილი მოთავსებულია 1920 წ პეტროგრადში გამოსულ კრებულში Архивные курсы, Лекции, читанные в 1918 году.

[45] Alf. von Kremer-ის დასახ. თხზ., II, 434—435.

ამას ანდომებდნენ. ეს ხელობა უფრო მონაზვნებს შორის იყო გავრცელებული პირველ ხანებში მაინც. ბერები, რასაკვირველია, მარტო სასულიერო და სამეცნიერო თხზულებებს ამზადებდნენ ხოლმე, საერო მწერლობისა და თავისუფალ მეცნიერებათა დარგის წიგნების წერა-გავრცელება, უეჭველია. ერისკაცების ხელობა იქნებოდა ძველადაც, XI—XII სს-შიც იმგვარადვე, როგორც ეს XVI—XVIII სს-ში იყო.

რაკი დამწერლობა ხელობა იყო და არსებობისა თუ შემოსავლის სახსარს შეადგენდა, ამიტომ წიგნს სრულებით უსასყიდლოდ არავინ დაწერდა. თუმცა სასულიერო თხზულებათა გადაწერა ბერების ხელობად იყო ქცეული, მაგრამ სასყიდელზე უარს არც ისინი ამბობდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ სამონასტრო წესებით მათ აღებმიცემობა აკრძალული ჰქონდათ. უფასოდ წიგნს რომ არავინ გადაწერდა, ამის დამამტკიცებელი ცნობა ერთ ხელნაწერშიც არის შენახული. მისი დამწერელი მკითხველებს შენდობას სთხოვს: მართალია, ჩემი წიგნი ასეთი ცუდი ხელით არის დაწერილი, მაგრამ რა ვქნა, „სხვაჲ ღონე არა მქონდა, საფასისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა“-ო (ქ˝კბი I, 209).

რაკი ძველად წიგნების ბეჭდვის ხელოვნება ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ იყო და დასავლეთ ევროპაში აღმოჩენის შემდგომაც საქართველოში მაინც XVIII ს. დამლევამდე წიგნების ბეჭდვა არ იცოდნენ, ამიტომ არც გასაკვირველია, თუ ძველად ხელით ნაწერ წიგნს კარგი ფასი ექნებოდა. გადამწერლობა მაშინ შემოსავლიანი ხელობა იყო. ნიკორწმიდის XI ს. პირველი მეოთხედის სიგელში ნათქვამია: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი: ა: (1) და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი“-ო (ქ˝კბი II, 49). იქვე სწერია: „მე დამხუდა იადგარი ნახევარწერილი: ა: და გავასრულე ყოვლითავე სისრულითა, შევმოსე და მოვცვარე და შევბეჭდე და ამისა დაწერისა და შეკაზმისათვის მივეც დრაჰკანი დუკატი: იე:“ (15)-ო (იქვე). ვთქვათ, შეკაზმაში 3—5 დრაჰკანი მისცა, მაშინ ნახევარი წიგნის დაწერა 10—12 დრაჰკანი დუკატი დასჯდომია. მთელი წიგნი კი 20—24 დრაჰკანი დუკატი ღირებულა.

გიორგი და ეფთჳმე მთაწმიდელების სიტყვით, თეოფანე ხუცესს, რომელიც იყო „სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ“, თავისი სამონასტრო მოღვაწეობის განმავლობაში ეფთჳმე მთაწმიდელის მოწმობით „უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“ (ც˝ჲ ი˝ესი და ეფთ˝მსი 57). იადგარის ღირებულების შესახები ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით, რომ ერთი მოზრდილი სამღვდელმსახურო წიგნის ფასი საშუალოდ 20 დრაჰკანად ვიანგარიშოთ, მაშინ, საფიქრებელია, რომ ამ განთქმულ ხელოვან დამწერელს, თეოფანე ხუცესს, მთელი თავისი სამონასტრო მოღვაწეობის დროს სულ დაახლოებით 75 წიგნი და, ეგების, ამაზე მეტიც დაუწერია. 1500 დრაჰკანი იმ დროს დიდი ფული იყო და თეოფანე ხუცესის ხელოვნებითი გადამწერობის ნაყოფიერებაც მართლაც რომ განმაცვიფრებელია. მაგრამ ეფთჳმე მთაწმიდელის სიტყვებიდან ჩანს, რომ წიგნების წერით 1500 დუკატისა და მეტის მოგება მხოლოდ დახელოვნებულსა და განთქმულ გადამწერელს შეეძლო. ჩვეულებრივსა და საშუალო ღირსების გადამწერს, როგორც ეტყობა, შრომის ამაზე გაცილებით ნაკლები ნაყოფიერების გამოჩენაც შეეძლო და ამისდაგვარად შემოსავალიც ნაკლები ექნებოდა.

საზოგადოდ წიგნის ყიდვის მსურველი ბევრი იყო და მხურვალე აღებმიცემობის საგანს შეადგენდა. თ. ს. უ. № 484 ხელნაწერის XI ს. მინაწერში, მაგ., აღნიშნულია: „მე... გიორგი მოვიგე წ˜ა ესე სახარება დიდითა გულსმოდგინებითა. მრავალთაგან განსყიდული იყო მიერითგან, ოდეს მას საყდრისაგან გამოჴუებულ იყო, ოდეს მე ვიყიდე და შევწირე უდაბნოსა ხანძთისასა"-ო[46].

მტრისაგან წარტყვევნილ წიგნებსაც კი უყურადღებოდ არ სტოვებდნენ და მათს ტყვეობიდან დახსნას ცდილობდნენ. ამ მხრივ XII—XIII სს. ერთ ხელნაწერში შემდეგი საგულისხმო მინაწერები მოიპოვება: „ესე... მე ხუდადად თბილელმან დავწერე. ამა წიგნსა გარდვეკიდე და ფასი არა მქონდა, რომე მეყიდა, და ასრე დამრჩა ტყუეობასა შიგან. ვინცა ქართველი კაცი გარდეკიდოთ ანუ შეეყაროთ, რათამცა ეგებოდეს, ესე წიგნი დაიჴსნათ ტყუეობითგან"-ო. შემდეგ სხვა ხელით მიწერილია: „ცოდვანი შეუნდვნეს ღმერთმან გიორგის ამა წიგნისა დამჴსნელსა ტყუეობისაგან"[47].

თ. ს. უნივერსიტეტის № 76 ხელნაწერის ერთს მინაწერში 1569 წ. ერთი საგულისხმო ცნობაა შენახული წიგნის იმდროინდელი ფასის შესასწავლად. იქ ნათქვამია: „მას ჟამსა, როდეს მეფე ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად"-ო (ХВ. II, 354). ეს ხელნაწერი, თ. ჟორდანიას სიტყვით, 676-გვერდიანი წიგნია, XII ს. ხელით ქაღალდზე გადაწერილი და სრულ სჯულის კანონს შეიცავს (Опис., I, 74). მართალია, ეს წიგნი განსაკუთრებულ პირობებშია ნაყიდი, მაგრამ სტამბოლში ქართულ წიგნს ისეთი გასავალი არ ექნებოდა, როგორიც საქართველოში, ამიტომ ქართული წიგნი იქ უფრო იაფი იქნებოდა. ამგვარად, ის, რაც ამ წიგნის ფასს, ვითარცა ტყვეობიდან გამოხსნილს, წაემატებოდა სტამბოლში არსებულ ფასებთან შედარებით, შეიძლება საქართველოში წიგნის ამდროინდელ ფასებთან გამათანასწორებლად მივიჩნიოთ და დაახლოებით 80 ფლური ქართული ძველი დიდტანიანი წიგნის XVI ს. ფასად ჩავთვალოთ.

გადამწერლობის შრომის ფასის შესახებაც ჯერჯერობით მხოლოდ ორიოდე ცნობა გვაქვს. რასაკვირველია, ფასი გადამწერლის ღირსებაზეც და ნაშრომის თვისებებსა, მუშაობის პირობებსა და ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობაზეც იყო დამოკიდებული. ამისდა მიხედვით, გასამრჯელოც შეიძლება მეტნაკლები ყოფილიყო. ზოგჯერ დამწერელი თავისი ხელობით მხოლოდ ჭამასმისათვის სამყოფი ფულის აღებას ახერხებდა. მაგ., 1066 წლის ერთ ხელნაწერში გადამწერელს ნათქვამი აქვს: „სრულ იქმნა ერთ თუე... კელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისათა ფასად პურისა ჩემისა"-ო[48]. მაგრამ უფრო ხშირად გადამწერლის შრომა საკმაოდ ჯილდოვდებოდა. ამ მხრივ კიდევ ერთი საგულისხმო მინაწერი მოიპოვება მათეს თავის სახარების იოანე ოქროპირის თარგმანების შემცველ 700-გვერდიან ქაღალდზე ნაწერი წიგნის შესახებ, რომელიც ცნობილი გადამწერლის თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზის ნიკოლოს ოსესძის ხელით არის 1764 წ. დაწერილი. აქ ნათქვამია: „შვდი თუმანი არის ამ წმიდას სახარების თარგმანში მიცემული, თხუთმეტი მინანთული (sic) მისს ღირსებას ყ˜დ სამღუდელოსაგან ბოდბლის იოანესაგან მიცემული და ხუთ

[46] თ. ჟორდანია, Опис., II, 47.
[47] მ. ჯანაშვილი, Опис., III, 49—50.
[48] ალ. ცაგარელი, СПГП., II, 16, § 27.

თუმან-ნახევარი საწყალის ჩემი ბოდბლის დავითისაგან ჩღ˜დ"-სა"[49]. მაშასადამე, XVIII ს. მეორე ნახევარში 700-გვერდიანი ხელნაწერი 7 თუმნად ღირებულა, ე. ი. 100 გვერდი 1 თუმნად, 10 გვერდი 1 მინალთუნად, ერთი გვერდი კიდევ 2 შაურად გამოდის.

ვახტანგ VI-ის სიტყვით, „იქნების პური კოდი შაურ-ნახევრად იყოს და იქნების უფრო ძვირად, გინა იაფად" (სამართლის წიგნის § 129), ხოლო „თუ პურის ძვირობა იყოს... კოდი ან ათ შაურად, ან ორ აბაზად, ან სამ აბაზად იყოს"-ო (იქვე, § 125). ბერბუკის გალავნის აგების 1749 წ. ანგარიშის წიგნში კოდი პური 2 აბაზად არის აღნიშნული. თუ ეს გარემოება მხედველობაში გვექნება და გავითვალისწინებთ, რომ პურის ძვირობის დროსაც კი 2 შაურად 1/4 კოდი პურის ყიდვა შეიძლებოდა, ნორმალური ფასების დროს კი სრული 1 კოდი პურის ყიდვა შეეძლო ამ დროს ადამიანს, მაშინ ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ გადამწერლობა მომგებიანი ხელობა ყოფილა და გადამწერლებს კარგი ხელფასი აუღიათ. ადამიანს მარტო ამითაც შეეძლო თავი ერჩინა. იესე ოსესშვილსაც თავის თავგადასავალში აღნიშნული აქვს, რომ როდესაც უადგილოდ დარჩა და გაუჭირდა, „სამღუდელოს წიგნებს ვწერდი, ვყიდდი და იმით მოვირეწდი"-ო (გვ. 9).

საქართველოს შესახებ ცნობებს რომ უფრო მეტი გარკვეულობა მიეცეს, კარგი იქნება წიგნების ფასის საკითხს ძველ საბერძნეთსა და რომში, საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და არაბთა სახალიფოშიაც თვალი გადავავლოთ. საბერძნეთსა და რომში თავდაპირველად ავტორი თავის მრავლად გადაწერილ ნაწარმოებს თვითვე ავრცელებდა და მხოლოდ თანდათანობით გასავრცელებლად და გასასყიდად წიგნის მოვაჭრესაც მიმართეს. თუ საბერძნეთში წიგნის მაღაზია უკვე V ს. ქ. წ. ჩნდება, რომში წიგნებით ვაჭრობა მხოლოდ ციცერონის დროიდან მოყოლებული ხდება ჩვეულებრივ მოვლენად. ეს საქმე მომეტებულ ნაწილად განათლებულ და მწერლობის საუკეთესო მცოდნეთა ხელში იყო, რომელნიც ხელნაწერების გადაწერას თითონაც მისდევდნენ და ძველი საუკეთესო და იშვიათი წიგნების ტრფიალებით მოყვარული იყვნენ. წიგნების ფასი სიდიდისა, მხატვრული თუ სხვაგვარი ღირსებისა და სიძველის მიხედვით განსხვავდებოდა. წიგნი მაინც ძვირი იყო და ლივიუსის მარტო ერთი წიგნი 5 დინარი, ანუ დრაჰკანი ღირდა, რაც, თ. ბირტის სიტყვით, 4 გერმანულ ოქროს მარკას და 10 ფენიგს უდრის. მაგრამ რადგან მაშინ ფულს ახლანდელზე გაცილებით მეტი მყიდველობითი ძალა ჰქონდა, ამიტომ ნამდვილად 14 ოქროს მარკის თანასწორ ოდენობად უნდა ვიანგარიშოთო. ეს წიგნის მაშინდელი ჩვეულებრივი ფასი ყოფილა. ამისდა მიხედვით, ადამიანს რომ მარტო ლივიუსის ყველა 142 წიგნის ყიდვა სდომებოდა. მხოლოდ ამისთვის მას 710 დინარი უნდა გამოეღო, რაც 2000 ოქროს მარკას უდრისო. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ კერძო წიგნთსაცავის შესადგენად მაშინ დიდი ფული იყო საჭირო[50].

რომაული კულტურის დაქვეითება-გადაგვარებამდე მთელი დასავლეთი ევროპისათვის წიგნებით ვაჭრობის ცენტრად სწორედ რომი იყო, შემდეგ რომაული სახელმწიფოებრივობისა და მოქალაქური ცხოვრების გაქრობასთან ერთად წიგნის მაღაზიებიც ქრება და წიგნების გადამწერლობა მონასტრებში-

---

[49] თ. ჟორდანია, Опис., I, 18, ხელნაწ. № 20.

[50] Th. Birt, K. u. H. nebst Abriss des antiken Buchwesens, გვ. 307—312, 319—325.

და ღვინის. იმ სახით, როგორც წინათ რომში წიგნების მაღაზები იყო, მთელ საშუალო საუკუნეებში წიგნებით ვაჭრობა აღარ განახლებულა და კერძო ხასიათი ჰქონდა და მის მოქმედებას ვიწრო ასპარეზი ეკავა. მაგრამ წიგნების გადამწერლობა და ყიდვა-გაყიდვა გავრცელებული იყო და ხელნაწერს ეკონომიურ ურთიერთობაში თავისი ღირებულება ჰქონდა. H. Kirchhoff-ს თავის გამოკვლევაში Die Handschriftenhändler des Mittelalters (1853 წ. დაიბეჭდა ლაიფციგში), Wattenbach-ს თავის Das Schriftwesen im Mittelalter-ში (იხ. მე-3 გამოც. გვ. 545—570) და Paoli-Lohmeyer-ის Grundriss der lateinischen Paläographie-ის მე-2 წიგნში დასავლეთი ევროპის საშუალო საუკუნეების ხელნაწერების ფასების შესახებ ბევრი ცნობა აქვთ დაგროვებული, მაგრამ ყველა ქვეყანას მაშინ თავისი ფული ჰქონდა და ამ ცნობების აქ მოყვანას მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ახლა არაბთა სახალიფოს რომ თვალი გადავავლოთ, უკვე IX ს. მეორე ნახევარს ჲაკუბის ცნობით ქ. ბაღდადში ასზე მეტი წიგნებით მოვაჭრე ყოფილა. ეს წიგნის გამყიდველები ხშირად იმავე დროს ხელნაწერთა გადამწერლებიც იყვნენ. თავისი ხელობის წყალობითა და ვაჭრობის წარმატებული წარმოებისათვის მათ თვით თხზულებათა ღირსება-ნაკლისა, სხვადასხვა ხელნაწერის თვისებების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჰქონდათ შეძენილი და ნამდვილი ბიბლიოგრაფები იყვნენ. ზოგიერთ მათგანს თავისი ფართო ცოდნა წერილობითაც აქვს აღბეჭდილი და გამოკრებილი კრებულებიც კი შეუდგენიათ. არაბთა განთქმული გეოგრაფი ჲაკუტიც წინათ წიგნის მაღაზიაში მსახურობდა და თავისი მრავალმხრივი ცოდნა იქ თავმოყრილი ხელნაწერებიდანაც აქვს შეძენილი. ერთი სიტყვით, არაბთა სახალიფოს კულტურამ არამცთუ მარტო წიგნების ცხოველი ვაჭრობა შექმნა, არამედ ნამდვილი ბიბლიოგრაფები და ძველი ხელნაწერების მოტრფიალე შემგროვებლებიც წარმოშვა. ერაყის ერთ პატარა ქალაქში, მაგ., ერთი ამგვარი წიგნების მოტრფიალე ყოფილა, რომელსაც მწერლობის სხვადასხვა დარგის ძეგლები ჰქონია შეგროვებული როგორც ტყავის გრაგნილებზე და ეტრატზე, ისევე ეგვიპტურ ჰილზე და თვით ჩინურ ქაღალდზეც კი დანაწერი. მათ შორის ბევრი გამოჩენილი მოღვაწის პირველი ნუსხები ყოფილა. ყოველ ამგვარ ძეგლს აღმწერელის სახელი ჰქონდა და წინანდელ მეცნიერთა მინაწერებით იყო შემკული.

არაბთა სახალიფოშიაც ხელნაწერების ფასი სიდიდისა, ღირსებისა და ძნელი საშოვრობისდა მიხედვით განსხვავდებოდა. მაგ., 862 წ. ქ. შ. ფარაჰიდის 480 ფურცლის შემცველი თხზულება „ქითაბ ალ-გაინ“ 50 დინარად გაუყიდულა, რადგან ძნელი საშოვარი ყოფილა და ბასრში წიგნების მოვაჭრისაგან ხვარასნიდან ყოფილა მოტანილი. ერთ მეცნიერს კიდევ მოთხრობილი აქვს, რომ ერთხელ მას ალექსანდრე აფროდიზიელის არისტოტელეს თარგმანების ხელნაწერი უნახავს გასაყიდად გამოტანილი, რომელიც გამყიდველს მისთვის 120 დინარად შეუძლევია. ამ მეცნიერს თან ამდენი ფული არ აღმოჩენია, მაგრამ ფულის საშოვნელად წასული რომ ფულით ისევ იმავე ვაჭართან იმ წიგნის შესაძენად მისულა, გამორკვეულა, რომ ის ხელნაწერი სხვებთან ერთად ერთ ხვარასნელ კაცს 390 დინარად შეუძენია[61]. ჲაკუტის სიტყვებიდან ჩანს, რომ ზოგი წიგნი იმდენად ძვირი ყოფილა, რომ თითო 200 დინარად ფასობდა თურმე[62].

---

[61] Alf. von Kremer, Culturgeschichte des Orients, II, 310—311.

[62] იქვე, გვ. 435.

თავი მესამე

დამწერლობათმცოდნეობის ზოგადი დებულებანი და ქართული სხვადასხვა დამწერლობის შესახები ცნობები

§ 1. ასო. მისი ნაწილები და დამახასიათებელი ტერმინები

პალეოგრაფიას ბგერებისა და სიტყვების აღმნიშვნელ ნიშნებთანა აქვს საქმე. ადამიანის დაწინაურებასთან ერთად დამწერლობაც ვითარდება და იცვლება. დამწერლობათა ისტორიის აღდგენაც სწორედ თანდათანი ცვლილებების შესწავლით შეიძლება. ხოლო ცვლილებათა შესწავლისა და დახასიათებისათვის ასოს ყველა ნაწილისათვის ზედმიწევნით აღმნიშვნელი ტერმინებია საჭირო და სწორედ ამიტომ პირველად ამაზე გვექნება საუბარი.

ყოველს, ფინიკიელთა სისტემაზე დამყარებულ „მწიგნობრობა"-ს, ანუ დამწერლობას საფუძვლად ბგერათა გამომხატველი საწერი ნიშნები უდევს. ამ საწერ ნიშნებს ქართულად „ა ნ ბ ა ნ ი" რქმევია ძველადაც. ეპიფანე კჳპრელის თხზულების ქართულ თარგმანში, მაგ., „კბ (22) არიან ანბანნი ებრაელთანი"-ო[1]. ხოლო ეფრემ მცირეს თავის შრომაში აღნიშნული აქვს, რომ თარგმანება „ასოთა ზედა ანბანისათა განწყობილად" არის (ეფრემ მცირე, ფს. 251).

თითოეულ ცალ-ცალკე ბგერის გამომხატველ ნიშანს, როგორც ეფრემ მცირეს ზემომოყვანილ წინადადებასაც ნათლად ემჩნევა, „ა ს ო ჲ" ერქვა. ეს ტერმინი უკვე შატბერდისეულს კრებულში მოიპოვება და ეპიფანე კჳპრელის თხზულების თარგმანში გვხვდება. ბერძნული ანბანის „თავეცა არს ასოჲ იგი ალფაჲ"-ო (მწერ. IX—X სს., გვ. 132), ხოლო ებრაელთა ანბანში „ხუთნი იგი ასონი მათ შორის ორკეც არიან: „ქაფ მრჩობლ არს"-ო (იქვე, გვ. 122).

ეპიფანე კჳპრელის თხზულების ბერძნულ დედანში ქართულ სიტყვას „ანბანნი" უდრის „τὰ γράμματα", ხოლო, „ანბანნი ებრაელთანი" „τὰ παρὰ τοῖς Ἑβραίοις γράμματα"-ს ეთანასწორება (Liber de mensuris et ponderibus, Migne P. G. LXIII, 277). ბერძნულად τὰ γράμματα — „ტა გრამმატა" ასოებს, წერა-კითხვას, დასაწყის განათლებას ეწოდებოდა. თავისი აგებულებით ქართული „ანბანი" პირველი ორი ასოს „ან"-ისა და „ბან"-ის სახელების შენაერთებს წარმოადგენს და ამ მხრივ ის „ალფაბეტ"-ს ეთანასწორება. ხოლო ქართული „ასო" ბერძნულ τὸ στοιχεῖον — „სტოჲქეჲონ"-ს, ანუ საშუალო საუკუნეების ბერძნული გამოთქმით, „სტიქიონ"-ს უდრის (იქვე, 244, cap. IV), რაც მართლაც ასოს ნიშნავს. ასოს დაწერას „გ ა მ ო ს ა ხ ვ ა" ეწოდებოდა და დაწერილ ასოს — „გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ი". ეპიფანე კჳპრელის თხზულების თარგ-

[1] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. მწერ. IX—X სს., 122, 10-11.

მანში ნათქვამია: „მიამსგავსა ომიროს რიცხჳ იგი კბ (22)-თაჲ მათ წიგნთა ებრაელთაჲ კდ (24)-სა მას ასოსა გამოსახულსა“-ო (მწერ. IX—X სს., გვ. 133). ასოთა გარეგანი მოყვანილობის აღსანიშნავად „დანაკუთა“ იხმარებოდა. ანტონ კათალიკოსის სიტყვით, დიდი, დასაწყისი ასოები ხშირად „სხუად და სხუად ყვავილოვნად და რაულადმე შესახედავად დაინაკუთების“-ო (გრამ. 284—285, § 3).

ხოლო როდესაც ასოები რომელიმე სიტყვის ან ტექსტის აღსაბეჭდად უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, ამ ერთი-მეორის გვერდით ასოთა გამოსახვას, როგორც მეორე თავის § 3-ში აღნიშნული გვქონდა, „დასხმა“ ან „ჩასხმა“ ეწოდებოდა.

ასოს მოყვანილობას და მოხაზულობას „ტანი“ ერქვა და, ჩვეულებრივ, ასოთა ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა, ჯერ ერთი, ასოთა „ტანისა სისხო“ (ნიკოლოზ თბილელი 1728 წ., ე. თაყაიშვილი, Опис., II, 411), შემდეგ, თუმცა იმდენად არა, მაგრამ მაინც, რაოდენობა „სიგრძისა და სივრცისა ასოთასა“ (ანტონი კ~ზი, გრამ. 285), მაშასადამე, ასოთა ტანის სიგრძე და სივრცე და თანაც თვით მოხაზულობის სისხო.

რადგან ტანი სპარსული სიტყვა და უძველესი ქართული მწერლობისათვის უცნობი ტერმინია, ამიტომ, ცხადია, წინათ ასოს ტანის მაგიერ სხვა სიტყვა უნდა ყოფილიყო, ალბათ, ისვე, რომლის ადგილიც ტანმა დაიჭირა, სახელდობრ „გვამი“.

ასო ხაზებისაგან იყო და არის ხოლმე ჩამონაკვთილი და გამოსახული. სახარების ქართულ თარგმანში შენახულია ორი ტერმინი, რომელნიც ასოთა შემადგენელი ხაზების აღსანიშნავად იხმარებოდნენ. „ვიდრემდე წარჴდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჴდეს შჯულისაგან“-ო (მათე V, 18). ეფრემ მცირესაც თავის თხზულებაში „განწესებაჲ თავთაჲ წ~თა მოციქულთა საქმისაჲ“ ნათქვამი აქვს: „ესევითარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალებიან, კიდესა სტიქონისასა იოტაჲ დამისუამს... აწ უკუჱ სა[დაცა] კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტაჲ ჰპოო... ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებაჲ ჰნებებია მას სიტყუასა“-ო (იერუსალ. № 25 ხელნაწ. 139, ალ. ცაგარლის აღწერილობით ნ. მარის გადმონაწერიდან). ღვთაების 1722 წ. გუჯარშიც აღნიშნულია: „ვითარცა მათ დაემტკიცათ, ჩვენცა უმეტეს დავამტკიცეთ: არცა რქა, არცა იოტა ავჴოცეთ, ვითარცა მჴედველ ხართ გუჯრისა ამის რიგსა“-ო (ისტ. საბ. I, 40). ეფთჳმე მთაწმიდელის ნათარგმნ მაქსიმე აღმსაარებლის ცხოვრებაში სხვათა შორის ასეთი წინადადებაა: „რაჲ იგი... წ~თა მოციქულთა დააწესეს და წ~თა კრებათა დაამტკიცეს იოტაჲ ერთი, ანუ ბეწჳ არა შეიცვალების“-ო (Keimena I, 85). იოტაჲ ბერძნული „ი“ ასოს სახელია ἰῶτα, ხოლო რაკი ებრაულ ანბანში ინი უკნინესი ასო იყო, ამიტომ სახარებასა და ახალ აღთქმაში უკნინეს, სულ უმცირეს ხაზს ეწოდებოდა. ეფრემ მცირეს „იოტაჲ“ პატარა ასწვრივი ხაზის სახის მქონებელ ნიშნად აქვს გამოყენებული. რქაჲ კიდევ ბერძნული ტექსტის κεραία — „კერაჲაჲ“-ს უდრის, რაც ასოს ან მახვილის ნიშანს, პატარა წერტილსაც ნიშნავს. ხოლო ეფთჳმე მთაწმიდელის თარგმანის ზემომოყვანილ წინადადებაში ამის შესატყვისად „ბეწჳ“ არის ნახმარი. საბა ორბელიანის განმარტებით, „მართალ ჩამოზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტა ეწოდების, ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა მას მრგულად[2] და

[2] რ. ერისთავის გამოცემაში „მგურდლ“.

გურდივ — რქა"-ო (ლექსიკონი, იოტას ქვეშე). მეორეგან ნათქვამი აქვს: „რქა ეწოდების ასოსა ზედათ წარზიდულსა"-ო (იქვე, რქას ქვეშე). ზემომოყვანილი მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ „რქაჲ" ასოს ზევითა ბეწვიეთ წვრილ ნაწილს ეწოდებოდა, რომელიც წარზიდული იყო და რქის მსგავსად მოხრილი.

ასოთა მოყვანილობა-გამოსახულების მრავალგვარობა მხოლოდ კალმის ხმარებამ შექმნა. კალმის ხელში დაჭერას „კ ა ლ მ ი ს პ ყ რ ო ბ ა" ეწოდებოდა. მელანში ამოწობილი კალმის ყოველი მოსმა საწერ მასალაზე კვალსა სტოვებს. ასეთ კალმის კვალს თითქოს „ლუმბა" უნდა თქმეოდეს. ღვთაების 1721 წ. გუჯარში ნათქვამია: ღვთის „დიდებათა გზასა მსუღლელთა თითო ბიჯისა ალაგთა ჰყრიან ფრიადნი ლუმბანი კალმისანი" და „აღწერის... მიზეზად... უპყრია კალამნი ფოლადისანი" (ისტ. საბ. I, 18). ს. ორბელიანის განმარტებით, „ლუმბა საჭედარი ცხენისა, თუ ფეხსაცმელთასა" უნდა იყოს (ლექსიკ.). თვით საჭედარიც მას ცხენის ლუმბადვე აქვს ახსნილი (იქვე). ამგვარად, ისე გამოდის, თითქოს ლუმბა ან ნალი უნდა იყოს, ანდა ნალის მისაჭედი იარაღი. მაგრამ ზემომოყვანილი ამონაწერის გამონათქვამის გასაგებად ეს განმარტება გამოსადეგი არ არის, რადგან კალმის მხოლოდ ნაკვალევზე, ანუ ნაწერზე შეიძლება ლაპარაკი იყოს.

ცნობილია, რომ კალმის ხმარებამ ასოთა ხაზების სხვადასხვა სისხოთი გამოყვანა შესაძლებელი გახადა: თუ დამწერელი კალამს ხელით მსუბუქად აჭერს, მაშინ კალმის მოსმა ბეწვის მსგავსად წვრილ ხაზად წარმოგვიდგება ხოლმე; ხოლო თუ ადამიანი ხელს მაგრად დააჭერს, მაშინ მსხვილი ხაზი გამოდის. ზოგჯერ ისე წერდნენ და ახლაც ისე წერენ ხოლმე, რომ ასოთა ხაზები ყველგან ერთნაირი სისხოთი არის ხოლმე გამოყვანილი. ნიკოლოზ ტფილელს ნათქვამი აქვს კიდეც, რომ ასოთა „ტანისა სისხო ყოველთავე სწორად კამს"-ო[3].

რაკი სხვადასხვა დამწერლობის დამახასიათებელ თვისებათა შორის ასოთა ხაზების სისხოსაც აქვს მნიშვნელობა, ამიტომ პალეოგრაფიაში წვრილისა და მსხვილი ხაზისათვის განსაკუთრებული აღმნიშვნელი ტერმინი არსებობს. ასოთა ბეწვებრ წვრილ ხაზებს ფრანგები უწოდებენ les traits déliés, les trait fins, გერმანელები die Haarstriche, ხოლო მსხვილ ხაზებს ფრანგულად les traits pleins, les traits forts, les traits gros ჰქვია, გერმანულად კიდევ die Grundstriche, die Schattenstriche; თანასწორი სისხოს ხაზებს ფრანგულად ეწოდება traits d'égale force, გერმანელები კი ასეთ თანასწორ სისხო-ხაზოვან ასოებს ეძახიან Buchstaben ohne Haar und Grundstriche, Buchstaben ohne Haar und Schattenstriche.

რა ეწოდებოდა ძველად ქართულად ასოთა წვრილ და სხვილ ხაზებს, ჯერ არა ჩანს. იერუსალიმის № 15 ხელნაწერის ანდერძში, მართალია, ნათქვამია: „ესე მსხულ[ად] მით დავწერეთ, რომელ ზოგნი (მამათაგანნი) მოხუცებულ იყუნეს"-ო[4]. ამნაირადვე გიორგი მთაწმიდელის ხელით ნუსხაზე ერთი გადამწერელთაგანი მოგვითხრობს, რომ „ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა"-ო (ქ˜კბი I, 95). მაგრამ აქ „სხუილად"

[3] ე. თაყაიშვილი, Опис., II, 411.
[4] ალ. ცაგარელი, СПГП, II, 14.

და „წურილად“ დანაწერის ტანის მიხედვით არის დახასიათებული, ჩვენ კი ერთი ასოს ხაზების სისხოს დამახასიათებელი ქართული ტერმინი გვჭირდება. სანამ ძველი შესაფერისი ტერმინები აღმოჩნდებოდეს, ტერმინებად შეიძლება „ბ ე წ ვ ე ბ რ ი ვ ი“ და „მ ს ხ ვ ი ლ ი“ ხაზი ვიხმაროთ ხოლმე.

ასოთა ხაზების სისხო-სიწვლის გარდა, დამწერლობათა დახასიათებისათვის ასოთა სიმაღლესა და სიგანესაც აქვს მნიშვნელობა. ანტონ კათალიკოსის სიტყვით, „არა არს კანონი, რაოდენობა სიგრძისა ანუ სივრცისა ასომთავრულთა საზენაოთა ანუ განთხზულთა“ დაკანონებული იყოსო (გრამატიკა, 285). ცხადია, „სიგრძე ასოთა“ აქ ასოთა სიმაღლესა ნიშნავს, „სივრცე“ კი სიგანეს. თუ ხელოვნებითსა და განთხზულ ასოთათვის სიგრძე-სივრცე დაკანონებული არ იყო, სამაგიეროდ ჩვეულებრივი დამწერლობისათვის გარკვეული წესები არსებობდა.

თანამედროვე დამწერლობათმცოდნეობაც ყურადღებას აქცევს ასოთა ამ თვისებებს და ამა თუ იმ დამწერლობის დახასიათების დროს სხვა თვისებათა შორის აღნიშნულია ხოლმე როგორც „სიგრძე ასოთა“ (ფრანგ. hautour des lettres,—გერმ. die Grösse, die Höhe der Buchstaben), ისევე „სივრცე ასოთა“ (ფრან. largeur des lettres, გერმ. die Breite der Buchstaben).

ყოველ ასოს გარკვეული მოხაზულობა და სახე აქვს, რომელიც მკაფიოდ გამოხატულ ნაკვთს წარმოადგენს, რასაც ფრანგები le tracé des lettres, forme des lettres, გერმანელები კი Buchstabenbild-ს ეძახიან. რა ეწოდებოდა ქართულად ამას ძველად, არა ჩანს, მაგრამ შეიძლება „ა ს ო თ ა ნ ა კ ვ თ ი“ ვუწოდოთ. ყოველ ასოს ნაკვთს თავისი დამახასიათებელი ნაწილი აქვს, რომლითაც იგი სხვა ასოსაგან ნიშანდობლივ განირჩევა, მაგრამ ამავე დროს ისეთი ნაწილებიც მოეპოვება, რომლითაც იგი სხვა ასოს ან ასოებს მიაგავს. ამიტომ ყოველი დამწერლობისა და ასოს დასახასიათებლად თუ აღსაწერად ასოთა ნაკვთის დახასიათებაც საჭიროა ხოლმე, და ასოებიც ნაწილებად იყოფა. ამ თვალსაზრისით „ა ს ო თ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი“ (Teile der Buchstaben, Buchstabenteile, partions des lettres, éléments d'une lettre) ორ მთავარ ჯგუფად იყოფა ერთს დამახასიათებელი, მთავარი, ანუ არსებითი, ნიშანდობლივი ნაწილები ეწოდება (die charakteristische, oder wesentliche Teile ან კიდევ Hauptbestandteil), მეორეს კიდევ არაარსებითი, უმნიშვნელო ნაწილები (unwesentliche Teile) ჰქვია. მაგ., ასომთავრულში „ბ“ და „გ“-ს ერთიმეორისაგან ზედა ნაწილი ასხვავებს, „ვ“-ს კი „ე“-საგან — შუა ნაწილი, სამაგიეროდ „გ“-ი „ე“-საგან თავისი ბოლოთი განსხვავდება.

მოხაზულობის მხრივ რომ განვიხილოთ ასოები, ზოგს, ან უმეტეს მათგანს ერთი მთავარი ასწვრივი ხაზი აქვს, რომელსაც ან ერთი მხრიდან, ან ორივედან, ან ზევით, ან შუაში, ანდა ბოლოში ან განივი ხაზი, ან პირშეკრული თუ პირგახსნილი წრე, ან ნახევარწრე ერთვის ხოლმე. მაგ., **ბ გ ე ვ ზ თ ი ლ მ ნ ტ ფ ქ ყ შ ჩ** და სხვა. ამგვარ მთავარ ასწვრივ ხაზს პალეოგრაფიაში გერმანულად Schaft-ს, ფრანგულად hampe-ს უწოდებენ, რაც დროშის ბუნს ნიშნავს და ქართულად შეიძლება ასევე „ა ს ო ს ბ უ ნ ი“ ეწოდოს. ზოგ ასოს კიდევ როგორც მაგ., **დ გ** თითქოს „მ უ ც ე ლ ი“ აქვს, რომელსაც ასევე panse ჰქვია ფრანგულადაც.

§ 2. დამწერლობათა ჯგუფებად დანაწილების პრინციპები და წარმომშობელი გარემოებანი

სხვადასხვა არსებულ დამწერლობათა ჯგუფებად დასანაწილებლად და დასახასიათებლად, სხვათა შორის, მათი ხაზთაშორისი მდებარეობის შესწავლასაც აქვს მნიშვნელობა, სახელდობრ იმ საკითხს, თანასწორი სიმაღლისანი არიან ასოები და ორ ხაზს შორის ეტევიან ყველანი, თუ ზოგი ასო ორ ხაზს შუა თავსდება, ზოგს კი თავი ან ბოლო ორ ხაზს ზევით, ან ქვევით აქვს აწეულ-ჩამოშვერილი და ამგვარი ანბანისათვის ოთხხაზოვანი ბადეა საჭირო.

ვისაც ხელნაწერებზე უმუშავნია ან გინდ გულდასმით გაუსინჯავს, ეცოდინება ან შემჩნეული ექნება, რომ ხუცური თუ მხედრული ასომთავრული დამწერლობის ასოები ყოველთვის ორ ხაზს შუა არის ხოლმე მოქცეული და მათი სიგრძე მუდამ ერთნაირია, ხოლო ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის ასოები სხვადასხვა სიგრძისანი არიან: ზოგი ორ ხაზს შუა ეტევა, როგორც, მაგ.: ა, თ, ი, ო, და სხვები, — ზოგს კიდევ ზედა ნაწილიც აქვს, როგორც. მაგ: ბ, ზ, მ, ნ, რ, ს,' — ან ქვედა ნაწილი აქვს ხოლმე: გ, დ, ე, ვ, კ, ლ და სხე., ანდა ზედაცა და ქვედა ნაწილიც აბადია: ქ, წ, ჭ. ამგვარი დამწერლობის ასოთა წესიერი გამოყვანისათვის ოთხხაზოვანი საწერი ბადეა საჭირო. ძველადაც ასევე ოთხ ხაზს შუა წერდნენ და ახლაც ქართული წერის სავარჯიშო დედნის დასაწყისი ნაწილი ოთხხაზოვანი საწერი ბადის სისტემაზეა დამყარებული. თანამედროვე პალეოგრაფიაშიაც ამ „ხაზოვანობის სისტემის“ საკითხს, რომელსაც გერმ. das Linienschema ეწოდება, ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული: „ორხაზოვან სისტემა“-სა (das Zweilinienschema, das Zweiliniensystem) და „ოთხხაზოვან სისტემა“-ს (das Vierlinienschema, das Vierliniensystem) არჩევენ ერთმანეთისაგან. ოთხხაზოვან საწერ ბადეში ორი შუაში მოქცეული ხაზი „შუახაზების“ (die Mittellinien) სახელით აღინიშნება.

ასოთა ტანის დანაწილებაც არსებობს: ყოველ ა ს ო ს აქვს თ ა ვ ი და ბ ო ლ ო. ასოს თავად, ჩვეულებრივ, ზედა ნაწილი იწოდება. ხშირად ასოს გამოსახვა-დაწერაც სწორედ ამ „თავიდან“ ან ზედა ნაწილით იწყება ხოლმე, მაგრამ ასოს თავი და დასაწყისი ნაწილი ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, არამედ ზოგჯერ ასოს დაწერას შუა ნაწილიდან იწყებენ ხოლმე. ერთგვარობისათვის ისე უნდა იყოს მიღებული, რომ ასოს თავად მისი ზედა ნაწილი უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ბოლოდ — ქვედა ნაწილი. ასოთა ხაზებს, დასაწყისისას და დასასრულისას ან წარზიდულ ხაზებს „ასოთა კიდურები“ les extrémités des lettres) ეწოდება.

ასოს ქვედა კიდურს, როდესაც ამის მსგავსი მოყვანილობა აქვს, როგორც, მაგ., ო, „კ უ დ ი“-ც (ლათ.-გერმ. cāuda, Cauda) ეწოდება. შემდეგ კალმით წერის დროს გაკრული ხელით დაწერილ ასოებს დაწყებისას წერტილის ან დანაჭირების მსგავსი ხაზი ემჩნევათ და დამთავრებისას რქის მსგავსი მოყვანილობით თავდებიან ხოლმე. ამას გერმ. die Ausatz- und Auslauflinien, die Ausatz- und Auslaufstriche ეწოდება.

ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ზოგი ასო შუა ხაზებში თავსდება, ზოგ ასოს შუა ხაზს ზევითი ან ქვევითი ხაზებამდე აქვთ თავი თუ ბოლო მიბჯენილი; დასასრულ, ისეთი ასოებიც

არის, რომელნიც მხოლოდ ოთხხაზოვან ბადეში თავსდება. ამგვარი დამწერლობის თავისდათავად და ისტორიული განვითარების დახასიათების დროს ასოთა სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვანაირი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ოთხხაზოვანი სისტემის ასოების ნაწილებს თავთავისი აღმნიშვნელი სახელები უნდა ჰქონდეთ. გერმანელები ამას უწოდებენ die Buchstaben mit Mittel- Ober und Unterlängen, ქართულად კი შეიძლება ასოთა ზედატანი, შუატანი და ქვედატანი ვუწოდოთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასოთა ასწვრივი თუ გადახრილი მდებარეობა. ამისდა მიხედვით არსებობს „ასწვრივი დაწერილობა“ (Steilschrift, l'écriture verticale) და „გადახრილი დამწერლობა“ (Schrägeschrift, l'écriture penchée). ზოგიერთ ენათა დამწერლობას ორივე ეხერხებოდა და ორივე იხმარებოდა, ზოგს კი ერთი რომელიმე უფრო ემარჯვებოდა. ბერძნულმა პალეოგრაფიამ, მაგ., ორივე იცის, თუმცა იქ ასწვრივი დამწერლობა უფრო საზოგადო და მართებული იყო, მაგრამ გადახრილი ხშირად იხმარებოდა და ერთ დროს, როგორც ეტყობა, შნოიანად და მოხდენილადაც კი ითვლებოდა[5]. ქართულში, პირიქით, გადახრილი დამწერლობა უფრო იშვიათია.

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ გადახრილი დამწერლობა თავდაპირველად ჩქარი, გაკრული წერის დროს წარმოიშვა ბუნებრივად ასოთა ურთიერთთან გადაბმის წყალობით.

დამწერლობის სხვადასხვაობისა და თვისებათა ღირსების წარმომშობელად ოთხი მთავარი გარემოება უნდა ჩაითვალოს: I. საწერი მასალისა და იარაღის თვისება; II. დანაწერის დანიშნულება; III. დამწერელისაგან დასახული მიზანი და IV. დამწერლის მომზადება-გაწვრთნილობა.

I. 1) საწერი მასალისა და იარაღის გავლენა ასოთა მოხაზულობა-მოყვანილობის თვისებებზე უმალ ცხადი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ წარწერა ქვაზე მაგარი, მკვეთრი იარაღითა და უროს ძლიერი ცემით უნდა ყოფილიყო გამოყვანილი. ლითონზეც, რომელიც ქვაზე უფრო ელასტიურია, ამგვარივე მაგარი იარაღი ან წაწვეტილი, ან, თუ ლითონის თხელი ფურცელი იყო მასალად, წვეტმომრგვალებული იხმარებოდა. ჰილისა და ეტრატის ან ქაღალდისათვის კი არამცთუ მკვეთრი იარაღი არ გამოდგებოდა, სუბუქ კალამსა და საღებავზე მეტი არაფერი იყო საჭირო. ხელის დიდი ძალით დაჭერასაც კი ჰილისა და ქაღალდის გახევა შეეძლო. რადგან თხელ საწერ მასალათაგან პირველად ჰილი იყო შემოღებული, რომელიც მეტად სათუთი და ნაზია, დამწერს უნდა ყოველი ღონისძიება ეხმარა, რომ კალამი სუბუქი ხელისმოსმით მოეხმარა და კუთხოვანი, წვეტიანი ხაზების მაგიერ ასოები მრგვალი მოხაზულობით გამოეხატა. ამგვარი საწერი მასალისა და იარაღის სხვადასხვაობას ასოთა მოყვანილობასა და დამწერლობაზე არ შეიძლება თვალსაჩინო გავლენა არ მოეხდინა. ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგ., რომ სწრაფი, გაკრული დამწერლობა ვერც განვითარდებოდა და ვერც ჩამოინაკვთებოდა, საწერ მასალად მუდამ ქვა და ლითონი რომ დარჩენილიყო და წერა ნამდვილად მაგარი იარაღის საშუალებით ამოჭრად დარჩენილიყო.

---

5 გარდტჰაუზენი, ბერძ. პალ., II^2, III.

2) ცხადია აგრეთვე, რომ დამწერლობაში ასოთა ხაზების სისხო-სიწლო მხოლოდ მას შემდგომ შეიძლება შემოსულიყო, როდესაც საწერ იარაღად კალამი და მასალად ჰილ-ეტრატი და საღებავი იყო შემოღებული. ქვაზე და სხვა მაგარ მასალაზე ამოჭრილი წარწერის ასოთა ხაზების სისხო ყოველთვის თანაბარი გამოდიოდა, რადგან იმ რკინის მკვეთრი იარაღის წვეტი, რომლითაც წარწერას სჭრიდნენ ხოლმე, მაგარი და მუდამ ერთი და იმავე იდენობისა იყო, კალმის რბილი და მოქნილი წვერი კი სულ სხვადასხვა სისხოს ხაზებს გამოსახავდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი სიძლიერით დააჭერდა დამწერი კალამს ხელს. ამიტომ არის, რომ ასოთა მოხაზულობის დანაჭირებზე ლაპარაკი, რასაც ფრანგები les traits pleins, გერმანელები Druck-ს, ხოლო რუსები нажим-ს უწოდებენ, მხოლოდ კალმის შემოღების შემდგომ შეიძლება.

II. დანიშნულებისდა მიხედვით პალეოგრაფიაში სამ, ერთიმეორისაგან განსხვავებულ, დამწერლობის გვარს არჩევენ, რადგან თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი თავისებურება ემჩნევა.

1) ერთი — წარწერების, ანუ ეპიგრაფიკული დამწერლობაა, რომელიც ქვაზე ან ლითონზე, გინდ სხვა რაიმე ნივთიერებაზე ამოჭრის თუ გამოქანდაკების დროს იხმარებოდა. ასეთ დამწერლობას ეწოდება „scriptura epigraphica“, „scriptura monumentalis“, l'écriture épigraphique, Die epigraphische Schrift, die Monumentalschrift, რომლის ქართულ შესატყვის ტერმინად შეიძლება „ძეგლური, ანუ ეპიგრაფიკული დამწერლობა“ ვიხმაროთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ლითონზე გამოყვანილი წარწერა თუ თვით საგანი, რომელზედაც წარწერაა აღბეჭდილი, ნაჭედობით არის გაკეთებული და თვით წარწერაც ჭედვითვეა შესრულებული, მაშინ წარწერის ასოები ამობორცვილია ხოლმე, რადგან ოქრომჭედლებს ასეთ შემთხვევებში სახეებიცა და წარწერაც ლითონის ფურცელზე უკანიდან ჭედვით გამოჰყავთ ხოლმე, უკანიდან ჩაღრმავებულ ასოთა ხაზები კი პირიდან ამობორცვილი გამოდიოდა ხოლმე, ამიტომ ამობორცვილი ასოებით გაკეთებული დამწერლობა ლითონის ძეგლების წარწერათა ბუნებრივ წარმონაშობად უნდა ჩაითვალოს, იმისდა მიუხედავად, რომ სხვა მასალაზე გამოყვანილი წარწერებისათვისაც ყოფილა გამოყენებული, ეს შედარებით მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს.

2) დამწერლობის მეორეგვარი წიგნებისათვის იყო განკუთვნილი და შედარებით რბილ და მოქნილ საწერ მასალაზე იყო ხოლმე აღბეჭდილი. რაკი, ერთი მხრით, ეტრატი, ჰილი და ქაღალდი, ვითარცა საწერი მასალა, სათუთი იყო, მეორე მხრით, კალამი და მელანი დამწერელს საწერი იარაღის თავისუფალი ხმარებისა და მოსმის საშუალებას აძლევდა, იგი უკვე იძულებული აღარ იყო ასოთა მოხაზულობა კუთხოვანი გამოეყვანა. ყოველდღიურ თუ ხშირად წერის დროს აუცილებელმა სისწრაფემ და მუდმივმა ვარჯიშობამ თუ მუშაობამ დამწერელს ბუნებრივად სურვილი დაუბადა ხელის მოძრაობა და მუშაობა გაეადვილებინა და შეემსუბუქებინა, და სწორედ ამის წყალობით თანდათანობით ასოთა სიგრძეც დაპატარავდა, კუთხიანი მოხაზულობაც მომრგვალდა. ამას გარდა კალამი, ვითარცა რბილი საწერი იარაღი, წერის დროს ასოთა ხაზებს ხელის სხვადასხვა სიძლიერით დაჭირებით გამოწვეულ სხვადასხვა სისხოს ანიჭებდა და ამნაირად ბეწვებრივი და მსხვილი ხაზიანი ასოთა დამწერლობა შემუშავდა. წიგნებისათვის განკუთვნილი დამწერლობა სწორედ ასოთა უფრო მრგვალი მოყვანილობითა და ბეწვებრივი და მსხვილი ხაზებით

არის დამახასიათებელი. ლ. ტრაუბე ამ დამწერლობას და ასოებს littera libraria ან მარტივად libraria-ს უწოდებს. გერმანულად კი ამას die Buchschrift-ი ჰქვია, ქართულად შეიძლება „წ ი გ ნ უ რ ი" დამწერლობა ეწოდოს.

3) მესამეგვარი დამწერლობა მხოლოდ საბუთებისათვის იხმარებოდა მდივან მწიგნობრების მიერ. ასეს პალეოგრაფიაში, ჰუბნერისდა თანახმად, უნდა „Scriptura actuaria" ეწოდებოდეს. გერმანელები ამ ცნების გამოსახატად die Urkundenschrift-ს ხმარობენ, ფრანგები l'écriture de chancellerie-ს ეძახიან. რადგან მდივან-მწიგნობრებს ხშირად კარნახითა და სასწრაფოდ უხდებოდათ წერა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მეფეთა სიგელები შესაფერისი იერით უნდა ყოფილიყო შემკული, ამიტომ საბუთთა დამწერლობას სხვებზე უფრო მეტი თავისებურება დაეტყო და თავის ნიშანდობლივ თვისებათა გამო სხვა დამწერლობათაგან ადვილად ირჩევა. ქართულად ამ დამწერლობას უნდა „მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ რ უ ლ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა" ეწოდოს.

როდესაც ძეგლური, ეპიგრაფიკული და ლითონური დამწერლობა, იმნაირადვე როგორც წიგნური და მდივანმწიგნობრული დამწერლობა თავ-თავის მხრივ მთელი თავიანთი დამახასიათებელი და განმასხვავებელი თვისებებით ჩამოინაკვთა, შემდეგში უკვე დამწერლობითი ხელოვნების განვითარებასა და დაწინაურებასთან ერთად მხატვრული მოსაზრებითა და გემოვნების თავისებური გამოხატულების წყალობით, ანდა მიმბაძველობით ქვის წარწერათა დამწერლობა ხელნაწერებშიაც იქნა გამოყენებული, ლითონური ნაჭედი დამწერლობა ქვის წარწერებზეც იყო ნაცადი და არა ერთგან ნახმარიც არის იმგვარადვე, როგორც კედლის ფერადოვანი წარწერისათვის შეიძლება ხელნაწერთა დამწერლობის ხასიათიც მიეცა მხატვარს. ერთი სიტყვით, ერთ დარგში შემუშავებული დამწერლობა სულ სხვა დარგებისათვის ყოფილიყო გამოყენებული. ამნაირი მოვლენა იშვიათი არ არის, მაგ., უძველესი ჯერეთ ცნობილი ქართული წარწერა ბოლნისის სიონის გარეთ კედელზე გამოყვანილი ამობორცვილი ასოებით არის გაკეთებული, ე. ი. ლითონური წარწერის ხასიათი აქვს. ამგვარივე თვისებისაა ურბნისის საყდრის გარეთა კედლისა, კუმურდოს საყდრის ზოგიერთი და სხვაგან დაცული წარწერებიც. შემდეგ ატენის სიონის შიგნითი კედლის მოლესულობის განთქმული 853 წ. წარწერაც, ბუღა თურქის საქართველოში შემოსევის ამბის შემცველი, იმისდა მიუხედავად, რომ კედელზეა გამოყვანილი, ეტრატზე დანაწერის შთაბეჭდილებას ახდენს და თავიდან ბოლომდის წიგნური დამწერლობით არის დაწერილი.

III. მონღოლთა დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელს თავის საისტორიო შრომაში ერთგან ნათქვამი აქვს: უიღურნი „ათექუსმეტითა ასოთა დაწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისკმისსაყოფელიცა"-ო (*731, გვ. 550). აქ კარგად არის გამოთქმული ის ორი მთავარი მომენტი და მიზანი, რომელიც დამწერლობის ღირსების დაფასების დროს გასათვალისწინებელია. დამწერლობა, ერთი მხრით, ჩვენ ჩვენი ნააზრევის ალსაბეჭდავად გვჭირდება, წერისათვის, და თუ რომელიმე ანბანი წერისათვის „ადვილ სასწავლო" არის, ეს მის დიდ ღირსებას შეადგენს. მაგრამ, მეორე მხრით, დამწერლობა და ანბანი ჩვენთვის სხვისი ნააზრევისა და დანაწერის წასაკითხავად და გულისხმისყოფისათვისაც არის საჭირო და, თუ რომელსამე ანბანს ისეთი თვისებაცა აქვს ასოთა მოხაზულობის ნიშანდობლივი გარკვეულობის მხრით,

რომ მისი გარჩევა სიძნელეს არ წარმოადგენს და „ადვილ გულისჯმისაყოფელიცა“ არის, მაშინ ასეთ დამწერლობას არავითარი წუნი არ ექნება.

უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ წერისა და კითხვის პროცესს შორის, ადამიანის ძალღონის მოხმარების მხრივ, არსებითი განსხვავებაა: წერის დროს უმთავრესად ხელის კუნთების მუშაობაა, რადგან, დამწერელის მიერ ასოთა მოხაზულობის უცდომელი ცოდნის გამო, თვალი აქ თითქმის მექანიკურად იღებს მონაწილეობას და უფრო მეთვალყურეა, რომ ადამიანს წერის დროს უნებლიეთი შეცდომა არ შეეპაროს. დამწერელს თვალდახუჭულსაც შეუძლია ყოველი ასო სრულებით უცდომელად დაწეროს. ამგვარად, წერის პროცესის დროს ადამიანს უმთავრესად ხელი ეღლება. პირიქით, კითხვის დროს მხოლოდ თვალი მუშაობს, ხელი კი არავითარ მონაწილეობას არ იღებს: მაშასადამე, ჯაფის მთელი ტვირთი თვალს აწევს და მხოლოდ ის იღლება. ამ ორი ძირითადი განსხვავებისაგან გამომდინარეობს წერისა და კითხვის პროცესისაგან დამწერლობის განვითარებაზე მოხდენილი გავლენის სხვადასხვაობაც: თავისთვის წერის დროს ადამიანი ბუნებრივად ცდილობს მარჯვენა ხელის კუნთებს რამდენადაც შეიძლება მუშაობა შეუმცირონ და ამიტომ ასოთა მოხაზულობის გამარტივებასა და ასოთა გადაბმას ეტანება სამუშაო დროს შესამცირებლადაც, ხოლო წასაკითხავად ყოველი ჩვენგანი უპირატესობას ისეთი დამწერლის ხელსა და ისეთ დამწერლობას მიანიჭებს, რომელიც უფრო ადვილი წასაკითხია, მკაფიოდ და გარკვევით არის დაწერილი და თვალს ამის გამო ნაკლებ ჯაფას აყენებს. ამიტომ როგორც მკითხველი, ისევე დამწერელი რჩეობდნენ, რომ საკითხავად განკუთვნილი წერილობითი ძეგლი, დამწერლის ხელის პირადი თავისებურების მქონები, რაც შეიძლება ნაკლებად ყოფილიყო და ისეთი მოხაზულობის ასოებით ყოფილიყო დაწერილი, რომელიც თითოეული ასოს მკაფიოდ და სწრაფად გარჩევას გააადვილებდა და ყველასთვის ადვილი წასაკითხი იქნებოდა. ამ მოთხოვნილებამ საერთო, ყველასათვის გასაგები, დამწერლობა შექმნა. ქართულად ძველადაც არსებობდა ამ ცნების გამომხატველი განსაკუთრებული ტერმინი „ს ა ზ ო გ ა დ ო“.

„საზოგადო“ ასოები და დამწერლობა, გერმ. die Schulschrift, ფრანგ. l'écriture commune, როგორც თვით სახელიც ცხადყოფს, საერთოდ გავრცელებული მოყვანილობის ასოების აღსანიშნავად იხმარებოდა. ანტონ კათალიკოსის განმარტებაც ამასვე მოწმობს. მასაც ნათქვამი აქვს: „საზოგადო (ასონი), რომელიცა მრავალთა წერილთა შინა ანუ სტამბისა და ანუ კალმით წერილისათა იხმარების“-ო (გრამ. 285). თავისთავად ცხადია, რომ საზოგადო დამწერლობა როგორც მხედრულში, ისევე ხუცურში, თვით ასომთავრულშიაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო.

საზოგადო დამწერლობის საწინააღმდეგო ცნებას ს ა პ ი რ ა დ ო დამწერლობა, ფრანგ. l'écriture privée, გერმ. die persönliche Schrift გამოხატავს.

ამას გარდა, ყოველი ადამიანი, დასახული მიზნისდა მიხედვით, სხვადასხვანაირად წერს. როდესაც მას უნდა, რომ მისი დანაწერი სხვებისათვისაც წასაკითხავად გამოდგეს, ის ცდილობს რაც შეიძლება გარკვევითა და საზოგადო დამწერლობით წეროს. თუ ერთბაშად მას გარკვევით წერა არ ეხერხება, ის ავხელად დაწერილს მეორეჯერ დამშვიდებითა და გულდასმით კაიხელად გადაწერს. თუ მას თითონ კაიხელადი წერა სრულებით არ შეეძლო, მაშინ თავისი ავხელადი ნუსხის გადასაწერად დახელოვნებულ გადამწერელს მოიწვევდა.

ხოლო როდესაც ადამიანი თავისთვისა წერდა, შენიშვნების სახით, ყოველდღიურ ცხოვრებაში და სასწრაფო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასეთ შემთხვევაში მას თავისი დანაწერის სილამაზე და შნოიანობა სრულიად არ აინტერესებდა, ის არც იმისათვის ზრუნავდა, რომ მისი დანაწერი საზოგადო მოხაზულობის ასოებით ყოფილიყო აღბეჭდილი, ოღონდ კი დასახსომებელი თუ შესატყობინებელი აზრი, ამბავი, გარემოება თუ სასწრაფო საქმე საჩქაროდ აღნუსხული ყოფილიყო.

ყოველდღიური გამოცდილებითა და თვითდაკვირვებითაც ვიცით, რამდენად დიდი განსხვავება ემჩნევა ხოლმე დანაწერს ამ ორ შემთხვევაში. უცნობი ადამიანი ზოგჯერ შეიძლება ვერც კი მიხვდეს, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე პირის დანაწერი აქვს ხელში. სწრაფი წერისათვის ასოთა მოხაზულობის უკიდურესი გამარტივება და ასოების ერთმანეთზე გადაბმა აუცილებელი იყო. გადაბმის დროს ასოთა ასწვრივი მდგომარეობა თანდათან უნებლიეთ იხრებოდა. ყველა ამ გარემოებამ განსაკუთრებული სწრაფადი დამწერლობა შექმნა, რომელსაც ბერძნულად **τὰ ἐπισεσυρμένα γράμματα, ἐπισεσυρμένη γραφή** ეწოდებოდა[6], ფრანგ. la cursive. გერმ. Cursive, ანუ Briefschrift, რუს. курсив, скоропись, სომხურად *Նոտրագիր*-ი ჰქვია. ქართულად ამ ცნების გამოსახატავად რამდენიმე ტერმინი არსებობდა.

სხვადასხვა დამწერლობათა შორის ანტონ კათალიკოსს, მაგ., „ნოტრი"-ც აქვს მოხსენებული. საბა ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ ნოტრი არის „წვრილად ნაწერი წერილში"-ო (ლექსიკონი). თვით ანტონ კათალიკოსის განმარტებაც ამაზე უფრო მკაფიო არ არის. მისი აზრით „ნოტრი რომელსაცა ვიქმევთ სხუათა ავქსონთა წერილთა მოღებასა შინა წერილთასა"-ო (გრამ. 285), ესე იგი სხვა თხზულებიდან მოყვანილი ამონაწერი უნდა იყოს, რომელიც, როგორც ჩანს, მთელი ტექსტისაგან განსხვავებული დამწერლობით უნდა ყოფილიყო გამოყვანილი. ამ ორივე განმარტებიდან თითქოს ისე გამოდის, რომ ნოტრი გაკრული წერილი დამწერლის სახელი უნდა ყოფილიყო. რაკი ეს ტერმინი „ნოტრი" სომხურშიაც მოიპოვება *Նոտր*, ანუ *Նոտր գիր*-ის სახით, და გადახრილი ხელის, კურსივის აღსანიშნავად იხმარება, ქართულ ძეგლებში კი, ანტონ კათალიკოსის ზემოდასახელებული შრომის გარდა, ჯერ არსადა ჩანს, ამიტომ ამ ტერმინის გაჩენის დრო და თვით არსებობაც კი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

შემდეგ უნდა ითქვას, რომ გაკრული ხელისა და დამწერლობის აღსანიშნავად, საბა ორბელიანის სიტყვით, ტერმინი „ნუსხა"-ც ყოფილა მიღებული. მისი განმარტებით, „ნუსხა ჩქარად აღწერილი" არის (ლექსიკონი). ტერმინი ნუსხა, როგორც თავის ადგილას (იხ. თავი II, § 3) გამორკვეულია, ძველად ავტორის ხელით ნაწერს დედანს ეწოდებოდა. რაკი თვით სიტყვა არაბულია და არაბულადაც თავდაპირველად მართლაც დედანს ნიშნავდა, ამიტომ ამ ტერმინს პირველად სწორედ ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ხოლო რადგან ავტორი თავის ნაწარმოებს თუ წერილს საკუთარი ხელით, ჩვეულებრივ, უფრო სწრაფად და გაკრული ხელითა წერს ხოლმე, ალბათ, აქედან უნდა წარმომდგარიყო ტერმინი „ნუსხა"-ს ხმარება „ჩქარად აღწერილის", ანუ გაკრული ხელის აღსანიშნავადაც.

---

[6] გ ა რ დ ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი, ბერძნ. პალ., II[2], 162.

გაკრული ხელი, რასაკვირველია, ხუცურიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მხედრულიც, თუმცა მხედრული უფრო მომარჯვებულია სწრაფი, სამდივნო წერისათვის. ამისდა მიუხედავად, თანამედროვე ქართულში ტერმინად განსაკუთრებით „ნ უ ს ხ ა-ხ უ ც უ რ ი“ იხმარება, ნუსხა-მხედრულს კი არავინა ხმარობს, ამასთანავე ნუსხა-ხუცური ახლა იმდენად გაკრული დამწერლობის აღსანიშნავად არ იხმარება, რამდენადაც პატარა ტანის, ოთხხაზოვანი სისტემის დანაწერი ხუცური დამწერლობის გამომხატველია, ამიტომ „ნ უ ს ხ უ რ ი“ და „ნუსხა-ხუცური“ უკეთესია ისევ წინანდებურად ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობის აღსანიშნავად დარჩეს. კურსივის აღმნიშვნელ ტერმინად „გ ა კ რ უ ლ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა“ ვიხმაროთ, რადგან თანამედროვე ქართულშიც „გაკრული ხელი“ ამგვარივე აზრით იხმარება.

საბა ორბელიანის განმარტებით, „გაკვრა... არის კალმით ნიშნის დასმა“ (ლექსიკ.), მაგრამ ამგვარი ახსნა არც სრულია და არც სწორი. გაკვრა ხელის ჩქარი მოძრაობის აღსანიშნავად არის ნახმარი და, ამისდაგვარად, გაკრული დამწერლობა თუ ხელი ისეთ დამწერლობას და ხელს ერქვა, რომელიც ხელის ჩქარი მოძრაობით არის წარმომდგარი. ამ მხრივ ქართული სახელი, მაშასადამე, ამ დამწერლობის ნიშანდობლივ თვისებას ახასიათებს და ზედგამოჭრილია.

რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩქარი წერა უფრო ხშირია, ვიდრე დამშვიდებული და, რაც უფრო წინაურდება და რთულდება სამოქალაქო ცხოვრება და კულტურა, წერაც ადამიანის მოქმედების უფრო და უფრო აუცილებელ და ხშირ გამოხატულებად ხდება, ამიტომ მწერლობის განვითარების ყოველ საფეხურს გაკრული დამწერლობა და ხელიც თან სდევს და ყოველს მთავარს კაიხელადს დამწერლობას შეიძლება თავისი შესატყვისი გაკრული დამწერლობა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ბერძნულსა და ლათინურ პალეოგრაფიაში, მაგ., მიღებულია გაკრული Majuskel und Minuskelcursive, cursive majuscule et cursive minuscule. ამას გარდა, არჩევენ პტოლემეურ, რომაულ და სხვა დროის გაკრულ დამწერლობას, რომელთა ასოების მოხაზულობის თავისებურება უმთავრესად გადაბმის ზეგავლენით არის წარმოშობილი.

ნუსხური დამწერლობა, რომელიც ოთხხაზოვან ბადეზეა დამყარებული და გრძელ და მოკლე, ტოლმეტ ასოთა სისტემას წარმოადგენს, მხედველობითი თვალსაზრისით და წამკითხველთათვის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასოთა ტოლობა და ერთგვარობა მათ გარჩევას აძნელებს. მათი ტოლმეტობა კი, პირიქით, ადამიანს ძალიან უადვილებს კითხვას. ეს გარემოება ექსპერიმენტულადაც და ფიზიოლოგიურადაც გამორკვეულ-დამტკიცებულია[7]. ასოთა ურთიერთშორისი განსხვავება სიდიდით, განსაკუთრებით კი თავიანთ ზედა თუ ქვედა ტანის სიგრძე-სიმოკლითა და მოყვანილობით თითოეულ მათგანს უფრო მეტ ნიშანდობლივობას და მკაფიობას ანიჭებს, რაც თვალს მათ გარჩევას უადვილებს. სხვათა შორის, ამ ცხადმა უპირატესობამაც ხელი შეუწყო ნუსხური დამწერლობის გამარჯვებას და ასომთავრული დამწერლობა ზედმეტ ტვირთად აქცია.

[7] იხ. J a v a l, Physiologie de la lecture et l'ecriture; B r a n d i, Unsere Schriften; გ ა რ დ ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი, ბერძნ. პალ., II[2], 189.

ნუსხური დამწერლობა რომ თვალისათვის და წასაკითხავად ასომთავრულზე უფრო ადვილი იყო და ასომთავრულის კითხვა, პირიქით, საძნელო იყო, ამის დამადასტურებელი ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ტბეთის 1161 წ. ახლო ხანებში დაწერილი სახარების ანდერძში. იქ პავლე მტბევარს, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს, რომ ტბეთის საყდრის ხუცესთათვის „მრგლოანის კითხვაჲ საჭირო იყო, დიდად იჭირვოდეს, და დავაწერინე ესე ოთხთავი სრული"-ო ნუსხა-ხუცურად, რომელიც ეტყობა ადვილი წასაკითხავი ყოფილა[8].

IV. დასასრულ, დამწერლობის თვისება, რასაკვირველია, დამწერლის მომზადება-გაწვრთნილობისდა მიხედვითაც განსხვავდებოდა. ცხადია, ჩვეულებრივი ერისკაცი, რომელსაც წერის ხელოვნება თავის ხელობად არ ჰქონდა ქცეული და წერაშიაც სათანადო გავარჯიშება აკლდა, ისე ვერ დაწერდა, როგორც განსწავლული დამწერელი. პირველს თუ უფრო ავხელადი ხასიათის დინაწერი გამოუვიდოდა, მეორეს კაიხელადი, შნოიანი დანაწერი მაინც ექნებოდა. ამგვარადვე სულ სხვა თვისებისა და ღირსების ნაწერია ხოლმე, როდესაც დამწერელი დახელოვნებული პირია და მას ხელოვნების ძეგლის დაწერა სურდა ან შეკვეთილი ჰქონდა. ამისდა მიხედვით ღირსებისდა გვარად თითქმის ყოველი დამწერლობა შეიძლება ოთხნაირი იყოს: ან მდაბიო, ან ჩვეულებრივი, ან კეთილ-ხელადი, კალიგრაფიული, ანდა მხატვრული. ლათინურ პალეოგრაფიაში ორი ტერმინია მიღებული: capitalis elegans და capitalis rustica, რომელსაც ფრანგულადაც capitale rustique-ს, გერმანულადაც კი bäuerische Schrift-ს ეძახიან. ფრანგულ პალეოგრაფიულ მწერლობაშიც იხმარება ტერმინები l'écriture basse, commune, l'écriture calligraphique. ამის შესატყვისად გერმანელებს მიღებული აქვთ: kalligraphische Schrift, die Schönschrift და die Prunkschrift მხატვრული დამწერლობისათვის. ქართულ საისტორიო მწერლობაში ლამაზად ანუ შნოიანად დამწერელის აღსანიშნავად „კეთილად-მწერალი" გვხვდება, რომელიც ბერძნულ καλλιγράφος-ს უდრის[9].

§ 8. ძველ წყაროებში შენახული დამწერლობათა აღმნიშვნელი ტერმინები

ქართულ მრავალსაუკუნოვან მწერლობაში ბევრი სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის დამწერლობა იყო მიღებული. ყველას შესახებ ჯერ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება და არც თითოეული მათგანის საგანგებო სახელი ვიცით. ჩვენ წყაროებში ჯერჯერობით შემდეგი ცნობებისა და ტერმინების ამოკრება შეიძლება.

არჩილ მეფეს თავის გალექსილ თხზულებაში „საქართველოს ზნენი", სხვათა შორის, უწერია:

> „დამწერლობა ხუცურსა და მხედრულს უნდა სხვადასხვადა
> გრგლოვანს, ყუავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა".

მაშასადამე, როგორც „ხუცურს", ისე „მხედრულს" საქართველოში წერდნენ „სხვადასხვადა". შემდეგ ჩამოთვლილი ტერმინები „გრგლოვანი", „ყუავისფრჩხილოვანი" და „ასომთავრული", რო-

[8] ე. თაყაიშვილი, MAK, XII, 156.

[9] იხ. გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართ. თარგმანი, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 236, 16; de Boor, 454, 22.

გორც ქვემოთ გამორკვეული იქნება, მხოლოდ ხუცური დამწერლობის სხვადასხვა სახეობის სახელებია. მხედრულ სახეობათა შესახებ არჩილ მეფეს არაფერი აქვს ნათქვამი.

ანტონ კათალიკოსს უფრო მეტი ცნობები აქვს, მაგრამ მასაც მხოლოდ ხუცურ დამწერლობაზე აქვს ლაპარაკი. ანტონ კათალიკოსის სიტყვით, საქართველოში შემდეგი შვიდგვარი ანბანი ყოფილა გავრცელებული: 1) „საზენაო“, 2) „ასომთავრული“, 3) „მგრგლოვანი“, 4) „საზოგადო“, 5) „ყუავისფჩხილოვანი“, 6) „ნოტრი“ და 7) „თხზული“. სამი ამ შვიდთაგანი არჩილ მეფესაც აქვს ზემომოყვანილ ლექსში აღნიშნული, ზოგის შესახებ უფრო უძველესი ცნობებიც მოიპოვება, მაგრამ საზენაო და თხზული ჯერჯერობით მხოლოდ ანტონ კათოლიკოსსა აქვს მოხსენებული. სამაგიეროდ სხვა ავტორებსაც მოეპოვებათ ისეთი ცნობები, რომლებიც არც არჩილ მეფეს სცოდნია, არც ანტონ კათალიკოსს.

ჩვენი თანამედროვე ჩვეულებრივი წარმოდგენით მთელი ქართული დამწერლობა ორ მთავარ დარგად განიყოფება: ხუცურ და მხედრულ დამწერლობებად. ასევე იყო XVIII ს-შიაც. იესე ოსესშვილს, მაგ., თავის თავგადასავალში აღნიშნული აქვს: „მკედრული და ხუცური წერა ვისწავლე“-ო (გვ. 8). მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა. ჯერჯერობით 1365 წ. უწინარეს, თუ არ ვცდები, ტერმინი „ხუცური“ არ გვხვდება. უეჭველია, თვით ეს ტერმინი პირველად სწორედ აქ არ იქნება ნახმარი და ამაზე უწინარეს უნდა იყოს შემოღებული, მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ IX—XIII სს. ხელნაწერთა აქამდე გამოქვეყნებულ არც ერთ ანდერძში ეს ტერმინი არ გვხვდება. ავგაროზ ბანდაისძე თავის 1365 წ. ანდერძში გვამცნობს, რომ იცოდა „კელო... მწიგნობრობისაჲ, წერაჲ ხუცურისაჲ, შექმნაჲ ეტრატისაჲ, შეკვრაჲ წიგნისაჲ, მხატვრობაჲ“ და კიდევ ზოგიერთი სხვა ხელობაც[10]. ამ ცნობაში მხედრული წერა არ იხსენიება, ალბათ, იმიტომ, რომ თვით ავგ. ბანდაისძემ მხედრული დამწერლობა არ იცოდა. მაგრამ ტერმინი „ხუცური“ გვაგულისხმებინებს, რომ „მხედრული“ ან სხვა რაიმე ამის მსგავსი ხუცურის საწინააღმდეგო ტერმინი უნდა არსებულიყო. რაკი IX—XII სს. ხელნაწერებში ტერმინი ხუცური და მხედრული არა ჩანს, იბადება საკითხი, თუ როდის უნდა იყოს ტერმინი „ხუცური“ გაჩენილი. XIV ს. შუა წლებში იგი არსებობს. დამახასიათებელია, რომ 1161 წ. შემდგომ და ახლო ხანებში დაწერილ ტბეთის სახარების ანდერძში ნახმარია მრგლოვანი დამწერლობის სახელი, იქ ნათქვამია: „საყდარსა ტბეთისასა ისხნეს ძუელნი წიგნნი მრავალნი და ახალნი ყოლა არა, მრგლოვანისა კითხვაჲ საჭირო იყო, და დიდად იჭირვოდეს, და დავაწერინე ესე ოთხთავი სრული“-ო[11]. ტბეთის სახარება ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი და რაკი პავლე მტბევარი აქ დამწერლობათა შედარებით სიძნელეზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ ასომთავრული მრგლოვანით დანაწერი ძნელი წასაკითხი იყო და ნუსხახუცურით დაწერილი კი ეადვილებოდათ, მოსალოდნელი იყო, რომ ამ ადვილი წასაკითხავი დამწერლობის სახელიც მოყვანილი იქნებოდა, მაგრამ არ არის. როგორც ასომთავრულს აქ მოყვანილობისდა მიხედვით მრგვლოვანი ჰქვია და არა ხუცური, ისევე, უეჭველია, ნუსხა-ხუცურსაც თავისი ნიშანდობლივი სახელი ექნებოდა, მაგრამ, ალბათ, ამ დამწერლობის მოყვანილობის და-

[10] თ. ჟორდანია, Опис., II, 94.

[11] ე. თაყაიშვილი, МАК, вып, XII, 156.

მახასიათებელივე. მაინც შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, რომ არც ამ 1161 წ. ახლო ხანის ანდერძშიც „ხუცური"-ს ხსენება არ არის. ამ მონოგრაფიის IV თავში, ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების განხილვის დროს დავრწმუნდებით, რომ ტერმინი „მხედრული"-ს გაჩენისათვის ამ ხანაში ჯერ ობიექტური პირობები არ არსებობდა. ხოლო რაკი „ხუცურისა" და „მხედრულის" ამგვარი დაპირისპირებისათვის მაშინ ნიადაგი არ იყო, არც შეიძლება რომ ამნაირი ტერმინები ყოფილიყო. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი ხუცური და მხედრული იმ დროს უნდა გაჩენილიყო, როდესაც ერისკაცებსა და მდივან-მწიგნობრებს თუ არ განსწავლულთ ნუსხა-ხუცურად წერა აღარ შეეძლოთ და მხოლოდ სასულიერო პირთა დამწერლობად იქცა, როცა მხედრულიც თავის წარმომშობელ პირველ წყაროს ისე დაშორდა და სრულებით განსაკუთრებულ დამწერლობად ჩამოყალიბდა, რომ ნუსხა ხუცურს დაუპირდაპირდა და ერისკაცთა დამწერლობად იქცა. როგორც ჩანს, ტერმინები „ხუცური" და „მხედრული" XIII ს. დამლევსა და XIV ს. დამდეგს უნდა იყოს შემოსული.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ქართული დამწერლობის ხუცურად და მხედრულად დაყოფა მერმინდელია და უძველეს ხანისათვის და XIII ს. დასასრულამდე ქართული დამწერლობისათვის არც დამახასიათებელია და არც შესაფერისი. მაგრამ რადგან შემდეგ ასეთ დაყოფას უკვე რეალური საფუძველი ეძლევა, ამიტომ ამ ორი ტერმინის შენარჩუნება შეიძლება და სასურველიც არის.

აღსანიშნავია, რომ „ხუცურის" მაგვარი ტერმინი მარტო ქართველებს არა აქვთ, არამედ გერმანელებსაც. ქართული „ხუცურისა" და „მხედრულის" დამწერლობის მსგავსად, დასავლეთ ევროპაშიც XIII ს-ში ლათინურის დამწერლობიდან შემუშავდა ე. წ. „გუთური" დამწერლობა (gotische Schrift), რომელსაც „მონოზონურიც" (Mönchschrift) ეწოდებოდა[12], და რომელსაც გუთებთან არაფერი აქვს საერთო, და არც მონაზონთა საკუთრებას წარმოადგენდა, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში იყო გავრცელებული, და ასეთი სახელიც (მონაზვნური) იმიტომ ეწოდა, რომ გადამწერლობა საშუალო საუკუნეებში უმთავრესად მონაზონთა ხელობას შეადგენდა.

არჩილ მეფისა და ანტონ კათალიკოსის მიერ დასახელებული ტერმინების გამორკვევის დროს ჩვენ ჯერ ასომთავრულ დამწერლობათა აღმნიშვნელ სახელებს განვიხილავთ, შემდეგ ნუსხა-ხუცურ დამწერლობათა ტერმინებზე გვექნება საუბარი. სულ ბოლოს ხელოვნებითი დამწერლობას სახელებს შევეხებით. ზემოდასახელებულ ავტორთაგან აღნიშნულ ცნობებსა და ტერმინებს გარდა დასახელებული იქნება სხვა ჯერეთ აღუნიშნავ დამწერლობათა თავისებურებანი და მათთვის გამოსადეგი ტერმინებიც.

§ 4. ასომთავრული დამწერლობანი

ქართული ძველი წყაროების ცნობებით არ ამოიწურება მთელი ის მრავალფეროვნება, რომელიც დამწერლობის მხრივ ძველმა საქართველომ თავის მრავალსაუკუნოვანი არსებობის დროს შექმნა, ამიტომ წყაროებში დაცული

---

[12] Prof. Dr. O. Weise, Schrift und Buchwesen in alter und neuer Zeit. Aus Natur und Geisteswelt, 1903, გვ. 6—7.

ტერმინების მნიშვნელობის გაგებასა და გამოყენებასთან ერთად უნდა ისეთ დამწერლობასაც შევეხოთ, რომელთა ხსენება და სახელი წერილობით ძეგლებში ჯერ არ ჩანს.

ანტონ კათალიკოსი ამბობს: „პირველსა ზედწოდებული საზენაო ამად რომელ წყებასა შინა უპირველესთა წერილთასა თავად დაიდების"-ო (გრამ., 284—285, § 3). ეს საზენაო ასო „სხუად და სხუად ყვავილოვნად და რაულადმე შესახედავად დაინაკუთების"-ო (იქვე). მაშასადამე, „საზენაო"-დ ის ასოები იწოდებოდა, რომელნიც ამა თუ იმ თხზულების თავში, პირველი სტრიქონის პირველი სიტყვის დასაწყის ასოდ იყო ხოლმე და, ჩვეულებრივ, რომელიმე ყვავილის ან სხვა რაიმე მხატვრული ნაკვთის სახე ჰქონდა ხოლმე. ანტონ კათალიკოსის ზემომოყვანილი განმარტებიდან ჩანს, რომ მთავარი, ანუ საზენაო ასოების ყვავილოვან ან ცხოველთა სახეებით მოხაზვასა და გამოყვანას „დანაკვეთა" რქმევია.

„ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი", როგორც თვით სახელიც ცხადყოფს, მთავარი, ანუ დიდი ასოების სახელი უნდა ყოფილიყო. ანტონ კათალიკოსის განმარტებით, „ზედწოდებული ასომთავრული ამად, რომელ წყებასა შინა სიტყვსა და პერიოდისასა თავად დაიდების და ანუ წყებასა სახელთასა"-ო (გრამ., 285). მაგრამ ეს განმარტება არც სრულია და არსებითად არც სწორი, რადგან აქ ანტონ კათალიკოსს ასომთავრული ისე ესმის, როგორც მის დროს იხმარებოდა; ამ ხანაში კი და, როგორც დავრწმუნდებით, გაცილებით უფრო ადრეც ასომთავრულს თავისი პირვანდელი დანიშნულება უკვე დაკარგული ჰქონდა. ნამდვილად ძველ დროს ტერმინი „ასომთავრული" თვით დამწერლობის ისეთი გვარობისათვის იხმარებოდა, როდესაც ნაწერი მთლად დიდი ასოებით იწერებოდა ხოლმე და ამავე მნიშვნელობითვე უნდა ვიხმაროთ ეს ტერმინი ახლაც.

ხოლო თვით ცალკე დიდ ასოებს, რომელნიც თხზულების, თავის, პერიოდის ან ამა თუ იმ სახელის დასაწყისში მოზრდილი ტანისა იწერებოდნენ, „მთავარნი ასონი" ერქვა. ნიკოლოზ ტფილელს აღნიშნული აქვს, რომ ხუცური „მთავარნი ...ასონი ძველადვე ქართველთა ეწესა"-ო (1728 წ. Опис., II, 411). ამგვარად, „მთავარი ასო" ფრანგულს lettre capitale, გერმანულს grosser Buchstabe, რუსულ заглавная буква-ს უდრის. როგორც ბერძნულ-ლათინური ანბანისა, ისევე ქართული ანბანის ისტორია მოწმობს, რომ ძველად ყველაფერი მთავარი ასოებით იწერებოდა, მხოლოდ ასომთავრული დამწერლობა არსებობდა, და მარტო შემდეგში პატარა ასოებიც შემუშავდა და განსაკუთრებული დამწერლობა დაწესდა.

პატარა ასოების შემუშავებისა და შემოღების შემდგომ, როდესაც მთელ ტექსტს უკვე მხოლოდდა პატარა ტანისა და ასომთავრულისაგან განსხვავებული მოყვანილობის ასოებით წერდნენ ხოლმე და ასომთავრული დამწერლობა მოისპო, მთავარი ასოების ხმარება მაინც არ ამოკვეთილა და მათ სწორედ ის მნიშვნელობა მიენიჭა, რაც ანტონ კათალიკოსსა აქვს აღნიშნული: თხზულების თავისა და პერიოდების, ზოგან საკუთარი სახელების დასაწყის ასოებად იხმარებოდნენ ხოლმე. სწორედ ამიტომვე არის, რომ არჩილ მეფესაც ნათქვამი აქვს: „ასომთავრულს სმენ თავადა"-ო (თავი, საქართველოს ზნენი).

როდესაც მხედრული დამწერლობა შემუშავდა და ჩამოყალიბდა, მთავარი ასოები თუ დასჭირდებოდათ ხოლმე, ისევ ხუცურსა ხმარობდნენ, რადგან

მხედრული მთავარი ასოები არ არსებობდნენ. ეს ხელნაწერების ნიმუშებითაც მტკიცდება და ნიკოლოზ ტფილელის 1728 წ. დაწერილი ანდერძითაც. მასაც ნათქვამი აქვს: „მხედრული ასომთავრული ძველითგან არ ყოფილ არს, აწ მე გავაკეთე“ და „ჩემი მოგონილიაო“-[13]. ამ ცნობაში ჯერ კიდევ გამოსარკვევია, ნიკოლოზ ტფილელი დაქსელილი მხედრული ასოების გამოგონებას გულისხმობს თუ საზოგადოდ „მ ხ ე დ რ უ ლ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი“ თავის მოგონილად მიაჩნია.

ქართული ასომთავრული დამწერლობის ერთ-ერთ სახეობად არჩილ მეფეს „გრგლოვანი“-ც აქვს მოხსენებული, რომელიც „მგრგლოვანი“-ს სახითაც გვხვდება. ეს ცნობა ძველი მოწმობითაც მტკიცდება. XII ს. ტბეთის სახარების ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „საყდარსა ტბეთისასა ისხნეს ძუელნი წიგნნი მრავალნი“, რომელნიც „მრგულოვანისა“ ანბანით ყოფილან ნაწერი[14]. ონოფრე მაჭუტაძესაც დავით გარეჯის უდაბნოს 1712 წ. გუჯარში ნათქვამი აქვს: „არის წიგნები... სახარება მგრგლოვანი ორი“-ო[15]. მრგვლოვანს ანტონ კათალიკოსიც იხსენიებს, მაგრამ განუმარტველად, — „სხუასა ზედწოდებულ მგრგლოვანი“-ო (გრამ., 285). მხოლოდ საბა ორბელიანსა აქვს განმარტებული, რომ „მგრგლოვანი ლათინთ წიგნთ მსგავსად ასომთავრული ნაწერი“ არის (ლექსიკონი). სახელოვანი ქართველი მეცნიერის განმარტება სამართლიანი უნდა იყოს, მაგრამ სრული არ არის და ნიშანდობლივი თვისებაც მას აღნიშნული არა აქვს. საბას მრგვლოვანი ისეთ ასომთავრულ დამწერლობად მიაჩნია, რომელსაც ლათინური, ანუ რომის ეკლესია სამღვდელმსახურო წიგნებში ხმარობდა. როგორც ქართული ტერმინის „მგრგლოვანი“-ს მნიშვნელობიდან ჩანს, ამ დამწერლობის დამახასიათებელი თვისება მის ასოთა მრგვალი მოყვანილობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რაკი ძველად V—XII სს-ში მრგვალი მოყვანილობის ასოები მომეტებულად ასომთავრულში გვხვდება, პატარა ტანის ოთხხაზოვანი სისტემის ნუსხა-ხუცურ დამწერლობას კი კუთხოვანი მოყვანილობის ასოები ჰქონდა, ამიტომ ძველი საქართველოსათვის „მრგვლოვანი“ დროთა განმაელობაში ასომთავრულის სინონიმად იქცა. ამას ტბეთის სახარების ზემოაღნიშნული ანდერძიც ამტკიცებს. როგორც უკვე მოყვანილი იყო, ტბეთის საყდარში „ისხნეს ძუელნი წიგნნი მრავალნი და ახალნი ყოლა არა. მრგლოვანისა კითხვაჲ საჭირო იყო და დიდად იჭირვოდეს და დავაწერიე ესე ოთხთავი“-ო (MAK XII, 156). ეს ახალი ოთხთავი პატარა ტანის, ანუ ნუსხახუცური ასოებით არის ნაწერი. სახარების ძველი ხელნაწერები, მრგლოვანით დანაწერი, ტბეთში ბევრი ყოფილა, პატარა ტანის ნუსხა-ხუცური ანბანით დაწერილი „ახალი“ ხელნაწერები კი სრულებით არა ჰქონია საყდარს. რაკი „მრგლოვანისა კითხვაჲ საჭირო იყო“-ო, მღვდლებს მისი წაკითხვა უძნელდებოდათ, ამიტომ „დიდად იჭირვოდეს“-ო და საქმის გასაადვილებლად პატარა ხუცური ასოებით დავაწერინე ოთხთავიო.

ეს ანდერძი ამტკიცებს რომ უკვე XII ს-ში, 1161 წ. ა. ხ. მრგვლოვან ასომთავრულს ჩვეულებრივი ქართველი მკითხველი, თვით სამღვდელოებაშიაც კი, იმდენად გადაჩვეული ყოფილა, რომ წაკითხვა უძნელდებოდა.

---

[13] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Опис., II, 410.
[14] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, MAK, XII, 156.
[15] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტ. ისტ. საბ., 57.

თუ მეთორმეტე საუკუნეში ასომთავრული მრგვლოვანი დამწერლობის წაკითხვას გადაჩვეულნი ყოფილან და კითხვა უძნელდებოდათ, შემდეგში უკვე მათი წერაც კი თითქმის დავიწყებიათ საქართველოში. ნიკოლოზ ტფილელს 1728 წ., სხვათა შორის, აღნიშნული აქვს, რომ თუმცა ხუცური „მთავარნი ესე ასოთანი ძველად ქართველთა ეწესა", მაგრამ მის დროს უკვე „არღარავინ იყო სწავლულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან საბა ორბელისძისაგან კიდე, მასცა მამისაგან ჩემისა ესწავა და მან მე მასწავლა"-ო. თავის მხრივ ნიკოლოზ ტფილელსაც ეს ცოდნა გაუვრცელებია და „რომელთა ინებეს ჴელთაგან ჩემთა ისწავეს"-ო[16]. საფიქრებელია, რომ ცნობა ხუცური მთავრული ასოების წერის დავიწყების შესახებ უფრო გადაბმულ ასოებს ეხება, მაგრამ, უეჭველია, ნაწილობრივ მაინც იგი გადაუბმელის, მრგვლოვანი დამწერლობის უცოდინარობასაც ცხადყოფს. შემდეგშიაც თითო-ოროლას რომ მრგვლოვანი დამწერლობა მაინც უნდა სცოდნოდათ, ამას იესე ოსეშვილის ნათქვამიც ამტკიცებს. თავის თავგადასავალში მას აღნიშნული აქვს: „ვიცოდი ხუცური, მჴედრული და მგრლოვანი წერა"-ო (გვ. 5).

მაგრამ ყველა ძეგლი ყოველთვის მრგვლოვანი დამწერლობით არ იყო ნაწერი ან გამოყვანილი. არა ერთი ძეგლია, უმთავრესად წარწერეზი, რომელთა დამწერლობის ასოები მრგვლად კი არა, პირიქით, კუთხოვანადაა ჩამონაკვთილი. მაგალითად, შეიძლება ცნობილი ეტრატ-ჰილის ზატიკი იქნეს დასახელებული ძველ ხელნაწერთაგან, ხოლო წარწერათაგან ლორეს ვაკის შაჰნაზარა სოფლის წარწერა და ს. ხოვლის დასავლეთით მდებარე ნასოფლარის თევდორე წმიდის ეკლესიის წარწერები, აგრეთვე ქ. ანისის საჰმადინის კედლის წარწერა და სხვები. ამ ასოთა მოხაზულობის კუთხოვანობის მხრით მეტად საყურადღებოა ზემოდასახელებული წარწერები, რადგან იქ ეს კუთხოვანი მოყვანილობა უკიდურესობამდეა განვითარებული, ისე რომ თვით ისეთი მრგვალი ასოებიც კი, როგორიც დ, ო, თ და ფ-ია, კუთხოვნად იწერება. უეჭველია. ასეთ დამწერლობასაც თავისი აღმნიშვნელი სახელი ექნებოდა, მაგრამ ჯერ არსადა ჩანს. ამის გამო, სანამ ძეგლებში მისი ნიშანდობლივი ტერმინი მოიძებნება, შეიძლება მრგვლოვანის მსგავსად „კ უ თ ხ ო ვ ა ნ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა" ვუწოდოთ.

კუთხოვანი მოყვანილობის დამწერლობა ბერძნებსა და რომაელებსაც ჰქონდათ. ამ ასოებს კიდევ „Litterae capitales", ანუ „quadratae", ე. ი. მთავარი, დიდი ასოები, ანუ ოთხკუთხოვანი ასოები ეწოდებოდა. ფრანგეზი ამას l'écriture capitale, l'écriture carrée, ხოლო გერმანელები die Kapitalschrift, Quadratschrift-ს ეძახიან. ქართულად ამგვარი დამწერლობის აღსანიშნავად და შესატყვის ტერმინად, როგორც დავრწმუნდით, „ასომთავრული" იხმარებოდა. ტერმინი litterae capitales ან quadratae შემოღებული იყო პირველად ლათინურ პალეოგრაფიაში, შემდეგ სხვა ერთა დამწერლობათმცოდნეობაშიაც შეითვისეს, მაგ., ბერძნულში და ლათინურისაგან წარმოშობილ დამწერლობათათვის. მაგრამ ვატენბახის[17] აზრით, ბერძნულისათვის ეს ტერმინი ვითომც გამოსადეგი არ უნდა იყოს, რადგან ბერძნულ დამწერლობაში ამგვარი მკაფიო განსხვავება ასოთა მოყვანილობის მხრით არ არსებობდა. ვატენბახის წინადა-

---

[16] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Опис., II, 411.

[17] W a t t e n b a c h, Anleitung z. gr. Pal., გვ. 5—6.

დების თანახმად, ეს ტერმინი ბერძნულ დამწერლობათმცოდნეობაში ამოკვეთილ იქნა და აღარ იხმარება. გარდტჰაუზენი ამას არ ეთანხმება და ამბობს, რომ ბერძნულშიაც ამგვარი მოვლენა, რასაკვირველია, იყო და, თუ ამოსაკვეთია, უფრო უნციალია ზედმეტი ბერძნული პალეოგრაფიისათვის, ვიდრე პირველი ტერმინი, მაგრამ ვატენბახის აზრი ისე მტკიცედ ჩომაგრდა, რომ ახლა უკვე ცვლილების შეტანის ცდა უიმედო იქნებოდა (G. P. II², 88).

სამეცნიერო ტერმინოლოგიის ერთგვარობისათვის, თუ თვით მოვლენათა ერთგვარობა მართლაც არსებობს, რამდენადაც არ უნდა იყოს განმტკიცებული რომელიმე პატივცემული მეცნიერის აზრი, უკეთესია ამგვარი ტერმინი, როგორიცაა litterae quadratae ანუ capitales, შემოღებულ იყოს. რადგან ასოთა კუთხოვანი თუ მრგვალი მოხაზულობა მათი ტანის სიდიდე-სიპატარავესთან არ არის აუცილებლად დაკავშირებული, ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ Litterae capitales და Litterae quadratae პალეოგრაფიაში ერთიმეორის მაგიერ და მნიშვნელობით კი არ იხმარებოდეს, არამედ თითოეული თავ-თავისი, განსაკუთრებული მნიშვნელობით: პირველი Litterae capitales, l'écriture capitale, die Kapitalschrift ასომთავრული, დიდი ტანის ასოების, დამწერლობისათვის ვიხმაროთ, ხოლო litterae quadratae კუთხოვანი დამწერლობისათვის. ბერძნებსაც ძველ დროს ჰქონდათ ამ დიდი ასოებით ნაწერის აღმნიშნელი ტერმინი „γράψας εἰς λεύκωμα μεγάλοις γράμμασιν[18], τὰ μεγάλα γράμματα".

აღსანიშნავია, რომ ყველა ერის დამწერლობის უძველეს საფეხურად კუთხოვანი დამწერლობა იყო, ასომთავრული კი ყველას არ მოეპოვება. რადგან დრომ და სათანადო ხელშემწყობმა პირობებმა ბერძნული და ლათინური ასოების კუთხოვანი მოყვანილობაც მოამრგვალა და თანაც ასოთა სიდიდეც თავისდათავად შემცირდა, ამგვარად მომცრო მომრგვალებული მოყვანილობის დამწერლობა შემუშავდა, რომელსაც აღსანიშნავად თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. ლათინურად ამ დამწერლობას ზომისდა მიხედვით ერქვა „Litterae unciales". აქედანვეა ნაწარმოები ტერმინები დასავლეთ ევროპის დანარჩენ ენებშიც, მაგ. გერმ. die Unziale, die Unzialschrift, ფრანგ. l'onciale, l'écrture onciale ეწოდება. Uncialis ლათინურად ცერისოდენას ნიშნავს. ბერძნები ამ დამწერლობის აღსანიშნავად ხმარობენ στρογγυλόσχημος ან στρογγύλος χαρακτήρ[19], რაც გაქართულებულ მრგვალსახიანს, მომრგვალებულ ასოს ნიშნავს. ამრიგად, Litterae unciales-ს და აქედან წარმომდგარ ფრანგულსა და გერმანულ ტერმინს ქართულად „მრგვლოვანი" უდრის. მხოლოდ რაკი uncialis ცერისოდენას ნიშნავს და, ამგვარად, ასოთა მოყვანილობისა კი არა, არამედ მათი სიდიდის დამახასიათებელი ტერმინია, იქნებ უმჯობესი იქნებოდა პალეოგრაფიის საერთო ტერმინოლოგიაში მრგვლოვან--დამწერლობის აღსანიშნავად scriptura rotunda-ც ყოფილიყო ტერმინად შემოღებული?

აღსანიშნავია, რომ იმგვარადვე, როგორც საქართველოში, ბერძნული ასომთავრულ-მრგვლოვანი ხელნაწერები ბიზანტიაშიც XII ს. პირველი ნახევრის

---

18 გარდტჰაუზენი, G. P., II², 88, შენ. 9.

19 იქვე, 88.

დამლევამდის იწერებოდა, შემდეგში კი ეს დამწერლობა უკვე აღარ იხმარება[20]. ამ დროიდან მოყოლებული ასომთავრული მხოლოდ თხზულებათა თუ თავების სათაურებისათვისღა სჭირდებოდათ ხოლმე. მაგრამ საამისოდ საგანგებო დამწერლობა შემუშავდა, რომელსაც გერმანულად „Überschriftsmaiuskeln. Überschriftsunciale-ს უწოდებენ, ქართულად ამგვარ დამწერლობას „საზენაო“ ერქვა. ამისთვის მეტად დიდი და ვიწრო ტანისა და გარდიგარდმო გაზიდული პატარა ხაზებით შემკულ ასოებსა ხმარობდნენ, რომელთა სწორი ხაზების კიდურები თანდათანობით გაგანიერებული იყო წაწვეტილობის მაგიერ და ბრტყლად თავდებოდა, როგორც, მაგ., I, T და სხვა. გარეგნულად მათ შნო აკლდათ და ასოთა ხშირი გადაბმა და ქარაგმიანი წერა, ზოგი ასოების პატარა ტანისა და ერთიმეორეზე დასმა ამ დამწერლობას თავისებურ ხასიათს ანიჭებდა და კითხვას აძნელებდა[21]. ამ დამწერლობით მარტო ხელნაწერთა სათაურებს კი არ ამკობდნენ, არამედ წარწერებსაც კი აკეთებდნენ ხოლმე. ამ დამწერლობის მსგავსი მოყვანილობის ასოები კლასიკურსა და თვით წარმართობის ხანაშიც კი მოიპოვება[22].

დიდი ტანის ასომთავრულ-მრგვლოვანის გარდა, ბიზანტიაში პატარა ტანის ასომთავრულ-მრგვლოვანიც იხმარებოდა. განსაკუთრებით, როდესაც ტექსტი რაიმე გარჩევით უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, და სქოლიოებში, ეს დამწერლობა ლათინურ ნახევარმრგვლოვანს, ანუ სემიუნციალს მიაგავს ტანის სიმცირით, მაგრამ ბერძნულში შედარებით იშვიათად იხმარებოდა[23].

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, XII ს. შუა წლებში საქართველოში მრგვლოვან ასომთავრულ დამწერლობას თვით სამღვდელოებაც კი ისე კარგად ვეღარ კითხულობდა, როგორც ნუსხა-ხუცურს, რომელსაც უკვე მიჩვეული ყოფილან. ამის კვალი გაცილებით უფრო ადრეცა ჩანს. უკვე XI ს. წარწერების ასომთავრული დამწერლობა ხშირად ნამდვილი ასომთავრული აღარ არის და წარწერებში მთავრული ასოების გვერდით პატარა ტანის ასოებიც გვხვდება ხოლმე და თანაც ორხაზოვანი სისტემის ასოს მოხაზულობის მაგიერ ოთხხაზოვანი სისტემის მოხაზულობა გვაქვს ხოლმე. აქ ნუსხა-ხუცური დამწერლობის გავლენა ცხადად ემჩნევა და ეტყობა დამწერელსა თუ ამომჭრელს ასომთავრული უკვე იმდენად არ ეხერხებოდა, რომ მისი ხელი წერის დროს ასომთავრულის მაგიერ უნებლიეთ ნუსხა-ხუცურ ასოებს წერდა. ამგვარი წარწერების ნიმუშად შეიძლება ყალაბოინას 983 წ. წარწერა (სურათი იხ. ე. თაყაიშვილი, Арх. Экс., III, 4—5), ატენის სიონის სამხრეთის გარეთი კედლის წარწერა და მეტადრე ს. საროს დიმიტრი I-ის დროის წარწერა, რომლის სურათი მოყვანილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. МАК XII, 20), და სხვაც ბევრი დავასახელოთ.

უეჭველია, აქ საქმე შერეულ ასომთავრულ-ნუსხურ დამწერლობასთან გვაქვს და ე. წ. „Scriptura mixta“ არის.

---

[20] გარდტჰაუზენი, ბერძ. პალ., II², 157.
[21] იქვე.
[22] იქვე, 158.
[23] იქვე, 158—159.

§ 5. ნუსხური დამწერლობანი

ნუსხა-ხუცურ დამწერლობას ორი ზოგადი დამახასიათებელი თვისება აქვს. ასომთავრულთან შედარებით ის ოდნავ მარჯვნივ გადახრილი დამწერლობაა. ეს მარჯვნივ გადახრილობა ყველა ასოს ემჩნევა მთლიანადაც და მეტადრე ასოთა ზედა და ქვედა ტანს და უფრო ძლიერად ბ, გ, ვ, მ, ნ, ტ, ც, ხ, და კ ასოებს. ეს ამ დამწერლობის პირველი დამახასიათებელი თავისებურება არის. ამ დამწერლობის მეორე დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა ჩაითვალოს, ასომთავრულ მრგვლოვანთან შედარებით IX—XI სს-ისა და, ჩვეულებრივ, მერმინდელი ნუსხა-ხუცურიც უკიდურესად კუთხოვანი დამწერლობაა. მხოლოდ თითო-ოროლა ასოსა აქვს მრგვალი მოყვანილობა. როგორც ქვევით აღნიშნული იქნება, ასოთა კუთხოვანობა ნუსხა-ხუცური დამწერლობის სამარადისო უცვლელ თვისებას არ შეადგენს, არამედ სხვა მოყვანილობის ნუსხა-ხუცურიც არსებობს. ამიტომ თანამედროვე ქართულ პალეოგრაფიაში უნდა ტერმინად შემოვიღოთ „ნუსხა-ხუცური კუთხოვანი დამწერლობა".

კუთხოვანი ნუსხა-ხუცური დამწერლობის გარდა, XI ს. ხელნაწერებში და საბუთებში მრგვალი მოხაზულობის ნუსხა-ხუცურიც გვხვდება. ამ დამწერლობის დამახასიათებელ თვისებას, ჯერ ერთი, თითქოს ყველა ასოს კუთხოვანი მოხაზულობის საგრძნობი მომრგვალება შეადგენს და მერმე ასოთა გადაბმისადმი ცხადი მიდრეკილება. ამ დამწერლობაში, მაგ.: დ და ა, დ და ი, დ და ს, ზ და ა, თ და ა, თ და ე, ი და გ, ი და ლ, მ და ე, მ და ღ, ნ და ა, ნ და ი, რ და ა, ს და ა, ს და ი, უ და ა, ფ, უ და ლ, ძ და ი, წ, ი და გ და სხვა ასოებიც ერთიერთმანეთზე გადაბმულები არიან და, ამნაირად, გადაბმული დამწერლობისადმი ცხადი მიდრეკილება ემჩნევა.

ამ დამწერლობით არის დაწერილი წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავის ეტრატის № 353 ხელნაწერი XI ს. და სხვაც ბევრი. მისი გარეგანი მოხაზულობის ნახვა შეიძლება პროფ. ალ. ცაგარლის СПГП I წიგნთან დართული პალეოგრაფიული ტაბულის № VII-ში, ხოლო ფოტოგრაფიულად გადაღებული და ცინკოგრაფიულად დაბეჭდილი ნიმუშები მოიპოვება პროფ. ნ. მარის წერილში Агиограф. материалы по грузин. рукописям Ивера (იხ. ЗВОРАОб, ტ. XIII, ნაწ. II და III, გვ. 81, ტაბულა № 8 და გვ. 82, ტაბ. № 9).

რა ეწოდებოდა ამ დამწერლობას მაშინ, ჯერ არა ჩანს, ახლა კი შეიძლება „ნუსხა-ხუცური მრგვლოვანი" ვუწოდოთ.

XI—XII სს. სიგლებში დაცული დამწერლობა იგივე ნუსხა-ხუცურია, რომელიც ჩვეულებრივი, ხელნაწერებში მიღებული, მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური დამწერლობისაგან მაინც განსხვავდება და ამიტომ ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი. მართალია, ბევრი თავისი თვისებები ამ დამწერლობას ნუსხა-ხუცურისაგან აქვს დამკვიდრებული, მაგრამ ზოგიერთ ასოს მოხაზულობა თვალსაჩინოდ განსხვავდება. აღსანიშნავია ამ მხრივ, რომ სიგლებში ბ-ანისა და გ-ანის ქვედა კიდური, ჩვეულებრივ მარცხნივ მოხრილი, მეორე შუახაზამდეა მიყვანილი, სადაც წრედ იკვრება ბ. გ. შემდეგ განსაკუთრებით საყუ-

რადღებოა „ხ“ ასოს მოხაზულობა, რომელიც ნუსხა-ხუცურში შუა და ქვედა ტანის მქონებელია და ორ შუა ხაზსა და ქვედა, მეოთხე ხაზს შორისაა მოთავსებული, სიგლებში კი მთლიანად ზევით არის აწეული ისე, რომ მისი ქვედა კიდური შუა ხაზებს ოდნავ სცილდება, და სამაგიეროდ მარცხენა ხაზი, ბუნი აწეულია ოთხხაზოვანი ბადის პირველ ხაზამდის. ამასთანავე გამარტივებულია ა, დ და ზოგიერთი სხვა ასოების მოხაზულობა: ა-ნს, მაგ., ზევით კბილები არა აქვს და მარჯვენა ქვეითი კბილიც არ იწერება, ხოლო დ-ონის თავზე მყოფი სარქელის ხაზი მარჯვნით წარზიდული არ არის, არამედ ასწვრივ ხაზთან მომრგვალებით არის შეერთებული. ამ დამწერლობის საერთო დამახასიათებელ თვისებას, ერთი მხრით, ასოთა უაღრესი მომრგვალება, მეორე მხრით, ასოთა მოხაზულობის გამარტივება და გადაბმა შეადგენს: იგი ნუსხა-ხუცური მრგვლოვანი გაკრული დამწერლობაა და, სანამ მისი იმდროინდელი სახელი გამოჩნდებოდეს, შეიძლება „ნ უ ს ხ ა-ხ უ ც უ რ ი მ დ ი ვ ა ნ-მ წ ი გ ნ ო ბ რ უ ლ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა“ ვუწოდოთ.

განსაკუთრებული ნუსხა-ხუცური დამწერლობის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა „ყ უ ა ვ ი ს ფ რ ჩ ხ ი ლ ო ვ ა ნ ი“. არჩილ მეფეს ამ ტერმინის მნიშვნელობა განმარტებული არა აქვს. მხოლოდ ანტონ კათალიკოსი ამბობს, რომ „ყუავისფრჩხილოვანი, რომელიცა ანუ ფურცლისა დასასრულსა ტაეპსა შინა იხმევიან და ანუ ყოველთა ფურცელთა შინა ყოვლადისა წიგნისათა“ (გრამ., 285). ვისაც ძველი ქართული ხუცურად დაწერილი წიგნები უნახავს, მისთვის ზემომოყვანილი განმარტება საკმაოდ ნიშანდობლივია რომ მიხვდეს, თუ რომელი დამწერლობის სახელი უნდა ყოფილიყო ტერმინი ყუავისფრჩხილოვანი. ზოგს ხუცურად ნაწერს ხელნაწერებში მართლაც გვხვდება ხოლმე, რომ უკანასკნელი სტრიქონის ასოთა ქვედა ნაწილი ძალზე გაგრძელებულია და ბოლოში ფრინველის კლანჭ-ფრჩხილის მსგავსად მოკაუჭებულია. ისეთი ხელნაწერებიც მოიპოვება, სადაც მართლაც, როგორც ანტონ კათალიკოსი ამბობს, მთელი წიგნის ყველა ფურცლის უკანასკნელი სტრიქონები ამნაირი მოყვანილობის ასოებით არის ხოლმე დაწერილი. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყვავისფრჩხილოვანი დამწერლობით გადაწერილი წიგნები მეტად იშვიათია, რადგან, უეჭველია, ამნაირად წერა მხოლოდ განსაკუთრებული, მხატვრული მიზნით დაწერილ ძველ წიგნებში შეეძლოთ, უდიდესი ნაწილი მათგანი კი დროთა განმავლობაში დაიღუპა. ყუავისფრჩხილოვანი დამწერლობის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მიქაელ მოდრეკილის ცნობილი საგალობლების წიგნი ჩაითვალოს.

ნ უ ს ხ ა-მ ხ ე დ რ უ ლ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა. როგორც ამ გამოკვლევის IV თავში დავრწმუნდებით, ნუსხა-ხუცური მდივან-მწიგნობრული დამწერლობის წარმონაშობია, მისი ჩამონაკვეთა თანდათან ვითარდებოდა და XIV ს. დამდეგიდან იგი თავის წარმომშობელს უკვე იმდენად დაშორდა, რომ შეიძლება განსაკუთრებულ დამწერლობად ჩაითვალოს იმისდა მიუხედავად, რომ მისი მოხაზულობის ჩამონაკვთის პროცესი ამ დროსაც ჯერ დამთავრებული არ იყო და შემდეგშიაც გრძელდებოდა. ამ ნუსხა-მხედრული დამწერლობის ნიმუშებისა და განვითარების დაკვირვებისათვის საუკეთესო მასალას უმთავრესად სიგელ-გუჯრები გვაძლევენ, რადგან ძველი ხანის დათარიღებული მხედრული ხელნაწერები თითქმის არ არის შენახული.

§ 6. ხელოვნებითი დამწერლობანი

ტერმინი „საზენაოს“ განმარტების დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ საზენაო ასო, ანტონ კათალიკოსის სიტყვით, „სხუად და სხუად ყუავილოვნად“-აც დაინაკვთებოდა. არსებობდა მთელი დამწერლობა ქართულად, რომლის ჩვეულებრივისაგან განსხვავებულებასა და თავისებურებას ყვავილის მსგავსად ჩამონაკვთილი ასოთა კიდურები შეადგენდა. ამგვარი დამწერლობით არის, მაგ., გამოყვანილი რაჭის ერისთავის რატის წარწერა მღვიმევის დედათა მონასტრის იოანე ნათლისმცემლის ვეცხლის ხატზე. რა ეწოდებოდა ძველად ამ დამწერლობას, ჯერ არ ვიცით, ახლა კი შეიძლება „კ ი დ უ რ ყ ვ ა ვ ი ლ ო ვ ა ნ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა ვუწოდოთ.

ზოგ ძეგლებში, მეტადრე წარწერებში, თავისებური დამწერლობაა ნახმარი, რომლის ასოთა ნიშანდობლივ თვისებას კიდურებზე მყოფი წერტილები შეადგენენ: ყოველი ასო იწყება და თავდება წერტილით, წერტილებითვეა შემკული ყოველი კიდური. ამ დამწერლობის საუცხოო ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნეს ლიხაურის ხატის ვარდანიძის მარუშიანისა და მისი თანამეცხედრისა და სამძივართა ასულის ხათუთას წარწერა. არც ამ დამწერლობის მაშინდელი სახელია ცნობილი, მაგრამ თანამედროვე პალეოგრაფიაში შეიძლება „კ ი დ უ რ წ ე რ ტ ი ლ ო ვ ა ნ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა“ ვუწოდოთ. ფრანგებიც ამგვარი დამწერლობის ასოებს ეძახიან les lettres pointues.

აღსანიშნავია კიდევ დამწერლობა, რომელიც უმთავრესად კედლის წარწერებშია ნახმარი და რომლის თავისებურებასაც ასოთა კიდურებზე და ზოგჯერ მოხაზულობის სხვა ალაგასაც გამოყვანილი ტყუბწვეტიანი სამკაული შეადგენს. ამნაირი დამწერლობის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება სამთავისის საყდრის აღმოსავლეთის გარეთა კედელზე ამოჭრილი ილარიონის ძისა ვაჩე ყანჩაელის სულის შეწყალების მვედრებელი წარწერა იქნეს დასახელებული. ამავე დამწერლობის უფრო გადაგვარებული სახეა ლომზე მჯდომი წ˜ა მამას პინაკისა და ქართლისა კათალიკოსის ქ. ანისის წარწერა. არც ამ დამწერლობის სახელია ცნობილი, მაგრამ ახლა შეიძლება „ტ ყ უ ბ წ ვ ე ტ ი ა ნ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა“ ეწოდოს.

ზოგ ძეგლებში, მეტადრე ხელნაწერებში, მთავარ ასოებად ნახმარია დამწერლობა, რომლის კიდურები, უფრო ხშირად ქვედა კიდური, ჩვეულებრივზე მეტად ჩამოგრძელებულია და ამასთანავე თანდათანობით წაწვეტილი არის. არც ამ დამწერლობისათვის ჩანს ჯერჯერობით იმდროინდელი სახელი. ახლა კი თვისებისდაგვარად შეიძლება ან „კიდურწვეტიანი“, ანდა „ბოლოწვეტიანი დამწერლობა“ ეწოდოს.

ამგვარი დამწერლობა ბიზანტიაშიც არსებობდა, და მეტადრე XI—XII სს-ში იყო გავრცელებული. ეს მრგვლოვან-კიდურწვეტიანი დამწერლობა ხასიათდება ასოთა მსხვილი და ბეწვებრივი ხაზების თვალსაჩინო დაპირისპირებითა და წვეტიანი კიდურებით და სამღვდელმსახურო წიგნებში იხმარებოდა. ამიტომაა რომ ბერძნულ პალეოგრაფიაში მიღებული იყო ერთი ტერმინი ὁ ὀξύρυγχος χαρακτήρ—ჰო ოქსჳრჳნქოს ქარაკტერ, რომელიც ფილოპონუსის ლათინურ თარგმანში acuto rostro pingere-დ არის გადმოცემული, რაც ცხვირწვეტიან დაწერილობას უნდა ნიშნავდეს, როდესაც ასოთა კიდურები წვეტიანი

მოყვანილობისა იყო ხოლმე[24]. ვილკენს ეს ტერმინი spitzbogiger Ductus-ად აქვს წარმოდგენილი (Hermes 36, 1901, გვ. 315), თვით გარდტჰაუზენს ჰგონია, რომ ეს სახელი მხოლოდ წვრილწვეტიანი კალმით დანაწერს აღნიშნავდა („mit feinspitzigem Kalamus geschrieben“)[25]. მაგრამ ბიზანტიის ხანაშიც, როგორც ეს ერთი მიხეილ ფსელოსის მიერ დაწერილად მიჩნეული 1049 წ. სასამართლოს განაჩენიდან ჩანს, ამ დამწერლობას სხვაგვარისაგან არჩევდნენ და στρογγυλος χαρακτήρ-ს უპირისპირებდნენ ხოლმე, რომელიც უნციალისა, ანუ მრგვლოვანი ასოების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მას liturgische Unciale და ფრანგულადაც l'onciale liturgique-ს უწოდებენ[26]. აღნიშნულია, რომ ყოფილან οἱ τὸν ὀξύρυγχου ἢ στρογγύλν χαρακτῆρα ἐπιτηδευσάμενοι“ (N. B. ἐ της: Rhein. Mus. NF. 66. 1911. გვ. 636. გარდტჰაუზენის ბერძ. პალ., II, 115). რაკი უკანასკნელი ტერმინის მნიშვნელობა ცხადია და მრგვლოვან დამწერლობას ეწოდებოდა, ამიტომ ცხადი ხდება, რომ პირველი ტერმინიც განსაკუთრებული დაპირისპირებული ტერმინი არც წარმოიშვებოდა. ამიტომ ვგონებ ყოფილიყო და არა წვეტიანი კალმის ხმარების გამო რქმეოდეს მას ამგვარი სახელი, როგორც ამას გარდტჰაუზენი ფიქრობს. თავისთავად ცხადია, რომ კალმის გათლილობის სიმკვეთრეს რომ თვით ასოთა მოხაზულობა-მოყვანილობაზე თვალსაჩინო განმასხვავებელი გავლენა არ მოეხდინა, მაშინ განსაკუთრებული დაპირისპირებული ტერმინი არც წარმოიშვებოდა. ამიტომ ვგონებ ვილკენისა და N. Bἐης-ის აზრი უფრო სამართლიანად უნდა იყოს მიჩნეული და ὁ ὀξύρυγχος χαρακτήρ-ის მნიშვნელობა ქართულად კიდურწვეტიან დამწერლობას უნდა უდრიდეს, რასაც გერმანულად ეწოდებოდა spitzbogige Schrift. უკვე VIII ს-იდან მოყოლებული ბერძნულ დამწერლობას ემჩნევა კიდურწვეტიანი და მარჯვნივ გადახრილი დამწერლობის თანდათანი შემუშავების პროცესი. ჯერ ეს მხოლოდ ზოგიერთ ასოს ეტყობოდა, შემდეგ დანარჩენ ასოთა მოხაზულობა-მოყვანილობაც ამნაირადვე შეიცვალა. IX ს-ში ეს ბერძნული კიდურწვეტიანი დამწერლობა უკვე სრულებით ჩამონაკვთილია და დამთავრებული და ორგვარად იხმარებოდა: ან ასწვრივ მდგომარე, ან მარჯვნივ გადახრილი[27]. გარდტჰაუზენის სიტყვით, ამგვარი ასწვრივი კიდურწვეტიანი ბერძნული დამწერლობისაგან არის წარმომდგარი სლავური დამწერლობაცო (იქვე, 151).

საგულისხმოა, რომ ლათინურ დამწერლობასაც ამგვარი მიდრეკილება დაეტყო და XIII ს-იდან მოყოლებული თანდათანობით შემუშავდა კიდურწვეტიანი და კუთხოვანი დამწერლობა, რომელსაც ჩვეულებრივ გუთური დამწერლობა ეწოდებოდა და ახლაც ჰქვია. გერმანულად მიღებული gotische Schrift-ისა და ფრანგული l'écriture gothique ნამდვილად გუთების დამწერლობას კი არ წარმოადგენს, არამედ საერთო დამწერლობა იყო დასავლეთი ევროპის ყველა ერისათვის და, გერმანიის გარდა, როგორც იტალიასა და ესპანეთში, ისევე საფრანგეთსა და ინგლისშიც იყო გავრცელებული იმ განს-

[24] გარდტჰაუზენი, ბერძ. პალ., II, 114—115.

[25] W. Gardthausen, Die Namen der griechischen Schriftarten, გვ. 5.

[26] გარდტჰაუზენი, ბერძნ. პალ., II², 152—153 და 154—155.

[27] იქვე, 144—149.

ხვავებით მხოლოდ, რომ ინგლისსა და გერმანიაში იგი უფრო კუთხოვანი იყო, ვიდრე იტალია-საფრანგეთში. ამ დამწერლობას არც დასაწყისი და სათავე აქვს გერმანიაში, არამედ გერმანიამ მხოლოდ შემდეგში სხვებზე უფრო ხანგრძლივ და აქამდინაც შეინარჩუნა, სხვაგან კი წინანდელმა, საზოგადო ძველმა ლათინურმა დამწერლობამ კვლავ გაიმარჯვა, გერმანელებისათვის კი გუთური დამწერლობა თითქოს ერთგვარ ეროვნულ დამწერლობად იქცა. თვით სახელწოდება „გუთური" ამ შემთხვევაშიცა და, „გუთური სახუროთმოძღვრებო რიგი" რომ იხმარება, მაშინაც მხოლოდ საშუალო საუკუნეებისას ნიშნავს და სხვას არაფერს. გუთური დამწერლობის განსაკუთრებული ბატონობის ხანად XIII—XV სს. უნდა იყოს მიჩნეული[28].

§ 7. თხზული და დაქსელილი დამწერლობა

მარტივი, ცალ-ცალკე ასოების გარდა რთული, რამდენიმე ერთიერთმანეთზე გადახლართული ასოების წერაც იცოდნენ ხოლმე. მთელი განსაკუთრებული დამწერლობაც კი არსებობდა, რომელიც ასოთა გადაწვნა-გადახლართვაზე იყო დამყარებული. ამგვარ ასოებს „თ ხ ზ უ ლ ი" ეწოდებოდა. ანტონ კათალიკოსსაც მოხსენებული აქვს „ასომთავრული თხზული, რომელიც ითხზვს ანუ საზენაოთა ასოთაგან და ანუ ასომთავრულთაგან" (გრამ., 285). თხზვა ძველ ქართულში დაწვნას ნიშნავდა. ამიტომ თხზული ასონი ერთიმეორეზე გადაწნული ასოები იყვნენ.

ძველ ხელნაწერებში საზენაო და ასომთავრული ასოები ერთიმეორეზე გადაწნულ-დამაგრებული მართლაც გვხვდება განსაკუთრებით თხზულების სათაურებისა, თავებისა და პერიოდების დასაწყისი სიტყვების პირველი ასოებისათვის. მაგრამ თხზული დამწერლობა მთლიან ტექსტშიც იხმარებოდა: მთელი წარწერებიც კი მოგვეპოვება, რომელნიც სწორედ ამ დამწერლობით არის შესრულებული. თხზული დამწერლობა ძალიან გავრცელებული იყო ოქრომჭედის ნაკეთებში, რომლის ნიმუშების ნახვა სამღვდელმსახურო სამოსლებისა და მეტადრე სიწმინდის სამსახურებელის სურათებზე შეიძლება.

ნიკოლოზ ტფილელს თავისს 1728 წ. შედგენილს დედანში და ანდერძში „დ ა ქ ს ე ლ ი ლ ი" ასოების და ანბანის ნიმუშებიცა აქვს მოყვანილი, და თვით „დაქსელვაც" რა წესით წარმოებდა, ისიც განმარტებული აქვს. იქ სადაც თავისი მაგალითები აქვს მოყვანილი, ის ამბობს: მე „ტფილელ მიტროპოლიტმან... ნიკოლოოზ ანბანი ესრეთ დავწერე"-ო და ასოთა „ურთიერთას დაქსელვა და გვარკეთილობა საჩინო მიქმნიეს და უმეტესსა გვარსა ნუ ვინ შესძინებ"-ო[29]. მთავარ ასოთა „გვარი და ერთმანეთში დაქსელვა ესრეთ კამს"-ო. მაგრამ სხვანაირადაც შეიძლებოდა; ვისაც ამ დამწერლობის დამახასიათებელი თვისებები შესწავლილი ჰქონდა, ასეთ „გულისხმიერისაგან სხვა და სხვა რიგად" დაქსელვის უნარიც ექნებაო. ნიკოლოზ ტფილელს ერთი მოწაფე ჰყოლია, რომელსაც ამ საქმეში გულმოდგინეობა გამოუჩენია: „ჩემსა ცხორებასა ვიხილე ჩემ მიერ სწავლულისა მიერ ვითაცა მას ენება, ეგრე გვარიან ყოფდა" და „თუ ვისმე ძალ ედვას სხვა თვით მოიგონოს"-ო (იქვე).

---

[28] B. Bretholz, Lateinische Paläographie, 96—98.

[29] ე. თაყაიშვილი, Опис., II, 411.

ამ დამწერლობისა და ხელობის მთავარ დებულებასაც ის პირობა შეადგენდა, რომ ასოთა „ერთმანეთში დაქსელვა" ისე უნდა მომხდარიყო, რომ მათი „ტანის სისხო სწორედ ჭამს"-ო (იქვე).

ასომთავრული დაქსელილი დამწერლობა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, უკვე ძველ დროსაც სცოდნიათ საქართველოში. ნიკოლოზ ტფილელიც ამტკიცებს კიდეც, რომ „მის ჟამისა მეფენი და შემდგომნი მოწლედ ჰყვარობდენ ამა წერათა"-ო[30]. მხოლოდ XVII ს. დასასრულისათვის ეს დამწერლობა ქართველებს უკვე იმდენად დავიწყებული ჰქონიათ, რომ თითო-ოროლა ადამიანიღა თუ მოიძებნებოდა მისი მცოდნე. ეს ხელოვნება საბა-სულხანისა და მისი ძმის ნიკოლოზ ტფილელის მამის ოჯახში შენახული ყოფილა. მამას ჯერ სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფისათვის შეუსწავლებია ძველებური დაქსელვის წესი, შემდეგ საბა ორბელიანს ეს ცოდნა თავისი ძმისათვის გადაუცია. ნიკოლოზ ტფილელს კი თავისი მოწაფეების საშუალებით ეს დამწერლობა საქართველოში კვლავ აღუდგენია და გაუვრცელებია.

რაკი ნიკოლოზ ტფილელის სიტყვით, მხედრული მთავარი ასოები სრულებით მიღებული არ ყოფილა და მხოლოდ მას მოუგონია, ამიტომ ძველად, რასაკვირველია, არც შეიძლება, რომ მხედრული მთავარი ასოების დაქსელვა ყოფილიყო. ეს დამწერლობაც ნიკოლოზ ტფილელის გამოგონილი ყოფილა XVIII ს. პირველ მეოთხედში[31].

დაქსელილი მთავარი ასოების ნიმუშები როგორც ხუცური, ისევე მხედრულიც თვით ნიკოლოზ ტფილელის ხელით 1728 წ. მოხაზულები შენახულია წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავში № 303[32]. ხუცური დაქსელილი ასოების ნიმუშები ისევე არის მოყვანილი, როგორც თვით ნიკოლოზ ტფილელს თავისი ძმის საბა ორბელიანისგან უსწავლია, რომელსაც მამისაგან შეთვისებული გადმოცემით მიღებული ცოდნა დაუცავს, მხედრული ნიმუშები კი თვით ნიკოლოზის მოგონილი ყოფილა (იქვე, 411).

ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რა განსხვავებაა თხზულსა და დაქსელილს შორის: მართალია, პირველი ამ ტერმინთაგანი დაწვნის ხელობიდან არის ნასესხები, მეორე საფეიქრო ხელობის ტერმინია, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარებოდა თითოეული მათგანი დამწერლობაში.

ასოთა თხზვა-დაქსელვა ბერძნულმა და ლათინურმა დამწერლობამაც იცოდა და ლათინურად ამას nexus literarum-ს ეძახიან.

აღსანიშნავია, რომ სამგვარი თხზული და დაქსელილი დამწერლობა გვხვდება: ერთი გვარია, როდესაც ორი ერთმანეთის გვერდით მდგომი ასო ერთიმეორეზეა გადახლართული და მართლაც გადაწნულის, თხზულის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთ ასოებს რომაულ პალეოგრაფიაში litterae implexae, ანუ ჩაწნული ასოები ჰქვია. მეორე გვარია, როდესაც რომელიმე ასო წინამდგომ ასოს შუაგულში, წიაღშია მოთავსებული. თავისდათავად ცხადია, რომ შუაში ჩასმული ასო ტანით დანარჩენ ასოებზე საგრძნობლად პატარაა. ასეთ ასოებს შეიძლება „შეწიაღებული" ვუწოდოთ. ლათინურ პალეოგრაფიაში ასეთ ასოებს ეწოდება litterae incertae. დასასრულ, ისეც არის ხოლმე, რომ ერთი

[30] იქვე, Опис., II, 411.
[31] იხ. მისი 1728 წ. ანდერძი: ე. თაყაიშვილი, Опис., II, 410 და 411.
[32] იქვე.

ასო მეორე ასოს ზევით არის ხოლმე გადაბმით დაწერილი. ასეთი დამწერლობა მდივან-მწიგნობრულსა და მხედრულში გვხვდება ხშირად. ქართულად ასეთ ასოებს შეიძლება ვუწოდოთ „აგოდლებული ასოები“, ხოლო ზემჯდომ ასოებს — „ა ღ ზ ე ვ ე ბ უ ლ ი   ა ს ო ე ბ ი“, ლათინურად კი ეძახიან litterae columnatae.

მხოლოდ გურგენისა და ვახტანგის სასანიანთ სახეობის ქართულ ფულებზე (VI ს.) გვხვდება ჩვენ ქართული მონოგრამის ნიმუშები, რომლის დამახასიათებელ თავისებურებად „გნ“ და „ვგნ“ ასოების ბუნთა შეერთება უნდა ჩაითვალოს. ამ მონოგრამების სურათი ე. პახომოვის ნაშრომშია მოყვანილი (Монеты Грузии I, 18). რა ეწოდებოდა ძველად ქართულად, ჯერ არა ჩანს, ახლა კი შეიძლება „ბ უ ნ შ ე ზ რ დ ი ლ ი   ა ს ო ე ბ ი“ დავარქვათ. ლათინურად ამნაირი ასოებისათვის ტერმინად იხმარება litterae contignae, ანუ მოსაზღვრე ასოები.

თხზული და შეწიაღებული ასოების გასაცნობად მკითხველს შეუძლია ზარზმის სამრეკლოს 1045 წ. წარწერის პალეოგრაფიულად გადმოღებულ პირს მიმართოს, რომელიც ე. თაყაიშვილს აქვს დაბეჭდილი (იხ. Арх. Экскурсии I, 23—25), — ერისთავთაერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის აბულასანის ხატის წარწერასაც, რომლის სურათი და გარჩევა ე. თაყაიშვილის Арх. Экс. მე-2 წიგნშია მოთავსებული (გვ. 69—71), — აგრეთვე ბიეთის ეკლესიის ქვის კანკელის ნატეხებს, რომელთა ერმაკოვისეული ფოტოგრაფიული სურათი არსებობს. მერმე შეიძლება დასახელებული იყოს არმაზის წარწერა, რომლის ფოტოგრაფიული სურათიც არსებობს და ბაქრაძის შემდგომ ე. თაყაიშვილს პალეოგრაფიული პირიც გამოცემული აქვს (СМОМПК, вып. XXII). მ. ჯანაშვილს ეს წარწერა თამარ მეფის დროისად მიაჩნდა (გაზ. Кавказ, 1892 წ. № 129). ე. თაყაიშვილი კი XVII ს-ად თვლის, რადგან თხზული დამწერლობა XVII ს-ში ძლიერდებაო. ეს აზრი სწორი არ არის და ნიკოლოზ ტფილელის თავის ადგილას მოყვანილ ცნობასაც ეწინააღმდეგება. ზედმიწევნითი დათარიღებისათვის არმაზის წარწერას ჯერ კიდევ შესწავლა სჭირდება, მაგრამ ენის მხრით ეს გაცილებით უფრო ძველის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ე. თაყაიშვილს ეგონა. თხზულდაქსელილი დამწერლობის ნიმუშები და სხვაც ბევრია, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

§ 8. მალემწერლობა

მეფისა თუ ვაზირთა სასწრაფო განკარგულებათა საჩქაროდ აღსაბეჭდად, აგრეთვე სასამართლოს საქმის წარმოებისა და იქ წარმოთქმული სიტყვების ჩასაწერად, ძველ საბერძნეთსა და რომში ქრისტიანობის ხანაში საეკლესიო კრებების ძეგლისწერათა შესადგენად და ბიზანტიის კეისრების ბრძანებათა დაუყოვნებლივ აღსანიშნავად ჩვეულებრივი წერა საკმარისი არ იყო, რადგან მაშინ ჩამწერელი მოსაუბრის მჩქეფარე სიტყვას კვალდაკვალ ვერ მისდევდა და ჩაწერას ვერ ასწრებდა. ბიზანტიელ ისტორიკოსს მიხეილ ფსელოსს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ კონსტანტინე VIII კეისარი ისე სხაპასხუპით ლაპარაკობდა და უკარნახებდა ხოლმე სეფე მწიგნობარს, რომ ჩვეულებ-

რივი ანბანით მისი ნაბრძანებისა თუ ნათქვამის აღბეჭდვა არავის შეეძლო და ამისთვის სეფე მწიგნობრები საგანგებო ნიშნებს ხმარობდნენ ხოლმე[33].

ასეთ საგანგებო ნიშნებს, ადამიანის სწრაფი საუბრის ჩასაწერად რომ იხმარებოდა, ბერძნები σημεῖα „სემეჲა"-ს, ანუ, საშუალო საუკუნეების გამოთქმით, სიმიას ეძახდნენ. Σημεῖον „სემეჲონ", ანუ „სიმიონ" კი ნიშანს ეწოდებოდა. ამგვარი ნიშნებით საუბრის წერის მცოდნეს σημειογράφος „სემეჲოგრაფოს"-ს, ანუ „სიმიოგრაფოს"-ს ეძახდნენ. მიღებული იყო აგრეთვე ამისთვის ὀξυγράφος და ταχυγράφος[34]. სიმიოგრაფოსის შესატყვისობა ძველ ქართულ მწერლობაშიც გვხვდება: „სიმიათამწერალი"-ს სახით მოიპოვება ელასიპე, მელასიპესა და სპევსიპეჲს მარტჳლობის თარგმანში. იქ იხსენიება ერთი დედაბერი „სიმიათამწერალის" სახელწოდებით. ლათინურ ტექსტში ამას უდრის medicinae notis instructa — სამკურნალო ნიშნების მცოდნე (იხ. ნ. მარი, ЗВОРАО, ტ. XIII, $327,5_2$ და 303—304). ასეთი მნიშვნელობა ამ ტერმინს, ალბათ, იმიტომ უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რომ სამკურნალო წთნისა და ოდენობის აღსანიშნავადაც განსაკუთრებულ ნიშნებსა ხმარობდნენ, რომელნიც მოკლედ და სწრაფად გამოხატავდნენ აზრს. მაგრამ, უეჭველია, სიმიათამწერალს ძველ ქართულშიაც მალემწერლის, ანუ სტენოგრაფის აღსანიშნავად ხმარობდნენ. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა, როგორც ეტყობა, საბა ორბელიანსაც სცოდნია. სიმიათამწერლის შესახებ აღნიშნული აქვს: „წარსაგებლის მწერალი, გინა მონასმენის მწერალი"-ო (ლექსიკ.). ამ განმარტების მეორე ნაწილის მნიშვნელობა ცხადია და სიმიათამწერლის შინაარსი მართლაც სწორედ არის განმარტებული. პირველი ნაწილის შესახებ უნდა ითქვას, რომ რადგან წარსაგებელი დანახარჯსა ნიშნავდა, ამიტომ წარსაგებლის მწერალი ანგარიშების მწერალს და მოანგარიშესა გულისხმობს. ეს ტერმინი ამ მნიშვნელობითაც იმიტომ უნდა შემოსულიყო, რომ ანგარიშებისათვისაც ფულის და საზომ-საწყაოს აღსანიშნავად საგანგებო ნიშნები იყო მიღებული. მართლაც, როგორც ს. ყაუხჩიშვილს გამორკვეული აქვს, „სიმია" უკვე შატბერდისეული კრებულის სასწავლო წიგნში შემოკლებული წერის აღმნიშვნელ ტერმინად არის ნახმარი[35].

სიმიათამწერალს გარდა, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ტერმინად „მალემწერალი"-ც გვხვდება. ეს სიტყვა გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართულ თარგმანში გვხვდება[36]. ბერძნული დედნის ταχυγράφος-ისა და ὀξυγράφος-ის შესატყვისობად[37].

რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ცხოველია და ადამიანის სიტყვას და მჭერმეტყველებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს მოთხოვნილება მკვირცხლი, მჩქეფარი ენაწყლიანობის მშვენიერებისა და წარმოთქმული აზრის სიღრმის სამარადისოდ აღსანიშნავად. ხოლო

---

33 Sathas, Bibliotheca graeca medii aevi, IV, Paris, 1874, გვ. 27; იხ. Скабаланович, Визант. государство и церковь в XI в., 174.

34 გარდტჰაუზენი, ბერძნ. პალ., II^2, 272—275.

35 ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი. — ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 184—185.

36 იხ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის (თბ., 1920) გვ. 236, 16 და 237, 5.

37 იხ. de Boor-ის გამოც. Georgii monachi chronicon, II, 454 და 456.

როდესაც სახელმწიფო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ენერგია მოდუნებულია, წარმატება ნელის ნაბიჯით მიდის წინ, ან როცა წარმატების მაგიერ ცხოვრება დაქვეითების გზას ადგია, ადამიანის საუბარსაც სისწრაფე აკლია და მის ჩაწერას ან მნიშვნელობა ეკარგება, ან დახელოვნებული შდივანმწიგნობარიც ადვილად ახერხებს. ამიტომ იყო, რომ ძველ საბერძნეთში ოქსუგრაფიის ან ტაქიგრაფიის სახელით ცნობილი, ხოლო რომში „ტირონის ნიშნები"-ს („Notae Tironis et Senecae") ტერმინით მიღებული მალედამწერლობის ხელოვნება ძალიან იყო გავრცელებული. შემდეგში კი როგორც ბიზანტიაში, ისევე საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ამ მალედამწერლობის, ანუ სტენოგრაფიის ცოდნა კლებულობს. მოქმედების სარბიელიც უფრო და უფრო ვიწროვდება ისე, რომ ბიზანტიაში XII ს-ში[38], ხოლო დასავლეთ ევროპაში უკვე X ს-იდანვე[39] ქრება, მეათე საუკუნეში მომხდარმა მალედამწერლობის (გარდტჰაუზენი, ბერძ. პალ. II[2], 388) განახლებამაც ვერ იხსნა იგი ბიზანტიაში სწრაფი დავიწყებისაგან, რადგან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებას იგი აღარ სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნული ქართული ტერმინის სიმიათამწერლის გარდა, თვით საქართველოში სიმიათდამწერლობის, ანუ მალედამწერლობის არსებობის, ჯერჯერობით მაინც, არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი. ის გარემოება, რომ არც მწიგნობართა [ნაშრომთ] შორის — საბუთებსა და ხელმწიფის კარის გარიგებაში, — არც საისტორიო-სალიტერატურო თხზულებებსა და ძეგლებში ამის შესახებ არაფერი გვხედება, მის არსებობას თუ სრულებით სათუოდ არა, მაინც იშვიათ მოვლენადა ხდის. მაგრამ ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს და შესაძლებელია XI—XII სს. საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების აღმბეჭდველი ძეგლების დაღუპვასთან ერთად ქართული მალედამწერლობის ნიშანწყალიც გაქრა.

§ 9. საიდუმლო, ანუ ანჯანური დამწერლობა

მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა, ყველასათვის თუ არა, ბევრისათვის მისაწვდომ და გასაგებ ხელობად და ცოდნად იქცა, საიდუმლო პოლიტიკური და სამხედრო ცნობების შესატყობინებლად განსაკუთრებული, გარეშე პირისათვის სრულებით წაუკითხავ-გაუგებარი, ანბანის შექმნა აუცილებელი იყო. ამიტომაა, რომ ყველა კულტურულ ერს, ჩვეულებრივს გარდა, საიდუმლო მრავალი სხვადასხვანაირი ანბანიც ჰქონდა ხოლმე.

ქართულად, საიდუმლო ანბანს გარდა, საიდუმლო ენაც, მეტყველებაც არსებობდა, რომლის მთავარს, სიტყვათა სახის შემცვლელ ელემენტს მარცვალსა და მარცვალს შუა განზრახ ჩანართი მარცვალი, მაგ. „წ" შესატყვისი ხმოვნითურთ შეადგენდა. ამის წყალობით „შიკრიკი მოვიდა"-ს მაგიერ გამოდიოდა „შიკწირიწიკიწი მოწოვიწიდაწა".

ბერძნული საიდუმლო დამწერლობის, ანუ კრიპტოგრაფიის სხვადასხვა სისტემა ორ მთავარ ჯგუფად არის მეცნიერებაში დაყოფილი: ერთ მათგანს

---

[38] გარდტჰაუზენი, ბერძნ. პალ., II[2], 288.

[39] B. Bretholz, Lateinische Paläographie, 2, Aufl., გვ. 106—107.

წერის კრიპტოგრაფია (Kryptographie des Schreibens), მეორეს სათვალავითი კრიპტოგრაფია (Kryptographie des Rechnens) ეწოდება. მარტივი საიდუმლო ანბანი ჩვეულებრივი ასოებით მიდიოდა იოლად, მხოლოდ ასოთა მნიშვნელობას სცვლიდა ისე, რომ ასოთა ჩვეულებრივი მნიშვნელობა ერთით ან ორით, ან უფრო მეტად იყო ხოლმე გადადგმული და β იკითხებოდა α-ად, γ იკითხებოდა β-ად. იულიოს კეისარი, მაგ., თავის საიდუმლო ანბანისათვის A-ის მაგიერ D-სა ხმარობდა და ასე ოთხი ასოთი ჰქონდა გადაწეული ასოთა ბგერითი მნიშვნელობა[40].

ისეთი სისტემაც არსებობდა, რომელშიაც ჩვეულებრივი რიგის ანბანი უკუღმა იყო მობრუნებული და ბგერითი მნიშვნელობა ბოლოდან მოყოლებულ რიგსა ჰქონდა მიკუთვნილი, ამგვარად α და ω ერთიმეორის მაგიერ იხმარებოდნენ და ასევე იყო დანარჩენ ასოთა ბგერითი მნიშვნელობა შეცვლილი. ასეთ სისტემას ატბაშ-ის (Atbasch) სახელი ჰქონდა[41].

ბერძნებს ისეთი სისტემის კრიპტოგრაფიაც მოეპოვებოდათ, რომლის მიხედვით ან სიტყვებში მთელი მარცვლები იყო ხოლმე გადასმული, ან უხმოვნებოდ იწერებოდა ზოგჯერ მთლად, ზოგჯერ ხმოვნების წერტილებით აღნიშვნით, ზოგჯერ კიდევ მთელი მარცვლების გამოტოვებით ან მხოლოდ დასაწყისი ასოების დაწერით[42].

როცა სიმიათმწერლობა იშვიათ ხელობად შეიქნა და ჩვეულებრივი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარი გახდა, საიდუმლო წერისათვის ტაქიგრაფიასაც ხმარობდნენ ხოლმე[43]. საიდუმლო წერისათვის საგანგებოდ შეთხზული რამდენიმე ანბანიც არსებობდა[44].

სათვალავითი კრიპტოგრაფია ანბანის ასოთა რიცხვის მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეცვლაზეა დამყარებული. რადგან ბერძნებს, მეტადრე კი რომაელებს, რიცხვით ოდენობათა აღსანიშნავად განსაკუთრებული ნიშნები ჰქონდათ, ამიტომ სათვალავითი კრიპტოგრაფიის სისტემა მათ აღმოსავლეთიდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. სათვალავითი კრიპტოგრაფიის ერთი სისტემა სიტყვათა მაგიერ სიტყვების ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის დასახელებაა, მეორე — სიტყვათა აზრის ასოების რიცხვითი ოდენობის ჯამით გამოხატვა, რასაც იზოფსეფია (Izopsephie) ეწოდებოდა, მესამე — რიცხვითი ანბანის სამ ჯგუფად (ერთეულად, ათეულად და ასეულად) დაყოფა და თითოეული ჯგუფის მნიშვნელობის უკუღმა მობრუნებით ხმარება და სხვ.[45].

საქართველოშიაც სცოდნიათ კრიპტოგრაფიის ხელობა. აკად. მ. ბროსეს ნათქვამი აქვს, რომ ბევრი სხვადასხვა ქართული საიდუმლო ანბანის ნიმუში ჰქონია ხელთ.

უძველეს ნიმუშად ჯერჯერობით მაინც პ. ინგოროყვას მიერ განმარტებული X ს. ხელნაწერში შენახული საგალობელთა კრებულის შემდგენელი მიქაელ მოდრეკილის „მიქაელის" კრიპტოგრამაა, რომელშიაც ასოების მაგიერ რიცხვითი მნიშვნელობაა გამოყენებული; „ორმოცი ათი ექუსასი ერთი ხუთი

---

[40] გ ა რ დ ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი, ბერძნ. პალ., II[2], 301—302.
[41] იქვე, 311.
[42] იქვე, 302—304.
[43] იქვე, 304—305.
[44] იქვე, 305—306.
[45] იქვე, 307—317.

და ოცდაათი“[46]. რაკი 40 ძველ ქართულ მწერლობაში ასო „მ-ანით, 10 „ი“-ნით, 600 „ქ“-ანით, 1 „ა“-ნით, 5 „ე“-ენით, 30 „ლ“-ასით აღინიშნებოდა, ამიტომ ამ საიდუმლო ანბანის მცოდნე პირს ზემომოყვანილ რიცხვთა კრებული „მიქაელ“-ად უნდა წაეკითხა. ეს მაგალითი სათვალავითს კრიპტოგრაფიას ეკუთვნის.

ძველად რას უწოდებდნენ ჩვენში საიდუმლო ანბანს, ჯერ არ ვიცით, მაგრამ XVII ს-ში „ა ნ ჯ ა ნ ი ს ა ნ ბ ა ნ ი“-ს სახელით ყოფილა ცნობილი. ეს ტერმინი ფ. გორგიჯანიძესა აქვს ნახმარი, რომელსაც თავის თხზულებათა კრებულში საიდუმლო ანბანზე აქვს საუბარი და ერთი ამგვარის ნიმუშიც მოყვანილი აქვს. გასაოცარია, რომ საბა ორბელიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება ლექსიკონში. ხოლო ჩვენს ისტორიკოსს უწერია: „ქ. ვისაც სამალავათ ერთმანერთთან წიგნის მიწერა გინდოდეს, ამას ქვეით რომ ანჯანის ანბანი დაიწერების, ან ზეპირად ისწავლეთ და დაიმახსოვნეთ და ან ანჯანის ანბანი თან იქონიეთ ხოლმე, იმით მისწერდეთ და ან მოგწერდენ, წაიკითხვის. ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვია. რაც ასო თქმასა და გაგოხებას მოუნდების, ყველა არის. ანჯანის ანბანა ეს არის:

ქ. აჯ. ბხ. გჳ. დჵ. ეწ. ვძ. ზც. ჰჩ. თშ. იყ. კღ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. რჟ“[47].

ამ საიდუმლო, ანუ სამალავადი ანბანის მთელ საიდუმლოებას ანბანის უკუღმა მობრუნება და ერთი ასოს მაგიერ თავიდან მოყოლებული მეორის ხმარება შეადგენს. ეს მეორე სანაცვლოდ შემოღებულ ასოთა რიგი ჩვეულებრივი ანბანის ბოლოდან იწყება. ამგვარად ბგერა „ა“-ნის აღსანიშნავად ასო „ჯ“-ანია მიღებული, „ბ“-ანის ნაცვლად „ხ“ და ასე ამგვარად. მაშასადამე, ეს სისტემა უკუღმა მობრუნებულ ანბანს წარმოადგენს და დასავლეთ ევროპის პალეოგრაფიის Atbasch „ატბაშს“ უდრის. ზემომოყვანილ ცნობაში ეს საიდუმლო, ანუ ანჯანის ანბანი ფ. გორგიჯანიძის შეწყობილად არის გამოცხადებული. ის გარემოება, რომ ს. ორბელიანს ანჯანის ანბანი მოხსენებული არა აქვს, თითქოს უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ეს ტერმინი მართლაც საყოველთაოდ გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამას ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება. აქ რომ ფ. გორგიჯანიძე მხოლოდ განმაახლებელი უნდა იყოს და სრულებით ახალ მომგონებლობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ამას ის გარემოება ცხადყოფს, რომ ეს სისტემა ბერძნულ-რომაულმა კრიპტოგრაფიამაც იცოდა. ამიტომ შესაძლებელია ფ. გორგიჯანიძე ან ძველისა და მივიწყებულის განმაახლებელი ან სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში სპარსეთის, მაგალითის მიმბაძველი იყოს, თუ იქ ამნაირი სისტემა არსებობდა.

იმგვარადვე, როგორც ზემომოყვანილ საიდუმლო, ანუ ანჯანის ანბანში ბგერათა აღმნიშვნელი ასოები ჩვეულებრივია და მხოლოდ მათი მნიშვნელობაა შეცვლილი, ამნაირადვე ასოთა ჩვეულებრივი მოხაზულობაა XVII—XVIII სს. ხელნაწერებში ნახმარ კრიპტოგრამებში, რომელთა მნიშვნელობა პროფ. აკ. შანიძემ განმარტა[48]. ამ სისტემაში რიცხვითი და ფონეტიკური მნიშვნელობის შეცვლაა საფუძვლად მიღებული.

---

[46] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბილისი, 1913, გვ. XII.

[47] იხ. ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, თბილისი, 1896, გვ. 72.

[48] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1921, № 1, გვ. 63—68.

„ჩვეულებრივი ასოებისთვის დათქმული ფონეტიკური მნიშვნელობის მინიჭების დროს მიღებულია მათი რიცხვითი მნიშვნელობა, სახელდობრ: ის ასოები, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობა ერთეულებს წარმოადგენს, ნახმარია იმ ასოების ნაცვლად, რომელნიც შესაბამისად ათასეულებს გამოხატავენ და წინაუკმო ათასეულების ასოები ასეულებისას ენაცვლებიან შესაბამისად. ამასთანავე „ჵ“ და „ჰ“ ერთიმეორის შესატყვისობად არიან მიჩნეულნი და ერთიმეორის ალაგას არიან ნახმარნი. ამ საიდუმლო, ანუ სამალავადი ანბანის გასაღები ასეა წარმოსადგენი:

ერთეულები	1	2	3	4	5	6	7	8	9
	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჵ(ჰ)	თ
ათასეულები	1000 →								9000
	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	ჯ	(ჰ)ჵ
ათეულები	10 →								90
	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეულები	100 →								900
	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ

ამგვარად, ამ სისტემით ერთეულების აღმნიშვნელი ასოების მაგიერ შესატყვისი ათასეულთა აღმნიშვნელი ასოებია ნახმარი და ათასეულების მაგიერ ერთეულების ასოებია მიღებული. ასევეა ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოების შესახებ დაწესებული. ამგვარად შემდეგი კრიპტოგრამმა: „ჲჭ ჟ˜ჭ ნ˜წ ბღწხრტრ ჩურკ უდჭიჩტრ რ˜ჭ ჩ˜ფ წჩ ურკჩ წჭწჩ უჳჩჵჩ ჟჭფწფ˜კ ო˜ფ ჩ˜ფ:“ ასე უნდა იყოს წაკითხული: „ქ˜ე შ˜ე ფ˜დ ცოდვილი ამისა მწერალი ი˜ე ა˜ნ და მისთა დედა მამათა შენდნ˜ს ღ˜ნ ა˜ნ“[49].

მაგრამ სამალავადი ანბანისათვის ამა თუ იმ ენის ანბანის ასოთა ჩვეულებრივი მოხაზულობის ხმარება საიდუმლოების შენახვის თვალსაზრისით იმ მთავარ ნაკლს შეიცავდა, რომ უკვე ასოთა გარეგნულობა მათ სადაურობას ამჟღავნებდა, ხოლო რაკი კრიპტოგრამის ენა ცნობილი იყო, ნიშნების გამოცნობის სიძნელე, თუ მეტად არა, სანახევროდ მაინც უკვე დაძლეულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ანჯანის ანბანის გამომგონნი ხშირად ბგერათა აღსანიშნავად ან სრულებით ახალ ასოს იგონებდნენ, ან სხვადასხვა უცხო ანბანებიდან ამოღებულსა და გადაკეთებულს ხმარობდნენ ხოლმე. ამგვარი სისტემის სამალავადი ანბანი ძველად ქართულადაც არსებობდა.

ამგვარი ანბანით არის ნაწერი გელათის მონასტრის № 4 ხელნაწერის მინაწერები, რომლის სურათი კ. კეკელიძემ გაუგზავნა ნ. მარს. ამ ნიმუშების სურათი ნ. მარს მოყვანილი აქვს, რომელმაც ეს საიდუმლო ანბანი გაარჩია და მისი გასაღები შეადგინა. აი, მისი გასაღებიც[50]:

---

[49] იქვე, 67.

[50] ნ. მ ა რ ი, Один вид грузинского криптографического письма, ХВ, III, 205—207.



ამის მსგავსივე სისტემის კრიპტოგრამა პროფ. აკ. შანიძეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ერთ ქართულ ხელნაწერში უნახავს, სადაც ასოებად გამოგონილი ნიშნები არის ნახმარი, მაგრამ რომელნიც გელათის მონასტრის № 4 ხელნაწერში ნახმარისაგან თურმე განსხვავდებოდნენ. ნიშნების მნიშვნელობა აკ. შანიძეს გამოურკვევია, მაგრამ რვეული, სადაც ამის შესახები ცნობები ჰქონია, დაჰკარგვია[51].

პირადად მე იოანე ბატონიშვილისეულ ხელნაწერთა შორის ერთში არაბული რიცხვებითა და ასწვრივი ხაზებით დაწერილი კრიპტოგრამა მინახავს, მაგრამ მაშინ არ აღმინიშნავს ამ ხელნაწერის № და შემდეგ უკვე იმ ხელნაწერს ვეღარ მივაგენი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ქართული საიდუმლო ანბანი ჯერ კიდევ შესაგროვებელი და შესასწავლია.

დროთა განმავლობაში ასოებს გარდა სხვადასხვა ნიშნებიც გაჩნდა, რომელნიც წამკითხველს დაწერილი თუ გამოქანდაკებული აზრის სწორედ გაგებას უადვილებდნენ. მათ საზოგადო სახელად „ნიშანი“ იყო მიღებული.

ნიშნებს სხვადასხვა მიზნით ხმარობდნენ: ზოგი დაწერილი აზრის გაგების გასაადვილებლად, ზოგი მთელი სიტყვებისა და რიცხვების შემოკლებით აღსანიშნავად, ზოგი კიდევ საგალობლის ჰანგის გადმოსაცემად. პირველი ჯგუ-

[51] ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები. — საქარ. მუზ. მოამბე, № 1, გვ. 64, შენ. 1.

ფის ნიშნებს „გ ა ნ კ უ ე თ ი ლ ო ბ ი ს ა და ს ა ს უ ე ნ ი ნ ი შ ნ ე ბ ი“ ეწოდებოდა, მესამე „ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ნ ი შ ნ ე ჲ ი“ იყო, მეორე ჯგუფს საგანგებოთ განსაკუთრებულ სახელად „ქ ა რ ა გ მ ა“ და „პ ა ტ ი ვ ი“ ჰქონდა.

§ 10. ბგერის განსხვავებულად გამოთქმის ნიშნები

ყოველი ერის დამწერლობაში ანბანის შედგენილობა გარკვეულ ხანაში უკვე მთლად დასრულებული იყო ხოლმე, ცოცხალი ენა კი მუდამ ცვალებადია. იცვლება, რასაკვირველია, გამოთქმაც: ძველ ბგერას იმდენად ახალი და განმასხვავებელი ელფერი ემჩნევა ხოლმე, რომ მის აღსანიშნავად წინათ მიღებული ასო უკვე გამოსადეგი არ არის ხოლმე. ასეთ ახალ, ხშირად გარდამავალ, ბგერათა აღბეჭდვისათვის ძველ ასოს ზემოდან განსაკუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ ხოლმე.

1902 წ. სინას მთის მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ზოგიერთ ხელნაწერებში სტრიქონს ზევით და სტრიქონს ქვევით დასმულმა ერთ და ორ-წერტილებმა, რომელნიც ზოგი ირიბად იყო გაწყობილი. ამგვარი ორ-წერტილებისაგან შემდგარი ნიშნები სტრიქონს ზევით და ქვევით სიტყვებისათვის ასურულ დამწერლობაში იყო მიღებული და ქართულ ხელნაწერებში ნახმარი ორწერტილოვანი ნიშნები, ერთი შეხედვით, სწორედ ასურულისას მიაგვანან. მაგრამ ასურულში ეს ნიშნები ა, ე, ი, ო ხმოვნების გამოსახატავად იყო გარკვეული დროიდან შემოღებული, რადგან ასურულ დამწერლობას, ვითარცა სემიანთა დამწერლობასაც საერთოდ, ხმოვნების დასაწერად ანბანში ასოები არ ჰქონდა. ასურულში ამის გამო წერტილოვან ნიშნებს თავიანთი დანიშნულების ასრულება შეეძლოთ. ქართულ ანბანში ყველა ხმოვნისათვის განსაკუთრებული ასოები არსებობდა და ამიტომ ორწერტილოვანი ნიშნების შემოღებას შეუძლებელია ისეთივე აზრი ჰქონოდა, რა მიზნითაც ისინი ასურულ დამწერლობაში შემოღებული იყვნენ. რადგან სრულებით უაზროდ წერტილების დასხმით ტექსტის წერის დროს ისედაც საკმაოდ მომქანცველ მუშაობას არავინ გაირთულებდა და გაადიდებდა, ამიტომ ამ წერტილოვანი ნიშნების დანიშნულების გამორკვევაა საჭირო და მომავალი კვლევა-ძიების საკითხად უნდა გახდეს. პირველად გამოსარკვევია, რამდენად გავრცელებული იყო ეს სისტემა ძველ ქართულ დამწერლობაში?

ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ხელნაწერის ტექსტში „ვ“ ასოზე სამწერტილიანი ნიშანი ზის ხოლმე ზევით. ამნაირად არის, მაგ., დაწერილი ციხე „ყველი“-ს სახელი. მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრების ხელნაწერში შესატყვის ადგილას (*513, გვ. 282) წერია „ყუელი“ „უ“-ნით, თავზე სამწერტილიანი „ვ“-ის მაგიერ. ასეთი შესატყვისობა გვაფიქრებინებს, რომ ვინის ზემოთ დასმული სამი წერტილით დამწერელს უნდოდა მკითხველთათვის ეგრძნობინებინა, რომ აქ ჩვეულებრივი „ვ“ ბგერა არ ისმოდა. რაკი არც „უ“ დაუწერია, ცხადია, მისი აზრით, ამ სიტყვაში არც „უ“-და ისმოდა. მაშასადამე, აქ „უ“-ისა და „ვ“-ის საშუალო ბგერა უნდა ყოფილიყო, ის ბგერა, რომელსაც ანტონ კათალიკოსმა გამოსახატავად ჳ ბრჯგუ მოუძებნა. შესაძლებელია, ბრჯგუობის ნიშანი სწორედ იმ სამი წერტილისაგან იყოს წარმომდგარი, რომელიც XV ს. დამლევის ზემოდასახელებულ ხელნაწერში გვხვდება.

ბრჯგუობის, ანუ „ს ა ბ რ ჯ გ ჳ ს ო ნ ი შ ნ ი ს“ განმარტება ანტონ კათალიკოსსა აქვს თავის გრამატიკაში. ანტონ კათალიკოსის სიტყვით, „ღრამნიშანნი სულისკუეთისა სახეთანი: ამას უკვე ზედწოდებულ ბრჯგუჲ“ (ღრამ., 286), ბგერის „სხჳლადრე აღმოსვლა“ და „გამოხმობა“. „ზედწოდებულ ბრჯგუი“ (იქვე, 285). ერთგან მას ნათქვამი აქვს, რომ ბგერები „რომელნიცა არიან უკმონი, ითქმიან... ბრჯგუდ, რომელთაცა ზედა ნიშანი ესე საბრჯგჳსანი დაგჳსხამნ... თავით თჳსით ვერ გამოღებისათჳს ქმისა“ (იქვე, 116—117). თუმცა „უ“ ანტონ კათალიკოსს „თჳთქმოვან“ ბგერად მიაჩნდა, მაგრამ „თუ სადმე ლექსსა შინა ოდესმე შეხუდების, მაგ., წუა — გაბრჯგუვდების მცირედრე და იკმევს ნიშანსა ბრჯგუისასა“-ო (ღრამ., 117). მაგრამ ეს განმარტება ბუნდოვანია და ძნელი გასაგები. საბა ორბელიანს უფრო მკაფიოდ აქვს ახსნილი „ბრჯგუ“ ტერმინის მნიშვნელობა. მისი სიტყვით, ბრჯგუ ყრუსა ნიშნავდა და უ ბრჯგუც მართლა ყრუ უ-ნი იყო, რომელიც უკვე „ვ“-ს უფრო უახლოვდებოდა, თუმცა „ვ“-ინი არ იყო.

§ 11. დაქარაგმების ნიშნები და წესი

ძველად, როცა მწიგნობრობა განვითარდა და დამწერნიც დახელოვნდნენ, სისწრაფის გულისათვისაც და საწერი მასალის სიძვირის გამოც სიტყვათა სრული წერის მაგიერ მთელი მარცვლების გამოტოვებით შემოკლებული წერა შემოიღეს. ამ წესით დაწერილ სიტყვას ზევიდან განსაკუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ ხოლმე, რაც მკითხველთათვის იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი უნდა ყოფილიყო, რომ წაკითხვის დროს ეს ასონაკლები სიტყვა უნდა სრულად აღედგინა. ამგვარი წერის წესი ყველგან იყო ძველად მიღებული და საქართველოშიც იცოდნენ ხოლმე. ასოს ან მარცვლის ნაკლებობის მაჩვენებელ ნიშანს „პ ა ტ ი ვ ი“ და „ქ ა რ ა გ მ ა“ ეწოდებოდა. საბა ორბელიანს ნათქვამი აქვს „ქარაგმა ასო ნაკლების ნიშანი“-აო (ლექსიკ.) და „სადა ესე ჯდეს, ასო აკლია“-ო (იქვე, წინასიტყვაობა, XXVII).

ტერმინი „პატივი“ ეფრემ მცირის „გადმოცემისა“-ღმი დაწერილ შესავალშია ნახმარი. მას ნათქვამი აქვს, რომ ანტიოქიის მახლობლად მდებარე ბერძენთა სჳმეონ-წმიდის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერებში „საჳიროჲსა სიტყჳსა თარგმანი (იგულ. თარგმანება) პატივთა ზედა წიგნისათა უწერაა“-ო (ქ˝კბი I, 217). წინადადება ეგოჳებ გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს და დედანში, ალბათ, ასე ეწერებოდა: „პატივითა კიდეთა ზედა წიგნისათა უწერია“-ო. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში განმარტებას კიდეებზე წერდნენ დაქარაგმებული სიტყვებით. პატივი სპარსული სიტყვაა და თავსაკრავსა და თანამდებობას ნიშნავდა. სომხურშიც შემოსული იყო, სადაც *պատիւ*, ქართულის მსგავსად, სხვათა შორის სიტყვის შემოკლების ნიშანსაც ეწოდებოდა.

ტერმინი „ქარაგმა“ კი ბერძნულიდან შეთვისებულ სიტყვად ჩანს. ბერძნულად τὸ χάραγμα „ტო ქარაგმა“ შუბლის ან ხელის ნაოჭს ნიშნავდა და, რაკი ქარაგმაც განივი სწორი ან გახრილი ხაზის მსგავსად იწერებოდა, ალბათ, ამიტომ უნდა იყოს შემოკლების ნიშნის გამომხატველ ტერმინად გამოყენებული.

ანტონ კათალიკოსს ქარაგმის უფრო ვრცელი და ზედმიწევნითი განმარტება აქვს. მისი სიტყვით, „ქარაგმი არს ღრამი რამე ზედმდებარე ლექსთა დასამოკლებლად წერილისა"-ო (ღრამატიკა, 287). შემდეგ ქარაგმები მას ორ მთავარ ჯგუფად დაუყვია „უაღრესობითისად" და „საყოველადოდ". უაღრესობითი ქარაგმები ღვთაებისა, წმიდანებისა და სხვა ხშირად სახმარებელ საპატიო სიტყვებზე იწერებოდა, საყოველადო საზოგადო სიტყვებზე მიღებულ ქარაგმებს ეწოდებოდაო (იქვე, 287—288).

სიტყვათა შემოკლებითი წერის აღსანიშნავად შეიძლება ტერმინად „დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა" ვიხმაროთ. სიტყვათა შემოკლებული წერა გავრცელებული იყო როგორც ბერძნულად, ისევე ლათინურადაც. ქართველთა მეზობლებს, სომხებსაც, ქარაგმიანი წერა მიღებული ჰქონდათ. დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში იგი იმდენად გავრცელებული იყო, რომ შემოკლებათა სისტემის უცოდინარს ხელნაწერის წაკითხვა გაუძნელდებოდა უკვე. ამიტომ უკვე რომაელების დროს შემოკლებათა კრებულები არსებობდა, ხოლო შემდეგ მაგნომ, არქიეპისკოპოსად დასმულმა, კარლოს დიდისათვის შემოკლებათა ახალი კრებული შეადგინა. რაკი შემდეგში შემოკლებითი წერა ჩვეულებრივ წესად იქცა, ამის გამო შემოკლებათა ამხსნელი სხვადასხვა სახელმძღვანელოებიც გაჩნდა, რომელთაგან XV ს. ყველაზე უფრო გავრცელებული იყო „Modus legendi abbreviaturas in utroque jure". პალეოგრაფიისა და მეტადრე დიპლომატიკის შესწავლის დაწყებასთან ერთად მკვლევართა ყურადღება ამ შემოკლებათა სისტემამაც მიიზიდა. J. L. Walther-მა VIII—XVI სს. ხელნაწერებიდან ფაქსიმილეს წესით გადმოიღო, ამოკრიბა და კრებულად შეადგინა, რომელიც 1752 წ. J. H. Jung-მა Lexicon diplomaticum-ის სახელით გამოსცა. ამ მაგალითმა ბევრი წაახალისა, მაგრამ მხოლოდ 1846 წ. დაიბეჭდა შრომა, რომელიც, მართლაც, საყურადღებოა. ეს ნაშრომი L. A. Chassants ეკუთვნის და ეწოდება „Dictionnaire des abbreviations latines et francaises... du moyen age", და იმდენად გავრცელდა, რომ 1884 წ. ამ წიგნის უკვე მეხუთე გამოცემა დაიბეჭდა. შასანის ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან შემოკლებათა მრავალრიცხოვან მასალებში შემოკლების რამდენიმე საერთო სახელმძღვანელო პრინციპი აღმოაჩინა და ამისდა მიხედვით სათანადო ტერმინოლოგიაც შექმნა, რომელიც პალეოგრაფიაში ახლაც მიღებული არის. მისი დანაწილების, ცოტა არ იყოს, რთული სისტემა პაოლიმ გაამარტივა (მისი შრომის გერმან. თარგ. „Die Abkürzungen in der lateinischen Schrift des Mittelalters"). მეორე იტალიელმა პალეოგრაფმა J. Kaffelli-მ თავის 1899 წ. დაბეჭდილ „Dizionario di abbreviature latine ed italiane"-ში, რომლის 1901 წ. ლაიფციგში გამოსულ გერმანულ თარგმანს „Lexicon abbreviaturarum"-ი ეწოდება, ყველა შემოკლება შემდეგ მთავარ ჯგუფად დაყო:

1) შემოკლებათა პირველი სისტემა სიტყვის მხოლოდ დასაწყის ნაწილსა წერდა, მეორე ნაწილს კი დაუწერელს ტოვებდა და მის მაგიერ შემოკლების ნიშანს წერდა. ეს სისტემა პირველად ლ. შასანმა აღნიშნა და მანვე სახელად უწოდა suspension, ანუ შეკვეცა, რომელიც ამ სისტემას შერჩა: გერმანულ პალეოგრაფიაშიც Suspension-ს ხმარობენ. ლ. ტრაუბე გერმანულად ამის შესატყვისად Weglassung-ს, ანუ გამოტოვებას ხმარობს, ბ. ბრეტჰოლცი კიდევ Abbrechung-ს, მოტეხას. ქართულად ამ წესს შეიძლება „ბ ო ლ ო შ ე კ ვ ე ც ი-

ლ ო ბ ი თ ი დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა“ ან მოკლედ „ბ ო ლ ო შ ე კ ვ ე ც ი ლ ო ბ ა“ ეწოდოს.

2) შემოკლების მეორე სისტემა, პირიქით, სიტყვის პირველსა და ბოლო ბგერას ან მარცვლებს წერს, სამაგიეროდ შუა ნაწილის ასოებს დაუწერელსა ტოვებდა და სიტყვის თავზე შემოკლების ნიშნად ხაზი იყო ხოლმე გასმული. ეს სისტემაც პირველად შასანმა აღნიშნა და სახელად contraction-ი, ანუ გამოტოვება უწოდა. ახლაც პალეოგრაფიაში ამ სისტემას ეს სახელი აქვს და გერმანელებიც Kontraktion-ს ხმარობენ, რომლის შესატყვისად ლ. ტრაუბეს გერმანულად Auslassung-ი მიაჩნია. ქართულად ამის აღსანიშნავად შეიძლება ტერმინად „შ უ ა შ ე კ ვ ე ც ი ლ ო ბ ი თ ი დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა“ ან მოკლედ „შ უ ა შ ე კ ვ ე ც ი ლ ო ბ ა“ ვიხმაროთ.

მე-3 და მე-4 სისტემა სიტყვის შემოკლებულს მეორე ნაწილს სხვადასხვა განსაკუთრებული სტენოგრაფიულის მსგავსი ნიშნებით წერდა ხოლმე.

მე-5 სისტემა შემოკლებას სიტყვის ზევით დაწერილი პატარა ასოებით ახერხებდა. საშუალო საუკუნეებში ეს სისტემა ძალიან იყო გავრცელებული.

მე-6 სისტემა შემოკლებულ ნაწილს საგანგებო ნიშნებით გამოხატავდა ხოლმე.

მაგრამ სიტყვათა შემოკლებითი წერის საკითხის მთავარი დებულებანი ლ. ტრაუბეს მიერ არის გამორკვეული. პირველად სწორედ მან მიაქცია იმ გარემოებას ყურადღება, რომ სიტყვათა შემოკლებათა მარტო ტექნიკურ თვისებათა მიხედვით ჯგუფებად დაყოფა საკმარისი როდია, არამედ მათი ქრონოლოგიური უფროს-უმცროსობის საკითხის გამორკვევაც არის საჭირო. თვით ტრაუბეს მთავარ საკითხად სწორედ ეს მიაჩნია. ქარაგმიან ხელნაწერთა და წარწერების შესწავლით მან დაამტკიცა, რომ უძველეს ხანაში სიტყვათა შემოკლების ბოლოშეკვეცილობითი სისტემა ყოფილა მიღებული, ე. წ. suspension-ის სისტემა. რომაელები ამას litterae singulares-ს ეძახდნენ. ხოლო შემდეგ, საშუალო საუკუნეებში ამის მაგიერ შუაშეკვეცილობის სისტემა, ე. ი. Kontraktion-ი ვრცელდება, როდესაც სიტყვის დასაწყისისა და დასასრულის ასოები იწერებოდა, შუაგული კი ან გამოტოვებული, ან ორიოდე ბგერით აღინიშნებოდა[52].

ლ. ტრაუბემ სიტყვათა შუაშეკვეცილობითი წერის წესის სადაურობის საკითხიც გამოარკვია: ბერძნულ მწერლობას იგი დაბადების თარგმანთან ერთად ებრაელთაგან უნდა ჰქონდეს შეთვისებული, რადგან ებრაულში, იმგვარადვე როგორც დანარჩენ სემიან ერთა დამწერლობაშიც, სიტყვები ყოველთვის უხმოვნებოდ იწერებოდნენ ხოლმე. წერის ეს წესი ბერძენ მთარგმნელებს უნდა ბუნებრივად შემოკლებითი წერის წესად ჩვენებოდათ. ხოლო, რადგან ყველაფერი დაბადებაში მყოფი მისაბაძ მაგალითად იყო მიჩნეული, ამიტომ ბერძნულ ქრისტიანულ დამწერლობაშიც შეითვისეს, აქედან კი ლათინურშიც გადავიდა[53].

დაქარაგმება ელინურსა და ბიზანტიურ დამწერლობაში ძალიან იყო მიღებული და ყველანი იმნაირსავე დაქარაგმების წესს მისდევდნენ, როგორიც ლათინურ დამწერლობაში არსებობდა. დაქარაგმება იმდენად გახშირებული

---

[52] L. Traube, Lehre und Geschichte der Abkürzungen, მისი Vorlesungen und Abhandlungen-ის I წიგნის გვ. 138—140.

[53] იქვე, 150—155.

და გადაჭარბებული ყოფილა, რომ იუსტინიანე კეისარი იძულებული ყოფილა ორაზროვნობისა და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად დაქარაგმება სიგლებში სრულებით აეკრძალა[64].

აღსანიშნავია, რომ იმისდა მიუხედავად, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არაერთი ძველი ქართული ტექსტი ხელნაწერების მიხედვით სათანადოდ იყო გამოცემული და ამ გამოცემებს ქარაგმიანი სიტყვების სიაც ჰქონდა ხოლმე დართული, მაინც დაქარაგმების წესითა და ქარაგმის სხვადასხვა ფორმებით არავინ დაინტერესებულა და ეს საკითხიც ჯერჯერობით სრულებით შესწავლილი არ არის.

ქარაგმა ქართულ დამწერლობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გამოიხატებოდა. მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერებში ქარაგმად სიტყვებს ზევით სწორი განივი ხაზი (—) იხმარება. დამწერლობისდა მიხედვით ეს ქარაგმა კიდურწერტილიანადაც შეიძლება იყოს გამოყვანილი და კიდურსოლებრივადაც. ასევე სწორი განივი ხაზის სახითაა გამოყვანილი ქარაგმა ატენის ჯვრის კვარცხლბეკის ვეჟან ატენელის წარწერაშიაც, კუმურდოს ტაძრის სტოას მარიამ დედოფლის წარწერაშიაც, ატენის სიონის 1060—5 წწ. წარწერაშიაც და თვით ქ. ანისის XIV ს. პირველი ნახევრის საჰმადინის წარწერაშიაც კი. მდივან-მწიგნობრულ დამწერლობაშიც მარტო უბრალო განივი ხაზი იყო ქარაგმად XIV ს-მდე.

მაგრამ ჰიჰაფორისძის რუსუდან დედოფლის დროინდელ წარწერაში შემდეგი სხვადასხვა სახის ქარაგმაა ნახმარი:

ქობაირის კედლის წარწერაში კიდევ თუმცა ამის მსგავსივე, მაგრამ მაინც ერთგვარი თავისებურებით შემკული ქარაგმები გვხვდება:

უძველეს, ხანმეტ ტექსტებიან ხელნაწერებში ქარაგმად განივი ხაზია მიღებული, მაგრამ თავში მას ზევითკენ, ბოლოში კი ქვევითკენ მიმართული კალმის მსხვილი დანაჭირები ამშვენებს ხოლმე. ჩვეულებრივ, ქარაგმა შემდეგშიც ასე იწერებოდა ხელნაწერებში, მაგრამ ზოგან ხაზი ოდნავ გახრილიც არის, მაგ., 864 წ. მრავალთავში და უბისის ტაძრის წარწერაში.

XV ს-იდან მოყოლებული მხედრული დამწერლობის ძეგლებში ქარაგმას უკვე სრულებით განსხვავებული სახეობა აქვს და გაკრული ონივით იწერება.

[64] J. Gardthausen, Griechische Palaeographie, II², 319—322.

ახლა რომ ქართულ ძველ მწერლობაში სიტყვათა დაქარაგმების სისტემათა განხილვას შევუდგეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უძველეს ჯერ ცნობილ წარწერას, რომელიც დავით ბოლნელი ეპისკოპოსისაგან ბოლნისის სიონის გარეთ კედელზეა გამოყვანილი და დაახლოებით 506 წ. ახლო ხანებს ეკუთვნის, ქარაგმიანი სიტყვა არ მოეპოვება. ჰაზარუხტის წარწერაშიაც ყველა სიტყვა სრულად წერია. მაგრამ ეს ორი წარწერა საკმარისი არ არის, რომ ამის მიხედვით დავასკვნათ, თითქოს ამ დროს საქართველოში დაქარაგმება ჯერ არ სცოდნოდეთ.

მცხეთის ჯვრის კედლის წარწერებში ერთი მხრით საკუთარი სახელები — გ˜რლ, მ˜ქლ, ს˜ტე არის დაქარაგმებული, მეორე მხრით ვედრების გამომხატველი სიტყვები — წ˜ო = წმიდაო-ს და შ˜ე = შეიწყალე. თემისტიის 5-სტრიქონიან წარწერაში მხოლოდ ერთი სიტყვა ქ˜ჱსმან = ქრისტჱსმან-ს არის დაქარაგმებული. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ სადაც ადგილის გამოზოგვა არ აიძულებდათ, დაქარაგმება იშვიათად იხმარებოდა.

ზემომოყვანილ მაგალითებში დაქარაგმების წესი სიტყვის ან მთელი შუა ნაწილის, ან მისი უდიდესი ნაწილის გამოტოვებაზეა დამყარებული იხე, რომ სიტყვის ან მხოლოდ პირველი და უკანასკნელი ბგერა იწერება, მაგ., წ˜ო, შ˜ე, ან და ამას გარდა შუანაწილის ერთ-ერთი თანხმოვანიც, მაგ., გ˜რლ-გაბრიელ, მ˜ქლ-მიქაელ, ს˜ტე-სტეფანე. როდესაც საკუთარი სახელის კანკლედობის casus obliquus-ი არის წარმოდგენილი, მაშინ ბრუნვის გამომხატველი ბგერაც იწერება ხოლმე, მაგ. ქ˜ჱსმან = ქრისტჱსმან. ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში, ცხადია, „კონტრაქციონ"-ის, ანუ „შუაშემოკლებითი დაქარაგმების" მაგალითები გვაქვს თვალწინ.

V—VI სს. ხანმეტ ტექსტებშიც დაქარაგმება ნახმარია,. მაგრამ ზომიერად. სახელთაგან დაქარაგმებულია: ი˜ჳ, ი˜ჳს, — ო˜ი, ო˜ისა, ო˜ლისა, ო˜ა, ო˜ნ, ო˜ჲ, ო˜ო, — ღ˜ნ, ღ˜თისა, ღ˜ა, ღ˜ნ, — ქ˜ყნა, ი˜ჱლი. ნაცვალსახელთაგან: თ˜ქნ, თ˜ნმან, თ˜ქნდა, თ˜ქნთაჲ, — რ˜ი, რ˜ლი, რ˜ლსა, რ˜ნ, რ˜ლითა რ˜ლნი, რ˜ლთა, — ყ˜ლი, ყ˜ლისა, ყ˜ლსა, ყ˜ლმან, ყ˜ლივე. ზმნის ფორმათაგან ჩვეულებრივ: ხ˜რქა, რ˜ქა. თანდებულთაგან: გ˜ნ, ზ˜ა, წ˜ე. კავშირთაგან: ა˜დ, ვ˜ა, ვ˜დ, ვ˜ე, ვ˜რ, რ˜, რ˜ა, რ˜ამცა, ხ˜.

ვეჟან ატენელის VII—VIII სს. წარწერაში დაქარაგმება უფრო გახშირებულია. აქ საკუთარი სახელებიც დაქარაგმებულია: ქ˜ტე, ქ˜ტსჲ, ქ˜ტჲსთა, — ატ˜ნლ-ატენელ, — არსებითი სახელებიც: ძ˜თა-ძალითა, — მ˜ხლნ — მამასახლისმან?, — ჯ˜ი, ჯ˜ის-ჯვარი, ჯვარისა, — ნაცვალსახელებიც: შ˜ნჲთა-შენისაჲთა, რ˜ლთა-რომელთა, ყ˜ლთა-ყოველთა. რასაკვირველია, დაქარაგმებულია აგრეთვე „ა˜ნ ი˜ყნ"-ამჱნ იყავნ.

ამ დაქარაგმებულ სიტყვათაგან, ერთის გარდა ყველანი შუაშემოკლებითი დაქარაგმების სისტემას ეკუთვნიან, ერთს კი „ა˜ტნლ", რომელიც = ატენელ-ს, ის თავისებურება აქვს, რომ შუაში უხმოვნოდ არის დაწერილი და მხოლოდ თანხმოვანნი აქვს შენარჩუნებული.

ამ უკანასკნელი მოვლენის თვალსაზრისით საყურადღებოა პილ-ეტრატის იადგარი, რომელშიაც შუაშემოკლებითი დაქარაგმების წესიცაა ნახმარი (მაგ., ა˜დ, გ˜ი = გუერდი, ვ˜ა, ო˜ო, რ˜ნ, ქ˜ე, შ˜ე, ჩ˜ნ, კ˜ჲ-კმაჲ), მაგრამ ხშირია ისეთი დაქარაგმება, როდესაც სიტყვის მარტო თანხმოვანები იწერება ხოლმე. ხმოვანი ასეთი დაქარაგმების დროს იწერება მხოლოდ თავში და ბოლოში,

თუ სიტყვა ხმოვნით იწყება ან თავდება. ამნაირი დაქარაგმების მაგალითად შეიძლება დასახელებული იყოს: ბ˜ნსа, გ˜გლბნ, გ˜ლბსა, გ˜ქბთ, ვ˜ტყო, ზ˜ცთ, მ˜ნთა, მ˜ცხვნე, ს˜ლსა, ოგ˜ლბთ, ო˜კდთ, ტ˜კბლთა, ღ˜ღტყვსა, შგ˜წყლნ, შს˜წრვდ, ც˜ცხლსა, წმ˜დთა, ც˜დვთა, წყ˜ლბа, ქ˜ლთა და სხვაც ბევრი ამის მსგავსი. რადგანაც დაქარაგმების პრინციპი სიტყვის უხმოვნოდ დაწერაზეა დამყარებული, ამიტომ ასეთ წესს შეიძლება „უ ხ მ ო ვ ნ ო დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა“ ვუწოდოთ. ეს სისტემა, უეჭველია, სემიანთა დამწერლობის მიმბაძველობას წარმოადგენს, რადგან ებრაულად, ასურულად და არაბულად წერის დროს ხმოვნები არ აღინიშნება და სემიანთა ანბანებში ხმოვნებისათვის ასოები არც კი არსებობს.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ პილ-ეტრატის იადგარში თანდებული „გან“ დაქარაგმების დროს მხოლოდ დასაწყისი ასოთია წარმოდგენილი: ჩემთაგ˜=ჩემთაგან-ს, საონჯეთაგ˜ — საუნჯეთაგან. ქართულ მდივანმწიგნობრულ დამწერლობაში ამნაირი დაქარაგმება უფრო ხშირია, მაგ., ქ˜კზი=ქართლის კათალიკოზ-ს, კ˜=კათალიკოზ-ს, პ=პყონდიდელს, მ˜წუ ხუცესი—მწიგნობართ-უხუცესს, მ˜=მთავარ მამას, მ˜სი=მთავარეპისკოპოსს, წ˜=წილკნელს (იხ. ოპიზ. და შიომღვ. მონასტრ. საბუთები XI—XII სს.) და სხვა. მაინც, ასე მხოლოდ რამდენიმე ხშირად სახმარებელი სახელის დაქარაგმება ყოფილა წესად მიღებული. ასეთ წესს შეიძლება „მ ხ ო ლ ო ა ს ო ი ა ნ ი დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა“ ეწოდოს.

მეტად საყურადღებოა დაქარაგმების მხრივ ყალაბოინას ეკლესიის 983 წ. წარწერა: იქ დაქარაგმებულ სიტყვებს ბოლო აქვთ შეკვეცილი. ეს გარემოება ამ ძეგლის გამომცემელს ე. თაყაიშვილს აღნიშნული არა აქვს და წანაკითხშიც ზოგან შევსებულია (იხ. Арх. Экс. III, 4—5).

თვით წარწერა ასეა ამოჭრილი:

1. სახელი ღთ ალთ დ
2. მეოხებითა წ˜დ ღ˜თის
3. აშობელისათ და
4. შე˜წევნი ნათ˜ლიცე
5. ა ა˜ღვშე წ˜დ ესე ე
6. მე ჲ ო ვ˜
7. სა˜დებელ
8. ლოც˜ველად ძმა
9. შ˜ვილთ ჩ˜ნ დ სკარა
10. ს˜ცლ ჩ˜ნ ბაგრტ ქრთ
11. თა მეფობსა დავ[ით კ]
12. ორაპლატობს ერ [თ]
13. ობით ა˜დ ღ˜ნ ქრო˜ნ [კ]
14. ონი იყო ს˜გ

ამ წარწერაში შემდეგი არაჩვეულებრივი დაქარაგმება გვაქვს: სახელი=სახელითა. დ-და, შვილთ-შვილთა, შეწევნი-შეწევნითა, ალვშე—ალვაშენეწ˜დ-წმიდა, სცლ-სალოცველად, ად-ადიდენ. ყველა ამ შემთხვევაში დაქარაგმებულ სიტყვებს ბოლოები დაუმთავრებელი აქვთ და წამკითხველმა უნდა შეავსოს. დაქარაგმების ამნაირი სისტემა ამ და შემდეგი დროის ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც გვხვდება. ცხადია, რომ აქ ე. წ. სუსპენზიონის, ანუ ბ ო ლ ო მ ო კ ვ ე ც ი ლ ო ბ ი თ ი დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ი ს წესი გვაქვს.

ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ, რამდენადაც ჯერეთ ცნობილი ძეგლებიდან ჩანს, ქართული დამწერლობათმცოდნეობისათვის ლ. ტრაუბეს დებულება დაქარაგმების წესის ქრონოლოგიური თანმიმდევნოების შესახებ გამოსადეგი არ არის: პირიქით, საქართველოში სუსპენზიონი ან ბოლოშეკვე-

ცილობითი დაქარაგმება, უძველეს ხანაში კი არა, არამედ X—XI სს-ში გვხვდება. მაგრამ საბოლოო დასკვნა აქაც მომავლის საქმეა.

ორი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი: ერთი ის, რომ დაქარაგმების ერთსახეობა ხშირად დარღვეული არის ხოლმე და ერთი და იგივე სიტყვა ყოველთვის ერთნაირად არ არის დაქარაგმებული, არამედ სხვადასხვანაირად. შესაძლებელია აქ მერმინდელ გადამწერელთა ნამუშევრის კვალი იყოს. მომავალმა გულდასმითმა შესწავლამ ეგებ ისიც გამოარკვიოს, რომ ქართულ დამწერლობაშიც სამწერლობო მიმართულებათა მიხედვით გარკვეულ დაქარაგმებას მისდევდნენ, მეორეც ის, რომ ერთსა და იმავე ძეგლში დაქარაგმების რამდენიმე წესი არის ხოლმე გამოყენებული, ზოგჯერ, როგორც ეს ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ერთი სიტყვის დაწერის დროსაც ამნაირი მოვლენა გვხვდება ხოლმე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ასო-რიცხვნიშნებსაც ხშირად ზევიდან ქარაგმა აქვთ ხოლმე

§ 12. განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები

თავდაპირველად ადამიანი ჯერ იმდენად განვითარებული და დახელოვნებული არ იყო, რომ წერისა თუ წარწერის ამოჭრის დროს სიტყვებისა და წინადადებათა დაყოფაზე ეფიქრა. მაშინ ის მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ასოები სწორედ გამოეყვანა. ამიტომ ყველგან და ყველა ენაზე უუძველესი წარწერები ისეა შედგენილი, რომ ასო ასოს მისდევს და არც სიტყვები და არც, მით უმეტეს, წინადადებები ერთიმეორისაგან დაშორებულიც კი არ არის. სად თავდება ერთი სიტყვა და სად იწყება მეორე, არა ჩანს. არც ის ჩანს, სად თავდება ერთი წინადადება და სად იწყება ახალი. ეს თვით მკითხველმა უნდა გამოარკვიოს. მხოლოდ შემდეგში მიუხვდა ადამიანი სიტყვების ერთიმეორისაგან განცალკევების მნიშვნელობას და საამისოდ ნიშნები იქნა შემოღებული. მაგრამ ეს სასვენი ნიშნები კი არ ყოფილა, რომელთა საშუალებით წინადადება წინადადებისაგან და თვით ერთს წინადადებაშიაც წევრთაშორისი გრამატიკულ-ლოგიკური დამოკიდებულება აშკარავდება ხოლმე, არამედ მხოლოდ სიტყვათა მექანიკური განცალკევება იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანაში არამცთუ სიტყვებსა ჰყოფენ ნიშნებით ერთიმეორისაგან, არამედ რთულ სიტყვებსაც ანაწილებდნენ და თანდებულიან ზმნებსაც და ორ ნაწილად არსებით სახელებსაც განცალკევებულად წერდნენ: თანდებულსა და ზმნას შუა, რთული სიტყვების ნაწილებს შორისაც იმგვარადვე იყო ხოლმე ნიშანი ჩასმული, როგორც დამოუკიდებელ სიტყვებს შორის.

დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში, კაცობრიობას განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების საჭიროებაზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა და უმათოდ წერდა და კითხულობდა. ამიტომ შედარებით ძალიან გვიან გაჩნდა განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები. მათი აუცილებლობის აზრიც ნელნელა განმტკიცდა და მხოლოდ თანდათანობით ჩამოყალიბდა მათი ხმარების წესრიგიც.

სანამ ხანმეტი პალიმფსესტები აღმოჩნდებოდა, ეფრემ მცირის სიტყვების ზეგავლენით გვეგონა, რომ განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები საქართველოში პირველად ეფრემ მცირემ შემოიღო. მაგრამ სახარების ხანმეტი ტექსტები

ცხადყოფენ, რომ როგორც განკვეთილობისა, ისევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს-ში უხმარიათ. შემდეგ. არაბთა ბატონობაში VII—VIII სს-ში მომხდარი შედარებითი დაქვეითების წყალობით, სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და მხოლოდ განკვეთილობის ნიშნებილა უხმარიათ.

ხელმეორედ რომ ქართულ მწერლობაში სასვენი ნიშნები შემოიღეს, „სასუენად“-აც და „განსაკუეთელად სიტყჳსა“ წერტილები იხმარებოდა მხოლოდ. წ ე რ ტ ი ლ ი (1091 წ. ხელნაწ., ქ˝კბი I, 215; ეფრემ მცირე, ქ˝კბი I. 216) ზმნა „წერტვა“-საგან ნაწარმოები მიმღეობაა, რაც ჩხვლეტასა ნიშნავდა. მაშასადამე, პირველად „წერტილს“ ნაჩხვლეტის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ეს გარემოება საბა ორბელიანმაც იცოდა და ლექსიკონში მოხსენებული აქვს. თავდაპირველად წერტილს ხმარობდნენ მხოლოდ „განსაკუეთელად სიტყჳსა“, რომ სიტყვები ერთიმეორისაგან გაეყოთ და მათი წაკითხვა გაეადვილებინათ. საამისოდ ორი ან სამი წერტილი იყო მიღებული. ამ დროს არც ავტორები, არც გადამწერელნი მოთხრობის აზრთა ერთიმეორისაგან გამოყოფაზე არ ფიქრობდნენ, ისე რომ თვით წამკითხველის საქმე იყო და მის ცოდნასა და მიხვედრილობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გაეგო თხზულების სინტაქსური აგებულება და ავტორის აზრი. დიდებულ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირესაც აღნიშნული აქვს, რომ წინანდელ ქართველ ავტორებს „არარაჲ ეღუაწა წერტილითა განკუეთისათჳს საკითხავთაჲსა“, ისე რომ სწორედ ამის გამო „ზეპირით უკმდა გაკუეთაჲ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა“. ამგვარ პირობებში, თავისდათავად ცხადია, რომ წამკითხველს თხზულების „მართლად განკუეთილობის“ სრული რწმენა არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მხოლოდ გიორგი მთაწმიდელს შემოუღია პირველად განკვეთილობის ნიშნები. ამავე ხანაში კი ბერძნებს, ეფრემ მცირის მოწმობით, სასვენიცა და განკვეთილობის ნიშნებიც საყოველთაოდ შემოღებული ჰქონიათ, ამის წყალობითო, — ამბობს ზემოაღნიშნული ქართველი მეცნიერი, — „ესოდენ მისანდობელ არს წიგნები მათი მართლად გაკუეთილობისათჳს, ვითარ ჩუენი საგალობელი, რაოდენი დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაგან თარგმნილ არს“-ო (ქ˝კბი I, 218).

გიორგი მთაწმიდელის შემდგომ სასვენ-განკვეთილობის ნიშნების შემოღება ქართულ მწერლობაში ცნობილმა ეფრემ მცირემ სცადა. მან საფუძვლად წერტილი აიღო და მთელი სისტემა შეიმუშავა. ტექსტის დანაწილებისა და ნიშნების ხმარების დროს ეფრემ მცირეს გაუთვალისწინებია მხოლოდ სამ-ოთხგვარი შესაძლებლობა: ერთი მხრით, მას საჭიროდ მიაჩნია საგანგებო ნიშანი „მცირედ სასუენად“ და „დიდად სასუენად“, მეორე მხრით — „სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებელად სიტყჳსა“, ანუ მოთხრობისა. ამას გარდა, მას აუცილებლად მიაჩნია ნიშანი „განსაკუეთელად სიტყჳსა“. ამ სინტაქსური დამოკიდებულების ცხადმყოფელ ნიშნებს გარდა, ეფრემ მცირემ ერთ-ერთი მათგანი სადეკლამაციო მიზნით, „ჴმის საქცევად“ იხმარა, რომ მკითხველს სცოდნოდა, სად რაგვარი ხმის მოქცევით უნდა წაეკითხა დაწერილი ტექსტი, რომ სწორედ ამ ადგილას უნდა „ჴმაჲ იქციოს მკითხველმან“ (ქ˝კბი, I, 218).

ეფრემ მცირემ შემდეგი განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები შემოიღო: „ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთ წერტილად და ექუს წერტილად გამიკუეთია“-ო, — ამბობს იგი. „ერთწერტილი უკუე — მცირედ სასუენად, ორწერტილი — გასაკუეთელად სიტყჳსა და სამწერტილი — დიდად სასუენად,

ექუსწერტილი — სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებელად სიტყვსა". მაგრამ „არს ოდესმე იშვათ რომელ არა დასაბოლოებლად ზის ექუსწერტილი, არამედ კმისა საქცევად ოდენ, რომელი — ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების, რაჟამს მოწამე მსაჯულისა მიმართ მეტყუელებდეს და მყის ღვთისა მიმართ ცვალის მეტყუელებაჲ, ესევითარსა ამას ადგილსა ექუსწერტილი უზის არა რათა დააბოლოოს, არამედ რათა კმაჲ იქციოს მკითხველმან"-ო (ქ˝ები I, 218). ეფრემ მცირის ზემოაღნიშნული სისტემა მთელმა განათლებულმა ქართველობამ მიიღო. ამ სისტემის გავლენის კვალი თვით მდივანმწიგნობრულ დამწერლობასაც კი ემჩნევა და სიგლების შინაარსისდა მიხედვით დანაწილების აღსანიშნავად XI ს. დამლევიდან უკვე იხმარება (ამაზე იხ. ჩემი ქართული სიგელთმცოდნეობა).

აღსანიშნავია, რომ ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ხელნაწერში სიტყვათა ერთიმეორისაგან განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი, სასვენ ნიშნად კი მძიმეა შემოღებული.

საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განკვეთილობა-სასვენი ნიშნების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. თუმცა „მძიმე", რომელიც ანტონ კათალიკოსს (და უკვე უწინაც) სასვენ ნიშნად აქვს ნახმარი, საბასაც მოეპოვება, მაგრამ სულ სხვანაირად არის განმარტებული. თვით ნიშნის (,) გამოხატულების შემდგომ საბა ორბელიანი ამბობს: „ამას ეწოდების ვარია, რომელ არს მძიმე, სადა ქუეიდამ უჯდეს, მუნ კმის დადაბლება კამს"-ო (წინასიტყვაობა, XXVII). მაშასადამე, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს მძიმე საინტონაციო ნიშნად მიაჩნია და არა სასვენ ნიშნად. ანტონ კათალიკოსი კი ამბობს: „სულისკუეთისა მიერ განრჩეულნი სიტყუანი არა სრულად და დასასრულად დაიინიშნუიან წერილთა შინა რომელთამე ღრამთა მიერ. დანიშვნა არასრულისა სიტყჳსა იქმნების წერილთა შინა ღრამით ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკვე ზედწოდებულ ვარია, ხოლო ჩვენებრ მძიმე. დანიშვნა სრულისა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (.) და ამას უკვე ზედწოდებულ სტიღმა, ხოლო ჩვენებრ წერტილი. ხოლო დანიშვნა დასასრულ სიტყჳსა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (:) და ამას უკვე ზედწოდებულ ჩვენებრ ორი წერტილი"[55]. ეს ანტონ კათალიკოსის დებულება XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში საყოველთაოდ მიღებული იყო.

§ 18. პირობითი ნიშნები

განკუეთილობისა და სასვენი ნიშნების გარდა, სხვა ბევრნაირი ნიშნები არსებობდა. ზოგი უბრალოდ ხსოვნისათვის იხმარებოდა და მხოლოდ პირადი მნიშვნელობა ჰქონდა; მაგ., დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ დიდებულმა მეფემ „წინა დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარსაკითხავად და, რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა, ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნით აღვთუალეთ, ოცდაოთხჯერ წარეკითხა"-ო (ც˝ა მფ˝სა დ˝თსი, *548, გვ. 319). ცხადია, დავით აღმაშენებელს რაღაც ნიშანი უხმარია იმის აღსანიშნავად, რომ თხზულება წაკითხული ჰქონდა. ეს ნიშანი და მისი მნიშვნელობა მეფის მახლობელ პირებსაცა სცოდნიათ, ისე რომ ამის წყალობით შეეძლოთ გამოერკვიათ დავით აღმაშენებელს

[55] ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამატიკა, 1885, გვ. 293, § 43.

რომელი წიგნის კითხვა უფრო ჰყვარებია და თითოეული მათგანი რამდენჯერ წაუკითხავს.

ნიშნებს სხვადასხვა ცნების მოკლედ გამოსახატავადაც ხმარობდნენ ხოლმე, მაგალითად, იმის მაგიერ, რომ დაეწერათ თავი ან ბოლოჲ, ან ღამისთეევაჲ, ან სხვა რომელიმე ტერმინად მიღებული სიტყვა, სიმოკლისათვის შესატყვის ნიშანსა წერდნენ. სინას მთის მონასტრის 992 წ. № 16 ხელნაწერში და სხვაგანაც, მაგ., ნათქვამია: „სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი ესე ქანწილი ზის ნიშნად, სადა დასრულდებოდეს ბოლოჲ, ესე ჯ῀ი ზის სინგურითვე, კეთილად გულისჴმა-ყავ“-ო (იხ. გვ. 316 v., აგრეთვე იმავე მონასტრის № 19 ხელნაწ., გვ. 262 v — 278 v, შეად. ქ῀კზი I, 208, 5). მაშასადამე, დასაწყისის ან თავის აღსანიშნავად „ქანწილი“[56] ყოფილა მიღებული, დასასრულისათვის — „ჯვარი“. „ქანწილი“ ან „წილქანი“ თავის, ანუ დასაწყისის ნიშნად მიღებული ყოფილა საზოგადოდ. თ. ს. უ. მუზეუმის № 37 თუ 38 ხელნაწერში, სადაც ათანასი ალექსანდრიელის ფსალმუნთა თარგმანებისა და დანაწილების წჳნასიტყვაობაა მოთავსებული, სხვათა შორის, ნათქვამია: „სადა წერილ იყოს ესე ვითარმედ „თაყუანისცემაჲ“, ცან-ღა, მუნ დიდებაჲ ითქუას და მუნვე წითლითა წილქანი ზის და ესე ფსალმუნთა, ხოლო კანონთა თავი თჳთ საცნაურ არს და თანავე ჩამოწერილ არს“-ო (ქ῀კბი I, 94 და მ. ჯანაშვილი, ქ῀ლი მწერლობა I, 190).

სინას მთის ქართველთა მონასტრის დაუღალავ მწერალს იოანე ზოსიმეს კიდევ თავის საეკლესიო კალენდარში შემდეგი ნიშნები აქვს ნახმარი: „ესე ნიშანი (წრე შუაში მოქცეული ჯვარედინით) ღამის თევისაჲ არს: და ესე ნიშანი ✕ ს῀პირნსათჳს არს: და ესე ნიშანი: = ჟამის წირჳსათჳს არს: საბა წმიდისა წესსა ზედა, გულისხმა-ყავ, : : ესე მარხვანი წმიდათა დღესასწაულთანი“-ო, და თავის ნაწარმოებში მართლაც ამ სიტყვების მაგიერ ყველგან ზემომოყვანილი ნიშნები დაუსხამს.

პირობით ნიშნად „ჩ ი ტ ი ს თ უ ა ლ ი“-ც გვხვდება ხოლმე. საქ. საისტორიო საზოგადოების 1661 წ. № 342 ჟამნგულანში ნათქვამია: „ესე დასდებელნი და გალობანი, რომლისაცა მოციქულისათჳს გინდეს, ამისთჳსცა ითქმიან სიტყჳსა ქცევითა, გარნა სადაცა ჩიტის თუალი ჯდეს, სახელს მას ადგილს იტყოდი“-ო[57]. მაშასადამე, „ჩიტის თუალი“ სახელდებას აღნიშნავდა.

ს. ორბელიანსაც თავის ლექსიკონის შესავალში ხელნაწერებისა და მისგან ნახმარი პირობითი ნიშნები აღუნუსხავს განმარტებითურთ (იხ. გვ. XXVIII და XXIX). საბას ნათქვამი აქვს: „ესე ოთხი ნიშანნი ქუეყნისმზომელობის ჴელოვნებანი არიანო“ და ამას შემდეგი ახსნა მისდევს,- „ · ამას ეწოდების სტილმა, რომელსა ჩვენ წერტილს და სახელს სდებენ ერთად. — ამას უწოდენ ღრამად, მეორედ, რამეთუ წერტილისაგან წარზიდულ არს. ⊓ ამას უწოდენ ეპიფანიად, რომელიცა ზედაკერძო იხილების. -შ ხოლო ამას უწოდენ სტერეოდ, რომელიცა ქუემო კერძო გვამი იყო რისაცა... შეისწავლე ქართულადცა სახელები ესე არს: სტილმასი — წერტილი, ღრამმისა — წარზიდული, ეპიფანიასი — საჩინო, სტერეონისი — მყარი“-ო.

---

[56] ქანწილი, ან წილქანი წარმოადგენს ხუცური ასომთავრული „ქ“ და „წ“ ასოების შენაერთის მონოგრამას.

[57] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საისტ. მასალ. II, 50.

ნიშნების სახელები ბერძნულია და ამის გამო საფიქრებელი იყო, რომ ბერძნულიდან ნათარგმნი თხზულებებიდან უნდა იყოს ზემომოყვანილი ცნობები და ნიშნებიც ამოღებული, მაგრამ ბერძნულში ამგვარი ნიშნები, რამდენადაც გარდტჰაუზენის თხზულების მიხედვით ამის გამორკვევა შეიძლება, არა ჩანს.

§ 14. რიცხვთნიშნები და ფულის საანგარიშო ნიშნები

რიცხვის ოდენობათა აღსანიშნავად თავდაპირველად მხოლოდ ხაზებსა ხმარობდნენ. თითოეული ხაზი ერთეულს აღნიშნავდა. ახლაც წერა-კითხვის უცოდინარნი ამგვარადვე იქცევიან და ხეზე დანით დააჭდევენ ხოლმე: რამდენი ჭდეც არის ამოჭრილი, იმდენი ერთეული არის ნაგულისხმევი. განვითარების ამ საფეხურზე ჯერ ათეულებისა და ასეულების გასარჩევად არავითარი განსაკუთრებული ნიშნები არ მოიპოვება, რაც ცოტად მაინც დაწინაურებული ერისათვის სრულებით აუცილებელია. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ უკვე კრიტოსელთ ერთეულებისათვის ასწვრივი ხაზი ჰქონდათ ხოლმე განკუთვნილი, ათეულებისათვის კი განივი ხაზები, ასეულების გამოხატვა კი წრეებით სცოდნიათ. კვიპრელებსაც დაახლოებით ამგვარივე სისტემა ჰქონდათ[58].

ბერძნებსაც ემჩნევათ ხაზებით რიცხვითი ოდენობის აღმნიშვნელობის კვალი, მაგრამ განსაკუთრებით პირველი ოთხი რიცხვისათვისღა ჰქონდათ შენარჩუნებული I II III IIII. ხუთიდან მოყოლებული მთავარ ოდენობათა აღსანიშნავად უკვე ამ რიცხვთა სახელების დასაწყისს ასოებსა ხმარობდნენ ხოლმე, მაგ., 5 Πέντε — Γ, 10 Δέκα — Δ, 100 Ηεκατόν — Η, 1000 Χίλιοι — Χ. ამაზე მცირე ოდენობისათვის კი ხუთამდის ისევ ხაზებით კმაყოფილდებოდნენ ხოლმე. ამგვარად, 6 ასე იწერებოდა ΓΙ, 7 — ΓΙΙ, 8 — ΓΙΙΙ, 9 — ΓΙΙΙΙ, 10 — Δ, 11 — ΔΙ, 12 — ΔΙΙ, 13 — ΔΙΙΙ, 14 — ΔΙΙΙΙ, 15 — ΔΓ, 16 — ΔΓΙ და ასევე დანარჩენიც 20-მდე. ოცეულის აღსანიშნავად ΔΔ იხმარებოდა, 30 — ΔΔΔ, 40 — ΔΔΔΔ, ხოლო 21 — ΔΔΙ და სხვა. 100 — Η, 200 — ΗΗ, 300 — ΗΗΗ, 400 — ΗΗΗΗ და სხვა[59]. როგორც ნათლად ეტყობა, ეს სისტემა ერთისა, 5, 10, 100 და 1000 კომბინაციაზეა დამყარებული.

ამ სისტემამ დიდხანს იბატონა საბერძნეთში და ჯერ კიდევ პერიკლეს დროს მას ხმარობდნენ ოფიციალურ საბუთებსა და ანგარიშებში. შემდეგ კი ანბანის რიცხვ-ნიშნები იყო ამისათვის შემოღებული. ეს რიცხვითი ანბანი, რასაკვირველია, მაშინ კი არ იყო შედგენილი, როდესაც საყოველთაოდ გავრცელდა და ათენშიაც მიღებულ იქნა, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ვ. ლარფელდის აზრით, იგი 700 წ. ქ. წ. უკვე შედგენილი უნდა ყოფილიყო მილეტში და შემდეგ იქიდან გავრცელდა სხვაგანაც საბერძნეთში[60].

რომაელებმა თავიანთთვის განსაკუთრებული, ახლა რომაული რიცხვითი ნიშნების სახელით ცნობილი, სისტემა შეიმუშავეს, რომელიც ძირითადი და ნაწარმოები ნიშნების შეერთებით ახერხებს ყოველგვარი ოდენობის გამოსა-

---

[58] გარდტჰაუზენი, ბერძნ. პალ., II², 354.

[59] იქვე, 354—355.

[60] W. Larfeld, Griechische Epigraphik, 3. Aufl., 1914, გვ. 293—294.

ხვას. ძირითადი ნიშნები იყო I, V, X, L=50, C=100, D=500 და M=1 000. მომატების ნიშანი ძირითადისას მარჯვნით უზის ხოლმე, მაგ., II=2, III=3, VI=6, 11=XI, 12=XII, 51=LI, ხოლო გამოკლების აღსანიშნავად ნიშნები ძირითადს წინ უძღვის და მარცხნივ უზის, მაგ., 4=IV, 9=IX და სხვა.

ეგრეთწოდებული არაბული რიცხვითი ნიშნები თვით არაბებს, არაბი მეცნიერის მასუდის სამართლიანი ცნობით, ინდოელთაგან აქვთ შეთვისებული. VIII ს-ში არაბებს იგი უკვე საყოველთაოდ მიღებული ჰქონდათ. 813—833 წწ. მოჰამმედ იბნ მუსამ ალ-ხვარაზმელმა შეადგინა თავისი თხზულება მრიცხველობის შესახებ. ეს ნაწარმოები არაბულიდან დაახლოებით 1120 წ. ლათინურად გადათარგმნილი იყო. იგი XIV ს. ხელნაწერებში „Liber Algorismi"-ს სათაურით იყო შენახული. ამ თხზულებიდან დასავლეთ ევროპას უკვე XII ს. საშუალება ჰქონდა ე. წ. არაბული ციფრები შეესწავლა. უძველესი ლათინური ხელნაწერი, რომელშიაც არაბული ნიშნებია ნახმარი, 1143 წ. არის დაწერილი. ხელნაწერები XII ს. მეორე ნახევარს ეკუთვნიან. მაგრამ არაბულ ციფრებს XV საუკუნემდე იშვიათად ხმარობდნენ ხოლმე[61]. ბიზანტიელებმა ამაზე უფრო გვიან დაიწყეს მათი ხმარება, რასაკვირველია, დასავლეთის ზეგავლენით.

საქართველოშიაც უძველეს, ქრისტიანობის ხანაში რიცხვის აღსანიშნავად, ბერძნულის მსგავსად, ანბანის ასოები იხმარებოდა ხოლმე. უკვე ხანმეტ ტექსტებში ანბანი რიცხვნიშნებადაც არის გამოყენებული იმავე რიცხვითი მნიშვნელობით, როგორც შემდეგში გვხვდება. როდის შემოდის ჩვენში ეს სისტემა, ამის გამოსარკვევად ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შემოღების შემდგომ მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, თვით XIX ს. დამდეგსაც კი რიცხვითი ანბანი იყო მიღებული ყოველგვარი ანგარიშების აღსანუსხავად. მაგრამ უკვე XI ს. ძეგლებში ჩვენ ინდო-არაბული ციფრებიც გვხვდება საქართველოში. პირველად ინდო-არაბული რიცხვის ნიშნები ქუთაისის ბაგრატის ტაძრის კედლის წარწერაში გვხვდება, რომელიც დათარიღებულია 223, ანუ 1003 წლით. არაბული ციფრები თვით თარიღშია ნახმარი[62]. მეორედ ატენის მახლობლად მდებარე ვერეს ეკლესიის კედლისავე წარწერის თარიღშივეა ნახმარი[63].

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ე. წ. არაბული რიცხვის ნიშნების უძველესი ნიმუშები არაბეთს გარეშე დასავლეთ ევროპაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ საქართველოში, სადაც ეს ციფრები თითქმის საუკუნე-ნახევრით უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე დასავლეთში. როგორ და რა გზით შემოვიდა საქართველოში ეს რიცხვის ნიშნები, ჯერ გამორკვეული არ არის. შესასწავლია ჯერ კიდევ ისიც, თუ რამდენად გავრცელებული იყო ინდო-არაბული ციფრების ხმარება XI—XIII სს-ში. მაინცდამაინც ის გარემოება, რომ შემდეგში მათი ხმარება არ გახშირებულა, რასაკვირველია, ამ ნიშნების ფართო წრეებში გავრცელებულობის მომასწავებელი არ არის. საბერძნეთის მსგავსად, საქართველოშიც ინდო-არაბული ციფრების ფართო ხმარება დასავლეთი ევროპის გავლენის შედეგი იყო.

---

[61] B. Bretholz, Lateinische Paläographie, გვ. 109—110.

[62] იხ. ბროსეს განმარტება ამ წარწერის შესახებ Mém. de l'Acad. des sc., nouv. ser. IV, p. 346, ხოლო სურათი იქვე, Pl. I, № 3 და Voyage arch. Six. rapp., 30.

[63] იხ. Six. rapp., გვ. 30.

მაშასადამე, ქართული პალეოგრაფიისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ანბანის რიცხვნიშნებსა აქვთ. ამიტომ აქვე მოგვყავს:

1 ა	21 კა	500 ფ	9000 ჰ
2 ბ	29 კთ	600 ქ	10000 ჵ
3 გ	30 ლ	700 ღ	100000 რჩ
4 დ	40 მ	800 ყ	1000000 ჵჵ
5 ე	50 ნ	900 შ	
6 ვ	60 ჲ	1000 ჩ	
7 ზ	70 ო	2000 ც	
8 ჱ	80 პ	3000 ძ	
9 თ	90 ჟ	4000 წ	
10 ი	100 რ	5000 ჭ	
11 ია	200 ს	6000 ხ	
19 ით	300 ტ	7000 ჴ	
20 კ	400 უ	8000 ჯ	

ამას გარდა, $^1/_4$ აღინიშნება +, ხოლო ნახევარი o.

აღსანიშნავია, რომ ასორიცხვნიშნებში ხშირად ჱ-ეს მაგიერ „ჰ"-აეა ნახმარი და ამგვარად ჰ 8-ს უდრის, ხოლო ჱ 8000-ის აღმნიშვნელია ხოლმე. მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევებში არავითარი შეცდომა არ არის, არამედ ხმარების სრულებით შეგნებული წესია. ქ. ანისის ქართლისა კათალიკოსის ეპიფანეს ბრძანების შემცველ წარწერაშიც თარიღი 438 ქრონიკონი „ჳლჰ"-თი არის აღნიშნული[64] და აქაც „ჱ"-ს მაგიერ „ჰ" არის.

ანბანის ასოთა ზემომოყვანილი რიცხვითი მნიშვნელობა ამოღებულია ფ. გორგიჯანიძის ნაშრომიდან (იხ. მ. ჯანაშვილის გამოც. გვ. 71) და საბა ორბელიანის ლექსიკონის შესავლიდან, სადაც, სხვათა შორის, მას „ა ნ ბ ა ნ თ ა რ ი ც ხ ვ თ ა სწავლანი"-ც აქვს მოყვანილი (გვ. XXIII). ფ. გორგიჯანიძეს თავისი ცნობა „მ ხ ე დ რ უ ლ ი ქ რ ო ნ ი კ ო"-ს სახელით შეუმკია (გვ. 71). აღსანიშნავია, რომ აქ ჩვენ მეცნიერს 10000-ით აქვს სწავლა დამთავრებული. ეტყობა, ჩვეულებრივ, ამაზე შორს XVIII ს. დამდეგს ანგარიშის დროს არც მიდიოდნენ, ხოლო თუმნებისათვის მიღებული ნიშნის ხმარება 100 000 მინალთუნამდე დაწერის საშუალებას აძლევდა. ათიათასითვე ათავებს თავის ცნობას ფ. გორგიჯანიძეც, რომელსაც შემდეგი აქვს ნათქვამი: „არაბული ქრონიკოს ანგარიში ქართულის ანბანით ანით დაჭირული ჩოემდისინ ათჯერ ათასს იტყვის, არაბული ალიფ-ბე (ე. ი. ანბანი) ათასის მეტს არ იტყვის, ამიტომ რომ მხედრულს ანბანსა ცხრა ასო მეტი აქვს არაბულს ასოზედან". ამას არაბული ასორიცხვის განმარტება მოსდევს „აბა თუ მხედრული ქრონიკო რისთვის ათიათასია და არაბული ათასის მეტი არ არის, ეს ასოები განაცხადებს"-ო და შემდეგ ქართული ანგარიშია განმარტებული. ს. ორბელიანს „სწავლა" 1000 000-მდე მიყვანილი აქვს ევროპული სისტემის მიმბაძველობითა და სომხური ანგარიშის წიგნის მიხედვით (იხ. გვ. XIX—XXI).

ფ უ ლ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი ს წარმოებისა და ჩასაწერადაც იგივე ასორიცხვნიშნებია გამოყენებული. მაგრამ ასოები აქ უკვე ფულის გარკვეული ოდენობის გამომხატველია ხოლმე. ამის გამო ფულის ქართულ ანგარიშწარმოებაში

[64] ნ. მარი, Надпись Епифания, католикоса Грузии, ИАН, 1910, გვ. 1436—1439.

ფულის ერთეულების აღნიშვნის მაგიერ სათანადო ასორიცხვნიშანი იწერებოდა ხოლმე, რომელსაც წამკითხველი, ისევე როგორც დამწერელი, ფულის შესაფერის სახელად გულისხმობდა. მხოლოდ თუმნის აღსანიშნავად განსაკუთრებული, ასოსაგან გარეგნული მოხაზულობით განსხვავებული, ნიშანი იხმარებოდა ჵ, რომელიც, როგორც ქართულ საფას-საზომთმცოდნეობასა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიაშია განმარტებული, მ ასოს გაკრული ხელით დაწერილი გამარტივებული მოხაზულობისაგან არის წარმომდგარი.

ფულის ქართული ანგარიშწარმოება ასორიცხვთა შემდეგ მნიშვნელობაზეა დამყარებული:

ე	აღნიშნავს ერთ ფულს	ქ	3 აბაზს
ი	2 ფულს	ღ	15 შაურს
კ	1 ბისტს	ყ	4 აბაზს
ლ	6 ფულს	შ	18 შაურს
მ	2 ბისტს	ჩ	1 მინალთუნს
ნ	1 შაურს	ც	2 მინალთუნს
ჲ	3 ბისტს	ძ	3 მინალთუნს
ო	14 ფულს	წ	4 მინალთუნს
პ	4 ბისტს	ჭ	5 მინალთუნს
ჟ	18 ფულს	ხ	6 მინალთუნს
რ	2 შაურს	ჴ	7 მინალთუნს
ს	1 აბაზს	ჯ	8 მინალთუნს
ტ	6 შაურს	ჰ	9 მინალთუნს
უ	2 აბაზს	ჵ	1 თუმანს
ფ	10 შაურს		

როდესაც თუმნის რაოდენობის აღნიშვნა სურდათ, მაშინ ჯერ თუმნის რიცხვის გამომხატველი ასორიცხვნიშანი იწერებოდა, შემდეგ თუმნის აღმნიშვნელი ნიშანი, რომელიც მარჯვნიდან მარცხნისაკენ წარმოზიდული ზეეიდან თუმნების გამომხატველ ასორიცხვნიშანს ფარავს ხოლმე.

ამ პირველი შეხედვით, თითქოს რთული და უაზრო სისტემის გაგება სრულებით ადვილი იქნება, თუ ადამიანს შემდეგი სამი ძირითადი დებულება ეცოდინება: 1) როგორც ქართულ საფას-საზომთმცოდნეობაში განმარტებული მაქვს, 1 ქართული ფული ასო „ე“-ით იმიტომ აღინიშნებოდა, რომ 1 ქართული ფული 5 ნახევარ-დრახმიან სპილენძს იწონიდა და 5 ამ უკნინეს ძირითად ერთეულს შეიცავდა; 2) მეორე დასახსომებელი დებულებაა, რომ 1 ბისტი=4 ფულს, 1 აბაზი=4 შაურს, 1 მინალთუნი=5 აბაზს და 1 თუმანი=10 მინალთუნს; 3) ქართული ანგარიშწარმოების სისტემა იმაზეა დამყარებული, რომ იქ ფულის ერთეულის გამოსახატავად ის ასორიცხვნიშანი იწერებოდა, რამდენი ძირითადი უკნინესი ერთეულის შემცველი იყო ესა თუ ის ფული. რაკი 1 ბისტში 4 ფული ითვლებოდა, მაშასადამე, 1 ბისტში 20 უკნინესი ერთეული უნდა ყოფილიყო, რადგან 1 ფული, როგორც ვიცით, 5 ძირითადი ერთეულის შემცველი იყო. სწორედ ამიტომ არის, რომ 1 ბისტი „კ“ ასორიცხვნიშნით გამოიხატებოდა. ამგვარადვე რაკი 1 შაური=10 ფულს, ამიტომ 1 შაურის აღსანიშნავად 50-ის გამომხატველი ასო „ნ“ იხმარებოდა, აბაზისა-

თვის — 200 აღმნიშვნელი „ს“ და 1 მინალთუნისათვის — 1000 აღმნიშვნელი „ჩ“, ხოლო 10 მინალთუნისა, ანუ 1 თუმნისათვის — 10000 გამომხატველი ჵ.

§ 16. სამუსიკო ნიშნები

ნიშნები გალობის ჰანგების ჩასაწერადაც იხმარებოდა. რასაკვირველია, ეს საგალობელი ნიშნები განსაკუთრებული მოხაზულობისა იყვნენ და მათი დაწერაც ყველას არ შეეძლო, არამედ შესაფერის ცოდნას მოითხოვდა. მიქაელ მოდრეკილს თავის საგალობელთა კრებულში ნათქვამი აქვს: „შევკრიბენ საგალობელნი... რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი, ზერძნული და ქართულნი სრულნი ყოვლითა განგებითა... სიმართლით სისწორითა კილოთაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“ (ქ˜კბი I, 112).

ამ ანდერძიდან ჩანს, რომ საგალობელის ჰანგს მაშინ „კ ი ლ ო ჲ“ რქმევია, ხოლო ჰანგის გამომხატველ ნოტებს „ნ ი შ ა ნ ი“ ჰქონია სახელად. რაკი ჰანგის, ანუ კილოს დასაწერად განსაკუთრებული ცოდნა იყო საჭირო, ამიტომ საამისოდ საგანგებო დამწერნი ყოფილან, რომელთაც, თურმე, „მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი“[65] ეწოდებოდა.

ქართული სამუსიკო ნიშნები მეცნიერულად შესწავლილი არ არის და მათი წაკითხვა ჯერ ვერ ხერხდება. არსებობს ცნობილი ფრანგი მეცნიერის ტიბოს პატარა შენიშვნა, რომელიც ქართულ სამუსიკო ნიშნებს ეხება[66].

---

[65] ათონის მონას. ხელნაწ. იხ. ნ. მ ა რ ი, Агиографические материалы по груз рукописям Ивера, ч. I, 1900, გვ. 87.

[66] A b b é I. T h i b a u t, Нотные знаки в грузинских рукописях, იხ. ХВ, 1914, т. III, вып. II, с. 207—212.

თავი მეოთხე

ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები

§ 1. პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი ძეგლების დათარიღებისათვის

პალეოგრაფიის ყოველმა მკვლევარმა კარგად იცის, რომ დამწერლობის უძველესი ძეგლები ყველა, და საზოგადოდ ეპიგრაფიკულ ძეგლთა დიდი ნაწილი, დაუთარიღებელია. W. Larfeld-საც თავის ბერძნულ პალეოგრაფიაში ეს გარემოება მკაფიოდ აღნიშნული აქვს[1]. დამწერლობის განვითარების ისტორიისა და დამახასიათებელი საფეხურების შესწავლა კი უნდა უეჭველად ქრონოლოგიურად განსაზღვრული ძეგლების დაკვირვებაზე იყოს დამყარებული. რაკი უძველესი ხანისათვის დათარიღებული ძეგლები არ მოიპოვება, ამიტომ მკვლევარნი უთარიღო ძეგლების დაწერილობის დროის გამორკვევასა და დაახლოებითს დათარიღებას ცდილობენ, ხოლო შემდეგ ამ დაახლოებით განსაზღვრული და მერმინდელი თარიღიანი ძეგლების მიხედვით დამწერლობის ზოგადი ხასიათისა და ასოთა მოხაზულობის განვითარების საფეხურების ქრონოლოგიურ საზღვრებსაც არკვევენ ხოლმე.

უთარიღო ძეგლების დათარიღება, ჯერ ერთი, თვით ამ ძეგლის შინაარსით შეიძლება და უპირველესად იქ მოხსენებულ ისტორიულ პირთა დროის მიხედვით, — შემდეგ ენის მიხედვით, როდესაც იქ ნახმარი გრამატიკული ფორმებისა და ტერმინების გაჩენისა და გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები გამორკვეულია, — დასასრულ, ასოთა მოხაზულობის თვისებათა მიხედვით, როდესაც დათარიღებული და თარიღიანი ძეგლების მიხედვით ასოთა მოხაზულობის ნიშანდობლივი თვისებების გაჩენა და არსებობის ხანგრძლივობა ქრონოლოგიურადაც განსაზღვრულია.

პირველად, მაშასადამე, საუბარი პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი ძეგლების თარიღს უნდა შეეხოს და ქვემოთ ამ საკითხზე იქნება ლაპარაკი: ჯერ ეპიგრაფიკული ძეგლები გვექნება განხილული, შემდეგ წიგნური დამწერლობისა, მერმე ნუსხახუცური მდივანმწიგნობრული დამწერლობისა და, დასასრულ, ნუსხამხედრული დამწერლობის ძეგლებს განვიხილავთ.

§ 2. ეპიგრაფიკული ძეგლები

ეპიგრაფიკულ ძეგლთაგან უძველესად ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერები უნდა იქნეს მიჩნეული. არც ერთი მათგანი დათარიღებული არ არის, მაგრამ მცხეთის ჯვრის წარწერების დათარიღება შედა-

---

[1] W. Larfeld, Griechische Epigraphik 3. Aufl., გვ. 183.

რებით ადვილია იქ მოხსენებული ისტორიული პირების წყალობით, ამიტომ ჯერ მცხეთის ჯვრის წარწერების დათარიღებას უნდა შევეხოთ.

მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქანდაკებათა წარწერებს შორის საყურადღებოა სტეფანოსისა, დემეტრისა, ადრნერსეჲსა, ქობულისა და თემისტიას წარწერეში.

ქართული საისტორიო წყაროები (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ჯუანშერი და სუმბატ დავითის ძე) ჯვრის ორივე ეკლესიის აგებას გვარამსა, სტეფანოსსა, დემეტრეს, ადრნერსეს და სტეფანოს ადრნერსეს ძეს მიაწერენ[2]. თუმცა არც ამ ისტორიკოსთა მოთხრობაშია ქრონოლოგიური ცნობები, მაგრამ საქმის მიმდინარეობის მიხედვით მთელი ეს ამბავი VI საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული VII საუკუნის პირველ ნახევრამდეა ნაგულისხმევი.

ჩემი „ქ˜ლი ერის ისტორია“-ში უკვე აღნიშნული მქონდა, რომ ადრნერსე, ანუ ადარნასე მართლაც VII საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის გვხვდება: იგი იხსენიება იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც ქართველთა და სომეხთა შორის ყოფილა სარწმუნოებრივი უთანხმოებისა და კამათისა გამო (I, 215). მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი სომხეთის კათალიკოსის მოადგილის ვრთანესისადმი მიმართულ წერილში თხოულობდა, რომ ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ საქართველოს გავლენიან პირებთან მიეწერა ადრნერსეჲსა, ვაჰანისა და ბუზრმიჰრისათვის *առ Ադրներսեհ և Վահան և Բզդմիհր* (*Գիրք Թղթոց*, 133, 7-9). სომეხთა კათალიკოსის მოადგილე სწორედ ასეც მოქცეულა და კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილი ეპისტოლე ამ სამი მთავრისადმისაც მიუმართია (იქვე, 138, 2). სუმბატ გურგანის მარზპანის ქართლის კათალიკოსისადმი გამოგზავნილი წერილიც კირიონის შემდგომ იხსენიებს „მთავართა ქვეყნისა თქვენისათა ადრნერსეჲსა და ყოველთა ვარგთა“ (*Իշխանաց աշխարհիդ Ադրներսեհի և ամենայն լաւաց*, იქვე, 168, 2-3). თვით ქართული ეკლესიის მწყემსმთავარიც თავის საპასუხო ეპისტოლეს სუმბატისადმი მიმართულს ადრნერსეჲსა და სხვა მთავართა სახელითა წერდა (იქვე, 170, 6-9; იხ. აგრეთვე გვ. 174, 18).

ორი უკანასკნელი შემთხვევა ცხადყოფს, რომ მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს მთავართა შორის პირველობა ადრნერსეს ეკუთვნოდა და, თუ სხვების დაუსახელებლობა შეიძლებოდა, მისი სახელი უეჭველად უნდა მოხსენიებული ყოფილიყო. რადგან ზემომოყვანილი მიწერ-მოწერა 607 წ. ეკუთვნის, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ადრნერსე ამ დროს უკვე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ყოფილა.

ადრნერსეს ერისმთავრობის დასაწყისის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ამაზე უფრო მეტი ზედმიწევნილობით შეიძლება. ადრნერსე მარტო აბრაამის წერილში კი არ გვხვდება, არამედ უკვე ვრთანესისაშიც. ხოლო ვრთანესი სომეხთა საკათალიკოსო ტახტის მოადგილედ უკვე 602—603 წლიდან ითვლებოდა 606 წლამდე, როდესაც უკვე კათალიკოსად აბრაამი იქნა არჩეული. მაშასადამე, 604-605 წელსაც დაახლოებით ადრნერსე უკვე ერისმთავრად უნდა ყოფილიყო[3].

[2] E. Такайшвили, Описание, II,724—726; ჯუანშერ *410, 411, 414, 415, გვ. 193—197; სუმბატ, ც˜ა ბაგრ. *572, გვ. 341—342.

[3] *Եր. Տէր-Մինասեանց, Հ. Եկեղ. Յարաբերութիւնները...*, გვ. 137-139, შენიშ. 2 და გვ. 140.

თუ ადრნერსეს მოღვაწეობის დასაწყისის თარიღი დაახლოებით მაინც ირკვევა, მისი ერისმთავრობის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის მკვლევარნი იძულებულნი იყვნენ თავიანთი მოსაზრებანი სათუო და სიმტკიცეს მოკლებულ ცნობებზე დაემყარებინათ. პირველად სახელოვან ქართველ მეცნიერს ბატონიშვილს ვახუშტს მოუხდა სტეფანოსისა, ადრნერსესი და სხვათა ერისმთავრობის ქრონოლოგიური განსაზღვრა. საკმარისია, ადამიანმა მისი წინასიტყვაობის შესაფერისი ადგილი გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, რამდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა ამ შემთხვევაში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი. არავითარი განსაკუთრებული ქრონოლოგიური ცნობები ამ საკითხის გამოსარკვევად მას არ ჰქონია ხელთ, არამედ იძულებული ყოფილა სინქრონურობის, ანუ თანამედროვეობის მეთოდზე დამყარებული „წლის მრიცხველობით“ გამოეანგარიშებინა ყველა ამ ხანის თარიღები[4]. თვით ის მოსაზრებანი, რომელთაც ვახუშტი აიძულეს ჭეშმარიტად სწორედ მისგან განსაზღვრული თარიღები მიეჩნია და არა რომელიმე სხვა წლები, მას თავის თხზულებაში ჩამოთვლილი არა აქვს. სტეფანოს I ერისმთავრობის თარიღად 600—619 წწ. აქვს მიღებული (იქვე, 109), ადარნესესთვის 619—639 წწ. (იქვე 113) და სტეფანოს II-თვის 639—663 წწ. დაუწესებია. ბართოლომე, ე. პახომოვი და უკანასკნელად პროფ. გ. ჩუბინაშვილი ეცადნენ ვახუშტის მიერ შემუშავებული ქრონოლოგია შეესწორებინათ. მაგრამ თუ სტეფანოსისთვის ასე თუ ისე ნუმიზმატიკური ცნობების გამოყენება შეიძლებოდა და გამოყენებული იყო კიდეც, ადრნერსესთვის ამგვარი დასაყრდნობი საფუძველი, ზემოაღნიშნულის გარდა, რომელიც მისი მოღვაწეობის დასაწყისის დათარიღებას გვშველის, არ მოიპოვებოდა. უკვე ამ თარიღს უნდა ცხადეყო, რომ ვახუშტის ქრონოლოგია ურყევი არ იყო. პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ვახუშტისაგან მიღებული ადრნერსეს ერისმთავრობის დასასრულის ინდიკტიონის შესწორებაც სცადა და ფიქრობდა, რომ სტეფანოს II გაერისმთავრებისათვის ვახუშტის დადებული თარიღი 639 წ. ოცი წლით უწინარეს, ანუ 620 წ. უნდა ვიგულისხმოთ. ამის საბუთად მას ქართველი მემატიანის ერთი ცნობა მოჰყავს, რომლის მიხედვითაც ჰერაკლე კეისრის საქართველოში შემოსვლის დროს ადრნერსეს მაგიერ სტეფანოსია[5]. მართლაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სწორედ ასე გვისურათებს მაშინდელი საქმეების ვითარებას (იხ. Описание, II, 724 და 726). მაგრამ მარტო ის გარემოება, რომ ამ მემატიანეს ჰერაკლე კეისრის თანამედროვედ სტეფანოს დიდი, ე. ი. I, მიაჩნია და არა მეორე, როგორც პროფ. გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს[6], ამ ცნობას საეჭვოდ ხდის, მით უმეტეს, რომ უტყუარი საბუთის თანახმად 605—607 წწ. ალმოს. საქართველოს ერისმთავრად ადრნერსეა და არა სტეფანოსი. ცხადია, არც ქართლის მოქცევის შემდგენელს ჰქონია ნამდვილი ცნობები ამ პირთა მთავრობის დროის შესახებ და თავის თხზულებაში დაახლოებით, იქნებ იმავე თანამედროვეობის მეთოდის საშუალებით, ხანის განსაზღვრის დროს შეცდომა მოსვლია. მისი ცნობა სანდრო

---

[4] იხ. ვახუშტის საქართველოს ისტორია I, დ. ბაქრაძის გამოცემული, გვ. IV—V.

[5] მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, „თბ. უნ. მოამბ.“, № 2, გვ. 58—61 და Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha. Untersuchungen zur Gesch, d. georg. Baukunst. Erster Band. Erstes Heft. Tiflis, 1921, გვ. 43—44, 46.

[6] უნდა აღვნიშნო, რომ იგი ადრნერსეს და სტეფანოს I თარიღებით ისე არ იყო დაინტერესებული, რამდენადაც გუარამისით (იხ. მისი ზემოდასახ. თხზულება, 44).

უნდა იყოს, როგორც ეტყობა, მხოლოდ მთავართა ურთიერთშორისი ნათესაობითი დამოკიდებულებისა და ჯვრის ეკლესიის აგების შესახებ.

ადრნერსე განთქმული მთავარი ყოფილა და მის მოღვაწეობაზე სხვაგანაც გვხვდება ცნობა, რომელიც მისი ერისმთავრობის დასასრულის ინდიქტიონის განსაზღვრას უფრო მტკიცე საფუძვლით შეგვაძლებინებს. სომეხთა ისტორიკოს მოსე კალანკატუელს სახელდობრ აღნიშნული აქვს (რასაკვირველია, თავისი ერთ-ერთი უფრო ძველი წყაროს მიხედვით), რომ ალბანთა მთავარი ჯუანშირი სპარსელებთან ბრძოლის დროს დაჭრილი პირველი გამარჯვების შემდგომ ქართველთა საზღვრებში იმყოფებოდა. იქ მასთან მოვიდა კაცი დიდად პატიოსანი, ამ ქვეყნის მმართველი ადრნერსე მთავარი, რომელსაც რომაელთა მეფობისაგან სამმაგი პატივი ჰქონდა. დაჭრილისადმი მოვლა-მზრუნველობის გარდა, მან, თურმე, დაურღვეველი საზავო ურთიერთშორისი ხელშეკრულება დადო და ქართველთა ჯარი მიაშველა ალბანთა მთავარს (...„*Դադարէր դարձեալ. առ սահմանօքն Վրաց: Եւ անդ մեծապատիւ այրն Ատրներսեհ իշխան աշխարհին՝ որ երրեակ զանհրիցութիւն ի Հռովմայեցւոց թագաւորութենէն ունէր, զայր նա և խւրովի պատէր զվէրս նորա մեծի քաջութեան նորա զկաղթութիւն խնդրութիւն համարեալ: Ցայնժամ խաղաղական և անքակ միաբանութիւն հաստատեալ ընդ միմեանս առնոյր յօգնականութիւն զզօրս Վրաց. Պատ. Աղուանից*, ლუკასიანის გამ., 203—204) სომხური საისტორიო წყაროს ცნობა იმ სამმაგი პატივის შესახებ ჩვენთვის ახლა ადვილი გასაგები არ არის და ამის გამო ბუნდოვნად გვეჩვენება, განუმარტავად მაინცდამაინც გამოუდეგარი იქნება.

ბიზანტიაში კეისრები საკარისკაცო პატივებს რომ ურიგებდნენ, ამასთანავე ერთად მათ ყოველწლიურად სარგო ეძლეოდათ, რომელსაც როგა (ῥόγα), ანუ მერმინდელი ქართული გამოთქმით როქი ეწოდებოდა. ზოგჯერ ბიზანტიის მეფეები ერთსა და იმავე პირს ერთბაშად რამდენსამე, ორს ან სამს და მეტს პატივსაც აძლევდნენ ხოლმე, რასაკვირველია, რომ ამ საშუალებით მას უფრო მეტი როქი მიეღო ბიზანტიის სახელმწიფო ხაზინიდან. მაგ., მიხეილ ატტალიოტი იყო პატრიკიოსი და ანთიპატოსი, ამალფიის ჰერცოგი იოანე III სამი პატივით ყოფილა დაჯილდოებული და იწოდება პატრიკიოსად, ანთჳპატოსად და ვესტად[7]. ამგვარადვე კეისარი მიხეილ VII დუკა 1074 წ. რობერტ გვისკარს, რომლის ასულსაც სარძლოდ თხოულობდა, პირდებოდა, რომ მის ერთ-ერთ შვილს ერთბაშად 10 პატივს მისცემდა კურაპალატობიდან მოყოლებული სპათაროკანდიდატამდის, რომ ამგვარად მას ყოველწლივ ბიზანტიის ხაზინიდან 2 კენდინარი მიეღო როქად[8]. სომხური საისტორიო წყაროს ზემომოყვანილი ცნობაც ადრნერსე ერისმთავრის შესახებ სამმაგი პატივის თაობაზე, რომელიც მას ბიზანტიის სამეფოდან მიღებული ჰქონია, უეჭველია, ამგვარადვე უნდა გავიგოთ: ადრნერსეს ერთბაშად სამი პატივი ექნებოდა მოცემული. მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაში იგი ჳპატოსად არის მოხსენებული. ჳპატოსი ლათინური კონსულის ბერძნული შესატყვისობაა, თავდაპირველად რომის სახელმწიფოში დიდ ხელისუფლებად მიჩნეული, იმპერატორობის ხანაში თანდათანობით ჩამოქვეითდა. XI ს-ში ბიზანტიაში იგი მესამე პატივი იყო ქვე-

---

[7] М. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 163.

[8] М. П. Безобразов Материалы для истории Византийской империи, ЖМНПр, 1889, сент., გვ. 25.

ვიდან მოყოლებული[9], ამ დროსაც ჲპატოსობა შედარებით დიდ პატივად ითვლებოდა და მისი წარამარა დარიგება არ შეიძლებოდა. XI ს. ბიზანტიელი დიდებულის დარიგებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბერძენთა მეფეები, თუ არ უცხოელ მეფეთა გვარიშვილებს, ჩვეულებრივ უცხო ქვეყნელებს, გინდაც კარგი შთამომავლობისას, ბიზანტიის სამსახურში მყოფთ პატრიკიოსობასა და ჲპატოსობას არ აძლევდნენ[10]. VII ს-ში, ცხადია, ჲპატოსობას უფრო მეტი მნიშვნელობა და ფასი ექნებოდა.

ამის შემდგომ ცხადი უნდა იყოს, რომ მოსე კალანკატუელის წყაროს ცნობა ადრნერსე ქართველთა მთავრის ბიზანტიის სამეფოდან სამმაგი პატივით დაჯილდოვებულობის შესახებ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რადგან ჲპატოსობა მესამე საფეხური იყო ქვემოდან. ამიტომ ადრნერსეს ჲპატოსობის გარდა პროტოსპათარობა და სპათაროკანდიდატობაც უნდა ჰქონოდა, ე. ი. მართლაც ერთბაშად სამი პატივის მქონებელი ყოფილა.

ასეა თუ ისე მაინც, რაკი სომხურ წყაროში მოხსენებული ადრნერსე ქართველთა მთავარი ბიზანტიის სახელმწიფოს პატივით ყოფილა შემკული და მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაშიც იგი ჲპატოსად, ე. ი. ბერძნული საკარისკიცო პატივით შემკულად არის მოხსენებული, ამიტომ ქართული ეპიგრაფიკული და სომხური საისტორიო წყაროს ცნობები ერთიმეორეს კარგად უდგება.

რადგან ადრნერსე ერისმთავრის მოღვაწეობის დასაწყისის თარიღი დაახლოებით მაინც გამორკვეული გვაქვს, საჭიროა ზემომოყვანილი ცნობის ქრონოლოგიური განსაზღვრაც. თუმცა მოსე კალანკატუელს თარიღი ამ ადგილას დასახელებული არა აქვს, მაგრამ მოთხრობის მიმდინარეობის მიხედვით ამ ამბის ქრონოლოგიურად გამორკვევა მაინც შეიძლება და თვით ავტორსაც ნაგულისხმევი უნდა ჰქონდეს.

ალბანთა ისტორიაში, სახელდობრ, ნათქვამია, რომ იეზდიგერდ სპარსთა მეფის ბატონობის მეექვსე თვეს ჯუანშირი ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფილა (*Պատմ. Աղուանից*, 201).

აქ იეზდიგერდ III იგულისხმება, რომელიც 628—632 წწ. განმავლობაში სპარსეთში გამეფებული ანარქიის შემდგომ, როდესაც 12 შაჰი ავიდა და ჩამოგდებულ-მოკლული იყო სპარსეთში, 632 წ. ერანის ბატონად იქნა არჩეული.

მაშასადამე, 632 წ. ალბანთა მთავარი ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფილა და არაბთა პირველი შემოსევის დროს ბრძოლაშიაც კი მონაწილეობას იღებდა (გვ. 201). ამგვარად, ცხადი ხდება, რომ 633 წ. ჯუანშირი სპარსეთში უნდა ვვეგულებოდეს. მოსე კალანკატუელის ცნობებს თუ დავუჯერებთ, ჯუანშირს ვითომც 7 წელიწადი (*զամս եօթն*) სპარსეთში არაბებთან ბრძოლაში უნდა გაეტარებინოს (იქვე, 202), ე. ი. თითქოს 642 წ-მდე ირანში ყოფილიყოს. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან 642 წ. იეზდიგერდ III არაბთაგან საბოლოოდ დამარცხდა და ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში, როდესაც სპარსეთი უკვე განადგურებული იყო, ძნელი წარმოსადგენელია, რომ სპარსელებს ალბანეთში ჯუანშირთან ბრძოლის უნარი და ხალისი ჰქონდათ. ამიტომ, სა-

---

[9] იქვე, გვ. 25.

[10] В. Васильевский, Советы и разсказы Византийского боярина XI века: ЖМНПр., 1881, август, გვ. 319.

ფიქრებელია, რომ ამ ადგილას სომხურ ტექსტში თავდაპირველად 7 თვე (**ամիսս եօթն**) ეწერებოდა და გადამწერთაგან შემდეგ შეცდომით 7 წლად (**ամս եօթն**) იქცა.

თუ ჩვენი შესწორება სწორია, მაშინ ალბანთა მთავარი ჯუანშირი 633—634 წწ. უკვე თავის სამშობლოში უნდა ვიგულისხმოთ, სადაც იგი, სპარსეთის დასუსტებითა და დაცემით გამხნევებული, უკვე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად იბრძვის (იქვე, 203—205). რამდენადაც სომხური წყაროს სიტყვებიდან ჩანს, სწორედ ამ ხანში, ე. ი. დაახლოებით 634—635 წწ. უნდა მომხდარიყო ადრნერსეს და ჯუანშირის ზემოხსენებული დაზავება და მოკავშირეობა. ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ 634 წ. ადრნერსე ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

მაშასადამე, ადრნერსეს გამოხატულების მქონებელი და მისი წარწერით შემკული მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქანდაკება 604—605 წწ. და 634 წ. შუა უნდა ყოფილიყო გაკეთებული. მაგრამ ამ წარწერაში ამომჭრელი-მოქანდაკე ადრნერსეს ჲპატოსად იხსენიებს, ამისდა მიხედვით შეიძლებოდა ამ წარწერის ქრონოლოგიური განსაზღვრა უფრო ზედმიწევნითაც, ადრნერსეს გაჲპატოსების თარიღი რომ გვცოდნოდა. ამ თვალსაზრისით იქნებ უმნიშვნელო არ იყოს ის გარემოება, რომ ადრნერსე 604—607 წწ. სომეხ-ქართველთა შორის ატეხილ საპაექრო მიწერ-მოწერაში ჲპატოსად არსად იხსენიება. აქედან შესაძლებელია ისეთ დასკვნას დასდგომოდა ადამიანი, რომ 607 წ. ადრნერსე ერისთავს ჲპატოსობის პატივი ბიზანტიის კეისრისგან ჯერ მიღებული არ ჰქონდა, და ამის გამო მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერა 607 წ. უწინარესი არ უნდა ყოფილიყო და 608—634 წწ. შუა უნდა გვეგულისხმებინა ამოჭრილად. მაგრამ რადგან მიწერ-მოწერაში ადრნერსე შეიძლება შემთხვევით არ იყოს ჲპატოსად აღნიშნული ან იმიტომ რომ ჲპატოსობის მოხსენებას სავალდებულოდ არ თვლიდნენ და მისი ერისმთავრობა უფრო საპატიო წოდებულებად მიაჩნდათ, ამიტომ, მეცნიერული სიფრთხილის გამო, თითქოს ემჯობინებოდა, ჯერჯერობით მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ადრნერსეს წარწერა VII ს. პირველ ნახევრისად მიგვეჩნია, ერთი გარემოება რომ გასათვალისწინებელი არ იყოს.

სომეხ-ქართველ კათალიკოსთა მიწერ-მოწერიდან ვიცით, რომ ამ დროს 605—607 წწ. აღმოსავლეთი საქართველო ისევ სპარსეთს ეკუთვნოდა. ამის გამო, რასაკვირველია, ადრნერსე ერისმთავარს ბიზანტიის საპატიო წოდებულობა არც შეიძლება რომ ჰქონდეს და სწორედ ამიტომაც არის, რომ მიწერ-მოწერაში მისი ჲპატოსობის ხსენებაც არ მოიპოვება. ეს გარემოება, მაშასადამე, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 605—607 წწ. საბუთებში ადრნერსეს მარტო მთავრად მოხსენება და მისი ჲპატოსობის აღუნიშვნელობა შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, არამედ მაშინდელ საქმეთა ვითარების ნამდვილ გამოხატულობას უნდა წარმოადგენდეს.

თუ ეს მართალია, მაშინ ისიც ადვილი გამოსაცნობი გვექნება, თუ როდის შეიძლება, რომ ადრნერსე ერისმთავარს ჲპატოსობა მიეღო. ცხადია, ჲპატოსობა ადრნერსესთვის ჰერაკლე კეისარს უნდა მიეცა მაშინ, როდესაც მან აღმოსავლეთი საქართველო და თბილისი სპარსელებს გამოჰგლიჯა ხელიდან, ე. ი. 626 წლის ახლო ხანებში.

მაშასადამე, ჯ ვ რ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ა დ რ ნ ე რ ს ე ს წ ა რ წ ე რ ა დაახლოებით 626—634 წწ. უნდა ეკუთვნოდეს.

ახლა მცხეთის ჯვრის ეკლესიის დანარჩენი წარწერებია ქრონოლოგიურად განსასაზღვრავი. ჯვრის ეკლესიის ნამდვილი აღმშენებელი სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი და დემეტრე ჰპატოსი ძმები ყოფილან (მქ˜ცდ ქ˜ დ: Опис., II, 724). მართალია, ეს საქმე გუარამ ერისთავს დაუწყია, მაგრამ, მემატიანის სიტყვით, მან მხოლოდ „დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯ˜ დ" (იქვე), თვით შენობის აგებას კი სტეფანოს პატრიკიოსი შესდგომია. პროფ. გ. ჩუბინაშვილი თავის ზემოხსენებულს თხზულებაში გვარამს პატარა ეკლესიის აღმაშენებლადა თვლის.

სტეფანოსის სახელით შემკული ვერცხლის ფულები, ერთი მხრით, ჰორმუზდ IV-ის (579—590) მეფობის უკანასკნელი წლის, 590 წლის, ფულის მიმბაძველობას წარმოადგენს, მეორე მხრით — ხოსრო II-ის (590—629) ფულს მიაგავსო. ქართული ფულების უკანასკნელი მკვლევარი ე. პახომოვი ფულების ამ ორ ჯგუფს ორ სხვადასხვა მთავრის სტეფანოს I და II-ის ფულებად თვლის[11]. პროფ. გ. ჩუბინაშვილი პახომოვის საბუთიანობას არღვევს და ფულების ორივე ჯგუფს, ერთისა და იმავე მთავრის, სტეფანოს I-ისად ცნობს[12]. ასეა თუ ისე, სტეფანოს I, ფულების პირველი ჯგუფის მიხედვით, 590—591 წწ. ქართლის მთავრად შეიძლება ვიგულისხმოთ. ხოლო როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, დაახლოებით 604—605 წწ. მაინცდამაინც უკვე 606 წლამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მთავართა სათავეში სტეფანოსი აღარა ჩანს და ადრნერსე იხსენიება. მაშასადამე, სტეფანოს I-ის ერისმთავრობა სულ ცოტა 591 წლიდან უნდა ვიანგარიშოთ 604—605 წლამდე.

მცხეთის ჯვრის ეკლესიის სტეფანოსის წარწერის ქრონოლოგიურად განსაზღვრისათვის, რასაკვირველია, მისი წოდებულების გამოყენებაც შეიძლება: აქ იგი ქართლის პატრიკიოსად იხსენიება. ცხადია, რომ ამ წოდებულების მიღება მას მხოლოდ ბიზანტიის კეისრისგან შეეძლო იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ბიზანტიის მეფის მფარველობის ქვეშ მოექცა, ე. ი. 591—604 წწ. შუა[13]. უფრო საფიქრებელია, რომ კეისარ მავრიკიოსს სტეფანოსისათვის იბერიის დაპატრონების პირველ ხანებშივე მიეცა პატრიკიოსის წოდებულება მისი გულის მოსაგებად. ამის გამო სტეფანოსის წარწერა დაახლოებით 591—600 წწ. უნდა იყოს ამოჭრილი.

საფიქრებელია, რომ ბიზანტიის კეისარს იმავე დროს, როდესაც სტეფანოსისათვის პატრიკიოსობა მიუცია, მისი ძმის დემეტრესთვის ჰპატოსობა ეწყალობებინოს. ჰპატოსობა პატრიკიოსობაზე ერთი საფეხურით უფრო დაბლა იდგა. მაშასადამე, დემეტრეს წარწერაც დაახლოებით იმავე ხანას, VI ს. უკანასკნელ ათეულს უნდა ეკუთვნოდეს.

გამოსარკვევი გვაქვს ახლა მხოლოდ ქობულ-სტეფანეს წარწერის თარიღი. მცხეთის ჯვრის ეკლესიის ეს წარწერა, უეჭველია, ყველაზე უფრო მერმინდელია. გამოქანდაკებულ პირს ორი სახელი ჰქონია, ერთი (ქობულ) ამ პირის ჩვეულებრივი წარმართული სახელი უნდა იყოს, ხოლო მეორე ქრისტი-

---

[11] Е. Пахомов. Монеты Грузии, I: отд. отт. из IV вып. I тома Записок Нумизм. Отд. Русск. Арх. Обш. СПб. 1910, გვ. 28—29 და 30—36.

[12] მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი: თბ. უნივ. მოამბე, II, 59—60; Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha, Untersuchungen zur Cesch. d. georg. Baukunst. Ersler Band, Ersles Heft, Tiflis, 1921, 42.

[13] ივ. ჯავახიშვილი, ქ˜ლი ერის ისტორია, I², 214—215.

ანული (სტეფანე) მისი ნათლობის სახელი იქნება. ზემოაღნიშნულ ქართველ ისტორიკოსთა ცნობითაც მცხეთის ჯვრის აგებაში ორ სტეფანოსს მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან მეორე ადრნერსეს შვილად არის აღნიშნული. საყურადღებოა, რომ ისტორიკოს ჯუანშერის სიტყვით, სტეფანოს ადრნერსეს ძეს, როცა ჯვრის ეკლესია დაუმთავრებია, დღესასწაულებიც დაუწესებია. იმ სადღესასწაულო კრებათა შორის, რომელსაც წინაშე პატიოსნისა ჯუარისა იხდიდნენ, ერთი, თურმე, ყოველთა სამშაბათთა ყოფილა, როდესაც დაუწესებიათ ქსენება პირველ მოწამისა სტეფანესი და სხვა მოწამეთა (ც˜ჲ ვახტანგ გურგასლისაჲ, *415, გვ. 197). აღსანიშნავია, რომ ჯვრის ეკლესიის ქანდაკებაზე ქობულ-სტეფანეც სწორედ პირველ მოწამე სტეფანეს წინაში მეედრებლად არის გამოყვანილი. ეს გარემოება ქობულფსტეფანესა და ისტორიკოსთა სტეფანოსის ერთისა და იგივეობის დამამტკიცებელი უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ ქობულ-სტეფანეს არც წარწერაში აქვს რაიმე ბიზანტიური პატივი და არც ქანდაკებით არის სხვებივით წამოსასხამით გამოხატული. უეჭველია, ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სტეფანე მართლაც არავითარი ბიზანტიური პატივით დაჯილდოვებული არ უნდა ყოფილიყო. რადგან ადრნერსე ჰპატოსის წარწერა, როგორც დავრწმუნდით 624—634 წწ. შუა უნდა იყოს ამოჭრილი, ქობულ-სტეფანეს წარწერა უფრო მერმინდლად არის საფიქრებელი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"[14] და დანარჩენი ქართული წყაროები ამ სტეფანოსს არაბთა სპარსეთსა და საქართველოში შემოსევის თანამედროვედა თვლიან და, ვგონებ, ეს მართალიც უნდა იყოს. შესაძლებელია, ამითვე აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ქობულ-სტეფანეს არავითარი ბიზანტიური პატივი აღარ ამშვენებდა; ბიზანტიის მფარველობა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მოსპობილი იყო. ყველა ზემოთქმულის შემდგომ ვგონებ შესაძლებელი უნდა იყოს დავასკვნათ, რომ ქობულ-სტეფანეს წარწერა დაახლოებით VII საუკუნის შუა წლებს უნდა ეკუთვნოდეს.

დასასრულ, მცხეთის ჯვრის ეკლესიის თემისტიას წარწერის შესახებ, რომელიც ამ ეკლესიის სამხრეთის ფრთის კარის ამყოლის ზემოთა ქვაზეა შიგნით მრგვლოვანი ასომთავრულითვე ამოჭრილი[15] და ასე იკითხება:

1. ქ. წყ[ალ]ობითა [ღ]ჲთა და შეწევ⌈ნ⌉[ი]
2. თა ჯოჳარისაჲთა[16] მე თემისტია მჴ
3. ევალმან ქ˜ჱსმან ალვაშჱნე საყო
4. ფელი ესე საჴსენებელად სოჳლისა
5. ჩემისა თავყანისაცემელად დე
6. დათა

ამ წარწერის თემისტია მჴევალი ქრისტჱსი ისტორიაში ჯერჯერობით უცნობი პირია. მისი წოდებულება „მჴევალი ქრისტჱსი" უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის შესაძლებელია მოლოზანი ყოფილიყოს. ამ წარწერის დასათარიღებლად აღსანიშნავია, რომ მცხეთის ჯვრის წარწერათაგან ეს წარწერა ერთადერთია, რომელშიაც წარწერის ამომჭრევინებელი თავის თაჳზე როგორც

---

[14] ე. თაყაიშვილი, Опис., II, 726.

[15] რაკი ჩემი გადმონაწერი დამეკარგა, ვსარგებლობ პროფ. გ. ჩუბინაშვილის პალეოგრაფიული ხასიათის დამცველი გადმონაწერით, რომლის გადმოცემისათვის გულითად მადლობას მოვახსენებ. და ამას გარდა, საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტის მიერ გადმოღებული პალეოგრაფიული პირით, რომელიც საქ. საისტ. საზოგ. მუზეუმში ინახება.

[16] მარცვალი „თა" სტრიქონს ზევით არის ამოჭრილი.

აღმაშენებელზე ლაპარაკობს: „მე თემისტია მჴევალმან ქრისტჱსმან აღვაშჱნე საყოფელი ესე“-ო, — თანაც თავისი ნამუშაკევის მიზანიც დასახელებული აქვს: „საკსენებელად სოჳლისა ჩემისა, თავყანის[ს]აცემელად დედათა“-ო. მართალია, თემისტიას ნათქვამი აქვს „საყოფელი ესე“-ო და არა ეკლესია, მაგრამ რადგან ეს შენობა ერთ მთლიან და ერთდროულ შენებულებას წარმოადგენს, ამით ცხადი ხდება, რომ თემისტიას წარწერა მცხეთის ჯვრის ეკლესიის პირვანდელი აღშენების დროისაა და იმავე დროს ეკუთვნის, რა დროსაც ამ ეკლესიის უძველესი, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსისა და დემეტრე ჳპატოსის წარწერებია, ე. ი. VI ს. უკანასკნელ ათეულს.

რაკი თემისტია მჴევალი ქრისტჱსი თავის თავს ამშენებლად იხსენიებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სტეფანოზისა და სხვათა, მოლოზნად შემდგარი, მახლობელი პირი იყო.

პალეოგრაფიულად მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერების დამახასიათებელ თვისებად თავშეკრული ვ და ყ უნდა იქნეს ცნობილი. ასეა ყველა წარწერაში. თემისტიის წარწერაში ამას გარდა ბ-ანიც თავშეკრულია. ხოლო ქობულ-სტეფანეს VII ს. პირველი ნახევრის წარწერაში ბ ოდნავ თავგახსნილი არის.

ენის მხრივ დამახასიათებელია, რომ დემეტრე ჳპატოსის 591—600 წწ. ამოჭრილ წარწერაში მესამე პირის ობიექტურ თავსართად ნახმარია „ხ“-ანი, ხოლო ადრნერსე ჳპატოსის 626—634 წწ. წარწერაში ეს „ხ“-ანი უკვე აღარა ჩანს.

მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერათა შემდგომ უნდა ბოლნისის სიონის სარკმლის თავზე გამოკვეთილ წარწერას შევეხოთ. ამ წარწერაში ნათქვამია: „ქ̃ე დ̃თ ეპ[ისკ]ოპო[ს]ი კრებულითურთ... შეიწყალენ და მ[შ]რომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“-ო. ვინ არის ეს დავით ეპისკოპოსი, აქ ნათქვამი არ არის, მაგრამ, უეჭველია, იგი ბოლნელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

ის შესთხოვს ქრისტეს, რომ მშრომელთა ამ ეკლესიაში, ალბათ, მომუშავეთ, შეეწიოს. თითონ დავით ბოლნელი ეპისკოპოსი კრებულითურთ, როგორც ეტყობა, მათ ჯგუფს არ ეკუთვნის, არც ისა ჩანს, რომ აღმაშენებელი იყოს. წარწერის შინაარსი თითქოს უფრო უკვე არსებულს საყდარში მუშაობას (ეკლესიასა შინა) გულისხმობს, ეგების გასამშვენიერებლად ნაწარმოებს. მაინცდამაინც ქართლის მოქცევის მატიანეს გარკვევით აქვს ნათქვამი, თუ ვინ იყო ბოლნისის ეკლესიის აღმაშენებელი. მას სახელდობრ უწერია: „მეფობდა ზაკურ ძჱ თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო ელია: და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნის“-საო[17]. მაშასადამე, ბოლნისის ეკლესიის აღმაშენებლად IX ს. მემატიანეს ელია მთავარ-ეპისკოპოსი ჰყავდა მიჩნეული და არა დავით ეპისკოპოსი. მართალია, ქართველ ისტორიკოსთა შორის ამის შესახებ, როგორც ეტყობა, თანხმობა არ ყოფილა და XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი ელიას მხოლოდ რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიების აღმშენებლად თვლის, ხოლო, მისი სიტყვით, „აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“ ფარსმან მეფემ ელიას

[17] Е. Такайшвили, Опис. рукописей... II, 721.

მოადგილის სუიმონის მთავარ-ეპისკოპოსობის დროს (ც˝ა მეფეთა *292, გვ. 115—116), ქრონოლოგიურად ამ ორი ისტორიკოსის განსხვავებულ ცნობათა შორის მაინც მცირე მანძილია. თუმცა ამ ხანის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური საკითხები ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, მაგრამ რადგან ფარსმანი V ს. დამდეგს მეფობდა[18], ამიტომ ბოლნისის ეკლესიის თავდაპირველი აგების თარიღი, ისე როგორც ქართველ ისტორიკოსებს საქმის ვითარება წარმოდგენილი ჰქონიათ, დაახლოებით მაინც ირკვევა: სახელდობრ, V ს. დასაწყისი უნდა ვიგულისხმოთ. ამგვარად, თითქმის ცხადი უნდა იყოს, რომ დავით ეპისკოპოსისმიერი ბოლნისის სიონის წარწერა ამ საყდრის თავდაპირველი აგების ამბვის მომთხრობელი ძეგლი არ უნდა იყოს. მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი მაინც ძალიან ძველია. სხვასაც რომ დავანებოთ, მარტო ყ, ჳ და მეტადრე ბ ასოთა მოხაზულობა, იმგვარადვე როგორც თვით წარწერის ენა, ბოლნისის ამ წარწერას მცხეთის ჯვრის ეკლესიის უძველესი წარწერების მონათესავედ ხდის.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ეს საკმარისი არ არის და, უეჭველია, ამ წარწერის უფრო ზედმიწევნითი დათარიღებაა საჭირო. რაკი წარწერის ავტორი დავითი ბოლნისის ეპისკოპოსი ყოფილა, ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს მისი მოღვაწეობის ხანა გამოვარკვიოთ.

იმ საეკლესიო კრების ძეგლისწერას, რომელიც კავად სპარსთა მეფის დროს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართლისა კათალიკოსის მეთაურობითა და ორივე ეკლესიის წარმომადგენელთა თანადასწრებით მოხდა ქალკიდონის კრების აღსარების უარსაყოფელად, ქართველ ეპისკოპოსთაგან, სხვათა შორის, ხელს აწერდა დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა ***«Դաւիթ Եպիսկոպոս Բողնիսոյ»***: (***Գիրք Թղթոց***, გვ. 183). უნებლიეთ იბადება აზრი, რომ შესაძლებელია ეს სწორედ ის დავით ბოლნისის ეპისკოპოსი იყოს, რომელმაც ზემოაღნიშნული წარწერა ამოაჭრევინა. რასაკვირველია, ბოლნელ ეპისკოპოსთა შორის დავითი შეიძლება სხვაც ყოფილიყოს, და სრული უეჭველობით ბოლნისის წარწერის დავით ეპისკოპოსისა და სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილე დავით ბოლნელის იგივეობის დამტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია.

მაგრამ თითქმის საუკუნე ნახევრის განმავლობაში მყოფ ცურტავის 11 ეპისკოპოსთა შორის მხოლოდ ორსა ჰქონია ერთი და იგივე სახელი და ისიც ერთიმეორისაგან ცოტად მაინც განსხვავებული, ჲოჰან და ჲოჰანე და მათ შორის არც ერთს დავითი არა ჰრქმევია (***Գիրք Թղթոց*** 178). სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთაგანაც მარტო ორი ყოფილა სეხნა და ორსავე იოსები ჰრქმევიათ, თუ რომ აქ გადამწერის შეცდომა არ არის (იქვე, 182—183). ამგვარადვე ოთხი საუკუნის განმავლობაში მყოფ ქართველთა ეკლესიის მწყემსმთავართაგან, მრავალ მთავარ-ეპისკოპოს-კათალიკოსთა შორის, როგორც ქართლის მოქცევის მატიანის ცნობებიდან ჩანს, მხოლოდ სამოველის სახელი გვხვდება ხშირად, სახელდობრ — 9-ჯერ, პეტრე და იოვანე — 3-ჯერ, იოველ, მიქაელ, არსენი, თავფაჩაგ, გიორგი და გრიგოლ — 2-ჯერ, დანარჩენი სახელები, მათ შორის დავითიც, მარტო

[18] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 184.

ერთხელ არის. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ მწყემსმთავართა შორის მაშინდელ საქართველოში ერთგვარი სახელი ხშირი არ უნდა ყოფილიყო და კერძოდ დავითის სახელი უძველეს ხანაში ისე გავრცელებული არ ყოფილა, როგორც შემდეგში, როდესაც ბაგრატონიანთა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისაგან ჩამომავლობის რწმენა განმტკიცდა. ამის გამო დავით ეპისკოპოსი შეიძლება მართლაც სომეხ-ქართველთა კრების დამსწრე დავით ბოლნელი ეპისკოპოსი იყოს.

თვით იმ კრების თარიღი, რომელზედაც სომეხთა და ქართველთა ეკლესიის წარმომადგენლებმა ქალკიდონის მოძღვრება უარყვეს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეში დასახელებული არ არის (Գիրք Թղթոց, 182—3), მაგრამ, რადგან 506 წ. დვინში მომხდარი კრების დროს სპარსეთის ქრისტიანების მიმართ დაწერილ წერილში ბაბგენ სომეხთა კათალიკოსი ქართველთა, სომეხთა, ალბანთა და ბერძნების სარწმუნოებრივ თანხმობაზე ლაპარაკობს (იქვე, 43, 45 და 46), ამიტომ ალბანელ-ქართველ-სომეხთა შეერთებული საეკლესიო კრება ან 506 წ. ცოტა უწინარეს უნდა მომხდარიყო, ან, როგორც ერვ. ტერმინასიანცი ამტკიცებს, იქნება თვით იმავე დვინის კრების დროსვე[19].

რაკი დავით ეპისკოპოსი სხვა ქართველებთან ერთად, ვითარცა ბოლნელი მღვდელმთავარი, ამ 505—506 წწ. საეკლესიო კრების მონაწილე ყოფილა, ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ი ო ნ ი ს ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ლ ი ს კ ო ნ ქ ი ს წ ა რ წ ე რ ა უ ნ დ ა ა ნ V ს. დ ა მ ლ ე ვ ს, ა ნ VI ს. დ ა მ დ ე გ ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ე ს, მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც VI ს. პ ი რ ვ ე ლ მ ე ო თ ხ ე დ ზ ე უ გ ვ ი ა ნ ე ს ი ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს[20]. უკვე 1908 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века" (ИАН, 1908, გვ. 445—446) შევეხე აბრაამ და კირიონ კათალიკოსების მიწერ-მოწერის ეჭვმიუტანლობის საკითხს და კრიტიკული განხილვის შემდგომ იმ აზრს დავადგი, რომ მიწერ-მოწერა სანდოა, ერთი საბუთის გარდა. იქვე მე აღნიშნული მაქვს, რომ დვინის კრების შესახები სომხური საბუთები დედნები არ არის. მაგრამ აბრაამ კათალიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ ბერძნული ტექსტიც დვინის კრების დროინდელი უნდა ყოფილიყო და სომხეთიდან მიღებული ყოფილა („Քանզի եւ նոքա ուսեալ են ի մէնջ". Գիրք Թղթոց, 183) იმგვარადვე, როგორც ქართველებსაც ამ კრების ძეგლისწერა ქართულად ჰქონიათ, ან უნდა ჰქონოდათ (იქვე). რადგან კრების მონაწილენი, და მეტადრე სომხები, დვინის კრების დადგენილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ, როგორც ჩანს, მისი სრული ძეგლისწერა ბერძნულად ნაწერიც მეზობელ ქრისტიან ერებსაც დაუგზავნეს. აბრაამ კათალიკოსის დროინდელი ცნობა რომ სომხური თავდაპირველ დედანს არ წარმო-

---

[19] *Ն. Տէր-Մինասեանց. Հայոց եկեղեցւոյ յարաբերութիւնները...*, ეჩმიაძინი, 1908, გვ. 65—70.

[20] პროფ. გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონის აგების თარიღად დაახლოებით 503—523 წწ. თვლის, მაგრამ აღნიშნული არა აქვს, თუ რა მოსაზრებით (Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst I. Erstes Heft. Kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha, Tiflis, 1921, გვ. 24). იმავე შრომაში, რომელიც დაბეჭდილია ქართულად თბილისის უნივერ. „მოამბის" მე-2 ნომერში, ბოლნისის სიონი დასახელებულია უძველეს ტაძრად, მაგრამ მისი აღშენების თარიღი ნაჩვენები არ არის: „მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი", გვ. 45.

ადგენს, არამედ თარგმანს, რომლის ნაკლს არც აბრაამ კათალიკოსი უარყოფს, მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ ამ საბუთის ცნობა სწორი არ არის. ამისათვის ამ ცნობების არსებითად განხილვაა საჭირო და მათი უვარგისობის დამტკიცება.

ამ ერთი მაგალითის გარდა, როდესაც დვინის 506 წ. საეკლესიო კრების დამსწრედ მოხსენებული ეპისკოპოსის სახელი სწორედ ამ საეპისკოპოსოს მღვდელმთავართა შორის ამ სახელის მქონებელი მართლაც აღმოჩნდა. ამავე დამსწრეთა სიის სისწორისა და სანდოობის დასამტკიცებლად შეიძლება შემდეგი გარემოებაც იყოს აღნიშნული. აბრაამ კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში 506 წ. დვინის კრების ძეგლისწერისათვის ხელი, სხვათა შორის, ჲაკობ ცურტავის ეპისკოპოსსაც მოუწერია (Գիրք Թղթոց, 183). კირიონ ქართლისა კათალიკოსის მეორე საპასუხო ეპისტოლეში მოყვანილია ცურტაველ ეპისკოპოსთა სია შუშანიკის დროიდან მოყოლებული VII ს. დამდეგამდის და მეხუთე ეპისკოპოსად იქ მართლაც ჲაკობია დასახელებული (იქვე, 178). ხოლო რომ თვით კირიონ კათალიკოსის ეს სიაც სწორია და სრულებით სანდო, ამას ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ კირიონს შუშანიკის თანამედროვე ეპისკოპოსად Ափոց „აფოცი" ჰყავს დასახელებული, რომელიც შუშანიკის მოძღვრისა და მისი მარტვლობის აღმწერელის იაკობ ხუცესის ნაწარმოებშიც მართლაც შუშანიკის თანამედროვედ 468—474 წწ. იხსენიება „აფუტ"-ის სახელით (იხ. ს. გორგაძის 1917 წ. გამოცემის გვ. 3, 10, 21 და 22). რაკი სომხურად ց „ც" და տ „ტ" ერთიმეორეს არ მიაგავს, ქართულ ხუცურ დამწერლობაში კი „ც" და „ტ" ერთიმეორეს ძალიან მიაგვანან და ამიტომ ამ ნიადაგზე გადამწერლებს შეცდომები ხშირად მოსდიოდათ, ცხადია, რომ შუშანიკის თანამედროვე ცურტაველი ეპისკოპოსის სახელის სწორი მართლწერა Գիրք Թղթոց — „ეპისტოლეთა წიგნში" ჩართულ კირიონ ქართლისა კათალიკოსის მეორე საპასუხო წერილში უნდა იყოს დაცული. ამგვარად, აბრაამ და კირიონ კათალიკოსების მიწერ-მოწერა სანდო საისტორიო წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული.

ახლა რომ ბოლნისის 506 წ. ახლო ხანის წარწერები პალეოგრაფიულად დავახასიათოთ, უნდა აღინიშნოს, რომ იქაც ხ, ჴ და ყ, ისევე როგორც უძველეს მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერებშიაც, თავშეკრულები იწერება. ხოლო ენის მხრით ბოლნისის წარწერებიც, მცხეთის ჯვრის დემეტრე ჳპატოსის 591—600 წწ. წარწერის მსგავსად, ე. წ. ხანმეტობის თვისებისანი არიან.

1907 წ. ატენის ხეობაში მოგზაურობის დროს სოფ. ატენისა და მდ. ტანის პირას ამართულ მთის ფერდობზე ნასახლართა შუა, ტყეში ნათლისმცემლის უგუმბათო პატარა ეკლესიაში ჯვრის ქვის წარწერიანი კვარცხლბეკი ვნახე, რომელმაც თავისი პალეოგრაფიული თვისებებისა და წარწერის ამომჭრევინებლის სახელის ძველი ფორმით ჩემი ყურადღება მიიპყრო. წარწერა ფოტოგრაფიულადაც გადმოვიღე და გადმოვწერე კიდეც. თვით კვარცხლბეკის თბილისში საქართველოს საისტორიო საზოგადოების მუზეუმში ჩამოტანა მინდოდა, მაგრამ მაშინ ასეთი ძეგლის ეკლესიიდან დაძვრა შეუძლებელი შეიქნა. ამ ბოლო წლებში კი იქ საისტორიო საზოგადოებისაგან ძეგლების ჩამოსატანად გაგზავნილს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტს გაბრ. ჩაჩანიძეს ავუ-

ხსენი იმ ეკლესიისა და ძეგლის ამბავი და ვთხოვე, რომ ჯვრის ეს შესანიშნავი კვარცხლბეკი ატენიდან თბილისში ჩამოეტანა, რაც შესრულებულ იქნა კიდეც და ამჟამად ეს ძეგლი თბილისის უნივერსიტეტის ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება. წარწერა ისეა ამოჭრილი, რომ გარშემო ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულის შთაბეჭდილებას ახდენს, თვით შუაგული კი უფრო დადაბლებულია და ამ დადაბლებულ შუაგულზეა ამოჭრილი. იგი მრგვლოვანი ხუცური ასომთავრულით არის გამოყვანილი, სულ 8 სტრიქონს შეიცავს და ასე იკითხება:

1. ესე ჯ̃ი ქ̃ტსჲ მე ვ̃ეჟან ატნ̃ლ მხ̃ლნ
2. ალვმართე შესავედრებელად და ს
3. აჳსრად სოჳლისა ჩემისა და
4. ყ̃ლთა თჳს თავყოჳანისმცე
5. მელთა ქ̃ტჲსთა. ქ̃ტე ყ̃ლნი შეგ
6. ჳწყალენ ძ̃თა ჯ̃ისა შ̃ნჲთა ა̃ნ
7. ი̃ყნ და რ̃თა აღმოიკითხოთ მე ვე
8. [ჟ]ა[ნ] ცდ̃ლი ლოცვას მიჳსენ[ეთ]

ანუ ქარაგმა-გახსნილი

1. ესე ჯ̃ი ქრისტჱსაჲ მე ვეჟან ატენელ მამასახლისმან
2. ალვმართე შესავედრებელად და ს
3. აჳსრად სოჳლისა ჩემისა და
4. ყოველთა თჳს თავყოჳანისმცე
5. მელთა ქრისტეჲსთა. ქრისტე ყოველნი შეგ
6. ჳწყალენ ძალითა ჯ̃ისა შენისაჲთა ამჱნ
7. იყავნ და რომელთა აღმოიკითხოთ მე ვე
8. ჟან ცოდვილი ლოცვასა მიჳსენეთ.

ამ წარწერის თავისებურებას ასოებს ზევით მეტად გრძელი განივი ხაზის ხმარება შეადგენს ქარაგმის მაგიერ იქაც კი, სადაც სიტყვები სრულად არის დაწერილი და არავითარი ქარაგმა საჭირო არაა. ამის გამო წარწერა ერთი შეხედვით სტრიქონებად დახაზულის შთაბეჭდილებას ახდენს. პალეოგრაფიულად კი იგი საყურადღებოა თავისი ოდნავ თავგახსნილი ბ-ანით, ისე როგორც მცხეთის ჯვრის ეკლესიის სტეფანეს წარწერაში, და თავისი თავშეკრული ჳ და ჟ-არით, როგორც ეს ასოები იმავე მცხეთის ჯვრის სხვა წარწერებშიაც არის გამოყვანილი.

კვარცხლბეკი ჯვრითურთ აღუმართავს და წარწერაც „ვეჟან ატენელს" ამოუჭრევინებია. ამ ორ სიტყვას თანამდებობის აღმნიშვნელი დაქარაგმებული სახელი მოსდევს „მხლნ", რომელიც შეუძლებელია „მოხელემან"-ის შემოკლება იყოს. რადგან მაშინ დაქარაგმებულში ეწერებოდა „მკლნ", ამიტომ უგების ეს დაქარაგმებული სიტყვა „მამასახლისმან"-ს უდრიდეს, თუმცა ასე დაქარაგმება არაჩვეულებრივი იქნებოდა და არის.

მეტად საყურადღებოა წარწერის ამომჭრევინებლის სახელი „ვეჟან". თვით ამ სახელის „ვეჟან"-ის ფორმა ამ წარწერის დასათარიღებლად ერთგვარ საფუძველსა და საშუალებას გვაძლევს. სახელი „ვეჟან" ძველი სპარსულია, სახელდობრ, მისი ფაჰლაური ფორმა და გამოთქმაა. შემდეგ ამის მაგიერ ეს სახელი „ბეჟან"-ად გამოითქმოდა ისე, როგორც ქართულში ახლაც მიღებულია. ფირდოუსის შაჰ-ნამეში სწორედ ეს უკანასკნელი „ბეჟან" بيژن ფორ-

მაა ნახმარი, რადგან ფირდოუსის ნაწარმოები ახალი სპარსული ენით არის დაწერილი (ვეჟან — ბეჟან-ის სახელის შესახებ იხ. Ferd. Justi-ს Iranisches Namenbuch, გვ. 367). მაგრამ უკვე სომხურ უსახელო გეოგრაფიაში ეს სახელი „ბ-იჟან“-ის სახეობით გვევლინება (*Առոսփիձան* <*Առոս—Բիձան*, იხ. Arsène Soukry გამ. Géogr. de Moise de Corène, გვ. 33). VI ს. დამლევის ქართულ ძეგლში, „ევსტათე მცხეთელის მარტვლობა“-ში სწორედ ამ უძველესი, ფაჰლაური ფორმით გვხვდება ეს სახელი. იქ, სხვათა შორის, იხსენიება ვეჟან ბუზმიჰრი.

„ვეჟან“ ფორმის მიხედვით ეს წარწერა ძნელი დასაჯერებელია, რომ IX ს-ზე გვიანი იყოს, რადგან ამ დროს უკვე „ბეჟან“ ფორმაა მოსალოდნელი. მეორე მხრით, პალეოგრაფიულად ვეჟან ატენელის წარწერა საყურადღებოა თავისი ოდნავ თავგახსნილი „ბ“-ანითა და სრულებით თავშეკრული „ჳ“ და „ყ“-არით. დამწერლობის ამ თავისი თვისებებით მცხეთის ჯვრის ეკლესიის VII ს. წარწერებს ენათესავება. სამწუხაროდ, ვეჟან ატენელის წარწერაში არც ერთი ისეთი ფორმა არ არის ნახმარი, რომ ენის მხრით მნიშვნელოვანი საკითხის ხანმეტობის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ რისიმე თქმა შეიძლებოდეს.

ენის მხრით ყურადღ. ას იპყრობს მხოლოდ ფორმა „თავყოჳანისმცემელთა“ ძველი და უფრო სწორი ფორმის „თავყანისმცემელთა“-ს მაგიერ. ეს გარემოება ამ წარწერას იმ დროისად გვაფიქრებინებს, როდესაც ძველი, თუნდ V—VI სს. ძეგლთა ენის ნორმები უკვე ირღვეოდა. ამიტომ იგი VII ს. დამლევისა, ანდა უფრო VIII ს-ად არის მისაჩნევი[21].

შემდეგ ქრონოლოგიურად მისდევს ატენის სიონის შიგნითი კედლის წარწერა ბუღა თურქის შემოსევის შესახებ, რომელიც 853 წ. არის გამოყვანილი. ეს 6-სტრიქონიანი წარწერა ყალმით უნდა იყოს დაწერილი და ასოთა საერთო იერით იმდენად ეპიგრაფიკის ძეგლი არ არის, რამდენადაც ხელით ნაწერთა თვისებების მქონებელია. ძეგლი იმდროინდელი ქართლის დამწერლობის გამომხატველია. ეს წარწერა პალეოგრაფიულად იმით არის საყურადღებო, რომ „ბ“, ისევე როგორც „ჳ“ და „ყ“, ყველგან სრულებით თავგახსნილი იწერება.

შემდეგ უნდა ს. ხუნამისში ნაპოვნი ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული და ქვის ემბაზად მიჩნეული ძეგლის წარწერა იქნეს დასახელებული. ამ წარწერას თარიღი აქვს და ე. თაყაიშვილს „პგ“, ან „პიΘ“ ქრონიკონად აქვს წაკითხული და ამისდა მიხედვით 863 ან 878—879 წწ. მიაჩნია (Арх. экскурсии III, 7). აკ. შანიძემ ეს წარწერა სრულად ამოიკითხა და საქ. საისტ. საზოგადოების 1923 წ. სხდომაზე ჯვრის ქვის კვარცხლბეკად ცნო. თარიღის წანაკითხშიაც შეტანილმა შესწორებამ ეს წარწერა 115 ქრონიკონის, ანუ 895 წლისად წარმოგვიდგინა. ამ წარწერის ენა ჩვეულებრივია ამ ხანისათვის, ხოლო პალეოგრაფიულად აღსანიშნავია სრულებით თავგახსნილი „ბ“, „ჳ“ და „ყ“ წარწერაში არ გვხვდება.

[21] ვეჟან ატენელის წარწერა დაიბეჭდა „საისტორიო მოამბის“ 1925 წ. № 1-ში (გვ. 260—261) სტუდ. გაბ. ჩაჩანიძისაგან ზემომოყვანილ გარემოებათა მოუხსენებლივ, რადგან ამ ორგანოს რედაქტორს ს. კაკაბაძეს ამ ცნობების შემცველი ადგილი ბეჭდვის დროს, როგორც „ზედმეტი“, სრულიად ამოუშლია. ამის აღნიშვნა მხოლოდ იმიტომ შეიქნა აუცილებელი, რომ საქმის ვითარების უცოდინარს წარწერის შესახები ზემომოყვანილი ცნობები ამ წიგნის ავტორის მხრივ გამეორებად არ ეჩვენოს.

ო შ კ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ტ ა ძ რ ი ს წ ა რ წ ე რ ი ს დასათარიღებლად ჩვენ სამი ისტორიული პირის სახელი და მათი თანამდებობა უნდა გამოვიყენოთ. იქ იხსენებიან: ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთაერისთავი და დავით მაგისტროსი. აკად. მ. ბროსეც ამავე გზით არკვევდა ამ წარწერის თარიღს და ადარნერსე მან ადარნესე მეფედ მიიჩნია, რომლის მეფობას 881—923 წწ. სდებდა, — ბაგრატი მის შვილ მეფე-კურაპალატ ბაგრატად, რომელიც 945 წ. გარდაიცვალა. დავით მაგისტროსი ის დავით მაგისტროს-კურაპალატია, რომელიც 958 წ. მოკვდაო. ამიტომ ოშკის ტაძარი უნდა 937 წელზე და თვით 923 წელზე უწინარეს იყოს აგებულიო[22].

მაგრამ ბროსეს ქრონოლოგიური განსაზღვრა თვით წარწერის ცნობებზე არ არის დამყარებული და ამის გამო მთლად სწორი არ არის: წარწერაში ადარნერსე მეფედ კი არა, კურაპალატად იწერება, — ბაგრატიც იქ მეფე-კურაპალატად არ იხსენიება, არამედ ერისთავთაერისთავად. წარწერის ამომჭრევინებელს ამ პირთა წოდებულების შემცირება და ჩამომცრობა არ შეეძლო. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ოშკის წარწერაში მოხსენებული და ბროსეს მიერ მიჩნეული პირები სხვადასხვა პირები უნდა ყოფილიყვნენ.

ნამდვილად ოშკის ტაძრის ამშენებელნი ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთაერისთავი და დავით მაგისტროსი უნდა ბაგრატ მაგისტროსის ძე ადარნასე კურაპალატი და მისი ორივე შვილი ბაგრატ ერისთავთაერისთავი და დავითი იყვნენ. დავითი ისტორიაში, ჩვეულებრივ, დავით დიდად და კურაპალატად არის ცნობილი. მაგრამ კურაპალატობამდე მასაც სხვებსავით ჯერ მაგისტოსობა უნდა ჰქონოდა და ჰქონია კიდეც. პარხლის 973 წ. სახარების ანდერძში დამწერელს იოანე ბერაჲს მოხსენებული ჰყავს ბაგრატ ქართველთა მეფე, მეტსახელად რეგვენად წოდებული, დავით მაგისტროსი და სუმბატ ერისთავთაერისთავი[23]. ათონის მონასტრის № 69 (ა. ცაგარლის აღწერილობით) ხელნაწერში, რომელიც დაწერილია „დიდებულსა ლავრასა ოშკს"[24] 197 ქრონიკონს, ანუ 977 წ., გადამწერელს, მიქაელ მოდრეკილის დისწულს სტეფანე დეკანოზს, დავითის შესახებ უკვე ნათქვამი აქვს: დაიწერა ეს „სამოთხე"-დ წოდებული წიგნი „სალოცავად და სადიდებელად პ͞დ ძლიერისა და ღ͞ს მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა დავითისთჳს"-ო.[25] ირკვევა, რომ დავითი 973 წ. მაგისტროსი ყოფილა, 977 წ. კი უკვე კურაპალატად[26] იწოდება. მაშასადამე, კურაპალატობა მას 973—977 წწ. უნდა ჰქონდეს მიღებული. ხოლო თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ 976 წ. ბარდა სკლიაროსის აჯანყება დაიწყო ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ და 977 წ. მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრენი და მათი დედა დედოფალი იძულებული იყვნენ დავით ტაოს მბრძანებლისათვის აჯანყებულის წინააღმდეგ სამხედრო დახმარება ეთხოვათ, ბუნებრივად აზრი დაგვებადება, რომ ბიზანტიის საჭეთმპყრობლებს და-

---

[22] Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Pére Nérsés Sargisian et expliquées par. M. B r o s s e t. იხ. Mémoires de l'Académie... des sciences de St.-Pètersbourg, VII série, t. VIII, № 10, 1864, გვ. 8.

[23] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტ. ხრ., გვ. LII—LIII.

[24] პროფ. ა. ცაგარელს ოშკი შეცდომით ათონის მთაზე მყოფ მონასტრად მიუჩნევია (იხ. СПГП, I, 89).

[25] ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, СПГП, I, 90—91.

[26] ე. თაყაიშვილი სცდება, როდესაც ამბობს, ვითომც 997 წელს გადაწერილ „სამოთხე"-ში დავითი მაგისტროსად იწოდებოდეს (Опис., II, 651).

ეითისათვის მაგისტროსობის წოდებულება, შესაძლებელია, სწორედ ამავე დროს, 977 წ., მომავალი დახმარების მოლოდინში მიერთმიათ.

ამგვარად, ოშკის ტაძრის წარწერის ამოჭრილობის უგვიანეს თარიღად 977 წ. შეიძლება დავსვდვა. მაგრამ ამგვარი დათარიღება ზედმეტი იქნება, რადგან მისი უფრო ზედმიწევნითი განსაზღვრაცაა შესაძლებელი.

რაკი ოშკის ტაძრის ამგებელი ადარნერსე კურაპალატად იხსენიება, ამიტომ, ცხადია, ამ ცნობის მქონებელი წარწერა შეუძლებელია 958 წ-ზე უწინარესი იყოს იმიტომ, რომ ადარნერსემ სწორედ ამ წელს მიიღო კურაპალატობა[27]. ხოლო რაკი, მეორე მხრით, ოშკის ტაძრის აღმაშენებლად ადარნერსე კურაპალატთან ერთად ბაგრატ ერისთავთაერისთავიც იხსენიება, ცხადია, ოშკის წარწერა 966 წელზე უგვიანესიც არ შეიძლება რომ იყოს, რადგან ამ წელს იგი გარდაიცვალა[28]. მაშასადამე, ოშკის წარწერა უნდა 958—966 წწ. იყოს ამოჭრილი.

ხელთა მაქვს ამ წარწერის გადიდებული ფოტოგრაფიული სურათი. ხუცური მრგვლოვანი ასომთავრულით ამოჭრილს ამ წარწერაში შეცდომებისა, ერთგან „ყ" სწერია „ჳ"-ეს მაგიერ[29] და სხვა. ენის მხრით ეს ძეგლი არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს, დამწერლობის მხრით კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ამომჭრელს ასომთავრული არ უნდა სცოდნოდეს. პალეოგრაფიულად აღსანიშნავია, რომ თუმცა „ბ" და „ყ" ყველგან სრულებით თავგახსნილია, „ჳ" ყველგან თავშეკრული არის ერთი შემთხვევის გარდა, პირველ სტრიქონში სიტყვა „მოყოვარეთა"-ში, სადაც „ჳ" ასოს ოდნავ გახსნილი უჩანს თავი.

ოშკის 958—66 წწ. წარწერის ეს პალეოგრაფიული თავისებურება ნამდვილ ამოცანას წარმოადგენს, რადგან, როგორც უკვე დავრწმუნდით, ყველა IX ს. თარიღიან, თუ ადვილად დასათარიღებელ წარწერებში „ჳ" თავგახსნილია იმგვარადვე, როგორც 864 წ. სინას მთის მრავალთავისა და შატბერდის (ჰადიშის) 897 წ. სახარების დანაწერებშიაც. მით უმეტეს თავშეკრული „ჳ" X ს. შუა წლების ძეგლში მოულოდნელია და არც გვხვდება, მაგრამ ფოტოგრაფიულ სურათზე „ჳ"-იეს თავშეკრულად დაწერილობა სრულებით მკაფიოდ ჩანს და ამ გარემოებას, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს. გამოსარკვევია, აქ ხომ რაიმე ორთოგრაფიული მიმართულების გამოხატულებასთან არა გვაქვს საქმე?

შემდეგ უნდა შემოქმედის ფერისცვალების ხატის წარწერა იქნეს დასახელებული. როგორც ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, ეს ხატი ხარზმის მონასტრის ეკლესიის მთავარი ხატი იყო და, როცა მესხეთში ოსმალებმა მაჰმადიანობა ძალად გაავრცელეს, ხარზმიდან შემოქმედში იქნა გადატანილი. ბასილი ხარზმელის აღწერილ სერაპიონ ხარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ დაუმთავრებელი ეკლესია მონასტრის მამასახლისად არჩეულმა პავლე ხუცესმა დაასრულა: „ამან პირველვე სრულ-ყო ეკლესიაჲ და

[27] იხ. სუმბატ დავითის ძის ც˜ა და უწყება, *581, გვ. 350=3 ქ˜კა, გვ. 62 და ჩემი ქ˜ლი ერის ისტორიის, I1, 709.

[28] იქვე, გვ. 709.

[29] თუმცა შესაძლებელია აქ გრძელბუნიანი „ჳ"-იე იყოს, როგორც ჰილ-ეტრატის იადგარშიც გვხვდება.

შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისაჲ და აკურთხეს ყოველთა კურთხევითა მამობასა შინა პავლესსა"-ო[30].

ამ ზარზმისეულ ხატსაც აქვს წარწერა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ეს ფერისცვალების ხატი შეუმოსნიათ „მამასახლისობასა პავლჱსა", როდესაც :რვ: 106 ქრონიკონი ყოფილა[31]. ნაწილი (რვ) წარწერას მოცილებული ჰქონია, მაგრამ დ. ბაქრაძე და ე. თაყაიშვილი სამართლიანად ფიქრობენ, რომ იგი ქრონიკონის რიცხვის აღმნიშვნელია და სწორედ იმ ადგილის გაგრძელებას წარმოადგენს, სადაც სწერია „ქრ˜კი ი[ყო]". ამგვარად, ზარზმის ფერისცვალების ხატი პავლეს მამასახლისობაში 886 წ. ყოფილა შემოსილი, ანუ მოჭედილი.

მაგრამ თვით წარწერის გულდასმითი განხილვა ერთ მნიშვნელოვან საკითხს ჰბადებს: პირველს, პავლეს მამასახლისობის დროინდელ, 886 წ. წარწერას ამავე ნაჭერზე უშუალოდ მეორე წარწერა მისდევს, რომელშიაც ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაჲთა მე ზ[ვია]დი ერისთავი ძჱ სულკურთხეულისა ერისთავისი რ˜ბსი (რაბის ?) ღირს ვიქმენ შემოსად (შმ˜დ=შემკობად-ს?) პატიოსნისა ა[მის ხატისა]... ხატო ფერისცვალებისაო შ˜ე სულსა ჩემსა დღესა...". მაშასადამე, ზვიად ერისთავსაც შეუმოსია ან შეუმკვია ხატი. მაგრამ როდის? ცხადია, პავლეს მამასახლისობაში კი არა, — იმიტომ რომ მაშინ ზვიადი პირველ წარწერაშივე იქნებოდა მოხსენებული, — არამედ შემდეგ. საქართველოს ისტორიაში გიორგი I-ის მეფობაში ცნობილია ზვიად ერისთავი, რომელიც ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ 1023 წ. გაგზავნილ ქართველთა ლაშქარს მეთაურობდა[32]. შესაძლებელია, ზარზმის ხატის წარწერის ზვიად ერისთავი სწორედ ეს XI ს. პირველი მეოთხედის სახელმწიფო მოღვაწე იყოს. მაშინ ეს მეორე წარწერა XI ს. პირველი მეოთხედისად უნდა ვიცნათ. მაგრამ თუნდაც რომ წარწერაში მოხსენებული ზვიად ერისთავი სხვა უფრო ადრინდელ მოღვაწედ ვიგულისხმოთ და გამოდგეს, მაინც, ცხადია, ის პავლეს მამასახლისობის მერმინდელი პირი უნდა იყოს და მისი წარწერაც ამის გამო 886 წ-ზე მერმინდელია. თუ ეს უდავოა, მაშინ იბადება საკითხი. თუ როგორ მოხდა, რომ 886 წ. წარწერა ხატის პირველი შემოსვის შესახებ და მერმინდელი წარწერა ამავე ხატის ხელმეორე შემოსვისა თუ შემკობის შესახებ ერთსა და იმავე ნაჭერზეა, რომელიც ამასთანავე ხატზე ლურსმნებით ყოფილა მიჭედილი. 886 წ. წარწერა, ვითარცა პირველი მოჭედილობის ცნობის შემცველი, უეჭველია, თვით მოჭედილობის მთლიან ფურცელზე იქნებოდა გამოყვანილი, აქ კი იგი იმ ცალკე ნაჭერზეა გამოყვანილი, რომელზედაც მეორე, მერმინდელი შემოსვისა თუ შემკობის შესახები წარწერაც არის მოთავსებული. ვინ მოაცილა ხატს პირველი წარწერა და მოათავსა მეორესთან ერთად? თუ ამაზე მთლიანად პასუხის მოცემა ამჟამად შეუძლებელია, ეს მაინც შეიძლება ითქვას, რომ იქნება პირველი წარწერა შემდეგში დაზიანებული იყო და ზვიად ერისთავმა ხატის ხელმეორედ შემკობის დროს ეს პირველი წარწერაც განაახლა და ხელახლად გადააწერინა და იქვე თავისი

---

[30] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, II, 43. შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოც., „ადრინდ. ფეოდ. ქართ. ლიტ-რა", გვ. 180.

[31] Ნ. კ ო ნ დ ა კ ო ვ ი და დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, Опись памятников древности в некот. храмах и монаст. Грузии, 131; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Арх. экскурсии, I, 67—68.

[32] იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ˜ლი ერის ისტორია, II თავი „საქართველოს გაერთიანება", 2. მეფე გიორგი I.

წარწერაც მიაყოლა. ამგვარად, ორი სხვადასხვა დროის წარწერა ერთ ნაჭერზე და ერთი და იმავე დამწერლობით გამოყვანილი აღმოჩნდა. 886 წ. წარწერა რომ მექანიკურად გადმოწერილი უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ წარწერის ბოლო ასე იკითხება: „ქ მ̃მასხლბ̃სა პლ̃ესა" და სხვა. ე. თაყაიშვილი ამ სიტყვებს ორგვარად კითხულობს და ფიქრობს, რომ უქარაგმოდ ან უნდა უდრიდეს: „ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესსა", ან „ქართლისა მამასახლისობასა პავლესა"-ო (იხ. ზემოდასახ. შრომა, 68). მაგრამ ერთიცა და მეორე წანაკითხიც საეჭვოა, რადგან დათარიღებაში მონასტრის მამასახლისობის ქრისტეს მიერობა წარწერებში და ისედაც არ იხმარება და პავლეს ქართლის მამასახლისობაც დაუჯერებელია, რაკი ბასილ ზარზმელისაგან ვიცით, რომ პავლე ქართლისა კი არა, ზარზმის მონასტრის მამასახლისი იყო. ამნაირად, „ქ"-ს ამ ადგილას არავითარი აზრი არა აქვს და ქანწილის შთაბეჭდილებას ახდენს, რომლითაც ქართულად ყოველი ძეგლი, მათ შორის წარწერაც, იწყებოდა ხოლმე. საფიქრებელია, რომ ეს „ქ" სწორედ ქანწილი არის კიდეც, რომელიც დაზიანებული წარწერიდან მექანიკურად გადმოწერის დროს უალაგო ალაგას მოექცა. ერთი სიტყვით, 886 წ. წარწერა თავდაპირველია თუ არა, ჯერ კიდევ საეჭვოა.

პალეოგრაფიულად ზარზმისეული ფერისცვალების ხატის ორივე წარწერა ასოთა მოხაზულობის მხრით არაფერს არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს: „ბ" სრულებით თავგახსნილია, „ჳ" და „ყ" ამ წარწერებში არ გვხვდება. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი საყურადღებო გარემოება. თუმცა ყველა ასო ხუცური მრგვლოვანი ასომთავრულით არის გამოყვანილი, მაგრამ ყველა ასო ერთი ზომისა და სიმაღლისა არ არის, არამედ ზოგი ასო დანარჩენებზე უფრო პატარაცაა და უფრო ქვევითაც არის ჩამოწერილი. ასოთა ტანის სიმაღლე, მაგ., ასეა დაახლოებით წარმოდგენილი: მრ̃ნსა ფ̃რსა და სხვა. ეტყობა, რომ წამწერლის ხელი უკვე პატარა ტანიას ასოებს, ნუსხა-ხუცურის წერას ყოფილა მიჩვეული. ამგვარი მოვლენა კი ჩვეულებრივია X—XI სს. წარწერებში.

პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანია ყალა-ბოინას ეკლესიის წარწერაც, რომელიც პირველად პ. უვაროვისას მიერ იყო დაბეჭდილი (Материалы по Археологии Кавказа. IV вып., გვ. 95, სურ. 73 და 74), მეორედ ე. თაყაიშვილმა მოათავსა თავის Арх. экскурсии-ების III წიგნში (გვ. 4—5), სადაც ალ. ხახანაშვილის წანაკითხის შეცდომებიც შესწორებულია. წარწერა 2 ქვაზეა მოთავსებული, რომელთა კიდეები დაზიანებულია და ამის გამო წარწერასაც ზოგან კიდეები მომტვრეული აქვს. წარწერა ამოჭრილია „ბაგრატისა ქართუელთა მეფობასა და დავითისა კურაპალატობასა" და ქრონიკონიც აქვს. ე. თაყაიშვილი ამ თარიღს „სიგ" 213-ად, ე. ი. 993 წ. კითხულობს. სურათზე ეს ადგილი გარკვევით არა ჩანს, მაგრამ უფრო „ს̃გ" 203 იკითხება, რაც 983 წ. უდრის. მაინცდამაინც ცხადია, რომ რაკი წარწერაში დავით დიდი კურაპალატიც ცოცხლად იხსენიება, X ს-ზე მერმინდელი შეუძლებელია იყოს.

ეს წარწერაც ხუცური მრგვლოვანი ასომთავრულით არის გამოყვანილი და პალეოგრაფიულად მხოლოდ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ იქ ასომთავრული „ლ"-ს მაგიერ ყველგან ნუსხა-ხუცური და პატარა ტანის „ლ" არის ამოჭრილი. წამწერლის ხელი ეტყობა ნუსხა-ხუცურ დამწერლობას ყოფილა მიჩვეული.

პალეოგრაფიულად საყურადღებოა ატენის სიონის გარეთი კედლის წარწერა ატენის ქალაქად აშენების შესახებ, რომელიც, რო-

გორც ამის შესახებ განსაკუთრებულ მონოგრაფიაში გამორკვეული მაქვს, 1060—1068, ან უფრო 1060—5 წწ-ში უნდა იყოს ამოჭრილი[33]. ეს ძეგლიც ხუცური მრგვლოვანი ასომთავრულით არის გამოყვანილი, მაგრამ დამახასიათებელია თავისი შერეული დამწერლობით და ბევრგან ორხაზოვანი სისტემის ასოების მაგიერ, როგორც ასომთავრულში უნდა ყოფილიყო, ოთხხაზოვანი სისტემის ასოებია ნახმარი. ამგვარად, ის მოვლენა, რომელიც ზარზმისეული ხატისა და ყალაბოინას წარწერათა განხილვის დროს აღნიშნული იყო, აქ უკვე ძლიერად არის გამოხატული.

§ 8. წიგნური დამწერლობის ძეგლები

წიგნური დამწერლობის უძველესი ძეგლები დროთა განმავლობაში დაღუპულა ან სამუდამოდ, ან იმიტომ რომ მათი ეტრატი საწერ მასალად გამოუყენებიათ და ამის გამო წინასწარ ამ უძველესი ძეგლების ნაწერი გადაურეცხიათ და გადაუფხეკიათ კიდეც, რადგან ჩვენ წინაპრებს რკინისაგან შემზადებული მელნით უწერიათ, ნაწერის მთლად გადარეცხვა-გადაფხეკა შეუძლებელი გამხდარა და ძველი ნაწერის ნაალაგევი და კვალი ამ პალიმფსესტებში მაინც მოჩანს. ეს გარემოება ამ უძველესი ძეგლების პალეოგრაფიულად და შინაარსითაც შესწავლის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ რაკი ამ პალიმფსესტთა შორის დათარიღებული ან შინაარსის მიხედვით ადვილად დასათარიღებელი ტექსტი ჯერ არ აღმოჩენილა, ამიტომ ამ პალიმფსესტების დათარიღება ამჟამად მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებისა და ენის თვისებათა მიხედვით შეიძლება. ამის გამო მათ შესახებ სულ ბოლოში გვექნება საუბარი, როდესაც თარიღიან ან ადვილად დასათარიღებელ ძეგლთა მიხედვით დასაყრდნობი საფუძველი გვექნება მოპოვებული.

ნაწერის დაუზიანებლივ დაცულ ძეგლთაგან პირველად უნდა ჭილ-ეტრატის ზატიკი იქნეს დასახელებული. იგი ხუცური კუთხოვანი ასომთავრულით არის დაწერილი. ნაწერი უშნოდ და უსწორმასწორად არის გამოყვანილი. ასოთა სიგრძის ერთგვაროვანი დაცული არ არის. პალეოგრაფიულად აღსანიშნავია, რომ „ბ“ და „ყ“ სრულებით თავგახსნილი იწერება, ხოლო „ჳ“ თავშეკრული არის ისე კი, რომ ბუნი ქვემოთკენ გაგრძელებული აქვს და VI—VII სს. მოხაზულობის „ყ“-არს მიაგავს. „ლ“-ასის მოხაზულობაც საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ჩვეულებრივ პატარა ცხვირის მაგიერ ქვემოთკენ ძალზე აქვს ჩამოშვებული და თითქმის ასოთა ქვედა ხაზს აღწევს ისე, რომ ნუსხა-ხუცური „ლ“-ასის მოხაზულობას უახლოვდება. აღსანიშნავია აგრეთვე „გ“-ანი თავისი ქვედა ხაზამდე იმდენად ჩამოშვებული ცხვირით, რომ „ღ“-ანს მიაგავს, და ზოგჯერ დაკლაკნილი, ზოგჯერ დახარისხებული კუდით.

თავისი თავგახსნილი „ბ“-ანითა და „ყ“-არით ჭილ-ეტრატის ზატიკის დამწერლობა არამცთუ მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერებისაგან, თვით VII—VIII სს. ატენის ჯვრის კვარცხლბეკის ვეჟან ატენელის წარწერისაგანაც განსხვავდება და მერმინდელიც უნდა იყოს.

[33] Ив. Джавахишвили, К вопросу о времени построения грузинского храма в Атени, ХВ I, 289—291.

შინაარსით ზატიკი ამ დარგის ძეგლთა უძველეს რედაქციას წარმოადგენს. ეტრატ-ჭილზე დაწერილი ზატიკი პროფ. ალ. ცაგარელს VII ს-ად, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, VIII ს-ად მიაჩნდა (СПГП, II, გვ. 17, § 29).

პროფ. კ. კეკელიძის აზრით კი ეს ძეგლი IX ს. არის, რადგან იქ ჰაბო ტფილელის საგალობელიც არის, რომელიც მის მარტვილობასთან ერთად 920 წელს არის დაწერილიო[34]. თავის 1923 წ. დაბეჭდილ ქართული ლიტერატურის ისტორიის I წიგნშიც ეს ზატიკი „მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის ჰიმნოგრაფიულ" კრებულად აქვს აღნიშნული (გვ. 643, 644), მაგრამ ასეთი დათარიღების საფუძველი დასახელებული არ არის. ჰაბო ტფილელის მარტვილობა კი იოანე საბანის ძეს ჰაბოს სიკვდილის თუ პირველი წლის დამლევს არა, პირველ წლებში მაინც უნდა ჰქონდეს დაწერილი, ე. ი. ან 786—787 წელს ან ამის რამდენიმე წლის შემდგომ. ამიტომ ზატიკის შემდგენელს ჰაბო ტფილელის საგალობელი იმავე VIII ს. დამლევსაც შეეძლო შეეტანა ან IX ს. დამდეგს.

მართალია, ჭილი საწერ მასალად აქა-იქ X ს. შუა წლებამდისაც იხმარებოდა, მაგრამ როგორც ეპიგრაფიკული ძეგლების განხილვის დროს დავრწმუნდით, „ჟ" უკვე ატენის 853 წ. წარწერაში და IX ს. სხვა ძეგლებშიაც თავგახსნილი იწერება. ამიტომ უფრო ბუნებრივი იყო ჭილ-ეტრატის ზატიკის დამწერლობა თავისი თავშეკრული „ჟ"-ეთი VIII ს. დამლევისა ან IX ს. პირველ ათეულებისად მიგვეჩნია. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ოშკის 958—966 წწ. წარწერაშიც „ჟ"-იე თავშეკრულია, მაშინ შესაძლებელია ჭილ-ეტრატის ზატიკის დამწერლობა თავისებური სკოლის ნაყოფი იყოს და ზემოაღნიშნულ თარიღზე უფრო მერმინდელიც აღმოჩნდეს.

864 წელს, იერუსალემში საბა-წმიდის მონასტერში არის დაწერილი განთქმული სინას მთის მონასტრის „მრავალთავი", რომელიც პირველად პროფ. ალ. ცაგარელმა აღმოაჩინა (იხ. СПГП ,II, გვ. 92, § 83). იგი მაკარი გიორგი გრძელისძის ლეთეთელისა, პიმენ კახისა (თუ კახაძის?) და ამონა-ვახტანგის ხელით არის დაწერილი. ეს დიდი კრებული და დიდი ტანის ხელნაწერი, რომელიც 52 სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებს შეიცავს, ხუცურა მრგვლოვანი ასომთავრულით არის დაწერილი. თხზულებათა ენა არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს და კლასიკურად მიჩნეული ენის ნორმებს მისდევს. პალეოგრაფიულად ამ კრებულის დანაწერიც ქართული დამწერლობის განვითარების იმ საფეხურს წარმოადგენს, როდესაც ბ, ჟ და ყ სრულებით თავგახსნილი იწერებოდა: ასეა ეს ასოები ამ ხელნაწერშიაც გამოყვანილი. ამას გარდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 864 წ. მრავალთავი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ იქ ბოლოში დართული ანდერძის უკანასკნელი ნაწილი ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი იმავე ხელით, რომლითაც ამ ანდერძის ხუცური მრგვლოვანი ასომთავრულით დაწერილი პირველი ნაწილია გამოყვანილი. ეს ხელნაწერი სინას მთაზე 1902 წ. ყოფნისა და ამ მონასტრის ხელნაწერების სრული აღწერილობის პროფ. ნ. მართან ერთად შედგენის დროს მე ხელთ მქონდა, რადგან აღსაწერად მე მერგო და შემდეგ პროფ. ნ. მარს დავუთმე, რომელმაც ამ მრავალთავის სრული აღწერილობა შეადგინა

[34] К. Кекелидзе, Литургические груз. памятники в отечественных книгохранилищах, თბილისი, 1908, გვ. 351.

კიდეც, ხოლო შემდეგ რამდენიმე სანიმუშო ფოტოგრაფიული სურათიც გადმოვიღეთ. არაფერი პალეოგრაფიული თვალსაზრისით არაჩვეულებრივი ამ კრებულის დამწერლობაში არც მე და არც პროფ. ნ. მარს არ შეგვიმჩნევია და, როგორც ჩვენი მუშაობის 1903 წელსვე დაბეჭდილი წინასწარი ანგარიშიდან ჩანს, არც აღვვინიშნავს (იხ. Предварительный отчет о работах на Синае და სხვა, რომელიც დაიბეჭდა Сообщ. Палест. общ. Т. XIV, ч. II, გვ. 2, 50). სინას მთის ხელნაწერების აღწერილობა ისე დაწვრილებით გვქონდა შედგენილი, რომ მე ზოგიერთ იქაურ ხელნაწერებში სიტყვებზე დასხმული წერტილების ხმარებაც კი აღნიშნული მაქვს (იხ. ამაზე იქვე, გვ. 33), ხოლო ნ. მარი, როგორც ეს გარემოება თვით მასაც ნათქვამი აქვს, სინას მთაზე, სხვათა შორის, სწორედ ამ უძველესი თარიღიანი 864 წ. ხელნაწერის გულისათვის იყო წამოსული (იხ. იქვე, 2) და „ბ“-ანი რომ ამ მრავალთავში თავშეკრული იწერებოდეს, შეუძლებელია პროფ. ნ. მარს ეს პალეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გარემოება შეუმჩნეველი და აღუნიშვნელი დარჩენოდა[35].

IX ს-იდან კიდევ ერთმა თარიღიანმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე: ე. წ. ჰადიშის, ნამდვილად შატბერდის სახარებამ, რომელიც სოფრონს სულიერთა ძმათა თანამოღვაწეობით 897 წ. გადაუწერია „სალოცველად მეფეთა ჩ῀ნთა ღ῀თივ დიდებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღ῀თივ ბოძ῀თა ნაშობთა მათთა დავით ერის[თავთა ერისთავი]სა... და ნაშობთა მათთათჳს“. თარიღი დასაბამითგანი წელთაღრიცხვით, ქართულ ქრონიკონითა და ქრისტეს შობითგანაც არის აღნიშნული. პირველი ორი თარიღი თანხმობრივ 897 წ. უდრის, მესამე — 1001 წ. ეჭვს იწვევდა და პროფ. ნ. მარი სწორედ ამ თარიღსა თვლიდა ნამდვილად და ხელნაწერი IX ს. მაგიერ XI ს. დამდეგისად მიაჩნდა დაწერილად. პროფ. კ. კეკელიძემ დაამტკიცა, რომ ქრისტესით აღნიშნული თარიღი 1001 წ. პანოდორეს, ანუ ალექსანდრიული სისტემის თანახმად არის აღნიშნული და იმავე 897 წ. უდრის[36]. შატბერდ-ჰადიშის სახერება 1915 წ. მთლად ფოტოტიპიურად არის გამოცემული მოსკოვში (იხ. Материалы по Археологии Кавказа, вып. XIV), პ. უვაროვისა, ალ. ხახანაშვილისა და ექ. თაყაიშვილის რედაქციითა და უკანასკნელის წინასიტყვაობით.

პალეოგრაფიულად აღსანიშნავია, რომ ბ, ჳ და ყ ყველგან თავგახსნილია და ენაც ყველგან ჩვეულებრივია.

X ს. ხელნაწერები საკმაოდ არის შენახული, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმე იქნება დასახელებული. პირველად უნდა დასახელებული იქნეს თ. ს. უ. ხ. № 38, რომელიც ხუცურ-მრგვლოვანი ასომთავრულით არის დაწერილი 904 წ. (იხ. თ. ჟორდანია, Опис., I, 29, ხოლო თარიღის შესწორება კ. კეკელიძის ქ῀ლი ლიტერ. ისტ., I, 449). შემდეგ ათონის 913 თუ 917 წ. სახარება

---

[35] უცნაურია, რომ ა. გენკო 1925 წ. დაბეჭდილს თავის ჩემ საწინააღმდეგოდ დაწერილ წერილში ამტკიცებს (იხ. Тексты и разыск. по Кавказ. Филологии, I, 46), ვითომც 864 წ. სინას მთის მრავალთავში „ბ“ თავშეკრულიც იწერება და ამის საბუთად ამ ხელნაწერის ორი გვერდის ცინკოგრაფიული დანაბეჭდი მოჰყავს, რომელშიაც ბ-ანი ვითომც 7-ჯერ თავშეკრულად იყოს დაწერილი. ნამდვილად კი არც ერთს გენკოს მიერ დასახელებულ ადგილას ეს ასო თავშეკრული არ არის, თუ ცინკოგრაფიული ბადის კვალს აქა-იქ შეცდომით ნაწერის კუთვნილებად არ მივიჩნევთ.

[36] კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 396—397.

(დ. ბაქრაძე, საქ. ისტ., 228—229), მერმე მისდევს ცნობილი შატბერდის კრებული, რომელიც 973 წ-მდე უნდა იყოს დაწერილი (ე. თაყაიშვილი, Опис., II, 615) და ხუცურ-მრგვლოვანი ასომთავრულისა და კუთხოვანი ნუსხა-ხუცური დამწერლობის ძეგლია. მერმე შეიძლება დასახელებულ იქნეს ათონის № 69 ხელნაწერი, რომელიც 977 წ. ოშკის მონასტერშია დაწერილი მრგვლოვანი ხუცური ასომთავრულით და რომლის 3 გვერდის ფოტოგრაფიულ-ცინკოგრაფიული სურათი ნ. მარმა დაბეჭდა ТРАГФ-ის მე-2 წიგნში, გვ. 25—26 (ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ა. ცაგარელის СПГП, I, 89—91 და ნ. მარის Агиограф. материалы по груз. рукоп. Ивера, ЗВОРАО, XII, 84, აგრეთვე ТРАГФ, წ. II, 21). 973 წელს იოვანე ბერაჲს მიერ დაწერილია პარხლის სახარება მრგვლოვანი ხუცური ასომთავრულით.

ხოლო ნუსხა-ხუცური კუთხოვანი დამწერლობის ძეგლთაგან, ზემოაღნიშნულთ გარდა, შეიძლება დასახელებულ იქნეს ჰილ-ეტრატის ფსალმუნი, რომელიც IX ს. უნდა იყოს, ანდა X ს. დამდეგისა, — შემდეგ ჯრუჭის 936 წ. სახარება. 978 წ. ოშკში ნუსხა-ხუცურად არის გადაწერილი დაბადების სრული ქართული ტექსტი, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში ინახება და რომლის ფოტოგრაფიულად გადაღებული პირი რუსეთის სამეცნიერო აკადემიასა აქვს. საყურადღებოა აგრეთვე სინას მთის № 6 ხელნაწერი, რომელიც ცნობილი იოანე-ზოსიმეს მიერ 981—982 წწ. არის კუთხოვანი ნუსხა-ხუცურად დაწერილი.

აღსანიშნავია ათონის მონასტრის № 29 ხელნაწერი, რომელიც მეტაფრასტს შეიცავს და დაწერილია კოსტანტინეპოლს, ტრიანდაფილიუს მონასტერში თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ „დასაბამითგანთა წელთა ექუსათას ხუთას ოთხმოცდა მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად, — მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა... ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა მისვე გიორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიოტისა და ალექსი კომნიანოსისა. მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მართა დედოფალი აღმოსავლეთით კოსტანტიპოვლეს (sic) შემოვიდა“[37]. ეს 1081 წ. დაწერილი წიგნი თავისი მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური დამწერლობით არის საყურადღებო. ამგვარი დამწერლობის ძეგლია ყოფილი წ.-კ. გ. საზ. წიგნთსაცავის ეტრატის № 353 ხელნაწერი, რომელიც გიორგი ხუცეს-მონაზონის ნაწარმოებს, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებას, შეიცავს, მაგრამ ამჟამად უთარიღოა.

დასასრულ, შეიძლება დასახელებულ იქნეს ათონის მონასტ. № 53 ეტრატის ხელნაწერი, რომელიც ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ქართველთა კურაპალატის ბრძანებით არის დაწერილი „დასაბამითგან წელთა ხ҃ქზ, ქრ҃კსა: სკბ:... (1002 წ.) შორის... კელითა აკვილა მტბევრისაჲთა“[38]. ნ. მარს ამ ხელნაწერის დამწერლობის ფოტო-ცინკოგრაფიული სურათი აქვს მოყვანილი თავის ნაშრომში Агиограф. материалы по груз. рукоп. Ивера (ЗВОРАОб, XIII, 83, ტაბულა № 10). ძეგლი კუთხოვანი ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი.

---

[37] ა. ცაგარელი, СПГП, I, 80; ნ. მარი, Агиографические материалы по груз. рукописям Ивера, ЗВОРАОб, 1900, წიგნი XIII, გვ. 81—82, სადაც ამ ხელნაწერის ანდერძის ფოტო-ცინკოგრაფიული სურათია №№ 8 და 9 დაბეჭდილი.

[38] ა. ცაგარელი, СПГП, I, 83.

§ 4. მდივან-მწიგნობრული ნუსხა-ხუცურისა და მხედრული დამწერლობის ძეგლები

ქართულ მდივან-მწიგნობრულ და ხუცურ-მხედრულ დამწერლობათა განვითარების შესასწავლად ძეფეთა და სხვა პირთა სიგლებსა აქვთ დიდი მნიშვნელობა. აქაც პალეოგრაფიულ დაკვირვებასა და დასკვნებს წინ ძეგლთა მტკიცე დათარიღების საკითხი უნდა უძღოდეს.

სიგელთაგან პირველად ბაგრატ IV-ის შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული სიგელი უნდა იქნეს დასახელებული. მას თუმცა თავი აკლია, მაგრამ თარიღი აქვს და ბაგრატის მეფობის 31-ე ინდიკტიონს, ანუ 1058 წ. არის დაწერილი. ძეგლის ტექსტი 1893 წ. თ. ჟორდანიამ დაბეჭდა თავის ქ˝კბის I წ˝ში (204—206) და ე. თაყაიშვილმა იმავე წელს პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების უწყებებში „Сигель грузинского царя Баграта IV (1027—1072)", რომელშიაც ქართულ ტექსტს, რუსულ თარგმანსა და გარჩევას გარდა თან დართული აქვს ამ სიგლის ხელით გადაღებული და ლითოგრაფიულად დაბეჭდილი პალეოგრაფიული პირი[39].

მეორე ადგილი აქამდე ჩვეულებრივ ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელს ეკავა. ეს საბუთი დ. ფურცელაძემ იპოვა იმერეთში და 1881 წ. მისი რუსული თარგმანი თავას Церковные гуджары-ში შეიტანა (გვ. 120—121). ამ ძეგლის ტექსტი კი პირველად დ. ბაქრაძემ 1887 წ. დაბეჭდა რუსული თარგმანითა და გარჩევითურთ რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში"[40]. შემდეგ თ. ჟორდანიამ პ. კარბელაშვილის წანაკითხის თანახმად შესწორებული ამ სიგლის ქართული ტექსტი „შიომღვიმის მონასტრის ისტორიულ საბუთებში" შეიტანა, თუმცა ამ ძეგლს შიომღვიმის საბუთებთან არაფერი საერთო არა აქვს. თარიღად მას ამ სიგლისათვის 1058 წლის ახლო დრო მიაჩნია, მაგრამ არავითარი ამის დამამტკიცებელი საბუთი მოყვანილი არ არის. მესამედ ამ სიგლის ტექსტი ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს სიძველეთა II წიგნში (გვ. 1—5). ხელით გადმოღებული და ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ამ ძეგლის პალეოგრაფიული პირი მასვე აქვს გამოქვეყნებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების პალეოგრაფიულ ალბომში. ე. თაყაიშვილს ოპიზის სიგლის თარიღი განსაზღვრული არა აქვს და ბაგრატის მეფობის ინდიკტიონებით 1027—1072 წწ. ფარგლავს მხოლოდ.

ოპიზის სიგლის დროის განსაზღვრა უფრო ზედმიწევნითაც შეიძლება. ბაგრატ მეფე ამ საბუთში თავის ძეს გიორგის კურაპალატად იხსენიებს („მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი კურაპალატსა გუილოცვიდენ"-ო). როდის მიიღო გიორგი უფლისწულმა კურაპალატობა ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, მხოლოდ ცხადია, რომ ამ წოდებულების მიღება მას, სანამ მისი მამა ჯერ კიდევ კურაპალატი იყო, არ შეეძლო. იერუსალემის ჯვრის მონასტრის 1040 წ. ხელნაწერში ბაგრატი კურაპალატად იწოდება[41]. არც გასაკვირველია,

---

[39] იხ. Запис. Вост. Отд. рус. Арх. Общ., Том IX, 59—68.

[40] Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к V тому Запис. Акад. Наук № 1, გვ. 20—30.

[41] ალ. ცაგარელი, СПГП, II, 43, § 144.

რადგან 1029—1030 წწ. ელენე უფლისწულის ბაგრატზე გათხოვებასთან ერთად ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ მეფეს კურაპალატობაც მისცა[42]. ხოლო თ. ს. უ. № 484 ეტრატის ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა კალიპოსს, ლავრასა წ͠სა ღ͠თისმშობლისასა მეფობასა კონსტანტინე მონამახისასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა"-ო[43]. რაკი დანამდვილებით ვიცით, რომ ბაგრატ მეფე კონსტანტინე კეისართან 1054 წ. წავიდა[44], ამიტომ ზემომოყვანილი ანდერძი 1054 წ. უნდა იყოს დაწერილი. აქედან ცხადი ხდება, რომ ბაგრატ მეფე 1054 წ. უკვე ნოველისიმოსი ყოფილა. კულალისის ეკლესიის 1060 წ. წარწერაში კი ბაგრატი უკვე აფხაზთა და ქართველთა მეფედ და სევასტოსად, მისი ძე გიორგი კი კურაპალატად იხსენიებიან[45]. შიომღვიმის მონასტრის 1058 წ. სიგელში კი ბაგრატი ჯერ კიდევ ისევ ნოველისიმოსად იწოდება (შიომღ. ისტ. საბ. 4). კაცხის მონასტრისათვის შეწირული ერთი ხელნაწერის მინაწერის ცნობით, ბაგრატ მეფეს 1059 წ. 11 აპრილს წინანდებურად „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსის" წოდებულობა ჰქონია[46]. მაშასადამე, ბიზანტიის კეისრისაგან ბაგრატ მეფეს სევასტოსობა, ხოლო მის ძეს გიორგის კურაპალატობა ან 1059 წ. 11 აპრილის შემდგომ, ან 1060 წ. უნდა მიეღოთ. ამგვარად ირკვევა, რომ ოპიზის სიგელი შეუძლებელია 1060 წ. ადრინდელი იყოს და 1072 წ. 24 ნოემბერზე მერმინდელი, უფრო კი საფიქრებელია, ეს ძეგლი ალფარსლან სულტნის შემოსევამდე იყოს დაწერილი, ანუ 1060—1065 წწ. განმავლობაში.

ბაგრატ IVი-ს ძეს გიორგი II-ს თავისი მეფობის პირველ ინდიკტიონს. ანუ 1072—1073 წწ. შიომღვიმის მონასტრისათვის ყველა წინანდელ შემწირველთა საბუთი და ყველა უფლება-უპირატესობანი განუახლებია და დაუმტკიცებია. ამ უფლებათა განახლების სიგელმა XX ს. მოაღწია. პირველად ამ სიგლის ტექსტი თ. ჟორდანიამ დაბეჭდა „შიომღვიმის ისტორიულ საბუთებ"-ში (გვ. 9—12). მაშინ ამ საბუთს თავი აღარა ჰქონია, მაგრამ თ. ჟორდანიას სიგლის შესავალი შეუვსია ამ ძეგლის 1850—1853 წწ. შედგენილი კომისიის მიერ გადმოწერილი პირის მიხედვით. ამ დროს სიგელს დასაწყისი ნაწილი მოგლეჯილი არ ჰქონია (იქვე, გვ. 10). როგორც თ. ჟორდანიას სიტყვებიდან ჩანს, მას ამ სიგლის დამამტკიცებელთა გიორგი მეფისა და გაბრიელ კათალიკოსის ხელისმოწერა ფოტოგრაფიულად გადაუღებინებია და დამატების სახით დართვას აპირებდა. ამ საბუთისადმი შესავალში ნათქვამი აქვს კიდეც „იხ. დამატებაში"-ო (გვ. 9), მაგრამ დამატება, როგორც ეტყობა, ვერ მოუხერხებია.

მეორედ ეს სიგელი 1912 წ. ს. კაკაბაძემ დაბეჭდა და საბუთის დასაწყისი მასაც იმავე მერმინდელი, მისი სიტყვით, მხოლოდ XVIII—XIX სს. დასაწყისის გადმონაწერის მიხედვით აღუდგენია (იხ. შიომღვიმის სამი სიგელი, გვ. 3—5). ბოლოში ამ სიგლის ფოტოგრაფიულად გადაღებული და ცინკოგრაფიულად დაბეჭდილი პირი აქვს დართული. რაკი 1920 წ. ქ. კრასნოდარში სხვა

[42] ივ. ჯავახიშვილი, ქ͠ლი ერის ისტ., II, გვ. 431. ბაგრატ IV.

[43] თ. ჟორდანია, Опис., II, 49.

[44] ქ͠ლი ერის ისტ., II, 443—444. ბაგრატ IV.

[45] ივ. როსტომაშვილი, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. XXV, 76.

[46] თ. ჟორდანია, Опис., II, 447.

3000 ქართულ სიგელ-გუჯრებთან ერთად ეს სიგელიც განადგურდა, ამიტომ ამ ფოტოგრაფიულმა პირმა დედნის მაგიერობა უნდა გასწიოს.

შემდეგი ორი სიგელია შენახული გიორგი III-ისაგან ბოძებული: ერთი შიომღვიმის მონასტრისადმი 1170 წ. მიცემული, რომლის ტექსტი ე. თაყაიშვილსა აქვს გამოცემული (ს˝ქს სძ˝ველნი, IV, 2—7, ხოლო დედანი № 1381 საქართველოს საისტორიო საზოგადოების წიგნთსაცავში ინახება), მეორე დემნას განდგომილების ჩაქრობის უმალ გამოცემული თავბოლომოხეულ საერთო ხასიათის ბრძანებას წარმოადგენს საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტრის სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლის ტექსტი თ. ჟორდანიამ დაბეჭდა ქ˝კბის I წიგნში (გვ. 265). რაკი საბუთი დემნას აჯანყების ჩაქრობის უმალ არის გამოცემული, ამიტომ 1177 წ. უნდა იყოს დაწერილი. არც ერთი ამ ორ სიგელთაგანის პალეოგრაფიული პირი მარტივი სახითაც ჯერ არ გამოცემულა.

ე. წ. მხედრული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხის შესასწავლად მნიშვნელობა აქვს თ. ს. უ. სიძველეთა მუზეუმის № 65 ხელნაწერს, რომელიც 1186 წ. არის ქაღალდზე გადაწერილი და ქებათა-ქების თარგმანებას შეიცავს. ამ ძეგლის ხელით გადაღებული და ლითოგრაფიულად დაბეჭდილი პალეოგრაფიული პირი პროფ. აკ. შანიძემ გამოსცა 1924 წ. ამ გამოცემას პრაქტიკული მიზანი ჰქონდა.

თამარ მეფის დროის სიგელთაგან გადარჩენილია მანდატურთუხუცესის ჰიაბერის შიომღვიმისადმი მიძღვნილი შეწირულების წიგნი, რომელსაც თავი დაზიანებული აქვს და თარიღიც არ უჩანს. მისი ტექსტი თ. ჟორდანიას მიერ არის გამოქვეყნებული შიომღვიმის მონასტრის საბუთებში (გვ. 21—23). თ. ჟორდანიას ეს საბუთი 1190 წ. ახლო ხანებში მიაჩნდა დაწერილად, მაგრამ, თუ რა მოსაზრებით, აღნიშნული არა აქვს. ამ ძეგლსაც უფრო ზედმიწევნითი დათარიღება სჭირდება.

თ. ჟორდანიას ჰიაბერის საბუთის თარიღად 1190 წ. ახლო ხანები, ალბათ, იმიტომ უნდა ჰქონდეს მიღებული, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, შემოსეული გიორგი რუსის განდევნის შემდგომ 1191 წ. თამარ მეფემ ერთგულ დასაჩუქრებულ ვაზირთა შორის ჰიაბერიც შეიწყალა და „ჰიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მიუმატეს და უბოძეს ქალაქი ჟინვანი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“-ო (ისტრ˝ნი და აზ˝მნი *657, გვ. 444). როგორც ჟინვანის მიმღებს, ჰიაბერს თითქოს ამ დროს უფრო შეშვენის ჟინვანისაგან შეწირულობის გამოღება. მაგრამ ამ დროისათვის ჰიაბერის შეწირულობის წიგნის მიკუთვნება შეუძლებელია, იმიტომ რომ ამ საბუთში ჰიაბერი მხოლოდ თამარ დედოფალს იხსენიებს, ამ დროისა კი რომ ყოფილიყო, მისი ქმარი ზრდილობიანობის მოსაზრებით მაინც მოხსენებული იქნებოდა. ესეც გამოსარკვევია, ჟინვანის მიდამოებთან ჰიაბერი მართლა ამ წყალობამ დააკავშირა, თუ წინათაც ამ კუთხესთან მას დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა. საქმე ის არის, რომ ალექსანდრე კახთა მეფის 1579 წ. სიგელში იხსენიება „დავით აღმაშენებლის აღშენებული ჰიაბერთ ეკლესია ფხოელთაკენ წამოვლით“ (ს˝ქს სძ˝ველნი I, 11). თუ ჩვენი ჰიაბერიც ამავე საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაშინ მას ჟინვანში შეიძლება 1191 წლამდეც ჰქონოდა საკუთრება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობაში ჰიაბერი მხოლოდ მანდატურთუხუცესად იწოდება და მისი ამირსპასალარობა არა ჩანს.

პირიქით, აქვე ნათქვამია, რომ სწორედ ამ დროს ამირსპასალარობა ზაქარია მქარგრძელისათვის მიუციათ. ამიტომ შეუძლებელია ეს სიგელი ამ დროს იყოს დაწერილი.

ჰიაბერი თავის თავს ამ შეწირულობის წიგნში მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარს უწოდებს და მხოლოდ „ღ̃თისა სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს" იხსენიებს. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა" ცნობით კი ჰიაბერმა მანდატურთუხუცესობა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის მშვიდობიანად დამთავრების შემდგომ მიიღო, ანუ 1184—1185 წწ., მაგრამ ჰიაბერისთვის მაშინ მხოლოდ მანდატურთუხუცესობა მიუციათ, ამირსპასალარად კი სარგის მქარგრძელი დაინიშნა[47]. 1187 წ. გარდაცვლილი სარგის მქარგრძელის მაგიერ ამირსპასალარად ამირახური გამრეკელი თორელი აურჩევიათ[48]. 1191 წ. გამრეკელი თორელი გარდაცვლილა და მის მაგიერ ზაქარია მქარგრძელი იქნა ამირსპასალარად არჩეული[49]. ერთი სიტყვით, ჰიაბერის ამირსპასალარობა არ ჩანს და, როგორც ირკვევა, 1185 წლიდან მოყოლებული თამარის გარდაცვალებამდე შეუძლებელიც კია, რომ ჰიაბერს მანდატურთუხუცესობასთან ერთად ამირსპასალარობაც ჰქონოდეს. ერთადერთი დროღა გვრჩება, როდესაც მას შეეძლო მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა მიეღო: ეს დიდგვარიან აზნაურთა გაფიცვისა და ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობის ხანაა, როცა დიდგვარიან აზნაურთა მოთხოვნილების გამო თამარ მეფე იძულებული იყო მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად მყოფი ნაყივჩაყარი ყუბასარი გადაეყენებინა. ასეთი მნიშვნელოვანი ხელისუფლება რომ მისი ერთგული პირის ხელში გადასულიყო, თამარ მეფეს, როგორც ეტყობა, ყუბასარის მაგიერ მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ჰიაბერისთვის გადაუცია. მაგრამ ეს, უეჭველია, არც გაფიცულ დიდგვარიან აზნაურებს მოეწონებოდათ და ყუთლუ-არსლანის დასსაც ამირსპასალარობისთანა მნიშვნელოვანი ვაზირობის დათმობა სხვისათვის არავისთვის სურდა. ამ მოძრაობის მშვიდობიანად დამთავრების შემდგომ დარბაზის თანადგომითა და ერთნებაობით მოხდენილი სავაზირო მოხელეთა არჩევის დროს ჰიაბერს მანდატურთუხუცესობაღა შერჩენია. თუ ჩვენი ჰიპოთეზა მცდარი არ არის, მაშინ ჰიაბერის მანდატურთუხუცესობისა და ამირსპასალარობის დრო ხანმოკლე უნდა ყოფილიყო და გარდამავალ ხანაში იქნებოდა მხოლოდ, ე. ი. 1184—1185 წწ. და ამავე დროს უნდა იყოს მისი შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნიც დაწერილი. იმავე გარემოებითვე, ალბათ, აიხსნება, რომ თამარ მეფეთ-მეფის გარდა სხვა გვირგვინოსანი ამ საბუთში არავინ იხსენიება .

დასასრულ, კიდევ ერთი საყურადღებო გარემოებაა აღსანიშნავი. თვით შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „ჩემი დაწერილი ესე დაგიწერე და მოგაჴსენე მე მანდატორთ-[უ]ხუცესმან და ამირსპასალარმან ჰიაბერმან"-ო. საბუთის ბოლოს ჯერ, ვგონებ, თამარ მეფის ხელით წერია: „ესე მანდატურთ-ხუცესისაგან შეწირულად განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა"-ო, ხოლო შემდეგ თვით შემწირველს ნათქვამი აქვს: „ესე დაწერილი მე ჰიაბერსა, მეფეთ-მეფისა თამარის მიწასა, მანდატორთ-უხუცესსა თამარის დღეგრძელობისათვის შემიწი-

---

[47] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ̃ლი ერის ისტ., II, 584—585.

[48] იქვე, 590—591.

[49] იქვე, 597.

რავს"-ო (იქვე, 22 და 23). აქ უნებლიეთ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თვით საბუთის ტექსტში ჭიაბერი თავის თავს მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარს უწოდებს, ხელრთვაში კი პირველი დამამტკიცებელიცა და თვით ჭიაბერიც მხოლოდ მანდატურთ-უხუცესობას იხსენიებენ, ჭიაბერის ამირსპასალარობა კი არა ჩანს. ეს გარემოება დამაფიქრებელია, და ან საბუთი ნატყუარად უნდა ვიცნათ, რისთვისაც სხვა არავითარი ნიშნები არ მოიპოვება, ანდა ამას განმარტება უნდა მოეძებნოს. ვფიქრობ, რომ ეს გარემოება შეიძლება სწორედ იმით აიხსნებოდეს, რომ როცა ამ შეწირულობის წიგნის წერა დაიწყო, ჭიაბერს ყუბასარის გადაყენების უმალ თამარისგან ორივე ხელისუფლება, ისევე როგორც ყუბასარს ჰქონდა, მანდატურთუხუცესობაცა და ამირსპასალარობაც მიღებული ჰქონია, მაგრამ როდესაც საბუთი უკვე დაწერილი იყო, ცვლილება მოხდა და ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობის მშვიდობიანი გზით დაშოშმინების შემდგომ დარბაზის თანადგომითა და ერთნებაობით ვაზირების არჩევისას ჭიაბერს მხოლოდ მანდატურთუხუცესობაღა შერჩა, ამირსპასალარობა სარგის მქარგრძელს მიეცა. ამიტომ თამარსაც დამტკიცებაში და თვით ჭიაბერსაც უკვე მანდატურთუხუცესობის მეტი აღარაფერი აქვთ მოხსენებული.

1920 წ-მდე შენახული იყო თვით თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს 1 2 0 2 წ. შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს ა დ მ ი ბ ო ძ ე ბ უ ლ ი ს ი გ ლ ი ს დ ე დ ა ნ ი ც. პირველად ამ საბუთის ტექსტი თ. ჟორდანიამ გამოსცა შიომღვიმის საბუთებში (გვ. 25—28). მეორედ ს. კაკაბაძემ დაბეჭდა „შიომღვიმის სამ სიგელ"-ში (გვ. 7—10), რომელსაც ბოლოში ამ სიგლის ფოტოგრაფიული პირის ცინკოგრაფიული სურათი აქვს დართული. ამ საბუთის დედანი კრასნოდარში განადგურდა 1920 წელს, ამიტომ ფოტოგრაფიულ სურათს დედნის ოდენა მნიშვნელობა აქვს.

შენახული იყო მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი ა ნ ი ს მ ე ფ ო ბ ი ს მ ე ა თ ე ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა დ მ ი ბ ო ძ ე ბ უ ლ ი ს ი გ ე ლ ი, რომელიც პირველად თ. ჟორდანიამ დაბეჭდა შიომღვიმის ისტორიულ საბუთებში (გვ. 13—14) და გადაჭრით გიორგი II მიაკუთვნა, რადგან როგორც პალეოგრაფიული, ისევე მთელი რიგი ისტორიულ-იურიდიული მოსაზრებისა გამო შეუძლებლად მიიჩნია, რომ ან გიორგი III-ს, ან მით უმეტეს ლაშა-გიორგის მიეკუთვნოსო. მეორედ ეს ძეგლი 1912 წ. ს. კაკაბაძემ „შიომღვიმის სამ სიგელ"-ში რომ დაბეჭდა, კატეგორიულადვე და პალეოგრაფიულ-ისტორიულ მოსაზრებათა გამოც სწორედ ლაშა-გიორგის მიაკუთვნა და არა გიორგი II-ს (გვ. 11—12). ამ გამოცემის ღირსებას ამ სიგლის თანდართული ფოტოგრაფიულ-ცინკოგრაფიული სურათი შეადგენს, რადგან მისი დედნის განადგურების შემდგომ ამ სურათმა დედნის მაგიერობა უნდა გასწიოს.

ნარინ დავითის ერთი სიგლის პირი გასანთლულ ქაღალდზე ილია პეტრესძე ნაკაშიძისაგან პალეოგრაფიულად ხელით გადმოღებული და შემდეგ ე. თაყაიშვილისაგან ლითოგრაფიულად გადაბეჭდილი იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების პალეოგრაფიული ალბომის I წიგნში (გვ. 7—10). ეს საბუთი დაწერილია რუსუდანის ძის დავითის მეფობის ოცდამეთერთმეტე ინდიკტიონს. თუ დავით ნარინის გამეფების თარიღად 1236 წ. მივიღებთ, მაშინ სიგელი 1266—1267 წწ. გამოდის დაწერილი. ტექსტი ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა საქართველოს სიძველეთა II წიგნში (გვ. 5—7).

ამავე მეფის მეორე სიგელიც არის შენახული, რომლის დედანმაც ჩვენამდის მოაღწია და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების

მუზეუმს ეკუთვნის და № 1331-ით არის შეტანილი. იგი ეტრატზეა დაწერილი. თუმცა თავი დაზიანებული აქვს, მაგრამ მაინც იკითხება, რომ ბოძებულია „დავითისაგან ბ˜გტუნიანისა ძისა რუს[უდანისა]". ხოლო ბოლოში ნათქვამია: „დაიწერა ბ˜ბაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდამეათექვსმეტესა და ძისა ჩუენისა ვახტანგ მეფისასა მეორესა" და სხვ. დავით ნარინის 56-ე ინდიკტიონი უდრის 1291—1292 წწ., ხოლო რაკი დავით ნარინის ძე ვახტანგი 1290—1291 წწ. გამეფდა, მისი მეფობის მე-2 ინდიკტიონიც 1291—1292 წწ. უნდა ყოფილიყო. ე. თაყაიშვილისაგან ნაპოვნი ამ სიგლის არც ტექსტი და არც პალეოგრაფიული პირი ჯერ გამოცემული არ არის. დედნის გარდა ვსარგებლობდი ფოტოგრაფიული სურათითაც.

XIV ს. სიგლები და ხელნაწერები ცოტაა და თარიღიანი ნუსხა დედნები ხომ არც მოიპოვება, რომ მათი დაწერილობის დრო სრული უეჭველობით ირკვეოდეს. XV ს. სიგლები ბლომად იყო, მაგრამ 1920 წ. კრასნოდარში 3000 ქართული სიგელ-გუჯრების დაღუპვამ ამდროინდელი თარიღიანი ნუსხა-დედანი საბუთებიც იშვიათი გახადა. მე ვსარგებლობდი ალექსანდრე დიდის 1419 წ. სიგლით, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს ეკუთვნის და დემეტრე მარკოზაშვილის ხელით არის დაწერილი. XV ს. დამლევის დამწერლობის შესასწავლად ა ნ ა დ ე დ ო ფ ლ ი ს ე უ ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი გვაქვს და საბუთებიც. ხოლო XVI ს. დამწერლობის ნიმუშები ბევრია, რომელთაგან ლეონ კახთა მეფის 1566 წ. სიგლით ვსარგებლობდი.

დამწერლობის ძეგლთა ზემომოყვანილი მიმოხილვიდანა ჩანს, რომ VI ს. დამდეგიდან მოყოლებული ჩვენ ყოველგვარი დამწერლობის ძეგლები მოგვეპოვება და ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების შესასწავლად საკმაო ცნობები გვაქვს. IX ს-იდან მოყოლებული მასალების რიცხვი საგრძნობლად მატულობს და X—XII სს. უკვე ძეგლთა სიუხვეა: XIII—XIV სს-ში ძეგლების სიმცირე კვლავ საგრძნობი ხდება მონღოლთა შემოსევაბატონობის წყალობით, მაგრამ შემდეგ უკვე მასალების რიცხვი ისევ მრავლდება.

§ 5. ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები VI—XVI სს.

დამწერლობის ძეგლების ზემომოყვანილი მიმოხილვის შემდგომ შეიძლება ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების შესწავლა-დახასიათებაც ვცადოთ. ამ დახასიათებას მიზნად პალეოგრაფიული ნიშნებისდა მიხედვით უთარიღო ხელნაწერების დათარიღება კი არა აქვს, არამედ ქართული დამწერლობის ისტორიის უმთავრესი, მნიშვნელოვანი მომენტების თვალწინ გადაშლა, რამდენადაც ეს პალეოგრაფიის ამ საერთო, ზოგად ნაწილში საჭირო და აუცილებელია. საკითხი უთარიღო ხელნაწერთა პალეოგრაფიულად დათარიღების შესახებ პალეოგრაფიის მეორე, კერძო, სპეციალურ ნაწილს ეხება და მრავალგვარი გარემოების გათვალისწინებას თხოულობს.

როგორც ბოლნისის სიონის 506 წ. ახ. ხ. წარწერიდანა ჩანს, ამ დროს საქართველოში მრგვლოვანი ხუცური ასომთავრული დამწერლობა სუფევდა და მერმინდელი ძეგლებიც, თვით წიგნურიც, ამავე დამწერლობით არიან და-

წერილი. სათანადო ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ XII ს. შუა წლებში ამ მრგვლოვანი ხუცური დამწერლობით დაწერილი წიგნების კითხვა უკვე ეძნელებოდათ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროს ჩვეულებრივ ხუცური ასომთავრულით უკვე იშვიათადღა წერდნენ, თვალი მის კითხვას გადაჩვეული იყო და მაშინ უკვე ნუსხა-ხუცური სუფევდა. შეიძლება ითქვას, რომ უკვე IX ს. ნუსხა-ხუცური სრულებით ჩამონაკვთილი და დამთავრებული დამწერლობაა და მისი დასაწყისის ხანის ძეგლები ჯერ არ გვაქვს და IX ს-ზე უწინარეს ხანაში უნდა ვიგულისხმოთ.

თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ ამ დროისა და თვით X—XII სს. და ჩვეულებრივ მერმინდელი ნუსხა-ხუცურიც უაღრესად კუთხოვანი დამწერლობაა, რომელიც, რასაკვირველია, ხუცურ მრგვლოვან ასომთავრულთან უშუალოდ არ შეიძლება დაკავშირებული იყოს და უეჭველია მისგან არც არის წარმომდგარი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას მრგვალი მოხაზულობა შერჩებოდა. კუთხოვანი დამწერლობა გაკრული წერის წყალობით შეიძლება თანდათანობით მრგვლოვან დამწერლობად ჩამოინაკვთოს, მაგრამ წინაუკმო პროცესი კი ძნელი დასაჯერებელია.

მართალია, პილ-ეტრატის IX ს. ზატიკში ჩვენ კუთხოვანი ხუცური ასომთავრული დამწერლობა გვაქვს, მაგრამ ამაზე უწინარეს ხანის ძეგლები, როგორც ვეჟან ატენელის, მცხეთის ჯვრისა და ბოლნისის წარწერებია, ყველა მრგვლოვნით არის გამოყვანილი. კუთხოვანი ხუცური ასომთავრული დამწერლობის ორიოდე ასო მხოლოდ VI ს. სასანურ-ქართული ზახეობის ფულების მონოგრამებში გვაქვს დაცული. ეს ორიოდე მაგალითიც საკმარისია, რომ ძველი ხუცური კუთხოვანი ასომთავრული დამწერლობის VI ს. მრგვლოვანის გვერდით არსებობა უეჭველ ფაქტად ვიცნათ. ხოლო როგორც მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური კუთხოვანი გაკრული ნუსხა-ხუცურისაგან არის წარმომდგარი, ისევე მრგვლოვანი ხუცური ასომთავრული კუთხოვანი ხუცური ასომთავრულისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. VI ს. დამდეგს მრგვლოვანი ხუცური ასომთავრული სუფევს, როგორც აღნიშნული გვქონდა, სრულებით დამთავრებულ-ჩამონაკვთილი. ამგვარად, ჩვენ არც მრგვლოვანი ხუცური ასომთავრულისა და არც მით უმეტეს კუთხოვანი ასომთავრულის დამწერლობის დასაწყისის ხანის ძეგლები ჯერ ხელთ არა გვაქვს. ამიტომ ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლა უნებლიეთ მისი დასაწყისიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ იმ დროიდან, როდესაც მას უკვე განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა ორი, დიდი საფეხური განვლილი ჰქონდა.

VI ს. დამდეგის ძეგლებში ხუცური ასომთავრული დამწერლობის ნიშანდობლივ თავისებურებას თავშეკრული „ბ“, „ჳ“ და „ყ“ შეადგენენ. ამას გარდა, აღსანიშნავია თავშეკრული „შ“, რომელსაც ბოლოკიდურიც ძალზე მოკაუჭებული აქვს[50]. ასე თავშეკრული იწერება ბ, ჳ და ყ მცხეთის ჯვარის ეკლესიის VI ს. დამლევის წარწერებშიაც, ხოლო „შ“ ძემისტიას წარწერაში ისევე თავშეკრულია, მაგრამ ამავე დროის დანარჩენ წარწერებში ამ ასოს თავი პირღია აქვს. აღსანიშნავია, რომ მცხეთის ჯვარის VII ს. შუა წლების სტეფანოზ-ქობულის წარწერაში „ბ“-ანსაც თავი ოდნავ პირღია აქვს[51].

[50] ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების დახასიათების კითხვის დროს მკითხველს თვალწინ ჩვენგან შედგენილი ტაბულა V უნდა ჰქონდეს.

[51] ამ საკითხის შესახებ 1923 წ. 10 თებერვლის საისტორიო საზოგ. სხდომაზე მოხსენების წაკითხვის შემდგომ გავიგე, რომ 1920 წ. იანვრის სხდომაზე ბოლნისის სიონის შესახებ წა-

ასევე ოდნავ პირღია არის „ბ“ ასოს თავი VIII ს. ვეჟან ატენელის წარწერაშიაც, რომელშიაც იმავე დროს „ჳ“ და „ყ“ ასოები წინანდებურად თავშეკრულად არიან გამოყვანილნი. „შ“-ინი კი აქაც სრულებით თავგახსნილია.

IX ს. ყველა ძეგლში „ბ“, „ჳ“ და „ყ“ თავგახსნილი იწერება. მხოლოდ ჰილ-ეტრატის ზატიკი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს და იქ „ჳ“ წინანდებურად თავშეკრულია. ამნაირსავე თავისებურებას ოშკის 958—966 წწ. წარწერაც შეიცავს, რომელშიაც „ჳ“ აგრეთვე თავშეკრულად არის გამოყვანილი. თანაც ამ ასოს ისევე, როგორც ჰილ-ეტრატის ზატიკში, ბუნის ქვედა კიდური თითქმის „ყ“-არის მსგავსად გაგრძელებული აქვს.

ამგვარად, ირკვევა, რომ „ბ“, „ჳ“, „ყ“ და „შ“ VI ს. დამდეგიდან და, რასაკვირველია, უწინარესაც თავშეკრული იწერებოდა და გამოისახებოდა და ასეთი მოხაზულობა „ბ“-ანს მთელი VI ს. განმავლობაშიც შეუნარჩუნებია, VII ს. შუა წლებში კი თავი ოდნავ პირგახსნილი უჩანს და ასე გვევლინება იგი VIII ს. ძეგლშიაც.

„ჳ“ და „ყ“ თავშეკრული დარჩენილა მთელი VI, VII და VIII სს-ში. ამასთანავე რადგან IX ს. ძეგლებში ორივე ასო თავგახსნილი გვევლინება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ მოვლენის დასაწყისი უკვე VIII ს. მეორე ნახევრიდან და იქნებ უწინარესაც საგულისხმებელია. მაინცდამაინც „ჳ“-ეს „ყ“-ართან შედარებით ძველი მოხაზულობა უფრო ხანგრძლივ შეუნარჩუნებია და ზოგან IX ს. და თვით X ს. შუა წლებამდისაც კი ამ სახით მოუღწევია.

რასაკვირველია, VI—IX სს. ძეგლების სიმცირის გამო მსჯელობა მეტისმეტს სიფრთხილეს გვავალებს და პალეოგრაფიული მოვლენის დასაწყისისა და დასასრულის ზედმიწევნით განსაზღვრა ძნელია, რადგან ასოთა ახალი მოხაზულობის გაჩენასთან ერთად ძველი მაშინვე არ ისპობოდა, არამედ ორივე მოხაზულობა ხშირად კარგა ხანს ერთსა და იმავე დროს სუფევდა ხოლმე იმგვარადვე, როგორც ახალი მოხაზულობის საბოლოო გამარჯვების შემდგომაც მიყრუებულ კუთხეებში და კონსერვატულ წრეებში შეიძლება ისევ ძველივე მოხაზულობის ასოები ეხმარათ. მაგრამ ზემომოყვანილი ფაქტების მიხედვით განვითარების საერთო სურათი მაინც ასე გვეხატება.

ზემომოყვანილი პალეოგრაფიული და ხანმეტობის ნიშნების ძალით ხანმეტი ტექსტების შემცველი პალიმფსესტებიც უნდა VI ს. მიეკუთვნოს, თუმ-

---

კითხული ყოფილა მოხსენება. ამის შესახებ სხდომის ოქმში სწერია: „ბოლნისის სიონი — ერთი უძველეს ეკლესიათაგანია საქართველოში. ტაძრის უძველესი წარწერა იხსენიებს „ფ̃რანე ერისთავსა და ჰაზარაეუხტს“, — პ. ინგოროყვას შენიშვნით, ეს ერისთავი უნდა იყოს ივერიის მეფის გურგენის შვილი „პერანე“, რომელსაც ბიზანტიელი ისტორიკოსები იხსენიებენ 523 წელს, როცა გურგენ მეფე თავისი ოჯახითურთ ბიზანტიაში გადასახლდა. — ეს წარწერა საყურადღებოა თავისი მორფოლოგიური თავისებურებითაც: „შეხუაბთ“ (ცარი) და „შეჰეწიე“. პალეოგრაფიულადაც ამ წარწერაში ყურადღებას იქცევს ასოები: ჳ და ყ, როგორც ჯვრის საყდრის წარწერებში. — მეორე წარწერა თავი საყდრისა, მომხსენებლის აზრით, ეკუთვნის არაუგვიანეს X საუკუნისა (უფრო VIII—IX საუკ.) და საყურადღებოა თავისი სინტაქსური ხასიათის ანომალიებით“ (იხ. საქ. საისტ. საზოგ. სხდომის № 145 ოქმი). თუმცა ბოლნისის წარწერათა წანაკითხშიაც და დათარიღებაშიც შეცდომები მოსვლიათ, მაგრამ მაინც პ. ინგოროყვას სინტაქსურ-პალეოგრაფიული დაკვირვება საგულისხმო და სადა ალღოს მომასწავებელია, იქნებ საყურადღებო შედეგიც გამოეღო, ამ გზით რომ ქართული დამწერლობის ძეგლთა სისტემური შესწავლა დაეწყო.

ცა ზოგი მათგანი შეიძლება VII ს-ისაც იყოს. მაგრამ იქ წარმოდგენილი სახარების ტექსტი ქართულ უძველეს თარგმანს უნდა შეიცავდეს[52].

აღსანიშნავია, რომ უკვე VI ს. დამლევის წარწერებში ზოგ ასოს, როგორც მაგ.: ბ, ფ, ქ, წ და ჳ ასოების, ქვედა კიდურები უკვე ორ ხაზ შუა ველარ ეტევიან და ხან ოდნავ, ხან კი საგრძნობლად სცილდებიან. ეს საყურადღებო მოვლენა შემდეგში უფრო და უფრო ძლიერდება. მეტადრე ბ, გ, ჟ, ფ, ქ, ყ, წ და კ ასოთა კიდურები გრძელდება (იხ. ტაბ. V). საყურადღებოა ამ მხრივ გ-ანის კიბის მსგავსად გამოყვანილი კუდი IX ს. ძეგლთა დამწერლობაში, რომელიც ჰილ-ეტრატის ხატიკში უზომოდ გაგრძელებულწარზიდულია და რომელიც თავისი ქვეითკენ გრძლად ჩამოშვებული ცხვირით იმდენად „გ“-ანს არ მიაგავს, რამდენადაც „ღ“-ს, რომლისგანაც მხოლოდ კუდით განირჩევა. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ჰილ-ეტრატის ხატიკში „ე“-ნი და „კ“-ანიც იმგვარადვე როგორც ზოგი სხვა ასოებიც, თავისი ქვედა კიდურებით ორ ხაზს საგრძნობლად სცილდებიან და „თ“-ანსა და „ლ“-ასს უკვე ნუსხა-ხუცურის მსგავსი მოყვანილობა აქვთ, ამ მოვლენის წარმომშობი მიზეზის საკითხი ბუნებრივად დაგვებადება. გვაქვს თუ არა აქ ასომთავრული დამწერლობის ნუსხა-ხუცურად გარდაქმნის პროცესის გამოხატულება თუ, პირიქით, ამ დროს უკვე არსებული და კერძო ცხოვრებაში უფრო გავრცელებული ნუსხა-ხუცურის ასომთავრულზე გავლენასთან გვაქვს საქმე? ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა თვით ნუსხა-ხუცურის ჩამონაკვეთილობის დროის ცოდნაზეა დამოკიდებული.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ რაკი IX ს-ში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებულ-ჩამონაკვთილი დამწერლობაა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა და თანდათანი ჩამონაკვთის პროცესი IX ს-ზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ და, უეჭველია, კუთხოვან ასომთავრულისგან უნდა იყოს წარმომდგარი. ის ღრმა ცვლილება, რომელიც ასომთავრული ასოების ორხაზულობას გამოუვლიათ, სანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკვთის პროცესი ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო და მისი დასაწყისი თითქმის იმ ხანას უნდა აღწევდეს, როდესაც ქართულ დამწერლობაში ჯერ კიდევ კუთხოვანი ასომთავრული სუფევდა. თუ ამ დასაწყისის ხანის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ამჟამად დაახლოებითაც კი არ შეიძლება, მისი საბოლოო ჩამონაკვთილობის დროის დაახლოებით გამორკვევა დაუძლეველ საქმეს არ წარმოადგენს. „ჳ“ და „ჲ“ ასოების ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში შენარჩუნება ამტკიცებს, რომ მისი ჩამონაკვთა იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც ამ ბგერებს ჯერ კიდევ რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ. ამ მხრივ მდივან-მწიგნობრული დამწერლობა გაცილებით უფრო მერმინდელია. მეორე მხრით, რაკი ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში ბ, ჳ და ყ თავგახსნილი მოხაზულობისანი არიან, ამიტომ ამ დამწერლობის საბოლოო ჩამონაკვთა არ შეიძლება VII—VIII ს-ზე უწინარეს დროს მივაკუთვნოთ.

---

[52] ხანმეტი პალიმფსესტების შესახებ იხ. ჩემი „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ (თბილ. უნივერ. მოამბ., 1923 წ., წიგნი II, 314—391) და პროფ. აკ. შანიძის „ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ XI საუკ. მწერლობაში“ (იქვე, 393—416).

ნუსხა-ხუცური დამწერლობის საერთო დამახასიათებელ თვისებებზე III თავის § 5-ში უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ ამაზე ლაპარაკი აქ უკვე ზედმეტი იქნებოდა. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ იგი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი კუთხოვანი დამწერლობაა, რომლის ბ, გ, ვ, მ, ნ, ტ, ც, ხ და ქ ასოთა ბუნის ზედა და ქვედა ნაწილებს გადახრილობა ემჩნევა (იხ. ტაბ. V, 14).

აღსანიშნავია, რომ ორხაზოვან სისტემაზე დამყარებული ქართული ხუცური ასომთავრული[ს] 37 ასოთაგან ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში მხოლოდ ცხრა ასო დარჩა წინანდებურად ორ ხაზს შუა, სახელდობრ ა, თ, ი, ლ, ჲ, ღ, პ, ღ და ჰ, მაგრამ მაინც ასომთავრულისაგან იმ განსხვავებულობით, რომ საერთოდ ასოები საგრძნობლად დაპატარავდნენ და ორს — მეორე და მესამე — შუა ხაზებში მოთავსდნენ, ხოლო თექვსმეტ ასოს (ბ, გ, ე, ვ, უ, ტ, ჳ, ფ, ყ, შ, ც, წ, ჭ, ხ, ქ და ჯ-ს) ქვედა კიდური გაუგრძელდა და თვით ეს ასოებიც ოთხხაზოვანი ბადის მეორე და მეოთხე ხაზებს შუა მოექცნენ, 7 ასოს (დ, ზ, მ, ნ, რ, ს და ძ-ს) — პირიქით, ზედა კიდური ოთხხაზოვანი ბადის პირველი ხაზიდან ეწყებათ და ეს ასოები მთლად პირველსა და მესამე ხაზებს შუა მოთავსდნენ. მხოლოდ ოთხი ასოდა (ჟ, კ, ქ და ჩ) არის, რომელსაც ზედა და ქვედა კიდურები აქვთ. ასომთავრულთან შედარებით ნუსხა-ხუცური დამწერლობის ასოები ამის გამო ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქოს ზოგმა მათგანმა ზევით აიწია, ზოგი ძირს ჩამოეშვა, ზოგი დაპატარავდა და ზოგმაც, ბუნის სიმაღლის დაცვის მხრით, დიდტანიანობა მაინც შეინარჩუნა.

უეჭველია, ის ღრმა ცვლილება, რომელიც ნუსხა-ხუცური დამწერლობის ასოებს ასომთავრულ ასოებთან შედარებით მოხაზულობისა, მდებარეობისა და საერთო გადახრილობისა და მეტადრე ასოთა ბუნის ძლიერი განხრილობის მხრით ემჩნევათ, იმის შედეგი უნდა იყოს, რომ კუთხოვანი ნუსხა-ხუცური კუთხოვანი ასომთავრულის გაკრული და გადაბმული დამწერლობისაგან უნდა იყოს თანდათანობით წარმომდგარი. ამასთანავე ასოთა მოხაზულობის ეს ღრმა პროცესი ამ დამწერლობას კერძო პირთა ხელში უნდა ჰქონდეს გამოვლილი, როდესაც განსწავლულობის შემაკავებელი და განმაზოგადებელი გავლენა ჯერ ან არ ჩანდა, ან მეტად სუსტი იყო. ცხადია, რომ როცა ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა ასომთავრული ისე არსებითად შეცვალეს მოხაზულობითაც, ასოთა სიმაღლე-სიგანითა და საერთო მდებარეობითაც, რომ სრულებით განსხვავებული დამწერლობის გარეგნულობა შეუქმნეს, მისი ასოების საერთო მოხაზულობის საბოლოო ჩამონაკვთევაც მხოლოდ ამის შემდგომ უნდა დაწყებულიყო. ამ ხანად, როგორც დავრწმუნდით, VII—VIII სს. უნდა გვეგულებოდეს და ნუსხა-ხუცურის უძველესი, წარმოშობის პროცესის გამოხატულება, უეჭველია, კერძო პირთა დამწერლობაში უნდა ვეძიოთ.

ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში ბ, გ და შ ასოების ქვედა კიდურების მარცხნივ საგრძნობლად მოხრილობაა. აღსანიშნავი იმგვარადვე, როგორც ჟ, ტ, ც, წ და ხ ასოების ბუნების ქვედა ნაწილის მარჯვნივ განხრილობა.

ამას გარდა, როგორც ჯერ კიდევ დ. ბაქრაძესაც ჰქონდა აღნიშნული, „უ“ ბგერის გამომხატველი „ოჳ“-ს მოხაზულობა ნუსხა-ხუცურ. დამწერლობაში ერთიერთმანეთს შეეზარდა და ერთ ასოდ იქცა, რომელიც ოთხკბილიან „უ“ ასოდ გახდა. მისი წარმოშობილობის ცხადი მაჩვენებელია მეორე ხაზს ზევით ცოტა აწეული ბუნი, რომელიც „ჳ“ ასოს ბუნი არის (იხ. ტაბ. V, 14—16). შემდეგში უკვე „უ“-ს ბუნი მეორე ხაზის დონეს აღარ სცილდებოდა და თვით ასოც სამკბილიანად იქცა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნუსხა-ხუცური კუთხოვანი დამწერლობის ასოთა მოხაზულობას გამარტივებისადმი ცხადი მიდრეკილება ემჩნევა. ამ მხრივ საყურადღებოა IX ს. ჰილ-ეტრატის ფსალმუნის დ, ე, ი და ზოგიერთი სხვა ასოების მოხაზულობა. „დ"-ონს, მაგ., იქ ყელი და მუცელი აღარა აქვს, არამედ შუაში ოდნავ შეზნექილი ბუნით იწერება, რომელსაც ქვედა კიდური „დ" ასოს წინანდელი მუცლის მაგიერ მესამე ხაზის დონეზე მარცხნივ ოდნავ მოკაუჭებული აქვს. ამაზე უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ „დ"-ონის ზედა სარქველის ხაზი ბუნის მარჯვნივ იმდენად მოკლედ არის წარზიდული, რომ ძლივსღა სცილდება ბუნის ასწვრივ ხაზს. თანაც დონის ამ სარქვლის ხაზს მისთვის ჩვეულებრივი მარჯვენა და მარცხენა კიდეებზე კალმის დანაჭირები თუ ამოჭრილობის დროს გამოყვანილი კბილები, ან წერტილები აღარა აქვს (იხ. ტაბ. V, 13). აღსანიშნავია, რომ დ-ონის მოხაზულობის გამარტივების ზემოაღნიშნული მოვლენები და პროცესი თანდათან მტკიცდება და ძლიერდება კიდეც. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ X—XI სს. ხელნაწერებში დ-ონი უკვე მუცლისა და ყელის მქონებელი ასო კი აღარ არის, არამედ ბუნიან ასოდ არის ქცეული (იხ. ტაბ. V, 14—16). მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ 981—982 წწ. სინას მთის № 6 ხელნაწერში დ-ონის სარქველი ჰორიზონტალური მდებარეობის მაგიერ ირიბად იწერება და ბუნთან ერთად მარცხნივ არის საგრძნობლად გადახრილი. თანაც სარქვლის ხაზი მარცხენა კიდესთან ზევითკენაა ახრილი, მარჯვენა კიდეს კი არც კბილი აქვს და არც წერტილი (იხ. ტაბ. V, 14).

როგორც III თავის § 5-ში გამორკვეულია, კუთხოვანი ნუსხა-ხუცურისაგან მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურიც წარმოიშვა, რომლის დამახასიათებელ თავისებურებას, ასოთა მოყვანილობის მომრგვალების გარდა, ასოთა გადაბმულობა შეადგენს. იქვე ჩამოთვლილია ის ასოები, რომელთა გადაბმა ამ დამწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება. ასოთა გადაბმისადმი ამ მიდრეკილებამ ასოთა მოხაზულობაც ბუნებრივად გაამარტივა. ამ მხრივ საყურადღებოა მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურით დაწერილ XI ს. ხელნაწერებში გადაბმულად დაწერილი ა, ბ, დ, ე, ზ, Ө, ი, ნ, რ, ს, ტ, ფ და სხვა ასოების მოხაზულობა, რომელთაგან ყველაზე უფრო მრავალმეტყველი და დამახასიათებელი ა და ფ ასოებში მომხდარი ცვლილებაა: გადაბმულ ა-ნს მთელი მარცხენა ნაწილი აღარა აქვს, რადგან გადამბმელ ხაზთან არის შეერთებული, ან უკეთ რომ ითქვას, გადამბმელ ხაზად ქცევის გამო უკვე ირიბად გამოისახება და თავისი დანიშნულება ა-ნი ასოის ნაწილისა უკვე დაკარგული აქვს. მარჯვნითი ქვედა კიდურიც ამ ასოს აღარ აბადია. თანაც მარჯვნითი ზედა კიდური წინანდებურად ბადის მეორე ხაზის დონემდე მყოფი ამ ასოს ბუნის წერტილიდან კი აღარ იწყება, არამედ ბუნის შუა ნაწილიდანვე გამოდის და ირიბად მარჯვნივ და ზევითკენ მიიმართება (იხ. ტაბ. V, 16). ხოლო „ფ"-არს ბუნის თავის აქეთ-იქით ბადის მე-2 და მე-3 ხაზებში მოთავსებული და ბუნთან მჭიდროდ შეერთებული ნახევარ-წრეების მაგიერ ამ ზედა ნაწილს უკვე მარყუჟად შეკრული მოყვანილობის მსგავსი მოხაზულობა აქვს, წინანდელთან შედარებით შუაზე გადახლეჩილის, თავში ერთიერთმანეთზე საგრძნობლად დაშორებულისა და მხოლოდ ბადის მე-3 ხაზის დონეზე შეერთებულის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც სწორედ ამ შერთების წერტილებიდან ბუნი აქვს ქვევითკენ, მეოთხე ხაზის დონემდე, ჩამოშვებული (იხ. ტაბ. V, 16).

მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური პირველად, მართალია, XI ს. ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ ეს ამ დამწერლობის უკვე ჩამონაკვთილი გამოხატულებაა, მისი წარმოშობის ხანა კი, რასაკვირველია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი. ამ შემთხვევაშიაც წარმოშობის პროცესი, უეჭველია, კერძო პირთა კუთხოვან ნუსხა-ხუცურის გაკრულ ხელში ან ავხელად დაწერილ ნუსხებში უნდა ვეძიოთ, და სწორედ ასეთი ხასიათის ძეგლები მოგვცემენ მომავალში კუთხოვანი ნუსხა-ხუცურის მრგვლოვანად გარდაქმნის ყველა საფეხურს.

დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილისა და ნ. მარის საერთო აზრით XI ს-შივე გვაქვს ჩვენ მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშებივე და სწორედ ამ დამწერლობის უძველეს ძეგლებად მიჩნეული აქვთ მათ ბაგრატ IV-ის შიომღვიმის 1058 წ. და ოპიზის 1060—1065 წწ. და სხვა XI—XII სს. სიგლები. ამ მკვლევართა შორის მხოლოდ ის უთანხმოებაა, რომ დ. ბაქრაძესა და დანარჩენ ავტორებს ეს მხედრული დამწერლობა ნუსხა-ხუცურის განვითარებად მიაჩნდათ, ნ. მარი კი მხედრულ დამწერლობას ქრისტიანულ ხუცურზე უწინარესად და ქართული წარმართობის დროინდელ დამწერლობადა თვლის, რომელსაც XI ს-ში ნუსხა-ხუცურის მხოლოდ გავლენა ეტყობაო. ნამდვილად კი ბაგრატ IV-ის ზემოაღნიშნული სიგლები სრულებით მხედრული დამწერლობით არ არის გამოყვანილი, არამედ მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურით. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღნიშნული იქნეს ორი მთავარი გარემოება: პირველი ის, რომ ამ საბუთების დამწერლობის ასოთა მდებარეობა ოთხხაზოვან ბადეში იგივეა, რა მდებარეობაც ნუსხა-ხუცური დამწერლობის ასოებსა აქვთ, — მეორეც ისა, რომ თვით ასოთა მოხაზულობას არავითარი არსებითი განსხვავება არ ემჩნევა. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ 35-იდან[53] 23 ასოს, ანუ ე, ვ, ზ, თ, ი, ლ, მ, ო, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ და ჯ ასოთა მოხაზულობისაგან სრულებით არაფრით განსხვავდება. სამ ასოს, — ბ, გ და ნ, — მოხაზულობას მხოლოდ ის ცვლილება ატყვია, რომ ქვედა კიდურები სრულ წრემდე აქვთ მოკაუჭებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბ და გ ასოებს ამავე ძეგლებში ქვედა კიდურები ისეც აქვთ გამოყვანილი, როცა მოკაუჭებული ხაზი ბოლომდე არ არის მიყვანილი და სრული წრე არ იკვრება, ესე იგი ამ ასოთა ნუსხა-ხუცური მოყვანილობა აქაც შესამჩნევი ხდება (იხ. ტაბ. V, 13, 14, 16, 17, 20). კ-ანს, პირიქით, შუა ტანის კვანძი გახსნილი აქვს. ბაგრატ IV-ის სიგლების დ-ონს კი (ტაბ. V, 17, 20) იოანე-ზოსიმეს 981—982 წწ. ხელნაწერში ნახმარი დ-ონის ნუსხა-ხუცურ მოხაზულობასთან (ტაბ. V, 14) შედარებით მხოლოდ ის განსხვავება აქვს, რომ სარქველის მარჯვენითი ნაწილი სრულებით არა აქვს და სარქველის მარცხნითი ნაწილი ბუნთან მომრგვალებით არის შეერთებული, რაც ასოთა გადაბმითი წერის შედეგია და ნუსხა-ხუცური კუთხოვანი დ-ონის ნუსხა-ხუცურ მრგვლოვანად ქცეული დ-ონის ბუნებრივ შერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგლის იოანე ლიპარიტის ძის ხელრთვაში (ტაბ. V, 19) და მეტადრე ოპიზის 1060—1065 წწ. სიგელში (ტაბ. V, 20. ამ ასოს, მცირეოდენი განსხვავებით, ნუსხა-ხუცური მოხაზულობა დაცული აქვს. ხოლო მოხაზულობის გამარტივების პროცესი, რომელიც ა-ნს უკვე მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური დამ-

[53] სიგლების ტექსტში ჳ და ჲ ასოები არ იხმარება.

წერლობის ძეგლებში ემჩნევა (ტაბ. V, 16), ბაგრატის სიგლებში უფრო გაძლიერებულია და თუ ამ ასოს მარჯვნითი ზედა კიდური იქ ბუნის შუა ნაწილიდან იწყებოდა, აქ უკვე ბადის მესამე ხაზის დონემდეა დაწეული და ბუნიდან ბადის მესამე ხაზის გასწვრივ მარჯვნისაკენ წარზიდული ხაზით არის ზევითკენ მიმავალ კიდურთან შეერთებული (ტაბ. V, 17 და 20). ამავე ძეგლებში ისედაც და მეტადრე კათალიკოსისა და სხვა კერძო პირთა ხელრთვაში ასო ა-ნის მოხაზულობა უფრო გამარტივებულია იმ მხრივ და იმდენად, რომ მისი ბუნიც კი უკვე აღარ იწერება და მხოლოდ მარჯვნითი კიდურიღაა შენარჩუნებული, რომელიც იოანე ლიპარიტის ძის ხელრთვაში პატარა, ირიბად გაკრულ ხაზად არის მხოლოდ-ღა ქცეული (ტაბ. V, 18, 19 და 20). შედარებით უფრო მეტი ცვლილება ემჩნევა ხ-ანის მოხაზულობას, რომელსაც ბუნი ზევითკენ ბადის მე-2 ხაზზე, ოდნავ მარცხნივ გადახრით, მაღლა აქვს აწეული, შუაში მყოფი ხაზი ბუნიდან მარჯვნივ არის წარზიდული ისე, რომ მას უკვე კუთხოვანი მოყვანილობა აღარა აქვს და სწორ განივ ხაზს წარმოადგენს, ბოლო კიდურიც ახლა მხოლოდ ოდნავღა აქვს მარჯვნივ მოხრილი (ტაბ. V, 17).

ასოთა მოხაზულობის ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ჩქარი, გაკრული ხელითა და ასოთა გადაბმული წერით არის გამოწვეული. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ერთსა და იმავე ძეგლში, ერთი და იგივე დამწერელი სულ სხვადასხვანაირად წერს ასოს იმისდა მიხედვითაც, ცალკეა და გადაუბმელი ეს ასო, თუ სხვაზეა გადაბმული. პირველ შემთხვევაში ასოთა ძველი, ნუსხახუცური მოხაზულობა დაცულია ხოლმე, მეორე შემთხვევაში მას თვალსაჩინო გამარტივებაც ეტყობა და მდებარეობაც შეცვლილი აქვს. ასოთა ახალი, უფრო მარტივი და ამის წყალობით უფრო სწრაფად გამოსაყვანი მოხაზულობა სწორედ ასოთა მრავალნაირი გადაბმის პროცესში ჩამოინაკვთება ხოლმე.

ამას გარდა, მეფეთა სიგლების დამწერლობის დაკვირვება ცხადყოფს, რომ მდივან-მწიგნობრები, რომელთაც წერა თავიანთ ხელობად ჰქონდათ ქცეული და შესაფერის პირებთან და დაწესებულებებში იყვნენ განსწავლულნი, თავიანთ დამწერლობაში ასოთა ტრადიციულ მოხაზულობას უფრო იცავენ, ვიდრე კერძო პირები. ამ უკანასკნელთა ხელრთვისა და მოწმობის დამწერლობა ასოთა მოხაზულობის გამარტივების მხრით მდივან-მწიგნობრებს წინ უსწრებს და მათ დანაწერში ასოთა მოყვანილობის ცვლილება გაცილებით უფრო ადრე ჩნდება. მდივან-მწიგნობრული დამწერლობა, ვითარცა განსწავლულ მოხელეებს შეეფერება, ამ ცვლილებებს უფრო გვიან ითვისებს. ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების გამომხატველი ტაბულის შედგენის დროს, თვით სიგლების მდივან-მწიგნობართა დანაწერის ანბანის გარდა, მეფის, კათალიკოსისა და სხვა პირთა ხელრთვისა, კრულობითი და მარტივი მოწმობის დანაწერის ასოთა ნიმუშებიც სწორედ ამ მიზნითა და ამ გარემოების ცხადსაყოფელად ჩავურთე.

მოხაზულობის ყველა იმ ცვლილებათა დახასიათება და აღნუსხვა, რომელიც ნუსხა-ხუცურმა დროთა განმავლობაში გამოიარა, მეტად დიდ დროს მოითხოვს და ბევრ ალაგს დაიჭერს, ამიტომ სიტყვა უნდა უნებლიეთ მოკლედ მოიჭრას და საზოგადო დახასიათებით დავკმაყოფილდეთ. V ტაბულის გულდასმითი განხილვა და შესწავლა მკითხველს თვალწინ გადაუშლის ყველა იმ

უმთავრეს ცვლილებას, რომელიც ასოთა მოხაზულობას გამოუვლია XI—XVI სს-ში, თავის თვალით დაინახავს და დარწმუნდება, რამდენად ხანგრძლივი ბრძოლა ყოფილა ასოთა ჩვეულებრივსა, ძველსა და ახალ მოხაზულობათა შორის, სანამ ახალი, უფრო მარტივი მოყვანილობა საბოლოოდ გაიმარჯვებდა. საბოლოო გამარჯვებაც ძველ მოხაზულობას ვერ სპობდა და ძველიც ამა თუ იმ თემში კვლავ იხმარებოდა.

ნუსხა-ხუცური მრგვლოვანი მდივან-მწიგნობრული დამწერლობის ასოთა მოხაზულობის ის უმთავრესი ცვლილებანი რომ მოკლედ აღვნუსხოთ, რომელთაც ამ შეცვლილ დამწერლობას განმასხვავებელი თავისებურება მიანიჭეს, უნდა შემდეგი ითქვას: „ბ“-ანმა, რომელსაც მოკაუჭებული კუდი წრეებრ შეეკრა, ზევით აიწია და ბადის პირველსა და მესამე ხაზს შუა მოთავსდა, — „დ“-ონმა ბადის პირველისა და მესამე ხაზის შუა მდებარეობიდან ქვემოთ ჩამოიწია და მესამე და მეოთხე ხაზს შუა მოექცა, თანაც გადაბმის პროცესის წყალობით მარცხენა მხრით თავქვე გადმობრუნდა, — „ვ“-ინის სამივე კბილი ჯერ შეერთდა და მესამე კბილის მოხრილი კიდურის ბოლოდან ბუნი კუდის მსგავსად ჩამოეშვა, შემდეგ ამ ასოს თავის სამკბილა მოყვანილობა წოწოლად მოიხარა, — „ი“-ნს ცხვირი მესამე ხაზის დონემდე ჩამოუგრძელდა, — „კ“-ანს ზედა კიდური თანდათან დაუმოკლდა, — „ლ“-ასს პირველი კბილი ჩამოუგრძელდა, — „ო“-ნი პირქვე გადმობრუნდა, — „პ“-არსა და „ჟ“-აეს მეორე და მესამე კბილი ზევითკენ აეწია ისე, რომ ბადის პირველსა და მეორე ხაზს შუა მოექცა და მთელი ასო მარჯვნიდან აყირავებულის შთაბეჭდილებას ახდენდა, — „ტ“-არსა და „ც“-ანს ქვედა კიდური მარჯვნივ იმდენად მოეხარა, რომ ბადის მესამე ხაზის დონეს მიაღწია და აქ „ტ“-არს პირი მარყუშის მსგავსად შეეკრა, „ც“-ანს კიდევ მხედრული „ანის“ მსგავსად ჩამოენაკვთა. ტაბულაში (V, 24) მოყვანილი მაგალითები მკითხველს დაარწმუნებენ, რომ ასოთა გადაბმულობის პროცესით წარმოშობილი „ტ“-არის მარყუში იმ ხანაშიაც იყო, როდესაც ამ ასოს ბოლო კიდური ჯერ ბადის მესამე ხაზამდე აყვანილი და პირშეკრული არ იწერებოდა, — „წ“-ილს ქვედა კიდური პირქვე მოქცეული შუბის თავის მსგავსად ჩამოენაკვთა და ბუნი ბადის პირველ ხაზამდის აეწია, — დასასრულ „ხ“-ანმაც ზევით აიწია და თანდათანობით ბადის პირველსა და მესამე ხაზს შუა მოთავსდა და სხვაც ბევრი.

ძეგლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ამ ასოთა მოხაზულობის ცვლილების ყველა საფეხური თვალწინ წარმოვიდგინოთ კუთხოვანი ნუსხა-ხუცურიდან მოყოლებული ე. წ. მხედრულამდე. V ტაბულიდან ადამიანი დარწმუნდება, რომ თუმცა XII ს. უკანასკნელ მეოთხედში ნუსხა-ხუცურის მდივან-მწიგნობრული დამწერლობა იმდენად შეცვლილა, რომ მერმინდელ მხედრულ დამწერლობას უკვე თვალსაჩინოდ მიემსგავსება, მაგრამ შემდეგშიაც XIII ს. მეორე ნახევრამდე ძველი მოხაზულობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო. ამიტომ მხედრული დამწერლობის ჩამონაკვთილობაზე ლაპარაკი მხოლოდ XIII ს. მეორე ნახევრიდან იქნებოდა მართებული. XI—XII სს. ძეგლებში კი, მეტადრე საბუთებში, ჩვენ მდივან-მწიგნობრული მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური დამწერლობა გვაქვს. იმდროინდელ ძეგლებში რომ მხედრულ დამწერლობაზე საუბარი არ შეიძლება და ამ დამწერლობას მაშინ არავინ „მხედ-

რების“ კუთვნილებად არ თვლიდა, ამას ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგელიც ცხადყოფს, რადგან იქ „კრულობითი მოწმობა“ სამღვდელო პირს, გიორგი ქართლისა კათალიკოსს სწორედ ამ ვითომც მხედრული დამწერლობით აქვს გამოყვანილი, ვანის XII ს. სახარების დამწერელსაც ანდერძის ერთი ნაწილი და ვედრება ამავე დამწერლობით აღუბეჭდია, ხოლო, მეორე მხრით, ისეთი საეკლესიო თხზულება, როგორიც ქება-ქებათაჲს თარგმანების 1188 წ. ხელნაწერია, ამავე „მხედრულით“ არის დაწერილი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მაშინ დამწერლობათა ასეთი, ხუცურად და მხედრულად, დაპირისპირება არ იყო. საფიქრებელია, რომ ამავე მიზეზით აიხსნება, რომ ტერმინი „მხედრული კელი“ ასე გვიან XIV ს. შუა წლებში გვხვდება. XIII ს-მდე ამგვარი ტერმინისათვის ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში რეალური საფუძველი არ მოიპოვებოდა.

თავი მეხუთე

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი

ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების განხილვისა და გამორკვევის შემდეგ ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის განხილვაც შეიძლება. თავისთავად ცხადია, რომ საკითხის მეტისმეტი სირთულის გამო და ამ დარგში წინასწარი საფუძვლიანი კვლევა-ძიების უქონლობის წყალობით ქვემომოყვანილი თავი საკითხის გარკვეულ საფუძველზე დაყენების მხოლოდ პირველ ცდად შეიძლება იყოს მიჩნეული.

§ 1. ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორია

როგორც ამ წიგნის პირველ თავშიც აღნიშნული გვქონდა, ქართულ საისტორიო მწერლობაში ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენელის პიროვნების შესახებ. მას ქართული „მწიგნობრობა“ ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიაჩნია. რადგან ეს ფარნავაზი XI ს. ამ ქართველ ისტორიკოსს საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წესწყობილების, იმგვარადვე როგორც სარწმუნოების შემოქმედად ჰყავს გამოყვანილი და ზღაპრულ პიროვნებად არის ქცეული, ამიტომ ლეონტი მროველის ცნობას ქართული ანბანის შესახებ ფასი ეკარგება. აქ მხოლოდ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ XI საუკ. ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ჰქონია წარმოდგენილი, ძველისძველად მიაჩნდა და სხვებივით ქრისტიანობის შენაძენად არ სთვლიდა. იქნებ მომავალმა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა ლ. მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზეპირგადმოცემა.

თუ ქართულ ძველსა და XVIII ს. საისტორიო მწერლობაში ასეთი შეხედულება არსებობდა, სომხურ საისტორიო მწერლობაში სულ სხვანაირი ცნობა და აზრი იყო განმტკიცებული. სახელდობრ, სომეხთა ისტორიკოსის კორიუნის ნაწარმოებად ცნობილ თხზულებაში მესროპ-მაშტოცის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ სომხური, ქართული და ალბანური ანბანი მესროპის ანუ მაშტოცის გამოგონილად არის აღნიშნული. ამგვარად, წარმართობის ხანაში კი არა, არამედ V ს. პირველ მეოთხედში ქ. შ. გამოდის ქართული ანბანი შემოღებული, თანაც იგი სომხური ანბანისაგან წარმომდგარად არის გამოცხადებული.

§ 2. სომხურისაგან წარმოშობის თეორია

კორჲნის ეს ცნობა არა ერთს მკვლევარსა და მეცნიერს სრულ ჭეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული და ამის დამამტკიცებელი საბუთების ძიებნა-მოყვანაც უცდიათ. ამასთანავე მესროპის მოგონილ ანბანად მათ ქართული ხუცური ასომთავრული დამწერლობა მიაჩნდათ, რომელშიაც სომხური დამწერლობის იერსა ხედავდნენ. მაგრამ ზოგს მათგანს მხედრული ხუცურისაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ დამწერლობად ეხატებოდათ, რომელიც ხუცურზე უძველესადაც იყო მიჩნეული. ამ აზრს ჰკად. ნ. მარი იცავს თავის უკანასკნელს, 1925 წ. გამოსულ ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკაშიც: ხუცური აქ ქრისტიანობის დამწერლობად მიაჩნია, მხედრული კი — წარმართული დროის ქართული დამწერლობის ნაშთად ეხატება[1].

აქ უეჭველია, ორივე, სომხურ-ქართული, კორჲნ — ლ. მროველის ზემომოყვანილი ცნობის ერთგვარი გამართლების ცდაა. თუმცა ნ. მარს ამ თავის უკანასკნელ ნაშრომში ნათქვამი აქვს, რომ ხუცური დამწერლობის დასაწყისის ხანა ჯერ გამორკვეული არ არისო[2], მაგრამ აქ, ალბათ, ზედმიწევნითი განსაზღვრა იგულისხმება, თორემ ისე მასვე აღნიშნული აქვს, რომ ხუცური ქრისტიანობის ხანის დამწერლობაა. ამ ჩვენი გამოკვლევის მეოთხე თავის შემდგომ ვგონებ აღარავითარი ლაპარაკი საჭირო არ არის, თუ რამდენად შეუწყნარებელია ნ. მარის აზრი, ვითომც მხედრული ხუცურზე უძველესი იყოს ან ვითომც ბაგრატ IV-ის სიგლები მხედრული დამწერლობის ძეგლები იყოს.

პროფ. კ. კეკელიძესაც თავისი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის I წიგნში ქართული ანბანის გამოგონების საკითხის მთელი პრობლემა კორჲნის ცნობებზე აქვს დამყარებული (იხ. გვ. 28—31). მისი სიტყვით, „მართალია, სომხის ისტორიკოსები ცოტა არ იყოს აზვიადებენ მესროპის როლს ქართული ანბანის შემოღებაში, მათი გადმოცემით ინიციატივა ამ საქმეში თითქოს მესროპს ეკუთვნის, მ ა გ რ ა მ მ ი ს ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ე ჭ ვ ს გ ა რ ე შ ე ა“-ო (გვ. 29)[3]. შემდეგ პროფ. კ. კეკელიძეს საქმის ვითარება ასე აქვს წარმოდგენილი: 412 წ. რომ მესროპმა სომხური ანბანი შექმნა, ამ გარემოებამ ერთი საუკუნის ქრისტიანობის მქონებელ ქართველებზეც გავლენა მოახდინა და, მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით შემდგარა ერთგვარი კომისია, რომელშიაც შედიოდა, სხვათა შორის, ვიღაც ბერძნულისა და სომხურის ენის მცოდნე ჯ ა ღ ი. „ამ კომისიაში, თუ შეიძლება ვთქვათ, ინსტრუქტორად მოუწვევიათ მეზობელი სომხეთიდან მესროპი, რომელსაც ქართველები იცნობდნენ, როგორც ანბანის შედგენაში დახელოვნებულ კაცს. ამნაირად, მესროპი ამ კომისიაში თამაშობდა მრჩეველის და არა ინიციატორის როლს, მაშასადამე, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ანბანი შექმნა, მოიგონა თუ მოაწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ... მაგრამ ამასთანავე, უეჭველია, კომისიას, რომელშიაც მესროპის გარდა სომხური ენის მცოდნე ჯაღიც შედიოდა, წინ ედებოდა სომხური ანბანიც საეჭვო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ. შეიძლება

---

[1] Н. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, с. 1—2.

[2] იქვე, გვ. 1.

[3] კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია.

ამით აიხსნებოდეს ის მოჩვენებითი მსგავსება (აკად. მ. ბროსეს სიტყვით), რომელსაც ხედავენ ქართულსა და სომხურ ანბანთა შორის"-ო (გვ. 29—30). ყველა ამ მოსაზრებათა გამო პროფ. კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ „ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, არა უადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იქნა შემოღებული, და არა უგვიანეს 429 წლისა, როდესაც არჩილი მეფე ჩანს იბერიის ტახტზე; მაშასადამე, ამ დროიდან უნდა დავიწყოთ ჩვენ ქართული მწერლობის ისტორიაც"-ო (გვ. 31).

პროფ. კ. კეკელიძის აზრით, „ქართველებს რომ... გაქრისტიანების შემდეგაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ, და არამც თუ ქართველებს, მათ მეზობელ სომხებსაც, ეს ნათლად ჩანს. სხვათა შორის, იოანე ოქროპირის ქადაგებიდან, რომელიც მას წარმოუთქვამს კონსტანტინეპოლში მეოთხე საუკუნის გასულს, 398—399 წელს, როდესაც ახლად მოქცეულმა გუთებმა პავლე მოციქულის ეკლესიაში თავის ენაზე საღმრთო წერილი წაიკითხეს"-ო. ამ სიტყვაში იოანე ოქროპირს, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს: „არა მარტო ურიასტანში, არამედ ენასა ზედა უცხოსა, ვითარცა გესმა თქვენ დღეს, ის ბრწყინავს უაღრეს მზისა: სკვითნი, თრაკიელნი, სავრომატნი და სხვანი, კიდეთა ქვეყანისათა დამკვიდრებული. — ყველანი სიბრძნისმეტყველებენ, სთარგმნეს და თვისითა ენითა იგივე სიტყვანი"-ო. მეორე სიტყვაშიც მასვე უთქვამს: „ასურთა და მეგვიპტელთა, ინდოთა და სპარსთა, ეთიოპიელთა და სხუათა მრავალთა უგუნურთა იწყეს სიბრძნისმეტყველებად, სთარგმნეს რა საკუთარითა ენითა გარდმოცემული მის მიერ (იოანე ღვთისმეტყველის) მოძღვრება" (გვ. 26). ამ ამონაწერების შემდგომ პროფ. კ. კეკელიძე ბრძანებს: „როგორც ვხედავთ, ოქროპირს ჩამოუთვლია ყველა გაქრისტიანებული „ბარბაროსები", რომელთაც საღმრთო წერილი ჰქონდათ თავიანთ ენაზე, და აქ ხსენებაც კი არაა არც ქართველებისა და არც სომხებისა, იმ სომხებისაც კი, რომელთა ნაწილი ბიზანტიის ფარგლებში იყო მოქცეული, სადაც მან დაყო უკანასკნელი წელნი თავისი ცხოვრებისა და საკმაო რიცხვი მეგობრებისა და პატივისმცემლებისა მოიპოვა. ყოველ ეჭვს გარეშეა, ქართველებსა და სომხებს რომ მეოთხე საუკუნის გასულს თავის ენაზე მწერლობა ჰქონოდათ, ოქროპირი მათაც მოიხსენებდა სპარსელთა და ასურელებთან ერთად. ასე რომ ქრისტიანობის მიღებამდე უნდა ვიფიქროთ, ქართველებს მწერლობა არ ჰქონიათ და, მაშასადამე, ქართული ანბანიც არ ყოფილა"-ო (გვ. 26).

ამგვარად, პროფ. კ. კეკელიძეს ჰგონია, რომ ქრისტიანობამდე ქართული ანბანის უქონლობის შესახები აქამდე უცნობი, ამასთანავე უცილობელი ცნობა მოიყვანა. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს იგი კორჲნის მოთხრობას ემყარება, მაგრამ არც ისა სურს, რომ ამ ცნობაზე დამყარება იმას ნიშნავდეს, „რომ ქართული ანბანი შეიქმნა, მოიგონა თუ მოაწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ"-ო და ამ თეორიისაგან ბუნებრივად გამომდინარე დასკვნის გასაქარწყლებლად მესროპ-მაშტოცი პროფ. კ. კეკელიძეს მხოლოდ „ინსტრუქტორად" ჰყავს ქცეული, რომელსაც ქართული ანბანის გამომგონებელ კომისიაში მხოლოდ „მრჩეველისა და არა ინიციატორის როლს" მიაკუთვნებს. მაშ ვინღაა ქართული ანბანის გამომგონებელი, ეს პროფ. კ. კეკელიძეს ნათქვამი არა აქვს, მაგრამ, ალბათ, „კომისია" ან ამ კომისიის წევრი „სომხური ენის მცოდნე ჯალი".

დასასრულ, კორჯნის ცნობა თურმე ისე უნდა გავიგოთ, რომ ამ ქართული ანბანის შემდგენელ კომისიას მესროპის „ინსტრუქტორობითა“ და „ჯაღის“ მხურვალე მონაწილეობით, სხვათა შორის, „წინ ექნებოდა სომხური ანბანიც საეჭვო შემთხვევებში სახელმძღვანელოდ“-ო.

იმის გარდა, რომ პროფ. კ. კეკელიძის ამგვარი განმარტება კორჯნისად მიჩნეულ დედააზრსა და ცნობებს ეწინააღმდეგება, მთელ ამ თეორიას ერთი მხრით თანამედროვე ცნებების წარსულში გადატანა ეტყობა (ინსტრუქტორი, მრჩეველი, საეჭვო შემთხვევები და სხვა), თანაც ავტორის ცხადი სურვილი ემჩნევა, რომ კორჯნის თხზულების ცნობაც გადურჩეს კრიტიკას და ქართული თავმოყვარეობაც არ შეიბღალოს.

მაგრამ ჯერ იმ ცნობის განხილვა ემჯობინება, რომელიც თითქოს ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდე და თვით 398—399 წლებამდე უქონლობის დამამტკიცებელი უნდა იყოს. იოანე ოქროპირის ამ ქადაგების ერთი თვალითაც გადავლება საკმარისია, რომ ადამიანი დარწმუნდეს, რომ აქ ჩვენ რიტორულ ენაწყლიანობასთანა გვაქვს საქმე და არა ცხოვრების უტყუარ და რეალურ გამოხატულებასთან. იოანე ოქროპირს სკვითები და სავრომატებიც კი ქრისტიანული მწერლოშის მქონებელ ერებად ჰყავს დასახელებული. ცნობილია, რომ სკვითები და სავრომატები დიდი ხანია, ქ. წ. IV ს. უწინარეს, ბერძენი და რომაელი მწერლებისათვის რეალურ ერთეულს აღარ წარმოადგენდნენ და მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ ნამდვილი წარმოდგენა აღარა ჰქონდათ. იმავე დროს ელინურ-რომაულ მწერლობაში სკვითებისა და სავრომატების ყოფა-ცხოვრების იდეალიზაცია ფუფუნებითა და კულტურული ცხოვრებით თავისი დროის დაძაბუნებული და გარყვნილი თანამემამულეების ზნეობრივად და პოლიტიკურად „მოსარჯულებლად“ ჰქონდათ გამოყენებული. ეს გარემოება პროფ. მ. როსტოვცევის 1925 წ. გამოსულ გამოკვლევაშიც „Скифия и Боспор, критическое обозрение памятников литературных и археологических“ კარგად არის გაშუქებული (იხ. გვ. 7, 90, 108—111 და ბევრგან სხვაგანაც). ცხადია, IV ქ. შ. ს. დასასრულის ისეთ ცნობას, რომელშიაც სკვითები და სავრომატები ქრისტიანული მწერლობის მქონებელ ერებად არიან გასაღებულნი, ისტორიულად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს მკვლევარი ვერ გამოიყენებს.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა იოანე ოქროპირი ვალდებული იყო ქრისტიანული მწერლობის მქონებელ ერთა შორის უეჭველად ქართველები და სომხებიც მოეხსენებინა? მართალია, პროფ. კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ ამ სიტყვაში იოანე „ოქროპირს ჩამოუთვლია ყველა გაქრისტიანებული ბარბაროსები“, რომელთაც თავიანთ ენაზე საღმრთო წერილი ჰქონდათ და „იქ ხსენებაც კი არაა არც ქართველებისა და არც სომხებისა“-ო, მაგრამ ეს შეცდომაა და თვით იოანე ოქროპირის სიტყვებსაც სრულებით ეწინააღმდეგება: პირიქით, მას გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ იმ ერთა გარდა, რომელნიც სახელდობრივ ჩამოთვლილი ჰყავდა, კიდევ „სხვანი კიდეთა ქვეყანისათა დამკვიდრებულნი“ საკუთარი ქრისტიანული მწერლობის მქონებელნი იყვნენ. მეორეჯერ იოანე ოქროპირს უფრო ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ დასახელებულთ გარდა „სხუათა მრავალთა უგუნურთა იწყეს სიბრძნისმეტყველებად“ და თავიანთ ენაზე საღმრთო წერილი სთარგმნესო. მაშასადამე, იოანე ოქროპირს ვერ მოვახვევთ თავზე იმ შეცდომას, რომელიც მისი სიტყვებიდან არ

გამომდინარეობს და ამ ცნობით ვერასგზით ვერ დამტკიცდება ის აზრი, ვითომც ქართული დამწერლობა V ს. პირველ მეოთხედამდე არ ყოფილიყოს.

ახლა რომ კორჳნის ცნობის განხილვაზე გადავიდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთს იმ მკვლევართაგანს, რომელიც ქართული ანბანის გამოგონების შესახებ მსჯელობდა და წერდა, თავი არ შეუწუხებია და კორჳნის ნაწარმოები კრიტიკულად არ განუხილავს. უამისოდ კი წყაროებით განურჩევლად სარგებლობა გამოდიოდა და გამოდის და დასკვნაც ამის გამო სათუო უნდა ყოფილიყო. სომხური საისტორიო მწერლობის კრიტიკული და ყოველმხრივი შესწავლა უნდა უძღოდეს ამას წინ და სწორედ კორჳნის ნაწარმოების კრიტიკულმა შესწავლამ ცხადად დამარწმუნა, რომ ცნობა ქართულ-ალბანური ანბანის შედგენაზე მაშტოცის ცხორების თავდაპირველს რედაქციაში არ ყოფილა და მერმინდელი ჩანართია. ლ. ფარპელს ჯერ კიდევ უამცნობოდ ჰქონია წაკითხული კორჳნის ნაშრომი. ამგვარად, რაკი ამბავი ქართული ანბანის მესროპისაგან V ს. პირველ მეოთხედში შედგენის შესახებ მერმინდელი აღმოჩნდა, ახლა მხოლოდ ისღაა გამოსარკვევი, თუ რამდენად საფუძვლიანია არსებითად ეს შემდეგდროინდელი დამატება.

ამ საკითხის განხილვა ორი თვალსაზრისით შეიძლება: მოხაზულობისა და ანბანის ასოთა წესრიგის მხრით. თუ სომხური და ქართული მართლაც ერთსა და იმავე დროსა და ერთი და იმავე პირის შედგენილია, ცხადია, მათ ასოთა მოხაზულობას შორის დიდი მსგავსებაც უნდა იყოს და ასოებიც ერთსა და იმავე რიგზე იქნება ანბანში დალაგებული. სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებიცა და ქართულიც ჩვენ VI—VIII სს. თუმცა ბევრი არა გვაქვს, მაგრამ მაინც ყველა ასოს მოხაზულობა ვიცით. ერთიცა და მეორე ანბანიც გარეგნულად სრულებით ჩამონაკვთილი და იმდენად დამთავრებულია, რომ მათი დასაწყისი დიდი ხნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. საკმარისია ადამიანმა სომხური და ქართული ხუცური ასომთავრული უძველესი მოყვანილობის ასოები ერთიმეორეს გულდასმით შეადაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დაშორებულია და არ მიაგავს ერთიერთმანეთს ქართული და სომხური ანბანი. ორიოდე ასოს გარდა, ორივე ანბანის ყველა ასო მოხაზულობით არსებითად განსხვავდება.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულს მერმინდელ ანბანს თავის წარმომშობელ ფინიკიელთა ანბანის ასოებთან 5—6 საუკუნის შემდგომაც ისეთი მსგავსება ემჩნეოდა, რომ მათი ნათესაობა ცხადი ხდება, ქართული და სომხური ასოების მოხაზულობა ერთი-ორი საუკუნის შემდგომ ისე როგორ უნდა შეცვლილიყო, რომ მათ ნათესაობას გულდასმითი დაკვირვებაც ველარ ამჩნევს, თუ მათი შემდგენელი მართლაც ერთი და იგივე პირი იყო და მართლაც V ს-ში მოღვაწეობდა ქ. შ.?

ქართული ანბანის ასოთა რიგი თავიდან მოყოლებული ჳ, ანუ უ-მდის, ორი გამონაკლისის გარდა, 23 ასოსათვის იგივეა, რაც ბერძნულ ანბანშია, და მხოლოდ ამის შემდგომ ქართული ენის ბგეროვანი შედგენილობისათვის დამახასიათებელი ზედმეტი ასოებიც მისდევენ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულისას ან უფრო მისი წყაროს რიგს მისდევს. ამის გამო ეს წესრიგი დასაწყისიდანვე უნდა ჩაითვალოს.

ასოთა წესრიგის მხრით ქართულ-სომხურ ანბანთა შორის კი არსებითი

განსხვავებაა[4]: იმ დროს, როდესაც ქართულში „ე“-ნს „ვ“-ინი მისდევს და 6-სა ნიშნავს, სომხურ ანბანში ვინს 30-ე ადგილი აქვს დათმობილი და 3000 ნიშნავს. ამგვარადვე, თუ ქართულში ცხრის აღმნიშვნელს „თ“-ანს 10-ის აღმნიშვნელი „ი“-ნი მისდევს, სომხურში „თო“-ს „ჟე“ მისდევს, რომელიც იქ 10-ის აღსანიშნავად იხმარება იმ დროს, როდესაც ქართულში „ჟ“-ანს მე-18 ადგილი უკავია ანბანში და 90 უდრის. ხოლო „კან“-იდან მოყოლებული ქართულ და სომხურ ანბანთა ასოების წესრიგს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ მათ შორის მსგავსების აღმოჩენა შეუძლებელია. ცხადია, ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაჩინო, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ მწერლობაში კორვნის გადამკეთებელნი და მოსე ხორენელი ამტკიცებდნენ.

მაგრამ ქართულსა და სომხურ ანბანს შორის ამ მხრივ მარტო ეს განსხვავება არ არის. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა და შემდეგში ამაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, ქართული ანბანის ასოთა რიგი ანბანში „ჳე“ და თვით „ქან“-ამდის, ორი გამონაკლისის გარდა, სწორედ ბერძნულის მსგავსია. შემდეგ კი განსხვავება იწყება და ქართულ ანბანში „ქანს“ უკვე ნამდვილი ქართულისათვის დამახასიათებელი 11 ბგერის აღმნიშვნელი ასო მისდევს და მხოლოდ მე-12-ეა „ჰაე“, რომლის მსგავსი ბგერის გამოსახვას ბერძნული შემდეგში spiritus asper-ით ახერხებდა. როდესაც რომელიმე ერი უცხო ენის ანბანს ითვისებს, ის ჯერ არსებულს გამოიყენებს ხოლმე და ბოლოში შეთვისებულ ანბანში არარსებულ ბგერათა გამოსახატავად თავისი დედაენის განსაკუთრებულ ასოებს ქმნის და ბოლოშივე ურთავს ხოლმე. ამგვარი გზით შემუშავდა, მაგ., ბერძნული ანბანი, რომელმაც ფინიკიელთაგან შეთვისებულ სემურ ანბანს თანდათანობით ბოლოში ბერძნულისათვის დამახასიათებელი ξ, φ, χ, ψ და ω დაურთო. რაკი ქართულ ანბანშიაც ქართულის ნიშანდობლივ ბგერათა გამომხატველი ასოები მხოლოდ ბოლოშია მოთავსებული, ბერძნულ-სემურთან საერთო ასოების შემდგომ, ეს უეჭველია საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ ქართულ ანბანს თავისი თანდათანი განვითარების სახე და კვალი საუცხოოდ, შეიძლება ითქვას, უცვლელად აქვს შენახული.

ქართული ანბანის ბერძნულ-სემურთან შედარებით დანართი ასოები გარკვეული სისტემით და ერთგვარი ენათმეცნიერული დაკვირვების მიხედვით არიან დალაგებული. დაცულია ერთგვარი ბგერათა ჯგუფობითი დაყოფვა-დალაგება, მაგალითად: ღ, ყ,—შ, ჩ,—ც, ძ,—წ, ჭ,—ხ, ჴ. განმარტოებულად დგანან ჯ და ჰ. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმის დამამტკიცებელია, რომ ანბანის პირვანდელი შედგენილობისათვის დანართი ასოების შემძენელთ ქართული ენის ბგერათა ბუნება გათვალისწინებული ჰქონიათ. მაგრამ საკმარისია დანართ ასოებს თვალი გადაავლოთ, რომ ერთგვარი აღრეულობა მაინც შეატყოთ. ბგერათა ბუნებისდაგვარად რომ ყოფილიყვნენ ასოები მოთავსებულნი, ღ, ყ, ხ, ჴ, და ჰ უნდა ერთ ჯგუფად და ერთიმეორის მიდევნულობით ყოფილიყვნენ დალაგებული. ქართულ ანბანში კი ჯერ უკანაენისმიერი

[4] შესადარებლად იხ. ტაბულა II.

ლ და ყ ზის, შემდეგ კი სისინა და შიშინა წინაენისმიერ ბგერათა მთელი ექვსი ნიშნისაგან შემდგარი რიგი მისდევს შ. ჩ, ც, ძ, წ, ჭ, მერმე ისევ უკანაენისმიერი ხ და კ-ია მოთავსებული, შემდეგ ჯ და სულ ბოლოში ჰ. ასეთი შეუსაბამობა და აღრეულობა, ალბათ, იმის შედეგი უნდა იყოს, რომ დანართი ასოები ერთ დროს და ერთბაშად არ უნდა იყვნენ მიმატებული, არამედ თანდათანობით და სხვადასხვა დროს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ დანართ ასოთა მეორე 6 ნიშნის შემცველი ჯგუფი გასაოცარი დაკვირვებით არის დალაგებული და ბგერების მწკრივი ისეა შედგენილი, რომ ჯერ ბრჯგუ, ანუ ყრუ ბგერა ზის, შემდეგ მჟღერი, მაგ. შ, ჩ,—ც, ძ,—წ, ჭ. ეს პრინციპი დაცულია სისინა-შიშინა ბგერათა ჯგუფის მიმდევნო ხ და კ-ისაგან შემდგარ ჯგუფშიც, მაგრამ დარღვეულია უკანასკნელ ჯგუფში, რომელიც „ჯ"-ანისა და „ჰ"-ესგან შედგება. ასოთა დალაგებულობის პრინციპის ერთგვარობას მეორე და მესამე ჯგუფში შეიძლება ისეთი აზრიც დაებადა, რომ ეს ორივე ჯგუფი ერთსა და იმავე დროს და ერთად ყოფილიყოს ანბანისათვის მიმატებული, მაგრამ მაშინ ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თუ რატომ არ წაუძღვანეს ამ ჯგუფს ჯერ ხ და კ, რომლებიც თავიანთი ბუნებით წინამყოფ „ღ" და „ყ"-ს უფრო უდგება, არამედ სისინა-შიშინა ბგერათა შემდგომ მოათავსეს.

ყველაზე გვიან „ჰ" არის დართული. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ამ ბგერის აღსანიშნავად ქართულ ანბანში სხვა ასო იხმარებოდა, სახელდობრ მე-8 ასო „ჱ". პროფ. ნ. მარმა IX—XI სს. ხელნაწერების მიხედვით დაამტკიცა, რომ ამ დროს ეს ასო „ეჲ"-დ გამოითქმოდა. ამის დამამტკიცებელი საბუთები მრავალია ხელნაწერებში, სადაც ერთი და იგივე სიტყვა ზოგან „ჱ"-ით არის ნაწერი, ზოგან „ეჲ"-თ. მაგრამ ასე იყო თუ არა თავდაპირველად, ეს მეტად სათუო საკითხია. ძნელი დასაჯერებელია, რომ მრჩობლი ბგერის „ეჲ"-სათვის განსაკუთრებული ნიშანი შეექმნათ იმ დროს, როდესაც ჯერ ბევრი ძირითადი ბგერისათვის, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანისათვის, როგორიც ზმნების წარმოებისათვის აუცილებლად საჭირო ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი „ჰ"-აეა, არავითარი ნიშანი არ არსებობდა. ეს გარემოება მით უმეტეს გაუგებარი რამე იქნებოდა, რომ ფინიკიელთა და სემურ-ბერძნულ თავდაპირველ ანბანში მე-8 ასო „ხეთ", ანუ „ჰეთ" არის და „ჰ" ბგერის (Hauchlaut) გამომხატველი იყო[5]. მხოლოდ შემდეგში თანდათანობით ბერძნულში ეს ბგერა და თვით ასო გაქრა და თუმცა მილეტში უკვე 700 წ. ქ. წ. უფრო ადრინდელ ხანაში უნდა იყოს გამქრალი[6], მაგრამ სხვაგან, განსაკუთრებით დასავლეთში, ჯერ კიდევ ხმარობდნენ[7], რომაელებსაც ბერძნებისაგან ეს ასო სწორედ „ჰ" ბგერის აღმნიშვნელად ჰქონდათ შეთვისებული.

მეორე მხრით, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. თავი III, § 14), ქართულ სათვალავშიაც, სადაც „ჱ" უნდა იჯდეს, „ჰ" ზის. ეს გარემოებაც იმის მომასწავებელია, რომ ეს ორი ასო ერთმანეთის შესატყვისობად ჰქონიათ მიჩნეული. მართალია, ეს მოვლენა უფრო მერმინდელ ძეგლებშია შემჩნეული და მერმინდელ შეცდომად ითვლება, მაგრამ ამასაც გამორკვევა ეჭირვება, სწორედ შეცდომაა, თუ აქ ძველ გად-

---

[5] Larfeld, ბერძნ. ეპიგრაფიკა, 205, 211, 213, 215.

[6] იქვე, 215.

[7] გარდტჰაუზენი, ბერძნ. პალ., II[2], 37.

მოცემასა და მოვლენასთან გვაქვს საქმე. რადგან ქართულში მრხობლი ბგერა „ეჲ“ დამოუკიდებლივ არ არსებობდა და Ⴡ მხოლოდ იქ იწერებოდა X—XI სს-ში, სადაც „ე“ და „ი“ ერთმანეთს ხვდებოდნენ; ამგვარი შემთხვევისათვის „ე“ და „ჲ“ სრულებით საკმარისი იყო, რომ ბგერითი მოვლენა ზედმიწევნილობით აღბეჭდილი ყოფილიყო. ამავე დროს დაუჯერებელია, რომ თავდაპირველს ქართველთა მიერ შემოღებულ ანბანს, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ დანართი ასოები არ იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ბგერის, როგორიცაა „ჰ“, განსაკუთრებული ნიშანი არ ჰქონოდა, ამისთვის სწორედ ამავე ბგერის გამოსახატავად მიღებული „ჰეთ“-ი არ გამოეყენებინათ და ამის მაგიერ მისთვის მრჩობლი ხმოვანის „ეჲ“-ს მნიშვნელობა მიენიჭებინათ. ყველა ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მერვე ასოს „Ⴡ“ ქართულად „ჰ“-ს მნიშვნელობა ჰქონდა და მხოლოდ შემდეგში, როდესაც მას, ჯერ გამოურკვეველი მიზეზების გამო, გამოთქმა შეეცვალა და „ეჲ“-ს გადმოსაცემად იქნა დაწესებული, საჭირო შეიქნა „ჰ“-აესათვის ახალი ნიშნის შექმნა. ალბათ, ის მშეინვარე ბგერა, რომელსაც ნიშნად „Ⴡ“ ჰქონდა, მაინც „ჰ“-აესაგან განსხვავდებოდა და ერთგვარ საერთო ხორხისმიერ ბგერას წარმოადგენდა. ეს ახალი ასოს გამოგონების აუცილებლობის პროცესი მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც უკვე სისინა და შიშინა ბგერათა გამომხატველ ასოთა ჯგუფი და მაგარი ხორხისმიერი ორი ბგერის ნიშნისაგან შემდგარი ჯგუფი, თვით „ჯ“-ანიც კი, უკვე მიმატებული იყო და ანბანი მთლად დამთავრებულად ითვლებოდა.

სულ სხვანაირი სურათი გვეშლება თვალწინ **სომხური ანბანის ასოთა წესრიგის განხილვის დროს**: აქ ასოთა თავდაპირველი ძირითადი შედგენილობისა და სომხურისათვის დამახასიათებელი დანართი ასოების გამოყოფვა შეუძლებელია, რადგან ისეთი ბგერების ნიშნები, როგორც წ, ღ, ჭ, შ, ჩ და ჯ-ანია, ანბანის სხვადასხვა ადგილას არიან გაფანტულები და ძირითად შედგენილობის ასოთა შორის არიან მოქცეულნი. ამის წყალობით ծ „წო“-ს მე-14 ადგილი უკავია, სადაც სემურ-ბერძნულშიაც და ქართულ ანბანშიაც „ნ“ ზის, — ձ „ძო“-ს მე-17 ადგილი აქვს მიკუთვნებული, იმ დროს როდესაც სემურ-ბერძნულ-ქართულ ანბანებში აქ „პ“ ზის, — ղ „ღატ“-სა და ճ „ჭე“-ს მე-18 და მე19, շ „შა“-ს მე-23, չ „ჩა“-ს მე-25 და ջ „ჯე“-ს მე-27 ადგილი აქვს დათმობილი. სემურ-ბერძნულ-ქართულ ანბანებში ეს ადგილები ძირითადი შედგენილობის ასოებს უკავიათ. სამაგიეროდ სომხურ ანბანში ისეთი სემურ-ბერძნულისათვის ძირითადი ასოები, როგორიც პ, რ, ს, ტ, ფ და ქ-ია, ბოლოში არიან მოთავსებულნი, სომხურისათვის დამახასიათებელ ბგერათა ნიშნებს შემდგომ და 26-ე, 28, 29, 31, 35 და 36-ე ადგილი აქვთ მიკუთვნებული, ერთი სიტყვით, სომხური ანბანის ასოთა რიგს ანბანის ისტორიული განვითარებისა და თანდათანი ზრდის კვალი წარხოცილი აქვს და არ ემჩნევა. ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სომხური ანბანის შედგენის დროს, 36 ბგერისათვის ყველა ნიშანი და მათ შორის სომხურისათვის დამახასიათებელნიც უკვე ყოფილან. ამგვარად, სემურ-ბერძნულ-ქართულისა და სომხური ანბანის ასოთა რიგების შედარებითი შესწავლა სრული უეჭველობით ცხადყოფს, რომ არამცთუ სომხური ანბანის შედგენა გინდაც ერთი ათეული წლით არ შეიძლება ქართულისას წინ უსწრებდეს, პირიქით, ქართული ანბანი სომხურზე გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ მათ

ერთმანეთისაგან საუკუნეთა მანძილი უნდა ჰყოფდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც ქართულ ანბანში „ვ“-ს იმგვარადვე, როგორც სომხურში „ვავ“-სა და პირვანდელ ბერძნულში „დიგამმა“-ს მეექვსე ადგილი უკავია და ამით ქართული ანბანის უძველესი წესრიგია დაცული, სომხურ ანბანს იმგვარადვე, როგორც მერმინდელ ბერძნულს, აქ ეს ასო არა აქვს, არამედ ბოლოში, მე-30 ადგილას არის მოთავსებული.

მაშასადამე, თავისთავად ცხადია, რომ სომხური და ქართული ანბანის შემდგენელი, გინდ „ინსტრუქტორადაც“ მონათლული, შეუძლებელია ერთი და იგივე პირი, მაშტოცი თუ მესროპი, ყოფილიყო. ამ ორი ანბანის შემდგენელი რომ ერთი და იგივე ადამიანი ყოფილიყო, სხვასაც რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ასოთა წესრიგი ანბანში ერთნაირი უნდა ყოფილიყო. ახლაც უკვე საკმაოდ გამორკვეულია, მაგრამ შემდეგში ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V ს. დამდეგს შედგენაზე ლაპარაკი გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს[8]. ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ კორიუნის თხზულების მაშტოც-მესროპის ცხოვრების თავდაპირველ ტექსტში ცნობა მაშტოც-მესროპისაგან ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არც ყოფილა და მერმინდელ ჩანართს წარმოადგენს. თვით V. Gardthausen-იც კი, რომელიც სომხურ გადმოცემას სომხური ანბანის გამოგონების შესახებ სამართლიანად სცნობს, ქართულის სომხურისაგან წარმოშობილობას უარყოფს და ქართული დამოუკიდებლივ და უშუალოდ ბერძნულისაგან შეთვისებულად მიაჩნია[9].

§ 8. ბერძნულისაგან წარმოშობის თეორია

მეცნიერთა მთელი რიგი, მათ შორის ბერძნული პალეოგრაფიის კარგი მცოდნე პროფ. გარდტჰაუზენიც (იხ. ბერძნ. პალ., II², 47), ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი, იმგვარადვე როგორც სომხური, ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი. ამ აზრის სიმართლისათვის შესაძლებელია ის გარემოებაც იყოს გამოყენებული, რომ ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, გასაოცრად უდგება ბერძნულისას. მაგრამ ეს დებულება რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ანბანი VII ს-ში ქ. წ. უნდა ყოფილიყო წარმომდგარი, მაინცდამაინც VI ს-ზე უწინარეს უნდა გვეგულისხმა შედგენილად, რადგან ამ დროიდან მოყოლებული ბერძნულში დიგამმა, ანუ ვავ, რომელსაც ამბანში მეექვსე ადგილი ეკავა, უკვე აღარ იხმარებოდა[10]. ქართულ ანბანს კი სწორედ მეექვსე ასოდვე „ვ“ აქვს და, თუ ქართული ანბანი მართლაც ბერძნულიდან წარმოდგა, ცხადია, იგი მხოლოდ ისეთ დროს შეიძლება წარმოშობილიყო, როდესაც ეს ბგერა და ასო თვით ბერძნულშიაც იხმარებოდა, ე. ი. VIII—VII სს-ში.

---

[8] იგივე უნდა ითქვას სომხური ანბანის V საუკ-ში ქ. შ. შედგენის თარიღის შესახებაც, ის გაცილებით ამაზე ხნიერი უნდა იყოს.

[9] V. Gardthausen, Ueber den griechischen Ursprung der armenischen Schrift, ZDMG, 1876, 30. B., გვ. 79—80.

[10] Larfeld, ბერძნ. ეპიგრ., 295—296.

მაგრამ ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნულ და ქართულ ანბანთა წესრიგის შედარებით. აქ უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობასა აქვს. ამ მხრივ კი ჩვენ ცუდ მდგომარეობაში ვართ, რადგან თუ ბერძნულ პალეოგრაფიას ძეგლები VII ს-იდან მოეპოვება ქ. წ., ქართული დამწერლობის ნიმუშები ჯერჯერობით მხოლოდ VI—VII სს-იდან მოყოლებული ქ. შ. არის შენახული. ამგვარად, ორს ერთიერთმანეთთან შესადარებელ ანბანს მეტად დიდი მანძილი, მთელი ათი საუკუნე, აშორებს. ასეთ პირობებში, სანამ ქართული დამწერლობის უფრო ძველი და უძველესი ძეგლები მიწის გულიდან ამოღებული არ არიან, მეცნიერს მსჯელობის დროს მეტისმეტი სიფრთხილე და განსაკუთრებული სამეცნიერო ღონეობით თავისი თავის მძიმე შეცდომებისაგან შეძლებისაებრ უზრუნველყოფა მართებს.

სანამ შედარებითს შესწავლას შევუდგებოდეთ, ჯერ უნდა გათვალისწინებული გვქონდეს ის გარემოება, რომ ბოლნისის სიონისა და ჯვრის მონასტრის უძველეს ცნობილ წარწერებში ასომთავრული მრგვლოვანი დამწერლობაა ნახმარი. თავისთავადაც კი ცხადია და ამაზე თავის ადგილას უკვე საუბარიც გვქონდა, რომ ეს ძეგლები ქართული დამწერლობის არამცთუ თავდაპირველ, უძველეს ნიმუშებადაც ვერ ჩაითვლებიან, რადგან მრგვლოვან დამწერლობას, ჩვეულებრივ, კუთხოვანი დამწერლობა უძღვის წინ, რომლისგანაც ის წარმოშობილია ხოლმე კიდეც. ისიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ მრგვლოვანი განსაკუთრებით ხელნაწერთა დამწერლობაა და არა წარწერათა, სათუთ საწერი მასალისა, ლერწმის იარაღისა და საღებავის ხმარებისგან წარმომდგარი. მწერლობის ისტორიის თავდაპირველ ხანაში, როდესაც საწერ მასალად მაგარი ნივთიერება, ქვა, ლითონი ან აგურ-კრამიტის ნატეხები და ლითონისავე მკვეთრი იარაღი იყო მიღებული, მრგვლოვანი დამწერლობა არ გვხვდება. რომ ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიაც ამ საზოგადო გზასა და კანონს არ ასცდენია და მის პირველ საფეხურადაც ასოთა კუთხოვანი მოყვანილ-მოხაზულობა იყო, ეს, როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, თვით ნუსხა-ხუცურითაც მტკიცდება. რადგან ის ასომთავრულისაგან არის წარმომდგარი და თანაც ჩვეულებრივ და უძველეს დროს IX—X სს. მას მკაცრი კუთხოვანი მოხაზულობა ახასიათებს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ მის წარმომშობად ის მრგვლოვანი ასომთავრული დამწერლობა კი არ უნდა ყოფილიყო, რომლის ნიმუშებიც ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის ეკლესიების წარწერებში გვაქვს შენახული, არამედ იმაზე უწინარეს მყოფი კუთხოვანი ასომთავრული. ამგვარი ქართული დამწერლობის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად, ზემოაღნიშნულის გარდა, უძველესი ცნობილი ქართულ-სასანიანთა სახის ფულების წარწერებიც შეიძლება დასახელებული იყოს, რადგან ის რამდენიმე ასო, რომელიც ამ ფულებზეა აღბეჭდილი, მართლაც კუთხოვანი მოყვანილობისაა. ამ გამორკვეული გარემოების გამო, ქართულისა და უძველესი ბერძნული ანბანის ერთიერთმანეთთან შედარების დროს ვალდებული ვართ ქართული ასომთავრული მარტო მრგვლოვანი დამწერლობა კი არ ავიღოთ, არამედ ასომთავრული კუთხოვანიც. ეს პირველი აუცილებელი დებულებაა.

მაგრამ როგორ უნდა ავიღოთ ასომთავრული კუთხოვანი დამწერლობა შედარების საფუძვლად, როდესაც ფულებზე შენახული სამიოდე ასოს გარდა

ჩვენ სხვა ამგვარი დამწერლობის უძველესი ნიმუშები არ მოგვეპოვება? შედარებითი შესწავლის მთავარ სიძნელესა და შემაფერხებელ გარემოებას სწორედ ეს წარმოადგენს და მისი დაძლევისაგან არის განსაკუთრებით დამოკიდებული შედარებისაგან გამომდინარე დასკვნის სისწორეც. ნაწილობრივ ამისთვის შესაძლებელია მერმინდელი საუკუნეების ასომთავრული და ნუსხა-ხუცური კუთხოვანი დამწერლობის ძეგლებიც იყვნენ გამოყენებულნი, რამდენადაც იქ ასოთა ძველი ნაანდერძევი სახეები და მოყვანილობა უნდა იყოს შენახული და, მრგვლოვანის ზეგავლენით, ასოთა პირვანდელი საზოგადო სახე და მოხაზულობა არ უნდა იყოს შეცვლილი. მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის, არამედ წინასწარ შესწავლილი და გათვალისწინებული უნდა იყოს ასოთა მოყვანილ-მოხაზულობის თანდათანი ცვალებადობის მიმართულება და ამ ცვლილებათა საერთო ხასიათი და მიდრეკილება. ასოთა მოხაზულობის ისტორიული განვითარების ამგვარი ცოდნა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ, თუ რა გზით მიმდინარეობდა ასოთა მოხაზულობის ცვლილება და ამნაირად ცოტად თუ ბევრად განვჭვრიტოთ ის წინამავალი ცვალებადობის სახეობაც, რომლის ძეგლებრივი ალბეჭდილობის ნიმუშებს ჩვენამდის ჯერ არ მოუღწევია. ეს მეორე ღონეობაა, რომელიც ამ მეტად რთული საკითხის გამორკვევას ხელს შეუწყობს.

დასასრულ, გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომელიც სემურ-ბერძნული ანბანის შედარებითი და ისტორიული, აგრეთვე ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების მთავარი საფეხურების შესწავლით არის გამორკვეული, სახელდობრ, რომ უცხო ანბანის შეთვისებისა და ეროვნულ დამწერლობად ჩამონაკვთვის დროს ან ახალი დამწერლობის შექმნის ხანაში ასოთა მდებარეობა ძირიანადაც კი ყოველმხრივ შეიძლება შეიცვალოს (ამის შესახებ იხ. მე-4 თავში), ეს მესამე აუცილებლად გასათვალისწინებელი დებულებაა.

§ 4. ქართულ-ბერძნულ-სემური დამწერლობის შედარებითი შესწავლა. თანხმოვანნი

თუმცა ქართული „გ ა ნ ი ს" მოხაზულობა რთულია (სურ. 1), ამისდა მიუხედავად, მაინც მისი მონათესავე მოხაზულობის პოვნა სხვა დამწერლობაშიაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ფინიკიელთა დამწერლობაშიც ამ ასოს პირი მარცხნივ ჰქონდა მიბრუნებული და მასაც თავში ოდნავ ქვემოთ ირიბად წაზიდული ხაზი ჰქონდა (სურ. 2). ამ ასომ მსგავსი მოხაზულობა შეინარჩუნა

სურ. 1. სურ. 2. სურ. 3. სურ. 4.

თითქმის ყველა მონათესავე დამწერლობაში, ებრაელთა, უძველეს არამეულში და თვით ფაჰლაურშიც კი. თუმცა ბერძნულში ეს ასო მარჯვნივ არის გადმობრუნებული და მისი მოხაზულობაც წვეტკუთხოვანის მაგიერ სწორკუთხოვანად არის ქცეული (სურ. 3), მაგრამ უძველეს ბერძნულ წარწერებში, მაგ., კრიტოსის, მელოსისა და ნაქსოსის წარწერებში, ეს ასო ბერძნულში მარცხნივ

მიქცეული იწერება და იმავე სახით როგორც ფინიკიელთა ჰქონდათ, ქართული „განიც" მარცხნივ არის მიბრუნებული და ამ მხრივ ის ამ ასოს ძველ გამოხატულებას იცავს. მაგრამ სხვებისაგან, ჯერ ერთი, მერმინდელი ბერძნულის მსგავსად, სწორკუთხოვანი მოყვანილობით განირჩევა, მეორე მხრით, თავისი ქვევით ჩამოშვებული ცხვირით, თანაც მარცხნივ წარზიდული ხან აკიბული, ხან ქვემოთკენ მოხრილი კუდით. თუ ამგვარი კუდი არც ერთ სხვა დამწერლობის შესატყვის ასოს არა აქვს, ქართული „განის" მსგავსი ქვეით ჩამოშვებული თითქმის სწორკუთხოვანი მოყვანილობის ცხვირი სამარიტული დამწერლობის სათანადო ასოსაც მოეპოვება (სურ. 4). ესეც საყურადღებო გარემოებაა და იქნებ იმის მომასწავებელივე, რომ, შესაძლებელია, მსგავსი მოყვანილობის „განი" საერთო წარმომშობელ ანბანშიაც ყოფილიყოს.



სურ. 5. სურ. 5a. სურ. 6. სურ. 7. სურ. 8. სურ. 9.

ფრიად საგულისხმოა ქართული „ბ ა ნ ი" თავისი მოხაზულობით. უძველეს დროს თავშეკრული (სურ. 5), ხოლო შემდეგ, ჩვეულებრივ, იგი ასე იწერებოდა: (სურ. 5a). მაგრამ ჰადიშის IX ს. სახარებაში „ბანს" თავში პირი ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო დაახლოებული და დავიწროებული აქვს (სურ. 6). ეს გარემოება განსაკუთრებით საყურადღებო ხდება, როდესაც სხვა ერთა დამწერლობის შესატყვისი ასოს გამოსახულობას დავაკვირდებით და ქართულთან შედარებითს შესწავლას შევუდგებით. ბერძნული „ბეტა" ქართულისა და სხვებისაგან ძალიან განსხვავდება, იგი მარჯვნივაა მიქცეული (სურ. 7). მაგრამ მელოსისა და პელოპონეზოსის ზოგს წარწერებში სხვაგვარად არის გამოსახული (სურ. 8). მოიპოვება ეგეოსის ზღვის კუნძულების წარწერებში სრულებით განსხვავებული სახის „ბანიც" (სურ. 9). მაშასადამე, ქართული ბანისა და ბერძნული შესატყვის ასოს შორის არავითარი მსგავსება არ არის.



სურ. 10. სურ. 11. სურ. 12. სურ. 13. სურ. 14.

ფინიკიელთა „ბეთ" მარცხნივ არის მოქცეული (სურ. 10). უძველესი ებრაული, იმგვარადვე როგორც სამარიტული დამწერლობა ამ მოხაზულობას თითქმის უცვლელად იცავს. არამეულსა და მისგან წარმომდგარ ყველა ანბანს, მათ შორის კუთხოვან ებრაულ დამწერლობასაც, „ბეთ"-ი პირღია ასოდ აქვს ქცეული (სურ. 11), ებრაულ კუთხოვანსაც (სურ. 12), პალმირულსაც (სურ. 13), ასურულსაც (სურ. 14) და არაბულსაც (სურ. 15). ამგვარივე მოხაზულობისაა არამეულისაგან წარმომდგარი ფაჰლაური დამწერლობის „ბანი" (სურ. 16).

ქართული ასომთავრული „ბანის" მოხაზულობა ძველი არამეულისა და პალმირულისას მიაგავს. მაგრამ შესადარებლად საჭიროა ასოს ქართული უძვე-

ლესი მოხაზულობის ცოდნა. VII ს-ში, როგორც ეს ჯვრის ეკლესიის წარწერიდანაც ჩანს, ჩვენ „ბანსაც" პირი დაღებული ჰქონია. გამოსარკვევია, წინათაც ასე იყო თუ არა? ამ ასოს მოხაზულობის მთელი მერმინდელი განვითარება ცხადყოფს, რომ პირი თანდათან ფართოვდებოდა და იღებოდა. ამის



სურ. 15.

სურ. 16.

გამო შესაძლებელია გვეფიქრა, რომ რაც უფრო უძველესი იქნებოდა ძეგლი, მით უმეტეს უფრო ვიწროდ უნდა დაღებული ყოფილიყო ბანის პირი. ამ აზრის სიმართლეს ჰადიშის IX ს. სახარების „ბანის" ვიწროდ მოხაზული პირი ადასტურებდა. მაგრამ VII—VIII სს-შიც ამ ასოს, როგორც ეს მცხეთის ჯვრისა და ვეჟან ატენელის წარწერიდან ჩანს, ჯერ კიდევ ოდნავ პირი ღია ჰქონია. ჰადიშის სახარების „ბანმა" თავისი მრგვლოვანი მოყვანილობით მაფიქრებინა, რომ ამ ასოს პირს კუთხოვან დამწერლობაში, ალბათ, სამკუთხედის მოყვანილობა უნდა ჰქონოდა და შესაძლებელია, ფინიკიურის მსგავსად, პირი მთლად შეკრული ჰქონოდა. პროფ. ალ. დიდებულიძისაგან მის მიერ ბოლნისის სიონის გარეთი კედლის 506 წ. ახ. ხანის წარწერის გაძლიერებული, მკაფიო დანაბეჭდის მიღებამ ეს პროგნოზი და ბანის პირვანდელი სახის აღდგენა გაამართლა და დაამტკიცა: ბოლნისის წარწერაშიც კი ბანი მართლაც პირშეკრული აღმოჩნდა. შემდეგ თემისტიას წარწერიდან ჩანს, რომ ქართულ „ბანს" თავი VI ს. დამლევსაც შეკრული ჰქონდა, VI ს. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერებშიაც ეს აზრი გამართლდა (იხ. სურ. 5 და ტაბ. I—1, 2 და 3). უძველესი კუთხოვანი დამწერლობის დროს, მაშასადამე, ქართულ „ბანს" დაახლოებით ისეთივე მოხაზულობა ექმნება, როგორიც ფინიკიურში. განსხვავება მხოლოდ კუდს ემჩნევა, რომელიც ქართულში მარჯვნივ არის წარზიდული.



სურ. 17.



სურ. 18.



სურ. 19.

ქართული ასომთავრული „დ ო ნ ი ს" ტანი ჩვეულებრივ წრეს წარმოადგენს, რომელსაც ზემოდან პატარა ასწვრივი ხაზიანი ყელი და გარდიგარდმო სწორე ხაზი სარქველივით ზედ დარჭმული აქვს (სურ. 17). წრის სახის გარდა კუთხოვანი მოყვანილობის „დონიც" მოგვეპოვება. მაგ., ასეთი „დონი" გვხვდება ჩვენ XIV ს. საჰმადინის ანისის ქართულ წარწერაში (სურ. 18). ხოლო ს. ხოვლის თევდორეს ეკლესიის კედლის წარწერაში ტანი ამ ასოს ოთხკუთხედისაც კი აქვს (სურ. 19). ყელი ამ ასოს, რაც უფრო ძველია ძეგლი, რომელშიაც იგი გვხვდება, უფრო და უფრო უმოკლდება, ისე რომ პალესტინის პაპირუსის IX ს. ხატიკში, ჰადიშის IX ს. სახარებაში და VI ს. ბოლნისის სიონის წარწერაში ყელი ძლივს ან სრულებით არ მოჩანს. თანდათან ეს ხაზი გრძელდებოდა.

ფინიკიელთა და მისგან წარმომდგარს უძველეს ებრაულსა და არამეულს დამწერლობაში „დალეტი" სამკუთხედის სახით გამოიხატებოდა, რომელიც

თხემით პირქვე და მარჯვნივ იყო მოქცეული (სურ. 20), ან ასწვრივ იყო ამართული (სურ. 21). არამეულ-ებრაულ ფულებზე და სამარიტელთა „დონს“ ამას გარდა პატარა ყელიცა აქვს (სურ. 22). დონის აღსანიშნავად ბერძნულში

სურ. 20. სურ. 21. სურ. 22. სურ. 23. სურ. 24

საყოველთაოდ △ მოხაზულობაა მიღებული უძველესი დროიდან მოყოლებული და მხოლოდ იშვიათად სხვანაირადაც იწერებოდა (სურ. 23). ასომთავრული წარწერული „დონი“ ბერძნული „დელტისას“ მიაგავს იმ განსხვავებით, რომ სამკუთხედის მოყვანილობის მაგიერ მრგვალი, წრის მოყვანილობა აქვს. ხოლო ფინიკიურსა და არამეულთან შედარებით ქართული „დონი“ აღმაა ამართული. მაგრამ ბერძნულსა და ქართულ მოხაზულობას შორის არსებითი განსხვავებაცაა: ქართულ „დონს“ მოკლე ყელიცა აქვს, რომელსაც ზემოდან გარდიგარდმო ხაზი ამკობს. ამის გამო შეუძლებელია ქართული „დონი“ ბერძნულისაგან წარმომდინარეობდეს. გამოსარკვევია „დონის“ ყელი და გარდიგარდმო ხაზი ქართული მოხაზულობის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, თუ ამის მსგავსი დანართი სხვა ანბანშიაც მოიპოვება. სამკუთხედიანი მოყვანილობის „დალეტ“-საც ფინიკიელთა, განსაკუთრებით კი არამეულსა და სამარიტელთა ანბანში ერთი გვერდის ხაზი უფრო გრძელი აქვს და ყელის შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. სურ. 22). მართალია, ეს ხაზი ქვევითკენ არის წარზიდული და ქართული „დონივით“ აღმა არ არის ამართული, მაგრამ ეს მთელი ასოს საზოგადო მდებარეობით აიხსნება, რადგან მისი ტანის თხემიც პირქვეა მოქცეული. რაკი ბერძნულში და ქართულში ეს ასო გადაბრუნებულია და სამკუთხედის თხემი ზევითკენ არის ამართული, ხაზიც, თუ მას ამგვარი ხაზი ექნებოდა, რასაკვირველია, ზემოთკენ უნდა მოჰქცეოდა. ჯვრის მონასტრის V—VII სს. კედლის წარწერებში, განსაკუთრებით კი ბოლნისის 506 წ. ახ. წ. წარწერასა და IX ს. ხელნაწერებში ნახმარი ასოების მოხაზულობა მაინცდამაინც გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად „დონის“ ყელი მერმინდელივით გრძელი არ ყოფილა, პირიქით, ხაზი ძალიან მოკლე ჩანს. გარდიგარდმო ხაზიც „დონისა“-თვის ქართულის განსაკუთრებული თვისება არ ყოფილა. საბაელთა ანბანში „დონს“ სწორედ სამკუთხედის ერთ-ერთი თხემის გასწვრივი ხაზი ჰქონია გავლებული[11] (სურ. 24). აქ „დონის“ ტანი ზევითკენ არ არის აშვერილი, არამედ მარცხნივ არის მობრუნებული, მაგრამ სამკუთხედის ერთ-ერთ თხემს ხაზი აქვს. საბაური „დ“ რომ ზევითკენ შევაბრუნოთ, ქართული „დონის“ მოხაზულობის მსგავსი ასო გვექნება იმ განსხვავებით, რომ მას მხოლოდ ყელი არ ექნებოდა და ტანი მრგვალი მოყვანილობის მაგიერ სამკუთხედისმაგვარია.

მაშასადამე, ქართული „დონი“ ბერძნულს მხოლოდ ტანის ასწვრივი მდებარეობით მიაგავს, ფინიკიურს იმით, რომ ტანს ყელი აქვს, ხოლო საბაურს გარდიგარდმო ხაზით. ის არსებითი განსხვავება, რომელიც, მსგავსებასთან

---

[11] W. Larfeld Griechische Epigraphik, 1914, 3 Aufl. 133. შენ. 1, რომელსაც K. Schlottman-ის „Schrift und Schriftzeichen“-იდან აქვს მოყვანილი, აგრ. Riehms Handwörterbuch des biblischen Alterthums II[a], 1434—50, განსაკუთრებით გვ. 1443.

ერთად, ჩვენ „დონს“ ზემოდასახელებულ ანბანებთან შედარებით ემჩნევა, ცხადყოფს, რომ ქართული „დონი“ არც ერთი მათგანის უშუალო განვითარება არ უნდა იყოს, არამედ მათთან ერთად [მას] საერთო წინაპარი უნდა ჰყავდეს.

სურ. 25. სურ. 26. სურ. 27. სურ. 28. სურ. 29.

ქართული ასომთავრული „თ ა ნ ი“ ასწვრივ ორად გაჭრილი წრის მარცხნითს ნახევარს წარმოადგენს, რომელსაც მარჯვენიდან შუაში პატარა მარჯვენივე წარზიდული ხაზი აქვს (სურ. 25). ამ ხაზის ბოლო შემდეგში თანდათან ქვეითკენ იხრება და გრძელდება, თვით ხაზიც შუაგულიდან გამოსვლის ნაცვლად უფრო და უფრო ზევიდან იწყება (სურ. 25).

ფინიკიელთა ანბანში ამის შესატყვისი ასო ოდნავ მარჯვნივ გადახრილ სრულ ელიპსისს, ზოგჯერ წრეს წარმოადგენდა, რომელიც ჯვარედინი ხაზებით ოთხ თანასწორ ნაწილად იყო დაყოფილი (სურ. 26). არამეულსა და მისგან წარმომდგარ ანბანებს მოხაზულობა ისე აქვთ შეცვლილი, რომ ჩვენი კვლევა-ძიების საგნისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბერძნულ დამწერლობაშიც „თეტა“ ჩვეულებრივ ჯვარედინით ოთხად გაყოფილ წრეს (სურ. 27) და მხოლოდ იშვიათად ოთხკუთხედს (სურ. 28) წარმოადგენდა. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ქართული „თანი“ სრულად არც ფინიკიურსა და არც ბერძნულ ასოს ემსგავსება, მაგრამ ამათ მაგვარი მოხაზულობის ასოსაგან უნდა იყოს წარმომდგარი: ქართული „თანი“ მის მხოლოდ მარცხნითს ნახევარსღა შეიცავს და მარჯვენითი ნაწილიდან მისი ჯვარედინის მარტო გასწვრივი ხაზიღაა დარჩენილი, რომლის მარცხნივი გაგრძელება კი უკვე მოსპობილია (სურ. 29). საფიქრებელია, რომ ეს მერმინდელი თანდათანობითი პროცესის შედეგი უნდა იყოს.

სურ. 30. სურ. 31. სურ. 32. სურ. 33. სურ. 34. სურ. 35. სურ. 36. სურ. 37

ქართული ასომთავრული „ზ ე ნ“-ის მოხაზულობა VI—VII სს-იდან მოყოლებული მაინც თითქმის უცვლელად არის შენახული და ამგვარად იყო ჩამონაკვთილი (სურ. 30). აღსანიშნავია ჰადიშის IX ს. სახარების „ზენის“ ქვედა ნაწილის მოკაუჭებული ბოლო, რომელიც ასწვრივ ხაზს არ ეყრება და წრე შეუკვრელად არის დატოვებული (იხ. სურ. 30 მეორე ასო).

ფინიკიელთა და უძველესი ბერძნული შესატყვისი ასოს მოხაზულობა სწორ ასწვრივ ხაზს წარმოადგენს, თავში და ბოლოში პატარა გასწვრივი ხაზით შემკულს (სურ. 31). უკვე უძველეს არამეულსა და სიდონურში, იმგვარადვე როგორც შემდეგდროინდელ ბერძნულში, ამ ასოს მოხაზულობა იმ მხრივ შეიცვალა, რომ ქვევითს გასწვრივ ხაზს მარცხნითი ფრთა მოეკვეცა, ზევითისას კი მარჯვენითი, მდებარეობითაც ოდნავ გადახრილი იწერებოდა (სურ. 32 სიდონური, სურ. 33 არამეული).

ქართული „ზენი“ თუმცა გადაუხრელი, ასწვრივ ამართული დარჩა და ამით ძველი ხასიათის დამცველია, მაგრამ ამ ასოს მოხაზულობის სიდონურ-არამეული სახის მერმინდელი განვითარების მსგავსებას შეიცავს იმ მხრივ, რომ ქვეითი მარჯვნითი გასწვრივი ხაზი, ალბათ, „ენისა“ და „ინისა“-გან უკეთესად გასარჩევად, თანდათანობით ზევითკენ იქნა მოხრილი და ბოლოს ასწვრივ ხაზს მთლად შეუერთდა კიდეც. ჰადიშის სახარების „ზენის“ მოხაზულობას შენახული აქვს ამ ასოს მოხაზულობის განვითარების ის საფეხური, როდესაც ქვეითი მარჯვნითი გასწვრივი ხაზი ბუნთან ჯერ შეერთებული არ იყო.

საგულისხმოა, რომ თავდაპირველს ებრაულშიც, როგორც ეს ასო სილოას წარწერაში გვხვდება, მეტადრე ტაძრის დროინდელი ფულების ზედწერილებში და სამარიტულშიც „ზენის“ შესატყვის ასოს ერთი მხარე მოხრილი და შეერთებულიც კი არის (სურ. 31) მესას წარწ.; სურ. 35 სილოას; სურ. 36 ფულების; სურ. 37 სამარიტული). აქაც სამარიტულში, მაშასადამე, „ზენს“ თითქმის იმგვარივე მოხაზულობა აქვს, როგორიც ქართულშია, იმ განსხვავებით, რომ სამარიტული ასო მარცხნივ არის გადახრილი და ბოლოშიც მარცხნივე მოხრილი კუდი აქვს. მაგრამ ებრაულ-სამარიტული დამწერლობის „ზენის“ მოხაზულობის განვითარების პროცესი ქართულისაგან განსხვავდება: იქ ასწვრივი ხაზი, ბუნი მოკლეა, ორივე გასწვრივი კი — გრძელი. საფიქრებელი ხდება, რომ სწორედ ამ გასწვრივი ხაზების მარჯვნითი წვერების მოხრით წარმოიშვა ხაზთა შეერთება, რომელმაც მას ქართული ასოს მსგავსი მოყვანილობა მიანიჭა, განსაკუთრებით მთელი ასოს მარჯვნივ გადახრის გამო.

სურ. 38. სურ. 39. სურ. 40. სურ. 41. სურ. 42. სურ. 43. სურ. 44. სურ. 45. სურ. 46.

ქართული ასომთავრული „კ“ უძველესი დროიდან მოყოლებული კვანძის მსგავსი მოყვანილობის ასო იყო, რომლის ერთი ტოტი ასწვრივ, მეორე კი დასწვრივ არის ჩამოყვანილი: ამასთანავე, რაც უფრო ადრინდელია ძეგლი, „კანის“ დასწვრივი ხაზი უფრო მოკლეა. შემდეგში კი იგი თანდათან გრძელდება ისე, რომ მერმე ასწვრივ-დასწვრივი ტოტები თანასწორი ზომისა ხდება (სურ. 38). აღსანიშნავია, რომ სვანეთის განთქმულ X ს. ხელნაწერში „კანის“ ტოტები არ იკვანძება, არამედ ხაზები ოდნავ მოხრილია მხოლოდ (სურ. 39).

თავისი მოხაზულობით ჩვენი „კ ა ნ ი“ არსებითად და თვალსაჩინოდ განსხვავდება ფინიკიელთა და მისგან წარმოშობილ სხვადასხვა ერთა დამწერლობათაგან. მე-40 სურათიდან ჩანს, თუ როგორ იწერებოდა უძველესი ფინიკიური შესატყვისი ასო. ბერძნული „კაპპა“-ც ამავე სახისა არის, მხოლოდ სხვებივით ეს ასოც მთლად პირმარჯვნივ არის მობრუნებული (სურ. 41). მოაბური, ებრაული უძველესი და ფულებზე შენახული ზედწერილების დამწერლობა უძველეს ფინიკიურს მისდევს და მის მოხაზულობას იცავს იმ განსხვავებით, რომ ოდნავ მარჯვნივ გადახრილი გასწვრივი ხაზის, ბუნის ქვედა კიდური მარცხნივ აქვს ან მოხრილი, ან მომრგვალებული კიდეც (სურ. 42 მესა; სურ. 43 უძვ. ებრ.; სურ. 44 ფულ.). არამეული უძველესი დამწერლობა ამ ასოს ფინიკიურ მოხაზულობას მოაბურზე და ებრაულზე უკეთესად იცავს და თითქმის სრულებით უცვლელად სტოვებს, მხოლოდ ორი კბილი ებრაულსავით უფრო აწეული აქვს (სურ. 45).

მაგრამ შემდეგში ამ ასოს მოხაზულობა ყველგან, ბერძნულის გარდა, თვალსაჩინოდ იცვლება. თითოეული ერის დამწერლობას თავისებურება შეაქვს ამ ცვლილებაში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც თვით ამ ცვლილებებშიც ერთგვარი მსგავსება მოჩანს. უკვე ფინიკიურის უშუალო განვითარება, სიდონური დამწერლობა ძველი, ოდნავ არამეულისმაგვარად შეცვლილი მოხაზულობის გარდა, სხვანაირად ჩამონაკვთილსაც ხმარობდა (სურ. 46).

სურ. 47. სურ. 48. სურ. 49. სურ. 50. სურ. 51. სურ. 52.

შემდეგ უკვე სწორედ ეს მეორე მოხაზულობა ვრცელდება და პუნურში როგორც ძირითადში, ისევე გარდამავალსა და ახალში, მხოლოდ ამგვარი „კ" იყო მიღებული (სურ. 47). არამეული პაპირუსების დამწერლობაც ამავე კვალს მისდევს იმგვარადვე, როგორც ნაბატეველთა. სამარიტულში უფრო მეტად არის ჩამონაკვთილი ის თავისებურება, რომელიც ამ ასოს მოხაზულობას დაეტყო და ქვედა კიდურიც მარცხნივ კუთხურად აქვს მოხრილი (სურ. 48). პალმირულსაც სამარიტულის მსგავსად ჩამოუნაკვთია (სურ. 49). სპარსეთში გავრცელებული არამეული დამწერლობის „კ" საზოგადოდ იმავე ცვლილებით არის მოხაზული, მხოლოდ მარცხნივ მყოფი პატარა ასწვრი[ვი] ხაზი გასწვრივი ხაზის შესაყართან კი არ თავდება, როგორც სხვა ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში, არამედ უფრო ქვეით არის ჩაშვებული (სურ. 50). საბაური დამწერლობის „კ" ფინიკიურის განვითარების ასოს მიაგავს (სურ. 51). მაგრამ ჰიმიარიტული და ეთიოპური შესატყვისი ასოს მოხაზულობა სიდონურისა და სპარსეთის არამეულის „კ" მსგავსად არის ჩამონაკვთილი იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მთელი ასო თავდაღმაა მობრუნებული (სურ. 52).

ქართული „კანის" მოხაზულობის წარსულის გათვალისწინება ძნელია, რადგან VI ს-იდან მოყოლებული მაინც მას საგრძნობი ცვლილება არ ემჩნევა. ასომთავრული „კანი", როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თვალსაჩინოდ განსხვავდება ფინიკიურისა და მისგან წარმომდგარ დამწერლობათა შესატყვისი ასოს მოხაზულობისაგან, ჰიმიარიტულის გარდა, რომელთანაც ქართულს ჯერ ერთი ის მსგავსება აქვს, რომ მასაც პირი მარჯვნივ აქვს მობრუნებული, მეორეც ის, რომ კვანძი ან მუცელი აქვს. მაგრამ მსგავსებასთან ერთად ის განსხვავებაც მოეპოვება, რომ მას, ჯერ ერთი, ჰიმიარიტულის მსგავსად, ქვედა ნაწილი ღია კი არა აქვს, არამედ შეკრული, თანაც კვანძის მარჯვნითი ტოტი ხაზს ქვეით არის ცოტა ჩამოშვებული. მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, „კ"-ის რომელი მოხაზულობათაგანია უფრო ადრინდელი, პირშეკრული, თუ გახსნილი? ამას გვაფიქრებინებს სიდონური ასოს მოხაზულობა (სურ. 46), სადაც პირველ შემთხვევაში სამკუთხედი მთლად დახშულია, მეორე შემთხვევაში კი პატარა ასწვრივ მიმავალი ხაზი ამავე სამკუთხედის ნაშთი უნდა იყოს, რომელსაც მხოლოდ ზევითი გვერდი აკლია. თავდაპირველად პატარა ასწვრივი ხაზი, რომელმაც სამკუთხედის მოყვანილობა მისცა, შესაძლებელია, გაკრული ხელით წერის დროს ერთი კბილისაგან მეორე კბილის ხელაუღებლივ გამოსაყვანად ნახმარი მოძრაობის წარმონაშობი ყოფილიყო. ამის გამო, სანამ ჩვენი „კანის" VI ს-ზე უწინდელი მოხაზულობის გამოსარკვევად ძეგლები აღმოჩ-

ნდება, ორგვარი შესაძლებლობაა გასათვალისწინებელი: ან „კანს“ მუცელი დახშული ჰქონდა უძველეს დროსვე და ასევე იყო იმ დამწერლობაში, საიდანაც ქართული წარმოიშვა ან ეს მერმინდელი, ქართულ ნიადაგზე მომხდარი პროცესის შედეგია.



სურ. 53. ს. 54. ს. 55. ს. 56. ს. 57. ს. 58. ს. 59. ს. 60. ს. 61. ს. 62. ს. 63.

ქართული ასომთავრული „ლ ა ს ი“-ს მოხაზულობა VI ს. წარწერის დამწერლობიდან მოყოლებული XI—XII სს. ძეგლებამდის მხოლოდ ქვედა ნაწილში განსხვავდება იმ მხრივ, რომ VI ს. წარწერაში ქვედა ნაწილი პირშეკრულია (სურ. 53), IX ს. ზოგ ხელნაწერში კი, როგორც, მაგალითად, ჰადიშის სახარებაში, წრე პირღიაც არის (სურ. 54) და ზევითი ნაწილის მარცხნითი პარალელი პატარა ხაზი წერტილის მსგავსად მოკლეა. ზოგში კი, როგორც პალესტინისა და სინას მთის პაპირუსის ხელნაწერებში, ამ ასოს მარცხნითი, ზევიდან ჩამომავალი, პარალელი ხაზი თითქმის ბოლომდის არის ჩამოშვებული, ქვედა ნაწილიც, ზემოაღნიშნულის მსგავსად, პირშეკრულია (სურ. 55). ეს უკანასკნელი მოხაზულობა ნუსხა-ხუცური დამწერლობის ზეგავლენით არის, უეჭველია, წარმომდგარი და მის შედარებით მერმინდელ სახეს გვიხატავს.

ფინიკიურსა და მისგან წარმოშობილ დამწერლობებში „ლამედ“-ი ოდნავ მარჯვნივ გადახრილ ასწვრივ ხაზს წარმოადგენს ქვედა კიდურის მარჯვნივე ცოტად თუ ბევრად ზევითკენ ახრილს (სურ. 56 ფინიკ.; სურ. 57 მოაბური, მესა; სურ. 58 ებრ. სილოა; სურ. 59 ებრ. ფულ.; სურ. 60 არამ. უძვ.). ამ ასოს ზედა და ქვედა კიდურების მოხაზულობის მერმინდელი განვითარება სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა: იმ დროს, როდესაც ფინიკიურის უშუალო გაგრძელებას, სიდონურს, პუნურს და გარდამავალ დამწერლობას ქვედა კიდური ჯერ კუთხოვნად მარჯვნივ აქვს ოდნავ წარზიდული, შემდეგ უკვე ზევითკენ ახრის მაგიერ ქვემოთაა ცოტა ჩამოშვებულ-მოხრილი (სურ. 61 სიდონ.; სურ. 62 პუნ.; სურ. 63 გარდ.) და ებრაული კუთხოვანიც ასევე იქცევა

სურ. 64. ს. 65. ს. 66. ს. 67. ს. 68.

(სურ. 64), პალმირული და ნაბატეველთა დამწერლობა ამ ქვედა ნაწილს მარცხნივა ხრის (სურ. 65 პალმ., სურ. 66 ნაბატ.), სამარიტული, პირიქით, ზედა კიდურსა ხრის მარცხნივ და ქვედა კიდური მხოლოდ კუთხოვნად აქვს მარჯვნივ საკმაოდ შორს წარზიდული (სურ. 67), ახალი პუნური, თავის მხრით, ზედა კიდურს მარცხნივ და ქვემოთკენა ხრის ოდნავ, ქვედა კიდური კი არსაითკენ არ არის მოხრილი (სურ. 68).

ქართული „ლას“-ის თავდაპირველ მოხაზულობას, ალბათ, ფინიკიურისა და მის მონათესავე დამწერლობათა შესატყვის ასოს მოყვანილობასთან უნდა ჰქონოდა მსგავსება. იგი მხოლოდ ასწვრივ არის ამართული სხვა ქართული

ასოებივით. ჯერ კიდევ IX ს-ში, ჰადიშის სახარებაში ასომთავრული „ლასის" ქვედა ნაწილი პირშეუკვრელიც იწერება, როგორც ფინიკიურსა და მოაბურში, რაც ძველი დამწერლობის ნაშთად უნდა იყოს მიჩნეული, თუმცა ქვედა პირშეკრულიანი „ლასი" უკვე VI ს-ში ყოფილა. „ლამედის" ქვედა ტანის მომრგვალებით ჩამონაკვთულობისადმი მიდრეკილება პალმირულსა და ნაბატეურსაც ემჩნევა ცხადად. ქართული „ლასის" ქვედა ტანის მომრგვალება მხოლოდ ფინიკიურ-მოაბური „ლამედი"-ს მოხაზულობის უფრო უშუალო, ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენს.

ქართული ასომთავრული „ლასის" მარცხნივ კუთხოვნად გახრილი და ცხვირჩამოშვებული ზედატანის მოხაზულობის მსგავსი მიდრეკილება სამარიტულ „ლამედ"-საც ეტყობა. ქართული მხოლოდ ჩვეულებრივ სწორკუთხოვნად არის სიმეტრიულად ჩამონაკვთილი. საფიქრებელია, რომ „ლასის" ზედა ტანის ცხვირი შემდეგში თანდათანობით ჩამოშვებულიყო, რომ „ზენ"-ისაგან უფრო ადვილად გასარჩევი გამხდარიყო.



სურ. 69. ს. 70. ს. 71. ს. 72. ს. 73. ს. 74. ს. 75.

ქართული ასომთავრული „მ ა ნ"-ის მოხაზულობაც VI ს-ზე ადრე უკვე დიდი ხანია დამთავრებული უნდა ყოფილიყო. ამ დროიდან მოყოლებული მაინც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მას თითქმის არავითარი ცვლილება არ ეტყობა და ჩვეულებრივ ამგვარი მოხაზულობა ჰქონდა (სურ. 69).

ფინიკიურსა და უძველეს მოაბურ დამწერლობაში „მიმ"-ი იმნაირი მოხაზულობისა იყო როგორც ეს სურ. 70-ე და 71-ზე არის მოყვანილი. ამასვე ემხრობა უძველესი და მერმინდელი ბერძნული „მუ" იმ განსხვავებით, რომ ამ ასოს წინაკბილის ხაზს ხან იმ სიგრძეზევე აგრძელებდა, რამდენადაც მარჯვენითი ხაზია ჩამოშვებული (სურ. 72), ან, პირიქით, ამ მარჯვენით ხაზს ამოკლებდა (სურ. 73). უეძველესმა ებრაულმა დამწერლობამ მოაბურ მოხაზულობას ბოლო უფრო და უფრო მარცხნივ მოუხარა ხან მომრგვალებით, ხან კუთხოვნად (სურ. 74 სილოა, სურ. 75 ფულ.).

სურ. 76. ს. 77. ს. 78. ს. 79. ს. 80. ს. 81. ს. 82.

სამარიტულს ეს პროცესი უფრო გაძლიერებული აქვს (სურ. 76). მეორე მხრით, უკვე უძველეს არამეულში ამ ასოს ზედა კიდურის მოხაზულობა გამარტივებითაც იწერებოდა (სურ. 77). პაპირუსებში მიღებულმა გაკრულმა ხელმაც სწორედ ამნაირი მოყვანილობა განამტკიცა (სურ. 78). პალმირულში უფრო მეტი წარმატება ჩანს და თავის მოხაზულობა თვალსაჩინოდ გამარტივდა, ბოლოც მომრგვალდა (სურ. 79). ამ ასოს ქართული მოყვანილობა ზედა ნაწილით პალმირულს მიაგავს და მხოლოდ თავის ქვედა ნაწილით განირჩევა, რომელიც მომრგვალებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ სრულ წრედ გადაქცეულა და ამ ხაზის გაგრძელება ასწვრივ ხაზთან შესაყარსაც

სცილდება. მაგრამ რომ მოხაზულობის იმგვარი პროცესი, რომელმაც ქართულ „მან“-ს ქვედა ნაწილი მოუმრგვალა და შეუკრა, მარტო ქართული დამწერლობის განსაკუთრებულ თავისებურებას არ წარმოადგენს, ამას ებრაული კუთხოვანი, ნაბატეველთა და ასურული ესტრანგელო დამწერლობაც ცხადყოფს (სურ. 80 ებრ. კუთხ.; სურ. 81 ნაბატ.; სურ. 82 ასურ.).



სურ. 83. ს. 84. ს. 85. ს. 86. ს. 87. ს. 88.

ქართული ასომთავრული „ნ ა რ“-ი გასაოცარი ერთგვარობით არის დაცული VI ს-იდან მოყოლებული მხედრულის წარმოშობამდე (სურ. 83).

ფინიკიელთა დამწერლობაში, მოაბურსა და უძველეს არამეულში ამ ბგერისათვის თითქმის ერთგვარი მოყვანილობის ასო იხმარებოდა. ყველა მონათესავე ანბანში ამ ასოს მოხაზულობის განსხვავება მარცხნით-მარჯვნითი ხაზების ცვლილებით წარმოებს: ზოგი ორივე ხაზს თანასწორზომიერად ხდიდა, შუატანს კი აგრძელებდა (სურ. 84 ბერძნ.) ან მარცხნით უფრო აგრძელებდა (სურ. 85. ბერძნ.), ზოგი ამავე ცვლილების დროს შუატანს თითქმის გასწვრივ ხაზად ხდიდა (სურ. 86 სიდონ., სურ. 87 არამ. სპარს., სურ. 88 ჰიმიარიტული).

სურ. 89. ს. 90. ს. 91. ს. 92. ს. 93. ს. 94. ს. 95.

ზოგი მარცხნით ხაზს მოკლესა სტოვებდა და სამაგიეროდ მარჯვნითს ქვემოთკენ აგრძელებდა (სურ. 89 პუნ.), ხშირად ბოლოში ამ ხაზის კიდურის მარცხნივ მოხრით (სურ. 90 ებრ. სილოა; სურ. 91 ებრ. ფულ.; სურ. 92 სამარიტული).

„ნარის“ მოხაზულობის უძველესი სახე ჯერჯერობით არა გვაქვს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგიც ფინიკიურის მსგავსად ჩამონაკვთილ ასოს განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. ზედატანის მარჯვნისაკენ გასწვრივ წარზიდულ ხაზს რომ დროებით თავი დავანებოთ, დაგვრჩება ისეთი მოხაზულობის ასო, როგორიც სურ. 93-ზეა, რომელიც კუთხოვანი მოხაზულობის (სურ. 94) მრგვლოვანი გაკრული დამწერლობის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარად, ქართულ დამწერლობას მარცხნითი ხაზი ორთავე მიმართულებით, ზევითკენაც და ქვევითკენაც, გაუგრძელებია. უკანასკნელი ცვლილება ქართული ანბანისათვის სიმეტრიისადმი დიდი მიდრეკილების შედეგი უნდა იყოს. როდესაც ეს ასო მრგვლოვან დამწერლობაში ასე ჩამოინაკვთებოდა, მაშინ, ალბათ, ჩინისაგან, რომელიც თითქმის ამნაირადვე იწერებოდა (სურ. 95), განსხვავებულად „ნარ“-ისათვის ზევითი მარჯვნივ წარზიდული ხაზი მიუმატებიათ.



სურ. 96. ს. 97. ს. 98. ს. 99. ს. 100. ს. 101. ს. 102. ს. 103. ს. 104.

ქართული ასომთავრული „პ ა რ ი“ VI ს. წარწერაში თავის მოხაზულობით იმ მხრივ განსხვავდება უკვე ჯვარის ეკლესიის VII ს. წარწერათა დამწერლობის პარისაგან, რომ მარჯვენითი ტოტი მარცხნითზე უფრო მოკლეა. VII და შემდეგ საუკუნეებში კი იგი სიმაღლით მარცხნითს უთანასწორდება (სურ. 96). რადგან მარჯვენითი ტოტის მერმინდელ განვითარებას ზევითკენ ზრდისაკენ მიმართულება ემჩნევა, რაც უფრო ძველი იქნება ხანა, მარჯვენითი ტოტი შეიძლება უფრო მოკლედ ვიგულისხმოთ.

ფინიკიელთა ანბანსა და მისგან უშუალოდ განვითარებულ დამწერლობაში შესატყვისი ასო ოდნავ მარჯვნივ გადახრილ თავმოკაუჭებულ ყავარჯენს მიაგავს (სურ. 97 ფინიკ.; სურ. 98 სიდონ.; სურ. 99 პუნური). ამგვარივე მოხაზულობა ჰქონდა ამ ასოს მოაბურსა, უძველეს ებრაულსა და არამეულში (სურ. 100). სამარიტულში ასწვრივ ხაზს ორივე მხრით, თავსაცა და ბოლოშიაც, მარცხნივ აქვს კუთხოვნად წარზიდული ხაზი (სურ. 101), ებრაულ კუთხოვანს (სურ. 102) და პალმირულსაც ამნაირადვე აქვს მოხრილი თავიცა და ბოლოც მარცხნივ (სურ. 103).

ქართული „პარი“ ფინიკიურსა და მისგან წარმომდგარ დანარჩენ დამწერლობათა შესატყვის ასოს მიაგავს თავისი მარცხნითი ასწვრივი ხაზით, ბუნით და მის მარცხნივ წარზიდული ცხვირით, სხვაფრივ კი განსხვავება იმაში მდგომარეობს მხოლოდ, რომ ქართულ „პარს“ სხვებივით ბოლო მარცხნივ კი არ მოუხრია, არამედ მარჯვნივ (სურ. 104). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ქართული „პარის“ მარჯვენითი ტოტი სწორედ მოკაუჭებულ ბოლოს წარმოადგენდა და მხოლოდ შემდეგში თანდათანობით იგი ზევითკენ იქნა აზიდული გაკრული წერის დროს და იმ მიზნითაც, რომ ამით იგი „ზენისა“, „ჰაესა“ და სხვა მსგავსი მოხაზულობის ასოებისაგან გარეგნულობით უფრო მკაფიოდ განსხვავებულიყო.

სურ. 105. ს. 106. ს. 107. ს. 108. ს. 109. ს. 110. ს. 111. ს. 112. ს. 113.

მეტად საყურადღებოა ქართული ასომთავრული „რ ა ე“-ს მოხაზულობის თანდათანი განვითარების მიდრეკილების დამახასიათებელი თვისება. X—XII სს-ში იგი სიმეტრიულად ჩამონაკვთილ ასოს წარმოადგენს. იგი ასწვრივი ხაზის სახით, ბუნით არის ჩამონაკვთილი, რომელსაც ბოლო მარცხნივ აქვს ზემოთკენ ნახევარ წრისებრ მოხრილი ბუნის შუა წერტილის სიმაღლეზე, ხოლო მარჯვნივ შუა წერტილიდანვე იწყება ქვემოთკენ ასოს ძირის დონემდე ნახევარ წრის მსგავსადვე მოხრილი ხაზი (სურ. 105). მაგრამ რაც უფრო ძველია ძეგლი, უფრო და უფრო მაღლა იწყება ამ ასოს ეს მარჯვენითი ნახევარწრე (სურ. 106) და თითქმის უერთდება ასწვრივ ხაზს (სურ. 107).

ფინიკიელთა და ყველა მონათესავე დამწერლობაში „რეშ“ ასწვრივ ხაზსვე წარმოადგენს, რომელსაც მარცხენა გვერდით თავში სამკუთხედის მსგავსად აქვს ჩამონაკვთილობა (სურ. 108 ფინიკ.; სურ. 109 სიდონ.; პუნ.; სურ. 110 არამ.). ბერძნულმა თავისი „რო“ (სურ. 111) მხოლოდ მარჯვნივ გადმოაბრუნა სხვა ასოებივით. არამ-სპარსულსა და პალმირულში სამკუთხედს თავი გაეხსნა და ოთხკუთხი მოხაზულობა მიიღო (სურ. 112 სპარ.-არამ., სურ. 113 პალმ.).

ქართული „რაე"-ც ბერძნული „რო"-ს მსგავსად მარჯვნივ არის გადმობრუნებული. მარჯვნითი ნახევარწრის ზემოაღნიშნული მაღალი მდებარეობა უძველეს დროს VI—IX სს. და შემდეგ ქვემოთ ჩამოშვება გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად შეიძლება იგი სულ თავში ყოფილიყო და პირიც შეკრული ჰქონოდა. კუთხოვან დამწერლობაში იგი დაახლოებით სამკუთხედისნაირად არის წარმოსადგენი. მარცხნითი მოკაუჭებული ნახევარწრე, ალბათ, თავდაპირველად ოდნავ მოხრილი კუდის მერმინდელ სიმეტრიულ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს.

სურ. 114. ს. 115. ს. 116. ს. 117. ს. 118. ს. 119. ს. 120. ს. 121.

ქართული ასომთავრული „ს ა ნ ი ს" მოხაზულობა VI ს-იდან მოყოლებული თითქმის სრულებით არ შეცვლილა (სურ. 114). IX ს. ჰადიშის სახარებაში ამ ასოს თავი მარცხნითი მხრით ბეწვის სისხო ხაზით იწყება. ამგვარივე მხოლოდ მომრგვალებული მოხაზულობა აქვს უძველეს მხედრულ დამწერლობაშიც (სურ. 115).

ფინიკიელთა და სხვა მონათესავე უძველეს დამწერლობაში შესატყვის ასოს კბილების მაგვარი მოყვანილობა ჰქონდა (სურ. 116). ებრაულმა და არამეულისაგან წარმომდგარმა ანბანებმა „შინ"-ს შეუნარჩუნეს სამკბილიანი მოხაზულობა. მხოლოდ ფინიკიურის განვითარებამ, პუნურმა, გარდამავალმა და ახალ-პუნურმა თვალსაჩინოდ შეცვალეს და გაამარტივეს ამ ასოს მოყვანილობა (სურ. 117 პუნ.; სურ. 118 გარდამ.; სურ. 119 ახალ-პუნ.). საყურადღებო ცვლილება ემჩნევა სპარსეთის არამეული დამწერლობის „შინ"-ს, რომელშიც ორი კბილი ერთიმეორეშია ჩასმული (სურ. 120). ამის მსგავსი მოხაზულობა აქვს უძველეს კუთხოვან ებრაულს (სურ. 121), პალმირულს (სურ. 122) და ნაბატეურს (სურ. 123).

სურ. 122. ს. 123. ს. 124.

ბერძნულმაც არსებითად უცვლელი დატოვა ფინიკიელთა „შინ"-ი, მხოლოდ თავის „სიგმა"-ს ასწვრივი მიმართულება მისცა (სურ. 124).

თუ ქართულ „სანს" ავიღებთ, მის დამახასიათებელ თვისებად ასწვრივი მდებარეობაა. ამგვარი მიდრეკილება სხვა დამწერლობასაც ემჩნევა, მაგ., პუნურს, კუთხოვან ებრაულსა და მეტადრე კი ნაბატეველთა „შინს". მაგრამ იმ დროს, როდესაც ამ ორ უკანასკნელს ორკბილიანი მოხაზულობა აქვს შენარჩუნებული, ასწვრივი ხაზიც საკბილო ხაზებს სიმაღლით არ აღემატება, ქართულ სანს მეორე საკბილო ხაზი არა აქვს, ასწვრივი ხაზიც ერთიორად არის ზევითკენ აწეული და თავიც მარცხნივ ჰქონდა ოდნავ გადახრილი, რასაკვირველია, თუ უკანასკნელი გარემოება თავდაპირველი მოხაზულობის ნაშთია და არა მერმინდელი კალიგრაფიული სამკაული. „შინის" მოყვანილობის გამარტივება VII ს. ბერძნულ „სიგმას"-აც ემჩნევა, რომლის მხოლოდ ასწვრივი

ამართვაა საჭირო, რომ ქართულ კუთხოვან „სან“-თან მსგავსება საგრძნობი შეიქნეს (იხ. აგრეთვე ასო „შინ“-ის ქვეშე).

სურ. 125. ს. 126. ს. 127. ს. 128. ს. 129.

ასომთავრული „ტ ა რ“-იც საუკუნეთა განმავლობაში არ შეცვლილა და მისი მოხაზულობა ასწვრივი ხაზისა, ბუნისაგან შედგება, რომელსაც თავში მარჯვენა გვერდიდან გაგრძელებული ნახევარწრე უერთდება, ხოლო ბოლოში ბუნი მარჯვნისაკენვე სწორ კუთხოვნად არის მოხრილი (სურ. 125).

ფინიკიელთა და მათი ანბანისაგან წარმომდგარ სხვადასხვა ერთა უძველეს დამწერლობაში „ტაუ“ ჯვარით გამოიხატებოდა ხოლმე (სურ. 126 ფინიკ.; სურ. 127 მოაბური, ებრაული; სურ. 128 არამ.; სურ. 129 ჰიმიარ.; სურ. 130 ეთიოპ.; სურ. 131 საბაური).

სურ. 130. ს. 131. ს. 132. ს. 133. ს. 134. ს. 135. ს. 136. ს. 137. ს. 138.

ამ ასოს მოხაზულობის მერმინდელი განვითარება სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. სიდონურმა ამ ოდნავ მარჯვნივ გადახრილ ჯვრის მოკლე გასწვრივი ხაზის ორთავე კიდურები ახარ-დახარა (სურ. 132), შემდეგ მარცხენა ტოტი მოაშორა სრულებით (სურ. 133). პუნურიც პირველ ცვლილებას მიჰყვა (სურ. 134). გარდამავალმა დამწერლობამ ამ ასოს მოხაზულობა უფრო გაართულა, ახალ-პუნურმა კი, სამაგიეროდ, ამ ჯვრის ასწვრივი ხაზის ზევითი ტოტის ჩამოშორებით გაამარტივა (სურ. 135). ბერძნულმა დამწერლობამაც იმთავითვე თავის „ტაუ“ უთავო მოხაზულობით შეითვისა, მხოლოდ მთელ ასოს ასწვრივი მდებარეობა შეუნარჩუნა (სურ. 136). სპარსეთის არამეულმა დამწერლობამ, სიდონურის მსგავსად, „ტავ“-ის ჯვრის გასწვრივ ხაზს მარცხენა ტოტი მხოლოდ მოაშორა, ხოლო მარჯვენას კიდური ქვემოთკენ მოუხარა სიდონურზე უფრო მეტად, თვით გასწვრივ და ასწვრივ ხაზთა შესაყარიც უფრო ზევით ასწია, მთელ ასოს კი სწორი მდებარეობა მიაკუთვნა (სურ. 137). ამგვარივე მოხაზულობა იყო პაპირუსებში მიღებული, მხოლოდ ზევითი ნაწილი უფრო დამოკლებული იხმარებოდა და ასწვრივ ხაზს ქვედა კიდური ოდნავ მარცხნივ ჰქონდა გადახრილი (სურ. 138).

სურ. 139. ს. 140. ს. 141. ს. 142.

არამეულიდან წარმოშობილმა კუთხოვან[მა] ებრაულმა მარჯვნითი ტოტის კიდური ასწვრივი ხაზის ძირამდის ჩამოუშვა, მაგრამ მარცხნითი ტოტის პატარა ნაწილიც შეინარჩუნა, ხოლო ასწვრივი ხაზის ბოლო უფრო მეტად მოხარა მარცხნივ (სურ. 139). პალმირული (სურ. 140) და ნაბატეველთა დამწერლობაც (სურ. 141) ამავე პროცესს მისდევდა ცოტად თუ ბევრად განსხვა-

ვებით. სამარიტული სულ სხვა გზით არის განვითარებული: საფუძვლად თითქოს ირიბი მიმართულებით გადაჯვარედინებული მოხაზულობა უნდა ჰქონოდა (სურ. 142).

საკმარისია ქართული „ტარისა“ და შესატყვის ასოს ზემომოყვანილი სხვადასხვა მოხაზულობის ერთიერთმანეთთან შედარება, რომ ცხადი შეიქნეს, რომ ქართული სიდონურისა და სპარსეთის არამეული დამწერლობის მსგავსად, ჯვრის მარცხენა ფრთის სრულიადი ჩამოშორებითა და მარჯვენითი ფრთის მოხრით ჩამომრგვალებით არის წარმომდგარი. ქართული ასოს ჩამონაკვეთილობის დამახასიათებელ თვისებას მხოლოდ ის შეადგენს, რომ მარჯვენითი ფრთა ასწვრივ ხაზთან, ბუნთან შეერთებამდე არის მოხრილი, ასწვრივი ხაზის, ბუნის ქვედა კიდური კი მარჯვენივ არის სწორკუთხოვნად მოხრილი და საგრძნობლად წარზიდულია. საფიქრებელია, რომ ყველა ეს ასოს მოხაზულობის თანდათანი განვითარებისა, გაკრული ხელისა და იპტიკური ფაქტორის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ირკვევა, რომ, საზოგადოდ, ქართული ანბანი თავიდან მოყოლებული „ტარ“-მდე ბერძნულისაგან დამოუკიდებლივ წარმომდგარადა ჩანს.

§ 5. ხმოვანი ასოები

ერთი თვალის გადავლებითაც ცხადი და უცილობელი ხდება მსგავსება-იგივეობა ქართულ „ონ“-სა და ბერძნულ „ო-მიკრონს“ შორის, რომელიც თავდაპირველად გრძელი და მოკლესთვისაც ერთნაირად იხმარებოდა. ქართული (სურ. 143) მხოლოდ იმით განსხვავდება ბერძნულისაგან (სურ. 144), რომ



სურ. 143. სურ. 144. სურ. 145. სურ. 146. სურ. 147.

მას პატარა კუდიც აქვს, ან მარჯვენა გვერდით წარზიდული და შემდეგ ცოტა ზევითკენ ახრილი, ხშირად აუხრელადაც, ან ქვევითკენ ჩამოშვერილ-მოხრილი. ამ კუდის სხვადასხვაგვარი მოხაზულობა ცხადყოფს, რომ იგი შეიძლება მერმინდელი დანართიც იყოს და ასოსთვის მაინცდამაინც არსებით ნაწილს არ წარმოადგენს. რადგან ფინიკიელებსაც სწორედ ამნაირი მოხაზულობის ასო ჰქონდათ და ბერძნებმა იგი უცვლელად დატოვეს, მხოლოდ ამიტომ ქართული „ონისა“ და ბერძნულის შესატყვის ასოს მოხაზულობათა იგივეობა თავისთავად ქართული ანბანის სადაურობის საკითხის გამორკვევაში ვერ გვიშველის.

აღსანიშნავია, რომ ებრაულ კუთხოვან დამწერლობაში, იმგვარადვე როგორც პალმირულსა და ნაბატეველთა ანბანშიც, „ონის“ შესატყვის ასოს, „აინს“ (სურ. 145) კუდი აქვს ქვევითკენ ჩამოშვერილი და ამ მხრივ ქართული „ონის“ ერთს მოხაზულობათაგანს (სურ. 146) მიაგავს. მაგრამ ებრაული, პალმირული და ნაბატეველთა ასოს მოხაზულობა ასომთავრული ქართული „ონისაგან“ თვალსაჩინოდ განსხვავდება, რადგან მათ წრე შეერთებული არა აქვთ და პირღიაა დატოვებული, ქართული ასომთავრული „ონი“ კი ფინიკიელთა და

ბერძენთა „ონიეით“ სრულ წრეს წარმოადგენს. საყურადღებოა მხოლოდ, რომ ქართულ ნუსხა-ხუცურ კუთხოვან დამწერლობაშიც, რომელიც ასომთავრული კუთხოვანისაგან არის წარმომდგარი, „ონი“ პირღიაა. ამასთანავე მას ოდნავ მარცხნივ წარზიდული კუდიც აქვს შენარჩუნებული. ასეა, მაგ., ეს ასო სინას მთის ჰილის ფსალმუნში (სურ. 147).



სურ. 148. ს. 149. ს. 150. ს. 151. სურ. 152. სურ. 153.

მოხაზულობის მხრივ ბერძნული შესატყვისი ასოს მსგავსება ემჩნევა ქართულ ასომთავრულ „ინ“-საც. ქართული „ინი“ თუ ასე იწერებოდა (სურ. 148), ბერძნული სწორ ასწვრივ ხაზს წარმოადგენდა (სურ. 149). ჩვეულებრივ იგი უცხვირო იყო ხოლმე, მაგრამ რომ „ინის“ ცხვირი ამ ასოს მარტო ქართულ თავისებურებას არ წარმოადგენს, არამედ მის წინამორბედსაც უნდა ჰქონოდა, ამას მელოსის VII ს. შუა რიცხვების ქ. წ. ბერძნული წარწერაც აშკარავებს (სურ. 150), მეტადრე კი ებრაული კუთხოვანი, პალმირული და ნაბატეველთა დამწერლობა, რომელთაგან პირველსა და მეორეში ეს ასო მხოლოდ ოდნავ ცხვირჩამოშვერილია (სურ. 151), მესამე კი ქართულივით ცხვირაწეულია (სურ. 152). თუმცა ფინიკიელთა დამწერლობაში ეს ასო სხვანაირად იწერებოდა და ამგვარი სახე ჰქონდა (სურ. 153), მაგრამ ებრაული, ბერძნული, პალმირული, ნაბატეველთა და ქართული შესატყვისი ასოს მოხაზულობის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ იმ საერთო დედა-ანბანში, რომლისგანაც წარმოშობილი უნდა იყვნენ დანარჩენნი, სხვანაირი, ცხვირაწეული მოხაზულობის „ინიც“ უნდა ყოფილიყო.

სურ. 154. ს. 155. ს. 156. ს. 157. ს. 158. ს. 159 ს. 160. ს. 161.

VI ს-იდან მოყოლებული მაინც ქართული ასომთავრული „ენის“ სწორკუთხოვანი მოხაზულობა თავის მქონებელ კვერთხს წარმოადგენს (სურ. 154). მაგრამ VI ს. ხელნაწერებში და VI ს. წარწერებში მისი ზევითი გასწვრივი ხაზი მარცხნისაკენ ცოტა გაგრძელებულია ისე, რომ პატარა, ზემოდან მომავალი ჩასწვრივი ხაზი თითქოს ენას მიემსგავსება. ხან ეს ოდნავაა შესამჩნევი, ხან კი ორთავე ხაზი თვალსაჩინოდ გრძელდება.

ფინიკიელთა შესატყვისი ასოც პირით მარცხნივ არის მიბრუნებული, მასაც ერთი ასწვრივი ხაზი აქვს, მაგრამ ასწვრივ ხაზთან შესაყრელად წარმოზიდული პატარა გასწვრივი ხაზი ქართულ „ენ“-სავით ერთი კი არა აქვს, არამედ სამი პარალელურად დალაგებული (სურ. 155). უძველეს არამეულ დამწერლობასაც სწორედ ფინიკიურის მსგავსი მოხაზულობა აქვს დაცული. უძველესი ბერძნული „ენი“-ც ამავე კვალს მისდევს, მხოლოდ მთელი ასო დანარჩენებივით მარჯვნივ არის გადმობრუნებული და პირმოქცეულია (სურ. 156). ამასთანავე თანდათანობით მესამე გასწვრივი პარალელურისა და ასწვრივ ხაზთა შესაყართან ასწვრივი ხაზის ბოლო მოკლდება და სრულებით ქრება. ამის წყალობით ბერძნულ „ეფსილონს“, ანუ „ენს“ თავშიცა და ბოლოშიაც ერთ-

გვარი, სიმეტრიული მოხაზულობა აქვს. ამგვარივე ცვლილება ამ ასოს ქვედა კიდურის მოხაზულობას უძველესი ებრაული დამწერლობის ძეგლზე, სილოასის წარწერაშიც ემჩნევა, იმისდა მიუხედავად, რომ ებრაულში ეს ასო წინანდებურად მარცხნივ პირმობრუნებული დარჩა (სურ. 157).

ქართული „ენი“, მაშასადამე, ბერძნულისაგან თავისი მდებარეობითაც განსხვავდება, გასწვრივი ერთი ხაზითაც სამის მაგიერ, ხოლო ფინიკიურსა და არამეულს მიემსგავსება თავისი მარცხნივ პირმობრუნებულობით, მაგრამ გასწვრივი სამი პარალელური ხაზის ნაცვლად ქართულს მხოლოდ ერთი ხაზი აქვს შერჩენილი. საფიქრებელია, რომ ეს მერმინდელი, ქართულ ნიადაგზე თანდათან განვითარების დროს მომხდარი გამარტივების შედეგი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პროცესი, პარალელურ ხაზთა შემცირება, სხვაგანაც ემჩნევა და ძველ-პუნურისაგან გარდამავალსა და ახალ-პუნურის შესატყვის ასოს სამის მაგიერ მხოლოდ ორი გასწვრივი ხაზი შერჩენია (სურ. 158). ამაზე უფრო საგულისხმოდ ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ მერმინდელ არამეულს, სპარსეთში გავრცელებულსა და პაპირუსებში ნახმარს დამწერლობაში, იმგვარადვე როგორც არამეულისაგან წარმომდგარს კუთხოვან ებრაულში, ეს ასო ერთი, მხოლოდ ზევით, გასწვრივი ხაზითა და მისგან ენის მსგავსად ჩამოშვებული მოკლე ჩამოსწვრივი ხაზით იწერებოდა (სურ. 159 სპარს.; სურ. 160 პაპირ.; სურ. 161 ებრაული კუთხოვანი), მაშასადამე, იმნაირადვე იყო ჩამონაკვთილი, როგორც ქართული „ენი“-ა. არამეული „ენის“ ზემომოყვანილი სხვადასხვა მოხაზულობა საკმაო სიცხადით გვიჩვენებს იმ გზას, რომლითაც ორი გასწვრივ-ხაზიანისაგან ეს ასო ორ ასწვრივ-ხაზიანად იქცა.

სურ. 162. ს. 163. ს. 164. ს. 165. ს. 166.

შესადარებლად ახლა ანბანის პირველი ასო ავიღოთ. ასომთავრულ მრგვლოვანში და ნუსხა-ხუცურში ჩვენ შემდეგი მისი სახეობა გვხვდება (იხ. სურ. 162).

ბერძნულად VII—VI სს.-ში ქ. წ. ატტიკაში „ალფა“ ასე (სურ. 164 და 165) იწერებოდა, ხოლო მცირე აზიაში იხმარებოდა მხოლოდ სურ. 163-ზე აღნიშნული. მოაბში კი, სადაც ბერძნული ანბანის წარმომშობელი სემური სათავის გამოხატულებაა შენახული, მესას IX ს. წარწერაში ალეფს ასეთი სახე (სურ. 166) ჰქონდა.

ქართული „ან“-ისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ბევრ სხვა ასოებთან შედარებით მარჯვნისაკენ არის მიქცეული, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული „ა ნ ი“ მხოლოდ ამ ასოს ძველ მდებარეობას იცავს. მრგვლოვანსა და კუთხოვან დამწერლობაში ამ ასოს განსაკუთრებით ზურგის მოხაზულობა განსხვავდა და, თუ პირველში ის ნახევარწრის მსგავსად არის მოხრილი, მეორეში ზურგი სწორ ხაზად არის გამოყვანილი. საყურადღებოა ზევითი ხაზის სხვადასხვა მოყვანილობა, მიმართულება და სიგრძე: ხან იგი სწორ ხაზად არის, ხან ირიბად მიიმართება, ხან ნახევარი წრის ხაზს ოდნავ სცილდება, ხშირად კი მარცხნივ გრძლად არის ხოლმე წარზიდული. სამწუხაროდ, ამ ასოს მოხაზულობის განვითარებისათვის VI—XII სს. ძეგლები ამაზე მეტ მასალას არას გვაძლევენ.

ამ დროისათვის და, უეჭველია, უფრო უწინარესაც „ანის“ მოხაზულობა უკვე მთლად ჩამონაკვთილი ყოფილა და ცვლილება არსებითად აღარავითარი არ გამოუვლია. ამის გამო მისი პირვანდელი სახის აღდგენა ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზით შეიძლება.

რაკი თავისი მდებარეობით ქართული „ანი“ მოაბურს ალეფს მიაგავს, საფიქრებელია, რომ იგი სწორედ ამგვარი მოხაზულობის ასოსაგან არის წარმომდგარი ან მხოლოდ დროთა განმავლობაში მას ასწვრივი ხაზის მარცხნივ მდებარე ირიბი ხაზების შესაყარი ჩამოცილებული აქვს, ან ირიბი ხაზების შესაყარის კუთხეს იმდენად მიუახლოვდა დროთა განმავლობაში, რომ მას შეუერთდა.

სურ. 167. ს. 168. ს. 169. ს. 170. ს. 171. ს. 172 ს. 173. ს. 174.

საყურადღებოა აგრეთვე „ჳ“ ასოს (სურ. 167) მოხაზულობის საკითხი. თავისი მდებარეობითა და გამოთქმით ქ͠ლ ანბანში იგი ბერძნული ანბანის υ შესატყვისობას წარმოადგენს (სურ. 168). მაგრამ მოხაზულობით თვალსაჩინოდ განსხვავდება როგორც ამ ბერძნული ასოსაგან, ისევე ამის წარმომშობელი ფინიკიური, მოაბური, არამეული და ებრაული „ვავ“-ის მოხაზულობისაგან (სურ. 169) და გასაოცრად მიაგავს ამავე ასოს პალმირულს (სურ. 170), მეტადრე კი ნაბატეველთა (სურ. 171) მოხაზულობას. ცხადია, ქართული „ჳ“ რომ ბერძნულის პირდაპირი მიმბაძველობა ყოფილიყო, მისი მოხაზულობაც ბერძნული ასოს უცვლელი თუ არა, ძალიან მიმსგავსებული გამოხატულება უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასე არ არის, ეს იმის უცილობელი საბუთი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ დედააზრი ყოფილიყო გამოყენებული. მოხაზულობის მხრით კი სრულებით დამოუკიდებლივ ემოქმედათ და ქ͠ლი „ვინ“-ის ძველი მოხაზულობით ესარგებლათ.

საგულისხმოა, რომ ფინიკიურ-ბერძნული ანბანის ასოთა რიგი ქართულ ანბანში სრულებით უცვლელად დაცული არ არის. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სემურ „სამეხს“ (სურ. 172) და ბერძნულ „ქსი“-ს Ξ — ქართულ ანბანში შესატყვისობა არ მოეპოვება, არამედ ამის მაგიერ „ჱე“ (სურ. 173) ზის, რომელიც შემდეგში მაინც მოკლე ინად გამოითქმოდა. ამგვარად, თანხმოვანის მაგიერ ხმოვანია, ისიც მოკლე. ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თავდაპირველია ეს მოვლენა თუ არა, და თუ მერმინდელია, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ასოს უძველეს დროს? საეჭვოა, რომ ეს მოვლენა თავდაპირველი იყოს, რადგან, საზოგადოდ, უძველეს დროს გრძელი და მოკლე ხმოვნების გარჩევა ცალცალკე ასოებით არ იცოდნენ. თვით ბერძნულშიც შემდეგში, დაახლოებით VIII ს. შუა რიცხვებში ქ. წ., შემოიღეს გრძელი და მოკლე „ე“ და „ო“-სათვის განსაკუთრებული ნიშნები. მით უმეტეს ეს წარმოუდგენელია ქართულში, სადაც, საზოგადოდ, გრძელ და მოკლე ხმოვანთათვის განსაკუთრებული ასო სხვა არ მოიპოვებოდა, თუმცა გრძელი ხმოვნები ძველ ქართულში უეჭველია იყო, რადგან სვანურს და რაჭულს, როგორც აკ. შანიძემ გამოარკვია, ახლაცა აქვს შენახული. ისიცაა აღსანიშნავი, რომ მოკლე „ინისათვის“ განსაკუთრებული ნიშანი ბერძნულსაც კი არ მოეპოვება. ამიტომ საფიქრებელი

ხდება, რომ თავდაპირველად ასო „დე“-ს სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და მხოლოდ შემდეგში მიენიჭა მას მოკლე ინის აღმნიშვნელობა.

საყურადღებოა, რომ სომხურ ანბანშიაც მოიპოვება ამნაირი მოკლე „ინი“, რომლის მოხაზულობა (სურ. 174) ქართულისას მიაგავს, ანბანში მდებარეობითაც მიემსგავსება და თუ ქართულ ანბანში „დეს“ „მანისა“ და „ნარის“ შემდგომ აქვს დათმობილი ადგილი, ի-ს „მენ“-სა და „ნუ“-ს შუა უკავია რიგი. საგულისხმოა, რომ სომხურად სიტყვის თავში „ჰ“ გამოითქმის[12], რაც თითქოს მერმინდელ მოვლენად არის მიჩნეული. მაგრამ ამისათვის ჯერ კიდევ დაკვირვებაა საჭირო და მაშინ ამ გარემოებამ იქნებ ამ ასოს თავდაპირველი მნიშვნელობა მიგვაგნებინოს როგორც სომხურში, ისევე ქართულში.

ახლა განსახილველია ყოველი ანბანის შედგენილობისათვის დიდმნიშვნელოვანი ორი საკითხი: ხმოვნების აღმნიშვნელი ასოების წარმოშობის შესახებ ქ῀ლ დამწერლობაში, ერთი მხრით, და მეორე მხრით — ე. წ. დანართი ასოების სადაურობა და შემოღების ხანა. ცნობილია, რომ არც ერთი სემური ანბანი ხმოვანთათვის ასოებს არ შეიცავს, ბერძნულს კი აქვს. თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ხმოვნებისათვის საგანგებო ნიშნების შემოღება ბერძენთა შემოქმედებად ითვლება, რომელიც ბუნებრივად წარმოიშვა ბერძენთათვის ამ სემურ ბგერათა სახელების წინამავალი ბგერის გამოუთქმელობის გამო. მაგრამ უკვე თ. მომზენს ჰქონდა აღნიშნული, რომ ხმოვანთათვის განსაკუთრებული ნიშნები ბერძენთაგან დამოუკიდებლივ ინდოელებმაც შექმნეს[13].

თავისდათავად იბადება საკითხი ქ῀ლ ხმოვანთა გამომხატველი ასოების სადაურობის შესახებ. ქ῀ლ ა, ე, ო და ჳ მოხაზულობათა განსხვავება ბერძნულ შესატყვის ასოთა მოხაზულობისაგან საეჭვოდა ხდის მათ ბერძნულ სადაურობას. შესაძლოა ქართულსაც, სემურის მსგავსად, თავდაპირველად ამ ასოთათვის მხოლოდ თანხმოვანის მნიშვნელობა შეენარჩუნებინა და მარტო შემდეგში ბერძნულის მიმბაძველობით ამ ასოთა ხმოვანთა აღსანიშნავად ხმარება შემოეღოს. მაგრამ ქართულში, ხმოვანთა გრამატიკულად დიდი მნიშვნელობის გამო, ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა გაეგოთ ქ῀ლი ზმნების მრავალფეროვანი აზრის გამომხატველი ის ფორმები, რომელთა მნიშვნელობის განსხვავების მატარებლად სწორედ ხმოვნები არიან?

§ 6. ქართულ ბგერათა გამომხატველი დანართი ასოები

განსაკუთრებით საყურადღებო გარემოებაა, რომ ქართულ ანბანში „პ ა რ“-ის შემდგომ, თავიდან მე-18 ადგილი „ჟ ა ნ“-ს უკავია (სურ. 175), იმ დროს როდესაც ბერძნებს ამგვარი არც ასო და არც ბგერა აქეთ და ჰქონიათ. ფინიკიურსა და მისგან წარმომდგარ დამწერლობებში კი „ფე“-ს შემდ-



სურ. 175. სურ. 176. სურ. 177.

[12] ნ. მარი, Грам. древне-армянского языка, გვ. 15—17.

[13] Mommsen, Römische Geschichte, I, 215.

გომ და „რეშ“-ის წინ იმგვარადვე, როგორც ქართულში „ჟან“-ია, ზის ერთი ასო (სურ. 176), რომელსაც ევროპელები და ახლა თვით სემიანნიც „სსადე“-ს უწოდებენ, ხოლო „სასწავლო წიგნი“ „წადე“-ს ეძახის[14]. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართველ ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ ებრაელნი მაშინ და საქართველოში მაინც „წ“-ილად გამოსთქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა თავდაპირველად თავიანთ ანბანში ეს ასოც გადმოიღეს და შეითვისეს, მაგრამ შემდეგში და მილეტში უკვე VII ს-ში ქ. წ. ეს ასო, ბერძნულისათვის გამოუდეგრობის გამო, აღარ იხმარებოდა[15]. ქ˝ლი ანბანი რომ ბერძნულისაგან ყოფილიყო წარმომდგარი, ეს გარემოებაც, რასაკვირველია, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ქ˝ლი დამწერლობა VII ს-ზე უწინარეს უნდა ყოფილიყო შექმნილი.

მაგრამ თუმცა ქ˝ლი „ჟან“-ის მოხაზულობა „წადე“-სას მიაგავს, მაინც მათ შორის იმდენად თვალსაჩინო განსხვავებაცაა, რომ ქ˝ლი ასოს არამცთუ ბერძნულისაგან, საეჭვო ხდება თითქმის მისი ფინიკიურისაგან წარმოშობილობაც კი, რადგან ქ˝ლ „ჟან“-ს პირი მარცხნივ აქვს მიბრუნებული, ფინიკიურს, მოაბურს, უძველეს ებრაულსა და არამეულს ყველა მისგან წარმოშობილი ანბანებითურთ „წადე“-ს პირი მხარ-მარჯვნივ აქვს მიქცეული. ერთადერთი ებრაული ფულების ზედწერილების დამწერლობის „წადე“ არის ქართული „ჟანივით“ მარცხნივ მობრუნებული (სურ. 177) და თავის მოხაზულობა-მდებარეობითაც გვაფიქრებინებს, რომ ქ˝ლი ასოს მსგავსი მოხაზულობა სხვა დამწერლობაშიც ყოფილა.

ბგერათა განსხვავების გამო ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ნასესხები ანბანის ასოს მხოლოდ მოხაზულობა უნდა ყოფილიყო ქართული ბგერის „ჟან“-ისათვის გამოყენებული. საფიქრებელია, რომ ეს თავდაპირველ ხანაში კი არა, არამედ მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს იმისდა მიუხედავად, რომ ამ ასოს წინანდებურად „წადე“-ს ადგილი უკავია. მაგრამ იქნებ ქართული „ჟ“ სულ სხვანაირად იყოს წარმომდგარი?

სურ. 178. სურ. 179. სურ. 180. სურ. 181.

მეტად საყურადღებოა, რომ ქ˝ლმა ანბანმა სემურისა (სურ. 184) და თვით ბერძნულშიც მიღებული ასო „კოფ“-ის და „კოპპა“-ს მოხაზულობა „წადეს“ შემდგომ და „რეშ“-ის, ანუ „რო“-ს წინ არ შეინარჩუნა. მართალია, ბერძნულ დამწერლობაშიაც ეს ასო დაახლოებით 525 წლიდან მოყოლებული ქ. წ. აღარ იხმარებოდა, მაგრამ რიცხვთ-ანბანში შემდეგშიც მაინც შენარჩუნებულ იქნა 90 აღსანიშნავად[16]. გასაოცარი ის არის, რომ ქ˝ლ დამწერლობას ამ ასოს მოხაზულობა თუმცა კარგად სცოდნია და ერთი ქ˝ლი ბგერის აღსანიშნავად გამოუყენებია კიდეც, მაგრამ თავის წინანდელ ადგილას კი არ დაუტოვებია, არამედ დანართ ასოთა ჯგუფში მოუქცევია. საკმარისია ადამიანი „ყარ“-ის VI—VII სს. მოხაზულობას დააკვირდეს (სურ. 180), რომ ეს ასო „კოფ“-ის

14 მ. ჯანაშვილის გამოცემა — „მწერლობა IX—X საუკუნისა“, გვ. 122.

15 W. Larfeld, Gr. Epigraphik, 219.

16 იქვე, 231.

და „კოპპა"-ს მოხაზულობად ცნოს. მაშასადამე, ქ˜ლი ანბანის განვითარებაში მონაწილეობის მიმღებთ „კოფ"-ის მოხაზულობა ნამდვილი ქ˜ლი ბგერის „ყ"-არის გამოსახატავად გამოუყენებიათ, რადგან ქართულ „კანს" (სურ. 178), რომელიც „ქაფ"-ის შესატყვისობას წარმოადგენდა, ბგერითი გამოთქმა სემური „კოფ"-ისა ჰქონდა და მაგრად ისმოდა, მეტადრე კი მას შემდგომ, რაც „ქ" ბგერისათვის საკუთარი ასო (სურ. 179) იქნა შემოღებული, „კოფ"-ის (სურ. 180) წინანდელი მნიშვნელობით არსებობას უკვე აღარავითარი აზრი არ ექნებოდა და ზედმეტად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, მისი სრული განდევნის მაგიერ, გამოუყენებიათ სხვა მონათესავე ქ˜ლი ბგერის „ყ"-არის გამოსახატავად და თანაც ეს ასო თავისი წინანდელი ადგილიდან გადაუსვამთ. ამგვარად, საფიქრებელია, რომ „ყ" (სურ. 180) თავდაპირველად „წადე"-„ჟანის" შემდგომ უნდა ყოფილიყო მოთავსებული და მხოლოდ შემდეგ ანბანის ბოლოში ქართული ბგერების გამოსახატავად შედგენილ ასოთა დართვის დროს უნდა გადასმული და „ყარის" აღსანიშნავად გამოყენებული იყოს.

ცნობილია, რომ ფინიკიელთა და დანარჩენ სემიანთა ანბანი „ტ" ასოთი თავდება, რომელსაც ჯვრის მოხაზულობა (სურ. 126—128) ჰქონდა. მხოლოდ ბერძნულმა დამწერლობამ განაგრძო ნასესხები ანბანის მწკრივი და თავის დედანის ბგერათა გამომხატველი ნიშნები დაურთო. იმ ოთხი ნიშნიდან ჩვენთვის ამჟამად ორი φ და χ (სურ. 182) არის საყურადღებო.

სურ. 182. სურ. 183. სურ. 184. სურ. 185.

ბერძნულის მსგავსად, ქართულ ანბანსაც მოეპოვება ეს „ფარ"-ისა და „ქ ა ნ"-ის სახელით ცნობილი ასოები (სურ. 183). როგორც ამ ასოთათვის ანბანში მიკუთვნებული ადგილით, ისევე მოხაზულობითაც ქ˜ლი ფარი და ქანი ბერძნულ ზემოაღნიშნულ ასოებს იმდენად მიაგავს, რომ მათი ბერძნულიდან შეთვისებულობა უდავოდ გვეჩვენება. მართალია, ბერძნული ანბანის მკვლევარნი ამ ასოთა წარმოშობის შესახებ ურთიერთშორის ვერ შეთანხმებულან და ზოგიერთნი, როგორც Fr. Praetorius-ი, ფიქრობენ, რომ ეს ასოებიც იმავე სემურიდან უნდა იყოს ნასესხები და პრეტორიუსი საბაურ ანბანსა თვლის იმ დედნად, საიდანაც ბერძნებს ვითომც უნდა ჰქონდეთ ამ ასოთა მოხაზულობა ნასესხები[17], ხოლო სხვებს თითქმის სათითაოდ თავისი საკუთარი თეორია აქვს (იხ. მათი მოკლე მიმოხილვა და კრიტიკა ვ. ლარფელდის ბერძ. ეპიგრ. გვ. 232—239). მაინცდამაინც რადგან არც ერთ უძველეს ანბანს „ფ" და „ქ" ბერძნულზე უწინარეს არ მოეპოვება და სემიანთა ენებს ძველ დროს, ეტყობა, ამგვარი ბგერები არც კი ებადა, მათი ნიშნებიც ამა თუ იმ გზით, უეჭველია, საბერძნეთში უნდა გაჩენილიყო. მკვლევართა საკმაო რიცხვი, მათ შორის ლარფელდიც, ფიქრობს, რომ ამ ორი ბგერისათვის, ერთი მხრით, „ფარ"-ისათვის უხმარად დარჩენილი „კოფ"-ის (სურ. 184) მოხაზულობა იქნა გამოყენებული, მეორე მხრით, „ქ"-ისათვის „ტარ"-ის ძველი მო-

[17] იხ. Zur Geschichte des griechischen Alphabets: ZDMD. B. 56, 1902, გვ. 676—680 და Bemerkungen zum südsemitischen Alphabet, იქვე, B. 58, 1904, გვ. 715—726 და ლ ა რ ფ ე ლ დ ი ს ბერძნული ეპიგრ., 235.

ხაზულობა (სურ. 185) იყო მიღებული[18]. VIII ს. შუა წლებში ქ. წ. ეს ასოები მილეტში უკვე შემოღებული უნდა ყოფილიყო.

ქართულის ხუცურ-ასომთავრულ „ფ“ და „ქ“ მოხაზულობას უძველესი სახე აქვს დაცული.

„ქან“-ის შემდგომ ქ˝ლ ანბანში ისეთ ბგერათა ნიშნები იწყება, რომელთა მსგავსი, „ლ ა ნ“-ს გარდა, არც სემიანთ და არც ბერძნებს ჰქონდათ და მარტო ქართული ენის დამახასიათებელია. თვით ჩვენსავე წინაპრებს აქ უნებლიეთ უნდა შეექმნათ განსაკუთრებული ნიშნები. ბერძნული პალეოგრაფიის ისტორიიდან ვიცით, რომ რთული ბგერებისათვის, მაგ., „ფი“, „ქი“ და „ფსი“-სათვის გამოსახატავად ორ-ორ ასოს ხმარობდნენ πh (სურ. 186) ϰς და πς და მხოლოდ შემდეგში იყო ამ ბგერებისათვის განსაკუთრებული ნიშნები შემოღებული. როგორ უძღვებოდნენ უძველეს დროს ამ ქართულისათვის აუცილებელ ბგერათა აღბეჭდვის საქმეს, არ ვიცით, რადგან ჯერჯერობით VI ს-ზე ადრინდელი ქართული დამწერლობის ძეგლი არ მოგვეპოვება. ამ დროს კი და, უეჭველია, ამაზე გაცილებით უწინარესაც ყველა თერთმეტ ბგერას თავთავისი ნიშანი ჰქონდა. „ჟან“-ისა და „ყარ“-ის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, გამოსარკვევი გვაქვს ღ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ და ჰ ასოთა წარმოშობის საკითხი.


სურ. 186.


ს. 187.

ს. 188.

ყველაზე ადვილი „წ ი ლ“-ისათვის უნდა ყოფილიყო გამოხატულების შექმნა, რადგან სემურ ანბანს ჰქონდა ასო „სსადე“, რომელიც მერმინდელ ქართულ მწერლობაში სწორედ „წადე“-დ ჰქონდათ მიჩნეული. მაგრამ ქართულ ანბანს ამ ასოს მაგიერ „ჟან“-ი აქვს და, როგორც აღნიშნული გვქონდა, ალბათ, „წადე“-ს მოხაზულობა უნდა ყოფილიყო „ჟ“-ს გამოსახატავად გამოყენებული. (ქართული ასომთავრული „წილის“ მოხაზულობა იხ. სურ. 187, სემურისა სურ. 188). ორსავე ასოს პირი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, მაგრამ ქართული „წილი“ რომ სემური ზემომოყვანილი ასოს მოხაზულობის მერმინდელ განვითარებად ვიცნათ, ამისთვის უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ასოს ზედა ნახევარწრე და ქვედა მოხრილი ხაზი წინათ ერთიმეორეზე გადაბმულები უნდა ყოფილიყვნენ და საერთო ქვემოთ ჩამოხრილობისაგან არის წარმომდგარი ამ ევოლუციის გზით (იხ. სურ. 189).


სურ. 189.


ს. 190.


ს. 191.

ს. 192.


ს. 193.


ს. 194.

საყურადღებოა, რომ ამ ასოს უკვე უძველეს ებრაულში ზედა კიდურის მარჯვენა მხარეს მომრგვალება ემჩნევა (სურ. 190). არამეულსაც ამგვარივე მიდრეკილება ეტყობა უძველესი დროიდან (სურ. 191), მეტადრე პაპირუსებში (სურ. 192). თვით ფინიკიური დამწერლობის უშუალო განვითარებას სიდონურს (სურ. 193) ემჩნევა მომრგვალებისაკენ მიდრეკილება, უფრო კი პუნურს,

[18] ვ. ლ ა რ ფ ე ლ დ ი, ბერძნ. ეპიგრ., 237—241

რომელიც ქართული ასომთავრულივით ამ ასოს მარჯვნივ თავს სრულებით უკრავს (სურ. 194). მაშასადამე, ქართული „წილ“-ის მოხაზულობის მსგავსი განვითარება სხვა დამწერლობაშიაც გვხვდება და თავისთავად არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს.

ქართული ანბანის დანარჩენი დანართი ასოების წარმოშობის გამორკვევა ძნელდება იმის გამო, რომ მათი უძველესი მოხაზულობის შესასწავლად არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება.

სურ. 195. ს. 196. ს. 197. ს. 198.

საფიქრებელია, მაგ., რომ „ღ ა ნ ი“ (სურ. 195) „განის“ მოხაზულობის შეცვლილობას წარმოადგენდეს იმ მხრივ, რომ ამ ასოს ცხვირი ჩამოუგრძელებიათ (სურ. 196). საგულისხმოა, რომ სომხურ დამწერლობაშიც „ღ“-ს, „ღატ“-ად წოდებულს, სწორედ ქ˝ლი „განის“ მოხაზულობა აქვს (სურ. 197). უეჭველია, ეს ასო სომხური ანბანის მერმინდელ შენაძენს უნდა შეადგენდეს, იმისდა მიუხედავად, რომ მასაც ქ˝ლი „ღანივით“ ბოლოში არა აქვს დათმობილი ადგილი. ქართულსა და სომხურ ამ ასოთა შორის, საფიქრებელია, კავშირი უნდა იყოს და, თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ სომხურ ანბანს ეს ასო ქართულისგან უნდა ჰქონდეს შეთვისებული ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც „ღანს“ მარჯვნივ წარზიდული „განის“ მსგავსად ცხვირი მოკლე ჰქონდა. ქართული „ღანის“ მოხაზულობა კი, რომ „განისა“ და „ენის“ მოხაზულობისაგან განსხვავებულიყო, თანდათანობით შეიცვალა ცხვირის ჩამოგრძელებითა და კუდის მოცილებით. რადგან სომხური „გიმ“ գ (სურ. 198) ქართულ „განს“ და სომხურ „ღატს“ არ მიაგავს, „ღატის“ მოხაზულობის შესაცვლელად მაიძულებელი გარემოება არ ყოფილა. ამავე დროს, როგორც აღნიშნული იყო, IX ს. ქართულში, მაგ., ჰილ-ეტრატის ზატიკის დამწერლობაში ქართული „გან-ის“ გრძელცხვირიანი მოხაზულობაც მოგვეპოვება, რომელიც ქართული „ღან“-ისაგან მხოლოდ კუდით განირჩევა (იხ. ტაბ. V, 9).

სურ. 199. სურ. 200.

საიდან და როგორ წარმოდგა ქართული „შ ი ნ ი“ (სურ. 199), რომელსაც VI ს. თავი პირშეკრული ჰქონდა (იხ. ტაბ. V, 1 და 2)? თავდაპირველად სემურს დამწერლობაში „ს“ და „შ“ არ განირჩეოდა და მხოლოდ ერთი ასო არსებობდა, მხოლოდ შემდეგში ებრაულში, ასურულსა და არაბულში ამ ორი ბგერისათვის ცალ-ცალკე ასოები იქნა შემოღებული. არაბულში ამისთვის „სანს“ ზემოდან სამი წერტილი დაუსვეს. ქ˝ლი „შინის“ დანართ ასოთა რიგში მოთავსება გვაფიქრებინებს, რომ არც ქართულ ანბანში უნდა ყოფილიყო ეს ასო თავდაპირველად და შემდეგში იქნება მიმატებული. ძნელი მისახვედრია, თუ საიდან წარმოდგა მისი მოხაზულობა, მაგრამ, შესაძლებელია, ის „სანის“

ძველი, მაშინ უკვე უხმარი მოხაზულობის შეცვლილი პირი იყოს (სურ. 200). ამ მხრივ საყურადღებოა, რომ VI ს-ში „შინს“ თავიც პირშეკრული აქვს და ბოლოც თითქმის ნახევარწრედვე ეკვრება. იქნებ აქ ძველი „შინ“-ის განივი მდებარეობის მაგიერ ასწვრივი მდგომარეობა გვაქვს, რომლის ბუნის ხაზი ზევიდან და ქვევიდან ჩამოშვებული და აწეული კიდურების მერმინდელი შეერთებით არის წარმომდგარი?

სურ. 201. სურ. 202. სურ. 203.

„შინს“ ქართულ ანბანში „ჩ ი ნ ი“ მისდევს, რომლის VI ს. მოხაზულობა „ნარისას“ (სურ. 201) მოაგავს, თუ ამ ასოს ზედა კიდურის მარჯვენა ნაწილი ჩამოვაცალეთ (სურ. 202). ახლა ძნელი სათქმელია, რომელი ორ გარემოებათაგანია ამ ასოს მოხაზულობის წარმომშობელი, ისტორიულ-გრაფიკული „თშ“ (სურ. 203) მოხაზულობის მხრითაც თანდათანობით ერთ ასოდ გარდაქცევა, თუ მხოლოდ მექანიკური, როდესაც „ნარის“ შეცვლილი მოყვანილობა ამ ბგერის აღსანიშნავად იყო გამოყენებული.

სურ. 204 სურ. 205. სურ. 206.

უფრო ძნელი გამოსაცნობია ქართული „ც ა ნ“-ის (სურ. 204) მოხაზულობის წარმოშობა, რადგან, მექანიკურის გარდა, როდესაც მსგავსების გამო უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს შეცვლილი „ონის“ მოხაზულობა უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ისტორიულ-გრაფიკული გარემოებაც არის გასათვალისწინებელი. უფრო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად, როდესაც ქართულ დამწერლობას ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერათა გამომხატველი ნიშნები არ ებადა, ამ ბგერების აღსანიშნავად, როდესაც რთული ბგერა იყო, ალბათ, ერთად დასმულ ორ ასოს ხმარობდნენ. ასეთ პირობებში „ცანი“ უნდა „თს“ დაეწერათ (სურ. 205) და აქედან თანდათანობით „ცანის“ ერთასოვანი მოყვანილობა ჩამონაკვთილიყოს (სურ. 206).

სერ. 207. სერ. 208. სურ. 209. სურ. 210.

იქნებ შემთხვევითი არ იყოს ის გარემოება, რომ სომხური ასომთავრული „ცო“ (სურ. 207) ქართულს მიაგავს იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელთან შედარებით სომხური ასო აღმაა აბრუნებული საკმარისია იგი თავქვე მოვაბრუნოთ (სურ. 208), რომ ქართული და სომხური „ც“ ასოთა მოხაზულობის მსგავსება ცხადი შეიქნეს.

თავისი გარეგნობით „ძ ი ლ ი“ (სურ. 209) ასომთავრულ „მანს“ (სურ. 210) მიაგავს და იქნებ ამ უკანასკნელისაგან მექანიკური განსხვავებით იქნა გამოყენებული, ან „დზ“ ასოთა შენაერთებისაგანაა წარმომდგარი.

სურ. 211. ს. 212. ს. 213 ს. 214.

ასომთავრული „ჰ ა რ ი“ (სურ. 211) VI ს-ში ძალიან მიაგავდა „დონს“, რომლისგანაც მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ სარქველის მარცხენა ნაწილი ჩამოშორებული ჰქონდა. შემდეგში იმ ასოს მუცელი გაიხსნა (სურ. 212 და 213) და მერმე ზევითი კიდურის მოხაზულობა მოუმრგვალდა ისე, რომ ორკავს დაემსგავსა (სურ. 213). საიდან და როგორ წარმოდგა თავდაპირველად ასო „ჰარი“, პირდაპირ მექანიკურად აიღეს და „დონის“ შეცვლილი მოხაზულობა ამ ბგერის აღსანიშნავად გამოიყენეს, თუ „დ“-ს ან „ტარისა“ და „ჩინის“ „დჩ“-ს, ან „ტჩ“-ს ხმარობდნენ ამ ბგერის გამოსახატავად და ამ ორი ასოს წნული მოხაზულობისაგან (სურ. 214) წარმოდგა ზემომოხსენებული „ჰარი“, ძნელი სათქმელია.



სურ. 215

თითქოს რაღაც მსგავსება და კავშირია საგულისხმებელი ქართული „ჰარისა“ და სომხურ „წ“-ისა და „ჰ“-ს მოხაზულობათა (სურ. 215) შორის. ორივე სომხური ასო ერთიმეორისაგან უნდა იყოს წარმომდგარი დროთა განმავლობაში ისე, რომ თავდაპირველად ორივე ბგერისათვის თითქოს ერთი ასო უნდა ყოფილიყო. ქართულში კი „წ“ და „ჰ“ მოხაზულობა ერთიმეორისაგან ისე თვალსაჩინოდ განსხვავდება, რომ მათი წარმოშობა სხვადასხვანაირადაა საგულისხმებელი.

სურ. 216. ს. 217. ს. 218. ს. 219. ს. 220 ს. 221.

საფიქრებელია, რომ ასომთავრული „ხ ა ნ ი“ (სურ. 216) და „ჴარი“ (სურ. 217) ერთი და იმავე ასოსგან უნდა იყვნენ წარმომდგარნი. პირველად, ალბათ, „ხანი“-ს მოხაზულობა შემუშავდებოდა, ხოლო შემდეგ „ხან“-ისაგანვე უნდა იყოს ნაწარმოები „ჴარი“-ც. „ხანი“-ს აღსანიშნავად, იმგვარადვე როგორც „ჰ“-თვის, უძველეს დროს, ალბათ, ერთ ასოს ხმარობდნენ, სემური ანბანის „ჰე“-ს (სურ. 218). შემდეგში მხოლოდ დამწერლობის განვითარებისდაგვარად, ალბათ, ჯერ „ხ“ და „ჰ“-თვის იქნა შემუშავებული განსაკუთრებული ნიშნები, მერმე „ხ“ „ჴ“-იც სათითაო ასოებით გამოხატეს. როდესაც პირველ ზემოხსენებულ ბგერათა ურთიერთისაგან განსხვავების აუცილებლობა შეგნებული იქნა, მაშინ „ხ“-ის აღსანიშნავად ასოს ძველი მოხაზულობა იქნებოდა გამო-

ყენებული იმ შეცვლილობით, რომ თავი და მარჯვენა გვერდის ქვედა ნაწილი გახსნილი იქნა (სურ. 219). „კარ“-ს შემდეგში ქვედა გასწვრივი ხაზიც აქვს ჩამოშორებული (სურ. 220) და ასწვრივი ხაზის მეორე, ქვედა ნახევარიც შუაში მოუქცევიათ (სურ. 221). მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ეგების მერმინდელი მოვლენა იყოს.

სურ. 222. ს. 223.

სომხური „ხე“ (სურ. 222) ქართულ „ხ“ ცოტად თუ ბევრად მიაგავს იმგვარადვე, როგორც, ან იქნებ უფრო მეტად, პალმირულსა და ნაბატეურ „ჰე“-ს (სურ. 223). ქართულისაგან სომხური იმით განსხვავდება, რომ ქვედა გასწვრივი ხაზი არა აქვს და ასწვრივი ხაზის შუაში მარჯვნიდან წარზიდული ახრილი ხაზი ერთიორად მოკლეა.



სურ. 224. ს. 225. ს. 226. ს. 227. ს. 228. ს. 229

ქართული ანბანის ორი უკანასკნელი ასო „ჯ“ (სურ. 224) და „ჰ“-ა (სურ. 225). როგორც ზევითაც აღნიშნული გვქონდა, „ჰაე“, ალბათ, მერმინდელი, სულ უკანასკნელ დროინდელი დანართი უნდა იყოს და მის მაგიერ, საფიქრებელია, სხვა ასო უნდა ყოფილიყო მიღებული. „ჯანი“-ც ერთი იმ რთულ ბგერათაგანია, რომელთა აღნიშვნაც ორი ასოთი შეიძლება და, საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ქართულადაც ასე წერდნენ და ამგვარ ასოდ გადაბმული დაწერილობისაგან (სურ. 226) თანდათანობით „ჯ“-ის მოხაზულობა (სურ. 227) ჩამოინაკვთა. იქნებ შემთხვევითი გარემოება არ იყოს, რომ სომხური ასომთავრული „ჯე“-ც (სურ. 228) თავდალმა გადმობრუნებულ ქართულ „დონს“ (სურ. 229) მიაგავს და ეგების ქართული „ჯანის“ მოხაზულობის უძველესი სახის (სურ. 226) შემნახველი იყოს. მაგრამ აქაც ჯერ, ჰიპოთეზის გარდა, არაფრის თქმა არ შეიძლება და მომავალი, იმედია, მკვლევარს უფრო მეტს მასალებს მისცემს. შესაძლებელია „ჯ“-ის წარმოშობისათვის მექანიკური თეორიაც კი იყოს გამოყენებული და ამ ასოსთვის ირიბად გადაჭრილი ჯვარის მოხაზულობა ყოფილიყო აღებული, მაგრამ საიდან გაჩნდა „ჯ“-ს ზევითი გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალთსაზრისით გაუგებარი იქნებოდა.

§ 7. დახკვნა

„ბ“, „გ“, „ე“, „ა“ და ზოგიერთი სხვა ასოს მდებარეობა ქართულ ანბანს თვალსაჩინოდ აშორებს ბერძნულ ანბანს, ხოლო ფინიკიურ-არამეულ და მათგან წარმომდგარ ანბანებს უახლოებს. თავდაპირველი მოხაზულობისა და მერმინდელი განვითარების პროცესის მსგავს მოვლენებს ქართულისათვის იმავე დამწერლობაში უფრო მეტსა ვხვდებით, ვიდრე ბერძნულში. თუმცა ქართულშიც ზოგ ასოს თავისი მდებარეობა ფინიკიურთან შედარებით შეცვლილი აქვს,

როგორც მაგ.: „დ“, „რ“, „ს“ და სხვას, მაგრამ ამ ცვლილებისდა მიუხედავად თვით მოხაზულობით ამნაირი ასოები იმდენად ბერძნულისას არ უდგება, რამდენადაც ფინიკიურიდან წარმოშობილ სხვა დამწერლობისას.

ერთი საგულისხმო გარემოებაა კიდევ, რომელიც ამ საკითხის განხილვის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს. ცნობილია, რომ ქართული ანბანის მეოცე ასოს „სანი“ ჰქვიან. ხოლო ჰეროდოტეს აღნიშნული აქვს, რომ Σ **„τώυτο γράμμα, τὸ Δωριέες μὲν Σαν καλέουσι, Ἴωνες δὲ Σίγμα“**. ათენეოსიც ამბობს: **„τὸ δὲ σὰν ἀντὶ τοῦ σίγμα Δωρικῶς εἰρήκασιν“**[19]. შემდეგში დორიელებმა ამ ასოს სახელად „სან“-ის ხმარებას თავი დაანებეს და სხვებივით „სიგმას“ უწოდებდნენ. მხოლოდ ზოგიერთმა, იპოლიტეს მსგავსად, ნასწავლმა-ღა იცოდა „სან“-ის სახელი, რომელიც მას ამასთანავე მხოლოდ სიტყვის ბოლოში მყოფი „ს“-თვისა აქვს ნახმარი იმ დროს, როდესაც შუაში მჯდომს სიგმას უწოდებს[20]. საიდან ჰქონდათ დორიელთ ამგვარი სახელი შეთვისებული, არა ჩანს, მაგრამ ჰეროდოტეს და სხვათა ზემომოყვანილი ცნობა ამტკიცებს, რომ ასოს სახელი „სან“-ი ძველი იყო და შემდეგში მოსპობილი. ქართული „სანისა“ და დორიელთა ამავე ასოს თავდაპირველი სახელის იგივეობა ცხადი ხდება. საყურადღებოა, რომ ამ სახელს ბოლოში „ნ“ უზის, რომელიც 21 ქართული ასოს სახელს ახლავს ბოლოში (ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, თან, ინ, კან, მან, ონ, ჟან, სან, ქან, ღან, შინ, ჩინ, ცან, ხან და ჯან). მართალია, სემურში ამის შესატყვის ასოს „სამეხ“ და „შინ“-ი ჰქვიან, რომელიც ქართულ „შინ“-ს უდრის, მაგრამ ამ სემურ ენებში, რომელთაც „შ“ ბგერა არ ებადათ და ამის მაგიერ „ს“ ბგერას ხმარობდნენ, ასოს სახელსაც „სინ“-ი ერქმეოდა. ამგვარად, აქაც სახელს ბოლოში „ნ“ ახლავს და „სან“-ისაგან მხოლოდ ხმოვანით განირჩევა. ხოლო „სამეხ“-ს, რომ ბოლოკიდური მარცვალი „ეხ“ ჩამოსცილებოდა, იქაც „სამ“ დარჩებოდა, რომლისგანაც ქართული „სან“ მხოლოდ „მანის“ „ნარად“ ჩვეულებრივი შენაცვლებით განსხვავდება. მაგრამ რომ წარმოვიდგინოთ კიდეც, რომ ქართველებმა ამ ასოს სახელი „სან“ დორიელთაგან შეითვისეს, ცხადია, ამგვარი შეთვისება ისეთ დროს უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც თვით დორიელნი ხმარობდნენ წიგნებში ხომ არ დაუწყებდნენ ძებნას ქართველები იმ ასოსთვის სახელის მონახვას? ეს გარემოებაც ქართული ანბანის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს.

თუ ყველა ამასთან ერთად გავიხსენებთ, რომ „ვ“-ინის მეექვსე ადგილზე ქართულ ანბანში არსებობა და ბერძნულში ამ ასოს უკვე VII ს. ქ. წ. გადავარდნა ქართული ანბანის წარმოშობას VIII ს-ზე მერმე შეუძლებლად ხდის და, იმისდა მიუხედავად, რომ უკვე VII ს. ბერძნული ასოები პირმარჯვნივ არიან გადმობრუნებული, ქართულ ასოებს კი პირმარცხნივი მდებარეობა აქვთ შენახული, ქართული უძველესი ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობილობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად გვეჩვენება.

მეორე მხრით, თითოეული ქართული ასოს მოხაზულობის ზემომოყვანილი შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართულ დამწერლობას მახლობელი აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მსგავსებით უშუალო ნათესაობის ან დედნობის გამომ[ამ]ჟღავნებელი არ მოეპოვება. ამის მაგიერ ჩვენ

[19] Gardthausen, Gr. Palaeographie, II². 39.

[20] იქვე.

ხან ფინიკიურსა და სიდონიურ-პუნურში, ხან მოაბურსა და უძველეს ებრაულში, ხან კიდევ არამეულსა და პალმირულ-ნაბატეურში, ზოგჯერ თვით საბაურსა და ჰიმიარულში გვხვდება ქართული ამა თუ იმ ასოს მოხაზულობის თავისებურების მსგავსი მოვლენები. რადგან ამასთანავე მსგავს მოვლენათა შემცველი ანბანები სხვადასხვა დროისანი და ერთიმეორისგან და ქართველთაგანაც გეოგრაფიულად ძალზე დაშორებული არიან, ამიტომ ეს მსგავსება არ შეიძლება ქართული ანბანის სადაურობის გამოსარკვევად გამოყენებული იყოს. უმეტეს შემთხვევაში ამ მსგავსებას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ცხადყოფს, რომ იმნაირი ცვლილებანი, რომელნიც უძველეს ფინიკიურთან შედარებით ქართულ ასოთა VI ს. ქ. შ. მოხაზულობას ემჩნევა, ფინიკიურისაგან წარმომდგარ სხვადასხვა ანბანებშიც მოიპოვება და, მაშასადამე, მათი ქართულ ნიადაგზეც გრაფიკული თანდათანობითი განვითარების პროცესის შედეგად მიჩნევა სრულებით კანონიერი იქნებოდა.

ქართული ასოების მოხაზულობათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი „ბ ა ნ ი"-ა. მისი მოხაზულობის ისტორიული განვითარების განხილვის დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჯერ კიდევ VI ს-ში ქ. შ. ამ ასოს თავი შეკრული ჰქონდა და მხოლოდ VII ს-იდან მოყოლებული მას თავი გაეხსნა თანდათანობით ისე, რომ IX და მეტადრე XI ს-ში უკვე თავი მთლად ღია ჰქონდა. სათანადო ადგილას უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ სხვა დამწერლობათა შორის მხოლოდ ფინიკიურსა და მის უშუალო განვითარებას, სიდონურსა და პუნურს ჰქონდა „ბ"-ის თავშეკრული მოხაზულობა, აგრეთვე მოაბურს, — უძველეს ებრაულსა და სამარიტულს. არამეულმა დამწერლობამ მხოლოდ უძველეს ხანაში დაიცვა ამ ასოს თავდაპირველი თავშეკრული მოხაზულობა. უკვე VII ს-იდან მოყოლებული ქ. წ. არამეულმა დამწერლობამ „ბეთ"-ს თავი გაუხსნა და ამგვარივე თავღია მოხაზულობა შეითვისეს ყველა არამეულისაგან ნასესხებ-წარმოშობილმა ანბანებმა, — კუთხოვან[მა] ებრაულმა, პალმირულმა, ასურულმა და ფაჰლაურმა. ამ გარემოებას ფრიად დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული ანბანისა და დამწერლობის თავდაპირველი წარმოშობის დროისა და სადაურობის გამორკვევისათვის. თუ ქართულ დამწერლობას „ბანი" თავშეკრული მოხაზულობისა ჰქონდა უძველეს დროს, ცხადია, იმგვარი მოყვანილობა მას იმ დამწერლობაში უნდა ეპოვა, რომლისგანაც იგი წარმოიშვა და ასოთა პირველი მოხაზულობა შეთვისებული აქვს. ზემომოყვანილიდან საფიქრებელია, რომ ამგვარ, ქართულისათვის დედან დამწერლობად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ფინიკიური, სიდონური და პუნური, ერთი მხრით, მეორე მხრით — უძველესი ებრაული სამარიტულითურთ IV ს-მდე ქ. წ., მესამე მხრით — არამეული VII ს-მდე ქ. წ.

თუ ებრაულ-არამეულისათვის ესოდენ ძველი ხანაა მისაღები, ფინიკიურისაგან წარმომდგარი სიდონურისა და პუნურისაგან შესათვისებლად გაცილებით უფრო მერმინდელი ხანაა შესაძლებელი: სიდონურისაგან IV—I სს. ქ. წ., ხოლო ახალ-პუნურისაგან I ს. ქ. წ. — IV ს-მდე ქ. შ. მაგრამ ამ საკითხის განხილვის დროს, რასაკვირველია, თვით შეთვისების ფიზიკური შესაძლებლობაც უნდა იყოს გათვალისწინებული. დაუჯერებელია, რომ ქართული ანბანი კართაგენელთა და ძველი თუ ახალი პუნურისაგან წარმოშობილად გვეგულისხმა, რადგან ქართველ ერსა და პუნელთა შორის მეზობლობა არ ყოფილა და კულტურული ურთიერთობის შესახებაც არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

ამგვარადვე შეუძლებელია ქართველ ერს ამნაირი „ბ" სიდონური დამწერლობიდან შეეთვისებინა IV—I სს-ში ქ. წ., რადგან ამ დროს საქართველო სიდონელებზე სრულებით მოშორებული იყო და არავითარი კავშირი მათთან არ ჰქონდა. ქართველებს ამ ხნის განმავლობაში სპარსელებთან ჰქონდათ დამოკიდებულება, შესაძლებელია აგრეთვე არამეელებთან ყოფილიყვნენ დაახლოებულნი. მაგრამ არც სპარსელებსა და არც არამეელთ ამგვარი მოხაზულობის „ბ" არ ჰქონიათ, არამედ თავლია და რაც იქ არ იყო, ვერც შეითვისებდნენ. ყველა ამ გარემოებათა გამო საფიქრებელი ხდება, რომ ქართულ თავდაპირველ ანბანს თავშეკრული „ბ"-ის შეთვისება შეეძლო ან ფინიკიელთაგან უშუალოდ, ან არამეელთაგან უძველეს ხანაში, ქ. წ. VII ს.-მდე. ფინიკიელთაგანაც ქართველებს უშუალოდ მხოლოდ იმ ხანაში შეეძლოთ შეთვისება, როდესაც მათთან შედარებით ახლო იყვნენ და საურთიერთო დამოკიდებულება ჰქონდათ, ე. ი. VII ს-მდე, სანამ ტუბალები და მოსოხები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და როდესაც, იეზეკიელის სიტყვით, „თობალი და მოსოხ ვაჭრობდეს" ფინიკიის ქალაქ ტვიროსში და, სხვათა შორის, გასასყიდად რვალის ჭურჭელი მიჰქონდათ ხოლმე (XXVII, 13).

ქართული ანბანის ამგვარი წარმოშობის ძველ ქრონოლოგიურ თარიღს ქართული დამწერლობის ძეგლთა ქ. შ. VI ს-ზე უწინარესი დროიდან უქონლობა ეღობება წინ და ამ გარემოებას, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამ გარემოების მნიშვნელობის გამოსარკვევად უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ VI ს. ქართული ხელნაწერები და წარწერები მრგვლოვანი ასომთავრული დამწერლობით არიან დაწერილი და არამცთუ ქართული ანბანისა და მწერლობის დასაწყის ხანად არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ, არამედ უაღრესად განვითარებული, სრულებით დამთავრებული და მხატვრულად ჩამონაკვთილი დამწერლობის ძეგლები გვაქვს თვალწინ. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ქ̃ლი ფულების ზედწერილებზე თხზული დამწერლობაც კია ნახმარი, ე. წ. მონოგრამა. ხოლო ცნობილია, რომ თუმცა თხზულ ასოთა ხმარების თითო-ოროლა მაგალითი ბერძნულ ეპიგრაფიკაში ძველადაც, VI—V სს-ის ძეგლებშიაც გვხვდება ქ. წ., მაგრამ მხოლოდ ქრისტიანობის ხანაში. ბიზანტიის სახელმწიფოში იყო მათი ხმარება გავრცელებული. ფულებზედაც მონოგრამების აღბეჭდვა მიღებული იყო, მაგრამ აქაც ეს მოვლენა შედარებით მერმინდელია[21]. ამგვარად, ჩვენ ჯერჯერობით ხელთ ქართული დამწერლობის უუძველეს ძეგლებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ უკვე აყვავების ხანის გამოხატულობა გვიდევს თვალწინ. თუმცა, რასაკვირველია, განვითარება ყველგან და ყოველთვის ამ მხრივ ერთნაირად არ მიმდინარეობდა, მაგრამ უაღრესად ნიჭიერი და სწრაფი ნაბიჯით განვითარებული ერის, ბერძნული ეპიგრაფიკის მაგალითი რომ ავიღოთ, შეიძლება ერთგვარ სახელმძღვანელო დებულებად იყოს გამოყენებული. ბერძნული წარწერების უძველესი ცნობილი ძეგლები VII ს. არ სცილდებიან ქ. წ., ამისდა მიუხედავად, ყველაზე გაბედულ მკვლევართაგანს, ლარფელდს ბერძნული დამწერლობის დასაწყისად XI ს. მიაჩნია ქ. წ., ამ მხრივ ყველაზე უფრო ფრთხილ გარდტჰაუზენს კი IX საუკუნე. ცნობილია, რომ VII—VI სს. ძეგლებზე ნახმარი დამწერლო-

[21] Larfeld, ბერძ. ეპიგრ., 1914, გვ. 275—276 და 281.

ბა ჯერ კიდევ უშნო, უსწორმასწორო და ჩამოუნაკვთელია და მხოლოდ V—III სს. ძეგლების დამწერლობას ეტყობა უკვე სილამაზე და ჩამონაკვთილობა. მაშასადამე, ანბანის დასაწყისი ხანიდან მოყოლებული დამწერლობის ჩამონაკვთილობამდე 8-7 საუკუნეს გაუვლია. ჩვენ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ V—VI სს. ქართული ძეგლები ქართული დამწერლობის კალიგრაფიული ჩამონაკვთილობის პირველი ნიმუშებია, მაშინაც ქართული ანბანის დასაწყის ხანად დაახლოებით III ს. უნდა მიგვეღო ქ. წ., მაგრამ ქ˝ლი ფულებისა და VI ს. ხელნაწერების ერთი თვალის გადავლებით გადაშინჯვაც საკმარისია, რომ ცხადი გახდეს, რამდენად მცდარი იქნებოდა ეს აზრი. ქართული VI ს. ხელნაწერების დამწერლობა თავისი სილამაზითა და ჩამონაკვთილობით ამავე საუკუნის ბერძნული ხელნაწერისას თუ არ სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება. ამის გამო ქართული ანბანის საბოლოო ჩამონაკვთილობის ხანა V—VI სს-ზე გაცილებით ადრე უნდა ვიგულისხმოთ და ამისდა გვარად მისი პირველი წარმოშობის შესაძლებელი ხანაც წინ წაიწევა.

ზემომოყვანილ ყველა მოსაზრებას რომ ერთად თავი მოვუყაროთ, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრით, ჯერხანად ცნობილი VI ს. ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. მეორე მხრით, ქ˝ლი ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევნოება ფინიკიურ-სემური ანბანისას მშვენიერად იცავს, რაც აგრეთვე მისი სიძველის მომასწავებელია: ფინიკიურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად, ქართულ ბევრ ასოს პირი მარცხნივ აქვთ მობრუნებული და, დასასრულ, ასო „ბ"-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკიელთა, ებრაელთა და არამეელთაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-ზე არა უგვიანეს ქ. წ., როდესაც თვით არამეელნიც ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ"-ს ხმარობდნენ და როცა ქართული ტომები ტუბალ — მოსოხეჲიც აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკიელებთან ალებმიცემობა ჰქონდათ. თუ ის გარემოება, რომ სამარიტული დამწერლობის უძველესი ხელნაწერი X საუკუნისაა შენახული ქ. შ., ხოლო წარწერა მხოლოდ VI ს. ეკუთვნის ქ. შ. (ბერჟე, 199—201), მეცნიერებს, სამარიტული ასოების მოხაზულობის ხასიათისა და სხვა ისტორიულ მოსაზრებათა გამო, მათი ანბანის IV ს. ქ. წ. მიკუთვნებას არ უშლის, და ამგვარადვე, თუ იმისდა მიუხედავად, რომ საბაური და ჰიმიარული დამწერლობის ძეგლები მაინცდამაინც ძველი არ არის, ასოთა იმავე მოხაზულობის თვისებათა გამო მეცნიერთ მაინც შესაძლებლად მიაჩნიათ, ამ ტომების ანბანი VIII ს. ქ. წ. მიაკუთვნონ, V—VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერხნობით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამრღვევ საბუთად ვერ გამოდგება, მით უმეტეს, რომ წესიერი არქეოლოგიური კვლევაძიება ჩვენში ჯერ არ ყოფილა. მაგრამ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გარემოება, რომლის შესახებ ამჟამად არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ მაინც მეცნიერული სიფრთხილე სჯობია და სანამ ქართული დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს. ვფიქრობ მხოლოდ, რომ ახლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის

V ს-ში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქ˜ლი დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ.

მკვლევართ, რომ ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების მთავარი საფეხურები და მეტადრე უძველესი მოხაზულობა სცოდნოდათ, დარწმუნებული ვარ, იმავე დასკვნამდე მოვიდოდნენ, რომელიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი. მაგრამ ვისაც ქართული ანბანის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი საგანგებოდ განხილული ჰქონდა, ამ საკითხის გადასაწყვეტად ან შესაფერისად აღჭურვილი არ იყო არც ქართულისა და არც სხვა ერთა დამწერლობის გრაფიკული განვითარების საფეხურის ცოდნით, ან ქართული დამწერლობის საღაურობის საკითხს, სხვათა შორის, გაკვრით შეხებია და მხოლოდ სომხური დამწერლობის წარმოშობის საკითხის გარჩევის დროს განუხილავს. თანაც მეცნიერთა ამ ჯგუფისათვის კორჲნის ცნობას უცილობელი ჭეშმარიტების ღირებულება ჰქონდა და მათი მსჯელობის თავისუფლება კორჲნის თეორიით იყო შებორკილი. მაგ., საუკეთესო ამ ჯგუფის მეცნიერთაგან ფრ. მჱლლერს (Fr. Müller) თავის წერილში „სომხური დამწერლობის წარმოშობის შესახებ“ („Über den Ursprung der armenischen Schrift“(, რომელიც ვენის სამეცნიერო აკადემიის სხდომათა ოქმებში იყო 1864 წ. დაბეჭდილი (Sitzungsberichte d. Wiener Akademie, 48, 1864 წ., გვ. 431—438)[22], კარგადა აქვს აღნიშნული, რომ სომხურ-ქართული დამწერლობის „ან“-იდან „ტარ“-ამდის ასოები სემური შთამომავლობისა უნდა იყოს, „ჳ“-თგან „ქან“-მდის ბერძნულს უდგება. მაგრამ მისთვისაც ქართული და სომხური დამწერლობა განუყრელი ერთეულია და თითქოს ერთნაირი ბედიღბალი აქვთ, ერთი შემდგენელი (Urheber) ჰყავთ, თუმცა მის დაკვირვებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ქართულ ანბანს ასოთა პირვანდელი სემური რიგი დაურღვეველად აქვს დაცული, სომხურში კი დანართი ასოების სხვადასხვა ადგილას ჩართულობით დარღვეულია. მჱლლერის აზრით, სომხურ-ქართული დამწერლობა არამეულსპარსული ანბანიდან უნდა იყოს წარმომდგარი, საიდანაც ფაჰლაური დამწერლობაც არის წარმოშობილი. მაგრამ მისთვისაც მესროპია ის პირი, რომელმაც ქართულ-სომხური ანბანი საბოლოოდ ჩამოაყალიბა და, ბერძნულის მსგავსად, ხმოვანთა ჩართვით სრულ ანბანად აქცია. ფრ. მჱლლერს რომ ქართული დამწერლობის უძველესი მოხაზულობის შესახებ ის ცნობები ჰქონოდა, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, სემური დამწერლობის ძეგლებიც მაშინ ეხლანდელის მსგავსად შესწავლილი ყოფილიყო, თანაც სცოდნოდა, კორჲნის თხზულებაში ცნობა ქართული და სომხური ანბანის მესროპისგანვე გამოგონების შესახებ მერმინდელი ჩანართია და თავდაპირველად იქ არ იყო, მაშინ მისი დასკვნაც, რასაკვირველია, სხვანაირი იქნებოდა.

როგორც დავრწმუნდით, მართალი იყო ვ. გარდტჰაუზენი, როდესაც იგი თავის 1876 წ. დაბეჭდილ პატარა წერილში მჱლლერის ამ დებულებას გამოეკამათა და ამტკიცებდა, რომ ქართული ანბანი სომხურისაგან დამოუკიდებლივ არის წარმომდგარი (იხ. აქვე, გვ. 203), მაგრამ თვით გარდტჰაუზენსაც ამავე

---

[22] ვენის სამეცნიერო აკადემიის ორგანოს ამ წლების №№-ის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში უქონლობის გამო სე. ყაუხჩიშვილის ამონაწერებით ვსარგებლობთ, რომელთა გადმოცემისათვის გულითად მადლობას მოვახსენებ.

დროს შეცდომა მოსდიოდა და მოსდის, როდესაც მაშინ და ახლაც 1914 წ. გამოსულ ბერძნულ პალეოგრაფიაში ამტკიცებს, ვითომც სომხური და ქართული ანბანი ბერძნულისაგან იყოს წარმომდგარი (ამის შესახებ იხ. იქვე, გვ. 203).

ამგვარადვე ბროკჰაუზისა და ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონის ახალ გამოცემაში პროფ. ნ. ადონცს სომხური მწერლობის მიმოხილვაში გაკვრით ქართული ანბანის შესახებაც აქვს საუბარი. მასაც გამეორებული აქვს ის დაკვირვება, რომელიც ჯერ კიდევ ფ. მელლერმა აღნიშნა ქართული ანბანის ასოთა რიგის სიძველისა და სომხური ანბანის ასოთა რიგის დარღვეულობის შესახებ. ადონცს არც იმის უარყოფა შეუძლია და თითონაც აღნიშნული აქვს, რომ ქართულ ასოთა მოხაზულობა სომხურ ასოთა მოხაზულობაზე უფრო ძველ სახეობას იცავს, მაგრამ კორჟნის თეორიას ვერც ის სცილდება და მისთვისაც ქართული ანბანი მესროპის მიერ შედგენილი სომხური ანბანისაგანაა წარმომდგარი და მასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, მისი აზრით, ქართულმა დამწერლობამ ვითომც სომხური დამწერლობის ასოთა პირვანდელი რიგიცა და, როგორც ეტყობა, მოხაზულობაც ხელუხლებლად დაიცვა, სომხური კი შემდეგ გადაკეთებული იქნაო (იხ. Новый энц. словарь, III, 642). ყველა ზემონათქვამის შემდგომ, რაც V თავშია მოყვანილი, ვგონებ ადონცის ამ აზრის მცდარობაზე ლაპარაკი საჭირო არ უნდა იყოს.

ბოლოსიტყვაობა

ქართული დამწერლობათმცოდნეობის პირველი, ზოგადი ნაწილი, დამთავრებულია. ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ზოგიერთი გამოკვლევის უქონლობა საშუალებას არ მაძლევდა წინამდებარე ნაშრომი განზრახული სისრულით დამემუშავებინა. Hans Jensen-ის ახალი წიგნი Geschichte der Schrift (Hannover 1925) რომ მოგვივიდა, ჩემი გამოკვლევის პირველი თავი უკვე დაბეჭდილი იყო და ამიტომ არც მისი მოხსენება წყაროთა შორის, არც გამოყენება არ შემეძლო. არსებითად ახალი იქ მაინცდამაინც ბევრი არაფერია. W. Schubart-ის საუცხოო, 1925 წ. გამოცემული Palaeographie-ის პირველი ნაწილი Griechische Palaeographie-ც (იხ. Handbuch der Altertumswissenschaft 1. B., 4. Abt., 1. Hälfte), გვიანი გამოსვლის გამო, სათანადო ადგილას მოხსენებული და გამოყენებული არ არის. არაფერი მაქვს ნათქვამი ახლად აღმოჩენილი ხანმეტი პალიმფსესტების გამო კ. დონდუას, ა. გენკოს და აკად. ნ. მარის დაწერილი წერილების შესახებ (იხ. Тексты и разыск. по Кавказ. Филологии, 1), რადგან იქ სამეცნიერო მწერლობაში მიღებული კამათის წესები იმდენად არის დარღვეული და ბრძოლის საშუალებათა ისეთი გაურჩეველობაა, რომ კამათს არავითარი აზრი არა აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ღირსეული პასუხის მიცემა შეიძლებოდა. ჯერ კიდევ არსენი ამარტოლმა აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“ (ქ˝კბი, II, 109), და ამ პირთა წერილების ყოველი მკითხველი თვით იგრძნობს ამ აღმწერელთა რაგვარი თვისებების „გა-

მომაჩინებელიც“ არის ეს მათი ნაწერი. სულერთია, ამ ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტების მნიშვნელობის გაქარწყლება ამაო ცდაა, და იმასაც ვნახავთ, როგორც ისინი დაამტკიცებენ, რომ ეს ძეგლები მართლაც IX ს. ეკუთვნიან!

ამ ჩემ გამოკვლევას დართული უნდა ჰქონოდა სხვა ერთა დამწერლობის ანბანთა ტაბულები და ქართული სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშები იმგვარადვე, როგორც წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული ძველი ქართული იარაღებისა და ტექნიკური აღსრულების გამომხატველი სურათები. პირველ თავში აღნიშნულიც კია „იხ. ტაბ. I“, ან II“-ო, მაგრამ რადგან ეს გამოცემას საგრძნობლად აძვირებდა, იძულებული ვიყავი ამ განზრახვისათვის თავი დამენებებინა და მხოლოდ ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების გამომხატველი დიდი I ტაბულითა, ბერძნულ-ქართულ-სომხურ ანბანის II ტაბულითა და ქართული ანბანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებული სურათებით დავკმაყოფილებულიყავ.

მკითხველს ვთხოვ ახსოვდეს, რომ წინამდებარე წიგნი ამ დარგში მხოლოდ პირველი ცდაა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი საკითხის შესახებ ჯერ პასუხი არ მოგვეპოვება და ბევრი საკითხი მხოლოდ წამოყენებულია. ჩემი მიზანი იყო ქართველ მკვლევართა და მკითხველთათვის ცხადმეყო, რომ ქართულ დამწერლობას თავისი მრავალსაუკუნოვანი საგულისხმო ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი ერის ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფი არის და რომლის შესწავლასაც ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც კულტურის ისტორიის სხვაგვარ გამოხატულებას. მინდოდა ამასთანავე ამ პირველი ცდით საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო. როდესაც ჩვენ ამას მოვესწრებით, მაშინ ადვილად შესწორდება ის ნაკლი, რომელიც ამ ჩემს ნაშრომს აქვს.

დასასრულ, ჩემ მოვალეობად ვრაცხ მხურვალე გულითადი მადლობა მოვახსენო ბ-ნ სვ. ყაუხჩიშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მან ამ წიგნის ბეჭდვის დროს გამიწია და ბეჭდვის მძიმე ტვირთის განაწილებით მის სათანადოდ გამოცემას ხელი შეუწყო, აგრეთვე თ. ლომოურს, რომელმაც სამაგალითოდ შედგენილი საძიებლებით მკითხველს ამ წიგნით სარგებლობა გაუადვილა. ვმადლობ ს. ჯანაშიასაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყოფილი წიგნთსაცავის № 353 ხელნაწერის ჩემთვის საჭირო ცნობის გამოსარკვევად გადაშინჯვისათვის.

თბილისს
1926 წ. აპრილის 10 ს.

დამატებები

დამატება პირველი

ა. ანბანი

კაცობრიობას დროთა განმავლობაში ადამიანის აზრის დასაწერად სხვადასხვა სისტემა ჰქონდა, რომელიც დამწერლობის[1] ქვეშეა განხილული. ერთ ამ სისტემათაგანს, ამასთანავე ყველაზე უკეთესს, ანბანური დამწერლობა წარმოადგენს.

ანბანი ენის მეტყველების ბგერათა გამომხატველ ასოთა გარკვეულ რიგზე დალაგებულ მწკრივს ეწოდება. ეს სახელწოდება ამ მწკრივის პირველი ორი ბგერის სახელისაგან (ან+ბან-ი) არის წარმომდგარი.

სხვა ენებშიც ასოთა მწკრივის სახელი, ჩვეულებრივ, ასეა ნაწარმოები. მაგ., ასოთა ბერძნული მწკრივის სახელი, რომელიც ყველა დანარჩენ ევროპულ ენებსაც აქვთ შეთვისებული, ალფაბეტ-ი ალფა-სა (=ანს) და ბეტასაგან (=ბანს) არის წარმომდგარი. ამ მწკრივის პირველი ორი ასოს მსგავსად, ყველა დანარჩენ ნიშნებსაც თავთავიანთი სახელები აქვთ.

ანბანური დამწერლობის ბევრი სხვადასხვა სახეობა არსებობს, რომელთა შესახებ მსჯელობა და ცნობები დამწერლობის ქვეშეა[1]. აქ კი ანბანის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები იქნება განხილული.

ანბანის ისტორიას მთავარი საკითხ[ებ]ი უნდა ჰქონდეს გაშუქებული:

1. ანბანური დამწერლობის თავდაპირველი გაჩენის ადგილი, მისი სადაურობა და ჩამონაკვთის ხანა.

2. ამ უძველესი ანბანის სხვა ერთა შორის გავრცელების მიმოხილვა, არე და სხვადასხვა ერთა ანბანების ნათესაობა.

3. უძველესი ანბანის სხვა შემთვისებელ ერთაგან თავიანთი ენების თანხმოვნებისათვის დამატებითი ასოებით შევსება.

4. ხმოვანთა ასოების გაჩენა და მათ აღსანიშნავად განკუთვნილი სხვადასხვა სისტემები. უხმოვნო ანბანის ხმოვნიან და სრულ ანბანად ქცევა.

5. ანბანის ასოთა სახელები და მათი მწკრივის რიგობითი დალაგებულობის პრინციპები სხვადასხვა დამწერლობაში.

§ 1. ანბანური დამწერლობის თავდაპირველი გაჩენის ადგილი, მისი სადაურობა და ჩამონაკვთის ხანა

ანბანის სადაურობისა და გაჩენის შესახებ უძველესი გადმოცემა ბერძნებსა ჰქონდათ დაცული, რომელნიც თავიანთ ასოებს ფინიკიურს უწოდებდნენ. ძველ საბერძნეთში თქმულება ყოფილა, რომ ბერძნული ანბანი ფინი-

[1] ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის ნაგულისხმევ ცალკე სტატიაზე მიუთითებს ავტორი (რედ.).

კიური ანბანისაგან იყო წარმომდგარი. მაგრამ, ამავე ძველი ბერძნული გადმოცემის თანახმად თვით ფინიკიელებს თავიანთი ანბანი ეგვიპტელებისაგან ჰქონიათ შეთვისებული. არა ერთი მეცნიერი ამ ბერძნულ გადმოცემას ფინიკიური ანბანის სადაურობაზე არ იზიარებდა და ზოგი (დეეკი და ჰომმელი) ფიქრობდა, რომ ფინიკიური ანბანი ლურსმული დამწერლობისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ზოგს (ევანსს—S. Evans და შნაჲდერს—H. Schneider) მის წარმომშობლად კრიტოსის დამწერლობა მიაჩნდა, ზოგს კიდევ (Sayce-ს და ედ. მაჲერს) ხეთების ხატოვანი დამწერლობა ეგულებოდა. არც ერთ ამ მოსაზრებათაგანს დანარჩენ მეცნიერთა უმრავლესობისათვის სრული დამაჯერებლობა არ ჰქონია, რადგან მსგავსება მხოლოდ ზოგიერთ ასოთა მოხაზულობას ემჩნევა. ამასთანავე ეს მსგავსება ზოგჯერ იმდენად შორეულია, რომ უშუალო კავშირის დასამტკიცებლად ძნელი გამოსაყენებელია. იმისდა მიუხედავად, რომ სემურ-ფინიკიური ანბანის ეგვიპტური დამწერლობისაგან წარმოშობილობა სიმართლეს ყველაზე უფრო მიაგავდა, მაინც დამაფიქრებელი იყო ის დიდი ქრონოლოგიური მანძილი, რომელიც ფინიკიური დამწერლობის უძველეს ძეგლს (IX ს. ქ. წ.) ეგვიპტური დამწერლობისაგან აშორებდა. მაგრამ 1905 წ. ინგლისელმა მკვლევარმა Flinders Petrie-მ სინას ნახევარკუნძულზე სერაბῑტ-ელ-ხāდიმ-ად წოდებულ ადგილას, სპილენძის ძველისძველი მაღაროების მახლობლად მდებარე ეგვიპტელთა ქალღმერთის ჰათორ-ის ტაძრის ნანგრევებში უცნობი დამწერლობიანი წარწერების მქონებელი ქვები იპოვა. არქეოლოგიური მოსაზრებებით ეს ძეგლები მან დაახლოებით 1500 წ. მიაკუთვნა ქ. წ. სერაბიტის ამ წარწერებს იმ მხრივ აქვს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა, რომ მათი დამწერლობა თუმცა ეგვიპტურ ჰიეროგლიფურსაც მიაგავს, მაგრამ უფრო მეტად სემურ დამწერლობას მიემსგავსება და ამნაირად ამ ორი დამწერლობის საშუალ საფეხურს წარმოადგენს. სერაბიტის წარწერებს 1916 წ. ყურადღება Gardiner-მა მიაქცია, რომელმაც ჯერ ინგლისურად, ხოლო შემდეგ, 1923 წ., გერმანულად გამოაქვეყნა გამოკვლევა, სადაც სემური ანბანის ეგვიპტურისაგან წარმომდინარეობას ამტკიცებდა. ამ წარწერებში ნახმარი 150 ნიშნისაგან მხოლოდ 32 განსხვავებული ასო აღმოჩნდა და უკვე ამ გარემოებამ გარდინერი მიახვედრა, რომ სერაბიტის დამწერლობა მარცვლოვანი კი არა, არამედ ანბანური უნდა ყოფილიყო. ეგვიპტურ-სემურ და სერაბიტის დამწერლობათა ასოების მოხაზულობათა შედარებითი შესწავლისაგან მანვე წარწერებში ხშირად ერთად ნახმარი ოთხი ასოს მნიშვნელობის გამოცნობა-წაკითხვაც შეძლო. მაგრამ სერაბიტის წარწერათა წაკითხვაში განსაკუთრებული ღვაწლი გერმანელ ეგვიპტოლოგს Sethe — სეთე-ს მიუძღვის, რომელმაც კიდევ სამი ასოს (გ, დ და თ-ს) მნიშვნელობაც გამოარკვია. ვითარცა ფინიკიური ანბანის სადაურობის გამოსარკვევ დასაყრდენს, სერაბიტის წარწერათა ანბანს, ზემოდასახელებულთ გარდა, არა ერთმა სხვა მეცნიერმაც მიაპყრო ყურადღება. მათგან უნდა Grimme, Reisler-ი და Ullman-ი იქნენ მოხსენებულნი. 1927 წ. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა Lake-მ. და Blake-მ ეს წარწერები ხელახლად ნახეს და მათი ახალი სურათები და გადმონაწერები ამერიკაში ჩაიტანეს. Romain-მა და Butin-მა 1928 წ. ყველა ამ წარწერათა სურათები, გადმონაწერები და გამოკვლევაც გამოაქვეყნეს, რომელშიც თითოეული ასოს მნიშვნელობაზე წარწერათა თარიღსა და სერაბიტის დამწერლობის სადაურობაზე არის მსჯე-

ლობა და წარწერათა ხელახალი წანაკითხი და განმარტება-თარგმანია მოყვანილი.

სერაბიტის წარწერებისა და ანბანის შეფასების დროს მეცნიერთა შორის სრული თანხმობა არ არის, მაგრამ მათი უაღრესი მნიშვნელობა ფინიკიურ-სემური ანბანის სადაურობის საკითხის გამოსარკვევად უმრავლესობას უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია.

სეთე ამ წარწერებს გარდინერზე უფრო ძველად თვლის და მათი დაწერილობის თარიღად დაახლოებით 1900 წ. მიაჩნია ძვ. წ. აღრიცხვით. თანაც ფიქრობს, რომ ეს ძეგლები ჰიქსოსებს უნდა ეკუთვნოდეთ. ამ უკანასკნელ ჰიპოთეზს ყველა არ იზიარებს და სხვები სემიანთ მიაკუთვნებენ, მაგრამ მის დათარიღებას R. Butin-იც ეთანხმება. მეცნიერთა უმრავლესობა თანახმაა აგრეთვე, რომ სერაბიტის ანბანი სემურ-ფინიკიური ანბანის წინამორბედია და განვითარების თითქმის დასაწყის ხანას წარმოადგენს. ამასთანავე სერაბიტის ანბანი ეგვიპტურ ჰიეროგლიფურს, ანდა, უფრო სწორედ რომ ითქვას, ჰიერატულ დამწერლობას მიაგავს, სახელდობრ მის გამარტივებულ მოხაზულობას წარმოადგენს, მაგრამ უფრო მეტად იგი ფინიკიურ-სემურ დამწერლობას მიემსგავსება და მისი მოხაზულობის უძველეს სახედ უნდა იქნეს მიჩნეული. სერაბიტის დამწერლობა მხოლოდ ასოთა რიცხვის მხრით განსხვავდება თვალსაჩინოდ, როგორც ეგვიპტურისა, ისევე სემური ანბანისაგან: თუ ეგვიპტურს 24 ნიშანი ჰქონდა და უძველეს სემურს 22, სერაბიტის წარწერებში 32 ნიშანია ნახმარი. მაგრამ მკვლევართა აზრით ზედმეტი 10 ნიშანი რომელიმე ახალი ასოს გამომხატველი კი არ არის, არამედ 22 ასოიანი ანბანის ამა თუ იმ ნიშნის ან ვარიაციას (ლ, ძ, ф, ტ და სხვ.), ან ორი ასოს კომბინაციას წარმოადგენს. მაშასადამე, არსებითად სერაბიტული დამწერლობაც სემურის მსგავსად 22 ნიშნიანი ანბანის მქონებელი გამოდის. ეგვიპტური ჰიეროგლიფურ-ჰიერატული დამწერლობა ხატოვანი ნიშნებისაგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეულს იმ საგნის სახელი ჰქონდა, რომლის მოხაზულობასაც ყოველი მათგანი წარმოადგენდა. ეგვიპტური დამწერლობის ძეგლები პირველად მეოთხე ათასეული წლის შუა ხანაში ჩნდება. თავდაპირველად იგი აზრის ზოგადად დამსურათებელ-გამომხატველი ყოფილა, მაგრამ უკვე უძველეს ცნობილ ძეგლებში ეგვიპტურ დამწერლობას თავისი განვითარების ეს დასაწყისი საფეხური გავლილი აქვს და თითოეული ხატოვანი ნიშანი ამა თუ იმ საგნისა, თუ ცნების, ანუ სიტყვის აღმნიშვნელია. მოქმედებისა და ზმნების აღსანიშნავად მარჯვედ შერჩეული ხაზოვანი ნახატებიჳე იხმარებოდა. მაგ., დარტყმის აღსანიშნავად ხელჯოხიანი ადამიანის ნახატს ხმარობდნენ; ფრენის ცნებისათვის კი — ფრთებგაშლილი ფრინველის ნახატს; სიარულს წელს ქვეით ხაზოვანად გამოსახული ადამიანის ორი გალაჯული ფეხი გამოხატავდა; ტირილს — ცრემლიანი თვალი და სხვა ამის მსგავსად.

ამ ხანაში ეგვიპტურ დამწერლობას დასახული მიზნის მისაღწევად სულ 500 ნიშანი ჰქონდა, მაგრამ ეგვიპტურმა ხატოვანმა დამწერლობამ ეს საფეხურიც განვლო ისე, რომ თანდათანობით ბგერითი, ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, თანხმოვანთა ანბანი გაჩნდა, რადგან ეგვიპტურში ისევე, როგორც შემდეგში სემიანთა დამწერლობაშიც, ხმოვნების აღნიშვნა საჭიროდ არ მიაჩნდათ, არამედ მხოლოდ თანხმოვნებსა წერდნენ ხოლმე. დამწერლობის ამ განვითარებას ეგვიპტელებმა ე. წ. აკროფონიის გზით მიაღწიეს. აკროფონია ეწოდება სიტყვათა აკროსტიხური წაკითხვის წესს, როდესაც კითხვის დროს სიტყ-

ვის მხოლოდ პირველი ბგერა, ანუ ასო გამოითქმის ხოლმე. ამნაირად, ხატოვანი ნიშანი, რომელიც წინათ მთელ სიტყვას აღნიშნავდა ხოლმე, ახლა უკვე ამ სიტყვის პირველი თანხმოვნის აღმნიშვნელად იქცა. ამ უდიდესმა წარმატებამ წერა-კითხვა გააადვილა და წერა ადამიანს წინანდელზე გაცილებით უფრო ჩქარა შეაძლებინა. ხოლო ჩქარმა წერამ ბუნებრივად ნიშნების მოხაზულობის გამარტივებას შეუწყო ხელი. ასეთ გამარტივებულ ეგვიპტურ დამწერლობას ჰიერატული ეწოდება. პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებამ ეგვიპტელები სწრაფ წერასაც მიაჩვია, რის შედეგადაც გაჩნდა ე. წ. დემოტური, ე. ი. სახალხო დამწერლობა, რომელიც კურსივს წარმოადგენდა და ძველი ნიშნების მოხაზულობისაგან მხოლოდ უმარტივესსა და მცირეს, თანაც ძალზე შეცვლილსა და ოდნავ მიმსგავსებულ ნაწილსღა შეიცავდა. დემოტური დამწერლობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII ს-ში გაჩნდა. ისევე როგორც სემური დამწერლობის წინამორბედის, სერაბიტის დამწერლობის ასოები ეგვიპტური დამწერლობის გამარტივებულ მოხაზულობას წარმოადგენენ, თვით ასოების სახელებიც სემურ ანბანში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ეგვიპტურის მსგავსად საგნების სახელებია: ალეფ — ხარი, ბეტ — სახლი და სხვა. მაგრამ ამ სახელების მხოლოდ პირველი ბგერა გამოითქმის. ამნაირად, აქაც იგივე აკროფონიის პრინციპია, როგორიც ეგვიპტურ დამწერლობაში იყო და, მაშასადამე, ამ მხრივაც სემური ანბანი ეგვიპტური პრინციპის მიხედვით ყოფილა შედგენილი. ქრონოლოგიურადაც სერაბიტის დამწერლობის ეგვიპტურისაგან წარმომდინარეობის დებულებას არაფერი ეღობება წინ. დამაფიქრებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ სემური ანბანის წინამორბედს, სერაბიტის დამწერლობასა და თვით სემური დამწერლობის უძველეს ჯერეთ ცნობილ ძეგლს (მეშას ქ. წ. IX ს. წარწერას) ერთმანეთისაგან მთელი ათი საუკუნე აშორებს. მარტო ის ფაქტი, რომ ტელ-ელ-ამარნას XIV ს. მრავალრიცხოვან ნაპოვართა შორის ანბანური სემური დამწერლობის არც ერთი ძეგლი არ არის აღმოჩენილი, მეცნიერთა შორის იმ რწმენას ურყევი დებულების თვისებას ანიჭებდა, რომ სემური ანბანური დამწერლობა იმ ხანაში ჯერ კიდევ არ არსებობდა და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდგომ არის გაჩენილი. სერაბიტის წარწერებმა ცხადყო, რომ სემურის წინამორბედი ანბანი XII—XIV სს-ზე რამდენიმე საუკუნით უწინარესაც არსებულა, მაგრამ მისი გავრცელების არეცა და ინტენსივობაც, როგორც ჩანს, ხანგრძლივ მეტად მცირე ყოფილა და მხოლოდ IX ს-იდან მოყოლებული ქ. წ. ანბანური დამწერლობა ჯერ სემიანთა, ხოლო შემდეგ ბერძენთა შორისაც თანდათან გზას იკაფავს და ვრცელდება.

სემური დამწერლობა და ანბანი, როგორც აღნიშნული გვქონდა, დანარჩენ კულტურულ ერთა დამწერლობის მისაბაძავ მაგალითად იქცა და მათი ანბანის განვითარებას საფუძვლად დაედვა.

§ 2. სემურ-ფინიკიური ანბანის სხვა ერთა შორის გავრცელების მიმოხილვა, არე და სხვადასხვა ერთა ანბანების ნათესაობა

სემური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა, — აღმოსავლეთშიცა და დასავლეთშიც. აღმოსავლეთში ის უპირველესად თვით სემიანთა მოდგმის ერთა შორის განმტკიცდა: მოაბელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა, არამეელთა და

არაბებს შორის. მაგრამ არა ერთმა სხვა მოდგმის ერებმაც, მაგ., არიელთა და თურქ-მონღოლთა და სხვა შთამომავლობის ერებმაც შეითვისეს. თვით სემიან ერთა დამწერლობას მეცნიერება ორ მთავარ ჯგუფად — ჩრდილო სემურად და სამხრეთ სემურად ყოფს. დამწერლობათა ჩრდილო-სემურ ჯგუფს საკუთრივ ფინიკიური ეკუთვნის (ძეგლები VIII ს. ქ. წ. მოყოლებული), სიდონური და კვიპრული კართაგენულითურთ, რომელთაგან უკანასკნელს პუნურიც ეწოდება (ძეგლები IV ს. ქ. წ. — IV ს. ქ. შ.), აგრეთვე ძველი ებრაული (ძეგლები VIII ს. ქ. წ.) სამარიტულითურთ და ძველი (ძეგლები VIII ს. ქ. წ.) და საშუალო არამეული პალმირულით (ძეგლები მე-9 წელი ქ. წ. — 271 წ. ქ. შ.), ასურულით (ძეგლები I ს. ქ. შ. მოყოლებული), ნაბატევურით (ძეგლები მე-9 წ. ქ. წ. — 75 წ. ქ. შ.) და უკანასკნელისაგან წარმომდგარი არაბულითურთ (უძველესი ძეგლი 568 წ. ქ. შ.) მიეკუთვნება. სამხრეთ-სემური ჯგუფი შემდეგ დამწერლობებს შეიცავს: საბაურს, ანუ ჰიმიარიტულს (VIII ს. ქ. წ. — V ს. ქ. შ.), საფაურს, ტაჰმუდენურს, რომელსაც პროტო-არაბულსაც უწოდებენ, და ლიჰჲანურს ისევე, როგორც საბაურისაგან წარმომდგარ ეთიოპურსაც (50 წ. ქ. წ. მოყოლებული). სემური დამწერლობიდან აღმოსავლეთსა და სამხრეთში თავიანთი ანბანი შემდეგმა სხვა მოდგმის ერებმა შეადგინეს. ფინიკიურისაგანაა წარმომდგარი ჩრდილოეთ აფრიკაში მობინადრე ლიბიელთა ლიბიური, ანუ ნუმიდიური დამწერლობა ბერბერულითურთ, ბასკების მონათესავე ესპანეთის იბერთა იბერიული და ტურდეტანული (200 წ. ქ. წ.) დამწერლობანი. აღმოსავლეთში ჩრდილოსემური ანბანისაგან ინდოეთის დამწერლობანია წარმომდგარი, სახელდობრ: ე. წ. ბრაჰმის დამწერლობა (V ს. ქ. წ. მოყოლებული). ჰინდური დამწერლობანი გეოგრაფიული და პალეოგრაფიული ნიშნებისდა მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად — ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამწერლობათა ჯგუფებად — იყოფა. ჩრდილოეთ ჯგუფს ე. წ. გუპტას დამწერლობა (VII ს. ქ. შ.) ეკუთვნის თოხარულითურთ (IV ს. ქ. შ.), ნაგარისა და დევა-ნაგარის (992 წ. ქ. შ. მოყოლებული) დამწერლობანიც, რომელთაგან უკანასკნელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან სანსკრიტული მწერლობა სწორედ ამ ანბანით იწერებოდა და თანამედროვე ინდური დამწერლობაც მისგან არის წარმომდგარი. ნაგარის ანბანისაგან ტიბეტური დამწერლობაც (VII ს. ქ. შ.) წარმოიშვა. ნაგარის მონათესავეა ბენგალური და ამ უკანასკნელისაგან წარმომდგარი არიზული და გუჲარატული ანბანებიც, რომელთანაც სინდური და მულტანური დამწერლობაა დაკავშირებული; ჩრდილო-ინდურ ჯგუფსვე მიეკუთვნება ის დამწერლობაც, რომლითაც პალის სახელით ცნობილი საშუალო საუკუნეების ინდური მდაბიო ენით დაწერილ ბუდისტურ თხზულებათა კომენტარიები იწერებოდა. პალის დამწერლობა მეზობელმა არაინდოელმა ერებმაც შეითვისეს.

თვით არამეელთა დამწერლობაც მეზობელ და შორეულ ერთა შორის ფართოდ გავრცელდა ისე, რომ მისგან არა ერთი ახალი დამწერლობა გაჩნდა. ყველაზე ადვილი იყო, რასაკვირველია, მისი შეთვისება სპარსელებისათვის, რომელთაც ლურსმული დამწერლობის მივიწყების შემდგომ ე. წ. ფაჰლაური დამწერლობა შექმნეს. ეს ანბანი ე. წ. საშუალო სპარსული ენის დამწერლობაა, ესე იგი არშაკუნიანთა (256 წ. ქ. წ. — 226 წ. ქ. შ.) და სასანიანთა ბატონობის ხანაში (226—642 წწ. ქ. შ.). მაჰმადიანობის სპარსეთში გავრცელებამ და მასთან ერთად არაბული დამწერლობის შემოღებამ ფაჰლაურ ანბანს სპარსეთში ბოლო მოუღო, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი სამშობლოდან ინდოეთში

გახიზნულმა სპარსელმა ცეცხლთაყვანისმცემლებმა, რომელნიც ფარს-ის სახელით არიან იქ ცნობილნი, ფაჰლაური ანბანი შემდეგშიაც შეინარჩუნეს. ეს დამწერლობა, რომლის უძველესი ნიმუშები არშაკუნიანთა ფულებზე და სასანიანთა პირველი ორი მეფის — არდაშირისა და შაბურის წარწერებზეა დაცული, შუამდინარეთსა და ეგვიპტეში V—II სს. ქ. წ. გავრცელებული არამეული დამწერლობისაგან არის წარმომდგარი. არამეული დამწერლობისაგანვე, მაგრამ თითქოს ფაჰლაურის გავლენით უნდა იყოს ციმბირში გავრცელებული ძველი თურქული, ე. წ. ორხონული ჲენისჲეური დამწერლობანიც, რომელთა არსებობა მეტად ხანმოკლე იყო. პირველად VI ს. ქ. შ. შუა წლებშია იგი გაჩენილი და VIII ს. დამლევს უკვე მოსპობილია ისე, რომ ორხონის 784 წ. წარწერა ამ დამწერლობის უკანასკნელ ძეგლად ითვლება. არამეული, სახელდობრ ასურული ესტრანგელოსი და ნესტორიანული დამწერლობის გაგრძელებაა ე. წ. მანიქეური დამწერლობაც, რომლითაც მანის 276 წ. სიკვდილის შემდგომ სპარსეთიდან აღმოსავლეთ თურქისტანში გაქცეულ-გადასახლებულ მანიქეველთ (V—VI სს. ქ. შ) საშუალო სპარსულად ან აღმოსავლურ-თურქულად უწერიათ.

არამეული ანბანიდან უნდა იყოს აგრეთვე სოგდური დამწერლობაც, რომელიც აღმოსავლეთ თურქისტანში მცხოვრებ ერანელთ ჰქონიათ. IX ს. მოყოლებული მათ ამ დამწერლობით თავიანთი ბუდდისტური და ქრისტიანული ძეგლები უწერიათ. სოგდური დამწერლობისაგან უიღურთა ანბანია გაჩენილი, რომელსაც თურქთა ყველაზე ნიჭიერი და კულტურული ტომი უიღურები ხმარობდნენ. ამ დამწერლობის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მონღოლთა ყაენს ჩინგიზ-ხანს მდივან-მწიგნობრებად მხოლოდ უიღურები ჰყავდა, ყველა საბუთსაც ისინი უწერდნენ და ყაენის განკარგულებით მონღოლთა ყველა ბატონიშვილს წერა-კითხვასაც ისინივე ასწავლიდნენ. უიღურთა დამწერლობისაგანვე შეადგინა XIV ს. ქ. შ. მონღოლური ენისათვის ცორჯი ოსირ-მა გალიკის დამწერლობად სახელდებული ანბანი, რომელსაც დანაკლისი ასოები ტიბეტური ანბანიდან დაუმატა. თანამედროვე მონღოლური დამწერლობა სწორედ მის განვითარებას წარმოადგენს ისევე, როგორც ყალმუხური მხოლოდ მონღოლურის განშტოებაა. მონღოლური დამწერლობის დამახასიათებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ სტრიქონები იქ მარცხნიდან იწყება და მარჯვნივ მიიმართება, მაგრამ ყოველი სტრიქონი გასწვრივ კი არა, არამედ დასწვრივ, ე. ი. ზევიდან ქვეითკენ იწერება. ასეთსავე წესს მანჯურული დამწერლობაც მისდევს, რომელიც ტუნღუზთა შთამომავლობის ამ ერისათვის მანჯურთა დინასტიის ხელმწიფემ 1599 წ. ორ მეცნიერს შეადგენინა. ეს ანბანი XVIII ს-ში შევსებულ-შესწორებულ იქნა.

დასავლეთში სემური ანბანი ყველაზე უწინარეს ბერძნებმა შეითვისეს, რომელთაც უძველეს ხანაში არამცთუ 22 ასოს მოხაზულობა დაიცვეს, არამედ მათ სახელებადაც უმეტესად ძველი სემურივე დასტოვეს. ბერძნული დამწერლობის უძველესი წარწერა, რომლის დათარიღებაც შესაძლებელია, VII ს. შუა წლებს ეკუთვნის, ხოლო თვით დამწერლობის გაჩენის ხანა ზოგს, მაგ. ლარფელდს უფრო ადრე ეგულება და XI ს. მიაჩნია ქ. წ., ზოგი კი, მაგ. გარდტჰაუზენი ასეთ აზრს გადაჭარბებულად თვლის და თარიღად IX ს. დებს.

ბერძნული ენისათვის 22 სემური თანხმოვანი ასო საკმარისი არ იყო, ამიტომ სხვებივით მათაც თავიანთი ბგერებისათვის განსაკუთრებული ასოების შექმნა მოუხდათ.

ბერძნებმა ანბანი ასეთი ზედმეტი ასოებით თანდათანობით შეავსეს, მაგრამ VIII ს. შუა წლებში ლარფელდს მათი ანბანი უკვე დამთავრებულად მიაჩნია. სრული ბერძნული ანბანი 27 ასოს შეიცავს. მხოლოდ გარკვეული ხანიდან, დაახლოებით ქ. წ. IV ს-იდან მოყოლებული ჩნდება ზოგადი, ყველა ბერძენთათვის საერთო ანბანი; მანამდის კი ბერძნული ანბანი სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: 1. სამხრეთ არქიპელაგის დორიული კუნძულების ანბანად, 2. აღმოსავლურ-ბერძნულ ანბანებად და 3. დასავლურ-ბერძნულ ანბანებად. ძველი საბერძნეთის კულტურის ძლიერი გავლენის წყალობით ბერძნული ანბანი მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა, ხოლო ნაწილობრივ და გარკვეული ხანიდან თვით მახლობელ აღმოსავლეთს, სპარსეთშიც და ჩრდილო აფრიკაშიც კი. მცირე აზიაში ბერძნული ანბანი შეთვისებული ჰქონიათ ფრიგიელებს (VI ს. ქ. წ.), ლუკიელებს (წარწერები V და IV სს. ქ. წ.), კარიელებს (წარწ. VII ს. მეორე ნახ. ქ. წ.) და ლუდიელებსა და კაპადოკიელებს, რომელთაგან ოთხი უკანასკნელი ინდოევროპულ ერთა მოდგმას არ ეკუთვნოდა.

კოპტური დამწერლობაც, რომელსაც კოპტებად სახელდებული ძველ ეგვიპტელთა შთამომავალნი ქრისტიანი ეგვიპტელები ხმარობდნენ, ბერძნული ანბანისგანვე არის შედგენილი. ალექსანდრე მაკედონელისაგან ეგვიპტის დაპყრობის წყალობით ბერძნული ენა და დამწერლობა ისე გავრცელდა, რომ ადგილობრივი ეგვიპტური ენა დაიჩაგრა და ხალხმა ეგვიპტური ანბანიც მიივიწყა. ამიტომ, როდესაც ეგვიპტეში ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი და ქრისტიანობასთან ერთად მღვდელმსახურებამ კოპტური ენა კვლავ აღადგინა, ქრისტიანული კოპტური მწერლობისათვის უკვე ეგვიპტური ანბანი კი არა, არამედ მტკიცედ გაბატონებული ბერძნული ანბანი იქნა გამოყენებული. II—III სს. ქ. შ. ამ კოპტური ანბანით დაწერილი ძეგლები უკვე ჩნდება. კოპტურ მწერლობას მხოლოდ არაბული ენის IX ს-იდან შემოჭრილმა გავლენამ და შემდეგ სრულიადმა გაბატონებამ მოუღო თანდათან ბოლო.

საგულისხმოა, რომ ბერძნული დამწერლობის გავლენამ ევროპის ჩრდილოეთ ნაწილამდისაც კი მიაღწია. მაგ., ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი გუთური დამწერლობაც, რომლის ანბანიც დასავლეთ გუთების ეპისკოპოსმა ვულფილამ (318—388) შეადგინა. 27 ასოდან 19 ბერძნულია და მხოლოდ 5 ასოა ლათინურიდან აღებული.

უმთავრესად ბერძნული ანბანისაგან არის ჩრდილოეთ ევროპაში III—VIII სს. ძეგლებზე დაცული ე. წ. რუნული დამწერლობის ანბანიც წარმომდგარი. მაგრამ უძველესი ხელნაწერები, რომლებიც კი რუნული ანბანით არის დაწერილი, XII ს. (შინაური პროვინციის კანონები) და 1328 წ. (ე. წ. Fasti Danici) მიეკუთვნება. თუმცა რუნული ანბანი უმთავრესად სკანდინავია-ნორვეგიას, დანიასა და ჩრდ. გერმანიაში უხმარიათ, მაგრამ ამ დამწერლობის თითო-ოროლა ძეგლი ბრიტანიასა, ვოლინიასა და ბუქარესტშიც არის ნაპოვნი. რუნული ანბანის 15 ასო უცილობლად ბერძნულიდან, 5 შესაძლებელია ბერძნულიდანვე, ანდა ლათინურიდან იყოს და 4 ლათინურიდან არის ნასესხები. ინგლისში გავრცელებული რუნები სკანდინავიასა და გერმანიაში გავრცელებული რუნებისაგან ზოგი თვისებით განსხვავდება. განსხვავებანი ანგლო-საქსონურ ბგერათა თავისებურების გამოსახატავად ყოფილა გამოყენებული. აქაური რუნული ანბანის თავისებურებათა გამო ინგლისში გავრცელებულ რუნებს ანგლო-საქსური რუნული ანბანი ეწოდება.

დასასრულ, ბერძნულის IX—X სს. ნუსხური დამწერლობისაგან არის წარმომდგარი ძველი ბულგარული, ანუ ძველი საეკლესიო სლავური ენისათვის შედგენილი ე. წ. გლაგოლიცური ანბანი, რომლის ორი მთავარი სახეობა არსებობს. ერთი მრგვლოვანი სახეობაა და ბულგარული გლაგოლიცა ეწოდება, მეორე კიდევ კუთხოვანი სახეობაა და ილლურიული, ანუ კროატული გლაგოლიცა ჰქვია. გლაგოლიცას პირველ შემდგენელად სლავთა გამაქრისტიანებელი კვრილე ითვლება. რამდენიმე საუკუნის შემდგომ გლაგოლიცის ანბანი და დამწერლობა მოისპო და მის მაგიერ ე. წ. კვრილლური ანბანი გავრცელდა და გაბატონდა. ბერძნულის იმავე საუკუნეების დამწერლობიდან კვრილლური ანბანიც მომდინარეობს, რომლისგანაც თანამედროვე სერბული, ბულგარული, უკრაინული და რუსული დამწერლობაა წარმომდგარი.

ამ ანბანს კვრილლური დამწერლობა შეცდომით ეწოდება, რადგან კვრილლეს ეს დამწერლობა კი არა, არამედ გლაგოლიცა შეუდგენია.

გაცილებით უფრო მეტი და ფართო მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული ანბანის დასავლეთის მიმართულებით გავრცელებას.

ბერძნული ანბანის შეთვისებით იქ გაჩენილია ლათინური დამწერლობაც, რომლის უძველესი ძეგლები ქ. წ. 600 წლიდან არის ცნობილი. მაგრამ სანამ იტალიაში რომის პოლიტიკური ჰეგემონია და ბატონობა დამყარდებოდა, იქ სხვა ერთა დამწერლობაც არსებობდა, მაგ., ვენეტური, სონდრიოსი, საბელლური, მესსაპური, ეთრუსკული, ოსკური და ფალისკური ანბანები. ამათგან უფრო საყურადღებო სამი უკანასკნელი დამწერლობაა. ფალისკური ანბანიც ისევე, როგორც თვით ენაც ლათინურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მხოლოდ მისი a, f, z და t ნიშნების მოხაზულობა განსხვავდება ლათინურისაგან. ეთრუსკები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ კუნძულებისა და სანაპიროების ბერძენთა უწინარესი უძველესი მოსახლეობის არაინდოევროპული შთამომავლობის მოსახლეობის მონათესავე ერად არიან მიჩნეულნი. კუნძულ ლემნოსზე ნაპოვნია ქ. წ. VII ს. მეორე ნახევრის იონური ანბანით დაწერილი ერთი ეთრუსკულის მსგავსი ენით წარწერა, ხოლო იტალიაში კი ეთრუსკული წარწერები მრავლად არის დაცული, მაგრამ სამწუხაროდ ყველა მოკლეებია. ეთრუსკების ენის აგებულების თავისებურებისა და ორენოვანი გრძელი წარწერების უქონლობა მეცნიერებას საშუალებას არ აძლევს მათი რასსული და ენოვანი ვინაობა დანამდვილებით გამოარკვიოს.

უმბრული ანბანი ეთრუსკულს ენათესავება, მხოლოდ იქ 4 განსხვავებული ნიშანიც არსებობს. იგუვიუმის 7 ლითონის ტაბულაზე უმბრულად და ლათინურად დაწერილი მოზრდილი სარწმუნოებრივი ტექსტის წყალობით უმბრული ნიშნების ბგერითი შესატყვისობა კარგად ირკვევა. ოსკური ანბანის გათვალისწინებას კი აგნონეს შეწირულების წიგნი და ნოლა და აბელას ტაძრებს შორის დადებული ხელშეკრულება აადვილებს.

რომაელების პოლიტიკურმა და კულტურულმა ჰეგემონიამა და გაბატონებამ იტალიაში მოსპო ყველა სხვა დამწერლობა და საერთო ანბანად ლათინური დაამყარა. რომის სახელმწიფოს გავლენამ და საზღვრების გაფართოებამ დასავლეთ ევროპაში თანდათანობით ყველგან ლათინური ანბანის შეთვისებასა და გაბატონებას შეუწყო ხელი. ამას ზედ ქრისტიანობის გამარჯვება და ქრისტიანული ეკლესიის დაარსებაც დაერთო. რაკი დასავლეთ ევროპაში ამ სარწმუნოების მქადაგებლობა რომიდან მომდინარეობდა და დასავლეთ ევროპის ეკ-

ლესიამ სამღვდელმსახურო და სამწერლობო ენად ლათინური აღიარა, ამის წყალობითაც დასავლეთ ევროპის ყველა ერთა შორის ლათინური ანბანი გაბატონდა.

მართალია, თემობრივმა თუ ტომობრივმა სხვაობამ აქაც იჩინა თავი და არსებობდა ლანგობარდული დამწერლობა იტალიაში, ვესტგოთური ესპანეთში, მეროვინგული საფრანგეთსა, ირლანდული ირლანდიასა და ანგლო-საქსური ბრიტანეთში, მაგრამ ყველა ეს დამწერლობა მხოლოდ და მხოლოდ ლათინურისაგან არის წარმომდგარი.

ზემომოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ შორეულ აღმოსავლეთის ერთა, ჩინელებსა და იაპონელებს, ისევე, როგორც ამერიკის წითელკანიან ძველ კულტურულ ერებს გარდა, ყველგან, სადაც კი ცოტა თუ ბევრად დაწინაურებული მოქალაქეობრიობა იყო, უძველესი სემურისაგან წარმომდგარი ანბანური დამწერლობა გავრცელდა და გაბატონდა.

§ 8. უძველესი ანბანის სხვადასხვა შემთვისებელ ერთაგან თავთავიანთი ენების თანხმოვნებისათვის დამატებითი ასოების შექმნა

უძველესი სემური, ე. წ. მოაბური, ანდა ფინიკიური ანბანი თავისი 22 ნიშნითურთ სხვა მონათესავე ენებისათვისაც კი საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მოაბურ-ფინიკიური ენა თავის თანხმოვანთა შედგენილობით სხვა ენებთან შედარებით ღარიბი იყო. მით უმეტეს ასოთა ეს რიცხვი იმ უცხო ენათათვის არ იქნებოდა სამყოფი, რომელთაც თანხმოვანი [ბგერები] მრავლად გააჩნდა. ამიტომ უძველესი სემური ანბანის სხვა ერთა მიერ შეთვისების დროს, უპირველესად თანხმოვანთა გამოსახატავად, საკმაო ნიშნების უქონლობა უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც საგრძნობი. ამ გარემოებამ თანხმოვნებით მდიდარი, ანდა სემურისაგან საგრძნობლად განსხვავებული თანხმოვნების მქონებელი ენებისათვის დამატებითი ნიშნების შექმნა აუცილებელი გახადა. კულტურისა და ანბანის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმოა, თუ რომელმა ერმა ამ პრობლემას როგორ მოუარა.

უძველესი სემური ანბანის ბგერითი შედგენილობა უკვე ძველ ხანაში საკმარისი არ აღმოჩნდა თვით სემიანთა მოდგმის ძველი ენებისათვისაც. ამის გამო ამ ერთა დამწერლობას ზედმეტი თანხმოვნებისთვის ზედმეტი ასოების შექმნა მოუხდა. მაგ. საბაურს, ანუ ჰიმიარიტულ ანბანში ექვსი ახალი ნიშანი იქნა შეტანილი და ასოთა საერთო რიცხვმა 28-მდე მიაღწია. ამდენივე საფაურ ანბანსაც დაერთო, ლიჰიანურს კიდევ 4 და ტამუდენურს 5 ასო.

აბაშურს, ანუ ეთიოპურ ანბანს სულ 26 ასო აქვს, ე. ი. საბაურთან შედარებით ორით ნაკლები და ძველ სემურზე 4-ით მეტი.

სემიანთაგან ყველაზე მრავალრიცხოვან ერს, არაბებსაც, თავიანთი ენის ბგერათა გამოსახვისათვის უძველესი არამეული 22 ასოიანი ანბანი საკმარისი არ აღმოაჩნდა, რადგან მას 28 თანხმოვანი გააჩნდა, ამიტომ ზედმეტი 6 თანხმოვნისათვის დამატებითი ნიშნები დასჭირდა. ამ დამატებითი ასოების შესაქმნელად არაბულმა დამწერლობამ თავისებურ საშუალებას მიმართა; სახელდობრ, მონათესავე თანხმოვნის არსებული ასო ახალი ბგერის გამოსახატავად იქნა გამოყენებული, მაგრამ, მისგან განსარჩევად, ძველ ასოს ზოგს ზევით, ზოგს კიდევ

ქვევით ერთი ან ორი, ანდა სამი წერტილი დაერთო. მაგ. შ-ს აღსანიშნავად ს ასო س იქნა აღებული, მაგრამ ზემოდან მას სამი წერტილი დაუსვეს და წარმოდგა შ — ش. ამნაირადვე ღ-ს გამოსახატავად გაინ-ის ასო ع იქნა გამოყენებული, მხოლოდ ზედ ერთი წერტილი დაერთო და غ წარმოდგა. შემდეგ ხ თანხმოვნის გამოსახატავად ჰ̣-ს შესატყვისი ასო (ჰ̣აჲ) ح აუღიათ და მისგან განსარჩევად ზემოდან წერტილი დაუსვამთ خ. ასე მოიქცნენ სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ახალი ასოს შესაქმნელად ე. წ. დიაკრიტული წერტილები, ე. ი. განსარჩევადი წერტილები უხმარიათ.

რაკი სწრაფი და გადაბმული წერის წყალობით ზოგიერთი ასოები, მაგ., ბ ٮ, თ ٮ და ნ ں ისევე, როგორც ფ ڡ და კაფ ٯ ერთმანეთს ისე დაემსგავსნენ, რომ მათი გარჩევა შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ მათ გასარჩევადაც დაწერტილების სისტემა იქნა გამოყენებული და ამნაირად ბ ასოს ب ქვევიდან ერთი წერტილი, ნ-ს ზევიდან ერთი წერტილივე ن, თ-ს ზევიდან ორი წერტილი ت დაესვა. ფ ასოს კაფ-ისაგან განსასხვავებლად ზევიდან პირველს ერთი ف და მეორეს კიდევ ორი ق წერტილი დაემატა. რ-ს ზ-საგან ز გასარჩევად უკანასკნელს წერტილი დაურთეს. მაგრამ არაბულ-კუფურ დამწერლობაში ზემოაღნიშნულ ასოებს განსარჩევადი წერტილები არ ჰქონდა ისევე, როგორც ძველ სემურსა და მისგან წარმომდგარ სხვა სემურ ანბანებსაც ასურულს გარდა, სადაც დ და რ-ს განსასხვავებლად პირველს ქვევიდან, მეორეს კი ზევიდან ჰქონდა წერტილი დასმული, ასოების ასეთი ნიშნები არ გააჩნდათ. მართალია, ნესხი-დ სახელდებულს VII ს. ქ. შ. დამწერლობაში ეგვიპტეში აღმოჩენილ ჰილზე, ანუ პაპირუსებზე, არაბულ ასოებს განსარჩევადი წერტილები უკვე აქვს და ამის გამო კუფური და ნესხის დამწერლობანი ქრონოლოგიურად ერთი და იმავე ხანისანი არიან, მაგრამ, რაკი უძველეს სემურსა და არამეულში ისევე როგორც არაბულის წინამორბედ ნაბატეურში ასოებისათვის ასეთი წერტილების ხმარება მიღებული არ იყო, ამიტომ ასოთა უგანსარჩევად-წერტილო დაწერილობა კუფურში, საფიქრებელია, ნესხისაზე არაბული დამწერლობის უფრო ძველი ტრადიციის დამცველი უნდა იყოს. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ დაწერტილების სისტემა, როგორც თანხმოვანთა გასარჩევად ორ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (დ და რ-სთვის) და შემდეგ ხმოვნების გამოსახატავად ასურულს ჰქონდა პირველად წესად შემოღებული, ამიტომ, შესაძლებელია, განსარჩევადი წერტილების ხმარებაც არაბულ ნესხის დამწერლობაში ასურთა მაგალითით იყოს შთაგონებული.

სპარსელებმა რომ გამაჰმადიანების შემდგომ არაბული ანბანი შეითვისეს, მათ თავიანთი ოთხი თანხმოვნისათვის ფ, ჩ, ჟ და გ-სთვის, რომელთათვის არაბულ ანბანში ნიშნები არ მოიპოვებოდა, კიდევ 4 ასო დაუმატეს. ამ ბგერებისათვის ნიშნების შედგენის დროს იმავე პრინციპით იხელმძღვანელეს, როგორითაც თავის დროზე არაბებს უხელმძღვანელებიათ, სახელდობრ ამ თანხმოვნებისათვის ასოები განსარჩევადი წერტილების დართვით შეუდგენიათ. ამაზე მუშაობის დროს მათ მონათესავე თანხმოვნის ნიშანი გამოუყენებიათ, მაგ., ب ბ — ასოსათვის ქვემოდან ერთის მაგიერ სამი წერტილი დაუსვამთ და ფ ბგერისათვის ასო پ შეუქმნიათ, ჩ-ს გამოსახატავად ჯ-ს ج ნიშნისათვისაც სამი წერტილი მოუწერიათ چ, ჟ თანხმოვანის ასოდ ზ-ს ز ზემოდან სამი

წერტილით შემკული ნიშანი ژ გამოუყენებიათ. დასასრულ, გ ბგერის ნიშნის საფუძვლად არაბული ქ-ს ნიშანი ک აუღიათ, მაგრამ, წერტილის დამატების მაგიერ, ამ ასოს ზემო კიდურისათვის პარალელური ხაზი დაურთავთ گ. ამგვარად ცხადი ხდება, რომ სპარსული დანართი ასოების შესაქმნელად ნიშნების შერჩევა ბგერითს ნათესაობაზე, ე. ი. ერთგვარ ენათამცოდნეობის პრინციპზე ყოფილა დამყარებული. არაბული რიცხვ-ნიშნების ანბანის მწკრივი სპარსელებსაც ჰქონდათ შეთვისებული. ცნობილია, რომ არაბული დამწერლობა და ანბანი მაჰმადიანობის გავრცელებასთან ერთად ბევრ სხვადასხვა მოდგმის ერთა შორის დაკანონდა, მათ შორის თურქებსა და თვით ჩვენ ჩრდილო მეზობლებს ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ჩაჩნებს, ღუნძებსა და ლეკებს, ისევე როგორც დაღესტნის სხვა ტომებს შორისაც გავრცელდა. ჩრდილო კავკასიელთა ენების ბგერითი სიუხვე და თავისებურება, რა თქმა უნდა, მარტო არაბული ანბანით ვერასგზით ვერ გამოიხატებოდა. მაგრამ აქაც ასეთი თანხმოვნებისათვის დამატებითი ნიშნები იყო შექმნილი. ამჟამად თურქებსაცა, კავშირშიცა და ოსმალეთშიც და ჩრდილოკავკასიელ ერებსა და ტომებსაც დამატებითი ნიშნებით შევსებული ლათინური ანბანი აქვთ მიღებული.

ახლა, რომ ევროპისა და. ნაწილობრივ კულტურულად მისგან დამოკიდებულ ჩრდილოეთ აფრიკის ერთა ანბანების განხილვას შევუდგეთ, ფინიკიური 22 თანხმოვნიანი ნიშნის მქონებელი ანბანი არც ბერძნული ბგერითი შედგენილობისათვის გამოდგა საკმარისი: მას ბერძნული ფ, ქ და ფს თანხმოვნებისათვის ასოები არ გააჩნდა. უძველეს ხანაში ბერძნები ამ თანხმოვნების გამოსახატავად ორ-ორ ასოს — პჰ-ს, კჰ-ს და პს-ს ხმარობდნენ და მხოლოდ შემდეგში თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე ასო შეიქმნა ისევე, როგორც მოკლე და გრძელი ო ხმოვნისათვისაც. ბერძნულისაგან წარმომდგარ ანბანებს ამის წყალობით ზემოდასახელებული თანხმოვნებისათვის თუ მათაც ასეთი ბგერები გააჩნდათ, გამოყენება შეეძლოთ. მაგრამ არა ერთს იმ ენათაგანს, რომელთაც ბერძნული დამწერლობა შეითვისეს და გამოიყენეს, ბერძნულზე გაცილებით უფრო მეტი, ანდა არსებითად განსხვავებული თანხმოვნები ჰქონდათ და ამ ბგერებისათვის ასოების შექმნა მოუხდათ. კოპტურსაც ბერძნულიდან გადმოღებული 23 ასოს გარდა, დანარჩენი 7 ნამდვილი კოპტური ბგერის გამოსახატავად ნიშნების აღება ამ დროისათვის მიტოვებული ძველი ეგვიპტური ანბანიდან დასჭირდა. ამის წყალობით მთლიანად და რიცხვ-ნიშნებიანად კოპტური ანბანი სულ 32 ასოს შეიცავს.

ბერძნული და ლათინური ენების ნათესაობის წყალობით, ლათინურს თავისი ბგერების გამოსახატავად ბერძნული ანბანი კარგად გამოადგა და მხოლოდ სამიოდე ბგერისათვის მას განსაკუთრებული ასოს შემოღება დასჭირდა. ამას გარდა, რაკი ბერძნულის თ, ფ და ქ-ს მსგავსი ასპირატები და ძ-ეტა ლათინურს არ გააჩნდა, ამიტომ მათი ხმარება არ ესაჭიროებოდათ. ამის გამო მათთვის ლათინურს ასოები არც მოეპოვება, ხოლო როდესაც ასეთ ბერძნულ ბგერიანი ნასესხები სიტყვების, ანდა საკუთარი სახელების წერა უხდებოდათ, მაშინ ამ თანხმოვნების აღსანიშნავად ორ-ორ ასოს წერდნენ ხოლმე: th, ph და ch. ამნაირად, ლათინური ანბანიდან თ, ფ, ქ და ძ ასოები თავისდათავად უნდა გამქრალიყო და დამწერლობითს ანბანში არც მოიპოვებოდა. რომაელებმა ეს ასოები მხოლოდ რიცხვ-ნიშნების ანბანში შეინარჩუნეს, მაგრამ გრაფიკულად გადააკეთეს.

ლათინური ანბანისა და დამწერლობის თავისებურებას f და v ასოების ადგილმონაცვლება და c და g ასოების რიგობითი მდებარეობა წარმოადგენს. ბერძნების ანბანში სემურის მსგავსად მესამე ადგილი გ — ასოს ეკავა. უძველეს ხანაში c ასო ლათინურ დამწერლობაშიც გ-საც და კ-საც გამოხატავდა, მაგრამ შემდეგში, ქ. წ. 298 წ. უწინარეს, c ასოს ქვევიდან, პატარა განმასხვავებელი ხაზი დაერთო და ამნაირად ç ახალ, უკვე მხოლოდ გ-ს აღმნიშვნელ ასოდ იქცა, ხოლო c-ს კ ბგერის მნიშვნელობა დაეკისრა. მაგრამ მერმე, ა და ი-ს შემდგომ, იგი ც ბგერადაც გამოითქმოდა. რაკი c-ს კ ბგერის მნიშვნელობა მიენიჭა, ამიტომ სემურ-ბერძნული ანბანის k კ-ს გამომხატველი მე-11 ასო ზედმეტი აღმოჩნდა და ლათინური ანბანიდან გაქრა კიდევაც. c კ ასოს ანბანში სემურ-ბერძნული ანბანის გ ასოს ადგილი შერჩა და მესამე ასოდ იქნა დატოვებული, ხოლო გ g ასოს ძ-ეტასა და თ-ეტა ასოების ლათინური ანბანიდან გამოვარდნით განთავისუფლებული ადგილი მიეკუთვნა. ფ ბგერის გამოსახატავად უძველეს ხანაში ლათინურ დამწერლობაში ბერძნული ანბანის დიგამმის F ვ ასო იყო გამოყენებული, მხოლოდ ჰ ასოს დართვით ვჰ FH. შემდეგში ჰ ასო ჩამოსცილდა და ფ-სათვის მარტო პირველი, დიგამმისაგან წარმომდგარი, ნიშანი F, f-ღა დარჩა. ამ ასოს ლათინურ ანბანში დიგამმის, ვ ასოს ადგილი შერჩა, v—ვ ასო კი ანბანის ბოლოში, t—ტ-ს შემდგომ, იქნა მოთავსებული. ამნაირად ჩამოინაკვთა ლათინური ანბანი და მისი მწკრივი, რომელიც შემდეგ დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ერთა დამწერლობის ანბანების მწკრივად იქცა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბერძნულისაგან წარმომდგარ რუნულ ანბანს 15—20 ასომდე ბერძნულიდან, ხოლო 5—9 ასომდე ლათინურიდან ჰქონდა შეთვისებული. მხოლოდ ანგლო-საქსური რუნების 28 ნიშნიან ანბანშია კიდევ ზედმეტი 8 ასო. საგულისხმოა, რომ რუნულ ერთგვარ დამწერლობასაც ახალ ასოთა შესაქმნელად მონათესავე ბგერის ასო აქვს აღებული, რომელსაც განსასხვავებლად ერთი ან ორი წერტილი, მაგრამ ხაზს ზევით, ანდა ქვევით კი არა, არამედ შიგ ასოს წიაღში აქვს მიმატებული. ასეთ რუნულ დამწერლობას წერტილიანი რუნები ეწოდება.

ბერძნულისაგან წარმომდგარი ძველი ბულგარული, ანუ სლავური ანბანისათვისაც ბერძნული ასოები სრულებით საკმარისი არ იყო, რადგან მას 17 თავისებური ბგერა, მაგ.: ы, щ, ъ, я და სხვა მოეპოვებოდა, რომლის მსგავსი არც ბერძნულსა და არც სხვა ენებს არ ჰქონდათ. ამიტომ გლაგოლიცას დამწერლობას 17 ზედმეტი ასო დასჭირდა.

ეს, სლავური ბგერების გამოსახატავად დანართი ასოები, რამდენიმე ერთად ნახმარი, ბერძნული ასოს თხზული დაწერილობისაგან არის წარმომდგარი, მაგ., я=ე+ა ნიშნისაგან, ю=ე+უ ნიშნისაგან, ш, შ ორი სს ნიშნისაგან, ч, ჩ—ტ+ჩ, ე. ი. ორი სს ნიშნისაგან და სხვაც ამნაირადვე.

სხვადასხვა დამწერლობაში მეტი ბგერებისათვის საგანგებო ასოების შექმნა-გაჩენის ზემომოყვანილი მიმოხილვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ კაცობრიობას ამ მიზნის მისაღწევად სულ ოთხი სისტემა შეუქმნია:

1. ზოგიერთ ერთა ანბანში (მაგ., ბერძენთა, რომაელთა, სლავთა და სხვა) ასეთი თანხმოვნების აღნიშვნა ორი ან სამი ასოს ერთად დაწერით უცდიათ და მათი გრაფიკულად ერთ ნიშნად ქცევით ახალი ასოები გაჩენილა.

2. ზოგიერთ ერებს ასეთი ბგერების გამოსახატავად ასოები მეზობელ ერთა, ანდა ძველი ისეთი დამწერლობიდან გადმოუღიათ, სადაც ამის შესატყვისი ასოები უკვე არსებობდა (მაგ., რუნულში, კირილურსა, კოპტურში და სხვა).

3. ზოგიერთ დამწერლობაში არსებული ასოების მოხაზულობის ნაწილობრივი შეცვლით შექმნეს ახალი ასოები და ასეთ შემთხვევებში განმასხვავებლად ხაზი იყო ნახმარი.

4. დასასრულ, ამავე მიზნით ზოგ ანბანში (მაგ., არაბულს, სპარსულს, ასურულსა და რუნულში) წერტილები იყო გამოყენებული. დაწერტილების სისტემა ან ხაზს ზევითს, ან ხაზს ქვეითს, ან ხაზს ზევითაცა და ხაზს ქვეითაც, ანდა შეწიაღებული, წერტილების დართვას რჩეობდა. ამასთანავე განსარჩევადი წერტილები ზოგ ერს, მაგ., არაბებს, სხვადასხვა ბუნების, მაგრამ გრაფიკულად ერთმანეთზე დამსგავსებულ ასოებზე დაუსხამთ, ზოგს კი, მაგ., სპარსელებს, და წერტილიან რუნულ ანბანში, ახალი ასოების შექმნის დროს დასაწერტილებელ ასოდ მონათესავე ბგერის ნიშანი აურჩევიათ. ზოგ დამწერლობაში ორი ზემოდასახელებული სისტემათაგანი ყოფილა გამოყენებული.

§ 4. ხმოვნებისათვის ასოების გაჩენა და მათ აღსანიშნავად განკუთვნილი სხვადასხვა სისტემები, უხმოვნო ანბანის ხმოვნიან, სრულ ანბანად ქცევა

სემურ დამწერლობას, როგორც ცნობილია, სიტყვის დაწერის დროს ხმოვნის აღნიშვნა საჭიროდ არ მიაჩნდა, და იქ ყოველი სიტყვის მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა ხოლმე. წამკითხველი თვით უნდა მიმხვდარიყო, თუ ყოველ თანხმოვანს რომელი ხმოვანი ახლავდა, დაწერილის კითხვის დროს აღუნიშვნელი ხმოვანი უნდა აღედგინა და სიტყვა მთლიანად გამოეთქვა. მაგრამ, სემიანთაც კი, რომელნიც თავიანთი დამწერლობის ამ თვისებას ისე იყვნენ მიჩვეულნი, რომ თანხმოვნებით დაწერილ ტექსტს დაუბრკოლებლივ კითხულობდნენ, ანბანში ხმოვნების უქონლობის გამო ზოგჯერ დანაწერის აზრის ზედმიწევნით გაგება უძნელდებოდათ ხოლმე, რადგან ამა თუ იმ ხმოვნის დართვა წანაკითხის აზრს არსებითად ცვლიდა ხოლმე. მაგრამ მაინც ეს პრობლემა მათ არ მოუგვარებიათ. თუ სემიანთათვის უხმოვნო წერა ძველად ბუნებრივი ჩანდა და შემდეგშიც ამ ერთა დამწერლობამ, ზოგიერთ ზემოაღნიშნულ გამონაკლისს გარდა, უხმოვნო დაწერის პრინციპი შეინარჩუნა, არასემიანთა მოდგმის ერებისათვის ანბანის უხმოვნობა დანაწერის აზრის გასაგებად დამაბრკოლებელი შეიქნა.

სემური დამწერლობის ეს დაბრკოლება ყველაზე უწინარეს ბერძნებმა გადალახეს. ხმოვნების აღსანიშნავად მათ იმ თანხმოვნების ასოები გამოიყენეს, რომელთა შესატყვისი თავიანთ ენაში არ გააჩნდათ. ამ გზით ε ალეფის ნიშანი — ა ხმოვნის ასოდ იქცა, ჰე-ს ნიშანი — ე-ს გამომხატველად, ε აჲნ-ი ო-სთვის, ᴂოდ-ი ი ხმოვნისათვის დაწესდა. ამ სემურ ასოთა ბგერითი მნიშვნელობის ასეთი შეცვლა და თანხმოვნობის მაგიერ ხმოვნებად ქცევა ბუნებრივად მოხდა, რადგან ამ ასოთა სემური სახელების პირველი აკროფონიული თანხმოვნის გამოთქმა, ბერძნულში ამნაირი თანხმოვნების უქონლობის გამო, არ შეეძლოთ და ამის წყალობით მათ აკროფონიულ ბგერად პირველი თანხმოვნის მომდევნო

ხმოვნები ა, ე, ი და ო იქცნენ. ნაწილობრივ, როგორც დავრწმუნდით, თვით სემური ენების დამწერლობაშიც ალეფი და სხვ. გრძელი ა̄ ხმოვნისა და სხვათა მიმთითებელ ნიშნებად იყვნენ გამოყენებული. მაგრამ ბერძნულში ამ ასოებს, თუმცა თანხმოვნის თანაბარი, მხოლოდ მარტო ხმოვნების აღმნიშვნელობა მიენიჭა. ამნაირად, თანხმოვნების სემური ანბანის მაგიერ ბერძნულ დამწერლობაში უკვე გაჩნდა სრული ბგერითი ანბანი, რომელიც ადამიანს თავისი ენის უკლებლივ ყველა ბგერის აღბეჭდვის საშუალებას აძლევდა.

ეს უკვე დამწერლობის მიზნის უაღრეს მიღწეულობას წარმოადგენდა. რომელზე უკეთესიც ზოგადი ხმარებისა და გაგებისათვის მას შემდგომაც კაცობრიობას არაფერი შეუქმნია, რადგან ფონეტიკური ანბანი მხოლოდ ენათმეცნიერთათვის არის საჭირო და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გამოსადეგი არ არის.

ბერძნულ ანბანსა და დამწერლობაში ხმოვნებისათვის ასოების შემოღებამ სიტყვათა სრულად თანხმოვან-ხმოვნიანად დაწერის წესი გაავრცელა და დააკანონა ყველგან, სადაც კი ანბანი ძველადვე ბერძნულისაგან იყო წარმომდგარი. მაგრამ შემდეგში ხმოვნების აღნიშვნის დიდი ღირსება თვით იმ ერთაც შეიგნეს, რომელთა ანბანიც ბერძნულისაგან კი არ იყო წარმოშობილი, არამედ ერთ-ერთი სემური დამწერლობიდან. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ხმოვნების აღნიშვნის პრობლემის მოსაგვარებლად ყველგან ერთნაირი სისტემა არ იყო მიღებული, ყველგან ამ მიზნით ცალკეული ასოები არ შეუქმნიათ. ამ მხრივ საყურადღებოა ეთიოპური დამწერლობა და ანბანი, რომელიც, თუმცა უძველეს ხანაში, 50—350 წწ. ქ. შ., უხმოვნო იყო და ამდროინდელ წარწერათა დიდი წილი მარტო თანხმოვნებით არის დაწერილი, მაგრამ ზოგიერთში მაშინაც ხმოვნებიც არის აღნიშნული. შემდეგ ხანაში ხომ ხმოვნების წერა დაკანონდა, მაგრამ იმ თავისებური სისტემით, რომ ა, ე, ი, ო, უ და სხვა ხმოვნების ნიშნები სათანადო თანხმოვნის ასოს ერთოდა. ამის წყალობით ყოველი თანხმოვნის იმდენი განსხვავებული ასო გაჩნდა, რამდენ თანხმოვანთანაც მისი კომბინაცია იყო შესაძლებელი. დაწერის ამ თავისებურებამ ეთიოპური ანბანი არსებითად მარცვლოვან დამწერლობად აქცია, მაგრამ ამისდა მიუხედავად სემური ანბანისაგან წარმომდგარ ეთიოპურ ანბანს სხვა სემიანთა დამწერლობასთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სიტყვის ყოველივე ბგერის აღნიშვნას ახერხებდა.

საგულისხმო გარემოებაა, რომ ხმოვნების გამოსახატავად ზემოაღნიშნულის მსგავსი სისტემა გამოყენებულია ინდურ დამწერლობაშიც. ჩრდილო-სემური ანბანიდან წარმომდგარს 48 ასოს შემცველს ინდურ ანბანს ხმოვნებისათვის 34 ნიშანი აქვს განკუთვნილი, 14 კი მარცვლად დახმოვნებული ხმოვნებისა და წყვილ ბგერათა, ანუ დიფთონგების გამოსახატავად. მაგრამ ინდური დამწერლობა და ანბანი თავისი წინაპარი სემური დამწერლობა-ანბანისაგან მარტო მწკრივის ნიშნების სიუხვით კი არ განსხვავდება, არამედ ბგერათა აღნიშვნის თვით სისტემითაც. სახელდობრ, ინდურში გრძელი და მოკლე ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებისათვის განკუთვნილ ასოებს გარდა, თანხმოვანის უშუალოდ მომდევნო ხმოვნისათვისაც განსაკუთრებული ნიშანი არსებობს. იგულისხმება, რომ ყოველ თანხმოვანს მოკლე ა̆ თან სდევს და ამიტომ ყოველი თანხმოვნის ნიშანი იმავე დროს თანხმოვნის+ა̆ ხმოვნის გამომხატველია. ხოლო როდესაც ამავე თანხმოვანს სხვა, მაგ. ა̄, გრძელი ა, ან ი, ან უ, თუ ū, გინდა ე, ან და ო ხმოვანი მისდევს, მაშინ ამ თანხმოვნის აღმნიშვნელი ასო

სათანადოდ იცვლება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სიტყვაში უხმოვნო თანხმოვნებია, მაშინ ამ თანხმოვნების ერთმანეთზე გადაწვნაა მიღებული ისე, რომ მათთვის თხზული ასოებია (იხ. დამწერლობა[2]) გაჩენილი. ზემონათქვამიდან ცხადი გახდება, რომ ინდური ანბანიც მარცვლოვან დამწერლობად არის გადაქცეული.

ხმოვნების აღნიშვნის მესამე, თანაც სრულებით განსხვავებული სისტემა სემიანთა მოდგმის ზოგიერთი ერების დამწერლობაში გაჩნდა. თუმცა სემიანთა დამწერლობა, როგორც ვიცით, იმთავითვე უხმოვნო წერის წესს მისდევდა, მაგრამ უკვე უძველეს სემურს, მეშას წარწერაში და მერმინდელ ძეგლებშიც გრძელი ხმოვნის გამოსახატავად მსგავსი თანხმოვანია გამოყენებული, მაგ., ჰ, მეტადრე კი ვავ-ის ნიშანი ო̄-სა და ჳ̄-თვის, ჲოდ-ის ნიშანი ი̄-სა და ე̄-სთვის, ხოლო ალეფი — ა-ს აღსანიშნავად. მაგრამ უძველეს ხანაში სემური დამწერლობა ამაზე შორს არ წასულა და ხმოვნებისათვის ასოების ან რაიმე ნიშნების შემოღებაზე არავის უფიქრია. მხოლოდ VI—VII სს-ში ქ. შ. ასურებს დაებადათ აზრი, რომ საღმრთო წერილის წიგნების წანაკითხის სისწორე რითმე უზრუნველეყოთ. ჯერ ბერძნულის, ხოლო VII ს-იდან მონათესავე არაბული ენის ძლიერმა გავლენამ ძველი ასურულის ცოდნა შეასუსტა. ენობრივი გადაგვარების პროცესი თანდათანობით სულ უფრო და უფრო საგრძნობი გახდა. ამ გარემოების გამო ასურთა განთქმულ სკოლებში, მაგ., ედესსის ე. წ. „სპარსულ სკოლა"-ში, რომელიც ნესტორიანობისადმი მიდრეკილებისათვის 489 წ. განადგურებულ იქნა, სელევკიის მახლობლად მდებარე ნიზიბინის სკოლაში და სხვაგანაც მოძღვრები საღმრთო წერილის ძნელად გასაგები ადგილების წაკითხვა-განმარტებას ასწავლიდნენ. მათვე ისეთი კრებულების შედგენაც დაიწყეს, რომლებშიც ხმოვნების სისწორით გამოსათქმელად განსაკუთრებული ნიშნები იყო დასმული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ასეთი ნიშნები ზოგადი მიზნით კი არა, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ძნელად გასაგები ადგილების განსამარტავად იხმარებოდა. მარტო განთქმულმა იაკობ ედესსელმა (640 წ. ახ. ხ. — 708 წ.) თავისი გრამატიკის კანონების განმარტებისათვის გრძელი და მოკლე ხმოვნების აღსანიშნავად 9 ასო გამოიგონა. ამ დროიდან მოყოლებული ასურელებმა თანდათანობით ხმოვნების აღსანიშნავად ორნაირი სისტემა შექმნეს. ერთი სისტემა, რომელსაც იაკობიანნი, ანუ იაკობიტნი მისდევდნენ, ხმოვნებისათვის ნიშნებად სათანადო თანხმოვანთა სტრიქონს ზემოთ, ან ქვევით, ხმოვნებისათვის განკუთვნილ წვრილად დაწერილი ბერძნული ა, ე, ი, ო და უ ასოების ხმარებაზე იყო დამყარებული. მეორე, ნესტორიანთა სისტემას კი ხმოვნების გამოსახატავად სათანადო ასოებს სტრიქონს ზევით თუ ქვევით, წერტილოვანი ნიშნები ჰქონდა შემოღებული. IX ს. დამდეგს ხმოვნების ნიშნების იაკობიანთა სისტემა უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და ამავე საუკუნის დამლევისათვის ნესტორიანთა წერტილების ხმარებაზე დამყარებული სისტემა დამთავრებული ყოფილა. ამნაირად, იაკობიტური სისტემით ⊳ ნიშნავს ა-ს, ° — ო-ს, ∋ — ე-ს, " — ი-ს და .> — უ-ს; ხოლო ნესტორიანთა სისტემით სტრიქ. ზევით ⩤ ნიშნავს ā-ს; : — ა-ს; სტრიქონს ქვევით: ⩦ ნიშნავს ე̆-ს, ან ĭ-ს, ⩧ — ē-ს.

[2] ენციკლოპედიური ლექსიკონის სტატიაზე მიათითებს ავტორი (რედ.).

ასურულ დამწერლობაში ბერძნული დამწერლობის მსგავსად სცადეს ხმოვნების წერა ორ ხაზს შუა მდებარე თანხმოვნების გვერდითვე, მაგრამ ამ წესს მიმბაძველი არავინ გამოსჩენია და ცდა უნაყოფო გამოდგა. ხმოვნების აღნიშვნის იაკობიანთა და ნესტორიანთა სისტემაც იშვიათად თუ ყოფილა მთლიანი ტექსტის დასაწერად, არამედ სასწავლო გრამატიკულ წიგნებში და საღმრთო წერილისათვის, ანდა უფრო ჩვეულებრივ ძნელად გასაგები და წასაკითხი ადგილებისათვის.

ძველი ძეგლების წაკითხვის სისწორის საკითხი ასურებზე გაცილებით უფრო მტკივანი ებრაელებისათვის იყო, რადგან ბაბილონის ტყვეობაში ყოფნამ იმათ ებრაული დაავიწყა და არამეული ასურული იმდენად შეათვისებინა, რომ მათ ერთადერთ სასაუბრო ენად იქცა. II ს. ქ. წ. ებრაელთა საღმრთო წერილის წიგნებიც კი უკვე ებრაულად კი არა, არამედ ასურულად იწერებოდა. ამ ხანაზე უწინარეს დაწერილი ძველი წიგნების წაკითხვა ამის გამო ებრაელებს უნდა გადმოცემით შეესწავლათ. მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა, ზეპირგადმოცემული შესწავლით შეძენილი წანაკითხის სისწორეზე დამყარება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა. ებრაელთა განბნეულობის (დიასფორას) ხანიდან მოყოლებული ხომ, როდესაც ბერძნულმა და შემდეგ სხვა ენებმაც არამეულის ცოდნასაც სძლიეს, დაბადების წიგნების სისწორით კითხვის შესწავლის გაადვილება აუცილებელ, პირველხარისხოვან საკითხად იქცა. ვითარცა არამეულ-ასურულად მოსაუბრეთ, ხმოვნებისათვის ნიშნების შემოღების პრობლემაშიც, ებრაელებს ასურთა მაგალითისათვის მიუბაძავთ და მათაც წერტილების დასმისათვის, ანუ ე. წ. პუნქტუაციისათვის მიუყვიათ ხელი. ებრაული პალეოგრაფიის მკვლევარნი ფიქრობენ, რომ პუნქტუაციის, ანუ დაწერტილების სისტემა ებრაულ ხელნაწერებში პირველად VI—VII სს-ში ქ. შ. უნდა იყოს შემოღებული, თუმცა ამ საკითხის დანამდვილებით გამოსარკვევად დასაყრდნობი ცნობები არ არსებობს. ებრაელ სჯულის მეცნიერთა შორის შუღლისა და ორი — ტიბერიული და ბაბილონური მიმართულების, ანუ სკოლის, არსებობის გამო, ებრაული ტექსტების დახმოვანების ორი სისტემა არსებობს: ტიბერიული და ბაბილონური. ტიბერიული დახმოვანების სისტემა წერტილებს სტრიქონს ზევითაცა და სტრიქონს ქვევითაცა სხავდა, ბაბილონურ სისტემაში კი მხოლოდ სტრიქონს ზევითი დაწერტილება იყო მიღებული, ამიტომ ამ უკანასკნელ სისტემას ლათინურიდან ნაწარმოები სახელი სუპრალინეარი სისტემა ეწოდება. დახმოვანების ბაბილონური სისტემა ქ. შ. IX ს. ხელნაწერებში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს.

დასასრულ, ხმოვნებისათვის ნიშნები თავიანთი დამწერლობისათვის არაბებმაც შექმნეს. მაჰმადიანთა საღმრთო წერილის, ყურანის, ენის სისწორით კითხვა დროთა განმავლობაში, მეტადრე არაარაბ გამაჰმადიანებულ ერთათვის ძნელი შეიქნა, ამიტომ არაბებიც იძულებული შეიქნენ ხმოვნებისათვის ნიშნები შემოეღოთ. ამ შემთხვევაში არაბებმა პრობლემის გამარტივება ამჯობინეს და ნიშნები მხოლოდ სამი ა, ი და უ ხმოვნისათვის შემოიღეს, რომელნიც არაბთა გრამატიკოსებს ძირითად ხმოვნებად ჰქონდათ მიჩნეული. ე, ჰ, ო და ჵ ხმოვნებს ისინი თანხმოვანთა გავლენით გამოწვეულ ამ ძირითად ხმოვანთა შერბილებულ სახეობად თვლიდნენ და ამის გამო მათთვის განსაკუთრებული ნიშნები არ შემოუღიათ. ა ხმოვნის აღსანიშნავად არაბებმა თანხმოვნის ზევით, ოდნავ მარცხნივ ირიბად დაწერილი მოკლე ხაზი დააწესეს, ხოლო ასეთივე

ირიბი ხაზი ასოს ქვევით უკვე ი ხმოვნის გამოსახატავად. დასასრულ, ვ ასოს, ُ პატარა, თანხმოვნის ზევით დასმული ნიშანი უ ხმოვნის ნიშნად შემოიღეს. ა-ს ნიშანს ფატჰა, ი-სას ქესრა და უ-სას დამმა უწოდეს. გრძელი ხმოვნებისათვის არაბულშიც ا, و და ى ალეფ, ვავ და ჲოდ თანხმოვნების ასოები იყო გამოყენებული მოკლე ხმოვნების დართვით. ამას გარდა, რაკი ხმოვანი თანხმოვანს ყოველთვის არ ახლავს და ზოგჯერ უხმოვნოა ხოლმე, ამიტომ თანხმოვნის უხმოვნობის ცხადსაყოფელადაც არაბებმა ასოს ზევით დასმული პატარა წრე შემოიღეს, რომელსაც სუქუნ (ე. ი. დასვენება), ანუ ჯეზმა უწოდეს. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ხმოვნებისა და უხმოვნობის ზემომოყვანილ ნიშნებს ჩვეულებრივ ტექსტებში მარტო ზოგიერთი სიტყვის, უმეტესად უცხო საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელებისათვის ხმარობდნენ. ამ ნიშნებიანი მთლიანი ტექსტი კი მხოლოდ ყურანისათვის იყო დაკანონებული, რომ ყოველ მორწმუნეს საშუალება ჰქონოდა მაჰმადიანთა ეს საღმრთო წერილი დაუმახინჯებლივ, სისწორით წაეკითხა.

ხმოვნების ხმარების თვალსაზრისით ანბანური დამწერლობა, როგორც ზემომოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, ორ მთავარ, უხმოვნო და ხმოვნიან, ჯგუფად იყოფა. დამწერლობის პირველი წესი მეორეზე უფრო ძველია, მაგრამ უფრო ნაკლულევანი არის. სხვადასხვა დამწერლობის ანბანთა გაჩენის ხნიერება ამასთანავე ცხადყოფს, რომ ყოველი უხმოვნო ანბანი ხმოვნიანზე უძველესი არ არის, არამედ ბევრი მათგანი გაცილებით უფრო გვიან არის გაჩენილი, მათ მხოლოდ ძველი წესის მიმდევარ, უხმოვნო სემური ანბანის შეთვისების შემდგომ, უხმოვნობის პრინციპი შეუნარჩუნებიათ. ზემომოყვანილი ცნობები ადამიანს დაარწმუნებდნენ, რომ ხმოვნების აღსანიშნავად საუკუნეთა განმავლობაში არსებითად მხოლოდ სამი სისტემა იქნა შერჩენილი: ერთს, რომლის უძველეს წარმომადგენლად ბერძნული ანბანია, ხმოვნებისათვის მსგავსად ცალკე ასოები აქვს შექმნილი, რომელნიც ყოველი სიტყვის სათანადო ადგილას თანხმოვან ასოთა გვერდით იწერება. მეორე სისტემა ხმოვნების გამოსახატავად ასოების მაგიერ წერტილოვან, თუ ხაზოვან ნიშნებს ხმარობდა, რომელთა აღნიშვნაც ან სტრიქონს ზევით, ან სტრიქონს ქვევითაც იყო წესად მიღებული. იაკობიანთა სისტემა ამავე მიზნით, როგორც დავრწმუნდით, მომცრო ტანის სტრიქონს ზევით და ქვევით დართულ ბერძნულ ხმოვან ასოებს ხმარობდა. ზემომოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ მეორე სისტემა პირველის გავლენითა და წაბაძულობით არის გაჩენილი, ამასთანავე მეორე სისტემა ხმოვნების სტრიქონს ზევითი და ქვევითი ნიშნების საშუალებით წერასაც ჩვეულებრივ წესად კი არა, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული ძეგლებისა და შემთხვევებისათვის ხმარობდა. ხმოვნების აღნიშვნის მესამე სისტემა ხმოვნების, თუმცა პირველის მსგავსად, თვით სტრიქონებს შუა მოთავსებას რჩეობს, მაგრამ ცალკე ასოებს გარდა, თანხმოვანთა გამომხატველი ასოებისათვის ამა თუ იმ ხმოვნის მაუწყებელ ხაზებს ურთავს ისე, რომ ხმოვნის ცალკეულ ასოს გარდა, თანხმოვნისა და ხმოვნის ერთად გამომხატველი ასოებიც მოეპოვება. ეს გარემოება ამ სისტემას იმდენად ხმოვნების გამომხატველად არა, რამდენადაც დამწერლობის მარცვლოვან სისტემად ხდის. ამის გამო ეს მესამე სისტემა მარცვლოვანი დამწერლობის ერთგვარი რეციდივის შთაბეჭდილებას სტოვებს.

§ 5. ანბანის ასოთა სახელები და მწკრივის რიგობითი დალაგების პრინციპები სხვადასხვა ერთა დამწერლობაში

ანბანური დამწერლობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხატოვანი დამწერლობისაგან წარმოდგა. ხატოვანი დამწერლობის უძველეს ხანაში კი თითოეული სიტყვისათვის ცალკეული ხატოვანი ნიშანი იყო და თითოეულ ამ უკანასკნელთაგანს იმ საგნისა თუ არსების სახელი ჰქონდა, რომელსაც დამწერლობის წარმატებამ ხატოვანი ნიშანი ჯერ მარცვლის, ხოლო აკროფონიის წყალობით მერმე მარტო ერთი, მისი სახელის დასაწყისი ბგერის გამომხატველადაც აქცია; ასეთი ნიშნების გამარტივებული მოხაზულობისაგან წარმომდგარ ასოებსაც ძველი, მთელი სიტყვისაგან შემდგარი, სახელები შერჩა. ამიტომაც არის, რომ სემური ანბანის პირველი ასოს სახელი ალეფი ხარს, მეორის ბეტ — სახლს და დანარჩენებიც, როგორც ვიცით, ასევე საგნებს, ან სხვადასხვა არსებას ნიშნავს. ანბანის ასოთა სახელები დამწერლობის წინა საფეხურებისაგანაც რომ არ ყოფილიყო შერჩენილი, მაშინაც ბგერათა ნიშნებისათვის ცალკეული სახელების დარქმევა მათი დასწავლისა და გარჩევის მიზნით აუცილებლად საჭირო იყო და, უეჭველია ამ გარემოებამაც ასოთა წინანდელი სახელების შერჩენას ხელი შეუწყო. იმის წყალობით, რომ ბევრი ანბანი ერთი და იმავე დედა-ანბანიდან, ანდა ერთიმეორისაგან არის წარმოშობილი, მათ ასოთა სახელებიც ერთი და იგივე ან მსგავსი გააჩნია, მაგრამ ზოგიერთ ერთა დამწერლობაში ასოთა სახელები შეცვლილია, ანდა სრულებით ახალი სახელებია დარქმეული. ანბანის ისტორიაში ამის გამო ასოთა სახელდების სხვადასხვა სისტემაც უნდა იქნეს განხილული.

რაკი წერა-კითხვის შესასწავლად ასოთა მოხაზულობის დახსომება იყო საჭირო, ამიტომ დახსომების გასაადვილებლად ასოების მწკრივიც შეუდგენიათ. ამავე მიზნით ყოველ ანბანურ დამწერლობას თავისი მწკრივი აქვს. ისევე, როგორც წარმოშობილობით, ასოთა დალაგებულობის მხრივაც სხვადასხვა ერის ანბანები ერთმანეთისაგან არის დამოკიდებული, ან ერთი და იგივე, ან მსგავსი მწკრივი აქვს, ანდა სრულებით განსხვავებულ პრინციპზე დამყარებული მწკრივი მოეპოვება.

უძველეს სემურში არმყოფი ასოების შექმნამ ხმოვანთა და თანხმოვანთა აღსანიშნავად სხვადასხვა ენების ანბანების მწკრივი რიცხობრივი შედგენილობითაც და რიგობითი დალაგებულებითაც ერთმანეთისაგან განასხვავა. მაგრამ ესეც ყველა ერს ერთნაირად არ მოუგვარებია, ამიტომ ანბანისა და კულტურის ისტორიის მხრივ საყურადღებოა ის თავისებურებაც, რომელიც ზოგიერთი ენების ანბანების მწკრივს ემჩნევა.

ასოთა მწკრივის ებრაულსა და დანარჩენ სემურ ენებში მიღებული რიგი ებრაელთა აკროსტიხული მწერლობის ძეგლთა (ფსალმუნები, იერემიას გოდება, იგავნი და სხვა) საშუალებით ირკვევა, ხოლო ბერძნულ ასოთა მწკრივის რიგის ანბანურად დალაგებულმა რამდენიმე ძველმა ნიმუშმა ჩვენამდისაც კი მოაღწია. ასოთა ბერძნული და სირიულ-სემური სახელებისა და დალაგებულობის შედარება ცხადყოფს, რომ ბერძნებს თავიანთი ანბანის ასოთა სახელები სემიანთაგან, ფინიკიელებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. ამას უფრო მეტად ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ ასოთა სახელებს ბერძნულად არავითარი

მნიშვნელობა არა აქვს, სემურად კი ბევრი მათგანი ან ცხოველის სახელია, ანდა სხეულის ნაწილებსაც ნიშნავს: მაგ., ბერძ. ალფა მხოლოდ პირველი ასოს სახელია, სემურ ენებში კი ალეფ-ი ხარსა ნიშნავს, ბერძნული ბეტა=სემ. ბეტ-ს, სადაც სახლ-ის სახელიც არის, ბერძ. გ—გამმა=სემ. გომელ-ს და იქ აქლემს ნიშნავს ეს, ბერძ. დ — დელტა=სემ. დალეტ-ს, ე. ი. კარს და სხვ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბერძნებს სემიანთაგან მარტო ასოთა მოხაზულობა კი არ უსესხებიათ, არამედ ანბანის მთელი მწკრივიც, რომელიც თავიდან მოყოლებული 22 ასოს მანძილზე სემიანთა ანბანის მწკრივს სრულიად უდგება.

სემური ანბანის მწკრივი არსებულ რიგზე, რასაკვირველია, შემთხვევით არ არის დალაგებული, მაგრამ ახლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით ან გარემოებით ხელმძღვანელობდნენ ამ მწკრივის შემდგენელნი. ცხადი ხდება მხოლოდ, რომ სემიანთა ანბანის ეს 22 ნიშნის შემცველი მწკრივი ორ მთავარ ჯგუფად იგულისხმებოდა. ერთ ჯგუფს 1—11. მეორე ჯგუფს 12—22 ასოები შეადგენდნენ. პირველ ჯგუფს ჯერ ხარის სახელის აკროფონი, ალეფი, მიუძღვის, ხოლო შემდეგ Mediae-ბით იწყება (ბეთ, გიმელ, დალეთ), მეორე ჯგუფი კი Liquidae-ბით იწყება, ხოლო ბოლოში დასასრულის მაუწყებელი ჯვარის ნიშანი +, ტაუ, არის მოქცეული. ამ უკანასკნელის მსგავსად ანბანის მთლიანი მწკრივის თავში ხარის აღმნიშვნელი ალეფის მოქცევაც შესაძლებელია სარწმუნოებრივი მოსაზრებით იყოს ნაკარნახევი, რადგან ხარი ზოგიერთ ერებს, მათ შორის სემიანებსაც, წმინდა ცხოველად მიაჩნდათ. ალეფ-ით დაწყება ამნაირად საქმის დაწყების წინ ვედრების გამომხატველი იქნებოდა ის, როგორც ქრისტიან ერთა დამწერლობაში ძველად ყოველი ნაწერი აუცილებლად ჯვარის ნიშნით იწყებოდა.

რაკი ახლა სემური დამწერლობის წინამორბედის, სერაბიტის დამწერლობის, ეგვიპტური დამწერლობიდან წარმომდინარეობა გამოირკვა, ხარის აღმნიშვნელი ალეფის ანბანის თავში მოქცევის ზემოდასახელებული სარწმუნოებრივი დანიშნულების აზრი ბუნებრივად იბადება, რადგან ეგვიპტელებიც, ცნობილია, აპისსა სცემდნენ თაყვანს. სემური ანბანის მწკრივის ორ მთავარ ჯგუფად დაყოფილობა ეთიოპური ანბანითაც მტკიცდება, რომელშიც ასოთა მწკრივი თუმცა ძველ სემურს მიაგავს, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ 11 ასოსაგან შემდგარი ნიშნების ორი ჯგუფი წინაუკმოა დალაგებული და ალეფ-ით დაწყებული ჯგუფი პირველი ადგილის მაგიერ მეორე ადგილას აქვს მოთავსებული. აბაშურს, ანუ ეთიოპურს თავისი 26 ასოიანი ანბანის ასოების სახელები ძველი სემურივე აქვს შენარჩუნებული, უფრო ხშირად ოდნავ, ზოგჯერ კი საკმაოდ შეცვლილი. ორ შემთხვევაში (რ—რებ-ისა, რომელიც თავს და მ—მემ-ის, რომელიც წყალს ნიშნავს) მათი ეთიოპური თარგმანია ნახმარი (რეეს და მაი), ჲოდ-ის სახელი (ხელს ნიშნავს) ეთიოპური მარჯვენა ხელის ეთიოპურ სახელად ჲამან-ად შეუცვლიათ, ხოლო ნ—ნუნ-ის (თევზის) სახელის მაგიერ გველის ეთიოპური სახელი ნაჰას-ი დაურქმევიათ. სემიტოლოგები ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ეთიოპურს ამ ასოს თავდაპირველი სახელი ზოგად სემურზე უკეთესად უნდა ჰქონდეს დაცული.

არამეულსა და მის მემკვიდრე ასურულ დამწერლობის ანბანს ასოთა სახელებიცა და მწკრივის რიგიც ძველი სემური აქვს დაცული, მაგრამ სემურისა და არამეულისაგან წარმომდგარს ყველა ანბანს არა აქვს ასოთა ძველი

სახელები და მწკრივის თავდაპირველი რიგი დაცული. ასეთ ანბანთა ჯგუფს აღმოსავლეთში არაბული და ინდური ანბანები ეკუთვნიან. საყურადღებოა, რომ არაბულ დამწერლობას მხოლოდ ზოგიერთ ასოთა სახელები აქვს ძველი სემური დაცული (მაგ., გალეფ, კაფ, მიმ და ნუნ), დარჩენილი უმრავლესი ნიშნების სახელები კი თვალსაჩინოდ შეცვლილ-გამარტივებულია (მაგ., აბ, დალ, ჲა, ლამ და სხვ.). ამაზე უფრო საგულისხმო ის გარემოებაა, რომ არაბულს არც ანბანის მწკრივის ძველი სემური რიგი აქვს დაცული. პირიქით არაბული მწკრივი სრულებით სხვა არსებითად განსხვავებულ პრინციპზეა დამყარებული. მართალია, პირველი ორი ადგილი იქაც ა და ბ-ს უკავია, მაგრამ შემდეგ უკვე თავისებურება იწყება. ასოები იქ სახელდობრ ასეა დალაგებული:

ب ت ث ج ح خ د ذ ر ز س ش ص ض ط ظ ع غ ف گ ک ك م ن ه و ی

ე. ი. ქართული ასოებით რომ გამოვხატოთ გა, ბ, თ, თსჰ, ჯ, ხ, ქ, დ, მ, რ, ზ, ს, შ, სს, დდ, ტ, ზ, გ, ღ, ფ, კ, ქ, ლ, მ, ნ, ჰ, ვ, ჲ.

არაბული ანბანის ზემომოყვანილი მწკრივის თვალის ერთი გადავლებაც ადამიანს ადვილად დაარწმუნებს რამდენად მართალი არიან არაბული პალეოგრაფიის ის მკვლევარნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ასოთა რიგი ნიშნების მოხაზულობის მსგავსების პრინციპის მიხედვით არის დალაგებული. მართლაც ასოები, რომელნიც ერთმანეთისაგან მხოლოდ განსარჩევადი წერტილებით განსხვავდებიან, ერთიმეორის შემდგომ არიან მოთავსებული. აქა-იქ, სახელდობრ, ვ, و და ჲ ی ერთად დასმა შესაძლებელია გრამატიკული მოსაზრებითაც იყოს ნაკარნახევი, ანდა ზოგჯერ (მაგ. ح خ და ა და ჰ) ბგერათა ნათესაობითაც, მაგრამ ძირითად პრინციპად მაინც გრაფიკულ-მნემონიკური, ე. ი. წერითი და მეხსიერებითი თვალსაზრისი ყოფილა მიჩნეული. სრული უფლება გვაქვს მხოლოდ ვიფიქროთ, რომ არაბული ანბანის ზემომოყვანილი რიგობითი მწკრივი არაბ გრამატიკოს-კალიგრაფების შედარებით მერმინდელი შენადგენი უნდა იყოს.

ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია არაბული რიცხვ-ნიშნების ანბანის მწკრივი დაიმოწმოს ადამიანმა. იქ სულ სხვა რიგზეა ასოები დალაგებული და ისეთი დანართი ასოები, როგორიც غ ظ ذ ض خ ث ت ش მწკრივის ბოლოშია მოქცეული და მათი რიცხვითი მნიშვნელობაც ამისდა მიხედვით 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 და 1000 უდრის. რაკი უფრო ბუნებრივია, რომ ახლად შედგენილი დანართი ასოები უცხო დამწერლობიდან მთლიანად შეთვისებული ანბანის მწკრივს ბოლოში დაერთოს და სხვა ერთა დამწერლობის ისტორიაც სწორედ ამ მოსაზრებას ადასტურებს, ამიტომ არაბული ანბანის მწკრივის უპირველესი რიგი უეჭველად რიცხვ-ნიშნების ანბანს უნდა ჰქონდეს დაცული.

ინდური ანბანის მწკრივი კი ყველა სხვა ენების ანბანების მწკრივისაგან არსებითად განსხვავდება. ძველი სემური მწკრივის მაგიერ ინდურ მწკრივს პირველად ხმოვნებისა და ინდურში ხმოვნებად მიჩნეული ბგერების გამომხატველი ასოები მიუძღვიან და მხოლოდ შემდეგ თანხმოვანთა ნიშნები მისდევენ. ამასთანავე 34 თანხმოვნის ასოებიც, ბგერათა წარმოშობისდა მიხედვით 5—5 ასოსაგან შემდგარ 7 ჯგუფად არიან დანაწილებული: ჯერ 5 ხორხისმიერი ნიშანია, შემდეგ 5 სასისმიერი, მერმე 5 ცერებრალი, 5 კბილისმიერი, 5 ბაგისმიერი, 5 ნახევარხმოვანი, 3 სისინა სიბილანტი და სულ ბოლოს 1 მშვინავი თანხმოვნის ასოა. ცხადია, რომ ანბანის ასოების ბგერათა ბუნების მი-

ხედვით მწკრივად ასე დალაგება თავდაპირველი მოვლენა არ შეიძლება იყოს, არამედ მერმინდელი გრამატიკოსების შეგნებული მუშაობის ნაყოფია, რადგან ფონეტიკური პრინციპის ცოდნა და მით ხელმძღვანელობის უნარი დამწერლობის განვითარების უძველეს ხანაში შეუძლებელია რომელსამე ერს ჰქონოდა. ამ გარემოებასვე ამ ასოების სახელებიც ამჟღავნებს, რომელთაგანი არც ერთი ძველი სემურისაგან მომდინარეობის გამომამჟღავნებელი არა ჩანს.

ფინიკიურისაგან წარმომდგარ ბერძნული დამწერლობის ანბანს, როგორც აღნიშნული იყო, ასოთა სახელებთან ერთად ასოთა მწკრივიც თავიდან მოყოლებული ტაუ-მდე ძველი სემურივე აქვს დატოვებული, ხოლო დანართი, წმინდა ბერძნული ბგერების გამომხატველი ასოები ფ, ქ, პს და ო გრძელი, ე. წ. ომეგა, ანუ დიდი ონი, მწკრივის ბოლოშია დართული. ბერძნული ანბანისაგან წარმომდგარ დამწერლობათა უმრავლესობას დედა-ანბანის მწკრივი აქვს დაცული, მაგრამ რამდენსამე დამწერლობას განსხვავებული და სრულებით თავისებური მწკრივიც გააჩნია ისევე, როგორც ასოთა სახელებიც შეცვლილი აქვს.

კ ო პ ტ უ რ მ ა დამწერლობამ ბერძნული ანბანის 25 ნიშნის შეთვისებასთან ერთად ასოთა ოდნავ შეცვლილი ბერძნული სახელებიც (მაგ. ალფა, ვიდა, გამმა, დალდა, ეჲ და სხვა) და თვით ასოთა რიგობითი მწკრივიც თითქმის უცვლელად შეინარჩუნა. მაგრამ 7 დამატებით, ძველი ეგვიპტურიდან აღებულ ასოთა სახელები ნამდვილი ეგვიპტურია: შ—შეჲ, ф—фეჲ, ხ—ხეჲ, ჰ—ჰორი, ჯ—ჯანჯა, ჩ—ჩიმა და ტი—დი.

იმისდა მიუხედავად, რომ ლათინური ანბანი ბერძნულისაგან არის წარმომდგარი, ასოების ლათინური სახელები მაინც ბერძნული არ არის, არამედ ყოველივე მათგანის სახელი, თუ ხმოვნიანია, მხოლოდ ამ ხმოვნისაგან შედგება, ხოლო თუ თანხმოვანია, მის ბგერისა და წინამავალ, ან მომდევნო ხმოვნისაგან არის ნაწარმოები, მაგ., a, be, ce, de, e, ef, qu და სხვა. ლათინურ ანბანს ბერძნულიდან შეთვისებული მხოლოდ სამი სახელი zet, jod და ypsilon აქვს თითქმის უცვლელად დატოვებული. ასოთა ზემომოყვანილი სახელები (a, be, ce, de და სხვ.) თავდაპირველი არ უნდა იყოს და მერმინდელ გრამატიკოსთა ბგერათათვის შეგნებული სახელდების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. ბერძნული სახელების ამგვარად შეცვლისათვის იმ გარემოებასაც უნდა შეეწყო ხელი, რომ ლათინურს ზოგიერთი ბერძნული ბგერების შესატყვისობა გააჩნდა, სამაგიეროდ კი ორი ისეთი ბგერა ჰქონდა, რომლისათვისაც ბერძნულ ანბანში შესაფერისი ნიშნები არ იყო და ამიტომ ლათინური ანბანი რამოდენიმე ბერძნულისაგან განსხვავებული ნიშნით უნდა ყოფილიყო შევსებული. დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ერთა დამწერლობას, რომელიც კი ლათინურისაგან არის წარმომდგარი, ლათინური ანბანის ასოთა სახელებიცა და მწკრივიც დაცული აქვს.

ე თ რ უ ს კ ე ბ ს თავიანთი ანბანის მწკრივის წერა ჰყვარებიათ და თიხის ჭურჭლებზე დაფხაჭნილი ეთრუსკული ანბანი ბლომადაა ნაპოვნი. იქიდან ირკვევა, რომ ეთრუსკული ანბანის მწკრივი ბერძნული და ლათინური ანბანების მწკრივისაგან განსხვავებული ყოფილა.

ვულფილასაგან შედგენილი გ უ თ უ რ ი ა ნ ბ ა ნ ი ს რიგობითი მწკრივი IX ს. ხელნაწერებში მოიპოვება და იქიდან ირკვევა, რომ იგი ბერძნულისა და ლათინური ანბანების მწკრივების რიგისაგან განსხვავდება. გუთური ანბანის

მწკრივი სახელდობრ ასე ყოფილა დალაგებული: a, b, d, g, e, q, z, h, ф, i, k, l, m, n, j, u, p, r, s, t, w, f, x, hw, ō.

რუნული ანბანი 24 ნიშანს შეიცავს, რომელთა სახელები სრულად დაცული არ არის. მისი რიგობითი მწკრივიც ბერძნულ-ლათინური მწკრივის რიგისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება ისე, რომ ანბანი ასე იწყება: f, u, p, a, r, k და სხვ. ამიტომ რუნულ ანბანს Fupark — ფუპარკ-საც უწოდებენ.

დასასრულ, *გლაგოლიცის ანბანი* 40 ასოს, ხოლო *კვრილლური ანბანი* 43 ასოს შეიცავენ, რომელთაგან პირველს 21, ხოლო მეორეს კი 24 ნიშანი ბერძნული ანბანიდან აქვს ნასესხები. ამისდა მიუხედავად, ასოთა სახელები ძველი სლავური ანბანისათვის ბერძნულიდან კი არ არის შეთვისებული, არამედ თითოეული ასოს სახელად ნამდვილი სლავური სიტყვაა მოძებნილი, მაგ., ა—აზ, ბ—ბუკი, ვ—ვედი, გ—გლაგოლ, დ—დობრო და სხვაც ამის მსგავსად.

ძველი სლავური ენის ბგერითი შედგენილობის თავისებურება და სიუხვე ასოთა ბერძნულზე გაცილებით მეტ რიცხვს თხოულობდა. ამ ნამდვილი სლავური ბგერებისათვის განსაკუთრებული ნიშნების შედგენა იყო საჭირო. ანიდან (აზ-იდან) მოყოლებული ტარამდის (ტერდო-მდის) ძველი სლავური ანბანის მწკრივი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ბერძნული ანბანის მწკრივს იმეორებდა, შემდეგ კი უკვე 17 სპეციფიკური სლავური ბგერების ნიშნები და მათი სახელებია მოთავსებული, მაგ., ჰერძ, ო, შა, შჩა, ცი, ჩერვ, ძერი და სხვა.

ანბანთა ასოების სახელდებისა და მწკრივების ზემომოყვანილი მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ ყველა ძველ დამწერლობას თავისი დედა ანბანის მწკრივი დაკარგული აქვს და მხოლოდ შედარებით მერმინდელ დამწერლობათა ანბანებშია ან ძველი დამწერლობის მერმინდელ ხანაშია მწკრივის წინანდელი რიგი, ამა თუ იმ თვალსაზრისით, შეგნებულად შეცვლილი. ასოთა სახელების შეგნებული შეცვლა მერმინდელი ყოფილა.

ქართული და სომხური ანბანები. ქართული ანბანი, XI ს. ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის ცნობით თითქოს ფარნავაზ მეფისაგან, ე. ი. რამდენიმე საუკუნით ქრისტეს უწინარეს იყოს შემოღებული.

სომეხთა ისტორიკოსის ფსევდო-კორვნის ცნობით კი სომხური, ქართული და ალბანური ანბანები თითქოს მესროპს, ანუ მაშთოცს გამოეგონოს. თუ პირველი ავტორის ცნობა, ვითარცა ზღაპრულად ქცეულ პიროვნებასთან დაკავშირებული, მეცნიერებისათვის რეალურად დასაყრდნობს არაფერს შეიცავს, მეორე ავტორის ცნობაც სწორი არ არის, რადგან მერმინდელ ტენდენციურ ჩანართს წარმოადგენს. კორვნის სახელით დაწერილ მაშთოც-მესროპის ცხოვრების თავდაპირველ რედაქციაში მესროპ-მაშთოცი მხოლოდ სომხური ანბანის გამომგონებლად არის გამოყვანილი და არც ქართული და არც ალბანური ანბანების მისგან გამოგონებაზე იქ არაფერი წერებულა.

მაშთოცისაგან სომხურის გარდა ქართული ანბანის გამოგონების შესახები ცნობა პირველად VII ს. დამდეგის ძეგლში გვხვდება და საფიქრებელია, რომ პირველად VI ს. დამლევს არის შეთხზული იმავე ტენდენციური მიზნით, რომლითაც გრიგოლ განმანათლებელი სომეხთა და ქართველთა და ალბანელთა განმანათლებლად აქციეს. რაკი წინათ კორვნის ნაშრომი თანამედროვის მიერ დაწერილ ძეგლად იყო მიჩნეული და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ნაწარმოები პირვანდელი სახით და უცვლელად არის დაცული, ამი-

ტომ ზოგიერთნი მკვლევარნი ფიქრობდნენ, რომ ქართული ანბანი მართლაც მესროპის შედგენილი იყო, ისინიც კი, რომელთაც ქართული ანბანის, სომხურთან შედარებით, უფრო ძველი თვისებები არ გამოჰპარვიათ (მაგ., ფრ. მյულერი). ვისაც ქართული და სომხური ასოების მოხაზულობის განსხვავება შეუმჩნევია, ისინი ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობილობის აზრს იცავდნენ. რაკი ისტორიული თხზულებების დახმარებით ქართული და სომხური ანბანების წარმოშობის სადაურობისა და ხნიერების გამორკვევა შეუძლებელია, ამიტომ ამ საკითხის გადასაწყვეტად ასოთა მოხაზულობისა, სახელებისა და მწკრივის ანალიზით მოპოვებული შედეგები უნდა იყოს გამოყენებული.

ჯერჯერობით ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლი, რომლის დათარიღებაც შეიძლება, VI ს. დამდეგის ახლო ხანისაა. სომხური დამწერლობის ასეთივე ძეგლები VI ს-იდანვე იწყება. მაგრამ ამ წარწერების ქართული და სომხური ასოების მრგვლოვანი მოხაზულობა სრულებით ჩამონაკვთილია და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართული და სომხური ანბანები საუკუნეებით იმაზე უწინარეს უნდა იყოს გაჩენილი, ვიდრე ფსევდო-კორჲნის ნაშრომშია აღნიშნული. ამავე ძეგლების ქართული და სომხური შესატყვისი ასოების მოხაზულობა, ორიოდეს გარდა, ერთმანეთისაგან იმდენად თვალსაჩინოდ განსხვავდებიან, რომ ამ ორი ანბანის ერთი და იმავე პირისაგან შედგენილობის ცნობას სრულებით დაუჯერებლად ხდის. ამასთანავე, ქართული ასოების მოხაზულობას სემური ასოების სახე სომხურზე გაცილებით ძველი აქვს დაცული. ამის გამო ქართული და სომხური ანბანები ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურადაც უნდა სხვადასხვა ხანას ეკუთვნოდნენ. სომხური და ქართული ანბანების ასოთა რიგობითი მწკრივიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. ქართულ ანბანს თავიდან მოყოლებული 23 ასომდე ასოთა იგივე თანმიმდევრობა აქვს დაცული, რომელიც უძველეს სემურსა და ბერძნულ ანბანთა მწკრივში იყო, ხოლო შემდეგ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ასოებია მიმატებული. ეს დანართი ასოები შესაძლებელია ერთად და ერთ დროს არ იყოს მწკრივში შეყვანილი, არამედ რამდენიმე წყებად: ჯერ ღ და ყ, შემდეგ სისინა და შიშინა წინა ენისმიერ ბგერათა 6 ასოსაგან შემდგარი ჯგუფი შ, ჩ, ც, ძ, წ და ჭ, რომელიც საგულისხმო ენათმეცნიერული დაკვირვებით არის შედგენილი. როგორც ანბანის მწკრივის ისტორიის ზოგადმა მიმოხილვამ დაგვარწმუნა, ძველ დამწერლობათა ანბანებში ყველგან მწკრივის ასეთი წესია დაცული და დედა-ანბანის მწკრივის ბოლოში დანართი ასოები აქვს მიმატებული.

სომხური ანბანის მწკრივში კი სომხურისათვის დამახასიათებელი ბგერების ასოები მთელი მწკრივის სხვადასხვა ადგილას არის ჩასმული. ასეთი მოვლენა, ძველი მწკრივის რიგობითი დალაგების წესის შეცვლა, მერმინდელი მოვლენაა და, როგორც დავრწმუნდით, არაბულში მწკრივის დალაგების დროს ასოთა მოხაზულობის მსგავსება იყო საფუძვლად მიღებული, ინდურში კი ფონეტიკური პრინციპით უხელმძღვანელიათ. არც ერთი ამ პრინციპთაგანი სომხური ანბანის მწკრივში არა ჩანს და დანართი ასოები სრულებით უსისტემოდ ჩართულის შთაბეჭდილებას ახდენს. მაინცდამაინც ჯერჯერობით სრულებით გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით უხელმძღვანელებიათ სომხური ანბანის მწკრივის შემდგენელთ, როდესაც სომხურისათვის დამახასიათებელი ასო-

ები ამა თუ იმ ადგილას ჩაურთავთ. მაგრამ, რა მოსაზრებითაც არ უნდა ეჰელმძღვანელათ, მაინც ცხადია, რომ სომხური ანბანის მწკრივი მერმინდელი შედგენილი უნდა იყოს. ქართული და სომხური ანბანები რომ ერთი და იმავე პირის შედგენილი ყოფილიყო, უეჭველია, ასოთა მწკრივიც ერთნაირი იქნებოდა. დასასრულ, ქართული და სომხური ანბანი რომ შეუძლებელია არამცთუ ერთი და იმავე პირის, არამედ ერთი და იმავე წარმოშობილობისა იყვეს, ასოთა სახელებითაც მტკიცდება. ასოთა სახელების ზემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ახალ დამწერლობასა და ანბანს თავისი დედა-ანბანის სახელები უმეტესად დაცული ჰქონია და აქვს საუკუნეთა განმავლობაში. იშვიათი შემთხვევაა, რომ სახელები შეცვლილი იყოს და ასეთი შემთხვევებიც მერმინდელი მოვლენაა და გრამატიკოს-მწიგნობართა შეგნებული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. ქართული და სომხური ანბანები რომ ერთი და იმავე წყაროდან და ერთსა და იმავე დროს იყოს შედგენილი, მით უმეტეს ერთი და იმავე პირის, მესროპ მაშტოცის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდეს, სომხური და ქართული ანბანების ასოების სახელები უეჭველია ერთი და იგივე, ანდა ოდნავ განსხვავებული იქნებოდა. ნამდვილად კი ასოთა სახელების შესადარებლად ,რომ ყოველ ქართულ სახელს გვერდით სომხური სახელი მოვუსვათ, ამ მხრივ ასეთი ვითარება წარმოგვიდგება ქართულ ან-ს უდრის სომხური აჲბ, ბან-ს = ბენ, გან-ს = გიმ, დონ-ს = და, ენ-ს = ეჩ, ვინ-ს = ევვ, ზენ-ს = ზა, ჱე-ს = ე, თან-ს = გთ, ინ-ს = ინ, კან-ს = კენ, ლას-ს = ლჳნ, მან-ს = მენ, ნარ-ს = ნუ, ჲე-ს- = ჲი, ონ-ს = უო, პარ-ს = პე, ჟან-ს = ჟე, რაე-ს = რე, სან-ს = სე, ტარ-ს = ტჳნ, ჳე-ს = ჳნ, ფარ-ს = ფჳრ, ქან-ს = ქე, ღან-ს = ღატ (ძველად), ღატ (მერმინდელი და თანამედროვე გამოთქმით), ყარ-ი სომხურს არა აქვს, შინ-ს = შა, ჩინ-ს = ჩა, ცან-ს = ცო, ძილ-ს = ძა, წილ-ს = წა, ჭარ-ს = ჭა, ხან-ს = ხე, ჴარ-ი სომხურს არა აქვს, ჯან-ს = ჯე და ჰაე-ს = ჰო.

ქართული ანბანის 36 ასოს და სომხური ანბანის 34 ასოს სახელებიდან მხოლოდ ჲნ-ის ასოს სახელია ქართულში და სომხურში ერთი და იგივე. ერთი ასოს ჲიე-ს სომხური სახელი მხოლოდ ბოლოკიდური ე-ს უქონლობით განსხვავდება, სამი ასოს, ბან-ისა, კან-ისა და მან-ის სახელები სომხურში ქართულისაგან მხოლოდ თავის ე ხმოვნით განსხვავდებიან და იქ ბენ, კენ და მენ-ი ეწოდებათ. დასასრულ, ერთი ასოს ფარ-ის სახელსაც სხვა, სახელდობრ, ჳ ხმოვანი აქვს და ფჳრ-ი ჰქვია. ამნაირად, ქართული და სომხური ასოების ერთი და იგივე და მსგავსი სახელების საერთო რიცხვი 6-ზე მეტი არ არის, დანარჩენი 30 ასოს სახელი ქართულსა და სომხურს განსხვავებული აქვს. ქართული და სომხური ანბანების შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი, მესროპ-მაშტოცი ყოფილიყო, ასოების ყველა სახელები, უეჭველია, ერთი და იგივე, ან მსგავსი იქნებოდა.

ანბანის ასოების ქართული და სხვა ერთა სახელების ერთმანეთთან შედარება შემდეგ გარემოებას ამჟღავნებს. ძველ სემურ ანბანებში მხოლოდ 4 ასოს (ზაჲნ, ნუნ, გაჲნ და შინ) სახელი ბოლოვდება ნ ბგერით. ბერძნულს არც ერთი ამ სახელთაგანისათვის ეს ბოლოკიდური თანხმოვანი არ შეუნარჩუნებია. საერთოდ ასოს არც ერთი სახელი არ გააჩნია, რომელიც ნ ბგერით თავდებოდეს. დაცულია მხოლოდ ერთი ცნობა, რომ მარტო დორიელნი უძველეს ხანაში ს (სიგმა) ასოს სან-ს უწოდებდნენ. ბერძნულში ეს ერთადერთი ასო იყო ძველად, რომელიც ნ ბგერით თავდებოდა. ამას გარდა სემურსა და ბერძ-

ნულ ანბანებს არც ერთი ასო არ მოეპოვებათ, რომლის სახელიც რ ბგერით ბოლოვდებოდეს. სომხურში 7 ასოს (ბენ, ინ, კენ, ლჳნ, მენ, ტჳნ და ჳნ) სახელს ბოლოში ნ ბგერა ახლავს და 7 ასოს სახელი (ე, პე, ჟე, რე, ქე და სე) ე ხმოვნით თავდება. სულ სხვა ვითარებაა ქართულ ანბანში: 36 ასოდან 21 ასოს სახელი ნ თანხმოვნით ბოლოვდება. დანარჩენი 15 ასოდან შვიდს (ნარ, პარ, ტარ, ფარ, ყარ, ჰარ და ჯარ) სახელი რ ბგერით თავდება, 4 ასოს ბოლოში ე ხმოვანი აქვს (ჲე, რაე, ჳე და ჰოე). ორი ასოს სახელი (ძილ და წილ) ბოლოში ლ თანხმოვნის მქონებელია. თუ სემური ანბანის 4 ასოს სახელს ბოლოში ნ ბგერა აქვს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ასოების აღმნიშვნელი აკროფონიული სიტყვები სწორედ ამ თანხმოვნით თავდებოდა. ქართულ ანბანში ამ 4 ასოს სახელიდან ბოლოკიდური ნ მარტო ორს და (ზენ-სა და შინ-ს) შერჩა, ნუნ-ს კი ნარ-ი ეწოდა. სამაგიეროდ ქართული ანბანის 19 სხვა ასოს სახელს ბოლოში ნ ბგერა ახლავს. რაკი არც ერთი ამ სახელთაგანი ქართული სიტყვა არ არის ამიტომ სრულებით ცხადია, რომ ამ 19 სახელის ბოლოკიდური ნ და 7 ასოს რ ხელოვნურად უნდა იყოს გაჩენილი. მაგრამ ამ ბგერათა გაჩენასაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონოდა, თუ ეს პროცესი შეუგნებლად, სტიქიურად გაჩნდა, ანდა გარკვეული მიზანი ყოფილიყო დასახული, თუ ეს მოვლენა შეგნებული დამსგავსების ნაყოფი იყო.

შესაძლებელია, ასოთა ბოლოკიდური ბგერების ზემოაღნიშნული დამსგავსება, რომელიც, რა თქმა უნდა, შედარებით მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, მწკრივის ხშირი ხმარების შედეგს წარმოადგენდეს. ამის ანალოგიური მოვლენა ბერძნულში გვაქვს, სადაც ასოთა სახელებში ა და ტა დაბოლოება ხელოვნურად გაჩენილი ჩანს, მაგრამ 21 ასოსათვის ნ-ბოლოკიდურიანი და 7 ასოსთვის რ-ბოლოკიდურიანი, 4 ასოსთვის ე-ბოლოკიდურიანი და 2 ასოსთვის ლ-ბოლოკიდურიანი სახელების შექმნის მიზეზი ეგების მწკრივის ხმარების მარტო ხანგრძლივობა კი არ იყოს, არამედ ანბანის მწკრივის სახელების გარითმულობისადმი მიდრეკილების, ანდა შეგნებული განზრახვის გამომამჟღავნებელიც იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში მიზნად სახელების დახსომების გიადვილება უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ უმიზეზოდ მაინც ნ-ბოლოკიდურიანი სახელების ასეთი არაჩვეულებრივი სიმრავლე ძნელი წარმოსადგენელია, რადგან გაუგებარია, თუ რატომ არის, რომ ასოთა სხვადასხვა ბოლოკიდურიანი სახელები სხვა ბგერას კი არა, არამედ სწორედ ნ თანხმოვანს დაემსგავსნენ? საეჭვოა, რომ ასოების ქართული სახელების ბოლოკიდურ ბგერად ნ-ს ქცევა სემური ანბანის იმ ოთხი ასოს (ზაჲნ, ნუნ, გჲნ და შინ-ის) ზეგავლენის შედეგი იყოს, რადგან მათგან ქართულ მწკრივში მხოლოდ ორია შეთვისებული, ნუნ კი ნარ-ად არის შეცვლილი და ამას გარდა ზენს მწკრივში მე-7, შინ-ს კი 27-ე ადგილი უკავია, ნ-ბოლოკიდურიანი სახელები კი ქართულში პირველი ასოდანვე (ან) იწყება. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ეს პროექტი პირველი ასოს სახელიდანვე უნდა მომდინარეობდეს. უძველეს სემურში ამ ასოს, ნჲოლდეკე-ს გამოკვლევისდა თანახმად, სახელად უნდა ალფ ჰქონოდა და აბაშურში ამ ასოს სწორედ ალფ-ი ეწოდება. ქართულში ლ-ს ნ-დ ხშირი შენაცვლების ძალით ალფ-ი ანფ-ად იქცეოდა და ბოლოკიდური ფ-ს დროთა განმავლობაში ჩამოცილების შემდგომ პირველი ასოს სახელად ან-ი გახდებოდა.

ამავე პროცესის წყალობით სემურ დალეტ, ანუ, როგორც ნჲოლდეკე ფიქრობდა, დელტ შესაძლებელია ჯერ დანტ-ად, ხოლო ტ-ს დაკარგვის შემ-

დგომ და ა-ს ო-დ შენაცვლებით იყოს ქართული დონ-იც გაჩენილი. საგულისხმოა, რომ აბაშურ-ეთიოპურ ანბანშიც სემური დალეტ-ი დანტ-ად არის ქცეული, ე. ი. აქაც ლ ბგერა ნ-დ არის შენაცვლებული.

ასეთივე მ-სა და ლ-ს ნ-დ ჩვეულებრივი შენაცვლების გზით უნდა იყოს სემური გამილ-ისაგან ქართული გან-ი გაჩენილი. მე-7 ასოს, როგორც ცნობილია, სემურშიც ნ-ბოლოკიდურიანი სახელი ჰქონდა და ზაჲნ-ის ეწოდებოდა. საგულისხმოა, რომ ასურულ ანბანს ამ ასოს სახელად ზაჲნ-ის გარდა ზენ-იც აქვს, ე. ი. სწორედ ისევე, როგორც ქართულში ვხმარობთ. დანარჩენ ასოთა სახელების ბოლოკიდური ბგერები შესაძლებელია ზოგის პროგრესიული, ზოგის რეგრესიული ასიმილაციის წყალობით იყოს შეცვლილი.

სომხური ასოების ა-ს სახელს აჲბ-ს, გ-ს — გიმ-ს, დ-ს—და-ს, ვ-ს—ვევ-ს, ზ-ს—ზა-ს და რ-ს—რე-ს ამ თანხმოვნების ძველი სემური სახელების პირვანდელი სახე ერთ შემთხვევაში (ვევ) მთლიანად აქვს შერჩენილი, უმეტესად კი ან მისი პირველი ნაწილის შენარჩუნებით, ანდა ბოლოკიდური ბგერის, თუ მარცვლის ჩამოცილებით შედარებით კარგად აქვს დაცული (აჲბ—ალფ-ისაგან, გიმ—გიმ-ელისაგან, და—დალეტ-ისაგან, ვევ—ვევ-ისაგან, ზა—ზაჲნ-ისაგან და რე — რეშ-ისაგან არის წარმომდგარი). საგულისხმოა, რომ ასოთა ეს სახელები ბერძნული სახელებისაგან კი არა, არამედ სემურისაგან არის წარმომდგარი. 6 ასოს სომხური სახელები (ბენ, ინ, კენ, მენ, ჲი და ფვრ) ქართული სახელების მსგავსია, ხოლო ისეთი სომხური ბგერების ასოების სახელები, როგორიცაა შა, ჩა, ცო, ძა, წა და ჰა, სახელდების მარცვლოვან პრინციპზეა დამყარებული და თანხმოვნისა და ხმოვნის კომბინაციას წარმოადგენს, 5 შემთხვევაში ა და მხოლოდ ერთი ო ხმოვანია ნახმარი.

სანამ სერაბიტის წარწერათა თარიღი და მნიშვნელობა გამოირკვეოდა, ზოგიერთი ქართული ასოს მოხაზულობის ნიშანდობლივი თვისების სათანადო შეფასება და ანბანის ხნიერების გამოსარკვევად ჯეროვანად გამოყენება არ შეიძლებოდა. ახლა მდგომარეობა ამ მხრივაც გაუმჯობესდა. წინათ ასოთა მოხაზულობის მხრით ყველაზე საყურადღებოდ უძველესი ხანის ასომთავრული ბანი იყო მისაჩნევი, რომელსაც VII ს-მდე თავი შეკრული ჰქონდა, ახლა კი ირკვევა, რომ ზოგიერთ ასოს ბანზე უფრო ძველი მოხაზულობა აქვს დაცული. მაგ., საფიქრებელი იყო, რომ ასომთავრული ანი უძველესი სემურმოაბური (მეშას) წარწერის ალეფის მსგავსი მოხაზულობისაგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი, ახლა კი ცხადი შეიქნა რომ ქართულ ამ ასოს ამაზე საუკუნეებით უწინარესი დამწერლობის ასოს მოხაზულობა ჰქონია დაცული. სერაბიტის წარწერათა ანბანის ალეფს თავისი დედა-დამწერლობის ეგვიპტური შესატყვისი ასოს რქიანი ხარის თავის მოხაზულობა ჰქონია, რაც სრულებით ბუნებრივიც არის, რადგან სირიულად ალეფი ხარსა ნიშნავს. ქართული ანის მრგვალი მოხაზულობა და კიდურებაწეული ზევითი განივი ხაზი Ⴀ სწორედ ხარის რქიანი თავის მოხაზულობას წარმოადგენს და ამ ასოს თავდაპირველი ნაკვთი მას მოაბურ-ფინიკიური ალეფის მოხაზულობაზე გაცილებით უკეთ აქვს დაცული. ამნაირადვე, თუ წინათ ასომთავრული დონის მოხაზულობის შესადარებლად სემურსა და ბერძნულ დამწერლობაში დაცული სამკუთხედის მაგვარი ასოს მეტი არ გვქონდა-რა და ამ სამკუთხედიანი ასოს თხემი ან არსებული გასწვრივი ხაზი საბაური დამწერლობის დალეტ-ს გარდა არსად ჩანდა და ამის გამო ამ ასოს მხარ-მარცხნივი მდებარეობისდა მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ მასთან შედარებით ქართული ასო ასწვრივ იქნა

ამართული, სერაბიტის ანბანმა ცხადყო, რომ პირიქით ქართულ ასომთავრულ კუთხოვან დონს თავისი ასწერივი მდებარეობით, მოყვანილობით, უყელობითა და ზევითი განივი ხაზით ამ ასოს უძველესი, ეგვიპტური და სერაბიტის დამწერლობით დადასტურებული, სახე სემურ-ბერძნულზე უკეთესად ჰქონია შენახული. იგივე უნდა ითქვას ასომთავრული თან-ის შესახებაც, რომლის პირვანდელი მოხაზულობა ამ ასოს სემურ და ბერძნულ მოხაზულობასთან კი არ უნდა იყოს შედარებული, არამედ სერაბიტის ანბანის თეტ-თან. ასეთი შედარება ცხადყოფს, რომ ქართული თან-ი სწორედ სერაბიტის ოდნავ შეცვლილ მოხაზულობას იცავს, მხოლოდ მთელი ასოს ტანი მხარ-მარცხნივი მდებარეობის მაგიერ მხარ-მარჯვნივ არის მობრუნებული. პირიქით ასომთავრული თავშეკრული ბან-ი სერაბიტის დამწერლობის, ისევე როგორც ბერძნულის შესატყვისი ასოების მოხაზულობისაგან განსხვავდება და მხოლოდ სემური დამწერლობის უუძველესი ხანის ასოს მიემსგავსება. ფრიად საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე, რომ ქართული ანბანის მწკრივს იმავე მეექვსე ადგილას, სადაც სემურში და უძველეს ბერძნულში, მხოლოდ VII ს-ში ქ. წ., იყო მოთავსებული, ვინ-ი აქვს დაცული.

ზემოაღნიშნული ყველა ფაქტები ცხადყოფენ, რომ შეუძლებელია ქართული ანბანი ბერძნულისაგანაც ყოფილიყო წარმოშობილი, არამედ, რომ ის სემური დამწერლობის უუძველეს ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ბევრ ასოებს ძველისძველი მოხაზულობა საუკუნეთა განმავლობაში საკმაო კარგად დაუცავს. ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობის აზრს ბერძნული და ქართული ასოების ზოგადი მდებარეობაც ეღობება წინ. ქართულ ასოთა უმეტესობა უძველესი სემურის მსგავსად მხარმარცხნივ არის მიბრუნებული, იმავე ბერძნულ ასოებს კი მხარმარჯვნივი მდებარეობა აქვთ. ცნობილია, რომ ხმოვნებისათვის ასოების შემოღება ბერძნების ღვაწლად და წვლილად ითვლება დამწერლობაში, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ აზრს არ იზიარებს. ხმოვნების ანბანის მწკრივის რიგობითი დალაგებულობის იგივეობა აფიქრებინებს ადამიანს, რომ ქართულ ანბანსაც ამ ასოების ხმოვნების აღსანიშნავად გამოყენების აზრი შესაძლებელია ბერძნული ანბანის მიბაძვით ჰქონდეს შეგნებული. ეგების ეს ასეც ყოფილიყო კიდევაც, მაგრამ ქართული და ბერძნული ა, ე, და ჳ ასოების მოხაზულობა ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავდება, რომ ამ ქართული ნიშნების მოხაზულობა ბერძნულთან არ შეიძლება იყოს დაკავშირებული. მაშასადამე, შესაძლებელია აქ მხოლოდ ხმოვნებისათვის ამ ასოების გამოყენების დედააზრი იყოს ბერძნული ანბანიდან შეთვისებული. ყველა გარემოებათა და დაკვირვებათა მიხედვით, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ, თუმცა ქ. შ. V—VI სს-ზე უწინარესი ქართული დამწერლობის ძეგლები ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს, რომელიც, ალბათ, საქართველოში აქამომდე სისტემური არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და გათხრილობის უქონლობით უნდა აიხსნებოდეს. თავისდათავად კი ქართული დამწერლობა და ანბანი, ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა და ფაქტების ძალით, ძველი, წარმართობის დროინდელი ჩანს და მომავალში აწ ცნობილზე გაცილებით უფრო უწინარესი ხანის ძეგლების აღმოჩენაა მოსალოდნელი. სომხურ ანბანის ასოთა მოხაზულობასა და მეტადრე მწკრივს ისეთი ნიშანდობლივი თვისება არა აქვს, რომ ამისდა მიხედვით მისი გაჩენის ხანის გამორკვევა შეიძლებოდეს, მაგრამ ზოგადად შესაძლებელია ითქვას,

რომ სომხური ანბანიც გაცილებით უფრო ხნიერია, ვიდრე ფსევდო-კორვნს აქვს აღნიშნული.

ლიტერატურა

Sethe. Der Ursprung des Alphabets. Nachrich. d. Gčtt. Ges. d. Wissensch., 1916. 2. Helt.

A. Gardiner, Der ägyptische Ursprung des semitischen Alphabets: ZDMG, N. F II, 1923.

Lehman Haupt, Zur Herkunft des Alphabets: ZDMG, 73, 1919.

Bühler, Indische Palaeog aphie (Grundris der indo-arischen Philologie u. Altertumskunde I, 1896.

ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, თბ., 1935.

Nöldeke, Beitrage z. Semit. Sprachwissensch. 1904.

Hans Iensen, Geschichte der Schrift.

Moritz, Arch. Schrift., Encyclop. des Islam I.,

ბ. ასო

ასო ეწოდება დამწერლობის მქონებელი ენის მეტყველების ცალკეული ბგერის გამომხატველ ნიშანს. ამისდა მიხედვით ყოველ ენას იმდენი ასო აქვს, რამდენი ბგერაც გააჩნია. ბგერის გამომხატველი ნიშნის აღბეჭდვას გამოსახვა ჰქვია. თითოეულ ამ ნიშანთაგანს თავისი მოხაზულობა აქვს, რომლითაც სხვებისაგან განსხვავდება. ასოს ასეთ მოხაზულობას მთლიანად ასოს ტანი ეწოდება. ასოთა შორის განსხვავება უმთავრესად თითოეული მათგანის მოყვანილობაზეა დამყარებული, მაგრამ სიგრძესა და სივრცესაც აქვს მნიშვნელობა. თუმცა ყოველი ასო ჩვეულებრივ ერთ მთლიან ნიშანს წარმოადგენს, მაგრამ, რაკი თითოეული ნიშანი დანარჩენებისაგან უნდა უეჭველად განსხვავებული იყოს, ამიტომ ასოთა მოხაზულობის ნაწილებს არჩევენ, რომელთაც ასოთა ნაწილები ეწოდება. მაგრამ მოხაზულობის მხრით ასოთა შორის თვალსაჩინო განსხვავების გარდა მსგავსებაც არსებობს, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, ასოებს, ისეთ ნაწილებს გარდა, რომლებითაც დანარჩენ ასოთაგან განირჩევიან, მსგავსი ნაწილებიც აქვთ. ასოთა იმ ნაწილებს, რომელნიც სხვებისაგან სხვაობენ, დამახასიათებელი, მთავარი, არსებითი, ანდა ნიშანდობლივი ნაწილები ეწოდება, დანარჩენ ნაწილებს კი არაარსებითსა და უმნიშვნელოს ეძახიან.

ასოები მოხაზულობით ერთმანეთისაგან ტოლმეტობითაც განირჩევიან: ასოთა სიმაღლისა და ტოლმეტობის გასარჩევად და საზომად დამწერლობათმცოდნეობაში (იხ.)[3], ანუ პალეოგრაფიაში წერის ორხაზოვან და ოთხხაზოვან ბადეს ხმარობენ. ზოგი ასოები, როგორც მაგ. ა, თ, ი, ო ერთი ზომისა და ორ ხაზს შუა თავსდება. ზოგი ასოების ტანი კი ორ ხაზში ვერ თავსდება, არამედ ზოგს, როგორც მაგ., ბ, ზ, მ, ნ-ს და სხვ. ზედა ნაწილიც აქვს, ზოგს — ქვე-

[3] ენციკლოპედიური ლექსიკონის ცალკე სტატიაზე მიათითებს ავტორი (რედ.).

და ნაწილიც, როგორც მაგ.: გ, დ, ე, ვ და სხვ. დასასრულ, რამდენსამე ასოს ქვედაცა და ზედა ნაწილიც გააჩნია, მაგ.: ქ, წ და ჰ-ს. ამისდა მიხედვით ასოს ტანს სამი ნაწილი აქვს. ზედა ტანი, შუა ტანი და ქვედა ტანი. ამას გარდა ასოს თავი და ბოლოც და კიდურებიც მოეპოვება. აგებულების თვალსაზრისით განხილული ასოთა ნაკვეთი ან ასწვრივი ხაზისაგან შედგება, როგორც მაგ.: ქ, ჰ, ს, რომელსაც ან ერთი, ან ორივე მხრიდან, ან ზევით, ან შუაში, ან ქვევით, ან განივი ხაზი, ან პირშეკრული, თუ პირგახსნილი წრე, ან ნახევარწრე ერთვის ხოლმე, მაგ.: ბ, ე, ზ, მ, ნ, შ, ჩ-ს და სხვა. ასწვრივ ხაზს ასოს ბუნი ანუ ზრო ეწოდება. ასოს ქვედა ტანის პირშეკრულ წრეს მუცელს ეძახიან (ასოს დაწერილობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე დამწერლობის ქვეშე[3]).

დამატება მეორე

ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის

(წინასწარი მოხსენება[1] ნიმუშების დართვით)

I.

კარგა ხანია, რაც გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მტკიცე საფუძველის შესაქმნელად ეგრეთ წოდებულ დამხმარე სამეცნიერო დარგების, ქართული ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა, ქრონოლოგიისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესწავლა და შექმნა იყო აუცილებელი. ამიტომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მეტადრე კი მას შემდგომ, რაც ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა, ამ ქართული სამეცნიერო დარგების სისტემატურს შესწავლას ვანდომებდი დროს.

ეს შესწავლა საუნივერსიტეტო კურსების სახით ჩამოყალიბდა, რომელსაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ვუკითხავდი ჩვენ სტუდენტ-ისტორიკოსებს. ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა და ნუმიზმატიკის შესახები გამოკვლევა უკვე იმდენადაა დამთავრებული, რომ დასაბეჭდადაც მზადაა.

ამ დამხმარე სამეცნიერო დარგების შესწავლის დროს ბევრი საყურადღებო საკითხები წამოიჭრა და ზოგიერთი გადაწყდა კიდეც. ზოგი საკითხის გაღრმავებულმა დაკვირვებამ ისეთი შესაძლებლობა წარმოშვა, რომლის შესახებ წინათ ქართველს მეცნიერს მხოლოდ ოცნება შეეძლო. დღევანდელი ჩემი მოხსენება ეხება სწორედ ერთ ისეთს აღმოჩენას, რომელიც ქართული პალეოგრაფიის მეთოდური შესწავლის შედეგი გახლავთ.

ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს, როდესაც, ერთი მხრით, ქართული დამწერლობის ისტორიულმა განვითარებამ, მეორე მხრით, სხვა ერთა დამწერლობასთან შედარებითმა ანალიზმა მაფიქრებინა, რომ ქართული ასომთავრული ბანი თავშეკრული უნდა ყოფილიყო, მე პროფ. ალ. დიდებულიძეს ვთხოვე ბოლნისის სიონის წარწერის ნეგატივი გაეძლიერებინა, რომ მქრთალად გამოსული ადგილები და ასოების მოხაზულობა დაბეჭდვის დროს მკაფიოდ გამოსულიყო. ჩემს ხელში მყოფ წარწერის დანაბეჭდში ის ადგილი, სადაც ასო ბანი გვხვდება, ისე გარკვევით არ ჩანდა, რომ ამ პალეოგრაფიული

---

[1] მოხსენებული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1923 წ. 10 თებერვალს და ოდნავ შევსებული იბეჭდება.

თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი საკითხის უეჭველი გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილიყო.

რადგან მცხეთის ჯვრის ეკლესიის VII ს. წარწერის ბანს თავი ოდნავ აქვს გახსნილი, ამიტომ საგულისხმო იყო, თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა ამ ასოს ბოლნისის სიონის წარწერაში, რომელიც მცხეთის ჯვრის წარწერაზე უფრო ძველი ძეგლის შთაბეჭდილებას ახდენდა.

პროფ. ალ. დიდებულიძემ თავისი განსაკუთრებული ღონეობით ამ წარწერის ნეგატივი მართლაც ისე გააძლიერა, რომ დანაბეჭდზე ის ადგილიც, სადაც ასო ბანი იყო, სრული სიმკაფიოით გამოჩნდა[2], და ბანი მართლაც, როგორც მისი მოხაზულობის ისტორიული განვითარებისა და სხვა ერთა უძველეს პალეოგრაფიულ ძეგლებთან შედარებით მოსალოდნელი იყო, თავშეკრული აღმოჩნდა.

ამ გარემოებამ ბოლნისის სიონის საკურთხევლის სარკმლის ზემოთი წარწერის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა პალეოგრაფიული თვალსაზრისითა და მისი ქრონოლოგიური სიძველე სრული უეჭველობით ცხადყო.

მაგრამ რომ ახლად გამორკვეული პალეოგრაფიული დაკვირვება უცილობელ დებულებად შექმნილიყო, ყველა ცნობილს თარიღიანსა თუ ქრონოლოგიურად განსაზღვრულ წარწერებსა და ხელნაწერებს გადაშინჯვა დავუწყე. გამოირკვა, რომ თავშეკრული ბანი მართლაც მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული აქეთ უკვე აღარ გვხვდება. მაშასადამე, ცხადი ხდებოდა, რომ ბოლნისის სიონის წარწერა თავისი ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული თვისებით ყოველ ეჭვს გარეშე VII საუკუნეზე უწინარესი უნდა ყოფილიყო. მე მაინც ვშიშობდი, შეცდომა არ მომსვლოდა და ისეთ ძეგლებს ვეძებდი კიდევ გადასაშინჯავად, რომელიც X საუკუნეზე უწინარესი უნდა ყოფილიყო.

II.

ამ ეჭვში და ძიებაში მყოფს ერთი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ორი ფურცელი მომაგონდა, რომლის ფოტოტიპიური სურათი ჩემ სტუდენტობის დროს მქონდა ნანახი. ამ ნაწყვეტების დამწერლობის დიადი გარეგანი სახე იმ დროიდან მოყოლებული გულსა და მეხსიერებაში მქონდა ჩარჩენილი და ახლა, როდესაც ყოველს უძველესს, X საუკუნეზე უწინარესს, ძეგლს ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა, გადავწყვიტე გამეშინჯა და მენახა, თუ რა იყო იქ დაწერილი და განსაკუთრებით, როგორ იწერებოდა იქ ის ასო ბანი, რომლის მოხაზულობის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ქართული პალეოგრაფიისათვის ცხადი გახდა.

ეს ის პალიმფსესტი იყო, რომლის ფოტოგრაფიული სურათი 1897 წ. ზაფხულში მაშინ პრივ.-დოცენტად მყოფს და აწ პროფ. და აკად. ნ. მარს მოუვიდა ფოსტით.

ამ ოქსფორდის ბოდლეიანის ბიბლიოთეკიდან დ"რ ა. ნეჲბაუერის მიერ გამოგზავნილი ეტრატის ცალ-ცალკე ფურცლის — პალიმფსესტის ფოტოგრაფიულ სურათში ტექსტი წვრილი ასოებით ებრაულად, ხოლო გარდიგარდმო მიმართულებით მსხვილი ასომთავრული ანბანით ქართულად ნაწერი აღმოჩნდა. უეჭველია, ეს ორი ფურცელი ნ. მარს ინგლისიდან ქართული ტექსტის

[2] პროფ. ალექ. დიდებულიძეს ამისთვის დიდ მადლობას მოეახსენებ.

წასაკითხავად ჰქონდა გამოგზავნილი. მაგრამ ამ ორ ნაწყვეტს მან, როგორც ეტყობა, ყურადღება არ მიაქცია, ან იქნებ იმიტომ, რომ პრივ.-დოცენტის (აწ აკადემიკოსი) პ. კ. კოკოვცოვის პირველი აზრის მსგავსად, ძირითად ნაწერად ებრაული მიიჩნია, ქართული კი მერმინდელად და უმნიშვნელოდ ცნო, ან იქნებ პალიმფსესტის წაკითხვის სიძნელის გამო. ასე იყო თუ ისე, ამ ორი ნაჭერი ეტრატის ფოტოგრაფიული სურათი ნ. მარმა გადასცა ებრაული ტექსტის წასაკითხავად პ. კოკოვცოვს. პრივ.-დოც. კოკოვცოვმა ჯერ ამ პალიმფსესტის თავდაპირველ ტექსტად ფოტოტიპიური სურათების მიხედვით ებრაული ცნო („еврейского текста, как кажется, несколько можно судить по фототипиям, *первоначального* в рукописи“).

მიღებული ნაწერების შესწავლამ ცნობილი რუსი ჰებრაისტი დაარწმუნა, რომ ხელთ იერუსალემის თალმუდის ნაწყვეტები ჰქონდა, რომელი თხზულებისაც მანამდის მხოლოდ უვარგისი ხელნაწერები არსებობდა. პ. კოკოვცოვმა პალეოგრაფიული ნიშნებით ფრაგმენტები XI ს. დამლევის ნაწერად და ამის გამო თალმუდურ ხელნაწერთა შორის უძველეს ძეგლად ცნო.

ამგვარი დასკვნის შემდგომ ის შეუდგა მიღებული პალიმფსესტების ნაწერის წაკითხვას და 1899 წ. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა კიდეც[3]. მაგრამ შემდეგ, როდესაც თავისი გამოკვლევა უკვე დაბეჭდილი ჰქონდა, მან, პალიმფსესტის მდგომარეობით გამოწვეულ ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, თავდაპირველი აზრი შეიცვალა და საგანგებოდ დართულ დამატებაში ქართული სამართლიანად ებრაულზე უძველესად და პირვანდელად აღიარა[4].

ეს თხზულება თვით პ. კოკოვცოვისაგან, რომელთანაც მე უნივერსიტეტში ასურულსა ვსწავლობდი, ცალკე ამონაბეჭდად მივიღე. თუმცა ჩემს უნივერსიტეტში სწავლის დროს ქართული ენის კათედრის წარმომადგენელი პროფესორი იყო, მაგრამ ლექციები თითქმის სრულებით არ იკითხებოდა და 1899 წ., როდესაც მე უკვე უკანასკნელ კურსზე ვიყავი, ასომთავრული დამწერლობიანი ძეგლების წაკითხვას მიჩვეული არ ვიყავი. ახლაც კარგად მაგონდება, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის მაშინ ამ პალიმფსესტის გარჩევა. თითო-ოროლა ასოს გარდა, როგორც მახსოვს, რამდენიმე წინადადების ან სიტყვის ერთად ამოკითხვა გადაულახავი დაბრკოლება აღმოჩნდა. პრივ.-დოც. კოკოვცოვს თავის დანართში ქართული ტექსტის დროის შესახებ ვითარცა არა სპეციალისტს, რასაკვირველია, მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ იგი ებრაულზე ადრინდელი უნდა ყოფილიყო[5], ე. ი. XI ს-ზე უწინარესი. მაგრამ სახელდობრ რა დროისა იყო იგი, ეს გაუგებარი იყო ჩემთვისაც. ის გარემოება, რომ პრივ.-დოც. ნ. მარმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაფიქრებინებდა, რომ ეს ორი ნაწყვეტი ქართული მწერლობისათვის, ალბათ, უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, და შემდეგშიც მათი წაკითხვა აღარ მიცდია. მაგრამ ამ პალიმფსესტის ასოთა დიადი მოხაზულობა მაინც გონებაში მქონდა ჩარჩენილი.

---

[3] Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда: *Записки Восточн. Отд. Русск. Арх. Общ.*, *XI*, გვ. 195—205.

[4] Дополнение к статье „Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда“, idid., გვ. 413.

[5] იქვე.

ახლა როდესაც ქართული დამწერლობის ყოველს უძველეს ძეგლს ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა, მისი გასინჯვა და წაკითხვა გადავწყვიტე. თუმცა პროფ. პ. კოკოვცოვის მიერ მოცემული ცალკე გადმონაბეჭდი მთელ ჩემ წიგნთსაცავთან ერთად 1917 წლის დამლევს დაიღუპა, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავს საბედნიეროდ პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოების გამოცემის მთელი სერია აქვს და ამის იმედი მქონდა, რომ ჩემთვის საჭირო ფოტოტიპიებს ვიპოვიდი.

მართლაც წარსული 1922 წლის დეკემბრის დამლევს პროფ. პ. კოკოვცოვის წერილს მივაგენი. საკმარისი იყო შინ ამ ორი ფოტოტიპიური ფურცლის გაშინჯვას შევდგომოდი, რომ პირველივე დაკვირვებიდან ამ ძეგლის უაღრესი მნიშვნელობა ცხადი გამხდარიყო: ასოები „ყ“ და „ჳ“ თავშეკრული იყო ყველგან. ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს კი უკვე გამორკვეული მქონდა წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით, რომ ამგვარი მოხაზულობის „ყ“ და „ჳ“ მხოლოდ VII—VIII სს. იხმარებოდა. ამის გამო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რომ ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტები VII—VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩემთვის სრულებით მოულოდნელი გარემოების გამორკვევის შემდგომ ძვირფასი პალიმფსესტის კითხვას გულდასმით შევუდგი და ახლა უკვე განსაკუთრებით ზანს ვეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვენითი სვეტის მე-9 და 10 სტრიქონებში ორჯერვე „ზ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო.

ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედვა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ახლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავი, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყოს ის, რასაც ვკითხულობდი.

სრული სიფრთხილით წარმოებულმა პალიმფსესტის გულდასმით წაშლილი ქართული ტექსტის ამოკითხვამ და დაწერილის ენის საგულისხმო თუმც განმაცვიფრებელმა, მაგრამ შორეულ წარსულში მოსალოდნელმა თვისებებმა დამარწმუნეს, რომ პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო და ამ ნაწყვეტების როგორც დამწერლობის პალეოგრაფიული, ისევე თვით ნაწარმოების ენის ნიშნები მათ სიძველეს ცხადყოფდნენ სრული უეჭველობით. რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეტრატის ნაჭრის ფოტოტიპიას, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკეცებული იყო, როდესაც გამოვარკვიე, რომ ამ ნაწყვეტებში შენახული გვქონდა დაბადების ტექსტი, სახელდობრ იერემიას XVII, 26—XVIII, 8.

უკვე უეჭველი იყო, რომ ბოდლეიანის წიგნთსაცავში ქართული დამწერლობისა და ენის ჯერჯერობით მაინც უძველესად მისაჩნევი ძეგლის ორი ნაწყვეტი ინახებოდა. კერძოდ პეტერბურგში წინათაც მოსულა ამბავი, რომ ინგლისში, იქნებ იმავე ოქსფორდშივე, ქართული პალიმფსესტების ნაწყვეტები უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შორისაც შესაძლებელია ზოგიერთი ამავე დროისა და მნიშვნელობის გამომდგარიყო, ამიტომ უკვე გადაწყვეტილი მქონდა ოქსფორდის წიგნთსაცავისათვის მიმელოცა, რომ ის უძველესი ქართული

ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო, და თანაც მეთხოვა ამავე ხასიათის ქართული ასომთავრულით ნაწერი პალიმფსესტების ფოტოგრაფიული სურათები გამოეგზავნათ. მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჯერ აქ, საქართველოს დედაქალაქში, დაცული პალიმფსესტები გადამეშინჯა და გამომერკვია, თუ აქ რაღა დროის ძეგლები იყო შენახული.

III.

ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში რომ ბ. მოსე ჯანაშვილმა გადმომილაგა პალიმფსესტები, პირველი ორი ხელნაწერი ნუსხა ხუცურით აღმოჩნდა და ჩემთვის ამჟამად საყურადღებო არ იყო. მაგრამ საკმარისი იყო მესამე ხელნაწერი გადამეშალა, რომ მშვენიერ ასომთავრულად ნაწერ გადარჩენილს ტექსტში ოქსფორდის პალიმფსესტივით საყურადღებო ძეგლის მოლოდინი აღმძეროდა. მისი სწრაფი გადაფურცვლის დროს იმავე უკვე კარგად გამორკვეულს პალეოგრაფიულსა და ლინგვისტურს თვისებებს ვეძებდი: თავშეკრულ ბანსა, ყარსა და ჲიეს და მეორე პირის სუბიექტურსა და მესამე პირის ობიექტურს თავსართებს. ხელნაწერის გადაშინჯვის დროს ყველა ეს ნიშნები უძველესს, შემდეგ გადარეცხილს, ტექსტში აღმოჩნდა და ამგვარად ცხადი შეიქმნა, რომ ეს ხელნაწერიც ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველეს ძეგლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მეოთხე და მეხუთე ხელნაწერი-პალიმფსესტებიც იმგვარივე თვისებებისანი აღმოჩნდნენ და დაახლოებით იმავე დროისა უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც ოქსფორდის პალიმფსესტი უნდა იყოს დაწერილი. ამ გზით ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენ ამ მხრივ ოქსფორდზე გაცილებით უფრო ბედნიერი და მდიდრები ვართ და უკვე 2000 გვერდამდე უძველესი ქართული ძეგლების პალიმფსესტები გვაქვს. ქართული პალიმფსესტების ამგვარი მნიშვნელობის გამორკვევის შემდგომ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კატალოგში პალიმფსესტებად მოხსენებული ხელნაწერების გაშინჯვაც აუცილებელი გახდა. ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი მოკლე ცნობებს შეიცავს და იქ თვით ყველა ეტრატის ხელნაწერების დათვალიერება იყო საჭირო, რისთვისაც განსაკუთრებული მუშაობა უნდა მოწყობილიყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 30-მდე გადაშინჯულ ხელნაწერ-პალიმფსესტთა შორის თუმცა ბევრი საყურადღებო აღმოჩნდა, ზოგი ენის მხრით და ზოგი კიდევ პალეოგრაფიულად, მაგრამ ისეთი, რა დროისა და თვისებებისაც ვეძებდი, არ ჩანდა. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ამ საზოგადოების ხელნაწერთა შორის ძებნა უნაყოფო უნდა ყოფილიყო, რომ მუზეუმის გამგის თანაშემწემ ირ. სონღულაშვილმა შემატყობინა სასიხარულო ამბავი ჩემთვის საყურადღებო ხელნაწერ-პალიმფსესტის აღმოჩენის შესახებ. ამ ხელნაწერის გადაშინჯვამ მისი ცნობის სრული სიმართლე დაადასტურა[6]. ამგვარად, ჩემ ხელში უკვე ოთხი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ხელნაწერი იყო. ამ უხვმა და მშვენიერმა სამკალმა ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტების უფრო ზედმიწევნითი დათარიღება და ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელი გახადა.

---

[6] უნივერსიტეტისა და საისტორიო საზოგადოების მუზეუმების სათავეში მდგომთ, პატივცემულთ მ. ჯანაშვილსა, ს. გორგაძესა და ირ. სონღულაშვილს დახმარებისათვის გულითადს მადლობას მოვახსენებ.

ჩემ მიერ დამზადებული ქართული პალეოგრაფია რომ გამოქვეყნებული იყოს*, ან იმედი მქონდეს, რომ მისი ახლო მომავალში გამოცემა მოხერხდებოდეს, მე შემეძლო სიტყვა მოკლედ მომეჭრა. მაგრამ ახლანდელ პირობებში ამგვარი იმედი ვგონებ ამაო უნდა იყოს და ამის გამო იძულებული ვარ ჯერ VI—VII სს. უთარიღო ძეგლების დათარიღების მეთოდოლოგიას შევეხო, ხოლო შემდეგ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ქრონოლოგიურს განსაზღვრას შევუდგე.

იმ ფრიად დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც უთარიღო წერილობითი ნაშთების ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის მათს პალეოგრაფიულს თვისებებსა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეული ყოფილიყო პალეოგრაფიული ნიშნების თვალსაზრისით ძირითადად მისაჩნევი ძეგლებისათვის. ამგვარ ძეგლებად უძველესთა შორის უეჭველია ბოლნისის სიონის კონქის სარკმლის თავზე ასომთავრული ამობორცვილი დამწერლობით გამოყვანილი წარწერა და მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქანდაკებათა ჩაჭრილი წარწერები უნდა ჩაითვალოს[7]. მაგრამ არც ერთი ამ ძირითადად მისაჩნევ წარწერათაგანი დათარიღებული არ არის ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამჟამად მაინც არც ერთს თარიღები არ უჩანს. ამის გამო თუ ჩვენ გვსურს, რომ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღების მეთოდი შეძლებისამებრ შეუმცდარი გამოდგეს, სწორედ ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერები უნდა გვქონდეს საკმაო ზედმიწევნილობით დათარიღებული.

IV.

ბოლნისის სიონის სარკმლის თავზე გამოკვეთილ წარწერაში ნათქვამია; «ქ̃ე დ̃თ ეპ[ისკ]ოპო[ს]ი კრებულითურთ... შეიწყალენ და მ[შ]რომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე»-ო. ვინ არის ეს დავით ეპისკოპოსი, აქ ნათქვამი არ არის, მაგრამ უეჭველია იგი ბოლნელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

ის შესთხოვს ქრისტეს, რომ მშრომელთა ამ ეკლესიაში, ალბათ, მომუშავეთ, შეეწიოს. თითონ დავით ბოლნელი ეპისკოპოსი კრებულითურთ, როგორც ეტყობა, მათ ჯგუფს არ ეკუთვნის, არც ისა ჩანს, რომ აღმაშენებელი იყოს. წარწერის შინაარსი თითქოს უფრო უკვე არსებულს საყდარში მუშაობას (ეკლესიასა შინა) გულისხმობს, ეგების გასამშვენიერებლად ნაწარმოებს. მაინცდამაინც ქართლის მოქცევის მატიანეს გარკვევით აქვს ნათქვამი, თუ ვინ იყო ბოლნისის ეკლესიის აღმაშენებელი. მას სახელდობრ უწერია «მეფოზედა ბაკურ ძმ თრდატისი და მთავარ-ეპისკოპოსი იყო ელია: და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს»-საო[8]. მაშასადამე, ბოლნისის ეკლესიის აღმაშენებლად IX ს. მემატიანეს ელია მთავარ-ეპისკოპოსი ჰყავდა მიჩნეული და არა დავით ეპისკოპოსი. მართალია, ქართველ ისტორიკოსთა შორის ამის შესახებ როგორც ეტყობა, თანხმობა არ ყოფილა და XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი ელიას მხოლოდ რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიების აღმშენებლად

* [ივ. ჯავახიშვილის წინამდებარე გამოკვლევა დაიბეჭდა 1923 წელს, ხოლო მისი „ქართული პალეოგრაფია“ — 1926 წელს. რ ე დ.].

[7] ამ წარწერების შესახებ იხ. პროფ. აკ. შანიძის „ნაშთები მესამე პირის ობიექტ- პრეფ. კშარებისა ქმოენების წინ ქართულ ზმნებში“, «უნივერსიტ. მოამბის» ამავე[II] №-ში, გვ. 275—279, სადაც ამ წარწერების შესახები მწერლობაა დასახელებული.

[8] Е. Такайшвили, Описание рукописей... II, 721.

თელის, ხოლო მისი სიტყვით «აღაშენა ეკლესია ბოლნისისა» ფარსმან მეფემ ელიას მოადგილის სუიმონის მთავარეპისკოპოსობის დროს[9], ქრონოლოგიურად ამ ორი ისტორიკოსის განსხვავებულ ცნობათა შორის მაინც მცირე მანძილია. თუმცა ამ ხანის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური საკითხები ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, მაგრამ რადგან ფარსმანი V ს. დამდეგს მეფობდა[10], ამიტომ ბოლნისის ეკლესიის თავდაპირველი აგების თარიღი, ისე როგორც ქართველ ისტორიკოსებს საქმის ვითარება წარმოდგენილი ჰქონიათ, დაახლოებით მაინც ირკვევა: სახელდობრ V ს. დასაწყისი უნდა ვიგულისხმოთ. ამგვარად, თითქმის ცხადი უნდა იყოს, რომ დავით ეპისკოპოსისმიერი ბოლნისის სიონის წარწერა ამ საყდრის თავდაპირველი აგების ამბეის მომთხრობელი ძეგლი არ უნდა იყოს. მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი მაინც ძალიან ძველია. სხვასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო ყ, ჳ და მეტადრე ზ ასოთა მოხაზულობა, იმგვარადვე როგორც თვით წარწერის ენა, უეჭველად გვაფიქრებინებს, რომ ბოლნისის ეს წარწერა ქართული მწერლობის ერთი უძველეს ძეგლთაგანი უნდა იყოს.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ეს საკმარისი არ არის და ქართული პალეოგრაფიის დებულებათა სიმტკიცისა და ეჭვმიუტანლობისათვის ამ წარწერის უფრო ზედმიწევნითი დათარიღებაა საჭირო. რაკი წარწერის ავტორი დავითი ბოლნისის ეპისკოპოსი ყოფილა, ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს მისი მოღვაწეობის ხანა გამოვარკვიოთ.

იმ საეკლესიო კრების ძეგლისწერას, რომელიც კავად სპარსთა მეფის დროს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართლისა კათოლიკოსის მეთაურობითა და ორივე ეკლესიის წარმომადგენელთა თანდასწრებით მოხდა ქალკიდონის კრების აღსარების უარსაყოფელად, ქართველ ეპისკოპოსთაგან სხვათა შორის ხელს აწერდა «დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა»[11]. უნებლიეთ იბადება აზრი, რომ შესაძლებელია ეს სწორედ ის დავით ბოლნისის ეპისკოპოსი იყოს, რომელმაც ზემოაღნიშნული წარწერა ამოაჭრევინა. რასაკვირველია, ბოლნელ ეპისკოპოსთა შორის დავითი შეიძლება სხვაც ყოფილიყოს, და სრული უეჭველობით ბოლნისის წარწერის დავით ეპისკოპოსისა და სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილე დავით ბოლნელის იგივეობის დამტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია. მაგრამ თითქმის საუკუნე ნახევრის განმავლობაში მყოფ ცურტავის 11 ეპისკოპოსთა შორის მხოლოდ ორსა ჰქონია ერთი და იგივე სახელი და ისიც ერთიმეორისაგან ცოტად მაინც განსხვავებული, ჲოჰან და ჲოჰანე და მათ შორის არც ერთს დავითი არა ჰრქმევია[12]. სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთაგანაც მარტო ორი ყოფილა სეხნა და ორსავე იოსები ჰრქმევიათ, თუ რომ აქ გადამწერის შეცდომა არ არის[13].

ამგვარადვე ოთხი საუკუნის განმავლობაში მყოფ ქართველთა ეკლესიის მწყემსმთავართაგან, მრავალ მთავარ-ეპისკოპოს-კათალიკოსთა შორის, როგორც ქართლის მოქცევის მატიანის ცნობებიდანა ჩანს, მხოლოდ სამოველის

---

[9] ც˝ა მეფეთა 292, გვ. 115—116.

[10] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 184.

[11] «Դաւիթ Եպիսկոպոս Բողնիսա»: Գիրք Թղթոց, გვ. 183, 2.

[12] Գիրք Թղթոց, 178.

[13] იქვე, 182—183.

სახელი გვხვდება ხშირად, სახელდობრ — 9-ჯერ, პეტრე და იოვანე — 3-ჯერ, იოველ, მიქაელ, არსენი, თავფაჩაგ, გიორგი და გრიგოლ — 2-ჯერ, დანარჩენი სახელები, მათ შორის დავითიც, მარტო ერთხელ არის. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ მწყემსმთავართა შორის მაშინდელ საქართველოში ერთგვარი სახელი ხშირი არ უნდა ყოფილიყო და კერძოდ დავითის სახელი უძველეს ხანაში ისე გავრცელებული არ ყოფილა, როგორც შემდეგში, როდესაც ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისაგან ჩამომავლობის რწმენა განმტკიცდა. ამის გამო დავით ეპისკოპოსი შეიძლება მართლაც სომეხ-ქართველთა კრების დამსწრე დავით ბოლნელი ეპისკოპოსი იყოს. თვით იმ კრების თარიღი, რომელზედაც სომეხთა და ქართველთა ეკლესიის წარმომადგენლებმა ქალკიდონის მოძღვრება უარყვეს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეში დასახელებული არ არის[14]. მაგრამ რადგან 506 წ. დვინში მომხდარი კრების დროს სპარსეთის ქრისტიანების მიმართ დაწერილ წერილში ბაბგენ სომეხთა კათალიკოსი ქართველთა, სომეხთა, ალბანთა და ბერძნების სარწმუნოებრივ თანხმობაზე ლაპარაკობს[15], ამიტომ ალბანელ-ქართველ-სომეხთა შეერთებული საეკლესიო კრება ან 506 წ. ცოტა უწინარეს უნდა მომხდარიყო ან, როგორც ერვანდ ტერ-მინასიანცი ამტკიცებს, იქნება თვით იმავე დვინის კრების დროსვე[16].

რაკი დავით ეპისკოპოსი სხვა ქართველებთან ერთად, ვითარცა ბოლნელი მღვდელმთავარი, ამ 505—506 წწ. საეკლესიო კრების მონაწილე ყოფილა, ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ბოლნისის სიონის საკურთხევლის კონქის წარწერა უნდა ან V ს. დამლევს ან VI ს. დამდეგს ეკუთვნოდეს, მაინცდამაინც VI ს. პირველ მეოთხედზე უგვიანესი არ უნდა იყოს[17].

V.

ბოლნისის სიონის წარწერის შემდგომ ქართული პალეოგრაფიის კანონების შესაქმნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც აღნიშნული იყო, მცხეთის ჯვრის ქანდაკებათა წარწერებსა აქვთ, მეტადრე დემეტრისა, ადრნერსისა და ქობულისას. მაგრამ არც ერთი ამათგანი დათარიღებული არ არის, უამისოდ კი მტკიცე დებულებების შექმნა შეუძლებელია.

ქართული საისტორიო წყაროები („მოქცევაჲ ქართლისაჲ", ჯუანშერი და სუმბატ დავითის ძე) ჯვრის ორივე ეკლესიის აგებას გვარამსა, სტეფანოსსა, დემეტრეს, ადრნერსესა და სტეფანოს ადრნერსეს ძეს მიაწერენ[18]. თუმცა არც ისტორიკოსთა მოთხრობაშია ქრონოლოგიური ცნობები, მაგრამ საქმის მიმ-

---

[14] იქვე, 182—183.

[15] იქვე, 43, 45 და 46.

[16] იხ. *Հայոց Եկեղեցւոյ Յարաբերութիւնները*. ეჩმიაძინი, 1908, გვ. 65—70

[17] პროფ. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ბოლნისის სიონის აგების თარიღად დაახლოებით 503—523 წწ. თვლის, მაგრამ აღნიშნული არა აქვს, თუ რა მოსაზრებით (Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst I. Erstes Heft. Kleine Kirche des Heiligen Kreutzes von Mzchetha, Tiflis 1921, გვ. 24). იმავე შრომაში, რომელიც დაბეჭდილია ქართულად „მოამბის" ამავე ნომერში, ბოლნისის სიონი დასახელებულია უძველეს ტაძრად, მაგრამ მისი აღშენების თარიღი ნაჩვენები არ არის: „მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი", გვ. 45.

[18] Е. Т а к а й ш в и л и, Описание II, 724—726; ჯუანშერ *410, 411, 414, 415, გვ. 193—197; სუმბატ, ცა ბაგრ. *572, გვ. 341—2.

დინარეობის მიხედვით მთელი ეს ამბავი VI საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული VII საუკუნის პირველ ნახევრამდეა ნაგულისხმევი.

ჩემ „ქართველი ერის ისტორია"-ში უკვე აღნიშნული მქონდა, რომ ადრნერსე, ანუ ადარნასე მართლაც VII ს. დამდეგის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის გვხვდება: იგი იხსენიება იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც ქართველთა და სომეხთა შორის ყოფილა სარწმუნოებრივი უთანხმოებისა და კამათის გამო[19]. მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი სომხეთის კათალიკოსის მოადგილის ვრთანესისადმი მიმართულს წერილში თხოულობდა, რომ ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ საქართველოს გავლენიან პირებთან მიეწერა ადრნერსეჲსა, ვაჰანისა და ბუზრმიჰრისათვის[20]. სომეხთა კათალიკოსის მოადგილე სწორედ ასეც მოქცეულა და კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილი ეპისტოლე ამ სამი მთავრისადმისაც მიუმართია[21]. სუმბატ გურგანის მარზპანის ქართლის კათალიკოსისადმი გამოგზავნილი წერილიც კირიონის შემდგომ იხსენიებს „მთავართა ქუეყნისა თქუენისათა ადრნერსეჲსა და ყოველთა ვარგთა"[22]. თვით ქართული ეკლესიის მწყემსმთავარიც თავის საპასუხო ეპისტოლეს სუმბატისადმი მიმართულს ადრნერსეჲსა და სხვა მთავართა სახელითა წერდა[23].

ორი უკანასკნელი შემთხვევა ცხადყოფს, რომ მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს მთავართა შორის პირველობა ადრნერსეს ეკუთვნოდა და, თუ სხვების დაუსახელებლობა შეიძლებოდა, მისი სახელი უეჭველად უნდა მოხსენებული ყოფილიყო. რადგან ზემომოყვანილი მიწერ-მოწერა 607 წ. ეკუთვნის, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ადრნერსე ამ დროს უკვე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ყოფილა.

ადრნერსეს ერისმთავრობის დასაწყისის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ამაზე უფრო მეტი ზედმიწევნილობით შეიძლება. ადრნერსე მარტო აბრაამის წერილში კი არ გვხვდება, არამედ უკვე ვრთანესისაშიც. ხოლო ვრთანესი სომეხთა საკათალიკოსო ტახტის მოადგილედ უკვე 602—3 წლიდან ითვლებოდა[24] 606 წლამდე, როდესაც უკვე კათალიკოსად აბრაამი იქნა არჩეული. მაშასადამე, 604—605 წელსაც დაახლოებით ადრნერსე უკვე ერისმთავრად უნდა ყოფილიყო.

თუ ადრნერსეს მოღვაწეობის დასაწყისის თარიღი დაახლოებით მაინც ირკვევა, მისი ერისმთავრობის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის მკვლევარნი იძულებულნი იყვნენ სათუო და სიმტკიცესმოკლებულ ცნობებზე დაემყარებინათ თავიანთი მოსაზრებანი. პირველად სახელოვან ქართველ მეცნიერს ბატონიშვილს ვახუშტს მოუხდა სტეფანოსისა, ადრნერსესი და სხვათა ერისმთავრობის ქრონოლოგიური განსაზღვრა. საკმარისია, ადამიანმა მისი წინასიტყვაობის შესაფერისი ადგილი გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, რამდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა ამ შემთხვევაში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი. არავითარი განსაკუთრებული ქრონოლოგიური ცნობები ამ

---

[19] I, 215.

[20] *առ Ատրներսեհ և Վահան և Բզդմիհր (Գիրք Թղթոց* 133, 7.9).

[21] იქვე, 138, 2.

[22] *Իշխանաց աշխարհիդ Ատրներսեհի և ամենայն լաւաց* (იქვე, 168, 2-3).

[23] იქვე, 170, 6-8; აგრეთვე გვ. 174, 18.

[24] იხ. *Եր. Տէր-Մինասեանց: Հ. Եկեղ. Հայրապետութիւնները* და სხვა გვ. 137—139, შენიშ. 2 და გვ. 140.

საკითხის გამოსარკვევად მას არ ჰქონია ხელთ, არამედ იძულებული ყოფილა სინქრონურობის, ანუ თანამედროვეობის მეთოდზე დამყარებული „წლის მრიცხველობით“ გამოეანგარიშებინა ყველა ამ ხანის თარიღები[25]. თვით ის მოსაზრებანი, რომელთაც ვახუშტი აიძულეს ჭეშმარიტად სწორედ მისგან განსაზღვრული თარიღები მიეჩნია და არა რომელიმე სხვა წლები, მას თავის თხზულებაში ჩამოთვლილი არა აქვს. სტეფანოს I ერისმთავრობის თარიღად 600—619 წწ. აქვს მიღებული[26], ადარნასესათვის 619—639 წწ.[27] და სტეფანოს II-სთვის 639—663 წწ. დაუწესებია. ბართოლომე, ე. პახომოვი და უკანასკნელად პროფ. გ. ჩუბინაშვილი ეცადნენ ვახუშტის მიერ შემუშავებული ქრონოლოგია შეესწორებინათ. მაგრამ თუ სტეფანოსისთვის ასე თუ ისე ნუმიზმატიკური ცნობების გამოყენება შეიძლებოდა და გამოყენებული იყო კიდეც, ადრნერსესთვის ამგვარი დასაყრდნობი საფუძველი, ზემოაღნიშნულის გარდა, რომელიც მისი მოღვაწეობის დასაწყისის დათარიღებას გვშველის, არ მოიპოვებოდა. უკვე ამ თარიღს უნდა ცხადეყო, რომ ვახუშტის ქრონოლოგია ურყევი არ იყო. პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ვახუშტისაგან მიღებული ადრნერსეს ერისმთავრობის დასასრულის ინდიკტიონის შესწორებაც სცადა და ფიქრობდა, რომ სტეფანოს II გაერისმთავრებისათვის ვახუშტის დადებული თარიღი 639 წ. ოცი წლით უწინარეს, ანუ 620 წ. უნდა ვიგულისხმოთ. ამის საბუთად მას ქართლის მემატიანის ერთი ცნობა მოჰყავს, რომლის მიხედვითაც ჰერაკლე კეისრის საქართველოში შემოსვლის დროს ადრნერსეს მაგიერ სტეფანოსია[28]. მართლაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სწორედ ასე გვისურათებს მაშინდელი საქმეების ვითარებას[29]. მაგრამ მარტო ის გარემოება, რომ ამ მემატიანეს ჰერაკლე კეისრის თანამედროვედ სტეფანოს დიდი, ე. ი. I, მიაჩნია და არა მეორე, როგორც პროფ. გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს[30], ამ ცნობას საეჭვოდ ხდის, მით უმეტეს, რომ უტყუარი საბუთის თანახმად 605—607 წწ. აღმოსავლეთ საქართველოს ერისმთავრად ადრნერსეა და არა სტეფანოსი. ცხადია, არც ქართლის მოქცევის შემდგენელს ჰქონია ნამდვილი ცნობები ამ პირთა მთავრობის დროის შესახებ და თავის თხზულებაში დაახლოებითი, იქნებ იმავე თანამედროვეობის მეთოდის საშუალებით, ხანის განსაზღვრის დროს შეცდომა მოსვლია. მისი ცნობა სანდო უნდა იყოს, როგორც ეტყობა, მხოლოდ მთავართა ურთიერთშორისი ნათესაობითი დამოკიდებულებისა და ჯვრის ეკლესიის აგების შესახებ.

ადრნერსე განთქმული მთავარი ყოფილა და მის მოღვაწეობაზე სხვავანაც გვხვდება ცნობა, რომელიც მისი ერისმთავრობის დასასრულის ინდიკტიონის განსაზღვრას უფრო მტკიცე საფუძვლით შეგვაძლებინებს. სომეხთა ისტორიკოს მოსე კალანკატუელს სახელდობრ აღნიშნული აქვს (რასაკვირველია, თავისი ერთ-ერთი უფრო ძველი წყაროს მიხედვით), რომ ალბანთა მთავარი ჯუანშირი სპარსელებთან ბრძოლის დროს დაჭრილი პირველი გამარჯვების

[25] იხ. ვახუშტი, საქ. ისტორია, I (დ. ბაქრაძის გამოცემული), გვ. IV—V.

[26] იქვე, 109.

[27] იქვე, 113.

[28] მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი („თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“ № 2), გვ. 58—61: Die Kleine Kirche des Heiligen Kreuzes von Mzchelha (Untersuchungen zu Gesch. d. georg. Baukunst. Erster Band. Erstes Heft. Tiflis 1921), გვ. 43—44,46.

[29] იხ. Описание, II, 724 და 726.

[30] უნდა აღენიშნო, რომ იგი ადრნერსეს და სტეფანოზ I თარიღებით ისე არ იყო დაინტერესებული, რამდენადაც გუარამისით (იხ. მისი ზემოდასახ. თხზულება, 44).

შემდგომ ქართველთა საზღვრებში იმყოფებოდაო. იქ მასთან მოვიდა კაცი დიდად პატიოსანი, ამ ქვეყნის მმართველი ადრნერსე მთავარი, რომელსაც რომაელთა მეფობისაგან სამმაგი პატივი ჰქონდა. დაჭრილისადმი მოვლა-მზრუნველობის გარდა მან დაურღვეველი საზავო ურთიერთშორისი ხელშეკრულება დადვა და ქართველთა ჯარი მიაშველა ალბანთა მთავარს[31]. სომხური საისტორიო წყაროს ცნობა იმ სამმაგი პატივის შესახებ ჩვენთვის ახლა ადვილი გასაგები არ არის და ამის გამო ბუნდოვანად გვეჩვენება, განუმარტავად მაინცდამაინც გამოუდეგარი იქნება.

ბიზანტიაში კეისრები საკარისკაცო პატივებს რომ ურიგებდნენ, ამასთანავე ერთად მათ ყოველწლიურად სარგო ეძლეოდათ, რომელსაც როგა (ῥόγα), ანუ მერმინდელი ქართული გამოთქმით როჭი ეწოდებოდა. ზოგჯერ ბიზანტიის მეფეები ერთსა და იმავე პირს ერთბაშად რამდენსამე, ორს ან სამს და მეტს პატივსაც აძლევდნენ ხოლმე, რასაკვირველია, რომ ამ საშუალებით მას უფრო მეტი როჭი მიეღო ბიზანტიის სახელმწიფო ხაზინიდან. მაგ., მიხეილ ატტალიოტი იყო პატრიკიოსი და ანთიპატოსი, ამალფიის ჰერცოგი იოანე III სამი პატივით ყოფილა დაჯილდოებული და იწოდება პატრიკიოსად, ანთიპატოსად და ვესტად[32]. ამგვარადვე კეისარი მიხეილ VII დუკა 1074 წ. რობერტ გვისკარს, რომლის ასულსაც სარძლოდ თხოულობდა, ჰპირდებოდა, რომ მის ერთ-ერთ შვილს ერთბაშად 10 პატივს მისცემდა კურაპალატობიდან მოყოლებული სპათაროკანდიდატამდის, რომ ამგვარად მას ყოველწლივ ბიზანტიის ხაზინიდან 2 კენდინარი მიეღო როჭად[33]. სომხური საისტორიო წყაროს ზემომოყვანილი ცნობაც ადრნერსე ერისმთავრის შესახებ სამმაგი პატივის თაობაზე, რომელიც მას ბიზანტიის სამეფოდან მიღებული ჰქონია, უეჭველია ამგვარადვე უნდა გავიგოთ: ადრნერსეს ერთბაშად სამი პატივი ექნებოდა მოცემული. მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაში იგი. ჰპატოსად არის მოხსენებული. ჰპატოსი ლათინური კონსულის ბერძნული შესატყვისობაა, თავდაპირველად რომის სახელმწიფოში დიდ ხელისუფლებად მიჩნეული, იმპერატორობის ხანაში თანდათანობით ჩამოქვეითდა. XI ს-ში ბიზანტიაში იგი მესამე პატივი იყო ქვევიდან მოყოლებული (იქვე). ამ დროსაც ჰპატოსობა შედარებით დიდ პატივად ითვლებოდა და მისი წარამარა დარიგება არ შეიძლებოდა. XI ს. ბიზანტიელი დიდებულის დარიგებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბერძენთა მეფეები, თუ არ უცხოელ მეფეთა გვარიშვილებს, ჩვეულებრივ უცხო ქვეყნელებს, გინდაც კარგი შთამომავლობისას, ბიზანტიის სამსახურში მყოფთ პატრიკიოსობასა და ჰპატოსობას არ აძლევდნენ[34]. VII ს-ში ცხადია, ჰპატოსობას უფრო მეტი მნიშვნელობა და ფასი ექნებოდა.

---

[31] ...„*Դադարէր զօրմնովլաւ սահմանօքն վրաց։ Եւ անդ մեծապատուեալն Ատրներսեհ իշխան աշխարհին՝ որ երրեակ զահեկիցութիւն ՚ի Հոռոմայեցւոց թագաւորութենէն ունէր. զայր նա և իւրովի պատէր զվէրս նորա, մեծի քաջութեան նորա զկորովութիւն խնդութիւն համարեալ։ Յայնժամ խաղաղական և անքակ միաբանութիւն հաստատեալ ընդ միմեանս՝ տանէր յօգնականութիւն զզօրս վրաց* (*Պատ. Աղուանից*, ლუკასიანის გამ. 202—204).

[32] М. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 163.

[33] М. П. В. Безобразов, Материалы для истории Византийской империи: *ЖМНПр*. 1889, сент., გვ. 25.

[34] В. Васильевский, Советы и разсказы Византийского боярина XI века: *ЖМНПр*, 1881, август, გვ. 319.

ამის შემდგომ ცხადი უნდა იყოს, რომ მოსე კალანკატუელის წყაროს ცნობა ადრნერსე ქართველთა მთავრის ბიზანტიის სამეფოდან სამმაგი პატივით დაჯილდოვებულების შესახებ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რადგან ჲპატოსობა მესამე საფეხური იყო ქვემოდან, ამიტომ ადრნერსეს ჲპატოსობის გარდა პროტოსპათარობა და სპათაროკანდიდატობაც უნდა ჰქონოდა, ე. ი. მართლაც ერთბაშად სამი პატივის მქონებელი ყოფილა.

ასეა თუ ისე მაინც, რაკი სომხურ წყაროში მოხსენებული ადრნერსე ქართველთა მთავარი ბიზანტიის სახელმწიფოს პატივით ყოფილა შემკული და მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერებშიც იგი ჲპატოსად, ე. ი. ბერძნული ნაკარისკაცო პატივით „შემკულად არის მოხსენებული, ამიტომ ქართული ეპიგრაფიკული და სომხური საისტორიო წყაროს ცნობები ერთიმეორეს კარგად უდგება.

რადგან ადრნერსე ერისმთავრის მოღვაწეობის დასაწყისის თარიღი დაახლოებით მაინც გამორკვეული გვაქვს, საჭიროა ზემომოყვანილი ცნობის ქრონოლოგიური განსაზღვრაც. თუმცა მოსე კალანკატუელს თარიღი ამ ადგილას დასახელებული არა აქვს, მაგრამ მოთხრობის მიმდინარეობის მიხედვით ამ ამბის ქრონოლოგიურად გამორკვევა მაინც შეიძლება და თვით ავტორსაც ნაგულისხმევი უნდა ჰქონდეს.

ალბანთა ისტორიაში სახელდობრ ნათქვამია, რომ იეზდიგერდ სპარსთა მეფის ბატონობის მეექვსე თვეს ჯუანშირი ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფილა[35]. აქ იეზდიგერდ III იგულისხმება, რომელიც 628—632 წწ. განმავლობაში სპარსეთში გამეფებული ანარქიის შემდგომ, როდესაც 12 შაჰი ავიდა და ჩამოგდებულ-მოკლული იყო სპარსეთში, 632 წ. ერანის ბატონად იქნა არჩეული.

მაშასადამე, 632 წ. ალბანთა მთავარი ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფილა და არაბთა პირველ შემოსევის დროს ბრძოლაშიაც კი მონაწილეობას იღებდა[36]. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ 633 წ. ჯუანშირი სპარსეთში უნდა გვეგულებოდეს. მოსე კალანკატუელის ცნობებს თუ დავუჯერებთ, ჯუანშირს ვითომც 7 წელიწადი (*ամս եօթն*) სპარსეთში არაბებთან ბრძოლაში უნდა გაეტარებინოს[37], ე. ი. თითქოს 642 წ-მდე ირანში ყოფილიყოს. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან 642 წ. იეზდიგერდ III არაბთაგან საბოლოოდ დამარცხდა და ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში, როდესაც სპარსეთი უკვე განადგურებული იყო, ძნელი წარმოსადგენელია, რომ სპარსელებს ალბანეთში ჯუანშირთან ბრძოლის უნარი და ხალისი ჰქონოდათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ადგილას სომხურ ტექსტში თავდაპირველად 7 თვე (*ամիսս եօթն*) ეწერებოდა და გადამწერთაგან შემდეგ შეცდომით 7 წლად (*ամս եօթն*) იქცა.

თუ ჩვენი შესწორება სწორია, მაშინ ალბანთა მთავარი ჯუანშირი 633—4 წწ. უკვე თავის სამშობლოში უნდა ვიგულისხმოთ, სადაც იგი სპარსეთის და-

---

[35] *Պատմ. Աղուանից*, 201.

[36] გვ. 201.

[37] იქვე, 202.

სუსტებითა და დაცემით გამხნევებული, უკვე თავის ბატონობის განსამტკიცებლად იბრძვის[38]. რამდენადაც სომხური წყაროს სიტყვებიდანა ჩანს, სწორედ ამ ხანში, ე ი. დაახლოებით 634—635 წწ. უნდა მომხდარიყო ადრნერსეს და ჯუანშერის ზემოხსენებული დაზავება და მოკავშირეობა. ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ 634 წ. ადრნერსე ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

მაშასადამე, მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქანდაკება ადრნერსეს გამოხატულების მქონებელი და მისი წარწერით შემკული 604—605 წწ. — 634 წ. შუა უნდა ყოფილიყო გაკეთებული. მაგრამ ამ წარწერაში ამომჭრელი მოქანდაკე ადრნერსეს ჳპატოსად იხსენიებს, ამისდა მიხედვით შეიძლებოდა ამ წარწერის ქრონოლოგიური განსაზღვრა უფრო ზედმიწევნითაც, ადრნერსეს გაჳპატოსების თარიღი რომ გვცოდნოდა. ამ თვალსაზრისით იქნებ უმნიშვნელო არ იყოს ის გარემოება, რომ ადრნერსე 604—607 წწ. სომეხ-ქართველთა შორის ატეხილ საპაექრო მიწერ-მოწერაში ჳპატოსად არსად იხსენიება. აქედან შესაძლებელია ისეთ დასკვნას დასდგომოდა ადამიანი, რომ 607 წ. ადრნერსე ერისთავს ჳპატოსობის პატივი ბიზანტიის კეისრისაგან ჯერ მიღებული არ ჰქონდა და ამის გამო მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერა 607 წ. უწინარესი არ უნდა ყოფილიყო და 608—634 წწ. შუა უნდა ვიგულისხმოთ ამოჭრილად. მაგრამ რადგან მიწერ-მოწერაში ადრნერსე შეიძლება შემთხვევით არ იყოს ჳპატოსად აღნიშნული ან იმიტომ, რომ ჳპატოსობის მოხსენებას სავალდებულოდ არ თვლიდნენ და მისი ერისმთავრობა უფრო საპატიო წოდებულებად მიაჩნდათ, ამიტომ, მეცნიერული სიფრთხილის გამო, თითქოს ემჯობინებოდა, ჯერჯერობით მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ადრნერსეს წარწერა VII ს. პირველ ნახევრისად მიგვეჩნია, ერთი გარემოება რომ გასათვალისწინებელი არ იყოს.

სომეხ-ქართველ კათალიკოსთა მიწერ-მოწერიდან ვიცით, რომ ამ დროს 605—607 წწ. აღმოსავლეთი საქართველო ისევ სპარსეთს ეკუთვნოდა. ამის შემდგომ, რასაკვირველია, ადრნერსე ერისმთავარს ბიზანტიის საპატიო წოდებულება არც შეიძლება რომ ჰქონოდეს და სწორედ ამიტომაც არის, რომ მიწერ-მოწერაში მისი ჳპატოსობის ხსენებაც არ მოიპოვება. ეს გარემოება, მაშასადამე, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 605—607 წწ. საბუთებში ადრნერსეს მარტო მთავრად მოხსენება და მისი ჳპატოსობის აღუნიშვნელობა შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, არამედ მაშინდელ საქმეთა ვითარების ნამდვილ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს.

თუ ეს მართალია, მაშინ ისიც ადვილი გამოსაცნობი გვექნება, თუ როდის შეიძლება, რომ ადრნერსე ერისმთავარს ჳპატოსობა მიეღო. ცხადია, ჳპატოსობა ადრნერსესთვის ჰერაკლე კეისარს უნდა მიეცა მაშინ, როდესაც მან აღმოსავლეთი საქართველო და ტბილისი სპარსელებს გამოგლიჯა ხელიდან, ე. ი. 626 წ. ახლო ხანებში.

მაშასადამე, ჯვრის ეკლესიის ადრნერსეს წარწერა დაახლოებით 626—634 წწ. უნდა ეკუთვნოდეს.

ახლა მცხეთის ჯვრის ეკლესიის დანარჩენი წარწერებია ქრონოლოგიურად განსასაზღვრავი. ჯვრის ეკლესიის ნამდვილი აღმაშენებელნი სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი და დემეტრე ჳპატოსი ძმები ყოფილან[39]. მართალია, ეს

---

[38] იხ. Պատմ. Աղուանից, გვ. 203—205.

[39] მქ˝ცა ქ˝ა: Описание, II, 724.

საქმე გუარამ ერისთავს დაუწყია, მაგრამ მემატიანის სიტყვით მან მხოლოდ «დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯ˘ა»[40], თვით შენობის აგებას კი სტეფანოს პატრიკიოსი შესდგომია. პროფ. გ. ჩუბინაშვილი თავის ზემოხსენებულს თხზულებაში გვარამს პატარა ეკლესიის აღმაშენებლად თვლის.

სტეფანოსის სახელით შემკული ვერცხლის ფულები, ერთი მხრივ, ჰორმუზდ IV-ის (579—590) მეფობის უკანასკნელი წლის, 590 წ., ფულის მიმბაძველობას წარმოადგენს, მეორე მხრით — ხოსრო II-ის (590—628) ფულს მიაგავსო. ქართული ფულების უკანასკნელი მკვლევარი ე. პახომოვი ფულების ამ ორ ჯგუფს ორ სხვადასხვა მთავრის სტეფანოს I და მე-II-ის ფულებად თვლის[41]. პროფ. გ. ჩუბინაშვილი პახომოვის საბუთიანობას არღვევს და ფულების ორსავე ჯგუფს, ერთისა და იმავე მთავრის, სტეფანოს I-ისად ცნობს[42]. ასეა თუ ისე, სტეფანოს I, ფულების პირველი ჯგუფის მიხედვით, 590—591 წწ. ქართლის მთავრად შეიძლება ვიგულისხმოთ. ხოლო, როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, დაახლოებით 604—605 წწ: მაინცდამაინც უკვე 606 წლამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მთავართა სათავეში სტეფანოსი აღარა ჩანს და ადრნერსე იხსენიება. მაშასადამე, სტეფანოს I-ის ერისმთავრობა სულ ცოტა 591 წლიდან უნდა ეიანგარიშოთ 604—605 წლამდე.

მცხეთის ჯვრის ეკლესიის სტეფანოსის წარწერის ქრონოლოგიურად განსაზღვრისათვის, რასაკვირველია, მისი წოდებულების გამოყენებაც შეიძლება: აქ იგი ქართლის პატრიკიოსად იხსენიება. ცხადია, რომ ამ წოდებულების მიღება მას მხოლოდ ბიზანტიის კეისრისაგან შეეძლო იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო ბიზანტიის მეფის მფარველობის ქვეშ მოექცა, ე. ი. 591—604 წწ. შუა[43]. უფრო საფიქრებელია, რომ კეისარ მავრიკიოსს სტეფანოსისათვის იბერიის დაპატრონების პირველ ხანებშივე მიეცა პატრიკიოსის წოდებულება მისი გულის მოსაგებად. ამის გამო სტეფანოსის წარწერა დაახლოებით 591—600 წწ. უნდა იყოს ამოჭრილი.

საფიქრებელია, რომ ბიზანტიის კეისარს იმავე დროს, როდესაც სტეფანოსისათვის პატრიკიოსობა მიუცია, მისი ძმის დემეტრესთვის ჰპატოსობა ეწყალობებინოს. ჰპატოსობა პატრიკიოსობაზე ერთი საფეხურით უფრო დაბლა იდგა. მაშასადამე, დემეტრეს წარწერაც დაახლოებით იმავე ხანას, VI ს. უკანასკნელ ათეულს უნდა ეკუთვნოდეს.

გამოსარკვევი გვაქვს ახლა მხოლოდ ქობულ-სტეფანეს წარწერის თარილი. მცხეთის ჯვრის ეკლესიის ეს წარწერა, უეჭველია, ყველაზე უფრო მერმინდელია. გამოქანდაკებულ პირს ორი სახელი ჰქონია, ერთი (ქობულ) ამ პირის ჩვეულებრივი წარმართული სახელი უნდა იყოს, ხოლო მეორე ქრისტიანული (სტეფანე) მისი ნათლობის სახელი იქნება. ზემოაღნიშნულ ქართველ ისტორიკოსთა ცნობითაც მცხეთის ჯვრის აგებაში ორ სტეფანოსს მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან მეორე ადრნერსეს შვილად არის აღნიშნული.

---

[40] იქვე.

[41] Е. Пахомов, Монеты Грузии, I (отд. отт. из IV вып. I тома *Записок Нумизм. Отд. Русск. Арх. Общ.*), СПБ., 1910, გვ. 28—29 და 30—36.

[42] მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი (თბ. უნივ. მოამბე, II), 59—60: Die kleine Kirche des Heiligen Kreuzes von Mzchetha (Untersuchungen zur Gesch. d. georg. Baukunst. Erster Band. Erstes Heft), Tiflis, 1921, 42.

[43] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I[2], 214—215.

საყურადღებოა, რომ ისტორიკოსი ჯუანშერის სიტყვით სტეფანოს ადრნერსეს ძეს, როცა ჯვრის ეკლესია დაუმთავრებია, დღესასწაულებიც დაუწესებია. იმ სადღესასწაულო კრებათა შორის, რომელსაც წინაშე პატიოსნისა ჯუარისა იხდიდნენ, ერთი თურმე ყოველთა სამშაბათთა ყოფილა, როდესაც დაუწესებიათ ქსენება პირველ მოწამისა სტეფანესი და სხვა მოწამეთა[44]. აღსანიშნავია, რომ ჯვრის ეკლესიის ქანდაკებაზე ქობულ-სტეფანეც სწორედ პირველ მოწამე სტეფანეს წინაშე მეედრებელად არის გამოყვანილი. ეს გარემოება ქობულ-სტეფანესა და ისტორიკოსთა სტეფანოსის ერთისა და იგივეობის დამამტკიცებელი უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ ქობულ-სტეფანეს არც წარწერაში აქვს რაიმე ბიზანტიური პატივი და არც ქანდაკებით არის სხვებივით წამოსასხმით გამოხატული. უეჭველია, ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სტეფანე მართლაც არავითარი ბიზანტიური პატივით დაჯილდოებული არ უნდა ყოფილიყო. რადგან ადრნერსე ჰპატოსის წარწერა, როგორც დავრწმუნდით, 626—634 წწ. შუა უნდა იყოს ამოჭრილი, ქობულ-სტეფანეს წარწერა უფრო მერმინდელად არის საფიქრებელი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"[45] და დანარჩენი ქართული წყაროები ამ სტეფანოსს არაბთა სპარსეთსა და საქართველოში შემოსევის თანამედროვედა თვლიან და, ვგონებ, მართალიც უნდა იყოს. შესაძლებელია, ამითვე აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ქობულ-სტეფანეს არავითარი ბიზანტიური პატივი აღარ ამშვენებდა: ბიზანტიის მფარველობა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მოსპობილი იყო. ყველა ზემოთქმულის შემდგომ, ვგონებ, შესაძლებელი უნდა იყოს დავასკვნათ, რომ ქობულ-სტეფანეს წარწერა დაახლოებით VI—VII საუკუნის შუა წლებს ეკუთვნოდეს.

ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერების დათარიღება საშუალებას გვაძლევს ქართული პალეოგრაფიისათვის და ენათმეცნიერებისათვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გადავწყვიტოთ. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მრგვლოვანი ასომთავრულით ნაწერი უთარიღო ძეგლების დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა სამი ასოს მოხაზულობასა აქვს, სახელდობრ, ბანისას, ჲიესას და ყარისას. ამათგან ბანი, როგორც ახლა გამოირკვა, უძველეს ხანაში თავშეკრული იწერებოდა, შემდეგ კი მას თავი გაეხსნა ჯერ ოდნავ, შემდეგ თანდათანობით სრულებითაც. რაც უფრო მერმინდელია ძეგლი, ბანს საზოგადოდ მით უფრო მეტად აქვს გახსნილი თავი. გამოსარკვევი იყო, თუ სახელდობრ როდის გაეხსნა ამ ასოს თავი, რომ ამ ნიშნის მიხედვით უძველესი უთარიღო ძეგლების დათარიღება შესაძლებელი გამხდარიყო.

ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერაში, როგორც დავრწმუნდით, ბანი ჯერ კიდევ სრულებით თავშეკრულია, ე. ი. V ს. დასასრულსა და VI ს. დამდეგს ამ ასოს ძველი მოხაზულობა წინანდებურად დაცული აქვს. ხოლო ქობულ-სტეფანეს მცხეთის ჯვრის წარწერაში ბ უკვე ოდნავ თავგახსნილია. ეს წარწერა, როგორც გამოირკვა, VII ს. შუა წლებს ეკუთვნის.

მაგრამ რადგან ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანს თავი პირველად სწორედ ამ წარწერის ამოკვეთის დროს გაეხსნა და თანაც ვიცით, რომ ამგვარი პროცესი დამწერლობაში თანდათანობით ხდება და მისი დასაწყისი უფრო ხელნაწერებშია საძებნელი, ვიდრე ეპიგრაფიკაში,

44 ც῀ა ვახტანგ გურგასლისაჲ, *415, გვ. 197.

45 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание, II, 726.

ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ბანს თავი უნდა VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და VII ს. პირველ ნახევარს შორისს ხანაში გახსნოდა. რადგან ქობულ-სტეფანეს წარწერის ბანს თავი თუმც ოდნავ, მაგრამ უკვე მკაფიოდ თავგახსნილი უჩანს ამიტომ პროცესის დასაწყისი დაახლოებით VI ს. დამლევსა და VII ს. დამდეგს არის უფრო მოსალოდნელი.

ქართული ენათმეცნიერების, სახელდობრ, ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისათვისაც ბოლნის-მცხეთის ჯვრის წარწერები ძეგლების დასათარიღებლად საყურადღებო ქრონოლოგიური საფუძვლის შექმნის საშუალებას გვაწვდიან. პროფ. აკ. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბოლნისის სიონის ორსავე წარწერაში, რომელთაგანაც ერთი დავით ეპისკოპოსს, მეორე კი აზარუხტს ეკუთვნის, და მცხეთის ჯვრის დემეტრე ჰპატოსის წარწერაში მესამე პირის ობიექტურ თავსართად ჰაეს მაგიერ ხანია ნახმარი[46]. დავით ბოლნელი ეპისკოპოსის წარწერა, როგორც გამორკვეული გვქონდა, ან V ს. დამლევის, ან VI ს. დამდეგისა უნდა იყოს, 506 წ. ახლო ხანისა. აზარუხტის წარწერის დათარიღებისათვის სამწუხაროდ არავითარი დასაყრდენობი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ვგონებ ან ცოტა მერმინდელია, ან დაახლოებით იმავე ხანასვე უნდა ეკუთვნოდეს. მაინცდამაინც იგიც VI საუკუნის ძეგლია. მცხეთის ჯვრის დემეტრე ჰპატოსის წარწერაც ქრონოლოგიურად დაახლოებით განსაზღვრული გვაქვს და 591—600 წწ. შუა უნდა იყოს ამოჭრილი. ქართული ენის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ ადრნერსე ჰპატოსის წარწერაში დემეტრეს წარწერის მსგავსად მეოხ ხეყავ კი არ არის, არამედ მეოხ ეყავ, ე. ი. მესამე პირის ობიექტური თავსართი ხანი აღარ მოიპოვება.

როგორც ქვემოთ გამორკვეული იქნება და ახლად აღმოჩენილი ხელნაწერებიც ამას უცილობლად ადასტურებენ, ხან თავსართის ჯერ ჰაედ ქცევა და შემდეგ ხმოვნების წინ სრული გაქრობა ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საერთო მოვლენა ყოფილა. გამოსარკვევია მხოლოდ ამ მოვლენის დასაწყისის ხანა და თარიღი. ადრნერსე ჰპატოსის წარწერა სწორედ იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ზემოაღნიშნული მოვლენის დათარიღების საშუალებას გვაძლევს. რაკი იგი, როგორც დავრწმუნდით, 626—634 წწ. უნდა იყოს ამოჭრილი და ამ წარწერაში ხანი უკვე აღარ მოიპოვება, დემეტრე ჰპატოსისაში კი ხანი წინანდებურად იხმარება, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ხანის გაქრობის პროცესი VII ს. პირველ მეოთხედში დაწყებულა. რასაკვირველია, ამგვარი მოვლენა ერთბაშად არ ხდება და თანდათანობით ვრცელდება ხოლმე, ამის გამო მისი ზედმიწევნითი დათარიღებაც შეუძლებელია. საფიქრებელია, რომ ხანი საქართველოს რომელსამე კუთხეში უფრო ადრეც, უკვე VI ს. დამლევსაც ჰაედ გადაქცევის პროცესს დასდგომოდეს იმ დროს, როდესაც განათლებული წრეების უმრავლესობა ძველს გამოთქმასა და მართლწერას მისდევდა, იმგვარადვე როგორც VII ს. მეორე მეოთხედშიც, როდესაც უკვე ხანის გადაგვარების პროცესი ადრნერსე ჰპატოსის წარწერით არის დამოწმებული, და შესაძლებელია სხვებსა და უეჭველია საქართველოს ზოგს კუთხეებში მერმეც

---

46 იხ. მისი 1922 წ. 23 მაისს საქართველოს საისტორიო საზოგადოების სხდომაზე „ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშების“ სათაურით წაკითხული მოხსენება, რომლის ერთი ნაწილიც თბილისის უნივერსიტეტის მოამბის ამავე (№ 2) წიგნშია დაბეჭდილი ამ სათაურით: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ჴმარებისა ჴმოვნების წინ ქართულ ზმნებში“, გვ. 262—281.

კარგა ხანს ხანის ხმარებისათვის თავი არ მიენებებინათ. ცხადია მხოლოდ, რომ ხან თავსართის გარდანივთების პროცესი VII ს. პირველი ნახევრის დამლევისათვის უკვე სრულებით მკაფიოდ ყოფილა გამოხატული.

VI

სანამ ამ ხუთი ხელნაწერისა და ტექსტის დათარიღების საკითხის განხილვას განვაგრძობდეთ, უნდა მათ შესახებ მოკლე აღწერილობითი ხასიათის ცნობები მოგახსენოთ.

ოქსფორდის პალიმფსესტის ორიგინალის ნამდვილი ზომა პ. კოკოვცოვს არ სცოდნია, ფოტოგრაფიული სურათი კი in 12° ტანისა ყოფილა[47]. ფოტოტიპიური დანაბეჭდის მიხედვით პირვანდელი ქართული ტექსტი ორ სვეტად ყოფილა ნაწერი. თითო სვეტში ოცი სტრიქონია, გარშემო ეტრატს ფართო კიდეები ჰქონია, როგორც ეს შენახული ქვედა კიდით მტკიცდება. ტექსტი მსხვილი ლამაზი მრგლოვანი ასომთავრული დამწერლობით არის გამოყვანილი და ფართოდ არის დაწერილი. გადარეცხვისა და ზემოდან გარდიგარდმო დაწერილი ებრაული ტექსტის გამო თუმცა პირვანდელი ნაწერის ყველგან გარჩევა შეუძლებელია, მაგრამ, რაკი რამდენსამე ადგილას მკაფიოდა ჩანს, მაინც უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ განკვეთილობის ნიშნები ერთი და ორი წერტილის სახით ნახმარი ყოფილა. მთავარი ასოებიც ნახმარია, მაგრამ ტექსტი არც თავებად და არც მუხლებად დაყოფილი არ ჩანს.

თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერის № 737 შესახებ თ. ჟორდანიას აღწერილობაში ნათქვამი აქვს, რომ 338 გვერდიანი 15×14 სანტიმ. ეტრატის ხელნაწერია და დაზიანებული ყდა აქვს, რომ იგი პალიმფსესტია, რომლის უძველესი ტექსტი VI—VII სს. ასომთავრულით არის ნაწერი და წასაკითხავადაც ადგილ-ადგილ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენსო. მერმინდელი ნაწილი კი მას XIV ს-ად მიაჩნია[48]. თ. ჟორდანიას არავითარი მოსაზრება აღნიშნული არა აქვს, თუ რატომ ფიქრობდა, რომ თავდაპირველი ნაწერი მართლაც VI—VII სს. იყო, არც ისა აქვს ნათქვამი, თუ რა ამოიკითხა ამ ადგილებში, სადაც ტექსტის წაკითხვა შესაძლებელია. ეს გარემოება მით უფრო გასაოცარი, რომ ხელნაწერი თვით თ. ჟორდანიას საკუთრება ყოფილა და 213 გვერდზე თავისივე ხელით ქვედა კიდეზე მელნით დაუწერია: „ეს ძვირფასი ხელნაწერი შემიწირავს თბილისის საეკლესიო მუზეუმისათვის. თ. ჟორდანია", ხოლო უკანასკნელი გვერდის მარცხენა კიდეზე აღუბეჭდია: „წავიკითხე, თ. ჟორდანია 1885 წ." ის გარემოება, რომ 1885 წლიდან მოყოლებული, როდესაც მას ეს ხელნაწერი წაუკითხავს, 1908 წლამდე, როდესაც ამ ხელნაწერის აღწერილობა სხვებთან ერთად დაბეჭდა, არაფერი გამოუქვეყნებია ამ მართლადაც ძვირფასი ხელნაწერის შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ აქ თ. ჟორდანია უფრო ალღოთი და პრაქტიკული გამოცდილებით გრძნობდა, რომ ძველ ნაწერთანა ჰქონდა საქმე, ვიდრე რაიმე გარკვეული კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა თავისი მსჯელობის დროს ხელნაწერის თარიღის შესახებ. ტექსტიც იმდენად, ალბათ, ვერსად ამოუკითხავს, რომ მისი შინაარსის გაგება და მნიშვნელობის დაფასება შეძლებოდა, თორემ ვინც მას წაიკითხავდა და წაი-

[47] Записки Вост. Отд., XI, 195.

[48] Описание рукописей Тбил. Церковного Музея, II, 198—199.

კითხავს, იგი ამ ხელნაწერს თავს ვეღარ დაანებებს. იქნება აგრეთვე ამ ხელნაწერს ძვირფასად თ. ჟორდანია იქ მოთავსებული ეფთვიმე მთაწმიდელის მართლაც საყურადღებო ეპისტოლის გამო თვლიდა, რომლის ტექსტიც მან თავისი ქრონიკების მეორე წიგნში დაბეჭდა.

ეს ხელნაწერი მთლად პალიმფსესტია თავიდან ბოლომდის, ბევრგან ჩაშავებულ-დაკრუნჩხულა, მაგრამ ძველი ქართული ტექსტი სხვადასხვა დროის დამწერლობით არის ნაწერი. ასომთავრულის გარდა ნუსხა-ხუცურით ნაწერიც გვხვდება, და უეჭველია სხვადასხვა ხელნაწერებიდან უნდა იყოს შედგენილი. ბევრგან ტექსტი ისეა გადარეცხილ-გადაფხეკილი, რომ უკვე აღარაფრის გარჩევა არ შეიძლება, თუ პირვანდელი ტექსტი, რასაკვირველია, ქიმიურმა დამუშავებამ არ გამოაჩინა. ზოგან იმის გარჩევა მაინც ხერხდება, რომ ტექსტი მრგვლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი. ამგვარ ფურცლებზე ყველგან ერთნაირი დამწერლობა არ ეტყობა, არამედ სულ ცოტა სამი სხვადასხვანაირი დამწერლობის ძეგლებთანა გვაქვს საქმე. სხვებზე უფრო მნიშვნელოვანია გვერდები 235—246, 260—266 და 323—338, სადაც ტექსტი მშვენიერი მსხვილი მრგვლოვანი ასომთავრულით არის ნაწერი ფართოდ და განკვეთილობის ნიშნებითურთ.

ბანი აქ თავშეკრულია და ენაც უძველესი.

რადგან ძველი ხელნაწერი დაუპატარავებიათ პალიმფსესტად ქცევის დროს და კიდეები ჩამოუჭრიათ, თავდაპირველი ტექსტი რამდენ სტრიქონიანი იყო, ახლა ძნელი სათქმელია. მაგრამ ზოგ ფურცელზე 12 სტრიქონია შერჩენილი და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ამაზე მეტი არა, თითო გვერდზე სულ ცოტა 12 სტრიქონი მაინც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ხელნაწერის დაშლის შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა იმის გამორკვევაც, ორ თუ ერთ სვეტად უნდა ყოფილიყო ნაწერი თავდაპირველი ტექსტი. ზემოაღნიშნულ ფურცლებზე შენახული ძველი ტექსტი ზოგან ჩვეულებრივ აღუჭურველი თვალითაც იკითხება, ხოლო ბევრგან გამადიდებელი შუშის დახმარებით ხერხდება გადარეცხილი ნაწერის აღდგენა-ამოკითხვა და აპოკრიფული საქმენი მოციქულთანი გამოდგა.

თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ეტრატის ხელნაწერის № 89 შესახებ თ. ჟორდანიას კატალოგში აღნიშნული აქვს, რომ იგი 904 გვერდიანი 28×16 სანტიმეტრის ტანის ხელნაწერი პალიმფსესტია, რომლის უძველესი ტექსტი ძველი მსხვილი VI—VII სს. ასომთავრულით არის ორ სვეტად ნაწერი და ალაგ-ალაგ იკითხებაო. მერმინდელი ტექსტი მას IX—XI სს-ში ნაწერად მიაჩნია და იოანე ოქროპირის მათეს თავის სახარების თარგმანებას შეიცავს[49]. თუ რატომ მიაჩნდა თ. ჟორდანიას თავდაპირველი ნაწერი VI—VII სს. ნაწერად და რა იკითხებოდა ალაგ-ალაგ, ამაზე მას არც ამ შემთხვევაში აქვს რაიმე ნათქვამი, ალბათ, იმიტომ, რომ არც რაიმე დამაჯერებელი საბუთები მოეპოვებოდა და ტექსტის ამოკითხვაც იმდენად ვერ შეძლო, რომ მისი შინაარსი გაეგო და დაეფასებინა. ბ-ნ მ. ჯანაშვილს იგივე ხელნაწერი VII—VIII საუკუნისად აქვს მიჩნეული[50]. ეს ხელნაწერი დიდი ტანის წიგნია. მშვენიერი თეთრი მოყვითანო საუცხოოდ დამუშავებული ეტრატი[51] გადა-

[49] Описание рукописей, I, 90—91.

[50] იქვე, III, გვ. V.

[51] მხოლოდ ხელნაწერის თავში ქაღალდია ნახმარი რამდენიმე ფურცლისათვის; უეჭველია, ქაღალდი მერმინდელ შეკეთებისასაა დანართი.

რეცხვა-გადაფხეკასაც ისე ვერ დაუზიანებია, რომ მისი პირვანდელი მომხიბლავი თვისებების გათვალისწინება შეუძლებელი იყოს. გაშინჯვის დროს ცხადი შეიქმნა, რომ მერმინდელი ტექსტი თავდაპირველის გარდიგარდმო დაუწერიათ და თითოეული ორად დაუკეციათ. ხელნაწერის დაშლის შემდეგ გამოირკვა, რომ თავდაპირველად თითოეული ფურცლის ზომა 32×28 სანტიმეტრზე ცოტა მოზრდილი უნდა ყოფილიყო, რადგან ახალი ტექსტის დაწერისა და წიგნად შეკერის დროს კიდეები ოდნავ მაინც ჩამოჭრილი უნდა იყოს. ტექსტი მსხვილი მრგვლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი ორ სვეტად, თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია. განკვეთილობის ნიშნები ნახმარია და მუხლი მუხლისაგან განკვეთილობის ნიშნით არის გამოყოფილი, მაგრამ სათვალავები არა აქვს. ყოველი ახალი მუხლი მთავარი ასოთი იწყება. ტექსტი ფართოდ არის ნაწერი მშვენიერი მხატვრული ხელოვნებით აღსავსე დამწერლობით. ამ ხელნაწერის დიადი გარეგანი ღირსება, ყოველგვარი მერმინდელი ფხეკა-რეცხვის შემდგომაც ახლაც კარგადა ჩანს. სამწუხაროდ, თავდაპირველი ტექსტი ისე გულმოდგინედ არის წაშლილი, რომ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მისი ნაალაგევიღა მოჩანს და თითო-ოროლა გვერდებიღაა მარტო, გადარეცხილი ძველი ნაწერის წაკითხვა რომ შეიძლებოდეს. ქიმიური დამუშავება საკმაო საშუალებას გვაძლევს თავდაპირველი ტექსტის აღსადგენად. ხელნაწერი, როგორც ეტყობა, ერთი ნაწარმოებიდან არის გამოყენებული და ოთხთავი სახარება ყოფილა. თავშეკრული ბანი და ჴანის თავსართად ხმარება მის უაღრეს სიძველეს ამჟღავნებს.

თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი № 844, რომელიც აგრეთვე ქართული პალიმფსესტია ქართულივე თავდაპირველი მრგლოვანი ასომთავრულით ნაწერი ტექსტითურთ, იმდენად არის გადარეცხილი, რომ მისი თვალით ამოკითხვა თითქმის დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს. გამადიდებელი შუშით ძველი ნაწერის გულდასმითმა შესწავლამ დამარწმუნა, რომ ეს ხელნაწერი უმეტესად ორ სვეტად ნაწერი ტექსტითურთ უძველეს ჴანას უნდა ეკუთვნოდეს. ამას ცხადყოფს სხვა ასოებთან ერთად ბანის თავშეკრული მოხაზულობა ერთი მხრით (იხ. მაგ., ფურცელი 49), მეორე მხრით კი — ჴანის ხმარება მეორე პირის მაჩვენებლად ზმნაში (იხ. მაგ., „ჴიჴილო", ფურც. სვ. 1, სტრ. 5). თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია მოთავსებული. განკვეთილობის ნიშნები, იმგვარადვე როგორც მუხლებად დაყოფა, აქაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოველი მუხლი მთავარი ასოთი იწყება. მ. ჯანაშვილს ამ ხელნაწერის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იგი ეტრატისაა, 255 ფურცელს შეიცავს და 22×16 სანტიმ. ზომისაა და XI—XII სს. მიაჩნია, რომ ზოგი ფურცლები (ფ. 213, 234, 236 და სხვ.) პალიმფსესტია. მაგრამ, რა დროის ნაწერად თვლიდა მ. ჯანაშვილი ამ პალიმფსესტს, მას აღნიშნული არა აქვს. მისი სამართლიანი სიტყვით ხელნაწერი მეტად გაჭუჭყიანებული და გატალახიანებულია[52].

გულდასმითმა გადაშინჯვამ დამარწმუნა, რომ ამ ხელნაწერში მხოლოდ რამდენიმე ფურცელი კი არ არის პალიმფსესტი, არამედ თითქმის მთლად პალიმფსესტია და ორიოდე რვეულის გარდა, რომელიც სხვა ხელითა და იმავე მიმართულებით არის ნაწერი, რომლითაც მერმინდელი ტექსტია, ერთი მთლიანი ხელნაწერი უნდა იყოს პალიმფსესტად გაკეთებული. მერმინდელი ნაწერი თავდაპირველის გარდი-გარდმოა მოთავსებული. ფურცლები, როგორც ეს

---

[52] Описание рукописей, III, 57.

ხელნაწერის დაშლისა და ქიმიურად დამუშავების შემდგომ გამოირკვა, მსხვილი მრგვლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი. ხელი ლამაზია. განკვეთილობის ნიშნები და მუხლებად გამოყოფა აქაც მიღებულია. ყოველი მუხლი მთავარი ასოთი იწყება. ტექსტი ორ სვეტად ყოფილა ნაწერი და თითოეულ სვეტში აქაც 18 სტრიქონია მოთავსებული. თავდაპირველად თითოეული ფურცელი 32×22 სანტიმ.-ზე უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ახლა მას ხან ერთი, ხან მეორე კიდე საგრძნობლად და პირვანდელი ტექსტის დაზიანებით ჩამოჭრილი აქვს, უეჭველია, პალიმფსესტად ქცევის დროს. ძველი ტექსტი ფართოდ და ადგილისა და მასალის დაუზოგავად ყოფილა ნაწერი. მერმინდელი ტექსტის დასაწერად თითოეული ფურცელი ორად დაუკეციათ და ისე შეუკრავთ რვეულებად. მაშინვე, რასაკვირველია, ყოველი ოთხი გვერდის შემცველი ფურცელი ორად იქნებოდა გაჭრილი.

პირვანდელი ტექსტი ქიმიური დამუშავების შემდგომ ოთხთავ სახარებად აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იმგვარადვე როგორც № 89, ამ ხელნაწერშიც პალიმფსესტად შემზადების დროს თავდაპირველი ნაწერი ისე გადაურეცხიათ და გადაუფხეკიათ, რომ თუ ერთ გვერდზე ქიმიური დამუშავების შემდგომ ტექსტის წაკითხვა შესაძლებელი ხდება, მეორე გვერდზე ნაწერის მთლიანად აღდგენას ვერც ეს ძლიერი საშუალება შველის.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერი № 999 დაზიანებული ყდიანი პატარა ტანის (15×11½ სანტიმ.) წიგნია და ეტრატზეა ნაწერი. ყდის ზევითი ცალი ფიცარი აკლია. ხელნაწერში ამჟამად სულ 162 ფურცელია, რომელთაგან ბევრი დაზიანებულია და ჩაშავებულ-დაკრუნჩხული. თავიდან ბოლომდის მთელი ხელნაწერი სხვადასხვა დროის დამწერლობის ძეგლთაგან შედგენილი პალიმფსესტია: ზოგი ფურცლების თავდაპირველი ტექსტი ასომთავრულით არის ნაწერი, ზოგისა ნუსხა-ხუცურით. მარტო ასომთავრული პალიმფსესტებიც რომ ავიღოთ; აქაც სხვადასხვა დამწერლობასა და სხვადასხვა დროის ნაწყვეტებთანა გვაქვს საქმე. ამათგან ფურცლების ორი ჯგუფი მესამე ჯგუფის ფურცლების ნაწერებისაგან თავისი შედარებით უფრო მოზრდილი ტანის ასოებით განირჩევა. ეს ორი ჯგუფიც ურთიერთშორის ასოთა ტანითა, მოყვანილობითა და, რამდენადაც ახლა შეტყობა შეიძლება, მელნითაც განსხვავდება.

ერთი სულ ათიოდე გვერდის შემცველი ჯგუფი უფრო მსხვილი და მრგვალი ასომთავრულით არის ნაწერი და დაბადების ქართული თარგმანის ძნელად წასაკითხს ნაწყვეტებს შეიცავს. მეორე უფრო მრავალრიცხოვანი ფურცლების ჯგუფი პირველი ჯგუფისაგან თავისი ოდნავ მომცრო და ვიწროდ ჩამონაკვთილი ასოებით ხასიათდება, რომელთა გარეგანი სახე № 737-ის ნაწერისას მიაგავს. მისი მელანიც გადარეცხის შემდგომ ყვითელი ფერისად მოჩანს. პირვანდელი, რამდენადაც შენახული ნაწყვეტებიდან ირკვევა, სულ ცოტა 12 სტრიქონიანი ტექსტი, აქ ბევრგან შედარებით კარგად და ადვილად იკითხება და სახარების ნაწყვეტებს შეიცავს. თავდაპირველ ნაწერზე ხან წაღმა, ხან უკუღმა, ხოლო პირველი ჯგუფის ფურცლებზე გარდი-გარდმოც მერმინდელი დავითის ფსალმუნთა შემცველი ტექსტია დაწერილი. განკვეთილობის ნიშნები და მთავარი ასოები ორთავე ჯგუფის ფურცლებშია ნახმარი.

VII

ამ ხელნაწერთა შესახებ მოკლე ცნობებისა და ზემონათქვამის შემდგომ, რაკი ქართული პალეოგრაფიისა და ენათმეცნიერების დებულებანი უკვე გათვალისწინებული გვაქვს, ახლად აღმოჩენილი ძეგლების დათარიღებაც შეიძლება. ყველა ამ ხელნაწერ-პალიმფსესტების დამახასიათებელ თვისებას დამწერლობის თვალსაზრისით თავშეკრული ბანი შეადგენს. რასაკვირველია, უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ ეს ხუთივე ხელნაწერი პალიმფსესტია, ე. ი. ისეთი ძეგლი, რომელსაც ძველი ნაწერი შემდეგში გულმოდგინედ ჯერ გადარეცხილი, ხოლო შემდეგ გადაფხეკილი აქვს ისე, რომ ხშირად ეტრატი ფხეკისაგან სრულებით გამჭვირვალე გამხდარა, ზოგან კი გახეულია. ცხადია, ამგვარი რეცხვა-ფხეკისაგან ყველაზე მეტად ასოთა წვრილი ხაზები უნდა დაზიანებულიყო და მართლაც დაზიანებულა კიდეც. ამის გამო ასოთა პირვანდელი, დაწერის დროის, მოხაზულობის სრული და უტყუარი სურათის წარმოდგენა ამ ხელნაწერთა მხოლოდ გულდასმითი შესწავლის შემდგომ შეიძლება. ერთსა და იმავე ასოს სხვადასხვა ადგილას გაშინჯვითა და კარგად შენახულ მოხაზულობასთან შედარების წყალობით დარწმუნდებით, რომ ამ ასოს პირვანდელი სახე გადარეცხვა-გადაფხეკის დროს უმეტეს შემთხვევაში დაზიანებულა. ეს გარემოება უნდა უეჭველად გათვალისწინებული გვქონდეს ამ ჩვენი პალიმფსესტების პალეოგრაფიულად დაფასების დროს.

ბანს თავის ზევითი ხაზი ხელნაწერებში კალმის სუბუქი მოსმით და ამის გამო წვრილად, ბეწვის მსგავსად ჰქონდა ხოლმე გამოყვანილი და სხვებზე მეტად და უფრო ხშირად, რასაკვირველია, ამ ასოს სწორედ ეს ნაწილია გადარეცხვა-გადაფხეკის დროს დაზიანებული. ამიტომ ადამიანმა რომ ამ გარემოების გაუთვალისწინებლივ ჩვენი პალიმფსესტების გადაშინჯვა დაიწყოს, ერთის შეხედვით ბანი თავგახსნილი ეჩვენება. მაგრამ საკმარისია იგი ხელნაწერებს კარგა დააკვირდეს და ამ ასოს მოხაზულობა სხვადასხვა ადგილას ერთიმეორეს შეადაროს, რომ ერთსა და იმავე გვერდზე ან ფურცელზე, და ხელნაწერში გადარეცხვა-გადაფხეკის გამო მრავალ თავგახსნილად ქცეულთა შორის ეს ასო მკაფიოდ თავშეკრულიც ნახოს. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ხელნაწერებში თავდაპირველად მის პალიმფსესტად ქცევამდე ბანი ყველგან თავშეკრული მოხაზულობისა უნდა ყოფილიყო. ეს პალეოგრაფიული ნიშანი. ჳიესა და ყარის მოხაზულობა, მეტადრე კი ბანის თავშეკრულობა, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლამ დაგვარწმუნა, შეიძლება უთარიღო ძეგლების დასათარიღებლად იყოს გამოყენებული. რადგან ბანი მხოლოდ VI ს. დამლევამდე იწერებოდა თავშეკრული, მაინცდამაინც VII ს. პირველი ნახევრის მიწურულში უკვე ცხადად თავი გახსნილი ჰქონდა, ამიტომ ხუთივე ზემოდასახელებული ქართული პალიმფსესტი VII ს. დამდეგზე უგვიანესი არ უნდა იყოს და VI ს. უნდა მიეკუთვნოს.

ამ ხელნაწერების პალეოგრაფიული შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ასოთა მოხაზულობის ზოგიერთი თვისებების გამო ყველა ერთი დროისანი არ უნდა იყვნენ, არამედ ზოგი უფრო ძველი ჩანს, ზოგი შედარებით უფრო მერმინდელი. მომავალში ამის მკაფიოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ წინასწარ მოხსენებაში ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა.

ენის თვისებების მხრივაც, მესამე პირის ობიექტურ თავსართად ჰაეს მაგიერ ხანის ხმარებაც, როგორც დავრწმუნდით, ქრონოლოგიურად განსაზღვრი-

სათვის გამოსადეგი ნიშანია. მცხეთის ჯვრის წარწერებიდან ცხადი შეიქმნა ჩვენთვის, რომ უკვე VII ს. პირველი მეოთხედისათვის ხანი აღარ იხმარებოდა. ხოლო ჩვენს ხუთსავე ხელნაწერ პალიმფსესტში არამცთუ ამ მხრივ რაიმე რყევა არ ემჩნევა, პირიქით ხანი გაბატონებულია მტკიცედ ობიექტურ პრეფიქსად ყველგან და მეორე პირის სუბიექტური თავსართისათვისაც ჰაეს მაგიერ ხანივეა ყველგან. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ენის ამ თვისებებით ეს ძეგლები, თუ ყველა არა, სახარების ტექსტი მაინც, VI საუკუნეზე უწინარესი უნდა იყოს და შეიძლება V საუკუნეს მიეკუთვნოს.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ პალეოგრაფიულისა და ენის ნიშნების ძალით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ხუთივე პალიმფსესტი, ვითარცა ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, V—VI საუკუნეებისად უნდა იყოს მიჩნეული[53].

როდესაც ყველაფერი, რის წაკითხვაც ჩვენს პალიმფსესტებში აღჭურვილი თუ აღუჭურველი თვალით შესაძლებელი იყო, უკვე გადმოწერილი მქონდა, რადგან ხხ. № 89 და № 844 იმდენად გადარეცხილ-გადაფხეკილია, რომ თავდაპირველი ნაწერის ამოკითხვა უიმედო საქმედ ჩანდა, ამიტომ, ან ამ პირველხარისხოვანი ძეგლების უუდიდესი ნაწილის წაკითხვაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგვეღო, ან ქიმიური დამუშავების საშუალებით მისი ძველი ტექსტის გაცხოველება და წაკითხვა გვეცადნა. სათანადო დასტურის შემდგომ, მეორე გზა ვარჩიე და ამისთვის პროფ. იოველ ქუთათელაძეს ვთხოვე, რომ გამოერკვია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ პალიმფსესტების პირეანდელი ნაწერის გაცხოველება. იგი დიდი ხალისით შეუდგა ამ საკითხის შესწავლას და სრული სიფრთხილით წარმოებული ცდების წყალობით გამოარკვია, რომ საქართველოში უძველეს ხანაში და შემდეგში X—XII სს-შიაც ლითონის, რკინისაგან შემზადებული, მელანი უხმარიათ. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა ხელნაწერები ქიმიურად ისე დაემუშავებინა, რომ ძველი ტექსტის აღდგენის დროს მერმინდელი არ დაზიანებულიყო. მრავალგზისი ცდის წყალობით პროფ. ქუთათელაძემ ისიც მოახერხა, რომ ეტრატს დამუშავების შემდგომაც ფერი საგრძნობლად არ შესცვლოდა, თავდაპირველი ტექსტი კი, სადაც წინათ სრულებით გადაფხეკილი არ აღმოჩნდა, იმდენად გამოაშკარავდა, რომ მისი წაკითხვა იქაც, სადაც წინათ ასოთა ნაალაგევის მეტი არაფერი ეტყობოდა, შესაძლებელი გახდა[54].

VIII

ახლა ამ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მნიშვნელობაზე დაგვრჩა მხოლოდ სათქმელი. ვითარცა საქრისტიანო მწერლობის უძველეს ძეგლებს,

---

53 ჩემი მოხსენება უკვე აწყობილი იყო, როცა ს. გორგაძემ შემატყობინა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ეტრატის 3992 ნომერ ხელნაწერში, რომელიც მთლად პალიმფსესტია, სხვადასხვა დროის ტექსტებს შორის VI საუკუნის ხანმეტი ნაწერებიც აღმოჩნდა 40 გვერდამდე, რისთვისაც დიდად ვმადლობ. მართლაც, ხანი თავშეკრულია (გვ. 36, სვ. 2, სტრიქ. 4) და გვხედება; „ხანიჭოს“ (ფ. 13), „მიხუგებდა“ (17), „ხუპატიოსნეს“ (45).

54 ყველა ამისათვის სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია პროფ. ი. ქუთათელაძეს ჩემი ულრმესი გულითადი მადლობა მოვახსენო.

მათ მნიშვნელობა აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ მეცნიერებისათვისაც — სახარებისა, დაბადებისა და აპოკრიფულ ნაწარმოებთა ტექსტის ისტორიისა და კრიტიკისათვის, მაგრამ მეტადრე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვისაა ძვირფასი ეს ძეგლები, მისთვის უნდა შეიქმნეს ქვაკუთხედად.

როგორც ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლები, ეს ხელნაწერები არა ერთი ქართული ენათმეცნიერებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებასაც გვაძლევენ.

წინასწარ მოხსენებაში, მეტადრე როდესაც ყველა ტექსტი ჯერ წაკითხული არა მაქვს, რასაკვირველია, მხოლოდ საზოგადო შთაბეჭდილების გამოთქმა შეიძლება. ამიტომ ამჟამად მხოლოდ მოკლედ და ისიც მარტო უმთავრეს საკითხებს შევეხები იმ იმედით, რომ შემდეგში, როდესაც ახლად აღმოჩენილი ტექსტები გამოიცემა, ყველა საგულისხმო საკითხი უფრო ვრცლად და სრული დასაბუთებით იქნება განხილული.

რამდენადაც წაკითხული ტექსტებიდან ირკვევა, ამ V—VI სს. ძეგლებში ჩვენ დაბადებისა (1 მოსესი, იგავნი სოლომონისნი და იერემიასი), სახარებისა და აპოკრიფული საქმე მოციქულთას ქართული თარგმანი გვაქვს შენახული. ამ უკანასკნელ ნაწარმოებში პავლე, ანდრია და პეტრე მოციქულის მოღვაწეობაა აღწერილი. ამასთანავე რამდენადაც გადარჩენილი ნაწყვეტებიდან დასკვნა შესაძლებელია, განსაკუთრებული ყურადღება მოთხრობაში პავლესა აქვს მიქცეული. საქართველოში ჯერ კიდევ X ს. დასასრულსა და XI ს. დამდეგს აპოკრიფული თხზულებებით ყოფილან დაინტერესებულნი. ამას გიორგი ბერის ეფთჳმე მთაწმინდელისადმი მიმართული შეკითხვაც მოწმობს. ამ გიორგი ბერის შეკითხვაზე ეკლესიისაგან შეუწყნარებელ და დაგესლილ წიგნთა შესახებ ეფთჳმე მთაწმიდელი თავის პასუხში ამგვარ წიგნთა შორის ახალი აღთქმის რამდენსამე აპოკრიფსაც ასახელებს: „სხუაჲ არს წიგნი «სიყრმე უფლისა» და არცა მას შეიწყნარებს და „მოციქულთა ცხორებანი“ ზოგნი განრყუნილნი არიან მწვალებელთაგან. წმიდისა მათე მახარებლისაჲ სხუაჲ რაჲმე არს და წმიდისა ანდრიაჲსი იგმაგი“[55]. პავლე მოციქულის „ცხორება“ ეფთჳმე მთაწმიდელს მოხსენებული არა აქვს. ახლად აღმოჩენილის მსგავსი შინაარსის ნაწარმოები ალბათ ამ დროს უკვე აღარ არსებობდა. სხვა ქრისტიან ერთა მწერლობაშიაც მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია შერჩენილი. მართალია ჯერჯერობით არც ქართულადა გვაქვს მთლიანად ეს ძეგლი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ძლიერდება იმის გამოც, რომ ასეთს ძველს ხელნაწერშია იგი შენახული. უფრო ვრცლად ამ თხზულებაზე საუბარი შემდეგში გვექნება, როდესაც თვით ტექსტიც დაიბეჭდება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ხელნაწერებს სახარებისა და ქართული დაბადების თარგმანის ისტორიისათვის. ჩვეულებრივ მიღებული იყო, რომ საღმრთო წერილის ქართული თარგმანი V ს. ეკუთვნის; პროფ. ნ. მარმა 1899 წ. საღმრთო წერილის ქართული ტექსტი სომხურიდან უძველეს დროს ნათარგმნად გამოაცხადა[56], მაგრამ შემდეგში თავის 1913 წ. და 1914 წ. დაბეჭდილს ორს შრომაში ამ შეხედულებაში თვალსაჩინო შესწო-

---

[55] ქრონიკები, II, 83.

[56] Из поездки на Афон: *Журн. Мин. Нар. Просв.* 1899, № 3, 12—15.

რეზა შეიტანა[57]. იგი ფიქრობდა, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნი იქნებ ისეთ დროსაც, როდესაც ქართულსა და სომხურს ეკლესიათა შორის უკვე განხეთქილება იყო მომხდარი, ე. ი. VII—VIII საუკუნეებშიაც[58]. ავტორს სამწუხაროდ თავისი აზრი მკაფიოდ არ აქვს გამოთქმული და ის საზოგადოდ საღმრთო წერილზე ლაპარაკობს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში დაბადების თარგმანს უნდა გულისხმობდეს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ სახარება და ახალი აღთქმის სხვა წიგნები VII—VIII სსმდე გადმოუთარგმნელი ჰგონებოდა. თავისს 1914 წ. შედგენილს სომხურ-ქართული საღმრთო წერილის თარგმანთა შთამომავლობითს შტოშიც ნ. მარს პირველი თარგმანი V—VII საუკუნისად აქვს აღნიშნული[59]. მაშასადამე, V ს-ში რაიმე უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, უფრო საფიქრებელია, რასაკვირველია, სახარება. ამგვარად, თუ სახარება არა, დაბადება მაინც ნ. მარს ქართულად VII—VIII სს-ში მიაჩნია ნათარგმნი. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ამ აზრის სრულ უსაფუძვლობას ცხადყოფს. ის გარემოებაც, რომ მოსეს პირველი წიგნი, იგავნი სოლომონისნი, და იერემია წინასწარმეტყველი VI ს. ხელნაწერში გვხვდება, ვგონებ უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ მთელი დაბადება ამ დროს უკვე სრულად უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. მაშასადამე, თუ V ს-ში არა, VI ს-ში მაინც უნდა იყოს დაბადება ქართულად გადმოთარგმნილი. რასაკვირველია, მით უმეტეს V ს-ში, თუ ამაზე უწინარეს არა, სახარება ქართულად ნათარგმნად უნდა ვიგულისხმოთ.

IX

ამ VI ს. ხელნაწერების და V—VI სს. ძეგლთა ქიმიურ დამუშავებამდე და დამუშავების შემდგომ წაკითხვამ ქართული V—VI სს. სამწერლობო ენისა და საღმრთო წერილის ქართული თარგმანის რედაქციების შესწავლის საშუალებაც მოგვცა. გამოირკვა, რომ ქართულს ზმნას მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ამ დროს ყოველთვის ხანი ჰქონია და არა ჰაე. ამგვარადვე მესამე პირის ობიექტურ თავსართად ხანივე ყოფილა და არა ჰაე. ეს ცხადად მტკიცდება ქვემომოყვანილი ორიოდე მაგალითით და უფრო ამ მოხსენებასთან დართული V—VI სს. ტექსტების ნიმუშებით. მაგ., მეორე პირის სუბიექტური თავსართი: «ხგონებ, ვითარმედ შევიდა» (ხ. № 737, გვ. 337), «რ˜ა გულისხმა ხყოთ, რ˜აღდგა მკუჳდრეთით» (იქვე, გვ. 323), «ოჳკოჳეთოჳ ხავასხებ-

---

[57] „До сих пор обычный текст армянского перевода, так называемая вульгата, считается подлинником V-го века, и тем же временем готовы датировать грузиноведы наличный грузинский перевод, хотя бы в древнейщих до нас дошедших списках. Все это на самом деле не так" (Заметки по текстам св. писания: *Христианский Восток*. II вып., 163). უნდა აღვნიშნოთ რომ პროფ. ნ. მ ა რ ს ამ საკითხის შესახებ თავის მრავალ პატარა-პატარა ნაწერებში ერთიმეორის საწინააღმდეგო და შეუთანხმებელი აზრი აქვს გამოთქმული და არა ჩანს, თუ რომელი მისი აზრია საბოლოო.

[58] „Перед нами стоит большой очередной вопрос, именно когда переведен грузинский текст?... не восходит ли грузинский текст к A_1 (Армянской версии I), а не к A (Армян. вульг.), т. е. не длилось ли культурно-литературное общение грузин и армян и после традиционно освещаемого разрыва христянской церкви в Армении и Грузии? (Эчмиадзинский фрагмент древнегрузинской версии Ветхаго Завета: *Христ. Восток*, II, 388, აგრეთვე II, 163).

[59] Христианский Восток, II, 387.

დით მათ რომელთაგან ხესავთ კოჳალად მოღებასა“ (ხ. № 86), „მიხიღე შჯოჳლი» (ხ. 737, გვ. 335). მესამე პირის ობიექტური თავსართის მაგალითები, ე. ი. როდესაც ზმნის დამატება მიცემითს ბრუნვაში ახლავს, ან იგულისხმება, თუ სუბიექტი I პირია: «აღსასროჳლსა ხჳტყოდი ნათესავთა მიმართ ანოჳ მეოჳფებათა აღღებად» (ოქსფორდის ბოდლ. პალიმფს.), «მიხოჳეც კორცი ჩემი და სისხლი ჩემი მათთჳს» (ხ. № 737, გვ. 244), «რ῀ა მიხოჳემსგაესნეთ ჩოჳენ პატიოსანსა მას მოძღოჳარსა» (ხ. № 737, გვ. 329), — თუ სუბიექტი მე-3 პირია: «ხრქოჳა მას ოჳფალმან» (ხ. № 737, გვ. 239, 242, 245, 323 და ბევრგან სხვაგანაც), «ხრქოჳა მათ პეტრე» (იქვე, გვ. 327), «ცოდვილნიცა ცოდვილთა ხავასხებედ, რ῀ მოიღონ სწორი» (ხ. № 8:), „შეხერაცხოს მას ცოდვაჲ» (ხ. № 737, გვ. 245), «რომელი ხირეკდეს, განხეღოს“ (ხ. № 844, გვ. 87v და 82r), „ხეკიცხევდეს მას დიდითა ბასრობითა“ (ოქსფორდის ბოდლ. პალიმფს.) და სხვა. შედარებითი ხარისხის თავსართიც მაშინ „ხუ“ ყოფილა, მაგ. „ხოჳმჯობეს არს ერისა, რ῀ არა ხოლო მარტოჲ» (ხ. № 737, გვ. 240). «რაოდენად ხოჳფროს მამამან თქუენმან ზეცათამან მოგცეს» (№ 999, ფ. 135 b). უკუთქმითი ნაწილაკის თავსართადაც მაშინ ხუ უხმარიათ, მაგ. „ხოჳრჯოჳლოჲ“ (ხ. № 737, გვ. 325). მაშასადამე, სალმრთო წერილის უძველეს ქართულ თარგმანს ახასიათებს ხანების ხმარება პრეფიქსებად.

პროფ. აკაკი შანიძემ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების ამა 1923 წ. 1 აპრილის სხდომაზე წაკითხულს მოხსენებაში ამისდა მიხედვით მშვენიერი განმარტება მოუძებნა ერთს ტერმინს, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ცნობილს ანდერძშია ნახმარი, რომლის გასაგებად არაერთი თეორია იყო წინათ შექმნილი. მან აზრი გამოთქვა, რომ როდესაც გიორგი მთაწმიდელი ამბობდა «ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა»-ო[60], „ხანმეტ“ სახარებად სწორედ ამგვარს ხანებით დახასიათებული სახარების ქართულ უძველეს თარგმანს გულისხმობდა[61]. პროფ. აკ. შანიძის „ხანმეტის“ მნიშვნელობის ამგვარი ახსნა, უეჭველია, სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს და ამის გამო შემდეგში სალმრთო წერილის ქართული თარგმანის ახლად აღმოჩენილ უძველეს რედაქციას ხანმეტს ვუწოდებთ ხოლმე.

X

ბოლო დრომდის უძველესად X ს. თარიღიანი სახარების ხელნაწერები ითვლებოდა. შემდეგ, როდესაც ადიშის, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, შატბერდის სახარება აღმოჩნდა, მისი პირველი თარიღის 897 წლისდა მიხედვით, უძველესად უკვე ეს IX საუკუნის დამლევის ტექსტი უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მაგრამ ამ ძეგლს მეორე, ქრისტესით აღნიშნული, თარიღიც მოეპოვებოდა და აქ იგი 1001 წ., ე. ი. XI ს. დამდეგს დაწერილად იყო გამოყვანილი. ამის გამო ერთი ამ თარიღთაგანი მცდარი უნდა ყოფილიყო. და ალ. ხახანაშვილი და ე. თაყაიშვილი ქართული ქრონიკონით მოყვანილ თარიღსა თვლიდენ ჭეშმარიტად, ნ. მარს კი მეორე თარიღი მიაჩნდა უფრო

---

[60] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 207.

[61] ა. შ ა ნ ი ძ ე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში („მოამბის“ ამავე ნომერში, ქვემოთ).

სწორად. იმ სახით, რა სახითაც ამ ხელნაწერმა ჩვენამდის მოაღწია, ამბობს იგი, ადიშის სახარების ტექსტი უფრო 1001 წლისაა, ვიდრე 897 წლისაო[62]. შემდეგ ადიშის სახარების დროის შესახებ ნ. მარს უფრო გადაჭრითაც აქვს თავისი აზრი გამოთქმული და ამ შემთხვევაში თავისი მსჯელობა მას ამ ხელნაწერის ტექსტის ენაზე ჰქონდა დამყარებული: ყოვლად შეუძლებელია ეს ტექსტი IX საუკუნისად მივიჩნიოთო[63].

ზოგიერთი იქ ნახმარი სიტყვა და ფორმა მას ახალ ქართულისად ჰქონდა გამოცხადებული, რომლის მსგავსი IX ს. ხელნაწერში ნ. მარის აზრით არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ე. თაყაიშვილმა ჯერ შატბერდ-ადიშის სახარების ანდერძში მოხსენებული ისტორიული პირების მოღვაწეობის დროის გათვალისწინებით დაამტკიცა უცილობლად, რომ ამ ხელნაწერში ქართული ქრონიკონით აღნიშნული თარიღი იყო სწორი და ამის გამო იგი უეჭველია IX ს-ში დაწერილი ძეგლია. შემდეგ იგივე საკითხი ე. თაყაიშვილმა ენის თვალსაზრისითაც განიხილა.

თუ რამდენად შემცდარი იყო ნ. მარი თავის მსჯელობის დროს ქართული ენის ძველი და ახალი ფორმების დახასიათებას რომ ცდილობდა, ე. თაყაიშვილმა იმავე შატბერდის (ადიშის) სახარების ფოტოტიპიური გამოცემის წინასიტყვაობაში გამოარკვია.

მან ნ. მარისაგან ახალ ქართულ ფორმებად და სიტყვებად ცნობილი ფორმა-სიტყვები X ს. ხელნაწერში ამოკითხული მაგალითებით ძველ ქართულში არსებულად ცხადყო. მაგრამ რადგან თვით ადიშის სახარებაც ნ. მარს XI საუკუნის დამდეგისად მიაჩნდა, ამგვარი საბუთი მას, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებდა. მაინც სრულებით სამართლიანად ამბობდა ე. თაყაიშვილი, ჩვენ ისე ნაკლებად გვაქვს ძველი, IX ს. ძეგლების ენა შესწავლილი, რომ რა არის ძველი და რაა ახალი, ჯერ ძნელი სათქმელიაო[64]. ახლა, როდესაც IX ს. ხელნაწერთა მაგიერ ხელთა გვაქვს VI ს. ოთხი ხელნაწერი თავდაპირველი ხანმეტი ტექსტებითურთ, სრულებით ცხადი ხდება ნ. მარის ამ კატეგორიული განცხადებებისა და მსჯელობის უსაფუძვლობა. ეჩმიაძინის ფრაგმენტის ქართული დიბადების ტექსტის განხილვის დროს, მაგ., მან დაბადების ბაქარისეულ გამოცემაში ნახმარი „ებრ“ ძველად გამოაცხადა, ოშკ-ათონის დაბადებაში ნახმარი „მსგავსად“ კი მდაბიურ ახალ ქართულად ცნო[65]. ეს ვითომცდა ახალი ქართული სიტყვა სწორედ უძველეს, VI ს. ხელნაწერებშიც იხმარება.

ამგვარადვე შატბერდ-ადიშის სახარებისა და ხანმეტი სახარების ტექსტების შედარებამ დამარწმუნა, რომ ადიშის სახარება მართლაც ძველი IX ს. ძეგლია და უმეტეს შემთხვევაში ხანმეტი სახარების ტექსტის რედაქციას მისდევს. მაგრამ შედარებითი შესწავლა, ჯერჯერობით მაინც, ისეთ შთაბეჭდი-

---

62 „В дошедшем до нас виде текст скорее 1001 г.“ (Из поездок в Сванию: *Христ. Восток*. II, вып. I, 26).

63 „*Адишская рукопись грузинского Евангелия считается древнейшею* по одной из двух дат: состояние текста показывает, что согласиться с такою древнею датою, как IX век, нет никакой возможности“ (Заметки по текстам св. Писанию: *Христ. Восток*, II, вып. II, 172).

64 Материалы по Археологии Кавказа, XIV, 18—19, Москва. 1914.

65 „Вульгарное ново-гр. „მსგავსად“: Эчмиадзинский фрагмент... *Христ. Восток*, II, 387.

ლებას ახდენს, რომ ხანმეტის რედაქციასა და შატბერდ-ადიშის სახარებას შორის ისეთი განსხვავებაა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ხანმეტი რედაქციის შემდგომ და შატბერდის სახარების გადაწერამდე, ე. ი. მაინცდამაინც IX ს-მდე, კიდევ რაღაც რედაქცია უნდა ყოფილიყო. ეს იმითა მტკიცდება, რომ ზოგან ხანმეტსა და შატბერდის ხელნაწერთა ტექსტებს შორის თვალსაჩინო განსხვავებაა და ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში მერმინდელი, X ს. სახარების ტექსტები, მაგ. ტბეთისა, ხანმეტს მისდევს, შატბერდ-ადიშისა კი არა. რადგან გიორგი მთაწმიდელს სახარების პირვანდელ და უძველეს რედაქციათა შორის ხანმეტის შემდგომ საბაწმიდური აქვს დასახელებული, ამიტომ შესაძლებელია ეს ხანმეტისა და შატბერდის ხელნაწერის შუა მომხდარი რედაქცია, რომლითაც უკანასკნელის ტექსტი ზოგიერთ შემთხვევებში პირველისაგან განსხვავდება, სწორედ საბაწმიდური რედაქცია იყოს.

ასეთი განსხვავებული ადგილები ხანმეტსა და შატბერდ-ადიშის სახარებათა ტექსტებს შორის, რამდენადაც ჯერჯერობით დასკვნა შეიძლება, შედარებით მაინც ხშირი არ არის და უკანასკნელი ჩვეულებრივ ხანმეტ რედაქციას მისდევს მხოლოდ უხანებოდ. ამ უკანასკნელი გარემოების გამო საფიქრებელია, რომ შატბერდის ხელნაწერის გადამწერს ხელთ ხანმეტი სახარების ტექსტი ჰქონდეს. შატბერდ-ადიშის სახარებას რომ დედნად მართლაც ხანმეტი სახარება უნდა ჰქონოდა, ამის კვალი, თუ ფოტოტიპიური გამოცემა ნამდვილ ვითარებას არ ამახინჯებს, თითქოს თვით ადიშის ხელნაწერშიაც კია შენახული. მაგ., იოანეს თავის სახარების XXI, 14 წერია: «ესე სამჯზის განხეცხადა ი~ჳ მოწაფეთა მ~თ»[66]. ზმნა „განხეცხადა"-ში ხანი გადამწერს წაუშლია, მაგრამ მისი ნაალაგევი გარკვევით მოჩანს. ეტყობა დედანში გადამწერს ამოუკითხავს „განხეცხადა" და ამ შემთხვევაში დავიწყებია, რომ გადაწერის დროს ხანი უნდა გამოეტოვებინა, და ისევე დაუწერია, როგორც მეხსიერებაში ჩარჩენია.

მაგრამ შემდეგ, ალბათ, გადანაწერის გადაკითხვის დროს, თავისი გულმავიწყობის შეცდომა შეუმჩნევია და ხანი წაუშლია. მართლაც „ხანმეტს" სახარებაში ეს ადგილი ასევე იკითხება: „ესე სამგზის გამოხეცხადა" და სხვა. გასაკვირველიც არაფერია, რომ IX ს. ხანმეტი სახარების ტექსტი ყოფილიყო, რადგან გიორგი მთაწმიდელის ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ამგვარი ხელნაწერები მის დროსაც, XI ს-შიც ყველგან ყოფილა.

რადგან ჩვეულებრივ ხანმეტი რედაქციის მიმდევარი შატბერდის სახარების ტექსტი, ზოგჯერ მაინც, განსხვავდება და ასეთ შემთხვევაში იქნება იგი, როგორც აღნიშნული გვქონდა, საბაწმიდური რედაქციის ტექსტს იმეორებდეს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ შატბერდ-ადიშის სახარების ტექსტი ორი რედაქციის შერეულ შენაერთებ ტექსტს უნდა წარმოადგენდეს. ამგვარი აზრი თავისდათავად რომ არაფერს შეუძლებელსა და დაუჯერებელს არ შეიცავს და მაშინდელ საქართველოში ამნაირი მუშაობა იშვიათი არ ყოფილა, ამას თვით გიორგი მთაწმიდელის, მისდროინდელ და მერმინდელ ქართულ გადამწერთადმი, მიმართული ვედრებაც ამტკიცებს:

«ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ და... ღ~თისათჳს

---

[66] იხ. ფოტოტიპიური გამოცემა (*Материалы по Археологии Кавказа*, XIV, მოსკოვი, 1914).

სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ»-ო. ხოლო თუ რომელიმე ადგილი არ მოგეწონოთ, „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, «ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა», მუნით დაწერეთ და ღ̃თისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ»-ო[67]. თუ გიორგი მთაწმიდელი იძულებული იყო თავისი დროინდელი გადამწერლებისათვის ეთხოვა ღვთის გულისათვის სახარების ტექსტის გადაწერის დროს ხანმეტისა, საბაწმიდურისა და ჩემ შეწამებულ სახარებათა ტექსტი ერთი-ერთმანეთში არ აურიოთ, არამედ ერთ-ერთი მათგანი აირჩიეთ და ის გადაიწერეთო, ცხადია, ეს მაშინ, ჩვეულებრივი თუ არა, ხშირი მოვლენა მაინც უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს ამგვარ სხვადასხვა რედაქციათა ტექსტის ერთმანეთში გარევა IX საუკუნეშია მოსალოდნელი და ჩვეულებრივ მიღებული იქნებოდა.

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელის ზემომოყვანილი ანდერძის მოწმობით ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ XI ს. მეორე ნახევარშიაც კი ხანმეტი სახარებანი არამცთუ დაცული ყოფილა, არამედ სარგებლობდნენ კიდეც და თვით ქართული სახარების ტექსტის ასეთს მკაცრს შემწამებელს, როგორიც გიორგი მთაწმიდელი იყო, შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მაშინდელ ქართველებს სახარების ტექსტისათვის დედნად ხანმეტი რედაქციის ხელნაწერები აელოთ. მაგრამ როგორ? ამ დროს და, რასაკვირველია, 4 საუკუნით ამაზე უწინარესაც იქ, სადაც ხანმეტს რედაქციაში ზმნაში, აგრეთვე შედარებითი ხარისხისა და უკუთქმითი ნაწილაკის თავსართებად ხანი ისმოდა და იწერებოდა, ეს ბგერა აღარ ისმოდა. მაშ როგორ შეიძლებოდა, რომ ხანმეტი სახარების ნაწერი XI ს. დედნად ყოფილიყო გამოყენებული? ცხადია ისე, რომ გადაწერის დროს ამ ხანებს, სადაც ისინი უკვე აღარ იხმარებოდნენ, გადამწერს ზეპირად თითონვე უნდა გამოეტოვებინა. სხვა გზა წარმოუდგენელია და შატბერდ-ადიშის სახარების ზემომოყვანილი მაგალითიც ამავე გარემოების დამამტკიცებელია. ან რა საკვირველია, რომ ხანმეტ სახარებათა ტექსტები XI საუკუნემდე შენახული ყოფილიყო, როდესაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მერმინდელი ტექსტი XII—XIV საუკუნეებისად არის მიჩნეული, როდესაც, მაშასადამე, ძველი თავდაპირველი ხანმეტი ნაწერის გადარეცხვა-გადაფხეკა და ეტრატის პალიმფსესტად შემზადება უნდა ვიგულისხმოთ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ XI—XIV სს-მდე ხანმეტი ხელნაწერები დაცული ყოფილა საქართველოში. ქართული პალეოგრაფიის დასაბეჭდად დამზადებულ სახელმძღვანელოში სათანადო წერილობითი წყაროსდა მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ XII საუკუნეში ჩვენში, თვით საეკლესიო წრეებშიც მრგვლოვან ასომთავრულ დამწერლობას იმდენად გადაჩვეული ყოფილან, რომ ამ დამწერლობით ნაწერი ჩვეულებრივი ტექსტების წაკითხვაც კი თურმე უძნელდებოდათ, ამის გამო იძულებული ყოფილან მრგვლოვანი ასომთავრულით ნაწერი ძეგლები უკვე ნუსხა-ხუცურით გადაეწერინებინათ. ამ დროიდან მოყოლებული ასომთავრულიანი ხელნაწერები მონასტრების წიგნთსაცავებში, ცხადია, უკვე უქმად უნდა დებულიყო და სხვათა შორის ხანმეტი ხელნაწერების პალიმფსესტად გამოყენებისა და საზოგადოდ მათი დაღუპვისათვის, რასაკვირველია, ამ გარემოებასაც უნდა შეეწყო ხელი.

---

[67] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 207.

XI

ხანმეტი ხელნაწერები საშუალებას მოგვცემენ ზედმიწევნით და საბოლოოდ გამოვარკვიოთ ქართული საღმრთო წერილის თარგმანის სადაურობა და გადმოთარგმნის დროს დედნად აღებული ტექსტის ენაც. თავდაპირველად ქართულ მწერლობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ საღმრთო წერილი ბერძნულიდან გადმოითარგმნა. პროფ. ნ. მარმა ქართულ სახარებაში მყოფი სომხური სიტყვების საბუთიანობით ჩვეულებრივი შეხედულება მცდარად გამოაცხადა და ქართული საღმრთო წერილი სომხურიდან ნათარგმნად ცნო[68]. შემდეგში მან თავისი შეხედულება საგრძნობლად შეცვალა. 1913 წ. თავისს სვანეთში მოგზაურობათა შესახებს ანგარიშში ნ. მარმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საღმრთო წერილი თავდაპირველად სომხურიდან ქართულად კი არა, არამედ, სვანურად, ანუ „სომეხურად" იყო ნათარგმნი და მხოლოდ შემდეგში უკვე სვანურიდან ქართულად გადმოითარგმნა[69]. 1914 წელსაც ნ. მარი იმავე აზრს დასტრიალებდა, რომ ქართული საღმრთო წერილი თავდაპირველად ან სვანურად, ან ისეთ კილოზე უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, რომელიც სვანური გავლენით ყოფილა თურმე გაჟღენთილი, და რომ მხოლოდ შემდეგში იგი გადმოუქართულებიათ[70].

ერთი წლის შემდგომ, 1915 წ. ნ. მარი თავის სვანურობის თეორიას ისე აფართოებს, რომ მკითხველს მთელ სურათს უხატავს, თუ სად, როდის და როგორ უნდა გაჩენილიყო პირველად ქართული დამწერლობაცა და მწერლობაც, ან საიდან და ვისგან უნდა ყოფილიყო ნათარგმნი ქართული საღმრთო წერილი. აი სახელდობრ რას ამბობს ამ საგანზე აკად. ნ. მარი ერთს თავის თხზულებაში „Яфетические названия деревьев и растений", რომლის სათაური ადამიანს ვერც კი მოაფიქრებს, რომ იქ ამგვარ დიდმნიშვნელოვან საკითხეზე რაიმე შეიძლება ნათქვამი ყოფილიყო[71]. „V—VI სს-ში ქ. შ. სომ-

---

[68] Из поездки на Афон: *ЖМНПр*, 1899, март. გვ. 12—15.

[69] „... вопрос о переводе св. писания на грузинский язык может получить совершенно новое освещение. Восхождение древне-грузинского текста св. писания к армянской версии остается в силе; и то, что, переводили на „сомехское" наречие, как это излагается мною в университетском курсе истории грузинской литературы, но весьма существенною поправкою явится то, что, или эту сомехскую речь даже V в. придется признать целиком наречием сванского языка или, если она к тому времени была грузинизована, в ней во всяком случае, придется признать существование большого количества переживаний того наречия сванского языка, которое некогда было коренным в Сомехии" (Из поездок в Сванию: *Христианский Восток*, II, 25).

[70] „перед нами стоит большой очередной вопрос, именно когда переведен грузинский текст, независимо от его предполагаемого прохождении через сванскую или насыщенную сванизмами версию?" (Эчмиадзинский фрагмент: *Христ. Восток*, II).

[71] „В V и VI веках по Р. Хр. в Сомехии жили еще сваны. Здесь возникала судя по всем данным, в первые на яфетическом языке христианская письменность., Отсюда унаследовали грузины первые памятники своей национальной литературы, прежде всего перевод св. писания, проявляющий тем большее количество „сванизмов", чем древнее текст. Перед нами встал даже вопрос, не было-ли первоначально св. Писание переведено на „сванский язык". Во всяком случае лишь постепенно этот литературный язык перерабатывался, сближаясь с родною речью грузин, и все-таки грузинский древне-литературный язык сохранил много иррационных с точки зрения картского языка явлений тяготеющих к „сванскому" (*Известия Рос. Академии Наук*, 1915, გვ. 945).

ხეთში ჯერ კიდევ სვანები ცხოვრობდნენ. ყველა ცნობის მიხედვით, იაფეტურ ენაზე (sic) საქრისტიანო მწერლობა პირველად აქ გაჩნდა. თავიანთი ეროვნული მწერლობის პირველი ძეგლები ქართველებმა აქიდან დაიმკვიდრეს, უპირველესად ყოვლისა საღმრთო წერილის თარგმანი, რომელიც რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო მეტს «სვანურობა»-ს იჩენსო. ჩვენ წინაშე ისეთი საკითხიც კი წამოიჭრა, თავდაპირველად საღმრთო წერილი „სვანურ ენაზე" ხომ არ იყო გადმოთარგმნილი, ყოველ შემთხვევაში ეს სალიტერატურო ენა მხოლოდ თანდათანობითი გარდაქმნის პროცესის წყალობით უახლოვდებოდა ქართველთა დედაენას და მაინც ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ ქართული ენის თვალთსაზრისით ბევრი ირაციონალური მოვლენა შეგვინახა, რომელნიც «სვანურს» ემხრობა"-ო. ამგვარი ისტორიულ-სალიტერატურო თეორიის პირველი ჩანასახი ნ. მარს უკვე სვანეთში მოგზაურობათა შესახებს ანგარიშშიც მოეპოვება[72].

რა ცნობებია მერმე „ყველა ის ცნობები", რომელთაც აკად. ნ. მარს ამგვარი თეორია შეათხზ[ვე]ვინეს?

მთელი მისი საბუთიანობა ქართული საღმრთო წერილის „სვანურად" ნათარგმნიანობისა და „სვანურობის" დასამტკიცებლად სულ სამი-ოთხი სიტყვისაგან შედგება: „ერგას"-ისა, რომელიც 50 ნიშნავს[73], „მსგებს"-ისა, რომელიც შვიდეულის მაგიერ იხმარებოდა[74], და „სტევ"-ისაგან[75].

ეს სამი-ოთხი სიტყვა ნ. მარს ნამდვილ სვანურ სიტყვებად მიაჩნია, მაგრამ დამახასიათებელია, რომ თვით ნ. მარისავე სიტყვით არც ერთი ამათგანი სვანურში არ გვხვდება. სვანურმა დაკარგა, მაგრამ უნდა ყოფილიყო და სხვა ენებშია ნასესხებად შენახულიო. უკვე ეს გარემოება, რასაკვირველია, მისი მსჯელობის დამაჯერებლობას საგრძნობლად ასუსტებს. მაგრამ, სწორედ ასეც რომ იყოს და ყველა ეს სამი-ოთხი, გინდ 5—6 სიტყვა მართლაც სვანურად რომ ვცნოთ, ამგვარი ლოგიკური მსჯელობის საშუალებით ერთი და იმავე ნაწარმოების შესახებ რამდენიმე და რომელი ენისაგანაც გნებავთ ვითომცდა ნათარგმნიანობის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა შეიძლება, რადგან, იმგვარადვე როგორც სხვა ენებში, ქართულშიც, თუ მეტი არა, სამი-ოთხი მაინცდამაინც სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვა ყოველთვის მოიძებნება.

ისტორიული თვალსაზრისითაც აკად. ნ. მარის მთელი თეორია სრულებით შეუწყნარებელია. ბერძნული საისტორიო წყაროებიდან კარგად ვიცით, თუ სად ცხოვრობდნენ I—VI საუკუნეებში სვანები. არსად და არავის არა აქვს ნათქვამი, რომ სვანებს ოდესმე სომხეთში, თუ სომხითში ეცხოვროთ. სტრაბონიდან მოყოლებული მაინცდამაინც დანამდვილებით ვიცით რომ სვანები, თუ ამაზე უწინარეს არა, პირველ საუკუნეში მაინც ქ. წ. უკვე იმავე ადგილას ბინადრობდნენ, სადაც ახლაც ცხოვრობენ. მათი მოსახლეობის სამხრეთის საზღვარი მაშინ მხოლოდ ახლანდელზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო ჩამოწეული. მერმინდელი ბერძენი და რომაელი მწერლებისაგანაც, მეტადრე კი პროკოპი კესარიელისაგან ვიცით, რომ სვანები შემდეგშიაც, V—VI საუკუნეებში იქვე ბინადრობდნენ წინანდებურად. ბერძნებსაც რომ თავი

[72] *Христ. Восток*, II, 22—23.
[73] იქვე, II, 21—22 და 383.
[74] იქვე, II, 19—20, 21.
[75] იქვე, II, 25—26.

დავანებოთ, სომეხთა V—VII სს. ისტორიკოსებს ხომ უნდა სცოდნოდათ, სვანებს რომ V—VI სს-ში მართლაც სომხეთსა თუ სომხითში ეცხოვრათ: თუ ბერძნები დაშორებულობის გამო შეიძლება საქართველო-სომხეთის ამბების ზედმიწევნით მცოდნეებად ვერ ჩაითვალონ და ნ. მარმა ამით ახსნას მათი მდუმარება, სომხები ხომ აქაურები და მეზობლები იყვნენ. იმისი ოდნავ მაინც მსგავსი რამე, რასაც აკად. ნ. მარი მოგვითხრობს, როგორც ნამდვილ ისტორიულს ამბავს, სომხურ საისტორიო წყაროებშიც ხომ არსად იხსენიება?! ნუთუ ამ გარემოებას მაინც არ უნდა დაეფიქრებინა აკად. ნ. მარი, როდესაც ის თავის თეორიასა თხზავდა და თავის მკითხველს ისტორიულ სინამდვილედ უსახავდა?

მაგრამ იქნებ აკად. ნ. მარი ფიქრობდეს, რომ მისთვის ისტორიულ ცნობებს მნიშვნელობა არა აქვს და ისტორიკოს-გეოგრაფების მდუმარებასაც ყურადღებას არ აქცევს, რადგან მისთვის, ვითარცა ენათმეცნიერისათვის, მარტო ერთი ტერმინი — „სომეხია" უფრო მეტის მეტყველია, ვიდრე ყველა ქვეყნის ისტორიკოსთა მოწმობა, თუ მდუმარება? ამიტომ უნებლიეთ ამ საკითხსაც უნდა შევეხოთ.

„სომეხია" თვით ნ. მარის შეთხზული ტერმინი არის და არსად, არც ქართულსა და არც სომხურს წყაროებში არ გვხვდება და არც როდისმე ყოფილა. იგი სრულებით ახლად არის შეთხზული სომეხთა ქართული სახელის „სომეხ"-ისა და რუსული ქვეყნების აღმნიშვნელი „ია" საკვეცის შეერთებით. სამწუხაროდ ნ. მარს თავისი აზრი იმდენად გარკვევით არა აქვს გამოთქმული, რომ დანამდვილებით თქმა შეიძლებოდეს, თუ რას გულისხმობს, როდესაც ამ თავისაგან შედგენილს ტერმინს „სომეხია"-ს ხმარობს ხოლმე, საკუთრივ სომხეთს, თუ საქართველოს ცნობილს თემს, რომელსაც გარკვეული ხანიდან სომხითს უწოდებენ.

რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ აკად. ნ. მარი იმდენად შორს წასულიყო, რომ ეფიქრა და დაეწერა, ვითომც V ს. სომხეთში გაარიელებული სომხები კი არ ცხოვრობდნენ, არამედ სვანები — ეს გაუგონარი და დაუჯერებელი რამე და ყველა ისტორიულ-არქეოლოგიური ცნობის საწინააღმდეგო დებულება იქნებოდა, — ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „სომეხია"-დ მას საქართველოს თემი „სომხითი" მოუნათლავს. ნ. მარს სიტყვა „სომეხი" ახლა უკვე თავისი ახალი თეორიის საბუთიანობის გასაძლიერებლად წინანდებურად „სომეხ"-ისაგან ნაწარმოებად კი აღარ მიაჩნია, როგორც ამას წინათ მაშინდელი თავისი თეორიის დასასაბუთებლად ამტკიცებდა, არამედ „სონ-მესხ"-ისა, ანუ სვან-მესხისაგან. მას თითქოს ერთგვარ ანალოგიურ წარმოებად პტოლემეოსისაგან აღნიშნული ტომობრივი სახელი „სუანოკოლხოჲ", სომხური „ეგერსუანქ" და პლინიუსის „არმენოხალუბეს"-ი მიაჩნია[76]. ამ ორსავე შემთხვევაში ორნაწილედი ტომობრივი ტერმინი მართლაც რეალური მოვლენის, ისტორიულად ცნობილ ამ ტომთა შერევის შედეგის, გამომხატველია[77]. მაგრამ სრულებით გაუგებარი და აუხსნელი იქნებოდა, თუ სვან-მესხთა შერევის გამომხატველი ტერმინი ქართველებს მაინც სხვა ერის, გაარიებული სომხების აღმნიშვნელ სახელად როგორ უნდა ექციათ?

---

[76] Из поездок в Сванию: *Христ. Восток*, II, 23.

[77] იქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I.

ქართული და სომხური წყაროებით მტკიცდება, რომ „სომხითი" ვითარცა აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე თემის სახელი, უძველეს დროს უცნობი იყო და არ იხმარებოდა. ამ თემს მაშინ გუგარეთი ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგში ამის სამაგიეროდ ქართულ საისტორიო მწერლობაში ტერმინად „სომხითი" შემოდის, ვითარცა იმ დროის ტერმინოლოგიის ნაშთი, როდესაც სომეხთა სამეფოს ეს კუთხე დაპყრობილი ჰქონდა[78].

სომხები კი ამ თემს, ძველ გუგარეთს, „ვრაც დაშტს" უწოდებდნენ. ამგვარად, ისტორიული სინამდვილე ცხადყოფს, რომ „სომეხი" და სომხეთი ქართულად ჯერ ნამდვილს გაარიელებულს „არმენებს" და მათ მიწა-წყალს ნიშნავდა, ხოლო მერმე და შემდეგში იმ თემის აღსანიშნავადაც იყო გამოყენებული, რომელშიაც დროთა განმავლობაში ქართველთა და სომეხთა შერეული მოსახლეობა გაჩნდა.

თავისი ახალი, „სვანურობის" თეორიით გატაცებულს აკად. ნ. მარს სრულებით ავიწყდება, რომ „სომეხია" ტერმინის სონ-მესხისა, ანუ სვან-მესხისაგან წარმოშობილობა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მისი მრავალრიცხოვანი ჰიპოთეზთაგანია და არა სინამდვილე და რომ ამგვარი ჰიპოთეზი არც ერთს მეცნიერს უფლებას არ აძლევს უტყუარი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები უარყოს და კავკასიონის მთავარ უღელტეხილზე არხეინად მობინადრე ტომი სვანები თავისავე შეთხზული თეორიის დასამტკიცებლად სომხეთში გადმოასახლოს და V—VI სს-ში იქ მცხოვრებად გამოაცხადოს. თუნდაც რომ ისტორიის წინახანაში სვანებისა და მესხების ტომთა შერევა მომხდარიყოს, ამას ისტორიული ხანისათვის და V—VI სს. სომხეთის მოსახლეობისა და ენისათვის არსებითად პირდაპირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

ყველა ამ მოსაზრებათა შემდგომ, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ V—VI სს. სომხეთში არავითარ სვანებს არ უცხოვრიათ და აქაურ მკვიდრთაც სვანურად არ ულაპარაკნიათ. ამის გამო საღმრთო წერილი არც შეიძლება რომ ჯერ სვანურად ყოფილიყო ნათარგმნი და მხოლოდ შემდეგში გადმოექართულებინათ. ქართული საღმრთო წერილის სომხურიდან ნათარგმნიანობის შესახებ ამ ახალი აღმოჩენილი ძეგლების ენის მიხედვით მე ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან ამას მთელი ტექსტის გულდასმათი შესწავლა სჭირდება. ნ. მარის „სვანურობის" თეორიის სრული უსაფუძვლობა კი ისტორიული თვალსაზრისით წინათაც ცხადი იყო, ხოლო ახლა თვით V—VI სს. ტექსტების ენითაც ისევე მტკიცდება. აკად. ნ. მარის იმედები და მტკიცება, ვითომც რაც უფრო ძველი არის და იქნება საღმრთო წერილის ქართული თარგმანის ტექსტი, მით უფრო მეტი ლექსიკური „სვანურობისა" და სადაურობის გამომამჟღავნებელი არის და გამოდგება, V—VI სს. ძეგლების ენით არ მართლდება.

საკითხის განხილვა რომ დამთავრებულად ჩავთვალოთ, უნდა კიდევ ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ V—VI სს. ხანმეტი ნაწერების დამახასიათებელ თვისებას მეორე პირის სუბიექტური თავსართებისათვის **ჰაეს** მაგიერ **ხანის** ხმარება შეადგენს იმგვარადვე, როგორც შედარებითი ხარისხისა და უკუთქმითი მნიშვნელობის ნაწილებად „ხუ" იხმარებოდა. ქართული კილოკავების ყოველმა ცოტაოდნად მაინც მცოდნემ იცის, რომ ამავე თვისებების მქონებელი ამჟამად ქართულ კილოკავთა შორის

78 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.

მეტადრე სვანურია, რომელიც ხანს თავსართად მარტო მეორე პირის პრეფიქსად კი არ ხმარობს, არამედ პირველისა და მესამე პირისათვისაც, როგორც ახლა ირკვევა ობიექტურ თავსართად. შესაძლებელია აკად. ნ. მარმა ეს გარემოება თავის „სვანურობის" თეორიის დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენოს[79]. ეგების ეს მართალიც იყოს? სწორედ ეს საკითხი გვაქვს ახლა განსახილველი.

XII

პროფ. აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1912 წ. სტუდენტობის დროს აღნიშნა, რომ მეორე პირის სუბიექტური თავსართი ზმნებში ქართულ კილოებშია დაცული. ამის შემდგომ ამავე გარემოებას ძველ ქართულში პროფ. ივ. ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება. მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც აკ. შანიძის ღვაწლს შეადგენს, რომელმაც ამ ორ საკითხს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი კილოების

---

[79] ეს სწორედ ასეც მომხდარა. ამა წლის მარტის დამლევს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა პროფ. აკ. შანიძემ გადმომცა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის 1922 წ. 29 მარტის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომის ოქმის ამონაწერი, რისთვის დიდად უმადლობ, და რომლიდანაც ირკვევა, რომ ნ. მარს თავისი „სვანურობის" თეორია ახლა უკვე ბრწყინვალედ დამტკიცებულად მიაჩნია ენის გრამატიკული მხრითაც. ამ სხდომაზე მას წაუკითხავს: „В помещенной в ХВ за 1914 г. таблице генезиса и филиации различных списков редакции кавказской (sic) версии Ветхого Завета свод всего того, что было сделано по исследованию этого вопроса, дал нам основание внести между еврейским и сирийским текстами таргумную версию, а между армянским и грузинским переводами сванскую версию. В первом из двух случаев я опирался прежде всего на вновь тогда открытый древнейший текст армянского перевода книги „Паралипоменона", во втором т. е. в отношении сванского, я располагал лишь доводами сравнительной филологии в области литературных данных на соответственных языках и сравнительного языкознания на почве яфетической теории. Указание сванской вер, сии мною сопровождалось, как и таргумной, вопросительным знаком лишь потом у что *никакой сванской версией мы не располагали фактически, хотя фактическое ее существование, как мне казалось, доказано было неопровержимо и бесповоротно*. 23 марта я получил от византиниста-грузиноведа д-ра R. Blake'a следующее по-русски написанное сообщение: „обнаружил в Англии палимпсест с отрывками древнейшей грузинской версии Иеремии на полусванском говоре!!! Ваши предсказания (sic) оправдались *вполне*. Показатели 2-го лица везде и перед гласным ხ: აღხაროთ, აღხის[ი]ლოთ и в 3-м л. мн. числа у вм. ნ—„ნუ იყოყ" (вм. ნუ იყოფინ [следовало бы написать ново-г. ნუ იყონ]). Рукопись безусловно VIII в., инициальным письмом (ასო მთავრული)". К сожалению прибавлю лишь один вопрос: если еще в VIII веке текст был составлен на грузинском полусванском говоре, на каком языке должен был быть писан он в V—VI веках? Положено принять к сведению". ფრიად დამახასიათებელი საბუთია! როგორც ეტყობა, ბ-ნ რ. ბლეიკს ბოდლეიანის პალიმფსესტის ერთი იმ ნაწყვეტთაგანი უნდა ჰქონოდა ხელთ, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ ყოფილა და რომლის დანარჩენი ორი ფურცლის ფოტოგრაფიული სურათი ნ. მარს მოუცია 1697 წ., რაზედაც ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა (იხ. «მოამბე», გვ. 315—318). თუმცა წაკითხვის სიძნელე რ. ბლეიკს მთლად ვერ დაუძლევია და შეცდომა მოსვლია („ნუ იყოყ" და თარიღი შეცდომის ნაყოფია), მაგრამ მის სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მას მაინც წაუკითხავს ასე თუ ისე. დანარჩენი მისი მცდარი დასკვნა ნ. მარის თეორიების უკრიტიკოდ და ბრმად მიმდევრობით აიხსნება. რადგან არსებითად საკითხი ამ ძეგლთა ენის შესახებ ჩემს მოხსენებაში ისედაც ირჩევა, აქ ამაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა[80]. ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. პროფ. აკ. შანიძის ამ ნაშრომში კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული, იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზეა დამყარებული.

ამნაირმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ პროფ. აკ. შანიძე შემდეგ ძირითად დებულებამდის მიიყვანა:

„ძველ ქართულში მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკი არის პრეფიქსი ჰაე", რომელიც „ქმოვნის წინ ქართულში ადვილად იკარგება", ხოლო ენისწვერისმიერ ბგერათა ან აფრიკატების წინ ხანად და შინად იქცევა ხოლმე. მხოლოდ ბრძანებით კილოს... მეორე პირში არავითარი თავსართი არ სჭირდება, არამედ იგია წმინდა თემა ნამყო სრულისა თუ ნამყო უსრულისაგან აღებული"[81]. ერთგვარ გამონაკლისს მხოლოდ ორი ზმნა შეადგენს: «ვარ» და «ვვალ», რომელთაც მეორე პირში ხანი აქვთ (ხარ და ხვალ), იმის მაგიერ, რომ პირველს დაჰკარგოდა ჰაე, ხოლო მეორეს შეჰრჩენოდა იგი"[82]. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ პროფ. აკ. შანიძე ამბობს: ცხადია..., რომ ხანი, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (ხარ, ხუალ) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის, იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად ქმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღლილებაშიაც საზოგადოდ[83]. თანამედროვე ქ˜ლი ცოცხალი კილოების შესწავლამაც პროფ. აკ. შანიძე დაარწმუნა, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ბევრ კილოში, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, ახლაც შენახულია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა თუშური, მოხევური და ხევსურული კილოები, რომელთაც ამგვარ პრეფიქსად ხ და ღ აქვთ, მაგ., მოექსოვე, მოხქსოვე, — დავფარე, დახჟარე, — დავბარე, დაღბარე, — ვნახე, ღნახე, — ვავადობ, ღავადობ და სხვა[84]. მეცნიერული სიფრთხილის გამო აკ. შანიძეს ამ გარემოებამაც ვერ შეაცვლევინა თავისი ძირითადი დებულება, რომ მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად ხანი უცხო კილოს კუთვნილება უნდა ყოფილიყო და არა ძირითადისა. პროფ. აკ. შანიძემვე ძველი ძეგლების ენის მეთოდური შესწავლისა და დაკვირვების შემდგომ გამოარკვია, რომ როდესაც დამატება მიცემითს ბრუნვაში ახლავს ზმნას თუ იგულისხმება, მაშინ ამ მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად იგივე ბგერა ჰაე ემატება, რომელიც ყველა ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ წესებს ემორჩილება, მაგ. „ჰკითხა მას, ჰკითხა დედასა თჳსსა, ვჰკითხე მას" და სხვა[85].

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, როდესაც მე სვანურის აგებულების შესწავლას პეტერბურგში ჩემ ამხანაგ სვან ივ. თ. ნიჟარაძის დახმარებით ვცდილობდი, აზრი დამებადა, რომ თავდაპირველად ქართულ სამწერლობო ენაშიც სვანურის მსგავსად მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ხანი უნდა ყოფი-

---

[80] სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა.

[81] იქვე, 3—5.

[82] იქვე, 17—20.

[83] იქვე, 130.

[84] იქვე, 158—171.

[85] იქვე, 41—45.

ლიყო. ვფიქრობდი, რომ თვით პირველი პირის სვანური თავსართი ხვ, რომლის ნამდვილი ბუნება და მნიშვნელობა მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო და მხოლოდ ახლა ხანმეტი ნაწერების აღმოჩენის შემდგომ გამოირკვა, საერთო ქართულსაც ოდესღაც უნდა ჰქონოდა. მაგრამ ეს სვანურის აგებულების ზეგავლენით წარმოშობილი უბრალო მოსაზრება იყო, რომლის დამტკიცება არ შემეძლო და ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემთვისაც. მხოლოდ როდესაც პროფ. აკ. შანიძემ გამოარკვია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თანამედროვე კილოებსაც მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ხ და ღ აქვთ შენახული, ამის შემდგომ უკვე შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ ხ ქართული ენის საერთო მოვლენად ჩაგვეთვალა. როდესაც საქართველოს ორ-სამ ასეთ ერთიმეორისაგან დაშორებულს თემში ერთგვარი მოვლენა გვაქვს შენახული[86], რომლის კვალიც ძველ ქართულშიც ემჩნევა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ასეთ მოვლენებში საერთო ქართული მოვლენა ვეძიოთ. ამ მეთოდით ვხელმძღვანელობდი საერთო ქართული უძველესი წარმართობის შესწავლის დროს და ვფიქრობ, რომ მის სიფრთხილითა და წინდახედულობით გამოყენებას შეიძლება ნაყოფიერი შედეგი მოჰყვეს ხოლმე. ამიტომ პროფ. აკ. შანიძის ზემოაღნიშნული თხზულების შესახებ საჯარო პაექრობის დროს გამოვთქვი კიდეც ჩემი აზრი, რომ სვანური და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კილოებისა და „ხარ" — „ხვალ"-ის ნაშთი ძველ სამწერლობო ქართულში, უფლებას გვაძლევს ხანი მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად ქართული ენის თავდაპირველ საერთო მოვლენად ვიგულისხმოთ. მაგრამ ამის დამამტკიცებელი მოვლენის ხილვა მაშინ მე მხოლოდ შორეულს წარსულში მიმაჩნდა შესაძლებლად ისე, რომ როდესაც პროფ. აკ. შანიძემ 1922 წელს კერძო საუბარში მოხსენების წაკითხვამდე ყურადღება მცხეთის ჯვრის დემეტრე ჳპატოსის წარწერაზე მიმაქცევინა, რომ იქ „მეოხ ხეყავ"-ია ამოჭრილი, ეს მოვლენა ისტორიულად ცნობილს ხანაში ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო რომ ეჭვიც კი დამებადა, აქ ხომ მრჩობლწერითი, ანუ დიტტოგრაფიული შეცდომა არ იყო. მაგრამ ამგვარი ეჭვის უსაფუძვლობას ბოლნისის ორი წარწერა ამტკიცებდა, სადაც ამგვარივე ფორმებია ნახმარი.

პროფ. აკ. შანიძემ ამ წარწერებში ნახმარი ხანიც ქართულის ერთ-ერთი დიალექტური წრისა თუ კილოს კუთვნილებად ჩასთვალა[87]. პირადად მე ჩემი ძველი ჰიპოთეზი უფრო სამართლიანად მიმაჩნდა, მაგრამ მასალა იმდენად მცირე იყო, რომ მასზე დამყარებას შეუძლებლად ვთვლიდი და ამ აზრის გამართლების მოლოდინი ისევ მხოლოდ შორეულ წარსულში მქონდა. ახლად აღმოჩენილმა V—VI სს. ხანმეტმა ძეგლებმა ცხადყვეს, რომ ასე შორს წასვლა საჭირო არ იყო და რომ ხანი მართლაც ქართული საზოგადო სამწერლობო ენის კუთვნილება ყოფილა.

---

[86] ეხლა ირკვევა, რომ ხანის ხმარება ქართლურ თანამედროვე კილოშიც კი ყოფილა შენახული. ამ მხრივ საყურადღებოა ხალხური მწერლის იაგორ ტეტუნაშვილის ენა, რომელიც თავის დაბეჭდილს თხზულებებში ასე წერს: „ხყვანდეს", „შემსვლელს ქალს თვალს მოხკრამდა" და სხვ. (იხილე მისი „ცხოვრების გზაზე", თბილისი, 1922, I, გვ. 86 და 90). ამ გარემოებაზე და თხზულებაზე ჩემი ყურადღება ბ-მა იოს. ჰეიშვილმა მიაქცია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[87] ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ჴმარებისა ჴმოვნების წინ ქართულ ზმნებში (უნივერსიტეტის მოამბის ამავე №-ში[2], გვ. 280—281).

შესაძლებელია, აქ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრას, თუ როგორ მოხდა, რომ ხანი შემდეგში გაქრა და ზოგს, მათ შორის უპირველესად აკად. ნ. მარს, აზრი დაებადოს კიდეც, ვითომც ამ მოვლენაში მაინც „სვანურობი"-დან გადმოქართულების პროცესთან გვქონდეს საქმე? ამ საკითხის განხილვის დასამთავრებლად ამჟამად ესღა გვაქვს მარტო გასარჩევი.

XIII

VI ს. და VIII—IX სს. ხელნაწერთა ენის განხილვა მართლაც ცხადყოფს, რომ VII ს-ში ქართულ სამწერლობო ენას ცვლილება დასტყობია: მე-2 პირის სუბიექტური და მე-3 პირის ობიექტური თავსართები ხ, ორი შემთხვევის გარდა, ჰაედ შეცვლილა[88]. რასაკვირველია, ეს ერთბაშად არ მოხდებოდა და შესაძლებელია ამგვარი პროცესი სასაუბრო ენაში უკვე VI ს-ში დაწყებულიყო, იმგვარადვე როგორც, ცხადია, აქა-იქ შესაძლებელია ხ VII საუკუნის დამლევსა და VIII საუკუნის დამდეგსაც, ხოლო კილოებში უფრო ხანგრძლივაც ყოფილიყო წინანდებურად ნახმარი.

გამოსარკვევია მაინც, თუ რა მოხდა მაშინ, ენის წიაღში წარმოშობილი ერთგვარი რევოლუცია იყო, თუ ბუნებრივი განვითარების პროცესთანა და ევოლუციასთანა გვაქვს აქ საქმე?

ენის სფეროში რევოლუცია შესაძლებელია ჯერ ერთი შინაგანი მიზეზებით ყოფილიყო გამოწვეული საკუთარ კილოკავთა ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და განწყობილების შეცვლით, როდესაც ამავე ერის რომელიმე ახალი, წინათ საერთო ეროვნული ცხოვრებისათვის უმნიშვნელო და საერთო შემოქმედებას მოშორებული, ტომი უპირატესობას მოიპოვებდა და თანაც თავისი ტომის კილოკავის გაბატონებით საერთო ენასაც საგრძნობ კვალს დააჩნევდა. მეორე მხრით, ენის რევოლუციებრივი გარდაქმნა შესაძლებელია სრულებით გარეშე და უცხო ძალისა და ენის შემოჭრისა და გავლენის შედეგი ყოფილიყო, როდესაც დაპყრობილი ერი იძულებული ხდებოდა გაბატონებული ერის უცხო ენა შეეთვისებინა მისი სრულებით განსხვავებული აგებულებითა და ენოვანი ფსიქიკითურთ. ასეთ შემთხვევაში იმის გარდა, რომ დამონებული ერი უნებლიეთ დამპყრობელის სიტყვებს მრავლად ითვისებდა, თავისი ენის სინტაქსურ წყობილებასაც და თვით სიტყვათა აგებულებასაც ხშირად უცხოურის ზეგავლენითა და მსგავსადა ცვლიდა ხოლმე. რაც უფრო ხანგრძლივი და მკაცრი იყო დამპყრობელი ერის ბატონობა, მით უფრო ძლიერი იყო ხოლმე ენის რევოლუციებრივი ცვლილების პროცესი, რომელიც შეუღლება-შერევის წყალობით შეიძლებოდა ნაწილობრივი ან სრული გარდანივთებით და თვით გადაშენებითაც დამთავრებულიყო. უცხო ენის ბატონობით წარმოშობილი გარდაქმნა გაცილებით უფრო ძლიერი იყო ხოლმე, ვიდრე შინაგანი, ტომობრივ ძალთა განწყობილების ცვლილებისაგან წარმომდგარი.

სიძლიერის ინტენსივობის მხრივ ზეგავლენისა და გარდაქმნის პროცესი შეიძლება სამ საფეხურად დაიყოს. პირველი ყველაზე სუსტი ზეგავლენისა და ნაწილობრივი გარდანივთების მომასწავებელი საფეხური უცხო ენის სიტყვე-

---

[88] საისტორიო საზოგადოების წიგნთსაცავში ერთი პალიმფსესტია, რომელსაც ჰაეს ხმარება ახასიათებს. პროფ. აკ. შანიძე ამზადებს მისი ტექსტის გამოცემას.

ბის უხვად შეთვისებით გამოიხატება და განისაზღვრება ხოლმე. მეორე, უფრო თვალსაჩინო გავლენის მომასწავებელი საფეხური უკვე ენის ფსიქიკის საგრძნობი შეცვლით გამოიხატებოდა, როდესაც სიტყვათა სინტაქსური წყობილება და ურთიერთშორისი დამოკიდებულება გაბატონებული უცხო ენის ფსიქიკისა და სინტაქსისდა მიხედვით იცვლებოდა. ამგვარი ცვლილება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დამონავებულ თუ დაპყრობილ ერს დამპყრობელი ერის ენა იმდენად შეთვისებული აქვს, რომ მასაც სასაუბროდ ხმარობს. მესამე, უკვე ენის გარდაქმნა-გადაგვარების მომასწავებელი, საფეხური თვით ენის მორფოლოგიური აგებულების ცვლილებასაც შეიცავს ხოლმე.

რომელი ამ სამი პროცესთაგანი გვაქვს ქართულ სამწერლობო ენაში, როგორც იგი ახლა გვეხატება V—VI სს. და VIII—IX სს. ძეგლებში? ლექსიკურად, შეიძლება ითქვას, მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. იშვიათი შემთხვევაა, რომ VIII—IX სს. სახარებისა და სხვა წიგნების ხელნაწერებში სრულებით ახალი სიტყვა იყოს შეტანილი. სინტაქსურადაც V—VI სს. და VIII—IX სს. ხელნაწერთა და ძეგლთა ენაში არ ემჩნევა, რომ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება მოიპოვებოდეს. აგებულების მხრივაც ქართულ სამწერლობო ენას ამ საუკუნეთა განმავლობაში არავითარი არც გარდაქმნისა და არც გარდაშენების პროცესი არ ემჩნევა და, მაშასადამე, არც ერთი ამ საფეხურთაგანის მსგავსი მოვლენა იმ ცვლილებაში, რომელიც V—VI სს. და VIII—IX სს. ქართულ სამწერლობო ენას ახასიათებს, არ მოიპოვება. პირიქით, არც მორფოლოგიურად და სინტაქსურად, არც თვით ლექსიკურად არავითარი განსხვავება არ ჩანს. ჩვენ თვალწინ მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებაა, ისიც სრულებით კანონიერი და მარტო მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტურ თავსართებსა, შედარებითს და უარყოფით ნაწილაკებში.

ეს გარემოება ცხადყოფს, რომ VII—VIII სს. ქართულ ენას რევოლუციით გამოწვეული გარდაქმნა და გარდაქმნა კი არ გამოუვლია, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი ევოლუცია, ფონეტიკური ცვლილება.

ამგვარად, ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ V—VI სს. სახარებისა, დაბადებისა და სხვა ძეგლების ტექსტი სვანურად კი არ არის დაწერილი, როგორც ამას „წინასწარმეტყველებდა“ და უცილობელ ჭეშმარიტებად აცხადებდა პროფ. ნ მარი, არც სანახევროდ სვანურ კილოკავზეა ნათარგმნი, როგორც ეს პროფ. რ. ბლეიკს ნ. მარის ზეგავლენით სჩვენებია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართულად. ახლად აღმოჩენილი ხანმეტი ტექსტები იმდენადვე სვანური არ არის, რამდენადაც არავის ფიქრად არ მოუვა V და VI სს. მარტიროლოგიური ძეგლები, — იაკობ ხუცესის თხზულება „წამებაჲ შუშანიკისი“ და ევსტათე მცხეთელის მარტვილობა, — სვანურად გამოაცხადოს. ახლა, როდესაც ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რა ენით და როგორც უწერიათ ქართველებს V—VI სს-ში, თითქმის შეუმცდარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მერმინდელ გადამწერთაგან ჩადენილ შეცდომებს გარდა, იაკობ ხუცესის ნაწარმოებიცა და ევსტათე მცხეთელის მარტვილობაც სწორედ იმგვარად უნდა ყოფილიყო დაწერილი, რა ენითაც მათ ჩვენამდის მოაღწიეს, მხოლოდ ხანებიანად, და ამ მხრივ მათი ნაწერის პირვანდელი სახის აღდგენა უკვე ამიერიდან დაუძლეველ სიძნელეს არ წარმოადგენს.

XIV

ხანმეტ ძეგლთა აღმოჩენამ ცხადყო, რომ ქართული ენის ისტორიული განვითარების საფეხურების შესახებ მიღებული შეხედულებაც უნდა შეიცვალოს, თუ წინათ გვეგონა, რომ ქართულ სამწერლობო ენას ორი მთავარი საფეხური ჰქონდა, — ერთი უძველესი კლასიკური, V—XII ს-მდე, მეორე ამ დროიდან მოყოლებული გარდამავალი, რომელიც XIX ს-ში ახალ ქართულით დამთავრდა, ახლა ირკვევა, რომ ქართული უძველესი კლასიკური სამწერლობო ენის დასაწყისი საუკუნეთა წყვდიადში გვეკარგება, ხოლო მისი ბატონობა VII ს. დამდეგამდის აღწევს, დაახლოებით VII—VIII სს-იდან იწყება უკვე ქართული სამწერლობო ენის განვითარების მეორე საფეხური, რომლის დამახასიათებელ თვისებას ხ თავსართების, სუბიექტურის მეორე პირისა და ობიექტურის მესამე პირისა, ჰაედ შეცვლა და სხვა ფონეტიკური ცვლილებები შეადგენს. როდემდის გრძელდებოდა ეს ხანა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

კულტურული თვალსაზრისითაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ფრიად საყურადღებო არის და საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევენ. ხელნაწერები, როგორც ეს გადარეცხის მიუხედავად და შემდგომაც კარგად ეტყობა, ლამაზი, მშვენივრად ჩამონაკვთილი მრგვლოვანი ასომთავრულნი დამწერლობით არიან გამოყვანილი. აშკარაა, რომ ამ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი მუშაობა უძღოდა წინ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ასოები გასაოცარი ერთგვარობითა და მოხდენილობით არიან განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ ამ V—VI სს-თა ძეგლებში უკვე მრგვლოვანი დამწერლობის საუცხოოდ ჩამონაკვთილი ნიმუში გვაქვს. მაშასადამე, მრგვლოვანი დამწერლობის პირველი დასაწყისი რამოდენიმე საუკუნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო რადგან მრგვლოვანი დამწერლობის წინამორბედად და წარმომშობელად ჩვეულებრივ კუთხოვანი დამწერლობა იყო და ქართული უძველესი კუთხოვანი ნუსხა-ხუცურიც თავისი არსებობითაცა და თვისებებითაც ნათლად ამტკიცებს, რომ საქართველოშიც კუთხოვანი ხუცური ასომთავრული უეჭველად უნდა ყოფილიყო, ცხადი ხდება, რომ ამ კუთხოვანი ასომთავრული დამწერლობის მხატვრული ჩამონაკვთილობისა და მით უმეტეს დასაწყისი ხანა მრავალ საუკუნეთა სიღრმეში უნდა ვეძიოთ. აქამდის, სანამ V—VI სს-ის დამწერლობის ძეგლები თითო-ოროლა ასოს სახით გვქონდა შენახული ფულებზე და მხოლოდ ერთი 8-სტრიქონიანი წარწერა მოგვეპოვებოდა, ამგვარი აზრი შეიძლება სათუოდ ყოფილიყო მიჩნეული, ახლა კი VI ს. ხელნაწერთა მთელი რიგის აღმოჩენისა და მათი მშვენიერი მრგვლოვანი ასომთავრული დამწერლობის შემდგომ ქართული წერითი ხელოვნების დასაწყისის საპატიო ხნიერება უკვე უეჭველ გარემოებადა ხდება.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ VI ს. ხელნაწერები ასეთ მშვენიერ ეტრატზეა ნაწერი, რაც გადარეცხისდა მიუხედავად მაინც ცხადად ემჩნევა, რომლის დიდ ფურცლებზე ორ ან ერთ სვეტად, მდიდრულად, ფართო და გაშლილი წერით, ადგილის დაუზოგველად ტექსტია გამოყვანილი. ეტყობა, მაშინ საქართველოს კარგი ღირსების საწერი მასალა, ეტრატი და მელანი უხვად ჰქონია. ესეც ასე თუ ისე მაშინდელი განათლებული ქართველი წრეების ქონებრივი სიმდიდრის მაჩვენებელია.

შემდეგ ეფრემ მცირისგან ვიცოდით და აქამდის დარწმუნებულიც ვიყავით, თითქოს განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში პირ-

ველად სწორედ ეფრემ მცირეს შემოეღოს. VI ს. ახლად აღმოჩენილი ძეგლები ცხადყოფენ ამ აზრის უსაფუძვლობას, რადგან განკვეთილობისა თუ სასვენი ნიშნები იქაც უკვე იხმარება. სამი სხვადასხვა აზრის მქონებელი ნიშანი მაინც მოიპოვება. ეს გარემოება იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ იგი თავისდათავად მაშინდელ საქართველოში ერთგვარი გრამატიკულ-სამწიგნობრო მოძღვრებისა და სკოლის არსებობის მომასწავებელია.

XV

კიდევ ბევრის მხრით შეიძლება დახასიათდეს ახლად აღმოჩენილი ძეგლების მნიშვნელობა, მაგრამ ჩემი ისედაც გრძელი მოხსენებით ისე მოგქანცეთ და მეც იმდენად დავიღალე, რომ საუბარი უნდა შევწყვიტო.

ჩვენ წინ დიდი რთული სამუშაოა: ამ ტექსტების წაკითხვა და ღირსეული გამოცემა და, იმედი მაქვს, რომ ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერნი, ამ ჩვენი ვალდებულების პირნათლად ასრულებას ვეცდებით. სახარება-დაბადებისა და საზოგადოდ საღმრთო წერილის ძეგლების შესწავლა ისტორიკოსის საქმე არ არის, არამედ ენათმეცნიერთა და მწერლობის ისტორიკოსებისა და ჩვენი სპეციალისტები სათანადოდ გამოიყენებენ ამ ფასდაუდებელს განძს. იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ამ პალიმფსესტთა შორის ისტორიული ძეგლებიც აღმოჩნდეს. მაინცდამაინც ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ამ მიღწეულობით დავკმაყოფილდეთ, არამედ უნდა გაორკეცებული ხალისითა და ენერგიით განვაგრძოთ ძიება. გზა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამორკვეულია: პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადიან. თუ ახლაც, როდესაც ჩვენ ხელნაწერთა სისტემატურ აღწერილობას მხოლოდ ვიწყებთ და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენში იშვიათად თუ შეუწუხებია დროთა განმავლობაში მიწაში ჩაფლული ნაშთები, ასეთი უხვი სამკალი გვაქვს, მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის, რომელიც ჩვენი ისტორიის უძველესი ხანის საუკუნეთა სიღრმის წყვდიადის გაფანტვას შეაძლებინებს.

ამ მოხსენებას დართული აქვს ხანმეტი ტექსტების ნიმუშები[89] და ხელნაწერთა ცინკოგრაფიული სურათები.

---

[89] ნიმუშები მოყვანილია მხედრული ასოებით.

ხელნაწერებში მუხლების ბოლოს ზოგჯერ ისეთი ნიშნები მოიპოვება, რომელთა შესაფერისიც სტამბაში არ იშოვება და ამიტომ არ არის გადმოცემული.

ცარიელი ადგილები იმის მომასწავებელია, რომ ტექსტი ან სრულებით არის გადაფხეკილი, ან ჩამოჭრილია.

[ ] ფრჩხილებში ჩასმული ასოები და სიტყვები ხელნაწერში არ იკითხება სიმქრალისა ან დაზიანების გამო.

⌈ ⌉ ⌊ ⌋ ნახევარი ფრჩხილები აღნიშნავს, რომ ასოს არ უჩანს ზემო ან ქვემო ნაწილი.

ხელნაწერები მხოლოდ ნომრებით არის აღნიშნული:

№№ 89, 737, 844 თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმისაა.

№ 999 საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისაა.

ႸႤႵႫႬႠႧႠჂ

№ 999 (IX, 11—12; 14—15; 17—19)

ფ. 86 v. 1 მშოჳ 11

2 ერისა: და ცხო

3 საႱႭჂ რ̃ლ არს ქ[ოჳე]

4 ყანასა ზ̃ა

5 Ⴃა ხრქ̃ა ო̃ნ ღ̃ნ 12

6 ესე არს ნიში ალთ[ქოჳ]

7 მისაჲ რ̃ლ დავ

8 შოვრის ჩემსა დ

9 ვრის ყ̃ლსა

ფ. 86 r. 1 ⌈ხ⌉იყო რჳ 14

2 დეჲ თა

3 ექ და

4 მო მშჳლდი

5 როჳბელთა მათ

6 ნა და მოვიღ 15

7 მე ალთქოჳმასა

8 ემი რ̃ი დავდევ შოვ

ფ. 87 r. 1 სა რ̃ლ არს, ქ̃ყანა 17

2 Ⴃა ხიყოჳნეს ძენ 18

3 ნოეჲსნი რ̃ლნი გა

4 ვიდეს კიდობნისა მ

5 და ქამ ხიყო მა

6 ქანაანისაჲ: ეს 19

შექმნათაჲ IX (A 51-ით): (11) და არღარა იყოს მერმე რღუნა წყლისა განხრწნად ყოვლისა ქუეყანისა. (12) და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს [და] ძეთა [მისთა]: ესე სასწაული ალთქუმისა ჩემისაჲ, რომელსა მე მოვსცემ შორის ჩემსა და შორის თქუენსა და შორის ყოვლისა სულისა [ცხოველისა], რომელი არს თქუენ თანა ნათესავად საუკუნოდ. (14) და იყოს, რაჟამს მოვავლინო ღრუბელი შორის ქუეყანასა, გამოჩნდეს მშჳლდი იგი ღრუბელთა შინა. (15) და მოვიჴსენო ალთქუმაჲ ჩემი, რომელ არს შორის ჩემსა და თქუენსა... (17)... რომელ არს ქუეყანასა ზედა (18) ხოლო იყვნეს ძენი ნოესნი გამოსრულ კიდობნისაგან სემ, ქამ და იაფეთ ხოლო ქამ იყო მამაჲ ქანანისი. (19) ესე სამნი...

(XVIII 2—3)

ფ. 86 v. 1 ⌈ნა იგინი აღდგა შემ⌉[თ] 2

2 ხოჳევად მათა კა

3 კარჳისა მისისა

4 და თაჳყოჳა

5 ნის ხცა მათ ქოჳე

6 ყანასა ზ῀ა

7 ხრქოჳა ო῀ო ოჳკოჳე

8 თოჳ ეპოვე მადლი წ῀ე 3

იგავნი სოლომონისნი

№ 999

(IX 1—4)

ფ. 141 r. 1 სიბრძნემან იშჱნა 1

2 თავისა თჳსისა სახლ

3 და ქოჳეშე შეხოჳდგნა მ

4 შჳდნი სოჳეტნი დაკ 2

5 ლა საკლეელი და

6 განზავა ტაკოჳკ

7 თა თჳსთა ღჳნოჲ და

ფ. 144 v. 1 თჳსი წარავლინ 3

2 ნა მონანი თჳსნი მ[ო]

3 წოდებად მაღლითა

4 ქადაგებითა განმ

5 ზადებოჳლსა მას ზ῀ა

6 და თქ῀ა რ῀ი არს ოჳ

7 გოჳნოჳრთაგან 4

შექმნათაჲ XVIII (ოშკ-ათონის ხელნაწერით): (2) იხილნა იგინი და აღდგა, მირბიოდა შემთხუ[ე]ვად მათა კარითგან კარვისა მისისაჲთ და თაყუანის-სცა მათ ქუეყანასა ზედა (3) და ჰრქუა მათ: უფალნო, უკუეთუ ვპოე მადლი წინაშე....

იგავნი სოლომონისნი XI (A 51-ით): (1) სიბრძნემან იშენა თავისა თჳსისა სახლი, და ქუეშე შეუდგნა მას შჳდნი სუეტნი. (2) და დაკლა თჳსი იგი საკლველი, და განზავა ტაკუკთა თჳსი იგი ღჳნოჲ. და განმზადა თავისა თჳსისა ტაბლაჲ. (3) და წარავლინნა თჳსნი მონანი მოწოდებად მაღლითა ქადაგებითა ტაკუკთა ზედა. (4) და ჰრქუა: რომელი არს უგუნურთაგანი მოაქციენ.

წინასწარმეტყველება იერემიასი

[ოქსფორდის პალიმფსესტი]

(პირველი ფურცელი, ტაბულა II)

		სვ. 1.	სვ. 2.	
		(XVII 26—27)		
26	1	ლები და საკოჳ	და შეჭამნეს	
	2	მეველი და შესა	ზღოჳრბლნი ი[ჱ]მი	
	3	წირავი და გოჳ	სანი და არა	
	4	ნდროჳკი და მო	დაშრტეს	
	5	ხაქოჳნდეს ქე		
	6	ბად სჺაჲხელსა		
	7	ო῀ლისასა	(XVIII 2—8)	
27	8	⸢Ⴃ⸣ა ოჳკოჳეთოჳ	Ⴀღდეგ და შთა	2
	9	არა ხისმინოთ	ვედ შენ სახიდ	
	10	ჩემი წმიდა ყო	მეკეცისა და	
	11	ფად დღჱ იგი შა	მოჳნ გესმენ	
	12	ბათთაჲ და რ῀ა	სიტყოჳანი ჩემნი:	
	13	არა აღხიღოთ	Ⴃა შთავედ სა	3
	14	ტჳრთი და შეხჳ	ხიდ მეკეცისა	
	15	დოდით ბჭეთა	მის და აჰა	
	16	ი῀ჱმისათა დღჱ	მოდა სა[ქ]	
	17	სა შაბათთა	მესა თჳსსა	
	18	სა აღხოჳაგზ	ხა ზ῀ა და ა	4
	19	ნე ცეცხლი ბჭე	ერა ჭოჳრჭე	
	20	თა ი῀ჱმისათა	იგი რ῀ლსა	

წინასწარმეტყველება იერემიასი XVII (A 51: ნაბეჭდი): (26)... მსხუერპლთა. და საკმეველთა და მანანასა, და გუნდრუკსა, და მომღებელნი საქებელად სახლისა მიმართ უფლისა. (27) და იყოს, არა თუ ისმინოთ, ჩემი წმიდა ყოფად დღჱ შაბათთაჲ, არა აღებად ტჳრთნი და შესლვად ბჭეთა იერუსალჱმისათა დღესა შინა შაბათთასა, და აღვაგზნა ცეცხლი ბჭეთა მისთა შორის, და შეჭამნეს მრჩობლ გზებნი იერუსალჱმისანი და არა დაშრტეს.

XVIII. (2) აღდეგ და შთავედ სახიდ მეკეცისა, და მუნ გესმნენ სიტყუანი ჩემნი. (3) და შთავედ. სახიდ მეკეცისა, და აჰა იგი იქმოდა საქმესა ქვათა ზედა. (4) დავარდა ჭურჭელი, რომელსა...

(მეორე ფურცელი, ტაბულა I)

		სვ. 1	სვ. 2	
	1	ქელითა თჳსითა	შინა მეკეცისასა	
	2	[ლ]ოდსა მას ზ͠ა	ეგრეცა თქ͠ნ ხა	
	3	და შეხიმოჳსრა	რთ ჴელსა ჩემ.	
	4	და კოჳლად შექ	სა სახლო ი͠ჱლი	
			ლ	
	5	მნა იგი ჳოჳრჳ	საო ალსასროჳ	7
	6	[რ]ად სხოჳად ე͠ა	სა ხჳტყოდი ნა	
	7	სათნო ხოჳჩნდა	თესავთა მიმა	
	8	წინაშე მისსა	რთ ანოჳ მეოჳ	
	9	საქმედ	ფებათა ალღე	
		ად		
5	10	Ⴃა ხიყო სიტყოჳ	ბად მათა და	
	11	ო͠დ ჩემდა და	დარღლოჳევაჲდ	
6	12	მრქოჳა მე: ოჳ	და წარწყმედად	
	13	კოჳეთოჳ ე͠ა ჭ[ე]	და მოხაქციოს	B
	14	კეცესა ამას	ნათესავმან	
	15	[ვ]ერ ძალმიც	მან ოჳკეთოჳრე	
	16	თქ͠ნდა სახლო	ზისაგან მათი	
	17	ი͠ჱლისაო ხიტ	სა რ͠ლსა ხჳტყო	
	18	ყჳს ო͠ი	დე ყოფად მათ	
	19	[ა]ჰა ესე რა ე͠ა	ზ͠ა და შევინა	
	20	[თ]იქაჲ ჴელსა	ნო ბოროტთა	

Sanctorum Ordinis S. Benedicti-ის გამომცემლობის ხელმძღვანელობა ჰქონდა ჩაბარებული. თუმცა მაბილლონიც თავის კვლევა-ძიებას პრაქტიკული საბაბის გამო შეუდგა, სახელდობრ, რომ პაპებროხის მიერ ერთი ბენედიქტელთა ფრანგული მონასტრის ნატყუარად გამოცხადებული საბუთების სინამდვილე დაემტკიცებინა, მაგრამ იმთავითვე იგი დიპლომატიკის საზოგადო საკითხების კვლევა-ძიებას შეუდგა და თავის შრომასაც გზის გამკაფავი და მტკიცე საძირკველის ჩამყრელი გამოკვლევის ხასიათი მისცა. 1681 წ. მან დაბეჭდა თავისი უკვდავი თხზულება „De re diplomatica libri VI“, რომელიც საფრანგეთის მინისტრს კოლბერტს უძღვნა. ამ ნაწარმოების პირველს წიგნში აღწერილია საბუთების სხვადასხვაგვარობანი, გამორკვეულია საგნის საზოგადო ცნება, საწერი მასალა და სხვადასხვანაირი დამწერლობა, მეორე წიგნში გამოკვლეულია საბუთების ენა და ნაწილები, სამდივანმწიგნობროს შემადგენლობა, ბეჭდები, მოწმენი, ხელის მოწერა და დათარიღების წესი, მესამე წიგნში პაპებროხის, კორნინგისა, ნოდეს და სხვათა აზრების დარღვევაა და საბუთების პირეშის კრებულების შესახებაა საუბარი, მეოთხეში და მეხუთეში დამწერლობისა და სხვადასხვა ხელის ნიმუშებია, ხოლო უკანასკნელ წიგნში თვით სიგლების ტექსტია მოყვანილი.

უკვე ამ შინაარსის მოკლე მიმოხილვითგანაც ცხადია, თუ რამდენად მაბილლონის დიდებული შრომა ყველა წინამორბედ მკვლევართა ნაწარმოებზე მაღლა იდგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაბილლონმა თავის დასახულ მიზანს ისე ფართოდ შეხედა, რომ საფრანგეთის ძველი საბუთებით განთქმული არქივების მასალები შეისწავლა ან პირადად და ადგილობრივ, ან თავის თანამშრომლების წარვლენითა და დახმარებით. მისი ცოდნისა და კვლევისმოყვარეობის ტრფიალი და გულმოდგინეობა იმდენად ძლიერი იყო, რომ სცადა იტალიითგანა და გერმანიითგანაც მიეღო მისთვის საჭირო მასალები და ცნობები. პირველმა მან მოუყარა თავი და შეისწავლა მრავალი როგორც წინათ ცნობილი და დაბეჭდილი, ისევე ახლად აღმოჩენილი საბუთი, და ამ დიდძალი დედნებისაგან შემდგარი მასალის შედარებასა და კრიტიკულ შესწავლაზე დაამყარა დიპლომატიკის კვლევა-ძიების მეთოდოლოგიაცა და საზოგადო დებულებანიც. პროფ. ჰარრი ბრესლაუ ფიქრობს, რომ ვითომც მასალების სიუხვითა და ხელმისაწვდომობით აიხსნებოდეს ის უპირატესობა, რომელიც მაბილლონის შრომას მის წინამორბედთა თხზულებებთან შედარებით ცხადად ემჩნევა, თორემ ნიჭითა და გონებამახვილობით ის თავის წინამორბედთა კორნინგსა და პაპებროხზე მაინცდამაინც მაღლა არა მდგარაო (იქვე, 25-27). მაგრამ უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ ამ სამი პირის ღვაწლისა და მნიშვნელობის შედარებითი დაფასების დროს მარტო მათს ნიჭსა და გონებამახვილობას კი არ მივიღებდით მხედველობაში, არამედ იმ თვალთახედვისა და დასახული მიზნის სიფართოვესა და სიღრმესაც მივაქცევდით ყურადღებას, რომლითაც მაბილლონი თავის ყველა უწინარეს მკვლევართ ამ დარგში სჯობნის და აღემატება. სწორედ ის გარემოება, რომ მან თავის სამეცნიერო მიზნის მისაღწევად ამოდენა მასალის წინასწარი შეგროვება და შესწავლა საჭიროდ ცნო და კერძო შემთხვევათა კვლევის მაგიერ საკითხის საზოგადო გაშუქებას ასეთი სივრცე-სიფართოვითა და სიღრმით შეუდგა, მაბილლონის დიდს უპირატესობას წინამორბედ მეცნიერებთან შედარებით ცხადყოფს.

ამგვარად მაბილლონი დიპლომატიკის სამეცნიერო დარგის ნამდვილი შემქმნელია. თვით ტერმინიც მისივე შემოღებულია. ორას ორმოცი წლის შემდგომაც მაბილლონის გამოკვლევა მრავალ საზოგადო დებულებას შეიცავს, რომელიც ახლაც წინანდებურად შეურყეველ ჭეშმარიტებად ითვლება, ხოლო ფრანკებისა და ფრანგ მეფეთა, მეტადრე მეროვინგების ხანის, საბუთების შესახებ მის შრომას ახლაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს (იქვე, 27-28): და მარტო ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ამ დიდებულ მეცნიერის სახელისა და ღვაწლის უკვდავება ცხადი შეიქმნეს.

მაბილლონის შესანიშნავმა შრომამ მაშინდელ ყველა განათლებულ ქვეყანაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და სხვებიც ამ სამეცნიერო დარგში მუშაობისათვის წაახალისა. ამის წყალობით დიპლომატიკის, როგორც სპეციალური, ისევე საზოგადო გამოკვლევების წერა გაცხოველდა. თუ პაპებროხმა თავისდა სასახელოდ მაბილლონის მიერ მისი თეორიების საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებული კრიტიკის სრული საფუძვლიანობა აღიარა, დანარჩენ მის თანამონაზონებს, იეზუიტებს, მაბილლონის თხზულების დებულებათა მიღება არ სურდათ და ცხარე კამათში წინანდებური საბუთების და კლასიკური ავტორების ნაწარმოებთა ნატყუარობის თეორიას იცავდენ. მაგრამ შემდეგ ასეთი წრესგადასული და თავაღებული უარისყოფა თვით იეზუიტებმავე შეაჩერეს. შრომების სიმრავლისდა მიუხედავად მხოლოდ ოთხმოცი წლის შემდგომ გამოქვეყნდა მეორე თვალსაჩინო ნაწარმოები მაურინელთა ძმობის ბერ ფრანგ მეცნიერების დომ ტ უ ს ტ ე ნ ი ს ა (Dom. Ch. Fr. Toustain) და დომ ტ ა ს სე ნ ი ს (Dom. tr. Tassin) მიერ 1750 წ. დაწყებული შრომა „Nouveau traitè de diplomatique, oú l'on examine les fondements de cet art: on établit des règles sur le discernement des titres, et l'on expose historiquement les caractères des boulles pontificales et des diplômes donnés en chaque siècle... par deux religieux Bénédictins de la congrégation de St. Maur. 1754 წ. ტუსტენის სიკვდილის შემდეგ ეს ნაწარმოები გაგრძელებული იყო ტასსენის მიერ, რომელმაც 1765 წ. მთელი ნაშრომის ბეჭდვა დაამთავრა კიდეც. პარიზში დაბეჭდილი 1750—1765 წწ. ეს დიდი თხზულება 6 ტომად გამოიცა. პირველ წიგნში საზოგადო დებულებებია, საბუთების ეჭვმიუტანლობისა, არქივებისა, დედნებისა და პირების და საბუთების სხვადასხვაგვარობათა შესახებაა. მეორე წიგნი საწერ მასალასა და იარაღს, მელანს, ანბანის წარმოშობასა და ისტორიას, ლათინური დამწერლობის სხვადასხვაგვარს, განკვეთილობის ნიშნებს და ქარაგმებს, რიცხვის ნიშნებს, თხზულ ანბანს, მალემწერლობის ნიშნებს (Tironische Noten), სიგელების მწიგნობრობას, ბეჭდებს და საბუთების შედგენილობას ეხება. მესამე წიგნი სხვადასხვა დამწერლობისა, მართლწერისა, საბუთების ენისა და ნაწილებისა, დათარიღებისა და ხელის მოწერის შესახებს ცნობებს შეიცავს. მეოთხე წიგნი რომის პაპებისა, ხოლო მეხუთე დანარჩენ სასულიერო პირთა და დაწესებულებათა სიგელების დიპლომატიკას შეიცავს. მეექვსე და მეშვიდე წიგნები რომის კეისრებისა, მეფეთა და მთავრებისა, აგრეთვე დანარჩენ ერისკაცთა და საერო დაწესებულებათა საბუთების დიპლომატიკას ეხება.

თუმცა ეს ორი ფრანგი მეცნიერი თავიანთ დიდებულ თანამემამულე მაბილლონს შემოქმედებითი ნიჭით ჩამოუვარდებოდენ, მაგრამ მაინც განმაცვიფრებელი სამეცნიერო ცოდნა, აუარებელი მასალის შეგროვების გულმოდგინე-

ობა გამოიჩინეს. ხოლო წყაროების შედარებითი შესწავლისათვის გამოკვლეულ-გათვალისწინებული ძეგლების სიუხვე თვით მაბილლონისასაც აღემატება. ამ დიდი შრომის ღირსებას შეადგენს პალეოგრაფიის მომთხრობელი ვრცელი ნაწილი, რომელიც კარგად არის დამუშავებული, და რომის პაპების საბუთების დიპლომატიკა, რომელსაც ახლაც ჯერ კიდევ თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ამ დარგში მუშაობის დროს აუცილებელია (იქვე, 29-30).

პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მეთოდური კვლევა-ძიებისათვის მომზადებული პირების გასამრავლებლად იმ გარემოებასა ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ 1821 წ. საფრანგეთში დაარსდა École des chartes, საგანგებო სასწავლებელი სახელმწიფო არქივებისათვის პალეოგრაფია-დიპლომატიკა-ქრონოლოგიაში განსწავლული მოხელეების მოსამზადებლად. მას თავისი გამოცემები და ორგანოცა აქვს, რომელთაგან ორგანოს ეწოდება „Bibliothèque de l'école des chartes" და პარიზში გამოდის 1840 წლითგან მოყოლებული, ხოლო გამოცემათა შორის საყურადღებოა საბუთების მშვენიერი ფაქსიმილიანი კრებულები, რომელთაც სათაურად აქვთ „Recueil de facsimiles à l'usage de l'école nationale des chartes" და პარიზში ბეჭდავს ეს დაწესებულება 1880 წლითგან მოყოლებული.

დიპლომატიკის სასწავლებლის ნაყოფიერი გავლენა იმ მხრივაც დაეტყო საბუთების შესწავლის საქმეს საფრანგეთში, რომ გამომცემლობა ამ დარგში სხვა დაწესებულებებმაც იკისრეს და სადეპარტამენტო არქივების მუზეუმიც 1879 წ. შეუდგა თავის ფაქსიმილეთა კრებულის ბეჭდვას „Recueil de facsimiles héliographiques de documents tirés des archives des préfectures, mairies et hospices".

ამ ახალ ხელშემწყობ პირობებში აღზრდილ მეცნიერთა შორის საფრანგეთში დიპლომატიკის კვლევა-ძიებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ერთ საუკეთესო თანამედროვე პალეოგრაფთაგანს ლეოპოლდ დელისლ (Leopold Delisle), რომელიც 1910 წ. გარდაიცვალა და ოცდაათი წლის განმავლობაში, 1874—1904 წწ.-ში პარიზის ეროვნული წიგნთსაცავის გამგედ იყო და 1887 წ. პალეოგრაფიის ალბომი „Album paléographique" გამოსცა.

დიპლომატიკის დარგში განსაკუთრებით საყურადღებოა 1889 წ. გარდაცვლილი ა. ჟირის (A. Giry) მშვენიერი სახელმძღვანელო „Manuel de diplomatique", რომელიც 1894 წ. დაიბეჭდა პარიზში.

§ 8. სიგელთმცოდნეობა იტალიაში

საფრანგეთის დიდებული მეცნიერის მაგალითმა იტალიაშიაც გააცხოველა პალეოგრაფია-დიპლომატიკის კვლევა-ძიება. იტალიელ მეცნიერთა შორის ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ჯერ სციპიონე მაფიის (Scipione Maffi) მიუძღვის, რომელმაც 1727 წ. დაბეჭდა თავისი საყურადღებო შრომა „Istoria diplomatica che serve d'introduzione all'arte critica in tal materia" (Mantua). ამ თხზულებაში იგი მაბილლონის მიერ შემუშავებულ დამწერლობის კლასიფიკაციას არღვევდა და ლათინური მწიგნობრობის განვითარების მთლიანობის

აზრს იცავდა. შემდეგ საყურადღებოა ანჯელო ფუმაგალლის (Angelo Fumagalli) 1802 წ. მილანოში ორ წიგნად გამოცემული „Delle istituzioni diplomatiche„, რომელშიაც განსაკუთრებით იტალიის საბუთების განხილვის შემცველი ნაწილია ძვირფასი. ახალ მეცნიერთა შორის ყველაზე ნიჭიერი და დამსახურებული იყო თავისი მრავალი სპეციალური გამოკვლევებით განთქმული 1902 წ. გარდაცვლილი ჩეზარე პაოლი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს საზოგადო ხასიათის სახელმძღვანელო სამი ნაწილისაგან შემდგარი „Programma scolastico di peleografia latina e di diplomatica". დიპლომატიკა მესამე ნაწილშია მოქცეული. ამ წიგნის მეორე გამოცემა ფლორენციაში 1899-1900 წწ-ში დაიბეჭდა და K. Lohmeyer-ის მიერ გერმანულად იყო ნათარგმნი ავტორისაგან დართული დამატებებითურთ (Innsbruck 1899—1900), ხოლო თანამედროვე მკვლევართა შორის თავისი მშვენიერი სპეციალური გამოკვლევებითა და საუცხოო გამოცემებით ყველას ლ. სქიაპარელლი (L. Schiaparelli) სჯობია.

იტალიის დიპლომატიკის ცოდნას საქართველოს მკვლევარისათვის ბიზანტიისა და სპარსეთის დიპლომატიკის ცოდნის შემდგომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან როგორც კირიონ კათალიკოსისადმი საპასუხო ეპისტოლითგანა ჩანს VI—VII სს-ში საქართველოს ეკლესიას დამოკიდებულება ჰქონია რომის ეკლესიასთან. ხოლო შემდეგ IX—XI სს-ში ილარიონ ქართველის მაგალითითგან, რომელიც რომში იყო მოსალოცავად და ცხოვრობდა 2 წლამდე (ათონ. კრებ. 89), საფიქრებელია, რომ საბერძნეთში მყოფი ქართველები რომს მოწყვეტილი არ ყოფილან. ხოლო ეფთვმე და გიორგი მთაწმიდელთა ცხოვრებათაგანაც ჩანს, რომ ათონის ქართველ ბერთა საშუალებით ბენევენტის დუკისა და მმართველ წრეების წარმომადგენელ ლათინთა ბერებთან მჭიდრო კავშირი და მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა. XIII ს-ითგან მოყოლებული რომის პაპის ტახტთან დამოკიდებულება და მიწერ-მოწერა უფრო და უფრო ცხოველდება. XV ს-ითგან კი ვენეტიკის რესპუბლიკასაც ცხოველი დამოკიდებულება აქვს ჩვენ ქვეყანასთან. ამის გამო ლათინურად და იტალიურად ბევრი საბუთები და თხზულებებია, რომელთა ენისა და დიპლომატიკის ცოდნა საქართველოს ისტორიის მკვლევარს ბევრს ახალსა და საყურადღებოს შესძენს. ამიტომ პაპთა დიპლომატიკის გარდა იტალიის საერო დიპლომატიკის ცოდნაც არის საჭირო. აქ დასახელებული იქნება მხოლოდ უმთავრესი წყაროები, როგორც რომის პაპთა, ისევე იტალიის დიპლომატიკის შესახებ.

პაპების დიპლომატიკის მოკლე, მაგრამ მკაფიო მიმოხილვა აქვს აგრეთვე პროფ. Dr. L. S c h m i t z-K a l l e n b e r g-ს თავისს Die Lehre von den Papsturkunden-ში (იხ. Grundriss der Geschichtswissenschaft, herausg. von Al. Meister II. B., 2. Abteilung. Urkundenlehre. 2. Aufl., 1913, გვ. 56—116).

ზემოდასახელებულის გარდა იტალიის დიპლომატიკის უმთავრეს გამოცემად უნდა ჩაითვალოს: D a t t a , Lezioni di paleografia e critica diplomatica sui documenti della monarchia di Savoia (Turino, 1834); P. V a y r a, Museo storico della casa di Savoia (იქვე 1881); R u s s i, Paleografia e diplomatica de documenti delle provincie Napoletane (ნეაპოლში, 1883); E r n e s t o M o n a c i, Archivio paleografico italiano (რომში 1883, შემდ.); V i t e l l i და P a o l i , Collezione fiorentina di facsimili paleografici (ფლორენციაში 1884—1897).

§ 4. სიგელთმცოდნეობა გერმანიაში

მაბილლონის შრომამ, რასაკვირველია, გერმანიაშიაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიპლომატიკის აღორძინებას ხელი შეუწყო. უნივერსიტეტებშიც კი დაიწყეს პროფესორებმა ისტორიის და სამართლის მეცნიერებასთან ერთად პალეოგრაფიისა, ქრონოლოგიისა და დიპლომატიკის კითხვა. მაგრამ ამ გზით მაინც თვალსაჩინო არა გაკეთებულა რა, თუმცა არა ერთი და ორი საზოგადო სახელმძღვანელო დაიწერა. მხოლოდ 1732 წ. ავსტრიის ბენედიქტინელთა გეოტვაიგის (Göttweig) მონასტრის მამასახლისმა იოან გეორგ ბესსელმა (1672—1749), რომელიც ბერობაში გოტტფრიდად იწოდებოდა, გამოაქვეყნა თავისი საყურადღებო სპეციალური შრომა „Chronicon Gotwicense. Tomus prodromus de codicibus antiquis manuscriptis, de imperatorum ac regum Germaniae diplomatibus" (Tegersee). ამ წიგნში ავტორმა დიდი გულმოდგინება, საგნის ცოდნა და მეცნიერება გამოიჩინა. მისი შრომის უმთავრეს ნაკლს მხოლოდ ის შეადგენს, რომ არ იცოდა, თუ რა ნიშნების მიხედვით შეიძლებოდა საბუთის პირმშო-დედნობის საკითხის გამორკვევა და ამის გამო მისი მსჯელობა ხშირად მცდარ ნიადაგზე იყო ხოლმე დამყარებული (ჰ. ბრესლაუ, 34-35). დიპლომატიკის მეთოდოლოგიის შემუშავებაში ფრიად მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე პროფ. ჰოიმანნს (Heumann), რომელმაც საბუთების შინაარსის იურიდიულ მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ამით სიგელების კრიტიკისათვის გამოსაყენებლად ახალი და მძლავრი საშუალება შექმნა. მისი გამოკვლევა „Commentarii de re diplomatica imperatorum ac regnum Germanorum inde a Caroli Magni temporibus adornati" ორ წიგნად გამოსული 1745-1753 წწ-ში ნურენბერგში დაიბეჭდა (იქვე, 35).

საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების წყალობით ძველ საბუთებს წინანდელი პრაქტიკულ-იურიდიული მნიშვნელობა დაეკარგათ, რადგან მრავალი საეკლესიო და სამონასტრო დაწესებულება მოისპო ან უქონებოდ იქმნა დატოვებული. სასამართლოს წარმოებაც შეიცვალა და უფლებას უკვე წინანდებურად ძველისძველ და დრომოჭმულ საბუთებზე აღარ ამყარებდენ. ამ გარემოებამ ძველი სიგელების სინამდვილე-ნატყუარობის გამორკვევის საკითხს სიმწვავე დაუკარგა და დინჯი, პირუთვნელი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და შესწავლისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები შექმნა. სამონასტრო და საეკლესიო მრავალრიცხოვანი საბუთების სახელმწიფო მუზეუმებში და არქივებში გადატანამაც მათი შესწავლა გააადვილა და წინ წასწია.

1819 წ. მაინის ფრანკფურტში ფონ-შტაინის მიერ დაარსებულმა გერმანიის უძველესი ისტორიის საზოგადოებამ, რომელიც 1824 წ. გერმანიის მეფეთა სიგელების XIV ს-მდე გამოცემისათვის საფუძვლიანს სამზადისს შეუდგა და ამისთვის თავის წევრებს გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიის არქივებში დიდძალი მასალა შეაგროვებინა, და ლეოპოლდ რანკეს მიერ 1834 წ. დაარსებულმა ორგანომ die Jahrbücher der Geschichte des deutschen Reiches, რომელშიაც ყოველგვარი მასალები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ძველი სიგელების მეთოდური შესწავლა ძალიან დააწინაურა.

აღსანიშნავია იოჰ. ბემერის (I. F. Böhmer 1795—1863) მიერ დაწყებული, როგორც დაუბეჭდავი, ისევე დაბეჭდილი საბუთების სისტემატიური აღ-

ნუსხვა, რომელშიაც შემდეგ არაერთმა სხვა მეცნიერმაც მიიღო მონაწილეობა. ამ ქრონოლოგიურმა და სხვაგვარმა აღნუსხვამ ბევრი ისეთი საკითხი გამოარკვია, რომელიც წინათ გათვალისწინებული არ ყოფილა. ბძომერმა და შტუმფმა შეიმუშავეს ერთგვარი სტატისტიკური მეთოდი საბუთების ეჭვმიუტანლობის გამოსარკვევად, რომელიც უეჭველ საბუთებად მიჩნეული სიგელების შინაარსის თანხმობაზე იყო დამყარებული. ყველაფერი, რაც ამგვარს საბუთებს არ უდგებოდა, ნატყუარად იყო გამოცხადებული. ამგვარად ის, რაც დასამტკიცებელი იყო პირდაპირ უდავოდ ნამდვილ სიგელებად ჩათვალეს და ასეთი საფუძვლით უნდოდათ სხვა საბუთების განსჯა. ამასთანავე შინაარსით თანხმობრივი ძეგლების რიცხობრივ სიმრავლეზე დამყარებული მსჯელობა ისეთს სიგელებს უარყოფდა, რომელთა შინაარსი ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდა, თითქოს თვითეულს საბუთს საზოგადო თვისებების გარდა განსაკუთრებული თავისებურებაც არ ჰქონდეს! ეს გარემოება ცხადყო ჲულ. ფიკკერმა (Jul. Ficker 1826—1902), რომელიც ზემოდასახელებულ მეცნიერთა აზრისდა საწინააღმდეგო გზას დაადგა და თვითოეული საბუთის თავისდათავად შესწავლა ირჩია (ჰ. ბრესლაუ, 37—41). ამგვარი მუშაობა, რასაკვირველია, საბუთების შესწავლას აღრმავებდა, მაგრამ დიპლომატიკის მთავარს საკითხს სიგლების სინამდვილესა და პირმშოდედნობის შესახებ ოდნავადაც არ წყვეტდა. რადგან საბუთების დამწერლობა ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდა, ამ საკითხის გადაწყვეტას თვით სიგლების პალეოგრაფიისათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო რადგან უკვე ძველი დროითგანვე ცხადი შეიქმნა, რომ საბუთის ნატყუარობა მხოლოდ ნამდვილ, ესე იგი პირმშო დედნებთან შედარებით შეიძლება დამტკიცდეს, სამეცნიერო დიპლომატიკის წარმატება მხოლოდ მაშინ იქმნებოდა საფუძვლიანი, თუ საბუთების პირმშოდედნობის გამოსარკვევად მეცნიერებაში მტკიცე და ზედმიწევნითი მეთოდი იქმნებოდა შემოღებული.

ამ რთული და უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ თეოდორ ზიკკელმა (Theodor Sickel 1826—1908) მოახერხა. მან მტკიცე მეთოდის შექმნა შეძლო. თავის, ვენის სამეცნიერო აკადემიის სხდომათა მოამბეში 1861—1882 წწ. დაბეჭდილს შრომებში „Beiträge zur Diplomatik". მეტადრე კი 1867 წ. ვენაშივე ორ წიგნად გამოცემულს Acta regum et imperatorum Karolinorum digesta et enarrata"-სა და იქვე 1858 წ. მოყოლებული გამოქვეყნებულს „Monumenta graphica medii aevi"-ში, დასასრულ „Programm und Instruktion der Diplomata-Abteilung"-ში ზიკელმა სიგელების პირმშოდედნობის გამოსარკვევად შემდეგი მეთოდი შემოიღო: თუ ერთი და იმავე მიმცემის და მწიგნობრის რამდენიმე ან მრავალი საბუთი სულ სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, მიმღებელი პირისა ან დაწესებულების სახელობაზე შედგენილი ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი, ეს გარემოება ამ საბუთების სინამდვილის და პირმშოდედნობის დამამტკიცებელია. ამგვარად, თუ წინათ, მაბილლონის დროითგან მოყოლებული, საბუთების განსაზღვრა ხელის მიხედვით, ესეც მხოლოდ საზოგადო ნიშნებითა და საუკუნეებისა და მის მეოთხედებით შეეძლოთ, ახლა ზიკელის მიერ შემოღებული მეთოდის წყალობით სიგელების პალეოგრაფიულდიპლომატიკურმა შესწავლამ ისეთს ზედმიწევნილობას მიაღწია, რომ თითოეული მწიგნობრის საბუთების თავისებურების შესწავლა და განსაზღვრაც კი შესაძლებელი შეიქნა. ამიტომ გადაჭარბებული არ არის გერმანული დიპლომატიკის ერთი საუკეთესო მკვლევართაგანის პროფ. ჰ. ბრესლაუს აზრი, რო-

დესაც ის ამბობს, რომ მაბილლონის შემდგომ არავის არ მიუძღვის დიპლომატიკის მეცნიერების წინაშე ისეთი ღვაწლი, როგორც ზიკელსაო, ამ ადამიანმა დიპლომატიკა ზედმიწევნით მეცნიერებად აქცია (ჰ. ბრესლაუ, 41-43).

§ 5. ბიზანტიის სიგელთმცოდნეობა

ბიზანტიის დიპლომატიკა, სამწუხაროდ, თითქმის სრულებით შესწავლილი არ არის და ორიოდე გამოკვლევის გარდა ჯერ არაფერია დაწერილი. ამათგან საყურადღებოა K. Brandi-ს ნაშრომი „Der byzantinische Kaiserbrief aus St. Denis und die Schrift der frühmittelalterlichen Kanzleien. Diplomatisch-paläographische Untersuchungen zur Ceschichte der Beziehungen zwischen Buzanz und dem Adendiande, vornehmlich in fränkischer Zeit", რომელიც Archiv für Urkundenforschung-ის პირველ წიგნში (5—87) იყო დაბეჭდილი. იქ ბიზანტიის დიპლომატიკის განვითარებაა განხილული და გამორკვეულია ერთი მხრით, ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპას შორის არსებული დამოკიდებულება დიპლომატიკის სფეროში და თანაც სამწიგნობრო დამწერლობის განვითარების ისტორიაა შესწავლილი (2. Die byzantinische Kaiserurkunden bis zum X. Jahrhundert 3. Byzanz und das Abendland. 4. Die Schrift in der älteren Urkunden der Päpste und der Erzbischöfe von Ravenna. 5. Zur Entwicklungsgeschichte der Kanzleischriften). ბიზანტიური ბეჭდების შესახებ დაწერილი აქვს Mordtmann, Plombs byzatins de la Grèce et du Péloponnèsee Revue archéologique 1877 წ., vol. XXXIV და ფრანგ მეცნიერს შლუმბერჟეს Schlumberger, Monuments, numismatiques et sphragistiques du moyen âge Byzantine: Revue archéologique 1880, vol. XL, აგრეთვე მისივე შრომა Sigillographie de l'empire Byzantin (Paris 1884).

ბიზანტიის კეისრებისა და პატრიარქების სიგელები იმგვარადვე როგორც ეკლესია-მონასტრებისა და კერძო პირების საბუთები უკვე ბლომად არის გამოქვეყნებული. პირველად აღსანიშნავია პროფ. Karl Eduard Zachariä von Lingenthal-ის ცნობილი კრებულის Ius Craeco-Romanum-ის მეოთხე ნაწილი (Pars IV), რომელშიაც ქრონოლოგიურად დალაგებული და ხუთ ჯგუფად გაყოფილი ბიზანტიის კეისრების ნოველები და ოქრობეჭდებია დაბეჭდილი. შემდეგ უნდა Z' Miklosich et J. Müller-ის ექვსწიგნიანი გამოცემა იქნეს დასახელებული Acta et Diplomata Graecorum medii aevi. Vindob. 1860—1889.

ათონის მონასტრების საყურადღებო საბუთების კრებულები გამოქვეყნებული იყო რუსული ორგანოს Византийский временник-ის დამატების სახით Actes de L' Athos. IV. Actes de Zographou: Виз. Вр. 1907. XII том, приложение №1. Actes de Chilandar publiés par L. Petit et B. Korablev 1911, В. В. том XVII №1. ბევრი ძველი გამოქვეყნებული ბერძნულ ჟურნალში Θέσις ἡ ἐπιθεώρησις τῆς ἑλληνικῆς... νομοθεσίας, რომელიც ათენში იბეჭდებოდა 1846 წ. მოყოლებული. დასასრულ, წინასწარი მუშაობა დაიწყო ბიზანტიის სიგელების სრული კრებულის გამოსაცემად შემდეგი სათაურით: Corpus der griechischen Urkunden des mittelalters und der neu eren Zeit. ჯერ გამოვიდა პირველი სერიის ორი ნაკვეთი: (Berlin München 1924—1925, Regesten d. Kaiserurk. bearb. v. F. Dölger).

§ 8. ქართული სიგელთმცოდნეობა

ქართულ სამეცნიერო დიპლომატიკას ჯერჯერობით არავითარი ისტორია არა აქვს და შეიძლება ითქვას, რომ აქამდის არც არსებობდა. წინამდებარე შრომა და გამოკვლევა პირველი ცდაა ქართული სიგელთმცოდნეობისათვის ჩვენში საძირკვლის ჩასაყრელად. მაგრამ დაკვირვება საბუთების უეჭველობა-ნატყუარობის გამოსარკვევად წინათაც და უკვე ძველ დროს ყოფილა საქართველოში და ქვემოთ სწორედ ამის შესახებ იქნება ორიოდე სიტყვა ნათქვამი. საფიქრებელია, რომ უკვე XII ს-ში ქართული სიგელების დაწერილობის შესასწავლად ერთგვარი სახელმძღვანელოები, სამდივნო წიგნები უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რადგან ჯერ არც ერთი ამგვარი ძეგლი ძველი ხანითგან აღმოჩენილი არ არის, მათი შინაარსის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. ნატყუარი საბუთების გამოსარკვევადაც უკვე XI ს-ში საქართველოში ერთგვარი საზომი ჰქონიათ, მაგრამ, ამის შესახებ ალექსანდრე კახთა მეფის ნაბოძებს სიგელში მარტო ცნობაა შენახული (იხ. დაწერილებით ნატყუარი საბუთების შესახებს თავში), თვით იმ ღონეობაზე კი, რომლითაც მაშინ ამგვარ საკითხებს წყვეტდენ, არაფერია იქ ნათქვამი. ვახტანგ VI-ის სასამართლო წიგნითგანაც ჩანს, რომ მოსამართლეს ნატყუარი საბუთის შეტყობა უნდა სცოდნოდა და ამისთვის მას ბეჭედი, დამწერი, მოწამე და ქორონიკონი უნდა განეხილა, მაგრამ არსებობდა თუ არა საამისოდ დაწესებული რაიმე მოძღვრება ან პატარა სახელმძღვანელო თუ თვითოეული მოსამართლის პირად დაკვირვებასა, ნიჭსა და კრიტიკულ ალღოზე იყო დამოკიდებული, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

როგორც სხვა დარგებშიც, ქართული საბუთების შეწყობილების შესწავლა თუ არა, ერთგვარი დახასიათების ცდაც ბატონიშვილ ვახუშტსა აქვს თავის „შესავალ"-ში. სათაურად ამ ნაკვეთს აქვს „მეფეთა წერილისათვს". თუმცა მისი დახასიათება მეტად მოკლეა, მაგრამ მაინც რამდენსამე ნაწილად შეიძლება დაიყოს. სახელოვანმა მეცნიერმა იცოდა, რომ ძველ დროს საბუთებს სხვანაირად ადგენდენ, ვიდრე შემდეგში იყო მიღებული. ამის გამო ჯერ მას წინანდელი წესი აქვს ორიოდე სიტყვით აღწერილი, მერმე „აწინდელთა ჟამთა" საბუთების დამახასიათებელი თვისება აქვს აღნიშნული. ამას გარდა თვითეულს ამ ორ ხანათაგანში საბუთების ორი გვარი აქვს სათითაოდ აღწერილი: ერთი მხრით, „ბრძანება", ხოლო მეორე მხრით, „სიგელ-გუჯრები".

აი სახელდობრ რა აქვს ბატონიშვილს ვახუშტს ქართულ საბუთებზე, „მეფეთა წერილისათვს" ნათქვამი: ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: «ჩვენი ბ რ ძ ა ნ ე ბ ა არის, მესტუმრეო, თუ მანდატურო, ესრეთ უამბე» და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო ს ი გ ე ლ ს ა დ ა გ უ ჯ ა რ ს ა შინა: «ჩვენ მეფეთ-მეფემან ღთით წყალობით ცხებულმან თჳთმპყრობელმან და თჳთქელმწიფემან იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატონიანმან, შჳდთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი) გიწყალობეთ», ხოლო აწინდელთა ჟამთა: «მესტუმრეო*, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დარბაზ-ბატონს (სახელი) ასრე უამბეთ». და მდაბალთა ზედა: «ჩვენი ბრძანება არის». ხოლო გუჯართა და სიგელთა: «ჩვენ მეფე-მან ღთივ ცხებით გჳრგჳნოსანმან, იესიან,

* დაბეჭდილია „მენტერეო", მაგრამ შეცდომა უნდა იყოს.

დავითიან, სოლომონიან, ბაგრატონიანმან (სახელი) გიწყალობეთ». ესრეთვე იმერნი და კახნი, არამედ მეფე ქართლისა კვალადცა მეფეთ-მეფობით სწერდა წინაველთავე ჩვეულებითა"-ო (ბროსეს გამოცემა, 48—50)[2].

ზემომოყვანილის გულდასმითი გადაკითხვა ცხადყოფს, რომ ბატონიშვილს ვახუშტს თავის „მეფეთა წერილისათვს" გაერთიანებული საქართველოს ბრწყინვალე ხანის საბუთებით არ უსარგებლია, არამედ მხოლოდ მერმინდელი დროის, დაახლოებით მარტო XVII ს-ითგან მოყოლებული სიგელ-გუჯრებით. შემდეგ საბუთების სანიმუშოდ მოყვანილი ნაწყვეტები თითქმის არც ერთხელ მას სრული სისწორითა და ზედმიწევნილობით არა აქვს მოყვანილი და უფრო ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს სახელოვან ქართველ მეცნიერს ეს თავი უფრო ზეპირად უნდა ჰქონდეს დაწერილი, ვიდრე საბუთების მიხედვით. ამასთანავე მისი დაკვირვების სფერო მეტად ვიწროდ იყო შემოფარგლული. ამას გარდა საბუთთაგან მხოლოდ ბრძანებასა და სიგელ-გუჯრებს ეხებოდა, ამ ძეგლებითგანაც მისი დაკვირვება და დახასიათება საბუთის დასაწყისს არასდროს არ სცილდება, თვით დასაწყისიც სრულად კი არ არის განხილული, არამედ სიგელ-გუჯართა დახასიათების დროს ვახუშტი მარტო მეფეთა წოდებულებით კმაყოფილდებოდა. დანარჩენ ნაწილებს ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

ყველა ამისდა მიუხედავად სახელოვანი ქართველი მეცნიერის ზემომოყვანილი „მეფეთა წერილისათვს" ვითარცა პირველი ცდა მაინც საგულისხმო და საყურადღებოა. ეტყობა, რომ მას გაცილებით მეტი უნდა სცოდნოდა, ვიდრე ამ საგანზე წერდა, და რომ აღნუსხულის გარდა ისიც კარგად იცოდა, თუ საბუთებში „შემდგომად რაი ჯერ იყო" და როგორ უნდა დაწერილიყო, კარგად ახსოვდა, რომ საბუთების სახე მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული და მათი არამცთუ მარტო ხანებისდა მიხედვით, არამედ თემობრივ-სამეფოებრივაც ნიშანდობლობით დახასიათება შეიძლებოდა. რასაკვირველია, იმასთან შედარებით, რაც დიპლომატიკის დარგში ამ დროისათვის დასავლეთ ევროპაში უკვე გაკეთებული იყო, ადამიანს ვახუშტ ბატონიშვილის „მეფეთა წერილიხათვს" წვრილმანად ეჩვენება, უეჭველია, თვით ავტორიც თავის თხზულებაში განხილულ საკითხთა შორის თავს „მეფეთა წერილისათვს" დიდმნიშვნელოვნად არ თვლიდა, მაგრამ მის ამ პატარა პირველ ცდასაც გამგრძელებელი არავინ არ აღმოუჩნდა და ეს საკითხი იმდენად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რომ ის მცირეოდენიც, რაც ბატონიშვილმა ვახუშტმა გააკეთა და ერთგვარი დახასიათების ცდა დაუტოვა შთამომავლობას, სრულებით დავიწყებულ იქნა.

თვით საბუთების დახასიათების გარდა ვახუშტს იმ პირთა შესახებაც მოეპოვება ცნობები, რომელნიც სიგელ-გუჯრებს წერდენ ხოლმე. აქაც მას შედარებით ცოტა მასალები ჰქონია ხელთა. მწიგნობრის სახელის მაგიერ ვახუშტი შედარებით ახალ ტერმინს მდივანსა ხმარობს და მხოლოდ მდივნების შესახებ აქვს საუბარი თავის შესავალში. სახელოვანი მეცნიერი ამბობდა: „მდივანნი, ესენი იყვნენ წესითა უმაღლესნი და უმდაბლესნი: მეფისათანანი პატივითა უმაღლესნი (ვითარცა იტყჳს «მდივანსა ჩვენსა ჩოლაყაშვილს არარაი ეკადროს, თჳნიერ დიდისა შეცოდებისათჳს მეფისა, მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არარაი»), სპასალარისა-თანასა სხვა, სახლთუხუცესისათანასა სხვა, მონათ-უხუცესისა, მსახურთ-უხუცესისა, მსაჯულთ-უხუცესისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა და ეზოს-მოძღვრის-თანასა სხვა. ესენი სწერდენ უს-

ტარს, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა", ხოლო „მწერალნი იყვნენ მეფისა, რომელნი სწერდენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე და ტაძართა და სხვათა"-ო[3] (გეოგრ., ბროს. 20—22). მაგრამ ბატონიშვილმა ვახუშტიმ იცოდა, რომ ყოველთვის ასე არა ყოფილა და წინათ მდივანთა, ანუ მწერალთა უფროსად ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი იყო. „ესევე" ჭყონდიდელიო, ამბობს დიდებული ქართველი ისტორიკოსი მეორეგან, „იყო მწიგნობართ-უხუცესი ყოველთა მწერალთა ზეით თქმულთა"-ო (იქვე, 28). მდივნის თანამდებობა რომ საქართველოში X—XIV სს-ში არ არსებობდა და ამ მოხელეს მაშინ მწიგნობარი ეწოდებოდა, ეს ბატონიშვილმა ვახუშტიმ თითქოს არც კი იცის და გამოპარვია, როგორც ეტყობა მას უძველესი ხანის სიგელები თავის გამოკვლევის დაწერის დროს ხელთ არ უნდა ჰქონოდა და თავისი დაკვირვება და დასკვნა უფრო მერმინდელ, XVI—XVIII სს. საბუთებზე აქვს დამყარებული. ვახუშტის შემდგომ არც ერთ ქართველ მკვლევარს და მეცნიერს არც XVIII და არც XIX სს. განმავლობაში და არც დღემდის ქართულ საბუთების აგებულება-დაწერილობის შესწავლისათვის ყურადღება არ მიუქცევია. თუმცა სრულად გამოცემულ საბუთთა რიცხვი 2000 აღემატება, მაგრამ მათ გამოცემას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა ყოველთვის და იბეჭდებოდა ისე და იმ რიგზე, როგორც გამომცემელს ხელში ჩაუვარდებოდა.

დ. ფურცელაძემ თავის სამ წიგნაკში Дворянскiя церковныя крестьянскiя грамоты მოათავსა ქართული საბუთების შემოკლებული რუსული თარგმანი, ზოგჯერ მხოლოდ შინაარსი, მაგრამ რადგან ბევრი ამ საბუთთაგანი ან დაიკარგა მას შემდგომ, ან მიფარულია და ჯერ არ ჩანს, თანაც ზოგი იმ დროს დაუზიანებელი ახლა უკვე უთარიღოა, ამ შრომას მთავარი და მრავალი წვრილმანი ნაკლისდა მიუხედავად ახლაც ჯერ მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ბერჟესა და დ. ბაქრაძეს მიერ მოთავსებულია სიგელ-გუჯრების ქართული ტექსტი რუსული თარგმანითურთ. ამ პირველს გამოცემაშიაც საბუთები თუმცა ქრონოლოგიურად არის დალაგებული, მაგრამ შერჩევას შემთხვევითი ხასიათი აქვს[4].

ცალ-ცალკე და ჯგუფობრივ ქართული საბუთები უფრო ადრეც და შემდეგშიაც იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მხოლოდ გაფანტულია და ძნელი გამოსაყენებელი, თანაც გაზეთებში განსაკუთრებით მრავალი კორექტურული შეცდომებითაა სავსე. მათი მოძებნა შეიძლება „ქართული ბიბლიოგრაფიის" დახმარებით.

† ალ. ხახანაშვილმა 1891 წ. ქუთაისში დაბეჭდა „გუჯრები", მრავალი შეცდომით სავსე.

ქართული საბუთების გამოცემაში განსაკუთრებული ღვაწლი † თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილს და ს. კაკაბაძეს მიუძღვით, პირველის მიერ დაბეჭდილია „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა" (ტფილისი, 1896) და „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა" I წიგნი (ტფილისი, 1893) და II (ტფილისი, 1897), აგრეთვე „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები" (ფოთი, 1903). ამ ოთხ წიგნში თ. ჟორდანიას მრავალი საბუთი აქვს პირველად გამოქვეყნებული. მაგრამ მისი გამოცემის უმთავრეს ნაკლს ის შეადგენს, რომ საბუთები იშვიათად არის ხოლმე სრულად დაბეჭდილი და უფრო ხშირად მხოლოდ

მოკლე ნაწყვეტი აქვს მოყვანილი თავისი ამა თუ იმ დებულების გასამართლებლად. თუმცა მას შემდგომ ს. კაკაბაძემ ჟორდანიასაგან გამოცემული ბევრი საბუთთაგანი ხელმეორედ და სრულად დაბეჭდა, მაგრამ თ. ჟორდანიას ზემოაღნიშნულ შრომებს ახლაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, რადგან ზოგი ფრიად საყურადღებო საბუთთაგანი დაკარგულად ჩანს და მხოლოდ აქ შეიძლება მათი ამოკითხვა.

ე. თაყაიშვილს „საქართველოს სიძველეთა" სამი წიგნი აქვს უკვე გამოცემული და მეოთხეც იბეჭდებოდა*. I გამოვიდა 1899 წ., II 1909 წ. და III 1910 წ. სამსავე ტომში 1521 საბუთია გამოქვეყნებული. თუმცა საბუთების ტექსტი სრულად არის დაბეჭდილი, მაგრამ ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული, არამედ შემოსულობის მიხედვით, რაც სარგებლობას აძნელებს. ამ ნაკლს ბოლოში დართული ქრონოლოგიური სარჩევი ცოტაოდნავ ავსებს.

ს. კაკაბაძეს წვრილ და ცალ-ცალკე გამოცემათა გარდა დაბეჭდილი აქვს 1913 წ. „ისტორიული საბუთების" სახელით ხუთი წიგნი და 1921 წ. „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების" სათაურით ორი წიგნი. სულ 7 წიგნში 541 საბუთია გამოქვეყნებული. ბევრი ამ საბუთთაგანი თ. ჟორდანიას ქრონიკებში იყო პირველად დაბეჭდილი, მაგრამ ს. კაკაბაძის გამოცემებს ის უპირატესობა აქვთ, რომ მას „ისტორიულ საბუთებში" ტექსტი სრულად აქვს გამოქვეყნებული.

დ. ბაქრაძემ არქეოლოგთა V ყრილობის სხდომების ოქმებში ქართული სიგელ-გუჯრების მრავალი ლითოგრაფიულად ასრულებული ნიმუშები დაბეჭდა, მაგრამ მათ თან არავითარი არც განმარტება და არც გამოკვლევა არ სდევს[5]. ე. თაყაიშვილმა 1894 წ. ამგვარადვე გამოსცა ბაგრატ IV-ის შიო მღვიმისადმი ნაბოძები სიგლის პალეოგრაფიული პირი (იხ. ЗВОРАО ტ. IX, 59-68, „Сигель грузинского царя Баграта IV"), ამავე მეფის ოპიზის სიგელი და დავით IV-ის სიგლის პირი 1909 წ. (იხ. პალეოგრაფიული ალბომი, რვეული I, დამატება „საქართველოს სიძველეთა" II ტომისა). დასასრულ, 1920 წ. ამგვარადვე დაიბეჭდა XII—XIV სს. რვა საბუთის პალეოგრაფიული პირი (იხ. პალეოგრაფიული ალბომი, რვეული II).

იმ დიდი უცილობელი ღვაწლისდა მიუხედავად, რომელიც ზემოდასახელებულ გამომცემელთ მიუძღვით, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათი გამოცემათაგანი თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არც ერთ მათგანს გამოქვეყნებული საბუთები გამოცემამდე თავისდათავად, ვითარცა დიპლომატიკის ძეგლი, არ შეუსწავლიათ და დაუფასებიათ და სწორედ ამიტომაც არის, რომ იქ ნამდვილი და ნატყუარი საბუთები ერთიერთმანეთშია არეული და ყალბი ნამდვილად არის მიჩნეული. ყველა ამ თვისებისა და ნაკლის გამო ზემოაღნიშნული კრებულები შეიძლება მხოლოდ წინასწარ გამოცემებად ჩაითვალოს და მათი ხელახალი, ჯეროვანი გამოცემა ახლო მომავალში აუცილებელია.

* IV წიგნის დაბეჭდილი ფურცლები საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ცალკე ნაკვეთად გამოსცა (ტფილისი, 1926).

§ 7. სომხური სიგელთმცოდნეობა

ქართული სიგელთმცოდნეობის მსგავსად, შეიძლება თქვას, არც სომხური სიგელთმცოდნეობა არსებობს ჯერჯერობით. მართალია ვიქტორ ლანგლუამ უკვე 1863 წ. გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა Le tresor des chartes d'Arménie ou cartulaire de la chancellerie royale des Roupéniens, მაგრამ ჯერ ერთი რომ ეს შრომა კილიკიის სომხეთის საბუთებს და XIII—XIV სს. ეხება. კილიკიის სომხეთი კი დასავლეთ ევროპის წარმლვნელი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ძველი სომხეთის ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად ვერ გამოდგება. ამასთანავე ვ. ლანგლუას თითქმის მხოლოდ ლათინურად და ფრანგულ-იტალიურად დაწერილი საბუთები ჰქონდა ხელთ და გამოცემული აქვს: მისგან დაბეჭდილი 54 საბუთითგან მხოლოდ 4-ია სომხურად დაწერილი. თუმცა ავტორი თავის შრომას სამართლიანად სომხური დიპლომატიკის პირველ ნაშრომადა თვლის, მაგრამ დიპლომატიკას ამ ნაწარმოებში სულ 7 გვერდი აქვს დათმობილი და პირველი თავის მეოთხე §-შია მოქცეული, რომელსაც სათაურად აქვს Caractères extrinsèques des chartes de la dynastie Roupénienne და შემდეგ საკითხებს ეხება: 1) ენას, დამწერლობას და საბუთებში ნახმარს ფორმულებს (გვ. 12—14); 2) საბუთების დამტკიცება-დათარიღებას (გვ. 14—15); 3) ხელის მოწერასა და სამეფო ბეჭდებს (გვ. 15—19) და 4) სამდივანმწიგნობროსა და მდივანმწიგნობრებს (გვ. 19—20). მასალის სიმცირე და სომხური საბუთების თითქმის სრული განუხილველობა ამ საყურადღებო მონოგრაფიას ნამდვილი სომხური დიპლომატიკის შესასწავლად ნაკლებად გამოსადეგად ხდის: მეცამეტე საუკუნეზე უწინარესი ხანის სომხურ სიგელთმცოდნეობას სულ სამი გვერდი აქვს დათმობილი და აქაც მხოლოდ დავთარხანების არსებობის შესახებ და საბუთების კედლებზე წარწერების სახით ამოჭრის შესახებ აქვს საუბარი (გვ. 1—4). თვით საბუთებზე არაფერია ნათქვამი.

სომხურ სიგელთმცოდნეობასთან კავშირი აქვს ღევონდ ვარდაპეტ ფირღალემიანის ტოსპელის ნაშრომს „სომეხთა მწიგნობარნი" *Նօտարք Հայոց, հաւաքեալ և ի լոյս ածեալ ձեռամբ Ղևոնդ վարդապետի Փիրղալեմեան Տոսբեցւոյ*, რომელიც 1888 წ. კონსტანტინეპოლში იყო გამოცემული. ეს წიგნი ძეგლებითგან ამოკრეფილი მდივან-მწიგნობართა შესახები ცნობების ამონაწერებს წარმოადგენს და სრულებით დაუმუშავებელი მასალაა. ცნობები 1393 წლითგან იწყება და ამაზე უძველეს საბუთებს წიგნის შემდგენელი არ ეხება. როდესაც სომხური სიგელთმცოდნეობის სახელმძღვანელო დაიწერება, ეს ნაშრომი მკვლევარს მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური სიის შესადგენად XIV ს. მოყოლებული დიდ სამსახურს გაუწევს, ამჟამად კი ნედლ მასალად უნდა ჩაითვალოს.

სომხური დიპლომატიკის შეუსწავლელობა იმ სამწუხარო გარემოებით აიხსნება, რომ ძველი სომხური ძეგლები და სხვა ამგვარი საბუთები ყველა დაიღუპა საუკუნეთა განმავლობაში მტრების მრავალჯერი შემოსევისა და ცარცვა-გლეჯის დროს. საბუთთაგან მხოლოდ ისღაა გადარჩენილი, რაც ეკლესიებისა და სხვა შენობის კედლებზე იყო ამოჭრილი და მტრების ნავარდობისდა მიუხედავად ასე თუ ისე დაუზიანებლივ არის შენახული. მაგრამ ამნა-

ირი სავალალო მდგომარეობისდა მიუხედავად სომხური სიგელთა დაწერილობის წესების შესწავლა მაინც შეიძლებოდა და ახლაც შეიძლება ჯერ ერთი ამ კედლებზე წარწერების სახით გადარჩენილი საბუთების წყალობით, მეტადრე კი იმ ძვირფასი მასალის გამოყენებით, რომელიც სტ. ორბელიანს თავის სივნიეთის ისტორიაში შეუტანია ეკლესია-მონასტრებში დაცული სიგლების სიტყვასიტყვით გარდმონაწერის სახით. გასაოცარია, რომ ასეთი ძვირფასი მასალის სომხური დიპლომატიკის შესასწავლად გამოყენება არავის აზრად არ მოსვლია. ამ მონოგრაფიის სხვა ადგილას მკითხველი გაეცნობა სომხური სიგელთმცოდნეობის პირველ ცდას, რომელიც სომხური წარწერებისა და სტ. ორბელიანის მასალების ჩემი ხანგრძლივი შესწავლის ნაყოფს წარმოადგენს[6].

§ 8. სპარსული სიგელთმცოდნეობა

ჯერჯერობით არც სპარსული სიგელთმცოდნეობა არსებობს, რადგან ჯერ არც ყოფილა სპარსული საბუთები შეკრებილი მათი მეცნიერულად შესწავლისათვის. როდესაც 1866 წ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისაგან გამოცემულ აქტებში სპარსეთის შაჰების XVII—XVIII სს. საქართველოს შესახები 12 ფირმანი დაიბეჭდა (იხ. I წიგნი, 69—76), ეს, თუ არ ვცდები, პირველი შემთხვევა იყო. ამის შემდგომაც სპარსული საბუთები თუ გამოუცია ვისმე, მხოლოდ ვითარცა საისტორიო მასალა და თავისდათავად, ვითარცა დიპლომატიკის ძეგლი, ფირმანები თუ სხვა საბუთები არავის შეუსწავლია. სპარსული საბუთების შესასწავლად უმთავრესად ჯერ კიდევ მათი შეკრებისათვის არის მუშაობა აუცილებელი. მაგრამ იმის წყალობით, რომ ზოგიერთ სპარსელ ისტორიკოსს თავის თხზულებაში საბუთები აქვს სიტყვასიტყვით მოყვანილი, სპარსული სიგელთა დაწერილობის წესების შესწავლა ახლაც ნაწილობრივ მაინც შეიძლება. ამ მხრივ საყურადღებოა აბულ-ფაზლ ბეჲხაკის († 1077—1078 წ.წ. ქ. შ.) საისტორიო შრომა, რადგან მას, ვითარცა საგარეო საქმეთა მდივან-მწიგნობარსა და უკანასკნელ დროს სამდივანმწიგნობროს სათავეში მდგომს, საშუალება ჰქონდა თავის ნაშრომში მოყვანილი საბუთების პირები ამ დაწესებულებაში დაცული ძეგლებითგან გადაეღო.

ბლომად აქვს სპარსეთის შაჰების ფირმანების სრული ტექსტი ჩართული სპარსელ ისტორიკოსს منتظم ناصری თავის საისტორიო თხზულების كتاب مستطاب „ქითაბ-ი-მუსთეტაბ“-ის (ამაღლებული, მომხიბვლელი წიგნი) მეორე ნაწილში: جلد دوم ეს საბუთები საქართველოს ეხება და შაჰსეფის, ნადირშაჰისა, ემირ ასლან-ხანისა, შაჰრუჰ-მირზას და სხვათა ფირმანების პირს წარმოადგენს, ავტორს ძეგლები ისეთი ზედმიწევნილობით (გარეგნულად მაინც) აქვს გადმოწერილი, რომ ყველგან, ერთის გარდა, რომლის დედანიც დაზიანებული ყოფილა, თარიღები და გარეგნული სახე დაცული აქვს. მისი საისტორიო თხზულების სპარსული ლითოგრაფიული გამოცემა არსებობს.

სპარსეთშიც სამდივანმწიგნობრო ხელოვნება დიდად განვითარებული იყო და ამიტომ მდივანმწიგნობრობის მაძიებელს თავის ხელობა კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ადგილის მიღების მოიმედე ყოფილიყო. ცხოვრების ამგვარმა მოთხოვნილებამ ამ დარგის კრებულ-სახელმძღვანელოებიც წარმოშვა, რომლებშიაც სანიმუშოდ საუკეთესო საბუთებისა და წერილების მაგალითები იყო მოყვანილი. მეფე-მთავართა და სხვა თანამდებობის პირთა საბუთებს გარდა, მკითხველი აქ კერძო მიწერ-მოწერის, თვით სიყვარულის წიგნების ნიმუშებ-

საც იპოვიდა. ასეთ კრებულებს საერთო სახელად „ინშა“ ეწოდებოდა[7]. თანდათანობით მაგალითებს გარდა ამ კრებულებში ავტორებმა სამდივანმწიგნობრო ხელოვნების ძირითად დებულებათა შესასწავლი თეორიული მოძღვრება-დარიგებაც შეიტანეს.

ისტორიკოსთა თხზულებებს გარდა ძვირფასი და საკმაოდ ვრცელი მასალაა დაცული სწორედ საბუთების ამ კრებულებში, ინშებში, რადგან იქ სხვადასხვა ნამდვილი საბუთებისა და მიწერ-მოწერის პირებია მოთავსებული. ერთი მათგანი, უსათაურო კრებული, XII ს. მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს და ხვარაზმშაჰების მიწერ-მოწერას შეიცავს. მეორე კრებული, რომელსაც ეწოდება „ატ-ტევასსულ ილა-ტ-ტერასსულ“ (საქმიანი ურთიერთობისადმი მიღწეულობის ძიება) ბეჰა-ად-დინ მუჰამმედ ალ-ბაღდადის შედგენილია და 1182—1184 წწ. იმ საბუთების პირს წარმოადგენს, რომელიც თვით კრებულის შემდგენელის ხელით ყოფილა დაწერილი (იხ. პროფ. ვ. ბარტჰოლდის Туркестан в эпоху Монгольского нашествия II, 33-34).

განსაკუთრებით საყურადღებო კრებულად ითვლება მგოსანი ამირ ხუსრაუ-ს მიერ 1319 წ. ქ. შ. შედგენილი ნაშრომი, რომელსაც „იჯაზ-ი-ხუსრავი“, ან „რასაილ-ულ-იჯაზ“-ი ეწოდება. ეს ნაწარმოები საყურადღებოა ვითარცა ერთი უძველესი თხზულებათაგანი, რომელშიაც საბუთების დაწერილობის წესების შესახებ თეორიულ მოძღვრებასაც აქვს ადგილი დათმობილი. ამას გარდა ავტორს არა ერთი საყურადღებო ისტორიული მნიშვნელობის საბუთის პირი ჩაურთავს. 1358—1359 წწ. ქ. შ. მუჰამმედ ბინ ჰინდუშაჰს ნართაულად შამს-უდ-დინის, ანუ მარტივად შამს-ის სახელით ცნობილს შეუდგენია თავისი განთქმული თხზულება „დასტურ-ულ-ქიატიბ“, ანუ სახელმძღვანელო მდივანმწიგნობართათვის. ვითარცა ილხანი შეიხ უვაისის მუნშის, ანუ მდივან-მწიგნობარს, მას მრავალი ოფიციური საბუთებით უსარგებლნია და თავის წიგნში სულტნებისა, ამირებისა, ვაზირებისა და სასულიერო პირთადმი წარგზავნილი საბუთების პირები იმგვარადვე, როგორც ყაენების ფირმანების და ყველა მოხელეთა უფლება-მოვალეობის გარიგების წიგნებისა და სხვა საბუთების ნიმუშები შეუტანია. ამის წყალობით მკითხველსაცა და მკვლევარსაც შეუძლიან მონღოლთა სახელმწიფოს წესწყობილება და ყოფა-ცხოვრება სრული სიღრმით გაითვალისწინოს. „დასტურ ალ-ქიატიბის“ დაწვრილებითი განხილვა მოიპოვება ჰამმერ პურგშტალის ხელნაწერთა აღწერილობაში (Handschriften Hammer. Purgstalls, გვ. 171—177).

აღსანიშნავია ხოჯა მაჰმუდ გავანის († 1481 წ. ქ. შ.) შემდეგში პატივისცემის ნიშნად ხოჯა-ი-ჯეჰან-ად, ანუ ქვეყნის ხოჯად წოდებულის ორი თხზულება „მანაზირ ულ-ინშა“ (წერილთდაწერილობის სამზერელი) და „რიაად ულ-ინშა“. ან კიდევ „რაუდატ ულ-ინშა“ (წერილთა დაწერილობის ბაღი, ანუ ბაღები). პირველში სიგელთა და სხვა საბუთების, თუ წერილების დაწერილობის წესები, დანაწილებისა და შეწყობის შესახები მოძღვრებაა მოთავსებული. მეორეს პრაქტიკული ხასიათი აქვს.

1501 წ. ჰუსეინ ბინ ალი ალვაიზ ალ კაშიფი-მ შეადგინა „მახზან ულ-ინშა“, ანუ წერილთა დაწერილობის საუნჯე და „საჰიფე-ი-ინშა“ ჭამეფო წიგნი, რომელშიაც საბუთებისა და წერილების ნიმუშებია მოყვანილი. უკანასკნელი შრომა გამოცემული იყო Lucknow-ში. ცნობილ სპარსელ ისტორიკოს ხონდემირს 1524 წ. ახ. ხ. შეუდგენია თავისი საყურადღებო თხზულება „ნამე-ი-

ნამი", ანუ „სახელოვანი წიგნი", რომელიც შესავალში სიგელთმცოდნეობის დასაწყისსა და ისტორიას შეიცავს, 9 ნაწილად არის დაყოფილი და საბუთების დაწერილობის წესებს არკვევს და მაგალითებით არის შემკული. სანიმუშოდ მასში მრავალი საყურადღებო საბუთებია მოყვანილი და ეს გარემოებაც ამ წიგნს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაშრომად ხდის. ამგვარივე გეგმით აქვს მაულანა ჲუსუფი-ს, ინდოეთის მეფის ჰუმაიუნის მუნშის 1533—1534 წწ. შედგენილი თავისი განთქმული შრომა „ბადაი ულ ინშა", რომელიც აგრეთვე „ინშა-ი-ჲუსუფი"-ს სახელითაც არის ცნობილი და გამოცემული იყო დელჰი-ში 1843 წ.

უბრალო სანიმუშო საბუთ-წერილების კრებულს წარმოადგენს აღმოსავლეთში გავრცელებული 1624—1641 წწ. ჰარკარნის მიერ შედგენილი „ინშა-ი ჰარკარნ", რომელიც პირველად 1781 წ. იყო T. Balfour-ის მიერ კალკუტაში გამოცემული ინგლისური თარგმანითურთ, მეორედ კი 1831 წ. დაიბეჭდა, 1869 წ. კი Lahore-ში ლითოგრაფიულად გამოსცა (ზემოდასახელებული ავტორების შესახებ იხ. Prof. H. Ethé. Neupersische Litteratur. Grundriss der iranischen Philologie II, Band, გვ. 338—341).

შემდეგ ისპაანის შაჰების საიდუმლო დავთარხანის (ჰარამის) მცველი აბულ-კასიმ ივოღლუ ხაიდარ-მა შაჰ-სეფისა (1628—1642) და აბას II-ისათვის (1642—1667) საბუთების კრებული შეადგინა, რომელშიაც სპარსეთის შაჰების ფირმანებია თავმოყრილი, მათ შორის ზოგიერთი შორეულ წარსულსაც კი ეკუთვნის, მაგ., სელჩუკიანთა სულტნის ალპ-არსლანის (1064—1072) საბუთებიც ურევია (პროფ. ვ. ბარტჰოლდ. Хранение документов в государствах Мусульманского Востока იხ. Архивные курсы. Лекции, читанные в 1918 году. Петроград 1920, გვ. 77—383). შაჰაბაზ II-ის კარის მგოსანმა და ისტორიკოსმა მუჰამმედ ტაჰირ ვაჰიდმაც საბუთების კრებული შეადგინა, რომელსაც „მუნშაატ-ი-ტაჰირ ვაჰიდ" ეწოდება და სპარსეთის მბრძანებლის მიწერ-მოწერას შეიცავს მეზობელ და შორეული სახელმწიფოებისა და სამფლობელოების ბატონებთან. ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ორჯერ იყო გამოცემული 1826 წ. Calcutta-ში და 1844 წ. Lucknow-ში. აღსანიშნავია აგრეთვე „დასტურ-ულ-ამალ-ი აგაჰი", რომელიც 1743 წ. იყო შედგენილი და ბატონიშვილებისა, ამირებისა და სხვა დიდი მოხელეების სახელობაზე გაგზავნილ-გამოცემულ საბუთებს შეიცავს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მწერლობის ეს დარგი სპარსეთში ძალიან იყო გავრცელებული და ბევრი კრებული არსებობს, რომელთა შესახებ მოკლე ცნობებს მკითხველი პროფ. ჰ. ეტეს ზემოდასახელებულ თხზულებაში (გვ. 341—343) და სპარსული ხელთნაწერების სხვადასხვა აღწერილობებში იპოვის. იმისდამიუხედავად, რომ ყველა ამ კრებულების შემდგენელთა მიზანი იყო ენისა და მჭევრმეტყველების ნიმუშისათვის თავი მოეყარათ მკითხველთა გასართობად და საბუთების დაწერილობის სამაგალითოდ, ამ კრებულებსა და საისტორიო თხზულებებში შეტანილი საბუთების სპარსულ სიგელთა დაწერილობის წესებისა და დამახასიათებელი თვისებების შესწავლა და ამით სპარსული სიგელთმცოდნეობისათვის საძირკვლის ჩაყრა შეიძლებოდა. აქამდე თუ რომელიმე საბუთი ამ კრებულთაგან ვისმეს ამოუღია და გამოუცია, მხოლოდ ვითარცა საისტორიო მასალა. ამგვარად სპარსული დიპლომატიკა ჯერ კიდევ თავის მკვლევარს ელის და მომავალის საქმედ უნდა ჩაითვალოს.

თავი მეორე

საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები

§ 1. ზოგადი ტერმინები

რამდენადაც შენახული ძეგლებისდა მიხედვით მსჯელობის უფლება გვაქვს, საბუთების აღსანიშნავად შემდეგში ჩვეულებრივ მიღებული ტერმინი „სიგელი“ უძველეს ხანაში გავრცელებული არ ყოფილა. იგი XI ს-ით-გან მოყოლებული იხმარება მეფეთა საბუთებში და უკვე ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიომღვიმისადმი ნაბოძებს საბუთში ნათქვამია: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“-ო, „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“-ო (შიომღვ. საბ. 4). ისტორიკოსს ჯუანშერსაც მოეპოვება ეს ტერმინი და აღნიშ-ნული აქვს: „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთავოთაგან მათთა რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ქონდეს სიგელნი მკჳდრობისანი“ (ც˝ა ვხ˝ტნგ გრ˝გსლსდ №410, გვ. 192). რადგან ეს სიტყვა XI ს-ში როგორც მწერლობაში, ისევე საბუთებში ჩვეულებრივ ტერ-მინად იხმარება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ის იქნებ უფრო ადრეც იყოს შემოღებული. ამ მხრივ საყურადღებოა ბაგრატ მეფის ოპიზისადმი ნაბოძები საბუთი, სადაც მეფეს ნათქვამი აქვს, რომ მიჯნაძოროელებმა „მოიხუნეს სი-გელნი გურგენ ერისთავთა-ერისთავისაი, გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩე-მისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისაი“, ხოლო მეორე მხრით, „მო-იღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი“. ამ საბუთების განხილვის დროს გამორკვეულა, რომ „მიჯნაძოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელი ოპიზართათუის დაუწერია, არა ქსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II 2—3). ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ ბაგრატ IV-ის განჩინების წიგნში ორჯერვე და-ყინებით გუარამ მამფლის საბუთის სახელად „დაწერილი“-ა ნახმარი, გურგენ ე˝ესა, გურგენ მეფეთა მეფისა და სხვა მომდევნო მეფეების სა-ბუთებისათვის კი „სიგელი“. თუ გავიხსენებთ, რომ გუარამ მამფალი † 882 წ. (იხ. ქართველი ერის ისტ. II. ბაგრატ. შთამომ. შტო), გურგენ ე˝ეი-კი, რომე-ლიც კი უნდა იყოს იგი, მეათე საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწე მფლო-ბელი იყო, შეიძლება ერთგვარ ქრონოლოგიურ საფუძვლად გამოვიყენოთ. თუ აქ ტერმინების სხვაობა თვით დარბაზში განხილული საბუთებითგან მომდინა-რეობს და შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ირკვევა, რომ IX ს-ში სა-ბუთებს ჯერ „სიგელი“ არ რქმევიათ, არამედ „დაწერილი“ და მხოლოდ X ს. მეორე მეოთხედითგან უნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული.

X ს-ითგან მოყოლებული XV ს. დამდეგამდის სიგელი განსაკუთრებით მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და, როგორც ქვევით გა-მორკვეული იქნება, თვით კათალიკოსებიც კი და დიდებულნი თავიანთი სა-

ბუთების აღსანიშნავად ამ სიტყვას არა ხმარობდენ ხოლმე. ამგვარად ცხადი ხდება, რომ XI—XV სს-ში სიგელს მეფეთა საბუთების მნიშვნელობა ჰქონია.

იქნებ უკვე XIV ს-ითგანაც, მაგრამ ამ საუკუნის საბუთების მეტისმეტი მცირე რიცხოვანობის გამო ჯერ ეს არ ჩანდეს, მხოლოდ XV ს. დამდეგითგან კი სიგელი წინანდებურად მარტო მეფეთა ნაბოძებს საბუთს აღარ ნიშნავს, არამედ კერძო პირთა საბუთების აღსანიშნავადაც იხმარებოდა. მაგ., ხიმშია ამირახორის მარილელ-აბაზასძის სვეტიცხოველისათვის 1405 წ. შეწირულების წიგნი „სიგელად" არის წოდებული (ისტ. საბ. III, 9). ამგვარადვე თაყა ზევდგინიძეს 1433 წ. შეწირულების წიგნსაც სიგელი ჰქვიან (ისტ. საბ. II, 6) და ამნაირი მაგალითების მრავლად შეიძლება დასახელება (იხ. ისტ. საბ. II, 7, 9, 10, 11, 13, 15, 20 და ბევრგან სხვაგანაც). მაშასადამე, ირკვევა, რომ სიგელი XV ს. დამდეგითგან მოყოლებული თავის პირვანდელ მნიშვნელობას მეფეთა ბოძებული საბუთისას ჰკარგავს და საბუთების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ხდება.

XI ს. ძეგლებში საბუთის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად „გუჯარი"-ც იხმარებოდა. ქართულ საისტორიო მწერლობაში ეს სიტყვა სუმბატ დავითის ძესა და ჯუანშერსა აქვთ მოყვანილი ერთი და იმავე ამბავის აღწერილობაში.

ჯუანშერს სახელდობრ ნათქვამი აქვს, რომ როცა ბიზანტიელნი საქართველოთგან იხიზნებოდენ, „მაშინ ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი წარჩინებულნი ჰფლვიდეს ქუეყანათა შინა გაძნთა... მათ დაუტევეს ქუეყანა ესე (ე. ი. საქართველო) და დაფლნეს განძნი იგი მათნი... შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი და რა გუჯარნი აღწერეს, ნათესავი თვსი და ქუეყანა და დადვეს, რათა, ოდეს მოვიდეს ბერძენნი, მით გუჯრითა მოიძინნეს ნათესავნი მათნი და თჳთოეულად განუყონ განძი და ქუეყანა"-ო (ც˝ა ვხ˝ტნგ გრ˝გსლსა *417—418, გვ. 199).

მეორეჯერ იმავე ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: „მოგვითხრობს ჩუენ აღწერილი გვიჯარი, რომელსა შინა აღწერილი არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით"-ო (იქვე *426, გვ. 206). ამ ორივე ადგილის მიხედვით გუჯარი ერთგვარი ხალხისა და ქონების აღწერის დავთარი გამოდის და არა სიგელის მსგავსი საბუთი, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი შემდეგში იხმარებოდა.

ეს ტერმინი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ეფთჳმე მთაწმიდელის ქართულ თარგმანშიაც გვხვდება. იქ წერია: „იხილა რაჲ ვითარმედ წვალებისა იგი ბადენი განეფინებოდეს ყოველგან და საცთური იგი ერთისა ბუნებისა მეტყუელთაჲ... კვალად განახლდებოდა... გუჯარსა დაწერეს და ეზოსა სოფია წმიდისასა აღმართეს"-ო (კ. კეკელიძე, Keimena 1, 63)... „გუჯარსა მას ჰრომისსა დაგიწერია შენცა სახელი და წამებაჲ შენი: წმიდამან მაქსიმე თქუა «ჰე დამიწერია»" (იქვე, 85). არც ამ ორ შემთხვევაში აქვს სიტყვა გუჯარს სიგელის მსგავსი, იურიდიული საბუთის მნიშვნელობა, არამედ სარწმუნოების აღსარების შემცველ საბუთს ნიშნავს.

მაინცდამაინც საგულისხმოა, რომ XI ს. ქართულ ძეგლებში ეს ტერმინი ნახმარია საბერძნეთისა და არაქართული საბუთის აღსანიშნავად. თვით ქართულ საისტორიო მწერლობაში კი, როდესაც ცნობები საქართველოს პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას და წესწყობილებას ეხება, და ქართულ საბუთებში

XI ს-ითგან მოყოლებული XV ს. პირველ ნახევრის დასასრულამდის, ჯერ-ჯეროზით მაინც, „გუჯარი" არსადა გვხვდება.

თუ არ ვცდებით, სიგელის მნიშვნელობით გუჯარი აწ ცნობილ საბუთთა შორის პირველად გიორგი მეფის 1447—48 წწ. მცხეთისადმი ნაბოძებ საბუთშია ნახმარი. მას აღნიშნული აქვს, რომ წინანდელ მეფეებს სვეტიცხოვლისათვის მამულები შეწირული ჰქონდათ და „სიგლებითა დაემტკიცნეს", მაგრამ შემდეგში ეს სხვებმა მიითვისესო, ჩვენ ეს გამოვიძიეთ და მამის ჩვენის დამტკიცებული „ახლად გუჯრითა ამით დავამტკიცეთ და ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ"-ო (გვ. 4), „დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი" ამა და ამ წელიწადსაო (თ. ჟორდანია, ქ"კბი II, 250—60 და ს. კაკაბაძე, მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი 1447—1448 წწ. გიორგი IX-ის მიერ ბოძებული გვ. 4, 6 და 8). შემდეგ კონსტანტინე მეფის 1488 წ. დამტკიცების წიგნში გვხვდება. იქ ნათქვამია: „პაპათა და მამათა ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება... ჯერვიჩინეთ და... ახლად გუჯარითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ... დაიწერა მტკიცე ესე გუჯარი"-ო (ს. კაკაბაძე, „სიგელი (sic) ქართლის მეფე კონსტანტინესი 1488 წ., ტფილ. 1913, გვ. 5 და 7).

შემდეგ უკვე გუჯარი სიგელის მაგიერი მნიშვნელობით ხშირად იხმარება საბუთებში. კახთა მეფის 1511 წ. დამტკიცებისავე წიგნში წერია: „ვითა სამართლად... პაპათა და მამათა ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება, ეგრეთვე... ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დაუმტკიცეთ... დაიწერა მტკიცე ესე გუჯარი"-ო (ისტ. საბ. III, 45 და 46). ლუარსაბ მეფესაც თფილისის სიონისადმი 1552 წ. ნაბოძებ საბუთში ნათქვამი აქვს: „მოვახმევინეთ ძველნი თქუენნი გუჯარნი და... ჩვენ ახლად განუახლეთ... დაიწერა მტკიცე... სიგელი ესე"-ო. (ისტ. საბ. II, 41 და 42).

საბა ორბელიანის განმარტებით სიგელსა და გუჯარს შორის ის განსხვავება უნდა იყოს, რომ „მეფეთა მინიჭებულსა წერილსა სიგელი", ხოლო „აგარაკთა და სოფლებთა დამტკიცებისა წერილსა გუჯარი" ეწოდებაო (ლექსიკ. „წერილი"). მაგრამ ეს თვით საბუთებით არ მტკიცდება, რადგან არა ერთი მამულის წყალობისა და დამტკიცების წიგნია, რომელსაც სიგელი ეწოდება და ხშირია, როცა სიგელი და გუჯარი ერთიმეორის მაგიერ არის ხოლმე ნახმარი. ორივე ტერმინი ერთსა და იმავე ხანაში გვხვდება და ხან ერთი სჭარბობს ხოლმე, ხან მეორე, მაგრამ საბოლოო ბატონობა განსაკუთრებით ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. 1579 წ. საბუთში ნათქვამია „მცხეთის ძუელნი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს... რომელნიც პირველთ ძუელთ ქელმწიფეთ... გაერიგებინნეს, გაესაზღურნეს და შეეწირნეს"-ო (ისტ. საბ. II, 50).

სიგლისა და გუჯარის ერთნაირი მნიშვნელობა იმ გარემოებითაც ცხადად მტკიცდება, რომ XVIII ს. დამდეგს ეს ორი სიტყვა შეაერთეს და ერთ ტერმინად აქციეს: ერეკლე I-ის 1703 წ. ქვათახევის მონასტრისადმი ბოძებულს ერთიან საბუთს „ს ი გ ე ლ გ უ ჯ ა რ ი" ეწოდება. იქ სახელდობრ ნათქვამია: „ესე შეწირულობისა და მკვიდრობისა წიგნი და ნიშანი სიგელგუჯარი განგიახლეთ და მოგახსენეთ"-ო (გვ. 6), მოვიდენ წინაშე ჩვენსა... და ძველთა მეფეთა და ხელმწიფეთა სიგელგუჯრისა განახლებასა გვეაჯნეს... ვიხილეთ სიგელგუჯარნი თქვენისა მონასტრისა აღმაშენებელთა"-ო (გვ. 7-8), ...„ვისაც ჩვენ მიერ შეწირულთა ამათ სოფელთა, ანუ აგარაკთა, ანუ სამძღვართა, ანუ გლეხთა სიგელი და ნიშანი ჰქონდეს, ჩვენ სიგლითა ამით განვგვიცუდებია და

მტკიცე ესე ოდენ არს და თქვენცა ღვთისმსახურნო მეფენო... ესე სიგელგუჯარი დაამტკიცეთ... მტკიცე იქმნა ნებითა ღვთისათა სიგელგუჯარი ესე“ ამადაამ წელსაო (ქვათახევის მონასტრის გუჯარი“ (sic), მოამბე, 1903, № IX, გვ. 35).

ამგვარად ირკვევა, რომ X ს-ითგან მოყოლებული „სიგელი“, ხოლო XV ს. დასასრულითგან მოყოლებული „გუჯარი“-ც მეფეთა ნაბოძები საბუთების საზოგადო სახელი იყო. კერძო პირთა საბუთებს „დ ა წ ე რ ი ლ ი“ რქმევია, როგორც ეტყობა. მანდატურთუხუცესი ჭიაბერი თავისი შიომღვიმის მონასტრისადმი მიძღვნილი შეწირულობის წიგნის შესახებ ამბობს: „ესე დაწერილი მე ჭიაბერსა მეფეთ-მეფისა თამარის მიწასა მანდატორთ-უხუცესსა... შემიწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია“-ო (შიომღვ. საბ. 23). თამარ მეფისდროინდელი შიომღვიმის ძმობის ტოხაძისადმი მიცემული სიმტკიცის წიგნის სახელად „დაწერილი“-ა ნახმარი: „ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგახსენეთ... აწ სრული არს დაწერილი ესე ჩუენგან... და დამამტკიცებელნი ვართ ამას დაწერილსა“-ო (იქვე, 24). შიომღვიმის ძმობისაგან გრიგოლ მსახურთუხუცესისათვის საუკუნო სალოცავის განწესების წიგნშიც ნათქვამია: შიომღვიმელთ „დაწერილი ესე დაუწერია“-ო (გვ. 6). „ესე დაწერილი ჩუენ მღუიმელთაგანვე მოჴსენებული თქუენ გრიგოლ მსახურთუხუცესისათუის“-ო (ს. კაკ. „სიგელი (sic) მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა 1250 წ. შიომღვიმისათვის დაწერძლი“, ტფ. 1912, გვ. 6 და 7; თ. ჟორდ. ქ˝კბი II, 127—128 და შიომღვ. საბ. გვ. 65). ასევეა სხვა შიომღვიმის მონასტრის კერძო პირთა XIII—XIV სს. საბუთებშიც (იხ. შიომღვ. საბ. გვ. 61, 62, 63, 66 და 71). კახა ჯავახიშვილსა და ბექა მანდატურთუხუცესს შორის 1285—1308 წწ. დადებული კეთილმოყვრობის წიგნშიც ნათქვამია: თუ „ესე დაწერილი გაგიტეხო“, ეს და ეს მომივიდესო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 8).

თვით საქართველოს კათალიკოსების საბუთებსაც სიგელი კი არ ეწოდებოდა, არამედ „დაწერილი“. მელქისედეკ კათალიკოსს მაგ., თავის 1020 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამი აქვს: „ესე დაწერილი მოვაჴსენე... კათოლიკე სამოციქულო საყდარსა მცხეთისასა“ (გვ. 31)... „თქვენ წმიდანო მღვდელმთავარნო, რომელთა ესე დაწერილი... ჰნახოთ თქვენც სიმტკიცე დასწერეთ... ბაგრატ აფხაზთა მეფე... ესე დაწერილი... ჴელითა თქვენითა დამიმტკიცეთ“-ო (ქ˝კბი II, 34 და 35).

მიქაელ კათალიკოსის მსახურთუხუცესის ვაჩე გუარამასძესადმი მიცემულ წყალობის წიგნშიც წერია: „დაგიწერეთ და მოგეცით დაწერილი ესე ჩუენ... კათალიკოზმან მიქაელ“-ო (ს. კაკაბაძე, მე-XIII საუკ. პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები. ტფ. 1913, გვ. 5).

არსენი კათალიკოსიც თავის შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ამბობს: „ვინც ეს დაწერილი და გაგებული წ˝ასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს“-ო (შიომღვ. საბ. 51).

თუ „სიგელი“ X ს-ითგან და „გუჯარი“ XV ს. პირველი ნახევრის დამლევითგან მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა და ამავე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა, „წ ი გ ნ ი“ ყველასი, და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო. ეს გარემოება თითქოს საბა ორბელიანსაც უგრძვნია და ნათქვამი აქვს: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა ვისიცა

იყოს“-ო (ლექსიკ. „წერილი“). მაგრამ სხვა მხრივ განმარტება ბუნდოვანია. როდესაც საუბარი სხვადასხვაგვარ საბუთებზე გვექნება, იქ მოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ ყოველნაირი და ვისგანაც არ უნდა იყოს მიცემული საბუთის საზოგადო სახელად „წიგნი“ იყო, რომელსაც შინაარსის მიხედვით მხოლოდ მისი თვისების აღმნიშვნელი სახელიც ემატებოდა.

მართლაც უძველეს ქართულ ძეგლებში „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში სწორედ ეს ტერმინია მიღებული. იერემიას მაგ. ნათქვამი აქვს „მოვიღე წიგნი მოგებისაჲ დაბეჭდული... დამწერელთა წიგნსა მოგებისასა“ (თ. 32₁₁ ₁₂), რაც უდრის ბერძნულ „ἔλαβον τὸ βιβλίον τῆς κτήσεως τὸ ἐσφραγισμένον... γραφόντων ἐν τῷ βιβλίῳ τῆς κτήσεως“ და ლათინურის „sumpsi libellum possessionis obsignatum... scripserant in libello possessionis“, მაშასადამე, „ტო ბიბლიონ“-ის და libellum-ის გადმოსაცემად ძველად „წიგნი“ ყოფილა მიღებული.

საბუთის ერთი გვარის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი „ხ ე ლ ი თ წ ე რ ი ლ ი“. გიორგი მთაწმიდელს აღნიშნული აქვს, რომ იოანემა და ეფთჳმემ ათონის ქართველთა მონასტერს „დაუსხნეს სიმტკიცენი და ჴელითწერილნი და ოქრობეჭედნი ღმრთისმსახურთა მეფეთანი“-ო (ც˜ა ი˜ესი და ეფთ˜მსი 3). საუბარი აქ ბიზანტიის კეისრების საბუთებს ეხება უმთავრესად. „ჴელისწერილ“-ის სახით ეს სიტყვა ეფთჳმე მთაწმიდელისაგან ქართულად ნათარგმნ მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებაშიც გვხვდება: „არა სიტყჳთ ხოლო შევაჩუენე, არამედ ჴელისწერილიცა დავწერე შეჩუენებისაჲ“ (Kéimena I, 73). ამ ორი მაგალითის მიხედვით შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ ეს ტერმინი განსაკუთრებით უცხოეთის, ბიზანტიის საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა, მაგრამ არსენი კათალიკოსის XIII ს. დამდეგის შიომღვიმისათვის მიცემული საბუთი ამტკიცებს, რომ საქართველოშიაც ყოფილა საბუთები, რომელთაც „ჴელითწერილნი“ რქმევია. იქ მოხსენებულია „ჴელითწერილნი სანატრელთა... წ˜ისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი“ (შიომღვ. საბ. 51).

საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „ნ ი შ ა ნ ი“-ც იხმარებოდა. პირველად ეს სიტყვა ამჟამად ცნობილ საბუთებში დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძში გვხვდება. იქ სახელდობრ ნათქვამია „ტფილისს საამიდოჲთ, ვითა სხუთაცა ნიშნითა თჳთ ჴელითა ჩემითა დამიწერია, ასი დრაჰკანი მღდელთა და მგალობელთათჳს, ნუვინ დააკლებს მათ“-ო (თ. ჟორდ. შიომღვ. საბ. 17, ს. კაკ. 12). ცხადია, ამით დიდებულ მეფეს სურდა ეთქვა, სხვა ჩემივე ხელით დაწერილი სიგლით, საბუთით განსაზღვრული მაქვს, თუ რამდენი უნდა მიეცეს მღვდლებსა და მგალობლებს. მაგრამ თვით ეს საბუთი შენახული არ არის, ჩვენამდის მოღწეული საბუთთაგანი კი XIV ს-ზე უწინარეს ჯერჯერობით არც ერთი „ნიშან“-ად არ უწოდებს თავის თავს. ამიტომ ძნელი სათქმელია, დავით აღმაშენებლის ზემოხსენებული საბუთი თვითაც ნიშანად იწოდებოდა, თუ ჩვეულებისაებრ სიგელად და დავით აღმაშენებლის ზემომოყვანილი სიტყვა ამ ძეგლის საზოგადო, მხოლოდ ვითარცა საბუთის, სახელს წარმოადგენს.

მაინცდამაინც დამახასიათებელია, რომ XIV ს-მდე არც ერთს შენახულ საბუთთაგანს ნიშანი არ ეწოდება. ჯერჯერობით პირველ საბუთად, რომელიც თავის თავს ნიშანს უწოდებს, ჯავახიშვილი-გამრეკელისადმი 1345 წ. ნაბოძები

წყალობის წიგნი უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც ნათქვამია: „დაიწერა ქკ˜ნსა :ლგ: ოკდომბერსა :იბ: ბრძანება და ნიშანად (?) გიბოძებ... ვისა გინდა ჩემი ბრძანება და ნიშანი ჰქონდეს"... (ს˜ქს სძ˜ველნი II, 10). შემდეგ ეს ტერმინი ნახმარია 1348 წ. ანდრონიკე ბაგრატონიანის სიგელში, სადაც წერია: „და თუ ვის რაი ამა ადგილთა სიგელი და ანუ ნიშანი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გამიტეხია" (იქვე, II, 12). მაგრამ ამ ორსავე სიგელს ჯერ კიდევ კრიტიკული განხილვა ესაჭიროება.

XV და შემდეგ საუკუნეებში „ნიშანი" უკვე იშვიათი სიტყვა და ტერმინი აღარ არის, მაგ., 1460 წ. საბუთში წერია: „ურდოელასშვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და ნიშანი თქუენ გქონდა" (ისტ. საბ. III, 35). 1505 წ. საბუთში ნათქვამია: „ვისაც ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი ჰქონდა, სიგლითა ამით გაგვიცუდებია"-ო (ისტ. საბ. III, 43).

„ნიშანი" სპარსული სიტყვაა نشان და სპარსულშიაც როგორც გასარჩევად მიღებულ საგანს, თუ ხაზს ან ძოხაზულობას, ისევე საბუთსაც ეწოდებოდა.

„პ ი ტ ა კ ი" ვითარცა საბუთის აღმნიშვნელი ერთი ტერმინთაგანი სტეფანე მტბევარისადმი მიმართულს დაჩის წერილში გვხვდება: „გამომითხოვე მსაჯულისაგან პიტაკი განთავისუფლებისაჲ, რათა განვერე ვეჰთა მათ საშინელთა"-ო (ქ˜კბი I, 101), ნათქვამია ამ წერილში. ამგვარად „პიტაკი განთავისუფლებისაჲ" აქ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საბუთს ნიშნავს.

ეს ტერმინი გიორგი ხუცესმონაზონსაც აქვს ნახმარი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში და იქ ნათქვამია, რომ როდესაც დიდებული ქართველი მოღვაწე ბიზანტიის კეისარს უნდა სათხოვარით წარსდგომოდა, მეფის მოსვლის მოლოდინში გიორგი მთაწმიდელმა და ვინმე პეტრემ „დაწერეს პიტაკი წინაშე მეფისა", რომელშიაც მისი სათხოვარი ყოფილა აღნიშნული. კეისარი რომ მოახლოვდა, გიორგი მთაწმიდელმა „მისცა პიტაკი თვსითა ქელითა". მას ბოლოს უთქვამს მთხოვნელისათვის: „რაჲცა პიტაკსა ამას შინა სწერია", აგისრულებო (გვ. 335). ზემომოყვანილითგან ცხადადა ჩანს, რომ აქ „პიტაკი" თხოვნის, ჰაჯას მნიშვნელობით არის ნახმარი და რადგან აქ და უფრო ხშირად მთხოვნელი ცხოვრების უფრო დაბალ საფეხურზე იდგა ვიდრე ის, ვისაცა სთხოვდენ, ამიტომ უნდა იყოს, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „პიტაკი სავედრებელი მინაწერი" არისო. მეორეგან ამავე ტერმინის* შესახებ წერია: „უდარესისაგან უაღრესისა მიმართ მინაწერსა პიტაკი" ეწოდებაო (იხ. წერილის ქვეშე).

პიტაკი ბერძნული ტერმინია და წარმომდგარია πιττάκιον-ისაგან, რაც საწერ თაბახს ნიშნავს. რამდენადაც დაჩი ბერძნული სკოლისა და განათლების კაცი არ ყოფილა, იმდენად შეიძლება, და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა მაშინ მარტო მწიგნობრული ტერმინი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ცხოვრებაში თუ არა, განათლებულ წრეებში, საუბარში შეიძლება მიღებული ყოფილიყო. მაგრამ ჯერჯერობით არავითარი მტკიცე საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ პიტაკი ქართული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა XI—XIV სს-ში. შენახულ საბუთთა შორის უძველესი, რომელიც თავის თავს პიტაკს უწოდებს, 1408 წ. არის დაწერილი. იგი თუმცა სეფემწიგნობრის ხელით არის შედგენილი, მაგრამ მაინც მეფის სიგელი კი არაა, არამედ კერძო

* ალბათ კორექტურული შეცთომა უნდა იყოს, რომ იქ „პატაკი"-ა დაბეჭდილი.

პირისა, მოხელის, საწოლის მწიგნობრის დავით ცნოდის ძის მიცემულია. „დაიწერა ჩემ მიერ გულმოდგინებით ნაღუაწი მცირე ესე პიტაკი“, ნათქვამია იქ, ამა და ამ დროს სეფე-მწიგნობრის დემეტრე მარკოზაშვილის ხელითაო (ისტ. საბ. III, 7).

დამახასიათებელია, რომ თვით იგივე დემეტრე მარკოზაშვილი ალექსანდრე მეფის საბუთებს არადროს პიტაკს არ უწოდებს და მხოლოდ კარის მწიგნობარი იათორიძე გიორგი მეფის 1463 წ. ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისათვის ნაბოძებს წყალობის წიგნს პიტაკს ეძახის: „დაიწერა პიტაკი ესე... ჴელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა იათორისძისა ვარსიმესითა“-ო (ს˝ქს ძ˝ელნი II, 19). მეორე საბუთი, რომელშიაც ეს ტერმინია ნახმარი, 1466 წ. ეკუთვნის და კოსტანტინე მეფის სახელით მდივან-მწიგნობრის ზაქარია თუმანიშვილის ხელით ამავე ჯავახიშვილებისათვის არის ნაბოძები: „დაიწერა მტკიცე პიტაკი ესე“-ო (იქვე II, 21).

ცხადია, რომ ამ ორსავე შემთხვევაში საბა ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება არ გამოდგება და აქ პიტაკს საბუთის, სიგელის, მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ პიტაკი ქართულ სამდივანმწიგნობრო ენასა და ტერმინოლოგიაში იშვიათი სტუმარია და გაშინაურება მას მაინცდამაინც არ ეტყობა.

ახალ ქართულ სამწერლობო ენაში ჩვეულებრივ და აუცილებელ ტერმინად ქცეული „საბუთი“ XVIII ს-მდე, თუ არ ვცთებით, არ იხმარებოდა. საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა არც კი მოეპოვება. მაგრამ 1781 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელში, რომელიც აღმ. საქართველოს სასამართლოს განაჩენს შეიცავს, ეს ტერმინი ნახმარია იმ მნიშვნელობით, როგორც ახლა გვესმის. მსაჯულთ იქ ნათქვამი აქვთ, რომ მომჩივარნი „ვალაპარაკეთ და ამათი საბუთები გავშინჯეთ“-ო (ისტ. საბ. V, 98). ამავე მონასტრის მამულის გამო ამტყდარი საჩივრის შესახებ 1782 წ. დაწერილს სასამართლოს გარდაწყვეტილების წიგნში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ „თუ გოგიბედაშვილებს მონასტრის ნასყიდობის სიგელს უკან ჯავახიშვილებისაგან ჴვიროსში მამულები უყიდნიათ რამე და სარწმუნოს წიგნით და საბუთით დაამტკიცებენ, ამის პასუხი ჯავახიშვილებმა თავიანთის წილიდამ უნდა გასცენ“-ო (ისტ. საბ. V, 103). ამავე მონასტერს 1790 წ. კიდევ ჰქონია საჩივარი და ამის შესახებ დადგენილებაშიც წერია: „უძლიერესი საბუთი ეს უფროა, რომ ქალაქის დავთარი ვნახეთ და ასე ეწერა «ნათლისმცემლის მონასტრის ყმა სვიმონ მეხაშეო», ამან უფრო დაამტკიცა-ო (ისტ. საბ. V, 109).

საბუთი, როგორც მისი ქართულ მწერლობაში ასე გვიან შემოსულობისა და უთვისტომობისა გამო საფიქრებელი იყო, ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბული ضبط „ზაბტ“-ისაგან შეიძლება იყოს წარმომდგარი. არაბულად ეს სიტყვა წიგნში, დავთარში შეტანილს, ოქმის შედგენას, ოქმსა ნიშნავს.

ქართულად მიღებული იყო ტერმინად აგრეთვე „ო ქ რ ო ბ ე ჭ ე დ ი“, რომელიც ბიზანტიის კეისართა ოქროსბეჭდიანი სიგელების სახელად იხმარებოდა. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების სიტყვით დიდებულმა ქართველმა მოღვაწემ „გადასწყჳდა რათა მედიმოსენი პრასტინთა ჩუენთა ვერ შემოვიდენ, არამედ რათა გარე-გარე, სეკრეტონსავე მიეცემოდის როქისაგან ჩუენისა ლიტრა ერთი დიმოსად, ვითარცა თჳთ განაწესა... მეფემან კოსტანტი მონამახმან და ამას ზედა ოქრობეჭედი შექმნა მტკიცე და უქცეველი......... ესე ლიტრა

ერთი........ შემოსწირა და ოქრობეჭედსა შინა დაეწერა“-ო (საეკლ. მუზ. გამ. ათონ. კრებ. 302, 303). ქართული ტერმინი „ოქრობეჭედი“ უდრის და პირდაპირი თარგმანია ბერძნული ტერმინის χρυσόβουλος „ხრუზოვულოს“-ისა, არც ქართველ მეფეთა სიგელებშია ტერმინად ოქრობეჭედი ნახმარი, არც სხვა წყაროებში მოიპოვება ცნობა, რომ ქართველ მეფეთა რომელიმე სიგელი ოქრობეჭედად ყოფილიყო წოდებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი, თუ განსაკუთრებით არა, უმეტესად მაინც ბიზანტიის კეისრების ხრუზოვულოსების აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო მიღებული.

მონღოლთა ბატონობის დროს ქართულ მწერლობაში სიტყვა „ი ა რ ლ ა ყ ი“, ანუ „ი ა რ ლ უ ყ ი“-ც შემოვიდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით მონღოლთა ყაენების წყალობის წიგნების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და ქართული დიპლომატიკისათვის მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს ტერმინი ჟამთააღმწერელის თხზულებაში გვხვდება ორჯერ იქ, სადაც საუბარია იმაზე, თუ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა როგორ მოახერხა სამშობლოს ეკლესია-მონასტრებისათვის უპირატესობის გამოთხოვა. ის ამბობს: ულო ყაენთან ნიკოლოზ კათალიკოსს „დაუწერეს იარლუყი, რომელ არს ბრძანება (ბა̃ბა)“... „მისცეს (ი)არლაყი შეწყალებისა“ (ჟამთააღმ. *806,807, გვ. 648,749). სტეფანოს ორბელიანსაც აქვს ეს ტერმინი მოხსენებული და განმარტებული იმგვარადვე, როგორც ზემოდასახელებულ ქართველ ისტორიკოსსა აქვს ახსნილი „*Գրեն խաւլեխ որ է հրաման, զոր մեք սիգէլ կոչեմք*“ (*Ստեփաննոս Օրբելեան. Պատմ.* ტფილ. 1911, გვ. 411) „უწერენ იარლეხს, რომელ არს ბრძანება, რომელსა ჩვენ სიგელად სახელვსდებთ“-ო.

ორივე განმარტება ნიშანდობლივია. საბა ორბელიანს თუმცა ნათქვამი აქვს, რომ „მეფისაგან კელქუეშეთთა მიმართ მინაწერსა იერლაყი“ ჰქვიანო (ლექსიკ. „წერილის“ ქვეშე), და თითქოს გვაფიქრებინებს, ვითომც ეს ჩვეულებრივი და ქართველ მეფეთა წყალობის წიგნი ყოფილიყოს, „იერლაყი მეფეთაგან შეწყნარების უსტარი“-აო (ლექსიკ.), მაგრამ იარლუყი ან იარლაყი მონღოლური სიტყვა და ტერმინი يارليغ „იარლიღ“-ია[2].

XVII—XVIII სს-ში შემოდის აგრეთვე „რ ა ყ ა მ ი“. იესე ტლაშაძეს „კათალიკოზ-შაქარიანში“ აქვს: „ხვანთქარმა „მამული სრულად მიბოძა, რაყამი მომცა ფიცისა, მაშინვე დააწერინა, დაბეჭდა, დაამტკიცისა“ (ე. თაყ. გამ. 48, § 309). თუ ამ შემთხვევაში რაყამი ოსმალეთის სულტანის წყალობისა, თუ ფიცის წიგნს და სიგელსა ჰქვიან, იესე ოსესშვილის თავგადასავალი ცხადყოფს, რომ ეს ტერმინი თვით ქართულ საბუთებისათვისაც უხმარიათ XVIII ს. მეორე ნახევარში მაინც. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „მეფეს ერეკლეს... ბრძანება და რაყამი ასეა ბრძანებული“-ო (ს. კაკ. გამ. 58.). رقم რაყმ, რაყამ არაბული სიტყვაა და წერილს, ნაწერს, დამწერლობას, ხაზსა და რიცხვის-ნიშანს აღნიშნავს[3].

შინაარსისდა მიხედვით, იმისდაგვარად, თუ რა იურიდიული თუ სხვაგვარი დანიშნულება ჰქონდა თვითეულ მათგანს, საბუთებს შესაფერისი სახელები ჰქონდათ ხოლმე. საბუთების ამ სპეციური ტერმინების განხილვა იმნაირად არის ქვემოთ დალაგებული, რომ ჯერ სახელმწიფო სამართლისა და სახელმწიფო დაწესებულების მოქმედებასთან დაკავშირებული საბუთების ტერმინები

იქმნება განმარტებული, შემდეგ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საბუთების აღმნიშვნელი სახელები და სულ ბოლოს ადამიანთა ურთიერთობაში მიღებული მიწერ-მოწერისათვის არსებული სახელებია მოყვანილ-ახსნილი.

§ 2. სახელმწიფო სამართლის სიგლები

მეფის მიერ თუ მისი სახელით დაწერილ საბუთს ან წერილს „წიგნი სამეუფო" ან „წიგნი მეფისაჲ" ერქვა. გიორგი მთაწმიდელს მაგ., ნათქვამი აქვს, რომ ბიზანტიის დედოფალმა და მისმა ხელისუფლებმა მოციქული „წიგნებითა სამეუფოჲთა ლავრას წარმოავლინეს"-ო (ც῀ჲ ი῀ესი და ეფთ῀მსი 9_{18}), ხოლო როდესაც დავით კურაპალატთანაც გაგზავნეს კაცი, „კურაპალატმან... წიგნები მეფეთაჲ მიითუალა"-ო (იქვე, 11).

განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „ბრძანებაჲ" იყო. გიორგი მეფის სიგელი მაგ., ასე იწყება: „სახელითა ღთისითა ესე ბრძანებაჲ ჩემი არს გიორგი ბაგრატუნიანისა"-ო (შიომღ. საბ; 13, ს. კაკ. შიომღ. 3 სიგ. 11). მეფის განკარგულებას „სამეფო ბრძანებაჲ" (გიორგი ხუცეს მონაზონი, ც῀ა·გ῀ი მთ῀წმდლსჲ, 308) ეწოდებოდა მოხელეთა ბრძანებისაგან გასარჩევად.

შემდეგში XVII—XVIII ს.ს. მეფის ბრძანების აღმნიშვნელ ტერმინად „ბატონის წიგნი"-ც იხმარებოდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში მაგ., ნათქვამია: „ბატონის წიგნით" სტუმრისა და მდგმურის დაყენებაო"-ო (ვ. უმიკ. 26).

ძველი XI—XIII სს. მეფეთა სიგელები, ყველა წყალობის წიგნები, რომელნიც ცნობილნი არიან ერთსა და იმავე დროს სიგელადაც და ბრძანებადაც ითვლებოდნენ და ყველგან ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი"-ო. მაგრამ აქ ამ ტერმინს თავის საკუთარი მნიშვნელობა არა აქვს და დიპლომატიკაში ნამდვილ ბრძანებად, ბრძანების წიგნად და საბუთად შეიძლება მხოლოდ ხელქვეშეთი მოხელეებისა ან დაწესებულებისადმი განკარგულების შემცველი წერილობითი ძეგლი ჩაითვალოს, რომელიც XVII— XVIII სს-ში ან ასე იწყებოდა ხოლმე: „ჩვენი ბრძანება არის, აბაშო", ან სხვა სახელი იმ მოხელისა, ვისადმიც იგი მიმართული იყო (1695—1703 წწ. ნაზარალიხანის ბრძანება, ს῀ქს სძ῀ვლნი II, 113), ან ასე: „ჩვენ მაგიერად შატბერაშვილს პაატას და შანაშვილს თინიას ასრე უამბეთ"-ო (1659—1681 წწ. მარიამ დედოფლის ბრძანება, ს῀ქს სძ῀ვლნი III, 53). თუ არ ვცდები, XI—XVI სს. არც ერთი საკუთრივი ბრძანება ჯერ გამოცემული არ ყოფილა.

მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და განწესების დროს ან წარვლენილობისა, თუ მოვლინების დროს მეფე არჩეულ პირს შესაფერს სიგელს აძლევდა ხოლმე. ასეთ სიგელს თუმცა შეწყალების ან წყალობის წიგნის თვისებები ჰქონდა, მაგრამ ამგვარი საბუთებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ შიგ მოხელის უფლება-მოვალეობა და სარგოს რაოდენობა იყო ხოლმე აღნიშნული, ან ნათქვამი იყო, რომ ეს თანამდებობა ამ პირს ჩვეულებრივი წესით ეძლეოდა. XI—XV სს-ითგან ამგვარი საბუთები ჯერ აღმოჩენილი არ არის. შემდეგ კი, რაც უფრო და უფრო ჩვენს დროს ვუახლოვდებით, ამნაირი ძეგლების რიცხვი მრავლდება. რადგან ამ სიგელებს მხოლოდ იმ პირისათვის

ჰქონდა მნიშვნელობა, რომელსაც თანამდებობა ენიჭებოდა, და თანაც მარტო მის სიცოცხლის დროს, შთამომავლობა ასეთ საბუთებს სხვებსავით არ გაუფრთხილდებოდა. ამიტომ უეჭველია ძველი ხანითგან ამგვარი სიგელები მომავალშიაც ძნელი მოსალოდნელია ბლომად ან საზოგადოდ თითო-ოროლას მეტი რომ აღმოჩენილნი იქმნენ. ძველი საბუთების უქონლობის გამო, რა ეწოდებოდა ამნაირ სიგელებს XI—XV სს-ში, არ ჩანს, თუმცა შემდეგშიაც თვით ასეთ შინაარსის საბუთებშიც ხშირად მათი ნიშანდობლივი სახელი აღნიშნული არ არის, მაგრამ ვახტანგ VI-ის დასტურლამალითგან ამ საკითხის გამორკვევა შეიძლება. სახელოვან ქართველ კანონმდებელს ერთგან ნათქვამი აქვს: „გორიდამ ამილახორის ჯარიმა საკომლო თავისგასამტეხლო ან სხუა რაც დებულება არის იმისი გარიგების წიგნში უწერია. გორიდამ სამდივანბეგო და საიასაულო როგორც ერგების, მდივანბეგის გარიგების წიგნში სწერია"-ო (პ. უმიკ. 20). მაშასადამე, იმ საბუთს, რომელშიაც დანიშნული მოხელის უფლება-მოვალეობა ყოფილა განსაზღვრული, „გ ა რ ი გ ე ბ ი ს წ ი გ ნ ი" რქმევია ვახტანგ VI-ის დროს. საერთო დებულების გარდა თვითოეული თანამდებობის პირისათვის გამწესების დროს ცალკე, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი, პირადი „გარიგების წიგნი" იწერებოდა, როგორიც არის მაგ., „მდივანბეგის გარიგებისათვს", რომელიც ორბელიშვილს ვახტანგის შვილს ერასტის ებოძა 1704 წ. მის მდივანბეგად დანიშვნის დროს, და სხვა (იხ. დასტურლამალი, პ. უმიკ. 56—58, იხ. აგრეთვე გვ. 16). ამის გამო არსებობდა ამირახორის გარიგების წიგნი, მდივანბეგის გარიგების წიგნი და მრავალი სხვაც.

საფიქრებელია, რომ ეს ტერმინივე უნდა ყოფილიყო მიღებული ამგვარი სიგელებისათვის XI —XV სს-შიაც, მაგრამ იმდროინდელი სახითა და მართლწერით „განრიგების წიგნი" ერქმეოდა და ახლაც სამეცნიერო მწერლობაში ასე უნდა ვუწოდოთ.

როგორც სხვა დარგშიაც, აქაც XVII ს-ში ქართული ტერმინი სპარსულით შეიცვალა. გარიგების წიგნის მაგიერ „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი" ან მოკლედ „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა" შემოვიდა. ერასტი ორბელიშვილისათვის ნაბოძებს მდივანბეგობის განრიგების წიგნშიც სხვათა შორის გვხვდება ეს უცხო ტერმინი და იქ ნათქვამია: „ესე...მდივანბეგობის წესი და რიგი დასტურლამა გიბოძეთ"-ო (პ. უმიკ. გვ. 56). დასტურლამალი სპარსული სიტყვაა دستور العمل და რეგლამენტს, განრიგებას, სამდივნო წიგნსა ნიშნავს.

არსებული უფლებრივი დამოკიდებულებითგან განთავისუფლების აღმნუსხველს საბუთს „გ ა ქ ს ნ ი თ ი" ერქვა. ეფრემ მცირეს მაგ., აღნიშნული აქვს, რომ როცა თეოფილაკტე ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობისა და თვითმწყსობის უფლება მიანიჭა, „მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გაქსნითი, რათა თჳთ მათისა საზღურისა ებისკოპოსთაგან ჴელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათალიკოზსა ქართლისასა" (უწყებისათჳს. ქ˘ბი I, 76). დავით მეფის 1355 წ. სიგელში წერია: „დაიწერა ბრძანებაი და გაქსნითი ესე ჩუენი"-ო (ქ˘ბი II, 185).

გაქსნითის გარდა „აქსნითი"-ც გვხვდება ტერმინად. მცხეთის 1399 წ. ერთ სიგელში მაგ., წერია: „ესე აქსნითი ქარტი ნიშნად მოგუიქსენებია"-ო (ქ˘ბი II, 204).

თუმცა წყალობა და შეწყალება იმთავითვე მრავალი საბუთის შინაარსი იყო ხოლმე, მაგრამ თვით სიგელი რომ თავის ამგვარ თვისებას სახელითაც

ამჟღავნებდეს, ეს უძველეს ხანაში იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, XV—XVI სს-იდან კი არა ერთხელ გვხვდება. მაგ., 1546 წ. საბუთში ნათქვამია: „ესე... წყალობისა წიგნი, ნიშანი და სიგელი გიბოძეთ“-ო (ისტ. საბ. III, 61[10]; იხ. აგრეთვე 1634 წ. საბ.: ისტ. საბ. IV, 20—21).

საბუთს, რომელშიაც ერთი პირი მეორეს რამეს აძლევდა, „მიცემულობის წიგნი“ რქმევია (1442 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 25). ამის გარდა „გაცემულობისა წიგნი“ ან ნიშანიც გვხვდება (1505 წ., ისტ. საბ. III, 43)[11].

სტ. ორბელიანის სიტყვებითა მტკიცდება, რომ უკვე XIII ს-ში, თუ ამაზე ადრე არა, შემოსავლის აღწერის წიგნებს საქართველოში „დ ა ვ თ ა რ ი“ რქმევია. მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც სუმბატ ორბელიანმა სომეხთა ეკლესიის გადასახადებისაგან განთავისუფლება იკისრა, ამისათვის მან ამოაშლევინა ეს დაწესებულება საქართველოს ყველა დავთრებითგან (*„յառանձնոյն դաւթարաց ի Վրաց“*, *Պատմ.* 411). მაგრამ ამდროინდელი დავთრები შენახული ან ნაპოვნი არ არის. ჯერჯერობით უძველესი ძეგლი, რომელიც თავის თავს ამ სახელს უწოდებს, 1578 წ. არის შედგენილი და ასეთი სათაური აქვს: „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ (იხ. ე. თაყაიშვილის გამ., „ძველი საქართველო“ და ცალკე წიგნად 1915 წ.)[12]

ვახტანგ მეფის დასტურლამალითგან ვიცით, რომ მარტო შემოსავლისა კი არა, არამედ ხალხის აღწერის წიგნსაც დავთარი ეწოდებოდა. ხალხის აღწერის წესრიგის დებულებაში ნათქვამია: „როდესაც ქართლი... აღიწერების... სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღსწერს და დავთარს დაიჭერს“-ო (დასტურლამალი, 13). მართლაც, მეწინავე დროშის 1721 წ. ხალხის აღწერის წიგნის შესავალში ნათქვამია: ვახტანგ მეფემ „ბრძანა აღწერა თვთოეულად.. ხოლო აღწერა მეწინავე დროშის საბარათაშვილოისა და სომხითისა უბრძანა ძესა თჳსსა ბატონიშვილსა სარდალს ვახუშტის და თანხლება ჩვენ... მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გივისა...და...აღვწერეთ ამ დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი“ (ე. თაყ. გამ. მასალანი საქ. სტატისტიკურის აღწერილობისა, 1907, გვ. 3).

სამხედრო ბეგრის მოხდისა და მორიგე ლაშქრის შემადგენლობის აღმნუსხველ წიგნს თუ სიასაც „დავთარი“ ეწოდებოდა[13] (იხ. ერეკლე მეფის 1774 წ. მორიგე ლაშქრის გარიგება: ს˝ქს სძ˝ველნი I, 188).

ცალკე და სათითაო, პატარა დავთრებს გარდა შეიძლება „დიდი საერთო დავთარი“-ც ყოფილიყო. იმავე ზემოდასახელებულ წყაროში ნათქვამია: „ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყვია და როგორადაც გაგვიყვია ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის მოჴელეებისათვს მიგვიბარებია და თვითო დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია და სხვა სოფელ-სოფელ მებატონეებისათვის და მოჴელეებისათვის მიგვიცია“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი I, 188, § 1).

„დავთარი“ ამას გარდა ყოველგვარი ანგარიშის წიგნსაც ერქვა. ამ მნიშვნელობით იხმარება ის მაგ., იესე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიან“-ში (ე. თაყ. გამ. 9, § 38)[14].

„დავთარი“ ქართულში მონღოლთა ბატონობის დროს შემოდის და თუმცა იგი ჩამომავლობით შესაძლებელია არც მონღოლური და არც სპარსული არ იყვეს და ტყავის, ეტრატის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი „დიფთე-

რას“-გან იყოს წარმომდგარი, მაგრამ دفتر „დაფთარ“ იმ მნიშვნელობით, როგორც ქართულში შემოვიდა, სწორეთ მონღოლთა სახელმწიფოში იხმარებოდა და იქითგანვე უნდა იყვეს შემოხიზნული.

XIII ს. მეორე ნახევრითგან გვხვდება ტერმინი „ბარათი“-ც. პირველად ეს ტერმინი ბეგა სურამელის შვილის მიქელის ცოლისაგან 1299 წ. ახლო ხანებში შედგენილ შეწირულების წიგნში გვხვდება (იხ. ქ˝კბი II, 170: ბარათი, თეთრის ბარ., ულუფის ბარ.). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბარათი იმ პატარა მიწერილობას რქმევია, რომელშიაც ხელისუფალი მოხელე თუ მებატონე მისი კუთვნილი გადასახადის გამოგზავნილ კაცისათვის ჩაბარებას სთხოვდა ხოლმე[15].

ბარათიც ქართული არ არის, არამედ თურქულია برات. XIII—XIV სს. სპარსულ მწერლობაში ფულისა და გადასახადის აღების უფლების მიცემის შესახებს საბუთს, ერთგვარ ასიგნობას, ასიგნობის საბუთი ეწოდებოდა (პროფ. ბარტჰოლდის **Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче**, 26. შენ. 1).

„ბარათი“ საბა ორბელიანის განმარტებითაც „სხუათა ენაა, მცირე ნაწერს ქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდების“-ო (ლექსიკ.). ავთარათი არამცთუ ბარათის მაგიერ და მნიშვნელობით, ისედაც ჯერ არსად შემხვედრია. არც ვიცი საითგან აქვს საბას ეს ცნობა ამოღებული, მხოლოდ ცხადია ძველად ბარათის მაგიერ სხვა ტერმინი უნდა ყოფილიყო.

ბარათი ქართულში შემდეგში მაინც საზოგადოდ ფულის თუ სხვა რაიმე საფასის მიღებისა თუ გაცემის აღმნუსხველ-დამამტკიცებელ საბუთსა ნიშნავდა, ერთგვარს როგორც ორდერს ხარჯის გაცემის შესახებ, ისევე მიმღების ხელწერილსაც მოწერილობაში მოხსენებული საფასისა ან დაკისრებული გადასახადისა თუ ვალდებულების მიღების შესახებაც. ამგვარი მნიშვნელობით არის ბარათი მაგ., ანტონ კათალიკოსის ბრძანებაში (იხ. მღ. პ. კარბელაშვილის ძველი ანჩისხატის ტაძარი, გვ. 52).

იმ ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, რომელიც ტერმინს „ნუსხა“-ს ჰქონდა, ზოგჯერ განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა XVI ს-ითგან მაინც და საანგარიშო სიის, შემოსავლისა თუ ქონების აღმნუსხველი სიის აღსანიშნავადაც ყოფილა ნახმარი (იხ. მაგ., სვიმონ მეფის 1590 წ. დაწერილი მეკობრეთამძებნელის განწესება: ს˝ქს სძ˝ვლნი II, 24).

როგორც XI—XV სს. მეფეთა წყალობის წიგნებითგან ჩანს, მეფის წყალობა ხშირად მირთმეული თხოვნის შედეგი ყოფილა. არც ერთი ამგვარი იმდროინდელ თხოვნათაგან ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ წყალობის წიგნებითგანა ჩანს, რომ ამ საბუთებს მაშინ „ჰაჯაი და მოკსენებაი“[16] რქმევიათ, ანუ ჰაჯისა და მოხსენების წიგნი. ჰაჯა არაბული ტერმინია. ჰააჯატ, ჰააჯა არაბულად გასაჭირს, გაჭირვებას, მოთხოვნილებას ეწოდება.

შემდეგში, XVIII ს-ში ამგვარს საბუთს „არზა“ ეწოდა. იესე ოსესშვილს მაგ., ნათქვამი აქვს თავის თავგადასავალში: „მივედით დუშეთს, რუსეთის კელმწიფეს არზასა სწერენ (ერეკლე და თეიმურაზი) და სრულიად რუსეთის დიდროანს კაცებს წიგნსა“-ო (ს. კაკ. 41; იგივე ტერმინია ნახმარი ს˝ქს სძ˝ვლნი III, 502 და 523). ეს სიტყვაც არაბულად „გარზაჰ“ წარდგენას, წარდგენილობას, მიმოხილვასა ნიშნავს და ქართულში სპარსეთის გზით და საშუალებით არის შემოსული.

თავისთვის თუ მეფის, ან სხვა მაღალი ხელისუფლისა თუ დაწესებულე-ბის ყურადღების მისაქცევად და გახსენებისათვის დაწერილს საბუთს თუ პა-ტარა წერილს, „მოსაკსენებელი“ ერქვა. ეფრემ მცირეს მაგ., ნათქვამი აქვს, რომ როდესაც ანტიოქიის პატრიარქმა ქართულ ეკლესიას თვითმწყსობის უფ-ლება მიანიჭა, მაშინ პატრიარქმა „შეუქმნა მათ აღწერით მოსაკსენებელი თა-ვისა თჳსისათჳს და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის“-ო (უწყებისათჳს ქ˝კბი I, 76). იმავე ქართველ მეცნიერს დასახელებული აქვს „ქსიფილინოსისა მო-საკსენებელი... მეფისა ალექსის მიმართ“ (ქსიფილ. 341). ეს ტერმინი ბერ-ძნულ „ὑπομνηστικιν“-ს (იქვე, 334 შენ. 1) უდრის.

ამგვარად, მოსახსენებელს ახლანდელი მემორანდუმის მნიშვნელობა ჰქონდა.

§ 8. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები

ყოფილა განსაკუთრებული სახე საბუთებისა, რომელთაც თურმე „ს ი-გ ე ლ ნ ი მ კ ჳ დ რ ო ბ ი ს ა ნ ი“ რქმევიათ. ისტორიკოსს ჯუანშერს აღნიშნული აქვს, რომ ქართველმა მბრძანებელმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისა-გან ჰქონდეს სიგელნი მკჳდრობისანი“-ო (ც˝ა ვხ˝ტნგ გრ˝გსლსჲ *410, გვ. 192). საფიქრებელია, რომ აქ სიგელი მკჳდრობისაჲ ისეთს საბუთს უნდა ნიშ-ნავდეს, რომელიც მის პატრონს ხელისუფლებას „მკჳდრობით“, ანუ შთამო-მავლობით, მემკვიდრეობით ანიჭებდა, რადგან სპარსთა და ბიზანტიის მეფე-თაგან ასეთი უფლება ჰქონიათ მოპოვებული, მათი მორიდებითა და კრძალუ-ლებით ერისთავნი ვერ გამოუცვლიაო.

საბუთების ერთ ჯგუფს „ს ი მ ტ კ ი ც ი ს წ ი გ ნ ი“, ანუ ს ი მ ტ კ ი ც ე“ ჰქვიან. ათონის ქართველთა მონასტრის ერთს XII ს. ალაპში მაგ., წერია: „აიღო წიგნი სიმტკიცისაჲ, რომელსა ჰქვიან დიალნოსი აღმწერელისაჲ“ (ათონ. კრებ. 270; იხ. აგრეთვე ც˝ჲ ი˝ესი და ეფთ˝მსი 3 და XII ს. სიგ., შიომღვ. საბ. 24).

წასვლის ნებართვის მიმცემ მოწმობას „გ ა ნ ს ა ტ ე ვ ე ბ ე ლ ი წ ი გ ნ ი“ რქმევია. VI მსოფლიო კრების სჯულის კანონის ეფთჳმე მთაწმიდელის ქარ-თულ თარგმანში ნათქვამია: „არა-ვის ჴელეწიფების ხუცესსა ანუ დიაკონსა ანუ კერძოდიაკონსა თჳნიერ წიგნისა განსატევებელისა თჳსისა ეპისკო-პოსისა სხუასა სამრევლოსა მისვლად“ (ა. ხახ. 97). ამგვარად „განსატევებე-ლი წიგნი“ თანამედროვე ცხოვრებაში შეცდომით შემოღებულ ტერმინს, შვე-ბულების მოწმობას უდრის.

„ს ი გ ე ლ ი შ ე უ ვ ა ლ ო ბ ი ს ა ჲ“ ისეთ საბუთს ერქვა, რომლითაც შე-წყალებული გადასახადებისა ან ჩვეულებრივი სასამართლოსგან განთავისუფ-ლებული იყო ხოლმე (იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძში: თ. ჟორდ., შიომღვ. საბ. 17, ს. კაკ. 10 და სხვა საბუთებშიაც ბევრგან).

მონღოლთა ბატონობის დროითგან და შემდგომაც ქართული „შეუვალო-ბის“ მაგიერ მონღოლური ტერმინისაგან ნაწარმოები „თ ა რ ხ ნ ო ბ ი ს ს ი-გ ე ლ ი“ შემოვიდა (ტფილისის სიონის 1540 წ. სიგელი: АКАГК I, ქ˝კბი II, 384). ძველი ქართული ტერმინის მაგიერ მონღოლთა გავლენით შეუვალობის

წიგნის ნაცვლად „თარხნობის წიგნი"-ც იხმარებოდა (მეფე სვიმონის 1582 წ. სიგელი: ს˝ქს სძ˝ველნი II, 46). თარხნობის წიგნის მაგიერ ტერმინად „სითარხნის წიგნი"-ც იხმარებოდა (მაგ., იესე ჯავახიშვილის 1614 წ. საბუთი: ს˝ქს სძ˝ველნი II, 28, ან კიდევ როინ ჯავახიშვილის 1642 წ. საბუთში: ს˝ქს სძ˝ველნი II, 66. იხ. აგრეთვე 1760 სიგ. ისტ. საბ. V, 76)[17].

ამგვარი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „აზატობის წიგნი"-ც იხმარებოდა. ერეკლე მეფის 1756 წ. სიგელში წერია: „ესე... აზატობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ... გაგვითარხნებიხარ"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი I, 182-183). ბატუაშვილს პაპუასაც თავის 1773 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მე ბატონის ჩემის სოლაღაშვილის ზაზასაგან თავი დავიხსენ და აზატობის წიგნი მომცა, ვისაც გინდა ეყმე"-ო (ისტ. საბ. V, 83). როგორც ამ ამონაწერითგანა ჩანს, აზატობის წიგნი ამ შემთხვევაში გადასახადისაგან კი არა, ყმობისაგან განთავისუფლების დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობით არის ნახმარი.

განთავისუფლების მიმნიჭებელ საბუთს ერქვა „სიგელი გაშვებულობისა". თითქოს ამ ტერმინს შეუვალობის სიგელის მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც რაღაც თავისი განსაკუთრებული ელფერი ედვა და ვგონებ გაშვებას ჰქონდა უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი. ეს ტერმინი ტფილისის სიონის 1540 წ. საბუთშია ნახმარი და იქ ნათქვამია: მთავარეპისკოპოსმა დომენტიმ „პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუართვენა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ"-ო (АКАГК I, ქ˝ბი II, 384).

სასამართლოს განაჩენის შემცველ საბუთს „გარდაწყუეტილობის წიგნი" რქმევია. ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ 1651 წ. დაწერილ საბუთში, რომელშიაც ნინოწმინდელისა და თვალელთა შორის ატეხილი დავაა გარჩეული, ნათქვამია: „ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი გარდაწყუეტილობისა წიგნი და პირი დავდევით"-ო (ისტ. საბ. IV, 33) ან კიდევ „გარდაწყვეტილების წიგნი" ან სიგელი, ან ფარვანაც რქმევია: „მოგუადეგით კარსა... გარდაწყვეტილების წიგნს გუეაჯენით... მამულზედ თქუენ და რამაზ ისარჩლებოდით. საბრჭოთ და სასამართლოთ დავსხედით... ესე საბოლოვოთ გასათავებელი გარდაწყვეტილობის წიგნი და სიგელი უბოძეთ... თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ... რასაც (sic) ამა ჩუენგან ნაწყალობევს გარდაწყვეტილობის ფარვანში ეწეროს"-ო (როსტომ მეფისა და სასამართლოს განაჩენი 1634, ს˝ქს სძ˝ველნი II, 231—232).

1782 წ. სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია: „ციციაშვილი იოვანე, რომ გაუყო მამულები და მიჯნები ჩაუსხა, ერთი პირი გარდაწყვეტილობის წიგნი გოგიბედაშვილებს უნდა მისცე და ერთი პირიც... აქ უნდა მოიტანო"-ო (ისტ. საბ. V, 103).

„გარდაწყვეტილობისა ფარვანა" ტერმინად უკვე XV ს. საბუთშია ნახმარი და იქ წერია: „ქ. მეფეთ-მეფეთა (sic) სჳმონ გიბოძეთ ესე გარდაწყუეტილობისა ფარვანა გიბოძეთ ჩუენ ღ˝თსა (sic) გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან სჳმონ... ამა ჩუენგანით ნაბოძურმან (sic) ფარვანამან გააცუდოსა (sic) (1596 წ., ს˝ქს სძ˝ველნი II, 227), მაგრამ საბუთი საეჭვოა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას „განაჩენი" ეწოდებოდა: „დავსხედით ბრჭეთ და მოსამართლენი... ბატონის მოურავისა და ჯავახიშვილის ქაი-

ხოსროს გადასაწყვეტლათ... სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ... დაიწერა განაჩენი ესე"-ო (1620 წ., ს˜ქს სძ˜ვლნი II, 51 52 და სხვა). როსტომ მეფის ბრძანებით „დავსხედით... სასამართლოდ... სარჩელი ორთავესი გავიგონეთ და გავსინჯეთ... ჩვენ მეფეთ-მეფეს პატრონს იესეს ეს... მეფის ბრძანებით განაჩენი ასრე დაგვიმტკიცებია, როგორც ამ განაჩენში სწერია"-ო (1646 წ. საბ., ს˜ქს სძ˜ვლნი II, 414).

როდესაც სასამართლო ან თითონ, ან საგანგებოდ წარვლენილი მოხელის საშუალებით საზღვრების გასწორებას შეუდგებოდა და განახორციელებდა, საამისო საბუთსაც ადგენდენ ხოლმე, და ასეთ საბუთს „მიჯნების გასწორების წიგნი" რქმევია. 1782 წ. სასამართლოს თავის განაჩენსა და განკარგულებაში ნათქვამი აქვს: „ციციშვილო იოვანე, რომ გაუყო მამულები და მიჯნები ჩაუსხა, ერთი პირი... მიჯნების გასწორებისა წიგნი აქ უნდა წამოიღო და მონასტერში უნდა მისცე"-ო (ისტ. საბ. V, 103).

„შ ე ნ დ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" თუმცა საბუთებში შედარებით იშვიათი ტერმინია, მაგრამ ალბათ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს, რათგან ამგვარი საბუთი თავისდათავად იშვიათი არ უნდა ყოფილიყო საქართველოში. XVII ს. პირველი ნახევრის ყიფიანისაგან გენათელისათვის მირთმეულ შეწირულობის წიგნში ნათქვამია: ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვისათვის „დიდხანს გვიწყრებოდი" და „საუპატიო არ დაგვადებინე" და „სადამდის ეს ადგილი არ შეგვაწირვინეთ, მანამდის არც ერთს ცოლ-ქმარს შენდობას წიგნი არ მოგვეცით"-ო (დას. საქ. საბ. I, 57). აქეთგანა ჩანს, რომ შენდობის წიგნი ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელშიაც ეპისკოპოსისაგან ბრალდებულისადმი ცოდვის შენდობა და მიტევება იყო ხოლმე აღნიშნული და მინიჭებული.

როდესაც ჩამოვარდნილი უთანხმოების ან უფროსის გულისწყრომის და მრისხანების დამამშვიდებლად, დამაზავებლად და შუამდგომლად გამოდიოდა ვინმე, თუ ამ საქმეს ის პირი წერილობით აწარმოებდა, ასეთ წერილს, რომელშიაც შუამდგომელი უფროსს და განრისხებულ მხარეს შესათანხმებლად მიმართავს, „ს ა შ უ ა მ ა ვ ლ ო წ ი გ ნ ი" ეწოდებოდა. სეხნია ჩხეიძეს მოთხრობილი აქვს: „გამოეგზავნა მეფეს გიორგისათვის ყაენს ხალათი და მირვესის საშუამავლო წიგნი „შეირიგეთო და მიიჩნივე მის მართებულად"-ო. (ც˜ა მეფეთა, ჰიჯ. 24, ჩუბ. 323).

როცა საშუამავლო მოლაპარაკების დროს მომდურავი შუამდგომელს შემცოდეს მაგიერ თავდებობას მოსთხოვდა ხოლმე პირობის დარღვევისაგან უზრუნველყოფისათვის ან ვალის აღების დროს მსესხებელიც შუამდგომელს პასუხისმგებლობას მოსთხოვდა, იმ წერილობით საბუთს, რომელშიაც შუამავალი ან შუამდგომელი სხვის მაგიერ, ან თითონვე საბუთის მიმცემი პასუხისმგებლობას კისრულობდა, „ს ა თ ა ვ დ ე ბ ო წ ი გ ნ ი" ერქვა.

მაგ., 1527 წ. ახლო ხანებში მცხეთის № ტო სიგელში წერია: „ესე სათავდებო წიგნი მოგაჴსენეთ ჩ˜ნ ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილაბარ თქ˜ნ... ქ˜ჳზს ბასილის"-ო (ქ˜ძი II, 371). ხოლო 1682 წ. ერთ ამგვარ საბუთში ნათქვამია: „ესე სათავდებო წიგნი მოგართვი"-ო (ისტ. საბ. IV, 64).

წერილობითი პირობა, რომელშიაც ფიცი და აღთქმა იყო დადებული, გარკვეული წესით შედგენილი, „ს ა ფ ი ც რ ი ს წ ი გ ნ ი"-ს სახელით იყო ცნობილი. საფიცრის წიგნის მიმცემი ხშირად მეფე და დიდებულიც იყო ხოლმე და ამით ის გამდგარ ყმას უვნებლობასა და ბრალუხსენებლობას პირ-

დებოდა. მაგ., თეიმურაზ I ავალიშვილს შემდეგი საბუთი მისცა: „ესე მტკიცე და შეუცვალებელი საფიცრისა წიგნი გიბოძეთ ჩუენ ჴელმწიფემან თეიმურაზ... თქუენ ჩუენსა... ნამსახურსა ყმათა ავალიშვილსა... ასრე და ამა პირსა ზედა" (1630—1633 წწ. ს˝ქს სძ˝ვლნი III, 541). „ესე საფიცრისა წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ გერმანოზისშვილთა... თქვენ გოსტაშაბისშვილს პაპუნასა ასრე და ამა პირსაზედა" (1636—1703 წწ., ს˝ქს სძ˝ვლნი I, 128).

ამგვარ საბუთს „ფიცი და პირობა"-ც ეწოდება: „ესე ფიცი და პირობა მოგეც მე... თქვენ... ასე და ამა პირსა ზედან"-ო (1675—1665 წწ., ს˝ქს სძ˝ვლნი II, 208). „ესე ფიცი და პირი გიბოძეთ ჩუენ... მეფეთ-მეფემან პატრონმა სვიმონ თქუენ ბარათაშვილს გოშტასაბს"-ო (1619—1629 წწ., ს˝ქს სძ˝ვლნი I, 117).

რაიმე დადებული პირობის აღმნუსხველ საბუთს „პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" რქმევია: „ესე ...პირობისა... წიგნი მოგეცი მე მდივანმა ოთარ შენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს გივის"-ო (1786 წ., ს˝ქს სძ˝ვლნი III, 567).

ამგვარსავე საბუთს, თუ იგი ფიცს კი არა, არამედ მხოლოდ აღთქმას შეიცავდა, „ა ღ თ ქ მ ი ს წ ი გ ნ ი" ერქვა. XVI ს. დამდეგს კონსტანტინე მეფეს ერთ თავის სიგელში, რომელშიაც მცხეთის საკათალიკოსო საყდარს მის მოტაცებულ მამულებს უბრუნებს, ნათქვამი აქვს: „ჩუენ ღ˝თივ გჳრგჳნოსანმან მეფეთ-მეფემან კოსტანტინე და ძეთა ჩუენთა დავით, გიორგი და ბაგრატ ესე აღთქმისა წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ"-ო (ქ˝კბი, II, 320).

საპატრონყმო დამოკიდებულების პირობის წერილს ან „ს ა პ ა ტ რ ო ნ-ყ მ ო წ ი გ ნ ი" ეწოდებოდა, ან უფრო ხშირად „ყ მ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი", მაგ.: „ესე საპატრონყმო წიგნი მოგართვით ჩუენ ალიხანაშვილებმა... თქვენ ბატონს ჩუენს ბატონს მდივან ზურაბს" (1679 წ. ს˝ქს სძ˝ვლნი III, 564). „ესე წიგნი ყმობისა მოგართვი მე მუშელმან ...თქვენ თბილელ მთავარეპისკოპოზსა"-ო (1619 წ. ტფ., სიონის სიგ., ისტ. საბ. IV, 11).

იმ საბუთს კი, რომელშიაც ყმისაგან თავის დახსნის გარემოება და საყმო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება იყო აღნუსხულ-დადასტურებული, „თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი" ერქვა. პაპა პაპუნაშვილს თავის 1737 წ. საბუთში მაგ., ნათქვამი აქვს: მე „თვალმამაცისშვილის ყმა ვიყავ. ჩვენ ბატონყმობა აღარ მოგვივიდა, ავდეგ და თავი დავიხსენ. რითაც გული შევიჯერე, უკლებლივ მივეც. ახლა ავიღე ჩემი თავი და სიონთა მღ˝თისმშობელს შემოვწირე და თავდახსნილობის სიგელიც თქვენ მოგართვი"-ო (ისტ. საბ. V, 51). იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა თავდახსნილი ეყმო, ბლიაძე დათუნაშვილს თევდორესაც ტფილისის სიონის 1772 წ. სიგელში აღნიშნული აქვს: „ბატონმა ჩემმა შიომ მე ობოლი და პატარა გამზარდა და თავის სიკვდილის დღეს თავისის სულის გამოსაჴსნელად აზატი მყო და განმათავისუფლა და მამისაგან მიცემული ნასყიდობის სიგელი მევე მომცა და მითხრა განმითავისუფლებიხარ, მოდავე არავინა გყავსო... ასე განთავისუფლებული რომ შევიქმენ... მოველ ჩემის ნება-წადილით და ჩემის მონდომებით ჩემი თავი შენს წმიდასა და დიდებულს ეკლესიას შემოვსწირე და ჩემი თავდაჴსნილობის წიგნიც მოვართვი"-ო (ისტ. საბ. V, 82).

საბუთს, რომელშიაც პირობის წერილის სახით გადასახადის რაოდენობა იყო ხოლმე დადებული, „დ ა კ უ ე თ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" ეწოდებოდა. მაგ.,

1454 წ. სიგელში ნათქვამია: „ესე...სამკუიდრო და სამამულე წიგნი და სიგელი კულუხი[ს] დაკუეთილობისა დაგიწერეთ“-ო (ისტ. საბ. III, 33).

ქალიშვილს რომ გათხოვებისთანავე მზითვად ქონებას გაატანდნენ, ამ ქონების აღმნუსხველსა და პირობის შემცველ საბუთს „მ ზ ი თ ვ ი ს წ ი გ ნ ი“ ეწოდებოდა. მაგ., ჯავახიშვილ-გამრეკელს თავის ქალისათვის 1597 წ. მიცემული მზითევის შესახებ საბუთში ნათქვამი აქვს: „ესე ზითვისა წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ“-ო (ს˘ქს სძ˘ვლნი II, 49).

საბუთს, რომელშიაც ვისიმე შვილად აყვანის გარემოება და პირობები იყო ხოლმე აღნუსხული, „ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი“, ანუ სიგელი ეწოდებოდა. ერთს 1460 წ. საბუთში მაგ., ნათქვამია: „ურდოელასშვილისა ნაშვილებიცა იყვენით და ნაშვილეობისა (sic) ნიშანიცა გქონდა... ურდოელასშვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და ნიშანი თქუენ გქონდა“-ო (ისტ. საბ. III, 35).

ადამიანის ნებისყოფის გამოხატულებას, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომ უნდა განხორციელებულიყო, „ა ნ დ ე რ ძ ი“ ერქვა, ხოლო თვით ამ ნებისყოფის შემცველ საბუთს ან „ანდერძის წიგნი“, ან მარტივად „ანდერძი“ ეწოდებოდა. ჯერჯერობით უძველესი ანდერძია დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული, რომელშიაც ეს ტერმინი ნახმარია კიდეც: თუ „აწ შემდგომად ამისსა... ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს“, შერისხოს ღმერთმან (თ. ჟორდ. შიომღვ. საბ. 19, ს. კაკ. ანდერძი დ˘თ აღმ. 15). მეორე ანდერძი ამავე მეფისაა, მაგრამ გელათის მონასტრისადმი ნაწყობილობევია და ისედაც საყურადღებოა. ჩვეულებრივ ანდერძი მოსალოდნელი სიკვდილის წინ ან ავადმყოფობისა და, ან ომში გამგზავრებისას იწერებოდა ხოლმე. მაგ., შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში დავით აღმაშენებელს ნათქვამი აქვს: „მე დავითს მიწყიეს ჟამსა ჩემისა შარვანსა ზედა განმართვისასა“ და ჩემი აშენებული ეკლესიის სანახავად და მოსალოცავად მისულს შიომღვიმეში „განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“-ო (თ. ჟორდ. 15, ს. კაკ. 5).

მძიმე ავადმყოფობის დროს, როდესაც ანდერძის დამდებს თითონ წერა აღარ ძალუძდა, შეეძლო თავისი სხვათა თანდასწრებით ნათქვამი მოძღვრის პირით გადაეცა ანდერძად. ასეა მაგ., დავით აღმაშენებლის უკანასკნელი გელათის მონასტრის შესახები ანდერძი წარმომდგარი, სადაც თავშივე ნათქვამია: „გიბრძანებს და მოგაჴსენებს მეფეთა-მეფე დავით დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცუელისა მათისა ბერისა პირითა“-ო (ქ˘კბი II, 51).

„ანდერძის“ გარდა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ტერმინად „ანდერძის წიგნი“-ც იხმარებოდა. დავით ჯავახიშვილს თავის 1769 წ. სიგელში ნათქვამი აქვს მაგ.: „მე ცოდვილი დავით მდივანი ჯავახიშვილი ჭეშმარიტებით ვსწერ ამ ანდერძის წიგნს“-აო (ისტ. საბ. V, 80).

გიორგი ლალიძის 1792 წ. ანდერძის ბოლოშიც წერია: „მე მათ სახლში აღზრდილმან... გიორგი მღვდელმან ეს ანდერძის წიგნი ახლიდამ უმეტნაკლებოდ და თანასწორად გადმოვსწერე აგვისტოსა თ(?) ქკს უპგ (ს˘ქს სძ˘ვლნი I, 296).

როდესაც ადამიანი ავადმყოფობას ან ომს გადაურჩებოდა და ლაშქრობითგან შინ ჯანმრთელი დაბრუნდებოდა, მერმე, ზოგჯერ კარგა ხნის შემდგო-

მაც, მას წინანდელის მაგიერ შეეძლო ახალი ანდერძი დაეწერა, რომელიც პირველს, რასაკვირველია, გაცუდებულად ხდიდა. ამის გამო ერთისა და იმავე პირისა ერთისა და იმავე საგნის შესახებ შეიძლება „უახლესი ანდერძი"-ც ყოფილიყო, რომელიც „უმჯობესად" იყო მიჩნეული და უკვე მნიშვნელობას მოკლებული უძველესიც ყოფილიყო. დავით აღმაშენებელს მაგ., შიომღვიმის ანდერძშივე ნათქვამი აქვს: ჩემ მიერ ეს დაწერილი ანდერძი სრული არ არის და „დაკლებული სისწრაფისაჲ არს"-ო. ხოლო „თუ ინებოს ღ̃ნ ჩემი შემოქცევაჲ" შარვანის ლაშქრობითგან, ეს ანდერძი „უმჯობესად შეიცვალოს"-ო (ს. კაკ. 5). ეს აზრივე მეფეს ბოლოშიაც გამეორებული აქვს: „უკუეთუ ჟამი მომცეს", მაშინ „სხუაჲ უახლესი ანდერძი დავწერო"-ო (გვ. 16).

როდესაც ვინმე თითონვე შესწირავდა თავისთავს ეკლესიას ან მონასტერს, მაშინ ამის აღმნუსხველ დამადასტურებელ საბუთს „თ ა ვ ი ს შ ე მ ო წ ი რ უ ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი და ს ი გ ე ლ ი", „თ ა ვ შ ე მ ო წ ი რ უ ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი", „თ ა ვ შ ე წ ი რ უ ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი და ს ი გ ე ლ ი" რქმევია. თევდორე ბლიაძეს 1772 წ. ტფილისის სიონის სიგელში მაგ., უწერია: „ესე... თავის შემოწირულობის წიგნი და სიგელი მოგართვი შენ... სიონთა ღ̃თისა მშობელსა... მე ბლიაძის დათუნაშვილმა თევდორემ ასრე რომე... მოველ ჩემის ნება-წადილითა და... ჩემი თავი შენს წმიდასა და დიდებულს ეკლესიას შემოვსწირე"-ო (ისტ. საბ. V, 82, იხ. აგრეთვე V, 91). ამგვარადვე ათანელ ჩილინდრიშვილი ნათლისმცემლის მონასტრის 1778 წ. სიგელში ამბობს: „ესე თავშემოწირულობის წიგნი მოგართვი მე ჩილინდრიშვილმა ათანელმა თქვენ ნათლისმცემლის არხიმანდრიტს უფალს ეფთვიმის ასე რომე... მოველ ჩემის ნებით წყალობის ყმათ და წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს თავი შემოეწირე"-ო (იქვე, V, 91—92). გოგია შაბათაშვილსაც იმავე მონასტრის 1776 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: „ესე... თავშეწირულობის წიგნი და სიგელი მოგართვი... ასე რომე... შევწირე თავი ჩემი... წმიდასა ნათლისმცემლისა მონასტერსა"-ო (იქვე, V, 89).

ძმობა-ერთობის პირობათა აღმნუსხველ საბუთს „ძ მ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" ან „ს ა ძ მ ო და ე რ თ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი", ან კიდევ „შ ე ყ რ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" ერქვა. მაგ., „ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულებმა... თქვენ ბიძა ჩვენს... ასრე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და... ისევ ძმათ შევიყარენით"-ო (1717 წ. საბ., ს̃ქს სძ̃ელნი I, 445). „ესე საძმო და ერთობის წიგნი მოგე მე გოსტაშაბიშვილმა ...ერასტიმ... შენ ჩემს ბიძაშვილს ზურაბს... პაპა ჩემი და მამა შენი... გაყრილიყვნენ და ახლა ჩვენ ერთმანერთის სიყვარულით მოვინდომეთ ძმათ შეყრა და ერთათ ყოფნა"-ო (ს̃ქს სძ̃ელნი I, 102—103).

ამ უკანასკნელ საბუთითგანვე ჩანს, რომ ასეთი საბუთებისათვის მოყვანილ სახელებს გარდა სხვა უფრო შესაფერისი ტერმინიც არსებობდა. იგივე გოსტაშაბისშვილი ამბობს: „პაპა ჩემი და მამა შენი... გაყრილიყვნენ და მას უკან ძმობისა და სახლისკაცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ... მაშინდელი იმათი შეყრილობის წიგნი დღესაც არის"-ო (ს̃ქს სძ̃ელნი I, 102-103).

მაშასადამე, ამგვარ საბუთს უფრო ნიშანდობლივი სახელიც ჰქონდა და „შეყრილობის წიგნი"-ც ეწოდებოდა. 1779 წ. საბუთის ბოლოს გოგია ბეჟანისძე თუმანიშვილიც ამბობს: „მე თუმანიშვილს ბეჟანისშვილს გოგიას ამ

კურთხეულის პაპის ჩემისაგან მოცემულის შეყრილობის წიგნის ყაბული მაქვს"-ო (ს˜ქს სძ˜ელნი III, 506).

ურთიერთი დახმარების შესახები პირობის წერილს „ამხანაგობის წიგნი" ეწოდებოდა: მაგ. „ესე... სამდივნოს საქმეზედ პირობისა და ამხანაგობის წიგნი მოგეცი მე მდივანმა ოთარ შენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს გივის"-ო (1786 წ., ს˜ქს სძ˜ელნი III, 567).

საფასით შეძენილობის საბუთს „ნასყიდობის წიგნი" ან სიგელი ერქვა. მაგ., 1589 წ. სიგელში წერია „ესე ნასყიდობის წიგნი მოგაჴსენეთ... დაიწერა სიგელი ესე"-ო (ისტ. საბ. III, 83,84). „ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით", „ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით"-ო (ისტ. საბ. IV, გვ. 37—1662 წ. საბ., გვ. 45—1667 წ. საბ. და გვ. 44—1669 წ. საბ.). „ოთარ გერმანოზიშვილს თავის წილი მამული მარაბდას, პაატა გერმანოზიშვილისათვის... მიეყიდნა... ნასყიდობის სიგელიც... პაატას ქონდა" (თეიმურაზ II-ის 1752 წ. განჩინება, ს˜ქს სძ˜ელნი I, 394).

როდესაც ქონება შეძენილი იყო ხოლმე სამაგიერო ქონების მიცემითვე, ამგვარი ნაქმარის აღმნუსხველ საბუთს „გაცულილობის წიგნი" ეწოდებოდა. მაგ., არეშიშვილი 1638 წ. სიგელში ამბობს: „ესე გარდაწყვეტილობისა და გაცულილობისა წიგნი მოგართუი მე არეშიშვილმა ალიხან... თქუენ ბარათაშვილს ბატონს გერმანოზს... (მიწები) და ამ რიგად გავსცვალეთ"-ო (ს˜ქს სძ˜ელნი I, 482—483). მანგლელი ეპისკოპოსი ივანეც 1718 წ. საბუთში წერს „ესე...უცვალებელი ვენაჴის გაცვლილობის სიგელი მოგეცით ჩვენ მანგლელ ეპისკოპოზმან იოსებ ყოფილმან იოვანემ თქუენ ჯავახიშვილს ბატონს ფარემუზს"-ო (ს˜ქს სძ˜ელნი II, 306).

როცა რომელიმე პირი ეკლესია-მონასტერს ან სხვა დაწესებულებას მამულს, უძრავ ან მოძრავ ქონებას მისცემდა, ამის შესახები ცნობისა და ნებისყოფის შემცველ საბუთს „შეწირულობის წიგნი" ან ზოგჯერ „შემოწირულობის წიგნი" ეწოდებოდა. მაგ., „დაიწერა ესე შეწირულობისა წიგნი და სიგელი"-ო (1504 წ., ისტ. საბ. II, 25, იხ. აგრეთვე 1609 და 1635 წწ. სიგელები, ისტ. საბ. IV, 6 და 21), ან კიდევ: „დაიწერა... ნოჯიკეთა შემოწირულობისა წიგნი და სიგელი"-ო (1465 წ. ისტ. საბ. II, 18. იხილე აგრეთვე იქვე 1508 წ. სიგ. ისტ. საბ. II, 26 და რუისის 1609 წ., 1618 და 1649 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 5, 10 და 31).

„საალაპო წიგნი" ეწოდებოდა ისეთ საბუთს, რომელშიაც რომელიმე შემწირველისა თუ მონასტრის ქველმოქმედისათვის ალაპი იყო ხოლმე დაწესებული. „ესე უკუნისამდე ჟამთაგასათავებელი საალაპო წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ ქულივისძეთა მათე და ჩემმან განაყოფმან ბადრიამან... თქუენ პატრონსა შაჰყუბათს... ავიღეთ საალაპე თქუენგან.. და შეგიკუეთეთ ქვათაჴევს ვლაქერნისა ღმთის მშობლისა წინა მისითა პანაშუიდითა კარგალებულსა ალაპსა გარდავიჴდიდეთ"-ო (1492 წ. ქვათაჴევის სიგ. ისტ. საბ. II, 24). ეს ძეგლი ნამდვილი და წესიერად შედგენილი საალაპო წიგნი არ არის. ნამდვილი საალაპო წიგნის პირი შეტანილია ათონის ალაპების კრებულში.

ტერმინად იხმარებოდა „ოქმი"-ც. იესე ოსესშვილს თავის თავგადასავალში სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ როდესაც უადგილოდ ყოფილა და სამსახური არ ჰქონია, კერძო მუშაობით „თითო-ოროლს შაურს ვიშოვიდი: ან სიგელს დაუწერდი ვისმე, ან ოქმსა"-ო (გვ. 46). აქ მაშასადამე „ოქმი"

კერძო პირთათვის დაწერილ საბუთს ეწოდებოდა. ამავე ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ოქმი სხვა იყო და სიგელი, თუნდაც კერძო პირთათვის შედგენილი, კიდევ სულ სხვა საბუთი ყოფილა.

მაგრამ ოქმი მარტო კერძო პირისა და პირთათვის შედგენილ საბუთს არ ეწოდებოდა, არამედ მთავრობისასაც. დასტურლამალში მაგ., დაწესებულია მდივნებისათვის სარგო „იჯარაზედ საწიგნო ოქმისა“ და აგრეთვე „გილანისა, ფუშთუქუნისა, სუნისა, ზარაფობისა, ელიაღასის“ გაცემის საბუთზე, „ამათს ოქმზედ საწიგნე“-ო (დასტურლამალი, 50). მურდრისათვის დაწესებულ სარგოთა შორის იხსენიება „ქალაქის ბაჟის ოქმზედ თორმეტი მინალთუნი“ (იქვე, 51). ამ შემთხვევებში ოქმი ნიშნავს მეფის იმ ბრძანებას, რომელიც საჯაროდ გამოიცა, და რომლითაც ან ქალაქის ბაჟის წესრიგი განისაზღვრა და ჩაბარდა მოხელეს, ანდა თანამდებობა ეწყალობა. ეს სიტყვა არაბ. حكم-ია.

ვალის აღებისა და პირობების აღმნუსხველ საბუთს „თ ა მ ა ს უ ქ ი“ ეწოდებოდა, სულერთია ვადიანი იყო თუ უვადო, გირაოთი თუ უგირაოდ. მაგ., თეიმურაზ II 1752 წ. განჩინებაში ნათქვამია: „ოთარ გერმანოზიშვილს თავის წილი მამული მარაბდას პაატა გერმანოზიშვილისათვის... მიეყიდნა, მერმე ოსმალობას მამული წაერთმიათ და პაატა მისულიყო ოთარისათვის ისევ თავის თეთრის თხოვნა დაეწყო, ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშოვნია და თამასუქი მიეცა პაატასთვის“ (ს˝ქს სძ˝ველნი I, 394), „ამ თამასუქის თეთრი თავნი და სარგებელი სრულად მივეც“-ო (1782 წ., იქვე I, 158).

„ავიღე მე ხითარაანთ ისაიას დედამა შენ მეფურნე არუთინასაგან თორმეტი მინალთუნი ახალი თეთრი, მოგეცი ამის გირაოთ ჩემი გარეთი ერთი ოთახი, სანამდის შენი თეთრი ჩემს ქელთ იყოს, არც მე ოთახის ქირა ვითხოვო და არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო“-ო. შემდეგ ბოლოში წერია: „ამ თამასუქის თანხა მე მდივანმა გორჯასპიმ მივე“-ო (1745 წ. საბ., ს˝ქს სძ˝ველნი III, 422). „თქეენი თეთრი მემართა, რაც ძველის თამასუქის მამათქუენს და თქუენ მოგცემოდა... გაცუდებულია“-ო — (1688 წ. საბ., ს˝ქს სძ˝ველნი III, 568).

„ავიღევით თქვენ აბაზაძის ბექან მდივნისაგან... ოთხი თუმანი თეთრი, რაც ხანს ქელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელია, ამის გირაოდ დაგიდევით (ეს და ესა)... ამის სარგებელში ეს გირაოები უნდა გეჭიროს და მოიჭმარო“-ო. „დაიწერა თამასუქი ესე“-ო (1727 წ. საბ., ს˝ქს სძ˝ველნი III, 339).

იესე ოსესშვილიც თავის თავგადასავალში მოგვითხრობს: მოვალე „სარგებელს ყოველს თვეს გვართმევდა და ან თამასუქზედ თავნად გვაწერდა“-ო (გვ. 9).

თამასუქი XVIII ს. შემოსული უცხო ტერმინია, არაბ. تمسك ძველად ქართულში ამგვარი საბუთის აღსანიშნავად „ვ ა ლ ი ს წ ი გ ნ ი“ იხმარებოდა.

„ვ ა ლ ი ს გ ა რ დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი“ ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელშიაც ვალის გადახდილობის გარემოება იყო აღნუსხვილი. მაგ.: „ესე გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე ეშიკაღასბაშიშვილმან სოლომონ შენ ჯავახიშვილს სვიმონს ასე, რომე ჩემი ვალი გემართა... გამოგართვი, გადაგიწყვეტია, შენთან საქმე აღარ მაქვს, თუ რამ სხვა თამასუქი გამოჩნდეს, ამან გაამტყუნოს“-ო (1712 წ., ს˝ქს სძ˝ველნი III, 245).

§ 4. კერძო ხასიათის საბუთ-წერილები

თხოვნის შემცველ წერილს „წიგნი ვედრებისაჲ“ ეწოდებოდა. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, როდესაც ბიზანტიის დედოფალს ვარდა სკლიაროსი განუდგა და დავით კურაპალატისაგან დახმარების გარდა სხვის არაფრის იმედი აღარ ჰქონდათ, ჯარის მოშველების სათხოვნელად „წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა“-ო (ც˜ჲ ი˜ესი და ეფთ˜მსი 11).

ხოლო ვისიმე ამბავის შესატყობად და შესატყობინებლად დაწერილს „მოკითხვის წიგნი“ ერქვა. იესე ოსეს შვილს თავის თავგადასავალში ნათქვამი აქვს: ჩემი მდივნობის დროს „ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვისა, თუ სიგელი“-ო (გვ. 21).

სიყვარულის გამომჟღავნებელ წერილს „მიჯნურობის წიგნი“ ერქვა. შოთა რუსთველს მაგ., ნათქვამი აქვს: „დაწერა წიგნი საბრალო მის ყმისა მისართმეველი მისისა მიჯნურობისა... უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი“ (ვეფხისტყ. ს. კაკ. 145 § 1038).

ვისიმე სტუმრად დაპატიჟების შემცველ წერილს „საწვეველი წიგნი“ ან „წვეულობის წიგნი“ ეწოდებოდა. შოთა ამბობს: „მას ღამესა საწუეველი რა მიართვეს წიგნი ყმასა“ (ვეფხისტყ. ს. კაკ. 146 § 1051).

რაიმე შემთხვეული უბედურების გამო თანაგრძნობის გამომაცხადებელ წერილს ან „გლოვის წიგნი“ ეწოდებოდა, ან „სამძიმრის წიგნი“. პირველი ტერმინი უფრო უძველეს ხანაში გვხვდება, მეორე მერმინდელში. წმიდა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში ნათქვამია: „ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე და მოგუესმა აქა ვითარმედ სპარსთა იერუსალჱმი დაიპყრესო, გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ურიათა მომართ ქართლისათა“ (Опис. II, 761). იესე ოსესშვილი კიდევ მოგვითხრობს, გაჭირვების დროს თავს იმით ვირჩენდი, რომ „ზოგს სამძიმრის წიგნი დაუწერე, იმითი ვაამე“ და ფულს ვიღებდიო (თავგ. 41)[18].

აქა-იქ ჩვენ ქართული ტერმინების მაგიერ გამონაკლისის სახით უცხო ენებითგან შემოხიზნული ტერმინებიც გვხვდება. სათითაოდ ასეთი მაგალითების მოყვანა ამ გამოკვლევაში, რომელიც მხოლოდ სრულიადი საქართველოს მეფეთა სიგელთმცოდნეობას ეხება, შეუძლებელია, სანიმუშოდ კი შემდეგი მაგალითიც გამოდგება. ჩვეულებრივი ტერმინის „პირობის წიგნის“ მაგიერ დარეჯან დედოფლისაგან 1796 წ. სამღებროს მოიჯარადრე იასე იასეშვილისათვის მიცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ“-ო (ს˜ქს სძ˜ელნი III, 246).

თუ აქ კორექტურული ან დამწერელის შეცთომა არ არის და დედანში „შარტნამის წიგნი“ არ ეწერა, ზეპირი გამოთქმით დამახინჯებულ სპარსულ شرطنامه „შარტნამაჰ“-თან გვაქვს საქმე, რაც სპარსულად მართლაც პირობის წიგნსა ნიშნავს.

თავი მესამე

სიგელების შედგენა-დაწერისა და დაცულობის ტექნიკა

§ 1. საბუთის მონაწილენი

საბუთები ნივთიერად ორ მთავარ მხარეს შეიცავენ: ერთი თვით ის მასალაა (ეტრატი ან ქაღალდი), რომელზედაც სიგელი იწერებოდა, და მელანი, რომლითაც მიმცემის ნებისყოფა აღბეჭდილი იყო ხოლმე, მეორე — თვით ამ მასალაზე და მასალით დაწერილი ტექსტი, რომელსაც „ნაწერი" ეწოდებოდა. იგი სიგელის მბოძებელის, თუ მიმცემის „აღმოთქმული" ან „ნაბრძანები" სურვილი და გადაწყვეტილება იყო. დავით მეფეს ლეთაების 1722 წ. გუჯარში მაგ., ნათქვამი აქვს: „ამით... ნაწერითა და გულისაგან ჩვენისა აღმოთქმულითა გუჯრითა... დაგვიარსებია და განგვიწესებია"-ო (ისტ. საბ. I, 23). მისი დაც ამბობს: „აქამდის ნაწერი მეფის დავითის ქელით" არის, ხოლო „აქა მე დად მათდა წოდებად არა-ღირსი მარიამ ვწერ ნაბრძანებსა მათსა ქელითა ჩემითა"-ო (იქვე I, 21 შენ.).

ყოველ საბუთს, ვითარცა იურიდიულ ძეგლს, ჰყავს საბუთის მიმცემი, ან მბოძებელი (der Aussteller გერმანულად), რომელსაც საშუალო საუკუნეებში auctor-ს ეძახდენ, და მიმღები (der Empfänger გერმ., პროფ. ბრუნნერის ტერმინოლოგიით Destinatär). ამასთანავე თითქმის ყოველთვის საბუთს განსაკუთრებული დამწერელიც ჰყავდა (გერმ. der Schreiber). იშვიათი შემთხვევაა, რომ საბუთის მიმცემს ან მბოძებელს სიგელი თავისივე საკუთარი ხელით ჰქონდეს დაწერილი, მაგრამ მაინც ამგვარი საბუთებიც მოიპოვება. მაგ., ლეთაების 1722 წ. გუჯარი დავით კახთა მეფის საკუთარი ხელით არის დაწერილი. ეს გარემოება თვით მასაცა და მის დას მარიამსაც აქვთ აღნიშნული: „ამით ქელისაგან ჩვენისა ნაწერითა... გუჯრითა" განგვიწესებიაო (ისტ. საბ. I, 23).

§ 2. საბუთების გარეგანი მხრით განხილვა

საბუთები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდენ გარეგნული თვისებებით, სიგრძე-სიდიდითაც და იურიდიული შინაარსითა და დანიშნულებითაც. სიგელ-გუჯრები იყვნენ „დიდნი და წვრილნი". დავით მეფეს ლეთაების 1722 წ. სიგელში აღნიშნული აქვს მაგ., რომ სანამ თავის საბუთის წერას შეუდგებოდა, მას უნახავს, თუ როგორ „გუჯარნიცა დიდნი ჟამთა სიგრძესა განერყვნა... და... ზოგნი რომელნიმე წვრილნი, მეფეთა შენაწირნი, წიგნნიცა... მოიხვნეს"-ო (ისტ. საბ. I, 24). იესე ოსესშვილსაც თავის თავგადასავალში მოხსენებული აქვს, რომ მდივნობის დროს „ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა, მოკითხვისა თუ მაგვარი დიდი სიგელი"-ო (ს. კაკ. გამ. 21).

განსაკუთრებით საყურადღებოა „ე რ თ ი ა ნ ი ს ი გ ე ლ ი“ ან „წიგნი“, რომელიც ერთი პირისა თუ დაწესებულებისათვის მიცემული თუ ნაბოძები საბუთების შინაარსს შეიცავდა და საერთო სიმტკიცის წიგნს წარმოადგენდა. იესე ოსესშვილს სხვადასხვა დროს ერთი მემამულისაგან თვითეული ნასყიდობისათვის, რასაკვირველია, ცალ-ცალკე ნასყიდობის წიგნი ექმნებოდა, მაგრამ მაინც, როდესაც გარკვეული რაოდენობა იმ პირისაგან მთლად შეუძენია, ყველა ამ ნასყიდობათა საერთო საბუთი „ერთიანი სიგელი“-ს დაწერაც უთხოვნია და მიუღია კიდეც. აი რას ამბობს თვით იესე ოსესშვილი „მე უთხარ: «რაც შენგან მიყიდია, ერთიანი წიგნი მომეც». დაჯდა, დაუწყო წერა... რაც თითონ მოეყიდა, თავისი წილი ერთიანს სიგელზე დაეწერა“-ო (თავგადასავალი, 57).

ამგვარივე ერთიანი სიგელის თვისებები აქვს ძველი სიგლების საერთო განახლებისა და დამტკიცების წიგნებს, რომელშიაც ყველა მისი უწინარესი საბუთების შინაარსის არსებითი ნაწილი აღნუსხული არის ხოლმე. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელი და საყურადღებოა გიორგი მეფის 1170 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ნაბოძები სიგელი. იქაც ნათქვამია: „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი... და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა, დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი და გუეჰაჯეს და მოგჳაჴსენეს, რათამცა ვითა მათ სიგლითა მათითა გაუჩენია და გაუგია... და მერმე ყოველნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან... ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაი და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაი: — ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოჴსენებაი“ო (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 2) და მერმე სიგელში შიომღვიმის მთელი ქონებისა და უპირატესობათა შესახები წინანდელი საბუთების მოკლე, მაგრამ არსებითი და ნიშანდობლივი შინაარსი მოყვანილი და დამტკიცებულია.

დასავლეთი ევროპის დიპლომატიკაში მიღებული იყო რომელიმე სიგელის ან შინაარსის, ან ზოგჯერ სიტყვასიტყვით და მთლიანად სხვა საბუთში შეტანა იმ მიზნითვე, რომ იგი ვითარცა წინანდელი, მერმინდელი მეპატრონისაგან დამტკიცებულიყო. როდესაც სიგელი მთლიანად იყო ჩართული, ასეთს საბუთს vidimus-ს (გერმ. das Vidimus) უწოდებენ, ხოლო როცა მარტო შინაარსი იყო შეტანილი, მაშინ Transsumpt (გერმ. das Transsumpt) ერქვა ხოლმე (თომმენ 19). მაშასადამე, მნიშვნელობით დასავლეთი ევროპის „ტრანსსუმპტი“ ცოტა არ იყოს ქართულ „ერთიან სიგელს“ მიაგავს.

ამგვარი ერთიანი სიგელი ქართული მწერლობის ძეგლთა შორის ხშირი მოვლენა უნდა ყოფილიყო და რამდენიმე საბუთი ჩვენ დრომდისაც არის შენახული. ამათგან განსაკუთრებით ქართლისა და კახეთის მეფის ერეკლე I-ის მიერ 1703 წ. ქვათახევის მონასტრისადმი ნაბოძები „სიგელ-გუჯარი“-ა საყურადღებო, რათგან იგი ამ მონასტრის მრავალსაუკუნოვანი ქონების შესახები საბუთების მოკლე შინაარსს შეიცავს. იქ სხვათა შორის ამის თაობაზე ნათქვამია: „ესე შეწირულობისა და მკვიდრობისა წიგნი და ნიშანი, სიგელ-გუჯარი განგიახლეთ და მოგახსენეთ შენ“ ქვათახევის მონასტერს „ჩვენ... ქართველთა და კახთა ხელმწიფემან მეფეთ-მეფემან პატრონმან ერეკლე... ესრეთ და ამა პირსა ზედა, რომე მოვიდენ წინაშე ჩვენსა დიდისა მონასტრისა თქვენისა წინამძღვარი ეფთვიმი და კრებულნი და ყმანი მონასტრისა თქვენისანი და ძველ-

თა მეფეთა და ხელმწიფეთა სიგელ-გუჯრისა განახლებასა გვეაჯნეს და ჩვენ ვისმინეთ აჯაჲ და მოხსენებაჲ მათი... და ვიხილეთ სიგელ-გუჯარნი თქვენისა მონასტრისა აღმაშენებელთა... მეფეთა... შემდგომითი შემდგომად ვიდრე ჩვენადმდე ყოველთა მეფეთა და დედოფალთაგან დამტკიცებულ-განახლებულნი და წამება-წარწერილნი, ჩვენც დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ სიგელი ესე ამა სახითა, რომე ძველთა და პირველთა გუჯართა თქვენთა შინა მრავალნი სოფელნი და აგარაკნი და შემოსავალნი და აღაპნი და ბეგარანი გიწერიან და რომელნიმე მათგანი ჟამთა ვითარებისაგან მოშლილ-არიან, ხოლო რომელნი დღეს მოუშლელად გქონან და ხელთა შინა თქვენთა არიან და რა რომე შემოგწირვიან... ესენი განგვიახლეშიან და დაგვიმტკიცებიან"-ო (მოამბე, 1903, № IX, 6—8) და შემდეგ მოყვანილია მრავალი სხვადასხვა მეფე-მთავართა და კერძო პირთა შეწირულობის შესახები ცნობები (გვ. 8—29).

ამა თუ იმ დაწესებულებისა თუ სამფლობელოს ქონების შესახებ ყველა უფლებრივი საბუთის ერთად შემცველს ძეგლს XVI ს-ში როგორც ეტყობა, „დ ი დ ი გ უ ჯ ა რ ი"-ც რქმევია. 1552 წ. ახ. ხ. მცხეთის № 354 სიგელში, რომელიც სასამართლოს განაჩენს წარმოადგენს კათალიკოსსა და წილკნელს შუა მუხრანული საზღვრის შესახებ ატეხილი დავის გამო, სხვათა შორის ნათქვამია: „დავსხედით ბჭენი... ბატონი კათალიკოზი და ბატონი წილკნელი მუხრანულსა სამზღვარზედ ირჩოდეს. მივიტანეთ მცხეთის დიდი გუჯარი" (ქ˝კბი II, 395), რომელშიაც ალბათ საკათალიკოსოს ყველა მამულების საზღვრებისა და სხვა ყველაფრის შესახები ცნობები იყო თავმოყრილი.

§ 8. სიგელ-საბუთების შემზადების ტექნიკა

რადგან ყოველი საბუთი რაიმე ნივთიერებაზე, საქართველოში უმეტესად ეტრატსა და ქაღალდზე, იწერებოდა და ამ ნივთიერებას ან გრაგნილის სახით აკეთებდენ, ან წვრილად და ბრტყლად კეცდენ ხოლმე, სიგლის ტექსტი კი ან ერთს მხარეზე, ან ორთავეზე იყო ხოლმე მოთავსებული, ამიტომ თანამედროვე დიპლომატიკაშიაც და ძველადაც არჩევდენ საბუთისათვის გამოყენებული ნივთიერების, გრაგნილი ეტრატის ან ქაღალდის „შინაგანსა და გარეგანს მხარეს". ზოგი, მეტადრე დიდი, საბუთი იყო „წიგნი დაწერილი შინაგან და გარეგან" (გამოცხადებაჲ ი˝ჲსი 5,1), პატარა სიგელი კი გრაგნილის ან ნაჭრის შინაგან მხარეზე იწერებოდა.

გრაგნილის თუ ეტრატ-ქაღალდის გარეგან მხარეს „ზ უ რ გ ი" ეწოდებოდა ხოლმე. ერეკლე მეფე მაგ., თავის 1792 წ. ბრძანებაში მოხელეს არიგებს: „შენ უნდა მიხვიდე... ნასყიდობის წიგნი... უნდა გასინჯო კარგათ, გარჩევით, შეიტყო ადგილობაცა, მიჯნაცა" და ადგილობრივი გამოძიების შედეგი „გარჩევით ამ არზის ზურგზედ მიაწერო"-ო (ისტ საბ. V, 113). შინაგან მხარეს უეჭველია „პირი" ერქმეოდა.

ტექსტი იწყებოდა ხოლმე შინაგან მხარეზე და თუ იქ არ ეტეოდა, მაშინ მწიგნობარი მეორე, ანუ გარეგან მხარეზეც, „ზურგზე" გადადიოდა. თუ საბუთი ერთ ნაჭერზე იყო დაწერილი, გარეგან მხარეზე ტექსტის დასაწერად ქართველი მწიგნობრები ნაჭერ ეტრატს ან ქაღალდს ჩვენებრ მარჯვენა კიდითგან ხელმოკიდებით მარცხნისაკენ კი არ გადააბრუნებდა, არამედ ნაჭრის ქვე-

და კიდეს ჰკიდებდა ხელს, უკუღმა აბრუნებდა და ისე იწყებდა წერას, რომ შინაგანი მხარის უკანასკნელი სტრიქონი მდებარეობით გარეგან მხარეზე მოთავსებული გაგრძელების პირველ სტრიქონს უდრიდა ხოლმე.

როცა საბუთისათვის ერთი ნაჭერი არა კმაროდა, მაშინ ნაწერის გასაგრძელებლად სხვა ნაჭრებსაც მიუმატებდენ ხოლმე. თუ საბუთი ეტრატზე იწერებოდა, ნაჭრები ერთიმეორეზე თეთრი ან ფერადი აბრეშუმის ძაფით იყო გადაკერებული, ხოლო თუ ქაღალდზე, ერთმანერთზე დააწებოებდენ ხოლმე. ეს სხვათა შორის „ვეფხისტყაოსნითგანაც" ჩანს. იქ ნესტანდარეჯანი წერს:

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღუაწები;

ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები.

მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები" (ს. კაკ. 169 § 1245, ი. აბულ. 1222).

შინაგანი და გარეგანი მხარეცა და თვით საბუთის ტექსტიც იყოფებოდა „ქ ვ ე მ ო რ ე" და „ზ ე მ ო რ ე" ნაწილებად. დავით კახთა მეფეს მაგ., ღვთაების 1722 წ. გუჯარში ნათქვამი აქვს: „მეფეთა ქებასა ქვემორე ყოველივე დასა ჩვენსა აღვაწერინე"-ო (ისტ. საბ. I, 41).

ჩვეულებრივ, როგორც ეტყობა, გრაგნილის ნაწილების შემდეგში განზრახ შეცვლის შიში არ ჰქონიათ და არც უზრუნვიათ იმისთვის, რომ საბუთისა და გრაგნილის პირვანდელი შედგენილობა ხელუხლებლად ყოფილიყო დაცული ან რომ ადამიანს სრული საშუალება ჰქონოდა დარწმუნებულიყო, რომ გრაგნილის პირვანდელი ნაწილები შემდეგში გამოცვლილი არ იყო და მაშასადამე, საბუთის ტექსტიც უცვლელად იყო დაცული.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ამ გარემოებისათვისაც ყურადღება მიუქცევიათ და საგანგებო ნიშნით საბუთის პირვანდელი შედგენილობის დაცულობა უზრუნველუყვიათ. პირველი ამისი მაგალითი შენახულ საბუთთა შორის ვაჰანის მონასტრის განგების ძეგლის გრაგნილში გვაქვს. იქ ყოველგან, სადაც ეტრატის ნაჭერი ნაჭერზე, კეფი კეფზეა (ამ ტერმინის შესახებ იხ. ჩემი ქართული პალეოგრაფია 36) გადაკერებული, თვით მონასტრის დამაარსებელს საკუთარი ხელით წარწერილი აქვს: „მე მჴარგრძელსა დამიმიშნავს" ან „მე სარგის დამინიშნავს"-ო (იხ. შიომღვ. საბ. გვ. 33,34,37,38,40,41,42).

შემდეგში ზოგჯერ უკვე გრაგნილის შემადგენელი ნაჭრების, კეფების რიცხვებრივი აღნუსხვა შემოუღიათ (ა, ბ, გ. დ და სხვა) და თანაც გადაწებებულ ადგილას ბეჭედიც დაუკრავთ. ასეა მაგ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის გრაგნილ № 593, სადაც ქაღალდის ნაჭრებს სათვალავები უზის და გადაწებებულთან ბეჭედი ზის შემდეგი ასომთავრული. წარწერით: „პ ი რ ი ე ს ე მ ტ კ ი ც ე ა რ ს"[19]. ცხადია ამით საბუთის დაცულობისა და უეჭველობის უზრუნველყოფა სურდათ.

ჩვეულებრივ სიგლებიცა და გუჯრებიც გრაგნილის სახით იყვნენ ხოლმე გაკეთებული. თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც, წიგნად შეკრულიც კეთდებოდა, რასაკვირველია, როდესაც საბუთი დიდი ტანისა იყო და მეტისმეტი სიგრძისა გამო მისი გრაგნილად შემზადება და ხმარება უხერხულობას უქადდა ადამიანს. წიგნის სახით შეკრულია მაგ., დავით მეფისაგან 1722 წ. ნაბოძები ღვთაების გუჯარი. მის ერთ 1737 წ. მინაწერში ნათქვამია: „ეს ღ͠თაების გუჯარი დაშლილიყო და შევაკერვინე და გავაკეთებინე... ქრისტეს აქეთ... ჩღლზ"-ო (ისტ. საბ, I, 45). მართლაც ს. კაკაბაძის სიტყვით „1722 წ. ღვთაების

გუჯარი № 1021 წარმოადგენს ყდაში შეკრულს წიგნს... 29½×20½ სანტმ., წიგნში 99 ფურცელია (იქვე, გვ. 3). რადგან გრაგნილის სახით დაწერილი საბუთის წიგნად შეკერა-დაკაზმა შეუძლებელია, ამიტომ ცხადია, რომ ეს გუჯარი იმთავითვე წიგნად შეკრული უნდა ყოფილიყო და 1737 წ. მხოლოდ შეკეთებული იქნებოდა[20].

§ 4. საბუთის დაწერილობის ტექნიკა. დედანი და გადანაწერი

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თანამედროვე დიპლომატიკის მეცნიერება ყოველივე საბუთის ორ მთავარ მხარეს აქცევს ხოლმე ყურადღებას — გარეგანსა და შინაგანს ნიშნებს (äussere und innere Merkmale). დიპლომატიკაში გარეგანი ნიშნების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით საბუთის მიმცემისაგან დაწერილ პირმშო-დედანს აქვს, რათგან საამისოდ გამოყენებული საწერი მასალისა და ნახმარი იარაღის შესახები თვისებების შესწავლა და დახასიათება არც ფოტოგრაფიული სურათით და არც მით უმეტეს ხელით გადმოხატული ან ნაბეჭდი პირის მიხედვით არ შეიძლება და მხოლოდ, როდესაც საბუთის გამოცემის შემდგომ, თვით პირმშო-დედანი და ნუსხა უკვე დაკარგულია, მაშინ მკვლევარი იძულებულიცაა და უფლებაც აქვს მხოლოდ იმ აღწერილობასა და სურათს დაემყაროს, რომელიც გამოცემაშია შენახული. სამაგიეროდ, თუ საბუთი წესიერად და სისწორით არის დაბეჭდილი, მისი შინაგანი ნიშნების შესასწავლად ესეც სრულებით საკმარისია და ნუსხა საჭირო არ არის.

სიგელი ან რაიმე ბრძანება ზოგჯერ სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო დაწერილი, თვით სავაზიროს სხდომის ან დარბაზობის დროსვე. ასეთს შემთხვევებში საბუთი ზოგჯერ კარნახით უნდა ყოფილიყო დაწერილი, ზოგჯერ საზოგადო სახელმძღვანელო ცნობების მიხედვით უნდა შეედგინა მწიგნობარს. ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად დარბაზობასა და ვაზირობას სწორედ ამიტომ ესწრებოდენ ხოლმე მწიგნობარნი თავიანთი საწერლებითურთ და ამიტომვე თვითოეულს მათგანს საწერი მასალაც ეძლეოდა, რომ ყოველთვის ბრძანების ჩასაწერად და სიგელის შესადგენად გამზადებული ყოფილიყვნენ. ვაზირობის დროს მაგ., საწოლის მწიგნობარი ვითარცა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის პირველი თანაშემწე ჭყონდიდელისაკენ იდგა თავისი საწერლით (კარ. გარიგ., $19_{453-454}$). ვაზირთა უპირველესის მეორე თანაშემწეს, ზარდახნის მწიგნობარს თუმცა უფლება არ ჰქონდა რომ ვაზირობას დასწრებოდა, მაგრამ მაინც თავისი იარაღითურთ სავაზირო ოთახის კარებთან უნდა ყოფილიყო (იქვე, 20_{459}). დებულებაში ნათქვამია, როდესაც ბრძანების გაცემა იყო საჭირო, „მწიგნობარს ჭყონდიდელი გადასცემს და ასწერენ და იურვიან, რაც სასაურვო იყოს“-ო (იქვე, $20_{460-468}$).

ამგვარად ირკვევა, რომ რაც დასაწერი იყო, იმის ბრძანებას მწიგნობრებს ვაზირთაუპირველესი და მწიგნობართუხუცესი აძლევდა. რადგან ზარდახნის მწიგნობარი სავაზიროს გარეთ იყო, იმიტომ ეს დასაწერი ბრძანება ან სიტყვიერად იქმნებოდა გადაცემული ან წერილობით, რომელშიაც ალბათ განკარგულების საზოგადო შინაარსი იქმნებოდა აღნიშნული. მწიგნობარი კი იმისდა მიხედვით, თუ რაგვარი საბუთი იყო დასაწერი, გარკვეული წესის

მიხედვით შეადგენდა ხოლმე. უეჭველია ამგვარად საბუთის შინაარსის გადაცემასა და წერას ქართულ სამდივანმწიგნობრო ენაში თავისი ტერმინი ექმნებოდა, მაგრამ ჯერ არსადა ჩანს. გიორგი ხუცესმონაზონის თხზულებითგან ირკვევა მხოლოდ, რომ ამგვარ ტერმინად შეიძლება „ზეპირით კანანახობა" (აქეთგანაა „კარნახი" წარმ.) ყოფილიყო. მას ნათქვამი აქვს: ფერის ჯოჯიკის ძემ და მისმა მეუღლემ „გიორგი მწერალი წარიყუანეს და ყოველი საქმე მათი... მას დაამორჩილეს, ხოლო მან... ძმისწული თჳსი ყრმა გიორგი თანა წარიტანა, რამეთუ ფრიად ექმარებოდა ზეპირით კანანახობასა, რამეთუ თჳთ მოხუცებული იყო" (ც˝ხ გ˝ი მთ˝წმდლსჲ, 290). თაჳსდათავად ცხადია, რომ ყოველთვისა და ყველაფრის ზეპირად გადაცემა და კარნახი არ შეიძლებოდა და ზოგჯერ ბრძანების გამცემს თვით უხდებოდა საბუთის წინასწარი დედნის შედგენა, ანუ როგორც მაშინ ამბობდენ ხოლმე „დანუსხვა". რამდენად ხშირად უხდებოდა ხოლმე მწიგნობართუხუცესსაც წერილობით განკარგულებათა გაცემა, იქითგანაც ჩანს, რომ „კარის გარიგების" თანახმად „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჰყონდიდელს" ეძლეოდა ხოლმე (4_{63-64}).

პალეოგრაფიაში უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ საკუთარი ხელით ნაწერს პირმშო-დედანს ძველ ქართულ მწერლობაში „ნ უ ს ხ ა" (ლათ. autographum, გერ. das Original) ეწოდებოდა, ხოლო თვით მოქმედებას, საკუთარი ხელით დაწერას „დანუსხვა" ერქვა. რაკი ჩვეულებრივ საბუთებს მწიგნობრები წერდნენ ხოლმე, რომელთაც დახელოვნებული, ლამაზი ხელი ჰქონდათ და შინაარსითაც სიგლის წესიერად დალაგება-გამოთქმა იცოდენ, ამიტომ ნუსხას შავად დაწერილი დედნის მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომლითგან კარგი ხელის მქონებელს მწიგნობარს უნდა გადაეწერა. შავად დაწერილს, რომელსაც გადამწერი დედნად ხმარობდა, „დანუსხვილი" ეწოდებოდა, ხოლო ლამაზად ან სუფთად გადაწერილს „კაიხელად დაწერილი", თვით მოქმედებას კი „კაიხელად დაწერა" რქმევია (ამის შესახებ იხ. ჩემი „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია", გვ. 68—69).

საგულისხმოა, რომ როგორც ქართულში თავდაპირველ ძეგლს, რომლითგანაც შემდეგ ან გარდანაწერს, ან გარდანახატს აკეთებდენ ხოლმე, „დ ე დ ა ჲ" ან დედანი ეწოდებოდა, ისევე თურმე ვენეტიკის საბუთებში დედანს mater, კარგს დედანს bona mater-ს ეძახდენ, შემოწმებულს პირს კი filia. როდესაც გადმონაწერს ოფიციალურად ამტკიცებდენ ხოლმე და ამ პირს დედნის მსგავსი ძალა ენიჭებოდა, ამას firmatio in matrem ერქვა (ჰ. ბრესლაუ 92, შენ. 3).

§ 5. საბუთების დაზიანება-დაღუპვა და განახლება

დროთა განმავლობაში სიძველისა თუ სხვა მიზეზებისაგან ეტრატიცა და განსაკუთრებით ქაღალდი ფუჭდებოდა და ზიანდებოდა. ამას ძველად ს ი გ ე ლ ი ს ა ნ გ უ ჯ ა რ ი ს „გ ა ნ რ ყ ვ ნ ა"-ს ეძახდენ. მაგ., „როდესაც საშინელისა ძურისაგან... ცაიშისა ეკლესია დაიქცა... დავთრები თუ მრავალი რამ ეკლესიის სამსახურებელი ძირს მოემწყუდა და წარჴდა". ნანგრევებითგან ამოღების შემდგომ გამოირკვა, რომ „დავთრები განრყუნილ იყო" (1616 წ.

ცნობა აფხაზეთის კათალიკოზის მალაქიასი, საცაიშლოს დავთარი ს. კაკ. გამ. 41). დავით მეფესაც 1722 წ. ღვთაების გუჯარში ნათქვამი აქვს: „გუჯარნიცა დიდნი ჟამთა სიგრძესა განერყვნა“-ო (ისტ. საბ. I, 24).

ამგვარი გარყვნილი საბუთების აღდგენას ცდილობდენ ხოლმე და თავისებურად აღუდგენიათ კიდეც. მაგრამ ხშირად საბუთის პირმშო დედნის მაგიერ გარდანაწერი გვაქვს ხოლმე იმიტომ კი არა, რომ თვით დედანი დაკარგული ყოფილიყოს, არამედ იმიტომ, რომ დედნის დაძველების გამო მისი მუდმივი ხმარება სახიფათო იყო და ასეთ შემთხვევებში გარდანაწერს ამზადებინებდენ. მაგ. ბარათაშვილების 1713 წ. გაყრილობის დავთრის ბოლოში ნათქვამია: „ესენი გაიყარნენ გიორგობის ნახევარს ქკ˝ს უა“, ე. ი. 1713 წ. ხოლო შემდეგ წერია: „ქ. ძველი დავთარი დასძველებოდათ და მე ფარსადან ესიტაშვილმა გადმოვსწერე ერასტი გოსტაშაბისშვილის უზბაშის სიტყვით. ეს ასე ჭეშმარიტებით დაიწერა, როგორც ძველს დავთარში ეწერა, აგვისტოს კგ, ქ˝კსა უოგ“, ე. ი. 1785 წ. (ს˝ქს სძ˝ვლნი, I, 362). მაშასადამე, 73 წლის განმავლობაში გაყრილობის დავთარი ისე დაძველებულა, რომ ყოველდღიური ხმარებისათვის გამოსადეგი არ ყოფილა და ამ საბუთის პატრონს გარდანაწერი გაუკეთებინებია. ამ გარდანაწერს კერძო ხასიათი ჰქონდა და პირადად თვით მემამულისათვის იყო დამზადებული. ამ გარდანაწერში პირმშო-დედნის თარიღიც არის დაცული და გადაწერის წელიწადი და გადამწერელის ვინაობაცაა აღნიშნული.

მაგრამ რამდენად ფრთხილად უნდა მოექცეს მკვლევარი გარდანაწერებს, შემდეგი გარემოებაც ცხადჰყოფს: ამ გაყრილობის დავთრის მეორე ნაწილის პირმშო ნუსხაც შენახული არ არის და მის გარდანაწერსაც ბოლოში უწერია: „ძველი დავთარი დასძველებოდათ და მე ნეოფიტე ბერმა გარდმოვსწერე ერასტი გოსტაშაბისშვილის უსბაშის სიტყვით. ეს ასრე ჭეშმარიტებით დაიწერა, როგორც ძველს დავთარში ეწერა. აგვისტოს კდ, ქკ˝ს უოგ“, ანუ 1785 წ. (ს˝ქს სძ˝ვლნი I, 368). ძველს დავთარს ხომ თარიღი ექმნებოდა, გადმომწერელს კი თავის დედნის თარიღი გამორჩენია და ამგვარად თვით გაყრილობის წელიწადი გამოურკვეველი იქმნებოდა და საბუთსაც უთარიღობის გამო მნიშვნელობა დაეკარგებოდა, რომ ამავე გაყრილობის სხვა თარიღიანი საბუთები ამ გარდანაწერის დედნის ქორონიკონის გამორკვევის საშუალებას არ გვაძლევდენ.

ერთი გარემოება კიდევ საგულისხმო: როგორც პირველ გაყრილობის დავთრიდგანა ჩანს, გადამწერს დედნის თარიღიც სვინდისიერად დაუცავს და თავის გარდანაწერის წელიწადიც აღუნიშნავს. მაგრამ რადგან უკანასკნელი ცნობა საბუთის ბოლოშია მოქცეული და ჩვეულებრივ უფრო ხშირად და ადვილად საბუთების თავი და ბოლო ზიანდება ხოლმე, ამიტომ საკმარისია წარმოვიდგინოთ, რომ ამ გარდანაწერს ბოლო, რომელშიაც გარდაწერილობის დათარიღებაა მოთავსებული, მოჰგლეჯოდა, რომ გარდანაწერი შესაძლებელია (თუ საბუთი ყოველმხრივ სიფრთხილით კრიტიკულად განხილული არ გვექმნება) დაზიანებულ პირმშო-ნუსხად გვჩვენებოდა. რაკი დედანი და გარდანაწერი ერთსა და იმავე საუკუნეს არის დაწერილი და 70 წელიწადით არის ერთი მეორისაგან დაშორებული, ამიტომ პალეოგრაფიული ნიშნებით უთარიღო გარდანაწერის თარიღის აღდგენა ძნელი საქმე იქმნებოდა.

ეს გარემოება მკვლევარს საზოგადოდ საბუთების ნუსხა-დედნობის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს დიდ სიფრთხილეს უკარნახებს და გულდასმითი ყოველმხრივი განხილვა, დარწმუნებული ვარ, მომავალში დაამტკიცებს, რომ არა ერთი და ორი საბუთი, რომელიც გამომცემელთაგან ნუსხა-დედნად იყო მიჩნეული, ნამდვილად მხოლოდ ძველი დროის გარდანაწერია.

დაზიანების გარდა მტრის შემოსევისა და გახიზვნის დროს საბუთების დაკარგვაც ცხოვრების, ჩვეულებრივს თუ არა, ხშირს მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ დაზარალებულნი, მტრის უკუქცევისა თუ უკან დახევის შემდგომ, დაკარგული სიგელისა თუ გუჯარის განახლებასა და აღდგენას სთხოვდენ ხოლმე მეფეს ან სხვა მბრძებელს. თეიმურაზს I ბოდბის 1631 წ. სიგელში აღნიშნული აქვს: „ოდეს შააბაზ ყეენი გაგუიწყრა და ჩუენი საჴელმწიფო აღაოჴრა... ძველნი სიგელნი თქუენნი მას ჟამსა დაკარგულიყო... ხოლო ჩუენ მცირითა ამით სიგლითა ვინებეთ კუალად განახლება სიგლისა თქუენისა“-ო (ისტ. საბ. IV, 18).

საბუთების დაკარგვა და განახლება ძველ საქართველოში ცხოვრების უკულმართობისა და ხშირად დაუდევრობის გამოც იშვიათი არ იყო[21]. აი მაგ., კიდევ თუ როგორ განახლდა და დაიწერა 1669 წ. „წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს გუჯარი“, ანუ სიგელი: რატიშვილს წილკნელი საწირავზე დაუპატიჟნია და როცა ქსანში გავდიოდით, ამბობს რომანოზ წილკნელი, „ქსანში ჩამიცვივდა... ბევრი... საქონელი და წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს გუჯარიც იქ დამეკარგა“-ო (იხ. ა. ხახ. გუჯ. 51). ეს გარემოება წილკნელს კათალიკოს დომენტისათვის უამბია და მასაც წილკნელისათვის ამ საბუთის განახლებისა და ზეპირად დაწერის ნება დაურთავს: „კათალიკოზი დომენტი ვამტკიცებ სიგელსა ამას. წილკანს მიველით აგვისტოს: ით: (18), ისე წილკნელის მიცვალების დღეს. წილკნელმა რომანოზ თავისი ბარგისა და გუჯრის დაკარგვა შემოგვჩივლა, ჩვენც ბევრჯელ გვენახა ის გუჯარი და რომანოზ წილკნელიც დიდის ხნის ნაკურთხი ეპისკოპოზი იყო, წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს ამბავი კარგა იცოდა. ჩვენის ბრძანებით ეს გუჯარი დაიწერა“-ო (საეკ. მუზ. სიგ. № 526)[22]. დამახასიათებელია, რომ ამ სიგლის ზეპირად განმაახლებელ-დამწერელი რომანოზ წილკნელი მკითხველს არწმუნებს, რომ საბუთის აღდგენის დროს არამცთუ მომეტებული არა შემიტანია რა, „ბევრი ნაკლებიც დავსწერე“-ო (გვ. 51).

§ 6. საბუთის დამწერელნი და შედგენის მონაწილენი

ქართულ მწერლობაში ძველადაც არჩევდენ: 1) ვისთვის იყო სიგელი ნაბრძები ან დაწერილი („ვისცა უბოძოჳ, ვისთვისცა დაუწერია“ ქ. გ. 5_{87} „ვისიც სიგელი იყოს“ 6_{113}) და 2) ვისი დაწერილი იყო („რომელსაც დაეწეროს“ ქ. გ. 5_{88}). საბუთის შემდგენელს მწიგნობარი, მდივან-მწიგნობარი და „დ ა მ წ ე რ ი“ ერქვა (ვახტანგ V-ის წიგნი § 143 და 213). მეფეთა სიგელგუჯრებს, იმგვარადვე როგორც საქართველოს კათალიკოს პატრიარქებისას, ყოველთვის განსაკუთრებული სამეფო კარის მოხელეები წერდენ, ჩვეულებრივ მწიგნობარნი, რომელთაც XVI ს. მდივან-მწიგნობრის სახელიც ეწოდებოდათ.

მეფეთა და კათალიკოსების სიგელებს გარდა კერძო პირებსაც ურთიერთშორის სხვადასხვა ხელშეკრულების დადების დროს საბუთების შედგენა უხდებოდა ხოლმე. ამ საბუთების დასაწერად უფრო მეტი უეჭველობისა და უქცეველობის გულისათვის შეეძლოთ მეფის მწიგნობრისათვის მიემართათ და არა ერთხელ მიუმართიათ კიდეც და დაუწერინებიათ. მაგრამ ამათ მაინც საბუთებს თავიანთი ხასიათი არ ეცვლებოდათ და კერძო პირთა საბუთებად რჩებოდენ. უფრო ხშირად კერძო პირები არა მწიგნობართ, არამედ ან წინათ მდივნად ნამყოფი, ან საზოგადოდ ამ ხელობაში დახელოვნებულ პირებს მიმართავდენ ხოლმე. ამგვარად საბუთების კერძოდ დაწერა საქართველოში მიღებული ყოფილა და ზოგი ამით ირჩენდა კიდეც თავს. იესე ოსესშვილი მაგ., მოგვითხრობს თავის თავგადასავალში რომ როცა უსამსახუროდ დავრჩი „თითო ოროლს შაურს ვიშოვიდი, ან სიგელს დაუწერდი ვისმე ან ოქმს, თვარა უფრო ჩემსას გავყიდდი რასმე და ამით ვრჩებოდი“-ო (გვ. 46).

ქართული საბუთების მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობრებსა და მდივნებს წინასწარ შესაფერისი სწავლა უნდა ჰქონოდათ მიღებული და სათანადოდ გაწვრთნილი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი რთული და პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად ასასრულებლად. ალბათ ერთგვარი სახელმძღვანელოებიც იქმნებოდა შედგენილი. მაგრამ ძველი დროითგან არც მწიგნობარ-მდივანთა განსაკუთრებული განათლების შესახებ მოგვეპოვება ცნობები და არც სახელმძღვანელოებს მოუღწევიათ ჩვენამდის. მხოლოდ რამოდენიმე „ს ა მ დ ი ვ ნ ო წ ი გ ნ ი“ არსებობს XVII—XIX სს., რომლებშიაც მეფე-დედოფალთა, ბატონიშვილთა საბუთებისა და წერილების, მათივე და კათალიკოს-ეპისკოპოს-თავადების მიწერ-მოწერის ნიმუშებია მოყვანილი (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხ. № 790 და 893, წ. კ. გ. ს. ხელთნაწერი № 3945)[23]. ყველა ეს სამდივნო წიგნი მეტად მდარე ღირსებისაა და კერძო ხასიათი აქვთ. უეჭველია მწიგნობარ-მდივანთათვის განკუთვნილი ძველი ამგვარი დანიშნულების წიგნები სხვანაირად შედგენილი და უფრო საგულისხმო შინაარსისაც იქმნებოდენ.

რადგან ძველ საქართველოში ყველა მწიგნობარი მწიგნობართუხუცესსა და ვაზირთა ყოველთა უპირველესს, ჰყონდიდელს ექვემდებარებოდენ, ამიტომ ცხადია სიგლის მიცემა უჰყონდიდლოდ შეუძლებელია რომ მომხდარიყო და პირველად მის და მისი თანაშემწის აზრს შეეკითხებოდა მეფე. მეფის განკარგულების გამცემიც სიგლის დაწერის შესახებ, რასაკვირველია, მწიგნობართუხუცესივე იქნებოდა. მისი ამ საქმეშიც მხურვალე მონაწილეობის დამამტკიცებელი ის გარემოება არის, რომ საბუთი დაიწერებოდა თუ არა, გასამრჯელო მოხელეებს, „ქრთამი“ პირველად მწიგნობართუხუცესსა და მის უშუალო თანაშემწეს, საწოლის მწიგნობარს ეძლეოდა, და კარის გარიგებაში ნათქვამი იყო, რომ „რა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს მასუკან მან მისი აიღოს“-ო (5_{87-89}).

კარის გარიგების უკანასკნელი სიტყვები „რომელსაც დაეწეროს“-ო ცხადჰყოფენ, რომ სიგელ-გუჯრების შედგენისათვის ამ ხანაში მაინც საგანგებოდ მიჩენილი მწიგნობარი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თუ ყველა 26-თაგანი არა, რამდენიმე მაინც ამ საქმისათვის განსწავლული და გამოსადეგი იქნებოდა და ალბათ მწიგნობართუხუცესი ერთ-ერთ მათგანს მიანდობდა ხოლმე. მართლაც შენახული საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ მეფეთა სიგლები ყოველთვის საწოლის მწიგნობრის დაწერილი არ ყოფილა.

რადგან ცნობილია, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად ამირსპასალარის დაუკითხავად მიწების ბოძება საზოგადოდ და „სამამულოდ შეწყალება" ვისიმე არ შეიძლებოდა (ქ˝ლი სამართ. ის. II, 152₂₀₋₂₈), ამიტომ ცხადია, რომ თუ მეფის სიგელი და წყალობის წიგნი ამ საგანს ეხებოდა, — და ხშირად სწორედ ასეც იყო, — მაშინ საბუთის მისაცემად ამირსპასალარის თანხმობაც იქმნებოდა საჭირო. სიგლების გაცემის საქმეში მის ერთგვარ მონაწილეობას ის დებულება ამტკიცებს, რომლის მიხედვითაც საბუთისათვის დაწერილი გასამრჯელო, „ქ რ თ ა მ ი ს ი გ ლ ი ს ა მანდატურთ-უხუცესსა", რომელსაც ვითარცა საბუთის დაბეჭდვის წესის მეთვალყურესა და მონაწილეს ეკუთვნოდა, „და ამირსპასალარსა სწორი მართებს" (კარ. გარიგ. 50₉₀₋₉₁).

როგორც ვახტანგ VI-ის დასტურლამალითგანა ჩანს, ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი იყო, ერთს „მ ე ფ ი ს მ დ ი ვ ა ნ ი" ეწოდებოდა, მეორეს „დ ე დ ო ფ ლ ი ს მ დ ი ვ ა ნ ი", რადგან უკანასკნელი სადედოფლო დაწესებულებას ემსახურებოდა. მათი ჩვეულებრივი მოვალეობის შესახებ ვახტანგს ძალიან ცოტა აქვს ნათქვამი და ისიც გაფანტულია. მდივანს სამწერლო საქმე ებარა. მას მეფის ბრძანება, სიგელი, ან განაჩენი უნდა დაეწერა, როდესაც საჭირო იყო. მეჯლისისა და დარბაზობის დროს ამიტომ დებულებაში ნათქვამი იყო, რომ „სუფრის მიღებამდინ ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რომ ჩამოვარდების, ეგების ბატონმა ბრძანოს რამე" და აღსანუსხავი გახდესო (დასტურლამალი, 54).

ამ ჩვეულებრივი მუშაობის გარდა სამეფო და სადედოფლო მდივნებს საგანგებო მოვალეობაც ჰქონია და მათვე უნდა შეედგინათ ხალხის აღწერის დავთარიც. როდესაც ხალხი უნდა აეწერათ სარდართან ერთად „მდივანი წავა, აღსწერს და დავთარს დაიჭერს, მეფის მდივანი წავიდოდეს"-ო. მოწინავე სადროშოსა და ბატონის სადროშოს, საციციანოს მხარის და მუხრან ბატონის სადროშოს დავთარი მეფის მდივანს უნდა შეედგინა (დასტურლამალი, 13 და 134), ხოლო ზემო ქართლი და საამილახორო კი დედოფლის მდივანს უნდა აეწერა და დავთარი შეედგინა (იქვე). რადგან ხალხის აღწერის დავთრის შედგენა დიდ შრომასა და დროს მოითხოვდა და აღწერა კი ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო, ამიტომ უეჭველია მეფის მდივანი რამდენიმე უნდა ყოფილიყო. დარბაზობის წესში ნახმარი გამონათქვამი „ერთი მდივანიც იდგებოდეს"-ო ცხადყოფს, რომ მდივანი რამდენიმე ყოფილა. აკად. იოანე გულდენშტედტსაც თავის 1772 წ. მოგზაურობაში აღნიშნული აქვს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე მეფის დროს ექვსი მდივანი (Sechs Sekretaïrs) იყო (Reise durch Rusland und im Caucasischen Gebürge. S. Petersburg 1787, I, 354)[24].

§ 7. სიგლების დაბეჭდვა

საბუთების დაბეჭდვა უკვე ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაშიც იყო მიღებული და ეს გარემოება დაბადებაშიაც არის აღნუსხული. იქ მაგ., ნათქვამია: „მოვიგე აგარაკი ანამელისაგან... და დავწერე წიგნსა შინა და დავბეჭდე და ვიმოწმენ მოწმენი და მიუწონე ვეცხლი სასწორითა და მივიღე წიგნი მოგებისაჲ დაბეჭდული" (იერემია XXXII, 9—11). საბუთებს ბეჭდავდენ ბეჭდით

სასანიათა დროის სპარსეთში და იქ არამცთუ მეფეს, ყველა დიდგვარიან აზნაურებსა და მოხელეებს თავიანთი ბეჭდები ქონდათ, რომლითაც თანხმობისა და დამტკიცების ნიშნად საბუთებს ბეჭდავდენ ხოლმე (იხ. *Ղազար. Փարպեցւոյ պատմ*[68]) აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მაშინდელ სპარსეთში სიგელს სიმტკიცის ნიშნად ჩამოკიდებული ჰქონდა ხოლმე ქსოვილის ნაჭერში გახვეულ-შეკრული მარილი.

განსაზღვრული დროითგან მოყოლებული მაინც უდავოა, რომ საქართველოშიაც საბუთებს უეჭველად ბეჭდები უნდა ქონოდა დასმული. რომ ბეჭდის დასმა აუცილებელი იყო იქითგანა ჩანს, რომ როდესაც საბუთზე ხელისმომწერს შემთხვევით ბეჭედი თან არ აღმოაჩნდებოდა, ის მობოდიშებით ამ გარემოებას განსაკუთრებით აღნიშნავდა ხოლმე და მკითხველს არწმუნებდა, მაინც დაიჯერეთ, ჩემი ხელის მოწერააო, მაგ., ერთს 1787 წ. საბუთში ნათქვამია: „ბეჭედი არ მქონდა და ეს ჩემი ხელია. ფარსადან“ და იქვე სახელი ხვეულად არის გამოყვანილი (ს˜ქს სძ˜ველნი I, 167). ამიტომ სიგელთა მკვლევარისათვის ბეჭდებისა და დაბეჭდვის შესახები ცნობების ცოდნა აუცილებელია.

უკვე უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლში, იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, აღნიშნულია, რომ ქართლისა პიტიახშსა და ერისთავს ბეჭედი ჰქონია, რომლითაც სხვათა შორის შუშანიკის ბორკილები დაუბეჭდია. იქ ნათქვამია: „ჯაჭვ იგი, რომელი ედვა ქედსა მისსა, ეგრეთვე ედვა და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თჳსითა“-ო (წ˜მბა შ˜კსი 12_{12-29})[25].

გიორგი III-ის ბეჭედი, როგორც ცნობილია, გელათის მონასტერში ინახებოდა, სანამ ავაზაკებმა სხვა ნივთებთან ერთად ეს ბეჭედიც არ გაიტაცეს და მას აქეთ უკვალოდ არ დაიკარგა. მისი სიდიდე ცხადჰყოფდა, რომ ის თითზე შესაცმელი ბეჭედი კი არა, არამედ დასაბეჭდავად ყოფილა განკუთვნილი[26].

„ძეგლი ერისთავთა“ გარდმოცემის თანახმად მოგვითხრობს, ვითომც იუსტინიანე კეისარმა პირველი ქსნის ერისთავი „შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჭედი... თჳსი“ (ქ˜კბი II, 4_{10}). ეს ცნობა ამტკიცებს, რომ საქართველოში ერისთავთერისთავებსა და ერისთავებსაც თავიანთი ბეჭდები ჰქონიათ, რომელიც თითზე შეცმული უტარებიათ.

„კარის გარიგებ“-ითგან ვიცით, რომ მოლარეთუხუცესსაც საქართველოში, ვითარცა თანამდებობის პირს, განსაკუთრებული ბეჭედი ჰქონია, ამიტომ იქ ნათქვამი იყო: „მოლარეთ-უხუცესსა, რა ითაყვანოს, ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან“-ო $6_{104-105}$). თითქო ისე გამოდის, რომ ეს ბეჭედი „მოლარეთუხუცესსა ჴელთ აცვია“ (6_{109}).

ცნობილ და გამოქვეყნებულ საბუთთა შორის უძველესი ძეგლი, რომელსაც ზედ ბეჭედი აქვს დაბეჭდული, 1405 წ. ეკუთვნის, ქაღალდზე ნაწერია და ამილახორის ხიმშია მარილელი-აბაზასძეს შეწირულობის წიგნს წარმოადგენს. გამომცემლის ს. კაკაბაძის სიტყვით ზედ „დასმულია ორი ბეჭედი, ერთი სპარსული და მეორე ქართული მხედრული წარწერით“ (ისტ. საბ. III, 9). ამგვარად უძველესი მურით და თვით დასაწერ ნივთიერებაზე დასმული ბეჭედი ჯერჯერობით კერძო პირისაა.

რადგან მეფის ხელისმოწერას „საუფლო ჴელისრთვა“ ეწოდებოდა, ამიტომ მეფის ბეჭედსაც „საუფლო ბეჭედი“ ერქმეოდა. ამგვარი ტერ-

მინი ღვთაების 1722 წ. გუჯარში გვხვდება, სადაც ნათქვამია: „იცვა საუფლო ბეჭედი ნეკს ცათა ფირუზისაო“ (ისტ. საბ. I, 18). თუმცა ამ შემთხვევაში ამ ტერმინს ალეგორიული მნიშვნელობა აქვს და ღვთაებაზეა საუბარი, მაგრამ, როგორც სხვა ამნაირსავე შემთხვევაშია, მეფის ბეჭდის აღსანიშნავადაც ეს ტერმინი იქნებოდა მიღებული.

§ 8. ბეჭდები

ბეჭედი ჩვეულებრივ ორგვარი იყო, ან მთლიანად ლითონისა, ოქროსა, ან ვერცხლისაგან გაკეთებული იყო ხოლმე, ან ზემოთგან ძვირფასი ქვა, თვალი ჰქონდა ჩასმული. ქვით შემკულს „თ ვ ა ლ ე დ ი ბ ე ჭ ე დ ი“ ეწოდებოდა. კარის გარიგებაში ნათქვამია, რომ მოლარეთუხუცესს პირველად დანიშვნის დროს „ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან, თვალედი“-ო (6_{105}).

თვალედი ბეჭედი შეიძლება ჩვეულებრივი ბეჭდის მსგავსად მხოლოდ ხელის დასამშვენებლად ყოფილიყო ნახმარი და განკუთვნილი ან მარტო დასაბეჭდავად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბეჭდის თვალს „საბეჭდავი თვალი“ ერქვა. ეს ტერმინი ნახმარია 1722 წ. ღვთაების გუჯარში, სადაც შემდეგი ლექსია სხვათა შორის მოყვანილი:

„იცვა საუფლო ბეჭედი ნეკს ცათა ფირუზისაო
დამქობილ პირი მიწისა ქვე საბეჭდავის თვლისაო“
(ისტ. საბ. I, 18).

რათგან ზოგიერთი ბეჭედი მხოლოდ დასაბეჭდავად იყო ხოლმე განკუთვნილი, ზოგი კი მარტო სამკაულად, ამიტომ თანდათან ენა ცდილობდა თვითოეული მათგანისათვის განსაკუთრებული ტერმინი შეექმნა და უკვე ძველ დროსვე ტერმინი „საბეჭდავი“ ბეჭდის მნიშვნელობით მიღებული იყო. გიორგი ხუცესმონაზონს მაგ., ნათქვამი აქვს: ბავშვის ჩვილი ბუნება „ვითარცა ცვილი საბეჭდავსა ესრეთ მიიღებს სწავლულებასა“-ო (ც˝ა გ˝ი მთ˝წმდლსა 327). რამდენადაც მზითვის წიგნებითგან ჩანს, XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დამდეგსაც დასაბეჭდავად განკუთვნილ ბეჭდებს „ს ა ბ ე ჭ დ ა ვ ი“ ეწოდებოდა, ხელის დასამშვენებლად გაკეთებულს კი მარტივად „ბ ე ჭ ე დ ი“ ერქვა. უკვე საბა ორბელიანს ეს ტერმინები სწორედ ასე ესმის და ნათქვამი აქვს: „ბეჭედი თითის სამკაული“-ო (ლექსიკ.). ხოლო ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნში წერია: „თორმეტი ბეჭედი... იამანზედ მოჭედილი საბეჭდავი ერთი, კიდევ სხვა ოქროს საბეჭდავი ოქროსი ერთი“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 485), ეს უკანასკნელი მაგალითი ამტკიცებს (რაც თუმცა ისედაც ცნობილია), რომ „საბეჭდავი“ შეიძლება და უნდა აუცილებლად თვალედი ბეჭედის სახით კი არ ყოფილიყო, არამედ მთლიანად ოქროსი, როგორც ზემომოყვანილს მზითვის წიგნშია ნათქვამი, ან სხვა რომელიმე ლითონისაგან. საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული განსხვავების გარდა, „ბეჭედი“ საზოგადოდ თითზე შესაცმელს ერქვა, — სულერთია დასაბეჭდად იყო განკუთვნილი, თუ სამკაულად, — „საბეჭდავი“ კი სხვა მოყვანილობისა და სახისას, ხელში დასაჭერსა და მარტო დასაბეჭდავად დანიშნულსა და გამოსადეგს ბეჭედს ეწოდებოდა. თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში ამ ორი-სამი ცნებისა და საგნის აღსანიშნავად უნდა უეჭველად თვი-

თეულისათვის განსაკუთრებული ტერმინი შემოვიღოთ და ვიხმაროთ. თითის დასამშვენებლად განკუთვნილს, იმას რასაც ლათინურად anulus, ბერძნულად δακτύλιος, გერმან. Ring, ფრანგ. anneau, რუსულად перстень-ი ჰქვიან ან მარტივად, „ბეჭედი“ ვუწოდოთ, ან როდესაც დასაბეჭდავად განკუთვნილისაგან განსხვავების აღნიშვნა არის საჭირო, „სამკაო ბეჭედი“. ხოლო დასაბეჭდავად გაკეთებულს, თითზე შესაცმელს, ბეჭედს „საბეჭდავი ბეჭედი“ დავუძახოთ. ხელში დასაჭერსა და მხოლოდ დასაბეჭდავად განკუთვნილს კი, იმას, რასაც ლათ. sigillum, ბერძნ. ἡ σφραγίς, ფრანგ. sceau, cachet, გერმან. das Siegel, რუსულად печать-ი ეწოდება მარტივად „საბეჭდავი“ დავარქვათ.

ბეჭდის საბეჭდავ თვალს თავი, რასაკვირველია, გაბრტყელებული უნდა ჰქონოდა, რომ წარწერაც ამოჭრილი ყოფილიყო და დაბეჭდვაც შეძლებოდა ადამიანს. საბეჭდავი თვლის ამ მობრტყელებულ მხარეს, რომელსაც ან მხოლოდ წარწერა, ან ამას გარდა სურათიც ზედ ამოჭრილი ჰქონდა, „პ ი რ ი“ ეწოდებოდა. როდესაც საბუთს ბეჭდავდენ ბეჭედი თუ საბეჭდავი უეჭველია პირით „ქვე-დამხობილი“ უნდა ყოფილიყო. ღვთაების 1722 წ. გუჯარში ლექსად არის ეს გამოთქმული:

„იცვა საუფლო ბეჭედი ნეკს ცათა ფირუზისაო
დამკობილ პირი მიწასა ქვე საბეჭდავის თვლისაო“ (ისტ. საბ. I, 18).

პატარა, თანსატარებელი, საბეჭდავი ბეჭდები ხელზე ჰქონდათ ხოლმე გაკეთებული, თითზე ეცვათ, ჟამთააღმწერელი მაგ., ამბობს: „მოსცა ბეჭედი, რომელი ეცვა თითსა“-ო (*883, გვ. 726). დავით კახთა მეფის სიტყვებითგანა ჩანს, რომ საბეჭდავი მაინცდამაინც ნეკზე უნდა ჰქონოდათ შეცმული. თავის 1722 წ. ღვთაების გუჯარში მას ნათქვამი აქვს: „იცვა საუფლო ბეჭედი ნეკს ცათა ფირუზისაო“ (ისტ. საბ. I, 18).

დანიშნულებისდა მიხედვით ბეჭდები ზომითაცა და სახელითაც განსხვავდებოდენ ერთიმეორისაგან და იმ ბეჭედს, რომლითაც მეფეთა სიგელებს ბეჭდავდენ ხოლმე, „ს ა ს ი გ ლ ე ბ ე ჭ ე დ ი“, ანუ „საგახსნითე ბეჭედი“ რქმევია. ის ამასთანავე „დ ი დ ი ბ ე ჭ ე დ ი“ ყოფილა. კარის გარიგებაში ამის შესახებ წერია: „დიდი ბეჭედი სასიგლე, საგახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა“-ო ($6_{106-107}$). თუმცა „გახსნითი“ ერთი სახე იყო საბუთთა ან სიგელთაგანი, მაგრამ „სასიგლე ბეჭედი“ და „საგახსნითე ბეჭედი“ ერთი და იგივე იყო, თუ „საგახსნითე ბეჭედი“ მხოლოდ გახსნითების დასაბეჭდავად იხმარებოდა და იქნებ „მცირე ბეჭედი“ იყო, ძნელი სათქმელია. მაინცდამაინც ცხადია, რომ რაკი „დიდი ბეჭედი“ ყოფილა, პატარა, ანუ „მ ც ი რ ე ბ ე ჭ ე დ ი“-ც უნდა ყოფილიყო, რომელიც ჩვეულებრივი, სანადაგოდ სახმარებელი იქნებოდა.

ბეჭდებს წარწერები ჰქონდათ და ამითაც განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან. რაკი ბეჭდების ცნობას ხშირად ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბუთების სინამდვილე-ნატყუარობის გამოსარკვევად, ამ დარგის შესასწავლადაც ძველ ხანაში თუ არა, XV—XVIII სს.-ში, ალბათ, რამე საშუალება უნდა ჰქონოდათ. ქართულთ ბეჭდებისათვის სახელის გარდა ზედამოჭრილი სიტყვები, ზოგჯერ მთელი წინადადება, ხანდახან ლექსადაც კი გამოთქმული, არის დამახასიათებელი. მათ ცოდნას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭდების უეჭველობის დასამტკიცებლად. ვიღაც უცნობს უცდია კიდეც და შეუკრებია მეფე-დედოფლებისა, ბატონიშვილების და თავადების ბეჭდებზე

ამოჭრილი სიტყვები (იხ. წ. კ. გ. ს. წიგნსაცავის ხელნაწერი № 1635/ბ). მაგრამ ნაშრომი ძველი არ უნდა იყოს და უბრალო კრებულს უნდა წარმოადგენდეს. ეს ხელთნაწერი საყურადღებოა მხოლოდ როგორც ერთგვარად დამამტკიცებელი ცდა, რომ ამნაირი ნაშრომის მოთხოვნილება წინათაც ყოფილა[27].

§ 9. სიგელების დაბეჭდვის ტექნიკა

დასაბეჭდავ მასალად ან საღებავი, ფერადი თუ მური იხმარებოდა ხოლმე, ან რომელიმე ნივთიერება, მაგ., ცვილი ან ოქრო და ტყვია. უკანასკნელ შემთხვევაში ბეჭედი ზედ საბუთზე კი არ იყო ხოლმე გამოყვანილი, არამედ განსაკუთრებით, როდესაც საბეჭდავი ლითონზე, ოქროსა თუ ტყვიაზე იყო დაკრული, საბუთს ზონრით ეკიდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში თვით წარწერა თუ სურათიც ამობურცვით იყო ხოლმე გამოყვანილი და არა ჩაჭდევით. ასეთს ბეჭედს ერქვა „ბ ე ჭ ე დ ი ტ ჳ ფ რ ი ს ა ჲ“ თვისების მიხედვით, ხოლო მდებარეობისაებრ ეწოდებოდა „ბ ე ჭ ე დ ი შ ე კ ი დ უ ლ ი“. ამგვარი ბეჭდები საბუთებზე განსაკუთრებით ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში იყო მიღებული და მისი აღწერილობა ათონის ქართველთა მონასტრის XII ს. ერთი აღაპის შესახებს ცნობაში მოიპოვება. იქ სახელდობრ ნათქვამია: „აღილო წიგნი სიმტკიცისაჲ..., რომელსა ზედა არის ბეჭედი ტჳფრისაჲ* პროტონოტარისაჲ და დიდისა აღმწერელისაჲ ერთგან შეკიდულნი“-ო (ათონ. კრებ. 270). რაკი საბა ორბელიანს „ტჳფარი მომაღლოდ ამოჭრილად“ აქვს განმარტებული, ამიტომ „ბეჭედი ტჳფრისაჲ“ მომაღლოდ გამოყვანილი წარწერით იქნებოდა შემკული.

პროფ. ე. თაყაიშვილი ამბობს: „მხოლოდ კ. გარიგებამ შეგვინახა ცნობა, რომ ჩვენშიაც როგორც ბიზანტიაში და რუსეთში, ბეჭედი ტყვიისა ყოფილა (ბიზანტიაში ოქროსიც იყო, ხრისოულები) და ამგვარი ბეჭედი, რასაკვირველია, ჩამოკიდებული ყოფილა ზონარით სიგელზედ (ნ$_{105-106}$). ზონარის გაჲაყრელი ნაშთები ძველ ტყავის სიგელებზე დღესაც მოჩანან, მაგრამ თვით ბეჭედი ერთიც არ შენახულა ჩვენს დრომდის, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ აღმოჩენილა“-ო (კარ. გარიგ. XXXVII). კარის გარიგების იმ ტექსტისდა მიხედვით, რომელმაც და როგორც ჩვენამდის მოაღწია, ყველა ამის თქმა არ შეიძლება და იქითგან გარკვეული სურათის წარმოდგენა, თუ როგორ და რით იბეჭდებოდა ხოლმე მაშინ საბუთები, შეუძლებელია.

კარის გარიგებაში შენახულია მხოლოდ იმ რთული წესის აღწერილობა, რომელიც საბუთის, მეფის სიგელის, დაბეჭდვის დროს უნდა ასრულებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ამ ადგილას ტექსტი დამახინჯებულიც არის და სრულად შენახულიც არ უნდა იყოს. ამის გამო აზრის გაგება ძნელდება. აი სიტყვასიტყვით რაც იქა წერია: „მოლარეთ-უხუცესსა, რა ითაყვანოს, ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან, თვალედი... ბეჭედი ესრეთ სხენნ: დიდი ბეჭედი სასიგლე, საგახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთ-ხუცესსა ქელთ აცვია, რა დაბეჭდვენ. მოლარეთ-უხუცესი გახსნის, მეგოდრეს სალაროს მოლარე აიხვამს, და მოლარეთ-უხუცესი გახსნის თასსა, შიგან წყალსა შთა-

* დაბეჭდილია „ტჳფვისაჲ“.

ასხამს. ჯორის ნალი უკვერეტელი ორნი აქ უნდა რომ ქვე დასხნეს. და სალაროს მოლარეს დუკატი ორი. მეგოდრეს დუკატი ერთი, ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს და დაბეჭდავს მწიგნობარი, თან გამოიტანს და წამოეა" და შემდეგ სიგლის პატრონს ჩააბარებსო (6₁₀₄₋₁₁₄).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტექსტს რამდენსამე ადგილას აკლია და ის გადამწერისაგანაც არეული უნდა იყოს. მაგ., მოლარეთუხუცესის ერთსა და იმავე მოქმედების შესახებ ორჯერ არის ნათქვამი ერთხელ მოკლედ, მეორედ სრულად: პირველად წერია, „მოლარეთუხუცესი გახსნის"-ო. ხოლო რას ხსნიდა, ეს კი გამორჩენია გადამწერს, მეორეჯერ კიდევ გაუმეორებია მას ალბათ შეცთომით იგივე ცნობა, მაგრამ ახლა მთლიანად „მოლარეთუხუცესი გახსნის თასსა"-ო, აქ უკვე ნათქვამია, რომ თასი(?) უნდა გაეხსნა ამ მოხელეს. სულ ცოტა ორგან მაინც ტექსტი შეწყვეტილი უნდა იყოს და რამდენიმე სიტყვა ან იქნებ მთელი წინადადებაც კი აკლდეს. მაგ., მოლარეთუხუცესისაგან გახსნის შესახებს ცნობას მისდევს „მეგოდრეს სალაროს მოლარე აიხვამს"-ო. ჯერ ერთი არა ჩანს თუ რას აიღებდა სალაროს მოლარე და მერმე თუნდაც, რომ აზრის მიმდინარეობით წარმოვიდგინოთ, რომ თასი უნდა აეღო, მაინც გაუგებარი რჩება, მეგოდრე რისთვისღა არის მოხსენებული და რას აკეთებდა. ცხადია აქ ტექსტს უნდა აკლდეს და სიტყვა „მეგოდრეს" შემდგომ გამოტოვებული უნდა იყოს რამდენიმე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნული იქნებოდა მეგოდრეს მოვალეობა სიგელის დაბეჭდვის წესში. მეგოდრე რომ აქ შეცდომითა და შემთხვევით არ არის ჩაჩხირული, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მერმე ნათქვამია, „სალაროს მოლარეს დუკატი ორი, მეგოდრეს დუკატი ერთი" უნდა მიეღო სიგელის დაბეჭდვის შემდგომ, ალბათ სიგლის მიმღებისაგან. ეტყობა, რომ მეგოდრე დაბეჭდვაში რაღაც მონაწილეობას იღებდა.

თუმცა თავში წერია, რომ მოლარეთუხუცესს თვალედი ბეჭედი ეძლეოდა მეფისაგან თანამდებობაზე დანიშვნის დროს, მაგრამ მერმე აღარ არის ნათქვამი, სწორედ ამ მოლარეთუხუცესისათვის ნაწყალობევი ბეჭდით უნდა დაბეჭდილიყო სიგელი თუ სასიგლე, საგახსნითე ბეჭედი მეფის, ანუ საუფლო ბეჭედი იყო? საზოგადოდ აღწერილობითგან არა ჩანს, ვინ, როდის და როგორ აძლევდა მწიგნობარს საბუთის დასაბეჭდად სასიგლე ბეჭედს. შენახული სიგლები ცხადყოფენ, რომ საბუთები განსაკუთრებით მეფეთა ბეჭდით იბეჭდებოდა და მოლარეთუხუცესის ბეჭედი არა ჩანს.

ამას გარდა ახლა არც ისა ჩანს, თუ რისთვის უნდა ყოფილიყო ოქროს თასში წყალი ჩასხმული და საზოგადოდ როგორ უნდა დაბეჭდილიყო საბუთი. აქ ნათქვამია მარტო, რომ ჯორის ორი უხვრეტელი ნალი, რომელიც ერთ-ერთ მოხელეს (ახლა არა ჩანს, თუ ვის სახელდობრ) ჰქონდა, „უნდა რომ ქვე დაესხნეს" და შემდეგ პირდაპირ სალაროს მოლარესა და მეგოდრეს გასამრჯელოზეა ლაპარაკი ისე, რომ წინამავალი აზრი დაუმთავრებელი რჩება და აღნიშნული არ არის, ან რისთვის და ვის უნდა ამოედვა ქვეშ ეს ნალი და ან შემდეგ ვის და რა უნდა გაეკეთებინა, რომ სიგელი დაებეჭდათ. ესეც არის აღსანიშნავი, რომ თუმცა სულ ბოლოშია ნათქვამი „დაბეჭდავს მწიგნობარი"-ო, მაგრამ ამის ზევით სიგლის დაბეჭდვის წესში არსად მწიგნობარი არ იხსენიება და ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი ნაკლულევანად არის შენახული, არეულიც და დამახინჯებულიც არის.

დაბეჭდვის წესისათვის საყურადღებო გარემოებაა, რომ სიგელს ის მოხელე კი არა ბეჭდავდა თურმე, რომელსაც მეფისაგან ბეჭედი ჰქონდა ხოლმე ნაბოძები, მოლარეთუხუცესს კი არ ჰბარებია ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, არამედ „დაჰბეჭდავს მწიგნობარი" იგივე, რომელსაც სიგელი ჰქონდა დაწერილი. ეს იქითგანა ჩანს, რომ კარის გარიგებაში ნათქვამია, რომ მწიგნობარი დაბეჭდვის შემდგომ სიგელს „თან გამოიტანს და წამოვა"-ო. მაშასადამე, სიგელი მწიგნობრის ხელთ იყო, მას შეჰქონდა იმ დაწესებულებაში, სადაც სახელმწიფო ბეჭედი ინახებოდა და საბუთი უნდა დაბეჭდილიყო, და მასვე თან გამოჰქონდა იგი, რომ სიგლის პატრონისათვის ჩაებარებინა.

გასაოცარია, რომ იმ ხანაშიაც, როდესაც სიგელ-გუჯრების დაბეჭდვა უცილობელი სინამდვილე იყო და თვით საბუთებზე დასმული ბეჭდები ახლაც კარგადა ჩანს, მაინც არც ერთს ქართულ საბუთში ეს გარემოება, ისე როგორც სხვა ერთა დიპლომატიკაში, მაგ., დასავლეთ ევროპაში და სომხურში მიღებული იყო, აღნიშნული არ არის, და იქ, სადაც ნათქვამია ხოლმე, თუ ვისი ხელით დაიწერა საბუთი, დამატებული არ არის, რომ მისივე ხელით დაიბეჭდა კიდეც.

რადგან კარის გარიგების ტექსტი ნაკლულევანია, იმის გამოსარკვევად, თუ რით ბეჭდავდენ სიგელს ძველ საქართველოში, ორ გარემოებასა აქვს მნიშვნელობა: ჯერ ერთი, რომ სასიგლე ბეჭედი თვალედი ყოფილა (თუ საბუთები მართლა მოლარეთ-უხუცესისათვის ნაბოძები ბეჭდით იბეჭდებოდა) და მეორეც ის, რომ დაბეჭდვისათვის თასში წყლის ჩასხმა იყო საჭირო და დაბეჭდვის დროს უნდა ჯორის უხვრეტელი ნალი ყოფილიყო ქვემოთგან ამოდებული.

თვალედი ბეჭედი და წყალი გვაფიქრებინებს, რომ ცვილის შეკიდული ბეჭედი უნდა სცოდნოდათ საქართველოში. წყალში ბეჭედს ალბათ წინასწარ აციებდენ. უხვრეტელი ნალი ქვემოთგან ამოსადებლად ყოველგვარი ბეჭდისათვის იყო საჭირო და გამოსადეგი. მაგრამ თუ დასაბეჭდავად მოლარეთუხუცესის თვალედი ბეჭედი კი არ იხმარებოდა, არამედ სასიგლე, საგახსნითე ბეჭედი, რომელიც შეიძლება ლითონისაც ყოფილიყო, როგორც მაგ., ოქროსი იყო გელათის მონასტერში წინათ ყოფილი გიორგი III-ის ბეჭედი, მაშინ შესაძლებელია ძველ საქართველოშიაც ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის მსგავსად ლითონის შეკიდული ბეჭდებით შემკობა ყოფილიყო მიღებული. საქართველოს მეფეთა საბუთების თვით დედნების განხილვა-დაკვირვება სრული უეჭველობით წყვეტს საკითხს და ცხადყოფს, რომ ძველ ხანაში XIV—XV სს-მდე ქართული საბუთები შეკიდული ბეჭდებით ყოფილა შემკული. თუმცა ჯერჯერობით არც ერთი სიგელი არ არის აღმოჩენილი, რომ მას ზედ შეკიდული ბეჭედი შერჩენოდეს, მაგრამ სამაგიეროდ ყველა პირმშოდედნებს გარკვეულ ადგილას ნახვრეტები აქვთ, რომელშიაც ბეჭდის დამამაგრებელი ზონარი იყო გაყრილი[28].

ის რთული წესრიგი, რომელიც სიგლის დასაბეჭდავად მიღებული ყოფილა XIV ს-ში, მაინც ცხადლივ დამამტკიცებელია იმ გარემოებისა, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდენ ბეჭედს და დაბეჭდვას. სულ ცოტა 4 მოხელის თანდასწრება და მონაწილეობა უეჭველია იმიტომ უნდა ყოფილიყო შემოღებული, რომ საბუთების უტყუარობა და უეჭველობა უფრო უზრუნველყოფილიყო და ბოროტმოქმედების ჩადენა გაძნელებულიყო. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ბეჭედი იმას კი არ ჰბარებია, ვინც სიგლებს წერდა და

ამ სამწერლო საქმეს განაგებდა, არამედ სხვა მოხელეს, რომელსაც საბუთების დაწერასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ხოლო ვინც ბეჭდის მცველი იყო, ის კი არა ბეჭდავდა, არამედ მწიგნობარი 3 მოხელის თანადასწრებით.

XV ს. დამდეგითგან, თუ უფრო ადრეც არა, შეკიდული ბეჭდების მაგიერ თვით საბუთის ქაღალდ-ეტრატზე სვამდენ ხოლმე გამურულ ბეჭედს, მაგრამ ამ მერმინდელი წესის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. მხოლოდ ვახტანგ მეფეს აქვს დასტურლამალში ნათქვამი: „ბატონი რომ მამულს და საქელოს გასცემდეს, ამაების წიგნი უწინ სალთხუცესი დაბეჭდავდეს, მერმე მდივანი წიგნს ბატონს მიართმევდეს და ბატონი დაბეჭდავს, აგრეეე ბარათზედ და ჯამაგირის სარხათზედ“-აო (ვახტანგ VI, დასტურლამალის აღდგენილი ტექსტი, გვ. 149—150 და 156). აქეთგან ცხადი ხდება, რომ სიგელს ჯერ სალთხუცესი ბეჭდავდა, უეჭველია თავისი ბეჭდით, შემდეგ კი უკვე მეფესთან უნდა მიეტანათ საბუთი, რომ მეფესაც თავისი ბეჭდით დაებეჭდა. ამგვარად ირკვევა, რომ სიგლების დაბეჭდვის ძველი წესი სრულიად შეცვლილა და დაბეჭდვაში თუმცა ორი მოხელე, სალთხუცესი და მდივანი, იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მდივანი მხოლოდ საბუთის მიმტანი იყო და პირადად დაბეჭდვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

ზოგიერთი საბუთის დაბეჭდვაში, როგორც ეტყობა, ვეზირიც იღებდა მონაწილეობას: დასტურლამალში ვახტანგ VI-ს ნათქვამი აქვს: „სარხათზედ, დასაბეჭდავად თუმანზედ აბასი“ ერგება ვეზირსაო (უმიკ. 32).

ქიზიყის გამოსავლის გარიგების 1750—1760 წწ. წიგნშიც, რომელიც ძველ ამგვარსავე ძეგლებზე ყოფილა დამყარებული, წერია სხვათა შორის: .სალთხუცესი რომ წყალობის სიგელს დაუბეჭდავს, საბეჭდავი უნდა მიეცეს, ისე მდივანს და ისე მორდალს შეძლებით“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 136). აქეთგანა ჩანს, რომ წყალობის სიგლის დაბეჭდვაში სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას სალთხუცესი, მდივანი და მორდალი. ამასთანავე მორდალი, როგორც თვით მისი სამოხელეო სახელის მნიშვნელობისაგან არის საფიქრებელი, ბეჭდის მცველი უნდა ყოფილიყო. ხოლო ზემომოყვანილი ცნობისდა თანახმად საბუთს სალთხუცესი ბეჭდავდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ ხანაშიაც საბუთის დაბეჭდვის წესი ვახტანგ მეფისდროინდელი იქნებოდა დარჩენილი და სალთხუცესი თავისი საკუთარი ბეჭდით დამბეჭდელად უნდა ვიგულისხმოთ. მორდალი, რომელიც წინათაც არსებობდა, მეფის ბეჭდის მცველი იქნებოდა, დაბეჭდით კი ალბათ თვით მეფევე ბეჭდავდა, მდივანიც წინანდებურად ალბათ მხოლოდ საბუთების მიმტან-მომტანად იქნებოდა.

„დასტურლამალ“-ში მოხსენებულია მოხელე „მ უ რ დ ა რ ი“, რომელსაც სხვადასხვა საბუთების გაცემის დროს სარგო ეძლეოდა (იხ. ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 50—51). იქ განმარტებული არ არის, თუ რატომ იყო მისთვის დაწესებული სარგო საბუთების მიცემისას, მაგრამ როგორც მდივნებს სარგო იმიტომ ეძლეოდათ, რომ ისინი საბუთებს წერდენ, ისევე უეჭველია მურდართაც საბუთების შემზადებაში ექმნებოდათ სარგო მიცემული. საბა ორბელიანთან მურდარი არ მოიპოვება. საყურადღებოა, რომ დასტურლამალის უძველეს ხელთნაწერში თავი „პზ. მურდრისათვს“ არ არის (იხ. გვ. 202) და ეს გარემოება იქნებ იმის მომასწავებელი იყოს, რომ იგი თავდაპირველ შემადგენლობაში არც იყო.

როგორც პ. უმიკაშვილს განმარტებული აქვს, მურდარი ბეჭდის შემნახველს, უფრო კი ბეჭდის მჭირავს, მცველს ნიშნავდა.

მაგრამ აკად. გულდენშტედტის სიტყვით სამეფო ბეჭედი საგანგებო მოხელეს ჰბარებია, რომელსაც ნ ა ზ ი რ ი ჰრქმევია. 1772 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში ორი ნაზირი ყოფილა. თვითოეულს თურმე სარგოდ შემოსავლის $^1/_{20}$ ეძლეოდა (Wasis (sis) Siegel-Bewahrer. Derer sind zwey. Jeder. bekōmmt von den Einkūnften den zwanzigsten". Reieen I. 354)[29]. ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით ნაზირის სახელი როსტომ მეფისაგან იყო სხვა სახელისუფლო სახელებთან ერთად ქართლის სამეფოში შემოღებული წინანდელი „ეზოს მოძღვარის" მაგიერ (შესავალი, აწინდ. ხელისუფ. შეცვ. სახელთათვის). მაგრამ წინათ სამეფო ბეჭედი ეზოსმოძღვარს ებარა, თუ სხვას ვისმე, არა ჩანს. ნაზირი მაშასადამე „ბ ე ჭ დ ი ს მ ც ვ ე ლ ი" მოხელე ყოფილა. ეს ტერმინი საბა ორბელიანს აქვს მოყვანილი თავის ლექსიკონში, მაგრამ წყაროს აღუნიშვნელად და არც ის მოხელე ჰყავს დასახელებული, რომელსაც ეს მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

§ 10. სიგლების შემზადებისათვის დაწესებული გასამრჯელო

საბუთის მიღება სამეფო კარითგან საკმაო ხარჯს მოითხოვდა საბუთის პატრონისაგან, რათგან ყველა იმ მოხელეთათვის, რომელთაც ამ საქმეში რაიმე მონაწილეობა ეკუთვნოდათ, განსაკუთრებული გასამრჯელოც იყო დაწესებული, რომელსაც „ქ რ თ ა მ ი" ეწოდებოდა. ჯერ ჰყონდიდელსა და ვაზირთაუპირველესს, ვითარცა მწიგნობართა უფროსსა და მთავრობის თავმჯდომარეს, უნდა მიეღო, შემდეგ საწოლი. მწიგნობარს და „რა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს"-ო, ამბობდა კარის გარიგება, მაშინ იმ მწიგნობარს, „რომელსაც დაეწეროს, მასუკან მან მისი აიღოს"-ო. მერმე მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისათვის უნდა ჩაებარებინა თანასწორი ქრთამი, ხოლო შემდეგ მესტუმრისა და მერიგესათვის და მანდატურისათვის უნდა მიეცა, რომელთაც უფრო ნაკლები ქრთამი ეკუთვნოდათ (5_{87-93}). ქრთამის რაოდენობა ალბათ განსაზღვრული იქნებოდა, მაგრამ კარის გარიგებაში ეს ცნობა შენახული არ არის.

ვიცით მხოლოდ სიგელის დაბეჭდვისათვისაც განსაკუთრებული გასამრჯელო იყო დაწესებული და ამ შემთხვევაში მისი რაოდენობაც გარკვევით არის აღნიშნული, თუმცა ვგონებ აქაც ყველა მონაწილე მოხელის შესახებ არ არის ცნობა შენახული. კარის გარიგების სიტყვით „სალაროს მოლარეს დუკატი ორი, მეგოდრეს დუკატი ერთი, — ეს მისცეს ვისიც სიგელი იყოს"-ო ($6_{102-103}$). მაშასადამე, მარტო დაბეჭდვაში საბუთის მიმღებს უკვე 3 დუკატი, ოქროს ფული, ან მისი შესატყვისობა სხვა ლითონის ფულით უნდა გამოეღო. რათგან მწიგნობარს უფრო მეტი ჯაფა მიუძღოდა, ხოლო ჰყონდიდელი და საწოლის მწიგნობარი მისი უფროსები იყვნენ, მათთვის, რასაკვირველია, უფრო მეტი იქნებოდა გადაკვეთილი. ამას გარდა, როგორც დავრწმუნდით, მოლარეთუხუცესს, ამირსპასალარს, მესტუმრეს, მერიგესა და მანდატურსაც ერგებოდათ გასამრჯელო. ამის გამო საფიქრებელია, რომ სიგლის მარტო მისაღებად შეწყალებულ პირსა და საბუთის პატრონს სულ ცოტა 7—8 დუკატი უნდა დახარჯოდა.

გასაოცარია, რომ იმისდა მიუხედავად, რომ სიგელის შემზადება-დაწერა-დაბეჭდვასა და მიცემაში დებულების თანახმად ამდენ პირს უნდა მიეღო მო-

ნაწილეობა, ეს გარემოება თვით საბუთში, ნაწილობრივ მაინც, აღნიშნული არ იყო და მწიგნობრის გარდა არავინ არ იხსენიებოდა.

შემდეგდროინდელი საქმის ვითარებისა და სიგლის მიცემისათვის დაწესებული გასამრჯელოს ოდენობის გამოსარკვევად ცნობები XVIII ს. დამდეგამდე არ მოგვეპოვება და მხოლოდ ვახტანგ მეფეს აქვს აღნიშნული, რომ „როგორც სალთხუცისათვს დაგვიწერია, ისრე იმ რიგად იმდენი მდივნებს ერგება: გლეხის გაცემას კომლზედ... გათარხნებაზედ კომლზედ... იჯარაზედ საწიგნო ოქმისა, გილანისა, ფუშთუქუნისა, სუნისა, ზარაფობისა, ელიაღასისა — ამათს ოქმებზედ საწიგნე... ჯამაგირის წიგნის სარხათზედ თუმანზედ აბასი"-ო (დასტურლამალი ვახტანგ VI-ის, უმიკ. 50), რამდენი უნდა გამოეღო სიგლის მიმღებს, როდესაც საბუთის ღირებულება ფულად ვერ გამოიხატებოდა, არა ჩანს.

ხოლო საბუთის დაბეჭდვისათვისაც განსაკუთრებული გამოსაღები არსებობდა, რომლის შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ „რაც ან ბატონის ბეჭდით და ან მდივანბეგის ბეჭდით გარიგდეს, მესამედი სამეფოსა კაცისა მეფის მდივანსა და სადედოფლოსი დედოფლის მდივანსა"-ო (ვახტანგ VI დასტურლამალი, უმიკ. 58). თვით გასამრჯელოს ოდენობა არა ჩანს.

§ 11. საბუთის დაცვა-შენახვა საქართველოში

პროკოპი კესარიელს ნათქვამი აქვს, რომ კოლხეთის მეფის დესპანები სპარსეთის მეფეს ხოსროს იმთავითვე ლაზიკასა და ირანს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულების დასამტკიცებლად ამ ორი ქვეყნის მიწერმოწერის შემცველ საბუთებს იმოწმებდენ, რომელიც მათ სამშობლოში და სპარსეთში ინახებოდა (De bello persico, II cap. 15). თუ აქ ბიზანტიელ ავტორს მჭევრმეტყველებამ არ წასძლია და მთლად თითონ არ სთხზავდა კოლხეთის დესპანების ნალაპარაკევს, მაშინ ეს ცნობა დასავლეთ საქართველოში საბუთების დაცულობის შესახებ ფრიად საყურადღებო იქნებოდა. მაგრამ ამ საკითხის შესასწავლად ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება. სომეხთა ისტორიკოსის სტ. ორბელიანის სიტყვებითგან ჩანს, რომ საქართველოს დედაქალაქში XIII ს-შიაც, მონღოლთა ბატონობის დროსაც, სახელმწიფო დავთარხანა ყოფილა, რომელშიაც ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები, უეჭველია სხვა საბუთებიც, ინახებოდა (*Պատմ.* 411). შემდეგ მეფეთა სიგლებში ხშირად იხმარება ხოლმე გამონათქვამი „მოკითხული ვქენით და ვცანით", რომ ძველთაგან ასე ყოფილა და ამადამას კუთნებიაო. ესეც გვაფიქრებინებს, რომ საბუთები დაცული იყო და მათი გაშინჯვა შეიძლებოდა. დავთარხანის არსებობა შეიძლება ვახტანგ მეფის დასტურლამალითაც დამტკიცდეს (გვ. 24).

ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება იმის შესასწავლად, თუ კერძო პირები თავიანთ საბუთებს როგორ ინახავდენ ხოლმე. XVIII ს. დამლევის ერთს, ერასტი, ალბათ, გოსტაშაბიშვილის, დატოვებულსა და კარნახით დაწერილს ანდერძში სხვათა შორის ნათქვამია: „რაც ჩემი მამულების წიგნები მაქვსო, ან ნასყიდობაო, ან უსყიდიო, ამათი წიგნები ერთს პარკში აწყვიაო და ჩემის

ბეჭდით დაბეჭდილი არისო და ჩემს სიძეს ფარსადანს აბარიაო... ჩემი ბეჭედი, თუ ან მოშლილი არისო, იცოდეს ერასტიმ, რომ წიგნები ეგების ამოელოს რამეო, ნუ უყაბულებს ერასტიო" (ს˝ქს სძ˝ველნი I 177). ეს ცნობა თვით ფარსადანის სიტყვებითაც მტკიცდება, მასაც ნათქვამი აქვს: „მე ფარსადან ესიტაშვილს ჩემის სიმამრის ბიძი შენის ზურაბის მამულის წიგნები მებარა დაბეჭდილი ზურაბისაგან"-ო (იქვე I, 167).

საქართველოში რომ ბოლო დრომდის სახელმწიფო დაწესებულება იყო და შიგ ძველი ყოველგვარი გარიგების წიგნები, დავთრები და საბუთები ინახებოდა, ამას 1750—1760 წწ. თუ 1798 წ. ქიზიყის გამოსავლის დავთარიც ადასტურებს. იქ ნათქვამია მაგალითად: „ჩვენ მეფემან კაჴეთისამან ირაკლიმ... ესე განაჩენი გავარიგეთ, ოდეს ვიგულისჴმეთ, რაც ძველთაგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთისა, ყველა გავსინჯეთ... (და) გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, მოუკელით, და ზოგი, როგორც ძველთაგან ყოფილიყო, აგრევე გავარიგეთ"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი III, 133—134).

ႧႠႥႨ ႫႤႭႧႾႤ

ႱႰႳႪႨႠႣ ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႱ ႫႤႴႤႧႠ ႱႨႢႤႪ-ႢႳႿႰႤႡႨႱ ႠႢႤႡႳႪႤႡႠ ႣႠ ႣႠႬႠႼႨႪႤႡႠ

§ 1. სიგლების შეწყობილების წესის და აგებულების ჩამონაკვთილობა საქართველოში

საქართველოს სამეფო სამდივანმწიგნობროში შედგენილი საბუთების დაკვირვებითი შესწავლა მკვლევარს დაარწმუნებს, რომ საბუთების ჩამოყალიბებული და დაკანონებული დაწერილობის წესი უნდა ყოფილიყო, როგორც აგებულების, ისევე შინაარსისა და ენის მხრივ. ამის შესახებ ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგელში პირდაპირი ცნობაც კი მოგვეპოვება. იქ სახელდობრ ნათქვამია: „და თქუენ ქრისტეს მიერ გ҃ი ქართლისა კათალიკოზმან და წმიდათა მღდელთმოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ ვითა წესი არს წყევლანი და შეჩვენებანი დაწერენით ვინცა უქციოს და შეუცვალოს“-ო (შიომღვ. საბ. 4). მაშასადამე, თვით ბაგრატ მეფის სიტყვებითგან ჩანს, რომ მაშინ უკვე არსებობდა სიგლების დაწერილობის „წესი“, რომლის მიხედვითაც საბუთის ყოველი ნაწილი უნდა შედგენილი ყოფილიყო. ზემომოყვანილი ამონაწერითგან ირკვევა, რომ სიგელის ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილად მაშინ მაინც ქართლისა კათალიკოსისა და მღვდელმოძღვართა „წყევლა-შეჩუენებანი“ ყოფილა. სიგლის ამ ნაწილს თავისი განსაკუთრებული სახელიც კი ჰქონია და, როგორც ბაგრატ IV-ის ოპიზის 1027—72 წ. სიგლითგან ირკვევა, „კრულობითი მოწმობანი“ რქმევია. „მოიხუნეს“-ო, ნათქვამი აქვს ბაგრატ მეფეს, „სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისაი, გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი, რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათვის დაემტკიცნეს და კრულობითი მოწმობანი კათალიკოზთა და მღდელთმოძღუართანი“ (ს҃ქს სძ҃ელნი II, 2). აქეთგან ცხადი ხდება, რომ ყველა ზემოდასახელებულ საბუთებს „კრულობითი მოწმობანი“ ჰქონია. თვით მეფეები, როდესაც ვისმეს წყალობისა ან სხვაგვარ სიგელებს აძლევდენ, ქართული ეკლესიის მწყემსთმთავარს კრულობითი მოწმობის დართვას სთხოვდენ ხოლმე. მაშასადამე, საფიქრებელი ხდება, რომ ქართულ სიგელ-გუჯრებს ერთგვარი აგებულება და შედგენილობა ჰქონდათ. ამას თითქოს სიგელისა ან „გუჯარისა შეწყობილობა“[28] რქმევია. კახთა მეფეს დავითს ნათქვამი აქვს, ვინც კი „შეწირულობა ესე ჩვენგან და გუჯარისა ამის შეწყობილობა მოშლად იწყონ, მათმცა აჴოცს იგი მხოლო მეუფე“-ო (ისტ. საბ. I, 40). როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ვისაც სიგელ-გუჯრებზე ხანგრძლივ უმუშავნია და მათ გარეგან-შინაგანს აგებულებას ჩაჰკვირვებია, შემჩნეული უნდა ჰქონდეს, რომ მეფეთა ნაბოძები საბუთები ჩვეულებრივ რამდენისამე გარკვეული აზრისა და დებულების შემცველი ნაწილისაგან შესდგებოდენ. თვითოეული ამ ნაწილთაგანი ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით

იწყებოდა ხოლმე, მაგ., მეფის წოდებულების მიმდევნო ნაწილს ასეთი სიტყვები უძღვის: „მოვიდა (ან მოვიდეს) ჩუენ წინაშე (სახელდებით) და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა“ და სხვა. ამის შემდეგი ნაწილი იწყება ხოლმე სიტყვებით „დაგუაჯერა ღ˜ნ და (ან ზოგჯერ უამსამწინასიტყვოდ) ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი“ და სხვა. მერმე ყოველთვის წერია ხოლმე „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“ და სხვა. ხოლო სულ ბოლოს მუდამ ნათქვამია „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“ და სხვა, რომელ ნაწილსაც მეფისა და სხვათა ხელისმოწერა მისდევს ხოლმე.

ზემოაღნიშნულის გარდა საბუთებში კიდევ არაერთი სხვა ადგილია, რომელსაც თუნდაც სხვადასხვა მეფისაგან ნაბოძები ერთნაირად, ერთი და იმავე სიტყვებით იწყება და იწერება ხოლმე, მაგრამ ყველა ამაზე დაწვრილებით შემდეგში გვექნება საუბარი. ამჟამად კი ჩვენთვის იმ გარემოებასა აქვს მნიშვნელობა, რომ სიგლების დანაწილების კანონიერება გამოვარკვიოთ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმო და საყურადღებოა, რომ ძველადაც თვით ქართველი მწიგნობრებიც საბუთებს რამდენადმე ნაწილად ჰყოფდენ. მაშინაც სიგლების აგებულება კარგად ჰქონდათ შეგნებული და დანაწილება იცოდენ. ამას შემდეგი გარემოებაც ცხადყოფს. მას შემდგომ, რაც ქართულ მწერლობაში განკვეთილობის ნიშნები შემოიღეს სიგლების თვითოეული ნაწილის ბოლოს : — ნიშანი დაუსვიათ, რაც ამ ნაწილის დამთავრებას მოასწავებს და იმის მაჩვენებელია, რომ ამის შემდგომ ახალი ნაწილი იწყება. საბუთების განკვეთილობის ნიშნებით დანაწილება XII ს. დამდეგითგან შემოუღიათ და პირველ სიგელად, სადაც ამნაირი დანაწილება უკვე გვხვდება, რამდენადაც ჩვენამდის მოღწეული საბუთებითგანა ჩანს, გიორგი III-ის 1170 წ. დამტკიცებულების წიგნია. ამ საბუთის გამომცემელს ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ამ ძეგლის დედანში „ნიშნებად იხმარება ზოგჯერ ორ-ორი წერტილი და ზოგჯერ აზრის დამთავრების ბოლოს ორი წერტილი და ხაზი :—“ (ს˜ქს სძ˜ველნი IV, 1). ამგვარი ნიშანი უფრო ადრინდელს ძეგლშიც, შიომღვიმისადმი მიცემულს დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძის წიგნშიაც არის ნახმარი (იხ. ს. კაკ. გვ. 9, 11, 12, 14, 15 და 16). მაგრამ ეს ორი საბუთი, პირველი ვითარცა ანდერძი, ხოლო მეორე ვითარცა შიომღვიმის ყველა შეწირულობისა, შეუვალობისა და სხვა უპირატესობის მომთხრობელ-დამამტკიცებელი წიგნები, როგორც შინაარსით, ისევე აგებულებით მეფეთა ჩვეულებრივი სიგლებისაგან განსხვავდება და მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. იქ ეს :— ნიშანი ისეთ შემთხვევებშიაც არის ნახმარი, რომელიც თუმცა საბუთის რომელიმე ნაწილის დასასრულს არ წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსი იყო. სხვა ნიშნის უქონლობის გამო მწიგნობარს ასეთ ადგილსაც ესევე ნიშანი უხმარია. თუ ასეთ შემთხვევებს თავს დავანებებთ და მხედველობაში არ მივიღებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველგან, სადაც სიგლის რომელიმე ნაწილი თავდება :— განკვეთილობის ნიშანი ზის. მაგ., მეფის წოდებულების ბოლოს სიტყვა „მფლობელისაი“-ს შემდგომ, სანამ მეორე ნაწილის სიტყვები „მოვიდეს ჩუენ წინაშე“ და სხვა დაიწყებოდეს (გვ. 2:2), — შემდეგ ამ მეორე ნაწილის ბოლოში და მესამე ნაწილის დასაწყისში სიტყვების „ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოჴსენებაი“-ს წინ (იქვე), ამგვარადვე ამ მესამე ნაწილის ბოლოს და „აწ ვინცა ნახოთ“-ის მეოთხე ნაწილის წინ. (გვ. 6) — მეოთხე ნაწილის ბოლოს „უჴუარობითა დაამტკიცეთ“-ის შემდგომ და დაწერის თარიღის ნაწილის

(„დაიწერა ბ῀ბა და სიგელი ესე“) წინ (გვ. 7), — ყველა ასეთ ადგილას :— ნიშანია დასმული. მაგრამ, თუ როგორ და რამდენ ნაწილადა ჰყოფენ ჩვეულებრივ თვით მეფეთა სიგლებს ქართველი მწიგნობარნი ძველად, ამის საუკეთესო ნიმუშადა და მაჩვენებლად უნდა თამარ მეფის 1202 წ. და გიორგი მეფის საბუთები ჩაითვალოს.

არც ერთს მათ გამომცემელთაგანს, არც თ. ჟორდანიასა და არც ს. კაკაბაძეს ამ სიგლების განკვეთილობის ნიშნებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, თუმცა თავიანთ გამოცემაში :— ნიშანი თავთავის ადგილას დაუბეჭდიათ, როგორც დედანშია. სამწუხაროდ, ორივე საბუთის ეტრატი დაზიანებულია და მეფის წოდებულობის სწორედ იმ ადგილას, სადაც პირველად :—ნიშანია მოსალოდნელი და გიორგი III-ის სიგელში ზის კიდეც, ტექსტს აკლია. აღსანიშნავია, რომ თ. ჟორდანიას 1896 წ. გამოსულ შიომღვიმის ისტორიულ საბუთებში გიორგი მეფის სიგლის ამ ადგილასაც განკვეთილობის ნიშანი :—დაბეჭდილი აქვს (იხ. გვ. 13_4), ტექსტის დაზიანებულობის ნიშანი კი შემდეგ არის დასმული. ს. კაკაბაძის 1912 წ. დაბეჭდილს წიგნში „შიომღვიმის სამი სიგელი“ ამავე ადგილას ნიშნად მხოლოდ ორი წერტილი : ზის (გვ. 11_4). ბოლოში დართულ ცინკოგრაფიულ სურათზე არაფერი გაირჩევა და ამის გამო ძნელი სათქმელია ამ ნიშანს ხაზი — საბუთის დაზიანების დროს ჩამოეცალა, თუ ახლაც მოსჩანს. თამარ მეფისა და გიორგი მეფის ზემოაღნიშნული სიგელების ყველა დანარჩენი ნაწილის ბოლოში, როგორც გიორგი III-ის 1171 წ. სიგელშია, ყველგან იქაც :—არის აღნიშნული (ს. კაკ. შიომღვ. სამი სიგ. 8:8 და 11:7, 11:14, 8:5,7,8 და 12:2,3,4 = თ. ჟორდ. შიომღვ. საბ. 26_9 და 14_1, $26_{26,28}$). მხოლოდ თამარ მეფის სიგელში ორთავე გამოცემისდა თანახმად „აწ ვინცა ჰნახოთ“-ის წინ მოსალოდნელი :—ნიშნის მაგიერ ორი წერტილია : აღნიშნული (იქვე, ს. კაკ. 8_1 = თ. ჟორდ. 26_{22}). მერმინდელი, სრულიადი საქართველოს დაყოფის ხანის სიგელთმცოდნეოჱისა და საბუთების შეწყობილობის შესასწავლად საყურადღებოა სვიმონ მეფის 1590 წ. სიგელი და ბრძანება სამეკობრეთმძებნელო სამართლის შესახებ, რომელშიაც თავისებური განკვეთილობის ნიშანი ყოფილა ნახმარი. იქ თურმე ჩვეულებრივ „ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. ზოგჯერ წერტილების შემდეგ პირდაპირი ხაზია ჩასმული (:|), ასეთი ხაზი უმეტეს შემთხვევაში იქ იხმარება, სადაც ახალი სტრიქონი არის აზრით საჭირო“-ო (ს῀ქს სძ῀ვლნი II, 23). სამწუხაროდ, ამ ძეგლის გამომცემელს, ე. თაყაიშვილს, ეს ნიშნები არ დაუცავს, და ამის გამო ძნელი სათქმელია, დაკავშირებულია თუ არა ეს ნიშანი სიგელის შეწყობილობასთან, თუ მისი ხმარება ლოღიკურ-გრამატიკულ საფუძველზეა დამყარებული?

ზემოაღნიშნულ სამი სიგლის განკვეთილობის ნიშნების მიხედვით მაშასადამე ირკვევა, რომ ძველი ქართული სამდივანმწიგნობრო ხელოვნებისა და თეორიისდა თანახმად საკუთრივ საბუთები სულ ცოტა 6 ნაწილისაგან შედგებოდენ.

როგორც ზევით უკვე გამორკვეული გვქონდა, სიგლის ერთ ნაწილს ეწოდებოდა „კრულობითი მოწმობანი“.

ქართული სამღვიანმწიგნობრო ხელოვნებისა და სიგელ-გუჯრების შემადგენელი ნაწილების ტერმინების შესასწავლად ღვთაების 1722 წ. გუჯარს აქვს მნიშვნელობა. ეს უშველებელი საბუთი თავებად არის დაყოფილი, რომელთაგან თვითეულს განსაკუთრებული შინაარსი და სათაური აქვს. თავებს ამ გუჯარში „კარი" ეწოდება. იქ სახელდობრ შემდეგი კარებია: „კარი პირველი მურასად მეტყუელებისა ღ̃თებისა გუჯარად წოდებულისა წიგნისა შესავალი" (ს. კაკაბაძის ისტ. საბ. I, 3).

„კარი მეორე ღ̃თისა ქებათა და დიდებათა მეტყუელებისა ღ̃თებისა გუჯარად ჴმობილისა წიგნისა დასაწყისი" (გვ. 4).

„კარი მესამე ამა წიგნისა ცათა და ქვეყანისა ღ̃თისა მიერ დაბადებისა და კუალად მის მიერ მათთა ქცეულებათა მეტყუელება არა წმინდათა რჯულიერთა სჯულისა მთავართა სიბრძნითა ნაბრძანები, არამედ ფილასოფოსთა ჭკუის მიერ გამოცნობითა თქმული და მუნ ღ̃თისა ქებად და დიდებად წარეტყუილი" (გვ. 6).

„კარი მეოთხე დიდისა და მაღლის ჴელმწიფისა და შვიდთავე საქართველოთა მპყრობელისა და გვარად ხოსროვანისა მეფე ვახტანგ გორგასლანისა მიერ მარტყოფს ღვთაების საყდრისა აღგებათა მიზეზისა და მისთა აღშენებათა და შეწირულებათა ვითარებისა და სამიტრაპოლიტოდ გაგებისა და მისავე ეპისკოპოზისა რუსთველად წოდებისა ამა წიგნსა შიგან მზობა ღ̃თისა ქებად და დიდებად წარეტყუილი" (გვ. 15—16).

„კარი მეხუთე გვარისა და აღზრდილობისა ჩვენისათვის ბედნიერისა, დიდისა და მაღლისა მეფეთ-მეფეთა და ჴელმწიფეთ-ჴელმწიფეთა და ყოველ სულტანთა სულტნისა სრულიად ერანისა მპყრობელ-მქონებელისა ერანის ჴელმწიფისა და სრულიად ერანელთა საუფლოთა ზედან მფლობელისა გამზრდელისა ჩვენისა, — და დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მონისა მისისა და ყოველთავე შვიდთავე საქართველოთა მეფეთა მეპატრონეთა მადლმან ღ̃თისამან უმეტესად უმჯობესისა და უზეშთეესად (sic) წარჩინებულისა მეფეთ-მეფისა ქართლისა და კახეთისა უფლისა და ერანისა ყულარაღასისა ჴელმწიფისა მამისა ჩვენისა ქებათა და დიდებულებათა თქმულება ჩვენდა მეფობისა და სახელისა ქებითა და დიდებითა ჴსენებად ღ̃თისა ქებად და დიდებათ წართქმული" (გვ. 17) და სხვა.

ზემოაღნიშნულს გარდა უეჭველია სიგელ-გუჯრების დანარჩენ ნაწილებსაც თავთავიანთი საკუთარი სახელები ექმნებოდათ და ქართული, როგორც სამართლის წყაროებისა, ისევე სამღვიანმწიგნობრო ხელოვნების შესასწავლად და ქართულ დიპლომატიკისათვის მკვიდრი საძირკვლის ჩასაყრელად მათ გამორკვევას მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ ჯერჯერობით საამისო ცნობები ცოტაა ქართული საისტორიო და სხვაგვარ ძეგლებში. ქართული სიგელების შეწყობილობის ნაწილების სახელების გამოსარკვევად სხვადასხვა საბუთებში გაფანტულს გარდა მნიშვნელობა აქვს ქვათახევის მონასტრის 1703 წ. ერთიანს გუჯარს (მოამბე, 1903, № IX), ღვთაების 1722 წ. დავით მეფის გუჯარსა (ისტ. საბ. I) და აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის კათალიკოსის გრიგოლის 1733 წ. გუჯარს, რომელიც ნიკოლოზ რუსთველის ხელით ყოფილა დაწერილი (ს. კაკ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. Monumenta Georgica. V. Diplomata № 1 წიგნი I, გვ. 131)[illegible].

§ 2. სიგლის ნაწილები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები

I. სიგლის თავი

საბუთის დასაწყისს „თ ა ვ ი" რქმევია. ჟამთააღმწერელის სიტყვით მონღოლთა ყაანების იარლაყები ასე იწყებოდა „წიგნისა თავსა ესრეთ დამწერელნი «მანქუ თენგრი ქუჩუნდურ» ესე არს «უკუდავისა ღ̃თისა ძალითა»-ო (*732—733, გვ. 552). იმავე ავტორის ცნობით ლაშა გიორგისა და რუსუდანის ძეთა საბუთებში „სიგლისა თავსა სწერია «მეფენი ბაგრატოვანნი და ნებითა ღ̃თისათა დავით და დავით»-ო (*809 გვ. 652).

როგორც ჟამთააღმწერელის ამ სიტყვებითგან ირკვევა საბუთის იმ მთელს ნაწილს, რომელიც მეფის წოდებულებასაც შეიცავდა და ამ წოდებულებით თავდებოდა, „ს ი გ ლ ი ს თ ა ვ ი" რქმევია. ეს ნაწილი რომ მართლაც საბუთის მთლიან ერთეულად ითვლებოდა, ამას ქართული სიგლების ზემომოყვანილი განკვეთილობის ნიშნებიც ცხადყოფენ. სწორედ მეფის წოდებულების ბოლოს :—ნიშანი ზის და ეს იმის მომასწავებელია, რომ აქ თავდებოდა საბუთის პირველი ნაწილი.

მაშასადამე, ქართულ საისტორიო მწერლობაში უკვე ძველად აკვირდებოდნენ, თუ საბუთების, სიგლებისა და სხვაგვარ „წიგნთა თავსა" რა ეწერა ხოლმე. ქართველ მონღოლთა დროინდელ ჟამთააღმწერელს ზემომოყვანილ ცნობაში მოხსენებული აქვს კიდეც ულუ და ნარინ დავითების სიგლის თავის სიტყვები, მაგრამ ეს მხოლოდ ორი მეფისა და XIII ს. შუახანის საბუთებს ისიც მეტად მოკლედ ახასიათებს. აქ ეს საკითხი მთელი თავის სიგრძე-სიფართოვით უნდა იყოს განხილული.

სამწუხაროდ, ბაგრატ IV დროინდელი ორივე სიგელი სწორედ თავშია დაზიანებული და მათი დასაწყისის აღდგენა სრულებით შეუძლებელია. გიორგი II-ის 1072 წ. სიგელსაც თავში აკლია და დასაწყისი არც აქ არის მთლიანად დაცული, მაგრამ დანაკლისის აღდგენა ამავე მეფის მეორე 1082 წ. სრულად შენახული სიგლისდა მიხედვით შეიძლება. ეს უკანასკნელი საბუთი ასე იწყება: „სახელითა ღმრთისაითა. ესე ბრძანებაი ჩემი არს, გიორგი ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელისაი" (შიომღვ. საბ. 13)[31]. ხოლო 1072 წ. დაზიანებული სიგელი თავში ასე იკითხება: „ქ. მე, გიორგი ბაგრატუნიანმან, ნებ[ითა ღმრთისაითა.....* მეფემან,|ძემან სულკურთხეულისა მეფისა|ბაგრატისამან, და]ვწერე და მოვაჴსენე სიგელი ესე"-ო (იქვე 10). დავით აღმაშენებელის (?) სიგელში ასე სწერია: „ქ: სახელითა ღმრთისაითა. დავითისაგან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა" (იქვე 21). რადგან ამ საბუთის პირი მოიპოვება მხოლოდ, ამიტომ მისი ზოგიერთი სხვებრობა და სიმოკლე შეიძლება პირის გადმომღების ბრალი იყოს[32]. გიორგი III-ის 1170 წ. სიგლის თავს ნათქვამია: „ქ. სახელითა ღმრთისაითა. გიორგისაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა, შარვანშა და შა-

---

* თ. ჟორდანიას აღდგენილი აქვს „აფხაზთა და ქართველთა", მაგრამ რაკი მას დაზიანებული ადგილის სიგრძე აღნიშნული არა აქვს, ძნელი სათქმელია, მართლა ასე უნდა იყოს აღდგენილი, თუ როგორც 1082 წ. სიგელში წერია.

ჰანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელისაი:—“ (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 2). თამარ მეფის 1189 წ. სიგელში ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაითა. მე, თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაითა, აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელმან“-ო (ქ˝კბი II, 73). 1202 წ. მისავე, ცოტა დაზიანებულს, სიგელს თავში უწერია :„... [სახელ]ითა ღმრთისაითა. [ესე ჩემ, თამა]რისგან ბაგრატუნიანისა, ნებ[ითა ღმრთისაითა აფხაზთა] და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მ[პყრობელისა]“ (შიომღვ. საბ. 26). ნარინ დავითის 1266—1268 წწ. სიგელში ასე იკითხება: „სახელითა ღმრთი[საითა. დავითის]გან ბაგრატუნიანისა, რუსუდანის ძისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 6). ხოლო იმავე მეფის მეორე 1267—1288 წწ. ს. საბანელას შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაითა. ჩუენ, დავით ბაგრატუნიანმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა რუსუდანისმან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან“-ო (ქ˝კბი II, 159).

ზემომოყვანილი მაგალითებითგანა ჩანს, რომ სიგლების დასაწყისი ნაწილი XI—XIII სს-ში საერთოდ თითქმის უცვლელი დარჩენილა.

სიგლის მთელს იმ ნაწილს, რომელიც მეფის წოდებულებით თავდებოდა, როგორც დავრწმუნდით, „სიგლის თავი“ ეწოდებოდა ძველად და ახლაც ამ ნაწილის მთლიანად აღმნიშვნელ ტერმინად უნდა იგივე სახელი ვიხმაროთ. მაგრამ სიგლის თავი მრავალნაკვეთიანი ერთეული იყო, რომელთაგანს თვითეულს ნაკვეთს თავისი დანიშნულება ჰქონდა და უეჭველია თავისი შესაფერისი განსაკუთრებული სახელიც ექნებოდა. ამ ტერმინების გამორკვევაა საჭირო, რადგან იმას გარდა, რომ ამის ცოდნა თვით ძველი საბუთების გასაგებად არის საჭირო, ამას მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სამეცნიერო დიპლომატიკისათვისაც აქვს და თანამედროვე ტერმინოლოგიისათვისაც დაგვჭირდება.

სიგლის თავის შემადგენელი ნაკვეთები

სიგლის თავი XI—XIII სს. სამი-ოთხი მთავარი ნაკვეთისაგან შედგებოდა. პირველი ნაკვეთი „სახელითა ღმრთისაითა“ ღვთის ხსენებას შეიცავს. მეორე — სიგელის მომცემის პიროვნების შესახებს ცნობას: „ესე ბრძანებაი ჩემი არს გიორგი ბაგრატუნიანისა“, — „მე გიორგი ბაგრატუნიანმან, ძემან... მეფისა ბაგრატისმან“, — „დავითისგან“, — „გიორგისგან ბაგრატუნიანისა“, — „მე თამარ ბაგრატუნიანმან“, — „ჩემ თამარისგან ბაგრატუნიანისა“, — „დავითისგან ბაგრატუნიანისა“, — „ჩუენ დავით ბაგრატუნიანმან“. ამ ცნობაში ყველგან ერთს გარდა, რომელიც უდედნობის გამო შესაძლებელია და საფიქრებელი რომ გადამწერისაგან დამახინჯებული უნდა იყოს, მეფის სახელთან ერთად გვარიც იხსენიება, ხოლო თვით ცნობა ხან მოსაუბრის პირითა და ხან სასაუბროთი წერია, — ან ჩვენ ან მეობით იწყება, ხან კიდევ აღნიშნულია, თუ ვისი ან, ვის-

გან არის მოცემული სიგელი, — „ჩემ... გიორგი ბაგრატუნიანისა“, „დავითისგან“, „გიორგისგან“, „თამარისგან“. ერთსა და იმავე მეფეს ასეც აქვს დაწერილი და ისეც.

მესამე შემადგენელ ნაკვეთს სიგლის მომცემის ვინაობის შესახები ცნობა შეადგენს. მეფეთა ნაბოძებს საბუთებში ეს ნაკვეთი ჩვეულებრივ მეფის წოდებულობას შეიცავს ხოლმე. გიორგი III-ის 1170 წ. სიგელს გარდა დანარჩენ მეფეთა ყველა საბუთში მეფის წოდებულება სრულს იგივეობას წარმოადგენს და ჯერ ღვთისნებითობით იწყება, ხოლო შემდეგ საქართველოს გვირგვინოსნის უფლების ისტორიული განვითარების გამოხატულებაა. ნებითა ღ῀თისაითა აფხაზთა[33] და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაი (ან მეფემან), შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელისაი (ან თუითმპყრობელმან, ანდა ფლობით მპყრობელისა). გიორგი III-ის სიგელში მეფის წოდებულების უკანასკნელი ნაწილი შეცვლილია და ჩვეულებრივი გამონათქვამის მაგიერ წერია: „აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელისაი“ (ს῀ქს სძ῀ვლნი IV, 2).

სიგელში მიღებული საქართველოს მეფეთა მეფის სრული წოდებულება სამი ნაკვეთისაგან შესდგება: პირველი ქართული იყო და მეფური უფლების, „მეფობის“ მფლობელობის შემადგენლობის გამომხატველი განვითარების ისტორიული თანდათანობით („აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“), — მეორე ნაკვეთი საქართველოს მეფის მიერ „შაჰობის“ („შარვანშა და შაჰანშა“) მქონებლობის გამომხატველია, ხოლო ორივე ნაკვეთი სწორედ იმას უნდა გამოჰხატავდეს, რასაც თამარ მეფის ისტორიკოსი „მეფობისა და სულტნობისა ერთად მქონებლობას“ და „შარვანშას ყმად ყოლას“ უწოდებდა (ისტ῀რნი და აზ῀მნი *677, გვ. 170).

წოდებულების მესამე ნაკვეთი საზღვრების საზოგადო ხასიათისაა და საქართველოს მეფის მფლობელ-მპყრობელობის საერთო მოხაზულობის შესახებ ცნობას შეიცავს („ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“ და ამის მსგავსად).

სიგლის თავის შემადგენელი ნაკვეთების აღმნიშვნელი ტერმინების გამორკვევა ისეთი ადვილი საქმე არ არის, რათგან საბუთების ეს ნაწილი, ვითარცა შინაარსით მეორეხარისხოვანი, საისტორიო თხზულებებში არსად არის დახასიათებული და საზოგადოდ არც იხსენიება. ამიტომ მათი სახელების მოძებნა თვით სიგელ-გუჯრებშივე შეიძლება მხოლოდ, მეტადრე იმ დროის საბუთებში, როდესაც ამ ნაწილს უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდენ და მეტი გულმოდგინეობითაც წერდენ ხოლმე[34].

ა) 1. ნაკვეთი: ქანწილი

მთლიანობისდა მიუხედავად სიგლის თავი რთული შემადგენლობისა იყო და, როგორც დავრწმუნდით, ოთხი ნაკვეთისაგან შესდგებოდა. ჯერ დასმული იყო ხოლმე „ქ“*, რომლითაც იწყებოდა ხოლმე თითქმის ყოველი ქართული წერილობითი ძეგლი და რომელიც „ქრისტე“-ს უნდა ნიშნავდეს. როგორც პალეოგრაფიაში გამორკვეული იყო, ამ ნიშანს ქართულ ძველ მწერლობაში ან

* ორიოდე შემთხვევაა, როდესაც საბუთი უამისოდ იწყება პირდაპირ „სახელითა ღ῀თისაჲთა“-თი, მაგრამ ეს საზოგადო სურათს არ ცვლის და ჯერ გამოსარკვევია.

„ქანწილი“, ანდა „წილქანი“ ეწოდებოდა და ახლაც შეიძლება ესევე ტერმინი მივიღოთ.

ქანწილს უძველეს საბუთებში მეორე ნაკვეთად მისდევს ხოლმე „სახელითა ღ̃თისაჲთა“, ხოლო შემდეგ იწყება მესამე და მეოთხე ნაკვეთი საბუთის მიმცემის პიროვნებისა და ვინაობის შესახები ცნობების შემცველი.

ხ) ბ. ნაკვეთი: ვედრება, ქებულება, დიდებისმეტყველება

მეორე ნაკვეთის ნიშანდობლივი ტერმინის გამოსარკვევად უნდა მისი სხვადასხვანაირი და -დროინდელი გამოხატულება შევისწავლოთ, რადგან ამ ნაკვეთის შინაარსსა და გარეგან მხარეს საბუთების მერმინდელი შემდგენელნი და მამცემნი წინანდელზე უფრო მეტს ყურადღებას აქცევდენ.

უძველესი დროის საბუთთაგან ამ საკითხისათვის მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. შეწირულობის სიგელია საგულისხმო, რომელშიაც ქანწილს ჩვეულებრივზე უფრო ვრცელი მეორე ნაკვეთი მისდევს, და ასე იკითხება: „სახელითა ყოვლად სახიერისა ღ̃თისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღ̃თის მშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწევნითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისაჲთა ესე დაწერილი მოვაჴსენე“-ო (ქ̃კბი II 31). ამაზე უფრო გრძელი, მაგრამ მსგავსივე მეორე ნაკვეთი აქვს სიგლის თავს მიქელ მემღვიმის ცხირეთ-ცხევერ-გავაზელთა ფავნელ-ტბელთაგან მონასყიდობის წიგნში, რომელიც თუმცა IX—X სს. ეკუთვნის და გიორგი III-ის 1170 წ. სიგელშიც იხსენიება, მაგრამ რომლის ენა უეჭველია გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს.

იმის გამოსარკვევად, თუ რა უნდა რქმეოდა ძველად სიგლის თავის ამ მეორე ნაკვეთს, საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება ალექსანდრე მეფის 1419—1420 წწ. შეწირულობის წიგნში, რომელიც თავში დაზიანებულია და მხოლოდ შემდეგი სიტყვებით იწყება: „დედა ექმენ ევას, დედაო და ქალწულად მშობელო ემმანუელისაო“, რაც ცხადია ღვთისმშობელს ეხება. მერმე ნათქვამია: „ჩუენდა ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართებელო მეფობისა ჩუენისაო, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორფირისა და გუირგუინისა ჩუენისაო ყ̃დ წ̃ო და ყოვლად საშინელო მეტეხთა და ხახულისა და ვარძიისა ღ̃თისმშობელო, მეოხებითა და შუამდგომლობითა თქუენითა მვედრებელმან და მსასოებელმან ძისა თქუენისამან და მონდობილმან ცვაფარვათა თქუენთამან“-ო (ისტ. საბ. III, 10—11). ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ მთელი საბუთის წინა ნაწილი „ვედრება“ ყოფილა. მაგრამ აქეთგანვე ცხადი ხდება, რომ ეს „ვედრება“ „მეოხება ღვთისმშობლის შუამდგომლობითა“ ყოფილა გაძლიერებული. მაშასადამე, ვედრება ორგვარი სცოდნიათ ან უშუალო, ან შუამდგომლობა-მეოხებითა. ვედრება აღვლენილი იყო ხოლმე ღვთაებისადმი და ზემომოყვანილი მაგალითებითგანა ჩანს, რომ ქართული სამდივანმწიგნობრო ხელოვნებაშიც მიღებული ყოფილა ან მარტივად ღმერთის ვედრება ან სამებისა.

სიგლის თავის მეორე ნაკვეთის შემადგენლობა დროთა განმავლობაში დიდდებოდა და რთულდებოდა. ამ ახალ მომატებულ ნაწილებსაც, რასაკვირველია, თავისი საკუთარი სახელები უნდა ჰქონოდა და ჰქონია კიდეც. როგორც ამ თვალსაზრისით, ისევე მეორე ნაკვეთის შემადგენლობის გართულების საკი-

თხის შესასწავლად საყურადღებოა გიორგი მეფის 1449 წ. მცხეთის ქადაგის მაღალაძის ხელით დაწერილი სიგელი. ამ საბუთის სიგლის თავის მეორე ნაკვეთი სულ სხვანაირად არის შედგენილი. ქანწილს პირდაპირ ღმერთისა და სამების ვრცელი ვედრება მისდევს: „პირველითგან მყოფო ღმერთო და მარადის თანაარსო და არსებითო ძეო და სიტყუაო მამისაო, უწინარესო ჟამთაო, ღმერთო მამაო, ღ̃თო ძეო და ღ̃თო სულო წმიდაო, არჲამნო ღ̃თნო, არამედ პირებითა განყოფილო, ბუნებით შეყოფილო და ღ̃თეებ განუყოფელო ერთო ღ̃თო, რომელი აღსასრულსა ჟამთასა მოხუედ შემოსად თბისა ადამიანისა, განჰკაცენ და იშევ“ და სხვა ამგვარივე. ეს „ვედრება“ თავდება სიტყვებით „და ურწმუნონი მორწმუნე გუყვენ“ (ისტ. საბ. III, 29). ამ ვედრებას ახალი ნაკვეთი მისდევს, რომელიც სამნაკვეთიანია. თვითეული მათგანი ერთი და იმავე შორისდებულ „ეჰა“-თი იწყება. ხოლო სულ ბოლოში ნათქვამია: „და ვინმე მიუთხრას ანუ სასმენელ ყვნეს ქებულებანი შენნი“-ო (იქვე, 30). უკანასკნელი სიტყვებითგან მაშასადამე ირკვევა, რომ ამ ნაკვეთის ტერმინად „ქ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი“ ყოფილა. გიორგი მეფის ზემოხსენებულ სიგელში პირველი ქებულება იესო ქრისტეს ეხება და იწყება სიტყვებით „ეჰა სახიერებასა შენსა“ (იქვე, 29), მეორე კათოლიკე ეკლესიას „ეჰა საყდარო კათოლიკე ეკლესიაო“ (იქვე, 30), მესამე კიდევ სვეტი ცხოველს „ეჰა სუეტო ღ̃თივ დიდებულო... სიქადულო ქართველთა ნათესავისაო“ (იქვე). ალექსანდრე მეფის 1413 წ. დემეტრე მარკოზისშვილის ხელით ნაწერი სიგელიც სიგლის თავის მეორე ნაკვეთის გართულებული შემადგენლობის ტერმინოლოგიის შესასწავლად საყურადღებო მასალას გვაწვდის. ეს საბუთი თუმცა თავში დაზიანებულია, მაგრამ შერჩენილ ნაწილთგანა ჩანს, რომ ჯერ ვედრება ყოფილა მეოხებაშუამდგომლობითურთ, შემდეგ ნათქვამია: „ეჰა, რომელი ჯერმჩინებელი ხარ წყალობისა, მე, მონდობილმან და მსასოებელმან წყალობისა თქუენისამან“-ო (ისტ. საბ.- III, 7—8). ცოტა ქვეით კი წერია: „რაოდენი ქება, მადლობა და დიდებისმეტყუელება შევსწიროთ თქვენდა“-ო (იქვე). ამგვარად ალექსანდრე მეფის ზემოხსენებულ საბუთითგანაც ირკვევა, რომ სიგლის თავის მეორე ნაკვეთის ერთ-ერთს ვედრების მიმდევნო შემადგენელს მუხლს სახელებად რქმევია: „ქება“, რაც იგივე „ქებულება“-ა რასაკვირველია, „მადლობა“ და „დიდებისმეტყუელება“. „ქებაჲ“-ვე ეწოდება ამ ნაკვეთს გრიგოლ აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის კათალიკოსის 1733 წ. ნიკოლოზ რუსთველის ხელით დაწერილს გუჯარში. იქ სახელდობრ ნათქვამია: „ქებაჲ ღ̃სა ოთხი მუხლი“ (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები ს. კაკაბაძის გამ. იხ. Monumenta Georgica. V. Diplomata № 1, წიგნი I, გვ. 131-132). მაშასადამე, ქებულება მუხლებად იყოფებოდა ხოლმე და თუ ამ საბუთში ოთხი მუხლი ჰქონია ქებულებას, გიორგი მეფის 1449 წ. სიგელში ქებულება სამმუხლედი ყოფილა.

დასასრულ, ქართული სამდივანმწიგნობრო ხელოვნებისა და სიგელ-გუჯრების ნაწილებისათვის მიღებული ძველი ტერმინების გამოსარკვევად ღვთაების 1722 წ. თვით დავით მეფის ხელით დაწერილს გუჯარსა აქვს მნიშვნელობა. მუხლებად დაყოფის მაგიერ ეს უშველებელი საბუთი უკვე თავებად არის დაყოფილი, რომელთაგანს თვითოეულს განსაკუთრებული შინაარსი და სათაური აქვს. თავებს ამ გუჯარში „კარი“ ეწოდება. აქაც ნათქვამია, რომ ამ თავებში ქება დიდებათამეტყუელებაა, მაგ., იქა წერია: „კარი პირველი მუ-

რასად მეტყუელებისა ღ̃თებისა" (ისტ. საბ. I, 3), „კარი მეორე ღ̃თისა ქე-ბათა და დიდებათა მეტყუელებისა" (იქვე I, 4).

ყველა ზემომოყვანილ მაგალითებისა და ცნობებითგან ცხადი ხდება მაშასადამე, რომ ქართულ სიგელ-გუჯრების თავის მეორე ნაკვეთის შემადგენელ მუხლების ტერმინებად „ვედრების" გარდა „ქება" ან „ქებულება" და „დიდებისმეტყუელება", ან „დიდებათამეტყუელება" ყოფილა მიღებული. თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაშიაც ქებულება და დიდებისმეტყველება უნდა შემოვიღოთ სახმარებლად.

ზოგჯერ სიგლისთავის მეორე ნაკვეთი ერთმუხლედი იყო და მარტო ვედრებას შეიცავდა, ზოგჯერ ორ და სამმუხლედი და ქებულება დიდებათამეტყველებაცა ჰქონდა ხოლმე.

c) 3. ნაკვეთი: სახელდება

სიგლისთავის მესამე შემადგენელ ნაკვეთს როგორც დავრწმუნდით, საბუთის მომცემის პიროვნების შესახები ცნობების შემცველი ნაკვეთი შეადგენდა. ამგვარი ნაკვეთის გასწვრივ კიდეზე ქვათახევის მონასტრის 1703 წ. სიგელგუჯარში აღნიშნულია „სახელი შემწირველისა" (გვ. 7). ვისიმე სახელის დასახელებას ძველ ქართულ მწერლობაში „სახელდებას" ეძახდენ და ახლაც იგივე ტერმინი უნდა ვიხმაროთ.

d) 4. ნაკვეთი: წოდებულება

მეოთხე და უკანასკნელ ნაკვეთად საბუთის მიმცემის ვინაობის შემცველი ცნობა იყო. მეფის სიგელ-გუჯრებში იგი მეფის წოდებულებას შეიცავდა და იგივე სიტყვა უნდა ვიხმაროთ ტერმინად თანამედროვე სამეცნიერო კვლევაძიებაში.

ს ი გ ლ ი ს თ ა ვ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ ი დ ა დ ა ს ა წ ყ ი ს ი

აღსანიშნავია, რომ კარებად დაყოფილი ღვთაების 1722 წ. გუჯარი საბუთის, ანუ სიგლის თავის სხვაგვარი დანაწილებისათვის მაშინ მწერლობაში მიღებულ ტერმინებსაც შეიცავს. ეს ცნობები პირველი ორი კარის სათაურშია შეტანილი. იქ სახელდობრ ნათქვამია: „კარი პირველი... წიგნისა შესავალი" (ისტ. საბ. I, 3). „კარი მეორე... წიგნისა დასაწყისი" (გვ. 4). აქ ჩვენთვის შემდეგი გარემოებაა საყურადღებო: ცხადი ხდება, რომ საბუთის ან სიგლის თავის უწინარეს ნაკვეთს „შ ე ს ა ვ ა ლ ი", ხოლო მის მიმდევნოს „დ ა ს ა წ ყ ი ს ი" რქმევია. ღვთაების 1722 წ. გუჯრის მიხედვით ძნელი სათქმელია, რით განსხვავდებოდა შინაარსით ამ შემთხვევაში სიგლის, ანუ გუჯრის შესავალი დასაწყისისაგან. მაგრამ თუ უძველეს სიგლებს ავიღებთ, იქ სიგლის შესავალად ვგონებ ქანწილი და ვედრება-ქებულება უნდა ჩაითვალოს, სიგლის დასაწყისად კი სახელდება-წოდებულება იქნეს მიჩნეული.

ზემომოყვანილი ვრცელი განხილვა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიგლის თავი შინაარსისდა მიხედვით ორად იყოფებოდა, სიგლის შესავალად და სიგლის დასაწყისად, ხოლო აგებულებით ოთხი ნაკვეთისაგან შესდგებო-

და — ქანწილისა, ვედრებისა ან ორ-სამ მუხლედ ვედრება-ქებულება-დიდებათმეტყველების ნაკვეთისაგან და სახელდებისა და წოდებულებისაგან.

II. სიგლის მეორე ნაწილი. თხრობა ჰაჯა-მოხსენებითურთ

წოდებულობით თავდებოდა სიგლის თავი და შემდეგ საბუთის ახალი, მეორე ნაწილი იწყებოდა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამ ადგილას დასმული :—განკვეთილობის ნიშანიც ამ გარემოებას ცხადყოფს. სიგლის ის ნაწილი, რომელიც აქეთგან იწყებოდა, მეორე ნაწილია. იგი ჩვეულებრივ იწყებოდა ხოლმე სიტყვებით „მოვიდეს ჩუენ წინაშე" და თავდებოდა იქ, სადაც ეწერა „ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოჴსენებაი", რომლითაც უკვე სიგლის მესამე ნაწილი იწყებოდა. მაგრამ თუ საბუთი ჰაჯა-მოხსენების შედეგი არ იყო, არამედ მეფე, თუ სხვა პატრონი თავისი პირადი სურვილის გამო აძლევდა რამეს თავის ყმას, თუ თანასწორს, მაშინ საბუთის ეს მეორე ნაწილი სულ სხვანაირად იწყებოდა ხოლმე და ჩვეულებრივისაგან განსხვავებული წესით იწერებოდა კიდეც. მბოძებელის წოდებულება-სახელდებას ასეთ შემთხვევებში მისდევდა ხოლმე „ესე წყალობისა (ან სხვა სიგლის თვისებისა და შინაარსის შესაფერისი ტერმინი იყო ხოლმე დასმული) სიგელი და წიგნი (ან წიგნი და სიგელი, ან უფრო ვრცლად „მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი", ან კიდევ „საბოლოოდ გასათავებელი სიგელი", ანდა „უთუო და უთუმცაო წიგნი და სიგელი" და ამის მსგავსადვე სხვანაირადაც) გიბოძეთ თქუენ". შემდეგ აღნიშნული იყო იმ პირის სახელდება, ვისაც საბუთი ეძლეოდა, ამასთანავე ხშირად მისი ვინაობა და ღვაწლიც იყო ხოლმე მოხსენებული, — მერმე თვით წყალობისა თუ სხვა ნაქმნარის შინაარსი მოსდევდა. ჯერ მეფეთა სიგლებისათვის ჩვეულებრივს, ჰაჯაზე დამყარებულს საბუთის მეორე ნაწილს განვიხილავთ..

იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთი მეფისაგან მთხოვნელის ვედრების გამო იყო ნაბოძები, საბუთში ეს გარემოება და თვით თხოვნაც მოყვანილი იყო ხოლმე, მაგ., გიორგი მეფეს ნათქვამი აქვს: „მოგუაჴსენა... იოანე ქართლისა მთავარეპისკოპოსმან უდაბნოისა მღუიმისა სოფლისა აგარისა საქმე და გუეჰაჯა, რომელი ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედა ედვა ფუძესა ზედა, რათამცა იგი გაუშუით სალოცველად მეფობისა ჩუენისად: ვისმინეთ მოჴსენებაი ჰაჯაი მისი" და სხვა (1082 წ. გიორგი II-ის სიგ. შიომღვ. საბ. 14)[35]. თამარ მეფეც თავის 1202 წ. სიგელში ამბობს: „მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჰყონდიდელი... და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა რაითამცა... იგი გლეხი სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად სულისა მისისათჳს მას მიუბოძეთ: დაგუაჯერა ღ̃ნ და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი მისი"-ო (შიომღვ. საბ. 26). მეფე დავითს, რუსუდანის ძესაც 1266—1268 წწ. სიგელში ასევე უწერია: „მოვიდეს ჩუენ წინაშე ხეფინისჴეველნი... და გუეჰაჯნეს, რაითამცა შევიწყალენით და სიგლითა ამით ჩუენცა დაუმტკიცეთ და შეუვალ ვქენით"... „დაგუაჯერა ღ̃ნ და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი ხეფინისჴეველთაი" (ს̃ქს სძ̃ვლნი II, 6). გიორგი მეფეც 1463 წ. პიტაკში ამბობს: „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერთგულნი და ძალისაებრ თავდადებით ნამსახურნი ჯავახისშვილნი ზაქარია, კახა და ზაზა, გუეაჯნეს რაითამცა ნამსახურთა მათა მუქაფა გუეყო. ვისმინეთ აჯა და მოჴსენება მათი და მიუბოძეთ"-ო (ს̃ქს სძ̃ვლნი II, 19). ყველა ამ შემთხვევაში

ჯერ საქმის გარემოებაა მოთხრობილი, შემდეგ თხოვნის შინაარსია გადმოცემული.

სიგლის ამ მეორე ნაწილში ჩვეულებრივ მოთხრობილი იყო ხოლმე მოკლედ ის გარემოებაც, რომელმაც საბუთის მიმცემი ზნეობრივად აიძულა ჰაჯა-მოხსენება შეეწყნარებინა, ან უჰაჯოთაც თითონვე გადაეწყვიტა საბუთი დაეწერინებინა. ამგვარად სიგლის მეორე ნაწილი თავისდათავადაც და მეტადრე ჰაჯა-მოხსენების მოკლე შინაარსთან ერთად საქმის გარემოების მოთხრობას წარმოადგენს. რა სახელი ერქვა სიგლის ამ მეორე ნაწილს უძველეს დროს, არა ჩანს, მერმინდელი ხანისათვის კი ცნობები მოგვეპოვება. მაგ., ქვათახევის 1703 წ. სიგელ-გუჯარში ამ ნაწილის გასწვრივ კიდეზე წერია „მიზეზი შეწირველობისა“ (გვ. 7), ღვთაების 1722 წ. გუჯარში კი საქმის გარემოების მომთხრობელი ნაწილის აღსანიშნავად ტერმინი „მბობა“-ა ნახმარი. იქ წერია: „კარი მეოთხე.., მეფე ვახტანგ გორგასლანისა მიერ მარტყოფის... საყდრისა აღგებათა მიზეზისა და მისთა აღშენებათა და შეწირულებათა ვითარებისა და სამიტრაპოლიტოდ გაგებისა და მისავე ეპისკოპოზისა რუსთველად წოდებისა ამა წიგნსა შიგან მბობა“-ო (ისტ. საბ. I, 15—16).

მართლაც ამ ორსავე საბუთის თქმისა არ იყოს სიგლის ამ ნაწილში მართლაც საბუთის მბოძებელის მაიძულებელი გარემოების, ანუ მიზეზის მბობა იყო. რაკი ეს ტერმინი სიგლის მეორე ნაწილის შინაარსს ასე ნიშანდობლივ ახასიათებს, ამიტომ თანამედროვე მწერლობაშიაც შეიძლება იგივე ტერმინი „მბობა“, ან ძველ ქართულში უფრო ჩვეულებრივი ამისი შესატყვისობა „თხრობა“ მივიღოთ აღსანიშნავად.

უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ საბუთის მიცემულობის მიზეზის გამომჟღავნებელს „თხრობა“-ში ხშირად ჰაჯა-მოხსენების შინაარსიც იყო ხოლმე მოკლედ მოთხრობილი. ყველა საბუთითგანა ჩანს, რომ სიგლის მეორე ნაწილის ამ ნაკვეთს „მოჴსენებაი და ჰაჯაი“ ან წინაუკმო „ჰაჯაი და მოჴსენებაი“ ეწოდებოდა და ყოველთვის ამ ნაწილის შემდგომ ნათქვამია ხოლმე „ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი“. ამიტომ თანამედროვე მწერლობაშიაც მბობის, ანუ თხრობის ამ ნაკვეთის აღმნიშვნელ ტერმინად უნდა ჰაჯა-მოხსენება ვიხმაროთ.

III. სიგლის მესამე ნაწილი. განჩინება

სიგლის მეორე ნაწილს, თხრობას, ანუ მბობას ყოველთვის მეფისა, ანუ სხვა მწყალობელის გადაწყვეტილება მოსდევდა ხოლმე, რომლითაც მოაჯის თხოვნა, რასაკვირველია, თუ სიგელი ჰაჯის და თხოვნის შედეგი იყო, დაკმაყოფილებული იყო ხოლმე. აქეთგან, როგორც ეს განკვეთილობის ნიშნითაც მტკიცდება, სიგლის უკვე ახალი, მესამე ნაწილი იწყებოდა. სხვა ნაწილებივით, მესამე ნაწილი საბუთის შინაარსისა და თვისებისდა მიხედვით შეიძლება ერთიანი შედგენილობისაც ყოფილიყო, მრავალნაკვეთიანი აგებულება ჰქონდა.

უეჭველია ქართულ მდივანმწიგნობრობაში სიგლის იმ მესამე ნაწილსაც, რომელიც საბუთის არსებითს ნაწილს შეადგენდა და მეფის ან პატრონის გადაწყვეტილების აღნუსხვას შეიცავდა, თავისი საკუთარი სახელი უნდა ჰქონოდა. მართლაც სიგელ-გუჯრებში ჩვენ მოგვეპოვება ამის შესახებ ზოგიერთი ცნობები. უფრო ხშირად როგორც ეტყობა ამ ნაწილს ვითარცა გადაწყვეტი-

ლების და იმავე დროს ერთგვარ განკარგულების შემცველს ეწოდებოდა „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი“, მაგ. ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიომღვიმის შეწირულობის სიგელში სწერია „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... დაუმტკიცეთ“-ო და ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის ძე იოანეც ამბობს: „უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა“-ო (შიომღვ. საბ. 4). გიორგი II-საც 1072 წ. შიომღვიმის მამულების სიმტკიცისა და შეუვალობის განახლების წიგნში სწორედ ამგვარი სიტყვები უწერია (იქვე 12), ხოლო იგივე მეფე თავის 1082 წ. სიგელში პირდაპირ ამბობს: „ესე ბრძანებაი ჩემი არს გიორგი ბაგრატუნიანისა“-ო (იქვე 13), ხოლო შემდეგ იმგვარადვეა „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“ დაუმტკიცეთო (იქვე 14). ამისთანა მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, მაგრამ ესეც საკმაოა.

ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგელში და გიორგი მეფისავე 1082 წ. სიგელში მეორე ტერმინი „ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ი“-ც არის ნახმარი, „ნუ ვინ უშალავთ ბრძანებულსა [ა]მას და გაგებულსა ჩუენსა“-ო, „არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისაი“-ო (იქვე 4,14). ამგვარადვე სიტყვა-სიტყვით სწერია თამარ მეფის 1189 წლის გელათისადმი და 1202 წ. შიომღვიმისადმი ნაბოძებს სიგლებში (ქ˝კბი II, 73 და შიომღვ. საბ. 26).

მესამე ტერმინად „გ ა გ ე ბ უ ლ ი“ იხმარება საბუთებში. ბაგრატ მეფეს 1058 წ. შიომღვიმის სიგელში უწერია: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებულსა და გაგებულსა ჩუენსა“-ო (შიომღვ. საბ. 4). გიორგი II-ის 1072 წ. სიგელშიაც ნახმარია ეს ტერმინი: „ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას და გაგებულსა ჩუენსა“-ო (იქვე, 12). თამარ მეფეს გელათის სიგელშიც მაგ., ნათქვამი აქვს: „და თუ ვინმე იკადროს ამას ჩემსა გაგებულსა შეცვალებად... კრულმცა არს“-ო, ხოლო კათალიკოსი თევდორეც ამ საბუთის კრულობით მოწმობაში ამბობს „ვინ და რამანცა გუარმან კაცმან... ჴელ ყოს შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს“-ო (ქ˝კბი II, 73, 75). შიომღვიმის ლავრის სრულიადს კრებულსაც თამარ მეფის 1202 წ. სიგელის ბოლოში, რომელშიაც მათი დადგენილებაა მოყვანილი, ნაათქვამი აქვს: „ვინცა ესე ჩუენი გაგებული შეცვალოს... კრულმცა არს“-ო (შიომღვ. საბ. 27). თვით ანტონი ჭყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი ამავე საბუთში ამბობს: „აწ ესე ვითა ქნილა და გაგებულა, მტკიცე ყოს ღ˝ნ“-ო. მანდატურთუხუცესი ჭიაბერის 1190 წ. სიგელშიაც ნათქვამია: ვინც ეს სიგელი დაამტკიცოს, „ღ˝თმან ყოველი გაგებული და მის მიერ ქნილი დაამტკიცოს“-ო (შიომღვ. საბ. 23). გიორგი II 1072 წ. შიომღვიმის სიგელში ამბობს: „ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ“-ო (შიომღვ. საბ. 11). დავით აღმაშენებელიც შიომღვიმისადმი ნაბოძებს ანდერძში ამბობს: „ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შინა გაჩენით სწერია, ალარ ოდეს მიგეღოს იგი“-ო (იქვე 18). გიორგი III-ც თავის 1170 წ. სიგელში „გაგების“ მაგიერ ამავე მნიშვნელობით „გაჩენასა“ ხმარობს: „ესე ყოელი, ვითა გუიბრძანებია და დაგუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მღუიმისათუის“-ო (ს˝ქს სძ˝ელნი IV, 6).

ამგვარად ირკვევა, რომ სიგელის მესამე ნაწილს, რომელიც თავისი შინაარსით ახალს უფლებრივს მდგომარეობასა ჰქმნიდა ან ახალს დამოკიდებულებას ამყარებდა, ქართულად ბრძანებაი, ბრძანებული და გაგებული ეწოდებოდა. რადგან არსებითად ამ ნაწილს უკანასკნელი ტერმინი უფრო შეეფერე-

ბოდა და ის თავის იურიდიული ბუნებით მართლაც განგებულებას წარმოადგენდა, ამიტომ თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში უკეთესია სიგლის მესამე ნაწილისათვის ტერმინად „განგებულება“ ვიხმაროთ, მით უმეტეს რომ ბრძანება თავისდათავად უკვე გარკვეული, ახლაც მიღებული და თავისი საკუთარი მნიშვნელობის მქონებელი ტერმინია, ხოლო ბრძანებული სიგლის უფრო სხვა ნაწილისათვის იქმნებოდა ნიშანდობლივი გამოხატულება.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სიგლის მესამე ნაწილი, ანუ განგებულება ზოგჯერ ერთიანი, მარტივი ზოგჯერ კიდევ რთული შედგენილობისა იყო ხოლმე. მესამე ნაწილი ხშირად იწყებოდა ხოლმე სიტყვებით „ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი“-ო.

ა) ჯარჩინება

მაგრამ ზოგჯერ სანამ თვით წყალობის აღნუსხვა დაიწყებოდა, მწყალობელის სულიერი განწყობილებისა და გრძნობის გამომხატველი ერთგვარი შესავალის მსგავსი სიტყვები უძღოდა ხოლმე წინ. მაგალითად: ბაგრატ IV ოპიზის სიგელში ამბობს „ჩუენ ესე შფოთი გუიმძიმდა... და გულსმიდგინა ღმერთმან და მადლმან მათ წმიდათამან და კელვყავ“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 3). ამავე მეფეს 1058 წ. შიომღვიმის სიგელში უწერია: „გულსვიდგინეთ შესავსებელად აღოჴრებულისა მამულისა... და დაკლებულობისა მათისა გასაკურნებელად, მოსაჴსენებელად სულისა პირველგარდაცვალებულთა მეფეთა... და სალხინებელად ცოდვათა ჩემთა შევსწირე“-ო (შიომღვ. საბ. 3)*. გიორგი II-საც ნათქვამი აქვს: „გულგვიდგინა ღმერთმან სამლოცველოდ მეფობისა ჩემისა... და მოსაჴსენებელად სულთა პირველთა მეფეთა მამათა ჩემთასა გაგუიახლებიან სიგელნი“-ო (1072 წ. სიგ. შიომღვ. საბ. 10). თამარ მეფესაც 1189 წ. გელათის სიგელში უწერია: „ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა... სხუისა კელთშემხედვარობაი, ამისთუის შევწირე“-ო (ქ˝კბი II, 73). იმავე მეფეს 1202 წ. შიომღვიმის შეწირულობის წიგნში ნათქვამი აქვს: „დაგუაჯერა ღმერთმან, ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი მისი“-ო (შიომღვ. საბ. 26).

ამგვარადვეა ნათქვამი მეფე ნარინ დავითის 1266—1268 წწ. ხეფინისკეველთა სიგელში: „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 6).

ალექსანდრე დიდის სიგლებშიაც ამის მსგავსი გვხვდება: 1413 წ. მცხეთის სიგელში წერია „აწ ვითა ასრე მრავალფერად მათგან ჴირნახულსა მართებს და მრავალსა მათგან ჩუენ ზედა ზრდასა და ვალდებულებობასა ვემართლებით, აგრე მათისა სულისათუის საალაპედ შემოგუიწირავს“-ო (ისტ. საბ. III, 9). 1419—1420 წწ. იგივე მეფე ამბობს: „და ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრეთ ჯერ გუიჩნდა და გულსმოდგინებით კელვყავთ“-ო (იქვე III, 11). 1433 წ. მცხეთისავე სიგელში ალექსანდრე მეფეს უწერია: „და ჩუენ ვითარ არა გუ-

---

* ამ სიტყვებს სიგელში წინ შემდეგი სიტყვები უძღვის: „|ესე წმიდათა მამათა მღუიმელთა ფ˝დ| დაუმძიმდა“-ო (შიომღ. საბ. 3). ფრჩხილებს შუა მოქცეული სიტყვები თ. ჟორდანიას აღუდგენია „აზრთა მიმდინარეობით“. მაგრამ თ. ჟორდანია შემცდარი უნდა იყოს და ქართულ სიგლების აგებულობისა და წესის თანახმად და ოპიზის და გელათის სიგლების მიხედვით ეს ადგილი ასე უნდა იყოს აღდგენილი: „|ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა და| დაუმძიმდა“-ო.

მართებდა მათისა მკჳდრისა დაჭირვა, ეგრეთ არა დაუშურვეთ მათი მკჳდრი"-ო (იქვე, III, 15).

ამგვარად ზემომოყვანილი მაგალითებითგან ცხადი უნდა იყოს, რომ სიგლის მესამე ნაწილის, განგებულების ეს ნაკვეთი მართებულობასა და ჯერჩინებას შეიცავდა და რადგან თვით ამავე ნაკვეთში საბუთის მიმცემელი ამბობდა ხოლმე „ჯერ-გუიჩნდა"-ო, ამიტომ შესაძლებელია ძველად ჯერჩინება რქმეოდა სახელად, მაინცდამაინც „ჯ ე რ ჩ ი ნ ე ბ ა" შეიძლება ეწოდოს ახლა თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში[36].

ხ) რიანობა

მაგრამ განგებულების რთული შედგენილობა მარტო ამ ჯერჩინების ნაკვეთით არ ამოიწურება, არამედ სიგლის მესამე ნაწილი ხშირად გაცილებით უფრო ვრცელი იყო და კიდევ სხვა ნაკვთებს შეიცავდა ხოლმე, მეტადრე თუ სიგელი სამამულო შინაარსისა იყო.

როდესაც განგებულება სამამულო საქმეს ეხებოდა, მაშინ მაგალითად მას შიგ ჩართული ჰქონდა ხოლმე ცნობა ამ უძრავი ქონების საზღვრებისა და მის ყოველგვარ თვისებათა შესახებ, მაგ.: ბაგრატ IV-ს შიომღვიმის 1058 წ. სიგელის განგებულებაში ნათქვამი აქვს, — შემოვწირე „ადგილი ბერცუისჯუარი ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბარითა, წყლითა, ტყითა, კლდითა, წისქჳლითა და ყოვლითა საკმრითა და უკმრითა"-ო (შიომღვ. საბ. 3). ამგვარადვე გიორგი III-ის 1170 წ. შიომღვიმის სიგელშიც იკითხება: „ციხედიდს გლეხნი ძუელადვე ნასყიდნი მათითა სამართლიანითა ტყითა, წყლითა, ველითა, საკმრითა და უკმრითა"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 4). თამარ მეფის გელათისადმი ნაბოძებს სიგელშიც წერია: „ჰქონდეს არგუეთს ჰორვილაი... მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქჳლითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა საკმრითა და უკმრითა"-ო (ქ˝კბი II, 73). XV ს. საბუთებშიაც ამგვარი ცნობა ყოველთვის არის ხოლმე მოყვანილი, მაგ., ალექსანდრე მეფის 1413 წ. მცხეთის სიგელში ნათქვამია: შემოგვიწირავს ტფილელისძენი „მათითა მამულითა სრულად და უკლებად, რაცა და რასთანაცა მათი მამული არის მთას და ბარს მისითა მიმდგომითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქჳლითა, ველითა, ვენაჴითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა სამართლიანითა მზღვრითა, საკმრითა და უკმრითა ყუელათა"-ო (ისტ. საბ. III, 9). ამგვარადვე თითქმის მთლად სიტყვასიტყვით უწერია იმავე მწიგნობარს დემეტრე მარკოზაშვილს, რომლის შედგენილიც ზემომოყვანილი სიგელია, 1419—1420 წწ. ალექსანდრე მეფისავე მცხეთის შეწირულობის წიგნში (იქვე, III, 11:35—39). მწიგნობარ კლიმი კაკლაჩასძის დაწერილს საბუთებში ზოგიერთი მცირედი განსხვავებაა, მაგ., 1426 წ. ალექსანდრე მეფის ზევდგინიძეთამდი ნაბოძებს წყალობის წიგნში ასე იკითხება: მიუბოძეთ „მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენაჴითა, წყლითა და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, მისითა სამართლიანითა ერთობ ყველაითა"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 8). როგორც ნიკოლოზ რუსთველის მიერ დაწერილი აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლის 1733 წ. გუჯრითგანა ჩანს, უძრავი ქონების ყოველგვარი თვისების სა-

თითაოდ ჩამოთვლის მაგიერ ქართულ სამდივანმწიგნობრო ტერმინოლოგიაში მოკლედ აღსანიშნავად მიღებული ყოფილა „მისის ყოვლისფერიანათ"-ო (დას. საქ. საეკ. საბ. I, $141_{15,18,24,28}$). მომავალში უძრავ ქონების შესახებს სხვადასხვა დახასიათებაშიც შეიძლება რამდენიმე ერთგვარი ჯგუფი გამოიყოს და მაშინ სრული და ყოველგვარი დახასიათების აღმნიშვნელ ტერმინად შეიძლება ძველებურად „ყოვლისფერიანობა"-ც გამოვიყენოთ. ხოლო ქონების ამგვარ თვისებათა განმსაზღვრელ ნაკვეთს „რ ი ა ნ ო ბ ა" ვუწოდოთ საზოგადო სახელად.

დ) პაემანი

განგებულების ვრცელი შედგენილობის მესამე ნაკვეთი განსაკუთრებით უძრავი ქონებისა და ყმათა წყალობისა და განთვისების წიგნებში იყო აუცილებელი. იქ განგებულებაში ყოველთვის აღნიშნული იყო ხოლმე ახლად დამყარებული უფლებრივი მდგომარეობის თვისება და ხანგრძლივობა და, როდესაც ნაწყალობევი უცილობლად ჰქონდა გადაცემული და მარტო სიგელის მიმღებს კი არ ეძლეოდა პირადად, არამედ მის შთამომავლობასაც, ეს გარემოებაც საგანგებოდ იყო ხოლმე აღნუსხული. მაგ., თამარ მეფის ნებართვით ჭიაბერის მიერ 1190 წ. დაწერილს შეწირულების წიგნში მოხსენებულია: „კელმოსხლეტითა და მოუდევრად მომიკსენებიან"-ო (შიომღვ. საბ. 22), ხოლო თვით თამარ მეფის 1189 წ. გელათისადმი ნაბოძებს სიგელში წერია: „ჰქონდეს არგუეთს ჰორვილაი... მკჳდრად, თავისუფლად"-ო (ქ˝კბი II, 73). XIII ს. საბუთებშიაც ამნაირადვე წერია, დავით ნარინის 1266—1268 წწ. სიგელშიც მაგ., ნათქვამია: „ჰქონდეს... მკჳდრად, მამულობით, მტკიცედ, შეუცვალებლად"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 6). „მოგეცით და მოგაკსენეთ სამამულოდ და მკჳდრად" (შიომღვ. საბ. 24), „მოგეცით სამამულოდ... სოფელი ორომაშენი"-ო (ს. კაკ. XIII ს. პირველი ნახევრის საქართ. კათალ. 5_{11}—$_{14}$). XIV ს. სიგლებშიაც ამგვარადვე უწერიათ და გიორგი ბრწყინვალის 1338 წ. ივანე თორელი-ჯავახიშვილისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: მიუბოძეთ „კოჲრის ძირსა მონასტერი ათენაგუენი სამკჳდროდ... და შეუცვალებლად"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 9). მაგრამ ამ გარემოებას განსაკუთრებულს ყურადღებას, როგორც ეტყობა, მეტადრე XV ს-ითგან აქცევდენ და იმდროინდელ საბუთებში უეჭველად აღნიშნულია ხოლმე: „სამკჳდროდ, სამამულოდ და უცილებლად ყოვლისა დაბადებულისაგან მოგჳიცემია"-ო (ალექსანდრე მეფის 1426 წ. სიგ., ს˝ქს სძ˝ველნი IV, 8). იმავე მეფისა და იმავე მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძის დაწერილს 1428 წ. სიგელშიც ვკითხულობთ: სამკჳდროდ, სამამულოდ და უცილებელად და „მოუდევრად"-ო (ისტ. საბ. III, 13), „მკჳდრად და შეძუელებით, შეუვალად და შეუცვალებლად"-ო (ალექსანდრე მეფის 1413 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 9, იხ. აგრეთვე 1419—20 წწ. სიგ. იქვე 11_{39}, 1433 წ. სიგ. იქვე 16_{20}). რას ეძახდენ ძველად ამ ნაკვეთს, არა ჩანს, მაგრამ რადგან აქ წყალობისა, თუ ნაქმნარის ხანგრძლივობაზე, ვადაზე იყო ხოლმე ნათქვამი, ვადას კი ძველად „პაემანი" ეწოდებოდა, თანამედროვე მწერლობაშიც შეიძლება ესევე სიტყვა გამოვიყენოთ ტერმინად, ხოლო როცა სამკვიდროდ იყო ხოლმე ნიშნები, მაშინ ასეთს ნაკვეთს მ კ ვ ი დ რ ო ბ ა ვუწოდოთ.

დ) შეუვალობა

დასასრულ, განგებულებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მეოთხე ნაკვეთიც, თუ სიგელის მიმცემი მიმღებს ან თავისდათავად, ან სხვათა შორის რაიმე უპირატესობას ანიჭებდა და შეუვალობას და თავისუფლებას აძლევდა პირადად თუ ქონებითურთ, მაშინ სიგლის განგებულებაში ამ შეუვალობის თვისება და რაოდენობა უეჭველად უნდა ყოფილიყო აღნიშნული და ყოველთვის აღნიშნულია კიდეც, თუ რანაირი შეუვალობა ენიჭება და რაგვარი გადასახადებისაგან იყო სიგლის მიმღები განთავისუფლებული. მაგ., ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიომღვიმის სიგელში ნათქვამია: „და გაუთავისუფლეთ ყოვლისა შესავალისა და გამოსავალისაგან — საჴელმწიფოისა, საერისთვოისა, სააზნაუროისა, საციხისთვოისა, საჴევისუფლოისა, საბანჯრისა, საჴიდისა, საკოშრისა და ყოვლისა[97] ღმრთისა დაბადებულისა... და არა რაი ზედააც თ‿ ენიერ სამსახურებელისა მის წმიდისა ლავრისა"-ო (შიომღვ. საბ. 3—4). გიორგი მეფის 1072 წ. სიგელშიაც წერია: „აწ ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან — საჴელმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთვოისა, საჴევისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმისმოქმედთაგან"-ო (იქვე, 11). გიორგი III-ის შიომღვიმისადმი 1170 წ. ნაბოძებს დამტკიცების სიგელში ვკითხულობთ: „ესე ყოვლნი მათნი საქონებელნი შეუვალ გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან თუით ჩუენისა სახეფოისა და ყოვლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძუელითგან შეუვალნი: საერისთვოისა, საციხისთვოისა და საშურტაოისა ყოვლისაგან. ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუან... თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, სამუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 4—5). თამარ მეფის 1189 წ. გელათის სიგელში ნათქვამია: „ჰქონდეს... მკუიდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქონელნი მის მონასტრისანი აზადნი და შეუვალნი არიან" (ქ˝კბი II, 73). თამარ მეფისავე 1202 წ. შიომღვიმის სიგელშიც ასევეა: „არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა ჴელისუფალთა ჩუენთა ჴელი შეუვიდოდის, ყოვლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს"-ო (შიომღვ. საბ. 26). XIII ს. სიგლებშიც ასევეა და ნარინ დავითის წყალობის წიგნში მაგ., სწერია: „ავჴადეთ ყოველი შესავალი: საჴელმწიფოი, საერისთავთერისთვოი და საჴელისუფლოი" და სხვა (ს˝ქს სძ˝ველნი II, 6).

ალექსანდრე მეფის მცხეთის 1413 წ. სიგელში წერია: „შემოგუიწირავს... მკუიდრად და შეძუელებით, შეუვალად და შეუცვალებლად... არავის რა საქმე უც... არ ატენისა მპყრობელთა და პატრონთა, არ მოურავთა, არ ნაცვალსა და გზირსა, მოასილთა, არ მეკულუხეთა, არ ბურისა, საკლავისა, თეთრისა და სხუისა საქმრისა მკრებელთა და არის გუარსა და არას ნათესავსა კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა და მოსამსახურეთა და გუითავისუფლებია და გუითარხნებია ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან" (ისტ. საბ. III, 9).

თუმცა ქვათახევის 1703 წ. სიგელ-გუჯარში ამ ნაკვეთის გასწვრივ „სითარხნე" წერია (გვ. 15), მაგრამ, რადგან ეს სიტყვა მერმინდელია და მხოლოდ XIV ს-ითგან შემოდის, ამიტომ თანამედროვე მწერლობაში წინანდელი ქართული ტერმინი „შეუვალობა" უნდა ვიხმაროთ, როგორც ეს თვით ძველ X—XIII სს. საბუთებშიაც მიღებული იყო.

ამით თავდებოდა ხოლმე განგებულების ვრცელი შედგენილობა და სიგლის მესამე ნაწილი, რადგან სამივე დანამატები განსაკუთრებულს, ზემოაღნიშნულს შემთხვევებში ლოგიკურად და იურიდიულად განგებულების აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდა. სწორედ აქვე იჯდა ხოლმე: — განკვეთილობის ნიშანიც.

ე) დაუცილებლობა-გაცუდებულობა

მხოლოდ ზოგიერთს საბუთებში განგებულებას კიდევ ერთი ზედმეტი ნაკვეთი მოეპოვება ხოლმე, რომელიც ჯერ ერთი სიგლით ნაბოძების დაუცილებლობა-მიუდევრობისა და პასუხისგამცემობის შესახებ შეიცავდა ცნობას, მერმე ამ მიცემულობის წიგნის საწინააღმდეგო შინაარსის წინანდელი საბუთების გაუქმებას. ამნაირი ნაკვეთი XV ს. და მერმინდელ საბუთებში გვხვდება ხშირად და ასე იწერება ჩვეულებრივ: „და ვერავინ დაგეცილოს ვითარ თქუენისა საყდრისა მკჳდრისა და აწ ახლად ჩუენგან სამკჳდროდ მოჴსენებულისა და დამტკიცებულისა მამულისა დაცილება არავის მართებს აგრე და ვინცა დაგეცილოს პირნი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს იგი ყოველივე დაწერილითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არს“-ო (ალექსანდრე მეფის 1433 წ. მცხეთის სიგ. : ისტ. საბ. III, 16_{21-27} იხ. აგრეთვე მისივე 1442 წ. მცხეთის სიგ. იქვე 25_{34-40}).

„ვერავინ დაგეცილოს ვითა პირველ თქუენისა მკჳდრისა და აწ ახლად ჩუენგან სამკჳდროდ მოჴსენებულისა დაცილება არავის მართებს და ვინცა დაგეცილოს პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ და, თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა [წიგნი] და ნიშანი ჰქონდეს, იგი ყოველნივე დაწერილითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის“-ო (მისივე 1433—1434 წწ. მცხეთის სიგ., იქვე 17_{30}—18_{1}). ალექსანდრე მეფის 1428 წ. მცხეთის სიგელში ამ ნაკვეთში მხოლოდ დაუცილებადობაა და პასუხისგამცემლობაა, წინააღმდეგომ სიგელთა გაცუდება კი არ მოიპოვება: „და ვერავინ დაგეცილოს და შემოგესარჩლოს ვითა ჩუენგან სამკჳდროდ მოჴსენებულისა შემოსარჩლა არავის მართებს აგრე და თუ ვინ დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ“-ო (იქვე 13_{28-30}).

თუმცა ამგვარი ნაკვეთი XV ს-ზე ადრინდელს საბუთებში ჯერ არსად გვხვდება, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენაა. ამ გარემოებას ცხადყოფს ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელი. იქ მეფე ამბობს: „მიჯნაძოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია არა ჴსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 2-3). მაშასადამე, ჩვეულებრივ ახლად მიცემულს საბუთებში უწინდელი სიგელების „გარდაგდებულება“ მოხსენებული იყო ხოლმე და ამ ნაკვეთს უძველეს ხანის ქართული დიპლომატიკისათვისაც მნიშვნელობა ჰქონია.

ერეკლე I-ის ქვათახევისადმი ბოძებულს 1703 წ. სიგელ-გუჯარში ამგვარს ნაკვეთს გვერდით სახელად უწერია „გაუქმება წინააღმდგომთა ამისთა წერილთა“ (გვ. 35). მაგრამ რაკი ძველ საბუთებში ეს ტერმინი არ გვხვდება, არამედ ან „გაცუდება“ ან „გარდაგდებულება“-ა ხოლმე ნახმარი, ამიტომ თანამედრო-

ვე მწერლობაში ამ ნაკვეთის პირველი ნახევრისათვის ტერმინად „დ ა უ ც ი ლ ე ბ ა დ ო ბ ა“ და „პასუხის გამცემლობა“ ვიხმაროთ, მეორე ნახევრისათვის კი „გ ა ც უ დ ე ბ უ ლ ე ბ ა“ წინააღმდეგომ სიგელ-გუჯართა[39].

IV. სიგლის მეოთხე ნაწილი. ბრძანებულება

ყოველს მეფისაგან ნაბოძებს სიგელში განგებულებას მოსდევდა ხოლმე თხოვნა მომავალი მეფეების მიმართ და განკარგულება მოხელეებისადმი საბუთში აღნიშნული განგებულების უქცეველი ასრულების შესახებ. ეს საბუთების მეოთხე ნაწილია და სიგელ-გუჯრებში ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით იწყებოდა „აწ ვინცა ჰნახოთ“ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ან ბრძანებაი და ნიშანი ესე ჩუენი, ან სიგელი და ნიშანი ესე ჩუენი, ან ბრძანებაი და გუჯარი ესე ჩუენიო, და ყველა იმ თანამდებობის პირთა ჩამოთვლას შეიცავდა, რომელთაც ეს ბრძანება ეხებოდა. მაგ., ბაგრატ მეფის 1058 წ. სიგელში ნათქვამია: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ე̃ევთა, ე̃ვთა, აზნაურთა, ციხისთავთა, ჰევისუფალთა, ჩინებულთა და ყოველთავე საქმისმოქმედთა ჩუენთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებულსა ამას და გაგებულსა ჩუენსა, ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა“-ო (შიომღვ. საბ. 4). იმავე მეფის ოპიზის სიგელში წერია: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ე̃ევთა, ე̃ვთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა ჴელისუფალთა და საქმისმოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ ჴელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა“-ო (ს̃ქს ს̃ძელნი II, 4. შიომღვ. საბ. 9). გიორგი II-ის 1072 წ. სიგელშიც ვკითხულობთ: „აწ. ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა. ე̃ეთა, ე̃თა. აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ჴევისუფალთა, მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმისმოქმედთა დაუმტკიცეთ“ და სხვა (შიომღვ. საბ. 12). გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში საბუთის ეს ნაწილი სხვანაირად არის დალაგებული, თუმცა შინაარსი იმგვარივე აქვს: „ესე ყოველი, ვითა გუიბრძანებია ...ნუმცა ვის უკადრებია წყენაი... ნუ ქართლისა კათალიკოზთა, ნუცა სხუასა ებისკოპოსსა, ნუცა ერისთავთ-ერისთავთა, ნუცა აზნაურთა, ნუცა ჩუენთა ჴელისუფალთა, ნუცა ციხისთავთა, ნუცა ჩინებულთა და ნურას გუარსა კაცსა ნუ... აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ, თუინიერ შეწევისა და თანადგომისა“-ო (ს̃ქს ს̃ძელნი IV, 6). თამარ მეფის 1189 წ. გელათისადმი ნაბოძებ სიგელშიც ჩვეულებრივად არის ეს ნაწილი დალაგებულად დაწერილი: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი, შემდგომითი შემდგომად მომავალთა მეფეთა. ე̃ევთა, ე̃ვთა, აზნაურთა, ოთხმისდურთა, ნაცვალთა, აჯამეთის აბრამადთა, ტყისმცველთუხუცესთა... ციხისთავთა, ჴელისუფალთა, გზირთა და ყოველთა საქმისმოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ... დააკლებთ ნუ დიდსა და ნუ მცირესა თუინიერ შეწევნისა“ და სხვა (ქ̃კბი II, 73—74). XIII ს. საბუთებშიაც ამნაირადვე წერია და ნარინ დავითის 1266—1268 წწ. სიგელში მაგ., ვკითხულობთ: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: [შემდგომად ჩ̃ნსა მომავალთა მეფეთა, ე̃ევთა, ე̃]ვთა, დიდებულთა, აზნა-

ურთა, ოთხმიზურთა... ტყისმცველთუხუცესთა, ტყისმცველთა და [ყოველთა] საქმისმოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 7). XIV ს-შიაც ამგვარივე წესი ყოფილა მიღებული და გიორგი ბრწყინვალის 1338 წ. სიგელშიც ნათქვამია: „აწ, ვინცა ნახოთ ბრძანებაი და სიგელი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა ანუ დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა, ტფილისის ამირთ-ამირათა, კოჯრის დაბ[ისა]... და მოურავეთა ყოველთავე დაუმტკიცეთ"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 9). XV ს-შიაც მტკიცედ ყოფილა ეს წესი დაცული და ალექსანდრე მეფის კარის მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძის მიერ დაწერილს სიგლებში ამგვარადვე იკითხება ხოლმე: „აწ, ვინცა ნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისამპარავთამეძებართა, მეულაყეთა, მემეძებრეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ"-ო (1426 წ. სიგ., ს˝ქს სძ˝ველნი IV, 8—9). მცირეოდენი განსხვავებით ამგვარადვე წერია სხვა კლიმი კაკლაჩასძისაგან დაწერილს საბუთებშიაც (იხ. 1428 წ. სიგ. ისტ. საბ. III, 13—14. 1429 წ. და 1430 წ. სიგ. ს˝ქს სძ˝ველნი IV, 11 და 13. 1433 წ. და 1438 წ. სიგ., ისტ. საბ. III. 16, 19 და სხვაგან), თუმცა მოკლედ დაწერილიც მოიპოვება (იხ. მაგ., 1441 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 23). ალექსანდრე მეფის მეორე მწიგნობარს დემეტრე მარკოზაშვილს სიგლის ეს ნაწილი სულ სხვანაირად აქვს დაწერილი, მაგ., 1412—1413 წწ. სიგელში ნათქვამია: „ვითა ვერავინ მკადრე არის, აგრე არავის რა საქმე უც ამა ჩუენგან შემოწირულთა ტფილელასძეთა და მათს მამულსა გუერდისა: არ ატენისა მპყრობელთა და პატრონთა, არ მოურავთა, არ ნაცვალსა და გზირსა, არ მოასილთა, არ მეკულუხეთა, არ პურისა, საკლაუისა, თეთრისა და სხუისა საჯმრისა მკრებელთა და არას გუარსა და არას ნათესავსა კარით ჩუენით წარვლენილთა და მოსამსახურეთ"-ო (ისტ. საბ. III, 9). ეს უფრო შეუვალობას ეხება, რასაკვირველია, და თვით მოხელეებისადმი ბრძანებული არც ამ საბუთში და არც სხვა მარკოზაშვილისაგანვე შედგენილს სიგლებში არ მოიპოვება და ამ გარემოების მიზეზი საგანგებოდ უნდა იყოს გამორკვეული.

სწორედ სიგლის ამ მეოთხე ნაწილს ეკუთვნის ის ტერმინები „ბრძანებაი" და „ბრძანებული", რომელნიც, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგანა ჩანს, ქართულ საბუთებში გვხვდება ხოლმე. ქვათახევის მონასტრის 1703 წ. სიგელ-გუჯრის ამგვარი ნაწილის გასწვრივაც კიდეზე წერია: „ბრძანება ყოველთაგან ამის ასრულებისათვის" (გვ. 32). მაგრამ რაკი ბრძანება ახლაც ცოცხალი იურიდიული ტერმინია და გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ქართულ თანამედროვე სამეცნიერო დიპლომატიკაში ტერმინად შეიძლება მხოლოდ „ბრძანებული" გამოვიყენოთ ან უცვლელად, ან მისგან არსებითი სახელის წარმოებით. რადგან „ბრძანებული" ზედშესრული სახელია, ამიტომ მისგან ნაწარმოები „ბრძანებულება" ვითარცა არსებითი სახელი თანამედროვე მწერლობაში შემოსაღებ ტერმინად ემჯობინება.

ბრძანებულების შინაარსისათვის დამახასიათებელია, რომ იქ თანამდებობის პირნი, რომელთაც ბრძანების ასრულება ევალებათ, უფროს-უმცროსობის წესრიგზე და თანმიმდევნობით არიან ხოლმე ყოველთვის ჩამოთვლილნი: ჯერ მომავალნი მეფე და დედოფალი, შემდეგ ერისთავთერისთავნი, ვაზირნი, ერისთავნი და სხვანი თანდათანობით, ისე რომ უფროსს უმცროსი მისდევს[39].

V. სიგლის მეხუთე ნაწილი. ბრალთგადამხდელობა და კურთხევა

ბრძანებულებას სიგლებში მიჰყვებოდა ხოლმე მეფის ან სხვა პატრონისაგან იმ სასჯელის ჩამოთვლა და ბრალთა გადამხდელობა-მზღველობა, რომელიც უნდა საბუთში აღნიშნული განგებულების მშლელსა და მაქცეველს თავს დასტყდომოდა. სიგლის ეს ნაწილი ასე იწერებოდა ხოლმე: „და უკუეთუ ვინმე გამოშჩნდეთ ღ̃თისა უარის მყოფელად და... რაისაცა მიზეზისა მოღებითა, გინა თუ იგი ადგილი შეუცვალოთ... ანუ თუ ესე წესნი გაგებულნი ჩუენნი შეუშალნეთ, უარისმყოფელთამცა ღ̃თისათა თანა დასჯილ ხართ, იგიმცა წმიდაი მამაი და მადლი მის წმიდისა ლავრისაი არს მოსაჯული თქუენი, ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამჴდელნი ხართ წინაშე ღმრთისა“-ო (ბაგრატ IV 1058 წ. სიგ., შიომღვ. საბ. 4). იმავე ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელშიც ბრძანებულებას მისდევს: „და უკუეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა, რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქმარსა ჩუენსა აქცევდეს, გამცაურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი. და ესეცა წმიდანი მოციქულნი არიან მოსაჯულნი სულისა მისისანი დღესა მას განკითხვისასა. და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან“ (ს̃ქს სძ̃ველნი II, 4—5. შიომღვ. საბ. 9). გიორგი II-ის 1072 წ. სიგელშიაც ნათქვამია: „და უკუეთუ ვინმე, რამანცა გუარმან კაცმან, რასაცა ჟამსა, ჴელ-ყოს და იკადროს ამის ბრძანებისა ჩუენისა შეცვალებად, წმიდაი მამაი შიო და ყოველნი წმიდანიმცა არიან მოსაჯულნი და დამსჯელნი სულისა მისისანი დღესა მას საშინელსა სასჯელისასა და შემცაჩუენებულ არს... ყოველთა ღმრთისა უარისმყოფელთა თანა“-ო (შიომღვ. საბ. 12). ვრცლად და ფერადოვნად არის ეს ნაწილი დავით აღმაშენებლის ანდერძში, სადაც ასე წერია: „და აწ, შემდგომად ამისსა, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა ჴელისუფალმან ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს, ანუ ქრთამისათჳს, ანუ თჳთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღმრთისმსახურებასა რასმე აჩუენებდეს, ანუ მღჳმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათჳს რადმე მოსაჴმარებლად, ანუ გარეშე მონაზუნისა მწ[იგნობართ]უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გუარი, გინდა ვინ იყოს, პირველად შენ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ შენი დაუსრულებელად მას ზედა, ნუმცა უხილავს ნათელი ღმრთეებისა შენისაჲ, ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუეყანისა. იყავნ სამკჳდრებელი მისი ოჴერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ. მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ეწიენ, გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოჴერ-ყავ იგი, ღმერთო, ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, განყოფასა მისსა ხორცთაგან, განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე ვითარცა მგმობარსა შენსა ნესტორს ზედა. ხოლო შენ, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო შიო, ოდეს დაჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განესაჯე და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისაჲთა“-ო (ს. კაკ. 15—16, თ. ჟორდ. შიომღვ. საბ. 19).

XV ს. საბუთებშიაც გვხვდება ამგვარივე ადგილები. მაგ., ალექსანდრე მეფის 1414 წ. დემეტრე მარკოზაშვილის ხელით დაწერილს მცხეთის სიგელში ნათქვამია: „და ვინც და რამანცა გუარმან, ანუ კაცმან, ანუ დიაცმან, ანუ უზედაესმან, ანუ უქვედაესმან გამოაჴუას და შეცვალოს, შემცაიცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, შემცაედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, მეხ-

დატეხილობა დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი. და ას და მერვისა ფსალმუნისა წყევა მას ზედამცა დაესრულების, ნუ რათამცა სინანულითა იქნების ჯოჯოხეთით ქსნა სულისა მისისა, რისხვამსცა მამა, ძე და სული წმიდა და ჩემთამც ბრალთა მზღველია წ῀შე ღ῀თისა“ (ისტ. საბ. II, 3). თუმცა განსხვავებული, მაგრამ არსებითად იგივე წერია ამავე მეფისა და იმავე მწიგნობრის ხელით შედგენილს 1413 წ. სიგელში: „და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, ანუ დიაცმან ჴელყოს შლად და ქცევად ამა ჩემგან სასოებით და გულმოდგინებით ნალუწისა და შეწირულისა, შემცაიცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, რისხვამსცა მამა, ძე და სული წმიდა, შემცაედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი. და იგიმცა ჴმა მას ზედა დაესრულების: „მოისპენ უღ῀თო, რაჲთა არა იხილოს მან დიდება უფლისა. და სისხლი მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“. და ას და მერვისა ფსალმუნისა წყევასა მასზედამცა სრულ-ჰყოფთ თქუენ მეუფე... ყოველთა, თუ მეფემან მძლავრებით შეცვალოს, შენ, მეუფეო ცათაო, რისხვით მიხედე დღესა მას საშინელსა და ზარის საჴდელსა, თუ დედოფალმან შეცვალოს, თქუენ დედოფალო და მტუირთველო ემმანოელისაო, შეცვალე დიდებისაგან ძისა შენისა. და ნურათამცა სინანულითა იქნების ჯოჯოხეთით ქსნა სულისა მისისა და ჩემთაცა ბრალთა მზღველია წინაშე ღთისა“ (ისტ. საბ, III. 9—10).

როგორც ქვევით აღნიშნული იქნება, ამგვარი ნაწილი ზოგიერთს სიგლებს არა აქვთ, მათ შორის იმ ორს 1170 წ. გიორგი III-ისა და 1202 წ. თამარ მეფის სიგელს, რომლებშიაც განკვეთილობის ნიშნებია ნახმარი. ამის გამო ამ საბუთების მიხედვით არა ჩანს, ითვლებოდა თუ არა იგი სიგლის განსაკუთრებულ ნაწილად? მაგრამ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ნაბოძები ანდერძი, რომელშიაც აგრეთვე ნახმარია განკვეთილობის ნიშნები, ამტკიცებს, რომ ეს ნაწილიც ცალკე ყოფილა გამოყოფილი და მასაც წინ :— ნიშანი უზის (იხ. ს. კაკ. გამოცემა, გვ. 15. თ. ჟორდ. შიომღვ. საბ. 19). მაშასადამე, იმ საბუთებში, სადაც ეს ნაწილი მოიპოვება, იგი სიგლის მეხუთე ნაწილად უნდა ჩაითვალოს.

ჰქონდა თუ არა ძველად სიგლების ამ მეხუთე ნაწილს თავისი საკუთარი სახელი, არა ჩანს, მხოლოდ ქვათახევის მონასტრის 1703 წ. სიგელ-გუჯარში ამ ნაწილს, როგორც გასწვრივ კიდეზე აღნიშნულითგან ცხადი ხდება, სახელად ჰქონია: „წყევა-შეჩვენება მომშლელთათვის“ (გვ. 32). ამ ნაწილისათვისაც ნიშანდობლივი ტერმინის შემოღება თანამედროვე ქართულ სამეცნიერო დიპლომატიკაში უეჭველად საჭიროა. რადგან სიგლის ამ ნაწილის შინაარსი საბუთში მოხსენებული განგებულების მშლელთა და მაქცეველთათვის სასჯელსა და ბრალთამზღველობას აღნუსხავს და არამარტო წყევა-შეჩვენებას, ამიტომ შეიძლება მას „მომშლელთათვის ბრალთგადამხდელობა“, ანუ მოკლედ მხოლოდ „ბრალთგადამხდელობა“ ვუწოდოთ.

ხშირად ბრალთგადამხდელობას დართული ჰქონდა ლოცვა-კურთხევა იმათთვის, ვინც საბუთს დაამტკიცებდა და მის ასრულებას ხელს შეუწყობდა. ქვათახევის მონასტრის 1703 წ. სიგელ-გუჯარში ამ ნაკვეთისათვის ტერმინად ნახმარია — „კურთხევა დამამტკიცებელთათვის“ (გვ. 33) და ეს ტერმინიეე შეიძლება კვლავინდებურად ვიხმაროთ.

სიგელ-გუჯართა ბრალთგადამხდელობის ნაწილის ბოლოში მეფეები ჩვეულებრივ ქართული ეკლესიის მწყემსთმთავარსაც სთხოვდენ ხოლმე, რომ მა-

საც თავის მხრით საბუთისათვის კრულობითი მოწმობა დაერთვა. ხოლო იმ საბუთებში, სადაც ბრალთგადამხდელობის ნაწილი არ იყო, ამგვარი თხოვნა ბრძანებულებას მისდევდა ხოლმე უშუალოდ.

აი მაგ., რას ამბობს გიორგი II ერთ თავის 1972 წ. ნაბოძებ სიგელში: „და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო, და ყოველნო მღდელთ-მოძღუარნო, უჴუარობითა და წყევით დაუმტკიცეთ დაწერილი და სიგელი ესე"-ო (შიომღვ. საბ. 12). დავით აღმაშენებელსაც შიომღვიმისადმი 1123 წ. ნაბოძები ანდერძის ბოლოში უწერია:... „თქუენ-მიერითა კანონითა უჴუარობითა, წყევითა და შეჩუენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღდელთმოძღუარნო"-ო (შიომღვ. საბ. 19, ს. კაკ. 16). გიორგი III-საც 1170 წ. შიომღვიმის დამტკიცების სიგელში აღნიშნული აქვს: „და თქუენ, წმიდაო მამათმთავარო ქართლისა კათალიკოზო და წმინდანო მღდელთმოძღუარნო, უჴუარობითა დაამტკიცეთ"-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი IV, 6—7). თამარ მეფესაც ამგვარადვე აქვს ნათქვამი თავის 1189 წ. სიგელში: „და თქუენ წმიდანო კზ˝ნო და წ˝ნო მღდელთმოძღუარნო, უჴუარობითა დაუმტკიცეთ"-ო (ქ˝კბი II, 74).

მეფეები მწყემსთმთავრებს „კრულობითს მოწმობის" სიგლებში დართვას იმიტომა სთხოვდენ, რომ საბუთებს ამით მეტი სიმტკიცე მისცემოდა და წყევა-კრულვის შიშით მათი დარღვევა არავის გაებედა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი III-ის 1170 წ. შიომღვიმისადმი ნაბოძებ სიგელს (ს˝ქს სძ˝ვლნი IV, 6), თამარ მეფის სიგლებს 1189 წ. გელათისას (ქ˝კბი II, 73) და 1202 წ. შიომღვიმისას (შიომღვ. საბ. 26), ნარინ დავითის 1266-8 წწ. სიგელს (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 7), გიორგი ბრწყინვალის 1338 წ-ისას (იქვე, II, 9) და ალექსანდრე მეფის ზოგიერთ კლიმი კაკლაჩასძის ხელით ნაწერს სიგლებს (ისტ. საბ. III, 14, 16, 18, 20, 26) ბრალთგადამხდელობის ნაწილი არა აქვთ, არამედ პირდაპირი კრულობითი მოწმობით დამტკიცების თხოვნაა მღვდელთ-მოძღვართადმი. ხოლო გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში, თამარ მეფის 1202 წ. შიომღვიმის სიგელში და ნარინ დავითის 1266—1268 წწ. და ალექსანდრე მეფის ზემოხსენებულს საბუთებში არც ეს თხოვნა მოიპოვება. ამასთანავე იქ, სადაც კრულობითი მოწმობის თხოვნაა შეტანილი, ეს თხოვნა, როგორც განკვეთილობის ნიშნებითგან ირკვევა, სიგლის განსაკუთრებულ ნაწილად არ ითვლებოდა, არამედ ბრძანებულების შემადგენელ ნაწილად ყოფილა მიჩნეული.

კრულობითი მოწმობა არც ბრალთგარდამხდელობას მისდევდა, არც თხოვნას კრულობითი მოწმობის დართვის შესახებ, არამედ ყოველთვის სიგლის ბოლოში იყო ხოლმე მოქცეული.

VI. სიგლის მეექვსე ნაწილი. ხელრთულობა — სათვალავი

ბრალთგადამხდელობისა და კრულობითი მოწმობის თხოვნის შემცველი ნაწილის შემდგომ პირდაპირ სიგლის თარიღი და დამწერის ვინაობა იყო ხოლმე აღნიშნული. ეს ნაწილიც სიგლის განსაკუთრებულს ნაწილს შეადგენდა. ამ გარემოებას :— განკვეთილობის ნიშანიც ცხადყოფს, რომელიც ყოველთვის თარიღს წინ უძღოდა ხოლმე. ბრალთგადამხდელობიან სიგლებში ეს ნაწილი, მაშასადამე, სიგლის მეექვსე ნაწილი იქნებოდა, უამისო საბუთებში კი მეხუთე. იგი ჩვეულებრივ ასე იწერებოდა, მაგ.: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე

ჩუენი ინდიკტიონსა ჩემისასა მეო: ლა: (31)სა ჴელითა იოვანე მწიგნობრისა მწერელისაითა“ (sic) (ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგ. შიომღვ. საბ. 4); „დაიწერა ბრძანუბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა—: ა:—ჴელითა იოვანე მონაზონისაითა“ (გიორგი II-ის 1072 წ. სიგელი, შიომღ. საბ. 12): „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათესა ქელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქაელ კატარაწის ძისაითა“ (გიორგი II-ის 1078 წ. სიგ., შიომღვ. საბ. 14); „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: იდ: ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა დანგა ბრუტაისძისაითა“ (გიორგი III-ის 1170 წ. სიგ., ს῀ქს სძ῀ვლნი IV, 7); „დაიწერა ბ῀ბაი და სიგელი ესე ჩემი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მე[ა]თესა ჴელითა საწოლისა და საჭურჭლისა ჩუენისა მწიგნობრისა არსენი სამძივარისაითა“ (ქ῀კბი II, 74 თამარ მეფის 1189 წ. სიგ.); „დაიწერა ბ῀ბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეათურამეტესა ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ იწრელისძისაითა“ (თამარ მეფის 1202 წ. სიგ., შიომღვ. საბ. 26).

როგორც ზემომოყვანილ მაგალითებითგან ჩანს, საბუთის თარიღთან ერთად ყველგან დამწერი მწიგნობრის ვინაობაც არის ხოლმე აღნიშნული. მაგრამ ეს ცნობა თვით მწიგნობრის ხელის მოწერის სახით კი არ არის მოყვანილი, არამედ საბუთის მიმცემი მეფისა, ანუ სხვა პატრონის პირითაა ხოლმე მოთხრობილი: დაიწერა ამა და ამ კარის ჩუენის მწიგნობრის ხელითაო. ჩვეულებრივ ამით თავდებოდა თვით სიგელ-გუჯრების ტექსტი და შემდეგ ხელის მოწერაღა მისდევდა, ურომლოდაც თვით საბუთს, რასაკვირველია, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რა ერქვა სიგლის ამ ნაწილს?

როცა საბუთს სიგელისა ან გუჯრის მიმცემი ხელს აწერდა, ამას „ჴელის ჩართვა“, ან მარტივად „ხ ე ლ ი ს რ თ ვ ა“ ეწოდებოდა. მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგლის ბოლოში კვირიკე მეფეს საბუთის ბაგრატ მეფისაგან დამტკიცების შემდგომ სხვათაშორის ნათქვამი აქვს: „ესე ვითა, დიდებულყავნ ღმერთმან სული მათი, მელქიზედეკს ქართლისა კათალიკოზსა, სულისა მათისათუის გაუგია და დაუწერია, და შედეგად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურაპალატსა ჴელითა მისითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა, კჳრიკე მეფესა, დისწულსა კჳრიკე მეფისასა, ჴელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია: მტკიცე არს და უქცეველი ესე“ო (ქ῀კბი II, 35). ჟამთააღმწერლის სიტყვით ულუ და ნარინ დავითების სიგლებს, რომელნიც ორთავე მეფის სახელით იყვნენ ხოლმე აღწერილნი, „ჴელიცა ორთავესი რთავს „ჩემ დავითისგან მტკიცე და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს»-ო (*809, გვ. 652). რა ეწოდებოდა სიგლის თვით ასეთ ადგილს, არ ვიცით. მაგრამ შესაძლებელია ან „ჴელჩართულობა“, ან ჴელრთულობა რქმეოდა. მაგრამ რადგან ხელჩართული სამხედრო ტერმინად არის უფრო ცნობილი, ამიტომ თანამედროვე მწერლობაში სახმარებლად ხელრთულობა ემჯობინება.

მეფის ხელს „ს ა უ ფ ლ ო ჲ ჴ ე ლ ი“ ეწოდებოდა. ანტონ ჭყონდიდელი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი თამარ მეფის 1202 წ. შიომღვიმისადმი ნაბოძებ სიგლის ბოლოს ამბობს მაგ., შეწირულობა, „თჳთ საუფლოჲთა ჴელითა მისითა სწერიან“-ო (შიომღვ. საბ. 27). კათალიკოს თევდორესაც იმავე თამარ მეფის გელათისადმი ნაწყალობევ საბუთში ნათქვამი აქვს: „ვითა ღმრთივგჳრგჳნოსანსა მეფეთა მეფესა და დედოფალთა დედოფალსა თამარს... სიგელი

ესე დაუწერია და საუფლოჲთა ჴელითა მათითა დაუმტკიცებია, მტკიცე ყავ ღმერთმან ბრძანება მათი“-ო (ქ˜კბი II, 74). შიომღვიმის მონასტრის 1250 წ. გრიგოლ სურამელისადმი მიცემულ საბუთშიც აღნიშნულია: „დაწერილი ესე დაუწერია და პატრონთა საუფლოითა კელითა დაუმტკიცებია“-ო (ს. კაკ. გამ. 6). ერთ საბუთში ამავე მნიშვნელობით ნახმარია „ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებული“, „ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებული“ (მიქაელ კზ˜ის XIII ს. პირველი ნახევრის წყალობის წიგნი, ს. კაკ. მე-XIII ს. პირვ. ნახევ. საქართ. კათალიკოზები, 6). მაშასადამე, მეფის ხელრთულობას ერქმეოდა საუფლოჲ ხელრთულობა და საუფლოჲთა კელითა დამტკიცება. როდესაც თამარ მეფეს გელათის 1189 წ. სიგელი თავისი ხელრთულობით შეუმკვია, ეს, როგორც ქართლისა კათალიკოსს თევდორესაც ნათქვამი აქვს, იმას ნიშნავდა, რომ თამარ მეფეს ეს საბუთი „საუფლოჲთა ჴელითა მათითა დაუმტკიცებია“ (ქ˜კბი II, 74). მეფე გიორგი II-საც თავის ხელრთულობაში უწერია: „ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია“-ო. ხოლო დანარჩენ მეფეებს ნათქვამი აქვთ ან „მტკიცე არს“, ან „ვამტკიცებ“-ო. ერთი სიტყვით, მეფის ხელრთულობა დამტკიცების ნიშანი და მომასწავებელი იყო, თუნდაც ეს გარემოება ხელრთულობაში საგანგებოდ აღნიშნული არც კი ყოფილიყო.

რადგან სიგლის მეხუთე თუ მეექვსე ამ ნაწილში ჩვეულებრივ საბუთის მიმცემის ხელრთულობის გარდა ყოველთვის თარიღიც იყო ხოლმე, ამიტომ ამ თარიღის შემცველ ნაკვეთსაც უეჭველია თავისი აღმნიშვნელი ტერმინი ექნებოდა. ასეთი ტერმინი თანამედროვე სამეცნიერო მწერლობისათვისაც აუცილებლად საჭიროა. ძველად წელთაღრიცხვის თარიღის აღსანიშნავად „სათვალავი“, „წელი“ და „ქორანიკონი“ იხმარებოდა. რადგან უკანასკნელი სიტყვა ისედაც აუცილებლად საჭირო ტექნიკური ტერმინია, ხოლო მეორე ჩვეულებრივი სასაუბრო სიტყვაა, ამიტომ უკეთესია თანამედროვე მწერლობაში საბუთის თარიღისათვის „დაწერილობის სათვალავი“, ანუ მარტივად „ს ა თ ვ ა ლ ა ვ ი“ ვიხმაროთ ხოლმე.

VII. სიგლის მეშვიდე ნაწილი. კრულობითი და მარტივი მოწმობანი

საბუთის იმავე სიმტკიცისათვის, როგორც დავრწმუნდით, მეფეები ქართული ეკლესიის მწყემსთმთავრებს სიგელებისათვის კრულობითი მოწმობის დართვას სთხოვდენ ხოლმე. ისინი უეჭველია დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს მღვდელთმთავართა წყევა-კრულვით შემკული საბუთის დარღვევას ისე ადვილად ველარავინ იკადრებდა, და ეს გარემოება სიგელს მეტს სიმტკიცეს მისცემდა. ამნაირად ესეც საბუთის ერთგვარი დამტკიცება და მოწმობა იყო და ამის გამო სიგლის ამ ნაწილის აღსანიშნავად „კრულობითა მოწმობის“ გარდა „უჯუარობითა და წყევით დამტკიცება“-ც იხმარებოდა.

კრულობითი მოწმობანი მართლაც უძველესი ქართული სიგლების ჩვეულებრივი კუთვნილებაა, მაგ., ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიომღვიმის სიგელში ასეა ნათქვამი: „ქ: კრნ (კირიელეისონ)! ესე ვითა, ადიდენ ღ˜ნ, ძლიერსა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსსა დაუწერია... მე, გიორგი ქართლისა კათალიკოზი, მოწამე ვარ დაწერილსა მათსა. აწ, ვინცა-ვინ, რამანცა გუარმან კაცმან, რასცა ჟამსა, ვითა მათსა დაწერილსა სწერია, უქციოს და შალოს დაწერილი მათი, გინა ჟამთა ცვალებითა, გინა სიგრძოთაგან ჟამთაისა

იკადროს ანუ შლად, ანუ ცვალებად, ანუ შესავალად და საჴევისუფლოდ გაჴადოს, ანუ ბეგარი და გამოსავალი რაი დასდვას და, ვითა დაუწერია და გაუთავისუფლებია, მას ზედა მკჳდრად და შეუვალად არა იპყრან, ჰრისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი, წმიდაი ღ˜ისმშობელი. და კრულმცა არიან დაუსაბამოისა უფლისა სიტყჳთა, ათორმეტთა მოციქულთა მადლითა, ექუსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიაქთა ჯუარითა, წ˜ისა დედაქალაქისა და სუეტის ცხოელისა მადლითა, ჩემ გლახაკისა ჯუარითა, გაუჴსნელად სულით და ჴორცით ამას ყოფასა და მას საუკუნესა. არსმცა ნაწილი მისი იუდას თანა ისკარიოტელსა და ყოველთა მწუვალებელთა და უფლისა უარისმყოფელთა თანა შერაცხილია. და ვინ დაამტკიცოს და არა შალოს ბრძანებული და დაწერილი მათი, მიიღენ კურთხევაი ღმრთისაგან და ჩემ გლახაკისაგან“-ო (შიომღვ. საბ. 4-5). გიორგი II-ის 1072 წ. სიგელსაც დართული აქვს გაბრიელ კათალიკოსის კრულობითი მოწმობა: „ქ. კირიელეისონ! ესე ვითა, ადიდენ ღმერთმან, ძლიერსა მეფეთა-მეფესა გიორგის ბაგრატუნიანსა დაუწერია... ჩუენ, გაბრიელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი მოწამენი ვართ. მტკიცე არს ბრძანებაი მათი, ნებითა ღ˜თისათა და ვინცა მშლელ და დამაქცეველად გამოჩნდეს, კრულმცა არს დაუსაბამოისა ღ˜თისა სიტყჳთა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და...ვინ კულა მტკიცედ ჰყოს, ღმერთმან აკურთხენ“-ო (იქვე, 12). თამარ მეფის 1189 წ. გელათის სიგელსაც დართული აქვს თევდორე კათალიკოსის კრულობითი მოწმობა თითქმის იმგვარივე, როგორიც ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგელში გიორგი კათალიკოსს აქვს დაწერილი (ქ˜კბი II, 74-75). თამარ მეფის 1202 წ. შიომღვიმის სიგელსაც ბოლოში მთავარეპისკოპოსის კრულობითი მოწმობა უწერია: „მოწამე და დამამტკიცებელი ვარ ბრძანებისა მათისაი“-ო და წყევაც აქვს დართული (შიომღვ. საბ. 28).

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ უძველეს სიგელსაც და განსაკუთრებით XIII—XIV სს. და XV ს-ითგან მოყოლებულ სიგლებს კრულობითი მოწმობანი არა აქვთ.

კრულობითი მოწმობის გარდა საბუთებს, თვით მეფისაგან ნაწყალობევსაც კი, დამსწრეთა და მოხელეთა ჩვეულებრივი მოწმობანიც ხელრთულობითურთ ჰქონდათ ხოლმე. ეს მოწმობანიც, რასაკვირველია, სიგელის სიმტკიცისათვის იყო შემოღებული, რადგან საბუთში აღნიშნული გარემოების მოწმეთა ხელისმოწერა უფრო უზრუნველჰყოფდა საბუთის ეჭვმიუტანლობას, ამიტომაც იყო, რომ ხშირად მოწმე თავის თავს იმავე დროს დამამტკიცებლად თვლიდა, მეტადრე როცა კერძო პირთა საბუთებზე იწერებოდა ხელრთულობა. მაგ., ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგელში კრულობითი მოწმობის შემდგომ წერია: „ქ. ადიდენ ღ˜ნ. ესე, ვითა უძლეველსა მეფეთა-მეფესა დაუწერია და შეუწირავს ზორცუისჯუარი მღჳმისთჳს სალოცველად მეფობისა მათისა, შეაწიენ ღ˜ნ მადლი წ˜დისა შიოსი და ევეგრესი, მეცა, მიწასა მეფობისა მათისას იოვანეს, ძესა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა დამიმტკიცებია: უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან“ (შიომღვ. საბ. 5). მანდატურთუხუცესის ჰიაბერის 1190 წ. შეწირულობის წიგნში კათალიკოს თევდორეს კრულობითი მოწმობის შემდგომ წერია: „ქ. მე, შოთაი, ჩემს ცინოვნის ქონებასაცა შიგან ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგა სწერია“ (იქვე 23). თამარ მეფის დროინდელ შიომღვიმის ლავრის კრებულისაგან მიცემულს სიმტკიცის წიგნს კათალიკოსის კრულობითს მოწმობას და ქართლის მთავარეპისკოპოსისაგან დამტკიცებას შემდეგი მოწმობანი მისდევს: „ესე ვითა ზემოით მამათა წმიდათა დაუწერია...

მეცა ნიკოლოზ წილკნელი მოწამე [ვარ]... მე ლუკა მემღუმე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ... მეცა უნდოი ელია მემღუიმე მოწამე ვარ... მეცა მწირი ღულუნ ყოფილი ნიკოლოზ მოწამე ვარ... მე ნიკოლოზ მნათე მოწამე ვარ" (იქვე, 25).

ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ა, რ ო მ ზ ო გ ი ე რ თ ძ ვ ე ლ მ ე ფ ე თ ა მ ი ე რ ბ ო ძ ე ბ უ ლ ს ა ბ უ თ ე ბ ს XI—XII ს ს-შ ი ა ც, ხ ო ლ ო, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ჩ ვ ე ნ ა მ დ ი ს მ ო ღ წ ე უ ლ ი ს ი გ ლ ე ბ ი თ გ ა ნ ჩ ა ნ ს, XIII, XIV და XV ს ს-ი ს ა შ ი მ ო წ მ ო ბ ა ნ ი ს რ უ ლ ე ბ ი თ ა რ მ ო ე პ ო ვ ე ბ ა.

ზემომოყვანილითგან ცხადია, რომ კრულობითი თუ მარტივი მოწმობანი, როდესაც ამგვარი მოწმობანი საბუთს თან ახლავდა, სიგლის ან მეექვსე ან მეშვიდე ნაწილი იყო ხოლმე.

სიგლის ბოლო და დასასრული

ზემორემოხსენებულითგან უკვე ვიცით, რომ სიგლის ერთ, პირველ ნაწილს „სიგლის თავი" რქმევია. ხოლო რაკი ასეთი ტერმინი ყოფილა, უნდა უეჭველია „სიგლის ან გუჯრის ბოლო"-ც ყოფილიყო. მართლაც ლევთაების 1721 წ. გუჯარში დავით მეფე ამბობს: „ესე გუჯარნი ჴელითა ჩვენითა დავწერენ და გულისჴმისყოფითა ჩვენითა აღმოვთქვით თავითგან ბოლომდენ"-ო (ისტ. საბ. I, 34). ჩვენ უკვე გამორკვეული გვაქვს, თუ საბუთის სახელდობრ რომელს ნაწილს საითგან სადამდის ეწოდებოდა „სიგლის თავი", იმის გამორკვევაც შეიძლება, თუ საბუთის რომელ ნაწილებს და საითგან მოყოლებული ერქვა „სიგლის ან გუჯრის ბოლო". იმავე ლევთაების 1721 წ. გუჯარში ნათქვამია: „ნუმცა ერთი ვინ შთავარდების რისხვასა ღ̃თაებისასა და შეჩვენებით წყევასა მას, რომელი ბოლოდ გუჯრისა დაგვიწერიან"-ო (ისტ. საბ. I, 24). ამ სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ „სიგლის ან გუჯრის ბოლო" უკვე იმ ადგილითგან იწყებოდა, სადაც ჩვეულებრივ საბუთის მიმცემის შეჩვენებითი წყევა იყო მოთავსებული განგებულების მაქცეველთადმი. მაშასადამე, „სიგლის ბოლო" იწყებოდა იმ ნაკვეთით, რომელსაც ბრალთგადამხდელობა ეწოდებოდა, და შეიცავდა მთელს დანარჩენს ნაწილს, ე. ი. საბუთის დაწერილობის შესახებ ცნობას, ხელრთულობის და კრულობითსა და მარტივს მოწმობასა. იმ საბუთებში, სადაც ბრალთგადამხდელობის ნაკვეთი არ მოიპოვებოდა, სიგლის ბოლო საბუთის ხელრთვისა და დაწერილობის სათვალავის ნაწილითგან მოყოლებული უნდა ვიგულისხმოთ.

სიგლის შედგენილობისა და ნაწილების მოკლე აღწერა

ამგვარად ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ სიგელ-გუჯრები ჯერ ერთი სამ მთავარ ნაწილად იყოფებოდა, სიგლის თავად, შუატანად და სიგლის ბოლოდ, რომელთაგან სიგლისთავი შესავალსა და დასაწყისს შეიცავდა, სიგლის ბოლოც საფიქრებელია ორადვე გაყოფილი იქნებოდა: დასასრულად და ბოლოდ; შემდეგ ექვს, ან ზოგჯერ შვიდ შემადგენელ ნაწილად, მათგან პ ი რ ვ ე ლ ს სიგლისთავი ეწოდებოდა, ოთხნაკვეთიანი იყო და ქანწილს, ვედრებას ან ვედრება-ქებულება-დიდებათმეტყველებას, სახელდებასა და წოდებულებას შეიცავდა, მ ე ო რ ე ს თხრობა ან მბობა და ზოგჯერ პაჯა-მოხსენების შემცველი

იყო, *მესამეს* განგებულება, რომელსაც ხშირად ჯერჩინების ნაკვეთი უძღოდა წინ და თუ სამამულე ან უპირატესობის მიმნიჭებელი იყო და ამის გამო ვრცელი შედგენილობისა იყო, მაშინ შეიძლება რიანობის ან ყოვლისფერიანობისა, პაემანის, შეუვალობის და დაუცილებლობა-გაცუდებულების ნაკვეთებიც ჰქონოდა, *მეოთხეს* — ბრძანებულება, *მეხუთეს* — ბრალთგადამხდელობა და კურთხევა, *მეექვსეს* — ხელრთულობა-სათვალავი და *მეშვიდეს* კრულობითი და მარტივი მოწმობანი. შესაძლებელი იყო მეხუთე და მეშვიდე ნაწილები საბუთს არ ჰქონოდა.

ყოველ საბუთს ჰქონდა შესავალი, დასაწყისი, შუა ტანი, დასასრული და ბოლო. ქანწილი და ვედრება-ქებულება-დიდებათმეტყველება შესავლად ითვლებოდა და თვით საბუთის ნამდვილ დასაწყისად სახელდება-წოდებულება იყო მიჩნეული. ასეთი დანაწილება ძველ ქართულ დიპლომატიკაშივე ყოფილა მიღებული და საბუთების შინაარსის ლოგიკური კავშირისა და თვითეული ნაწილ-კვეთის არსებითი მნიშვნელობის უცდომელს დაკვირვებაზე არის დამყარებული. რომელი ნაწილი ითვლებოდა ძველად სიგლის დასასრულად და რომელი დაბოლოებად, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ სიგლის შესავალ-დასაწყისის ანალოგიით საფიქრებელი ხდება, რომ დასასრულად ხელრთვა-სათვალავი უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ბოლოდ კი მოწმობანი.

თავი მეხუთე

სრულიად საქართველოს მეფეთა სიგლების დაწერილობის ისტორიული მიმოხილვა და დახასიათება

საქართველოს მეფე-კათალიკოსთა სიგლების აგებულებისა და ენის ჩამონაკვთილობისდა მიუხედავად სიგლების ნაწილების შინაარსსაცა და ენასაც დროთა განმავლობაში ცვლილება ემჩნევა[40] და ზოგიერთი ამ ცვლილებათაგანი დამახასიათებელია ხოლმე სწორედ ამა თუ იმ ხანისა, მეფობისა და მწიგნობრისათვისაც კი, ამიტომ სიგლის ნაწილების დაწერილობა ისტორიულად უნდა იქმნეს განხილულ-დახასიათებული. ეს ჩვენ უთარიღო საბუთების დათარიღებისათვის გამოსადეგ დებულებებს შეგვძენს.

§ 1. სიგლის შესავალი

რადგან მეფეთა სიგლებს XI ს. პირველ ნახევრისას ჩვენამდე არ მოუღწევია ან ჯერ აღმოჩენილი არ არის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებისა კი შენახულია, სიგლის თავის დაწერილობისა და შედგენილობის შესასწავლად შესაძლებელია კათალიკოსის სიგელი იქნეს გამოყენებული თუნდაც იმიტომ, რომ ის განსხვავება გამოაშკარავდეს, რომელიც მეფეთა და კათალიკოსთა მაშინდელ საბუთებს შორის ყოფილა.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. შეწირულობის წიგნში „ქანწილს“ ძველ მეფეთა სიგლებისათვის ჩვეულებრივზე უფრო ვრცელი „ვედრების“ ნაკვეთი მისდევს. იქა წერია: „ქ: სახელითა ყოვლად სახიერისა ღ˜თისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღ˜თისმშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხოველს-მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწევნითა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისაჲთა, ესე დაწერილი მოვაჴსენე“-ო (ქ˜ჟბი II, 31)[41].

ამის მსგავსადვე უფრო გრძელი „ვედრებაა“ მიქელ მემლუმეს ცხირეთცხევერელ-გავაზელთა ფავნელ-ტბელთაგან მონასყიდობის წიგნში, რომელიც თუმცა IX-X სს. ეკუთვნის, მაგრამ რომლის ენა გადამწერთაგან უეჭველია უნდა განახლებულ-დამახინჯებული იყოს და ამის გამო სიფრთხილითაა გამოსაყენებელი. იქაც ასეა ნათქვამი: „სახელითა ღმრთისაითა.... მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაითა, შუამდგომლობითა ნაშობთა-უმეტეს-წოდებულისა იოვანე ნათლისმცემელისაითა [და იოვანე მახარებელისაითა], რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და სამეოცდაათთა ქალწულთაითა*, რომელთა გუიქადაგეს განჴორციელება სიტყუისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამის შიოსითა“-ო (შიომღ. საბ. 1)[42].

---

* ეს ადგილი დამახინჯებულია.

მაშასადამე, პირველ საბუთში, ჯერ ერთი, რომ მარტივი ვედრების მაგიერ სამების ხსენებაა, მოწოდებულია აგრეთვე ზეციერ ძალთა მეოხება, ძლიერება და შეწევნა. მეორე საბუთშიც ზეციერ ძალთა მეოხება-შუამდგომლობაც არის ნახსენები. რადგან მეფეთა ძველი სიგელები ცოტაა ჯერჯერობით აღმოჩენილი, ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ზოგ გვირგვინოსანთა საბუთებში მაინც ამგვარი ვრცელი ვედრება? ის გარემოება, რომ იმ ათიოდე სამეფო სიგელთაგანს, რომელთაც XI-XII სს-ითაგან სხვადასხვა ქართველ გვირგვინოსნის მიერ ნაბოძებთ ჩვენამდის მოუღწევიათ, არც ერთს ვრცელი ვედრება არა აქვთ, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მეფეთა სიგელებში ძველ დროს XI—XIII სს. ჩვეულებრივ მარტივი და მოკლე ვედრება უნდა ყოფილიყო მიღებული. XV საუკუნეში სამეფო სიგლების შესავალი ნაწილი საგრძნობლად შეიცვალა. სამწუხაროდ ალექსანდრე დიდის საბუთები სრულად შენახული ცოტაა და მომეტებულ მათგანს სწორედ თავი აქვს დაზიანებული და ამის გამო ზოგიერთი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ძნელდება. როგორც ეტყობა, XV ს-ში სამეფო სიგლები ორგვარი სახით იწერებოდენ: ან ვრცელი შესავლითა, ან მოკლეთი. მოკლე შესავლიანი სიგლების ნიმუშებია ალექსანდრე მეფის 1426 წ., 1430 წ., 1438 წ. და 1441 წ. სიგლები (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 8-9 და 12-14. ისტ. საბ. III, 18-20, 22-24), გიორგი მეფის 1460 წ. და 1463 წ. (ისტ. საბ. III, 34-36 და ს˝ქს სძ˝ველნი II, 19) და კონსტანტინე მეფის 1451 წ. და 1492 წ. სიგლები (ს˝ქს სძ˝ველნი I, 1-2 და ისტ. საბ. III, 41-42). ხოლო ვრცელი შესავლიანი საბუთების ნიმუშებად უნდა მიჩნეულ იქნეს ალექსანდრე დიდის 1413 წ., 1419-1420 წწ. (ისტ. საბ. III, 7-10, 10-12) და გიორგი მეფის 1448 წ. და 1449 წ. სიგელები (იქვე III, 26-29 და 29-32).

მოკლეშესავლიანი საბუთების დამახასიათებელს თვისებას შეადგენს, რომ „ქანწილ“-ს არ ძისდევს „სახელითა ღმრთისაითა“, არამედ პირდაპირ ცნობა მბოძებელის პიროვნების შესახებ (იხ. მაგ., ს˝ქს სძ˝ველნი IV, 8 და 12. ისტ. საბ. III, 18, 22 და 34). მხოლოდ კონსტანტინე მეფის სიგლებში, რამდენადაც ეს 1451 წ. და 1492 წ. საბუთებითგანა ჩანს (ს˝ქს სძ˝ველნი I, 1 და ისტ. საბ. III, 41), ძველი წესი დაცულია და „ქანწილ“-ს ახლავს „სახელითა ღ˝თისაითა“. ვრცელ შესავლიან საბუთთაგან ალექსანდრე დიდის 1413 წ. და 1419 წ. სიგლებს თავი აკლიათ და ამიტომ შესავალი მთლიანად არ არის შენახული, გიორგი მეფის 1448 და 1449 წ. ვრცელი სიგლების შესავალი კი ერთი მეორისაგან განსხვავდებიან. კლიმი კაკლაჩასძისაგან დაწერილს 1448 წ. საბუთს „სახელითა ღმრთისაითა“-ს გარდა სამების ჯერ სრული ხსენება აქვს სამების ყველა თვისებათა ჩამოთვლით, ხოლო შემდეგ ადამის თავგადასავალი, მისი შექმნა, ცთომილება და შეცოდება, და მერმე ქრისტეს მიერ ადამიანთა ხსნაა მოკლედ გახსენებული, რომლის ბოლოსაც ნათქვამია: „ამისმან გამომძიებელმან ადამის ცდომისამებრ ცდომილმან და ყოველითა ცოდვითა შებღალ-შემწიკულებულმან, მოქენემან, რათამცა აღემსუბუქოს ტჳრთი მრავალ შეცოდებათა ჩემთა“ო (ისტ. საბ. III, 26-27). 1449 წ. იმავე გიორგი მეფის ნაბოძები და მცხეთის ქადაგის მაღალაძის ხელით დაწერილი სიგელი სულ სხვანაირად არის შედგენილი: „ქანწილ“-ს პირდაპირ ღმერთისა და სამების ვრცელი ვედრება მისდევს „პირველითგან მყოფო ღმერთო და მარადის თანაარსო და არსებითო ძეო და სიტყუაო მამისაო უწინარესო ჟამთაო, ღმერთო მამაო, ღ˝თო ძეო და ღ˝თო სულო წმიდაო, არა სამნო ღ˝თნო, არამედ პირებით განყოფილო, ბუნებით შეყოფილო და ღ˝თეებ განუყოფელო ერთო ღ˝თო, რომელი აღსასრულსა ჟამ-

თასა მოხუედ შემოსად თბისა ადამიანისა, განჰკაცენ და იშევ... და ურწმუნონი მორწმუნე გუყვენ“ (ისტ. საბ. III, 29)[43]. ამ ვედრებას ღვთაების „ქებულებანი“ მისდევენ, რომელნიც სამ ნაწილად განიყოფებიან. თვითოეული ქებულება იწყება „ეჰა“-თი, ხოლო სულ ბოლოს ნათქვამია: „და ვინმე მიუთხრას და ანუ სასმენელ ყვნეს „ქებულებანი შენნი“ (იქვე 30). პირველი ქებულება იესო ქრისტეს ეხება და იწყება სიტყვებით „ეჰა სახიერებასა შენსა“ (გვ. 29), მეორე — კათოლიკე ეკლესიას „ეჰა საყდარო კათოლიკე ეკლესიაო“ (გვ. 30), მესამე — სვეტიცხოველს „ეჰა სუეტო ღ̃თივ დიდებულო... სიქადულო ქართველთა ნათესავისაო“ (იქვე).

დემეტრე მარკოზაშვილის ხელით ნაწერი ალექსანდრე დიდის 1413 წ. და 1419 წ. თავში დაზიანებული საბუთები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. პირველში, რამდენადაც შენახული ნაწილითგანა ჩანს, „მეოხება“ ყოფილა მოწოდებული „მეოხებითა და [შუამდგომლობითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობე]ლისაითა“-ო (იქვე III, 7), შემდეგ ქებულება და „დიდებისმეტყველება“: „ეჰა, რომელი ჯერმჩინებელი ხარ წყალობის, მე, მონდობილმან და მსახოებელმან წყალობისა თქუენისამან“-ო (იქვე 8), ცოტა ქვეით ნათქვამია: „რაოდენი ქება, მადლობა და დიდებისმეტყველება შევსწიროთ თქუენდა“-ო (იქვე) და ეს სიტყვები ცხადყოფენ, რომ ამ სიგლის შესავალი სწორედ „მადლობასა“ და „დიდებისმეტყველებას“ შეიცავდა.

1419—1420 წწ. სიგელის თავიც დაზიანებულია და შენახული ნაწილი იწყება შემდეგი სიტყვებით: „დედა ექმენ ევას დედაო და ქალწულად მშობელო ემმანუელისაო“, რაც, ცხადია, ღვთისმშობელს ეხება და მისდამი ვედრებას წარმოადგენს. ეს გარემოება უეჭველი ხდება შემდეგითგანაც: „ჩუენდა ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართებელო მეფობისა ჩუენისაო, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრაპორფირისა და გუირგუინისა ჩუენისაო ყ̃დ წ̃ო და ყოვლად საშინელო მეტეხთა ღ̃თის მშობელო“-ო.

ისტორიული მიმოხილვა ამგვარად ცხადყოფს, რომ სიგლის შესავალი თანდათან დიდდებოდა და ფართოვდებოდა და XV ს-ითგან მოყოლებული ისე გაიზარდა, რომ ხშირად თვით სიგლის მთელ დანარჩენ ნაწილებს ერთიორად და მეტადაც სჭარბობდა ხოლმე.

§ 2. სახელდება

ქართული სიგელთმცოდნეობის ისტორიული განვითარების გასათვალისწინებლად სახელდების დაწერილობის სხვადასხვაობასაც აქვს მნიშვნელობა. განსხვავება ძველსა და მერმინდელ მეფეთა სიგელებში ამ მხრივაც თვალსაჩინო იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ XI—XIV სს. სიგლებში საბუთის მბოძებელი მეფე მხოლოდ თავისთავს იხსენიებს და მას მხოლოდ თავის საკუთარი სახელით აქვს ხოლმე საბუთი ნაბოძები, სამეფო სახლობის არც ერთი წევრთაგანი, თვით მისი თანამეცხედრე დედოფალთდედოფალი არასოდეს არ არის ხოლმე აღნიშნული. მაგ., გიორგი II-ის 1072 წ. შიომღვიმის სიგელში ნათქვამია მხოლოდ „მე გიორგი ბაგრატუნიანმან“ (შიომღვ. სამი სიგ. 4), გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში წერია მარტო „გ̃ისგან (გიორგისგან) ბაგრატუნიანისა“ (ს̃ქს სძ̃ვლნი IV, 2), თამარ მეფის

1189 წ. გელათისადმი ბოძებულს სიგელში იკითხება: „მე, თამარ ბაგრატუნიანმან“ (ქ˝კბი II, 73) და მისსავე 1202 წ. შიომღვიმისათვის მიცემულს საბუთშიც ნათქვამია „[თამა]რისაგან ბაგრატ[უნიანისაგან]“ (შიომღვ. სამი სიგ. 7), ლაშა-გიორგის სიგელშიც წერია: „ესე ბ˝ბაი ჩემი არს, გ˝ი (გიორგი) ბაგრატუნიანისა“ (იქვე 11), დავით ნარინის საბანელას შესახებს სიგელში ცოტა უფრო ვრცელი სახელდებაა და მეფის დედისშვილობაც არის დამატებული, რაც, რასაკვირველია, მაშინდელ საქართველოში ორი დავით მეფის არსებობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, და ასეა ნათქვამი: „დავით ბაგრატოანმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა რუსუდანისამან“-ო (ქ˝კბი II, 159). ამგვარადვეა ამავე მეფის ხეფინისხეველთა სიგელში: [დავითისა]გან ბაგრატუნიანისა რუსუდანის ძისა“ (ს˝ქს სძ˝ელნი II, 6), 1348 წ. ანდრონიკეს სიგელშიც მარტო სახელი და გვარია მეფისა „ანდრონიკესგან ბაგრატუნიანისა“ (იქვე II, 11). დავით მეფის 1365 წ. ბრძანებაშიც მხოლოდ სახელია აღნიშნული: „ჩუენ, მეფეთა-მეფესა დავითს ეგე ბ˝ბაი... გუიბოძებია“-ო (იქვე IV, 7).

ზემომოყვანილი მრავალი მაგალითი სრული უეჭველობით ამტკიცებს, რამდენად ურყევად ყოფილა დაცული მაშინდელ ქართულ მეფეთა სიგელთმცოდნეობის ეს წესი. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია, რომ თამარ მეფის საბუთებშიაც კი მისი ქმრის დავით მეფის სახელი არ იხსენიება, იმდენად შეუძლებლად ყოფილა მიჩნეული, რომ მეფეთა სიგლებში ქვეყნის უზენაესი ხელმწიფის გარდა და მის გვერდით სხვა რომელიმე თუნდ უახლოესი წევრიც მოხსენებული ყოფილიყო.

სულ სხვანაირი სურათი ეშლება მკითხველს თვალწინ XV ს. დამდეგითგან მოყოლებული. უკვე მეფე ალექსანდრე I-ის სახელდებაში თავის გარდა თავის თანამეცხედრეს დედოფალთა დედოფალსა და შვილებსა და ძმებსაც იხსენიებს, ამგვარად საბუთი მხოლოდ მეფის სახელით კი არ იწერებოდა, არამედ თითქმის მთელი სახლობისაგან იყო ნაბოძები. მაგ., 1412—1413 წწ. მცხეთის სიგელში ნათქვამია: „მე... მეფეთა მეფემან ალექსანდრე და... ძეთა ჩემთა... ვახტანგ და დიმიტრი“ შემოგვიწირავსო (ისტ. საბ. III, 8), 1414 წ. მცხეთის სიგელშიც წერია „ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა ვახტანგ და დიმიტრი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გ˝გი თქუენ შემოგწირეთ“-ო (ისტ. საბ. II, 3), იმავე მეფის 1419—1420 წლისაში ვკითხულობთ: „მეფეთა მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩემმა დედოფალთა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა... მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გიორგი“-მ შემოგწირეთო (ისტ. საბ. III, 11, და 1414 წ. ისტ. საბ. II, 3. — შეად. აგრეთვე ისტ. საბ. III, 8, 15, 18, 20, 22—23 და ს˝ქს სძ˝ელნი II, 8, 12. — გიორგი მეფის სიგ. ისტ. საბ. III, 34. — კოსტანტინე მეფის სიგ. იქვე III, 41 და სხვ.). თუმცა თითო-ოროლა ისეთი საბუთიც მოიპოვება, რომლებშიაც მეფე ძველებურად მხოლოდ თავის თავს იხსენიებს, მაგ., ალექსანდრე დიდის 1441 წ. სიგ. (ისტ. საბ. III, 21). მაგრამ, შეიძლება ითქვას, XI—XIV სს. და XV—XVI სს. სიგლების მბოძებელი მეფის სახელდება არსებითად განსხვავდება და თუ XI—XIV სს. საბუთებში მეფე მხოლოდ თავის თავს იხსენიებდა, XV—XVI და შემდეგი საუკუნეების საბუთებში უკვე მეფის თანამეცხედრეცა და ყველა შვილებიც არიან ხოლმე ჩამოთვლილი, ზოგჯერ ძმები, ბიძები და ბიძაშვილებიც კი. ეს დაკვირვება ჩვენ უთარიღო სიგლების დაახლოებითი დათარიღებისათვის გამოსადეგ საშუალებას გვაძლევს[44].

XV—XVI სს. მეფეთა სიგლების სახელდების ამგვარი გავრცელება ქართული სახელმწიფოებრივობის დაქვეითების გამომხატველია, როგორც ეს „ქართველი ერის ისტორიის" IV წიგნის 1 ნაწილშია აღნიშნული (გვ. 191).

XI—XIII სს. სიგლებში მბრძანებელი მეფის სახელს, როგორც დავრწმუნდით, ყოველთვის მისი გვარიც მისდევდა ხოლმე. XV ს. საბუთებში მარტო ბაგრატუნიანობის ხსენებით არ დაკმაყოფილებულან, არამედ ალექსანდრე მეფის სიგლებში უკვე ყოველთვის დავითიან-ბაგრატონიანობა იხსენიება (იხ. 1419 წ. და 1433 წ. ისტ. საბ. III, 11 და 15.-1426 წ. და 1430 წ. ს˝ქს სძ˝ელნი IV, 8, 12). გიორგი მეფის საბუთებში აღარც ეს მიუჩნევიათ საკმარისად და იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანობის აღნიშვნა დაუწყიათ (იხ. 1449 წ. და 1460 წ. ისტ. საბ. III, 30 და 34, — 1451 წ. ს˝ქს სძ˝ელნი I,1). ამგვარად მეფეთა გვარი ჯერ ორ ნაწილედად, ხოლო შემდეგ სამ და ოთხნაწილედად იქცა. ამ სახით შეთხზული გვარი საბუთებში ხან მეფის სახელს მისდევდა, ხან კიდევ მისი მთელი ოჯახობის სახელების ბოლოში იყო ხოლმე მოქცეული.

§ 8. წოდებულება

XI—XIII სს. სიგლების წოდებულების მაგალითები წინა თავში იყო მოყვანილი და იქ აღნიშნულია, რომ ყველგან ერთნაირად იწერებოდა, XV ს. საბუთებში მეფის წოდებულებაში ცვლილებაა შეტანილი, ზოგჯერ თვალსაჩინოც კი. ამ დროს ორგვარი წოდებულება ყოფილა მიღებული და გვხვდება სიგლებში ან სრული, ან შემოკლებული. ორ, ალექსანდრე დიდის საბუთში წოდებულება სრულებით არ მოიპოება და მხოლოდ მეფეთმეფობით იხსენიებს მბრძანებელი თავის თავს (1414 წ. სიგ., ისტ. საბ. II, 3 და 1441 წ. სიგ. იქვე III, 23), თუმცა ორსავე სიგელს თავი აკლია და შესაძლებელია მეფის წოდებულება სულ დასაწყისში ყოფილიყო.

აღსანიშნავია XV ს. საბუთების დამახასიათებელი მოვლენა, რომ მბრძანებელი მეფის სახელს ყოველთვის წინ უძღვის „მეფეთა-მეფემან" ან აგებულობისდა მიხედვით „მეფეთა-მეფისა", ძველ XI—XIII სს. სიგლებში კი, ჯერ ერთი, რომ წოდებულებაში „მეფეთა-მეფე" არ იხმარებოდა, არამედ მარტივად „მეფე", მეორეც ისა, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაც მბრძანებლის სახელს მისდევდა და წოდებულების შუაგულში იყო მოქცეული (იხ. ზემომოყვანილი მაგალითები).

როცა სიგელი XV ს-ში სრული წოდებულებით იწერებოდა, მაშინ წოდებულება მეფის სახელს კი არ მისდევდა უშუალოდ, არამედ ჯერ მისი თანამეცხედრე, შვილები და ზოგჯერ ძმებიც კი იყვნენ ხოლმე ჩამოთვლილნი და მხოლოდ ამის შემდგომ იწყებოდა თვით მეფის სრული წოდებულებაც. ახლანდელ მკითხველზე ეს უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს და, თუ საბუთს თავი აკლია და თვით მბრძანებელი მეფის სახელისა და მეფეთმეფობის შესახები ცნობის შემცველი ადგილი მოგლეჯილი აქვს და, როგორც ზოგჯერ არის ხოლმე, მბრძანებლის მხოლოდ ერთი ძე იხსენიება, ამ გარემოების უცოდინარი მკითხველი შეიძლება შესცდეს და მეფედ და მბრძანებლად მამის მაგიერ შვილი მიიჩნიოს.

XV ს. სრული წოდებულების მქონებელს საბუთებში მეფეთა წოდებულება ასე იწერებოდა. პირველ მაგალითს ალექსანდრე დიდის სრულად შენახული

1438 წ. სიგელითგან მოვიყვან. იქ ნათქვამია: „ქ:. ჩუენ მეფეთა მეფისა ალექსანდრესგან დავითიან-ბაგრატონიანისა და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა-დედოფლისა თამარისგან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან ნ ე ბ ი თ ა ღ მ რ თ ი ს ა თ ა ა ფ ხ ა ზ თ ა, ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა, რ ა ნ თ ა, კ ა ხ თ ა დ ა ს ო მ ე ხ თ ა მ ე ფ ი ს ა, შ ა რ ვ ა ნ შ ა, შ ა ნ შ ა დ ა ყ ო ვ ლ ი ს ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ ვ ი დ რ ე დ ა ს ა ვ ლ ე თ ა მ დ ი ს თ უ ი თ ფ ლ ო ბ ი თ მ ქ ო ნ ე ბ ე ლ-მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა“ (ისტ. საბ. III, 18). ეს სიგელი კარის მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძის ხელით არის დაწერილი და წოდებულების პირველი ნაკვეთი, რომელიც „მეფისა“-ით ბოლოვდება, თამარ მეფის 1202წ. და ნარინ დავითის 1266—1268 წწ. სიგლებს სიტყვასიტყვით უდგება. შემდეგი ნაკვეთი იმით განსხვავდება, რომ „შარვანშა, შანშა“ უკავშიროდ არის დაწერილი და უკანასკნელი სიტყვის მართლწერაც „ჰ“აეს გამოტოვებით გამდაბიურებულია. წოდებულების უკანასკნელი საზოგადო ხასიათის ნაწილი „ყოვლისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თუითფლობით მქონებელ-მპყრობელისა“ თუმცა თამარ მეფის იმავე 1202 წ. სიგელს უახლოვდება, მაგრამ მცირეოდენი, ზევით ხაზგასმული განსხვავება მაინც მოეპოვება.

ალექსანდრე მეფის 1433 და 1433—1434 წწ. იმავე მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძისაგან დაწერილ სიგლებს ზემომოყვანილის მსგავსი წოდებულება აქვს მცირეოდენი განსხვავებით (ისტ. საბ, III, 15 და 17). ამგვარივე წოდებულებაა 1430 წ. კლიმი კაკლაჩასძისაგან შედგენილ სიგელშიაც იმ განსხვავებით, რომ წოდებულების პირველ ნაკვეთში გამოტოვებულია „რანთა, კახთა“, ხოლო მეორეში შეცდომით წერია „შარვანა-შანშა“ (ს˝ქს სძ˝ველნი IV, 12). მაგრამ ამგვარი გამონარჩენი და შეცდომა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს სიგელი დედნით კი არა, გარდმონაწერის სახით იყოს შენახული[45]. გიორგი მეფის 1451 წ. სიგელი, რომელიც რატი წირქუალელისძის ხელით არის ნაწერი, მეფის წოდებულების პირველსა და მეორე ნაკვეთში ჩვეულებრივისაგან არ განსხვავდება, მეორე ნაკვეთი უფრო მეტის სისწორითაც კია დაცული (შანშა და შარვანშა), ვიდრე ალექსანდრე მეფის სიგლებში. ხოლო მესამე ნაკვეთი კი განირჩევა და ასეა მოყვანილი: „ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თვთქელმწიფედ მფლობელ-მპყრობელთასა“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი I, 1). ამავე მეფის 1449 წ. მცხეთის ქადაგი დიმიტრი მაღალაძის ხელით ნაწერ სიგელში მეფის წოდებულების პირველ ნაკვეთს აკლია „მეფისა“, რაც უეჭველია შეცდომით უნდა იყოს გამორჩენილი. მეორე ნაკვეთის მართლწერაა არაჩვეულებრივი „შარვანშე და შანშე“ (იქნებ საბუთი ნუსხით არ იყოს შენახული და შეცდომებიც გადამწერის ბრალი იყოს?). მესამე ნაკვეთი ამ შემთხვევაშიაც სხვებრობას შეიცავს: „ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა კედართა თუითფლობით ქელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან“ (ისტ. საბ. III, 30)[46].

კონსტანტინე მეფის 1492 წ. მცხეთის ქადაგის მახარებელი ივანიასძის ხელით ნაწერი სიგელის მეფის წოდებულების პირველი ნაკვეთი უძველესი სახით არის ნაწერი („აფხაზთა და ქართველთა“ და სხვა), მეორე ნაკვეთის მართლწერა გიორგი მეფის 1451 წ. სიგლისას მისდევს. მესამე ნაკვეთი აქაც თვალსაჩინოდ განსხვავდება; თუმცა თავში 1266—1268 წწ. ნარინ დავითის სიგლისას მიემსგავსება „ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავლეთამდე თუითქელმწიფედ ფლობით მპყრობელ-მქონებელმან“ (ისტ. საბ. III, 41).

მეფის შემოკლებული წოდებულება შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება შენახულ საბუთთა შორის: ჯერჯერობით, თუ არ ვცდები, მხოლოდ სამს, ოთხს ალექსანდრე დიდისა და გიორგის მეფის სიგელშია. შემოკლებულ წოდებულების მქონებელი საბუთების ორ დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ ასეთ სიგლებში წოდებულება ჩვეულებისამებრ მეფის სახელს კი არ მისდევს, არამედ წინ მიუძღვის. და თანაც თვით შემოკლებულ წოდებულებას წინ დართული აქვს სრულებით ახალი გამონათქვამი „ორისავე სამეფოსა“ ან „ტახტის“, „ლიხთიმერისა და ლიხთამერის“ მპყრობელობითი შესახებ მაგ., 1413 წ. და 1419 წ. დემეტრე მარკოზისშვილის ხელით ნაწერს შეწირულობის წიგნებში ასეთი წოდებულებაა: „ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუპრეთლად და შეურყეველად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე“ (ისტ. საბ. III, 8), „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა დავითიან-ბაგრატონიანმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე“ (იქვე III, 11). ალექსანდრე მეფის 1441 წ. კარის მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძის სიგელში უფრო გამარტივებითა წერია: „ორივე ტახტისა მპყრობელმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე“-ო (იქვე III, 21). ხოლო იმავე მწიგნობრისაგან დაწერილს გიორგი მეფის 1448 წ. სიგელში ამნაირი წოდებულებაა: „აფხაზეთისა და ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა მტკიცედ მპყრობელმან მეფეთა-მეფემან გიორგი“ (იქვე III, 27). თავისებურია და თვალსაჩინოდ განსხვავდება წოდებულება მხოლოდ 1426 წ. თუმც იმავე მწიგნობრის კლიმი კაკლაჩასძის ხელით ნაწერს სიგელში, სადაც ასეა: „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰისა და ყოვლისა საქართველოსა და ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, აღმოსავლეთ-დასავლეთამდის თუითფლობით მტკიცედ მპყრობელისა“ (ს̃ქს სძ̃ველნი IV, 8). ეს წოდებულება ვრცელისა და შემოკლებულის შეერთებას წარმოადგენს და სწორედ ამით განსხვავდება იგი დანარჩენ შემთხვევებისაგან. ამის მსგავსადვე არაჩვეულებრივი წოდებულებაა გიორგი მეფის 1453 წ. სიგელში, რომელიც ზოგიერთ ეჭვს ბადებს: „ორისავე ტახტისა და სამეფოისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, შანშე და შარვანშე და ყოვლისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა თუითფლობით მტკიცედ მქონებელ-მპყრობელმან პატრონმან მეფეთა მეფემან გიორგი“ (ს̃ქს სძ̃ველნი II, 16).

§ 4. დათარიღება

ამ წიგნის მეოთხე თავში სიგლის მეექვსე ნაწილის განხილვის დროს საბუთებითგან მოყვანილი ამონაწერებით ცხადადა ჩანს, რომ XI—XII სს. *მეფეთა სიგლები მხოლოდ საბუთის მბოძებელი გვირგვინოსნის მეფობის ინდიკტიონით, ანუ წელიწადით არის დათარიღებული* და სხვა არავითარი ქრონოლოგიური ცნობა იქ არ მოიპოვება.

ამგვარადვე მხოლოდ მეფობის ინდიკტიონებითაა დათარიღებული ნარინ დავითის 1267—1288 წწ. საბანელას შეწირულობის წიგნი (ქ̃კბი II, 160) და იმავე მეფის 1266—1268 წწ. ხეფინისჴეველთა სიგელი (ს̃ქს სძ̃ველნი II, 6). მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის (?) სიგლებში იწყება ქორონიკონების აღნიშ-

ვნა და შემდეგ ორმაგი დათარიღებაც — როგორც ქორონიკონით ისევე მეფობის ინდიკტიონებითაც, მაგ.: „დაიწერა ქ˜ნიკნსა :კ ზ: ივნისს ვ კელითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა ქავთარისშვილის (?) ბოცოისითა“ (1339 წ. სიგ., ს˜ქს სძ˜ვლნი II, 10), „დაიწერა ქ კ ნ ს: ლ გ: ოკდომბერსა იბ ბრძანება...“ (1345 წ. იქვე), „დაიწერა ბრძანებაი ესე ქ˜კნსა :ნგ: დეკენბერსა :ლ ა: კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა ჳურისძისათა“ (ს˜ქს სძ˜ვლნი IV, 7). ეს გარემოებაც უთარიღო მეფეთა სიგლების დასათარიღებლად საუცხოვო საშუალებად გამოდგება.

ალექსანდრე მეფის სიგლები ორმაგი თარიღით არიან შემკულნი: წინ ქორონიკონი მიუძღვის ხოლმე, ხოლო შემდეგ მეფობის ინდიკტიონია დასახელებული, თუმცა ისეთი შემთხვევებიცაა, სადაც წინაუკმოა; მაგ.: „დაიწერა ქ˜კნსა:. რა:. სეკდენბერსა:. კ:. ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა პირველსა კელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა კაცთა უნარჩევესისა დემეტრე მარკოზისშვილისათა“ (1413 წ. ისტ. საბ. III, 10), „დაიწერა სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქ˜კნსა :რბ: კელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა კაცთა უნარჩევესისა დემეტრე მარკოზისშვილისათა“ (1414 წ. სიგ. ისტ. საბ. II, 3-4. იხ. 1419 წ. იქვე III, 12), „დაიწერა ბ˜ბა და სიგელი ქ˜კნსა :რიზ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ი˜ვ: კელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა უნარჩევესისა კარისა მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩას ძისათა“ (1428 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 14), „დაიწერა ბ˜ბა და სიგელი ესე ჩუენი ქ˜კნსა:. რკა:. ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა:. კა:. კელითა მესტუმრისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩასძისათა“ (1433 წ. სიგ. იქვე III, 16. იხ. ამგვარივე იქვე 1433 წ. სიგ. III, 18. 1438 წ. III, 20. 1441 წ. III, 24 და სხვა).

§ 5. ხელრთულობა

საუფლო ხელრთულობა საბუთებში სულ სხვადასხვა სახითა გვხვდება. მაგ. მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წ. სიგელში ბაგრატ მეფეს, როდესაც როგორც ჩანს შემდეგში მას დასამტკიცებლად მიუტანეს, ასე მოუწერია ხელი და დაუმტკიცებია: „ესე ვითა ზემოჲთ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზს დაუწერია და საქმე სულისა მისისათვის გაუგია, მე ბაგრატსა ნებითა ღ˜თისათა აფხაზთა მეფესა და კურატპალატსა კელითა ჩემითა დამიმტკიცებია: მტკიცე არს და უქცეველი ნებითა ღმრთისათა“-ო (ქ˜კბი II, 35). გიორგი II 1072 წ. სიგელში ასე აწერს ხელს: „ქ. ესე ვითა ზემოთ დამიწერია მე გიორგი ბაგრატუნიანსა კელითა ჩემითა დამიმტკიცებია. მტკიცე არს უკუეთუ უფალსა ღმერთს უნდეს“-ო (შიომღვ. საბ. 12). მაშასადამე, საუფლო ხელრთულობა ამ ორ შემთხვევაში დამტკიცებულ სახელ-ვინაობასაც შეიცავს. იმავე მეფეს 1082 წ. სიგელში კი მოკლე ხელრთულობა აქვს თავის სახელისა და ვინაობის მოუხსენებლივ: „მტკიცეა ნებითა ღთისათა“-ო (იქვე 14)[47]. დავით აღმაშენებელსაც შიომღვიმის მონასტრის 1123 წ. ანდერძის წიგნში მარტივი და უსახელო ხელრთულობა უხმარია: „სიმტკიცეო ყ˜ლთაო ღ˜თოო დაამტკიცე მტკიცედა უქციე“-ო (ს. კაკ. 16 შეად. შიომღვ. ისტ. საბ. 19). გიორგი III-ც შიომღვიმის 1170 წ. სიგელს ამგვარადვე აწერს ხელს: „ქ. მტკიცე არს ნებითა ღ˜თისაითა“-ო (ს˜ქს სძ˜ვლნი IV, 7). თამარ მეფესაც გელათის 1189 წ. სიგელზე თუმცა ვრცელი ხელრთულობა აქვს, მაგრამ არც თავისი სახელი და არც ვი-

ნაობა არ მოუხსენებია: „ქ ესე [ვითა და]მიწერ[ია]... სასოებით და გულის მოდგინებით ჩემისა საქმისა... განაჩენი ჩემითა ქელითა ცოდ[ვილითა დამიმტკ]იცებია"-ო და სხვა (ქ˝კბი II, 74)[48]. შიომღვიმის მონასტრის 1202 წ. სიგელზე კი თამარ მეფის ხელრთულობა ამგვარადვე უსახელოა, მაგრამ მოკლე: „მტკიცე ყოს ღ˝ნ შეუცვალებელად"-ო (შიომღ. საბ. 27). დავით რუსუდანის ძესა და დავით ლაშას ძეს შიომღვიმის 1250 წ. გრიგოლ სურამელისადმი მიცემულს საბუთში და მიქაელ კათალიკოსის XIII ს. წყალობის წიგნზე არაჩვეულებრივი ხელრთულობა უხმარიათ და პირველში წერია ხვეულად: „ქ დამინიშნავს. ქ დაგუინიშნავს" (ს. კაკ. სიგ. მსახურთუხ. გრიგ. სურამელისა 1250 წ., 9), ხოლო მეორეში: „ჩუენ დავით მეფეს დამინიშნავს" (ს. კაკაბაძე, მე-XIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები 6). რკონის 1259 წ. კახა მეჰურჰლეთუხუცესის შეწირულობის წიგნზე დავით ლაშას ძეს ასე აქვს ხელი მოწერილი: „მე დავით მეფესა დამიმტკიცებია"-ო (ქ˝კბი II, 141).

საუფლო და კათალიკოსთა ხელრთულობა XIII—XV სს. საბუთებში ხშირად ისეთ რთულ სახეებად გადაბმულ-გადახლართულია ხოლმე, რომ მათი წაკითხვაც კი ძნელდება და თუ საბუთი დაზიანებულია და მკითხველმა სიგლის მბოძებელის ვინაობა არ იცის, ზოგჯერ გარჩევაც კი შეუძლებელი ხდება (იხ. ნარინ დავითის 1266—1268 წწ. სიგ., გიორგი ბრწყინვალის 1338 წ., 1339 წ. და 1345 წ. სიგ. ს˝ქს სძ˝ვლნი II, 7, 9 და 10).

1365 წ. მეფეთმეფე დავითის სიგელზე მოიპოვება სახელიანი მარტივი, ხვეულად დაწერილი ხელრთულობა: „მეფე დავით" (ს˝ქს სძ˝ვლნი IV, 7). XV ს. საბუთებში, ალექსანდრე მეფის და გიორგი მეფის სიგლებში თუმცა ხელრთულობა შინაარსის მხრით რთული არ არის, მაგრამ ხვეულია და მოხაზულობის გადახლართულობისა და სირთულის გამო წამკითხველისათვის ხშირად გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს (იხ. იქვე IV, 9, 14, 15. II, 19 და სხვა). უკვე XIII—XIV სს-შიც, მაგრამ უფრო ალექსანდრე მეფითგან მოყოლებული საუფლო ხელრთულობაში მეფეები თავიანთ საკუთარ სახელსაც იხსენიებენ ხოლმე. მაგ.: „ქ. მე მეფესა ალექსანდრეს შემიწირავს ჩემითა ნებითა"-ო (1414 წ. ისტ. საბ. I, 4), „ქ. მეფეთ-მეფესა ალექსანდრეს პატრონსა, დედოფალთ-დედოფალსა პატრონსა დულარდუხტს შემოგვიწირავს და მოგუიჴსენებია. ალექსანდრე" (1413 წ. იქვე III, 10), „ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღ˝თა" (1428 წ. იქვე 14), „მე ვახტანგსა დამიმტკიცებია" (1429 წ. იქვე 15), „ქ. ვამტკიცებ" (1433 წ. იქვე 16 და 18), „ალექსანდრე ვამტკიცებ" (1438 წ., 1441 წ., იქვე 20 და 21, 22) „ალესანდრე" (1441 წ. იქვე 24), „ქ. მეფე გიორგი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისითა ამენ" (1448 წ. იქვე 29) და სხვა.

§ 8. მეფეთა ბრძანების ახალი სახე XVI ს-ში

სრულიად საქართველოს მთლიანობის დაშლის და სამეფო-სამთავროების შექმნის შემდგომაც ქართული სიგელთდაწერილობის ძველი სახე და წესრიგი დარჩა[49]. არსებითი ცვლილება არ მომხდარა და მერმინდელი განვითარება უფრო წინანდელის ან გართულებას, ანდა გამარტივებას წარმოადგენდა, ერთი ნაწილის გარდა, რომელსაც ქართლის მეფეთა სიგელთდაწერილობაში XVI ს. თვალსაჩინო და ფრიად საგულისხმო ცვლილება ემჩნევა.

მეფე ლუარსაბის 1552 წ. თბილისის სიონისადმი ბოძებულსა და ზებედე მთავარ დიაკვანის სამეფო კარის მწიგნობრის ხელით დაწერილ სიგელში ბრძანებულების ნაკვეთი შემდეგი მეტად დამახასიათებელი, წინათ უცნობი სიტყვებით იწყება: „აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ ვინგინდ კარით ჩვენით წარვლენილნი მოსაქმენი იყუნეთ — ქალაქის მოურაო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხვანო მოსაქმენო თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ"-ო (ისტ. საბ. II, 41). ეს მიმართვის სახით გამოთქმული წინადადება ჩვენი მეფეების ხელისუფლების დაკნინების საუცხოო გამოხატულებას წარმოადგენს: მეფე უკვე იმდენად იყო იძულებული უზედაეს მოხელეებისათვის არ ეწყენინებინა, რომ მათთვის ბრძანების მიცემას ველარ ახერხებდა, თუ რომ მოხსენების სახით არ გამოუცხადებდა მათ თავის სურვილს.

თავი მეექვსე

ლათინური, ბიზანტიური, სომხური და ქართული სიგელთდაწერილობის შედარებითი შესწავლა

საქართველოს მეფეთა XI—XIII სს. სიგელების აგებულებისა და ნაწილების სახელების შესწავლის შემდგომ თავისდათავად იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ საითგან, როგორ და როდის შემუშავდა საბუთების ამგვარი აგებულება, დამოუკიდებლივ და ადგილობრივი შემოქმედების ნაყოფია იგი, თუ სხვაგნებურია? რაკი ქართული სიგელები ამ ხანაზე უწინარესი ჯერ აღმოჩენილი არ არის, XI—XIII სს. საბუთებს კი უკვე სრულებით მტკიცედ ჩამოყალიბებული სახეობა აქვთ, ამიტომ ცხადია, რომ XI ს. სიგელთა სახეობის შემუშავების დასაწყისის ხანად არ შეიძლება მიჩნეული იყოს, არამედ მისი ჩამოყალიბება გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო[50]. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გამორკვევა მარტო არსებული მასალებითა და ქართული საბუთების შესწავლით შეუძლებელია და ამის გამო ქართული სიგელების სახეობის სადაურობის საკითხი უნდა შედარებითი შესწავლის საშუალებით გამოირკვეს, რომ ამ გზით ის გარემოება მაინც ნათელი შეიქმნას, თუ რომელი უცხო ქვეყნისა და სახელმწიფოს დიპლომატიკას უფრო უდგება ქართული დიპლომატიკა თავისი დამახასიათებელი თვისებებით.

სრულიად საქართველოს მეფეებს სიგლების აგებულება და სახეობა შესაძლებელია ძველითგანვე, იქნებ ქართლის მეფობის დროითგანვე ჰქონოდათ ნაანდერძევი. მაგრამ ამ ორ ხანას შუა დიდი მანძილი ძევს, რომ უსაბუთოდ ამის დაჯერება შესაძლებელი იყოს. და სანამ საამისოდ ახალი მასალები არ აღმოჩნდება ან ახალი გარემოება არ გამოირკვევა, ამ საკითხზე თეორიულს მსჯელობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შედარებითი შესწავლა კი უეჭველია რაიმე ახალ დასკვნას შეგვძენს.

როგორც დავრწმუნდით (იხ. თავი II, § 1), საბუთების საზოგადო სახელად და ტერმინად საქართველოში X ს-ითგან მოყოლებული „სიგელი" იყო მიღებული. ცხადია ეს სიტყვა ქართული არ არის და უკვე დიდი ხანია, რაც იგი ლათინურითგან შეთვისებულად ითვლება და sigillum-ისაგან წარმომდგარად არის მიჩნეული. მაგრამ ლათინურად ამ სიტყვას ბეჭედის ან საბეჭდავის მნიშვნელობა ჰქონდა და საბუთის აღსანიშნავად არ იხმარებოდა. ამიტომ საეჭვოა ეს ტერმინი ქართულს პირდაპირ, უშუალოდ ლათინურითგან ჰქონდეს შეთვისებული, მართლაც ბერძნული საბუთების შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს სიტყვა ბიზანტიურს სამდივანმწიგნობრო ენაშიც მიღებული ყოფილა და სწორედ ისეთივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორიც ქართულში.

ბიზანტიაში სიგლეპი ოქროს, ტყვიისა და ცვილის შეკიდული ბეჭდებით იყვნენ ხოლმე შემკული. ოქროსბეჭდიან საბუთს Χρυσόβουλος ხრუსობულოს-ი, ანუ როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, „ოქრობეჭედი" ეწოდებოდა. ტყვიისბეჭდიანს μολυβδόβουλος მოლუვდობულოს-ი ერქვა, ე. ი. „ტყვივბეჭედი".

-სამეფო სიგლის, ოქრობეჭედის, ანუ ხრიზობულის აღსანიშნავად ჩვეულებრივ XII—XIII სს.-ში იხმარებოდა ὁ χρυσόβουλος λόγος. მაგ., ათონის მთის მონასტრების მამასახლისთაგან კეისარ ალექსი III-ისათვის 1198 წელს მირთმეულს ვედრების წიგნში წერია: „εἰ ἔστι θέλημα τῆς βασιλείας αὐτοῦ, γενέσθω ἕτερος χρυσόβουλλος λόγος“ (Actes de Chilandar publiés par L. Petit et B. Karabiev, იხ. *Визант. Временник* 1911 წ. прилож., к XVII тому № 1, გვ. 6_{22-23}, აგრეთვე 5_{87-88}.

მაგრამ ამ ტერმინის გარდა მიღებული ყოფილა აგრეთვე „τὸ χρυσόβουλλον σιγίλλιον“, ან მარტივად „τὸ σιγίλλιον“, „ტო სიგილიონ“. მაგ., ალექსი კეისრის იმავე 1198 წ. ოქრობეჭედში, რომელშიაც χρυσόβουλλος λόγος-ი გვხვდება, მეორე ტერმინიც არის ნახმარი და ნათქვამია: „καταψηφίζεται τοῦ ἐξ αἰτήσεως τοῦ αὐτοῦ μοναχοῦ κῦρ Συμεὼν προαπολυθέντος χρυσοβούλλου σιγιλλίου τῆς βασιλείας μου καὶ τὴν τε μον ἣν τοῦ Χιλανταρίου“ (L. Petit. Actes de Chilandar, გვ. 10_{46-49}). ამნაირივე ტერმინია ნახმარი ამავე კეისრის 1199 წ. სიგელშიც (იქვე $12_{17-18, 24-25}$ და 13_{38}).

კეისარ იოვანე კომნენის ასულის მარიამის 1142 წ. საბუთში მარტივად მხოლოდ „სიგილიონი“ წერია და იქ ნათქვამია: „διὰ τοῦτο υπέγραψε καὶ ἡ βασιλεία μου σιγγιλλίῳ εἰς μνημόσυνον τῶν ἀγιοκοιμήτων Βασιλέων πάππων προπάππων.., καὶ διὰ τοῦτο ἐδόθη σιγίλλιον τῆς Βασιλείας μου... εἰ τις εὑρεθῇ... καὶ παραθραύσει τὸ παρὸν ἡμῶν σιγίλλιον...“ (Actes de Zographou: *Визант. Врем.* 1907 წ., приложение к XIII тому № 1, გვ. $14_{76, 78, 79}$—$15_{70, 93-94}$).

ყველა ზემომოყვანილი მაგალითებითგანა ჩანს, რომ τὸ σιγίλλιον-ი, რომელიც ლათინურითგან ნასესხები სიტყვა უნდა იყოს, ბიზანტიაში საბუთის, თვით ოქრობეჭედის ანუ ხრიზობულის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა და მნიშვნელობით ქართულ „სიგელ“-ს უდგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი ბიზანტიითგან უნდა ჰქონდეს ქართულს შეთვისებული.

ზემონათქვამითგან ცხადია, რომ ქართული სიგელთმცოდნეობის საფუძვლიანი შესწავლისათვის რომაულ-ბიზანტიური სიგელთმცოდნეობის ძირითადი დებულებების გათვალისწინება მართლაც საჭიროა.

შედარებითი შესწავლა დასავლეთ ევროპის დიპლომატიკის რომისა და ბიზანტიის დიპლომატიკის ძირითად დებულებებთან შედარებით დავიწყოთ, რადგან ძველადაც და ქრისტიანობის ხანითგან მოყოლებული საქართველოს მჭიდრო კავშირი რომისა და ბიზანტიის სახელმწიფოებთან ჰქონდა. ამასთანავე რომისა და მისი უშუალო გამგრძელებლები ფრანგულ-გერმანული დიპლომატიკა თეორიულადაც და პრაქტიკულად საუკეთესოდ არის შესწავლილი, ბიზანტიური კი ჯერჯერობით ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა და ამიტომ პირველად რომაულ-ფრანგულ-გერმანულ სიგელთმცოდნეობას უნდა შევეხოთ, ხოლო მერმე ბიზანტიურს.

§ 1. ლათინური სიგელთმცოდნეობა

დასავლეთ ევროპის დიპლომატიკა რომაულ დიპლომატიკისაგან წარმოიშვა. სამწუხაროდ საკითხი ძველი რომაული სიგელების ბუნებისა და თვისებათა შესახებ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი (ჰ. ბრესლაუ 49). ცნო-

ბილია მხოლოდ, რომ რომაელები საბუთებს ორ მთავარ ჯგუფად჻ ჰყოფდენ: ერთს carta ეწოდებოდა, მეორეს notitia. carta ისეთს საბუთებს ერქვა, რომელნიც ახალ უფლებრივ მდგომარეობას ჰქმნიდენ. ასეთ საბუთებს გერმანულ მწერლობაში წინათ dispositive Urkunde ეწოდებოდა, ხოლო პროფ. ჰ. ბრუნნერის წინადადებით ახლა Geschäftsurkunde ჰქვიან. კეისრებისა და მეფეების ყველა სიგელი ამ პირველ ჯგუფს ეკუთვნის. ხოლო notitia იმგვარი საბუთების სახელად იხმარებოდა, რომელნიც რომელიმე უფლებრივად სავალდებულო ხელშეკრულობისა თუ სავალდებულო მოქმედების აღმნუსხველი და დამამტკიცებელი იყო. ყველა კერძო პირთა საბუთები ამ ჯგუფს ეკუთვნოდენ. გერმანულ მწერლობაში პროფ. ბრუნნერის წინადადებითვე Beweisurkunde-ს უწოდებენ (ჰ. ბრესლაუ 49—51 და თომმენ 7).

რადგან ძველად კეისართა და მეფეთა სიგელები ეპისტოლეს სახით იწერებოდა ხოლმე, ამიტომ წერილი ან წიგნი ეწოდებოდათ epistola, epistola donationis, traditionis, წყალობის წიგნი და სხვა (ჰ. ბრესლაუ 51).

ლანგობარდებისა და ფრანკების სამართალში საბუთთა პირველი ჯგუფისათვის სახელად carta, testamentum (ანდერძი), epistola, ხოლო მეორე ჯგუფისათვის notitia, breve, memoratorium იყო მიღებული. მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან carta კარტა-სა და notitia ნოტიციას მნიშვნელობა ირევა და კარტა ან კარტულა საბუთის საზოგადო სახელად ხდება (ჰ. ბრესლაუ 51).

მხოლოდ 818—819 წწ. ლუდოვიკოს კაპიტულარში არის პირველად ტერმინი „ურქუნდო“ urchundo ნახმარი და შემდეგ ამ სიტყვის ხმარება თანდათან ვრცელდება (თომმენ 8).

თვითოეული დარგის სხვადასხვა საბუთებისათვის განსაკუთრებული საგანგებო ცალკე ტერმინები არსებობდა.

ზიკელმა დაამტკიცა, რომ საბუთების შინაარსი საზოგადოდ და მათ შორის ძველ რომში დაწერილი და საშუალო საუკუნეებისაც შეიძლება და უნდა ორ მთავარ ნაწილად დაიყოს. ერთს საბუთის იურიდიული პირობისა თუ ხელშეკრულობის შემცველი ნაწილი შეადგენდა, მეორე საბუთის მიმცემის ვინაობასა და დაწერილობის გამომწვევ გარემოებასა და თარიღს შეიცავდა. უკვე საშუალო საუკუნეებშიაც საბუთებს ორადა ყოფდენ და ერთს იურიდიული შინაარსის შემცველ ნაწილს უძახდენ tenor specialis განსაკუთრებულ სპეციალურ მწკრივს, მეორეს—formula ფორმულას. ასე აქვს მაგ. დაყოფილი Baumgartenberger Formularbuch-ის შემდგენელს.

ბოლანდინუსი კი თავის 1546 წ. ვენეტიკში დაბეჭდილს თხზულებაში Summa totius artis notariae (გვ. 49 და შემდ.) პირველს ნაწილს tenor negotii-ს საქმითი მწკრივს უწოდებს, მეორეს კი publicationes განცხადებებს, უწყებას. მაშასადამე, ამგვარი დანაწილება ძველადაც სცოდნიათ და ზიკელმა კვლავ შეიგნო საბუთების ამნაირი აგებულების ხასიათი და ეს მნიშვნელოვანი დანაწილება ისევ შემოიღო, მხოლოდ სხვა ტერმინები არჩია. პირველს, იურიდიული შინაარსის შემცველ ნაწილს მან ტექსტი (textus ლათინ.=ქსოვილს, თხზულებას) ან კონტექსტი (der Text, Kontext) უწოდა, მეორეს Protokoll პროტოკოლი. რადგან ეს წინათ ფორმულად წოდებული მეორე ნაწილი პირველ ნაწილს, ანუ ტექსტს ერთი მხრით წინ უძღოდა და მეორე მხრით უკან

მისდევდა ხოლმე, ამიტომ წინამავალს საკუთრივ Protokoll პროტოკოლი, ანუ Eingangprotokoll დაუტოვა სახელად, უკანამავალს — კი ესქატაკოლი (Eschatakoll ანუ Schlussprotokoll) დაარქვა. ტერმინი textus ტექსტუს უკვე ფრანკების საბუთებში მოიპოვება (ჰ. ბრესლაუ 45—46). რათგან ყოველი საბუთი ახალი უფლებრივი გარემოებით არის ხოლმე წარმოშობილი ან გარემოების წარმომშობელია, ამიტომ პირველი, იურიდიული შინაარსის შემცველი ნაწილი მეორეზე უფრო ცვალებადია, რადგან სიგლის ერთსადაიმავე მიმცემს სხვაც ბევრი სხვადასხვა ხასიათისა და საგნის თაობაზე საბუთი შეუძლიან დასწეროს, ან დააწერინოს და ამის გამო პროტოკოლისა და ესქატაკოლის უდიდესი ნაწილი თარიღს გარდა შეიძლება თითქმის ერთი და იგივე იყოს. სამაგიეროდ ერთდაიმავე პირის სრულებით ერთი და იმავე იურიდიული შინაარსის მრავალი საბუთი არ მოიპოვება და, რომც ყოფილიყო, არავითარი აზრი არც ექმნებოდა.

საბუთები ორნაირად იწერებოდა ხოლმე: ან სიგლის მიმცემი მეობით ან ჩვენობით ლაპარაკობდა და საბუთი მემთხობრელობითი კილოთი იყო ხოლმე დაწერილი (Ego, ან nos) — ამას სუბიექტური გამოთქმულობა (die subjektive Fassung) ეწოდებოდა, ან საბუთი მოთხრობილი კილოთი იყო ხოლმე შედგენილი და სიგელის მიმცემი მესამე პირით ლაპარაკობდა თავის თავზე („comes Ruodolfus... laudavit") — ამას ობიექტური ჰქვიან. თუმცა უკვე ძველ რომში საბუთები ორივე სახით სუბიექტური და ობიექტური გამოთქმულობით ცნობილი იყვნენ, მაგრამ ობიექტური გამოთქმულობა საბუთებში უძველეს სახედ უნდა ჩაითვალოს (ჰ. ბრესლაუ 5 და თომმენ 12). თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგჯერ ერთი და იგივე სიგელი ორთავე სახით არის ხოლმე შედგენილი (თომმენ 12).

დასავლეთ ევროპის საბუთები განსაკუთრებით მეფეებისა და კეისრებისა, ან რომის პაპების მიერ ნაბოძები რამდენიმე ფორმულებისაგან შედგებიან. ერთი წილი მათგანი პროტოკოლს ეკუთვნის, ზოგი ტექსტსა და ესქატაკოლს. თვითოეულისათვის თანამედროვე მეცნიერებაში ზიკკელისა, პაოლისა და სხვათა მიერ განსაკუთრებული ტერმინია შემოღებული, რომელთაგან ზოგიერთი ძველად იხმარებოდა.

პროტოკოლი სამი ნაწილისა ანუ ფორმულისაგან შედგებოდა. პირველს Invocatio „ინვოკაციო" ეწოდებოდა და საბუთის თავში ღვთის სახელის ხსენებას წარმოადგენდა ჩვეულებრივ ამ სახით † In nomine sanctae et individuae trinitatis „სახელითა წმიდისა და განუყოფელისა სამებისათა". თავში დასმული ჯვარი აგრეთვე „ინვოკაციოდ" ითვლებოდა, მხოლოდ სიმბოლურად. ამის გამო მეცნიერებაში ორგვარი „ინვოკაციო" არის ცნობილი: ერთი ჯვარისა †, ანუ C სახით დაწერილი სიმბოლურად ან „ხრიზმოდ" იწოდება (die symbolische ან monogrammatische Invokation das Chrismon = C.), მეორე სიტყვებით გამოთქმული სიტყვითი ინვოკაციოს სახელით არის ცნობილი (die verbale Invokation). Invocatio ლათინურად მოწოდებას ნიშნავს, ხოლო შინაარსით ქართულს „ვედრება»-ს უდრის, ხოლო სიმბოლურ ინვოკაციოს, ანუ „ხრიზმო"-ს ქართულ სიგელთმცოდნეობის „ქანწილი" უდრის.

მეორე ნაწილს, ანუ ფორმულას, რომელიც სიგელის მიმცემის პიროვნებისა და ვინაობის შესახებ ცნობას შეიცავს, Intitulatio „ინტიტულაციო"

ჰქვიან. ჩვეულებრივ იგი ამასთანავე მკითხველს აცნებს, რომ საბუთის მბოძებელი თავის ვინაობას ღვთის წყალობას უმადლის. ამას devotio გერმ. die Devotionsformel-ი ეწოდება და მნიშვნელობით ქართულს „სახელდება-წოდებულება"-ს უდრის. ამგვარად intitulatio უფრო ხშირად devotio'-სთან არის ხოლმე შეერთებული. მაგ. Korolus divina favente elementia rex „კარლოსი მოწყალებითა ღვთაებრივისა მფარველობისათა მეფე „ან Fridericus divina xavente clementia Romanorum imperator augustus „ფრიდერიკო მოწყალებითა ღვთაებრივისა მფარველობისათა რომაელთა კეისარი, ანდა „Heinricus dei gratia Romanorum rex sempar augustus" „ჰენრიკო წყალობითა ღმრთისათა რომაელთა კეისარი მარადის ავღუსტიანი".

ინგლისის მეფეები მეფობით არ კმაყოფილდებოდენ და თავიანთ საბუთებში უფრო რთულ წოდებულებას ხმარობდენ ხოლმე, მაგ., ჰენრიხ II-ს თავის 1154 წ. ახლო ხანებში დაწერილ სიგელში ნათქვამი აქვს: „Henricus dei gratia rex anglie, dux Normannie et Aquitanie et comes Andegavie" „ჰენრიხი წყალობითა ღმრთისათა მეფე ინგლისისა, ჰერცოგი ნორმანდიისა და აკვიტანიისა და გრაფი ანჟუსი". იოანე უმამულოს 1215 წ. შედგენილ განთქმულ Magna Carta დიდ ქარტაშიც წერია: „Iohannes Dei gratia rex Anglie, dominus Hibernie, dux Normannie et Aquitanie, et comes Andegavie" „იოანე წყალობითა ღმრთისათა მეფე ინგლისისა, პატრონი ირლანდიისა, ჰერცოგი ნორმანდიისა და აკვიტანიისა და გრაფი ანჟუსი".

მესამე ნაწილად ან ფორმულად ის ცნობა ითვლება, რომელშიაც სწორედ ის პირნი არიან ხოლმე დასახელებული, რომელთაც საბუთის შინაარსი ეცნობებოდათ. ამ ნაწილს Inscriptio „ინსკრიპციო", ანუ მისამართი ეწოდება. ამ ცნობას ხშირად მისალმება აქვს ხოლმე თან დართული, რომელსაც მისალმებას ლათ. salutatio-ს, ხოლო გერმ. die Grussformel-ს ეძახიან. ამ ნაწილის მაგალითად შეიძლება მოყვანილი იყვეს „Un versis sacri Romani imperii fidelibus presentes litteras inspecturis gratiam suam et omne bonum" „რომაელთა წმიდა სახელმწიფოის ყოველ ერთგულებს (ყმებს) წინამდებარე დაწერილის მხილველი წყალობასა ჩუენსა და ყოველსავე კეთილსა" მიეუძღვნითო. მესამე ნაწილი ყველა საბუთისათვის აუცილებლად საჭირო არ იყო და ხშირად აკლდა ან მეორე იყო ხოლმე გადაბმული.

საბუთის ტექსტის პირველი ნაწილი ჩვეულებრივ პროტოკოლისა, ანუ სიგლის თავისა და ტექსტის გადასაბმელად იყო დანიშნული და საზოგადო ხასიათის მსჯელობასა და დებულებებს შეიცავდა, რომლითაც სიგლის მიმცემელი თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობდა და უნდა ეხელმძღვანელა.

ამ საზოგადო ზნეობრივ-უფლებრივ-მაიძულებელ ვალდებულებათა შემცველ სიგლის ნაწილს წინათაც arenga „არენგა"-ს ეძახდენ და ახლაც ასევე Arenga-ს ეძახიან. საშუალო საუკუნეებში ამის მაგიერ ტერმინად exordium, proverbium, prooemium და prologus ანუ „შესავალი", „წინასიტყვაობა" იხმარებოდა ხოლმე. ქართულ სიგელთმცოდნეობაში, როგორც დავრწმუნდით, „არენგას-ს" შინაარსის მქონებელ სიგლის ნაკვეთს „ჯერჩინებო" ეწოდება. შემდეგ მისდევდა მიმართვა იმ პირთადმი, რომელთაც ვითარცა თანამდებობის პირთ საბუთის შინაარსი უნდა სცოდნოდათ, ან, თუ შინაარსი ყველას ეხებოდა,

საერთო განცხადების სახით იწერებოდა. მაგ., Ideoque poverit omnium fidelium nostrorum, praesentium scilicet et futulorum industria quia „და ამიტომ ყოველთა ერთგულთა ჩვენთა აწინდელთა, რასაკვირველია, და მომავალთა ეცნობის განზრახვა რომ...“

„Eapropter cognoscat tam presens etas imperii fidelium quam Successura posteritas, quod“... „ამიტომ იცოდეს სახელმწიფოისა (ჩვენისა) ერთგულთა, როგორც აწინდელმა თაობამ ისევ შემდგომად მომავალმა შთამომავლობამ, რომ..“ ამ ნაწილს promulgatio, ან notificatio, „პრომულგაციო“, ან „ნოტიფიკაციო“ ე. ი. განცხადება ეწოდებოდა. არსებითად ეს ნაწილი ცალკე და დამოუკიდებელი ერთეული არ არის და შემდეგ მიმდევნო ნაწილზე narratic-ზე არის გადაბმული ვითარცა მისი შესავალი.

საბუთის შემდეგ ნაწილში მოთხრობილი იყო ხოლმე ის მიზეზი და გარემოება, რომელსაც უშუალო შედეგად სიგლის დაწერა მოჰყვა. თუ საბუთი მთხოვნელის ჰაჯისა და ძოხსენების გამო დაიწერა, მაშინ ამ ნაწილს ამ თხოვნის შინაარსიც მისდევდა ხოლმე. პირველს narratio „ნარრაციო“ მოთხრობა ეწოდება, მეორეს petitio „პეტიციო“ თხოვნა, რომელთაგან მაშასადამე პირველი „ნარრაციო“ ქართული სიგელთმცოდნეობის „თხრობა“-ს უდრის, ხოლო მეორე „პეტიციო“ — „ჰაჯა-მოხსენება“-ს. როდესაც ამ თხოვნას სხვა გავლენიან პირთა შუამდგომლობაც დაერთვოდა ხოლმე, მაშინ ეს შუამდგომელნიც intervenientes „ინტერვენიენტეს“ იყვნენ დასახელებულნი. ხშირად თხოვნა petitio საკუთრივ თხრობას narratio-ს წინ უძღვის ხოლმე.

მერმე იწყებოდა dispositio „დისპოზიციო“ (მოწესრიგება), რომელიც სიგელის მიმცემის გადაწყვეტილებასა და ნებადართულობას შეიცავდა ხოლმე. როდესაც სიგლით რაიმე უძრავი ქონება ეძლეოდა სიგლის მიმღებს, მაშინ ამ ქონების თვისება იყო ხოლმე აღნიშნული, რასაც გერმანულად Pertinenzformel-ი ჰქვიან. ზოგჯერ Pertinenzformel dispositio-ს წინ მიუძღვის ხოლმე ან შიგ არის ჩაქსოვილი.

Dispositio, ვითარცა სიგლის მიმცემის ნებისყოფის აღმნუსხველი, საბუთის უუმნიშვნელოვანესი და არსებითი ნაწილია. ზემომოყვანილთაგან ცხადი ხდება, რომ არსებითი მნიშვნელობით ქართული დიპლომატიკის „განგებულება“-ს „დისპოზიციო“ უდრის, ხოლო Pertinenzformel „რიანობა“-ს.

შემდეგ საბუთში ხშირად აღნიშნულია ხოლმე, რომ სიგელში მოხსენებული გადაწყვეტილებისა თუ განკარგულების წინააღმდეგობის გაწევისა, ან დარღვევის უფლება არავისა აქვს და თანაც სასჯელია ხოლმე დადებული იმისთვის, ვინც ამას გაბედავდა. ამ ნაწილს, რომელიც ზოგიერთ საბუთს არ ჰქონდა, ლათ. sanctio „სანქციო“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი უკვე ძველი რომის ხანაშიაც ყოფილა ცნობილი. გერმანულად Pönformel-ს ეძახიან. ხშირად ამასთანვე სიგელში დართული არის ხოლმე კურთხევაც საბუთის აღმსრულებელთათვის. შინაარსით მაშასადამე sanctio „სანქციო“ ქართული საბუთების „ბრძანებულება“-ს და „ბრალთაგადამხდელობა“-„კურთხევა“-ს უდრის.

დასასრულ, სიგლის ბოლოში აღნიშნული იყო ხოლმე თუ რანაირად და რით არის სიგელი დამტკიცებული. უუძველეს დროს რომის კეისრები და მეროვინგელი მეფეები საკუთარი ხელით ამტკიცებდენ ხოლმე საბუთებს და სწორედ ეს გარემოება ჰქონდათ ჩვეულებრივ მოხსენებული ამ ნაწილში, რომელ-

საც ლათინურად corroboratio „კორრობორაციო" გერმან. die Korroboration (გამლიერება, განმტკიცება) ეწოდება. მაგრამ, როდესაც კაროლინგები გამეფდენ და მათ წერის უცოდინარობის გამო პირადად ხელისმოწერა აღარ შეეძლოთ და ამის მაგიერ სიგელებს მხოლოდ ჯვარს უსვამდენ ხოლმე, მათ წესად შემოიღეს, რომ მათის ბრძანებითა და სახელით corroboratio-ში აღნიშნული იყო ხოლმე, რომ საბუთის დამტკიცების განკარგულება ჰქონდათ გაცემული მათ მაგიერ ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით. ზოგჯერ corroboratio საბუთის ბოლო ნაწილთან, ესქატაკოლთან იყო გადაბმული და მას ეკუთვნოდა უფრო, ვიდრე ტექსტს.

შემდეგ უკვე ბეჭედი მისდევს და ხელის მოწერა იწყებოდა ხოლმე, როგორც სიგლის მიმცემისა, ისევე კანცლერისა, ანუ მწიგნობართუხუცესისა და მწიგნობრისა და მოწმეებისაგან ან საკუთარი ხელით, ან სხვისგან მინდობილობით დაწერილი. ამას ლათინურად subscriptiones საერთოდ, ხოლო თვითეულს subscriptio „სუბსკრიპციო" ეწოდება. გერმანულ შესატყვის ტერმინად იხმარება die Unterschriften, მხოლობითად die Unterschrift des Königs, des Kanzlers და ქართული სიგელთმცოდნეობის „ხელრთულობა"-ს უდრის. ხელრთულობა დასავლეთ ევროპის საბუთებში მონოგრამის სახით იწერებოდა ხოლმე განსაკუთრებით, რაკი კაროლინგებმა წერა არ იცოდენ და მათ სახელს და ზოგჯერ წოდებულებასაც მათ მაგიერ მწიგნობარი წერდა ხოლმე მონოგრამის სახით. მონოგრამა (Das Monogramm) საბუთების გამოცემის დროს ასო M-ით აღინიშნება ხოლმე. წერის უცოდინარი მეფეები და შემდეგში კარგა ხანს ჩვეულებისამებრ მცოდნენიც ამ მონოგრამის გვერდით მხოლოდ ხაზს უსვამდენ ხოლმე საკუთარი ხელით. რომელსაც გერმანულ დიპლომატიკაში der Vollziehungsstrich „სრულყოფის ხაზი" ეწოდება.

ყოველი საბუთი დაწერილობის თარიღითა და კურთხევით თავდება ხოლმე. პირველს ეწოდება Datum, Datierung, რაც ქართული სიგელთმცოდნეობის „სათვალავს" უდრის, მეორეს კიდევ Apprecatio. მეროვინგთა და კაროლინგების სიგელებში თარიღები მხოლოდ თვის რიცხვსა და მეფობის წელიწადს (ქართ. „მეფობის ინდიკტიონს") შეიცავდენ. ეს კეისართა ხანის რომაული წესი იყო, რომელიც დასავლეთ ევროპაშიც შეთვისებული ჰქონდათ. კარლოს დიდის გამეფებისთანავე ინდიკტიონობით დათარიღება იყო შემოღებული და მხოლოდ 876 წ. საბუთში პირველად არის თარიღში მეფობის წელთან ერთად ქრისტესითი წელიწადიც (das Kalender, ანუ Inkarnationsjahr) აღნიშნული.

Apprecatio ჩვეულებრივ ძალიან მოკლე იყო და ხშირად მხოლოდ ორი სიტყვისაგან feliciter amen შედგებოდა.

§ 2. ბერძნულ-ბიზანტიური სიგელთდაწერილობა

ყველა საბუთს ბიზანტიაში თავში ჯვარი უნდა ჰქონოდა დასმული და უზის კიდეც. შემდეგ კი სხვადასხვანაირი აგებულება ჰქონდათ. მეფეთა სიგელები პირდაპირ სიგელის წყალობის მიზეზით მოთხრობით იწყებოდა ხოლმე XI—XIII სს-ში მაინც, დანარჩენ პირთა საბუთებში კი ჯვარს სამების ვედრება მის-

დევდა ხოლმე: „Ἐν ὀνόματιτοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ αγίον πνεύματος“ (980 წ. მინასყიდობის წიგნი, 1038 წ. შეწირულობის წიგნი, Actes de Zographou გვ. 1 და 4. სერბთა არქიეპისკოპოზის საბას 1193 წ. სიგ. Actes de Chilandar გვ. 3), თუმცა უამისოთაც არაერთი საბუთია დაწერილი (1009 წ. ათონელ მონასტრების მამასახლისთა განჩინების წიგნი, ათონის მამასახლისთავე 1198 წ. ჰაჯა და მოხსენება Actes de Chilandar, გვ. 1 და 6). სიგელის მიცემულობის მიზეზის „თხრობა“ ხშირად პირდაპირ იმ ზნეობრივი ვალდებულობითა და „ჯერჩინებით“ იწყებოდა, რომლითაც საბუთის მბოძებელს უხელმძღვანელია. მაგ., იოანე კომნენის ასულის მარიამ Τζουσμένη'-ს 1142 წ. სიგელს ამგვარი დასაწყისი აქვს.

„Καθὼς ἐδιδάχθημεν ἐκ προστάξεως εἶτα καὶ χάριτος τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ ἔχειν σέβας εἰς τὰς σεβασμίας καὶ ἁγίας τοῦ Χριστοῦ ἐκκλησίας... κατὰ τὴν παράδοσιν τῶν ἁγίων ἀποστόλων οἰκοδομεῖν ἐκκλησίας εἰς ἴασιν ψυχῆς καὶ σώματος· καὶ ὁ ἀγαπῶν τὴν ἐκκλησίαν τοῦ θεοῦ καὶ ὁ καταφρονῶν τὸν ναὸν τοῦ θεοῦ ἐχθρὸς τοῦ θεοῦ ἐστι καὶ τῶν χριστιανῶν. διὰ τοῦτο κἀγὼ Μαρία ἡ Τζουσμένη, γνήσιος γόνος τῶν εὐσεβεστάτων βασιλέων, ἀκούσασα περὶ τοῦ ἁγίου ὄρους, ἐδίψησε ἡ ψυχή μου πρὸς τὸν θεὸν τὸν ζῶντα ἆρα μήπως γέγονα κἀγὼ μέτοχος τοῦ ἁγίου ὄρους καὶ χάριτι τοῦ φιλανθρώπου θεοῦ πληροφορία γέγονεν ἐν τῇ καρδίᾳ μου καὶ θελήσατα ἔχειν κἀγὼ μνημόσυνον ἐν τῷ ἁγίῳ ὄρει. ἐδόθη μοι χώρα ὁ Ἐρισσὸς καὶ οἱ ἐνεργοῦντες κατὰ τὸν καιρὸν ἠνάγκασαν τὴν ψυχήν μου περὶ τοῦ ἁγίου ὄρους καὶ περὶ τῶν μοναστηρίων αὐτοῦ καὶ ἐδεξάμην παραδηγίαν. ἔσσιλα πιστόν μου ἄνθρωπον τόν Γρηγόριον, νὰ τηρήσει τὰ μοναστήρια ...καὶ μάθουσα ἐγὼ τὰ δικαιώματα τῆς μονῆς τοῦ Ζωγράφου καὶ εὑροῦσα, ὅτι ἔχει μετόχιν εἰς τὴν Ἐρισσὸν, ἔστειλα τὸν βαγηλόν μου τὸν Ἐξάκουστον, νὰ μηδὲ τὸ μοναστήριν ζημιώσει μηδὲ τὴν ψυχήν μου κρίματίσει“ (A. de L'Athos. IV. A. d. Zographou, გვ. 12—13). საყურადღებოა ათონის მონასტრის პროტატის 1051 წ. განჩინების წიგნის „თხრობა“, რომელშიც ნათქვამია:

„προσῆλθαν ἡμῖν οἱ μοναχοὶ τῆς μονῆς τοῦ ἁγίου καὶ ἐνδόξου μεγαλομάρτυρος Γεωργίου τοῦ ἐπιλεγομένου Ζωγράφου καὶ αὐτὸς ὁ εὐλαβέστατος ἡγούμενος ἱερομόναχος κῦρ Ἰωάννης εἰς τὴν μέσην τῆς συνάξεως, τῶν ἡμετέρων πατέρων καὶ ἀδελφῶν τοῦ ἁγίου ὄρους εἰς τὴν ἑορτὴν τῆς ὑπεραγίας δεσποίνης ἡμῶν θεοτόκου ἐν Καρεαῖς, λέγοντες οὕτως“ (A. de Zogr. გვ. 9).

„თხრობას“ მისდევდა ხოლმე „განგებულება“, რომელიც საქმის ვითარებისდა მიხედვით ხან მარტივი, ხან რთული აგებულებისა იყო და, როდესაც სამამულო წყალობა იწერებოდა და ნაწყალობევს ქონებასა და მის ახალს მფლობელს რაიმე უპირატესობა ენიჭებოდა, მაშინ ამ უძრავი ქონების დახასიათება და საზღვრებია აღნიშნული, შეუვალობის ვითარებაც დასახელებულია ხოლმე, ე. ი. „რიანობა“ „შეუვალობასაც“ შეიცავდა.

კეისარ ალექსის თავისს 1198 წ. სერბიის დიდ ჟუპანად ყოფილის სვიმონ მონაზონისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამი აქვს: „ἔθεν καὶ τῆς βασιλείας μου ἐδεήθησαν... τὸν παρόντα χρυσόβουλλον λόγον τοῖς τιμιωτάτοις μοναχοῖς τῷ τε κῦρ Συμεὼν τῷ πρώην μεγάλῳ Γυυπάνῳ καὶ τῷ υἱῷ αὐτοῦ τῷ κῦρ Σάβᾳ ἐπεβράβευσε, δι' οὗ ἀργίαν μὲν παντελῆ καταψηφίζεται τοῦ ἐξ αἰτήσεως τοῦ αὐτοῦ μοναχοῦ κῦρ

Συμεὼν προαπολυθέντος χρυσοβούλλου σιγιλλίου τῆς βασιλείας μου καὶ τὴν τε μονὴν τοῦ Χελανταρίου καὶ τὰ κατὰ τὴν ὑποθεσίαν τῶν Μηλεῶν σεμνεῖα τῆς τοῦ πρώτου χειρὸς ὑπεξαιρουμένου καὶ τῇ μονῇ τοῦ Χελανταρίου ὑποτιθεμένου, ἐλευθερίας δε πάσης τὰς τοιαύτας καταξιοῖ μονὰς... τίθησι καὶ ἄδειαν αὐτοῖς χαρίζεται, ὅπως ἄρα καὶ βούλονται... εἰς καταγώγιον χρηματίζουσαν, μηδενὶ ὑποκειμένην, μήτε αὐτῷ τῷ πρώτῳ τοῦ ὄρους τοῦ Ἄθω, μήτε τῷ καθηγουμένῳ τῆς μονῆς τοῦ Βατοπεδίου, ἀλλ' αὐτοδέσποτον καὶ αὐτεξούσιον χρηματίζουσαν καὶ καθ' ἑαυτὴν διεξαγομένην, καθὼς ἄρα καὶ ἡ τῶν Ἰβήρων καὶ ἡ τῶν Ἀμάλφηνῶν μονή, αἱ ἐν τῷ τοιούτῳ ὄρει διακείμεναι, διεξαγόμεναί εἰσι"... და სხვა (A. de Chilandar გვ. 9—10).

„μαθοῦσα γοῦν ἐγω τὰ δικαιώματα τοῦ μοναστηρίου διὰ τοῦ βαγήλου μου, καθὼς καὶ πίστος ἦν καὶ μετ' αὐτοῦ τέσσαρες γέροντες ἀπὸ τοῦ Ἐρισσοῦ εἶπαν καὶ αὐτοὶ τὴν ἀλήθειαν διὰ τὰ σύνορα τοῦ μοναστηρίου, διὰ τοῦτο ὑπέγραψε καὶ ἡ βασιλεία μου σιγιλλίῳ εἰς μνημόσυνον τῶν ἁγιοκοιμήτων βασιλέων πάππων προπάππων... καὶ τοῦ ἀδελφοῦ μου κυροῦ Μανουὴλ βασιλέως καὶ τῆς ψυχῆς μου" (მარიამ Τζουσμένη-ს კეისარ იოანე კომნენის ასულის 1141 წ. სიგ. A. de Zogr. გვ. 14_{72-78}).

ქონებისა და მისი საზღვრების ნიშანდობლივი აღწერილობა მოწმეთა თანადასწრებით შედგენილი ასე იწერებოდა: „οὗτοι εἰσὶν οἱ μάρτυρες, τὰ δὲ ὀνόματα τῶν χωραφίων καὶ περιόρου εἰσὶ ταῦτα", და შემდეგ თვით სოფლებისა და აგარაკების სახელები და საზღვრები არის ჩამოთვლილი (A. de Zogr. გვ. 13—14 კეისარ იოანე კომნენის ასულის მარიამის 1142 წ. სიგ.).

გარდასახადებისაგან შეუვალობის მიმნიჭებელ განგებულებაში ჩამოთვლილი იყო თვით ის გადასახადებიც, რომელთაგან განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო ნაწყალობევი ქონება თუ შეწყალებული პირი. მაგ., ალექსი კეისრის 1199 სიგელში წერია:

„δωρεῖται δε τῇ αὐτῇ μονῇ τοῦ Χιλανταρίου καὶ ἐξκουσείαν πλοίου ἰδιοκτήτου χωρήσεως χιλιάδος μιᾶς, περιπλέειν ὀφείλοντος τοὺς περὶ τὸ θέμα Βολεροῦ Σρυμόνος καὶ Θεσσαλονίκης αἰγιαλούς, καὶ πάντα τὰ τῇ μονῇ τοῦ Χελανταρίου εἰς βρῶσίν τε καὶ πόσιν χρήσιμα εἴδη ἐμπορεύεσθαι καὶ ταύτῃ προσπορίζειν, ἐξκουσσευόμενον παρ' αὐτῆς ἀπό τε λιμενιατικοῦ, σκαλιατικοῦ, ἀμμιατικοῦ, ἐμβλητικοῦ, ἐκβλητικοῦ καὶ ἀπ' αὐτοῦ τοῦ ἀντιναύλου, ἀλλα δὴ καὶ τῆς δεκατείας τῶν ἀγωγίμων αὐτοῦ ἐν βρωσίμοις καὶ ποσίμοις εἴδεσι θεωρουμένων χρειωδῶν τῇ τοιαύτῃ μονῇ, καὶ ἀφ' ἑτέρου οἱουδητινος ζητήματος κἂν μὴ ῥητῶς ἐν τῷ παρόντι χρυσοβούλλῳ σιγιλλίῳ τῆς βασιλείας μου ἀνατάπεται"(A. de Chilan, 13_{48-58}).

ალექსი კეისრის 1198 წ. სიგელშიც ნათქვამია:

„ἔσται τοίνυν τὰ τοιαῦτα πάντα καὶ εἰς τοὺς ἑξῆς ἅπαντας καὶ διηνεκεῖς χρόνους τῆς διὰ τοῦ παρόντος χρυσοβούλλου λόγου τῆς βασιλείας μου ἀποχαριζομένης αὐτοῖς ἐλευθερίας ἀπολαύοντα... καθὼς... τῷ μέρει του μεγάλου ζουπάνου παρεδόθησαν, ὁπηνίκα ὑπὸ τὴν τοῦ Βατοπεδίου μονὴν ταῦτα εἶναι κατὰ αἴτησιν αὐτοῦ ἡ βασιλεία μου διωρίσατο, πάσης προστάξεως καὶ παντὸς βασιλικοῦ τε καὶ νομικοῦ θεσπίσματός τε καὶ διατάγματος τῷ παρόντι τῆς βασιλείας μου χρυσοβούλλῳ λόγῳ ἐναντιουμένων, ἀλλὰ καὶ... ὅσον ἐπὶ τῷ παρόντι χρυσοβούλλῳ λόγῳ τῆς βασιλείας μου καὶ ἀντὶ μηδὲ γεγονότων λογίζεσθαι" (A. de Chilan. $10_{72-74,\ 76\cdots79}$—$11_{83\cdots86-87}$).

„განგებულებას" „ბრძანებულება" მისდევდა. ალექსი კეისრის 1199 წ. სიგელში მაგ., ნათქვამია:

„τὸ γοῦν τοιοῦτον τῆς βασιλείας μου χρυσόβουλλον σιγίλλιον τὸ ἐνεργὸν ἔχειν καὶ ἀπαρἀθραυστον ἡ βασιλεία μου διορίζεται ἐπὶ πᾶσιν οἷς ἐξεφωνήθη, καὶ ἀνατροπὴν καὶ ἀλλοίωσιν μηδέποτε ἐπ' οὐδενὶ τῶν ἐν αὐτῷ διειλημμένων ὑφίστασαι ῥήματι“ (A. de Chilan. 12_{25}—$_{28}$).

ბრძანებულებაში ზოგჯერ ყველა ის მოხელენი იყვნენ ხოლმე ჩამოთვლილნი, რომელთაც მეფის განგებულების აღსრულებისათვის უნდა ხელი შეეწყოთ. მაგ., ალექსი კეისრის 1199 წ. სიგელში ნათქვამია:

„καὶ παρ' οὐδενὸς τῶν ἐν τῷ θέματι Βολεροῦ, Σρομόνος καὶ Θεσσαλονίκης ἐνεργούντων δουκῶν, στρατηγῶν, κατεπάνων, κομμερκιαρίων ἢ τοποτηρητῶν ἢ ἄλλων οἱανδήτινα δουλείαν τοῦ δημοσίου ἐν τοῖς ὅλοις παραιγιαλίοις μερεσι τοῦ θέματος Βολεροῦ, Σρυμόνος καὶ Θεσσαλονίκης ἐνεργούντων ἐπηρεαζόμενον ἢ ζημιούμενον, ἀλλ' ἀνεπηρέαστον πάντη καὶ ἀζήμιον διατηρούμενον εἰς τὸν αἰῶνα τον ἅπαντα“ (A. de Chilan. 18_{58}—14_{64}).

ამგვარადვე იოანე კომნენის კეისრის ქალის მარიამის 1142 წ. სიგელში წერია:

„διὰ τοῦτο ἐδόθη σιγίλλιον τῆς βασιλείας μου εἰς τὸ μοναστήριον... ἵνα μὴ τολμήσει τις τῶν ἡμετέρων πρακτόρων, οἱ ἐνεργοῦσι τὰς δουλείας τῆς βασιλείας μου, νὰ μὴ τολμήσωσιν οἱ τοιοῦτοι πράκτορες θλίψαι το μοναστήριον... εἴτε μοναχούς... εἴτε μισθαργούς. εἰς νέμιστρον ἢ ἄλογον ἢ ὀνικὸν ἢ χορτοκόπιον ἢ εἰς ἄλειον ἢ εἰς πλώιμον ἢ εἰς ἄλλοιτι... μὴ τολμήσει τις ἐμοδίσαι αὐτοὺς ἑνὸς τριχὸς μέχρι τῆς ζωῆς μου. καὶ μετὰ θάνατόν μου εἴ τις εὑρεθῇ ἀπὸ τὸ γένος μου ἢ παιδίν μου ἢ ἐγγόνιν μου ἢ συγγενής μου ἢ τις κανεὶς ἀπὸ τὸ γένος μου καὶ ἀνασήσει αὐτὸν εἰς ἐξουσίαν, ἵνα στερεώνῃ τὰ σιγίλλια, διότι πάντα τὰ προσωρινὰ τοῦ κόσμου παρέρχονται καὶ ὧδε ἀπομένουν“ (A. de Zogr. 14_{78}—15_{90}).

შემდეგ ბრძანებულებას თუმცა ყოველთვის არა, მაგრამ კერძო პირთა საბუთებში ხშირად ბრალთგადამხდელობა და „წყევაც“ მოსდევდა, როგორც მაგ., კეისარ იოანეს ასულის მარიამის 1142 წ. სიგელშია:

„καὶ εἴ τις εὑρεθῇ ἀπὸ τὸ ἐμὸν γένος, κἂν συγγενὴς κἂν ἄλλος, νὰ ἔχει τὰς ἀρὰς τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ καὶ τῆς παναγίας αὐτοῦ μητρὸς καὶ τῶν τριακοσίων δέκα ὀκτὼ θεοφόρων πατέρων και νὰ ἔχει αντίδικον καὶ τὸν μέγαν Γεώργιον ἐν ἡμέρᾳ τῆς κρίσεως' καὶ ἔστω ἡ μερὶς αὐτοῦ μετὰ τοῦ Ἰούδα τοῦ προδότου“ (A. de Zogr. 15_{92}—$_{98}$).

მერმე სიგელის მიცემულობის თარიღი იწერებოდა. ეს ნაწილი ჩვეულებრივ „ἐπὶ τούτῳ γὰρ καὶ... ἐπιβραβεύθη“ ან „ἐπεδόθη“-თი იწყებოდა და ინდიკტიონს და ქვეყნისა შესაქმითგან წელიწადს შეიცავდა.

1142 წ. მარიამ Τζουσμένη-ს ით ნე კეისრის ასულის სიგელში ასეა ნათქვამი:

„καὶ ἐγράφη τὸ χρυσόβουλλον ἐπὶ ἔτους ἑξακισχιλιοστοῦ πεντεκοσιοστοῦ ἐννεακαιδεκάτου (1011!), ἰνδικτιῶνος ἐνάτης. καὶ πάλιν. ὅταν ἐστερέωσα ἐγὼ τὰ δικαιώματα τοῦ μοναστηρίου, μηνὶ μαίῳ, ἡμέρᾳ ὀγδόῃ' ἔτους ἑξακισχιλιοστοῦ ἑξακοσιοστοῦ πεντηκοστοῦ. ἰνδικτιῶνος πέμπτης. καὶ διὰ τοῦτο ὑπέγραψα γράμμασι γερανίοις καὶ ἐβούλλωσα μετὰ μολύβδου, ἔχουσα ἡ βοῦλλα τὴν στήλην τῶν ἁγίων μεγαλομαρτύρων Θεοδώρων Τήρωνός τε καὶ Στρατηλάτου καὶ ἔθηκα καὶ κηρόβουλλον μὲ τὸ ἴδιόν μου δακτυλίδιον, ὅπερ ἔχει γλυπτὸν γερανόν, περικρατοῦντα ὀφίδιν. καὶ τοῦτο ἐπεκύρωσα εἰς ἀσφάλειαν τῆς μονῆς... τοῦ Ζωγράφου“ (A. de Zogr. 15_{100}—16_{109}).

ალექსი კეისრის 1198 წ. სიგელს ბოლოში უწერია:

„ἐπὶ τούτῳ γὰρ καὶ ὁ παρὼν χρυσόβουλλος λόγος τῆς βασιλείας μου τοῖς διαληφθεῖσι μοναχοῖς... ἐπεβραβεύθη, τό βέβαιον καὶ ἀρραγὲς ἔχειν ὀφείλων, γεγεμηνημένος κατὰ τὸν ἰούνιον μῆνα τῆς ἐνεστώσης πρώτης ἰνδικτιῶνος τοῦ ,ςψ ἕκτου ἔτους, ἐν ᾧ καὶ τὸ ἡμέτερον εὐσεβὲς καὶ θεοπρόβλητον ὑπεσημήνατο κράτος“ (A. de-Chilan. 11_{87-92}).

ალექსი კეისრის 1199 წ. სიგელიც ასე თავდება:

„ἐπὶ τουτῳ γὰρ καὶ τὸ παρὸν χρυσόβουλλον σιγίλλιον τῆς βασιλείας μου τῷ τιμιωτάτῳ μοναχῷ κῦρ Σάβᾳ... καταστρωθῆναι ὀφεῖλον τοις προσφόροις σεκρέτοις δι' εἴδησιν καὶ ἀντιστραφῆναι τῇ τοιαύτῃ μονῇ εἰς ἀσφάλειαν αἰωνίζουσαν, τοῦ κατατολμήσαντος ποιῆσαι παρὰ τὴν τούτου περίληψιν σφοδρὰν ὑφορωμένου τὴν ἐκ τῆς βασιλείας μου ἀγανάκτησιν καὶ τὴν ἀφαιρεθησομένου εἰς τὸ πολλαπλοῦν ἀπότισιν“ (A. de Chilan. $14_{73-7.}$).

კეისართა საბუთებში „სათვალავის“ ნაკვეთში მწიგნობრის ვინაობა აღნიშნული არ არის, არამედ ამის მსგავსი ცნობა „ხელრთულობის“ ნაკვეთში მოიპოვება და კერძო პირთა და დაწესებულებათა საბუთებში თარიღთან ერთად დამწერელიც არის ხოლმე დასახელებული, მაგ., 1023, ან 1038 წ. საბა ბერის სიგელში წერია:

„Ἐγράφη δὲ ἡ παροῦσα ἀσφάλεια διὰ χειρὸς Ἡγνατίου μοναχοῦ τοῦ ἐμοῦ μαθητοῦ, μηνὶ φεβρουαρίῳ, ἰνδικτιῶνος ἕκτης“... (A. de Zogr. 6_{75-76}).

ათონის მთის საბჭოს განჩინების წიგნში ნათქვამია:

„ἐγράφη τὸ παρὸν δικαίωμα εἰς διακαίωσιν καὶ ἀσφάλειαν καὶ ἐπεδόθη Διονυσίῳ μοναχῷ καὶ ἡγουμένῳ τῆς μονῆς τῶν ἁγίων Ἀποστόλων, γραφὲν διὰ χειρὸς Ἀθανασίου μοναχοῦ... μηνὶ καὶ ἰνδικτιῶνι τοῖς προγεγραμμένοις (საბუთი თარილით იწყება), ἔτους ἑξακισχιλιοστοῦ πεντηκοστοῦ ἑβδόμου, κατενώπιον τῶν παρευρεθέντων καὶ ὑπογεγραμμένων“ (A. de Zogr. 9_{39-43}).

ათონის მთის საბჭოს 1051 წ. განჩინების წიგნსაც ბოლოში ასე უწერია:

„ἐγράφη δὲ τὸ παρὸν δικαίωμα ἐπὶ παρουσίᾳ τοῦ πατρὸς ἡμῶν τοῦ πνευματικοῦ τοῦ ἁγίου ὄρους καὶ τῶν ὑπογραφέντων μαρτύρων, μηνὶ αὐγούστῳ, ἰνδικτιῶνος τετάρτης, ἔτους ἑξακισχιλιοστοῦ πεντακοσιοστοῦ πεντηκοστοῦ ἐνάτου, ἐγράφη δὲ διὰ χειρὸς ἐμοῦ ἱερέως μοναχοῦ τῆς ὑπεραγίας... θεοτόκου τῆς Ἐλεούσης“ (A. de Zogr. 11_{62-67}).

კეისართა სიგელებს ბოლოში მათი წითურად დაწერილი ხელრთულობა ჰქონდათ[51] და ოქრობეჭედიც შეკიდული იყო. ამასთანავე სეკრეტონის მოხელეთა ხელისმოწერაც იყო ხოლმე. ალექსი კეისრის 1198 წ. სიგელზე წითურად წერებულა: „Ἀλέξιος ἐν Χριστῷ τῷ θεῷ πιστὸς βασιλεὺς καὶ αὐτοκράτωρ Ῥωμαίων ὁ Κομνηνός“ („ალექსი ქრისტეს ღმრთისა მიერ მორწმუნე მეფე და ჰრომაელთა თვითმპყრობელი კომნენოსი“) და ოქრობეჭედი ჰქონია შეკიდებული, რომლის ზურგზე ყოფილა: „τοῦ σεβαστοῦ καὶ λογοθέτου τοῦ δρόμου Δημητρίου τοῦ Τορνίκη“. შემდეგ: „κατεστρώθη διὰ τοῦ Ἀλυάτου Ἰωάννου. κατεστρώθη ἐν τῷ σεκρέτῳ τοῦ μεγάλου λογαριαστοῦ μηνὶ δεκεβρίῳ ἰνδικτιῶνος β ἔτους ,ςψζ. κατεστρώθη διὰ τοῦ Στρατιωτικοῦ Ἰωάννου, καὶ κατεστρώθη ἐν τῷ σεκρέτῳ τῶν οἰκειακῶν μηνὶ δεκεβρίῳ ἰνδικτίωνος β ἔτους ,ςψς“ (A. de Chilan. 11_{93-101}).

§ 8. სომხური სიგელთმცოდნეობა

როგორც ამ გამოკვლევის პირველი თავის § 7-ში აღნიშნული გვქონდა, სომხური სიგელთმცოდნეობა ჯერჯერობით არ არსებობს. სტ. ორბელიანის საისტორიო შრომაში ***«Պատմութիւն տանն Սիսական»*** „სივნიეთის ისტორია"-ში ეპისკოპოსებისა, მთავრებისა და მათი ოჯახის წევრთა საბუთების პირები საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ სომეხთა მეფეების სიგელების იქ მხოლოდ ოთხიოდე პირია მოყვანილი. ჩვენთვის კი შესადარებლად სწორედ მეფეთა სიგლებსა აქვთ მნიშვნელობა. ეს ოთხიოდე საბუთიც სომეხთა სამეფოს უკვე პოლიტიკური დაქვეითების ხანას ეკუთვნის, და წინა ხანის სიგელები სამწუხაროდ დაღუპულია.

სომეხთა მეფეების სიგლებიც „ვედრებით" იწყებოდენ და თავში ჰქონდათ ***«Յանուն Աստուծոյ»*** „სახელითა ღმრთისაჲთა" (იხ. სტ. ორბელიანის ისტორიის ***ԾԵ*** თავი[52], ვასაკ მეფის 468 წლის სომეხთა ქრონიკონით), ან ***Կամաւն Աստուծոյ*** „ნებითა ღმრთისაჲთა" (იქვე, სმბატ მეფის ძის ვასაკის 465 წ. სიგ.) ან ***Կամաւ կարող հզօրին Յիսուսի*** „ნებითა მძლე-ძლიერისა იესოჲსითა" (იქვე, თავი ***ԾԹ*** სენექერიმ მეფის 534 წ. სიგ.). მხოლოდ ამავე სენექერიმ მეფის 540 წ. სიგელს თავში „ვედრება" არა აქვს, მაგრამ ალბათ ან გადამწერთაგან, ან გამომცემლისაგან, ან არადა ისტორიკოსისაგან უნდა იყოს აქაც „ვედრება" გამოტოვებული. სამების ვედრებით მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის სიგელი იწყება (იქვე თავი ***ԾԶ*** სარგის კათალიკოსის მრგვლივმოსავლელი წერილი).

ვედრებას სიგლის მბოძებელის სახელდება და წოდებულება მისდევს ორნაირი სახეობით — ან მეობით, ან კუთვნილების აღნიშვნით, მაგ. ***այս իմ հրամանք է Վասակայ Թագաւորիս*** „ესე ჩემი ბრძანება არს ვასაკ მეფისაჲ" (იქვე თავი ***ԾԵ***), ***Ես Սեննքերիմ Թագաւոր Հայոց*** „მე სენექერიმ სომეხთა მეფემან" (თავი ***ԾԹ***, 534 წ. სიგ.), ***Այս ձեռնագիր է իմ Սեննքերիմայ, Թագաւորի որդւոյ Սեւադայի*** „ესე ხელითწერილი ჩემი არს სენექერიმ მეფისა სევადის ძისაჲ" (იქვე, 540 წ. სიგ.).

სახელწოდება-წოდებულებას მისდევს „თხრობა", რომელიც საქმის გარემოების ამხსნელიც იყო და „განგებულება"-საც შეიცავდა, ისე რომ სომხურ საბუთებში თხრობა და განგებულება ერთიმეორისაგან მკაფიოდ გამოცალკევებული არ არის. როგორც სმბატ მეფის ბრძანებით სომეხთა ქრონიკონით 355 წ. ტათევის საზღვრების გამიჯვნის წიგნითგანა ჩანს, სამამულო სიგელების განგებულებაში საზღვრების აღნუსხვაც იყო ხოლმე ჩართული.

ამას გარდა ეპისკოპოსთა და კერძო პირთა საბუთებითგან საფიქრებელი ხდება, რომ მამულის „რიანობის" აღნიშვნაც მეფეთა სიგელებშიაც უნდა ყოფილიყო მაგ., თუნდა ამ სახით: ***„Ժառանգել զայդ շէնդ զԱրուքայդ իւր սահմանօք բոլորովիմբ, ծառօք և այգեօք, գետով եւ ցամաքով, արօտավարօք եւ մարգօք, ջրաղացովք եւ պարտիզովք, եկեղեցեաւ և այլ շինուածովք"*** (იქვე თავი ***ԼԹ*** ჯევანშერის მიერ სოლომონ სივნიეთის ეპისკოპოზისადმი 320 წ. მიცემული გაცვლილობის წიგნი) „ამ თქვენი სოფლის არუქის დამკვიდრება მისითა ყოველივე მზღვრითა მთლიანად, ხეხილებითა და ვენახები-

თა, წყლითა და მიწითა, სახნავებითა და საძოვრებითა, წისქვილებითა და ბაღებითა, ეკლესიითა და სხვა შენებულებითა".

განგებულებას ბრძანებულება მისდევდა, რომელიც თვით თუმცა მოკლე შინაარსისა იყო, და ნამდვილად „დაუცილებლობას" წარმოადგენდა, მაგრამ ხშირად შეიცავდა ვრცელ ბრალთგადამხდელობას დამარღვეველთათვის და კურთხევას დამამტკიცებელთათვის. ამასთანავე, ქრისტიანთათვის წარმოთქმული ბრალთგადამხდელობის გარდა მაჰმადიანებისათვისაც მათი სარწმუნოების შესაფერისი წყევლა-კრულვაც იწერებოდა ხოლმე (იხ. იქვე ზემოაღნ. საბ.). თუმცა მეფეთა შენახული სიგელების — არც ბრძანებულებისა და არც ბრალთგადამხდელობის ნაწილებში მოხელენი დასახელებულები არ არიან, მაგრამ შესაძლებელია მეფეთა სხვა სიგლებშიც ამგვარი ცნობა ყოფილიყოს, რადგან სმბატ მეფის ბრძანებით დაწერილ ტათევის სამზღვრების გამიჯვნის 355 წ. წიგნში ბრალთგადამხდელობის ნაწილში მოხელეები ჩამოთვლილნი არიან: „*Եթէ ոք ընդ հակառակս ելանէ 'ի մերոց կամ յօտարաց, յաւագաց կամ 'ի ձեռնաւորաց եւ 'ի խոստակդարաց կամ 'ի տանուտերաց 'ի սուրբ Երրորդութենէն որոշեալ լիցի*" და სხვა (თავი *ԽԲ*.) „ხოლო თუ ვინმე (ამას) წინააღუდგება ჩვენთაგანი, ან უცხოთაგანი, დიდებულთაგანი თუ ხელისუფალთაგანი და ხვასტაგისმქონებელთაგანი (=მესაკუთრეთაგანს?), ან ტანუტერთაგანი (მამასახლისთაგანია, წმიდისა სამებისაგან ჩამოშორებულ იყოს" და სხვა. ამის მსგავსადვე მოსალოდნელი დამარღვეველნი ჩამოთვლილნი არიან სენექერიმის ძის გრიგოლის საბუთშიაც (იხ. იქვე, თავი *ՄԸ*).

ბრალთგადამხდელობა-კურთხევას მეფის ხელრთულობა-დამტკიცება და სხვათა მოწმობა მისდევდა ხოლმე. მეფე აცხადებდა დავწერეთ და ბეჭდით დავბეჭდეთო, მაგ., ვასაკ მეფეს თავის 468 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: „*Գրեցաք և կնքեցաք մերով արքունական հրամանաւ մատանեաւ 'ի կամս Աստուծոյ*" (იქვე თავი *ՄԵ*) „დავწერეთ და ბეჭდით დავბეჭდეთ ჩემი მეფური ბრძანებით ნებითა ღმრთისაჲთა"-ო.

ხოლო სენექერიმ მეფე თავის 534 წ. სიგელში ასე აწერს ხელს: „*Գրեցաւ իմով ձեռամբս Սենեքերիմայ, որդւոյ Սեւադայի 'ի կամս Աստուծոյ*" (იქვე თავი *ՄԹ*) „დაიწერა ჩემ სენექერიმის ხელითა, სევადის ძისაჲთა, ნებითა ღმრთისაჲთა"-ო.

სმბატ მეფეს ტათევის სამზღვრების გამიჯნვის 355 წ. წიგნში ასეთი ხელრთულობა აქვს: „*Ես Սմբատ Բագրատունի Թագաւոր Հայոց հաստատեցի իմով ձեռամբս զայս վճիռս և եդի 'ի վերայ զիմ թագաւորական մատանին 'ի ստորեւ*" (თავი *ԽԲ*) „მე სმბატ ბაგრატუნიმ, სომეხთა მეფემ დავამტკიცე ჩემითა ხელითა ესე გადა წყვეტილება და ქვემოთ ზედ ჩემი სამეფო ბეჭედი დავსვი"-ო.

ზემომოყვანილითგან ცხადი ხდება, რომ სომეხთა მეფეების, ხელრთვაში აღნიშნულია ხოლმე, რომ სიგელი დაიწერა მათი ბრძანებით, ხოლო ხელრთულობა საკუთარი ხელით, და დაიბეჭდა საკუთარი ბეჭდით. დამახასიათებელია, რომ საბუთის დამწერელი მწიგნობრის ვინაობა არსად დასახელებული არ არის.

დასასრულ, მეფეთა სიგელს ბოლოში თარიღი აქვს ხოლმე მოქცეული, რომელიც ყოველთვის სომეხთა წელთაღრიცხვით არის მხოლოდ გამოყვანილი, მარტო ვასაკ მეფის ერთს 468 წ. სიგელში თარიღი თავშია მოთავსებული მეფის წოდებულების შემდგომ (თავი ԺԷ). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსთა კერძო საბუთები თარიღს უფრო ხშირად თავში ათავსებდენ ხოლმე.

§ 4. ქართულისა და რომაულ-ბიზანტიურ-სომხური სიგელთდაწერილობის შედარებითი დახასიათება

ზემომოყვანილი ლათინური, ბერძნულ-ბიზანტიური და სომხური სიგელთაგებულებისა და დაწერილობის მოკლე ნიშანდობლივი დახასიათების შემდგომ შეიძლება ქართულთან შედარებას შევუდგეთ და მსგავსება-განსხვავებათა აღნუსხვის მერმე რაიმე დასკვნამდისაც მივიდეთ.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ლათინური სიგელთდაწერილობის წესები კარგად უდგება ქართულისას: საბუთების აგებულება და ნაწილების თანმიმდევნოება თითქმის ერთი და იგივეა. თვით სიგლის მომეტებული ნაწილების გამოთქმულობის წესიც არსებითად მიაგავს. მაგრამ ზოგიერთი ნაწილების გამოთქმულობა ქართულისაგან განსხვავდება და სწორედ ეს განსხვავებული თავისებურება უნდა აღინუსხოს აქ მოკლედ. სახელდობრ „ბრძანებულება"-ში ჩვეულებრივ ქართული სიგელთდაწერილობის წესის მსგავსად ყველა მოხელენი კი არ არიან ჩამოთვლილნი, რომელთაც ბრძანებულება უნდა აესრულებინათ, არამედ ეს ნაწილი საერთო განკარგულების სახით იწერებოდა. არც „შეუვალობაში" იყო ხოლმე ქართულის მსგავსად ყველა იმ გადასახადების სახელები ჩამოთვლილი, რომელთაგან შეწყალებული განთავისუფლებული იყო ხოლმე.

„ხელრთულობა"-ც იქ თუ მონოგრამითა და ბეჭდით გამოიხატებოდა და თვით მეფე კი არ აწერდა ხელს (რადგან გარკვეული დროითგან მეფეებმა წერა არ იცოდენ), არამედ მისი სახელით მწიგნობარი, შემდეგ კანცლერის, ანუ მწიგნობართუხუცესის ხელრთულობა მისდევდა, ქართული სიგელთმცოდნეობის წესის თანახმად თვით მეფე საკუთარი ხელით აწერდა ხელს და არც მწიგნობართუხუცესის და არც მწიგნობრის ხელრთულობა არ ახლავდა, თუმცა სიგლის დამწერელი მწიგნობრის ვინაობა სიგლის ბოლოში მეფის ხელრთულობის წინ ყოველთვის აღნიშნული იყო ხოლმე.

უნდა მოვიხსენიოთ კიდევ, რომ თარიღი ლათინურ საბუთს სიგლის ბოლოში აქვს მოქცეული მეფისა და კანცლერ-მოწმეების ხელრთულობის შემდგომ, ქართულში კი, როგორც დავრწმუნდით, „სათვალავი" ყოველთვის „ხელრთულობას" წინ უძღვის.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ლათინურ საბუთებში აუცილებლად აღნიშნულია ხოლმე სიგლის დაწერილობა-მიცემულობის ადგილიც, რის ხსენებაც კი არა ჩანს ქართულ საბუთებში.

ბერძნულ-ბიზანტიური საბუთების განხილვა ცხადყოფს, რომ ბიზანტიურს ქართული სიგელთმცოდნეობის წესები ბევრნაირად მიაგვანან, მაგრამ მათ შორის ზოგი თვალსაჩინო განსხვავებაც არის.

უკვე სიგლისთავი ქართულსა და ბიზანტიურ მეფეთა საბუთებს სულ სხვადასხვანაირად ჰქონდათ ხოლმე დაწერილი. მაგრამ ბიზანტიის მეფეთა სიგელე-

ბისათვის ის გარემოებაა მეტადრე დამახასიათებელი, რომ საბუთის მწყალობელი მეფეები თავის სახელს არც სიგლის თავში, არც შუა გულში სადმე არ ასახელებდნენ ხოლმე, წოდებულებასაც არა ხმარობდენ, არამედ მარტივად მოხსენებული იყო „ἡ βασιλεία μου", ან „ὅθεν τῆς βασιλείας μου ἐπειλήφθημεν", „მეფობამან ჩემმან", „ვითარცა მეფობასა ჩემსა ჯერ უჩნდა" (იხ. A. de Chilandar, 8, 10, 12 და ბევრგან სხვაგან), მხოლოდ ხელრთულობაში იხსენიებდა ხოლმე ბიზანტიის მეფე თავის სახელს, მეფობასა და გვარს.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის კეისრების სიგლებში მწიგნობრის ვინაობა არ აღინიშნებოდა და სამაგიეროდ მეფის ხელრთულობას სეკრეტონის. ანუ სავაზიროს მოხელეთა ხელრთულობაც ახლდა. ქართული ამის სწორედ წინაუკმო წესს მისდევდა.

დასასრულ, „სათვალავში"-ში ბიზანტიური სიგელთმცოდნეობა ინდიკტიონთან ერთად დასაბამითგან სოფლისგანაც წელიწადის აღნიშვნას სავალდებულოდ თვლიდა, ქართულ სიგელთმცოდნეობაში კი, როგორც დავრწმუნდით, ჯერ მხოლოდ მეფეთა ინდიკტიონები აღინიშნებოდა, შემდეგ ქართული ქრონიკონის წელიწადიც ერთვოდა ხოლმე, მაგრამ დასაბამითგანი წელთაღრიცხვა ქართულ სიგლებში არსადა გვხვდება.

სომეხთა მეფეების სიგელთა აგებულება-დაწერილობის წესებს ქართულთან საერთოდ მსგავსება ემჩნევა, მეტადრე სახელდების გამოთქმულობაში („ეს ჩემი ბრძანება არს" და „მე (ესა და ეს) მეფე"). მაგრამ სომხურ თხრობაგანგებულებას ნაწილები მკაფიოდ და განცალკევებით ჩამონაკვთილი არა აქვს, განგებულებაც მოკლეა და უფრო ბრალთგადამხდელობას შეიცავს, რომელიც გარკვეული დროითგან (X—XI სს.) ორმაგი ქრისტიანულ-მაჰმადიანური წყევაკრულვითაა შემკული. ქართულ სიგელებს კი მკაფიოდ ჩამონაკვთილი თხრობაგანგებულება ჰქონდათ და მაჰმადიანური წყევა არ მოეპოვებოდათ.

მთავარი განსხვავება სომხურსა და ქართულს სიგელთდაწერილობას უმთავრესად სიგლის ბოლოში ემჩნევა. თუ ქართულში ჯერ აღნიშნული იყო საბუთის თარიღი და მწიგნობრის ვინაობა და შემდეგ მეფისა და მოწმეთა ხელრთულობა მისდევდა, სომხურში სწორედ წინა-უკმო იყო და ჯერ მეფისა და მოწმეთა ხელრთულობა იყო და ბეჭდები, ხოლო სულ ბოლოში თარიღი იყო დასმული, ამასთანავე სომხურ სიგლებში მწიგნობრის ვინაობა სრულებით არ იხსენიებოდა, ქართულში კიდევ ბეჭდით დაბეჭდვის გარემოება არასდროს არ აღინიშნებოდა ხოლმე, თუმცა ქართულ მეფეთა სიგლებსაც უეჭველად შეკიდული ბეჭდები ჰქონდა.

ამგვარადვე, თუ სომხურში თარიღი ყოველთვის მხოლოდ სომხური ქრონიკონით აღინიშნებოდა ხოლმე და მეფეთა ინდიკტიონები არ იწერებოდა, ქართულში პირიქით X—XIV სს. სიგლები მხოლოდ მეფეთა ინდიკტიონებით იყვნენ დათარიღებულნი და ქართული ქრონიკონითაც დათარიღება შემდეგში XV ს-ითგან შემოდის.

ამგვარად შედარებითი შესწავლითგან ირკვევა, რომ ქართული სიგელთდაწერილობა საერთოდ რომაულ-ბიზანტიური სიგელთდაწერილობის წესებს იცავს და ამ საფუძველზე უნდა იყოს განვითარებული. მაგრამ იმ დროს როდესაც ქართული სიგლის შუა ტანს ბიზანტიური ტრადიცია კარგად აქვს დაცული, სიგლის თავი პირიქით უფრო დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების სახელმწიფოთა მეფეების საბუთების სიგლის თავს უდგება, ვიდრე ბიზან-

ტიურისას, რომელსაც სახელდება-წოდებულება სულ სხვანაირად ჰქონდა ჩამოყალიბებული. რასაკვირველია, ქართული სიგლის თავისა და დასავლეთ ევროპის ლათინური სიგლების თავის დაწერილობის მსგავსება გავლენითა და შეთვისებულობით კი არ აიხსნება, არამედ ჯერ ერთი წარმოშობილობის საერთო წყაროთი, შემდეგ — კი იმითაც, რომ იგი როგორც საქართველოში, ისევე დასავლეთ ევროპაში მაშინ არსებული მსგავსი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ნაყოფია, რადგან იქაცა და აქაც საპატრონყმო, ანუ ფეოდალური წესწყობილება სუფევდა.

განსხვავდება, როგორც დავრწმუნდით, ქართული საბუთების სიგლის ბოლოც რომაულ-ბიზანტიურ-სომხური სიგელთდაწერილობის წესებისაგან.

ამის გამო ცხადი ხდება, რომ თუმცა ქართული სიგელთმცოდნეობა რომაულ-ბიზანტიურ საფუძველზეა აღმოცენებული, მაგრამ ქართულმა სახელმწიფოებრივობამ იგი თავისებურად შესცვალა და განსაკუთრებულ სახეობად ჩამოანაკვთა, მეტადრე სიგლის თავსა და ბოლოში. იგივე შეიძლება სომხური სიგელთდაწერილობის შესახებაც ითქვას იმ განსხვავებით, რომ საბუთების დაბეჭდვის წესში იგი სპარსული, სასანიანთა დროინდელი სიგელთმცოდნეობის წესებს იცავდა.

თავი მეშვიდე

ნატყუარი საბუთები

§ 1. ნატყუარი საბუთების არსებობა საქართველოში და მათი გამოცნობის მაშინდელი მეთოდები

განსაკუთრებით საყურადღებოა და დიდმნიშვნელოვანი საკითხი ნატყუარი, ანუ ყალბი საბუთების შესახებ. ამგვარი საბუთების არსებობა უკვე XV ს. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ ნაბოძებ „სიგელსა და ნიშანშია" აღნიშნული. „ჭავჭავაძესა ფარიდონს ზეკნელის ძისა პროკოპისთჳს ნატყუარი სიგელი დაეწერინა ვანათისა, ვარცისა და დუმასუბნისა და რაგვარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ"-ო (ქ˝კბი II, 244). მაშასადამე, ფარიდონ ჭავჭავაძეს მამულის გამო ატეხილი დავის დროს სასამართლოში ყალბი, ანუ „ნ ა ტ ყ უ ა რ ი ს ი გ ე ლ ი" წარუდგენია, მაგრამ მისი ნატყუარობა გამოაშკარავებულა და გაუცუდებიათ: საგულისხმოა, რომ ამ ნატყუარი სიგლის შემთხზველის ვინაობაც გამოურკვევიათ: პროკოპი ზეკნელიძე ბრძანებულა ყალბი საბუთის შემდგენელი.

რა საშუალებით გამოარკვეია სასამართლომ XV ს-ში ამ საბუთის ნატყუარობა, არა ჩანს. მაგრამ XVII—XVIII სს-ში რით ხელმძღვანელობდენ ნატყუარობის გადაწყვეტის დროს, ამის შესახებ საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება. სახელდობრ, თბილისის სიონის 1635 წ. სასამართლოს განჩინების წიგნში ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება იმის გასათვალისწინებლად, თუ რა საშუალებით არკვევდნენ მაშინ სასამართლოში სიგლის უეჭველობას თუ ნატყუარობას. როსტომ მეფის ბრძანებით შეკრებილ ბჭე-მოსამართლეებს სასამართლოში წარდგენილი საეჭვო საბუთის შესახებ დაუდგენიათ: მოწმეებმა და უმტერო შესახელებულმა მოფიცრებმა „აასუენონ ხატი და ეს წიგნი (ე. ი. საეჭვოდ საგონებელი სიგელი) ჴელთ დაიჭირონ და მოწამეთა და მოფიცართაცა უმოწმონ"... «ეს ბატონის რამაზისაგან შეწირულობის წიგნი რომე გუაქუსო დასტურად და მართლად რამაზისაგან მოცემული იყოს, თუითან ბატონის რამაზისა და მისის თანამცხედარისა (sic) ჴელი ერთოს ამ წიგნშია». თუ ამრიგად დაიფიცონ თბილელის ყმათა და მოფიცართა უფიცონ რაც რომ ჩუენ გაგუიჩენია, ყორღანაშუილები აღარას ემართლებიან"-ო (ისტ. საბ. IV, 22).

საბუთების უეჭველობა-ნატყუარობის გამორკვევისათვის სასამართლოში მიღებული ღონეობის შესასწავლად ცნობებს ერთი 1780 წ. დაწერილი განაჩენიც გვაწვდის. ედიშერ ქავთარიშვილს უჩივლია ნათლისმცემლის არქიმანდრიტს ჩემი მკუიდრი ჰყავსო. არქიმანდრიტს უპასუხნია, რომ ეს ყმა ედიშერ ქავთარიშვილს მონასტრისათვის მიყიდული ჰქონდა და ამის შესახები „წიგნი ბატონისშვილის მარიამისაგან არის დაწერილი"-ო. ამაზე თურმე „ედიშერ ეპასუხებოდა: «ეგ წიგნი ჩემი მოცემული არ არის და ამის მეტად ეგ წიგნი არ მინახავს და თუ მართალია ეგ წიგნი, რად მოწმები არა სწერია, ან მწერლის სახელი რად არ სწერია» — ო. ედ. ქავთარიშვილს მაშასადამე ეს საბუთი ნატყუარად გამოუცხადებია.

ამის გამო მოსამართლეთ ჯერ მისი უეჭველობის საკითხი უნდა გამოერკვიათ და სასამართლოს ასე უმსჯელია და დაუდგენია: „ჩვენ საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებამ ეს წიგნი ვნახეთ, ასე ეწერა: «ჩემი მკჳდრი ყმა შავისკაცისშვილი პაპა ოსმალობას ჩამოსულიყო და წინამძღვრის ხარიტონის დროს. ახლა ეს ნასყიდობის წიგნი მომიცემია, რომ მე ჴელი აღარ მქონდეს ამ კაცთანაო». — ჩვენ მსაჯულთ ეს სამართალი მივეცით და ამით ვერწმუნენით ამ წერილს, რომ ბატონიშვილი მარიამ სწერს ედიშერის და ამის ძმის მაგიერ, ღირსი და პატიოსანი არქიმანდრიტი სერაპიონ ყიდულობს ეკლესიისთვის და ესეც ჭეშმარიტებით ვიცით, რომ ის ღირსი კაცი ამისგან წარტაცებით ეკლესიას არ შესწირევდა. მეორეც რომ ბატონიშვილი რად ჩასწერდა თავის სახელს იმ წიგნში და თუ ამისთანა ან მწერალი და ან მყიდველნი ამისთანა გვამნი არ ყოფილიყვნენ, — ედიშერ რომ აშოროს ამბობს «ეგ ჩემი მოცემული წიგნი არ არისო და არც ბეჭედიო», — სამართალი ედიშერს ფიცს დაადებდა. მაგრამ ჩვენ იმ ორს კეთილის გვამის ნაწერს და მსყიდველისაგან წიგნს ვერწმუნენით და ჭემარიტებით ვცანით“-ო (ისტ. საბ. V, 96—97).

ზემომოყვანილ ამონაწერებითგანა ჩანს, რომ სასამართლო უმთავრესად ფიცის ე. ი. სარწმუნოებრივი გრძნობისა და შიშის საშუალებით, ცდილობდა ნატყუარობა-უეჭველობის გამორკვევას. ეს კი, რასაკვირველია, ობიექტური იარაღი და მეთოდი არ არის და მოფიცართა რწმენაზე და სვინდისზე იყო დამოკიდებული.

მხოლოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მოიპოვება საყურადღებო ცნობები და დარიგება მსაჯულისათვის, თუ როგორ შეიძლებოდა და უნდა გამოერკვიათ სასამართლოში წარდგენილი საბუთების ეჭვმიუტანელობა. ობიექტური საშუალებებით მომჩივართაგან მოტანილ სიგელ-გუჯრებსაო თავდაპირველად „გაუსინჯონ ბეჭედი, ქორონიკონი, დამწერი და მოწამე ამიტომ რომე ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ“-ო (§ 143 და 213). მაშასადამე, ნატყუარი საბუთების კრიტიკული განხილვის მაშინდელი მეთოდები, ერთი მხრით, საბუთის გარეგან მხარეს (ბეჭედი), მეორე მხრით, შინაარს აქცევდა ყურადღებას (დამწერი, მოწამე და ქორონიკონი). როგორც ეტყობა, უმთავრესად არკვევდენ ხოლმე დამწერი და მოწამე მართლა იმ დროს ცხოვრობდა და სწორედ იმგვარ ბეჭედს ხმარობდა, როგორც წარმოდგენილს საბუთზე იყო დასმული, თუ არა?

თანამედროვე მეთოდოლოგია, რასაკვირველია, უფრო მეტი და ფართო საშუალებით სარგებლობს ხოლმე. თუ საბუთი ნუსხა-დედანია, მაშინ თვით იმ მასალას აკვირდება, რომელზედაც დაწერილია, და არკვევს, მართლაც იმდროინდელს ეტრატსა ან ქაღალდზეა დაწერილი, რომელსაც თარიღით ეკუთვნის, თუ მერმინდელი მასალაა ნახმარი? ბეჭედის განხილვის გარდა ახლა თვით საბუთის მელანსა და ხელსაც აქცევენ ყურადღებას იმავე გარემოების გამოსარკვევად, თუ რომელ დროს უნდა ეკუთვნოდეს იგი ნამდვილად. საბუთის შინაარსის განხილვაც ახლა მარტო დამწერ-მოწმის ვინაობის განხილვით არ კმაყოფილდება, არამედ მთელს ნაწერს აკვირდება, თუ რამდენად შეესაბამება ენისა და წესწყობილების მხრით მაშინდელ დროს და თანაც რამდენად ღასაჯერებელია საბუთში მონათხრობი.

მაინც უნდა ითქვას, რომ ვახტანგ VI-ის დროინდელი მეთოდები წინანდელთან შედარებით დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ნატყუარი სიგელ-გუჯრების გამოსარკვევად ძველი საბუთებისა და ისტორიის დიდი ცოდ-

ნაა საჭირო, მაშინ კი არც ერთი და არც მეორე ხეირიანად არ იცოდენ. მეტადრე დაუჯერებელია, რომ ამის საფუძვლიანი ცოდნა მოსამართლეებს ჰქონოდეთ. ამიტომ უეჭველია XVI—XVIII სს-ში მხოლოდ ცხადი ნატყუარობის გამორკვევა შეეძლოთ. 1782 წ. სასამართლოს გარდაწყვეტილობის წიგნი ცხადყოფს, რომ საქართველოს სასამართლო საქმის გარჩევის დროს შემდეგშიაც პირველად წარმოდგენილ საბუთების უეჭველობას არკვევდა ხოლმე და მხოლოდ ამის შემდგომ სარგებლობდა მათი შინაარსით. მსაჯულებს იქ სხვათა შორის აღნიშნული აქვთ, რომ მოპირდაპირენი „ჩვენთან ვალაპარაკეთ... და მათი წიგნებიც გავსინჯეთ“-ო. „ჯავახიშვილსაც და გოგიბედაშვილსაც ორთავე... ერთმანერთისათვის წიგნი მიეცათ და რომელიც იმათ გაესამზღვრათ და მიჯნები ჩაესხათ, ყველა განრჩევით ეწერა და მას უკან ფარსადან ჯავახიშვილისა მიცემული წიგნიც ამტკიცებდა... ჩვენ ამათი ეს წიგნებიც გავსინჯეთ, მოთაბარი წიგნები იყო და სამართალიც (სამართალი[თა]ც?) შეიწყნარებოდა“-ო (ისტ. საბ. V, 102—103). მაშასადამე, სასამართლო საბუთების განხილვის დროს და შემდგომ დარწმუნებულა, რომ ისინი უზადო და შესაწყნარებელი იყო. ცხადია, ხწორედ ამ ცნების გამომხატველ ტერმინად არის აქ „მოთაბარი წიგნი“ ნახმარი. მოთაბარი ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბულია متبری „მუთაბარრი“ და თავისუფალს, უცოდველს, უბრალოსა ნიშნავს. ამგვარად, „მოთაბარი წიგნები“ უზადო, უეჭველ, უტყუარ სიგელებს და საბუთებს ნიშნავს.

ვახტანგ მეფის ზემომოყვანილი სიტყვები, რომ „ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ“-ო, ცხადყოფენ, რომ ნატყუარი საბუთები მაშინდელ საქართველოშიც იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. თუ ალექსანდრე მეფისდროინდელი სიგელი მხოლოდ მამულობითი დავის დროს წარდგენილ ნატყუარ საბუთს იხსენიებს, ვახტანგის სამართლის წიგნი უკვე საზოგადოდ ყოველგვარი საბუთების ეჭვმიუტანელობის განხილვას უკარნახებს მსაჯულს. მაინც ნატყუარი საბუთები, რასაკვირველია, უფრო ქონებრივი ან წოდებრივი უპირატესობისა და უფლების დასამტკიცებლად გამოსადეგ სიგელ-გუჯართა შორის არის მოსალოდნელი, ხოლო მათ შორის ყველაზე უფრო საეჭვო სასისხლო სიგელებია.

ნატყუარი საბუთების არსებობის გარემოება სრულებით გათვალისწინებული არ ჰქონდა ბატონიშვილ ვახუშტს, რომელიც სხვა საისტორიო წყაროებს მკვეთრი კრიტიკით იხილავდა ხოლმე, მაგრამ გულუბრყვილო მოწიწებით ეპყრობოდა ყველა სიგელ-გუჯრების ცნობებს და სწორედ ამან მას არა ერთი დიდი შეცდომაც ჩაადენინა. სიგლებისადმი ეს გულუბრყვილო ნდობა XIX—XX სს. ქართველ და საქართველოს მკვლევარ ისტორიკოსებსაც დასჩემდათ და ამის გამო აქამომდე საკითხი ქართული ნატყუარი საბუთების არსებობის შესახებ არც კი აღძრულა და ნამდვილი და ნატყუარი საბუთები განურჩევლად და ერთად იბეჭდებოდა, ნატყუარი ნამდვილად იყო მიჩნეული და მათი ცნობებით როგორც ნამდვილით სარგებლობდენ.

§ 2. სასისხლო სიგელები და მათი ნატყუარობა

აქამომდე სასისხლო სიგელების კარგა ბლომა რიცხვია უკვე გამოქვეყნებული. რადგან მათ განხილვას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, აქვე ყველა ცნობილი სასისხლო სიგელების სია მომყავს:

1. მეფეთ-მეფე დავითის ნაბოძები უთარიღო სასისხლო სიგელი გრიგოლ

გელაძისადმი, რომელსაც ე. თაყაიშვილი „ხელის მიხედვით“ 1346—1360 წ. მიაკუთვნებს (ს˜ქს სძ˜ველნი II 34-35, № 27).

2. სასისხლო სიგელი მეფეთმეფე ბაგრატ გორგასალისაგან თულასძეთათვის ბოძებული, რადგან ბოლო აკლია, თარიღი არა აქვს, მაგრამ ე. თაყაიშვილი ბაგრატ V-ს მიაკუთვნებს და თარიღად ამის გამო 1360—1395 წწ. სდებს. ამ სიგელის შეცდომებით გადმოღებული პირის ფრანგული თარგმანი ბროსემ თავის Introduction-ში (გვ. XC—XCIII) დაბეჭდა და საეჭვოდ მიიჩნია. დედნის მიხედვით ქართული ტექსტი ე. თაყაიშვილმა გამოსცა (ს˜ქს სძ˜ველნი II, 12—14, № 8). ე. თაყაიშვილს საბუთი ეჭვმიუტანელად ჩაუთვლია (იქვე, გვ. 12—13). ეს საბუთი ხელმეორედ ს. კაკაბაძემ გამოსცა 1913 წ. დედნისავე მიხედვით („ბაგრატ მეფე XV ს. რაჭა-არგვეთის მფლობელი“). მისი სიტყვით სიგელი 1446 წ. არის ბოძებული ბაგრატის მეფობის მეორე ინდიკტიონს (გვ. 5), რომელსაც იგი რაჭა-ლეჩხუმის მფლობელად თვლის.

3. 1392 წ. სასისხლო სიგელი მეფეთა მეფე ალექსანდრესი ტყავზე ნაწერი გორგაძისადმი ნაბოძები, რომელიც დ. გორგაძეს ჩამოუტანია („დამავალა და იმერეთით ჩამომიტანაო“) თ. ჟორდანიასთვის. ეს საბუთი გამოცემულია ქრონიკების II, 193—195. თ. ჟორდანია ამბობს, „ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სიგელი ეკუთვნის იმერთა მეფეს ალექსანდრე I, რომელიც ვახუშტის ქრონოლოგიით გამეფდა 1387 წ. და მოკვდა 1389 წ.; ხოლო ამ სიგლის ცნობით იგი ცოცხალი ყოფილა 1392 წელსაც. იურიდიულის მხრითაც შინაარსი სიგლისა საყურადღებოა“-ო. ეს საბუთი ყოფილა „მსხვილ ასოებით მხედრულად დაწერილი მე-XV საუკუნის ხელით, რომელსაც ტექსტის ხელითვე აქვს წარწერა, რომ ეს სიგელი გადაწერილია ძველის დედნიდამ XV საუკუნეს“ (ქ˜კბი II, 193).

4. სასისხლო სიგელი კოსტანტინე მეფის მიერ 1408 წელს გელათის მეღვინეთუხუცესის ცირღილაძისადმი ბოძებული, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოსცა (ს˜ქს სძ˜ველნი III, 432—435, № 461).

5. სასისხლო სიგელი 1432 წ. მეფეთმეფე ვახტანგ გორგასლისაგან კოტრიძეთადმი ნაბოძები, რომლის ტექსტი გამოსცა ს. კაკაბაძემ 1912 წ. (იხ. ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი“, გვ. 9—11) და რომელიც მას „ეჭვს გარეშე“-დ მიაჩნია (გვ. 13).

6. სასისხლო სიგელი იაკობიძეთადმი ნაბოძები თამარ მეფის მიერ 1433 წ. ორჯერ იყო გამოცემული: პირველად ე. თაყაიშვილისაგან (ს˜ქს სძ˜ველნი II, 371—374, № 330), რომელმაც ეს თამარი დიდი ალექსანდრის მეფის თანამეცხედრედ სცნო (გვ. 371—372), — მეორეჯერ ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. („უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II“ გვ. 2—3), რომელსაც ეს თამარი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთ-იმერეთის უცნობ მეფედ მიუჩნევია.

7. თოფურიძეთადმი ალექსანდრე მეფის მიერ 1413—1444 წწ-ში ბოძებული სასისხლო სიგელი ორჯერვე ე. თაყაიშვილისაგან დაბეჭდილა: პირველად 1891 წ. ივერიაში (№ 213), მეორედ საქართველოს სიძველეთა II წიგნში (გვ. 35—37, № 28). თარიღად ამ სიგელს თუმცა ქრონიკონი 968 უზის, რაც 2280 წ. უდრის, მაგრამ ეს გამომცემელს მხოლოდ შეცდომად მიაჩნია (გვ. 35). თ. ჟორდანიას ამ საბუთის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იგი ან ბევრის მოსაზრებით ყალბი უნდა იყოს, ან იმერთა მეფეს ალექსანდრეს უნდა ეკუთვნოდესო, და

თანაც სიყალბის მომასწავებელი ნიშნებიც აქვს ჩამოთვლილი (ქ˝კბი II, 232—233).

8. სასისხლო სიგელი ჩარაჩე გურალიძისადმი ვახტანგ მეფეთმეფის მიერ 1437 წ. ნაბოძები ს. კაკაბაძემ გამოსცა 1912 წ. (ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი etc. გვ. 11—13) და „ეჭვს გარეშე" მყოფად მიიჩნია.

9. 1452 წ. სასისხლო სიგელი ავშანდაძეებისადმი ბოძებული ბაგრატ მეფეთმეფის მიერ პირველად ბროსემ დაბეჭდა ფრანგულად (Introduction გვ. XCI). ქართული ტექსტი ჯერ თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავის ქ˝კბის II წიგნში (264—266), ხოლო შემდეგ ე. თაყაიშვილმა საქართველოს სიძველეთა II წიგნში (გვ. 41—44, № 31), როგორც ბროსეს, ისევე თ. ჟორდანიას ეს საბუთი ყალბად მიაჩნდათ. ე. თაყაიშვილი კი, თუმცა არ მალავს, რომ თარიღი არ უდგება, მაგრამ ამას შეცდომად თვლის, და, რადგან „დედანი გვაქვს ხელში კარგ ტყავზედ ნაწერი, მეთუთხმეტე საუკუნის ხელით, ყალბად ვერ მივიჩნევთ"-ო (გვ. 41—42).

10. 1460 წ. სასისხლო სიგელი გიორგი მეფეთმეფის მიერ გიორგი ჟურულისადმი ნაბოძები მრავალჯერ გამოიცა: ჯერ ფრანგულად მ. ბროსეს მიერ (Introduction XCV—XCIX), შემდეგ ქართულად პირველად 1886 წ. (ივერია № 124), მეორედ ე. თაყაიშვილის მიერ ს˝ქს სძ˝ვლთა I წიგნში (გვ. 3—7, № 2). მესამედ თ. ჟორდანიას მიერ (ქ˝კბი II, 278—280). რუსული თარგმანი 1887 წ. Кавказское Обозрение-ში აპრილის №-ში, ხოლო პალეოგრაფიული პირი V არქეოლოგიური ყრილობის შრომებშია დაბეჭდილი.

11. ყიფიანთა უთარიღო სასისხლო სიგელი მეფეთმეფე ბაგრატის ნაწყალობევი, რომელიც ე. თაყაიშვილმა დედნის მიხედვით გამოსცა და „ხელის მიხედვით" XV ს. 1462—1478 წწ. მიაკუთვნა (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 398—399, № 358).

12. 1463 წ. სასისხლო სიგელი გიორგი მეფეთმეფის მიერ ორალელისძე კვიტაშვილთათვის ბოძებული ე. თაყაიშვილისაგან არის გამოცემული (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 435—439, № 462).

13. 1501 წ. „სასისხლო სიგელი ბაქრაძეთა, დაწერილი ყოფილა, ე. თაყაიშვილის სიტყვით, რომელმაც ეს საბუთი გამოაქვეყნა, ტყავზედ. ამ სიგელისა ჩვენ ორი პირი გვაქვს ხელში: ერთი ახალი — ცნობილი ბერის ალექსი ბაქრაძის მიერ გადმოღებული, მეორე უფრო ძველი — მოიპოვება ბაქრაძისეულ კრებულში № 131 და ბოლოს მინაწერიდან ჩანს, რომ სიგელი დაცული ყოფილა რაჭაში სოფელ ჯიხუბანს აზნაურის ივანე ბაქრაძის დათუაშვილის სახლში. ჩვენ ვხელმძღვანელობდით ორივე პირითა"-ო, ნათქვამი აქვს ამ საბუთის ზემოდასახელებულს გამომცემელს (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 21—23, № 14), რომელსაც ეს საბუთი, როგორც ეტყობა, ალექსანდრე მეფის ნაბოძებ ჩვეულებრივ და უეჭველ ძეგლად მიაჩნია.

14. 1505 წ. იანვრის 15-ს „სიგელი იმერეთის მეფის ალექსანდრე მეორისა. ბოძებული ივანე ქეროხიძისადმი, დაწერილია ეტრატზე ლამაზის მხედრულის ხელით. თავში ფერადებით დახატული ყოფილა თვით მეფე ალექსანდრე, დედა მისი, მისი ცოლი და შვილები და მათ ქვემოთ მიმლები სიგლისა ივანე ქეროხისძე ზის სკამზე და ჩონგურს უკრავს. სამწუხაროდ სურათები გაფუჭებულია და დახეულია, უკანასკნელი სურათი უფრო ჩანს და ჩვენ გადმოვალე-

ბიეთ. ეს სიგელი ჩვენ ვიპოვეთ გელათის მონასტერში“-ო, ნათქვამი აქვს ამ საბუთის გამომცემელს ე. თაყაიშვილს, რომელსაც ეს ძეგლი უეჭველად მიაჩნია (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 516—517, № 490).

15. „სასისხლო სიგელი სვანეთის ერისთავების გელოვანებისა, დაწერილია ეტრატზე მრგვალი მხედრულის ხელით, მაგრამ ასოები ჩ, ო და უ ხუცურის მსგავსნი არიან. ეტრატი ორი ერთმანეთზე მიკერებულის ნაჭრებისაგან შედგება. მართლწერა ტექსტისა გარყვნილია: თითქმის ყოველ სიტყვაში ხორცმეტად ნახმარია ასო „ა“-ნი ... ნიშნებად ნახმარია სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. სიგელი... დაწერილია მეთუთხმეტე საუკუნის დამდეგის, ანუ მეთექვსმეტის დასაწყისის მხედრულის ხელით, მაგრამ თვით ნამდვილი დედანი კი არ არის, არამედ პირი, რასაც ბოლოს მინაწერიც მოწმობს. სიგელი ჩვენის აზრით მიცემულია იმერეთის მეფის ბაგრატ მეორის მიერ..., რომელსაც ჰყავდა ცოლი ელენე (†1519 წ.) და შვილი ვახტანგ... ბაგრატ მეორის მემკვიდრე იყო მისი შვილი ალექსანდრე მეორე... სიგელი დამტკიცებულია ბაგრატ მეორის მიერ და დამტკიცებულია, როგორც ეტყობა, ალექსანდრე მეორის მიერაც. ამ რიგათ სიგელი ეკუთვნის 1462—1516 წლებს. ეს ტყავის სიგელი დროებით გამოგვიგზავნა გელოვანმა და დედანი უკანვე დავაბრუნეთ“-ო, ნათქვამი აქვს ამ საბუთის გამომცემელს ე. თაყაიშვილს (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 513—515, № 488).

16. 1554 წ. ბაგრატ მეფისაგან შერგილაძეებისადმი ნაბოძები სასისხლო სიგელი თ. ჟორდანიამ გამოსცა (ქ˝კბი II, 396—398), და „თუმცა ყველა ჩვენი ისტორიული წყაროები მისს (ე. ი. ბაგრატ მეფის) სიკვდილს გვიჩვენებს 1548 წ.“, მაგრამ „ცხადია, რომ ბაგრატი 1554 წელს ცოცხალი ყოფილა“-ო (იქვე 396)*.

ამ წიგნის IV და V თავების გადამკითხველისათვისაც ყველა ზემოდასახელებული საბუთების ნატყუარობა ერთი შეხედვითაც ცხადი და უეჭველი უნდა იყოს. მაგრამ რადგან ჩვენ საისტორიო მწერლობაში მ. ბროსეს, თ. ჟორდანიასა და ე. თაყაიშვილის მიერ ნაწილობრივ, მეტადრე კი დაჟინებით ს. კაკაბაძისაგან ისინი უდავოდ ყოველსავე „ეჭვს გარეშე“ მყოფ სიგელ-გუჯრებად არიან მიჩნეული და ამ ძეგლების ცნობებზე აქვთ დამყარებული თავიანთი მსჯელობა ახალ, მანამდე უცნობ მეფეთა და სამეფო-სამთავროების შესახებ და გადაწყვეტილად ითვლება არაერთი გენეალოგიურ-ქრონოლოგიური და საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიის საკითხი, აუცილებლად საჭიროა ზემოაღნიშნული სასისხლო სიგელების უეჭველობა-ნატყუარობის საკითხი გულდასმით განხილული და გადაწყვეტილი იყოს.

თვითეული საბუთის ცალ-ცალკე მთლიანად განხილვის მაგიერ, ყველა ერთად გვექმნება გარჩეული, მაგრამ სიგლების ნაწილ-ნაწილებისდა მიხედვით:

---

* წინამდებარე გამოკვლევა დამთავრებული მქონდა და მისი შინაარსი მოკლედ საქართ. საისტ.-საეთნ. საზოგადოების სხდომაზე (1924 წ.) მოხსენების სახით წაკითხული მქონდა, რომ ს. კაკაბაძემ გამოქვეყნებულ სასისხლო სიგელთა რიცხვი კიდევ 14-ით გაამრავლა (იხ. საისტორიო მოამბე, საქ. ცენტრარქივის გამოცემა 1924 წ. წიგნი II, 1—107). არც ერთი ამ სასისხლო სიგელთაგანი ჩვენ მონოგრაფიაში განხილული არ იქნება უადგილობის გამო მით უმეტეს, რომ, რაკი შრომა დამთავრებული მქონდა, მისი სიერცის გადიდება შეუძლებელი იყო. ს. კაკაბაძეს არც კი ესმის დიპლომატიკის ძეგლი როგორ უნდა იყოს გარჩეული და ამიტომ მასთან კამათი ტყუილი დროს დაკარგვა იქნებოდა. არსებითად კი ამ ს. კაკაბაძის მიერ ახლად გამოცემულ სასისხლო სიგელების შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც ამ ჩემ მონოგრაფიაში აქამდე გამოქვეყნებულ ამგვარი საბუთების შესახებაა ნათქვამი.

ჯერ მათი სიგლის თავი, შემდეგ თხრობა, განგებულება-ბრძანებულება და სიგლის ბოლო. რაკი მეფეთა სიგლების ამ ნაწილების აგებულება და ჩვეულებრივი შინაარსის დალაგების თანამიმდევნოება უკვე გამორკვეული გვაქვს, აქ მხოლოდ სასისხლო სიგლების თვითეული ნაწილის უეჭველ საბუთების შესაფერის ნაწილებთან შედარებითი განხილვით ამ ძეგლების თვისებები იქნება გამომჟღავნებული.

§ 8. სასისხლო სიგელების სიგლის თავები

აი რანაირი სიგლის თავი აქვთ ზემოდასახელებულ სასისხლო საბუთებს:

„ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმიდისათა შავთ (sic), შარვაშთა, კახთა, აფხაზთა, სომეხთა, კახთა, ქართველთა ყოვლისა მპყრობელმან მიქაელ მეფისა" (1326 წ. მიქელაძეთა სასისხ. სიგ.).

...„ბაგრატოვანებით... აღმოცენებულმან ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შავშინ და შარვაშინ და ყოვლისა ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავლეთამდის თვით ხელმწიფედ მქონებელ მპყრობელმან მეფეთა-მეფემან ბაგრატ გორგასალისაგან ბრძანებულ" (1360—95 წ. თულასძეთა სასისხ. სიგ.).

„ქ. სახელითა ღმრთისათა ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ დავითიან ბაგრატოვანმან ნებითა ღვთისათა აბხაზთა, ქართველთა, შანთა (?) და შარვანშთა, რამთა (sic), კახთა, ჰსომეხთა (sic) მეფეთა (sic) ყოვლისა აღმოსავლეთისაჲ ვიდრე დასავლეთამდის ლიხთიმერისა ჩრდილოეთისა (sic) საქართველოს ორთავე ჰელმწიფედ (sic) მპყრობელმან" (1392 წ. გორგაძეთა სასისხ. სიგ.).

„ქ. სახელითა ღუთისათა და ყოველთა (sic) წმიდისა ღუთისმშობლისათა ჩუენ იესიან დავითიან ბაგრატიონნი ზეგარდამო ცხებული ღუთივ გვირგვინოსანი და ორთავ ტახტთა მსხდომარე მეფეთ-მეფე რანთა, კახთა, სვანთა, ბერძენთა (sic), სომეხთა, მეგრელთა, ქართველთა, ჯიქთა, აფხაზთა, ალანთა, შარვანთა და შარვაშიანთა, ლიხთ იმერისა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა მეფეთ-მეფემან და ამათმან მპირველმან" (1437 წ. ჩარაჩე გურალიძის სასისხ. სიგ.).

„ძისა და... სოლომონიან დავითიან ბაგრატოვან მეფისა ალექსანდრეს... შარვანშა... მრავალთა... ლიხთა ამერთა და ლიხთ იმერთა... ორთავენ ოქროს ტახტზედ მჯდომარისა და ღმრთივ გვირგვინოსნისა და ყოვლისა ხმელეთისა მპყრობელობითა მქონებელისა მეფესა ალექსანდრეს წინაშე ჩუენთა (sic) დროშულთა კართა ზედან... თოფურიძენი" (1413—44 წწ. თოფურიძეთა სასისხ. სიგ.).

„ძლიერისა ღვთისა იესიან-სოლომონიან პატრონმან ღვთივ-ამაღლებულმან, ღვთივ-დამყარებულმან, ღვთივ-გვირგვინოსანმან ორისავე ტახტისა მპყრობელმან ლიხთ იმერისა, ლიხთ ამერისა, ჩვენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრემან აფხაზთა, სვანთა, კახთა, სომეხთა, ქართველთა, ჯიქთა და ალალთა (sic), შაჰნშაჰე და შარვან-შაჰე (sic) ნებითა ღვთისათა" (1501 წ. ბაქრაძეთა სასისხ. სიგ.).

„სახელითა ღმრთისათა მამისათა, ძისათა, მამისათა ძისათა (sic) და სულისა წმიდისათა ჩუენთა (sic) აფხაზთა, ჯიქთა, სუანთა და მეგრელთა, კახთა და სომეხთა, ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე საჴელმწიფოსა მპყრო-

ბელმან მეფეთ-მეფემან თამარ და ჩუენთა თავადთა და ებისკოპოზთა ყოვლისა საქრისტიანოსა რჯულისა მამაგრებელთა, მანდატურთამანდატურმან დადიანმან, ამილახორთა და ერისთავთა ჩუენისა კარისა მოსამსახურეთა და აზნაურიშვილითა კარისა ჩუენისა მოსამსახურეთა ერთობით შეგიწყალეთ და გიბოძეთ სასისხლო ესე სიგელი"-ო (1433 წ. იაკობიძეთა სასისხ. სიგ.).

თვით გამომცემელს არ შეეძლო უარეყო, რომ „ერთის შეხედვით ეს სიგელი ფრიად უცნაურად უნდა გვეჩვენოს", რადგან 1433 წ. საქართველოში ალექსანდრე I დიდად წოდებული მეფობდა, მაგრამ მას ეს გარემოება არ აფიქრებს და დარწმუნებულია, რომ ამ სიგლის მიმცემი ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე თამარი კი არ უნდა იყოს, როგორც ეს ე. თაყაიშვილს ეგონა, არამედ სულ სხვა პიროვნება: „თამარი არის დასავლეთ საქართველოს დინასტიის წევრი". ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ თუ ამ სიგელში „ჩვენ ვხედავთ ტიტულის შეცვლას, ეჭვს გარეშეა აფხაზეთის სამეფოს ნიადაგზედ, რადგან სწორედ აფხაზეთის მეფის ბრძანებლობის ქვეშ იყვნენ ჯიქნი, სვანნი და მეგრელნი"-ო. მანდატურთუხუცესი დადიანის ამ საბუთში მოხსენებულობის მიზეზიც იგივე ყოფილა, რადგან „მანდატურთ-უხუცესი დადიანი აფხაზეთის სამეფოს ერთი მთავართაგანია". ამგვარ მოსაზრებათა წამოყენების შემდგომ ს. კაკაბაძეს დამტკიცებულად მიაჩნია, „თამარი ეჭვს გარეშეა (sic) აფხაზეთის მეფეა" და სხვადასხვა (იხ. მისი „უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, ტფილისი, 1913, გვ. 3—8).

როგორც IV თავის § 2-ში (გვ. 451 და 452) და V თავის § 3-ში აღნიშნული გვქონდა, სიგლებში საქართველოს მეფეთა წოდებულება მეფის უფლების თანდათანობითი ისტორიული განვითარება-გაფართოების გამომხატველი იყო და ყოველთვის ერთი და იმავე შემადგენლობისა იყო და ერთი და იმავე თანამიმდევრობითაც გამოითქმებოდა ხოლმე: „აბხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფე, შარვანშაჰ და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა" მპყრობელის წოდებულებით იხსენიებოდა სრულიად საქართველოს მეფე. ეს წესი შემდეგშიაც აღმოსავლეთ საქართველოში მტკიცედ იყო დაცული, მაგრამ რადგან სასისხლო სიგელთა მომეტებული ნაწილი დასავლეთ საქართველოთგან არის, ამიტომ აქ იმერეთის მეფის არასასისხლო სიგლებში ნახმარ წოდებულების მაგალითებსაც მოვიყვან.

ბაგრატ მეფის გელათისადმი 1510—1524 წწ. შეწირულობის წიგნში, რომლის „თავი და ბოლო... გადასულია და ძლივს იკითხება" თურმე წერია: „ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანმან გუირგუინოსანმან აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის ლიხთიმერისა და ლიხთამერისა თვითფლობით მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ, ძმათა ჩვენთა პატრონმან [ვახტანგ და დავით] ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შანშეს და შარვანშესითა" (ს. კაკ., დას. საქ. საეკ. საბ. I, 7).

გიორგი II-ის იმავე გელათისადმი 1569 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბანკრატონიანმან (sic) ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამკრისა და ჩრდილოეთისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა [ორისავე სამეფოსა] და საჴელმწიფოსა თუით მფლობით [თუით მპყრობე]ლმან, ღთივაღმატებულმან და ღთივ-დამყარებულმან, ყოველთა მეფეთა შორის წარ[ჩინებულმან და სკიპტრა]-პორფირ-გვირგვინ შარავანდედთა შორის ბრწყინვალემან ჩუენ ღთივგუირგუინოსამან მეფეთმე-

ფემან გიორგი“ (იქვე I, 17). იმავე მეფის 1565—1578 წწ. სიგელში კიდევ ასეთი წოდებულებაა ნახმარი: „ჩუენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა თვითმფლობელობით მპყრობელმან ღთივ-აღმატებულმან და ღთივ-დამყარებულმან ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ-მეფემან გიორგი“ (იქვე I. 31).

როსტომ მეფის 1603 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატუნიანმან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა*, კახთა, სომეხთა მეფეთ-მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და სამხრისა და ჩრდილოეთისა, ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან და ღმრთივ დამყარებულმან, ძლიერმან და უძლეველმან, ყოველთა მეფეთა შორის წარჩინებულმან, სკიპტრა-პორფირ-გუირგუინშარავანდედთა შორის ბრწყინვალემან მეფეთ-მეფემან როსტომ“... (იქვე I, 36).

ამგვარად, იმერეთის მეფეთა სიგლების ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ მეფის წოდებულების პირველი, ძირითადი ნაკვეთი საუკუნეთა განმავლობაში, XII—XVII სს-მდე, როგორც შინაარსით, ისევე სიტყვათა თანამიმდევნოების მხრივ უცვლელი დარჩენილა.

საკმარისია წინამდებარე მონოგრაფიის ზემოდასახელებულ ადგილებში მოყვანილი სრულიად საქართველოს მეფეთა და იმერეთის მეფეთა ზემომოყვანილი წოდებულებანი სასისხლო სიგელების წოდებულებებს შევადაროთ, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად ჩანართებითა (სვანთა, მეგრელთა, ჯიქთა, ალალთა) და სიტყვათა თანამიმდევნოების სრული აღრეულობით დამახინჯებულია საქართველოს და თვით იმერეთის მეფეთა წოდებულების პირველი ნაკვეთი, რომელიც ასე კარგად არის დაცული ყველა ნამდვილ სიგლებში. ცხადია, ქართული სიგელთა დაწერილობის წესების ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი უვიცობა სასისხლო სიგელების შემთხზველთა ვინაობისა და დროის გამომჟღავნებელი უნდა იყოს და მათი ეგოდენი უვიცობა მათი ყალბმქნელობის უცილობელი ნიშანია. საფიქრებელია, რომ ისინი შედარებით მერმინდელი ხანის „მოღვაწენი“ უნდა ყოფილიყვნენ.

ავშანდაძეთა 1475 წ. სასისხლო სიგელი ხომ ისე უშნოდ არის შედგენილი, რომ მისი ნატყუარობა ცხადადა ჩანს და უკვე მ. ბროსემაც შეამჩნია. თ. ჟორდანიაც მთლად ვერ უარყოფს ამ გარემოებას და მხოლოდ ე. თაყაიშვილს ეგონა, რომ „რაკი ეხლა დედანი გვაქვს ხელში კარგ ტყავზედ ნაწერი, მეთუთხმეტე საუკუნის ხელით, ყალბად ვერ ვიცნობთ ამ სიგელს“-ო. მაგრამ მხოლოდ ამ მოსაზრებებით საბუთის უეჭველობა-ნატყუარობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება. საკმარისია ამ სიგლის აგებულებასა და მეტადრე შინაარსს მიექცეს ყურადღება, რომ მისი ნატყუარობა ცხადზე უცხადესი გახდეს. ავიღოთ მაგ., სიგლის თავი....„მეფემან ღ̃მრთივ გვირგ[ვინოსან]მან. ღმრთივ აღმაღლებ[ულმან, ღ]მრთივ დამყარებულმან, ძლი[ერმან] და უძლეველმან. იესიან, დავითია[ნ, ბა]გრატიონ, სოლომონიონ, რანთა [და ა]ფხაზთა, სომეხთა მეფეთა, შანშე და შარვანშე ამა ორისა ტახტის და სამეფოსა, აღ[მოსა]ვლეთის ვიდრე დასავლეთამდის თუით მტ[კიც]ედ ფლობით მპყრობელისა ქრისტეს ღმერ[თისა] მიერ სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა დემეტრესი ძემან პატ-

* ამ სიტყვის შემდგომ ან გადამწერის, ან გამომცემლის მიერ გამოტოვებული უნდა იყოს „რანთა“.

რონმან აღმაშენებელმან კოსტანტილე და დედათა-დედამან ჩემან (sic) პატრონ-მან გულაშარ“ და სხვა.

სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ისიც კმარა, თუ გავიხსენებთ, რომ კონსტანტინე მეფის არც ერთ ნამდვილ სიგელს ამგვარი წოდებულება არა აქვს და, რასაკვირველია, არც შეიძლება რომ ჰქონოდა. არსად ის თავის თავს „აღმაშენებელ“-საც არ უწოდებს. ამგვარი რამე თვით კონსტანტინესგან უცნაურიც იქნებოდა. აღმაშენებელის სახელს მეფეებს სხვები ეძახდენ და მეფის საბუთში ასეთი რამე წარმოუდგენელია. ამას გარდა 1475 წ. კონსტანტინე ჯერ გამეფებულიც არ იყო.

ყიფიანთა უთარიღო სასისხლო სიგელიც ისე უწესოდ არის დაწერილი, რომ ასეთი საბუთის დაწერა არც ერთ მდივანმწიგნობარს არ შეეძლო. მისი ნატყუარობის დასამტკიცებლად ისიც ეკმარება, თუ გავიხსენებთ, რომ განგებულებაში ასეთი უცნაური და უხამსი უეჰველია, მეფეთა წოდებულების მიმბაძველობით შეთხზული წინადადება გვხვდება: „გავაჩინეთ თქუენი სისხლი ჩუენსა კარზედან მდგომთა დარბაისელთა მოწმობითა რანთა, კახთა და სომეხთა, შანშთა (sic) და შარვანთა მოწმობითა გაგიჩინეთ ესე სიგელი ჩუენ მეფეთ-მეფემან ბაგრატ თქუენ ყიფიანსა თემნასა“ და სხვათა (1462—1478 წწ. ყიფიანთა სასისხ. სიგ.).

§ 4. სასისხლო სიგელების თხრობა

სასისხლო სიგელების თხრობა, რასაკვირველია, ბრძანებისა და წყალობის წიგნების თხრობისაგან შინაარსით უნდა განსხვავდებოდეს, მაგრამ ენა და გამონათქვამები კი მათ მსგავსი უნდა ჰქონდეთ, სახელდობრ, იმ ენით უნდა იყვნენ დაწერილი, რომელიც ჩვეულებრივ სიგელ-გუჯრებში მიღებული იყო.

სასისხლო სიგელების თხრობა ყოველთვის განსაკუთრებულს, ხშირად კი სრულებით დაუჯერებელ ამბავს შეიცავს ხოლმე. აი მაგალითად ზოგ მათგანში რა წერია:

„მოვიდეს წ͠ე ჩუენსა ცირღილასძენი... გუეაჯნეს და მოგუაჴსენეს, რათამცა... სიგლითა ამით შეგუეწყალა, პაპათა ჩუენთაგან ძუელად შეწყალებულნი სასისხლოთა სიგლითა და დასხმულნი ქელდასმათ. ძმისა ჩუენისა მეფისა გიორგის სიკუდილისა შედეგად მათითა ავკაცობითა კურსებმან ძუელი სასისხლო სიგელი დაუწვეს და წაუხდინეს. დაგუაჯერა ღმერთმან... შევიწყალეთ და მიუბოძეთ ახლად ძუელი იგივე სისხლი“-ო (1408 წ. ცირღილასძეთა სასისხ. სიგ.). ბუნებრივად იბადება საკითხი, გიორგი მეფის სიკვდილის შედეგად კურსებს ცირღილაძეებისათვის ძველი სასისხლო სიგელი რატომ უნდა დაეწვათ? მაგრამ პასუხს იქ მკითხველი ვერ იპოვის. ეს ცნობა მხოლოდ იმისთვის არის მოყვანილი, რომ მკითხველს ძველი სიგლის არსებობა დაეჯერა.

ამგვარადვე მიქელაძეთა სასისხლო სიგლის შესახებ ნათქვამია:

„ქნეს სიგლისა (sic) მოკითხული, თათართაგან წაღებული ქონდა. მოვიდა მისი მახსოვარი კაცი და დაიფიცა ონფორზედა: ეწერაო სიგელსა მიქელაძისა სასისხლო“-ო (1326 წ. მიქელაძეთა სასისხ. სიგ.). აქაც თათართაგან სიგლის წაღებას და მახსოვარი კაცის ნაამბობს ძველი სიგლის სინამდვილე და ახლის უეჭველობა უნდა დაემტკიცებინა.

თულასძეთა, ბაქრაძეთა და ქეროხიძეთა სიგლების თხრობა სხვა მხრივ არის დამახასიათებელი და საყურადღებო. იქ სწერია: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენი მ(ონანი) და პატრონისა მეფობისა ტახტისა და გუირგუინისა თავდადებით ნამსახური და მოსამსახურენი და ნამსახურნი თულასძენი ივანე და მიქაელ, შვილნი და მომავალნი სახლისა მათისანი მას ჟამსა, ოდეს ჭლაგიანის აზნაურის შვილსა თულაძე დემეტრეს ნანიაი გერგესელია სანადიროდ შეაკუდა, მას ჟამის მოვიდეს წინაშე ჩუენსა, იაჯნეს და მოგვახსენეს... ვქენით მოკითხული და ვცანით მათ სახლისა ვითარება და ერთობი საპატიო კაცი ყოფილიყო და მისთანა სიგელი ქონებოდა და იმავე სიგლითა ჩვენ ახლად დაუმტკიცედ და გაუჩინეთ სრული სისხლი ასრე და ამა პირსა ზედა“ (1360—95 წ. თულასძეთა სასისხ. სიგ.).

„მოვიდენ ჩვენს წინაშე ერთგულებაზედ თავდადებულნი და ჩვენს მსახურებაზედ ბაქრაძენი ვახტანგ და დავით, მათნი შვილნი და მომავალნი ყოველნი და გვეაჯენით და გიბოძეთ ესე სასისხლო სიგელი: ძველათაც საპატიო სიგელი გქონებოდათ, მაგრამ ჟამსა აშლილობისაგან წაგხდომოდათ. აწ შეგიწყალეთ და ესე სიგელი გიბოძეთ“ (1501 წ. ბაქრაძეთა სასისხ. სიგ.).

„მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ქეროხიძე ივანე, შვილნი მათნი სარელა, შვილნი და მომავალნი სახლისა მათისანი ყოველივე და გუეჯნეს“ (1505 წ. ქეროხიძეთა სასისხ. სიგ.).

ამ თხრობათა ენის და გამონათქვამების შეუწყნარებელ შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, აქ მეტადრე შემდეგი გამონათქვამია აღსანიშნავი: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა (ესა და ეს), მათნი შვილნი და მომავალნი სახლისა მათისანი ყოველნივე“-ო. ეს გამონათქვამი უეჭველია ნასყიდობისა, გაცვლილობისა და სხვა ამგვარი სამოქალაქო სამართლის სიგლების შემდეგი გამონათქვამის მიმბაძველობით არის დაწერილი: მოგყიდეთ, ან მოგეცით, ან გაგიცვალეთ „თქვენ (სახელდებით), შვილთა თქვენთა (სახელდებით) და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე“-ო. უკანასკნელი სიტყვები იმის მაჩვენებელი იყო, რომ ხელშეკრულება დადებულია და მიყიდულია, თუ გაცვლილი საშვილიშვილოდ. სამარადისოდ. ამ სისხლის სიგლების შემთხზველს ეს გაზეპირებული გამონათქვამი ამ თავის შედგენილ საბუთებში შეუტანია, მაგრამ მას ვერ შეუმჩნევია თავისი საქციელის მთელი უაზრობა და შეუსაბამობა: როგორ უნდა მისულიყვნენ მეფის წინაშე და ეაჯნათ „მომავალნი სახლისა მათისანი, ყოველნიევე“. რომელნიც ჯერ დაბადებულიც არ იყვნენ, რომელთა წარმოდგენაც კი ჯერ არ შეიძლებოდა? აი აქ ჩანს სრული სიცხადით ამ სასისხლო სიგელების შემთხზველთა მთელი უვიცობა, ქართული დიპლომატიკის წესების უცოდინარობა და მისი ნაწერის ნატყუარობა!

თოფურიძეთა სიგლის შემდგენელსაც თხრობაშიაც ენა ებმება და ამბობს: „მოვიდეს ჩუენთა დროულთა კართა ზედა ერთგულნი და დიდად ერთგულად ნამსახურნი თოფურიძენი... (როცა ცხენის წყალისაგან ერთი ჯორის ცალის ოდენა ოქრო-ვერცხლით სავსე ზანდუკი გამოტანილი გადაარჩინა და მომიტანაო) იმა ერთგულობისათვის გვეიაჯნეს და... გამოაღეს სიგელი და ძველათაც წმიდა აზნაურის შვილნი ყოფილიყვნენ, ვქენით მოკითხული და ტახტისა აზნაურისა შვილნი გამოვიდენ, ვისმინეთ აჯა თქვენი, მოვეიკითხეთ ძველი და ახალი თქვენის გვარისა ვითარაობა და ერთობ წმიდა აზნაურის კაცნი გამოვიდნენ სამონასტრო საურითა... ყოვლის ფერითა წმიდა აზნაურის კაცი გამოვიდა“ (1413—1444 წწ. თოფურიძეთა სასისხ. სიგ.). ამგვარად ჯერ ნათქვამია „წმიდა

აზნაურშვილნი“-ო, შემდეგ „ტახტისა აზნაურშვილნი“-ო, მერმე ისევ იმავე ტერმინს იმეორებს. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ამ დროის სხვა იურიდიულ ძეგლებში არ იხმარება და გამონათქვამთან ერთად „ერთობ წმიდა აზნაურის კაცნი გამოვიდნენ“ ამ სიგლის ცხადი ნატყუარობისა და მერმინდელობის გამომჟღავნებელია.

სრულებით ახირებული ენისა და შინაარსისაა კოტრიძეთა სასისხლო სიგელის თხრობა, სადაც ნათქვამია:

„მოვიდნეს... ჩვენსა ტახტსა ჩვენნი ერთგულნი... კოტრიძენი მას ჟამსა, ოდეს“ მათი ძმის მოკვლის გამო „შეიქმნა საქმობა და დაპირდეს სადარბაზოდ სამართალსა“. აქამდის სიგელი მეფის სახელითა და პირით არის დაწერილი. შემდეგ — კი მის შემდგენელს ეს გარემოება სრულებით ავიწყდება და შემთხზველი საბუთის შინაარსის წერას უკვე მომთხრობელის კილოთი განაგრძობს და ზემონათქვამსაც იმეორებს: „მოვიდნეს ქუთათისსა ჰარულისაძენი და ბაქრისძენი და კოტრიძენიც მეფეთ-მეფისა ვახტანგ გორგასლისა წინაშე და მისითა ბრძანებითა დასხნეს მართალნი მოურავნი ქართლისა ერისთავი ქუენიფნეველი, სულაი ქავთარაძე, ტბელი ლომინაძე მესტუირე, დავით წერეთელი, როსტევან ჯაფარიძე, სამადულე იასშვილი, სამღუდელო დიდისა საყდრისა მოძღუარი ზოსიმე, მოლარეთ-უხუცესი — გარაყანიძე გიორგი, წირქუალიძე დავით უჯარმელი, მეაბჯრეთ-უხუცესი სარგის ქუაბულიძე, ვარდან დიკუატიძე. ისარჯულეს (sic) და ქმნეს მოკითხული კოტრიძის საქმისა და მოიღეს სიგელი კოტრისძეთა მეფეთა მეფისა ვახტანგ გორგასლისაგან გაჩენილი“-ო (1432 წ. კოტრიძეთა სასისხ. სიგ.). არც ერთ ქართველ მწიგნობარს ასეთი ყოვლად უბადრუკი ენითა და აბდაუბდა მოთხრობით დაწერა არ შეეძლო და სხვა ნამდვილ საბუთებში ამის მსგავსი სიგონჯე არც გვხვდება ისე, რომ კოტრიძეთა სიგლის თხროშის თვისებებზე მეტი ლაპარაკიც კი არ ღირს.

ავშანდაძეთა სასისხლო სიგლის თხრობა ნამდვილ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე სიგლის ნაწილს. ბაგრატ მეფის სახელით იქ ნათქვამია: „მოსდეგი ჩვენსა კარსა ზედან თქვენ ჩვენი ერთგული და ერთგულად მოსამსახურე ჩვენი მკვიდრი: ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარი კაცი დიდათ ნამსახური მეფისა, როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავანი დაღმა გარდავარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს. მაშინღა სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველას უკანის ბოლოსა (sic), მან ასრე თქვა: «თუ ირმის რძეშიგან დავაწვენთო, (სხვა) არა ეშველებაო». ქნეს მოკითხული, შეღონდეს, წარმოდგა კაცი, რქვა: «ავშანდაძესა უთქსო თორმეტი ფური ირემი მეწველიო, სხვა ქვეყანასა ზედან არ იშოვებაო». და მოიღო ავშანდაძემან. იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი. (ამისთვის) შეგიწყალენით ავშანდაძენი არჯევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, სადა წევის წყალი შეერთვის ყვირილას ფისისანს და ჩხარის“. ამას გარდა ავშანდაძისათვის სატყისმცველო გვიწყალობებია. შემდეგ სასისხლო სიგლის განახლებას გვეაჯა ჩვენ ბაგრატ მეფეთ-მეფესა და დედოფალთ-დედოფალს ელენესაო და „მოკითხული ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლეონ მეფისაგან, აწ ჩვენცა გაგიახლეთ“-ო (ქ˝კბი II, 265. ს˝ქს სძ˝ელნი II, 42—43).

ეს სიგელი განსვენებულმა აკად. მ. ბროსსემ სრულებით საფუძვლიანად ყალბად აღიარა.

მართლაც ამ სიგლის თხრობა ზუნდოვანია იქ, სადაც მის დამწერელს მკაფიო ცნობების მოწოდება სრულებით ადვილად შეეძლო, და მრავალმეტყვე-

ლებას იჩენს იქ, სადაც მკითხველის გონება უნდა გასაოცარი ამბებით გააკვირვოს. თხრობითგან არა ჩანს, დარუბანდი აქ რატომ იხსენიება. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ავშანდაძის გვარის კაცი დარუბანდითგან იყოს გამოსული. მაგრამ გარკვევით ეს ნათქვამი არ არის და დაუჯერებელიც არის, რადგან შემდეგ ირკვევა, ვითომც მას ლეონ მეფისაგან (X ს.) სასისხლო სიგელიც კი ჰქონოდეს მიღებული.

ფრიად დამახასიათებელია აგრეთვე, რომ გელათის აღმაშენებელი, რომელიც გალავნითგანაც კი გადავარდნილა და მძიმედ დაშავებულა, სიგლის თხრობაში უსახელოდ იხსენიება და მხოლოდ „აღმაშენებელად“ იწოდება. მართალია, გელათის აღმაშენებლის სახელი ყველამ იცოდა და იცის, მაგრამ მეფეთა სიგელში წარმოუდგენელია დავით აღმაშენებელი ასე უდიერად მოეხსენებიოს ვისმე და ძმაბიჭურად აღმაშენებლად ეწოდებინოთ. უეჭველია, შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს, რომ გელათის გალავნითგან გადმოვარდნილი მისი აღმაშენებელი უსახელოდ იხსენიება: ეს ამ სიგლის შემთხზველის ოსტატობით აიხსნება, რომ მკითხველს, რომელსაც ისტორიაში დავით აღმაშენებლის შესახებ არაფერი ამის მსგავსი ამოკითხული არ ჰქონდა, მონათხრობის სიმართლის ეჭვი არ აღძრვოდა.

სამაგიეროდ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ დაშავებული „აღმაშენებლის“ მძიმე ავადმყოფობისა და განკურნების ამბავი ვრცლად არის აღწერილი: მის განსაკურნავად 305 ექიმი შეუყრიათ. უკვე ეს ცნობა ცხადად ზღაპრულია და ტყუილი. მათ ვერა უშველიათ რა, მაგრამ 306-ე ხომ მაინც აღმოჩენილა, რომელსაც ირმის რძის აბაზანაში ბანება დაუსახელებია მორჩენის ერთადერთ საშუალებად. მთელი საქართველოს მმართველი წრეები საგონებელს მისცემიან და შეწუხებულან, რადგან ირმის რძე თავიანთ ქვეყანაში არსად ეგულებოდათ. მაგრამ აქაც ერთი უსახელო პირი უიმედობით გულდათუთქულ ვაზირებს კვლავ გამოსავალს ადვილად უჩვენებს, და მათ აცნობებს, რომ საქართველოში ერთი ავშანდაძეა, რომელსაც ერთი ირმის მაგიერ 12 მეწველი ფური ირემიც კი ჰყოლია. ამ თორმეტი ფურის რძეში „აღმაშენებელს“ აბანებენ და ის სწრაფად განიკურნება კიდეც. როგორ მოხდა, რომ ასეთი გასაოცარი ავლადიდების, 12 მეწველი ფურ-ირმის ყოლის ამბავი ასეთი საიდუმლოებით ყოფილა მოცული და ერთი ადამიანის მეტს საქართველოში არავისია სცოდნია, იმასაც ეს „საიდუმლოება“ ისე კარგად შეუნახავს, რომ სანამ მთელ საქართველოს გაჭირვება არ დასდგომია, არავისთვის გაუმჟღავნებია? არა, ეს საქართველოს შესახებ ამბავს არ მიაგავს, საიდუმლოების ასე შენახვა ჩვენში? უეჭველია მთელი ეს თხრობა არამცთუ საქართველოს, არამედ საზოგადოდ ნამდვილ ამბავსაც კი არ მიაგავს. ამ მოთხრობაში 12 ირმის რძეა უკვე და მხოლოდ ჩიტის რძეღა აკლია, რომ ნამდვილ ქართულ ზღაპრად იქცეს. მაგრამ უჩიტისრძოდაც მას ზღაპრისა და ნატყუარობის უცილობელი თვისებები ახლავს.

ზღაპრულ-ნატყუარობის ხასიათი ავშანდაძეთა სიველს განგებულებაშიაც აქვს: სისხლად ავშანდაძეს 200 000 ძველი ცხუმური თეთრისა და 12 გლეხის გარდა გადაკვეთილი ჰქონია „12 თეთრი ჯორი, 12 თეთრი ქორი და 12 თეთრი მიმინო“. სულ თორმეტ-თორმეტი და უეჭველად თეთრი, ალბათ იმიტომ რომ ავშანდაძეს 12 ირემი ჰყოლია და ირმის რძეც, რასაკვირველია, თეთრად იგულისხმება. გასაოცარი არ იქნებოდა, რომ ასეთი სასწაულთმოქმედება დავით აღმაშენებლის თავზე და მის დროს მომხდარიყოს, და არც ერთს, არც ქართველსა და არც უცხოელ ისტორიკოსს, რომელთაც ამ მეფის შესახებ ბევრი სხვა

ცნობები აქვთ. ეს გარემოება ცალი სიტყვითაც არ მოეხსენებიოს? მაგრამ მგონია უფრო ის არის გასაოცარი, რომ ასე უშნოდ მიჩმახური სასისხლო სიგელი ნამდვილად იყო და არის მიჩნეული, რომელსაც სამართლის ისტორიისათვის ვითომც უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდეს*.

§ 5. სასისხლო სიგელების განგებულება

სასისხლო სიგელის განგებულებაში განსაზღვრული არის ხოლმე ის ქონებრივი საზღაური, რომელიც დამნაშავეს დაშავებულისა, ანუ დაზარალებული გვარისათვის უნდა გადაეხადა ამა თუ იმ მიყენებული ზიანისათვის. ასეთ ქონებრივ საზღაურს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიით „სისხლი" ეწოდებოდა. სიგლების ამ ნაწილის დაწვრილებითი განხილვა მკითხველს იქ მყოფ ბევრ შეუსაბამობასა და შეცდომებს გადაუშლიდა, მაგრამ ეს სასისხლო სიგელები იმ ენერგიისა და დროს დაკარგვად არ ღირს, რამდენიც ამგვარ დაწვრილებით განხილვაზე ტყუილუბრალოდ უნდა დაიხარჯოს. მათი განგებულებითგან ორი საკითხის გარჩევაც საკმარისი იქნება სასისხლო სიგელების ამ ნაწილის ნამდვილი ღირებულების გამოსარკვევად.

უპირველესად ყოვლისა უცნაურსა და უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ამ ნაწილში ქალის გაუპატიურებისათვის ნახმარი სიტყვა, რომელიც არამცთუ ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ საუბარშიაც კი უხსენებელ გამონათქვამად ითვლებოდა და ითვლება. ეს უხსენებელი სიტყვა არც ძველი ქართული სამართლის ძეგლში, სადაც კანონი ამნაირ ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობს, ნახმარი არ არის და მორიდებით არც ჩვენ სახელოვან ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია. რა დასაჯერებელია, რომ ასეთი ჩვეულებრივ საუბარსა და მწერლობაში უხმარ-უხსენებელი სიტყვის შეტანა მდივან-მწიგნობარს ეკადრა და გაებედა მეფის სახელით ბოძებულსა და მისი ბრძანებით დაწერილ სიგელში! ცხადია, რომ ეს გარემოება ამ სასისხლო სიგლების ნატყუარობის უეჭველი საბუთია და თანაც მათ შემთხზველთა გონებრივ-ზნეობრივი დონის საუკეთესოდ დამახასიათებელია.

სასისხლო სიგელების განგებულების მეორე საკითხი ქონებრივი საზღაურის, „სისხლის" ფულადი ერთეული და ოდენობაა. ამ მხრივ სასისხლო სიგელები 5 ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთ ჯგუფში ფულად „კირმანეული" იხსენიება, მეორეში — „ბოტინატური", მესამეში — „ცხუმური", მეოთხეში — „ძუელი თეთრი" სადაურობის აღუნიშვნელად და მეხუთეში — „გოგაური" (მომავალში შეიძლება ამისდა მიხედვით საბუთების ყალბმქნელთა კლასიფიკაცია მოხერხდეს).

---

* ს. კაკაბაძე ახლაც გაიძახის, რომ „აბაშიძეთა სიგელი არის უაღრესად საყურადღებო... აქ... ჩვენ გვაქვს დადასტურება სასისხლო სიგელის მიცემისა ლეონ მეფის დროს (საფიქრებელია ლეონ აფხაზთა მეფე 957—967 წწ.), რაც წარმოადგენს უძველესს ჯერჯერობით ცნობილ ფაქტს საქართველოში სასისხლო სიგელის გაცემის შესახებ. ამას გარდა სიგელი შეიცავს საყურადღებო გადმოცემას დავით აღმაშენებელის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახება"-ო და სხვასაც ამის მსგავსს (იხ. საისტ. მოამბე 1924 წ. II წ., 64—65). უცნაურია, რომ ასეთი უნიჭოდ და უვიცოდ შედგენილი საბუთი, უკვე წარსულ საუკუნეში მ. ბროსსეს მიერ ყალბად მიჩნეული, XX ს. პირველ მეოთხედში ისტორიკოსმა „უაღრესად საყურადღებოდ" გამოაცხადოს!

ყველა ამ ჯგუფისათვის საერთო დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ ფული ყოველთვის „ძველი“ იხსენიება და დაწესებულია. აი მაგ., რა არის ნათქვამი ამ განგებულებებში: „ეწერა სიგელსა მიქელაძისა სასისხლო ოთხმოცი ათასი ძველი კირმანეული თეთრი, ექვსი ათასი სანახშირე, ორი ათასი სახო (?), მექვსე სისხლი“... (1326 წ. მიქელაძეთა სასისხ. სიგ.).

„ასოცი ათასი ძველ თეთრი კირმანაული დაევრებოდეს (sic) და გარდაიხადოს და თორმეტი ათასი სანახშიროდ დაევრებოდეს“ (თულაშძეთა სასისხ. სიგ.).

„ძუელადცა ჰქონდა სიგელი და აწ ახლად დაუმტკიცეთ და გაუჩინეთ სისხლი სრული სამჯერ ასი ათასი კირმანეული თეთრი სანახშიროსა და სადაღოსა აქათ“ (1392 წ. გორგაძეთა სასისხ. სიგ.) „გაგიჩინეთ ასოცი ათასი კილმანური თეთრი სრული სისხლი“ (1433 წ. იაკობიძეთა სასისხ. სიგ.).

„მართლით განაბჭობი სისხლი გაუჩინეთ თოფურიძეთა დიდსა და მცირესა სამას სამოცდა ხუთი ათასი ძველ კირმანეული და გეურვებოდეს სისხლი... თუ... თოფურიძისა გუარისა კაცი მოკლას ექსასი (sic) ასიათასი კირმანეული დაგიურვოს სანახშირო და ცხრა ასი ათასი [თეთრი] და მას გარეთ ათი მეხადილე გლეხი, თეთრი ჯორი,... თეთრი ქორი, თეთრი მეძებარი“ და სხვა (1413—44 წ. თოფურიძეთა სასისხ. სიგ.).

„აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩინეთ ასსამოცი ათასი კილმანაური თეთრი“ (1460 წ. ქურულიანთ სასისხ. სიგ.).

სრული სისხლი ცხრაასი ათასი კირმანეული თეთრი დაგეურვოს“ (1510 წ ბაქრაძეთა სასისხ. სიგ.).

„აწ ჩუენცა გაგიახლეთ, დაგიმკუიმდრეთ, რომე ვისცა... თქვენისა გვარისა კაცი... შეაკუდეს, ესე ორასი ათასი ძველი თეთრი, ბოტინატური თეთრი, სანახშირე დაგეურვოს სანახშიროთ...... რაგვარიცა ძველთაგან წესია, დღეს განჩენია... მოგვიდეგით ჩუენსა კარსა ზედან და გვიაჯენით და გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, თორმეტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო... ძველთაცა ასრე იყო თქვენი სისხლი გაჩენილი და აწ ჩვენცა დაგიმკვიდრეთ... ესე ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი დაგეუროს“ (1452 წ. ავშანდაძეთა სასისხ. სიგ.).

„ორაღელისძეთა-კუიტაშვილთა მღვდელ-მონაზონსა იოვანეს... გაგიჩინეთ სრული სისხლი ოთხასი ათასი ძუელი ცხუმური სანახშირესა, საზაოსა და წინაგასაძღომისა გარეთ“ (1468 წ. ორაღელისძეთა-კუიტაშვილთა სასისხ. სიგ.).

„გაგიჩინეთ ესე სიგელი ჩუენ მეფეთა-მეფემან ბაგრატ თქუენ ყიფიანსა თემნასა... ოთხმოცი ათასი გოგაური თეთრი (1462-1478 წწ. ყიფიანთა სასისხ. სიგ.). ე. თაყაიშვილის აზრით გოგაური „გიორგულის“ მაგიერ უნდა იხმარებოდეს (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 398 შენ.).

„მიუბოძეთ ახლად ძუელი იგივე სისხლი პაპათა ჩუენთასაგან გაჩენილი ასოცი ათასი ძველი თეთრი მისითა დასამსმელო (sic) სანახშიროთა“ (1408 წ. ცირღილასძეთა სასისხ. სიგ.).

„მოიღეს სიგელი კოტრიძეთა მეფეთა-მეფისა ვახტანგ გორგასლისაგან გაჩენილი და ძველადაც სულკურთხეულისა მეფისა დავით კურაპალატისაგან გა-

ჩენილი სისხლი კოტრიძეთა ასოცი ათასი ძველი თეთრი, ორი ათასი სანახში-რე" (1432 წ. კოტრიძეთა სასისხ. სიგ.).

„ასოცი ათასი ძველი თეთრი გარდაიხადოს" (1505 წ. ქეროხიძეთა სასისხ. სიგ.).

„გაუჩინეთ სრული სისხლი ხუთასი ათასი ძუელი თეთრი დაერვებოდეს, სანახშირედ თუთხმეტი ათასი ძუელი თეთრი" (1437 წ. გურალისძეთა სასისხ. სიგ.).

ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ „ცხუმური თეთრი" არც ერთ სხვა საბუთში ამ რამდენიმე სასისხლო სიგელს გარდა არ გვხვდება და ამნაირი ფულის თვით არსებობის საკითხიც კი საეჭვოა. „ბოტინატური" ტერმინიც უნდა „ბოტინატის" დამახინჯებულ მიმბაძველობას წარმოადგენდეს, მაგრამ „ბოტინატი" XIII ს. შემდგომ არ იხსენიება და XV ს-ში მას საითგან გამოსჩხრეკდენ, როდესაც ამ დროს მისი ხსენებაც კი არ იყო. ავშანდაძეთა სასისხლო სიგელის შემთხზველს „ბოტინატური თეთრი", როგორც ეტყობა, „ცხუმური თეთრის" შესატყვისობად მიაჩნდა ან ასაღებდა. რაც შეეხება „კირმანაულ თეთრს", რომელიც ხან „კირმანეულად" და „კილმანაურად"-აც წერია ამ საბუთებში, როგორც თვით ყურულიანთ სასისხლო სიგელის სიტყვებითგანა ჩანს, მისი ოდენობაც XV ს-ში ყველას არ სცოდნია, რაც, რასაკვირველია, იმის მომასწავებელია, რომ ეს ფული ამ დროზე უწინარეს უკვე კარგა ხანია აღარ იხმარებოდა და სხვა ამდროინდელ საბუთებში მართლაც არ გვხვდება*. ამგვარად სასისხლო სიგლებისათვის დამახასიათებელია, რომ იქ საზღაური ყოველთვის არარსებული ფულის ერთეულით არის განსაზღვრული. ამიტომვეა მუდამ დამატებული „ძუელი თეთრი"-ო. მაგრამ რა დასაჯერებელია, რომ განახლებულ ნამდვილ სიგელში რეალური ფულის ერთეულის მაგიერ უკვე აღარ არსებული ერთეული დაესახელებინათ! ამას ყალბმქნელი ჩადიოდა, რომელსაც საბუთში ძველი ფულის ერთეულების შენათხზობის ნიშან-კვალის დაფარვა სურდა.

დასახელებული ფულის ერთეულების დროისათვის შეუფერებლობისა და უხმარებლობის გარდა, სასისხლო სიგელებში განსაზღვრული „სისხლის" ოდენობის სიდიდე იპყრობს უნებლიეთ მკვლევარის ყურადღებას. „სრული სისხლი" 80 000 „ძველ კირმანეულ" თეთრზე ნაკლები არ არის, ამაზე მეტი-კი რამდენიც გნებავთ, მაგ. თულასძეთ, იაკობისძეთ — 120 000 კირმანაული თეთრი აქვთ მიკუთვნილი, ყურულიანთ — 160 000, ავშანდაძიანთ — 200 000 ძველი ბოტინატური, ანუ ცხუმური თეთრი, გორგაძეთ — 300 000 ძველი კირმანეული თეთრი, თოფურიძეთ 365 000, 600 000 და 900 000 ძველი კირმანეული, ამდენივე ბაქრაძეებს, ორალელისძე-კვიტაშვილებს — 400 000 ძველი ცხუმური.

ყველა ეს საგვარეულოები აზნაურთა საგვარეულოები იყვნენ. მართალია, მათ ამ საბუთების მიხედვით მეფეთაგან ერთგვარი უპირატესობა უნდა ჰქონოდათ ვითომც მინიჭებული, მაგრამ, რასაკვირველია, ეს უპირატესობა მათ პირველხარისხოვან აზნაურისათვის მაშინ არსებული სისხლის ოდენობაზე მეტს ვერ მიანიჭებდა. ქართული საკანონმდებლო ძეგლების გადასინჯვა გაგვათვალისწინებიებს „სისხლის" მაშინდელ ჩვეულებრივ ნორმებს და სასისხლო სი-

* კირმანეული რომ ამ დროს მკვდარი ტერმინია, ამის უარყოფა არც ს. კაკაბაძეს შეუძლიან (იხ. საისტ. მოამბე, 1925, I. 8).

გელების ზემომოყვანილი ცნობების სისწორისა და ღირსების გამორკვევის საშუალებას მოგვცემს.

გიორგი ბრწყინვალეს მსახურეული და საპატიო აზნაურისათვის სისხლად 6000 თეთრი აქვს მხოლოდ დაწესებული. ხოლო ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში თვით დიდებულის სისხლიც კი 40 000 თეთრად იყო შეფასებული. საპატიო აზნაურისათვის კი მხოლოდ 20 000 თეთრი არის დანიშნული სისხლად, ვახტანგ VI-ს კი დიდებული თავადის სისხლად 1536 თუმანი, გადიდებული აზნაურისათვისაც მხოლოდ 192 თუმანი ჰქონდა გადაწყვეტილი.

1459 წ. შედგენილ სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნში ნათქვამია: „უკეთუ კაცი მოკლას ვინმე, მკვლელმა ხუთი ქარი მიართოს"-ო (ქ˝ბი II, 275).

მართალია ნამდვილ და უტყუარ სასისხლო სიგლებს ჩვენამდის არ მოუღწევიათ, მაგრამ ქართული საკანონმდებლო ძეგლებითგან ზემო მოყვანილი ცნობები საპატიო აზნაურის სისხლის რაოდენობის შესახებ სრული უეჭველობით ცხადყოფენ, რომ ზემოგანხილული სასისხლო სიგლების რიცხვები სინამდვილეს ძალზედ დაშორებულია და არას ღროს ამოდენი ფული არ შეიძლება, რომ ვისმე მაშინ სისხლად ჰქონოდა მართლაც გაჩენილი. როგორც სასისხლო სიგლებში, ისევე საკანონმდებლო ძეგლებში საზღაური ფულად არის განჩენილი და „თეთრის" ერთეულადაა გადაკვეთილი სად 6000, ან 20 000 თეთრი, ან 192 თუმანი, რომელიც 1920 მინალთუნს, ანუ 9600 აბაზს უდრიდა, და სად 80 000, 200 000, 400 000 და 900 000 ძველი თეთრი!

თუ ამ საყურადღებო გარემოებას იმ დაკვირვებასაც დავუმატებთ და გავითვალისწინებთ, რომ XIV—XVI სს-ში, სწორედ იმ ხანაში, როდესაც ზემოგანხილული სასისხლო სიგელები ვითომცდა შედგენილი უნდა იყვნენ, საქართველოში, როგორც ეს ყველა სხვა უცილობელი საბუთებითგან ჩანს, ლითონის ფულის რაოდენობა შემცირდა და გადასახადები ფულის ნაკლებობის გამო, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, უკვე სულადად შემოდიოდა ფულად შემოსვლის მაგიერ, მაშინ ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ სასისხლო სიგლებში აღნიშნული „სისხლის" ოდენობა ზღაპრულია და ამოდენა ფულის გადახდა მაშინ არავის შეეძლო*.

---

* ჩემ ზემომოყვანილ დებულებათა მოხსენების სახით მოსმენის შემდგომ ს. კაკაბაძემ სასისხლო სიგელების ზღაპრული რიცხვების გასამართლებლად თავის 1924 წ. დაბეჭდილ წერილში „სასისხლო სიგელების შესახებ" შემდეგ „ხერხს" მიმართა. მისი სიტყვით გიორგი ბრწყინვალისა და აღბუღას ცნობები თეთრის ოდენობის შესახებ დანგებად უნდა ვაქციოთ და მაშინ იქაც მივიღებთო 200 000, 100 000, 60 000 დანგ ვერცხლს (იხ. საისტ. მოამბე 1924, II, 88—89). თუ აქ დანგი წონის მნიშვნელობით აქვს მას ნაგულისხმევი, ფულის რაოდენობის ამგვარი აღნიშვნა არც გიორგი ბრწყინვალეს, არც ათაბაგ აღბუღას არსად მოეპოვება: თუ დანგი ფულის ერთეულად არის ნაგულისხმევი, მაშინ ს. კაკაბაძემ თავისსავე სხვაგან დაბეჭდილ სიტყვებს, რომ „მე-13 საუკუნიდან-კი დანგი, როგორც ფულის ნიშანი ჩვენში, უკვე არა ჩანს" (საისტ. მოამბე 1924, II, 279), ვითომც 1218 წ. „შემდგომ დანგი საფასეთ არა ჩანს"-ო (საისტ. მოამბე 1925, I, 3), რა უნდა იყოს? თუმცა არც უკანასკნელი აზრია მართალი, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ გიორგი ბრწყინვალისა და ბექა-აღბუღას წიგნებში თეთრად დაწესებული სისხლის ოდენობის დანგ ვერცხლად ქცევა მართებულია. ეს ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სასისხლო სიგლების 80 000, 120 000, 200 000, 400 000 და 900 000 თეთრს რას უშველის? თუ შედარებაა, მაშინ ხომ სასისხლე სიგლების თეთრიც უნდა „დანგ ვერცხლად" ვაქციოთ და მათ მაინც არაფერი საერთო არ ექმნება და „სისხლის" ოდენობა უფრო ზღაპრულად იქცევა.

§ 8. სასისხლო სიგელების ბრძანებულება

ბრძანებულება სიგლის ისეთი ნაწილი იყო, რომ იმ მოხელეთა და თანამდებობის პირთა ჩამოთვლა, რომელთაც განგებულება უნდა აესრულებინათ, სასისხლო სიგლებსა და სხვა სიგლებში არსებითად ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც ქართული სიგელთდაწერილობის წესები ამ ნაწილშიაც უნდა დაცული ყოფილიყო.

მაგრამ აი როგორი ბრძანებულება აქვთ ამ სახეობის სიგლებს:

„აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენთა შემდომთა (sic) მეფეთა და დიდებულთა დიდთა და მცირეთა დაუჯერობითა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით (გორგაძესო) და მათსსა (sic) და შვილთა და მომავალთა ყოველთავე და ნუ ვინ უშლით"... (შემდეგ ისევ სისხლის საზღაურის რაოდენობაზეა ლაპარაკი, თუმცა ზევით ამაზე უკვე ნათქვამი იყო). მერმე ისევ ნათქვამია: „აწ წმიდანო მეფენო ქრისტეს მოსავნო დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით ნუცა ებსკზნი, ნუცა ქათალიკოზნი და ნუცა მღვდელთა-მოძღვარნი და ნუც ციხისთავნი და ნუც აზნაურნი და ნუცა დიდებულნი, ნუც უქვედენდესნი, ნუცა უზედაესნი და დედოფალთა აზნაურითა აზნაურთა, ოთხმიზურთა და ყოველთა ჩუენისა კარისაგან გამოსრულნი" (1392 წ. გორგაძეთა სასისხ. სიგ.).

„აწ ვინცა ჰნახოთ ბ˜ზა და სიგელი ესე ჩუენგან ბოძებული კარისა ჩუენისა ვაზირთა, ერისთავთ-ერისთავთა, მანდატურთ-უხუცესთა, დადიანთა, ათაბაგ-ამისპასალართა (sic), სუანთა ერისთავთა, გურიელთა, ქართლის ერისთავთა, დიდებულაზნაურთა, ქალაქთა ჩუენთა ამირთა-ამირათა, მეპურპლეთა და მეპურპლეთ-უხუცესთა, ციხისთავთა და ყოველთავე ჩუენთა ჴელისმქონებელთა დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ"-ო (1408 წ. ცირღილასძეთა სასისხ. სიგ.).

„ესე ჩვენგან ბოძებული ბრძანება თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ ქართლისა კათალიკოზო, აფხაზეთისა ქათალიკოზო, ქუთაის ქუთათელო, გელათს გელათელო, სამცხეს აწყვერელო, ოდიშ მოქვის მოქველო, ბედიას ბედიელო, ცაიშელო, დრანდელო, სვანეთს ცაგერელო, სხვანო სრჯულ-მდებნო და სჯულის განმამაგრებელნო ებისკოპოზნო, მოძღვარნო, მღრდელო და დიაკონო თქვენცა ასრე დაუმტიცეთ. სხვანო დიდისა და ღ˜თიულ დამყარებულისა ტახტისა და გვირგვინისა მეფობისა განმამაგრებელო ერისთაუთ-ერისთაო, მანდატურთ-უხუცესო დადიანო დამისპასალარო (sic), ათაბაგო და სუანთა ერისთაო, გურიელო თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო სახლისა ჩუენისა დარბაისელნო ამირეჯიბო, ერისთავთ-ერისთაო, ამილბარო, ამირამო, ამილახორო, ციხისთაო, სახახლის უხუცესო... თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო მოლარეო... მოლარეთ-უხუცესო, მესთუმრეო, ბოქაულო... ბოქაულთ-უხუცესო, მეაბჯრეთ-უხუცესო და მეაბჯრეო... მესტვირეო, მენალარეო, მზარეულო, მუქიფნო(?) თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, ბაზიარო, მეღვინეო"... და სხვა (თულასძეთა 1360—95 წ. სასისხ. სიგ.).

კოტრიძეთა სასისხლო სიგლის შემდგენელს ისევ ავიწყდება, რომ სიგლის შუა ნაწილს მოთხრობითი კილოთი წერდა, და ის კვლავ, როგორც სიგლის დასაწყისშიც აქვს, მეფის პირით იწყებს წერას: „ვინც ნახოთ სიგელი და ბრძანება ესე ჩვენი შემდგომად მეფობისა ჩვენისა მეფეთა, დედოფალთა, ერისთავთა, ვეზირთა, დიდებულთა, აზნაურთა, მოლარეთა, მესტუმრეთა, მეაბჯრეთა, მეჯინიბეთა, ახსალართა, მეღვინეთა, მერამეთა (sic), მენალარეთა, ტყის

მცუელთა, პურის და საკლავის მკრეფელთა, ქუეყნის მოურავთა და ყოველთა აბრამადთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა კარისა ჩვენისა მსახურთა დიდთა და მცირეთა ყოველთა დაუმტკიცეთ და თქუენ ქრისტეს მიერ სჯულისა მდებელნო ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა"-ო (1432 წ. კოტრიძეთა სასისხ. სიგ.).

„და აწი ქრისტეს მიერ კურთხევითა აფხაზეთისა, ქართლისა კათალიკოზნო თქუენცა აგრე დაუმტკიცეთ ჯვრითა და კურთხევითა. მამა ჰყონდიდელო თქვენცა ასრე დაუმტკიცენით ჯვრითა და კურთხევითა, დრანდელ-მოქველო თქვენცა დაუმტკიცენით თქვენითა ჯვრითა და კურთხევითა. თქვენ ცაიშელ-ხოფელო თქვენცა დაუმტკიცენით თქვენითა ჯვრითა და კურთხევითა. აწ რაცა ამა ზემო სწერია რამე: აწი ამისნი მოწამენი არიან თავად ღმერთი და კაცთაგან ამირეჯიბი აფიქიძე ციხისთავი და ერისთავი და ციხექალაქთა მოლაბრჯრე (sic) მირართუხუცესი და პურისა ხარჯისა მკრეფელი (1437 წ. გურალიძეთა სასისხ. სიგ.).

„აფხაზეთის კათალიკოზნო, ქუთაისის ქუთათელო და წინამძღვარნო, მოძღვარნო, ოდიშის ჰყონდიდელო, ბედიელო, მოქველო, ცაგერელო, ქართლის კათალიკოზო, სამცხის მაწყვერელო, დიაკონო თქუენცა დაუმტკიცეთ. ჩვენო თავადნო, დადიანო და გურიელო, სამცხის ათაბაგო, კარისა ჩვენისა ვაზირნო, მსახურთ-უხუცესო, ამირეჯიბო, ერისთავთა-ერისთავო, ამილახორო, ამირთ-ამირაო, მდივანო და სახლთ-უხუცესო თქვენც დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა მოხელენო, მეჯინიბეთ-უხუცესო, მოლარეთ-უხუცესო, ბოქაულთ-უხუცესნო, მეღვინეთ-უხუცესო, გამგეთა-უხუცესო, ბაზიერთ-უხუცესო თქვენცა დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა მოხელენო: მოლარე-მერიქიფენო, მეჯინიბენო, მეღვინენო და მზარეულნო, ბაზიერნო, შემწერვეო, შემსჭოვარე(?) და მეჩანგეო, მენალარე და მედაბდაბეო. სხვანო ხარკისა და ღალისა მკრეფელნო, ძროხისა და საკლავისა მკრეფელნო, პურისა და ღვინის მკრეფელნო, გოჯისა და ქათმის მკრეფელნო თქვენცა დაუმტკიცეთ, მცველნო და მამასახლისნო, კელისუფალნო, დიდნო და მცირენო თქვენცა დაუმტკიცეთ" (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 22—23).

„კარისა ჩუენისა მოურავნო, მოხელენო, ციხისთავნო, ეპისკოპოზნო, ქუთათელნო, მოძღვართ-მოძღუარო, წინამძღვარნო, გელათელნო, ძმათაგანო, მღრდელნო. ხუცესნო, მთავარდიაკონნო ესე ჩვენი ბრძანება სიგელი სასისხლო თქუენც ასრე გაუთავეთ" (1505 წ. ქეროხიძეთა სასისხ. სიგ.).

მეოთხე თავის § IV-ში მოყვანილი XI—XV სს. ბრძანებულების მაგალითებითგან და ბოლოში დართული დასკვნითგან უკვე ვიცით, რომ ბრძანებულებაში თანამდებობის პირნი ყოველთვის უწყებათა მიხედვითა და უფროს-უმცროსობით არიან ხოლმე დასახელებულნი ისე, რომ ჯერ უფროსია მოხსენებული, მერმე მისი უმცროსი ხელქვეშეთი (იხ. იქვე გვ. 465—466).

თუმცა იმერეთის მეფეთა სიგლების ბრძანებულება-ბრალთგადამხდელობის ნაწილების ტექსტი მთლად ძველ წესს ვერ იცავს, მაგრამ საერთო ხასიათი მაინც იმნაირივე დარჩა. აი მაგ., ბაგრატ მეფის 1545 წ. გელათის სიგელში როგორ არის ეს ნაწილი გამოთქმული: „აწ ესე ჩვენგან ბრძანებული სიგელი და იადგარი მტკიცე და უეჭველი და შეუცვალებელი ყოვლისა ადამის ტომისა კაცისაგან და შემდგომთა ჩვენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა და თქვენ წმიდანო მეუფენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო და ყოველნო მღდელთ-მთავარნო დაჯერებით (sic) დაუმტკიცეთ და წმიდანო სამღრთონო

მამანო და სრულობით კრებულნო და ერთბაშად ლავრანო, — და ყოველნო კარისა ჩვენისა ვაზირნო, ერისთავთ-ერისთავნო, ათაბაგ-ამირსპასალარო, დადიან-გურიელო, სვანთ-ერისთაო, მანდატურთ-უხუცესო და ყოველნო ერისთავნო, ქუთაისის ციხისთავთ-ციხისთავნო, და ლიხთამერისა და ლიხთიმერისა ციხისთავნო, მოლარეთ-უხუცესნო და მოლარენო, — მეაბჯრეთ-უხუცესო და მეაბჯრენო, — მეჯინიბეთ-უხუცესო და მეჯინიბენო, — მესტუმრეთ-უხუცესო, მესტუმრენო და მზარეულნო, — ბაზიერთ-უხუცესო და ბაზიერნო, — ფარეშთ-უხუცესო და ფარეშნო, — ახოსალართ-უხუცესო და ახოსალარნო, — მეღვინეთ-უხუცესო და მეღვინენო, — მუქიფთ-უხუცესო და მუქიფნო, — ყოველნო კარისა ჩვენისა წარვლენილნო: მალისა, ხარაჯისა და ზროხა-საკლავისა მკრეფელნო, — და ყოველნო კარისა ჩვენისა მოსაქმენო და ხელისა მქონებელნო არავისთვის გვიბრძანებია ამა ჩვენგან ბრძანებული სიგლის შლად და ქცევად თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა კოდე“ (ს˝ქს სძ˝ველნი I, 23—24).

ამ ამონაწერითგანა ჩანს, რომ სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელთმცოდნეობის ის წესი, რომლის ძალითაც ბრძანებულებაში მოხელენი უფროს-უმცროსობის რიგზე და უწყებათა მიხედვით უნდა ყოფილიყვენ დასახელებულნი, იმერეთის მეფეთა ნამდვილისა და დედნით შენახულ სიგლებშიც დაცული ყოფილა.

სასისხლო სიგელების ბრძანებულებებში კი, თვით ენის მრავალნაირ შეცდომებს და შეუფერებელ ან არაჩვეულებრივ გამონათქვამებს რომ თავი დავანებოთ, თანამდებობის პირნი სრულებით უწესრიგოდ არიან მოხსენებულნი და უფრო ხშირად უმცროსი უფროსზე უწინარეს არის დასახელებული. ამასთანავე ბევრგან სრულებით უაზროდ ისეთი მოხელენიც დასახელებულნი არიან, რომელთაც სასისხლო სიგლებთან ხელი არ ჰქონდათ და შეუძლებელია მისი ასრულებისა თუ დარღვევის საშუალება ჰქონოდათ. რა საქმე ჰქონდათ მაგ., მზარეულებს, მეჩანგეებს, მედაბდაბეებს ან პურისა და საკლავის მკრეფელთ სასისხლო სიგელთან, რომ მეფეს მათთვის ეთხოვა ან ებრძანებინა თქვენც ეს სიგელი დაამტკიცეთო?

ცხადია ამ საბუთების შემთხზველთ კარგად არც კი ესმოდათ რას სჩადიოდენ და სასისხლო სიგელების ბრძანებულებას ისე სწერდენ, თითქოს გადასახადების შეუვალობის წიგნი ჰქონოდეთ შესადგენი. ამნაირი უხამსი ბრძანებულების დაწერა არც ერთ ქართველ ნამდვილ მდივან-მწიგნობარს არ შეეძლო, არამედ ყალბმქნელის მოჩმახულია.

§ 7. სასისხლო სიგელების სათვალავი და ხელრთულობა

სასისხლო სიგლების წინა ნაწილების თვისება-ღირსების გამორკვევის შემდგომ სათვალავსა და ხელრთულობას უკვე მნიშვნელობა ეკარგება მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ამ საბუთთაგანის მბოძებელი „უცნობ მეფე“-დ, ჯერ „უცნობი“ სამთავრო-სამეფოს „დინასტიის“ წარმომადგენელად არის ამ საბუთების გამომცემელთაგან გამოცხადებული. „უცნობი“ მეფის გამეფების ინდიქტიონები კი, რასაკვირველია, გამოურკვეველი იქნება და შესადარებლად ამის გამო მკვიდრი საფუძველი არა გვაქვს. მაგრამ სასისხლო სიგლების ამ ნაწილების ენა და გამოთქმულობა მაინც მათი თვისების დამახასიათებელია და აქ ორიოდე მაგალითი იქნება მოყვანილი:

„აწი დაიწერა სიგელი ესე მეფეთ-მეფისა ვახთაგსობისასა (sic) ქორონიკონსა ასოცდახუთსა მე მწიგნობარსა გიორგი მოლაზონისძესა [დამიწერია]“ (1437 წ. გურალიძეთა სასისხ. სიგ.).

„დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჟამსა ალექსანდრე მეფობისასა ქორანიკონსა ცხრაას სამოცდა რვასა (sic)* თვესა მაისსა ჩვიდმეტსა (sic) ჴელითა მდივნისა იოვაკიმისათა ამინ“ (1413—44 წ. თოფურიძეთა სასისხ. სიგ.).

„დაიწერა ქორონიკონსა ათოთხმეტსა, დამიწერია ქათალიკოზსა მოწამეცა ვარ ამ გაჩენილისა“ (1326 წ. მიქელაძეთა სასისხ. სიგ.), მწიგნობარი კათალიკოსი თავის სახელს არ ამხელს![53].

„დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინვნდიკონსა (sic) მეფობისა შიგან (sic) ქრონსა (sic) ოთხმოცსა თვესა ივნისსა ცამეტსა ჴელითა მწიბრისათა (sic) ჩუენისა გრიგოლისათა. ამინ უფალო. მეფე სრულიად... (შემდეგი სიტყვა წაშლილია, ძლივსღა ეტყობა:) ალექსანდრე“ (1392 წ. გორგაძეთა სასისხ. სიგ.).

მეფეთ მეფის გიორგის სახელით აღწერილი 1460 წ. ქურულიანთ სასისხლო სიგელი დანარჩენ ამგვარ საბუთთა შორის ყველაზე უფრო უკეთესად არის შედგენილი და სხვებზე უფრო განსწავლილი პირისაგან უნდა იყოს შეთხზული. თუმცა ამ საბუთის სიგლის თავში ისეთი ტლანქი უვიცობის მომასწავებელი შეცდომები მეფის წოდებულებაში არ გვხვდება, რანაირითაც დანარჩენი სისხლის სიგელებია ხოლმე სავსე, მაგრამ როგორც გიორგი მეფის ნამდვილ სიგლებთან შედარება ცხადყოფს, ქურულიანთ სასისხლო სიგელში მოყვანილი მეფის წოდებულება გიორგი მეფის საბუთებისას არ უდგება.

საყურადღებოა მეტადრე ქურულიანთ სასისხლო სიგელის სათვალავი და ხელრთულობა. იგი დამტკიცებულია ბაგრატ მეფის მიერ მის „ინდიკტიონსა მეფობისა... ზ (7) ქ˝კსა : რო“: (170), ე. ი. 1482 წ. (ქ˝კბი II, 280). ამ სიგელის პირველს გამომცემელს ე. თაყაიშვილს ამავე დამტკიცების თარიღად ქ˝კნი „რჲ“ (160), ანუ 1472 წ. აქვს ნაჩვენები (ს˝ქს სძ˝ველნი I, 7), მაგრამ თ. ჟორდანია, რომელსაც თვით ამ საბუთის დედანი ჰქონია ხელთა, გადაჭრით ამტკიცებს, რომ აქ ე. თაყაიშვილის გამოცემაში „ათწლოვანი შეცდომა შეპარულა ქორონიკონში“, რადგან თვით დედანში „ბაგრატ მეფისაგან ამ სიგლის დამტკიცება აღნუსხულია ქ˝კნით : რო: (1482 წ.) და არა : რჲ“. ამასთანავე თ. ჟორდანია ამბობს: „მართალია, ჩვენის მატიანით ბაგრატი ამ დროს ცოცხალი არ იყო († 1478 წ.), მაგრამ ეს გარემოება უფლებას არ გვაძლევს სიგლის ქ˝კნი ვცვალოთ“-ო (ქ˝კბი II, 278). უკანასკნელი შენიშვნა, რასაკვირველია, სამართლიანია, მაგრამ თ. ჟორდანიაც მეტად ენდობოდა ამ სასისხლო სიგელს, როდესაც თავის მსჯელობის საბუთადა ხდიდა. ერთგან ის ამბობს, რომ „რადგან 1495 წელს ყოფილა მე-12 წელი ალექსანდრეს მეფობისა, ამის გამო ბაგრატის სიკვდილი და ალექსანდრეს გამეფება, წინააღმდეგ არსებულთა ცნობათა, უნდა ყოფილიყო 1483 ანუ 1484 წ., რაიცა ეთანხმება ქურულის გუჯარს, სადაც ბაგრატ II ცოცხლად ჩანს 1482 წ.“-ო (ქ˝კბი II, 303). ამგვარად ქურულიანთ სასისხლო სიგელისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიუნიჭებია განსვენებულს თ. ჟორდანიას ბაგრატ მეფის სიკვდილის თარიღის განსაზღვრისათვის. აქაც იგივე მეთოდოლოგიური შეცდომაა შეპარული, რომელიც ჩვენს თანამედროვე საისტორიო გამოკვლევებში წყაროების წინასწარი კრიტიკული განუხილევ-

* ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს: „თარიღში აშკარა შეცდომაა, მაგრამ სიგელი ალექსანდრე მეფეს ეკუთვნის, მცხეთის მაშენებელს“-ო.

ლობისაგან არის ხოლმე წარმოშობილი. ჯერ უნდა გამოირკვეს, რამდენად სანდო და უტყუარი საბუთია ეს სიგელი, და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მისი ცნობებით სხვა არსებული ცნობების დარღვევა და უარყოფა. ქართული სამართლის ისტორიაში აღნიშნული მქონდა, რომ ყველა აქამდე გამოქვეყნებული სასისხლო სიგელები საეჭვო ღირსებისანი არიან და ყალბად უნდა ჩაითვალოს (1919 წ., გვ. 104). ჟურულიანთ სიგელი დანარჩენებს სჯობია, მაგრამ იქაც არა ერთი და ორი საეჭვო თვისების ცნობა მოიპოვება. მაგ., თუნდაც, რომ 1482 წ. ბაგრატ მეფე მართლაც ცოცხლად ვიგულოთ და ვირწმუნოთ, ვითომც ბაგრატმა ეს საბუთი თითონ დაამტკიცა, ამ დამტკიცებაში მოყვანილი მეორე ცნობა ხომ მაინც სრულებით დაუჯერებელია. იქ სახელდობრ, ნათქვამია: დამტკიცება „ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა :ზ: (7), ქ̃კნსა :რო:“. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ 1482 წელს ბაგრატის მეფობის მხოლოდ 7 წელიწადი ყოფილა, ესე იგი, ამისდა მიხედვით ბაგრატი 1475 წელს უნდა გამეფებულიყო მხოლოდ. ეს კი ყველა წყაროებისა და მათ შორის თვით ბაგრატ მეფის ყველა არსებულ სიგელების ცნობებს ეწინააღმდეგება, რომელთა მიხედვითაც ბაგრატი 1465 წელს უნდა გამეფებულიყო (იხ. ქართველი ერის ისტ. IV. გვ. 100—101). ამას გარდა ამბროზიო კონტარინის აღნიშნული აქვს უკვე 1473—1474 წ., როდესაც მან საქართველოზე გამოიარა და ბაგრატი პირადად ნახა, რომ ბაგრატი მეფედ იჯდა, ე. ი. ორი წლით 1475 წ. უწინარეს, როდესაც ის ჟურულიანთ სასისხლო სიგელისდა თანახმად ვითომც პირველად უნდა გამეფებულიყოს. ამგვარად სრულის სიცხადით ირკვევა, რომ ჟურულიანთ სასისხლო სიგელში ბაგრატის მეფობის ინდიკტიონიც ათწლიანი შეცდომით არის აღნიშნული.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ბაგრატის მეფობის ინდიკტიონები სწორედ არა სცოდნოდეს თვით ბაგრატს, ან მის მწიგნობარს, რომელიც საბუთსა წერდა. მერმინდელი ყალბმქმნელისათვის კი ასეთი შეცდომის ჩადენა უფრო ადვილი მოსალოდნელია.

ერთი გარემოება იწვევს კიდევ ეჭვს: მთელი ამ 1460 წ. შედგენილი სასისხლო სიგელის აღრიცხვა კირმანაულზე არის დამყარებული. ცხადია ისეა ნაგულისხმევი, რომ ამ საფასის ფულის მნიშვნელობა ყველას უნდა სცოდნოდა. ბაგრატ მეფის 1482 წ. დამტკიცებაში კი მოულოდნელად ნათქვამია: „ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანაული თანგისა ზომა არის“-ო (ს̃ქს სძ̃ველნი I, 7 და ქ̃კბი II, 280). ამგვარად, რადგან ჟურულიანთ სასისხლო სიგელი ცხადს შეცდომებსა და შეუსაბამობას შეიცავს, შეუძლებელია ისიც სანდო საბუთად ჩაითვალოს.

ამაზე უფრო ახირებულია მეფე გიორგის ხელრთულობა, რომელიც ასეა დაწერილი: „დიდ მეფეს გიორგის ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია“-ო (1460 წ. ჟურულიანთ სასისხ. სიგ.). ისე გამოდის, თითქოს გიორგი მეფე თავის თავს დიდს ეძახოდეს. ასეთი რამე შეუწყნარებელი თავმომწონეობა და უზრდელობა იქმნებოდა და არც ერთი გონიერი ადამიანი ამას არ იკადრებდა[54]. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გიორგი მეფის სიგელს არა ერთს მოუღწევია ჩვენამდე და არც ერთ საბუთში მას ამგვარი ხელრთულობა არ მოეპოვება, არამედ ის ნამდვილად ასე აწერდა ხოლმე: „ქ. მეფე გიორგი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამინ“ (ისტ. საბ. III, 29), „მეფესა გიორგის დამიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა“ (იქვე III, 32), „მეფეთ-მეფე გიორგი დავამტკიცებ ნებითა ღმრთისათა“

(იქვე III, 36). ცხადია, გიორგისთვის დიდი მეფის სახელი მერმინდელ ყალბ-მქნელს უნებლიეთ წამოსცდენია, ისე როგორც საუბარში ამას ალბათ ხმარობდენ.

§ 8. დასკვნა

სასისხლო სიგლების ნაწილების დაწვრილებითი განხილვა როგორც ენისა და გამოთქმულობის მხრით, ისევე ქართული სიგელთმცოდნეობის წესების თვალთსაზრისით მათი შედარებითი შესწავლა ამ საბუთების ნატყუარობას ცხადყოფს. ამ სიგლების განხილვა პალეოგრაფიულად და მასალის მხრითაც შეიძლებოდა, ნაწერის დეტალური ანალიზიც ბევრს საგულისხმო დაკვირვებას შეგვძენდა მათი ნატყუარობის დასამტკიცებლად, მაგრამ სასისხლო სიგელები ისე უხეიროდ და უვიცად არიან შეთხზულ-მოჩმახული, რომ მათი ამგვარი გულდასმითი განხილვით დროს დაკარგვა არ ღირს. სხვაგან ასეთი საბუთების ნატყუარობა ყველა მკვლევარისათვის იმდენად უდავო გარემოება იქნებოდა, რომ ამაზე კამათი არ დასჭირდებოდათ.

ჩვენი თანამედროვე საისტორიო მწერლობის მეთოდოლოგიურად სათანადოდ განუსწავლელობის ბრალია, რომ ასე ტლანქად დაყალბებული საბუთების ნამდვილ საბუთებად მიჩნევა-გასაღება შესაძლებელია. მომავალი, დარწმუნებული ვარ, გამოარკვევს, რომ ბევრი ამ საბუთთაგანი ძველად დაყალბებული არც კია, არამედ შედარებით ახალი „შეთხზული" უნდა იყვნენ წოდებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად[56].

რადგან XV ს. სიგლისა და ვახტანგ მეფის ცნობითგან გამოირკვა, რომ ნატყუარი საბუთები სამოქალაქო სამართლის სფეროშიაც არა ერთი ყოფილა შეპარებული, ჯერი ახლა ამ სხვა დარგის სიგელებზე უნდა მიდგეს და სანამ მკვლევარი საბუთით ისარგებლებდეს, მანამ მათი ღირსება უნდა ჰქონდეს გამორკვეული სიგელთმცოდნეობის თვალსაზრისით.

შენიშვნები

1 (გვ. 387).

ივ. ჯავახიშვილის მიერ 60-ზე მეტი წლის წინათ დასახულ ამ ამოცანას, მკვლევართა არაერთი თაობის ინტენსიური მუშაობის შედეგად, მხოლოდ ბოლო ხანებში ჩაეყარა საფუძველი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში და საქართველოს სხვა სიძველეთსაცავებში, სადაც ძველი ქართული ისტორიული საბუთებია თავმოყრილი, გაიშალა მუშაობა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოსაცემად. 1984 წელს გამოქვეყნდა ამ მრავალტომიანი გამოცემის I ტომი, რომელიც მოიცავს რ ბ ი ლ ს ა წ ე რ მ ა ს ა ლ ა ზ ე (ე ტ რ ა ტ ი, ქ ა ღ ა ლ დ ი) შესრულებულ IX—XIII სს. ქართულ საბუთებს (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I. ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა მ, ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1984). გამოსაცემად გადაცემულია „კორპუსის“ II ტომი, რომელიც მოიცავს XVI—XV სს. ისტორიულ საბუთებს. მზად არის გამოსაცემად ან მზადდება საამისოდ ამ სერიის სხვა ტომებიც.

2 (გვ. 399).

შდრ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 37.

3 (გვ. 400).

შდრ. ქ˝ცა, IV, გვ. 23.

4 (გვ. 400).

ივ. ჯავახიშვილის ეს შენიშვნები მიეკუთვნება ქართული ისტორიული საბუთების შემდეგ გამოცემას: Акты, собранные Кавказскою археографическою коммиссиею. Архив главного управления наместника Кавказского, т. I—VI, Тиф., 1866—1874.

5 (გვ. 401).

Д. З. Б а к р а д з е, Грузинская палеография, Труды V-го архсологического съезда в Тифлисе 1881. М., 1887, Приложения, с. 207—214, таб. XIX—XXVIII.

6 (გვ. 403).

იხ. აქვე, თავი VI, § 3. ეკლესიების კედლებზე ამოკვეთილი სომხური საბუთების შესახებ, რომლებიც სტ. ორბელიანს გამოუყენებია ან ჩაურთავს თავის საისტორიო ნაწარმოებში. იხ. *Ս տ ե փ ա ն ո ս Օ ր բ ե լ ե ա ն, Պատմութիւն նահանգին Սիսական, Թիֆլիս*, 1910, გვ. 204—206, 229, 270, 292, 307, 327.

7 (გვ. 404).

ერთ-ერთი ასეთი კრებულის 1219 წლის ხელნაწერში საქართველოს შესახებ წარმოდგენილი მასალა გამოაქვეყნა მ. თ ო დ უ ა მ, იხ., მ ი ს ი, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979.

8 (გვ. 413).

როგორც მ. ბერძნიშვილმა გაარკვია, XIII—XV საუკუნეებში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, საბუთის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გამოყენებული ყოფილა აღმოსავლური (სპარსული) წარმოშობის კიდევ ერთი სიტყვა **ჩაქი**. ეს სიტყვა აღნიშნავდა, როგორც კერძო პირის, ისე მეფის მიერ გაცემულ წყალობის წიგნს: მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიკის ერთი ტერმინის მნიშვნელობისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა", III, 1971, გვ. 172—175. ტერმინ „ჩ ა ქ ი ს" არსებობა ადრევე ჰქონდა აღნიშნული ს ა რ. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს („საისტორიო მოამბე", წ. I, 1925, გვ. 237; „საისტორიო კრებული", II, 1928, გვ. 95).

9 (გვ. 413).

ქართული დიპლომატიკური ტერმინოლოგიის მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა. კერძოდ, მან სპეციალურად შეისწავლა ტერმინები: ქელი, დაწერილი, სიგელი და წიგნი (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, იხ. მ ი ს ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 135—149. ნაშრომის ერთი ნაწილი — „დაწერილი", „სიგელი", „წიგნი" უფრო ადრე, 1956 წელს გამოქვეყნდა „ისტორიის ინსტიტუტის შრომების" V ტომში). აღნიშნული ტერმინების შესახებ ნ. ბერძენიშვილის დასკვნები ასეთია: „ქ ე ლ ი დიპლომატიკური ტერმინია და იხმარება სამამულო უფლების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთის ზოგადი მნიშვნელობით" (გვ. 179); „XI—XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დ ა წ ე რ ი ლ ი" ეწოდება, თუ მეფისაგან არ არის გაცემული. „ს ი გ ე ლ ი" მხოლოდ მეფის სახელით შესრულებულ იურიდიულ დოკუმენტს ეწოდება" (გვ. 209); „XII—XIII საუკუნეებში ქართული იურიდიული დოკუმენტის აღმნიშვნელ ტერმინად „წიგნი" არ გვხვდება" (გვ. 218).

ნ. ბერძენიშვილმა განსხვავებები ამ საკითხზე მის შეხედულებებსა და ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს შორის დასკვნის სახით ასე ჩამოაყალიბა: „ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „წიგნი" „სიგელისა" და „დაწერილის" მიმართ გვაროვნული ცნებაა, „სიგელი" და „დაწერილი" „წიგნის" სახეობანია. ამავე დროს, ავტორი გულისხმობს თითქოს, თუ ჩვენ სწორად გვესმის მისი, რომ „დაწერილი" და „სიგელი" თანაბარი ფასის ცნებებია. ჩვენ ამ უკანასკნელ აზრს ვერ გვიზიარებთ და ამის თაობაზე ჩვენი შეხედულება უკვე ზემორე გამოვთქვით, რაც შეეხება პირველ დებულებას, ის სწორი ჩანს, მაგრამ შევსებას საჭიროებს იმ მხრით, რომ „ყველას და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი" ყოველთვის მხოლოდ „წიგნი" არ ყოფილა" (გვ. 247—258).

ქართული ისტორიული საბუთების აღსანიშნავად შექმნილი ტერმინები ქრონოლოგიური მონაკვეთების მიხედვით აღრიცხულია „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომის წინასიტყვაობაში (გვ. 8—9), რომლის ავტორია ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი. ცალკეული ტერმინები (სიგელი, გუჯარი, ბრძანება, ნიშანი, წარკვეთილი, წიგნი, პიტაკი, ქარტა, იარლიყი, ფარმანი, განჩინება, განწესება) განიხილა და მათ შესახებ ზოგიერთი მოსაზრება გამოთქვა

საურ. კაკაბაძემ. (С. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии АН СССР, М., 1967, с. 14—19).

1936 წ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით წალკის რაიონში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ს. გუნია-ყალის სტელის აღმოჩენამ ხელის გამოსახულებით (მიწისმფლობელობის სიმბოლო), წარწერით და ბაგრატიონთა საგვარეულო ემბლემით, სათავე დაუდო ჩვენში ეპიგრაფიკული დიპლომატიკის განვითარებას (Н. Ф. Шошиашвили, Развитие грузинской эпиграфики и палеографии. Сб. „Проблемы палеографии и кодикологии в СССР", М., 1974. с. 396). მომდევნო ხანებში ორ ათეულზე მეტი სტელა აღმოჩნდა ანალოგიური დანიშნულებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ჩხიკვთას სტელები), რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ეპიგრაფიკული დიპლომატიკის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია.

ეპიგრაფიკული საბუთების თავისთავადობის და განსაკუთრებული მნიშვნელობის მაჩვენებელია ისიც, რომ ამ საბუთებმა შემოგვინახა გადასახადების აღმნიშვნელი ზოგი ისეთი ტერმინი, რომელიც ჯერჯერობით ცნობილ რბილ საწერ მასალაზე შესრულებულ საბუთებში არ დასტურდება; მაგ.: თაღარი, ნამარი, ბაჟ-ტამღა, ტამღა (ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", 2, 1980, გვ. 146).

ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადდა ეპიგრაფიკული საბუთების (VII—XIV სს.) ცალკე კრებული, რომლის გამოცემა სათანადო გამოკვლევით განზრახულია მომავალში. ასევე, ცალკე უნდა გამოიცეს მინაწერი საბუთები, რომლებიც (დაახლ. 500-მდე) ხელნაწერი წიგნების აშიებზე ან ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებზეა მოთავსებული.

„ჴელის", როგორც სპეციალური, ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ტერმინის შესახებ იხ.: ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 76; „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", I, თბ., 1973, გვ. 79—81. ეპიგრაფიკული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინების (ჯვარი, ჴელი, დაწერილი...) შესახებ: ვ. სილოგავა. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე, ისტორიის... სერია", 4, 1972, გვ. 145, 151, 155, 164.

10 (გვ. 416).

სტატიაში ამის შემდეგ ემატება: „ან კიდევ: მე „ქართლისა კათალიკოზმა... ევდემოზ მოგეც ესე წიგნი წყალობისა... დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე"-ო (1634 წ. ისტ. საბ. IV, 20—21)" („მიმომხილველი", I, გვ. 83, მეორე აბზაცი).

11 (გვ. 416).

სტატიაში ეს აბზაცი ასეა გავრცობილი: „საბუთს, რომელშიაც ერთი პირი მეორეს აძლევდა, „**მიცემულობის წიგნი**" ჰრქმევია: „თუ ვის რა ამისისა მიცემულობის წიგნი და ნიშანი ქონდეს, იგი ყოველივე დაწერილითა ამით გაგუიცუდებია"-ო (1442 წ., სიგ., ისტ. საბ. III, 25). ზემომოყვანილი ტერმინის გარდა „**გაცემულობისა წიგნი**" ან ნიშანიც გვხვდება, მაგ., „ვისცა ამა მამულისა გაცემულო-

ბ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი ჰქონდეს, სიგლითა ამით გაგუიცუდებია"-ო (1505 წ., ისტ. საბ. III, 43)" („მიმომხილველი", I, გვ. 83, მესამე აბზაცი).

12 (გვ. 416).

სტატიაში ამის შემდეგ ემატება: „XVII ს-ის დამდეგს მ ა ლ ა ქ ი ა ამბობდა: „როდესაც საშინელისა ძურისაგან... ცაიშის ეკლესია დაიქცა, მაშინ ყოველივე ეკლესიის სამკაული... ხატები თუ ჯვარი, დ ა ვ თ რ ე ბ ი და მრავალი რამ ეკლესიის სამსახურებელი ძირს მოემწყუდა და წარქდა". ამოღების შემდგომ გამორკვეულა, რომ „დ ა ვ თ რ ე ბ ი განრყუნილ იყო" (იხ. ს. კაკ. ს. ცაიშ. გამოს. დავთარი 1913 წ., გვ. 41)" („მიმომხილველი", I, გვ. 83, მესამე აბზაცის დასასრული).

13 (გვ. 416).

სტატიაში ამის შემდეგ ემატება: „ერეკლე მეფის 1774 წ. მორიგე ლაშქრის გარიგებაში მაგ.: წერია: „რაც თავადნი და ან მოხელე ან არ მოხელე, ან აზნაური მოხელე ან არ მოხელე, გლეხნი... რ ა მ დ ე ნ ი ც რ ო მ ი ყ ვ ნ ე ნ ე რ თ ს ა ხ ლ ს ა დ ა ო ჯ ა ხ შ ი თ ვ ი თ ო ს ა თ ვ ი ს მ ო რ ი გ ე ო ბ ა შ ი ჩ ა გ ვ ი გ დ ი ა დ ა დ ა გ ვ ი წ ე რ ი ა დ ა ს ხ ვ ა ს დ ა ვ თ ა რ შ ი გ ა გ ვ ი რ ჩ ე ვ ი ა" (ს˝ქს სძ˝ვლნი I, 188) („მიმომხილველი", I, გვ. 84, მეორე აბზაცი).

14 (გვ. 416).

სტატიაში ეს აბზაცი ასეა გავრცობილი: „დ ა ვ თ ა რ ი" ამას გარდა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი ს წ ი გ ნ ს ა ც ე რ ქ ვ ა. „ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე ს „კათალიკოზ-ბაქარიან"-ში ნათქვამი აქვს: „ქართველთა დასჭრეს თავები თუშთა, კახთა და თათრისა, მოართვეს ვახტანგს, შ ე ი ქ მ ნ ა მ დ ი ვ ნ ი ს გ ა ნ წ ე რ ა დ ა ვ თ რ ი ს ა" (ე. თაყ. გამ. 9, § 38). ი ე ს ე ო ს ე შ ვ ი ლ ი ც ამბობს თავის თავგადასავალში: „ეს ორი ქესა თეთრი თავს დაედვა, ისარგებლა და მ ა მ ა ჩ ე მ ს ა ს ს ა მ ო ც დ ა შ ვ ი დ ი თ უ მ ა ნ ი... თ ა ვ ი ს ი გ ა უ ვ ი დ ა, რ ო მ თ ა ვ ი ს ი დ ა წ ე რ ი ლ ი დ ა ვ თ ა რ ი თ ვ ი თ ე უ ლ ა დ ა ც ხ ა დ ე ბ ს"-ო („მიმომხილველი", I, გვ. 84, ბოლო აბზაცი).

15 (გვ. 417).

სტატიაში ეს აბზაცი ასეა გავრცობილი: „მე-XIII ს. მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ რ ი თ გ ა ნ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა ტ ე რ მ ი ნ ი **„ბარათი"**-ც. პირველად ეს ტერმინი ბეგა სურამელის შვილის მიქელის ცოლისაგან 1299 წ. ახლო ხანებში შედგენილ შეწირულების წიგნში გვხვდება, სადაც შემდეგია ნათქვამი: „მოვაკსენე... (სოფელი) ნოსტე... შეუვალად სურამელთა და მათთა ჩამომავალთაგან, ვითა არაი ვის საქმე სდებია... გამოვიღე ბ ა რ ა თ ი ყ უ ე ლ ა ი ს ა გ ა ნ: ა რ ა ი ბ ა რ ა თ ი შ ე ვ ი დ ო დ ე ს ს უ რ ა მ ე ლ თ ა ს ა ხ ლ ი ს ა გ ა ნ დ ა ა რ ც მ ა თ თ ა ქ ე ლ ო ს ა ნ თ ა გ ა ნ, არცა თ ე თ რ ი ს ბ ა რ ა თ ი, არცა მ ა თ ი ს ს ა ხ ლ ი ს ა **ულუფის ბარათი**"-ო (ქ˝ძი II, 170). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბ ა რ ა თ ი ი მ პ ა ტ ა რ ა მ ი წ ე რ ი ლ ო ბ ა ს ჰ რ ქ მ ე ვ ი ა, რ ო მ ე ლ შ ი ა ც ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ი მ ო ხ ე ლ ე, თ უ მ ე ბ ა ტ ო ნ ე მ ი ს ი კ უ თ ვ ნ ი ლ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს ჩ ა ბ ა რ ე ბ ა ს ს თ ხ ო ვ დ ა ხ ო ლ მ ე" („მიმომხილველი", I, გვ. 85, მეორე აბზაცი).

16 (გვ. 417).

ერთ-ერთი ასეთი „ჰაჯაი და მოკსენებაი" უნდა იყოს 1263 წლის მოხსენება საქართველოს საეკლესიო კრებისა მეფისადმი (ქისკ, I, № 38). იქ. ჯავა-

ხიშვილის მიერ „დიპლომატიკაზე" მუშაობის დროს არსებობდა ამ საბუთის ი. ჟორდანიაძეული გამოცემა „ქრონიკების" II ტომში; შემდეგში ივ. ჯავახიშვილმა ამ საბუთს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა (იხ. მ ი ს ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, ტფ., 1934, გვ. 41—45; თხზ., ტ. VI, თბ., 1982, გვ. 341—372).

17 (გვ. 419).

სტატიაში ბოლო ორი აბზაცი ასეა წარმოდგენილი: „**სიგელი შეუვალობისაჲ**" ი ს ე თ ს ა ბ უ თ ს ე რ ქ ვ ა, რ ო მ ლ ი თ ა ც შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს ა, ა ნ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა გ ა ნ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ო ხ ო ლ მ ე. დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ანდერძში წერია: „ძუელითგან ვითა ს ი გ ე ლ ი შ ე უ ვ ა ლ ო ბ ი ს ა ჲ აქუს ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ სამი ათასისა ცხუარისაჲ მთას და ბარს, აწ მე მომიჴსენებია ორი ათასი ცხუარი და ხუთი ათასი ცხუარი... უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყინელად დგეს და იარებოდეს"-ო (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღ. საბ. 17, ს. კაკ. 10 და სხვა საბუთებშიაც ბევრგან).

მ ო ნ ღ ო ლ თ ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს დ რ ო ი თ გ ა ნ დ ა შ ე მ დ გ ო მ ა ც ქართული „შეუვალობის" მაგიერ მ ო ნ ღ ო ლ უ რ ი ტ ე რ მ ი ნ ი ს ა გ ა ნ ნაწარმოები „**თარხნობის სიგელი**" შემოვიდა. ტფილისის სიონის 1540 წ. სიგელში მაგ., ნათქვამია, რომ მთავარეპისკოპოსმა დომენტიმ „პირველ გაშვებულობისა და თ ა რ ხ ნ ო ბ ი ს ა ს ი გ ე ლ ნ ი მოგუართნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ"-ო (АКАГК, I, ქ˝კბი II, 384).

ძველი ქართული ტერმინის მაგიერ მონღოლთა გავლენით შეუვალობის წიგნის ნაცვლად იხმარებოდა „**თარხნობის წიგნი**"-ც. მ ე ფ ე ს ვ ი მ ო ნ ი თავის 1582 წ. სიგელში ამბობს: „მოგუადეგით კარსა და თ ა რ ხ ნ ო ბ ი ს ა წ ი გ ნ ი ს ა წყალობასა გუეაჯენით"-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი, II, 46).

თარხნობის წიგნის მაგიერ ტერმინად „**სითარხნის წიგნი**"-ც იხმარებოდა. მაგ., ი ე ს ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს თავის 1614 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მოკითხული ვქენით და მამათა და პაპათაგან ს ი თ ა რ ხ ნ ი ს ა წ ი გ ნ ი და ნიშანი გქონდა და აწე ჩუენც დაგიწერეთ სითარხნის წიგნი და ნიშანი გათარხნეთ და გ ა ნ გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ნ ი თ ყოვლის ფერითა"-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი, II, 28). ან კიდევ რ ო ი ნ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს 1642 წ. საბუთში უწერია: „ესე წყალობისა და ს ი თ ა რ ხ ნ ი ს ა წ ი გ ნ ი და ნიშანი გიბოძეთ ჩუენ ჯავახიშვილმა მდივან-ბეგმან პატრონმან როინ შენ აბანოელს ნასყიდასა"-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი, II, 66. აგრეთვე 1760 სიგ. ისტ. საბ. V, 76)".

18 (გვ. 426).

კერძო ხასიათის წერილების საინტერესო ჯგუფი XVIII ს. ბოლო წლებისა და XIX ს. დასაწყისისა, მიწერილი ერეკლე II-ის დროინდელ ერთ-ერთ გავლენიან მოხელესთან — მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ თ ა ნ, რომელსაც ქართლის სამეფო კარზე მდივნისა და ლაშქარნივისის თანამდებობა ეკავა, გამოაქვეყნა მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ მ ა; იხ. მ ი ს ი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), „ქართული წყაროთმცოდნეობა", I, 1965, გვ. 121—209.

19 (გვ. 430).

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 593.

20 (გვ. 431).

გარდა ამისა, ძველი ქართული საბუთები ზოგჯერ დაუწერიათ ხ ი ს ვ ა თ-

ლილ ჯოხებზე, და განსაკუთრებით ხელნაწერი წიგნების აშიებზე, ან ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებზე. კერძოდ, ხის გათლილ ჯოხებზეა დაწერილი ზემო სვანეთის კალის თემის საბუთების ერთი ჯგუფი, რომელიც XIV—XV სს. და მომდევნო ხანით თარიღდება (ვ. სილოგავა, ისტორიული საბუთები ლაგურკიდან, „მაცნე, ისტორიის... სერია", 3, 1973, გვ. 167—184, ტაბ. I—X). ხელნაწერთა აშიებზე დაწერილი, ასევე სვანური საბუთები, გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, ტექსტები, თბ., 1941; იხ. „სვანეთის წერილობითი ძეგლები", ტ. I, თბ., 1986), ხოლო სამხრეთ საქართველოს ასეთივე საბუთები ქრ. შარაშიძემ: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.). ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრ. შარაშიძის მიერ. თბ., 1982).

21 (გვ. 434).

ქართულ წერილობით ძეგლებში ძველი საბუთის მოპარვის და ხელნაწერიდან განგებ ამოკვეთის ფაქტიც დასტურდება. კორიდეთის ოთხთავიდან (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Gr-28) ამოუკვეთია 73v მოთავსებული ერთი ადრინდელი საბუთი (დაწერილი მურვანისა და აბათასი კორიდეთის ღმრთისმშობლისადმი), როგორც ეს XII ს. ბოლოს მურვანის მიერ კორიდელ ხუცესებისადმი გაცემული საბუთიდან ჩანს („ფურცელი ამოკუეთილი იყო და არა ეწერა", „ავიღე თქუენგან სამსახური — ორმოცდაათი ბოტანატი და ფურცლისა ამოკუეთაიც გაგიშუი" — Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, ИИАН, 1911, № 4, с. 228—230; კორიდეთის საბუთები, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989, გვ. 26 (№ 2), 32—33 (№ 9); ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ., ტ. VII, თბ., 1984, გვ. 230—232). დიდი რაოდენობითაა მინაწერი საბუთები ამოკვეთილი სვანეთში დაცული ხელნაწერებიდან, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, შედარებით ახალი დროის ნახელავია (იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გვ. 23—24, შენ. 28).

22 (გვ. 434).

იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-526.

23 (გვ. 435).

იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3945.

24 (გვ. 436).

იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 231.

25 (გვ. 437).

როგორც ჩანს, ამ ადგილის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ივ. ჯავახიშვილის არქივში ცალკე ერთეულად დაცულ ორ ფურცელზე მისივე ხელით დაწერილი ტექსტი: იაკობ ხუცესის „ცნობით შეურყევლად მტკიცდება, რომ უკვე V-ე საუკ.-ში აღმოსავლეთ საქართველოში მაინც ბეჭდები ჰქონიათ და უბეჭდიათ. მაგრამ იქნებ ბეჭდების ხმარება მხოლოდ იმ დროს იყო მიღებული და ეგების ვისმე ეს ჩვეულება სპარსეთის გავლენად ეჩვენოს და იფიქროს, რომ შემდეგში, როდესაც სასანიანთა სამეფო დაემხო, საქართველოში ბეჭდები აღარა ჰქონდეთ და აღარც ებეჭდოთ.

ამ ეჭვის სამართლიანობის გამოსარკვევადაც მოიპოვება საჭირო ცნობები. გიორგი მთაწმინდელს აღნიშნული აქვს, რომ არსენ ნინოწმინდელს, იოანე გრძელისძეს და იოანე ბერს მარტოდმყოფს ქართველთა შორის დიდი პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული და რასაკვირველია „ყოველთა აზნაურთა ჩუენთა დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა მათისა ღირსებისა მიმართ" და ამიტომ მათ ხშირად ძღვენს უგზავნიდნენ ხოლმე. მაგრამ ისინი ამ ძღვენს თავისთვის კი არ იტოვებდნენ, არამედ „მათ ქელად მიიღიან... და ვითა დ ა ბ ე ჭ დ უ ლ ი ი ყ ვ ი ს, ეგრეთვე მამასა (ეფთჳმე მთაწმიდელსა) თანა წარსციან"-ო (ც ̃ ჲ ი ̃ ე და ეფთ ̃ მსი 52,22—24). მაშასადამე, მე-X—XI საუკ-შიც, როდესაც ქართველი აზნაურები რაიმე საქონელს გზავნიდნენ, მაშინაც — კი ბეჭედი უხმარიათ და თვით საქონელი „დაბეჭდული" იყო ხოლმე, როცა მგზავრს წასაღებად გაატანდნენ" (ხი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 338).

26 (გვ. 437).

გიორგი III-ის ბეჭდის შესახებ იხ.: Д. Бакрадзе, Н. Кондаков, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890, с. 41, рис. 33—31; Протоколы Подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе, М., 1879, с. 430; Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с. 621; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა, თბ., 1959, ტაბ. 57-ბ; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, ტაბ. გვ. 416—417 შორის.

27 (გვ. 440).

იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-1635/ბ. ბეჭდების ზედწერილები გამოქვეყნებულია ხელნაწერის აღწერილობაში: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1963, გვ. 98—100.

ქართულ სფრაგისტიკას იკვლევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. ბ ა ქ რ ა ძ ე; იხ. მისი შრომები: ქართული ბეჭდები. 1. სამეფო ბეჭდები, „პალეოგრაფიული ძიებანი", II, 1969, გვ. 3—31, ტაბ. I—XXI; მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის (საკათალიკოსო ბეჭდები), კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", II, თბ., 1972, გვ. 109—119, ტაბ. I—IV; მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. ნაწ. I, თბ., 1978; ნაწ. II, თბ., 1988. გარდა ამისა, ქართული ბეჭდების შესახებ იხ.: ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საქართველოს საბეჭდავები და გლიპტიკური მასალები, თბ., 1965. ამ ნაშრომში ბეჭდები (როგორც ადრინდელი, ისე გვიანფეოდალური ხანისა) შესწავლილია ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით. ცალკე წერილი მიეძღვნა ერეკლე II-ის ბეჭდების შესწავლას: ნ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, „საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი", № 13—14, თბ., 1967.

უძველესი ქართული ბეჭდების შესახებ ა. ბ ა ქ რ ა ძ ი ს დასკვნა ასეთია: „ქართული ბეჭდები ისტორიულ დოკუმენტებში პირველად XV ს-დან ჩნდება.

ყველაზე ძველი წარწერიანი ქართული ბეჭედი, რომელიც დღემდე ამოქითხუ-ლია, არის ბაგრატ მეფისა და საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედი, რო-მელნიც 1740 წ. საბუთში გვხვდება" (ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978, გვ. 32).

28 (გვ. 442).

ბეჭდის ზონრის გასაყრელი ნახვრეტებით ჩვენამდე მოაღწიეს შემდეგმა საბუთებმა: 1. სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი, 1057/1058 წწ. (ხი, Ad-14; ქისკ, I, № 4); 2. სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი, 1170 წ. (ხი, Hd-1351; ქისკ, I, № 11); 3. სიგელი დავით და ვახტანგ მეფეებისა ვახ-ტანგ თულაისძისადმი, 1287/1288 წწ. (ხი, Hd-1331, ქისკ, I, № 41); 4. სიგელი დავით მეფისა ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი, 1297/1298 წწ. (ხი, Hd—1330; ქისკ, I, № 42).

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ადრეული ხანის არათუ არც ერთი ქართული სიგელი არ არის აღმოჩენილი ზედშეკიდული ბეჭდით, არამედ თვით ასეთი ბეჭდებიც ჯერჯერობით უცნობია. ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1955 წ. ბიჭვინთაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩე-ნილი ტყვიის შესაკიდი ბეჭედი ბერძნული წარწერით „Κωνσταντῖνος Ἀβασγίας" ე. ი. „კონსტანტინე აფხაზი", რომელიც VIII საუკუნით თარიღდება (ვ. ლეკვინაძე, კონსტანტინე აფხაზის შეკიდული ბეჭედი, სმამ, ტ. XXVI, №5, 1955, გვ. 403—406, სურ. 1; Х. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967, с. 7—8, рис. 1, 2). ასევე, 1973 წ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტყვიის შესაკიდი ბეჭედი ნებარნუქის ძის სერ-გისა, რომელიც თარიღდება VII ს. მიწურულით ან VIII ს. დამდეგით (В. А. Леквинадзе, Вислая печать с именем Сергия из Грузии, СА, 4, 1980, с. 275—281, рис. 1). გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოდან ცნობი-ლია ტყვიის კიდევ ორი შესაკიდი ბეჭედი ბიზანტიელი მოხელეებისა: თეოდორე ეპისკოპოსისა (გ. დუნდუა, ვინ იყო თეოდორე ეპისკოპოსი?, „ძეგლის მეგობარი", 33, 1973) და პეტრე ეპარქისა (Л. Г. Хрушкова, Моливдовул из Анакопии, Изв. АИЯЛИ, т. 5, 1976); ორივე თარიღდება VI—VII სს-ით.

შეკიდული ბეჭედი შერჩენილია 1785 წ. ერეკლე მეფის მიერ ამბროსა-შვილებისათვის მიცემული წყალობის საბუთზე. იგი გაკეთებულია ლუქზე და შეკიდულია საბუთზე ზონრის საშუალებით (ხი, Hd—1543. ა. ბაქრაძე, მა-სალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978, გვ. 6, შენ. 5).

29 (გვ. 444).

შდრ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 229: „ნა-ზირი — ბეჭდის შემნახველი. ესენი არიან ორნი. თითო მათგანი იღებს შე-მოსავალს მეოცედს". აქ სარგოდ იგულისხმება გადასახადთაგან შემოსავლის მეოცედი.

29 ა (გვ. 447).

„ეს ტერმინი, რასაკვირველია, მე-XVIII ს. დამდეგს არ არის შემოღე-ბული, არამედ უკვე ძველადვე არსებობდა. არსენ იყალთოელს მაგ., გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის თარგმანში ნახმარი აქვს გამონათქვამი „წიგნთა შეწყობილობა" (ს. ყაუხჩიშვილის გამ. 238 : 34), რაც ტერმინი „შე-

წყობილობის" არსებობას ჰგულისხმობს და ბერძნული დედნის ἡ σύνταξις, სუნაქსის-ს უდრის (de Booz-ის გამ. II, 458). ამიტომ, საფიქრებელია, რომ საბუთის აგებულებას ძველად „სიგლისა შეწყობილობაჲ" უნდა ჰრქმეოდა".

ეს შენიშვნა, დაწერილი ივ. ჯავახიშვილის ხელით, პატარა ოთხკუთხა ბარათზე, ჩაკრულია „სიგელთმცოდნეობის" საავტორო ცალში (82—83 გვერდებს შორის), რომელიც ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში.

30 (გვ. 450).

ქართული საბუთების სტრუქტურისა და მათი შესწავლის პრინციპების შესახებ იხ. აგრეთვე: მ. სურგულაძე, ქართული ისტორიული საბუთების დიპლომატიკური შესწავლის საკითხისათვის, „მაცნე, ისტორიის... სერია", 4, 1979, გვ. 55—62.

31 (გვ. 451).

საბუთი ეკუთვნის გიორგი IV ლაშას და არა გიორგი II-ს. ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა ამ საბუთის თ. ჟორდანიასეულ გამოცემას, ხოლო თ. ჟორდანია საბუთს, შეცდომით, გიორგი II-ს მიაკუთვნებდა. პირველად საბუთის სწორი ატრიბუცია წარმოადგინა სარ. კაკაბაძემ 1912 წელს; იგი გაზიარებულია ყველა შემდგომ გამოცემაში. სარ. კაკაბაძემ საბუთი დაათარიღა 1220 წლით, ხოლო ი. დოლიძემ — 1222 წლით. საბუთს უზის თარიღი — გიორგი ლაშას მეფობის მეათე ინდიკტიონი; „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში" მისი თანამოსაყდრედ კურთხევა ნაგულისხმევია 1202 წლიდან და ამის მიხედვით საბუთი დათარიღებულია 1211/1212 წ. (ქისკ, I, გვ. 109—110).

32 (გვ. 451).

ამჟამად მიჩნეულია, რომ ეს საბუთი ნამდვილად დავით აღმაშენებელს ეკუთვნის და იგი გაცემულია ნიანია ნიანისძისადმი. ივ. ჯავახიშვილი იცნობდა ამ საბუთის თ. ჟორდანიასეულ გამოცემას. თუმცა თ. ჟორდანია ამის შესახებ არ აღნიშნავს, მაგრამ, ივ. ჯავახიშვილს მიუჩნევია, რომ საბუთი გამოცემულია პირის და არა დედნის მიხედვით. სინამდვილეში, საბუთის არსებული გამოცემები და მათ შორის უკანასკნელი, განხორციელებული „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში" ეყრდნობა დღეს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (სცსა) დაცულ საბუთის დედანს (ქისკ, I, № 7). ამდენად, მეფის ტიტულის საბუთში წარმოდგენილი ფორმა აიხსნება არა იმით, რომ მან პირის მიხედვით და, თითქოს, შემოკლებულად მოაღწია (სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, იგი დედანია), არამედ საბუთის შედგენის დროით — ეს ტიტული შეიძლებოდა ჰქონოდა დავით აღმაშენებელს მხოლოდ 1104—1118 წლებში (ქისკ, I, გვ. 50).

33 (გვ. 453).

წერილობით ძეგლებში (საბუთები, წარწერები...), სადაც ქართველ მეფეთა ეს ტიტულია მოყვანილი, ყოველთვის წარმოდგენილია ფორმა „აფხაზთა".

34 (გვ. 453).

„სიგელის თავის" შესახებ გამოქვეყნდა მ. ბერძნიშვილის ორი სპეციალური წერილი: 1. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან („სიგელის თავი" XI—XV საუკუნეებში), „ქართული წყაროთმცოდნეობა", V, 1978, გვ. 50—59 და 2. „სიგელის თავი" XVI—XVIII სს. ქართულ სამეფო საბუთებში, „ქართული წყაროთმცოდნეობა", VI, 1985, გვ. 78—94.

35 (გვ. 457).

როგორც ზემოთაც აღინიშნა (შენ. 31 გვ. 532), ეს სიგელი ეკუთვნის გიორგი IV ლაშას და თარიღდება 1211/1212 წლით.

36 (გვ. 461).

საბუთებში გამოყენებული ფორმულების „დაგვაჯერა ღმერთმან“ და „მოკითხული ვქენით“ შესახებ იხ.: მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, იურიდიულ მტკიცებათა ორი სახე მეფეთა სიგელების მიხედვით, „მრავალთავი“, VIII, 1980, გვ. 31—37; სპეციალურად „ჯერჩინების“ შესახებ იხ. მ ი ს ი ვ ე Arenga (ჯერჩინება) XI—XIII სს. მეფეთა შეწირულების სიგელებში, „მაცნე, ისტორიის... სერია“, 3, 1980, გვ. 146—157.

37 (გვ. 463).

ამის შემდეგ საბუთში ეს ადგილი ასე იკითხება: „ღ(მრ)თისა დაბადებულისა შესავალისა და გამოსავალისაგან“ (ქისკ, I, გვ. 36 : 14).

38 (გვ. 465).

XIV—XV სს. სამეფო სიგელების ამ მონაკვეთის — „დაუცილებლობის“ შესახებ იხ.: მ ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, XIV—XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიკური თავისებურება, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, V, 1978, გვ. 63—69.

39 (გვ. 466).

იხ. მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, „ბრძანებულება“ XI—XV სს. სამეფო სიგელებში, „მრავალთავი“, IX, 1981, გვ. 107—114.

40 (გვ. 475).

ქართული ისტორიული საბუთების ენობრივი დახასიათებისათვის იხ.: ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, XI—XV საუკუნეთა ქართული ისტორიული დოკუმენტების ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, „მრავალთავი“, V, 1975, გვ. 131—146; მ ი ს ი ვ ე, XI—XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტთა ძირითადი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 2, 1976, გვ. 109—120.

41 (გვ. 475).

როგორც ცნობილია, მელქიზედეკ კათალიკოსის სვეტიცხოვლისადმი დაწერილის დასაწყისი შემონახულია ამ საბუთის XVII—XVIII სს. დათარიღებულ პირში (საბუთის ძველი პირი — XII ს-ისა, ამ ადგილას ნაკლულია). ამავე დროს, ტექსტის ამ ნაწილში ისეთი რეალიებია წარმოდგენილი, რომელიც XI ს-ისათვის სხვა წერილობითი ძეგლებით (როგორც ნარატიულით, ისე დოკუმენტურით) არ დასტურდება (მაგ., საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მოხსენიება „კათალიკოზ-პატრიარქის“ ტიტულით). ამიტომ, ძნელია ითქვას დაბეჯითებით მართლა ასეთი ვრცელი და მჭევრმეტყველური შესავლები ჰქონდა თუ არა XI ს-ში კათალიკოსთა დაწერილებს.

42 (გვ. 475).

ამ საბუთის ასეთი ვრცელი და მჭევრმეტყველური შესავალი დამახასიათებელი ჩანს უფრო მოგვიანო ხანის — XII—XIII სს. საბუთებისათვის. ცნობილია, რომ ე. წ. ფავნელის დაწერილი რამდენიმე (სულ ცოტა ხამი) და მათ შორის ადრინდელი (IX—X სს.) საბუთის ტექსტის შერწყმით არის მიღებული და ერთ საბუთად ჩამოყალიბებული XIII ს-ში (ხოლო ზოგი მოსაზრე-

ბით — XV ს-ში; დაწვრილებით ამის შესახებ არსებული ლიტერატურის დასახელებით იხ.: Грузинские документы IX—XV вв. в собрании Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР. Перевод и комментарии С. С. Какабадзе, М., 1982, с. 7—14, 198—201; ქისკ, I, გვ. 16—17). ეს შესავალი ნაწილიც საბუთს, როგორც ჩანს, გვიან გადაწერის (უფრო ზუსტად ჩამოყალიბების, „შექმნის") დროს გაუკეთდა. იგი ძალზე ემსგავსება სწორედ გვიანდელი საბუთების (მაგ., დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი, 1189 წ., ქისკ. I, № 19) შესავალს.

43 (გვ. 477).

საბუთის ტექსტის შესახებ იხ, შენ. 46.

44 (გვ. 478).

დაწვრილებით სიგელის თავის სახელდებითი ნაწილის ამ ცვლილებების შესახებ და კერძოდ, XVII ს. სამეფო სიგელებში სახელდებითი ნაწილის შექმნილ ოჯახურ და პოლიტიკურ სიტუაციის მიხედვით ცვალებადობაზე იხ. მ. ბერძნიშვილი, „სიგლის თავი" XVI—XVII სს. ქართულ სამეფო საბუთებში, „ქართული წყაროთმცოდნეობა", VI, 1985, გვ. 85—88.

45 (გვ. 480).

ქლიმი კაკლაჩისძის მიერ დაწერილი ეს საბუთი — წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევდგინისძისადმი, 1430 წლისა, მოღწეულია არა „გარდმონაწერის", არამედ დედნის სახით (ხი, Hd—1348; ქსძ, II, № 40, გვ. 121—123, 609—610) და მასში წოდებულება, როგორც ჩანს, მართლაც შეცდომით („რანთა, კახთა"-ს გამოტოვებით) არის წარმოდგენილი: „ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა, შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით დასავლეთამდის თუით-ფლობით მფლობელმპყრობელისა".

46 (გვ. 480).

ამ საბუთის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ს. კაკაბაძეს, როგორც მის მიერ გამოცემული ტექსტის არქეოგრაფიული ლეგენდიდან ჩანს, იგი დედნის მიხედვით უნდა ჰქონდეს გამოცემული. ჩვენამდე მოაღწია საბუთის ორმა პირმა (სცსა, 1449/1524 და ЛОИВ АН СССР, H6 (G 296; H 46)—10, 18б—21б). შემოკლებებით (ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ადგილის — სიგლის თავის გამოტოვებით) იგი გამოცემული აქვს თ. ჟორდანიას (ქრონიკ. II, გვ. 260—261). ასე რომ, ივ. ჯავახიშვილის მიერ საეჭვოდ მიჩნეული ადგილების შემოწმების საშუალება არა გვაქვს.

47 (გვ. 482).

როგორც ზემოთაც აღინიშნა (იხ. შენ. 31 გვ. 532), ეს საბუთი ეკუთვნის გიორგი IV ლაშას და არა გიორგი II-ს. მისი გიორგი ლაშასადმი მიკუთვნების ერთ-ერთი არგუმენტია სწორედ ხელრთვის ასეთი მოკლე ფორმულა, რომელიც დამახასიათებელია XII—XIII სს. საბუთებისათვის. მაგ., იხ. იმავე გიორგი ლაშას ხელრთვა გელათისადმი ბოძებულ სიგელზე (ქისკ, I, № 21), გი-

ორგი III-ის ხელრთვა 1170 წ. მღვიმისადმი ბოძებულ სიგელზე (ქისკ, I, № 11), რომელსაც სიტყვასიტყვით იმეორებს გიორგი ლაშასეული დასახელებული ხელრთვა (განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გიორგი III-ის ხელრთვითაა „მტკიცე არს", ხოლო გიორგი ლაშას ხელრთვით — „მტკიცეა"), თამარ მეფის ხელრთვა მღვიმისადმი ბოძებულ სიგელზე (ქისკ, I, № 20) და სხვ.

48 (გვ. 483).

გელათისადმი 1187 წ. ბოძებულ თამარ მეფის ამ საბუთს თამარ მეფის გაცილებით ვრცელი და მჭევრმეტყველური ტექსტის შემცველი ხელრთვა ახლავს (ქისკ, I, გვ. 79: 1—8, 80 : 1—12). კერძოდ, ხელრთვის ის ნაწილი, რომელიც ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს, საბუთში ასე იკითხება: „ქ. ესე, ჩემდა სადიდებელად ჩემგან სასოებით და გულსმოდგინებით ჩემისა საქმისა განაჩენი, ჩემითა ჴელითა ცოდვილითა დამიმტკიცებია" (ქისკ, I, გვ. 80: 6—7); არანაკლებ შთამბეჭდავია თვითონ თამარისეული ხელწერაც ამ საბუთზე (იხ. ქისკ, I, გვ. 312) XII ს. ქართული მხედრული დამწერლობის გრაფიკის თვალსაზრისით.

49 (გვ. 483).

საქართველოს ერთიანობის დაშლის შემდგომი ხანის დასავლურ-ქართული, კერძოდ, იმერული სიგელების თავისებურებების შესახებ იხ.: კ. გრიგოლია, იმერული სიგელების შედგენილობის საკითხისათვის XVI—XVIII საუკუნეებში, სმმ, X—B, 1940, გვ. 177—194; სტატიის რუსული რეზიუმეს სათაური უფრო კონკრეტულია: „К вопросу об изменениях в формуляре Имеретинских официальних (царских) грамот в XVI—XVIII вв." განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის დაკვირვება იმერული სამეფო საბუთების თხრობითი ნაწილის ფორმულარში ახალი მომენტის („ქრთამი მოგვართვი", „ქრთამიც კარგი მოგვართვი") ჩართვის შესახებ (გვ. 183). იმერეთის მეფეთა ტიტულატურის თავისებურებები შეისწავლა მ. ბერძნიშვილმა; იხ. მისი, „სიგლის თავი" XVI—XVIII სს. ქართულ სამეფო საბუთებში, „ქართული წყაროთმცოდნეობა", VI, 1985, გვ. 92—93.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის მეფეთა არასასისხლო სიგელების ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს წოდებულების ერთგვარი შეცვლა და მათში ერთიანობის ხანის მეფეთა სიგელების წოდებულების („აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შანშა და შარვანშთა მეფეთ მეფე") ნაცვლად მათი მიმსგავსებით შედგენილი წოდებულების აღნიშვნა. კ. გრიგოლიას დასკვნით, ძველი წოდებულება იმერულ სიგელებში იშვიათად იხმარებოდა და ისიც XVI და XVII საუკუნის პირველი ნახევრის საბუთებისათვის (კ. გრიგოლია, იმერული სიგლების შედგენილობის საკითხისათვის, გვ. 181). მასვე მოჰყავს ახალშექმნილი წოდებულების ორი ნიმუში: 1. იმერეთის მეფის და დადიანის ვამეყის (1660—1661) სიგელებში „დავითის მიერ ახალგვირგვინოსანმყოფელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელმქონებელმან". 2. იმერე-

თის მეფის ბაგრატის (1661—1681) წოდებულება 1669 წლის მოსკოვის ხელმწიფის ალექსი მიხეილის-ძისთვის გაგზავნილ „წიგნში“: „ჩუენ იესიან, სოლომონიან, დავითიან, პანგრატოვანიანი ლიხთიმერსა და ლიხთამერსა დიდისა დედაქალაქისა ქუთაისისა, მეფე სვანეთისა, დვალეთისა, ოსეთისა მპყრობელ-მქონებელი“ (იქვე, გვ. 181). ასევე, „ოდიშისა და გურიის“ მპყრობელ-მქონებელია აღნიშნული, სოლომონ მეფის სიგელში (იქვე, გვ. 181).

50 (გვ. 485).

ივ. ჯავახიშვილის ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს შენიშვნა: „მკვლევარს (ივ. ჯავახიშვილს), რა თქმა უნდა, მოეხსენებოდა, რომ IX საუკუნეზე დიდი ხნით ადრე (VI—VII საუკუნეებში) არსებობდა ჩვენი დიპლომატიკური საბუთები“ (სის, III, გვ. 193). ასევე მისივე დასკვნით: „ცნობა მიწის ნასყიდობის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობილ წყისეს წარწერაში. ამ წარწერითვე უეჭველობით იგულისხმება, რომ ნასყიდობის იურიდიული საბუთი VII საუკუნის ქართლში ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთივე საბუთები (ჩვენი ვარაუდით, „დაწერილი მონასყიდობისაჲ“) VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე მიიღო, საგულისხმებელია, შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებულმა აშოტ კურაპალატმა, როცა „სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა“ (სის, III, გვ. 233). „ჩვენ მეტსაც ვფიქრობთ: რომ ქრისტიანობის „პირველ ხანებში“ (V—VIII სს.) სალოცავად აღმართული ჯვრები, თუ ყველა არა, მრავალი მათგანი მაინც იმავე დროს მიწის დასაკუთრების მაჩვენებელი ძეგლებიცაა (წყისეს ჯვარის წარწერა ჩვენ ამის მოწმობადაც მიგვაჩნია)“ (სის, III, გვ. 164). თვალსაზრისი წყისის ქვაჯვრის მონაცემის დოკუმენტად მიჩნევის შესახებ პირველად გამოთქვა ს. ჯ ა ნ ა შ ი ა მ: „მიწის გასხვისების (გაყიდვის ფორმით) ფაქტი დოკუმენტურად დამტკიცებულია VI საუკუნისათვის“ (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ, 1949, გვ. 92).

51 (გვ. 495).

ჩვენამდე მოღწეულ ქართველ მეფეთა საბუთებში მათი ხელრთვები იმავე ჩვეულებრივი (შავი) მელნითაა შესრულებული, რომლითაც თვით ეს საბუთებია დაწერილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა დავით აღმაშენებლის ხელრთვა შიომღვიმისადმი გაცემულ ანდერძზე. ამ ანდერძის ეტრატზე შესრულებული დედნის მხოლოდ მცირე ფრაგმენტმა მოაღწია (დაწვრილებით იხ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, „მრავალთავი“, IX, 1981, გვ. 88—106). თ. ჟორდანიას ცნობით (Ф. Ж о р д а н и я, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1223 г. Тиф. 1895, с. 1) და დედნის მოღწეული ფრაგმენტის მიხედვით ჩანს, რომ ანდერძის ტექსტი თავდაპირველად წითელი მელნით — სინგურით ყოფილა შესრულებული; შემდეგში ნაწერი მუქი შავი მელნით გაუცხოველებიათ (ზოგიერთი სიტყვა, რომელიც დედანში ისედაც კარგად იკითხებოდა, მოღწეულ ფრაგმენტზე ახლაც სინგურითაა დაწერილი). მართალია, თ. ჟორ-

დანია ამის შესახებ პირდაპირ არ აღნიშნავს, მაგრამ რადგან იგი მთელ ტექსტს ერთი მელნით დაწერილად მიიჩნევს, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის ხელრთვაც ამ საბუთზე სინგურით იყო შესრულებული. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ, როგორც ჩანს, საბუთის ტექსტის გამცხოველებლებს ხელრთვა ხელუხლებლად დაუტოვებიათ და ამიტომ ფოტოზე ეს სტრიქონი სხვა ნაწილებთან შედარებით ოდნავ ბაცადაა გამოსული (იხ. ე. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., ჩაკრული ტაბულა, სტრქ. 165). მაგრამ, აქ შეიძლება ბიზანტიის კეისრების ხელრთვის მსგავს შემთხვევასთან არც გვქონდეს საქმე, რადგან, საბუთი მთლიანად იყო სინგურით ნაწერი.

52 (გვ. 496).

ივ. ჯავახიშვილი იყენებს სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიის" შემდეგ გამოცემას: *Ստեփաննոս Օրբելեան, Պատմութիւն նահանգին Սիսական, Թիֆլիս*, 1910.

53 (გვ. 521).

სხვათა შორის, ამ შემთხვევაში შეიძლება ანალოგიად არ გამოდგეს და ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი საერთო სურათისათვის არაფერს სცვლიდეს, მაგრამ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა, კერძოდ, XI საუკუნისათვის, როდესაც საბუთს ხელს ურთავს (ამტკიცებს) კათალიკოსი და თავის სახელს არ აღნიშნავს; იხ. დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი (ქისკ. I, გვ. 30, დამტკიცება — 4 „...მეცა, გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკი́ცებია..."). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის კონიექტურით, ამ ანონიმურ დამტკიცებაში, ტექსტის ბოლოს, უნდა წავიკითხოთ კათალიკოს იოვანე-ოქროპირის (XI ს. 30-იანი წლები) სახელი „ო ქ რ ო პ ი რ": „...მეცა გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კათალიკოზსა, დამიმტკიცებია. ოქროპირ. მტკიცე იყავნ ბრძანებაჲ მათი და ნუ ვინმცა აქცია, ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან" (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მცხეთის დოკუმენტი XI ს-ისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ, იხ. მისი, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 243—244).

54 (გვ. 522).

სინამდვილეში გიორგის მეფის ხელრთვა სიგელში ასე იკითხება: „ქ. ქ. მ(ე)ფეს გიორგის დამიმტკიცებია" (ხი, Qd—7118; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, „მაცნე", 4, 1966, გვ. 217). ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ემყარება საბუთის ტექსტის ე. თაყაიშვილისეულ გამოცემას (საქ˘ს სიძველენი, I, 7).

55 (გვ. 523).

რამდენადაც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი კატეგორიულად უარყოფს სახისხლო სიგელების ნამდვილობას (გარდა წინამდებარე მონოგრაფიისა იხ., აგრეთვე, მ ი ს ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ქუთაისი, 1919, გვ. 104; თხზ.

ტ. VI, თბ.,1982, გვ. 253), იმდენად სარ. კაკაბაძე ეჭვმიუტანლად აცხადებს მათ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ (ახლად მოპოვებულ სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით), „საისტორიო მოამბე“, წ. II, 1924, გვ. 1—107; იხ. ასევე, მისი რეცენზია ივ. ჯავახიშვილის წიგნზე „ქართული სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“, „საისტორიო კრებული“, II, 1928, გვ. 97); ასევე არ იზიარებს სასისხლო სიგელების ნატყუარობაზე თვალსაზრისს საურ. კაკაბაძე (С. С. К а к а б а д з е, Грузинские документы Института народов Азии АН СССР, М., 1967, с. 24—28). სასისხლო სიგელების ერთი ჯგუფი გამოიკვლია და ზოგიერთი მათგანის (მაგ., სასისხლო სიგელი გიორგი მეფისა მიცემული მღვდელ გიორგი ყურულისათვის, 1460. VI. 12) სანდოობის შესახებ მოსაზრებები გამოთქვა ჯ. ო დ ი შ ე ლ მ ა (იხ. მ ი ს ი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, „მაცნე“, 4, 1966, გვ. 207—223).

ნაკვეთი მესამე

ქართული საფას-საზომთმცოდნეობა

ანუ

ნუმიზმატიკა-მეტროლოგია

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ პირველად დაიბეჭდა კრებულში „ჩვენი მეცნიერება“ (№ 1—3), ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა[1]. წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს ამ უკანასკნელს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის კვლევა-ძიების საქმემ განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად წაიწია წინ, ჩვენ არ ვცანით მიზანშეწონილად წინამდებარე გამოცემაში რაიმე კორექტივის შეტანა შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის გამოქვეყნებას თავის დროზე საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი დღესაც ინარჩუნებს პირველხარისხოვან მეცნიერულ ღირებულებას; 22. ამას მოითხოვს ისტორიზმის პრინციპის დაცვა ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის განვითარების ეტაპების დადგენისას, მეცნიერების ისტორიის შესწავლისას.

ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის ზოგადი შეფასება ყველაზე უკეთ თვით ავტორმა შეძლო. ნაშრომის შესავალში იგი წერდა: „ქართული ფულებისა და საზომების ისტორია ჯერ არ დაწერილა (ხაზგასმები ყველგან ჩვენ გვეკუთვნის — გ. დ.) არც წინათ და არც XIX—XX სს. ამგვარი მიზანი არავის დაუსახავს და წინამდებარე გამოკვლევა პირველი ცდაა... აღსანიშნავია, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში საზომების შესახებ ბევრი ცნობები აქვს შეტანილი და საზომთა ისტორიული და შედარებითი სიდიდის მიმოხილვა კარგად აქვს შედგენილი... სამაგიეროდ ფულებზე მას ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება. სდუმს ამ ორივე საკითხის შესახებ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტიც... უცნაურია, რომ ვახტანგ მეფეს ქართული ძველი ფულების შესახებ თითქოს სხვა არაფერი ხცოდნია... გარდა ყურულიანთ სასისხლო სიგლისა და ათაბაგ აღბუღას წიგნისა... ძველი საზომების შესახებ მასაც არაფერი აქვს. ხოლო პირიქით ვახტანგ მეფეს ძვირფასი ცნობები აქვს თავმოყრილი იმდროინდელი, როგორც ქართული, ისე უცხოეთის ფულების შესახებ და საზომებზედაც“[2].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ზოგადი თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ესაა პირველი ცდა მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი ქართული საფას-საზომების უწყვეტი ისტორია.

მეორე ზოგადი მომენტი, რომელიც ასევე განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის შეფასებისას, გახლავთ მეთოდოლოგიის საკითხი. მიმოიხილავდა რა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ XIX და XX სს. დასაწყისში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, იგი წერდა, რომ

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, კრებული „ჩვენი მეცნიერების“ გამოცემანი 3.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

„ყველა ზემოდასახელებული შრომები მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისანი არიან (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა.— გ. დ.). ტერმინების, ფულის სისტემისა და ტექნიკის მიმოხილვა-განმარტების შემცველი ქართული ფულების ისტორია იქ არ მოიპოვება“[3]. ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის ასეთი კვალიფიკაციის ქვეშ მოჰყვა ე. პახომოვის ბრწყინვალე მონოგრაფიაც კი ქართული ნუმიზმატიკის შესახებ „Монеты Грузии“[4] იქვე ივ. ჯავახიშვილმა მოხაზა გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებდა დაეწერა ქართული ფულის ისტორიისადმი მიძღვნილი თავისი სამნაწილიანი გამოკვლევა. მისი აზრით, პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო თეორიული ხასიათისა, ე. ი. წერილობით წყაროების მონაცემებზე აგებული ქართული ფულის ისტორია (ასეთად ივ. ჯავახიშვილი თავის „ნუმიზმატიკა-მეტროლოგიას“ მიიჩნევდა), მეორე — აღწერილობითი, ანუ ფაქტობრივად არსებული ქართული მონეტების მეცნიერული აღწერა-ატრიბუცია, ხოლო მესამე — შედარებითი. ამ ნაწილში ერთმანეთთან უნდა შეჯერებულიყო წერილობითი წყაროების მონაცემები და რეალურად არსებული ნუმიზმატიკური მასალა[5]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუკი რამ ფასეული შექმნილა ამ უკანასკნელი სამოცი წლის მანძილზე ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესახებ, მათი ამოსავალი იყო და არის ივ. ჯავახიშვილის ეს ფუნდამენტური მეთოდოლოგიური მითითება.

თუ კონკრეტულად, პრაქტიკული თვალსაზრისით შევაფასებთ ივ. ჯავახიშვილის შრომას, ისევ თვით ავტორის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „ორასამდე საფას-საზომების ტერმინების შესახები ცნობები პირველწყაროებითგან ამოკრებილ-განხილული და ოდენობით განსაზღვრულია“[6]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხასიათისა და მოცულობის სამუშაო ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის საკითხების გარშემო დღემდე არავის უწარმოებია. ამ მიმართებით ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია უნიკალური და უნივერსალური ცნობარია.

ნათქვამი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესწავლის საქმე ერთ ადგილზე იყო გაყინული. რა თქმა უნდა, არა. მაგ., 1973 წ. გამოვიდა გ. ჯაფარიძის მონოგრაფია, რომელიც ქართული მეტროლოგიის ისტორიის საკითხების გაშუქებას ეძღვნება IX—XIX სს. მანძილზე, მაგრამ ავტორისავე განცხადებით: „...ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, რომლისგანაც არც ერთი ნაშრომი არ არის დაზღვეული, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა იდგა მეტროლოგიის შესახებ იმდროინდელ ევროპულ საუკეთესო ნაშრომთა დონეზე... მას გვერდს ვერ აუვლის ქართული მეტროლოგიის ისტორიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი“[7].

---

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

[4] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, С-П., 1910.

[5] ამ საკითხის შესახებ იხ. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964, გვ. 4—5.

[6] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

[7] გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973, გვ. 26.

რაც შეეხება ქართული ნუმიზმატიკის პრობლემების კვლევას, ეს საქმე ღირსეულად გააგრძელა ივ. ჯავახიშვილის მოწაფემ თ. ლომოურმა და პროფ. დ. კაპანაძემ. დღეს ამ პრობლემებზე მეცნიერთა მთელი ჯგუფი მუშაობს. განვლილი სამოცი წლის მანძილზე ქართული ფულის, საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტებისა და საქართველოში ძვ. წ. VI — ახ. წ. XIX სს. სამონეტო მიმოქცევის საკითხების შესწავლისადმი მიძღვნილი დაახლოებით ორი ათეული მონოგრაფია და 200-მდე სტატია გამოქვეყნდა. ზოგიერთი მათგანი კაპიტალური ხასიათისაა. ამ ნაშრომებში, რომელთა ნაწილის ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა, პერიოდების მიხედვით კომპლექსურად (წერილობითი წყაროებისა და ფაქტობრივად არსებული მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე) განხილულია ქართული ნუმიზმატიკის ფუნდამენტური საკითხები. ივ. ჯავახიშვილის „ნუმიზმატიკა-მეტროლოგიასთან“ შედარებით იქ, რა თქმა უნდა, ზოგიერთი საკითხი დაზუსტებული, შევსებული და კორექტირებულია. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის ტოლფასოვანი უნივერსალური ცნობარი ჯერჯერობით არ დაწერილა. თუ ამ გარემოებას დავუმატებთ იმასაც, რომ განსხვავებით ავტორის სხვა ნაშრომებისაგან, „ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ ხელმეორედ არასოდეს არ გამოქვეყნებულა და კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, მაშინ მისი რეპუბლიკაციის აუცილებლობა სავსებით ნათელი იქნება.

გ. დუნდუა

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ქართული საფას-საზომთამცოდნეობის, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის პირველი ნაწილი, რომელიც „ჩვენი მეცნიერების“ მიმდინარე წლის 1, 2 და 3 №№-ში იყო დაბეჭდილი, ცალკე წიგნადაც გამოდის. ვალად ვრაცხ მადლობა მოვახსენო ამ კრებულის გამომცემელს ა ნ დ. შ ი ლ ა კ ა ძ ე ს, ბ-ნ ს ვ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ს ამ ჩემი გამოკვლევის სათანადოდ გამოცემაზე განსაკუთრებული ყურადღებისათვის, უნივერსიტეტთან დატოვებულს თ ა მ ა რ ლ ო მ ო უ რ ს საძიებლების შედგენისათვის და ს. ჯ ი ქ ი ა ს კორექტურის გასწორებისათვის.

როდესაც წინამდებარე გამოკვლევა უკვე დაბეჭდილი იყო, შევამჩნიე, რომ სამი ტერმინის, დრამის, ბოტინატისა და შოლტის შესახებ მოყვანილ ცნობებში გამომრჩენია თითო-თითო საგულისხმო ცნობა, რომელთაც მოყვანა აქ მიხდება. სტეფანე კათალიკოსის ანისის 1218 წ. ქართულ წარწერაში იხსენიება ფულად ტფილ̃ური დრამა და იქ ნათქვამია: „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დან- გი ერთი გ მიეცჳს (იხ. ნ. მ ა რ ი ს Надпись Епифания католикоса Грузии, И.А.Н. 1910, გვ. 1439). ამ ცნობით უნდა შეივსოს ამ ჩემ მონოგრაფიაში მე-16-17 გვერდებზე დრამის შესახებ ნათქვამი და ამის მიხედვით შესაძლებელია XIII—XIV სს. ერწო-თიანეთის საეკლესიო გამოსაღების გარიგების წიგნში მოხსენებული ქალაქური დრამა ნ. (40) ქალაქური დრამის, წონის ერთეულს კი არ ნიშნავდეს, როგორც ეს მე-70-71 გვერდზეა ნათქვამი, არამედ იმავე „ტფილური დრამის“ მაგიერ იყოს ნახმარი და ტფილური, ე. ი. ქართული ფულის მნიშვნელობა ჰქონდეს. შემდეგ მე-13 გვერდზედ მოყვანილი „ბოტინატის ფორმის გარდა კორიდეთის სახარების მურვან, ივანეს მინაწერში ნახმარია „ბოტანატი“-ც (იხ. ნ. მ ა რ ი ს Грузинские приписки греч. Евангелия из Коридии, ИАН. 1911, გვ. 229, 130).

სივრცის საზომთა შორის 136-ე გვერდზე მოყვანილი ტერმინი „შოლტი“ სტეფანე კათალიკოსის 1218 წ. ანისის ქართულ წარწერაშიაც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „ზროხის ტყავი, რომელ ერთობ წაგილია აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით „თუ(ი)თო შოლტს“ (იხ. ნ. მ ა რ ი ს Надпись Епифания, ИАН. 1910, გვ. 1439).

ივ. ჯავახიშვილი.

1925 წ. 31 იანვარი.

1. საფასე

შესავალი

ქართული ფულებისა და საზომების ისტორია ჯერ არ დაწერილა: არც წინათ და არც XIX—XX სს. ამგვარი მიზანი არავის დაუსახავს და წინამდებარე გამოკვლევა პირველი ცდაა. აღსანიშნავია, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში საზომების შესახებ ბევრი ცნობები აქვს შეტანილი და საზომთა ისტორიული და შედარებითი სიდიდის მიმოხილვა კარგად აქეს შედგენილი იმგვარადვე, როგორც მშვენივრად გაუთვალისწინებია ის არსებითი განსხვავებაც, რომელიც ძველსა და მისდროინდელ საზომებს შორის ემჩნეოდა. სამაგიეროდ ფულებზე მას ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება. სდუმს ამ ორივე საკითხის შესახებ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტიც.

ვახტანგ მეფეს ქართული ფულების ისტორიითგან მოჰყავს მოკლე ცნობები. მას ნათქვამი აქვს: „პირველს ყამურს თეთრს გიორგაულს ეძახდენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეც. გიორგაული რა ერთიც წონა ყოფილა იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ: კიდევ ერთი რიგი სხუა თეთრიცა ყოფილა კირმანაულს ეძახდენ"-ო (ვახტანგის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა § 15). ამ ამონაწერითგანა ჩანს, რომ სახელოვან მეცნიერ მეფეს ამ დარგში მცირე ცნობები ჰქონია. საფიქრებელია, რომ მთელი ზემომოყვანილი აზრი ყურულიანთ სასისხლო სიგლის და ათაბაგ აღბუღას წიგნის ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული. უცნაურია, რომ ვახტანგ მეფეს ქართული ძველი ფულების შესახებ თითქოს სხვა არაფერი სცოდნია.

ძველი საზომების შესახებ მასაც არაფერი აქვს. ხოლო პირიქით ვახტანგ მეფეს ძვირფასი ცნობები აქვს თავმოყრილი იმდროინდელი, როგორც ქართული, ისე უცხოეთის ფულების შესახებ და საზომებზედაც.

XIX ს. ქართულ ნუმიზმატიკას საკმაოდ ბევრი მოტრფიალე აღმოუჩნდა მისი დამაარსებელი თავად მიხეილ ბარათაშვილითგან მოყოლებული, რომლის სამ ენაზე დაბეჭდილს შრომას Нумизматические факты Грузинского царства (1841) ახლაც მთლად მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს, თუმცა, უკვე ძალზეა მოძველებული. შემდეგ მისდევს ბროსეს Revue de numismatique géorgienne, Bartholomaei-ს Letires numismatiques et archéologiques, Langlois Essai de classification des suites monétaires de la Georgie depuis l'antiquité jusqu'a nos jours"და უკანასკნელი საფუძვლიანი ნაშრომი პახომოვისა Монеты Грузии, часть I (Записки Нумизм. отд. Р. А. Общ. I. вып. IV), რომელიც XIII ს. პირველ ნახევრამდეა თითქმის მიყვანილი. ეს უკანასკნელი წიგნი წინა, უკვე დაძველებულ შრომებთან შედარებით დიდ წარმატებას წარმოადგენს და სრულს აღწერილობას შეიცავს. პახომოვის თხზულების მეორე შემდეგდროინდელი ფულების აღმწერელი ნაწილი იბეჭდებოდა, მაგრამ არ გამოსულა. ყველა ზემოდასახელებული შრომები მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისანი არიან.

ტერმინების, ფულის სისტემისა და ტექნიკის მიმოხილვა-განმარტების შემცველი ქართული ფულების ისტორია იქ არ მოიპოვება. ჩვენთვის კი, საისტო-

რიო მეცნიერებაში, ამას მთავარი მნიშვნელობა აქვს. ქართული საზომების შესახებ ხომ სრულებით არა დაწერილა რა იმას გარდა, რაც XIX ს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საზომების შესახებ იყო ცნობები შეკრებილი.

თანამედროვე საისტორიო მეცნიერების, მეტადრე ეკონომიური ისტორიისათვის საფას-საზომების ისტორიასა და თეორიას კი მთავარი მნიშვნელობა აქვს. არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექმნება. სხვა არა იყოს რა, ისეთი ძირითადი საკითხის შესწავლა, როგორიც საქონელზე ფასების მოძრაობაა, უამისოდ სრულებით შეუძლებელია. ასეთ მდგომარეობაში ცხოვრების გაძვირება-გაიაფებაზეც ლაპარაკი, როგორც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი იქცეოდა, მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი, უტკიცე საფუძველს მოკლებული საუბარია. ეკონომიური ისტორიის გარდა საფას-საზომების მცოდნეობა საუკეთესო მკვეთრ იარაღს აძლევს მეცნიერს ისტორიული კრიტიკისათვის.

წინამდებარე გამოკვლევას მიზნად ამ ნაკლის შევსება აქვს დასახული. უმთავრესად მე ყურადღება მიქცეული მქონდა საფას-საზომების შესახები ტერმინების გამორკვევისათვის, მათი ქრონოლოგიურ-ოდენობით განსაზღვრისა, ფულის და საზომების სისტემის და ფულ-საზომების ნიშნების ურთიერთშორისი დამოკიდებულების და ფასობის შესწავლისათვის. ეს საკითხები საისტორიო მეცნიერებაში რთულ საკითხებად არის მიჩნეული და ბევრი რამ ამ პირველ ცდაში გამოურკვეველი დამრჩა. იმედია მომავალში თანდათანობით შეერთებული კვლევა-ძიებით გაშუქებული იქმნება ყველაფერი, რაც ახლა ბუნდოვანად გვეჩვენება.

ეს შრომა ამ გამოკვლევის თეორიული ნაწილია, ამას შემდეგ აღწერილობითი და შედარებითი შესწავლის ნაწილები უნდა მოჰყვეს.

გამოკვლევა XIII—XVIII სს. ფულებისა და ფულის სისტემის შესახებ 1920 წ. დავიწყე. 1921 წ. იანვრის პირველ რიცხვებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის თხოვნით წავიკითხე მოხსენების სახით ქართული ლითონის ფულის შემოღების რეფორმისათვის მთავრობის მიერ დაარსებულ საგანგებო კომისიაში. 1921—1923 წწ. შევსებულ-გაფართოებული წაკითხულ იქნა უნივერსიტეტში ვითარცა საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგი — ნუმიზმატიკა და 1924 წ. საისტორიო საზოგადოების სხდომაზე მოხსენების სახით „ფული და ფულის სისტემა ძველ საქართველოში". გამოკვლევა საზომების შესახებ 1924 წ. გაზაფხულის სემესტრში მაქვს დაწერილი და უნივერსიტეტში იქნა წაკითხული, ვითარცა საქართველოს ეკონომიური ისტორიის ერთი საკითხთაგანი.

საფას-საზომების მცოდნეობა განკუთვნილი მაქვს ჩემი შრომის „ისტორიის მიზანისა და მეთოდების" მესამე წიგნის იმ ნაწილად, რომელიც საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგების მეთოდოლოგიას ეხება. ამ ნაწილითგან დამწერლობათმცოდნეობის, ანუ პალეოგრაფიისა და დიპლომატიკისა, ანუ სიგელთმცოდნეობის შემცველი ნაკვეთებიც დასაბეჭდავად უკვე დამზადებული მაქვს, მაგრამ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის, ანუ საფას-საზომების მცოდნეობის შესახები ნაკვეთი მათზე ადრე იბეჭდება.

ტფილისს
1924. 7. VIII.

თავი პირველი

ფულისა და ფულის ერთეულების აღმნიშვნელი ზოგადი და სათითაო ტერმინები

ფულის ზოგად სახელად საქართველოში ძველად „ს ა ფ ა ს ე“ იხმარებოდა. თავდაპირველად საფასე, რასაკვირველია, ყველაფერსა ნიშნავდა, რაც შესასყიდი ნივთის საფასოდ გამოდგებოდა, მაშასადამე, მარტო ლითონის ფულს კი არა, არამედ სხვაგვარ განძეულობასაც, მაგრამ ძველ ქართულ ძეგლებში ეს სიტყვა სწორედ ფულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარება. თუ გ. მერჩულის სათქვამში, რომ „ჴელმწიფენი... შრომასა“ მონაზონთაგან უდაბნოების აღმაშენებლობის დროს „თანამონაწილე იქმნებიან საფასეთა უხვად მიცემითა“ (ც˜ჲ გგ˜ლ ხანძ˜თლსჲ, გვ. კე), ძნელი გამოსარკვევია მარტო ფული თუ საზოგადოდ განძეულობა ჰქონდა ავტორს ნაგულისხმევი, როდესაც საფასეზე ლაპარაკობდა, გ. მთაწმიდელის სიტყვები ხომ სრულებით მკაფიოა. მას აღნიშნული აქვს: იოანე-თორნიკე სკლიაროსის დამარცხების შემდგომ „კუალად აქავე (ე. ი. ივერთა მონასტერში) მოიქცა ურიცხჳთა საფასითა და განძითა, რამეთუ უფროჲს კენდინარისა მოიღო განძი ოდენ სხუათა ტურფათაგან კიდე“. მონღოლთა დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელსაც დიმიტრი თავდადებულის ქველმოქმედების შესახებ ნათქვამი აქვს: „აღიღის საფასე და აღდგის, ღამე მოვლის ქალაქი და იხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, თჳსითა ჴელითა მისცემდის“-ო (ჟამთააღმ. *872, გვ. 716). რაკი აქ გლახაკებისათვის ქუჩა-ქუჩა მოწყალების მიცემაზეა ლაპარაკი, ცხადია ისტორიკოსს საფასედ ფული უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი. ფულადვე უნდა იგულისხმებოდეს „საფასე“ იტრიის ეკლესიის XVI ს. დამლევის გუჯარში, სადაც ნათქვამია „ცოტაოდენნი საფასე მანც გუჩინა მონასტერსა“-ო ს˜ქს სძ˜ვლნი III, 126).

ფულის ისტორიითგან კარგად არის ცნობილი, რომ ფულისათვის სხვადასხვა ნივთიერება ყოფილა გამოყენებული: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თითბერი, ბრინჯაო, პლატინი, ტყვივი, ნიკელი, რკინა და სხვაც ბევრი (Prof. A. Luschin von Ebengreuth. Allgemeine Münzkunde und Geldgeschichte 1904 გვ. 31—36). მაგრამ ამათგან მხოლოდ სამმა ლითონმა მოიპოვა უპირატესობა და ბატონობა — ოქრომ, ვერცხლმა და სპილენძმა. საქართველოშიაც ამ სამი ლითონის ფული იყო გავრცელებული. ვერცხლისა და სპილენძის ქართული ფულის ნიშნები ბლომად არის შენახული და მათი არსებობის დამტკიცება საჭირო არ არის.

საქართველოში ოქროს ფულის არსებობის შესახებ კი თუმცა ცნობები მოიპოვება, მაგრამ თვით ფული შენახული არ არის, ამიტომ საკითხი მისი არსებობის შესახებ სათუოდ იქცა. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ნაამბობი აქვს, რომ როდესაც დიდებული მეფე თავის დაარსებულს ქსენონში მივი-

დოდა, სნეულებს ნახავდა და საბრალო ავადმყოფებს ანუგეშებდა ხოლმე, „მისცის თჳთეულსა ოქრო კმა (საყოფნი)“-ო (ც~ა მფ~სა დ~თსი, *528-529, გვ. 295). ამ სიტყვებითგან თითქოს საფიქრებელია, რომ საქართველოში მაშინ ოქროს ფული ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმას გარდა, რომ სამწუხაროდ ძნელი სათქმელია აქ ქართული ოქროს ფული იგულისხმებოდა, თუ უცხო ქვეყნური, როგორც შემდეგში განმარტებული იქნება, ამ ცნობაში „ოქრო“ განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ამიტომ ქართული ოქროს ფულის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება.

სამაგიეროდ ზაქარია ყაზვინის (+1283 წ.) სიტყვით ვიცით, რომ საქართველოში არსებობდა მშვენიერი ოქროს ფული დინარი, პერპერად წოდებული, რომელიც თითო მისხალს კარგ ოქროს იწონიდა. მისი დაყალბება არავის შეეძლო. სწორედ ეს პერპერა იყო საქართველოს (არაბულად — აფხაზთა ქვეყნის) ფული, მათი მეფეებისგან მოჭრილი. ეს ფულივე ტრიალებდა საქართველოს დედაქალაქს თბილისშიაც. ამ ფულზე ვითომც ასურული წარწერა და კერპთა, ე. ი. ქრისტიანული სარწმუნოების თაყვანისცემის სურათი იყო გამოყვანილიო (Dorn Beiträge zur Geschichte der Kaukas. Ländern. V. Geographica, 501—538)[1].

თუ ყაზვინის ცნობა ქართული ოქროს ფულის პერპერას შესახებ მაინც ერთს ეჭვს (ასურული წარწერების შესახებ) იწვევს, შერეფ ად-დინ ალიიეზდის ცნობა სრულებით მკაფიო და უეჭველია. თემურ-ლენგის ამ კარის ისტორიკოსს და თანადამხდურს მოთხრობილი აქვს, რომ როცა გიორგი საქართველოს მეფესა და თემურ-ლენგს შორის შეთანხმება მოხერხდა და საზავო ხელშეკრულება დაიდვა, გიორგი მეფისაგან زر تنکه هزار آراسته همایون آنرابالقات سکه მოუვიდოდა ათასი თანგა ოქროს უმაღლესი სახელით (ე. ი. თემურ ლენგისა) სიქა შემკული (the Zafarnamah, Calcutta, 1888, II· ٥۴٣). აქეთგან ცხადი ხდება, რომ XV ს. დამდეგს საქართველოში ოქროს ფული ყოფილა და თავისდათავად მისი მოჭრა შეუძლებელს არას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ გამოსარკვევია, საქართველოშიც ამ ფულს „თანგა“-ს ეძახდნენ, თუ ეს მხოლოდ თემურ-ლენგის ისტორიკოსისაგან ნახმარი იმდროინდელი სპარსულ-თურქული ტერმინია. „თანგა“ ვითარცა საქართველოში გავრცელებული ფულის სახელი, როგორც დავრწმუნდებით, XV—XVI სს. საბუთებშიც გვხდება, მათ შორის ალექსანდრე დიდის ერთ სიგელშიც. ამიტომ საფიქრებელია, რომ შერეფ ად-დინ ალი იეზდის ცნობა საქმის ნამდვილი ვითარების სწორე და ზედმიწევნითი გამოხატულობა უნდა იყოს. ჩვეულებრივ თანგა ვერცხლის ფულად ითვლებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, ოქროსისაც სჭრიდენ.

ამის შემდგომ ზაქარია ყაზვინის ზემომოყვანილი ცნობა საქართველოში ოქროს ფულის პერპერას არსებობის შესახებ უფრო სანდო ხდება მით უმეტეს, რომ ევროპიელი მოგზაურის პლანკარპინის ნაამბობიც ადასტურებს, რომ ქართველები მონღოლებს ხარკს პერპერით უხდიდენ (de Jean Voyage du Plan Carpinan tartarie ბერჟერონის გამ. გვ. 53).

و بها من ... الدينار الذى يسمونه پرپره و هو دينار حسن مقروع منقش عليه كتابه سريانه و صورت الامنام كل دينار مثقال ذهبا جيدا لايقدر احد على التلبيس به وانه نقد بلاد الابخاز و ضرب ملوكهم

XV ს-ითგან მოყოლებული ქართულ მწერლობაში ფულის სახელად, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, „ფლური" ჩნდება. ფლური ვახტანგ მეფესაცა აქვს მოხსენებული: „ფრანგულის თეთრის სახელები სხუა არის, მაგრამ აქ ამ თეთრზედ როგორ ეფასების ისრე იქმნების. სამს შაურს ფრანგნი რუბს ეძახიან. ორი შაურის წონა ოქროს რომ მისი დაღი აჰდეს ერთი ფლური არის"-ო. (ვახტანგის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგ. § 16). ეს ცნობა სამწუხაროდ საკმაოდ მკაფიო არ არის და ნათლად არა ჩანს, მხოლოდ უცხოეთის ფულად მიაჩნდა ვახტანგს ფლური თუ ქართულადაც. საყურადღებოა მაინც, რომ ერთადერთ მტკიცე და უცვლელ ერთეულად ვახტანგსაც ოქროს ფლური მიაჩნდა. თბილისში ბაქარის მფლობელობის დროის შესახებ იესე ტლაშაძეს ნათქვამი აქვს.

„ქალაქში დარჩა ბაქარი...
სანამდი ჰქონდა, აძლია
თათრებს თეთრი და ფლურია"-ო (კათალიკოზ-ბაქარიანი გვ. 14 § 72).

მაგრამ თუ ვახტანგ მეფის სიტყვებითგან მკაფიოდ არა არა არა ჩანს, ქართული ოქროს ფული იყო ფლური თუ უცხოეთისა, სამაგიეროდ ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს პირდაპირა აქვს ნათქვამი, რომ 1752 წ. „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა (თეიმურაზმა და ერეკლემ) თვისისა სალაროთი ოქროსა და ვერცხლისა იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრიდა აძლევდენ ჯარსა, ცდილობდენ კიდევ შეყრასა ჯარისასა"-ო (ჩუბ. გამ. 442). წინათ სპარსთა ბატონობის დროს სპარსელებიც აჭრევინებდენ საქართველოსთვის ოქროსა და ვერცხლის ფულს. იმავე ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: „გამოეგზავნა შაჰ-სულთანთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა ბრძანებისაებრ მისისა, მოსჭრეს სამ-აბაზიანი და შაური, ფლური 30 შაურისა" (იქვე, 417). ამგვარად, უეჭველია, ოქროს ფული საქართველოშიაც იჭრებოდა.

მაშ რით აიხსნება, რომ ქართული ოქროს ფული შენახული არ არის?

საზოგადოდ ოქროს ფული საშუალო საუკუნეებსა და შემდეგშიაც მახლობელ აღმოსავლეთში იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იჭრებოდა ხოლმე. მონღოლთა ბატონობის დროსაც, როცა სპარსეთის ილხანებს ჰულაგუს შთამომავლობას შედარებით დიდი სიმდიდრე ჰქონდა დაგროვილი, ჯელაირების ბატონობის ხანაშიაც ოქროს ფული მარტო საგანგებო შემთხვევებში, საჩუქრად დასარიგებლად ამასთანავე ყოველთვის მხოლოდ განსაზღვრული ოდენობა იჭრებოდა (პროფ. ვ. ბარტჰოლდი Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, 17—18). ოლეარიუსსაც თავის 1647 წ. მოგზაურობაში აღნიშნული აქვს, რომ მაშინდელ სპარსეთში აღებმიცემობასა და ურთიერთობაში ვერცხლისა და სპილენძის ფული იყო გავრცელებული, ოქროს ფული კი ვაჭრობაში ძალიან იშვიათი სანახავიაო (Beschreibung der newen orientalischen Recse, გვ. 425)[1].

შერეფად-დინ ალი იეზდის ცნობაც თემურ-ლენგისათვის საქართველოს მეფის გიორგისაგან 1000 ოქროს თანგის მირთმევის შესახებ მოწმობს, რომ ჩვენშიაც ოქროს ფულის მოჭრა განსაკუთრებული შემთხვევით, გამარჯვებული მტრისათვის ხარკად თუ საჩუქრის მისაცემად, ყოფილა გამოწვეული. თეიმუ-

[1] „Das Geld so auf dem Markte gäng und gebe seyen l silberne und ku ferne Münze. Man sieht gar selten mit Golde handeln".

რაზ-ერეკლე მეფეების დროსაც ოქროს ფლური ნაქირავები ჯარის გასამრჯელოს გასასტუმრებლად ყოფილა განკუთვნილი. ამიტომ ეს საქართველოში მოჭრილი ფული საქართველოთგან გადიოდა და უცხოეთში შემდეგში, რასაკვირველია, გადადნობილი იქნებოდა ან ადგილობრივ ფულად ან უფრო ხშირად ძვირფასი სამკაულისათვის.

ფულის აღმნიშვნელ საზოგადო ტერმინად იმ ლითონის სახელიც იხმარებოდა ხოლმე, რომლითგანაც ამა თუ იმ სახელმწიფოში ფულსა სჭრიდენ. ხოლო რადგან ძირითადი საფულო ლითონი დროთა განმავლობაში იცვლებოდა ხოლმე, ამიტომ აღმნიშვნელი ტერმინიც საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება შეცვლილიყო. ებრაელთ ძველად ვერცხლის ფული ჰქონდათ და ამის გამოვეა, რომ ებრაულად ფულს საერთო სახელად „კესეფ“, ე. ი. „ვერცხლი“ იხმარებოდა. საღმრთო წერილის თარგმანთან ერთად ქრისტიანთა ქვეყნებში „ვერცხლის“ ამგვარი, ფულის გამომხატველი, მნიშვნელობა განმტკიცდა.

დაბადების ქართულ თარგმანში მაგ., წერია: „მისცა აბრაამ ეფრონს ვეცხლი... ოთხასი დიდრაქმაჲ ვეცხლისა გამოცდილისა სავაჭროსა“ (დაბადებაჲ, შესაქ, 23,$_{16}$). „მოვიგე აგარაკი... და მიუწონე მას ვეცხლი შჳდთა სიკილათა და ათთა ვეცხლთა“ (იერემია 30$_{9-19}$), „ვიხილე ტყვენვასა მას შინა.... ორასი სატირი ვეცხლი“-ო (ისუ ნავეჲსი 7$_{20}$) ამ ამონაწერებში „ვეცხლი“ ფულის მაგიერ არის ნახმარი.

საფიქრებელია, რომ მარტო ნათარგმნ თხზულებებში კი არა, არამედ თვით საქართველოშიაც ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ არა, მწერლობაში მაინც „ვ ე ც ხ ლ ი მუდამ ვეცხლს არა ნიშნავდა, არამედ ფულსაც. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკორწმიდის XI ს. სიგელში ნათქვამი: „საწირეს ვიყიდე ყანაჲ და მივეც ფური ა, ჯაჭვი ა, ჩაბალახი, ვეცხლი დრამაჲ კ“ (ქ˝კბი II, 43). რადგან დრამა წონის საზომიც იყო, მკითხველს რომ გაეგო, საბუთის შემდგენელს დაუმატებია „ვეცხლი“, ე. ი ფულად 20 დრამა მივეციო. საეჭვოა, რომ აქ ლითონზე იყოს საუბარი. საგულისხმოა აგრეთვე, რომ თამარ მეფისა და ლაშა გიორგის სპილენძის ფულებს აწერია: ამადამ ქრონიკონსა სახელითა ღმრთისათა იქნა „ჭედაჲ ვეცხლისა ამის“-ო. იმას გარდა, რომ აქ ჩვენ ერთგვარ ფულის იძულებით კურსთან უნდა გვქონდეს საქმე (იხ. ქვემოთ, თავი მესამე) საფიქრებელია, რომ აქ და ზოგ სხვა შემთხვევაშიაც „ვეცხლი“ ფულსა ნიშნავს და ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. ამგვარი მოვლენა სხვა ენებშიაც ხშირია, მაგ., ბერძნულად τὸ ἀργύριον „ტო არგჳრიონ“ ვერცხლის ლითონსაც და საზოგადოდ ფულსაც ნიშნავდა. რომაელებიც argentum „არგენტუმ“-ს, როგორც თვით ვერცხლს, ისევე ფულსაც უძახდენ. ცნობილია, რომ ფრანგებს ახლაც ფულის აღმნიშვნელ ტერმინად აქვთ მხოლოდ argent „არჟან“, რაც ლათინური „არგენტუმ“-ისაგან არის წარმომდგარი და ვერცხლსა ნიშნავს.

ფულის ზოგადი მნიშვნელობა „ვეცხლს“ XIII—XIV სს-შიც ემჩნევა და ჯერ კიდევ ერწო-თიანეთის სოფლების საეკლესიო გამოსაღების გარიგების წიგნში რამდენსამე ადგილას არის ნათქვამი „ვეცხლი დრამაჲ“ ამდენი და ამდენიო. ამ შემთხვევაშიაც ვეცხლი ფულსა ნიშნავს და საბუთის შემდგენელს უნდოდა მკითხველისათვის გაეგებინებინა, რომ მას წონით ერთეულ დრამაზე კი არა აქვს საუბარი, არამედ ფულზე და ამ თავისი აზრის მკაფიოდ გამოსათქმელად მას სხვა ვერაფერი მოუგონია იმას გარდა, რომ აღენიშნა „ვეცხლი დრამაჲ“ ამდენიო.

მაგრამ საბუთების შესწავლა ცხადყოფს, რომ ფულის აღმნიშვნელ საზოგადო ტერმინად მარტო „ვერცხლი“ კი არ იხმარებოდა ქართულში, არამედ „ოქრო“-ც. როდესაც კახა ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი თავის 1259 წ. რკონის სიგელში მოგვითხრობს: „მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაიყიდნეს ხარკობისაგან — ოქროჲ ძვირად იყვის და სოფელი იეფად“-ო (ქ˝კბი II, 133). ცხადია, აქ ოქრო ფულსა ნიშნავს საზოგადოდ და არა ოქროს ფულს ან ლითონს მხოლოდ. მას უნდოდა ეთქვა: ფული ძვირად იყო, უძრავს ქონებას, მიწას კი ფასი დაკარგული ჰქონდაო.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში სხვათაშორის ნათქვამია: ქველივაჲს-ძის ბასილისაგან „ავიღეთ ათას შვდასი დრამაჲ... და სპარსთაგან დაჭირულნი ლეღუნარნი ამა ოქროჲთა დავიჴსენით“-ო (გვ. 4—5). ერთ „დღეს შვიდი ათასი თეთრი გავიყავით იერუსალემს მყოფთა ქრისტიანეთა ქა[რთვ]ელთა, მივეცით პატრიაქსა და მისთა მონასტერთა ორი ათასი თეთრი ამასვე დღეს. ამის ოქროსა მომღებელთა ანტონნს მოძღუარსა“ და სხვებს შეუნდოს ღმერთმაო (გვ. 31—32). რადგან ზემომოყვანილ ამონაწერებში მოხსენებული დრამა და თეთრი ვერცხლის ფულის ერთეულის სახელებია, ეს ვერცხლის ფული მხოლოდ მაშინ შეიძლება „ოქროდ“ ყოფილიყო წოდებული, თუ „ოქრო“ აქ ფულის აღმნიშვნელ ტერმინად იყო ნაგულისხმევი. ამგვარადვე „ოქრო“ ფულის მაგიერ არის ნახმარი XIII ს. შიომღვიმის მონასტრის საბუთში, რომელშიაც ნათქვამია: „შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი მიწა“-ო შიომღვ. ისტ. საბ. 61), ფულად გადახდა არ შეეძლო და 2 გუთანი მიწა მოგვეცი სამაგიეროდაო.

ტერმინი „ოქროს“ ამნაირი ორგვარი მნიშვნელობა მკვლევარს უნდა მუდამ ახსოვდეს და გათვალისწინებული ჰქონდეს. ამგვარი მოვლენა სხვაგანაც, მაგ., სპარსულშიაც არის, სადაც ფული და ოქრო ერთი და იმავე სიტყვით زر „ზარ“-ით გამოითქმის. ფარსადან გორგიჯანიძესაც თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში უწერია „თეთრი (ე. ი. ფული)... ზარ“ (მ. ჯან. გამ. ფ. გორგიჯანიძე და მისი შრომანი, 31). ღარიბს სპარსულად „ბიზარ“-ი بیزر ჰქვიან, რაც უფულოს (უოქროს) ნიშნავს.

ამის შემდგომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ქვემომოყვანილ სიტყვებს შეიძლება ნამდვილი აზრი გაუგოთ. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ მეფე თავის აღშენებულ ქსენონში მისვლისას სნეულებს დაათვალიერებდა თუ არა, საბრალო ავადმყოფებს ანუგეშებდა და „მისცის თჳთეულსა ოქრო კმა (საყოფნი)“-ო. საფიქრებელია, რომ აქ ისტორიკოსს იმის თქმა კი არ უნდოდა, ვითომც დავით აღმაშენებელი ყველა ავადმყოფს მხოლოდ და მხოლოდ ოქროს ფულს ურიგებდა საჩუქრად, არამედ რომ საკმაო ფულს აძლევდა ხოლმე, რადგან ყოველ ნახვაზე რომ სნეულთათვის ოქროს ფული ერიგებინა, სახელმწიფოს ძვირად დაუჯდებოდა. ამიტომ აქაც ოქრო ფულის აღმნიშვნელ ტერმინად უნდა იყოს ნახმარი.

შემდეგ ლითონის საფასეს აღსანიშნავად „თ ე თ რ ი“-ც იხმარებოდა. ათაბაგ აღბუღას სამართლის წიგნში „თეთრი“ უკვე ფულის აღმნიშვნელ ტერმინია: იქ ნათქვამია: „თუ კაცმან კაცისაგან თეთრი აიღოს სასარგებლოდ“, ამდენი და ამდენი გადაიხადოსო ან კიდევ „თუ კაცსა თეთრი წიგნითა ანუ ვერცხლი აწონით აეღოს“, ასე მოიქცნენო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებშიც ვილაცას სპარსთაგან სახარება-ბარძიმი დაუხსნია „თორმეტ სომად და

ორმოც ფლურად", გვიყიდა ხორბალი და „ძმათა და დათა თეთრი გაგვყო"-ო (გვ. 19). თუ სომი და ფლური ფულის ნიშნების საკუთარი სახელებია, „თეთრი" ამ შემთხვევაში ფული საზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი და სულთა მემატიანეს უნდოდა მხოლოდ ეთქვა ბერ-მოლოზნებს ფული დაგვირიგაო. იქნებ მამა იოსებისაგან ჴანჵესებულს ალაპში ნახსენები „შვდ-შვდი ვენეტიკური თეთრი" (გვ. 19) ვენეტიკურს ფულს გულისხმობდეს, თუმცა, შესაძლებელია, აქ ვენეტიკურ ვერცხლის ფულზე ე. წ. ასპრებზეც იყოს ლაპარაკი.

თეთრის ზოგადი მნიშვნელობა საუცხოვოდ ირკვევა ფილიპე მონაზონის შეწირულობის შესახები ცნობებითგან, რომელშიაც ნათქვამია: „მოიტანა სურხანის შვილის ვარაზის გამოგზავნილი საერუსალიმო თეთრი... და მოგუაბარაო... ასი ნაღდი ფლური", ხოლო „ოცდა თურამეტ ფლურად წინდი დაიქსნა სამი ბარძიმი"-ო (გვ. 27). ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ სწორედ 138 ფლური შეადგენდა „საერუსალიმო თეთრს", ხოლო რადგან ფლური გარკვეული ერთეულის ოქროს ფულის სახელი იყო, ფლური მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თეთრად ვიგულისხმოთ, თუ „თეთრს" აქ ვერცხლის ფულის ერთეულის აღმნიშვნელად კი არ ჩავთვლით, არამედ ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად.

შემდეგ საუკუნეებშიც XVIII ს. მეორე ნახევრამდე სიტყვა „თეთრი" კვლავინდებურად ზოგადი ტერმინი იყო ფულის აღსანიშნავად და ფ. გორგიჯანიძესაცა და საბა ორბელიანს თავთავიანთ ლექსიკონებში ფულის გამოსახატავად ერთადერთ ტერმინად სიტყვა თეთრი აქვთ. ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში ფულის მომჭრელის, ჩამომსხმელის მაგიერ „თეთრის მჭრელი" (გვ. 44) წერია და ფულის სასწორის აღსანიშნავად „თეთრის სასწორი"-ა ნახმარი (გვ. 66).

ამგვარად გამოირკვა, რომ საფასეს გარდა, რომელსაც ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად „ვეცხლი", „ოქრო" და „თეთრი" იხმარებოდა. „ვეცხლი" ამ მნიშვნელობით ესმოდათ თითქოს უძველეს დროთგან მოყოლებული XIII საუკუნემდე, ნაწილობრივ იქნება ვითარცა წარსულის ნაშთი მხოლოდ ძველი ძეგლების გადანაწერებში XIII-XIV სს-მდე. XII ს. ფულის აღმნიშვნელ ტერმინად უკვე „ოქრო" შემოდის, რომელიც XIII ს-შიაც ასევე იხმარება. XIV ს-ითგან თუ არა, XV ს. მოყოლებული კი უკვე ფულის აღსანიშნავად ტერმინი „თეთრი" შემოდის, რომელიც XVIII ს. მესამე მეოთხედამდე უცილობლად ბატონობს. ამას ჯერ კიდევ დაკვირვება და შესწავლა ეჭირვება მეტადრე „ვეცხლ" „ოქროს" ხმარების ქრონოლოგიური საზღვრების ზედმიწევნით გამოსარკვევად და ამის გამო ზემომოყვანილი სქემა მხოლოდ დაახლოებითი და დროებითია.

იმ მნიშვნელობით, როგორც ახლა სიტყვა „ფ უ ლ ს ა" ვხმარობთ, ვითარცა ლითონისა თუ სხვაგვარი საფასის ნიშანის ტერმინს, XVIII ს-მდე, თუ არ ვცდებით, ძეგლებში არ გვხვდება. ვახტანგ VI წინანდებურად ამისათვის „თეთრსა" ხმარობს და „თეთრის გარიგების" კარში ნათქვამი აქვს: „ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის და ასრე იანგარიშების"-ო (სამართლის წიგნი § 16) და შემდეგ ფულის მთელი სისტემა აქვს განმარტებული. ცხადია, აქ თეთრი ახლანდელი ტერმინის ფულის შესატყვისობად არის ნახმარი.

ამიტომ ყველა ზემონათქვამიდან საფიქრებელია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრამდე „ფული" საფასის ზოგადი მნიშვნელობით ცნობილი არ უნდა ყოფილიყო. როგორც აკად. გულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობითგანა

ჩანს, 1772 წ. კლავინდებურად „ფული“ განსაკუთრებულ ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად ყოფილა და ზოგადი მნიშვნელობა ჯერ მინიჭებული არ ჰქონია (Reise 358—359).

ფული „ფოლის“ სახით ძველადაც ცნობილი იყო ქართულ მწერლობაში, მაგრამ მაშინ ის პატარა ერთეულს აღნიშნავდა.

უეჭველია, სხვაგანაც იქნება ამაზე ცოტა ადრეც ნახმარი, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ დარეჯან დედოფლის მიერ 1796 წ. ბოძებული საიჯარო პირობის წიგნის დასახელება შემიძლიან, სადაც „ფული“ უკვე ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. იქ სახელდობრ ნათქვამია: იასე იასეშვილო „ქალაქის სამღებრო იჯარით აიღევით ორას ორმოც თუმნათ... თვე-და-თვე ჩვენს სარქარს უნდა მიაბაროთ, ნახევარი თეთრი ფული და ნახევარი შავი ფული“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 246—7).

ფულზე აღბეჭდილ წარწერებს „ლეგენდას“ ძველ ქართულ მწერლობაში „ზედაწერილი“ ერქვა (მათე XXII, 20), ხოლო ზედგამოყვანილ სახეს „ხატი“ (იქვე). ფულზე ჭედვით ამოყვანილს სახე-ზედწერილს თუ უფრო ადრე არა, XVII ს. დამლევიდგან და XVIII ს. დამდეგითგან მაინც „სიქა“ს ეძახდენ. 1722 წ. ღვთაების გუჯარში სხვათა შორის ნათქვამია: „ბედნიერი სიქა მისი თუცა ვარდისა ფურცელთა ჰკრან, ბაზარი ფლურთა გატყლთეს“-ო (ისტ. საბ. I, 19). პაპუნა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს: „გამოეგზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა ბრძანებისაებრ მისისა, მოსჭრეს სამ-აბაზიანი და შაური, ფლური 30 შაურისა“-ო (გვ. 417). სიქა არაბული სიტყვა سکه ფულის საბეჭდავს, ჭედვას, ფულის მოჭრას და მოჭრილ ფულსა ნიშნავს (იხ. ვ. ტიზენჰაუზენ, Монеты восточного халифата, СПБ, 1873, VI). ვახტანგ VI-ს სიქას მაგიერ და მნიშვნელობით „დ ა ღ ი“-ცა აქვს ნახმარი. თავის სამართლის წიგნში, თეთრის გარიგების კარში მას მაგ., ნათქვამი აქვს: „ორის შაურის წონა ოქროს რომ მისი დაღი აჯდეს, ერთი ფლური არის“-ო. არც დაღია ქართული სიტყვა, არამედ სპარსული داغ „დაღ“-ია, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ამ ტერმინს ქართულში აქვს შერჩენილი.

წმინდა ბაჯაღლო ოქროს ფულს ძველად „წ ი თ ე ლ ო ქ რ ო ს“-ს ეძახდენ. ქართველი ჟამთააღმწერელი მაგ., მოგვითხრობს, რომ ბაღდადის მონღოლთა მიერ აღების შემდგომ ძლევამოსილი ქართველი მხედარნი „წითლითა ოქროთა განტენდეს“ ქარქაშებს და ნადავლი ფული ისე მოჰქონდათ შინაო (ჟამთააღმ. *817, გვ. 611). იერუსალემის ჯვრის მონასტრის აღაპებში აღნიშნულია, რომ ბეშქენ მანდატურთუხუცეს ვარდანიძეს შეუწირავს „ორი ათასისა თეთრისა წითელი“ (გვ. 14). სხვა ენებშიაც იხმარებოდა ამგვარი ტერმინი წმინდა ოქროს აღსანიშნავად და სპარსელებიც زر سرخ ზარ-ი სურხ-ს წითელ ოქროს, სომხები კი *կարմիր* კარმირს, წითელს ეძახდენ.

როგორც ოქროს ფულს „წითელი“ და ვერცხლის ფულს „თეთრი“ ეწოდებოდა, ისევე სპილენძის ფულს ფერის მიხედვით „შავმ ფული“-ც ერქვა ხოლმე. დარეჯან დედოფალს მაგ., ერთს 1796 წ. პირობის წიგნში ნათქვამი აქვს: თქვენ იასე იასეშვილმა ქალაქის სამღებრო 240 თუმნად აიღეთ იჯარით და საიჯარო ფული „თვედათვე ჩვენს სარქარს უნდა მოაბაროთ — ნახევარი თეთრი ფული და ნახევარი შავი ფული“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 246—247).

საფასე ან ოქროს, ან ვერცხლისა და ან სპილენძისაგან იჭრებოდა ხოლმე. თვითოეულ ამ ლითონითგან მოჭრილ ფულს თავისი საერთო სახელი ჰქონდა. ძველ ქართულ მწერლობაში ოქროს ფულს „დ რ ა ჰ კ ა ნ ი“ ეწოდებოდა. სახარების უუძველეს ხანმეტ თარგმანში იხმარება უკვე ეს ტერმინი (იხ. მათე XX, 2) და ბერძნულ τὸ δηνάριον-ს, დინარს უდრის. პადიშის სახარებაში ამ ადგილას „სატირი“-ა, მაგრამ ტბეთისა და ოპიზის სახარებაში კი ხანმეტი ტექსტის „დრაჰკანი“-ა შენახული. ეს ზოგადი ტერმინი იყო ოქროს საფასეს ძირითადი ერთეულის აღსანიშნავად. უცხო ფულის ნიშანდობლივი რაოდენობის აღსანიშნავადაც ეს სიტყვავე ემატებოდა, მაგ., დრაჰკანი კონსტანტინატი, დუაჰკანი დეკატი და სხვა. ეს სპარსული ტერმინი შემდეგშიაც გვხვდება, მაგ., მონღოლთა მიერ საქართველოში დადებული გადასახადების შესახებ ქართველი ისტორიკოსი ამბობს „განაწესეს ძღვენი სოფელთაგან ათასის მჴედრისა მთავარსა — ცხვარი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრსა მთავარსა ცხვარი ერთი და [დრაჰკანი ორი“-ო (ქცმთაალმ. *820, გვ. 665). აქ დრაჰკანი ოქროს ფულის ნიშანდობლივ ერთეულად არის ნაგულისხმევი.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანის სიტყვით გრიგოლ ფანასკერტელს მონასტრისთვის უჩუქებია „ადგილი რვაას დრაჰკნად ნასყიდი“ (გვ. 31), არსენი მოძღვარმა „მოგჳცა ორმოცდა ჩუიდმეტი სურული (ასურული? სრული?) დარაჰკანი (sic)-ო (გვ. 68).

XVI ს-შიაც ისევ იხმარებოდა ტერმინი დრაჰკანი ამავე ზოგადი მნიშვნელობით და 1565 წ. დაწერილ აღაპშიც ნათქვამია, რომ სამცხითგან წამოსულს „წარმომატანაჲ ფლური და ოქრო ყოველივე ხუთასისა დრაჰკნისა უმცრო იყო“-ო (ათონ. აღაპ. 276).

მაგრამ შემდეგში ამავე მნიშვნელობით, ოქროს ერთეულის აღსანიშნავად უკვე „ფ ლ უ რ ი“ შემოდის. თავდაპირველად ამ ტერმინს დასავლეთი ევროპის, განსაკუთრებით იტალიის, ოქროს ფულის მნიშვნელობა ჰქონდა. პირველად 1460 წ. მეფეთმეფის სიგელში გვხვდება, სადაც იხსენიება „ვენეტიკური ფლური ოცდა-ათი (ისტ. საბ. III, 36). შემდეგ XVI ს-ში და განსაკუთრებით XVII—XVIII სს-ში უკვე ჩვეულებრივ ტერმინად ხდება და როგორც დრაჰკანის მნიშვნელობით ისევე სპეციფიკურადაც იხმარება ხოლმე.

ფლურის შესახებ ბევრი ცნობებია სხვადასხვა მონასტრების სულთა მატიანეებში. იერუსალემის ჯვრის მონასტრის აღაპებში იხსენიება როგორც ვენეტიკურ, ისევე სადაურობის აღუნიშვნელადაც. მაგ., იქა წერია: „მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი... მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაჲ წაგუართუეს და მან დაიჴსნა, ოთხასი ფლური გამოიღო“-ო (გვ. 5). ყუარყუარე ათაბაგის შვილის ბაადურის სულის შესანდობად „მოგუივიდა. ფ. ფლული“-ო (იქვე, 9—10). სარგის ბოცოს ძისაგანაც „მოგვივიდა ორას ორმოც და თოთხმეტი ფლორი“-ო (იქვე, 11), „მოგუივიდა ას ოფი ფლორი ვენეტიკური“ ხურსიძისა სულა-ყოფილისა სერაპიონისაგანო (გვ. 60).

უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში რამდენჯერმე სხვადასხვა ადგილას იხსენიება „ველტიური ფლური“ „ველენტიური ფლური“, მაგ., ირუბაქისძეს ჩოლოყაშვილს გარსევანს „გამოეგზავნა ორასი ველ˘ტიური ფლური“ (გვ. 41) ირუბაქისძეს ჩოლოყაშვილს ბაადურს გამოუგზავნა „ორასი ველენტიური (sic) ფლური“ (გვ. 20). მაგრამ ჯერ კიდევ გა-

მოსარკვევია, აქ ვენეტიკურის სახელია დამახინჯებული, თუ სხვა ტერმინთან გვაქვს საქმე.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელში წერია „ვიყიდე... ყანაჲ და მივეც მას დრაჰკანი კოსტანტინატი ბ... ფარსამანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და მივეც ჯაჭვი და დრაჰკანი კოსტანტინატიბ.. შქმერს ვიყიდე შქვლოჲსგან გლეხი ა და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი ა ცხენი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ... ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან ა და მივეც ცხენი ხუადი ორი, სტავრა ი კაბაი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ, წიგნის „დაწერისა და შეკაზმისათვის მივეც დრაკანი დუკატი.იე“ (ქ˝ები II, 47—48, 49).

ათონის ქართველთა მონასტრის ალაპებში აღნიშნულია, რომ იოანე და მიქელ კახელთ შეუწირავთ ეკლესიისათვის „ლიტრაჲ ერთი დრაკანი ვოტანიატი“ (ათონ. კრებ. 222) „ბ ო ტ ი ნ ა ტ ი“ შიომღვიმის მონასტრის XIII ს. სიგელსა და საფარის მონასტრის წარწერებში იხსენიება (შიომღვ. ისტ. საბ. 34 და ე. თაყაიშვილის Арх. экскурсии, I, 84).

„პ ე რ პ ე რ ა ჲ“ X და შემდეგი საუკუნეების ძეგლებში გვხვდება (შიომღვ. ისტ. საბ. 2, 16 და ათონ. ალაპ) და სხვაგანაც ბევრგან. ათონის ალაპებში ბევრი სხვა წმინდა ბიზანტიური ფულიც იხსენიება, მაგრამ ისინი არ ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილიყოს და ამის გამო აქ განხილული არ იქნება, ხოლო კონსტანტინატი, დუკატი და ბოტინატი, ანუ ვოტანიატი, პერპერაც — ბერძნული ფულების სახელებია. კოსტანტინატი ბიზანტიის კეისრის კოსტანტინეს (მე-X, 1059—1067 წწ.) ფულს ერქვა, დუკატი — მიხეილ VII დუკისას (1071—1078 წწ.) და ბოტინატი — ნიკიფორე III ბოტანიატისას (1078—1081 წწ.) პერპერა კიდევ ბერძნული „ჰჳპერპერონ“-ისაგან არის წარმომდგარი და ოქროს ფულსა ნიშნავდა, მაგრამ მარტო ბერძნულს კი არა, არამედ ქართულ ფულსაც ეწოდებოდა.

„დ უ კ ა ტ ი“ შემდეგშიაც იხსენიება. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ ალაპში ნათქვამია, რომ ისკანდერ ალაბეგას შვილის შემოწირული ფულითგან „ამანათად“ მიცემული ნივთების დასახსნელად „რვა ასი დუკატი“ დახარჯულა (გვ. 66). ვიღაც ანასუღლიმ „მოგუცა ასოცდა ათი დუკატი და... შექმნა ჯი ოთხმოც დუკატად“ (გვ. 70). აკად. გულდენშტედტის სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ XVIII ს. ქართველები დუკატს „ოქრო“-ს ეძახოდენ და ერთი ოქრო მაშასადამე ერთ დუკატს ნიშნავდა (Reise durch Russland und im caucasischen Gebürge 359).

შესაძლებელია 1565 წ. ალაპში მოხსენებულ ცნობაში „წარმოატანა ფლური და ოქრო ყოველივე ხუთასისა დრაჰკნისა უმცროჲ იყო“-ო (ათონ. ალაპ. 276) „ოქროჲ“ უკვე ამ სპეციალური მნიშვნელობით და სწორედ დუკატის მაგიერ იყოს ნახმარი.

„ო ქ რ ო“-ს რომ ფულის ერთ-ერთი ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად მართლაც ხმარობდენ ამას XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედის ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების მეორე წიგნიც ცხადყოფს. იქა წერია: „სირაჯების ნიხრანა თორმეტი მინანთული წელიწადში ერთხელ, როცა მოურავის ნებაა, უნდა მიართვან სირაჯებმა ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მიჰცენ“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 529). ამ დებულებითგან ნათლად ჩანს, „ერთი ოქრო“ ამ შემთხვევაში ფულის ერთეულია. ამგვარი მნიშვნელობით „ოქრო“ დასავლეთ საქართველოს საბუთებშიაც გვხდება. ჯერჯერობით XVIII ს-ზე ადრე არა ჩანს,

მაგრამ ეს ალბათ შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს. 1787 წ. საბუთში წერია: „აბესაძეს და ხუცესს ხარიტონს მართებს ბეგარა ერთი ოქრო... ბოსლევს ორი პარტახი... და ამაზედ სახლობს ფერაძე ნონია და მართებს ბეგარა ერთი ოქრო“-ო (დას. საქ. საბ. II, 91). ცხადია აქაც „ერთი ოქრო“ ფულის ერთეულს აღნიშნავს.

ვერცხლის ფულის ერთეულის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში სპარსულითგან შეთვისებული „დ რ ა მ ა“ იხმარებოდა, რომელიც უკვე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გვხვდება. გ. მერჩულს ნათქვამი აქვს, რომ უბეს მონასტრის შენებულებით აღტაცებულს იმდროინდელ „კელმწიფეს“ გრიგოლ ხანძთელისათვის მიუცია „დრამა ათი ათასი“ (გვ. კგ. § კა). აქეთგან საფიქრებელი ხდება, რომ IX ს. არსებულს ვერცხლის ფულს საქართველოში „დრამა“ რქმევია. ეს ტერმინი მნიშვნელობით არაბული ვერცხლის დირჰემს უდრიდა.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელშიც „დრამაჲ“ ფულად იხსენება. იქ წერია: „ყანა გავისაკუთრე და მივეც.... ორმოცისა დრამისა კმელადი“-ო, ხოლო ქუემელოანს ვიყიდე.... ყანაჲ... მატყლი დრამისა: ლ: (30) სააჲ..... ჰერნეულისა თავსა ვიყიდე.... ყანაჲ და მივეც ფასად ოცისა დრამისაჲ.... საწირეს ვიყიდე ყანაჲ და მივეც.... ვეცხლი დრამაჲ: კ : (20) და სხვა ქკ˝ბი II, 45, 47 და 48). ყველა ამ მაგალითებში, უნდა აღინიშნოს, შესაძლებელია „დრამაჲ“ ფულად კი არა, არამედ წონის საზომად იგულისხმებოდეს.

ფულის სახელი „დრამაჲ“ ხშირად იხსენიება აღაპებში, მაგ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში აღნიშნულია, რომ ვინმე იოვანე და კახაბერს 2000 დრამა შეუწირავს (ნ. მარის გამ., 3), ივანე ქველივაჲძეს შვილს ბასილის — 1700 დრამაჲ (იქვე 4), თურგთა (sic) ბიჰილა გიაჲს მეუღლეს ბორენას პირველად — „ათასი დრამაჲ“, ხოლო „მეორესა მოსულასა კუალადცა შემოსწირეს ხუთასი თეთრი საპურედ“-ო (გვ. 7). ამგვარი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება.

1673 წ. განახლებული სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის ძველ 1459 წ. შედგენილი საბუთის გარდმოწერილ ნაწილში, როდესაც გადასახადი ფულად არის აღნიშნული, ყოველთვის „დრამა“ იხსენება (იხ. ქ˝კბი II. — და ს. ჯანაშიას გადმონაწერი). ერწო-თიანეთის საეკლესიო გამოსაღების გარიგების წიგნშიც, რომელიც ეტრატის გრაგნილზე წერია (№ 15) და დაახლოებით XIII—XIV სს. უნდა ეკუთვნოდეს, რამდენჯერმე იხსენიება „ვეცხლი დრამაჲ˝გ“, „ვეცხლი დრამაჲ ლ˝დ, „ვეცხლი დრამაჲა“, „ვეცხლი დრამაჲ ე“ და ხშირად მარტივადაც „დრამაჲ“ ამდენი და ამდენიო.

ამგვარად ძეგლებითგან ცხადადა ჩანს, რომ თუ უფრო ადრე არა, VIII ს-იდან მაინც მოყოლებული XV ს-მდე ვერცხლის ფულის ერთ-ერთ ერთეულს „დრამაჲ“ ეწოდებოდა. რადგან XIV ს. პირველი ნახევრითგან მოყოლებული გიორგი ბრწყინვალის „გიორგაულად“ წოდებული თეთრი იხსენიება როგორც „ძეგლის დადება“-ში, ისევე აღბუღას სამართალში, ამიტომ საფიქრებელია, რომ დრამას ვითარცა ფულის ერთეულის ტერმინს ამ ხანაში უკვე დრომოჭმული უნდა ჰქონოდა და თანდათანობით გამქრალიყო. სამთავნელის სარგოში იგი უფრო ტრადიციით უნდა იყოს შერჩენილი ძველი გარიგებითგან.

მაგრამ უკვე XI ს-ში საქართველოში შემოდის ტერმინი „თ ე თ რ ი“, რომელიც იურიდიულ ძეგლებში, საბუთებშიაც და საისტორიო თხზულებაში ჩვეულებრივ სიტყვად ხდება. ეს ტერმინი შიომღვიმის მონასტრის ფავნელთა სი-

გელში იხსენიება, რომელიც X ს. მიეკუთვნება, მაგრამ მისი დედანი შენახული არ არის, არამედ მხოლოდ პირია (შიომღვ. საბ. 2).

საუკუნეთა განმავლობაში მან შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა და ქართული ფულისათვის განსაკუთრებულ ტერმინადაც კი იქცა. მნიშვნელობით იგი ბერძნულ-ევროპიულს „ასპრებს“ უდრიდა.

მაგრამ „თეთრი“ ვერცხლის საფასის ან საერთოდ ფულის მარტო ზოგადი სახელი კი არ იყო, არამედ გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინიც. არსენ კათალიკოსის XII ს. ოცდაათიანი წლების შიომღვიმის სიგელში მაგ., იხსენიება: „პალანკურდნითა შეკაზმული დიდად კარგი ჯორი ოთხას თეთრად მოფასებული... ცხენი ერთი სამას ორმოცდაათ თეთრად ნასყიდი, უნაგირი ოქროდთა და ზარხოდთა მოჭედილი ექუსას თეთრად დაფასებული“ ქ˝კბი II, 102). დავით ნარინის დროინდელ XIII ს. შუა რიცხვების სიგელში გამოსაღებად აღნიშნულია „ოთხი თეთრი საყაჭობო“ (იქვე II, 129). კახა ერისთავთ-ერისთავს 1259 წ. რკონის სიგელში ნათქვამი აქვს, რომ ს. ხოვლე „სამოცდახუთი ათას თეთრად ეყიდათ“-ო ორტაღის წევრებს (იქვე II, 1,34). დავით ნარინის მეუღლის სიგელში ს. ეკვახჭირი „თორმეტი ათას თეთრად“ ნაყიდი გამოდის (იქვე II, 161). ქართველ XIV ს. ჟამთააღმწერელსაც ნათქვამი აქვს: არღუნმა საქართველოში „განაწესა, რაცა განისყიდებოდეს ტფილისს ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებოდეს“-ო (ჟამთააღმ.* 825 I, გვ. 670) „მიზდი ცხენისა თეთრი სამი დღესა ერთსა“ (იქვე, *820, გვ. 665). შემდეგ საუკუნეებშიაც ზოგი სახელმწიფო თუ სხვაგვარი გადასახადები თეთრად იყო დაწესებული, როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში.

სრული თეთრის ერთეულის გარდა „ნახევარი თეთრი“-ც ყოფილა. მჭედლიძეს აბრამას 1578 წ. ქუთაისის საყდრის დავთარში სხვათა შორის შეწერილი ჰქონია „ნახევარი თეთრი“ (გვ. 35 § 257), ხოლო მჭედლიძეს მახარას „თეთრი ორი და ნახევარი“ (იხ. § 259, ამგვარივე მაგალითი §§ 260, 265, 279, 282, 283, 316, 317, 353, 357, 358)[2].

რაკი „დრამაჲ“ და „თეთრი“ ორივე ვერცხლის ფულის ერთეულის სახელი იყო და არის ხანა, როდესაც ორივე ტერმინი იხმარება, მომავალში უნდა გამოირკვეს, თუ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო მათ შორის.

რაკი გამოირკვა, რომ „ოქრო“ და „თეთრი“, როგორც საფასის ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ისევე ფულის ერთეულების სახელებიც, თავისდათავად იბადება საკითხი, თუ როგორ უნდა გაარჩიოს მკითხველმა, რომელ ამ ორ შესაძლებლობასთან აქვს მას საქმე ყოველ კერძო შემთხვევაში. ნაწერის აზრის მიმდინარეობას გარდა, ასეთ შემთხვევებში უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს ადამიანს, ახლავს თუ არა ტერმინებს „ოქროს“ და „თეთრს“ რიცხვითი რაოდენობის შესახები ცნობა: თუ რიცხვითი რაოდენობა ახლავს ოქროს,

---

2 ამავე ქუთაისის საყდრის 1578 წ. დავთარში ს. მუჯირეთუბნის გამოსაღების აღწერილობაში იხსენიება „ჩ ი თ ა ხ უ რ ი“ (§ 457—518). ტექსტითგან არა ჩანს, თუ რა უნდა ყოფილიყო ჩითახური. მაგრამ სხვა სოფლების გამოსაღების ფულის ალაგას არის მოთავსებული და ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ ფულის ერთეული უნდა ყოფილიყო. მართლაც, ს. ორბელიანის სიტყვით „ჩითახური წვლილი თეთრი“ (ლექსიკ.) ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მთელ ერთეულს გარდა დავთარში „ნახევარი ჩითახური“ და „მეოთხედი ჩითახური“-ც იხსენიება (§§ 485, 486, 487, 488, 489, 490, 512, 513, 514 და ჯუმლი). მაგრამ ჩვენი ძეგლების მიხედვით ჩითახურის ღირებულების გამორკვევა ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება.

ან თეთრს, ცხადია, ოქრო დუკატს, თეთრი კი ვერცხლის ფულის ერთეულს ნიშნავს, უამისოთ კი შესაძლებელია ფულის აღმნიშვნელი იყვნენ.

„ა ჲ უ რ ა ჲ" ნიკორწმიდის XI ს. სიგელში და სხვა ძეგლებ'ში იხსენიება. ნიკორწმიდის საბუთში ეს ტერმინი ორჯერა გვხვდება. იქ ნათქვამია: „ვიცვალე ქივშს... ადგილი და ფასად ზედა დაურთენ უღელნი ჴარნი და რვაჲ აჲურაჲ... საწირესვე ღ˝თისმშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჴი და მივეც ფური ა, აჲურაჲ მ (40)" (ქ˝კბი II, 48).

გ. ხუცეს-მონაზონსაც ნახმარი აქვს ეს ტერმინი. მისი სიტყვით, როცა გ. მთაწმიდელმა ბიზანტიის კეისარს თავისი განსწავლული მოწაფეები უჩვენა და ბერძნულ წესზე აგალობა, კეისარმა საჩუქარი უბოძა და „ბრძანა ათასი აჲურა მიცემად მათდაო"-ო (ც˝ჲ გ˝ი მთ˝წმდლსჲ, ათონ. კრებ. 335).

აჲურას შესახებ თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „აჲურა წვრილი ფულიაო"-ო (II, 48 შენ. 28). ეს ტერმინი გვხვდება ბერძნულითგან ნათარგმნ ერთ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „უწყება და თხრობა აღშენებისათვის... აია სოფიის ტაძრისა... ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლისს", და სხვათა შორის ნათქვამია, რომ „ვინცა ერთი ქვა მიიტანის, აჲურა ერთი მიეცის"-ო (იხ. ე. თაყაიშვილის Опис рук. общ. распр. грамотности I, 590). ამ თხზულების ბერძნული დედანი საშუალებას გვაძლევს ამ ტერმინის სადაურობა და მნიშვნელობა გამოვარკვიოთ. ქართული თარგმანის აჲურას მაგიერ შესატყვის ადგილას ბერძნულ დედანში წერია ἄργυρος არგვროს (იხ. Bibliotheca script. graec. et roman. Teubneriana. Scriptores originum Constantinopolitanarum rec. Gh. Preger, fasc. prior. გვ. 84 § 9). ეს ტერმინი მეორეჯერ ქართველ მთარგმნელს „ვერცხლად" (იქვე I, გვ. 595) გადმოუთარგმნია. უეჭველია, ქართული „აჲურაჲ" ბერძნული „არგჳრა" უნდა იყოს, მაგრამ ზეპირად და არა მწიგნობრულად შეთვისებული. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ბერძნული „გ"-ანი ქართულად „ჲ"-ად არის გადმოცემული. ამის მსგავსი მაგალითები სხვაც მოიპოვება. აჲურაჲ ბიზანტიურ ვერცხლის ფულს ეწოდებოდა, რომელიც, როგორც ნიკორწმინდის XI ს. სიგელითგან ჩანს, XI ს. საქართველოშიაც ყოფილა გავრცელებული.

საქართველოში მონღოლთა ბატონობის წყალობით შემოვიდა აგრეთვე „ყ ა ზ ა ნ ა უ რ ი". ყაზანაური ფულის სახელი იყო. ათაბაგ აღბუღას თავის სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამი აქვს მაგ.: „რაჲსა გინდა თეთრის საურავისა საქმე იყოს, პატონისა (sic) პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო"-ო. ეს ცნობა ამტკიცებს, რომ ყაზანაური ვერცხლის ფული ყოფილა. აღბუღას ნათქვამი აქვს, რომ მის დროს „ამა ჟამთა შინა ყაზანაურობაჲ აღარაჲ იყო" (იქვე). მაშასადამე, უკვე XIV ს. მეორე ნახევარში „ყაზანაური" ფული გამქრალა და ამგვარად მისი არსებობის ხანგრძლივობა ნახევარი — სამი მეოთხედი საუკუნით განისაზღვრება.

„ყაზანაური", როგორც გამოირკვა, XIV ს. დამდეგის ვერცხლის ფული იყო და უკვე ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აღარსად იშოვებოდა. მისი სახელითგანაც საფიქრებელია, რომ „ყაზანაური" ყაზან-ყაენის ვერცხლის ფული უნდა ყოფილიყო. ან მისი ფულის მსგავსად მოჭრილი თეთრი. უფრო პირველი აზრი უნდა იყოს სამართლიანი. ხოლო ყაზან-ყაენის მრავლად შენახული ფულების მიხედვით უკვე კარგა ხანია გამორკვეულია, რომ ყაზანაური დირ-

ჰემი ანუ დრამა 2, 15 გრამს, ანუ ½ მისხლამდის იწონიდა. (А. Марков, Каталог Джелаиридских монет, СПБ 1897 წ. გვ. LXXVIII და ვ. ბარტჰოლდის Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче 17). ამ ყაზანაური დრამის გარდა ყაზან-ყაენმა რაშიდედდინის სიტყვით „დინარიც მოაჭრევინა, რომელშიაც სამი მისხალი წონა უნდა ყოფილიყო (سه مثقال ثلث دینار) პროფ. ვ. ბარტჰოლდმა გამოარკვია (იქვე, 13), რომ აქ ვერცხლის დინარი იგულისხმება და არა ოქროსი, როგორც ამას ჯერ ჰამმერ-პურგშტალი ამტკიცებდა (Geschichte der Ilchane II 160) და შემდეგ ბლოშე (Introduction á l'histore des Mongols par Fadl Allah Kashid ed-din, Leyden=London 1910, გვ. 135) დინარებს ოქროს ფულადვე ანგარიშობდა. ამგვარად ყაზანაური ვერცხლის დინარი, ანუ როგორც ქართულად დინარს ერქვა, დრაჰკანი 3 მისხალს ვერცხლს შეიცავდა. ეს, როგორც ეტყობა, ერთი ყაზან-ყაენის მიერ ფულის საქმეში შექმნილი ცვლილებათაგანი უნდა ყოფილიყო.

მონღოლთა ბატონობის დროს გავრცელებული იყო ფულის აღსანიშნავად ტერმინი „ბ ა ლ ი შ"-ი ც. ქართულ საისტორიო წყაროებში ეს სიტყვა ჯერ არა ჩანს. სომეხთა XIII ს. ისტორიკოსებს კი მალაქიასა და სტ. ორბელიანს მოხსენებული და აღწერილი აქვთ. პროფ. ვ. ბარტჰოლდის აზრით XIII—XIV სს-ში სპარსეთში, რამდენადაც საისტორიო თხზულებებითგანა ჩანს, ბალიშებად" ანგარიში არ უნდა ყოფილიყო მიღებული (Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, 17). თუ ეს დაკვირვება მომავალშიც გამართლდა, მით უმეტეს არაფერი უნდა იყოს გასაკვირველი მაშასადამე, რომ „ბალიშის" ხსენება ქართულ საისტორიო წყაროებსა და საბუთებში არა ჩანს: საქართველოში უფრო ნაკლებ არის „ბალიშების" არსებობა მოსალოდნელი.

მონღოლური ფულის بالش „ბალიშ"-ის სახელისა და მნიშვნელობის შესახებ განსვენებულ გამოჩენილ ფრანგ მეცნიერ კატრმერს შემდეგი საგულისხმო ცნობები აქვს სხვადასხვა წყაროებითგან ამოკრებილი. მონღოლური ბალიში ორ გვარი იყო და კეთდებოდა ან ოქროსაგან, ან ვერცხლისაგან მესამე გვარი, სახელდობრ, ქაღალდის ბალიში بالش چاو „ბალიშ-ჩაო" წინეთში იხმარებოდა. „ბალიში" დიდი ზომისა და ტანის ფული ყოფილა ისე, რომ ასი „ბალიშის" წაღება ისტორიკოს რაშიდედდინის სიტყვით ურემით შეიძლებოდა მხოლოდ. ერთ-ერთი სპარსული უსახელო ლექსიკონისა და ბარხანი-ხატისა და მირხონდის ცნობით ოქროს „ბალიში" შვიდ მისხალს, ანუ დინარს და ორ დანგს იწონიდა, ვერცხლისა კი 7 დირჰემსა და ორ დანგს ვერცხლს. ვასაფი კი თავის ისტორიაში ბალიშს 6 დინარადა თვლის და ნათქვამი აქვს, რომ თუმანი" 10000[3], ბალიშად ფასობს, ბალიში 6 დინარს უდრისო. მისიონერი ოდერიკის სიტყვით ბალიში ფლურ ნახევრად (un florin et demi) ფასობდა. მაგრამ „ჯეჰან ქუშაი-სს ავტორს ამ ზემოაღნიშნული ოდენობის ბალიშზე გაცილებით უფრო დიდი ბალიშიც აქვს აღწერილი. მისი სიტყვით ბალიში 500 მისხალს უდრის. ჩვენ ქვეყნებში მისი ღირებულებაა 75 დინარი როქნი, რომლის თვითეული ოთხ დანეგიანია-ო" „ხატაეთის დიდი ყაენის სამეფოს და სამ-

[3] იხ. ამის შესახებ პროფ. ვ. ბარტჰოლდის შესწორება: Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, 17, შენ. 1.

მართველოს“ ავტორს ბალიშის ფასი 1000 ოქროდ აქვს განსაზღვრული (იხ. ბალიშის შესახებ წყაროებითგან ამოღებული ცნობები M. Quatremère-ის Historie des Mongols de la Perse ecrite en persan par Kaschid eldin, t, I, Paris, 1836, გვ. 320—321, შენ. 120). ცხადია, „ჯენჰან-ქუშა“-ს დამწერს ისტორიკოსს ვერცხლის ბალიში აქვს ნაგულისხმევი. 500-მისხალიანი ამგვარი ვერცხლის ბალიში 75 დინარად ფასობდა. მართლაც, ჰაიდარ-რაზისაც ნათქვამი აქვს, რომ ბალიში 500 მისხალს ვერცხლს უდრის. თუ 500-მისხლიანი ვერცხლის ბალიში 75 ოთხდანეგიან დინარად ფასობდა, ცხადია, თითო ოთხდანეგიანი დინარი 7,6 მისხალ ვერცხლს უდრიდა.

სტ. ორბელიანს მოთხრობილი აქვს, რომ სუმბატ ორბელიანი ყაენმა განსაკუთრებული სამხედრო ღვაწლისათვის ძალიან დაასაჩუქრა, სხვათა შორის პრტყელი მოყვანილობის ოქროს „ბალიში“თ $1^1/_2$ ნაოთხალისა სიგრძით და წონით ერთ ლიტრიანი (*ոսկի բալիշն որ էր տարարկանձեւ ի չափ թզոյ մի եւ կշիռ լիտր միոյ—պատմութիւն Նահանգին սիսական*, ტფილისი, 1911, 424). ეს ბალიში თითქოს უფრო საჩუქარსა ჰგავს, ვიდრე ფულს.

როგორც ვახტანგ მეფის ზემომოყვანილ სიტყვებითგანა ჩანს, ერთ-ერთ ქართულ ფულს „გ ი ო რ გ ა უ ლ ი“ რქმევია. სახელოვან გვირგვინოსან მეცნიერს ეს ფული „პირველ ჟამურ თეთრად“ მიაჩნდა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ვახტანგ VI-ს ამ ფულზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია. რასაკვირველია, „გიორგაული“ პირვანდელი ქართული ფული არ ყოფილა. ათაბაგ აღბუღას თავის პაპისა და თავის სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამი აქვს: პაპა ჩემს ბექას ყაზანაური თეთრი დაეწესებინა სისხლის საზღაურად, მაგრამ ჩვენ დროს ამგვარი ფული უკვე აღარ არსებობდა და ჩვენ „დიდისა წარჩინებულისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ“-ო. აქ, უეჭველია, გიორგი ბრწყინვალე იგულისხმება. სწორედ ამ გიორგი ბრწყინვალის ვერცხლის ფულს ეძახდენ „გიორგაულს“ თეთრს. როგორც ეტყობა, XIV ს. მეორე ნახევარშიც ეს ფული წინანდებურად ხმარებაში ყოფილა. ათაბაგ აღბუღას აღნიშნული აქვს თავის სასამართლო წიგნის შესავალში, რომ იგი იყო „ორიანი ხუთი დანგი წმიდად ვეცხლი“.

XV ს-ში საქართველოში ფულის სახელად მონღოლური „თ ა ნ გ ა“ და „ს ო მ ი-ც“ იხმარებოდა. მაგ., ალექსანდრე მეფის 1433 წ. და 1442 წ. მცხეთის სიგლებში ნათქვამია: „ციხე არმაზისა და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა საპალნესა ზედან“ (ისტ. საბ. III, 15), „ციხე არმაზისა... და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა დიდსა საპალნესა ზედან... ესრეთ რომე ქარავანი შელმა მივიდოდეს და თუ ჩალმა მოვიდოდეს და სითცა მოვიდოდეს ტუირთსა ზედან ორსა თანგას აიღებდით“-ო (იქვე III, 24-25). ერთ, 1452 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „ვენაჴი მომყიდა, სამასი თანგა მივეც“-ო (ისტ. საბ. II, 10). გიორგი მეფის 1460 წ. სიგელში წერია: „კზსა მიხუდა თანგა ხუთასი და კიდევ მოგუხდა სომი სამი“-ო (ისტ. საბ. III, 36).

თანგა XVI ს-შიაც იხმარება, მაგ., 1512 წ. ქვათახევის საბუთში ნათქვამია: „დაგუეჭირა და ავიღეთ შენგან ათასი თანგა და შენ შეგუიკუეთეთ აღაპი მისითა პანაშვიდითა“-ო (ქ˝კბი II, 329). ამილახორი თაყა ზევდგინიძის 1523 წ. შიომღვიმის მონასტრის შეწირულობის წიგნშიც იხსენიება „ოცის თანგისა“ თევზი (ისტ. საბუთ. III, 54). ბრეთის სახარების 1543 წ. მინაწერშიაც წერია: „ასისა თანგისა ცვლსა მიართმევდეს“-ო ქ˝კბი II, 386).

ამგვარად, საბუთების მიხედვით „თანგა“ XV—XVI სს-ში ყოფილა საქართველოში ფულად მიღებული. შემდეგ თანგი საბუთებში აღარა გვხვდება და ამის გამო საფიქრებელია, რომ იგი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უკვე გამქრალი უნდა ყოფილიყო და სხვა ფულის ნიშანისა და ტერმინისათვის უნდა დაეთმო ადგილი. შერეფ ადდინ ალი იეზდის სიტყვები გვაფიქრებინებენ, რომ თუ ამაზე უფრო ადრეც არა, XV ს. დამდეგითგანვე თანგა საქართველოში ფულად უნდა ყოფილიყო მიღებული. „თანგა“ თათრული ტერმინია تنكه ،تنكه და ძველ რუსეთშიც იხმარებოდა მონღოლთა ბატონობის დროითგან მოყოლებული, შემდეგ ფულის საზოგადო ტერმინადაც (დენგი, денга деньги) კი იქცა რუსულში. თათრული „თანგა“ 1/3 მისხალს (პროფ. ი. კაუფმანი Серебряный рубль, 19), ე. ი. 1, 4219 გრამს იწონიდა.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქართული საბუთია შენახული, რომელშიაც ფულად „ს ო მ ი“ იხსენიებოდეს, სახელდობრ გიორგი მეფის 1460 წ. სიგელი, რომელშიაც ნათქვამია: „კ̃ზსა მიხუდა თანგა ხუთასი და კიდევ მოგუხდა სომი სამი“-ო (ისტ. საბ. III, 36). მაგრამ ეს გარემოება შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს და XIV—XV სს. საბუთების სიმცირით უნდა აიხსნებოდეს. „სომი“ რომ საქართველოში გავრცელებული უნდა ყოფილიყო, ამას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეც ცხადყოფს, რადგან საქართველოთგან იერუსალიმში ჩატანილ შეწირულებათა შორის სომი არაერთხელ იხსენიება. მაგ., მამა ქერაბინს მიუღია ფული, რომლითაც „თორმეტ სომად და ორმოც ფლურად“ სპარსთაგან სახარება და ბარძიმი დაუხსნია (გვ. 19), დანიელ წინამძღვარს რომ ფული შეუწირავს მონასტრისათვის, „ათი სომი მღდელთა̃თს გამოეგზავნა“-ო (გვ. 29), „მეორედ მოგჳვიდა შვენიერ ყოფილისა, მაკრინესი სამოცდა თოთხმეტი სომი, ორას ორმოცდა ათი მუტყალი ოქრო“-ო (გვ. 52),) „ბედიელისა მარკოზისი მოგუვიდა (sic) ოცი სომი. ათი თანგა, ათი ფლური, ორი სარტყელი ვერცხლისაჲ“ (გვ. 58). „სომი“ მონღოლური ფულის სახელი იყო სომ صوم თათრულად მთლიანს, უგულფუღუროს ნიშნავდა. ეს ფული, „саумы“ საუმის სახელით ცნობილი, რუსეთში XIII—XV სს-შიც იყო გავრცელებული და „საუმი“ 30 მისხლიან ვერცხლის ნადნობს წარმოადგენდა. პროფ. ი. კაუფმანის სიტყვით, საუმში 108 თათრული თანგა ითვლებოდა, რადგან თითო თანგა 1/2 მისხალს შეიცავდა (Серебряный рубль в России от его возникновении до конца XIX в., СПБ, 1910, გვ. 19).

სომის არსებობა საბა ორბელიანსაც ცოდნია და მისი სიტყვით ვითომც „სომი — ხუთი აბაზი, მინანთული“ ყოფილიყოს ღირებულებით (ლექსიკ.).

„თ უ მ ა ნ ი“ მონღოლურად 10000 ნიშნავდა. ფულად კი 10000 დინარად ითვლებოდა. XIV ს. ქართველმა ისტორიკოსმა ეს კარგად იცოდა. ქართულად კი იგი სულ სხვა ერთეულის აღმნიშვნელად იქცა. ვახტანგ მეფეს აქვს აღნიშნული, რომ „ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის (სამართ. წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა § 16). ამგვარს თუმანს ფრანგი მეცნიერი პროფ. ტურნეფორიც იხსენიებს თავის 1700 წ. საქართველოში მოგზაურობის აღწერილობაში (Voyage du Levant I, 131). ამგვარად, ქართულ თუმანს მონღოლურ თუმანთან სახელს გარდა თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ როდის და როგორ შეიცვალა ამ მონღოლური ტერმინის მნიშვნე-

ლობა ასე არსებითად, მაგრამ ეს საკითხი საგანგებოდ იქნება ქვემოთ განხილული ფულის სისტემის საკითხთან ერთად.

სრულიად საქართველოს სამეფოს დაშლის შემდგომ, დასავლეთმა საქართველომ საკუთარი ფულის მოჭრას თავი დაანება და აღმოსავლეთ საქართველოს ქართული ფულითა და უცხოელთა საფასით მიდიოდა იოლას. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ლევან დადიანამდე კოლხეთში ფული სრულებით არ იხმარებოდა, არამედ საქონელს ერთიმეორეზე სცვლიდენ. მხოლოდ როცა ამ მთავარს სამეგრელოში სომეხი ვაჭრები დაუსახლებია, მათ თან ფულის ხმარებაც შემოუტანიათ, უმთავრესად თურმე სპარსული აბაზები ყოფილა გავრცელებული. შემდეგ სამეგრელოს მთავარმა ლევანმა საკუთარი ზარაფხანა დააარსა, მაგრამ იქ სპარსულსავე ფულს აჭრევინებდა თურმე, რომელსაც უფრო სომხები ხმარობდენ, როდესაც სპარსეთში მიდიოდენ სავაჭროდ, ვიდრე მკვიდრნი. თვით მეგრელები უცხოეთის ფულს, მაგ., უნგრულს, იტალიურ ცეკინოს და ესპანურ რეალებს, უფრო ეტანებოდენ (სამეგრელოს აღწერა, გვ. 166). მაგრამ ამ სამეგრელოს ზარაფხანასაც ხანმოკლე არსებობის დღენი ჰქონია და აკად. გულდენშტედტს გადაჭრით აქვს აღნიშნული, რომ იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი დადიანი და გურიელიც ფულს არ სჭრიდენ და საკუთარი ფული არ ჰქონიათ, არამედ დასავლეთ საქართველოში ოსმალური, აღმოსავლეთ საქართველოსი და რუსული ფულები ყოფილა გავრცელებული (Reise გვ. 390-393).

ამის გამო XVI ს. დამდეგითგან ქართული ფულის ისტორია აღმოსავლეთ საქართველოში მოჭრილი ფულების თავგადასავლით განისაზღვრება და ფულის სისტემის შესახებაც ლაპარაკი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება.

XVI ს. პირველ ნახევრითგან ჩნდება ფულის სახელი „მარჩილი“. ბაგრატ იმერეთის მეფის 1545 წ. გელათის სიგელში წერია: „ჯუმლად ყველასა ათი მარჩილი თეთრი“-ო (ქ˝კბი II, 339). ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ მაშინაც მარჩილი ვერცხლის ფულს ეწოდებოდა, მაგრამ იმ დროსაც სამაბაზიანს ან სამ დრამას უდრიდა თუ არა, ძნელი სათქმელია. ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოშიაც ვრცელდება. 1629 წ. მცხეთის სიგელში ვკითხულობთ: „დეკანოზი სწირევდეს და მიეცემოდეს მარჩილი ერთი“-ო. (ისტ. საბ. IV, 14). დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს. საბუთებშიც წინანდებურად იხსენიება (იხ. ს. კაკ. დას. საქ. საბ. I, 82_{22}, 86_{15}, 95_{24}, 103_{3}, 104_{13}, 122_{14}; II, 2_{18}, 39_{23}, 171_{6}).

„მარჩილი“ მარტო საქართველოში კი არ ყოფილა გავრცელებული, არამედ თურმე უცხოეთში გადიოდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში მარჩილი ხშირად გვხვდება, მაგ., ჩიჯავაძე ვახტანგს „ასი მარჩილი“ შეუწირავს (გვ. 12), დადიანის ასულმა ხვარამზემ „მოგუცა ხუთასი მარჩილი“-ო (გვ. 62—63) და სხვა.

მარჩილის ღირებულების გამოსარკვევად ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ერთი გამოსადეგი ცნობა მოიპოვება. იქ განსაზღვრულია სხვათა შორის, რომ მესაუროზისათვის „კომლზედ თოთხმეტი შაური გამოერთმევის, ამისგან მარჩილი ბატონისა არის, დარჩების ორი შაური“-ო (უმიკ. 73). თუ 14 შაურითგან მარჩილის გამოკლების შემდგომ 2 შაური რჩებოდა, ცხადია, მარჩილი 12 შაური, ანუ სამი აბაზი ყოფილა.

აკად. გულდენშტედტს 1772 წ. დაწერილ საქართველოს აღწერილობაში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ფულთა შორის მარჩილი მოხსენებული აქვს, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიღებული ფულების შესახებ ცნობაში ნათქვამი აქვს, რომ სხვათა შორის „მარჩილიც ყოფილა მიღებული და =52 ფარას, ღირებულებით კი ერთ მინალთუნს ეთანასწორებოდა. მაგრამ მისივე სიტყვით საზოგადოდ და მეტადრე იმერეთში ძალიან იშვიათი საშოვარი ყოფილა: პირადად მე არ მინახავსო. სამეგრელოში და გურიაში თითქოს ისე იშვიათი არ უნდა იყოსო. რადგან გულდენშტედტისვე ცნობით დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი ქართული საკუთარი ფული არ ყოფილა, არამედ ოსმალური და უცხოური, ამიტომ მარჩილიც ადგილობრივ ფულად არ უნდა ვიგულისხმოთ (Reise durch Russland und im Caucasischen Gebürge 390—391).

თუ აღმოსავლეთ საქართველოში მარჩილი=3 აბაზს, როგორც ეტყობა, ყოველთვის და საქართველოს ყოველ თემში ასე არ ყოფილა. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. მარის მოწმობით მარჩილი იმერხეულ თქმაში შაურის მნიშვნელობით იხმარება (იხ. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. ТРАГФ. წიგნი VII, გვ. 82).

XVII ს. დამდეგითგან ჩნდება „აბაზი“-ც. 1629 წ. შეწირულების წიგნში სახელდობრ ნათქვამია: წირვისთვის „კანდელაკს მიეცემოდეს შაური ექუსი... მღრდელს აბაზი და მთავარს ორი შაური“-ო (ისტ. საბ. IV, 14).

დასავლეთ საქართველოს საბუთებში აბაზი თითქოს უფრო გვიანა ჩნდება და უფრო XVIII ს-ში იხსენიება ხშირად (იხ. ს. კაკ. დას. საქ. საბ. II, 30_{19}, 63_{30}, 134_{28}). იხსენიებს ამ ერთეულს აკად. გულდენშტედტიც, მაგრამ ვითარცა იშვიათად საშოვარს (Reise, 392).

დრამისა თუ თეთრის სახელით ცნობილი ქართული ვერცხლის ფული სასანურ-ქართული დროისა 3 გრამს იწონიდა, განახლების ხანისაც, მაგ., დავით კურაპალატის ფულის წონა 3,05—3,10 გრამამდის იწონიდა. მაგრამ ბაგრატ III-ის დროის დრამის, ანუ თეთრის წონა 1,78 გრამს აღარა სცილდება. ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის ფულების კი თითქმის მხოლოდ 1 გრამიანები იყო. ხოლო დავით აღმაშენებელის ფული ამაზე უფრო სუბუქები იყო და ჩვეულებრივ 0,87-0,87 გრამს იწონიდა. XII ს. დამდეგითგან მოყოლებული მეზობელ სახელმწიფოების მსგავსად საქართველოშიაც შეწყდა ვერცხლის ფულების მოჭრა (ე. პახომოვი Монеты Грузии I, 80 და სხვაგან). 1230 წ. ახლო ხანებში რუსუდანის მეფობაში თეთრი ფულის მოჭრა კვლავ განახლებულა. XIII ს. დამდეგითგან მეზობელ სახელმწიფოებშიც ისევ ჩნდება ვერცხლის ფული. რუსუდან მეფის დროს მოჭრილი თეთრი ორი ზომისაა: დიდი, რომელიც 2,83—2,43 გრამიანებია და მომცრო, რომელიც ნაჭედობითაც განსხვავდება და წონითაც მხოლოდ 1,26—1,25 გრამს შეიცავს. რაკი მომცრო ზომის თეთრი წონით დიდი თეთრის თითქმის ნახევარს შეადგენს, ამიტომ ნუმიზმატების აზრი, რომ ის ნახევარი დრამა, ანუ თეთრი უნდა იყოს, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს (ე. პახომოვი, იქვე, 121—123).

ერეკლე მეფის დროინდელი ვერცხლის ფულის შესახებ წერილობითი ცნობებია შენახული 1772 წ. გულდენშტედტის მიერ დაწერილ შრომაში. მისი სიტყვით, აბაზიანი 50 გრანს იწონიდა. რაკი სხვა ქართული ფულების ზემომოყვანილი წონა გრამებად არის ნაანგარიშევი, ამიტომ უნდა 50 გრანიც გრა-

მებად ვაქციოთ. 50 გრანი უდრის 3,125 გრამს. ამგვარად ირკვევა, რომ ერეკლე მეფის დროინდელი ვერცხლის აბაზიანი 3,125 გრამს ვერცხლს იწონიდა. ე. ი. იმდენსვე, რამდენსაც სასანურ-ქართული და დავით კურაპალატის ფულები.

ზემომოყვანილ ცნობებს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართული ვერცხლის ფულის წონა, ხანმოკლე გამონაკლისს გარდა, როდესაც საამისოდ განსაკუთრებული მიზეზიც იყო, თითქმის ერთი და იგივე დარჩენილა. საყურადღებოა ამასთანავე, რომ ჩვეულებრივ ქართული დრამა, ანუ თეთრი წონით მერმინდელს XVII—XVIII სს. ვერცხლის აბაზიანს უდრიდა, ხოლო რუსუდანის 1/2 დრამა ორშაურიანს. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ მხოლოდ ფულების სახელები შეიცვალა XVII ს-ში და სპარსული იყო შემოღებული, თვით ფულის წონითი ოდენობა კი თითქოს არსებითად უცვლელი უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ შაურიანის თანა პატარა ვერცხლის ფული ძველი დროისათვის ჯერ მაინც არ არის აღმოჩენილი. მაგრამ ეს რთული საკითხია და ჯერ კიდევ გულდასმით დაკვირვება სჭირდება. შეძლებისდაგვარად საკითხი შემდეგ თავში იქნება განხილული ფულის სისტემის საკითხთან ერთად.

XVI ს. მეორე ნახევრითგან შემოდის ქართულში ფულის სახელად „შ ა უ რ ი“-ც 1569 წ. ერთს სიგელში იხსენიება ბეგარად „ორი შაურის საკმეველი“ (ს. კაკ. დას. საქ. საბ. I, 20_{27}). სვიმონ მეფის 1590 წ. მეკობრეთმძებნელ ჯავახიშვილი გოშფარისა და ლარასძე ყარაიგჩისათვის ნაბოძებს სიგელში მაგ., წერია: „ვინც კბილი ჩააგდებინოს, იმას უკეთეს სამასი შაური, საშუალო ორასი და უქუედაეს ასი შაური აზღვევინონ. ვინც ვის თავი გაუტეხოს, უკეთეს, ასი შაური, საშუალს სამოცი და უქუედაეს ორმოცი შაური აზღვევინონ“ (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 24).

შემდეგ შაური ხშირად გვხვდება. მაგ., 1611 წ. ბოლნისის სიგელშიაც ნათქვამია: „საწირავად... მანგლელისათუის შაური ორი, მთავარდიაკონსა შაური ერთი“ (ისტ. საბ. IV, 8). იგი ჩვეულებრივ ერთეულად არის ქცეული, როგორც აღმოსავლეთ, ისევე, ან უფრო ნაკლებ, დასავლეთ საქართველოშიაც (შეად. გულდენშტედტის Reise 357 და 392).

რაკი „შაური“ საფასეს ერთეულის სახელად XVI ს-ითგან შემოდის, თავისდათავად იბადება საკითხი, ეს ახალი სახელი წინათაც არსებული ერთეულის სახელია, თუ სახელთან ერთად თვით ერთეული ახალი იყო, როდესაც საქართველოში „შაურის“ ხმარება დაიწყეს? სხვადასხვა საბუთებითგან ჩანს, რომ თითქოს მხოლოდ სახელი უნდა გამოცვლილიყოს, თვით ერთეულის ოდენობა კი წინათაც ყოფილა. აბაზში ოთხი შაური ითვლებოდა და შაური აბაზის მეოთხედს უდრიდა. ჯერ კიდევ XVIII ს. მეორე ნახევარში შაურის მაგიერ ამ ერთეულის ძველი სახელიც იყო შერჩენილი. 1787 წ. ერთს ვალის წიგნში ნათქვამია: „ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი“ (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 522). ამ წინადადების გამონათქვამი „ოთხ დანგიანი აბაზი“ უდრის ოთხშაურიან აბაზს. მაშასადამე, „დანგი“ შაურის შესატყვისი ერთეულის სახელად არის ნახმარი. ხოლო რადგან დანგი ძველი ტერმინია და თვით სახარების ქართულ თარგმანში გვხვდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ შაურმა XVI ს-ითგან სწორედ ძველი ერთეულის „დანგის“ სახელი დაიკავა.

უკნინეს ფულის ერთეულის აღსანიშნავად სახარების უძველეს ხანმეტ ქართულ თარგმანში „დ ა ნ გ ი“ არის ნახმარი (მათე X, 29). ბერძნულ ტექსტში

აქ τὸ ἀσσάριον-ია, რაც ფულის უუმცირეს ოდენობასა ნიშნავდა: ჰადიშის სახარებაში „დანგი“ დაცულია, მაგრამ ოპიზისა და ტბეთის სახარებებში კი უკვე ბერძნული სიტყვა „ასარი“ წერია.

მაშასადამე, ეს ტერმინი საფასის ერთ უძველეს ტერმინთაგანად უნდა იყოს ცნობილი. მაგრამ იგი, როგორც ნათქვამი იყო, შემდეგშიაც იხმარებოდა როგორც მწერლობაში, ისევე ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი ცოცხალი იყო თვით მეთვრამეტე საუკუნეშიაც. ათაბაგ აღბუღას თავის სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამი აქვს: „დიდისა წარჩინებულის მეფისა გიორგის თეთრი გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმიდაჲ ვეცხლი“-ო. ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ XIV ს-შიც გიორგი ბრწყინვალის (გიორგი დიდისა და წარჩინებულის სახელით ალბათ ეს მეფე უნდა იგულისხმებოდეს) თეთრის შემადგენელ ნაწილს, ერთ-ერთ ერთეულს დანგი რქმევია. დანგი სპარსული دانک დანეკ-ისაგან არის წარმომდგარი. სპარსულში იგი დირჰემს ან დრამის $1/4$-ს უდრიდა (იხ. ცენკერის ლექსიკონში ჰინდოღლუსაგან ამოღებული ამის შესახები ცნობა). ხოლო 1787 წ. ერთს ვალის წიგნში მოხსენებულია „ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი“ (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 522). ამგვარად, თვით იმ დროსაც, როდესაც ქართულში „აბაზი“ და „შაური“ ტერმინებად შემოვიდა, ძველისძველი „დანგი“ კვლავინდებურად ცოცხალი ყოფილა და იხმარებოდა. ზემომოყვანილი ამონაწერი რომ ერთ რომელიმე ნაკითხი მწიგნობრის ნასიბრძნად არ შეიძლება ჩაითვალოს, ამას ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის უძველესი 1672 წ. გადაწერილი ხელთნაწერიც ამტკიცებს. სადაც გიორგი ბრწყინვალის ფულის შესახები ზემოაღნიშნული ცნობის გასწვრივ კიდეზე ტექსტისავე ხელით წერია: „ორიანი ხუთი დანგი ერთი აბაზია“-ო.

მაშასადამე, შენახულ ცნობებისდა მიხედვით „დ ა ნ გ ი“ უძველეს დროითგან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე ცოცხალი ნუმიზმატიკური ტერმინი ყოფილა. „დანგი“, როგორც ეტყობა, სულ ცოტა ორგვარი ყოფილა „ორიანი დანგი“ და, რასაკვირველია, „ერთიანი“.

ყველა ზემომოყვანილი ცნობებითგან ჩანს, რომ „დანგი“ პატარა ნუმიზმატიკური ერთეულის სახელი ყოფილა. აბაზში ხუთი ან ოთხი დანგი ითვლებოდა. მაშასადამე, იგი აბაზის ან $1/5$, ან $1/4$ უდრიდა. თუმცა პირველ შემთხვევაში ორიანი დანგია აღნიშნული, მეორე შემთხვევაში კი მარტივად დანგია დასახელებული ისე, რომ თითქოს ერთიანი დანგი უნდა იყოს ნაგულისხმევი ორიანის მაგიერ, მაგრამ საფიქრებელია, რომ მეორე შემთხვევაშიც ორიანი დანგი იგულისხმება და განსხვავება კურსით უნდა აიხსნებოდეს. აქ რომ განსხვავება დანგის ორიან-ერთიანობაზე ყოფილიყო დამყარებული, მაშინ თუ აბაზში ორიანი დანგი ხუთი ითვლებოდა, ერთიანი აბაზში 10 დანგი უნდა ყოფილიყო და არა ოთხი, როგორც 1787 წ. ცნობაშია ნათქვამი.

XVII—XVIII სს. უუკნინეს ერთეულს „ე რ თ ი ფ უ ლ ი“ ეწოდებოდა. საბას აქვს აღნიშნული, რომ „ბისტი ოთხი ფული“ იყო, ხოლო „შაური ათი ფულის ვერცხლი იყო“ (ლექსიკ). ფული „ფულ“-ის სახით უკნინეს ერთეულად ამდროინდელ სპარსეთშიაც არსებობდა, მაგრამ იქ ერთ აბაზში 40 ფული ითვლებოდა[4]. ჯერ კიდევ გამოსარკვევია, ქართული ფული სპარსულ ფულ پول-ისაგან წარმოსდგა თუ ძველი ტერმინია. გ. მთაწმიდელის სიტყვებითგან

[4] Puli... gelten to einen Abas (Olearius. Beschreibung der newen orient Reise 425).

ცხადადა ჩანს, რომ უკვე XI ს-ში საფასის უკნინეს ერთეულს „ფოლი“ რქმევია. მას თორნიკის თავდაბლობის დასასურათებლად აღნიშნული აქვს, რომ მონასტერში, ისეთი სიმდიდრის მომტანი, როგორიც იოანე თორნიკე იყო, ისე ემორჩილებოდა იოანე ათონელის ყოველსავე სიტყვას, რომ „უკეთუმცა შესაძლებელ იყო თჳნიერ მისისა ბრძანებისა... არცამცა სიტყვაჲ ერთი აღმოეთქუა და არცა თუ ფოლისა ერთისა ზედა უფალ იყო“-ო (ც˜, ი˜ესი და ეფთ˜მსი 14). მაშასადამე, უკვე აქ იხსენიება „ფოლი ერთი“ ვითარცა საფასის უკნინესი ერთეული. იგი ბიზანტიური φόλλις ფოლლისისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. თუ არ ვცდები, სხვაგან „ფოლი“ ძველ ქართულ მწერლობაში, ჯერჯერობით მაინც, არსად გვხვდება.

ტურნეფორი ამბობს, რომ შაურიანი 10 ფულს, ანუ „კასბეგის“[5] შეიცავდა (Voyage du Levant I, 131). ისე გამოდის, თითქოს ამ დროს საქართველოში ტერმინი „კ ა ს ბ ე გ ი“ მიღებული ყოფილიყოს. ეს სიტყვა არაბულ-სპარსულია და სპარსეთში მართლაც მიღებული იყო. გერმანელ მოგზაურს ოლეარიუსს თავის 1637 წ. სპარსეთში მოგზაურობის აღწერილობაში მართლაც აღნიშნული აქვს, რომ სპარსული სპილენძის ფული, რომელსაც ზოგადად „ფული“, სახეობით კი „კასბეგი“ ეწოდება, აბაზში 40 ითვლებოდა[6] (Olearius, Beschreibung der neuen orientalischen Reise, 1647, გამ., გვ. 425). მაგრამ ქართულ წყაროებ'ში ეს ტერმინი არ გვხვდება.

„მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი“ ან დამახინჯებულად „მ ი ლ ა ნ თ უ ნ ი“ ქართული სიტყვაა და ტერმინი არ არის და 1000 ალთუნს ნიშნავს ეს სიტყვა შედარებით გვიან შემოდის სპარსეთიდგან, მაგრამ იქაც იშვიათად იჭრებოდა. აღსანიშნავია, რომ ოლეარიუსი თავისს 1637 წ. სპარსეთში მოგზაურობის აღწერილობაში სპარსულ ფულთა შორის მინალთუნს არ იხსენიებს (იხ. Beschreibung d.n. orient Reise გვ. 425—426). საყურადღებოა აგრეთვე, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა არა აქვს შეტანილი. ვახტანგ VI-ს კი სამართლის წიგნში, თეთრის გარიგების კარში განმარტებული აქვს, რომ „ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის“ (§ 16). როგორც აკ. გჳლდენშტედტის ცნობეზითგანა ჩანს, 1772 წ. საქართველოში მინალთუნი არც ქართული, არც სპარსული არ ყოფილა (Reisen durch Russland und im cauc. Gebürge 357—359).

აბაზსა და შაურს გარდა სპარსულითგანვე შემოსულია ქართულში „ბ ი ს ტ ი“-ც. საბას განმარტებით „ბისტი — ოთხი ფული“ იყო (ლექსიკ) ბისტს სპარსულ ფულთა შორის ოლეარიუსიც იხსენიებს თავის 1637 წ. მოგზაურობაში და ნათქვამი აქვს, რომ შაჰურის შემდგომ, რომელიც აბაზის მეოთხედი ნაწილი იყო, ბისტია, რომლის ორ ნახევარი შაურად ფასობსო[7] (Beschreibung d. n. orient. Reise გვ. 425). მართლაც, ქართული აღრიცხვით, რაკი ბისტში 4 ფული იყო, შაური თუ $2^1/_2$ ბისტად მივიღეთ, გამოვა 10 ფული, რაც სრულს სიმართლეს წარმოადგენს. მაგრამ საბუთებითგან არა ჩანს, რომ საქართველოში ბისტი მოჭრილიყოს. ანგარიშში და საბუთში კი იხსენიება.

---

[5] შეცდომით „carbeguis“ არის დაბეჭდილი.

[6] in gemein Puli, In specie über kasbeki.

[7] „die Bisti, deren dritalb auf eijen Schahi gihen“.

აფხაზეთის კათალიკოსის გამოსავლის დიდ დავთარში გვხდება ტერმინი „ბ ი შ ტ ი“, მაგ., ხონის მოსაკრებლობაში ნათქვამია: მართებს გიორგი მაჭარაძეს „ერთის ბიშტის ყველი“-ო (გვ. 15), აქ ჩვენ იმგვარივე გამონათქვამი გვაქვს, როგორიცაა „ათის თეთრის საკლავი“, ან „ორის თეთრის თევზი“ და სხვა ამგვარი, ამიტომ აზრისდა მიხედვით „ბიშტი“ ფულის ერთეულის სახელი უნდა იყოს. თუ ეს მიხვედრილობა მცდარი არ არის, მაშინ „ბიშტი“ უნდა ბისტის შესატყვისობად ვიცნათ.

აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი ბეგარის დიდ დავთარში „ხ ი ბ ლ ა ს ა“ (გვ. 19—24), „ხ ო ი რ შ ი“ (გვ. 29), „თ ი ლ ი თ ი ს“ (გვ. 33—36), „ხ ა უ ჟ ე ლ ი ს“ (გვ. 36—39) მოსაკრებლობის აღნუსხვილობაში შემდეგი უცნაური გამონათქვამები და ერთი იშვიათი ტერმინი გვხვდება: „ერთი ქანდაქის საყანე ღორი“ (გვ. 19), ან „საკლავისა ქანდაქი და სამოგუე“ (გვ. 33—39), ან „ორი ქანდაქი კმ῀ლი ბეგარაჲ, „ოთხი ქანდაქი კმ῀ლის ბეგარისა“, „სამი ქანდაქი ბეგარა“ ოთხი ქანდაქი ბეგრისა“, „ბეგრისა ორი ქანდაქი“, „კმ῀ლის ბეგრისა ორი ქანდაქი“ (გვ. 33—35 და სხვაგვარადაც). რას უნდა ნიშნავდეს ქანდაქი იმ შემთხვევებში, როდესაც მას მარტო ან რიცხვითი რაოდენობა, ან გამონათქვამი „კმ῀ლის ბეგარისა“ სდევს თან, თავისდათავად ძნელი გამოსარკვევია. მხოლოდ ასეთი გამონათქვამი, როგორიცაა, „ერთი ქანდაქის საყანე ღორი“ გვაფიქრებინებს „ათის თეთრის საკლავის“ ანალოგიით, რომ ამ შემთხვევაში „ქანდაქი“ თითქოს საფასის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. მართლაც, „ხიბლას“ მოსაკრებლობაში ბევრგან წერია კიდეც პირდაპირი ან „ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი“ (გვ. 19—24), ან კიდევ „ერთის ქანდაქის ფასი საყანე საკლავი“-ო (გვ. 20).

არც საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში მოეპოვება ცნობა ქანდაქის შესახებ, არც სხვა რაიმე წყაროებში, თუ რა საფასე უნდა ყოფილიყო.

უცხოეთის ფულთაგან XVIII ს-ში იხსენიება „ქ ე ს ა“. იესე ოსესშვილს თავის თავგადასავალის აღწერილობაში ნათქვამი აქვს სხვათა შორის: „მამა ჩემი ბარძიმ ერისთავს ორისის ქესის თავდებად დასდგომოდა... ეს ორი ქესა თეთრი თავს დაედვა“ მამა ჩემსაო (გვ. 6). ვახტანგ მეფის განმარტებით, „ოცდაათ თუმანს ურუმნი ერთს ქესას ეძახიან“ (სამართლის წიგნი, კარი თეთრის გარიგებისა, § 16). მართლაც, کسه ან کیسه ქესაჰ, ქისა არაბულ-სპარსული სიტყვაა და თავდაპირველად ქისას, საფულესა ნიშნავს, შემდეგ ოსმალურში გავსებული ქისის ფულის ოდენობას, ამჟამად 500 პიასტრს უდრის. ქართულში ეს ტერმინი იშვიათია.

აკად. გულდენშტედტის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში 1772 წ. ქართულ ფულებს გარდა სპარსული, თურქული, ევროპიული და რუსული ფულიც ტრიალებდა. რუსული მხოლოდ ერთი ფულის ნიშანია დასახელებული იმგვარადვე როგორც ევროპიული.

ქართული ფულის შემდეგი ერთეულები უნახავს მას საქართველოში ყოფნის დროს:

1) ერთი „ფული“ — სპილენძის რგვალი ან კუთხოვანი მოყვანილობის ფული იყო და $2^1/_2$ დრახმას იწონიდა.

2) შაურიანი ვერცხლის ფული იყო, 10 ქართულ ფულს შეიცავდა, $12^1/_2$ გრანს იწონიდა.

3) უზალთუნი, ვერცხლისავე ფული იყო. 25 გრანს იწონიდა და 2 შაურს უდრიდა.

4) აბაზი, ვერცხლის ფული იყო, 4 შაურს შეიცავდა, 50 გრანს იწონიდა.

5) სამი აბაზიანი, ე. ი. ქართულად მარჩილი, $2^1/_2$ დრახმიანი ვერცხლის ფული იყო.

ყველა ზემოაღნიშნული ფულები საუკეთესო ვერცხლითგან ყოფილა მოჭრილი. ამ ფულთაგან ყველაზე უფრო აბაზიანი ყოფილა გავრცელებული.

ბაზარში შეხვდებოდა ადამიანი ოსმალთა ბატონობის დროს მოჭრილ ქართულ შაურიანს და სპარსთა ბატონობის დროს მოჭრილს უზალთუნიანს და აბაზიანებს, თუმცა ამ დროს უკვე ეს აბაზიანები ძნელი საშოვარი ყოფილა.

საკუთრივ სპარსული ფულითგან გავრცელებული ყოფილა: $2^1/_2$ აბაზიანი, ანუ ათშაურიანი, რომელიც 3 დრახმასა და 6 გრანს იწონიდა, $1^1/_2$ აბაზიანი, ანუ 6-შაურიანი, რომელიც 52 გრანს იწონიდა, $^1/_2$ აბაზიანი ანუ 2 შაურიანი, მოგრძო ოთხკუთხედი მოყვანილობის აბაზიანი, რომელიც 50 გრანს იწონიდა და სამგვარი კიდევ სხვა სპარსული აბაზიანები 1700 წლისა 1 დრახმისა და 25 გრანი ვერცხლის შემცველი, 1730 წლისა, რომელიც 1 დრახმასა და 15 გრანს და 1769 წლისა, რომელიც მხოლოდ 1 დრახმა ვერცხლს შეიცავდა. ამას გარდა ევროპიული დუკატებიც იშოვებოდა, რომელთაც ქართველები „ოქროს" ეძახდნენ, და რუსული იმპერიალი, ქართულად თუმნად წოდებული (I. A. Güldenstädt. Reisen durch Russland u. im Caucas. Gebürgen 356—359).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ვიცით, საკუთარი ფული არ ჰქონია და აკად. გულდენშტედტის სიტყვით 1772 წ. უმთავრესად ოსმალური ფული ყოფილა გავრცელებული, ტრიალებდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს და სპარსული ფულიც, ყირიმისა და იშვიათად რუსულიც. ოსმალთა უკნინესი ფული „ფარა" აღებმიცემობაში თურმე რუსულ $1^1/_2$ კაპ. უდრიდა ღირებულობით. შემდეგ „ხუთფარიანი", „ათფარიანი", „ოცფარიანი" ოსმალური ფულების ქართული სახელები იყო, კუშში, რომელიც 39 ფარიანი იყო, და მარჩილი, რომელიც 52 ფარას შეიცავდა. რა ერქვა ოსმალურად მარჩილს, გულდენშტედტს აღნიშნული არა აქვს. ოსმალური ოქროს ფული დუკატიც მოიპოვებოდა და 120 ფარად ფასობდა თურმე. ქართული ფულებითგან უფრო აბაზიანი და შაურიანი ყოფილა გავრცელებული. რუსული იმპერიალები ძნელი საშოვარი იყო, რადგან ოქროს ნივთების გასაკეთებლად გადასადნობ მასალად უხმარიათ (Reisen etc, 390—393).

თავი მეორე

ფულის სისტემა და ფულის მოჭრის ტექნიკა

საკითხი ქართული საფასის ლითონის ნიშნების სისტემისა და ანგარიშის ერთეულის შესახებ არა ერთხელ ყოფილა აღძრული სპეციალურ მწერლობაში და თითქოს საბოლოოდ გადაჭრილადაც ითვლება. მაგრამ არც ერთი საფუძვლიანი და ყოველმხრივი გამოკვლევა დაწერილი არ ყოფილა, რომ ყველა ის ცნობა, რომელიც მოიპოვება, განხილული და გათვალისწინებული ყოფილიყოს და არავითარი ეჭვი არ იბადებოდეს. უძველესი და მერმინდელ ქართული ფულების ერთეულებს ღირებულების შესახებ მათ ზედაწერილებში არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ. მხოლოდ ზოგიერთს აქვთ ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა ჯერ გამორკვეული არ არის.

ვახტანგის კანონებისა და დასტურლამალის წყალობით, აგრეთვე საბა ორბელიანის ლექსიკონითგანაც ვიცით, რომ XVIII ს. დამდეგითგან მოყოლებული მაინცდამაინც ფულის სხვადასხვა ნიშნების შესახებ უკვე მტკიცე დებულება არსებულა და ანგარიშის წესიც შემუშავებული ყოფილა. ასეთ პირობებში, ცხადია, ფულის ანგარიშის ერთეულიც უნდა არსებულიყო.

რადგან დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს თავიანთი საკუთარი ფული არ ჰქონიათ, ამიტომ ქართული ფულის სისტემის შესწავლა XVI—XVIII სს. მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოს შესახებ ცნობებზე უნდა იყოს დამყარებული.

საქართველოს სახელოვან კანონმდებელს საკმაოდ ვრცელი განმარტება ჩაურთავს თავის სასამართლო წიგნში და დასტურლამალში ფულის სისტემისა და სახელების შესახებ, რომელსაც „თეთრის გარიგებას" უწოდებს. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წიგნში ეს დებულება ვახტანგ მეფეს იმიტომ შეუტანია, რადგან სასჯელი უმთავრესად ფულად დაურვებაზე იყო დამყარებული. ამიტომ მოსამართლესთვის რომ სასჯელის შედარებითი რაოდენობა ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი, მაშინდელი ფულის სისტემა ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა. ვახტანგ მეფეს ნათქვამი აქვს: „ეს თეთრის გარიგება ამიტომ დავსწერეთ რომე თუ კაცმან ეს არ იცის, ან შაური, ან უზალთუნი, ან აბაზი ან ასლანი, ან მისხალი ან ფლური, ან ხუთი აბაზიანი ან თუმანი რა ერთი არის. სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს"-ო (ვახტანგის კანონი § 15). ამ ქართული ფულის ერთეულების ვახტანგ მეფის განმარტებაში ქართული წონის სისტემაც არის ახსნილი, რადგან თვით ფულის ანგარიში ამავე წონის სისტემაზე ყოფილა დამყარებული.

სახელოვან კანონმდებელს ნათქვამი აქვს სახელდობრ:

„ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის და ასრე იანგარიშების: ოთხის ხაშხაშის მარცვალი ერთის ფეტვის მარცულის წონა არის. ოთხი ფეტვის მარცვალი ერთი ცერცვის მარცულის წონა არის. ოთხი ცერცვის მარცუალი ერთი

დანგი არის. ერთის ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან. ექუსი დანგი გინა ოცდა ოთხი ყირათი ერთი მისხალი იქმნების. ერთი მისხალი ორშაურ ნახევრის წონა არის" (ვახტანგის კანონი § 16).

თუ ვახტანგ მეფის მიერ აღწერილს წონის სისტემას ჩაუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ იგი ოთხობითს აღრიცხვაზეა დაფუძნებული:

4 ხაშხაშის მარცვალი = 1 ფეტვის მარცვალს.
4 ფეტვის მარცვალი = 1 ცერცვის მარცვალს.
4 ცერცვის მარცვალი = 1 დანგს.

მხოლოდ დანგის რაოდენობითი დამოკიდებულება მისხალთან არღვევს ამ წესს, რადგან ნათქვამია, რომ 6 დანგი = 1 მისხალს. მაგრამ, უეჭველია, ამ წონით სისტემაში თავდაპირველად დანგ-მისხალის შეთანასწორება იმავე ოთხობით აღრიცხვაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. მართლაც, სპარსულში ფაჰლაურად დანგ, საითგანაც ეს სიტყვა ჩვენს წინაპრებს შეთვისებული აქვთ, იყო quarta pars dirhemi (Hübschman Arm. Gram. 134), დრამის 1/4 ითვლებოდა. მაშასადამე, იქ 4 დანგი = 1 დირჰემს. მხოლოდ ასურულად დანგი იყო sexsta pars dirhemi (Hübschman იქვე 134). შემდეგში სპარსეთშიაც გვხვდება ამგვარი აღრიცხვა. საქართველოსაც ამგზითვე უნდა ჰქონდეს შეთვისებული დანგის უკანასკნელად მოხსენებული შეთანასწორება, რომელიც მთელ ოთხობით აღრიცხვაზე დამყარებულ ზემომოყვანილ სისტემას არღვევს.

განსაკუთრებით საგულისხმო ის გარემოებაა, რომ ეს ოთხობითი წონითი აღრიცხვის სისტემა არსებითად განსხვავდება ქართული სავაჭრო ანგარიშის წარმოებისა და თვით ფულების აღრიცხვის სისტემისაგან. ცნობილია, რომ ქართული სავაჭრო და საფინანსო ანგარიშის წარმოებაში ფულების რაოდენობის აღსანიშნავად განსაკუთრებული ასოებით გამოსახული ნიშნები იყო მიღებული. ამისდა მიხედვით და თანახმად „ერთი ფულის" აღსანიშნავად „ე" იხმარებოდა. ამგვარადვე ქართული ფულის სხვა ერთეულების აღსანიშნავადაც სავაჭრო ანგარიშის წარმოებაში ამგვარივე ასო-რიცხვითი წესი იყო გაბატონებული, მაგ., ერთი შაურის ნიშნად „ნ" იწერებოდა, ორი შაურის ნიშნად „რ", ერთი აბაზისათვის — „ს", ორი აბაზისათვის — „უ", ათი შაურისათვის — „ფ", სამი აბაზისა, ანუ მარჩილისათვის — „ქ", ერთი მინალთუნისა, ანუ ხუთი აბაზისათვის — „ჩ" და სხვა. ცნობილია, რომ რუსეთის ბატონობის პირველ ხანაში რომ თბილისში ქართული ფულები იჭრებოდა, ზედ შავ ფულს ეწერა: უმცირესს „ე ქართული ფული", ამაზე ერთიორად მოზრდილს — „ი ქართული ფული", ამაზე ერთიორად დიდს — „კ ქართული ფული" — ვერცხლის, ანუ თეთრ ფულს ეწერა: ორშაურიანს — „რ ქართული თეთრი", აბაზიანს — „ს ქართული თეთრი" ორაბაზიანს — „უ ქართული თეთრი". ამ ფულების ნიშანასოების რიცხვითი მნიშვნელობა კარგა ხანია ცნობილია, რომ „ე" 5-ს, „ო" — 10-ს, „კ" 20-ს, „რ" 100-ს, „ს" 200-ს და „უ" 400 ნიშნავს, ეს ცხადი იყო.

საკმარისია ადამიანმა ამ ორს ფულის აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების სისტემას თვალი გადაავლოს, რომ დარწმუნდეს, რომ იგი ათობითს პრინციპზეა დაფუძნებული და ერთი ფულის გარდა, რომელსაც ნიშნად 5 აქვს და უწერია, დანარჩენი ერთიმეორეს ათით ან ასით აღემატება. ცხადია, რომ ეს ფულის ნიშნების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების სისტემა არსებითად განსხვავდება იმ ოთხობითი წონითი სისტემისაგან, რომელიც ვახტანგ მეფის სიტყვით ქართული ფულის ანგარიშის საფუძვლად უნდა ყოფილიყო. ცხადია,

ეს ორი სხვადასხვა სისტემაა, რომელიც, უეჭველია, ხნოვანობითაც და იქნებ სადაურობითაც უნდა განსხვავდებოდენ ერთი მეორისაგან: ერთი მათგანი შედარებით უფრო ახალი იქნება.

თუ ქართული ანგარიშის წარმოებაში მიღებული და ფულებზე წარწერილი ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა ადვილი მისახვედრი და მკვლევართა შორის საყოველთაოდ ცნობილი იყო, იმის შესახებ თუ აღრიცხვის რა ერთეული იგულისხმებოდა ყველა ამ შემთხვევაში, რას ნიშნავდა ის 5, 10, 20, 50, 100, 200 და 400, რომელიც ფულების რაოდენობის ანგარიშებში ჩასაწერად იხმარებოდა ფულზედ ეწერა, ამის შესახებ მკვლევართა შორის თანხმობა არ არსებობს. ფრანგი ნუმიზმატის შოდუარის (Chaudoir) აზრით ორ აბაზიანზე წარწერილი 40, აბაზიანზე — 20 და ორშაურიანზე — 10 ვითომც ქართული თეთრის რაოდენობას უნდა ნიშნავდეს, ხოლო სპილენძის ფულებზე წარწერილი რიცხვები ვითომც 2, 1 და 1/2 ქართული ფულის რაოდენობას უნდა ნიშნავდეს (იხ. Aperçu sur les monnaies russes c. IX). აქ ავტორს თეთრი შავი ფულეშის ზედაწერილისთვის ყურადღება არ მიუქცევია ან არადა ქართულის უცოდინარობის გამო წაკითხვის დროს ცხადი შეცდომა მოსვლია იმიტომ, რომ ამ ფულებს სულ სხვა რიცხვები აწერია და უუმცირეს ერთს „ქართულს ფულს“ ნიშნად ხუთი აქვს და არა 1/2.

მ. ბროსეს აზრით კი ორაბაზიანის 400, აბაზიანის 200, ორშაურიანის 100 ქართული თეთრის რაოდენობას აღნიშნავს, შავი ფულის 20, 10 და 5 კი ვითომც ქართული ფულის რაოდენობას ნიშნავდეს (Introduction à l'histoire de la Géorgié, Journal Asiatique 1875, p. p. CLXXXVI-CLXXXVIII). მაგრამ ბროსეს აზრიც რომ სწორი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ იმ ფულის ნიშანს, რომელსაც 5 აწერია და ბროსეს აზრით ვითომც ხუთ ფულს უნდა შეიცავდეს, ქართულ ანგარიშის წარმოებაში სწორედ „ერთი ფული“ ეწოდებოდა და არა ხუთი ფული, როგორც უნდა რქმეოდა ბროსეს თეორია რომ მართალი ყოფილიყო.

ფრანგი მეცნიერი ვიქ. ლანგლუაც ბროსეს აზრს ემხრობა და ფიქრობს, რომ ვერცხლის ფულზე ზედწარწერილი რიცხვები ვითომც თეთრის რაოდენობას, ხოლო შავზე — ქართული ფულის რაოდენობას ნიშნავდეს (Victor Lànglois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquite jusqu'a nos jours. Paris. MDCCCLX, p. 131).

პროფ. ალ. ცაგარელსაც აქვს გამოთქმული თავისი შეხედულება ამ მეტად რთული საკითხის შესახებ. ის ფიქრობს, ვითომც ორ აბაზიანზე, აბაზიანზე, ორშაურიანზე და შავ ფულებზე აღნიშნული რიცხვები 400, 200, 100, 20, და 5 ძირითად ერთეულად, ქართულ ფულს გვაგულისხმებინებს. ეს თავისი განმარტება მას ცალკე არსად დაუბეჭდია, არამედ დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძისათვის გადაუცია, როდესაც ის ამის შესახებ შეჰკითხებია.

დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის ცნობილ შრომაში „Русские Монеты, чеканенные для Пруссии, Грузии 1804 — 1833, Польши и Финляндии СПб, 1895, გვ. III) ერთადერთ სწორე და უტყუარ შეხედულებად პროფ. ალ. ცაგარელის აზრია ცნობილი და მისი განმარტება მიღებულია თვით ამ მშვენიერი გამოცემის ავტორის მიერაც. მაგრამ პროფ. ალ. ცაგარლის განმარტება რომ მცდარია და რომ შეუძლებელია „უ“ (400) 400 ფულსა ნიშ-

ნავდეს, ამას შემდეგი გარემოებაც ცხადყოფს. ქართული ლითონის საფასურის აღრიცხვის საფუძვლად და უმცირეს ერთეულად „ფული“ რომ ყოფილიყო მიღებული, მაშინ „ერთს ფულს“ ან არაფერი უნდა სწერებოდა ზედ, ან ნიშნად „ა“, ე. ი. 1 უნდა ჰქონოდა. ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ქართული სავაჭრო ანგარიშის წარმოებაშიაც „ერთი ფულის“ აღსანიშნავად „ე“ ე. ი. 5 იყო მიღებული და თვით უკნინეს ფულსაც ზედ „ე“ 5 ასო-რიცხვი აწერია. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია „ე“ 5 ფული იგულისხმებოდეს, რადგან თვით ამ ერთეულს „ერთი ფული“ ეწოდებოდა. მაშასადამე, არც ასო რიცხვის „უ“, რომელიც ორაბაზიანს ზედ ეწერა და სავაჭრო ანგარიშშიაც ორაბაზიანის აღსანიშნავად იყო მიღებული უნდა ნიშნავდეს 400 ფულს. ესეც რომ არ იყოს დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ორაბაზიანი 400 ფული არც იყო. ორაბაზიანში 8 შაური იყო. ხოლო გერმანელ მეცნიერს გჱლდენშტედტს აქვს აღნიშნული, რომ შაური 10 ქართულ ფულს უდრიდა („Tschauri eine Silbermünze, an Werthe 10 georgische Puli.“, Reise I, 357). აქეთგან ცხადია, რომ ორაბაზიანში 80 ქართული ფული ითვლებოდა და არა 400; მაშასადამე, სრული უეჭველობით ირკვევა, რომ პროფ. ალ. ცაგარელის აზრიც მცდარია და ქართული ფულის ლითონის ნიშნების სისტემის საფუძვლად „ფული“ არ ყოფილა.

მაგრამ იქნებ ის შეფარდება, რომელიც ქართულ სავაჭრო ანგარიშში და ქართულ XIX ს. ფულებზე რიცხვითი აღნიშვნით იყო მიღებული, ახალია და ძველად სხვანაირი აღრიცხვა იყო, იქნებ წინათ უმცირეს ერთეულად „ერთი ფული“ არ ითვლებოდა? გერმანელი მეცნიერის გჱლდენშტედტის სიტყვით მტკიცდება, რომ 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოში უუკნინეს ნაშალ ფულს, რომელიც თურმე რგვალიცა და კუთხიანიც კეთდებოდა, „ფული“ ეწოდებოდა (Reise, I, 357), უეჭველია, აქ ნაგულისხმევია ქართული „ერთი ფული“. რადგან მისივე სიტყვით შაურიანში 10 ქართული ფული ითვლებოდა (იქვე). ამაზე უწინარესაც საქართველოში ამგვარივე შეფარდება ყოფილა მიღებული. ფრანგი მეცნიერი პროფ. ტურნეფორის ცნობითაც 1700 წელს საქართველოში ერთშაურიანში 10 „სპილენძის თეთრი“, ე. ი. იგივე ფული ითვლებოდა, ხოლო აბაზიანში 40 სპილენძის თეთრი ან ფული იყო (Voyage de Levant, t. I ამსტერდამის 1728 წ. გამოც.)[8]. საბა ორბელიანიც ადასტურებს ტურნეფორის ცნობების სიმართლეს, მასაც ნათქვამი აქვს: „შაური ათი ფულის ვერცხლია“-ო, ხოლო „აბაზი ოთხი შაური, 40 ფული არის“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, XVIII ს. დამდეგს და XVII ს. დასასრულს უმცირეს ერთეულად „ერთი ფული“ სპილენძის ნიშანი ყოფილა.

რაკი „ერთ ფულს ნიშნად „ე“ 5 უზის, მაშასადამე, შეუძლებელია ქართული ფულის სისტემის საფუძვლად „ფული“ ყოფილიყო მიღებული, არამედ სხვა რამე. გჱლდენშტედტს აქვს სხვათა შორის აღნიშნული რომ ერთი ფული $2^1/_2$ დრახმს იწონიდა ($2^1/_2$ Drachmen schwer, Reise I, 357) ეს ძვირფასი ცნობაა. აქედან ცხადია, რომ ერთი ფულის წონა $^5/_2$ დრახმი ყოფილა. ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს ქართული ფულის სისტემის საფუძველს მივაგნოთ. რაკი ერთი ფულს რიცხვითი ნიშანი ხუთი, ხოლო წონით $^5/_2$ დრახმა იყო, ცხადია, რომ აღრიცხვის ერთეულად $^1/_2$ დრახმა სპილენძი არის მიღებული.

[8] Un Chauri, .. vaut 10 Aspres de cuivre.. dont 40 font un Abagi.

ეს რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, ამას ქართული დანარჩენი ფულების ნიშნებიც ამტკიცებენ. შაურიანს ნიშნად „ნ“ ან 50 ჰქონდა. რატომ? იმიტომ რომ შაური, როგორც დავრწმუნდით 10 ფულს უდრიდა, ხოლო რაკი ერთ ფულში ხუთი $^{5}/_{2}$ დრახმის ერთეული ითვლებოდა. იმიტომ შაურიანშიც 50 ნახევარდრახმიანი ერთეული უნდა ყოფილიყო და სწორედ ეს ერთეულების რაოდენობა აქვს კიდეც ზედ წარწერილი. ორშაურიანს, რადგან ერთი ორად მეტია, ამის გამოვე ნიშნად „რ“ 100. აბაზიანსაც, რომელშიაც 4 შაური იყო სწორედ 200 ნახევარდრახმიანი ერთეული იყო და ამიტომაც არის, რომ მის ნიშნად „ს“ 200 იყო. ორაბაზიანსაც ამავე საფუძველით 400 უნდა წერებოდა ზედ და აწერია კიდეც. მაშასადამე, გამოირკვა, რომ 1) ქართული ფულის აღრიცხვისა და სისტემის ერთეულად $^{1}/_{2}$ დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული, 2) აღრიცხვა ლითონის წონით რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული და 3) რომ თვით ვერცხლის ფულის ერთეულებისათვისაც საფუძვლად სპილენძის წონითი რაოდენობა მიუღიათ. ამგვარად საქართველოში XVII—XVIII სს-ში მაინც ფულის სისტემა თითქოს ერთ ლითონური გამოდის და აღრიცხვის საფუძვლად სპილენძი ყოფილა დაწესებული. მაგრამ ყოველთვის ასე იყო, თუ არა?

ქართული ფულების ზემოაღნიშნული სისტემის სადაურობის გამოსარკვევად ეგების უმნიშვნელო არ იყო ის გარემოება, რომ თურქები და მათი გავლენით სპარსელები და შემდეგ XVIII ს-ში ჩვენი წინაპრებიც ორშაურიანს იუზალთუნს და ხუთაბაზიანს „მინალთუნს“ ეძახდნენ. იუზალთუნ თურქულად ას ალთუნს, ხოლო მინალთუნი — ათას ალთუნსა ნიშნავს. ქართულ ფულებზე და ანგარიშშიაც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ორშაურიანს, მართლაც „რ“ ანუ 100 ეწერა ზედ და ასე აღინიშნებოდა ხოლმე ანგარიშის დროსაც, მინალთუნისა, ანუ ხუთი აბაზისათვისაც მართლაც „ჩ“, ე. ი. 1000 იხმარებოდა. „ალთუნის“ მნიშვნელობა რომ გვცოდნოდა, მაშინ იქნებ მთელი ამ სისტემის საფუძველიც გაგვეგო ჩვეულებრივ ალთუნ آلطون، آلتون، آلتن ოქროსა ნიშნავს. ეს სიტყვა სწორედ ასეა განმარტებული XIV ს. ერთ თურქული და მონღოლური ენების სათარჯიმანო წიგნში, რომელიც პროფ. მელიორანსკიმ გამოსცა. ამ მნიშვნელობის გარდა ალთუნისათვის მას არაფერი აქვს აღნიშნული. მას მოეპოვება სიტყვა „ალტუნ“ آلتن რომელიც უთარგმანოთ აქვს დატოვებული, ხოლო მელიორანსკის განმარტებით ნიშნავს „ალტინ“ (П. М. Мелиоранский, Араб филолог о Турецком языке, СПБ. 1900, გვ. 071 და Араб филолог о Монгольском языке, ЗВОРАОб, т. XV, вып. II—III, 1904, გვ. 123). აღსანიშნავია, რომ ტერმინები ჲუზა ალთუნ და მინალთუნი ამ ლექსიკონებში არც კი მოიპოვება. შესაძლებელია ამიტომ დავასკვნათ კიდეც, რომ XIV ს-ში ამგვარი ტერმინები ჯერ არც კი ყოფილიყოს.

ცხადია, „ალთუნი“-ს ოქროს აღმნიშვნელობით მინალთუნისა და ჲუზალთუნის სახელების გათვალისწინება ვერას გვიშველის, რადგან სრულებით დაუჯერებელია, რომ ჲუზალთუნს, ანუ ვერცხლის ორშაურიანს 100 ნახევარდრახმიანი ოქრო ჰქონოდა საფუძვლად დადებული და მინალთუნს, ანუ ხუთაბაზიანს 1000 ნახევარდრახმიანი ოქრო ჰქონოდა.

მაგრამ ალთუნ, ან უფრო ჩვეულებრივი გამოთქმით რომ ითქვას „ალთინ“, წონითი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ძველ რუსეთში მონღოლთა ბატონობისა და გავლენის წყალობით ძალიან იყო მიღებული და გავ-

რცელებული XVI ს-იდან მოყოლებული XVII ს. დამლევამდე. ეს ტერმინი თურქული „ალთი“-საგან ითვლება წარმომდგარად, რაც ექვსსა ნიშნავს. ლაჲფციგის უნივერსიტეტის უიღურული და ჯაღატაური ენების ხელთნაწერი ლექსიკონის ცნობით (چکردك وزنی دانک التی) (Vocabolarium linguae Iguricae et Giaga taicae, იხ. ცენკერის ლექსიკონში) ალთი მარცვლის წონაა, დანკია. ცენკერის განმარტებით ალთინის წონითი მნიშვნელობა 6 გრანს უდრიდა. ძველი რუსული ფულის სისტემა თათრულ-მონღოლური ფულის სისტემაზე იყო დამყარებული. თვით ფულის სახელი რუსულად დენგი деньги, როგორც აღნიშნული იყო, მონღოლური ფულის „თანგა“-საგან არის წარმომდგარი. XV ს-ითგან მოყოლებული რუსულ ფულებზე ორგვარი გამოხატულება იყო ხოლმე: ერთგვარზე შუბიანი ცხენოსანი იყო გამოყვანილი, მეორეგვარ ფულებზე ხმლიანი ცხენოსანი ეხატა. 1535 წ. მოყოლებული დიდი ზომის ფულებს მხოლოდ შუბიანი ცხენოსანის სურათი ჰქონდა და ამიტომ რუსის ხალხმა „შუბიანი თანგა“ копейная деньга უწოდა (აქედან არის „კოპეიკა“) პატარა ტანის ფულებზე კი ხმლიანი ცხენოსანი ეხატა ხოლმე და მის გამო Мечевая деньга ხმლიანი თანგა დაერქვა. შუბიანი თანგას (копейная деньга) წესიერი წონა 0,682 გრამს უდრიდა, ხმლიანი თანგას, ანუ Мечевая деньга-სი კი 0,341 გრამს (პროფ. И. Кауфман, Сереб. рубль 65—66,67). თათრულ-რუსულ ალთინში XIV—XVII სს-ში სწორედ ექვსი ხმლიანი თანგა (Мечевая деньга) ითვლებოდა. ჰერბერშტაინსაც თავის აღწერილობაში აღნიშნული აქვს რომ მეფე ვასილი იოანნეს ძის დროს ალთინში 6 თანგა (6 денег) ირიცხებოდა (იქვე 71).

რაკი ალთინში 6 მომცრო თანგა ყოფილა, მაშასადამე, ალთინის წონითი ოდენობა უნდა 2,046 გრამი (0,341×6) ყოფილიყო, ანუ გრანებად 32,38 გრანი. ცენკერის სიტყვით კი ალტინ 6 გრანს იწონიდა, ე. ი. რუსულ ალთინზე 5-ჯერ და უფრო მეტად პატარა უნდა ყოფილიყო.

შესაძლებელია თუ არა რომ ქართული ფულის სისტემაში და რიცხვით აღმნიშვნელობაში ეს თათრული „ალთინ“ ყოფილიყო მიღებული? ამას ქართული ფულების რიცხვითი და წონითი ოდენობათა შედარება გამოარკვევს, თუ საფუძვლად „ალთინ“-ის წონას მივიღებთ. ქართული შაურიანის აღსანიშნავად „ნ“—50 იყო მიღებული ანგარიშში და ეს რიცხვივე ეწერა ზედ XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ თეთრს. წარმოვიდგინოთ, რომ შაურიანში 50 ალთინი ითვლებოდა. 1 ალთინი თუ 2,046 გრამმს უდრიდა, შაურიანში 102,3 გრამი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ შაურიანი სპილენძისა კი არა, ვერცხლის ფული იყო. ჩვენთვის კი მთავარი მნიშვნელობა შავი ფულის აღრიცხვის საფუძვლის გამორკვევასა აქვს. შაურიანში 10 ფული ითვლებოდა. ამიტომ 1 ფულში 10,23 გრამმი სპილენძი უნდა ყოფილიყო. აკად. გულდენშტედტისაგან კი ვიცით, რომ 1 ფული $2^{1}/_{2}$ დრახმას იწონიდა. $2^{1}/_{2}$ დრახმა (ალბათ ნურენბერგულ რუსული წონა იგულისხმება) რომ გრამებად ვაქციოთ, $2^{1}/_{2}$ დრახმა=150 გრანს, 150 გრანი კი 9,375 გრამმს შეადგენს. ალთინის საფუძველზე დამყარებული ანგარიშის მიხედვით კი 1 ფულში 10,23 გრამმი სპილენძი უნდა ყოფილიყო, ე. ი. მისი ნამდვილი წონითი ოდენობაზე 9,375 გრამმზე 0,855 გრამმით მეტი.

ამგვარადვე ქართული ერთი ფულის წონითი ოდენობისდა მიხედვით, რაკი ერთ ფულს ზედ „ე“ 5 ეწერა და ასევე აღინიშნებოდა ხოლმე ანგარიშ-

ში, ამიტომ ერთ ფულს, როგორც დავრწმუნდით, საფუძვლად ჰქონდა $2^1/_2$ დრახმი: 5, ანუ $^1/_2$ დრახმიანი სპილენძის ერთეული უნდა სდებოდა. გრამებად რომ ვიანგარიშოთ $^1/_2$ დრახმა = 9,375 გრამს : 5 = 7,875 გრამს. ქართულ ფულს კი რომ საფუძვლად თათრული „ალთინი" სდებოდა, უნდა 2,046 გრამმი გამოსულიყო და არა 1,875 გრამმი, როგორც ნამდვილად იყო. ამგვარად ცხადი ხდება, რომ თათრულ-რუსული „ალთინი" ქართული ფულის სისტემის საფუძვლად მიღებულ ერთეულს 0,971 გრამით სჭარბობდა.

ამავე საკითხთან დაკავშირებულია და მის გამორკვევასაც გააადვილებს საკითხი მონღოლურ-ქართული „თუმნის" მნიშვნელობის შესახებ. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ თუმანი მონღოლურად 10,000 უდრიდა და ფულად ნაანგარიშევი 10000 ოქროს დინარად ითვლებოდა. ქართულად კი, როგორც ვიცით, უკვე XVII ს. დამდეგს ათ მინალთუნს უდრიდა და არა 10000 ოქროს დინარს. გამოსარკვევია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ ტერმინის მნიშვნელობის ესოდენ დიდი ცვლილება. თუმანი სპარსეთში 3 მანეთიანს, ანუ 3 მინალთუნს უდრის.

ამ ტერმინის მნიშვნელობის ცვლილებას გარეგნულად მონღოლური 10000 აღმნიშვნელი თუმანთან თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ ადამიანი ჩაუკვირდება, სემასიოლოგიური პროცესის დედააზრსა და მიზეზს მიუხვდება. არსებითად ქართული თუმანი უმალ 10000 ერთეულის შემცველად წარმოგვიდგება, გავიხსენებთ თუ არა, რომ ქართული თუმანი 10 მინალთუნს უდრის, ხოლო მინალთუნი „ჩ"-ით, ანუ 1000-ით აღინიშნებოდა ხოლმე ქართულ ანგარიშში და ოდენობითაც 1000 ქართული ფულის ძირითადი ერთეული ნახევარდრახმიანის შემცველად ითვლებოდა. რაკი თუმანში 10 მინალთუნი იყო, ქართული თუმანიც 10000 ქართული ფულის ძირითადი ერთეულის, ნახევარდრახმიანი სპილენძის შემცველ ოდენობად გამოდის.

ცნობილია, რომ ქართული სავაჭრო და სამდივანმწიგნობრო საქმის წარმოებაში და დავთრებ-საბუთებში თუმანის აღსანიშნავად სიტყვა თუმანს კი არ წერდნენ, არამედ განსაკუთრებული ნიშანი იყო[1], რომელიც თუმანის რაოდენობის გამომხატველ ასორიცხვებს ზედ ჰქონდა მარჯვენითგან მარცხნივ გადაფარებული, მაგ., 5 თუმანი ასე იწერებოდა ე (ნიშნით). აქამდე ამ ნიშნის წარმოშობა გაუგებარი იყო. ახლა კი, როდესაც გამოირკვა, რომ ქართული თუმანი 10000 უკნინეს ძირითად ერთეულს შეიცავდა, საფიქრებელი ხდება, რომ ეს ნიშანი უნდა გადმოხრილად დაწერილი ასო მ „ჰოე"ს-გან იყოს წარმომდგარი, რადგან ქართულ ანგარიშში 10000 სწორედ ამ ასოთი აღინიშნებოდა და ახლაც აღინიშნება ხოლმე.

ამგვარად რიცხვობრივი შედგენილობით ქართული თუმანი მონღოლური თუმნისაგან, როგორც ირკვევა, არ განსხვავდება. მათ შორის არსებითი განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მონღოლური თუმნის ძირითად ერთეულად ოქროს დინარი იყო, ქართული თუმნისა კი ნახევარდრახმიანი სპილენძი. ამაზეა სწორედ დამყარებული ის ცვლილება, რომელიც ქართულ თუმანს მონღოლურთან შედარებით დაეტყო, როგორც მნიშვნელობით, ისევე სიდიდითაც, მაგრამ აღრიცხვის სისტემა ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე გამოდის.

---

1 სტამბებში შესაფერი ნიშანი არ აღმოჩნდა.

უეჭველია თუმნის ოდენობისა და მნიშვნელობის ამგვარი შეცვლა ფულის ძირითადი ერთეულის შეცვლასთან არის დაკავშირებული. ცვლილება უმთავრესად ძირითადი ერთეულის ერთბაში დიდჩამომცრობით ყოფილა განხორციელებული და ოქროს მაგიერ ძირითადი უკნინესი სპილენძის ერთეული აუღიათ. რაკი ქართული თუმნის აღრიცხვის დედააზრის გასაგებად მინალთუნსა აქვს მნიშვნელობა და მინალთუნს კი ქართული სახელი არ მოეპოვება, ფულის ძირითად უკნინეს ერთეულსაც ქართულად სახელი არ უჩანს ამიტომ შესაძლებელია ეს ფულის სისტემა საქართველოში უცხოეთითგან იყოს შემოსული, იქნებ XVI ს. დასასრულს, ან XVII ს-ში, იმავე დროს, როცა აბაზ-შაურიანი ფული შემოვიდა ჩვენში. მაგრამ ეგების ამ აღრიცხვას უკვე „ერთ ფოლ"-თან ჰქონდეს კავშირი და სულ სხვა გზითა და სხვა დროს იყო შემოსული.

თუმნის ოდენობის ამგვარი აღრიცხვის წესი რომ მარტო ქართულში არ იყო მიღებული, არამედ ჩვენი მეზობლებისთვისაც უცნობი არ არის, ამას თუმანის ლოღატი-თვრქის ლექსიკონითგან ამოღებული განმარტებაც ცხადყოფს. იქ ნათქვამია, რომ თუმანი 10000 აყჩის შემცველი ოქროს ფულიაო (იხ. ცენკერის ლექსიკ. სიტყვა თუმანის ქვეშე), ხოლო آقچه აყჩაჰ თურქულად არსებითად თეთრს, შემდეგ ვერცხლის პატარა ფულს $^{1}/_{2}$ ფარიანს ნიშნავდა იქვე, აყჩას ქვეშე). მართალია, მსგავსებასთან ერთად სპარსულ-ოსმალურ-ქართული ფულის სისტემებში თვალსაჩინო განსხვავებაც არის (ერთი მხრით, ძირითად ერთეულად „ალთინ", მეორე მხრით, „აყჩა" ვერცხლის ფული, მესამეს სპილენძის ნახევარდრახმიანი, წონითი ოდენობითაც ერთგვარი განსხვავებაა, ქართული 10 მინალთუნიანი თუმანის და სპარსულ-ოსმალური ერთდუკატიანი თუმნის ოდენობათა შეუთანასწორებლობა) და ეს გარემოება საკითხის საბოლოო გადაჭრას აფერხებს, მაგრამ სპარსეთისა და ოსმალეთის, უფრო პირველის, ეკონომიური და ნუმიზმატიკის ისტორიის წარმატება უეჭველია ქართული ამ მერმინდელი ფულის სისტემის გაღრმავებულ შესწავლას გაადვილებს და ისეთი საკითხების გამორკვევასაც შეგვაძლებინებს, რომელთა გაშუქება ამჟამად ძნელი არის. ქართული XVII—XVIII სს. ფულის აღრიცხვის სისტემა და ძირითადი უკნინესი ერთეულის ოდენობა მაინც გამოირკვა.

ქართული ფულის სისტემის ისტორიის სრული და უტყუარი სურათის აღდგენა მომავლის საქმეა. ქართულ-სასანური, ქართულ-არაბული, ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-მონღოლური და ქართულ-სპარსული სახეობის ფულების გარეგნული სხვაობა მხოლოდ გარეგანია. თუ ამ სხვაობას უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა, სისტემის სხვაობაზე დამყარებული, ამის გამორკვევას მათი ქიმიური და წონითი ანალიზი გაგვიადვილებს და ამ საშუალებით ბევრი რამე ცხადი შეიქმნება.

თუმცა ქართული თუმნის რიცხვითი შედგენილობის გამორკვევის დროს დავრწმუნდით, რომ ოქროს ფულისათვისაც აღრიცხვის ძირითად ერთეულად იგივე სპილენძის $^{1}/_{2}$ დრახმიანი ყოფილა, მაგრამ იმავე დროს სხვანაირი აღრიცხვაც ყოფილა. მართლაც, როგორც წინათ, ისევე ვახტანგ მეფეც ოქროს ფულის მიხედვით ანგარიშობს ვერცხლის ფულის კურსს. სამწუხაროდ, პ. ორბელიანს არაფერი აქვს ნათქვამი, როგორ იანგარიშეს თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა, როდესაც ფლურის მოჭრას შეუდგენ.

მაინცდამაინც საყურადღებოა, თუ რა შეფარდება არსებობდა ოქროსა, ვერცხლისა და სპილენძის ფულს შუა, იმ სამი ლითონისა, რომლითგანაც ფუ-

ლი იჭრებოდა. მაგრამ ჯერ, რასაკვირველია, ამ ფულების წონითი რაოდენობა უნდა გამოვარკვიოთ.

ოქროს ფულის ფლურის წონის შესახებ ვახტანგ მეფეს აქვს: „ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დალი აჯდეს, ერთი ფლური არისო“. მაშასადამე, ფლური ორი შაურის წონა ოქროს შეიცავდა. ახლა ორიშაურიანის წონაა გამოსარკვევი, რადგან სახელოვან მეფეს არსად ამ ორშაურიანის წონა პირდაპირ დასახელებული არა აქვს. სამაგიეროდ მას ერთი ცნობა აქვს მოყვანილი, რომლის მიხედვითაც ორშაურიანის წონის გამოანგარიშება ძნელი არ არის. ვახტანგ მეფეს ნათქვამი აქვს, რომ „ერთი მისხალი ორშაურ-ნახევრის წონა არის“-ო (იქვე). ამგვარად თუ $2^1/_2$ შაური=1 მისხალს, $^1/_2$ შაური=$^1/_5$ მისხალს, ხოლო 1 შაური $^2/_5$ ანუ 0,4 მისხალი ყოფილა წონით. მაშასადამე, ცხადია, რომ ფლურში, რომელიც ორშაურის წონა იყო, უნდა $^4/_5$ მისხალი ოქრო ყოფილიყო.

ახლა ვერცხლის ფულის ნიშნების ან თეთრის წონითი ოდენობა უნდა გამოვარკვიოთ. ვერცხლის ფული ოთხნაირი იყო: შაურიანი, ორშაურიანი, აბაზიანი და ორაბაზიანი. იხსენიება აგრეთვე სამაბაზიანი, ანუ მარჩილი და ხუთაბაზიანი, ანუ მინალთუნი, ფლურის წონის გამორკვევის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ შაურიანი $^2/_5$ ანუ 0,4 მისხალს იწონიდა, რასაკვირველია, ვერცხლს. გჳლდენშტედტს, რომელიც საქართველოში 1772 წ. იყო, აღნიშნული აქვს, რომ მაშინდელი ვერცხლის შაურიანი $12^1/_2$ გრანს იწონიდა (Tschauri eine Silbermünze... $12^1/_2$ gran wiegt“. Reise I, 357). ამისდა მიხედვით დანარჩენი ნიშნების წონითი ოდენობის გამორკვევა ძნელი არ არის.

ამგვარად, ორშაურიანი $^4/_5$ მისხალი ვერცხლის წონა უნდა ყოფილიყო, გჳლდენშტედტსაც ნათქვამი აქვს, რომ ორშაურიანი 25 გრანს იწონიდა (იქვე), ანუ გრამებად ვაქციოთ 1,5625. აბაზი $1^3/_5$ მისხალი უნდა ყოფილიყო, გჳლდენშტედტის სიტყვით აბაზიანი 50 გრანის წონა (იქვე), ესე იგი 3,125 გრამში ყოფილა. ერთი მარჩილი $4^4/_5$ მისხალი ვერცხლის წონა უნდა ყოფილიყო და 5 აბაზი, ანუ 1 მინალთუნი 8 მისხალი იქნებოდა, მაგრამ მინალთუნიანი, როგორც ეტყობა, იშვიათად იჭრებოდა.

სამწუხაროდ არც კანონებში, არც საისტორიო ძეგლებში ჯერ არც ერთი ძველი წერილობითი ცნობა არ არის აღმოჩენილი შავი, ანუ სპილენძის ფულის ნიშნების წონითი ოდენობის შესახებ. გასაოცარია, რომ შავი ფულის წონისათვის არც ქართული ფულის მკვლევარებს მიუქცევიათ ყურადღება და ვერც თანამედროვე ნუმიზმატების თხზულებაში იპოვის ადამიანი მათი წონის შესახებ რაიმე ცნობებს. ამიტომ უნდა უნებლიეთ ერთადერთს, გჳლდენშტედტის მიერ 1772 წ. ჩაწერილ ცნობას დავემყაროთ. მას, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, აღნიშნული აქვს, რომ სპილენძის ნაშალი ფული ერთი „ფული“ $2^1/_2$ დრახმს იწონიდა („Puli ist kupferne Scheidemünze... $2^1/_2$ Drahmen schwer“, Reise I, 375).

რაკი ქართული ფლურისა, თეთრისა და შავის, ანუ ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის ფულების ნიშნების წონითი ოდენობა გამორკვეული გვაქვს, მათი ურთიერთშორისი შეფარდების გამორკვევაც შეიძლება ჯერ სპილენძსა და ვერცხლზე, შემდეგ ვერცხლსა და ოქროზე.

თუ „ერთი ფული“ $^5/_2$ დრახმიანი სპილენძს იწონიდა, ერთი შაურის შესატყვისი რაოდენობა, ათი ფული წონით 25 დრახმი სპილენძი იქნებოდა.

ერთი შაურიანი კი, როგორც ვიცით, ვერცხლის ფული იყო და $12^{1}/_{2}$ გრანს იწონიდა მხოლოდ. ათი ფულის სპილენძის წონა 25 დრახმი რომ გრანებად ვაქციოთ, 1500 გრანი იქმნება. ამგვარად 10 ფულის წონა 1500 გრანი სპილენძი ღირებულებით ერთ შაურიანის $12^{1}/_{2}$ გრანს ვერცხლს უდრის, ე. ი. ამნაირი შეფარდება გვექნება: $^{25}/_{2}$ $\frac{300}{2}$ ანუ 1 : 120. მაშასადამე, საქართველოში ვერცხლსა და სპილენძს შუა შეფარდება გამოიხატებოდა 1 : 120. ათინაში III ს. ქ. წ. ვერცხლისა და სპილენძის შეფარდება უდრიდა 1 : 72, ხოლო რომში 1 : 240.

ოქრო-ვერცხლის შეფარდების გამოსარკვევად უნდა გავიხსენოთ, რომ 1 ფლური $^{4}/_{5}$ მისხალ ოქროს შეიცავდა. ხოლო ვახტანგ მეფის დროს ხან შვიდ აბაზად, ხან „შვიდაბაზუზალთუნად, ხან ერთ შაურ ნაკლებადაც" იყო ხოლმე. ერთ 1764 წლის საბუთში მოხსენებულია „სამი ფლური რვა-რვა აბაზიანი" (თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების საბ. გვ. 204). ჩვეულებრივ ფლური 30 შაური ფასობდა ხოლმე. ამგვარად 1 ფლური ღირებულებით ან 26 ან 30 შაურიანის ვერცხლს უდრიდა, ხოლო უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ 1 შაური $^{2}/_{5}$ მისხალს შეიცავდა. მაშასადამე, $^{4}/_{8}$ მისხ. ოქრო — ან $26 \times ^{2}/_{5}$, ან $30 \times ^{2}/_{5}$ მისხ. ვერცხლს, $^{4}/_{5}$ მისხ. ოქრო ღირებულებით = ან $^{52}/_{5}$, ან $^{60}/_{5}$ მისხ. ვერცხლს. ამგვარად ოქროსა და ვერცხლს ურთიერთშორის შეფარდება საქართველოში გვეხატება როგორც 1 : 12, ან 1 : 15. მაგრამ ოქრო-ვერცხლის ფულის კურსის განხილვა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა დროს განსხვავება ყოფილა. საზოგადოდ ოქროსა და ვერცხლის შეფარდება სახალიფოში უდრიდა 1 : 10, მაგრამ ასე მხოლოდ პირველ ხანებში იყო და შემდეგ 1 : 15-მდისაც ასულა (M. Sauvaire, Matériaux pour l'histoire de la numismatique etc. Journal Asiatique, 1882 févriel—mars). საქართველოშიც XII ს-ში შეფარდება 1 : 13 უდრიდა, XIII ს-ში 1 : $12^{2}/_{3}$ (საქართველოს ეკონ. ისტ. I, 96). დასავლეთ ევროპაში და კლასიკურ ქვეყნებშიაც ოქრო-ვერცხლის შეფარდება 1 : 10-ითგან მოყოლებული 1 : 21 ადიოდა.

ვერცხლისა და ოქროს ფულების ღირებულების გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა, რასაკვირველია, ფულად ნახმარი შენადნობის შედგენილობის შესწავლას აქვს. მაგრამ ამ საკითხისათვის არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ვერც ქართული ნუმიზმატიკის სახელმძღვანელოებში, ვერც სხვაგან სადმე იპოვის ამაზე რამეს მკითხველი.

ეს საკითხი შეიძლება ორისგზით იქნეს შესწავლილი ან თვით ფულების ანალიზით, ან წერილობითი ცნობების განხილვით. რასაკვირველია, ამ ორივე გზის ერთად გამოყენება საუკეთესო შედეგსა და თანაც სრულ სურათსაც მოგვცემდა. მაგრამ რადგან ქართული ფულების ანალიზი ჯერ არც კი დაუწყია ვისმე და მხოლოდ განზრახულია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიუმში ძველი ქართული ლითონის ნივთების და უპირველესად ვერცხლის ფულების ანალიზი იქნეს მოხდენილი, ამჟამად აღძრული საკითხის შესახებ წერილობითი ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ამითაც ჩვენ საგულისხმო გარემოება და სურათი გადაგვეშლება თვალწინ.

უძველეს დროს XVII ს-მდე, როგორ იყო ჩვენში შენადნობის ტექნიკა დაყენებული, ამას ქიმიური ანალიზი გამოგვირკვევს და მომავალში გვეცოდინება. XVIII ს. შესახებ მეტადრე მეორე ნახევრის ნამუშევარზე კი უკვე წე-

რილობითი მასალებიც მოგვეპოვება. აკად. პროფ. ი. გულდენშტედტის სიტყვით სპარსელებმა და ქართველებმა ოქრო-ვერცხლის შედნობის ხეირიანი ტექნიკა არ იციოდენ[10]. 1786 წ. საქართველოში რუსეთის წარმომადგენლად მყოფ ბურნაშევსაც ამგვარადვე აქვს საქმის ვითარება წარმოდგენილი: ოქრომჭედლები საქართველოში თავიანთ ხელობაში დახელოვნებული არ არიან და ოქრო-ვერცხლის სხვა ლითონებთან შედნობა არ იციანო[11].

ამ საზოგადო უარყოფითი დახასიათების გარდა ქართული საკანონმდებლო ძეგლის ვახტანგ VI-ის დასტურლამალის ცნობაც მოგვეპოვება და ამ უკანასკნელს მისი ზედმიწევნილობის გამო ზემომოყვანილ ავტორთა აზრზე გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს.

დასტურლამალში „ზარაფხანის რიგისათვს"-ის სათაურით შემკულ თავში სხვათა შორის მაშინდელი ქართული ფულის ჩამოსხმის ტექნიკაც არის აღწერილი და იქ ნათქვამია: „ოთხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩაეიდეს ცეცხლში. ამისგან გამოვა ცეცხლიდამ თამამ აიარი ვეცხლი ორი ათას სამასი. ამისივე ჯუბი დასტურლამა უწინ ყოფილა ორი ათასს მისხალზედ ექუსი მინალთუნი და ახლა ვართმევთ ხუთს მინალთუნს"-ო (პ. უმიკაშვილის გამოც. 33).

აქ სპარსულ-არაბული ტექნიკური ტერმინებია ნახმარი და ამ ნაწყვეტის შინაარსის გასაგებად ამ სპეციალური ტერმინების მნიშვნელობის ცოდნაა აუცილებლად საჭირო. „ყურსი" არაბული قرص გუნდას, რგვალ კვერსა ნიშნავს და ევროპიულ სათანადო ტექნიკაში ამას გერმანულად ძველად aibedo, Witte. Brand, Gelöt, ხოლო ახლა Karn-ი ქვიან (Prof. A. Luschin von Ebengreuth, Allgemeine Münzkunde 1904, გვ. 156). იგი ლითონის წმინდა შედგენილობის გულგულას წარმოადგენს და თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაშიც გულგულა შეიძლება ეწოდოს.

„აირი"-ც სპარსული სიტყვაა عيار და შენადნობი ლითონის სწორი, კანონიური შედგენილობაა, ის, რასაც ფრანგები aloi-ს, ხოლო გერმანელები Probe-ს და მათგან შეთვისებით რუსებიც проба-ს უწოდებენ. „თამამ აიარი"-ც არაბულ-სპარსული გამონათქვამია تمام عيار და იმასვე ნიშნავს. ასევე აქვს ეს ტერმინი განსვენებულ პ. უმიკაშვილს განმარტებული. მაგრამ თუ მკითხველი ზემომოყვანილი ამონაწერის აზრს ჩაუკვირდება, ადვილად დარწმუნდება, რომ ქართულად ამ ტერმინს ცოტა განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ამ ადგილას მაინც და აქ აიარი ყურსის საწინაალმდეგო ცნების გამომხატველი გამოდის: თუ ყურსი წმინდა ლითონის გულგულას ეწოდება, აიარი უკვე შენაერთიან ლითონის ოდენობის კანონიერი შენადნობის აღმნიშვნელი გამოდის და გერმანულს ტერმინს Schrot Rangewichi-ს უდრის. „ვეჯუბი დასტურლამალი" კი აუცილებელ, სავალდებულო წესს ნიშნავს.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდგომ ზემომოყვანილი ნაწყვეტის შინაარსი ასე შეიძლება გადმოცემულ იყოს: ოთხი სიკილა ერთი გულგულის გუნდად

---

[10] „Die Perser und Georgianer wissen noch nicht edle Metalle gehörig zu legiren und münzen sie daher fein aus" Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. St. Peterburg 1787, გვ. 859).

[11] Мастерство из золота и серебра плохи и без искусства, не умеють смешать оное с другими металлами (Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго ბეგიჩევის გამოც. ტფილისი, 1896 გვ. 2).

უნდა ჩავიდეს სადნობ ქურქელში და ცეცხლითგან შედნობის შემდგომ კანონიერი ვერცხლის შენადნობის მთელი ოდენობა 2300 მისხალი გამოვა. წინანდელი სავალდებულო წესისდა თანახმად 2000 მისხალზე საბატონოდ, ანუ სამეფოდ 6 მინალთუნი იყო განკუთვნილი, ახლა კი 5 მინალთუნს ვიღებთო.

შენადნობის ნაწილების რიცხობრივი დამოკიდებულების გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა, რომ „სიკილა"-ს წონითი ოდენობა ვიცოდეთ. დასტურლამალის დაუვიწყარ გამომცემელს პ. უმიკაშვილს თანდართულ ლექსიკონში ნათქვამი აქვს, რომ „სიკილა" სამი მისხალი და ერთი მესამედიაო. საითგან აქვს მას ეს ცნობა ამოღებული, არ ჩანს, მხოლოდ თვით დასტურლამალის ცნობით „ერთი სიკილა... თოთხმეტი შაურია" (გვ. 33 ზარაფხანის რიგისათვის). ხოლო შაური, როგორც ვიცით, 0,4 მისხალს იწონიდა. ამგვარად სიკილა 3 და 1/3 მისხალი კი არა, არამედ 4,8 მისხალი გამოდის.

ქართული ვერცხლის ფულის შენადნობის პროცენტული შედგენილობის გამოსარკვევად შეიძლება სწორედ ეს საგულისხმო ცნობა იყოს გამოყენებული. მაშასადამე, ფულის მოსაჭრელი ნივთიერების დასამზადებლად „ოთხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩავიდეს ცეცხლში" და „ამისგან გამოვა ცეცხლიდამ თამამ აიარი ვეცხლი ორი ათას სამასი"-ო (გვ. 33). რადგან სიკილა 4,8 მისხალი ყოფილა, 400 სიკილიანი ყურსი 1920 მისხალი იქნებოდა. თუ „ამისგან" და „ცეცხლიდამ" 2300 მისხალი აიარი, ანუ კანონიერი შენადნობი ვერცხლი გამოდიოდა, ცხადია შენართის მიმატებით შენართი ლითონის ოდენობა ყურსში, როგორც ჩანს, 388 მისხალს უდრიდა. მაშასადამე, თვითოეულ ყურსში 1920 მისხალი წმინდა ვერცხლი ყოფილა და 388 შენართი ლითონი, ალბათ სპილენძი. ამგვარად ირკვევა, რომ 100 მისხალ საფულო შენადნობში 16,87% შენართი ლითონი იყო, ხოლო 83,13% წმინდა ვერცხლი. წმინდა ვერცხლის ოდენობა ვახტანგ VI-ის ხანის ქართული ფულების შენადნობ ნივთიერებაში ჩვეულებრივ დასავლეთ ევროპაში მიღებული სათანადო წესის მიხედვითაც კანონიერად იყო ცნობილი და დიდ ოდენობად არის მიჩნეული. ისეა მიღებული, რომ თუ შენადნობში, რომელშიაც წმინდა ლითონის ოდენობა იდეალურად 440 ათასეული ნაწილი (Tausend teile) უნდა ყოფილიყო, ნამდვილად 424—457 ათასეული ნაწილი აღმოჩნდებოდა, კანონიერი შედგენილობისა და შენაერთებისად ითვლებოდა (A. Luschinvon, Ebengreuth Allg. Münzkunde 163). მთელ დასავლეთ ევროპაში, ინგლისის გარდა, სადაც 88,8% იყო, 84% ვერცხლის ფული იყო მიღებული. რუსეთში კი ეს ოდენობა მხოლოდ XVII ს. საუკეთესო ხანაში იყო დაცული, ისე კი, მეტადრე პეტრე დიდისა და თვით XVIII—XIX სს. დამდეგს 80—70% იყო ვერცხლის ოდენობა შემცირებული (И. Кауфман. Серебряный рубль в России 341, 141, 152, 163—4, 172). ალბათ ამ გარემოებაზევე უნდა იყოს დამოკიდებული ის, რომ რუსთა ბატონობის საქართველოში დამყარების დროს ქართული რუსთა მიერ მოჭრილი ფული 88 შინჯადობის იყო (იხ. Вел. кн. Георгий Михайлович, Рус. Монеты, გვ. II).

ვახტანგ VI-ის დასტურლამალის ზემომოყვანილი ცნობითგან საფიქრებელი ხდება, რომ ფულის მოსაჭრელად განკუთვნილი ვერცხლის შენადნობი ჩვეულებრივ 2300 მისხლიანს ოდენობას წარმოადგენდა ხოლმე. ეს ერთგვარად ზარაფხანის საქარხნო სააანგარიშო ერთეულად ყოფილა მიღებული. დასტურლამალის ეს საყურადღებო ცნობა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ

ერთგზის რაოდენი ღირებულების ფული იჭრებოდა ვახტანგ VI-ის დროს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვერცხლისა შაურიანი $^2/_5$, ანუ 0,4 მისხალს იწონიდა. მაშასადამე, აბაზს 1,6 მისხლის წონა უნდა ჰქონოდა, ხოლო მინალთუნი 8 მისხალი უნდა ყოფილიყო. დასტურლამალის დებულებისდა თანახმად ფულის მოსაჭრელად დაწესებული ყურსი 2300 მისხალი რომ ავიღოთ, ცხადი გახდება, რომ ყოველ ამგვარი ოდენობის ყურსითგან უნდა 2875 მინალთუნი ან, რადგან ჩვეულებრივ ფული აბაზიანებადა და უფრო მომცრო ერთეულებად იჭრებოდა, 14.375 ვერცხლის აბაზიანი იჭრებოდა.

საქართველოს მადნის ქარხნების უფროსს თავად სოლომონ მელიქიშვილს 29 მაისს 1801 წ. გენერალ კნორინგისათვის მირთმეულს მოხსენებაში კი ნათქვამი აქვს: როდესაც ზარაფხანაში 1 ლიტრი (9 გირვანქა) ვერცხლითგან ფულსა სჭრიდენ, გამოდიოდა 211 მინალთუნი და 1 აბაზი (Вел. Кн. Георгий Михайлович, Рус. Монеты, СПБ, 1893 г. 4 შენ. *შეად. АКАК I, № 623 შემდგომ).

1 ლიტრა ვახტანგ VI-ის ცნობით 4 ჩარექს, ანუ 20 სტილს შეიცავდა. სტილი კი 3 მინალთუნისა და 10 შაურის წონა იყო. ხოლო შაური 0,4 მისხალს უდრიდა, 1 სტილი = 70 შაურის წონას = 70 × 0,4 მისხ = 28 მისხალს. მაგრამ გულდენშტედტის სიტყვით 1772 წელს 1 სტილი 36 მისხალს, ანუ $5^1/_2$ უნციას შეიცავდა (Reise 359). ხოლო რადგან მისხალი = 70 გრანს, მაშასადამე, მისხალი = 70 × 36 = 2520 გრანს, ანუ გრამებად რომ ვაქციოთ 157,40 გრამს უდრიდა. რადგან 1 ლიტრა 20 სტილს უდრიდა, მაშასადამე, ვახტანგ მეფის დროინდელ ლიტრაში 560 მისხალი ყოფილა. რაკი ლიტრაში 20 სტილი ყოფილა, 1 ლიტრა = 87,50 გრამს, გულდენშტედტის სიტყვით კი ლიტრა $მ^3/_4$ რუსული გირვანქას უდრიდა (Reise 359). ამიტომ ერეკლე მეფის დროინდელი ლიტრა 720 მისხლიანი უნდა ვიგულისხმოთ. თუ სოლ. მელიქიშვილის ცნობა სამართლიანია და გამონადნობის ყურსად 1 ლიტრა, ანუ 720 მისხალი ვერცხლის შენადნობი იყო დაწესებული ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ვახტანგ VI-ის შემდგომ ფულების საქმეში ცვლილება ყოფილა შეტანილი. წინათ ყურსი 2300 მისხლიანი იყო, XVIII ს. დამლევს კი სამჯერ უფრო ნაკლები ოდენობა 720 მისხლიანი ყოფილა.

სამწუხაროდ სოლ. მელიქიშვილს შენართ და წმინდა ლითონის ოდენობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, რომ მათ შორისი არსებული პროცენტული დამოკიდებულების გამორკვევა შესაძლებელი იყოს.

როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში ხშირად ყოფილა, მეტადრე სახელმწიფოს პოლიტიკურსა და ეკონომიური დაქვეითების დროს, რომ ფულის მოჭრა შემოსავლის წყაროდ ექციოთ და ბოლოს იჯარითაც კი ყოფილიყოს გაცემული. შორს რომ არ წავიდეთ და მარტო საქართველოს მეზობლებით დავკმაყოფილდეთ, სპარსეთის მაგალითიც კმარა.

სპარსეთის შაჰების ზარაფხანა ოლეარიუსის 1637 წ. ცნობით იჯარით ყოფილა გაცემული და ასე ყოფილა მოწყობილი[12]: თუ ევროპიელს სპარსელისა-

[12] Wenn die Europeer mit ihnen handeln und Paar Geld kauffen wollen, müssen sie Reichsthaler bringen, welche dann in ihre Müntze verwandelt werden. Hierzu sitzen auff dem Maidan unterschiedliche Wechsler Seraf. Die Müntze Serab-chane ist nicht weit vom Basar. Die Müntzer, welche sehr grosse Summen die Müntzen Pachtweise inne haben, können vorerwehnter ursach halber grossen Forteil und Nutzen an den Reichstaler haben. Die Spanische Realen nehmen sie... lastlieben, als Rhhlr" (Beschreibung 425-426).

გან რამე სასყიდელი ჰქონდა, სპარსული ფული კი თან არ ახლდა, უნდა გერმანული ტალერი ან ესპანიის რეალები მიეტანა და იქვე მეიდანში სხვადასხვა მეკერმე და ზარაფები ისხდენ, რომელნიც ფულს ახურდავებდენ ან ზარაფხანაში, რომელიც იქვე ბაზრის მახლობლად იყო, და სადაც ევროპიული ფულითგან სპარსულსა სჭრიდენ. ზარაფხანა დიდ ფასად იჯარით იყო გაცემული და მოიჯარადრებს ევროპიული ფულის გადადნობით დიდი სარგებლობა და გამორჩენა ჰქონიათ. მაგ., იმავე ოლეარიუსის ცნობით, 1637 წ. სპარსეთში აბაზში 40 შავს, ანუ სპილენძის ფულს „ყ ა ზ ბ ე გ ს“-ს იძლეოდნენ (Beschr. d. n. oriental. Reise, 425). ხოლო მისივე სიტყვით, სპარსეთში მაშინ ერთი გირვანქა (Das Pfund) სპილენძი ერთ აბაზად ღირდა. მაგრამ ამ ერთი გირვაქა სპილენძითგან 64 „ყასბეგი“-ს მოჰრა შეეძლოთ (იქვე 426). რაკი აბაზი 40 „ყასბეგად“ და არა 64-ადა ფასობდა, საფიქრებელი ხდება, რომ სპარსეთის შაჰების ზარაფხანას 24 „ყასბეგი“ ფულის მოჰრის ხარჯად ჩაუთვლია და თავისთვის დაუტოვებია. ამგვარად თითო ყასბეგის მისი ღირებულების 1/2-ზე მეტი აკლდებოდა. ხაზინას და მოიჯარეს, რასაკვირველია, მოგება უნდა ჰქონოდა.

საქართველოს სამეფო ზარაფხანას ლითონი ოქრო, ვერცხლი და სპილენძი საქართველოს მადნის მაღაროებითგან მისდიოდა. როგორც ბურნაშევს, ისევე რაინეგს და აკად. გულდენშტედტს ეს გარემოება ერთხმივ აქვთ[13] აღნიშნული (I. A. Güldenstädt. Reisen... im Caukas. Gebürge 356) მაგრამ დასტურლამალის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ უცხოეთის ფულის გადადნობა საქართველოს ზარაფხანაშიც ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. იქ ფულის მოჰრის აღწერილობაში ნათქვამია: „ასლანუს ოთხას მარჩილი ერთს ყურსად ჩავა ასლანუ მარჩილი“-ო (გვ. 33—34). ასლანუ კი, როგორც გამორკვეული გვაქვს, ჰოლანდური ფული იყო აღმოსავლეთისთვის მოჰრილი. აქეთგან ცხადი ხდება, რომ ჩვენ ზარაფხანაში ეს ჰოლანდური ფულიც გამოუყენებიათ ფულის ლითონად.

საკმარისია დასტურლამალისავე ერთი თავი, რომელსაც სათაურად აქვს „ზარაფხანის რიგისათვის“, გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, რამდენად ძლიერი, წამლეკავი ყოფილა სპარსეთის გავლენა ზარაფხანაში. ყველა თანამდებობის და ტექნიკური ტერმინები სპარსულია (იხ. გვ. 33—34). მაგრამ სპარსეთის ძლიერი, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები, გავლენა ამ დროს აღმ. საქართველოს სხვა დაწესებულებებსაც ემჩნევა, მაგრამ ეს, როგორც ცნობილია, როსტომ მეფის ხანის ნაშთია და წინათ საფიქრებელია საქმე აქაც სხვანაირად უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ მეფის დასტურლამალითგანა ჩანს, რომ ზარაფხანის მოხელეები, ხელოსნები თავიანთ სარგოს მოჰრილი ფულის ოდენობის კვალობაზე იღებდენ, ანუ უფრო შენადნობი ლითონის გუნდობრივ, „ყურსზედ“. თითო შენადნობის გუნდა 2300 მისხალს უდრიდა, რომლითგანაც, როგორც დავრწმუნდით, 2875 მინალთუნი, ანუ 14375 ვერცხლის აბაზიანი უნდა გამოსულიყო.

აქედან ზარაფხანის ხელოსნების სარგოს საერთო ჯამი იყო „ოთხი მინალთუნი, თერთმეტი შაური და ერთი ბისტი“ (დასტურლამალი, 33). სამეფოდ განკუთვნილი „უწინ ყოფილა ორი ათას მისხალზედ ექვსი მინალთუნი და

[13] „Der Zaar lässt kupferne und silberne Landesmünze schlagen, wozu ihm eigene Bergwerke die Metalle liefern“.

ახლა ვართმევთ ხუთ 'მინალთუნს"-ო (იქვე). გამოურკვეველი რჩება მხოლოდ რამდენი ერგებოდათ სალთხუცესსა და მდივნებს, რადგან მათ „გარდაკვეთითა აქუსთ. ბევრი მოვა თუ ცოტა... ზარაფხანიდამ სალთხუცესსა წელიწადში თუმანი კე, მდივნებს წელიწადში იბ ჳ" ე. ი. 12 თუმანი და ხუთი მინალთუნი (იქვე 34, შეად. 76 და 139). თითო შენადნობის გუნდაზე რა ერგებოდა ამ მოხელეებს არა ჩანს. ამიტომ ანგირიშში ჩასაგდები რიცხვი არ მოგვეპოვება. 2875 მინალთუნს რომ 4 მინალ. 12 შაური და 1 ბისტი გამოვაკლოთ, 2870 მინალ. 7 შაური და 6 ფული დარჩება. რაკი მეფეს აქეთგან 5 მინალთუნი ერგებოდა, რჩება 2865 მინალთუნი 7 შაური და 6 ფული. ვერცხლისა და სპილენძის მაშინდელი ფასების უცოდინარობის გამო, ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება შედნობაზე რამდენი მოგება ჰქონდა სამეფო ხაზინას.

შემდეგ სამეფო ზარაფხანა საქართველოშიაც იჯარით გაუციათ.

უკანასკნელ დროინდელი საქმის ვითარება სამეფო ზარაფხანაში თავად სოლ. მელიქიშვილსა აქვს აღწერილი თავის რუსეთის მთავრობის წარმომადგენელისადმი მირთმეულ მოხსენებაში, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოხსენების მხოლოდ რუსული თარგმანია გამოქვეყნებული და რამდენად სწორეა თარგმანი ძნელი სათქმელია. ტექსტი კი სხვადასხვა ეჭვს იწვევს, რომლის გადაწყვეტა უდედნოდ შეუძლებელია.

თავად სოლ. მელიქიშვილის სიტყვით, ზარაფხანითგან მეფეს 51 მინალ. და 1 აბაზი ეკუთვნოდა, ხოლო 160 მინალ. ზარაფხანის იჯარადარს (Вел. Кн. Георгий Михайлович, Рус. Монеты, СПБ. 1893, გვ. 4, *შეად. АКАК I, 623 შემდგ.). აქეთგან არა ჩანს, თუ რა ხნის განმავლობაში უნდა მისცემოდა მეფეს, ეს ოდენობა 1 ლიტრითგან უნდა მიეღო, თუ მეფის წლიურს შემოსავალს შეადგენდა ზარაფხანითგან? რაკი სოლ. მელიქიშვილის ცნობით 1 ლიტრა ვერცხლის ყურსითგან 211 მინალ. და 1 აბაზი გამოდიოდა და 51 მინალ. 1 აბაზი + 160 მინალ. = სწორედ 211 მინალ. და 1 აბაზს. ამიტომ თითქოს ისე გამოდის, რომ 51 მინალ. 1 აბაზი თვითოეული ყურსითგან ნავარაუდევ მეფის შემოსავლად უნდა ვიგულისხმოთ. მაშინ ისე გამოვიდოდა, რომ ზარაფხანითგან სამეფოს მხოლოდ $^1/_3$-ედზე ნაკლები რჩებოდა და ორმესამედზე მეტი იჯარადარს მიჰქონდა. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსარკვევი, რომ ასეთ ცნობაზე საბოლოო მსჯელობის დამყარება შეიძლებოდეს.

თავი მესამე

ფულის ფასობა

ძველად, როდესაც ადამიანს ფულის წონითი ოდენობის ყველგან და ყოველთვის სისწორით დაცვის იმედი ჯერ არ ჰქონდა და ხმარებისაგან გაცვეთილი ფულიც კვლავინდებურად ტრიალებდა, ფულს აღებმიცემობის დროს წონით ანგარიშობდენ და იღებდენ ხოლმე. ეს წესი ებრაელთა საღმრთო წერილში, დაბადებაშიაც არის ალბეჭდილი და ძველი საბერძნეთისა და რომის ეკონომიური ისტორიითგანაც საკმაოდ არის ცნობილი. აი მაგ., რა წერია დაბადებაში: „ვიხილე ტყვენვასა მას შინა შატროვანი ერ[თ]ი ჭრელი და ორასი სატირი ვეცხლი და ენა ერთი ოქროსა ერგასი სატირი სასწორით“ (ისუნავესი 7_{21}). „და მოვიგე აგარაკი ანამელისაგან... და მიუწონე მას ვეცხლი შჳდთა სიკილათა და ათთა ვეცხლთა... და მიუწონე ვეცხლი სასწორითა“ (იერემია 30_{9-10}). უსასწოროდ საქმე არ კეთდებოდა, როგორც ირკვევა, და ფულის გადათვლა ნამდვილად სასწორით „მიწონა“-ს წარმოადგენდა თურმე. სპარსეთსა და არაბთა სახალიფოშიაც სასწორს ფულების მიღება-ჩაბარების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა არაბთა სახალიფოში ფულის მოჭრის ახალი საქმე ებრაელს სომეირს ჩააბარეს, გარდმოცემით თითქოს მას ფულის ზედმიწევნით შესამოწმებელი السنج სასინჯი სასწორი უნდა გამოეგონოს (ვ. ტიზენჰაუზენ. Монеты вост. халифата XIII).

ქართულ საისტორიო ძეგლებში ჯერ არსად შემხვედრია, რომ ფულის სასწორით მიწონაზე იყოს საუბარი, მაგრამ, უეჭველია, ამგვარი წესი ჩვენშიც იქნებოდა. ათაბაგ აღბუღას სამართლის წიგნში რომ ნათქვამია: „თუ კაცსა თეთრი წიგნითა ანუ ვეცხლი აწონით აეღოს“-ო, აქ ფულის აწონაზე კი არა, ლითონ ვერცხლის წონით სესხად აღებაზეა საუბარი. ფული „თეთრი“ ამ მუხლის მიხედვით პირიქით „წიგნით“, ანუ ვალის წიგნით, თამასუქით უნდა აეღოთ. ფულის წონითი მიღების შესახებ ათონის მონასტრების აღაპებშია ხშირად საუბარი. მაგრამ ჩვენშიც რომ ფულის სასწორით „მიწონა“ სრულებით უცნობი რამე არ უნდა ყოფილიყო, ამას, ერთი მხრით, ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი მოვლენა ჩვენ მეზობელ სპარსეთშიაც იყო, მეორე მხრით, ისიც, რომ ფ. გორგიჯანიძეს თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში ფულის სასწორი „თეთრის სასწორი“-ს სახელით შეტანილი აქვს.

შოთას ვეფხისტყაოსანში კი ერთგან ფულის სწორედ ამ წესით გადაცემაზეა საუბარი. იქ ნათქვამია, რომ ფრიდონმა ავთანდილს სხვათა შორის მიართვა: „სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნაკლულითა (ს. კაკ. 137 § 975, ი. აბულ. 122 § 952). უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ წითელი წმინდა ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინია. საქართველოს დიდებულ მგოსანს სურდა თავისი მკითხველისათვის ემცნო, რომ ეს საჩუქრად მიძღვნილი ოქროს ფული

ხმარებისაგან გახეხილ-გაცვეთილი და ამის გამო „ნაკლული“ კი არ იყო, არამედ ვითარცა წონით მიწყული სრული იყო. ამ ცნობითგანა ჩანს, რომ გაცვეთილ ფულს „ნაკლული“ რქმევია, ხოლო გაუცვეთელს ალბათ სრული ერქმეოდა.

ზედმიწევნით აწონილ ძვირფას ნივთს, როგორც ეტყობა, „მართაწონილი“ ეწოდებოდა: ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „ერთი ბეჭედი აიღო მართ-აწონილი დრამითა“-ო (ს. კაკ. 352, ი. აბულ. § 327ვ).

ოქროსა და ვერცხლის ფულის ფასობა ცვალებადი იყო და სხვადასხვა დროს მათ შორის სხვადასხვა რიცხვითი დამოკიდებულება არსებობდა. ამიტომ დრაჰკანისა, ფლურისა, ოქროსი, დრამისა და თეთრის ფასების აწევ-დაწევა შესწავლილ-გამორკვეული უნდა იყოს. ჩვეულებრივ დრაჰკანიცა და დინარიც, არაბულიცა და ბიზანტიურიც, წონით, ერთ მისხალ წმინდა ოქროს შეიცავდა (ბარ. ტიზენჰაუზენ. Монеты восточного халифата, გვ. XI. Bergman. Die nominale der Münzreform 6—9). ბიზანტიური ოდნავ უფრო მეტს იწონიდა და $^{18}/_{16}$ მისხლიანი იყო (პროფ. Кауфман, Рус. вес, его происхождение и развитие в связи с историей рус. денеж. систем с др. времени: *Запис. нумизм. отд. Арх. общ.* I, 164).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში და თეორიულად ერთი ოქროს დინარი ათ დირჰემს უდრიდა ხოლმე (M. N. Sauvaire, Matériaux pour l'histoire de la numismatique et de la métrologie musulmanes: *Journal Asiatique* 1882, févrıer-mars, გვ. 111). კოდამას დროს X ს. (300 წ. ჰიჯრ.) 1 დინარში უკვე 15 დირჰემს, ანუ დრამას იძლეოდენ (იქვე, გვ. 114). არაბთა ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის სიტყვით 330 წ. ჰიჯრით (941—942 წ. ქ.) „ებრიზი“-ს სახელით ცნობილი ნასერ ედ-დოულაჰ იბნ ჰამადის მოჭრილი მაღალღირსებიანი დინარი 13 დირჰემი ღირდა, ძველი კი 10-ად ფასობდა (იქვე, 115). ელ-მუკადდასის მოწმობით ერაყის ფულს წონით იღებდენ. მათი ფულის წონა („სანჯ“) ხორასნულისას სჭარბობდა თურმე (იქვე, 116—117). იმავე ავტორის ცნობით ისპაჰანში აწონილ 1000 დირჰემს ტოსტარში 25 აკლდებოდა, ხოლო ტოსტარის 100 დირჰემს აჰვაზისას 6 დირჰემი რჩებოდა, ყაზვინში აწონილს 100 დინარს ტოსტარში 4 დინარი და 5 დანეკი, ანუ დანგი რჩებოდა, ხოლო 100 ხორასანში აწონილ დირჰემს ხუზისტანში 2 დირჰემი აკლდებოდა (იქვე, 117). 1234—1235 წწ (632 წ. ჰიჯ.) ბაღდადში მოსტანსირის ახალი დირჰემების ღირებულება 1 დინარი 10 დირჰემად გადაჰკვეთეს (იქვე, 127). ასე ფასობდა დრაჰკანი და დრამა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში.

უძველეს დროს საქართველოში უცხოეთის ოქროს ფული ტრიალებდა, სანამ III—VI სს. ქ. შ. სასანიანთა მეფეებმა სპარსეთში ვერცხლის ფული არ შემოიღეს. ამის შემდგომ საქართველოშიაც ვერცხლის საფასე შემოვიდა და თვით ქართველებიც საკუთარ ფულს სპარსთა წაბაძულობით ვერცხლისას და სპარსულის სახეობისასა სჭრიდენ V ს-ითგან მოყოლებული. დავით აღმაშენებლამდე ვერცხლის საფასე იყო ჩვენში გავრცელებული. არაბთა ბატონობის ხანაში საქართველოში არაბული ვერცხლის დირჰემი, ანუ დრამა ვრცელდება. დავით აღმაშენებელმა კი სპილენძის ფულის ნიშნები შემოიღო და ვერცხლის საფასე ამის შემდგომ მთელ XII და XIII საუკუნის დასაწყისის განმავლობაში, არც გიორგი III, არც თამარ მეფისა და არც ლაშა-გიორგის მეფობაში საქართვე-

ლოში არ მოჭრილა. საფასის გამოცვლა უეჭველია რაიმე ღრმა ეკონომიურ მიზეზს უნდა გამოეწვია. საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიაც ამავე ხანაში ვერცხლის საფასე ქრება და სამაგიეროდ სპილენძის ფული შემოდის. ამიტომ ცხადია ვერცხლის საფასის ნიშნების გაქრობა საერთო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვის და ერთსა და იმავე მიზეზსაც უნდა გამოეწვია ყველა სახელმწიფოში. სამწუხაროდ ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ გამორკვეული არ არის.

თავისდათავად ცხადია, რომ საფასის მადნის გამოცვლას ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა და კვალი დაეჩნია. საინტერესოა, რომ აღმოსავლეთის მაშინდელი მმართველნი და მთავრობა ამგვარ სპილენძის ფულს წინანდელ ვერცხლის ფულის ფასსა სდებდა. თვით სპილენძის საფასეს ზედწერილად ჰქონდა გაკეთებული „ეს დირჰემია“-ო. რაკი დირჰემი, ანუ დრამა ჩვეულებრივ ვერცხლისა იჭრებოდა და ვერცხლის საფასის სახელად იქცა ეს ზედწერილი იმასა ნიშნავდა, რომ ამ სპილენძის ფულის ნიშანს ვერცხლის დრამის ფასი უნდა ჰქონოდა. ასევე მოქცეულა საქართველოს მთავრობაც. ეს გარემოება მაშინდელი ფულების ქართული ზედწერილითაც მტკიცდება. თამარ მეფის 1187 წ. მოჭრილ ფულსა და ლაშა-გიორგის 1210 წლისას აწერია: „ქრონიკონსა (ამა და ამას) სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაჲ ვერცხლისა ამის“-აო. რაკი სპილენძის ფულს საქართველოს მთავრობა „ვეცხლად“ აცხადებდა, ამით მას უნდოდა აღენიშნა, რომ მის მოჭრილ სპილენძის ფულს ვერცხლისფულის, ანუ დრამის ფასი ჰქონდა. მაშასადამე, ამით მთავრობას სპილენძის ფულისათვის სავალდებულო გადაკვეთილი ფასი დაუწესებია.

ასეთი საშუალება აღმოსავლეთში ახალი საქმე არ იყო. სამარყანდში მოჭრილ სპილენძის დირჰემებზეც მაგ., ასეთი ზედწერილი იყო: შუბლზე — „სამარყანდისა და ქალაქის სანახებში“, ხოლო ზურგზე — „ვინც (იგულისხმება — ამ ფულს) არ მიიღებს, ბოროტმოქმედად ჩაითვლება“-ო (В. Бартольд, Из Минцкабинета при СПетербург. университете, ЗВОРАОб т. XIV, 36).. ამ გზით მთავრობას სამარყანდში კანონით სავალდებულო გაუხდია სპილენძის ფულის მიღება და, ვინც არ მიიღებდა, დაისჯებოდა. სპარსელ ისტორიკოსს ნერშაჰის აღნიშნული აქვს, რომ სპილენძის ფულის მოჭრა ღიტრიფმა მოიგონა. იგი ჰარუნ ალ-რაშიდის მოადგილე იყო ხორასანში. ამის გამო ამ ფულს ღიტრიფის სახელს ეძახდენ. თავდაპირველად 1 ვერცხლის დირჰემში 6 ღიტრიფს იძლეოდენ. 522 წელს ჰიჯრ. ამავე ისტორიკოსის ცნობით 100 ვერცხლის დირჰემი 70 ღიტრიფად ფასობდა, ხოლო 1 მისხალი $7^1/_2$ ღიტრიფს უდრიდა, М. Наршахи. История Бухары, перевод с персидского Лыкошина г. Ташкент, 1897, გვ. 49, 50. სპარსული ტექსტი სამწუხაროდ ხელთ არა მაქვს).

თვით საქართველოში და სომხეთში ფულის ფასობის შესახებ X—XIII სს. შედარებით მცირე ცნობები მოიპოვება. 1184 წ. გიორგი III-ის სიკვდილის წელს მხითარ გოშის მიერ შედგენილს სომხური სამართლის წიგნში აღნიშნულია, რომ იმდროინდელი ფასობის კვალობაზე ოქროს დრაჰკანი 13 ვეცხლის დრამას ეთანასწორებოდა (იხ. *Բաստամեանց. Մխիթարայ Գօշի դատաստանագիրք հայոց*, გვ. 309). ოდიშში ყოფილი XIII ს. პირველ ნახევრის ხატის

წარწერის ცნობა საშუალებას გვაძლევს დრაჰკან-დრამის მაშინდელი ფასობა გამოვარკვიოთ. კახაბერისძეთა ასული თეონელა, ზვიადის დედა, ძე მათი ვ̃ნ დადიანი და მანდატურთუხუცესი ბედიანი და ცოლი მისი ქართლის ერისთავ ბეგაჲს ასული ხუაშაქი აცხადებენ, რომ ხატის მოჭედილობაზე „იდო ორას ოცი ვერცხლი". ხოლო მათ მიერ შემკობის დროს მოუნდა „რვა ასი ვერცხლი ორმოცდა ათი ოქრო დრამის წონა" (Brosset. Voyage archéologique, VII, 43). ამგვარად, 800 ვერცხლის წონითი ერთეული 90 დრამის წონა ოქრო ეთანასწორებოდა, როგორც „შაჰრ ელ-ჯევაჰირ"-შია აღნიშნული $1^3/_7$ დრამისა = 1 მისხალს (Sauvaire, Materiaux, Journal Asiatique 1879, octobre-novembre-décembre, გვ. 492). მაშასადამე, 90 დრამის წონა ოქრო $= 90 : {}^{10}/_7 = 63$ მისხალ ოქროს. ამგვარად, 800 ვერცხლის ერთეული დრამა = 63 ოქროს დინარს. 1 ოქროს დინარი $= \frac{800}{83} = 12^2/_3$ ვერცხლის დრამას. ამისდა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ რომ XII ს. პირველ ნახევარში ოქროს დინარი, ანუ დრაჰკანი საქართველოში დაახლოებით $12^2/_3$ ვერცხლის დრამად უნდა ფასებულიყო. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, 1294 წ. ახლო ხანებში 500 დრაჰკანი 5000 დრამას შეადგენდა („հինգ հարիւր դահեկան որ լինի 5000 դրամ" Պատմ. მასკოვის გამოცემის გვ. 357). აქედგან ცხადია, რომ დრაჰკანი = 10 დრამას. მაშასადამე, დრაჰკან-დრამას შორის რიცხვობრივი დამოკიდებულება XIII ს. დამლევს საქართველოშიაც თავის ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარა.

როგორა ფასობდა ის „პ ე რ პ ე რ ა", რომელიც ზაქარია ყაზვინის სიტყვით ქართული ფული იყო და ერთ მისხალს წმინდა ოქროს შეიცავდა, არა ვიცით რა. საგულისხმოა, რომ როცა შოთა რუსთველს ოქროს ფულზე აქვს საუბარი, ყოველთვის ან დრაჰკანს, ან „პერპერას", ან წითელსა ხმარობს ტერმინებად. ზღვათა მეფისგან გადახდილი ქორწილის შესახებ მაგ., მას ნათქვამი აქვს: „უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა და პერპერასა დაფანტულსა ზედან სცვეთდენ ვითა კიდსა"-ო (ს. კაკ. § 1387, ი. აბულ. § 1364). ავთანდილი რომ ვაზირსა სთხოვდა როსტევან მეფისაგან მისთვის წასვლის ნებართვა მოეხერხებინა, დიდებულ მგოსანს ნათქვამი აქვს:

„მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირეო.
და ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო.

ვაზირმან უთხრა სიცილით: «ქრთამი შენ გქონდეს შენია.. შენი ოქრო შენვე დაგრჩეს"-ო (ს. კაკ. § 702_{3-4}, 703, 704_2, ი. აბულ. §§ 679_{3-4}, 680, და 681_2). ავთანდილისათვის მირთმეულს ფრიდონის საჩუქარშიაც სხვათა შორის ყოფილა: „სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნაკლულითა" (ს. კაკ. § 975, ი. აბულ. § 952_3). ხატაელთა დამარცხების შემდგომ „ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია" (ს. კაკ. § 437_1, ი. აბულ. § 412_1). ი. აბულაძეს თავისი საძიებლის ფულებ-წონის ნაწილში „ხატაური"-ც შეუტანია (იხ. 1914 წ. გამ., გვ. 230) და როგორც ჩანს, ეს ტერმინი ფულის აღმნიშვნელად მიაჩნია. ეს სიტყვა მას მხოლოდ ერთგან, § 412_2 აქვს მოხსენებული და იქ მგოსანს ნათქვამი აქვს: დამარცხებულ ხატაელებს. „ხარაჯა" დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია, კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია". რაკი ხატაური დრაჰკანს მისდევს და თანაც რაოდენობის რიცხვია აღნიშნული, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ეს ტერმინიც დრაჰკანივით ფულის ერთეულის აღმნიშვნელი იყოს. მაგრამ იმ ერთი შემთხვევის გარდა, რომელიც ი. აბულა-

ძეს თავის საძიებელში ხატაურისათვის აღუნიშნავს, სხვაგანაცა აქვს ნახმარი მგოსანს ეს სიტყვა და აქ ამ ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობა უკვე მკაფიოდ მოჩანს. როდესაც ავთანდილი ვაზირის სანახავ-სასაუბროდ გაეშურა, ვაზირი სტუმარს მიეგება და „ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ დაფალმან, ავმან, უქმან, ფერჴთა ქვეშე ხატაურსა უფენენ და მიწად უქმან“ (ს. კაკ. § 6691_1—$_2$, ი. აბულ. § 66_1—$_2$). ამ უკანასკნელი ტაეპის დედააზრი ცხადყოფს, რომ ხატაური ძვირფასი საფენი ან ქსოვილი უნდა იყოს და არა ფული. თუ ამის შემდგომ ადამიანი პირველ ზემომოყვანილ მაგალითსაც გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ სტავრასა და ატლასთან ერთად მოხსენებული ხატაური აქაც ძვირფას ქსოვილად არის ნაგულისხმევი.

გიორგი ბრწყინვალის „თ ე თ რ ი“ უდრიდა, როგორც გამოირკვა, ორიან ხუთ დანგს და „წმიდაჲ ვეცხლი“ იყო. ალბულას სამართლის წიგნის 1672 წ. გადამწერის განმარტებით ეს გიორგი ბრწყინვალის „თეთრი“ ღირებულებითა და რაოდენობით მერმინდელს აბაზს უდრიდა. ათაბაგ ალბულას სიტყვებითგანა ჩანს ამასთანავე, რომ „ორიანი დანგი“ ვერცხლის ფულის „თეთრის“ ერთს მეხუთედს შეადგენდა, ერთიანი დანგი კი, მაშასადამე, თეთრის ერთი მეათედი იქნებოდა.

როცა საქართველოში აბაზიანები შემოვიდა, მაშინ როგორც ჩანს, „აბაზი“ ძველი „თეთრის“ ოდენა ერთეულად ყოფილა მიჩნეული.. ასე იყო თუ არა იმთავითვე, ამას ჯერ კიდევ გამორკვევა უნდა, მაგრამ XVII ს. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ყოფილა „თეთრსა“ და აბაზს შორის. XVIII ს-ში აბაზში, როგორც აღნიშნული იყო, 4 დანგი ითვლებოდა რადგან ამავე დროს და უკვე XVII ს-შიაც აბაზშიც 4 შაური ითვლებოდა, ცხადი ხდება, რომ დანგი და შაური თანასწორი ღირებულებისა ყოფილა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში „ორიანი დანგი“ უნდა ვიგულისხმოთ, ერთიანი დანგი კი მაშასადამე, $^1/_2$ შაურს უდრის. ჩვენ ვიცით, რომ ნახევარ შაურში 5 ფული და შაურში 10 ფული ითვლებოდა. ამგვარადვე ერთიან დანგში 5 ფული და ორიან დანგში 10 ფული უნდა ყოფილიყო. ზემონათქვამის შემდგომ შემდეგი შეფარდება გვექნება:

1 ფული $= {}^1/_5$ დანგს
5 ფული $=$ 1 დანგს
10 ფული $=$ 1 ორიან დანგს
40 ფული $=$ 4 ორიან დანგს $=$ აბაზს

ათაბაგ ალბულას სამართლის წიგნის ცნობით კი ჩვენ ზემომოყვანილი შეფარდება ასე წარმოგვიდგება:

1 თეთრი $=$ 5 ორიან დანგს
1 ორიანი დანგი $= {}^1/_5$ თეთრისას
1 ერთიანი დანგი $= {}^1/_{10}$ თეთრისას.

ქართული ან საქართველოში გავრცელებული ფულების სხვადასხვა ერთეულების ურთიერთშორისი დამოკიდებულების გამოსარკვევად „ქელმწიფის კარის გარიგებისა“ და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების უძველეს ხელნაწერში, რომელიც პროფ. ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა, ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება, კიდეზე XVII ს. მინაწერის სახით შენახული. გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების იმ მუხლის გასწერივ, სადაც აღნიშნულია, რომ

ჰეროვანის მკვლელობისათვის უნდა „ორასი დრაჰკანი დაუურვოს. ათას ორასი თეთრი", ასეთი განმარტებაა. „თეთრი: რა არის ანუ დრაჰკანი":-ს სათაურს სხვა, უფრო მქრალი მელნითა და ხელით ნაწერი ამგვარი ცნობა მისდევს: „ერთი დრაკანი: ფლური ერთი: თეთრად: ორ მარჩილ ნახევარი და: ერთი თეთრი ხუთიანი: არის": (იხ. ხელთნ. გვ. 7, შეად. ე. თაყაიშვილის ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. III. ტფილისი, 1920). ამ განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ დრაჰკანი და ფლური თანასწორღირებულებიან ოქროს ფულად ითვლებოდა.

„თეთრი" საკუთრივ ნახმარი „ხუთიანი" არსებობდა. რაკი თეთრის რაოდენობითი შედგენილობის ამგვარი განსაზღვრა საჭიროდ ყოფილა მიჩნეული, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „თეთრი სხვა შედგენილობისაც უნდა ყოფილიყო.

ოქროს ფული დრაჰკანი, ანუ ფლური ვერცხლის ფულად, „თეთრად" ნაანგარიშევი ზემომოყვანილი განმარტებისდა მიხედვით $2^{1}/_{2}$ მარჩილი და 1 ხუთიანი თეთრი ყოფილა. საფიქრებელია, რომ 1 თეთრი ხუთიანი აქ ხუთდანგიანი თეთრის მნიშვნელობით არის ნახმარი. ხოლო ხუთდანგიანი 1 თეთრი ერთ აბაზს უდრიდა. მარჩილი კიდევ 3 აბაზს შეიცავდა. ამგვარად, ვერცხლის ფულად, თეთრად დრაჰკანი, ანუ ფლური$=6^{1}/_{2}$ აბაზსა$+1$ აბაზს, ანუ $7^{1}/_{2}$ აბაზს. მართლაც, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის სიტყვით, „დრო არის... ფლურის ფასი შვიდაბაზ უზალთუნად იყოს, ან ერთ შაურ ნაკლებათაც იქმნების" (§ 16). აბაზების მაგიერ რომ ქართული ფულის სახელი ვიხმაროთ, იგივე დრაჰკანი და ფლური $7^{1}/_{2}$ თეთრს ხუთიანს უნდა უდრიდეს.

ამ მერმინდელ განმარტებაზე ნაკლები არ არის ის ცნობა, რომელიც „ძეგლის დადების" თვით ძირითად დადგენილებაშია შენახული. იქ რომ ნათქვამია „ორასი დრაჰკანი დაუურვოს. ათას ორასი თეთრი"-ო, საკითხი იბადება, ეს ორი ერთიმეორის შესატყვისი ოდენობა იყო, თუ დამნაშავეს დაზარალებულის ოჯახისათვის 200 დრაჰკანი და 1200 თეთრი ერთად უნდა დაეურვა. მეორე აზრი რომ უფრო სწორე ყოფილიყო, მაშინ ზემომოყვანილი წინადადება ასე იქნებოდა გამოთქმული: „ორასი დრაჰკანი და ათას ორასი თეთრი დაუურვოს"-ო. რაკი კანონმდებლებს ასე არ დაუწერიათ, უფრო საფიქრებელია, რომ აქ დამნაშავესთვის ერთგვარი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა იყო და მას შეეძლო გინდ ოქროს, გინდ ვერცხლის ფულად გადაეხადა. თუ ოქროთი მოინდომებდა დაურვებას, მაშინ ორასი დრაჰკანი უნდა გამოეღო, ხოლო თუ ვერცხლის ფულით უფრო ემარჯვებოდა, 1200 თეთრი უნდა მიეცა დაზარალებულთათვის.

მაგრამ იქნებ 1200 თეთრი 200 დრაჰკანის შესატყვისობა კი არ იყოს, არამედ ორივე ერთად ჰეროვანის სისხლის საზღაურს შეადგენდა? ქევისბერის სისხლის ფასი 6000 თეთრი იყო. მისი განაყოფისა და გვარისკაცისათვის 3000 თეთრი, ჰეროვანისათვის 200 დრაჰკანი, 1200 თეთრი, — ციხისთაობის მქონებელი ქადელი კაცისათვის 3500 თეთრი, უციხისთავო ქადელს ჰეროვანის სისხლი უნდა დაურვებოდა (იხ. ს. კაკ. გამ. 8). უკანასკნელი ცნობა ცხადყოფს, რომ ჰეროვანს 3500 თეთრზე საგრძნობლად ნაკლები უნდა ჰქონოდა მიკუთვნილი. ხოლო რადგან ქევისბერის განაყოფსა და მოგვარესაც კი მხოლოდ 3000 თეთრი ჰქონდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ჰეროვანს 3000 თეთრზე საგრძნობლად ნაკლები უნდა ქონოდა. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ,

რომ ქევისბერს ვითარცა თანამდებობით მოსილს ბერს თავის თანამოგვარეებზე, რომელთაც 3000 თეთრი ეკუთვნოდათ სისხლად, ერთი ორად მეტი ჰქონოდა და 6000 თეთრი დაეურვებოდა ხოლმე, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ უბრალო კადელი ციხისთავის ნათესავსა და მოგვარეს, რომელსაც ჰეროვანის სისხლის ოდენი თეთრი უნდა დაურვებოდა, კადელი ციხისთავის სისხლს $1/2$-ზე მეტი არ უნდა ქონოდა, ე. ი. 3500 : 2, ანუ 1750 თეთრზე ნაკლები. რომ წარმოვიდგინოთ, ვითომც ჰეროვანს 200 დრაჰკანი + 1200 თეთრი ჰქონოდეს სისხლად, გამოვა რომ ჰეროვანს 2600 თეთრი უნდა ჰქონოდა, ე. ი. ციხისთავზე მხოლოდ 900 თეთრით ნაკლები და არა 1750 თეთრი როგორც maximum-ად მოსალოდნელი იყო. ძეგლის დადების სიტყვით კი ციხისთავის ნათესავ-მოგვარეს ჰეროვანის სისხლი ეკუთვნოდა. რადგან 1200 თეთრი უფრო უახლოვდება 3500 თეთრის ნახევარს, 1750 თეთრს, ვიდრე 2600 თეთრი, ამიტომ საფიქრებელია, რომ ჰეროვანის სისხლის ოდენობა ან 200 დრაჰკნად, ან 1200 თეთრად უნდა ყოფილიყო გადახდილი.

მაშასადამე, 200 დრაჰკანი ღირებულობით 1200 თეთრს უნდა უდრიდეს. თუ ჩვენ არ ვცდებით, მაშინ ცხადი ხდება, რომ იმ დროს 1 დრაჰკანი 6 თეთრს ეთანასწორებოდა და არა $7^1/_2$-ს, როგორც ეს შემდეგში, მაგ. XVII—XVIII სს-ში, იყო ხოლმე.

ცნობილია, რომ ყაზან-ყაენმა სპარსეთში ფულის მოჭრასა და სისტემაში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა. ჩვეულებრივი მისი ვერცხლის ფული დრამა, ანუ დირჰემი, როგორც ამას მრავლად შენახული ფულების წონა ამტკიცებს, 2,15 გრამს იწონიდა, ე. ი. ნახევარ მისხლიანი იყო (А. Марков, Каталог Джелаиридских монет СПб. 1897, LXXVIII). მაგრამ ყაზანმა ოქროს დინარის მაგიერ ვერცხლის დინარი შემოიღო და ისე მოაჭრევინა, რომ ერთ დინარში (می‌فرمود تانقدهٔ مسکوک نیز بوزن خرج کنند سه مثقال بیک دینار) სამი მისხალი ყოფილიყო. ხოლო რადგან ნახევარი მისხლიანი ვერცხლის ფული ერთი დირჰემი იყო, ამიტომ, როგორც პროფ. ვ. ბარტჰოლდსაც აქვს უკვე აღნიშნული, ეს ყაზანური ვერცხლის დინარი 6 დირჰემიანი, ანუ დრამიანი იყო (იხ. Персидская надпись на стене Анийской Мечети Мануче, СПб, 1911, გვ. 18).

იბადება ბუნებრივად საკითხი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ყაზან-ყაენის მიერ მოჭრილი ვერცხლის დინარი სწორედ ექვსდრამიანი და არა მეტი, ან ნაკლები? უეჭველია, თანაშეფარდების საფუძვლად აქ გარკვეული ანგარიში უნდა ყოფილიყო დადებული. ვფიქრობ, რომ ქართული ახლოდროინდელი და მერმინდელი ცნობები ოქრო-ვერცხლის ფულების თანაშეფარდების შესახებ ზემოაღნიშნულ საგულისხმო გარემოების ასახსნელად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს. პაპუნა ორბელიანს აღნიშნული აქვს სხვათა შორის: „გამოეგზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა ბრძანებისაებრ მისისა, მოსჭრეს სამ-აბაზიანი და შაური, ფლური 30 შაურისა“-ო (ამბავნი ქართლისანი, ჩუბ. 417, ჭიჭ. 158). აქ საუბარია შაჰსულთან იბრეიმისდროინდელ, ანუ 1748 წ. თბილისში მოჭრილ სპარსულ ფულზე. ფლური, როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, ქართულად ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მაშასადამე, სპარსელების მოჭრილი ფლური ვერცხლის ფულად ნაანგარიშევი 30 შაურიანი, ანუ $7^1/_2$ აბაზიანი ყოფილა. რადგან აბაზიანი, როგორც თავის ადგილას ეს განმარტებულია ძველი დრამის მაგიერ

ტერმინად შემოვიდა, ამიტომ ზემომოყვანილი ამბავი შეიძლება ასე გამოითქვას: სპარსელებისაგან საქართველოში მოჭრილი ოქროს ფლური $7^1/_2$ დრამად ფასობდა ვერცხლის ფულად ანგარიშის დროს. ამგვარი შეთანასწორება ყოფილა XVII ს-შიც საქართველოში.

მაგრამ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება", როგორც უკვე დავრწმუნდით, ცხადყოფს, რომ წინათ, XIV ს. პირველ ნახევარში ოქრო-ვერცხლის ფულების სხვანაირი შეთანასწორება ყოფილა, მაშინ: 1 დრაჰკანი, ანუ ოქროს დინარი 6 თეთრს, ანუ დრამას უდრიდა. ასე ყოფილა მაშინ საქართველოში.

ყაზან-ყაენის ხანა გიორგი ბრწყინვალის მეფობას ოდნავ წინ უსწრებს და საფიქრებელია, რომ ოქრო-ვერცხლის ფულების შეთანასწორებას რაიმე თვალსაჩინო ცვლილება არ უნდა გამოეარა. ყველა ზემონათქვამის შემდგომ იქნებ შესაძლებელი იყოს იმ საკითხის პასუხის მოძებნაც, რომელიც ზემოთ იყო დასმული, თუ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ყაზან-ყაენმა სწორედ ექვსდირჰემიანი და არა მეტ-ნაკლებიანი ვერცხლის დინარი მოაჭრევინა? ალბათ ის, რომ ყაზან-ყაენის დროსაც ნამდვილი ოქროს დინარსა და ვერცხლის-დირჰემს შორის ამგვარი რიცხვითი დამოკიდებულება არსებობდა და 1 ოქროს დინარი 6 დირჰემად ფასობდა.

თავდაპირველად არაბთა სახალიფოში ოქროს დინარი 10 ვერცხლის დირჰემად ფასობდა, მაგრამ შემდეგ 12-მდე და თვით 15-მდისაც ავიდა (Alfred von Kremer. Culturgeschte des Orients 60 შენ. 2 და ტიზენჰაუზენი. Монеты восточного халифата, XII). შემდეგში. შესაძლებელია ვერცხლის ფულის ჯერ სიმცირისა, ხოლო შემდეგ გაქრობის გამო და სხვა მიზეზების წყალობით, ვერცხლის ფულის კურსს ძალიან აუწევია. ნამდვილი ვერცხლის ფულის ფასობის აწევის მთავარი მიზეზი იქნებ ის ყოფილიყო, რომ წინანდელი XII ს. დირჰემი, ანუ დრამა მხოლოდ „ვეცხლი" იყო, ნამდვილად კი, როგორც ცნობილია სპილენძისა იჭრებოდა. როდესაც წმინდა ვერცხლის დირჰემები და დრამები შემოვიდა, მათ ფასს სპილენძის „ვეცხლ" დირჰემთან შედარებით, რასაკვირველია, უნდა აეწია. ასეა თუ ისე, ამგვარი ვითარების გამომხატველია ყაზანყაენის დროინდელი 6 დირჰემიანი ვერცხლის დინარი და გიორგი ბრწყინვალის დროის 1 დრაჰკანი რომ 6 დრამად ფასობდა, თუმცა XIII ს. ვერცხლის ფული უკვე მეორე მეოთხედითგან მოყოლებული კვლავ გაჩნდა. XIV ს. ავტორებს ნუვეჲრის (d'Ohsson. Histoire des Mongols IV, 609) და ალ. ომარისაც (Notices et Extraits XIII, 194 და 244, ბარონ ვ. ტიზენჰაუზენი, Сборник Материалов, относящихся к истории Золотой Орды, т.I. 242, СПБ) 6 დირჰემიანი დინარი მოხსენებული აქვთ (იხ. პროფ. ვ. ბარტოლდ. Персидская надпись на стене Анийской Мечети Мануче, 18).

ამგვარად ყაზან-ყაენის ღვაწლად თითქოს მხოლოდ ოქროს დინარების მაგიერ ვერცხლის დინარების შემოღება უნდა ჩაითვალოს. მაგრამ შენახულია მაკრიზის ცნობა, რომ ჰარუნის დროს, როცა ზარაფხანა ელსინდი იბნ-შაჰეკს ჩააბარეს, პირველად მან დაიწყო დინარის ოდენა დირჰემების, ანუ დრამების მოჭრა (ვ. ტიზენჰაუზენ, Монеты восточного халифата, XIII, შენ. 7), ამიტომ შეიძლება აქაც მხოლოდ ძველის განახლებასთან გვქონდეს საქმე.

შემდეგში დირჰემის, ანუ დრამის ფასი კვლავ ეცემა და XVII ს-ში როგორც დავრწმუნდით უკვე $7^1/_2$ ავიდა ოქროს ფლურის კურსი. მაგრამ ჯერ კი-

დევ 1700 წელს თბილისში ფრანგი მეცნიერი პროფ. ტურნეფორის სიტყვით ვენეტიკური ფლური (les sequins de Venise), რომელიც, როგორც ცნობილია, ნამდვილად ოქროს ფული იყო, ექვს აბაზად და სამ შაურად[14], ანუ დრამით რომ გამოვთქვათ, $6^3/_4$ დრამად ფასობდა.

XVIII ს-ში უფრო აუწევია ოქროს ფულის ფლურის კურსს და $7^1/_2$ დრამად ან აბაზად და მეტად ფასობდა თურმე. ამავე დროს 1 ოქრო, რომელიც ქართულად დუკატის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, 10 აბაზად გადიოდა. XVIII ს. პირველი ნახევრის დამლევს სპარსეთში ამაზე უფრო მოზრდილი ოქროს ფულიც სცოდნიათ. ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ იბრეიმ მირზას სპარსეთის შაჰების ტახტის ხელში ჩაგდების შემდგომ, ე. ი. 1748 წ. ერეკლე მეფისათვის საჩუქრად გამოუგზავნია „ათასი თუმანი სულ ფლურად, რომელი იყო ერთი ფლური ექვსის მინალთუნისა“-ო (ამბავნი ქართლისანი, ჩუბ. 416, ჰიჯ. 157). მაშასადამე, ფლური 30 აბაზი ყოფილა თუნდაც რომ ფლურის ოქროს ფულის აღმნიშვნელობა არ გვცოდნოდა, ცხადია, 6-მინალთუნიანი ფლური შეუძლებელია ვერცხლის ფული ყოფილიყო: ასეთი სიმძიმის ფული გამოუდეგი იქმნებოდა. ამგვარად, ირკვევა, რომ ეს სპარსული ოქროს ფული იმდენად მოზრდილი უნდა ყოფილიყო, რომ ვერცხლის ფულად ნანგარიშევი 30 აბაზად ღირებულა. რადგან ჩვეულებრივი სპარსული ოქროს ფლური, თვით იმავე შაჰსულთან იბრეიმისაც, როგორც უკვე გამორკვეული გვაქვს, მხოლოდ $7^1/_2$ აბაზიანი იყო, ამიტომ ეს ერეკლე მეფისათვის საჩუქრად მორთმეული 30-აბაზიანი სპარსული ფლური უეჭველია ჩვეულებრივზე ოთხჯერ უფრო მოზრდილი უნდა ყოფილიყო.

საბა ორბელიანს თავის ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნული აქვს, რომ „ერთი სკუტი ოთხი აბაზია“-ო (ცისკარი, 1852, № 3, გვ. 55). ქართულ ძეგლებში არ გვხდება ამ ფულის შესახებ სხვა რაიმე ცნობები.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნისა და ფრანგი მეცნიერის პროფ. ტურნეფორის ცნობებითგანა ჩანს, რომ XVII ს. დამლევს და XVIII ს. დამდეგს თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგი უცხოეთის ფულიც ტრიალებდა:

1. „ასლანი“, რომელსაც ჰოლანდიაში სჭრიდენ აღმოსავლეთში ვაჭრობისათვის და ზედ ლომი ჰქონდა გამოხატული და ამის გამო ოსმალნი და სხვებიც აღმოსავლეთში „ასლანი“-ს ეძახდენ. ეგვიპტეში ამ ოქროს ფულს „აბუყელ“-ს Abouquel) უწოდებდნენ თურმე.

2. ვენეტიკური ფლური (les sequins de venise).

3. „ქისა“, რომელსაც „ურუმნი“ 30 თუმნის სახელად ხმარობდენ თურმე.

4. „რუბი“, რომელსაც ფრანგნი 3-შაურიანს უწოდებდენ თურმე.

5. „იუზალთუნი“ რომელსაც ყიზილბაშნი ორშაურიანის აღსანიშნავად ხმარობდენ (ვახტანგ. სამართლის წიგნი, კარი თეთრის გარიგებისა და ტურნეფორი Voyage du Levant, I, ამსტერდამის 1728 წ. გამ. გვ. 131).

პროფ. ტურნეფორის ცნობით, 1700 წ. თბილისში თუმანი $12^1/_2$ რომაულ ვერცხლის ფულად (ecus) ან 18 ასლანად, ანუ აბუყელად ფასობდა. ვახტანგ VI-ის სიტყვით კი თუმანი 10 მინალთუნს შეადგენდა. ხოლო ვენეტიკური ფლური 7 აბაზად და 3 შაურად ღირდა. ფრანგულ ფულად აბაზი 22 სუს,

[14] „Les Sequins de Venise, qui ont cours par tout l'Orient, valent dans Tiflis six Abagis chacun et trois Chaouris“ (Voyage du Levant, I, გვ. 131).

(sols) უდრისო, შაურიანი $5^1/_2$, ორშაურიანი — 11 სუს, პისტრი კი ათშაურ ნახევრად ფასობსო[15].

1772 წ. რუსულ მაშინდელ ფულთან შედარებით ქართული 1 ფული = $^1/_2$ კაპ.
1 შაური = 3 კაპ.
უზალთუნი, 2 შაური = 10 კაპ.

1 აბაზი = 20 კაპ., მაგრამ ეკატერინესეულ რუსეთის ვერცხლის მანეთიანში თურმე $5^1/_2$ აბაზს, ე. ი. 2 შაურით მეტს იძლეოდენ, ხოლო ელისაბედისეულსა და ანასეულში $6^1/_2$ აბაზსაც კი იძლეოდენ, ე. ი. 6 შაურით მეტს.

რუსულ ოქროს იმპერიალებს, რომელსაც მაშინ საქართველოში თურმე თუმანს ეძახდენ, ხალისით ეტანებოდენ. აქეთგან საფიქრებელია, რომ რუსული იმპერიალი 10 მინალთუნად, ანუ 50 აბაზად ფასობდა (J. A. Güldenstädt. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge I, 355—357, 359), მაგრამ გულდენშტედტის სიტყვით რუსულ იმპერიალებს სამკაულისათვის ოქროს მასალად ხმარობდენ.

სპარსთა ბატონობის დროს მოჭრილი ქართული აბაზიანები, რომელიც 1 დრახმასა და 14 გრანს იწონიდა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იშოვებოდა, ეს ძველი აბაზიანები თურმე $1^1/_2$ ახალ აბაზად ფასობდა (იქვე, 358).

დასავლეთ საქართველოში ამავე დროს 1772 წ. ოსმალური ფული რომ ბატონობდა, ოსმალური 1 ფარა რუსულს $1^1/_2$ კაპ. ფასობდა, მაგრამ ქართული შაურიანი 4 ფარად, ხოლო აბაზიანს 16 ფარად იღებდენ თურმე (იქვე, 392), მაშასადამე, ქართული ფული დასავლეთ საქართველოში უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე თვით აღმოსავლეთ საქართველოში. რუსული მაშინდელი ფულით რომ გამოიხატოს ეს განსხვავება, დასავლეთ საქართველოში შაურიანი 1 კაპიკით, ხოლო აბაზიანი 4 კაპიკით უფრო ძვირი ყოფილა. ქართული ფულით გამოხატული განსხვავება შაურზე 2 ქართული „ფული“, ხოლო აბაზიანზე 8 ქართული ფული გამოდის.

ოსმალური ოქროს დუკატი თურმე 120 ფარად ფასობდა (იქვე, 392).

როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, „ერთი ოქრო“ ქართულად დუკატსა ნიშნავდა. ფულის ამ ერთეულის ღირებულებისა და მისი ოდენობის გამოსარკვევად შეიძლება ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების ორი წიგნის ცნობა იყოს გამოყენებული. პირველში ნათქვამია: „სირაჯების ნიხრანა თორმეტი მინალთუნი წელიწადში ერთხელ, როცა მოურავის ნებაა, უნდა მიართვან სირაჯებმა, — ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მისცენ“-ო (ს˜ქს სძ˜ვლნი II, 529 § 7). „ოქროს“ ოდენობის გასაგებად ნიხრანაში მოურავისა და ნაც-

[15] „un Toman vaut 12 écus et demi Komains qui font 18. Aslanis ou Abouquels, ce sont des écus qui l'on frappe en Hollande pour le Levant. Les Orientaux les nomment Aslanis, à cause de la figure du Lion qu'ils appellent Aslan. Cette monnoye est connue en Egypte sous le nom d' Abouquel“ (Voyage du Levant, t. I, გვ. 131. ამსტერდამის გამოცემა, 1728).

„Les Sequins de Venise, qui ont cours par tout l'Orient, valent dans Teflissix Abagis chacun èt trois Chaouris ou Sains. Le Sequin vaut sept livres dix sols monnayé de France, ainsi l'Abagi vaut environ vingt et deux sols; quatre Chaouris font un Abagi..., Aini le Chaouri revient à 5. sols 6. derniers; Un Usalton vaut demi Abagi ou deux Chaouris, c'est-à-dire, 11 sols. Un Chaouri ou Sain vaut 10 Aspres de cuivre ou Carbeguis. dont 40. font un Abagi. Anfin une Piastre vaut dix Chaouris et demi“ (იქვე, ტ. I, გვ. 131).

ვლის წილადობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული. ამის შესახებ განსაკუთრებული დებულება არსებობდა და ქ. მოურავის სარგოს გარიგების პირველი წიგნის § 19 არკვევს, თუ ნიხრანას რამდენი წილადობა უნდა რგებოდა მოურავსა და რამდენი წილადობა ნაცვალს.

იქ სახელდობრ აღნიშნულია, რომ „წელიწადში ერთხელ საერთოდ სირაჯებმა მოურავს უნდა მოართვან დებულებისაებრ ნიხრანასი თოთხმეტი მინალთუნი. აქედამ ორი მინალთუნი მოურავის ნაცვლისა არის და სხვა მოურავისა. ეს ღვინოს ნიხრის თოთხმეტი მინალთუნი წელიწადში ერთხელ აიღება, თუნდა მარიამობისთვეში და თუნდა სხვას თვეში“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 525 § 19).

ორივე ზემოყვანილი მუხლის შინაარსი ერთი და იგივეა, მაგრამ აზრი ცოტა სხვანაირადაა გამოთქმული. პირველი წიგნის § 19-ის დებულებისაებრ ნიხრანის $^{6}/_{7}$ მოურავისა ყოფილა და $^{1}/_{7}$ ნაცვლისა. მოურავს 12 მინალთუნი ერგებოდა, ნაცვალს კი მხოლოდ 2 მინალთუნი. მართლაც, მეორე წიგნის § 7-შიც ნათქვამია, რომ სირაჯებს მოურავისათვის ნიხრანას ფასში 12 მინალთუნი უნდა მიერთმიათ. ხოლო მოურავის ნაცვლის შესახებ კი აქ წერია, რომ „ერთი ოქრო“ უნდა მისცენო. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „ერთი ოქრო“ ღირებულებით პირველი გარიგების წიგნის § 19-ის 2 მინალთუნს უდრის.

მაშასადამე, ირკვევა „ერთი ოქრო“ ღირებულებით 2 მინალთუნს ვერცხლის ფულს, ანუ 10 აბაზს უდრიდა. უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ „ფლური“, რომელიც აგრეთვე ოქროს ფული იყო, 6 ან $7^{1}/_{2}$ აბაზს უდრიდა. აქეთგან ცხადი ხდება, რომ „ფლური“ და „ოქრო“ ერთი და იგივე არ იყო -იმისდა მიუხედავად, რომ ორივე ოქროს ფულის სახელად იხმარებოდა. 1 ოქრო ფლურზე 4 ან $3^{1}/_{2}$ აბაზით უფრო დიდი ყოფილა. რადგან აკად. გულდენშტედტის სიტყვით ქართველები „ოქროს“ დუკატს უწოდებდენ, უნდა დავასკვნათ, რომ 1 დუკატი ღირებულებით 10 აბაზს ან 2 მინალთუნს ვერცხლის ფულს უდრიდა.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1717 წ. ერთ მობარების წიგნში იხსენიება „ათის თუმნის ფლური, ერთი ფლური ორ მინალთუნად“ (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 361), ე. ი. ფლური აქ ერთ ოქროს უდრის.

2. საზომი

შესავალი

სივრცე-სიმძიმის რაოდენობის გამოსარკვევად უძველესი დროითგან გან-საკუთრებული ერთეულები არსებობდა, რომელთაც საერთო სახელად „საზო-მი" ეწოდებოდა (რკონის 1259 წ. სიგ., ქ˝კბი II, 137). რიცხვითი ოდენობით აღნიშვნისათვისაც, როდესაც ნივთიერი საგნების შესახებ იყო მსჯელობა, გარ-კვეული ერთეულები ჰქონდათ. ქვემოთ ყველა ამ საზომ-ერთეულის შესახებ გვექმნება საუბარი. დანიშნულებისდა გვარად საზომები სამ მთავარ დარგად იყოფებოდენ: მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხო-ვანი ნივთიერებისათვის მიღებულ საზომს — „ს ა წ ო ნ ი" ერქვა. სითხოვანი ნივთიერების საზომს „საწყაული", „საწყაო" ან „საწყეო" ეწოდებოდა, სივ-რცის გასაზომად განკუთვნილს ერთეულებს — „გასაზომი", „საზომი" ეს უკა-ნასკნელი სიტყვა საზოგადო ტერმინად იქცა სამივე დარგის ერთეულების აღ-სანიშნავად.

დროთა განმავლობაში, საუკუნეთა სივრცეზე სხვადასხვა მიზეზების გამო საზომების ახალი და ახალი ტერმინები და ერთეულებიც შემოდიოდა, რომელ-ნიც ზოგჯერ ძველ ტერმინებსა და ერთეულებს სპობდენ. თვით ერთეულების ოდენობაც იცვლებოდა ხშირად ისე, რომ ერთი და იგივე საზომი სხვადასხვა სიდიდისა იყო ხოლმე. მართალია, თვითეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა და ან თემობრივად, ან ქალაქურ-სოფლურად, ან საბატონო, სამონასტროდ, ან კალოს, ან სავაჭროდ, ან კიდევ ძველად და ახლად ითვლებოდა, მაგრამ მათ შორის მაინც ხშირად საგრძნობი განსხვავება იყო და იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი იყო ნახმარი საზომად, აწონილ-აწყულ-გაზომილის ოდენო-ბაც სხვადასხვა სიდიდისა გამოდიოდა. ამას გარდა ამ საზომთა სხვაობაში მთავ-რობას თავისი, კანონიერად მიჩნეული, საზომები ჰქონდა. ამის გამო ისტორი-კოსი და ეკონომისტი ვალდებულია საზომების სიდიდის თავგადასავალი ზედ-მიწევნით იცოდეს, რომ საბუთებში არსებული ცნობებით სარგებლობის დროს ყოველი ხანისა და ყოველი თემის ძეგლისათვის შესაფერისი ოდენობის საზომი ჰქონდეს გათვალისწინებული.

არსებობდა ერთი ძირითადი, მტკიცე კანონიერი ოდენობის საზომი, რომ-ლის საშუალებითაც ყველა დანარჩენი საზომების ნამდვილი სიდიდის გამორ-კვევა და განსაზღვრა შეიძლებოდა. საზომების ამგვარს შემოწმებას „გამოწყვა" და შემოწმებულს საზომს „გამოწყული" ეწოდებოდა. კახა ერისთავთერისთავს რკონის 1259 წ. სიგელში ნაბრძანები აქვს: „საზომი ღუინო[ისა] და ფქვილი[სა] ანუ სეფისკუერისა და ჰიქაი, კოკაი და კაბიწი" — ყუელაი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს"-ო (ქ˝კბი II, 137). ვახტანგ მეფესაც დასტურლამალში ხაზგასმით აქვს მოხელეთათვის ამ აუცილებელი პირობის ასრულება დავალე-

ბული. ღვინის დანახარჯის ანგარიშის წარმოების შესახებ მაგ., იქ ნათქვამია: „ჩვენს სუფრაზედ რაც ღვინო დაიხარჯოს, იმის დახარჯვა საღვინის თავლიდარისათვის გვიბრძანებია. სურები გამოწყული იქონიოს. რამდენიც სურა დაიხარჯოს, სურაში რამდენი ლიტრაა, ის შეიტყონ და რასაც სახლში რამდენი კოკა დაიხარჯოს, იმას თავლიდარი ნაზირს შეატყობინებდეს, ისრემუშრიბს დააწერინებდენო (გვ. 103) ერეკლე მეფის დროინდელ ქალაქის მოურავის სარგოს გარიგებაში ხომ საზომების კანონიერებისათვის თვალყურის დევნება დავალებული აქვს მეფის მოხელეს და თვით ქალაქის მოურავს მისი ხელქვეშეთი მოხელეთურთ. იქ ნათქვამია: „ბატონის (ე. ი. მეფის) ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯევდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას“-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 527 § 47).

ამ დებულებითგანა ჩანს, რომ ზოგ ბაზარ-ვაჭრობაში მიღებულ საზომებს „ნაკლებობა“ და „სიმრუდე“ ემჩნეოდა. ნაკლები საჭარბი, აბრა, ადლი და საწყაოები იქნებოდა, მრუდე კიდევ სასწორი შეიძლება ყოფილიყო. ვაჭრობა ალებმიცემობაში მოტყუება უკვე ებრაელთა საღმრთო წერილში იხსენიება და დაგმობილია. „ნუ იპოებიან ჭურჭელსა შენსა სასწორი ერთი დიდი და ერთი მცირე, ნუ იყოფინ სახლსა შენსა ორი საწყაული ერთი დიდი და ერთი კნინი, არამედ... საწყაული ჭეშმარიტი და მართალი“-ო, ნათქვამია იქ (II სჯულთაჲ XXV, 13). ეზეკიელსაც უწერია: „სასწორი მართალი და საწყაოა მართალი და კაბიწი მართალი იყავნ თქ˝ნდა“-ო (თავი 45_{10}). სასწორის უკანონობა და სიმრუდე „უსჯულო“-დ არის წოდები დაბადებაში, ხოლო ნაკლულევანი წონის საზომი მოხსენებულია როგორც „საწონი ზაკული“ (მიქია VI, 11) რაც ბერძნულს σταθμιὰ δόλου-ს უდრის, ე. ი. ნატყუარ საზომს.

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ კანონიერ და სწორ საზომებს „ჭეშმარიტი“ და „მართალი“ ერქვა, ხოლო უკანონო და ყალბს — „ნაკლები“, „კნინი“, „მცირე“ ან „დიდი“ და საერთოდ „მრუდე“ და „ზაკული“ ეწოდებოდა.

ასაწონი ნივთიერების სიმძიმის გასაგებად ხმარობდენ „ს ა ს წ ო რ ს“. ესაიას ნათქვამი აქვს: „ვინ აწონნა მთანი სასწორითა“ (თავი 40, § 12), სასწორს „უღელი“ ჰქონდა. ეზეკიელის ქართულ თარგმანში ნათქვამია „მოიღო... უღელი სასწორისაჲ და აღწონე იგინი“ (V, § 1), ბერძნულადაა λήμψῃ ζυγὸν σταθμίων· დ. გურამიშვილს ერთგან ნათქვამი აქვს „სიბრძნით მიხედეთ უღელსა ჩემთა სასწორის წონათა“ (დავითიანი, ჰიჰ. 39). სასწორის უღელი შუაზე ჰკიდია ისე, რომ მას თავისუფალი მოძრაობა „მიმოდრეკა“ შეუძლიან. ამ შუა ადგილას უღელს აღმა ამართული ისარი აქვს დამაგრებული, რომელსაც „სასწორის წამი“ ეწოდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დავით აღმაშენებლის პირუთვნელი სამართლიანობის დასახასიათებლად ნათქვამი აქვს: „არა სადეთ მიდრკებოდა წამი სასწორისა“ მისი მართლმსაჯულებისაო (ც˝ა მფ˝სა დ˝თსი * 552, გვ. 320). ტერმინი „წამი სასწორისაჲ“ დაბადებაშიცაა ნახმარი (11 სიბრძნე და ესაიას 40 § 15) და ბერძნულს ῥοπὴ ζυγοῦ-ს უდრის. სასწორის უღელზე იქეთ-იქით დამაგრებულია „საკიდარი“. საბა ორბელიანს ამიტომ თვით უღელის გასამარტავად ნათქვამი აქვს „სასწორისა საკიდარი“-ო (ლექსიკ.) ორთავე საკიდარზე ჩამოკიდებულია ორი თეფში, რომელთაც „პინაკი“ ან „თეფში“ ერქვა.

სასწორში სახმარებელ წონით ერთეულებს საბა ორბელიანის სიტყვით ქართულად „ს ა ჭ ა რ ბ ე“, ანუ „ს ა ჭ ა რ ბ ი“ და „ა ბ რ ა“ ეწოდებოდა (ლექსიკ.). ამ ტერმინთაგან აბრა მისივე ცნობით „თათართა ენაა“, ე. ი. სიტყვაა აბრა ალბათ არაბულ عبرة „იბრაჰ“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, რაც სამაგალითო, სანიმუშო საგანს და დედანსა ნიშნავს. ამ ორი სიტყვის მაგიერ დაბადების ქართულ თარგმანში ტერმინი „კეცი“ არის ნახმარი საჭარბის აღსანიშნავად (ლევიტელთაჲ XIX, 35), რადგან მაშინ ასირიელთა ჩვეულებისაებრ გამომწვარ თიხისაგან აკეთებდენ.

ორსაკიდრიან სასწორს გარდა „ც ა ლ ს ა ს წ ო რ ი“-ც არსებობდა. რომელსაც საბა ორბელიანის სიტყვით, „ლ ო ღ ა რ ი კ ი“-ც ეწოდებოდა (ლექსიკ.).

ჩვეულებრივ საქულბაგე, ანუ დუქნის სასწორს გარდა ბაზარში, სავაჭრო ადგილას, მოედანზეც იყო ხოლმე დიდი სასწორი დიდი ტვირთისა და საქონლის ასაწონად. ამგვარი სასწორები მთავრობას ეკუთვნოდა. XI ს. ბაგრატ IV-ის სიგელში იხსენიება განსაკუთრებული „ს ა კ ო შ რ ე“ გადასახადი, რომელიც პროფ. ნ. მარის განმარტებით საქონლის სასწორზე აწონისათვის დადებული გადასახადი უნდა ყოფილიყო. გადასახადისათვის მიღებული ტერმინის მიხედვით საფიქრებელია, რომ თვით ამ სამოედნო სასწორს „კოშირი“ ან „კოშრი“ რქმეოდა.

შემდეგში ამ დიდი საბაზრო სასწორის აღსანიშნავად იხმარება ტერმინად „ყ ა ფ ა ნ ი“, რომელიც ვახტანგ VI-ის დასტურლამალში იხსენიება და საფიქრებელია, რომ XVII ს-ში უნდა იყოს შემოსული. დასტურლამალში ნათქვამია: „ყაფნის რიგი ასრე არის — ფქვილზედ, ქერზედ, ბრინჯზედ, შაბზედ, წაბლზედ, ფეტვზედ ერთს საპალნეს რომ ასწონენ, საპალნეზედ“ თუ სხვა ოდენობაზე ამდენამდენს გამოართმევენო. „ეს ყაფანი ხან ორმოცს თუმნად ხან მეტ-ნაკლებად იჯარით აიღების ხოლმე“-ო. (გვ. 91-92). ყაფანი თურქული სიტყვაა قپان قبان და იქაც დიდ სასწორსა ნიშნავდა.

ამავე ხანაში აბრეშუმისა და სხვა სათუთი საქონლის ასაწონად საბაჟოში განსაკუთრებული სასწორი იხმარებოდა, რომელსაც „მიზანი“ ერქვა. ჩელიექის ბაჟის რიგის დებულებაში ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ნათქვამია: „აბრეშუმი თუ აქ მიზანში ასწონეს, ბათმანზედ ერთი აბასი“-აო (გვ. 100). „მიზანი“ არაბულად ميزان სასწორის წამს, შემდეგ თვით სასწორსაც ნიშნავს.

ფულისა და ოქროვერცხლის ასაწონადაც მეკერმეებს, ზარაფებსა და ოქრომჭედლებს განსაკუთრებული სასწორი ჰქონდათ, რომელსაც „თეთრის სასწორი“ რქმევია (ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი).

არსებობდა თუ არა ძველად ქართულად განსაკუთრებული თხზულება საზომების შესახებ, როგორც მაგ., ჩვენ მეზობლებს, არაბებსა, სპარსელებს და სომხებს ქონდათ, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ის გარემოება. რომ ქრონოლოგიისა და სიგელთმცოდნეობისათვის ერთგვარი სახელმძღვანელოები იყო ქართულად და თანაც ის დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა საზომებზე, რომელიც საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში გაჩაღებული ყოფილა (ამაზე საუბარი ქვემოთ გვექნება), გვაფიქრებინებს, რომ საზომთმცოდნეობის სახელმძღვანელოც უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუნდაც რომ ყოფილიყო ძველად, საბა ორბელიანის დროს, როგორც ეტყობა, უკვე აღარაფერი მოიპოვებოდა. როდესაც ჩვენი სახელოვანი მეცნიერი საზომებზე ლაპარაკობს,

ის თავის წყაროდ მხოლოდ რომელღაც ხრონოგრაფში და დაბადების თარგმანებში შეტანილ ცნობებს ასახელებს. წყრთის სიდიდის განსაზღვრის დროს მას მაგ., აღნიშნული აქვს, რომ „ხრონოღრაფში მწყრთა მხარად აღუწერიათ მრუდად“-ო ლექსიკ.), „ხრონოღრაფში ეწერა 30 მოდი ერთი გრივია“-ო (იქვე, 61) და „გრივი — ეზეკიას თარგმანში ეწერა 22 ქსესტი ერთი გრივია“-ო (იქვე). რომელ ხრონოგრაფს გულისხმობს ს. ორბელიანი, ძნელი სათქმელია, მხოლოდ საფიქრებელია, რომ მას ხრონოგრაფის ხელნაწერში სქოლიოს სახით შეტანილ განმარტებაზე უნდა ჰქონდეს ლაპარაკი დაახლოვებით იმგვარზე, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №№ 65 და 238 ხელნაწერებში მოიპოვება (იხ. თ. ჟორდანიას Опис. р. ц. М. გვ. 63).

1210 წ. დაწერილი № 65 ხელნაწერი მაგ., 348 გვერდზე შემდეგ ცნობებს შეიცავს: „ტალანტი არს 125 ლიტრა, ან 9000 დრაკანი: ამას მოდად უწოდებენ და ეგრეთვე : ლ : (30) ასსარონ ბერძენთა ენითა ლეპტონად ეწოდების, რომელ არს მწულილი, ესე იგი არს დანგი, რომელი იგი თჳთ მაცხოვარმან თქ͠ა: არა ხუთის სირი ორის დანგის, გინა ასსარონად ეწოდების ებრაელებრ, ესე იგი არს ნაკლული. დენარპო, რომელ არს დარაჰკანი კენდინარი ჰრომაელებრ: რ: (100) ლიტრა. კენტონ ჰრომაელებრ ასი ითქმის. ხოლო ლიტრა ობ (72) დრაჰკანი არს და ნახევარ ლიტრაჲ ლვ: (36) დრაჰკანი არს და უნკია ექვსი დრაჰკანი არს და თორმეტი უნკია ლიტრაჲ ერთი და უნკია არს ორი სატირი... ხოლო სატირი მცირედ ნაკლულ ოთხსა დრამასა. დრამაჲ რომელ არს დიდ დრაქმა (sic). ორი დიდ დრაქმაჲ სიკლა ერთი: ორნი სიკლანი სიწმიდისა არს სიკლისა პატირიერი (sic) არს. გრამაჲ ექვსი კერატი არს და კერატი არს რქისა გურკაჲ ოთხისა ქრთილისა მარცულისა სწორი და უნკიასა აქუს გრამაჲ :კდ: (24) და დრაჰკანი არს გრამმაჲ : დ: (4), სიმისი არს ნახევარი დრაჰკანისაჲ და ტრიმისი არს სამ[ად]განი დრაჰკანისაჲ; საწყაულთათჳს. საწყაული არს კოროს ერქუმის. არს : ლ: (30) მოდი ბერძნულითა ენითა. ხოლო ებრაელებრითა ქორო და ასურულისა და სომხურისამებრ მარდა (sic) და ქართულა მერი (sic). რომელ არს სატონი ბერძნულისაებრ ენისა და არს საწყაული საწნეხელისა :დ: (4) ქსესტისა ქონებითა გომორ. რ͠ლ არს არდოჲ. ხოლო ბერძულისაებრ ენისა არს :ე: (5) მოდი საწყაული. ხოლო მოდი სახელი ებრაელებრ არს :კბ: (22) და მათთათჳს საქმეთა ღვთისათა... რამეთუ ებრაელთა უწოდეს საწყაული სიწმიდისა, სახელსდეს მოდ... ბისინე არს (?) მრგუალი. მანისა (?) არს ვ͠ა ნახევარი პატერიხისა კაფსაკი ზეთისა, რომელ არს ქარახსი... და არს კამფსაკი ოთხისა ქსესტისა სასწორი“... 1793 წ. გადაწერილ № 238 ხელნაწერში კი ერთგან კიდეზე ნათქვამია „ერთი მოდი ხუთნახევარი კოდი იქმნება“-ო.

მარტო ის გარემოება, რომ სახელოვან ქართველ ლექსიკოგრაფს ძველი და ახალი ლიტრების განსხვავების არსებითი თვისებები გაუგია, შესაძლებლად ხდის, რომ ეს ძეგლების შესწავლაზე დამყარებული საკუთარი დაკვირვება კი არ იყოს, არამედ რომელსამე ძველ საზომთმცოდნეობის სახელმძღვანელოში ჰქონდეს ამოკითხული.

რაკი საბა ორბელიანს მიზნად ლექსიკონისათვის საჭირო მასალისა და განმარტების შეგროვება ჰქონდა დასახული, მისი სხვადასხვა დროისა და ხასიათის ძეგლებითგან ამოკრებილი ცნობებიც საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში გავრცელებულ საზომებს საკმაო დიდი სისრულით გვისურათებენ. მათი სხვადასხვა ადგილას გაფანტულობა და უმეტეს შემთხვევაში წყაროების

აღუნიშვნელობა საერთო შთაბეჭდილებას ვერ ჰქმნის და მნიშვნელობას საგრძნობლად ასუსტებს. საბა ორბელიანის ცნობები მაინც ძვირფასია ჩვეულებრივ, უძველეს ლიტრის ოდენობის შესახებ კი სწორედ რომ ფასდაუდებელია.

საყურადღებო ცნობები აქვს ვახტანგ მეფეს თავისდროინდელი საზომების ოდენობაზე სამართლის წიგნში. საბა ორბელიანის ლექსიკონი და ვახტანგ VI-ის აღწერილობა-განმარტება ალმოს. საქართველოს XVII—XVIII სს. საზომების შესასწავლად თვით ძეგლების შემდგომ მთავარი ხელმძღვანელები არიან. გასაოცარია, რომ ჩვეულებრივ ისე დაკვირვებულსა და შორგამჭვრეტს სახელოვან მეცნიერ ვახუშტი ბატონიშვილს საზომებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მათი სიმოკლისდა მიუხედავად გერმანელ მეცნიერს აკად. გულდენშტედტს თავის მოგზაურობაში XVIII ს. მეორე ნახევარს, 1772 წ. საქართველოში გავრცელებული საზომების შესახებ. მისი ცნობები იმით არის ძვირფასი, რომ ჯერ ერთი ცალ-ცალკე აქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს საზომების შესახებ ყველაფერი აღნუსხვილი, მეორეც იმიტომ, რომ მას განმარტებული აქვს საზომთა ურთიერთშორისი ოდენობითი დამოკიდებულებაც და მათი შესატყვისობა მაშინდელი რუსული და ერთხელ ინგლისური საზომებისდა მიხედვითაც. ეს უკანასკნელი გარემოება საშუალებას გვაძლევს მაშინდელი ქართული საზომების ოდენობა გამოვარკვიოთ სრული ზედმიწევნილობით.

რასაკვირველია, გერმანელ მეცნიერს თავის ცნობაში ყველაფერი არ უნდა ჰქონდეს და არცა აქვს აღნუსხული, რაც იმ დროს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში საზომად იხმარებოდა, არამედ მარტო ისაა მოხსენებული, რის ნახვა მას, ვითარცა უცხოელ მოგზაურსა და დამკვირვებელს, შეეძლო საქართველოში ყოფნის დროს. ამის გამო მისი ცნობა უმთავრესად ქილაქებში ვაჭრობის დროს ჩვეულებრივ სახმარებელ საზომებს უნდა ეხებოდეს და სრულად მაინც ვერასგზით ვერ ჩაითვლება.

ყველა ზემოდასახელებული ავტორების მიზანი სრულებით განსხვავდებოდა იმ მიზნისაგან, რომელიც ამ ჩვენს ნაშრომშია დასახული. ჩემი მიზანი იყო: საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში არსებული ყველა საზომის შესახებ პირველწყაროებითგან ამომეკრიფა ცნობები, თვითოეული მათგანის გაჩენის თარიღი და მოქმედების ხანგრძლივობა გამომერკვია, სადაურობა შემეტყო და შეძლებისდაგვარად ოდენობაც განმესაზღვრა.

ამგვარი მიზნის გამო უმთავრესი ყურადღება უნდა ძეგლებისათვის მიმექცია და გამომერკვია, სად და როდის პირველად და რა ხნის განმავლობაში იხსენიება ყოველი საზომის შესახები ტერმინი. ვცდილობდი საზომების სიდიდეც თვით პირველწყაროების მოწმობითა და გამოყენებით გამომერკვია და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძეგლებში ამისთვის გამოსადეგი მასალა არ მოიპოვებოდა, ზემოდასახელებული ავტორების ცნობებს დავმყარებოდი.

რაკი ქართული საზომთმცოდნეობის შესასწავლად წინათ არავის შეუწუხებია თავი, ყველაფერი ერთბაშად უნდა გაკეთებულიყო: მასალებითგან ცნობების ამოკრეფაცა და მათი მეცნიერულად დამუშავებაც. ძეგლებითგან ყოველგვარი მოწმობის ამოკრებისათვის აუცილებელი წინასწარი მუშაობა მეტად დამქანცველი და მომაბეზრებელი იყო, მეტადრე რაკი ქართულ საზომთმცოდნეობის შესწავლის შედეგი საქართველოს ეკონომიური ისტორიის მეორე და მესამე წიგნზე ადრე უნდა გამოქვეყნებულიყო და მუშაობის ერთგვარად დაჩ-

ქარება აუცილებელი შეიქმნა. მაგრამ განზრახული საქმე ასე თუ ისე მაინც დამთავრებულია და საზომების შესახები ცნობები გამოქვეყნებული საისტორიო თუ იურიდიულ-ეკონომიური ხასიათის ძეგლებითგან, თუ არ ვცდები, თითქმის ყველაფერი ამოკრეფილი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ყველა საზომის ოდენობის გამორკვევა შეუძლებელი შეიქმნა და აქ მომავლისათვის ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო დარჩა. ჩემი ყურადღება უმთავრესად საზომების თავგადასავალის შესწავლასა და ოდენობის განსაზღვრაზე იყო მიპყრობილი. მკითხველი იმედია დარწმუნდება, რომ ამ მხრივ ბევრი საყურადღებო და საგულისხმო გარემოება ირკვევა. იგი დარწმუნდება, რომ ამ გარეგნულად მოსაწყენ დარგშიაც შესაძლებელია მკვლევარმა ბევრი რამ საინტერესო ჰპოვოს, თანაც იგრძნობს, რომ ჩვენ წინაპრებს აქაც აქტივობა გამოუჩენიათ, რომ მაშინდელ ფინანსისტთა აზრს ამ სფეროში დიდი საზრუნავი ჰქონია.

საქართველოში არსებული ყველა საზომის შესახები მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ საზომთა თავგადასავალი სამ მთავარ ნაწილად უნდა დაიყოს: 1) საზომები, რომელნიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევამდე იყვნენ გავრცელებულნი და ქართული სამწერლობო ენისა და სახელმწიფოებრიობისათვის საერთო კუთვნილებას შეადგენენ. 2) საზომები, რომელნიც მთლიანობის დაშლის შემდგომ ცალ-ცალკე სამეფო-სამთავროების არსებობისდა მიუხედავად მაინც მთელს, იმიერ-ამიერ საქართველოში იყვნენ გავრცელებულნი და ამიტომვე საერთო კუთვნილებად უნდა იყვნენ მიჩნეული, დასასრულ 3) საზომები, რომელნიც განსაკუთრებით ან აღმოსავლეთ, ან დასავლეთ საქართველოში, ან მხოლოდ რომელსამე თემში იხმარებოდენ.

სწორედ ასე მაქვს თვით ჩემი ქვემომოყვანილი გამოკვლევა დალაგებული. ჯერ სამ პირველ თავში საწონ-საწყაოების საზომებია განხილული: წყაროებითგან მოყვანილია ყოველგვარი ცნობები ტერმინების შესახებ, შეძლებისაებრ განსაზღვრულია ქრონოლოგიურად მათი სუფევის მიჯნები და გამორკვეულია სადაურობა. შემდეგ მეოთხე თავში განხილულია ყველა იმ საზომის ოდენობისა და ურთიერთშორისი სიდიდის საკითხი, რომელთა ოდენობაზე ახლანდელი მასალების საშუალებით მსჯელობა შესაძლებელი იყო და ნაყოფიერი გამოდგებოდა. შემდეგ უკვე საგანგებო საზომებია განხილული მცენარეულობისათვის, ნართისა და სამოსელისა, საჭმლისა და სივრცისათვის. ამ საზომების როგორც ტერმინოლოგიურ-ქრონოლოგიური, ისევე ოდენობის შესახები ცნობები ერთად არის მოთავსებული. პირველ სამ თავში ქრონოლოგიური რიგის გარდა საზომთა განხილვა ისეა დალაგებული, რომ ჯერ წონის საზომებია განხილული, შემდეგ საწყაოები მისდევს. მეოთხე თავში კი ოდენობის განსაზღვრა მთავარ და მნიშვნელოვან ერთეულების განხილვით იწყობა და შემდეგ მეორეხარისხოვან საზომებზეა საუბარი. აღსანიშნავია, რომ ზოგი საზომის ტერმინი უკვე დაბადება-სახარების ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგრამ საისტორიო ძეგლებსა და საბუთებში კი გვიანა ჩნდება. ბევრ შემთხვევაში თუ არა, ზოგჯერ მაინც ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს და ალბათ იმით აიხსნება რომ სიგლები და დავთრები უძველეს დროითგან ჯერ აღმოჩენილი არ არის, XI—XV სს. კი ცოტაა შენახულ-გამოცემული. შესაძლებელია და უეჭველიც არის, რომ მომავალში ზოგიერთი საზომის გაჩენის თარიღი შეიცვლება და პირველ თავში იქმნება გადასატანი, მაგრამ ამჟამად საზომთა განხილვა, ცხადია, აწ არსებული და გამოცემული წყაროების ცნობათა მიხედვით უნდა დალაგებულიყო.

თავი პირველი

საწონის საზომთა აღმნიშვნელი ტერმინები უძველეს დროითგან XV ს. დამლევამდე

ცნობები საზომების შესახებ უმთავრესად საბუთებში და შემოსავლის დავთრებში მოიპოვება ხოლმე. საბუთები კი X ს-მდე შენახული არ არის. ამის გამო უძველესი ხანისათვის უნდა საღმრთო წერილის ქართული თარგმანითა და საისტორიო თხზულებებით ვისარგებლოთ. პირველი ებრაელთა საზომების შესახებ შეიცავს ცნობებს, საისტორიო ძეგლებში კი საზომები ძალიან იშვიათად და შემთხვევით იხსენიება. ასეთ პირობებში ჩვენი ცნობები IX—XIII სს-მდე, რასაკვირველია, სრული არ იქნება. უნდა აღვნიშნო, რომ დაბადებაში ნახმარ ტერმინთაგან მხოლოდ ისეთ საზომებზე გვექნება დაწვრილებით საუბარი, რომელიც საქართველოში მიღებული იყო.

დაბადების ქართული თარგმანის წონის საზომთაგან იხსენიება: ღომორ კაბიწი, ჳფი, ოვოლი, სიკლა, მინა, კატკლი, გრივი, სახარების თარგმანში კი ლიტრა გვხდება. ეზეკიელისა და იოსებ ფლავიოსის ცნობათა მიხედვით გამოანგარიშებულია, რომ 1 ჰომერ ან ღომორ=კორს და 10 ეფას, ანუ ჳფის შეიცავს, 1 ეფა=3 სეას, ანუ სატას, 1 სეა=6 ქაბს (Prof. H. Guthe. Kurzes Bibelwörterbuch 1903, გამ., 418). ხოლო ებრაელთა მიერ ბაბილონურ-ასურული საწონთა სისტემის შეთვისების გამო ძველ აღთქმაში ეს საზომებიც იხსენიება. ტალანტი, ანუ როგორც ქართულ თარგმანში იწოდება, „ქანქარი“=60 მინას, რომელიც=60 სექელს, ანუ სიკილას. ამგვარად, 1 ტალანტი 3600 სიკილას შეიცავდა.

ქართული თარგმანის „კ ა ბ ი წ ი“ ბერძნული დაბადების ტექსტის ἡ χοῖνιξ-ს უდრის (ეზეკიელი. XL, 11), ხოლო ქართული ტექსტის „გ რ ი ვ ი“ ბერძნული κόρος-ის შესატყვისობას წარმოადგენს (იქვე, § 13 და 14). აღსანიშნავია, რომ ამავე ძეგლში გვხვდება „ს ი კ ი ლ ა ჲ“ (რიცხუთაჲ XVIII, 16 და ეზეკიელი XL, 11), „გ უ ე რ დ ი“ (რიცხუთაჲ XV), „ს ა წ ყ ა უ ლ ი“ (ლევიტელთაჲ XIV, 10, 12 და 15 და ესაჲასი V, 10) სახარებაში ბერძნულს σάτα და ლათინურ mensura-ს შესატყვისად არის ნახმარი (ლუკა XIII. 21). სახარებაშივე გვხვდება „ლ ი ტ რ ა“ (იოანეჲსი XII, 3 და XIX, 39).

დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანში ნახმარ ტერმინთაგან შემდეგ საუკუნეებშიც საქართველოში გრივი, კაბიწი, დრაქმა-დრამა და ლიტრა გვხვდება.

გ რ ი ვ ი. გ. მერჩულს თავის თხზულებაში მოხსენებული აქვს „სამი გრივი ფეტჳ“ (ც῀ჲ გგ῀ლ ხანძ῀თლსჲ, გვ. ჲვ). ნიკორწმინდის მონასტრის XI ს. სიგელში დასახელებულია „ხუარბალი გრივი გ“ (3) და „ყანაჲ გრივისა ერთისა სათესავი“ (ქ῀კბი II, 46, 47, და 48). ეს საზომი XIII ს-შიაც ცოცხალი ყო-

ფილა და რკონის 1259 წ. სიგელში კახა ერისთავთაერისთავს ნაბრძანები აქვს. „მწირველსა თხუთმეტი გრივი ხვარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს“-ო (ქ˝კბი II, 136), ხოლო ვაჰანის მონასტრისა ტიბიკონში (შიომღვ. ისტ. საბ. 34—35) ნათქვამია: „მიეცემოდის მოძღუარსა რვაჲ გრივი პური... და იკონომოსსა ექუსი გრივი... ეგრეთვე დეკანოზსა ექუსი გრივი პური... ხოლო უთავადესთა ძმათა... პური ორი გრივი“-ო.

XV ს. მოყოლებული გრივი უკვე აღარ გვხვდება საბუთებში და როგორც ეტყობა ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც გამქრალი უნდა იყოს. ამგვარად, გრივი საქართველოში თუ ამაზე ადრე არა V ს-იდან XIV ს-მდე იხმარებოდა. ამ საზომის სახელი მთელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული: ასურულად ეთქვა „გრიბა“, სპარსულად „გირიბ“, სომხურად გრივ (գրիւ) და არაბულად „ჯერიბ“. الجريب

კ ა ბ ი წ ი. ეს ტერმინი დაბადების ქართული თარგმანის გარდა ნიკორწმინდის XI ს. სიგელში გვხვდება: „ხაჭოჲ კაბიწი ბ, ფეტჳ კაბიწი ე, ყანაჲ ექუსისა კაბიწისა სათესავი“ (ქ˝კბი II, 47, 48). რკონის 1259 წ. სიგელშიც ეს საზომი იხსენიება და იქ აღნიშნულია 15 გრივი ხორბალი, რომელიც „სეფითა კაბიწითა“ მიეცემოდესო (იქვე II, 137). აქედგან ცხადი ხდება, რომ ამ დროს ჩვეულებრივს გარდა განსაკუთრებული „სეფე კაბიწი“-ც არსებობდა. ეს საზომი შემდეგშიაც უხმარიათ და საბუთებში გვხვდება. მართლაც ხელმწიფის კარის გარიგებაშიც „ერთი კაბიწი ფქვილი“ იხსენიება (ე. თაყაიშვილი, ჴელმწიფის კარ. გარიგ., გვ. 5, სტრ. 85). კაბიწი საზომად საშუალო საუკუნეებშიც იხსენიება: მაგ., ალექსანდრე მეფის 1441 წ. სიგელში ნათქვამია: „თქუენ მაკუჰასძეთა... არასთანა სათხოვარი არ გეთხოებოდეს... კალოს კაბიწი არცა ამას წინათ სთხოვია და არც ამას უკანით ეთხოებოდეს“-ო (ისტ. საბ. III, 24). მამია ზევდგინიძის 1475 წ. შიომღვიმის შეწირულობის წიგნშიაც გვხვდება შიოუბანს სამი კაბიწი პური დიდითა კაბიწითა“ (ისტ. საბ. III, 40). სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის 1459 წ. შედგენილ ნაწილში წონის საზომად „კაბიწი“ არის ნახმარი (იხ. ქ˝კბი II, 273 და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგნილები №№ 559 და 918 სვ. ჯანაშიას გადმონაწერით). ასევეა წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში (თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგნ. № 15 და ქ˝კბი I). მცხეთის 1514 წ. სიგელშიაც წერია: „შემოგწირეთ ახალიუბნით ათი კაბიწი პური“ (ქ˝კბი II, 333). მერაბ ციციშვილის 1520 წ. შეწირულობის წიგნში იხსენიება 400 პური „ერთისა კაბიწისა“ ნამცხუარი (ისტ. საბ. II, 30). 1524 წ. დავით მეფისგან ნაბოძებ საბუთშიაც გვხვდება „თხუთმეტი კაბიწი პური“ (ისტ. საბ. II, 33). 1590 წ. ალექსანდრე კახთა მეფის დავით გარეჯის მონასტრის სიგელშიაც „ორმოცი კაბიწი პური“ იხსენიება (ისტ. საბ. III, 81).

XVII—XVIII სს-ში კაბიწი უკვე იშვიათად იხსენიება. ვახტანგ მეფის დასტურლამალში ვგონებ მხოლოდ სამგანა გვხვდება. იქ სახელდობრ ეკლესიის მოურავისათვის გადაკვეთილ გამოსაღებზე წაუბრის დროს ნათქვამია სხვათა შორის, რომ „გუთანზედ სამი კაბიწი პური“ უნდა მოეცათ (გვ. 31 § 6 ე), სომხითის მელიქს კი ერგებოდა „გუთანზედ პური კაბიწი ერთი“ (გვ. 77 § რჲა) ხოლო შულავრის მელიქის სარგოში აღნიშნულია „გუთანზედ პური კაბიწი“ ერთი (გვ. 99). მაინცდამაინც XVIII ს. მეორე ნახევარში კაბიწი უკვე სრულებით მივიწყებული და უხმარებელი საზომი უნდა ყოფილიყო. რო-

გორც ეტყობა, აკად. გულდენშტედტს 1772 წ. მისი სახელიც კი გაგონილი არ ჰქონია. საქართველოში გავრცელებულ საზომთა შორის იგი კაბიწს არ იხსენიებს.

ამგვარად, კაბიწი ქართულ მწერლობაში VI ს. დამლევამდე საყოველთაოდ იხმარებოდა. აღმოს. საქართველოში კი XVI ს-შიც ხშირად, ხოლო XVII—XVIII სს-მდე უკვე იშვიათად გვხვდება.

კაბიწის სახელიც მთელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. ქსენოფონტეს აღნიშნული აქვს, რომ იმის დროს, IV ს. ქ. წ. ἡ καπίθη კაპითე-ს სპარსეთში საწყაოდ ხმარობდენ (Anabasis I, 5,. 6). ებრაელებს ეს საზომი „კაბოტ"-ს სახით ჰქონიათ შეთვისებული (A. Böckh, Metrologische Untersuchungen über Gewichte, Münzfüsse und Maasse des Alterthums გვ. 260, 262). ასურულ მემატიანეს იოსუა მესვეტის 551 წ. ქ. შ. დაწერილ თხზულებითა მტკიცდება, რომ ეს საზომი „კაბო"-ს სახითვე ასურელებსაც სცოდნიათ Chronique de Josuè Stylite. პ. მარტენის გამ. ასურული დედნის გვ. 31, თავი XL ფრანგ. თარგმანის გვ. XXXV, 40). ეს ერთეული არაბებსაც ჰქონდათ القفيز კაფიზ-ის სახით შეთვისებული (A. von Kremer. Culturgeschichte des Orients I, 62, 63, 200 და Liber Mafâtih al-olum ٦٧، ٦٨) სომხები ამ საწონს կապիտ „კაპიტ"-ს ეძახდნენ.

დრამა. ჯერ კიდევ გამოსარკვევია დრამის პირველად შემოსულობის თარიღი ქართულ მწერლობაში. საისტორიო ძეგლებში ჯერჯერობით მეათე საუკუნითგან გვხვდება.

ნიკორწმიდის XI ს. სიგელში ნათქვამია: ვიყიდე ¼ ვენახი და „მივეც ძროხაჲ ა და ორმოცისა დრამის კმელადი"-ო (ქ˝კბი II, 45). დავით აღმაშენებლის ანდერძში იხსენიება: „პური [ც]ხობილი ფურნისაჲ ხუთასისა დრამისა წონი ნუმცა ოდეს მოაკლდების"-ო (შიომღვ. ისტ. საბ. 15-17).

ოდიშში ყოფილი XIII ს. პირველი ნახევრის ხატის წარწერაში აღნიშნულია „რვა ასი ვერცხლი ორმოცდაათი ოქრო დრამის წონა" (Brosset, Voyage VII, 43). ეს საზომი ვეფხისტყაოსანშიც იხსენიება და იქ ნათქვამია, რომ ასმათმა რჩეული საჩუქრებითგან მხოლოდ „ერთი აიღო ბეჭედი მართ აწონილი დრამითა"-ო (ს. კაკ. § 352, ი. აბულ. § 273_3).

ერწო-თიანეთის საეკლესიო გამოსაღების გარიგების წიგნში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგნილი № 15), რომელიც XIII-XIV სს. უნდა ეკუთვნოდეს, პიტლოვანის შესახებ ნათქვამია, რომ მას უნდა „ქალაქური დრამაჲ ნ" (50) გამოეღო. მართალია, დრამა ფულსაც ერქვა და ზოგან ამ ძეგლში პირდაპირ ნათქვამიც არის „ვეცხლი დრამაჲ", ე. ი. ფული დრამა ამდენი და ამდენიო, მაგრამ რადგან ქალაქური ფული არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ აქ დრამა წონითი ერთეულის ტერმინია. ცნობილია და ამ გამოკვლევაშიც ხშირად გვხვდება ამის დამადასტურებელი მაგალითები, რომ წონისა და სითხის ქალაქური საზომები კი სოფლურისაგან განსხვავდებოდა.

ლიტრა. სახარების გარდა ლიტრა შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრებაში იხსენიება: „მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი"-ო (Опис. II, 754). XI ს. ნიკორწმინდის სიგელში მოხსენებულია „რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ", „ცვლი ლიტრაჲ იდ (ქ˝კბი II, 46, 48). თამარ მეფის 1190 წ. სიგელში ნაბრძანებია: „მი-

იღებდენ ყოველთა წელიწადთა შინა ცუილსა თხუთმეტსა ლიტრასა"-ო (შიომღ. ისტ. საბ. 22, იხ. აგრეთვე დავით ნარინის სიგ. ქ˝კბი II, 159, 160). „თხუთმეტი ლიტრა აბრეშუმი კარგი" იხსენიება შიომღ. 1227—1230 წწ. სიგელში, ხოლო 1246—1250 წლისაში „თხუთმეტი ლიტრა ზეთი" (ქ˝კბი II, 102 და 128).

საგულისხმოა, რომ „ლიტრა" ვეფხისტყაოსანშიაც იხსენიება საზომად და იქ აღნიშნულია, რომ ფრიდონმა ავთანდილს უძღვნა საჩუქრად „სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნაკლულითა" (ს. კაკ. § 975, აბულ. § 953).

XV ს. საბუთებშიაც ხშირად არის ნათქვამი ხოლმე „არცა კოკა და ლიტრა გაგიდიდოთ" და არც გადასახადების პირობები შეგიცვალოთო (1454 წ. მცხეთის სიგ., ისტ. საბ. III, 34).

ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარის 1578 წ. დავთრითგან და მერმინდელ ყველა ძეგლებითგანაც, მაგ., წილკნელის 1669 წ. გამოსაღების გარიგების წიგნში ქერისთვის (ა. ხახანაშვილის გუჯრები) და თევზისთვის (1611 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 8—1629 წ. იქვე IV, 14), ერბოსთვის (1629 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 14; 1708 წ. სიგ. იქვე V, 16), ყველისათვის (1629 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 14), მარილისთვის (1631 წ. სიგ. ისტ. საბ. IV, 17), დასავლეთ საქართველოს საბუთებში (1550—1570 წწ. და 1586 წ. სიგ.; დას. საქ. ისტ. საბ. I, 22 და 33, სხვაგანაც ბევრგან) დასასრულ დასტურლამალითგან (გვ. 7, 18, 19, 51, 63, 72, 85, 90—91, 92, 117 და 125) და სხვა ძეგლებითგანაც ჩანს, რომ ლიტრა XVIII ს. არამცთუ კვლავინდებურად ყველაფრის ასაწონ საზომად სუფევდა, არამედ სხვა საზომ-საწყაოებისათვის საფუძვლად იყო მიღებული. ეს გარემოება ქვემოთ, როდესაც საზომების ოდენობის განსაზღვრაზე გვექნება საუბარი, ძეგლებითგან მოყვანილი მაგალითებითგანაც ცხადი შეიქმნება.

ჩვეულებრივს გარდა, „*ქალაქური ლიტრა*"-ც იხსენიება, მაგ., ერთ 1524 წ. სიგელში „*გორული ლიტრა*"-ა დასახელებული (ისტ. საბ. II, 33).

სახლთუხუცესის ივანე სოლაღაშვილის 1519 წ. ქვათახევისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ შეწირული ყმა „მიიღებდეს ქვათაჴევსა ოთხსა ლიტრასა ცუილსა და ერთსა ლიტრასა საკმელსა ტფილის ქალაქურითა ლიტრითა"-ო (ისტ. საბ. III, 48). თაყა ზევდგინიძესაც 1523 წ. შეწირულობის წიგნში ზეთის გადასახადი „ქალაქურითა ლიტრითა" აქვს განსაზღვრული (იქვე III, 54 იხ. აგრეთვე 1546 წ. სიგ. III, 61. სრულ ლიტრას გარდა „ნახევარი ლიტრა"-ც არსებობდა (ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოს. დავთარი §§ 382, 409, 411, 412 და დასტურლამალი 63). დასავლეთ საქართველოს საბუთებში „ლიტრის მესამედი"-ც (ქუთაისის საყდრის 1578 წ. დავთარი §§ 419—421) და „შამახური ლიტრა"-ც იხსენიება (1586 წ. სიგ., დას. საქ. საბ. I, 33).

ლიტრა საზომის ტერმინიც ძალიან გავრცელებული იყო: ბერძნულად λίτρα „ლიტრა" ეწოდებოდა, ლათინურად libra „ლიბრა", ასურულად „ლიტრა", სომხურად լիտր „ლიტრ" და არაბულ-სპარსულად رطل „რიტლ". A. Böckh-ის აზრით ეს სახელი სწორედ იტალიური უნდა იყოს და ბერძნებს რომაელებისაგან შეუთვისებიათ (Metrologische Untersuchungen 293); შესაძლებელია, ქართველებს ბერძნებისაგან ჰქონდეთ შეთვისებული.

„*კერატი*", ანუ „*ყირათი*" ძველი საზომის სახელია, მაგრამ ძველ საისტორიო ძეგლებში ჯერ არა ჩანს, რასაკვირველია, შემთხვევით. მთარგმა-

ნებლებს, საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეფეს მოეპოვებათ. „კერატი“ ბერძნული τὸ κεράτιον-ისაგან არის წარმომდგარი, რაც ერთი მცენარის (carubier, Iohannisbrod) თესლი ან კურკაა. ხოლო ყ ი რ ა თ ი ამავე სიტყვის არაბული ფორმაა قيراط. قيراط შემდეგში არის არაბ-სპარსთა გავლენით შემოსული.

„ს ი კ ი ლ ა“ ებრაული წონითი ერთეულია და დაბადების ქართულ თარგმანთან ერთად შემოსულია საქართველოში. ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებსა და საბუთებში არა ჩანს ჯერჯერობით, მაგრამ ეს შემთხვევითი გარემოებით უნდა აიხსნებოდეს. უეჭველია იგი შემდეგშიაც, თვით XVIII ს-მდეც, იხმარებოდა ძვირფასი ლითონის წონის ოდენობის გამოსახატავად. ფულის მოსაჭრელად შემზადებულ ლითონსაც სიკალობით ანგარიშობდენ. მაგ., ვახტანგ მეფის დასტურლამალში ნათქვამია: „ოთხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩავიდეს ცეცხლში. ამისაგან გამოვა თამამ აიარი ვეცხლი ორი ათას სამასი“-ო (გვ. 33).

XV ს-ში გვხვდება წონითი ოდენობის ერთეულად აგრეთვე „მ ი ტ ყ ა ლ ი“. სახელდობრ, გიორგი მეფის 1460 წ. მცხეთისადმი ნაბოძებს სიგელში იხსენიება „ოქროს სალტე სამი ოცდათორმეტი მიტყალია“ (ისტ. საბ. III, 36). 1524 წ. მცხეთის სიგელში ეს ტერმინი „მუტყალი-ს სახით არის მოხსენებული: გორში ჯამბაგაშვილი ალაპად მოუტანდეს „წელიწადშიგან გორულით ლიტრითა ოთხასით მუტყალითა ოცდაოთხსა ლიტრასა ზეთსა და ცხრასა ლიტრასა ცვილსა“-ო (ისტ. საბ. II, 33). სამცხით წმინდა ადგილების მოსალოცავად წასული მღვდელმონაზონი ფილიპე შაქარაშვილის მიერ ნაწერს 1565 წ. სააღაპო წიგნში ნათქვამია, რომ მან მისცა „სინელთა ოქროის საყური ჩასაწერელად და სამლოცველოდ თორმეტის მიტყლის წონა“ (ქ˝კბი II, 406).

„მ უ ტ ყ ა ლ ი“ იერუსალემის ჯვრის მონასტრის ალაპებშიც გვხვდება. იქ ნათქვამია, მაგ., დიასამისძეს ვარამს „ასი მუტყალი ოქრო გამოეგზავნა“-ო (გვ. 25), დანიელ წინამძღვარს კიდევ „ორასი მუტყალი ოქრო“ შეუწირავს სააღაპედ (გვ. 29), ვინმე „შურიას ორასი მუტყლი ოქრო ებოძა“ (გვ. 43), მეფეთა მეფესა დავითს „ათას ორასი მუტყალი ოქრო გამოეგზავნა“ (გვ. 48, შეად. გვ. 70), შეენიერ-ყოფილს მაკრინეს მეორე შემოწირულობის დროს სხვათა შორის „ორას ორმოცდაათი მუტყალი ოქრო“ შეუწევია (გვ. 52), თაგდირიძე ამირასგან „ოთხასი მუტყალი ოქრო მოგუვიდა“-ო (გვ. 57).

შემდეგში ეს ტერმინი უკვე ამ სახით აღარა გვხვდება და „მუტყალის“ მაგიერ ჯერ ისევ „მიტყალი“ იხმარება, ხოლო მერმე „მისხალი“ შემოდის. აღსანიშნავია ამ მხრივ, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „მიტყალი“ უწერია და ნათქვამი აქვს „ოცდაათცამეტი მიტყალი და ნახევარი — ერთი თუხტი“-აო (იხ. ლიტრა). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში კი „მისხალი“ იხსენიება „ექვსი დანგი გინა ოცდაოთხი ყირათი ერთი მისხალი იქმნების“-ო (ვარი თეთრის გარიგებისა § 16). დასტურლამალში მისხალი ვერცხლის საზომად იხსენიება (გვ. 33—34). რადგან საბა ორბელიანი და ვახტანგ მეფე თანამედროვენი იყვნენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ცნობა „მიტყალის“ შესახებ მას უფრო ადრინდელი ძეგლითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. მისხალი „მიშკალ“-ის სახით დაბადების ებრაულ ტექსტში გვხვდება, მაგრამ იქ საწონსა ნიშნავს (Prof. H. G u t h e, Kurzes Bibelwörterbuch Gewichte). მიტყალი კი არაბული გზით უნდა იყოს ქართულში შემოსული—مثقال არაბულად საწონია.

აბდალლაჰ ხვარაზმელს ეს საზომი მხოლოდ არაბთა საწონ-საწყაოების აღწერილობაში აქვს მოხსენებული (Liber Mafâtih al-olum გვ. ١٣).

„მ ო დ ი" საზომად ქართულ საისტორიო ძეგლებში ჯერ არა ჩანს. 1246—1250 წწ. სიგელში რომ ნათქვამია „ტყ[ვ]ი[ბული]საგან მოდი რაიცა მოვალსიფქლი, ფეტვი და ღომი „(ქ˝კბი II, 129), აქ მოდი საზომი კი არა, გამოსაღების სახელია (იხ. ამის შესახებ ჩემი საქართველოს ეკონომიური ისტორიის II წიგნი). სამაგიეროდ მოდი რამდენჯერმე გვხვდება ათონის ალაპებში (იხ. ათონ. კრებ., გვ. 217, 218, 244). მაგრამ რადგან ეს ცნობები საბერძნეთში მდებარე მონასტერს ეხება, ამით მოდის საქართველოში არსებობა, სანამ პირდაპირი ცნობა არ აღმოჩნდება, ვერ დამტკიცდება, რადგან გამოსაღები „მოდი" საზომის სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ამიტომ საფიქრებელია, რომ მოდი საზომად საქართველოშიაც უნდა ყოფილიყო მიღებული: ამ საზომის სახელიც ბევრგან იყო გავრცელებული და ასურულად ერქვა „მუდდო", ლათინურად modius, ბერძნულად ἡ μόδιος „მოდიოს".

ღვინისა და სხვა სითხეებისათვის საზომად ჩვეულებრივ „კ ო კ ა" იხმარებოდა ხოლმე. ალბათ შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს, რომ ქართულ საისტორიო ძეგლებში ეს ტერმინი X ს. უწინარეს ჯერ არ გვხვდება. მაგრამ საყურადღებო გარემოებაა, რომ დაბადებაში იქ, სადაც კოკაა მოსალოდნელი, ამ სიტყვის მაგიერ სარწყულია. კოკის ხმარებაში პირველად შემოსულობის თარიღი ჯერ კიდევ გამოსარკვევია ისევე, როგორც ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც. გ. მთაწმიდელის თხზულებითგან ჩანს, რომ კოკა მაშინ ჩვეულებრივი ტერმინი იყო (ც˝ჲ ი˝ესი და ეფთ˝მსი 46). XIII და შემდეგი საუკუნეების ძეგლებშიც კოკა ყველგან გვხდება (იხ. 1250—1260 წწ. სიგ. შიომღვ. ისტ. საბ. 59, და აგრეთვე ქ˝კბი II, 137, 150, 153 და ბევრგან სხვაგანაც). დასტურლამალში კოკა ტკბილისა (გვ. 9, 32, 45, და 98) და ძმრისთვისაც იხსენიება საზომად (გვ. 103). სრულიად საქართველოს სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომაც კოკა დასავლეთ საქართველოშიაც წინანდებურად იხმარებოდა, როგორც ღვინისათვის, ისევე სხვა სითხეებისათვის, მაგ., 1569 წ. სიგელში დასახელებულია „სამი კოკა ღვინო, ხოლო 1550—1570 წწ. საბუთში ნათქვამია „ათს კოკას ტკბილსა" გამოიღებდესო (დას. საქ. საბ. I, 20, 25). ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარი (გვ. §§ 21, 22, 24—26 და ბევრგან სხვაგანაც), ხონის საყდრის 1600 წ. ახ. ხ. გამოსავლის დავთარი (გვ. 5—13 და სხვაგან), საცაიშლოს გამოსავლის დავთარი (გვ. 5—45), აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დიდი დავთარი (გვ. 3—42) და აკად. გულდენშტედტის 1772 წ. მოგზაურობის აღწერილობა (Reise 393) ცხადყოფენ, რომ დასავლეთ საქართველოშიც XVIII ს. დამლევამდე ისეთი კუთხე არ მოიძებნებოდა, სადაც კოკა საწყაოდ მიღებული არ ყოფილიყო.

ჩვეულებრივ საყოველთაოდ მიღებულ კოკას გარდა გელათის 1246—1250 წწ. სიგელში „მონასტრული დიდი კოკა"-ც იხსენიება (ქ˝კბი II, 129). „დიდი კოკი"-ს ხსენება ხშირია XV ს. საბუთებში, სადაც „ცოტა კოკა" ე. ი. პატარა კოკაც არის აღნიშნული, რომელთაგან უკანასკნელი პირვანდელ, „პირველ" კოკად არის დასახელებული (იხ. 1454 წ. სიგ., ისტ. საბ. III 33—34). დიდი კოკა შემდეგშიაც გვხვდება, მაგ., დასტურლამალში (გვ. 18). ამის გარდა იყო „მრთელი კოკა" (ხონის საყდრის გამოს. დავთარი 5—13), მაგრამ არსე-

ბობდა „ნახევარი კოკა“-ც (ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოს. დავთარი §§ 265, 344, 345).

მომცრო საზომებად ძველ დროს „კ ო ჭ ო ბ ა“-სა და „კ ა რ ა ს ე უ ლ“-სა ხმარობდენ ხოლმე. კოჭობა გ. მთაწმიდელის თხზულებაშია მოხსენებული (ც˝ჲ ი˝ესი და ეფთ˝მსი გვ. 46), კარასეული კი „კარასოული“-სა და „კრასოვული“-ს სახით იქვე და ათონის აღაპებში ხომ ხშირად გვხვდება და სამონასტრო ცხოვრებაში აუცილებელი საწყაო იყო. ბერებს ღვინოს სატრაპეზოში დასალევად სადილ-სერობის დროს სწორედ კარასეულებით აძლევდენ ხოლმე (იქვე, 46 და ათონის აღაპ. გვ. 216, 220, 221 და სხვაგან). იხსენიება გ. მთაწმიდელის ნაწარმოებში (იქვე, 46) და დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი 1123 წ. ბოძებულ ანდერძშიც (შიომღ. ისტ. საბ. 18). ეს ტერმინი XVI ს. საბუთშიაც გვხვდება. ამილახორი თაყა ზევდგინიძის 1523 წ. შიომღვიმისადმი მიცემულ სიგელში წინამძღვარი ყანჩაველი მელქისედეკ ავალებდა მონასტერს, რომ გივი ამილახორისათვის ეწირათ და მისი სულის მოსახსენებლად „თვითოს კერასეულს (sic) ჩაურიგებდეს ვინცა ვინ უდაბნოს წინამძღვარი იყოს“-ო (ისტ. საბ. III, 55). უეჭველია, კერასეული ან იგივე კარასეულია, მხოლოდ დამახინჯებული წერის დროს ან მისი ფონეტიკური სახენაცვალი. შემდეგში კარასეული ქრება და საბა ორბელიანს ეს ტერმინი ლექსიკონშიც კი არა აქვს შეტანილი, ეტყობა მის დროს მონასტრებშიაც კი აღარ იხმარებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ათონის მონასტრის მერმინდელ აღაპებში კარასოულის მაგიერ შესატყვის ადგილას „სასუმელი“ ან „საწყევი“ ტერმინია ნახმარი (გვ. 218, 263 და სხვაგან).

„კ ა რ ჩ ხ ა ლ ა“ ღვინის საზომად გრიგოლ სურამელისათვის 1250 წ. ახ. ხ. შიომღვიმის ძმობისაგან დაწერილს სიგელში გვხვდება. იქ აღნიშნულია, რომ მეწისქვილე „წელიწდისთავსა მემღუიმესა ძღუენსა მოართმიდეს სამსა სქელსა პურსა და ერთსა კარჩხალასა ღუინოსა“-ო (თ. ჟორდ., შიომღ. ისტ. საბ. 65, ქ˝კბი II, 128 და ს. კაკ. „სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა“ და სხვა გვ. 6). ეს ტერმინი და საზომი შემდეგშიაც ყოფილა მიღებული და სამთავნელის სარგოს 1459 წლის განახლებულ გარიგების წიგნში აღნიშნულია გამოსაღებად „სამი კარჩხალა ღჳნო (ქ˝კბი II 273). საბა ორბელიანს და ვახტანგ მეფეს (დასტურლამალში) ეს საზომი და ტერმინი არ მოეპოვებათ.

„კ ვ ა ნ ჩ ხ ი“ 1250—1260 წწ. შიომღვიმის საბუთში (გვ. 59—60) გვხვდება, რომელშიაც ნათქვამია: „შენ ზოსიმეს „გამზრდელმან ი˝ე გარისელაჲსძისა სულისა სალოცავად თევდორობისა პარასკევსა თესლი და კვანჩხითა ღჳნოჲ“ მოიტანეო.

„ჯ ა მ ი“ ამიერ-იმიერ საქართველოში იხმარებოდა ჭურჭლის სახელად და საზომის ერთეულადაც[16]. მაგ., აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაღების დიდ დავთარში ჯამი ღომის საზომად იხსენიება ჯიმისტაროს, ხიბულას, ნაყანეულს. ხოირს, მუხაურსა, თილითსა და ხაუჟელში (გვ. 9—36), ხოლო ღომისა და პურისათვის ჯგალში (გვ. 43—44). საცაიშლოს დავთარშიაც ღომისათვის არის ნახმარი (გვ. 20, 21, 40, 43).

ჯამი სპარსული სიტყვაა: სპარსულად جام ჯამ. ლითონის ჯამს ნიშნავდა.

---

16 ვეფხისტყაოსანში ჯამი საჭმლის ჭურჭლად იხსენიება:
„შეიქნა სმა და პურობა მსგავსი მათისა ძალისა...
ჯამი და ჭიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა“ (ი. აბულ. § 424).

„ჭ ი ქ ა ჲ“ საზომად რკონის 1259 წ. სიგელშია მოხსენებული: „საზომი ღჳნო[ისა] და ფქჳილისა ანუ სეფისკუერისა და ჭიქათა, კოკაი და კაბიწი ყუელაი გამოწყული იყოს“-ო (ქ˝კბი II, 137). აქედგან ირკვევა, რომ ჭიქაჲ ღვინის და ალბათ საზოგადოდ სითხის საზომი ყოფილა. ამავე ძეგლში ნახსენებია „დიდროანი მოხეული ჭიქაი“, მაგრამ აქ უფრო სასმისზეა საუბარი ვიდრე საზომზე, რადგან კახა ერისთავთერისთავს აქ ნათქვამი აქვს: „ვისი გინდა ალაპი იყოს“ თითო დიდი სეფისკვერი და „თჳთოი დიდროანი მოხეული ჭიქაი ჩაივლებოდეს. ჩემი მწირველი და ხათუთაისი (კახას თანამეცხედრესი) ჩაურიგებდენ სეფისკუერსა და ჭიქათა და ჩუენთუის შენდობას ათქუმევ[იებ]დენ“-ო (იქვე II, 135.). ვეფხისტყაოსანშიც ჩვეულებრივ იხმარება (ს. კაკ. § 51, ი. აბულ. §§ 26, 4224). ბარათაშვილების 1523 წ. გაყრილობის წიგნში „ჭიქები“ სახლის ჭურჭლის შორის იხსენიება (ქ˝კბი II, 350).

„ს ა პ ა ლ ნ ე“ ძველითგანვე იხმარებოდა. თავდაპირველად იგი აქლემის ტვირთის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, რადგან პალანი აქლემის უნაგირსა ნიშნავს (დაბადება, შესაქმე 31, 34.). ეს გარემოება საბა ორბელიანსაც სცოდნია. მაგრამ ამგვარი პირვაიდელი მნიშვნელობა მას დიდი ხანია უნდა შეცვლილი ჰქონდეს და ყოველგვარი სახედარი საქონლის ტვირთის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა და ტვირთის მნიშვნელობა მიენიჭა. საბა ორბელიანს „საპალნე ულაყის სატვირთავ“-ის სახით აქვს მხოლოდ წარმოდგენილი (ლექსიკ.).

საფიქრებელია, რომ უკვე ისტორიულ ხანაში ამ სიტყვას ამგვარი ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ალექსანდრე მეფის 1433 წ. მცხეთისადმი ნაბოძები სიგელი ადასტურებს, რომ ამ დროს მაინცადამაინც საპალნე და ტვირთი ერთი და იგივე ყოფილა.

„საპალნე“ და „ცალი“ ვაჰანის მონასტრის XIII ს. პირველი მეოთხედის ტიბიკონში იხსენიება: „საპალნე ღჳნოჲ“ და ღჳნოჲ თჳთოჲ ცალი (შიომღვ. ისტ. საბ. 34, 35). მაგრამ უეჭველია საპალნეცა და ცალიც მარტო ღვინისათვის კი არა, არამედ ყოველგვარი საქონლისათვის უნდა ყოფილიყო საზომად მიღებული. საზომის ერთეულად „საპალნე“ შემდეგშიაც გვხვდება. ალექსანდრე მეფის 1433 წ. სიგელი მაგ., ცხადყოფს, რომ ბაჟს მაშინ სწორედ საპალნეზე ახდევინებდენ: არმაზს „მის ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა საპალნესა ზედა“ იყო და ისევ თქვენ დაგანებეთო (ისტ. საბ. III 15). რაკი ეს აზრი ამავე საბუთში ცოტა სხვანაირადაა გამოთქმული და ნათქვამია „ტუირთსა ზედან ორსა თანგასა აიღებდით“-ო (იქვე), ამიტომ საფიქრებელია, რომ „საპალნე“ და „ტუირთი“ ერთსა და იმასვე ნიშნავდენ და ერთნაირ და ერთზომ საზომებად ითვლებოდენ. 1441 წ. სიგელში „ერთი ცალი პური“ და ერთი ცალი ღუინო“-ა აღნიშნული (ისტ. საბ. 23).

შემდეგი საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებშიაც საპალნეს, ცალსა და ტვირთს ხშირად შეხვდება მკითხველი (იხ. 1613 წ. სიგ. ისტ. საბ. IV, 9—1631 წ. სიგ. იქვე IV, 17 და სხვაგანაც ბევრგან). ვახტანგ მეფის დასტურლამალი ამტკიცებს, რომ საპალნე და ცალი როგორც ფართლეულობისათვის, ისევე მარცვლეულობისათვის და ყოველგვარი სანოვაგისათვის და თევზეულობა-ხილეულობისათვის, ტკბილისა და ღვინისათვის, ერთი სიტყვით ყოველნაირი საქონლისათვის იყო საზომად მიჩნეული (იხ. დასტურლამალი, გვ. 17, 20, 23, 45, 46, 85, 91, 99 და 100), თვით ბზისა და შეშისათვისაც კი

(გვ. 7 და 48). ამგვარადვე ყოველგვარი მარცვლეულობისა, ღვინისა, ზეთისა, ყურძნისა, ხილეულობისა და სხვადასხვა თევზეულობისათვის, აგრეთვე შეშისა და ნახშირისათვის საზომად XVIII ს-შიაც, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქის მოურავის ხელისუფლებისა და სარგოს გარიგების წიგნითგანა ჩანს, წინანდებურად საპალნე და ცალი ყოფილა (ს˝ქს სძ˝ველნი II, 524, 525 და 526—527).

დასავლეთ საქართველოს საბუთებში კი შედარებით იშვიათად გვხვდება საპალნე და ცალი და როცა გვხვდება, ყოველთვის ღვინის საზომად იხსენიება (იხ. 1787 წ. და 1790—1803 წწ. საბუთები, დას. საქ. საბ. II, 92 და 132). აღსანიშნავია, რომ არც ერთ საეკლესიო გამოსაღების დავთარში ეს ტერმინები არ გვხვდება, თვით ჯუმლშიაც კი, სადაც დიდი ოდენობა არის ხოლმე აღნუსხული.

„უ რ ე მ ი" ვითარცა საზომი ერთს 1250—1260 წწ. სიგელშია მოხსენებული, რომელშიაც „ურემი ღუინო"-ა დასახელებული (ქ˝კბი II, 129). ვახტანგ მეფის დასტურლამალში აღნიშნულია: „დღიურზედ დაითესების ორ კოდნახევარი... უნდა მოვიდეს კოდზედ ურემი"-ო (გვ. 23). ქალაქ ტფილისის მოურავის ხელისუფლება-სარგოს XVIII ს. გარიგების წიგნში ურემი ღვინისა, ხმელი თევზისა, შეშისა, ფიჩხისა, ძნისა და სხვა საქონლისათვისაც იხსენიება საზომად (ს˝ქს სძ˝ველნი II, 523—526. დასტურლამალი 23). საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოში ურემი ყველაფრისათვის უნდა ყოფილიყო საზომად მიჩნეული, რისაც ურმით გადატანა-გადმოტანა შეიძლებოდა და მიღებული იყო.

დასავლეთ საქართველოს საბუთებშიც იხსენიება ურემი და მისი მონათესავე მეორე ტერმინიც. ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარში ურემი ღომის საზომადა ჩანს (§§ 115—119, 122—128 და სხვაგანაც). იგივე დანიშნულება აქვს ხონის საყდრის 1600 წ. ახ. ხ. დავთარშიაც (გვ. 5—13) და ამას გარდა ფეტვისა, ურიშისა, თივისა და ბზის საზომადაც არის აღნიშნული (გვ. 5—12). აფხაზეთის დიდი საკათალიკოსო გამოსავლის დავთარში რაჭაში და მათხოჯს ურემი თივისა და შეშის საზომად იხსენიება (გვ. 3), ბაკისუბანს, მათხოჯსა, ხონს და ჯიქთუბანში ღომისთვის (გვ. 10, 12—17). საცაიშლოს დავთარში „ურემი" არ ჩანს. დასავლეთ საქართველოს საბუთებში „ურმის" მაგიერ ურმეული ან „ურმოული" იხმარება და XVIII ს. სიგელ-გუჯრებში ღომის საზომადა ჩანს, მაგ., 1730 წ. და 1753 წ. საბუთებში, ბეგარად „ურმეული ღომი"-ა აღნიშნული (დას. საქ. საბ. I, 122 და II, 2). „ურმოული" ღომის საზომად ხონშიც არის აღნიშნული (იხ. აფხაზ. საკათალ. გამოს. დიდი დავთარი, გვ. 15).

თავი მეორე

ლიხთ იმერ-ამერეთის საწონის საერთო საზომები

საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევის შემდგომ XVIII ს. დამლევამდე

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობას ჩვენი ერის, კულტურული ცხოვრების მთლიანობა მთლად არ გაუნადგურებია, არამედ სულიერი და ეროვნული ცხოვრების კავშირი კვლავ არსებობდა. მისი ერთი ნაწილის წარმატება და შენაძენი მეორე და დანარჩენი ნაწილებისათვისაც საერთო კუთვნილებად ხდებოდენ. ზოგჯერ ერთისა და იმავე უცხო პოლიტიკური ძალის ბატონობა თუ ზეგავლენაც აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოზე ერთნაირ კვალსა ტოვებდა. ამ ორი გარემოების წყალობით სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევის შემდგომაც საქართველოში ისეთი ახალი საზომები გაჩდენ, რომელნიც საერთო იყვნენ იმერ-ამერეთისათვის. სწორედ ამგვარი საზომების შესწავლას უნდა შევუდგეთ ამჟამად.

„კ ო დ ი“ საზომთა შორის ძველ ქართულ საბუთებში სრულებით არ იხსენიება. მხოლოდ XVI ს-ში ჩნდება იგი პირველად სიგელ-გუჯრებსა და დავთრებში. თუ არ ვცდები, „კოდი“ პირველად დასავლეთ საქართველოს ძეგლებში გვხვდება, სახელდობრ, 1540 წ. სიგელში „ერთი კოდი იფქლი“ და 1550—1570 წწ. საბუთში „ორი კოდი პური, თითო კოდი ღომი, თითო კოდი ქერი“. აღმოსავლეთ საქართველოშიაც იმავე საუკუნეში გვხვდება ეს ტერმინი და საზომი, მაგ., ქვათახევის 1568 წ. სიგელში ნათქვამია, რომ საალაპოდ „ორის კოდის ნამცხვარსა პურსა“ მოიტანდენო (ისტ. საბ. II, 46). აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში ეს საზომი არ იხსენიება, ხონის საყდრის გამოსავლის 1600 წ. ახლო ხანისაში კი ღომის საზომად არის უკვე ნახმარი (გვ. 5—13). ამგვარადვე გვხვდება კოდი აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დიდ დავთარში პურისა, იფქლისა, ქერისა და სხვისთვის (გვ. 1—18). არ ჩანს მხოლოდ საცაიშლოს დავთარში.

საყურადღებოა, რომ სამთავნელის სარგის 1673 წ. განახლებულ გარიგების წიგნში, რომელიც 1459 წ საბუთის პირს წარმოადგენს, პირველ ნაწილში ყველგან კაბიწია საზომად დასახელებული, მეორე ნაწილში კი უკვე კოდია აღნიშნული, მაგრამ აქაც დედანში როგორც ეტყობა კაბიწი უნდა წერებულიყო. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ კოდი, როგორც სვ. ჯანაშიას შეუმჩნევია, „შემდეგ არის ჩაწერილი ამოფხეკილ ადგილას“. ასეა რამდენჯერმე. გადამწერს საფიქრებელია ნათქვამი ექმნებოდა, რომ ამ მეორე, ქსნის ხეობის ბარის სოფლების შესახებ ცნობებში კოდი ჩაეწერა პირვანდელი კაბიწის მაგიერ, მაგრამ შემდეგ გადაწერის დროს ეს დავიწყებია და მერმე რომ შეუმჩნევია, კაბიწი ამოუფხეკია და სამაგიეროდ კოდი ჩაურთავს.

XVII და XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში კოდი პურისა და სხვა მარცვლეულობისათვის ერთადერთი ჩვეულებრივი მოზრდილი საზომია და იხსენიება ყველგან, მაგ., პურისათვის — ბოლნისის 1611 წ., 1629 წ. და 1631 წ. სიგლებში, პურისა და ფქვილისათვის (ისტ. საბ. IV, 8, 14 და 17), წილკნელის გამოსაღების 1669 წ. გარიგების წიგნში (იხ. ა. ხახ. გუჯრები.) და 1708 წ. სიგელში პურისა და ქერისათვის (ისტ. საბ. V, 16 და სხვა ძეგლებშიაც), ვახტანგ მეფის დასტურლამალში პურისა, ქერისა, ფქვილისა, ცერცვისა და ნიგვზისათვის (გვ. 6, 8, 9, 11, 18, 23, 31, 32, 44, 83, 93, 123, 125). იხსენიებს ამ საზომს აღმოსავლეთ საქართველოში აკად. გულდენშტედტიც თავის 1772 წ. მოგზაურობის აღწერილობაში. ყველა საწონების თავში მას სწორედ კოდი აქვს აღნიშნული (Reise 359). სამაგიეროდ, დასავლეთი საქართველოს XVII—XVIII სს. ძეგლებში კოდი უკვე იშვიათი სანახავია და დამახასიათებელია, რომ იგივე აკად. გულდენშტედტი კოდს დასავლეთ საქართველოს საზომთა შორის სრულებით არ იხსენიებს. ეს გარემოება იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ კოდი ლიხთიმერეთის აღებმიცემობაში იშვიათი სახმარებელი უნდა ყოფილიყო.

სრულ კოდს გარდა „ნახევარი კოდი“-ც გვხვდება (მაგ., დასტურლამალი 18, 23, 44 და სხვა ძეგლებშიაც).

„ფ ო ხ ა ლ ი“ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში ჯერჯერობით, თუ არ ვცდები, დასტურლამალში გვხვდება მხოლოდ, იქაც ორგან; სახელდობრ, ავლაბრის რიგისა და სამსახურის აღმნუსხველ თავში, სადაც წერია: „ღალა დღიურზედ სამი ფოხალი პური“-ო (გვ. 8 § ივ) და მეფე გიორგისაგან ყაიყულის სამოურაოს გარიგებაში, სადაც ნათქვამია: მოურავისა არის სამი ფოხალი პური, სამი ფოხალი ქერი“-ო (გვ. 93) სხვაგან არა ჩანს და აკად. გულდენშტედსაც აღმოსავლეთ საქართველოს საზომთა შორის ფოხალი აღნიშნული არა აქვს. მაგრამ „ფოხალის“ არსებობა საბა ორბელიანმაც იცოდა, მარცვლეულობის საზომად მიაჩნდა და მის სიდიდეზე ცნობაც მოეპოვება (ლექსიკ.). საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი არც ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოშიაც, როგორც ეს შეიძლება ადამიანს შენახული ძეგლების წყალობით ეჩვენოს.

პირიქით დასავლეთ საქართველოს ძეგლებში ეს საზომი XVI ს. მეორე ნახევრითგან უკვე ცნობილია და ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში ფოხალი ღომის საზომად იხსენიება „ღომი ფოხალი ხუთი“-ო (§§ 175—177). აღსანიშნავია, რომ საცაიშლო გამოსავლის დავთარში „ფოხალი“ მარცვლეულობის საზომად კი არა, არამედ ღვინის საზომად წერია (გვ. 6—45). ამგვარადვე აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალის დიდ დავთარში საქუჩულარიოს, ნაყანეულს, ჰალა-ნიჯაიანოსა და ჯგალს ფოხალი ღვინის საზომადვე უწერია (გვ. 19, 24—27, 39 და 43—44). დასავლეთ საქართველოს სამ საბუთში, 1730 წ. და 1773 წ. და 1787 წ. გუჯრებში ფოხალი ღომის საზომად არის დასახელებული (დას. საქ. საბ. II 121 და სხვაგან).

მთელ ფოხალს გარდა საცაიშლოს გამოსავლის დავთარში „ნახევარი ფოხალი“-ც იხსენიება (გვ. 26, 27, 30, 31).

„ქ ი ლ ა“, „ქ ი ლ ა კ ი“. ქილაზე უკვე XVI ს-ითგან მოყოლებული დასავლეთ საქართველოში ცნობები მოგვეპოვება და 1569 წ. სიგელში „ორი ქილა ღომი“ იხსენიება (დას. საქ. საბ. I, 20). 1628 წ. გუჯარში ნათქვამია: „ხუთი

მახათელი მარილი, საალაპოდ რომ გაგვიჩენია, ამისგან იმ სამ მწირველს ხუცებსა ერთი ქილა მისცენ“-ო (იქვე, I, 42). საცაიშლოს დავთარში ქილა ღომის საზომად ჩანს (გვ. 44). ქილა თანამედროვე მეგრულშიაც არის საზომად შენახული და ქილა ან „ქია“ ჰქვიან. ახლა განსაკუთრებით პურის საწყაოდ ითვლება.

აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში ქილა ან ქილაკი ჯერ არა ჩანს. საბა ორბელიანსაც „ქილა“ საზომად კი არა, არამედ ჭურჭლად აქვს წარმოდგენილი ისევე, როგორც ახლაც არის მიღებული. მან ამასთანავე იცის, რომ „ქილა“ უცხო სიტყვაა და ნათქვამი აქვს: „ქილა სხუათა ენაა, ქართულად დერგი“ ჰქვიანო, ხოლო „დერგი ჭურთ უმცირესი“ არისო (ლექსიკ). საზომად საბას „ქილაკი“ აქვს აღნიშნული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მას ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებშიც უნდა ჰქონოდა ამ სახით ამოკითხული.

„პ ი ნ ა“ საზომად როგორც აღმოსავლეთ ისევე დასავლეთ საქართველოში იხმარებოდა. უძველესი ცნობა ამ საზომის შესახებ დასავლეთ საქართველოში შედგენილ ძეგლში მოიპოვება, სახელდობრ, ქუთაისის საყდრის 1578 წ. შემოსავლის დავთარში, სადაც იგი პურისათვის არის მოხსენებული: „პური პინა ერთი“-ო (§§ 380, 381, 388). არც სხვადასხვა დავთრებში და არც სხვა აქამდე გამოცემული ლიხთიმერეთის მერმინდელ საბუთებში პინას ხსენება არა ჩანს. არ იხსენიებს ამ საზომს აკად. გჳლდენშტედტიც.

აღმოსავლეთ საქართველოში პინა გაცილებით უფრო გვიანა გვხვდება, სახელდობრ, წილკნელის სარგოს 1669 წ. გარიგების წიგნში, რომელშიაც ის პურის საზომად ხშირად იხსენიება (იხ. ა. ხახ., გუჯრები). მაგრამ რაკი ეს ძეგლი ძველი გარიგების წიგნის განახლებულ შინაარსს მოგვითხრობს მხოლოდ, ამიტომ „პინა“ ამაზე უფრო ადრინდელ ძეგლებშიაც უნდა ვიგულისხმოთ ნახმარად. იმისდა მიუხედავად, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებში არ გვხვდება და შეიძლება თითქოს გამქრალად გვეჩვენოს კიდეც, საერთოდ იშვიათი ტერმინის შთაბეჭდილებას ახდენს. მაინც რაკი აკად. გჳლდენშტედტი ქართულ საზომთა შორის აღმოსავლეთ საქართველოში პინას იხსენიებს (Reise. 359), ცხადია, ვაჭრობაში მიღებული უნდა ყოფილიყო.

საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „პინა დიდი ჯამი“-ო. პინა და პინაკი ბერძნული სიტყვაა ὁ πίναξ, და τὸ πινάκιον თეფშსა, აგრეთვე საწერ დაფას, რუკას და სიას ნიშნავდა. ქართულს ეს ტერმინი ორი მნიშვნელობით აქვს შეთვისებული: როგორც თეფში ან ჯამი და სარჩევ-საძიებელი.

„ბ ა თ მ ა ნ ი“ ძველ ძეგლებში არ გვხვდება და შედარებით გვიან, ვგონებ მხოლოდ XVIII ს-ში უნდა იყოს შემოსული ოსმალეთიდგან. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლთაგან ბათმანი აბრეშუმის საზომად ლვთაების 1722 წ გუჯარში და ქიზიყის გამოსავლის გარიგების 1798 წ. წიგნშია დასახელებული (ისტ. საბ. I, 34 და ს˝ქს სძ˝ველნი III, 137). საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „ბათმანი“ შეტანილი არა აქვს იმგვარადვე, როგორც არც ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება სადმე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ბათმანი ჯერ შემოსული არ უნდა ყოფილიყო. ამ საზომს აღმოსავლეთ საქართველოში 1772 წ. აკად. გჳლდენშტედტიც იხსენიებს (Reise 359).

დასავლეთ საქართველოს საბუთთაგან ჯერჯერობით, თუ არ ვცდებით, მხოლოდ 1801 წ. გუჯარში გვხვდება საზომად ბათმანი: „ოთხი ბათმანი პური“ (დას. საქ. საბ. II, 120). მაგრამ ეს რომ შემთხვევითი გარემოება უნდა იყოს.

ამას აკად. გულდენშტედტის ცნობაც ადასტურებს, რადგან უკვე 1772 წ. ის დასავლეთ საქართველოს საზომთა შორის ბათმანსაც ასახელებს (Reise, 393).

„ბათმანი“ თურქული სიტყვაა بطمان، بطمن, ოსმალური გამოთქმით باتمان იქ ექვს ოყიან საზომად ითვლება (ცენკერის ლექსიკ.), ხოლო ოყაში (اوقه) 400 დრაჰმი ითვლებოდა.

„ნ ა ო თ ხ ა ლ ი“ და „ჩ ა რ ე ქ ი“ ურთიერთთან დაკავშირებული ტერმინებია. დასავლეთ საქართველოს საბუთებში საზომთა შორის „ნაოთხალი“ გვხვდება. XV ს. მეორე ნახევრის ერთ საბუთში მაგ., ბეგარაში აღნიშნულია „ხუთი თეთრი, ერთი ნაოთხალი ღომი და ორი ათიანი ღვინო (ს. კაკ. დას. საქ. საბ. I, 6), ხოლო 1540 წ. სიგელში „სამი ნაოთხალი იფქლის“ შეწირულობა იხსენიება (იქვე I, 12). ბაგრატ იმერთა მეფის 1545 წ. გელათისადმი ბოძებულ სიგელში ნათქვამია: „მართებს ბეგარა ესე: დემეტრას თეთრი ოცი, ღვინო კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, ღომი ნაოთხალი ათი... მართებს ლექვანიძესა გიორგასა... ღომი ნაოთხალი ორი... ნამაშევს ჰოლაძე... მართებს... ღომი ნაოთხალი ოცი“ (ს˝ქს სძ˝ელნი I, 21, ქ˝კბი II, 339). ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში „ნაოთხალი“ ჩვეულებრივი ტერმინია და იქ ხშირადა გვხვდება: „თუ ყანა მუშაოს ორი ნაოთხალი ღომი გამოიღოს, თუ არ მუშაოს რვა ნაოთხალი ღომი გამოიღოს“-ო (გვ. 5 §§ 21, 22, 23 და სხვაგანაც ბევრგან).

ნაოთხალს გარდა „სანაოთხლო“-ც იხმარებოდა. მაგ., იმავე ძეგლში აღნიშნულია „ღომი ურემი ერთი ოცდაოთხი სანაოთხლო (გვ. 35 § 526, აგრეთვე §§ 258, 259—267 და სხვაგანაც).

ხონის საყდრის 1600 წ. ახ. ხ. დავთარში და საცაიშლოსაში ნაოთხალი, თუ არ ვცდები, არ გვხვდება. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარშიც ბარის რაჭას, ჩხარისა, ნავენახევისა, საჩხეურისა, ჯიმაშტაროსი და ბაკისუბის გამოსავლის აღწერილობაში ნაოთხალი არ იხსენიება, ფარცხანაყანევისაში კი და საგენათლოს ბუეთში უკვე ნაოთხლებად არის ღომი განსაზღვრული (იხ. ს კაკ. გამ. გვ. 7-8 და 11), ამგვარადვეა მათხოჯისაში (იქვე, 12—15). ხონითგან მოყოლებული კი დავთრის ბოლომდე ნაოთხალი უკვე აღარ იხსენიება. ეტყობა სამეგრელოში ნაოთხალი ამ დროს არ უნდა ყოფილიყო.

ნაოთხალი ძველ ქართულში მეოთხედსა ნიშნავდა. მაგ., ნიკორწმიდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე „ნაოთხალი ვენაჴისაჲ“-ო (ქ˝კბი II, 45), ე. ი. ვენახის ერთი მეოთხედი. აქეთგან ცხადი ხდება, რომ XI ს. ნაოთხალი ჯერ საზომის ტერმინი არ არის, მაგრამ ყველაფრის მეოთხედს, მათ შორის, რასაკვირველია, საზომისასაც, ნაოთხალი ერქმეოდა.

საბა ორბელიანის ლექსიკონშიც „ნაოთხალი“ განმარტებულია, როგორც მეოთხედი: „ოთხისაგან ერთი“-ო (ლექსიკ.). ამ ადგილითგან არა ჩანს, რომ საბას ნაოთხალი წონის ერთეულად ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ ერთი ადგილი ამას უდავოდ ამჟღავნებს. მას თავის ლექსიკონში აღნიშნული აქვს, რომ „სპარსნი ლიტრისნაოთხალს ჩარექს, უხმობენ“-ო (იხ. ლიტრა). აქეთგან ცხადი ხდება, რომ ქართულად ჩარექს „ნაოთხალი“ ეწოდებოდა. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში ეს ტერმინი ჯერ არა ჩანს.

XVI ს-ში წონითი ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად „ჩ ა რ ე ქ ი“-ც შემოდის. მაგ., ბრეთის სახარების 1543 წ. წარწერაში მოხსენებულია „სამი ჩარექი ვერცხლი“ (ქ˝კბი II, 336). XVII ს. საბუთებში ეს ტერმინი სანთლისა,

საკმეველისა და სანთლისგულის წონითი ოდენობის გამოსახატავად არის ნახ-მარი (1611 წ. ბოლნისის სიგ. 1619 წ. სიგ., 1631 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 8, 11, 17). ვახტანგ მეფის დასტურლამალში ყოველგვარი სავაჭრო საგნისათვის იხმარება: სახდელისა, ერბოსი, ქიშმიშისა, თაფლისა, ხახვისა, ლავაშისა და ზეთისათვის (გვ. 7, 11, 25, 31, 90-91, 94, 98). XVIII ს. ქალაქის მოურავის ხელისუფლება სარგოს გარიგების წიგნში ერბოსა და თევზეულობისათვისაც იხსენიება (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 524, 526). აკად. გვლდენშტედტიც იხსენიებს 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოს საზომთა შორის ჩარექს (Reise, 359).

ჩვეულებრივს გარდა „გ ო რ უ ლ ი ჩ ა რ ე ქ ი"-ც იხსენიება (1520 წ. სიგ., ისტ. საბ. II, 30).

დასავლეთ საქართველოს საბუთებშიაც ეს საზომი უკვე XVI ს-ითგან გვხვდება (იხ. 1550-70 წ. სიგ., 1730 წ., 1783 წ., 1790 წ. და სხვა გუჯრები დას. საქ. საბ. I, 24, 124, 79. II, 126). ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარში მკედისა, ანუ ძაფის წონის აღსანიშნავად გვხვდება (§§ 123—150 და სხვაგანაც). აკად. გვლდენშტედტს ჩარექი დასავლეთ საქართველოშიაც აქვს გავრცელებულ საზომად მოხსენებული (Reise, 393).

სრულ ჩარექს გარდა „ნახევარი ჩარექი"-ც არსებობდა (1611 წ. ბოლნისის სიგ., ისტ. საბ. IV, 8, დასტურლამალი 25 და 98. ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარი § 439).

ვახტანგ მეფის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ჩარექი მის დროს წონითი სისტემის ერთი აუცილებელი ერთეულთაგანი ყოფილა. მას თავის სამართლის წიგნში ნათქვამი აქვს: „ხუთი სტილი ერთი ჩარექი არის, ოთხი ჩარექი ერთი ლიტრა არის"-ო (კარი ვალისა).

ჩარექი ქართული ტერმინი არ არის, არამედ სპარსული. სპარსულად ეს სიტყვა მეოთხედსა ნიშნავს. ხოლო რაკი ჩარექი ლიტრის მეოთხედი ყოფილა, უნებლიედ იბადება საკითხი „ნაოთხალი", რომელიც იმავე მეოთხედსა ნიშნავს, იგივე ჩარექი ხომ არ არის და სპარსულითგან შემოხიზნული ტერმნი ჩარექის ძველი ქართული შესატყვისობა ხომ არ არის? სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო და საბა ორბელიანსაც პირდაპირ აქვს ნათქვამი: „სპარსნი ლიტრის ნაოთხალს — ჩარექს უხმობენ"-ო (ლექსიკ. იხ. ლიტრა).

ტერმინი „ნაოთხალი" დაბადების ქართულ თარგმანშიაც გვხვდება. ლევიტელთა წიგნში იხსენიება „ნაოთხალი მოორისა ღჳნო" (23_{12}). ამიტომ თვით ტერმინი ძველია და მისი მოუხსენებლობა ძეგლებში XV ს-მდე ალბათ შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოში „ნაოთხალისა" და „სანაოთხლოს" ოდენობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია და შესაძლებელია იქ ეს ორი ტერმინი ლიტრის მეოთხედზე მოზრდილი საზომი ყოფილიყოს. მაინცდამაინც, რაკი ლიხთიმერეთში ნაოთხალი უკვე XV ს. საზომადა ჩანს და XVI—XVIII სს-შიაც იხმარებოდა, ხოლო XVI ს-ითგან ჩარექიც შემოსულა, მომავალში უნდა გამოირკვეს, არსებობდა თუ არა რაიმე განსხვავება ამ ორ ტერმინ-საზომს შორის და თუ იყო, რით განსხვავდებოდენ ერთი მეორისაგან?

„გ უ ე რ დ ი" ძველ ქართულში ნახევარსაც ნიშნავდა და შემდეგ საზომის ნახევარსაც ეწოდებოდა. ეს ცხადად ჩანს ბოდორნის თეთროსან ღვთისმშობლის მონასტრისათვის ვამიყ შაბურიძის 1474 წ. შეწირულობის წიგნითგან, რომელშიაც ნაბრძანებია: „ბოდორნის დეკანოზი კაბიწ-გუერდსა პურსა და კო-

„კა-გუერდსა ღჳნოსა თევზად გაჰყიდდეს“-ო (ქ˝კბი II, 292). უეჭველია, აქ კაბიწ-გუერდი“ და „კოკა-გუერდი“ კაბიწ-ნახევარსა და კოკა-ნახევარს უდრის. მაშასადამე, აქ „გუერდი“ საზომის ტერმინი კი არ არის, არამედ ოდენობის აღმნიშვნელი და შეიძლებოდა ნახევარი კაბიწისასაც და ნახევარი ლიტრის, იქნება სხვა საზომის ნახევრის გამომხატველი ყოფილიყო.

„გუერდი“ საზომად დაბადების ქართულ თარგმანშიაც არის ნახმარი: „ღჳნო შესაწირავად მეოთხედი გუერდისა“ (რიცხუთაჲ 15₅).

საბა ორბელიანს, ერთი მხრით, გვერდი ლიტრის მეოთხედად აქვს განსაზღვრული: „სპარსნი ლიტრის ნაოთხალს ჩარექს უხმობენ... ხოლო ქართულად — გვერდი, გინა ნაოთხალი ეწოდების“ (ლექსიკ.: ლიტრა), მეორე მხრით, კოკის მეოთხედად, ჰარიკის ნახევრად: „ჰარიკი არს ნახევარ კოკა, რომელ არს დორა. ჩაფი არს დორაკი, რომელ არს გვერდი კოკის ნაოთხალი“-ო (ლექსიკ., კოკა). რაკი ლიტრის მეოთხედი — გვერდი და კოკის მეოთხედი — გვერდი ოდენობით ერთიმეორისაგან ძალიან განსხვავდებიან, მათ შორის ძირითადი მნიშვნელობითი მსგავსება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გვერდი დორას ნახევარია და გვერდიც ლიტრის ნახევრის ნახევარი იყო. საზოგადოდ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ როგორ და როდის მოხდა, რომ ნახევარის აღმნიშვნელი „გვერდი“ — კოკის ნაოთხალის, ანუ მეოთხედის აღმნიშვნელად იქცა.

დასავლეთ საქართველოს XVI ს. საბუთებში გვერდი მარცვლეულობის საზომად არის მოხსენებული: საწირავად „კუამლზედ თვითოს გვერდს პურს მიართმევდენ“, ან „ღომი გვერდი ორი“-ო (დას. საქ. საბ. I, 24 და 27). ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარში ქერისათვის არის აღნიშნული: „მართებს... ქერი გუჩრდი ერთი“-ო (§§ 162—164), აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში „გუერდი“ ღომისათვის არის ნახმარი ს. ფარცმანაყანევის ჯუმლში და ნაყანეულში (გვ. 11 და 26—27).

„ქ ს ა ნ ი“ როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც XVII ს. დამდეგის საბუთში იხსენიება, ისევე დასავლეთ საქართველოშიაც იხმარებოდა. XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოს სიგელ-გუჯრებში ქსანი საკმევლის საწონად იხსენიება (იხ. 1611 წ. და 1629 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 8 და 14). ვახტანგ მეფის დასტურლამალში ეს საზომი ნიგვზისა და ერბოსთვის არის ნახმარი (გვ. 48 და 63). ქსანს საბა ორბელიანიც იხსენიებს (ლექსიკ.). ხოლო ლიხთიმერეთში ეს ტერმინი უფრო გვიან გვხვდება ძეგლებში და პირველი ცნობა XVIII ს. მეოთხე მეოთხედზე ადრინდელი ჯერ არ მოგვეპოვება. 1783 წ. ერთ საბუთში „ნახევარი ქსანი საკმეველი“ არის აღნიშნული, 1808 წლისაში კი „ორი ქსანი სანთლის გული“-ა (დას. საქ. საბ. I, 82 და II, 161). ამგვარად დასავლეთ საქართველოში თითქოს იშვიათ ტერმინადა ჩანს, მაგრამ XVIII ს-ში რომ პირიქით იგი დასავლეთ საქართველოში უფრო ხშირი და ჩვეულებრივ სახმარებელი საზომი უნდა ყოფილიყო, ვიდრე აღმოსავლეთში, ამას აკად. გვლდენშტედტის ცნობა ამტკიცებს. იგი აღმოსავლეთ საქართველოს საზომთა შორის ქსანს არც კი იხსენიებს, ლიხთიმერეთში კი საზომთა შორის პირველ ადგილას სწორედ „ქსანი“ აქვს მოხსენებული (Reise, 393).

სრული ქსანის გარდა „ნახევარი ქსანი“-ც ყოფილა (1783 წ. სიგ. დას. საქ. საბ. I. 82). ჯერ გამოსარკვევია, აქვს ტერმინ ქსანს სომხურ **քսանիկ**-თან, რომელიც პატარა პარკს, ქისას ნიშნავს, რაიმე კავშირი თუ არა?

„ს ტ ი ლ ი" XVIII ს. დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოს საორბელო-საბარათიანოს გამოსაღების გარიგების წიგნში იხსენიება ერბოს, ყველისა და მარილის საზომად (იოანე ბატონიშვილისეული წიგნთსაცავის გრაგნილი № 338), ხოლო ვახტანგ მეფის დასტურლამალში ერბოსა და აბრეშუმისათვისაც (გვ. 10, 11, 31, 82, 83, 99. იხ. აგრეთვე მისი სამართლის წიგნში, კარი ვალისა §§ 123, 124). შეტანილი აქვს ეს ტერმინი თავის ლექსიკონში საბა ორბელიანსაც (იხ. ლიტრა). აკად. გულდენშტედტსაც 1772 წ. სტილი აღმოსავლეთ საქართველოს საზომთა შორის მოხსენებული აქვს. მისი სიტყვით სტილი ჩარექის მეხუთედი ნაწილი ყოფილა (Reise, 359). ქიზიყის მოურავის სარგოს 1798 წ. გარიგების წიგნში „ქალაქური სტილი" აბრეშუმისათვის არის აღნიშნული საზომად (ს˜ქს სძ˜ელნი III, 137). დასავლეთ საქართველოს საბუთებში „სტილი" იშვიათად გვხვდება, მაგრამ იქნებ ეს შემთხვევითი მოვლენა იყოს. 1803 წ. სიგელში ხონის წმიდა გიორგის ყმის გამოსაღებად აღნიშნულია „ორი ჩარექი თაფლის (sic) სანთელი, ორი ქსანი სანთლის გული და ერთი სტილი საკმეველი"-ო (დას. საქ. საბ. II, 161). რადგან აკად. გულდენშტედტს, როგორც ქვემოთმოყვანილი ცნობითგან ცხადი შეიქმნება, 1772 წ. სტილის სახელი არც კი გაუგონია და სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ იგი იმერეთის მაშინდელ საზომთა სიაში მას მოხსენებულიც კი არა აქვს და არც სხვა ძეგლებში გვხვდება სადმე, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლიხთიმერეთში ეს საზომი თითქოს მართლაც იშვიათი უნდა ყოფილიყოს.

„გ ო დ ო რ ი" აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლთაგან ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება თევზისათვის (გვ. 110, 120): „ქეობიდამ რამდენჯერაც თევზი მოვა ა გოდორი" სუფრაჯს ერგება ულუფადო, ახალ დაბითგან „რამდენჯერ თევზს ბატონისათვის წამოიღებდენ, იმდენჯერ შვიდს გოდორს მოურავისათვის წამოიღებდენ"-ო.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში გოდორი ღომისა და მჭადის საზომად იხსენიება მაგ., ხონის საეპისკოპოსო საყდრის 1600 წ. ახლო ხანებში გამოსავლის დავთარში წერია „1 გოდორი სამეჯინიბო მჭადი"-ო (გვ. 9, 11, 13, 14), ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დიდ დავთარში ს. ნავენახევისა და ოცხანას ბეგარაზე ნათქვამია: „მართებს მამისთვალასაძ ზაქარიას ხაჭუბერიძეს... 12 გოდორი ღომი, 6 გოდორი ღომი" (გვ. 4), „მართებს თ[ა]ვართქილაძეს და მის განაყოფს... 3 გოდორი ღომი" და სხვა. ოცხანელებსაც ღომი ყველას გოდრობით ჰქონიათ შეწერილი (გვ. 41—42).

„ჩ ა ფ ი" დასავლეთ საქართველოს საბუთებში ღვინის საწყაოდ უკვე XVI ს. გვხვდება, სახელდობრ, 1550—1570 წწ. სიგელში აღნიშნულია, რომ ზედაშედ შეწირულია „ერთი ჩაფი ღვინო" (დას. საქ. საბ. I, 25), აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში კი XVII ს. მაგ., მცხეთის ბოკოწინელთაგან მოცემულ სიგელში გვხვდება, სადაც მათ ნათქვამი აქვთ: „გამოსაღებსა კომლად ხუთხუთსა ჩაფსა ტკბილსა გამოვიღებდეთ"-ო (ქ˜კბი II, 482). საბა ორბელიანსაც აქვს ლექსიკონში შეტანილი (იხ. კოკა) და ვახტანგ მეფის დასტურლამალში იხსენიება ტკბილის საზომად: „ოროლი ჩაფი ტკბილი", „კომლზედ ერთი ჩაფი ტკბილი" და სხვა ამგვარი (გვ. 18), „საწნახელზედ ტკბილი ჩაფი ოთხი"-ო (იქვე 77 და 99). ჩაფ **չափ** სომხურადაც საზომს ნიშნავს چاپ თურქულად კი ნასროლის მანძილსა და ტყვიას, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ უკანასკნელს ჩაფთან რაიმე კავშირი ჰქონდეს სომხურ ტერმინთან კი ქართული უნდა დაკავ-

შირებული იყოს, მაგრამ სომხურში იგი ზოგადი ცნების აღმნიშვნელია, ქართულში კი საზომის გარკვეულ ერთეულის ტერმინია. ამასთანავე ჩაფი ძველ ქართულში არა ჩანს, არამედ ისეთ დროს და საქართველოს ისეთ ნაწილში შემოდის ხმარებაში, როდესაც და სადაც სომხური ტერმინის გავლენა ძნელი საფიქრებელია.

„დ ო ქ ი“ ღვინის საზომი იყო დასავლეთ საქართველოში XVIII ს. 1779 წლის საბუთში გვხვდება, რომელშიაც ხუცია ვირისალაძის გამოსაღებად სხვათა შორის „ერთი დოქი ღვინო“-ც არის აღნიშნული (დას. საქ. საბ. II, 63). დოქს დასავლეთ საქართველოს საწყაოთა შორის 1772 წ. აკად. გჳლდენშტედტიც იხსენიებს (Reise, 393). აღმოსავლეთ საქართველოში დოქი საბა ორბელიანსა აქვს მოხსენებული თავის ლექსიკონში (იხ. კოკა).

„კ ა ს რ ი“ დასავლეთ საქართველოს ძეგლებში მარცვლეულობისა და ღვინის საზომადა ჩანს XVI ს-ითგან, მაგ., 1586 წ. საბუთში მოხსენებულია „ღომი კასრი შვიდი, სასეფისკვერედ პური კასრი შვიდი“ (დას. საქ. საბ. I, 33). 1660—1670 წწ. საბუთში ნათქვამია: „ათს კასრს ღვინოს“ გლეხები ბეგრად გამოიღებდენო (დას. საქ. საბ. I, 74). აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში რაჭაში იხსენიება ღვინის საზომად. ამა და ამას „მართებს... ოცი კასრი ღვინო“, ან ნაკლები. გამოსაღების საერთო ჯამშიც აღნიშნულია: „არის... ჯუმალი... ასსამოცდა თხუთმეტი კასრი ღვინო“-ო (გვ. I—3).

მთელ კასრს გარდა „ნახევარი კასრი“-ც ყოფილა (იქვე, 2). აღმოსავლეთ საქართველოშიაც იხმარება ეს საზომი, ამჟამად მხოლოდ მარცვლეულობისათვის, მაგრამ როგორც საბა ორბელიანის სიტყვებითგანა ჩანს, წინათ აღმოსავლეთ საქართველოშიაც ღვინისათვისაც უხმარიათ. სახელოვანს ლექსიკოგრაფს ნათქვამი აქვს: „კასრი ჭურჭელი არს ხისა სამწყემსო“ და აგრეთვე „კასრი საწყავია ერთი, რომელი შთაიტევს რვა დოქსა“-ო (ლექსიკ.).

„ს ა ღ ვ ი ნ ე“ ხელმწიფის კარის გარიგებაში ღვინის ჭურჭლად არის ნახმარი, ვახტანგ მეფის დასტურლამალში კი ამას გარდა ღვინის საზომის აღმნიშვნელიც არის. კავთისხეველ სახასო გლეხებს საახალწლოდ უნდა მოეტანათ „კომლად ქათამი, ღვინო თუთო საღვინე“, ხოლო „კავთის-ქევის მესთულეს კულუხის გამომღებზედ თითო კოკა ტკბილი... თითო საღვინე ღვინო“ (გვ. 45). ხევისთავებსაც სოფელში მოსვლისას „კვამლად თუთო საღვინე ღვინო“ და სხვაც უნდა მიეცესო (გვ. 105). როგორც კოკა საზომი იყო, ისევე ყველა ზემომოყვანილ ამონაწერებში საღვინე სრულებით გარკვეული ოდენობის ღვინის ჭურჭლად და მაშასადამე, საზომადაც არის ნაგულისხმევი. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში ჯერ არა ჩანს.

„გ ო რ ა“ ღვინის საწყაო ყოფილა. საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში აქვს შეტანილი კოკის ქვეშე. დასავლეთ საქართველოში 1758—1765 წწ. საბუთში გვხვდება, რომელშიაც „ღჳნო ორმოცი გორა“-ა აღნიშნული (დას. საქ. საბ. II, 29, 32).

„ჭ უ რ ი“ დასავლეთ საქართველოს გამოსავლის დავთრებში გვხვდება ღვინის საზომად. ხონის საყდრის 1600 წ. ახლო ხანებში, დავთრის ცნობით, ხუნწი ლაპარტიანის შემოწირულ კაცებს, სხვათა შორის, გამოსაღები ჰქონიათ „თვითო ჭური ღვინო“-ც (გვ. 15). აფხაზეთის საკათალიკოსო დიდ დავთარშიც თილითის მცხოვრებთა გამოსაღებში წერია: „ყველას თიფშხუებ[ს] მართებს ერთი ჭური ღვინო და 20 ჯამი ღომი“-ო (გვ. 33).

„ჰური“ საზოგადოდ ჰურჰელსა ნიშნავს, კერძოდ კი ღვინჲს დიდ ჰურჰელს, ქვევრს ეწოდებოდა. ამგვარი ქვევრის მნიშვნელობა „ჰურს“ ძველადვე ჰქონდა და გიორგი III-ც თავის შიომღვიმისადმი 1170 წ. ბოძებულს სიგელში ამბობს: „ოთხთა ჰურისმრეცხელთა სხალტბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მოსცემდენ“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი IV, 5). ამიტომ საფიქრებელია, რომ ზემომოყვანილ ორ შემთხვევაშიაც ეს ტერმინი სწორედ ქვევრის მნიშვნელობით იყოს ნახმარი. ამ ტერმინის მნიშვნელობის გამო მოსალოდნელია, რომ „ჰური“ მომავალშიც აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში აღმოჩნდეს.

„თ ე ვ შ ი“ პურის საზომად ჩანს XVII ს. ლიხთიმერეთის ძეგლებში მაგ., 1616—1620 წწ. საბუთში ნათქვამია: ამა და ამას „მართებს ერთი თევში პური“-ო (დას. საქ. საბ. I, 41). ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოშიც ცნობილი იყო და „თეფში“-ს სახით იხმარებოდა. ბარათაშვილების 1523 წლის გაყრილობის წიგნში მაგ., „თეფშები“ სახლის ჰურჰლის კუთვნილებად იხსენიება (ქ˝კბი II, 350). მაგრამ ვახტანგ მეფის დასტურლამალში თეფში საჰმლისათვის არის ერთგვარ საზომად აღნიშნული. „ყაბების რიგის“ თავში იქ განსაზღვრულია: „ამ საჰმლიდამ უნდა დაუსხან... დავთარხანაში ერთი ბოშყაბი, — ოსტატს ათასი, საყას — ერთი თეფში, აუშტარს — ერთი თეფში, მეშეშეს — ერთი თეფში, სალთხუცის კაცს — ერთი თეფში“-ო (გვ. 91). თევში და თეფში იქნებ სპარსულითგან შემოსული ტერმინი იყოს: تپشی თეფში სპარსულადაც თეფშს, პინაკსა ნიშნავდა. ოსმალეზსაც აქვთ ეს სიტყვა تپشی თეფში-ს სახით და არაბებსაც طبشی ტებში-ს სახით. მაგრამ ძველი ქართული „თევში“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს სიტყვა სხვა გზითაც იყოს შეთვისებული.

თავი მეხუთე

სათავისთავო საზომები

§ 1. საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული წონის საზომები

საერთო საზომებს გარდა განკერძოებისა და შინაური კარჩაკეტილობის წყალობით, ამას გარდა ამერეთში სპარსეთისა, იმერეთში კი ოსმალეთის ბატონობა-გავლენის გამოისობით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული საზომებიც გაჩნდა, რომელნიც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში, თვით მხოლოდ ერთ რომელსამე თემშიც კი იყო მიღებული, მეტადრე ეს სამეგრელოზე ითქმის. საისტორიო და ეკონომიური ძეგლების სარგებლობისათვის მათი შესწავლაც აუცილებლად საჭიროა.

„თ ა ღ ა რ ი“ ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება ჰინდოს ლანჩპარის, ანუ დამმუშავებელთა გადასახადების მომთხრობ მუხლში ბრინჯის საზომად. იქ ნათქვამია: „ითესების ბრინჯი ამირ ჯასლუ ქორ არხის რუზედ თაღარი ოცი, ამირ ხასლუ ყანდიმალას რუზედ თაღარი ხუთი, ფადარ ალიას პატარას რუზედ თაღარი ცხრა“ და სხვა (იხ. გვ. 46—47). სხვაგან არც ამ წიგნში, არც სხვა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებში არსად გვხვდება. ისე გამოდის, რომ ეს საზომი მარტო ბრინჯისთვის და ისიც მხოლოდ ამ უცხო ტომთა მეურნეობაში უხმარიათ. თვით ტერმინი თაღარი მონღოლთა ბატონობის დროს შემოდის და ჰულაგუ ყაენის მიერ შემოღებულ გადასახადს ეწოდებოდა (იხ. ამის შესახებ „ჩემი საქართველოს ეკონომიური ისტორია“ II, გადასახადები და გამოსაღები). მაგრამ „თაღარ“ სპარსულად تالار; სომხურად Թաղար საწყაოსაც ნიშნავდა და უეჭველია ამ დროითგან უნდა იყოს შერჩენილი. მონღოლთა ბატონობის დროინდელ ქართულ ძეგლებში ეს ტერმინი ჯერ არა ჩანს. შემდეგშიაც, თვით XVII—XVIII სს. თითქოს იშვიათ სიტყვად უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა პ. უმიკაშვილის ცნობით ყაზახ-ბორჩალოსაკენ ახლაც უნდა იხმარებოდეს (დასტურლამალი, ლექსიკონი, თაღარი).

სრულ თაღარს გარდა „ნახევარი თაღარი“-ც ყოფილა: „კიდევ ითესების რვა და ნახევარი თაღარი აქავ“-ო (დასტურლამალი 46).

„ჩ ა ნ ა ხ ი“ მარცვლეულობის საზომად იხსენიება ვახტანგ მეფის დასტურლამალში „ინდოს ლანჩპარისათვის“ გარიგებაში, სადაც ნათქვამია, რომ „ნაჯბადინის რუზედ თაღარი ასოცდა ათი, ჩანახი ოცი“-ო (გვ. 46). ქსნისხეობის XVIII ს. მეორე ნახევრის შემოსავლის დავთარში პურად გამოსაღები ბეგარა „ჩანახის“ საზომით არის განსაზღვრული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგ. № 338). აქეთგან უეჭველი ხდება, რომ ჩანახი მარტო თურქ უბინადროელებს კი არ უნდა ჰქონოდათ მიღებული, როგორც ეს დასტურლამალის მიხედვით შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, არამედ თვით ქარ-

თლშიაც ყოფილა გავრცელებული. სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოს საბუთებსა და შემოსავლის დავთრებში ან გამოსავლის გარიგების წიგნებში ჩანახი არსადა გვხვდება, არც აკად. გულდენშტედტი იხსენიებს. ამის გამო საფიქრებელია, რომ ეს საზომი ლიხთიმერეთისათვის უცნობი უნდა ყოფილიყო.

„ჩანახი“ საბას ცნობით „სხვათა ენაა, ქართულად მოდი „ჰქვიან“-ო (ლექსიკ.). მართლაც ეს ტერმინი თურქული სიტყვაა چناق ან چاناق چناغى ჩანაკ, ჩანაყ, ჩანაღი ჭურჭელს, კალათას ნიშნავს.

„ფ ი ს ო ს ი“ ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება. იქ ნათქვამია, რომ ფეშქაშის აღმწერელს, „ფეშქაშნივის“-ს, ჯამაგირს და ულუფას გარდა, უნდა აგრეთვე „ერთი ფისოსი ქონი“ მიეღო (გვ. 84), მოლარეთხუცის სარგოშიაც შედიოდა „ერთი ფისოსის ქონი“ (გვ. 60). როგორც ამ ამონაწერებითგანა ჩანს, ფისოსი ქონის ჭურჭელი უნდა ყოფილიყო და უკვე პ. უმიკაშვილსა ჰქონდა დასტურლამალის ლექსიკონში აღნიშნული, რომ ფისოსი[17] სპარსულ پیسوز ფიზუს-ს წარმოადგენს. ჭრაქის რკინის ან სპილენძის ფიალას, ანუ ჯამს ეწოდებოდა. დასტურლამალში მოხსენებული ქონიც ან ჭრაქით, ან სანთლად გაკეთებული, ასანთებად იყო განკუთვნილი.

„ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი“-ც ერთგვარ ერთეულად არის ნახმარი ვახტანგ მეფის დასტურლამალის იმ თავში, რომელიც შულავრისა და თეთრ-სოფლის გამოსაღების გარიგებას შეიცავს. მაგ., იქ ნათქვამია: „რასაც აზნაურშვილს ვენახი ჰქონდეს შულავერში, საწნექელზედ ცალი მისცეს და აზნაურის ყმამ კოკა ა. ხოლო შულავრის მელიქის სარგო ყოფილა: „საწნაჴელზედ ტკბილი ჩაფი ვ... მესთულისა საწნაჴელზედ ტკბილი კოკა ა“ (გვ. 99).

აქ საწნახელი, ალბათ, იმდენად წარმოადგენს ერთგვარ ერთეულს, რამდენადაც საწნახელში ერთ დაწურვაზე ყურძნის ცოტად თუ ბევრად გარკვეული ოდენობა იწურებოდა. მაგრამ საწნახელი უფრო საგადასახადო ერთეულად მოჩანს, ვიდრე საზომად.

„თ უ ნ გ ი“ ღვინის საზომად ჩანს ვახტანგ VI-ის დასტურლამალში: მეჯინიბეებს აქვთ „გ თუნგი ღვინო“, მესთულეს „ღვინო ჩაფი იბ“, ათეულზედ ღვინო თუნგი ა“, „სუფრაჯს ღვინო თუნგი ა“-ო (გვ. 41, 99, 100, 110). გასაოცარია, რომ საბას ეს ტერმინი არა აქვს ლექსიკონში.

თუნგი ღვინის საწყაოდ ქალაქის მოურავის ხელისუფლება-სარგოს XVIII ს. მეორე ნახევრის გარიგების წიგნშიც იხსენიება (ს˜ქს სძ˜ვლნი II, 534 და 527). აკად. გულდენშტედტსაც 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოში საწყაოთაგან მხოლოდ თუნგი აქვს აღნიშნული, რომელიც „თუნი“ (Tuni)-ის სახით არის შეცდომით ან ჩაწერილი, ანდა უფრო დაბეჭდილი (Reise 359). ეს ტერმინი ოსმალური სიტყვაა تنك ،تونك რომელიც ხის, თიხისა და ლითონის მაღალ და ვიწროყელიან სითხის ჭურჭელს ნიშნავს

„ს უ რ ა“ ვახტანგ მეფის დასტურლამალშია მოხსენებული ღვინის დანახარჯის ანგარიშის გარიგების თავში, რომელსაც სათაურად უწერია „ჭამის ღვინისათჳს“. ტექსტითგან ჩანს, რომ „სურა“ ღვინის ჭურჭლად იგულისხმე-

---

17 პ. უმიკაშვილს ფისოსის თანაბრად „ფუსუზასი“-ც აქვს დასახელებული. ეს ტერმინი „ზარაფხანის რიგის“ გარიგებაში იხსენიება (გვ. 33). მაგრამ ტექსტითგან ჩანს, რომ აქ ხელოსნის სახელია და არა ჭურჭლისა. ფუსუზასი — پی سوز سازی?

ბოდა უფრო, ვიდრე საზომად, რადგან კანონმდებელს ნათქვამი აქვს: მოხელეებმა, რომელთაც ანგარიშის წარმოება აქვს დავალებული, „სურაში რამდენი ლიტრაა, ის შეიტყონ“-ო (გვ. 103). აქეთგან საფიქრებელი ხდება, რომ სურები სხვადასხვა ზომისა კეთდებოდა და წინდაწინ არავინ იცოდა, რამდენ ლიტრიანი უნდა ყოფილიყო სურა. მაგრამ შესაძლებელია აქ საუბარი იყოს ქართული მეურნეობის ჩვეულებრივ წესზე, რომლის მიხედვითაც დანახარჯის ანგარიშის აღნუსხვას ყოველთვის საზომების შემოწმება, „გამოწყვა“ უსწრობდა წინ (ამის შესახებ იხ. ჩემი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ II წიგნი). ასეთი შემოწმება უეჭველია სხვადასხვა დანიშნულების ერთგვარი საზომების, საბაზროსა და სასეფოს, არსებობამ გახადა აუცილებელი. დასტურლამალში კანონმდებელს ნაბრძანები აქვს: „მეჯლისისა და სუბაობისა შიგნით თუ გარეთ ჩვენს სუფრაზედ რაც ღვინო დაიხარჯოს, იმის დახარჯვა საღვინის თავლიდარისთვის გვიბრძანებია. სურები გამოწყული იქონიოს. რამდენიც სურა დაიხარჯოს, სურაში რამდენი ლიტრაა, ის შეიტყონ და რასაც სახლში რამდენი კოკა დაიხარჯოს, იმას... დააწერინებდენო“-ო (გვ. 103). რადგან სხვაგან არსად მოიპოვება სურების ზომის შესახები ცნობები, ამიტომ ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება სხვადასხვა სურის სიდიდეც.

სურა არაბულითგან ნასესხები სიტყვა უნდა იყოს: صراحيه არაბულად და არაბულ-თურქულად صراحى ღვინის ბოთლს, მაღალყელიან ღვინის ჭურჭელს ნიშნავდა.

„ჭ ა რ ი კ ი“ საწყაო მხოლოდ საბა ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება: „ჭარიკი არს ნახევარ კოკა“-ო (კოკა). თუმცა ეს ტერმინი ძველ ძეგლებში ჯერ არა ჩანს, მაგრამ საბას სიტყვებითგან საფიქრებელია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გავრცელებული ყოფილიყო.

„დ ო რ ა“ და „დ ო რ ა კ ი“-ც მხოლოდ საბა ორბელიანის ლექსიკონითგან არის ცნობილი და საბუთებში ჯერ არ ჩანს. სახელოვანი ლექსიკოგრაფის ცნობით დორა ნახევარ კოკის სახელი ყოფილა, დორაკი კი დორას ნახევრის აღმნიშვნელ ტერმინად აქვს განმარტებული (იხ. კოკა).

„ბ ო რ ჩ ხ უ ლ ა“ საწყაოს საზომადა ჩანს საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ბორჩხულა არს დოქის ნახევარი“-ო (იხ. კოკა). სხვაგან ჯერ არ ჩანს.

„გ ო ზ ა უ რ“-ი თუმცა ახლაც შერჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ შემოსავლის დავთრებში და საბუთებში ჯერ არ მოიპოვება. ეს ტერმინიც საბა ორბელიანის ლექსიკონითგან არის ცნობილი. მისი სიტყვით „გოზაური — გორას ტოლი და უმცროსი მისი დიდი ჭურჭელი“ იყო (იხ. ლექსიკონი, კოკა).

§ 8. საკუთრივ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული წონის საზომები

„ლ ო ღ ა რ ი კ ო ნ ი“ საზომად მხოლოდ ლიხთიმერეთის ძეგლებში გვხვდება და სანთლისთვის იხმარებოდა XVI ს-იდან მოყოლებული. 1586 წ. ხობის მონასტრის სიგელში მაგ., ნათქვამია: სკვამიჩავა „დავასახლე ხოფს და... დამიც ბეგარა ერთი ცხვარი, ერთი ლოღარიკონი სანთელი“-ო ...„დამიც ჩემის სულისათვინ ერთის საკლავის სანთელი ოთხი ლოღარიკონი“-ო (დას. საქ. საბ. I,

20, 21). ლევან დადიანის 1628 წ. შეწირულობის წიგნში გამიძულა წუწულუას გადასახადად „ექვსი ლოღარიკონი სანთელი"-ა გადაკვეთილი (იქვე I, 42). ჰყონდიდელ-ბედიელის XVII ს. მესამე მეოთხედის შეწირულობის წიგნში ეს ტერმინი უკვე ოდნავ სახეშეცვლილია და „ლაღარიკონად" წერია: ამა და ამ გლეხს „მართებს ხატის ათი ლაღარიკონი სამთელში"-ო (იქვე I, 78). აკად. გულდენშტედტს ეს საზომი არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთ საქართველოში აღნიშნული არა აქვს. საბა ორბელიანსაც ეს ტერმინი არ მოეპოვება, მაგრამ თავის ლექსიკონში („ლოღარიკი") აქვს შეტანილი, და ცალსასწორად აქვს განმარტებული („ლოღარიკი — ცალსასწორი"-ო).

„მ ა რ ჩ ი ლ ი", ჩვეულებრივი ფულის ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად მიღებული და ცნობილი, წონის ერთეულადაც იხსენიება დასავლეთ საქართველოს ერთ XVI ს. საბუთში, რომელშიაც ნათქვამია: გამოიღებდეს „თეთრო წყაროდაღმან რასაც კუამლი ამოსდიოდეს ოროლი ჩარექი სანთელი, თვითო მარჩილის წონა საკმეველი, ხუთ-ხუთი ლიტრა მარილი"-ო (დას. საქ. საბ. I, 23). საბა ორბელიანს მარჩილი მხოლოდ ფულად აქვს წარმოდგენილი.

„ფ ს ო მ ი ა რ ე" მარტო ლიხთიმერეთის ერთ ძეგლში გვხდება, სახელდობრ ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში ღომის საზომად. ამ ძეგლში ხშირად წაიკითხავს ადამიანი, მართებს ამა და ამ მეკომურს „ღომი ფსომიარე ერთი"-ო (§§ 457—492, 495—509).

„ქ უ ა" დასავლეთ საქართველოს ძეგლებში გვხვდება ღომის საზომად. XVI ს. ერთ საბუთშია იგი მოხსენებული, რომელშიაც განსაზღვრულია: „ერგების... დეკანოზსა ორი ქუა ღომი, ერთი კოდი ქერი"-ო (1550—1570 წწ. სიგ., დას. საქ. საბ. I, 23). სხვაგან ეს ტერმინი არა ჩანს თვით შემოსავლის დავთრებშიაც კი.

„მ ა ხ ა თ ე ლ ი" ლიხთიმერეთის საბუთებსა და ძეგლებში იხსენიება XVII ს-ითგან მოყოლებული მარცვლეულისა და მარილის საზომად. 1628 წ. სიგელში მაგ., აღნიშნულია, რომ „მართებს გაიდურთი გაბრავას და მისსა სახლის კაცსა... ერთი მახათელი ღომი"-ო, ხოლო „ხუთი მახათელი მარილი საალაპოდ რომ გაგვიჩენია, ამისგან იმ სამს მწირველს ხუცებსა ერთი ქილა მისცენ"-ო (დას. საქ. საბ. I, 41 და 42). ეს საზომი აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარშიც არის ნახმარი ღომისათვის ს. ნაგუაზაუში (გვ. 17).

„კ ე ხ ი" ღომის საზომად ჩანს 1782 წ. დასავლეთი საქართველოს ერთ საბუთში, რომელშიაც „თითო კეხი ღომი" იხსენიება (დას. საქ. საბ. II, 77). აღსანიშნავია, რომ არც სხვა საბუთებში, არც შემოსავლის დავთრებში ან გამოსავლის გარიგების წიგნებში ეს ტერმინი ნახმარი არ არის. საბა ორბელიანს კეხი მხოლოდ შეუმზადებელ უნაგირად ესმის (ლექსიკ.).

„კ უ ა ხ ი" ღომის საზომად არის ნახმარი XVIII ს. დამლევის ლიხთიმერეთის ერთ ძეგლში, სახელდობრ 1790—1803 წწ. გუჯარში ბევრად აღნიშნულია „ექვსი კუახი ღომი", „ექვსი კუახი ცეხვილი ღომი" (დას. საქ. საბ. II, 127 და 132). სხვაგან არსადა გვხდება. როგორც სახელითგან საფიქრებელია, ეს საზომი უნდა გოგრის, ანუ კვახისაგან გაკეთებული საწყაო ყოფილიყო. გამოსარკვევია მხოლოდ მისი წონითი ოდენობა. კუახი, ანუ კვახი_ყელიანი აყირო, ანუ გოგრას ნიშნავდა (საბას ლექსიკ.) და ალბათ აქეთგან უნდა იყოს ამ საზომის ტერმინი, რადგან მას კვახისაგან აკეთებდნენ.

„წ ო ნ ა ჲ“ და „ს ა წ ო ნ ი“ ღომისა და სანთლის საზომად იხმარებოდა დასავლეთ საქართველოში. მაგ., აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსაღების დიდ დავთარში ნავენახევში ხშირად არის აღნიშნული: მართებს ამა და ამ მეკომურს „12 წონაჲ ღომი“ ან „ექვსი საწონი ღომი“, ან „12 საწონი ღომი“, და სხვა ამისვე მსგავსად (გვ. 5-6). საცაიშლოს გამოსაღების დავთარში კი ფანცხავებზე ნათქვამია: „წელიწადშიდა ორ-ორსა კვამლსა კაცსა ორ-ორი წონა სანთელი მართებს“-ო (გვ. 42). ჯგალის გამოსაღების საერთო ჯუმალშიაც იხსენიება „4 წონა სანთელი“ (გვ. 45).

„ს ა ც ი ქ უ ე ლ ი“ ღომის საზომად ჯავახ ჰილაძის 1549 წ. ახლო ხანების სიგელში გვხვდება, რომელიც ლიხთიმერეთის გამოსაღებს შეიცავს: „ექუსი საციქუელი ღომი“, „ცხრა საციქუელი ღომი“, „ათი საციქუელი ღომი“ (ქ˝კბი II, 389—390). საბა ორბელიანს თუმცა ეს ტერმინი მოეპოვება თავის ლექსიკონში, მაგრამ ნათქვამი აქვს, რომ „სამოციქულო“-ს ჰნიშნავსო. იქნებ მართლაც ეს საზომი სამოციქულო .საჩუქრისა ან ძღვენისაგან წარმოსდგა, მაგრამ შესაძლებელია სულ სხვა ფესვითგან იყოს წარმოშობილი.

„ფ უ ნ დ უ ხ ი“ ოქროს წონითი ერთეულად არის აფხაზეთის საკათალიკოსო განძეულობის აღმნუსხველ 1776 წ. სიაში, რომელშიაც სხვათა შორის წერია: „სამას ორმოცდა თოთხმეტი ფუნდუხის წონა ზოდები ოქროსი ექსი“ (დას. საქ. საბ. II). არც ერთ სხვა საბუთში ეს ტერმინი და საზომი არ გვხვდება. „ფუნდუხი“ სპარსულ-თურქულ فندق ფუნდუკი-საგან ხომ არ არის წარმომდგარი. იქ ეს სიტყვა კაკალსა და ტყვიას ნიშნავს.

„მ უ ნ ი ს წ ო ნ ა“ XVI ს. ერთ საბუთში გვხვდება მხოლოდ. იქ ნათქვამია: მართებს ფოთელსა ნავსა მაისობასა თუთოსა ნავისა თავსა „მუნის (sic) წონაჲ სანთელი“-ო (იქვე I, 14). ეს ტერმინი „ფუნდუხის წონის“ მსგავსია, მაგრამ თუ ამ უკანასკნელს ამა თუ იმ განმარტებით შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს და აზრი გაგებული იყოს, „მუნის წონის“ სადაურობა-მნიშვნელობა სრულებით გაუგებარია.

„მ ე ნა ხ ე ვ რ ე“ ღვინისა და მარცვლეულობის საზომი ყოფილა. ჯერჯერობით მაინც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ძეგლებში ჩანს, მაგ., ხონის საყდრის 1600 წ. ახლო ხანებში გამოსავალის დავთარში აღნიშნულია „ორი მენახევრე ღვინო (გვ. 16, 20). ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში „მენახევრე“ პურისა და ღომისათვის არის ნახმარი ჩხარში: მართებს ამა და ამას „ერთი მენახევრე პური და ერთი მენახევრე ღომი“-ო (გვ. 3—4). 1730 წლის საბუთში „ოცი მენახევრე ღვინო“, 1787 წლისაში კი „ათი მენახევრე ღვინო“-ა აღნიშნული (დას. საქ. საბ. I, 122 და II, 92).

სახელი „მენახევრე“ იმის მომასწავებელია, რომ ეს საზომი რომელიღაც საზომის ნახევარი ყოფილა.

„ს ა წ ყ ა ვ ი“ ღვინის საზომად ყოფილა ლიხთიმერეთში. ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარში ს. მუჯირეთუბნის შესახებ ნათქვამია: „ღვნო საწყავი ხუთი“-ო (§§ 457—487, 489—492, 495—500 და სხვაგანაც). საცაიშლოს დავთარშიაც გვხვდება ეს საზომი (იხ. გვ. 24, 44, 45) და აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარშიაც აღნიშნულია „თერთმეტი საწყავი ღვინო“ ჯგალში (გვ. 43). 1770 წ. საბუთშიც ნათქვამია: კათალიკოსს მიერთმეოდეს „სამი საწყავი ღვინო“-ო (დას. საქ. საბ. II, 42).

ამ საწყაოს ლიხთიმერეთის საზომად სითხეებისათვის 1772 წ. აკად. გულდენშტედტიც იხსენიებს, რომელიც საწყაოს დოქის შემადგენელ ერთეულად თვლის („Ein Doki hält 4 Maass": Reise, 393).

„მ რ თ ე ლ ი" ღვინის საზომად იხსენიება. მხოლოდ აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში გვხვდება მათხოჯისა და ხონის გამოსაღებში. იქ ადამიანი ხშირად შეხვდება ასეთ ცნობას: მართებს ამა და ამას „ოთხი მრთელი ღჳნო", „6 მრთელი ღჳნო", „შჳდი მრთელი ღჳნო", „ათი მრთელი ღჳნო და სხვასაც ამის მსგავსს (გვ. 12—15).

სრული „მრთელის" გარდა ყოფილა „ნახევარი მრთელი"-ც. გვტია ბარაბაძეს მაგ., „5 მთელი ღჳნო" ერთი ემართა და კიდევ „მთელი და ნახევარი ღჳნო" სხვა ჰქონია შეწერილი (გვ. 12).

უეჭველია ტერმინი „მრთელი" გარკვეულ საზომს გულისხმობს, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს, თუ რომელს.

„გ უ დ ა" ლიხთიმერეთში ღვინისა და მარცვლეულობის საზომად იხსენიება 1628 წ. საბუთში, რომელშიაც მებეგრეებს „სამ-სამი გუდა ღვინო" აქვთ დაკისრებული (დას. საქ. საბ. I, 41). აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსაღების დიდ დავთარში ღომისათვის არის ნახმარი: „ერთის გუდის ნახევარი ღომი" გამოიღონო, ნათქვამია სუბვისსა და მუხურში (გვ. 31). ამ უკანასკნელი ცნობითა მტკიცდება, რომ „ნახევარი გუდა"-ც ყოფილა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთარში გუდა ღვინისათვის არის მოხსენებული ნაგუაზაუში და მუხურში (გვ. 17—18 და 33). „საკეტე გუდა ღჳნო" და „უფროს-უმცროსი გუდა ღჳნო"-ც არის აღნიშნული (იქვე, გვ. 33).

„ნ ა რ გ ი ს ი" ზეთის საზომად იხსენიება 1675—1680 წ. ჰყონდიდელ-ცაგერლის ერთ შეწირულობის წიგნში: ჩვენ შემოწირულ გლეხს „მართებს ხატის ათი ლაღარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი"-ო (დას. საქ. საბ. I, 78). როგორც „ლაღარიკონი" და „ნალბაქი" საზომებია, ამგვარადვე „ნარგისი" აქ ზეთის საწყაოდა ჩანს. საბა ორბელიანს ამგვარი საზომი მოხსენებული არა აქვს, არც თანამედროვე ქართულშია შენახული. რამდენადაც იოს. ყიფშიძის ლექსიკონითგან ამის დასკვნა შეიძლება, არც მეგრულში ჩანს ეს სიტყვა.

§ 8. საკუთრივ ხამეგრელოს საზომები

როგორც საეპისკოპოსო საყდრის დავთრითგანა ჩანს, საცაიშლოში რამოდენიმე მხოლოდ იქ ცნობილი საზომები ყოფილა გავრცელებული, როგორც მაგ.,

„ლ ი ჯ ი" ღომისათვის: „4 ლიჯი ღომი" „3 ლიჯი ღომი" „6 ლიჯი ღომი", „20 ლიჯი ღომი" (გვ. 5—44), „არის ხევთის სახახლის მიმდგამის (sic) კაცების ბეგარის ჯუმალი... 266 ლიჯები ღომი", „არის ცაიშის სახახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი... 511 ლიჯი ღომი", „არის დარჩელის... ბეგრის ჯუმალი... 600 ლიჯები ღომი" (გვ. 45). ლიჯი იხსენიება ღომის საზომად აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსაღების დიდ დავთარშიც საქუჩულორიის, ჰალასა და საჯაიანოში (გვ. 19 და 40). „ნახევარი ლიჯი"-ც ყოფილა (საცაიშლოს დავთარი 26, 27, 38).

„ლიჯის“ ოდენობის გამოანგარიშება ჯგალის გამოსაღების შესახები ცნობის საშუალებით შეიძლება, რასაკვირველია, თუ იქ რაიმე შეცდომა არ არის გადამწერთაგან შეპარული. ჯგალის გამოსაღების ჯუმალში აღნიშნულია „140 ლიჯი ღომი“ (საცაიშლოს დავთარი 46). თვით ჯგალის მებეგრეთა კომლობრივი ცნობები ღომის გამოსაღების შესახებ ჯამით არის განსაზღვრული და სულ 54 ჯამი ღომი გამოსდის ყველა მეკომურს (გვ. 42—53). თუ ეს ცნობა სწორეა, მაშინ ცხადი ხდება, რომ 140 ლიჯი ღომი =54 ჯამ ღომს, ე. ი. 1 ჯამი=2,5 ლიჯს.

„ატარი“-ც ღომის საზომი ყოფილა: „6 ატარი ღომი“ (საცაიშლოს დავთარი 31), „3 ატარი ღომი“ (იქვე, 36), „10 ნაგუშუო ატარი ღომი, „8 ნაგუშუო ატარი ღომი“, „5 ნაგუშუო ატარი ღომი“, (გვ. 37), "5 ატარი ღომი“ (გვ. 38).

„ატარი“ მეგრულად ხის ჯამსა ნიშნავს (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამატიკა, ლექსიკონი).

„ოგორდულო“ ღომის საზომად იხსენიება საცაიშლოს დავთარში: „რვა ოგორდულო ღომი“ (გვ. 20, 21).

„ოგორდულო“ მეგრული შესატყვისობა უნდა იყოს საგვერდოსი და „გვერდისა“, რადგან ო=„სა“-ს და „გორდა“ მეგრულად გვერდსა ჰქვიან.

„სამადგანი“ თუ არა ვცდები, მხოლოდ ერთგან იხსენიება: საცაიშლოს დავთრის წყარიგზურის კაცების ბეგრის ჯუმალში, სადაც აღნუსხულია „41 სამადგანი ღომი“ (გვ. 45). თვით წყარიგზურის კომლობრივ დავთარში ღომი ლიჯითა და ქილით არის გასაზღვრული და საერთოდ გამოდის 7 ქილა და 101 ლიჯი ღომი. ეს 7 ქილა და 101 ლიჯი ღომი=41 სამადგან ღომს. სამადგანი მესამედს ნიშნავს და შესაძლებელია ამ საზომის სახელი აქეთგან იყოს წარმომდგარი. დაბადების ქართულ თარგმანში „სამგანი“ იხმარება: ზეთი და „ღჳნო... სამგანი გუერდისა“ (რიცხუთაჲ 15_{6-7}). სამეგრელოში იგი რომელიღაც საზომის მესამედად უნდა ვიგულისხმოთ.

„გობი“ ღომის საზომად იხსენიება ნაყანეულში აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში, რომელშიაც „2 გობი ღომი“ (გვ. 24), „3 გობი ღომი“ (გვ. 27), „ჯუმლად 84 გობი ღომი“ (გვ. 28) არის აღნიშნული. „გობი“ საბა ორბელიანის განმარტებით „ძელთაგან“ ამოთლილი ჰურჰელი“ იყო (ლექსიკ.) და უეჭველია ამ ხის ჰურჰლის სახელისგან უნდა იყოს თვით საზომის სახელიც წარმომდგარი.

თავი მეოთხე

საწონ-საწყაოს საზომთა ოდენობა და შედარებითი სიდიდე

საზომების ოდენობის განსაზღვრა სულ სხვა წესრიგით უნდა წარმოებდეს, ვიდრე საზომების ქრონოლოგიურ-ტერმინოლოგიური საკითხების განხილვა. რთული და ძნელი მუშაობის გასაადვილებლად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ არსებობდა ძირითადი საზომები, რომელთა ოდენობა, თუ ყველა დანარჩენისა არა, ბევრი სიდიდის მაინც განმსაზღვრელი იყო. ამიტომ ერთადერთ მიზანშეწონილ გზად მიჩნეული უნდა იყოს ჯერ ამ ძირითადი ერთეულების ოდენობის ზედმიწევნითი განსაზღვრა, ხოლო შემდეგ დანარჩენ საზომებზე მსჯელობა. ასეთ ძირითად ერთეულებად უპირველესად კერატი, შემდეგ მისხალი და ლიტრა იყვნენ.

„კ ე რ ა ტ ი ს", ანუ „ყ ა რ ა ტ ი ს" ოდენობის შესახებ რამოდენიმე ცნობაა შენახული. საბა ორბელიანის განმარტებით „ოთხი ქრთილის მარცვალი — ერთი კერატია, ექვსი კერატი — ერთი გრამმაა, ოთხი გრამმა — ერთი დრაჰკანია... სამოცდა თორმეტი დრაჰკანი — ერთი ლიტრაა"-ო პირვანდელი ხოლო თავისი დროის შესახებ მას აღნიშნული აქვს: „ოთხი ქრთილის მარცვალი — ერთი ყარათია, რომელ არს კერატი, სამი კერატი — ერთი დანგია, ექუსი დანგი — ერთი დრამია. დრამ-ნახევარი — ერთი მიტყალია"-ო. (ლექსიკ. იხ. ლიტრა).

ვახტანგ მეფეს კი თავის სამართლის წიგნში შემდეგი ცნობა აქვს მოთავსებული: „ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთი ფეტვის მარცვლის წონა არის, ოთხი ქერის მარცვალი ერთი ცერცვის მარცვალის წონა არის. ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის. ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან"-ო (კარი თეთრის გარიგებისა § 16).

ამგვარად, საბა ორბელიანის ანგარიშით ძველი და მისდროინდელი წონითი სისტემით საქართველოში: 4 ქრთილისი მარცვალი — 1 კერატია
4. ქრთილის მარცვალი — 1 ყარათია, ანუ კერატი
ე. ი. კერატის წონითი ოდენობა უცვლელი დარჩენილა, მხოლოდ მისი სახელი შეცვლილა.

ვახტანგ მეფეც ამას ადასტურებს, რადგან მისი სიტყვითაც 4 ქერის მარცვალი=1 ცერცვის მარცვალს, რომელსაც „ყირათიც ჰქვიან". განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საბას ძირითად უკნინეს ერთეულად „ქრთილისა", ვახტანგ მეფეს კი „ქერის" მარცვალი აქვს დასახელებული.

კერატის ოდენობის გამოსარკვევად ჩვენ შეიძლება ჯერ ერთი თვით მისი სიდიდის შესახები ცნობა გამოვიყენოთ, შემდეგ ის ცნობაც, რომელშიაც განსაზღვრულია, თუ ლიტრის რაოდენ ნაწილს შეადგენდა კერატი. საბა ორბელიანის სიტყვით 6 კერატი=1 გრამას, 24 გრამი=1 უნკიას, 12 უნკია კიდევ 1 პირ-

ვანდელ ლიტრას შეადგენდა. მაშასადამე, 1 პირვანდელი ლიტრა = 12×24×6 კერატს, ანუ 1728 კერატს.

ხოლო ბერძნულ-რომაული საზომთა სისტემით კერატი κεράτιον, ლათინურად Siliqua-დ წოდებული, $^1/_3$ ოვოლს (obolos) უდრიდა. ერთი რომაული Siliqua კი ლიტრის $^1/_{1728}$ შეადგენდა და მეტრული სისტემით 0,189 გრამს უდრიდა (Nissen. Griechische und römiche Metrologie: *Iw. Muller's Handbuch d. kl. Allertumswiss.* I, გვ. 869). ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული კერატი, ბერძნული კერატიონი და რომაული სილიკვა ერთსა და იმავე ოდენობის ერთეული ყოფილა.

რადგან, როგორც დავრწმუნდით, ყირათის ოდენობა კერატთან შედარებით არ შეცვლილა საქართველოში, ამიტომ მისი სიდიდის განსაზღვრა საჭირო არ არის.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ცენკერის ცნობით ყირატი თითქოს = $^1/_{24}$ Unzé (ლექსიკ.). თუ აქ შეცდომა არ არის, მაშინ 1 ყირათი = $^1/_{12}$: $^1/_{24}$ = $^1/_{288}$ librae, ე. ი. რომაულს scrupulum-ს 1,137 გრამმს და არა siliqua-ს ამ შემთხვევაში მაჰმადიან ქვეყნებში მიღებული ყირათი ქართულ კერატ-ყირათზე 6-ჯერ მოზრდილი იქნებოდა.

ქართული კერატისა და ბერძნული კერატიონის წონითი ოდენობის თანასწორობის გამოსარკვევად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ალ. დიდებულიძეს, როგორც ფიზიკოსს, ვთხოვე ოთხი ქერის მარცვლის წონა გამოერკვია ქიმიური სასწორით. ერთგვარი 80 მარცვალი იქნა არჩეული, რომ მარცვალთა ორთაშუა წონითი ოდენობა უფრო სწორე ყოფილიყო. აწონამ გამოარკვია, რომ 1 კერატის შესატყვისი წონითი ოდენობა 4 ქერის მარცვალი უდრის 0,178 გრამისას. ამ აწონისა და ცნობისათვის პროფ. ალ. დიდებულიძეს გულითად მადლობას მოვახსენებ.

განსხვავება ბერძნულ-რომაულ კერატსა და ქართულს შორის ამგვარად მხოლოდ გრამის $^1/_{1000}$-ით განისაზღვრება. ეს იმდენად მცირე განსხვავებაა საზოგადოდ და მეტადრე თუ გავითვალისწინეთ, რომ ძველად ახლანდელივით ზედმიწევნითი სასწორი არ არსებობდა, რომ ქართული კერატისა და ბერძნული კერატიონის, ხოლო რომაული სილიკვას წონითი ოდენობის იგივეობა შეიძლება ყოველ ეჭვს გარეშე შეიქმნეს.

„მ ი ს ხ ა ლ ი". აბდალლაჰ ხვარაზმელის სიტყვით არაბთა მისხალში $^3/_7$ დირჰემის წონა ყოფილა. მანაში კი, რომელიც რიტლზე ერთიორად მოზრდილი იყო, 180 მისხალი, ანუ $275^1/_7$ დირჰემი ითვლებოდა (Liber Mafâtih al-Olum, გვ. ١٣). მაგრამ საქართველოში მიღებულ ლიტრას ერაყულთან არა აქვს ნათესაობა და ამის გამო 90 მისხლიანი ლიტრა, საფიქრებელია არაბული მისხალიც, ჩვენ არ გამოგვადგება. უნდა აღინიშნოს, რომ აბდალლაჰ ხვარაზმელის ცნობაში შეუთანხმებლობაა და ამის გამო ალბათ დამახინჯებული უნდა იყოს.

„მისხლის" ოდენობა ვახტანგ მეფეს ასე აქვს განსაზღვრული: „ოთხი ქერის მარცვალი ერთი ცერცვის მარცვლის წონა არის. ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის, ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან. ექუსი დანგი გინა ოცდაოთხი ყირათი, ერთი მისხალი არის"-ო (სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა § 16).

საბა ორბელიანის განმარტებით: „სამი კერატი ერთი დანგია, ექვსი დანგი ერთი დრამია, დრამ-ნახევარი ერთი მიტყალია“ (ლექსიკ. იხ. ლიტრა). ამგვარად ჩვენი ლექსიკოგრაფის ცნობით მისხალი 27 კერატს უდრიდა. ვახტანგ მეფის ცნობით კი მისხალი მხოლოდ ექვს დანგს, ანუ 24 ყირათს შეიცავდა, ე. ი. საბა ორბელიანისაზე 3 კერატით ნაკლები იყო. მეტრული სისტემით ნაანგარიშევი საბა ორბელიანის თანახმად მისხალი=27×0,189 გრამს. ანუ 5,103 გრამს შეიცავს, ვახტანგ მეფის თანახმად კი 4,436 გრამს, ცენკერის ცნობით არაბული მისხალი 1½ დრახმს უდრიდა. (ლექსიკ.) და ეს საბა ორბელიანის განსაზღვრულობას სრულებით უდგება: მისი ცნობითაც 1 მიტყალი=1½ დრამს. როგორც ქვემოთ თავის ადგილას გამორკვეულია, დრამა 3,411 გრამს უდრიდა. დრამნახევარი კი 5,116 გრამში გამოვა, ე. ი. საბა ორბელიანისას უდგება.

ლ ი ტ რ ა. უკვე გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა საბა ორბელიანმა იცოდა, რომ „პირველ ჟამთა ლიტრა უმცირეს იყუნეს, ვიდრე აწინდელი“ (ლექსიკ. ლიტრა), პირვანდელი ლიტრა მისდროინდელზე მომცრო იყო. მისივე სიტყვით მაშინდელი ლიტრა რომაულ ლიტრას უდრიდა. ძეგლების ცნობების შესწავლაზეა დამყარებული ეს, თუ მისი პირადი დასკვნაა და რაიმე წყაროებში ამ გარემოებას აღნუსხვილს წააწყდა, არ ჩანს, მხოლოდ წინამდებარე გამოკვლევა დაგვარწმუნებს, რომ საბა ორბელიანის სამართლიანი ცნობა სრული არ არის და ლიტრას გარდა საზომთა შორის დროთა განმავლობაში სხვა ერთეულებიც გადიდებულან. ამასთანავე საზომები სიდიდით ორ მთავარ ხანისად, პირვანდელად და აწინდელად კი არ უნდა იქმნენ დაყოფილი, არამედ ცვლილების პროცესი უფრო რთული ყოფილა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ სახელოვან ქართველ ლექსიკოგრაფს დანამდვილებით, როგორც ეტყობა, არ სცოდნია, თუ როდის უნდა მომხდარიყო პირვანდელი ლიტრის გადიდება.

პირველი ცნობა ძველი და ახალი საზომ-საწყაოების არსებობის შესახებ ჯერჯერობით მაინც XV ს. შუა წლებში გვხვდება, სახელდობრ დავით კათალიკოსის მიერ 1454 წ. ნაბოძებ მცხეთის სიგელში, რომელშიაც ნაუქვამია, რომ „ჭუარის მსახლობელთა მეკულუხეთა“ უნდა „იმავე პირველითა, ცოტათა კოკითა ტკბილი“ გამოეღოთ, სწორედ „იმავე პირველითა საწყეოთა“ მოერთმიათ და კათალიკოსიც აღთქმას უდებდა: „არა შეგიცვალოთ და არცა კოკა და ლიტრა გაგიდიდოთ“-ო (ისტ. საბ. III, 33, 34).

უნდა აღინიშნოს, რომ „მონასტრული დიდი კოკა“ ერთ 1246—1250 წწ. სიგელშიც იხსენიება (ქ˝კბი II, 129), მაგრამ შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს მხოლოდ ჩვეულებრივი განსხვავება, რომელიც ქალაქურსა და სოფლურს, სეფესა და საერთო საწყაო-საზომებს შორის მუდამ და ყველგან არსებობდა.

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ ლიტრის ზომის ოდენობა დროთა განმავლობაში შეცვლილა. ცვლილების პროცესი მარტო მისი ოდენობის გადიდებით ხასიათდება: მაგ., 1524 წ. მცხეთის სიგელში მოხსენებულია „გორული ლიტრა“, რომელიც „ოთხასით მუტყლითა“ განისაზღვრებოდა (ისტ. საბ. II, 33). რადგან „მუტყალი“ იგივე „მიტყალი“, ანუ მისხალია, მაშასადამე, ირკვევა, რომ XVI ს. პირველ მეოთხედში 1 გორულ ლიტრაში მხოლოდ 400 მისხალი ყოფილა.

გაცილებით უფრო მოზრდილი გამოდის ვახტანგ VI-ის და საბა ორბელიანის დროინდელი ლიტრა. თუმცა მათ პირდაპირ ნათქვამი არა აქვთ, თუ

რამდენ მისხალს შეიცავდა მაშინდელი ლიტრა, მაგრამ ამის გამოანგარიშება შეიძლება.

საბა ორბელიანის ცნობით „პირველ ჟამთა ლიტრა უმცირეს იყუნეს ვიდრე აწინდელია, ვითარცა აწ არს ჩუეულება ჰრომაელთა, ეგრე იყო პირველად ყოველთაგან“-ო. თუ საბას დავუჯერეთ პირვანდელი ქართული 1 ლიტრა 12 უნკიას იწონიდა, ე. ი. მაშინდელი ლიტრა მართლაც რომაული libra ლიტრა ყოფილა რომელიც =12 unciae (H. Nissen. Griechische und römiche Metrologie: *Handb. d. klas. Allerthumswiss* I,678). ანანია შირაქელიც ლიტრის წონაზე ასეთივე ცნობებს გვაწვდის (*Աւգերեան. Բացատրութիւն չափուց և կշռոց Խախնէլոյ* 89, 90). მაგრამ მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი (XII ს) ამტკიცებს, რომ „ერთი ლიტრა 100 დრამა ზეთს იწონის“-ო (*Դատաստանագիրք* გვ. 315). რაკი საბას ცნობით „ათი დრამა ერთი უნკია“ იყო (ლექსიკ.), ხოლო ლიტრაში 12 უნკია ითვლებოდა, ორბელიანის სიტყვით 1 ლიტრა 120-დრამიანი, ანუ 20 დრამით მხითარ გოშის ნაჩვენებზე მოზრდილი გამოდის.

თავის დროინდელ ლიტრაზე სახელოვან ქართველ მეცნიერს ნათქვამი აქვს: „ახალი ლიტრა აღმოსავალთა აწ რომ არის“ ასე უნდა იყოს ვამოანგარიშებულიო: „ოცდაათცამეტი მიტყალი და ნახევარი — ერთი თუხტია, რომელ არს სტილი. ხოლო ქალაქითი-ქალაქად ლიტრის წონა სადამე ოცის თუხტისაა, სადამე მეტი და სხვაგან ნაკლებიაო“ (ლექსიკ. იხ. ლიტრა). რაკი სტილში $33^1/_2$ მისხალი ყოფილა, მაშასადამე, ლიტრა 661 მისხალი გამოდის. მაგრამ ეს ლიტრა საშუალო ზომისა ყოფილა და ამაზე მოზრდილიცა და ნაკლებიც არსებობდა.

ვახტანგ VI-ს ქართული წონის სისტემა ასე აქვს განმარტებული: „აწ ეს მოგახსენოთ ლიტრა რა არის, ან კოდი და ან კოკა: 3 მინალთუნისა და ათი შაურის წონა ერთი სტილი არის.

ხუთი სტილი ერთი ჩარექი არის.

ოთხი ჩარექი ერთი ლიტრა არის“-ო (სამართლის წიგნი, კარი ვალისა).

მაშასადამე, 3 მინალთუნისა და 10 შაურის წონა =1 სტილს. 1 შაური კი=$^2/_5$ მისხალს. რადგან 3 მინალ. და 10 შაური=70 შაურს, ამგვარად 1 სტილი=$70\times{}^2/_5$ მისხალს, ანუ 28 მისხალს.

ხოლო რაკი 1 ლიტრაში 4 ჩარექი, ანუ 20 სტილია, მაშ ვახტანგ მეფის ცნობით 1 ლიტრაში 560 მისხალი ყოფილა.

ამით ცხადი ხდება, რომ 1524 წ. გორულ ლიტრასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ 400 მისხალს შეიცავდა, XVIII ს. დამდეგის ქართული 560 მისხლიანი ლიტრა ორი საუკუნის განმავლობაში 160 მისხლით გაზრდილა, ხოლო თუ საბა ორბელიანისაგან აღწერილ საშუალო ზომის ლიტრას შევადარებთ, ლიტრა 261 მისხლით გადიდებული გამოდის.

რადგან საბა ორბელიანი და ვახტანგ მეფე თანამედროვენი იყვნენ, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ 560 მისხლიანსა და 661 მისხლიან ლიტრას შორის განსხვავება მხოლოდ ერთი და იმავე ხანის მცირე და საშუალო ლიტრების განსხვავებულობით აიხსნება, მაგრამ ამ ორ ლიტრას შორის განსხვავება 101 მისხლით განისაზღვრება და ეს კი საკმაოდ დიდი რიცხვია, რომ ამგვარი განმარტება დამაკმაყოფილებლად ჩაგვეთვალა.

აკად. გულდენშტედტს აღნიშნული აქვს, რომ 1772 წ. ლიტრაში 4 ჩარექი იყო, ჩარექში 5 სტილი ითვლებოდა და სტილი კიდევ 36 მისხალს შეიცავდა

(Reise 359). აქეთგან ცხადი ხდება, რომ მაშინდელი ლიტრა 720 ლიტრიანი ყოფილა უკვე (36 მისხალი×20) და არა 560, ან 661 მისხლიანი, როგორც საბასა და ვახტანგ მეფესა აქვთ აღნიშნული. განსხვავება 59 მისხალი ამ შემთხვევაშიც საკმაოდ დიდია, რომ საბა ორბელიანის მიერ განსაზღვრული და 1772 წ. ლიტრა მხოლოდ ჩვეულებრივ დიდ და პატარა საზომად ვიცნათ. ყველა ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ 1524 წ. გორულ 400 მისხლიან ლიტრასთან შედარებით 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული ლიტრა 320 მისხლით მოზრდილი ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოსთვის „ლიტრა" თუმცა საერთო საზომი იყო, მაგრამ, როგორც აკად. გულდენშტედტის 1772 წ. აღნუსხული ცნობითგანა ჩანს, ერთი მეორისაგან წონით ცოტათი მაინც განსხვავდებოდა და თუ აღმოსავლეთ საქართველოში იგი $8^3/_4$ გირვანქას უდრიდა (Reise 359), დასავლეთში იგი თურმე მხოლოდ სრულს 8 გირვანქას იწონიდა (იქვე, 393).

გამოსარკვევი გვაქვს ახლა პირვანდელი ქართული ლიტრის ოდენობა, რომ შემდეგ მისი და მერმინდელი ლიტრების შედარებითი სიდიდის განსაზღვრა შესაძლებელი იყოს.

უძველეს და საბა ორბელიანის დროინდელი ლიტრების სიდიდის განსხვავების გასათვალისწინებლად უნდა შემდეგი რიცხვითი ცნობები მივიღოთ მხედველობაში. მისი სიტყვით თავდაპირველი ლიტრის შემადგენელ კერატში 4 ქრთილის მარცვალი ყოფილა: „ოთხი ქრთილის მარცვალი — ერთი კერატია, ექვსი კერატი — ერთი გრამმაა, ოთხი გრამმა — ერთი დრაჰკანია.. სამოცდა თორმეტი დრაჰკანი — ერთი ლიტრაა"-ო (ლექსიკ.). მაშ. 1 ლიტრა=72 დრაჰკანს=72×4 გრამმას, ანუ 288 გრამმას=288×6 კერატს, ანუ 1728 კერატს.

ხოლო ახალი ლიტრის შედარებითი სიდიდის გამოსარკვევად უნდა გვახსოვდეს, რომ „ოთხი ქრთილის მარცვალი — ერთი ყარათია, რომელ არს კერატი, სამი კერატი — ერთი დანგია, ექვსი დანგი — ერთი დრამია, დრამნახევარი — ერთი მიტყალია" (ს. ორ. ლექსიკ. ლიტრა).

ხოლო უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ საბას სიტყვით ახალი ლიტრა 661 მისხალს შეიცავს. ამგვარად, ამდროინდელი 1 ლიტრა=661×9 დანგს, ანუ 5949 დანგს=5949×3 კერატს, ანუ 17847 კერატს.

რაკი კერატი და ყარათი ერთი და იმავე ოდენობისა დარჩენილა, ირკვევა, რომ თუ პირვანდელი ლიტრა 1728 კერატს შეიცავდა, XVIII ს. ლიტრა კი უკვე 17847 კერატიანი იყო. მაშასადამე, თავდაპირველ ლიტრასთან შედარებით, ახალი, ე. ი. XVIII ს. დამდეგის ლიტრა 10,32-ჯერ გადიდებული ყოფილა. რაკი პირვანდელი ლიტრა 1728 კერატიანი ყოფილა და კერატი, როგორც დავრწმუნდით რომაულ Siliqua სილიკვას უდრიდა, ცხადი ხდება, რომ თავდაპირველი ქართული ლიტრა, როგორც საბა ორბელიანსაც აქვს აღნიშნული, მართლაც რომაული ლიტრის ოდენა ყოფილა: ცნობილია, რომ რომაული ლიტრაც ქართულივით 1728 siliqua-ს შეიცავდა (იხ. Nissen. L. c. 848).

მერმინდელ ლიტრებთან შესადარებლად 1728 კერატის შემცველი პირვანდელი ქართული ლიტრის ოდენობა მისხლობრივ უნდა გამოვიანგარიშოთ. ამისათვის 1728 უნდა 27 კერატად გავყოთ, რადგან საბა ორბელიანის ცნობით, როგორც დავრწმუნდით, მისხალი 27 კერატს შეიცავდა. ამგვარად ირკვევა,

რომ საქართველოში მიღებული ლიტრა თავდაპირველად 64 მისხალს უდრიდა წონით.

ჩვენ ვიცით, რომ არაბთა სახალიფოში ორნაირი ლიტრა, ანუ როგორც არაბები ამბობდენ, „რიტლ“-ი იყო მიღებული: ერთი იყო ერაყული რიტლი, რომელიც 96 მისხალს შეიცავდა და რომლისგანაც რუსული გირვანქაა წარმომდგარი, მეორე კი განსაკუთრებული რიტლი, ანუ ლიტრა იყო, რომელიც მხოლოდ 64 მისხალს შეიცავდა (იხ. კუედპოს შესანიშნავ გამოკვლევაზე დამყარებული ცნობები პროფ. ილ. კაუფმანის Русский вес, его развитие и происхождение в связи с историей рус. денежных систем с древ. времени: *Зап. Нумиз. отд. Арх. Общ.* I, 174). ზემომოყვანილმა გამოანგარიშებამ დაგვარწმუნა, რომ თავდაპირველი ქართული ლიტრაც 64 მისხლიანი ყოფილა. ეს გარემოება სრული უეჭველობით ცხადყოფს, რომ ქართულ ლიტრას ერაყულ ლიტრასთან არაფერი ჰქონდა საერთო და განსაკუთრებულს არაბულ რიტლს უდგებოდა. თავის ადგილას გამორკვეული გვქონდა, რომ ქართული თავდაპირველი 1728 კერატიანი ლიტრა ოდენობით 1728 სხლიკვიან რომაულ libra-ს წარმოადგენდა. ამ საზომის ქართული სახელი ლიტრა ბერძნული გამოხატულებაა და ეს გარემოება იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ჩვენ წინაპრებს რომაული ლიტრა ბერძნული კულტურული გზით უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

ამისდა მიხედვით თავდაპირველი ქართული ლიტრა რომაულის მსგავსად 327,45 გრამის შემცველი უნდა ყოფილიყო. გორული 400 მისხლიანი ლიტრა კი 5,103 გრამი×400, ანუ 2041,2 გრამის შემცველი იქნებოდა. ვახტანგ მეფის მიერ აღწერილი 560 მისხლიანი ლიტრა მეტრული სისტემით ნაანგარიშევი 2857,68 გრამის წონა იქნებოდა, საბა ორბელიანის 661 მისხლიანი ლიტრა კიდევ 3373,083 გრამიანი უნდა ყოფილიყო. დასასრულ. 1772 წ. 720 მისხლიანი ლიტრა წონით 3674,16 გრამი უნდა ყოფილიყო.

ზემომოყვანილი გამოანგარიშების სისწორის გასაგებად შეიძლებოდა აკად. გულდენშტედტის ცნობის გამოყენება მაშინდელი ქართული ლიტრის წონითი ოდენობის შესახებ, რომ ეს ცნობა ერთგვარ ეჭვს არ იწვევდეს. მისი სიტყვით 1772 წ. 1 ლიტრა აღმოსავლეთ საქართველოში $8^3/_4$ ანუ 8,75 რუსულ გირვანქას უდრიდა. ამავე დროს ქართული აღრიცხვით 1 ლიტრა მისივე ცნობით 720 მისხალს შეიცავდა. 720 მისხალი რუსულ გირვანქებად რომ ვაქციოთ და ამისათვის 720 მისხალი 96 მისხლად გავყოთ, რადგან რუსული გირვანქა ერაყული ლიტრავით 96 მისხალს შეიცავდა, გვექნება 7,5 რუსული გირვანქა 8,75 მაგიერ. მეორე მხრით, 8,75 რუსული გირვანქა რომ მისხლებად ვაქციოთ, 840 მისხალი გამოდის ქართულ ლიტრაში და არა 720, როგორც აკად. გულდენშტედტის ცნობის თანახმად უნდა ყოფილიყო. ამიტომ გერმანელი მეცნიერის ცნობაში ან ერთგან, ან მეორეგან რაიმე შეცდომა უნდა იყოს.

თავის ადგილას საქართველოს ეკონომიური ისტორიის მეორე წიგნში გამორკვეულია, რომ XV ს-ში ერთგვარი ფინანსიური მოსაზრებით საზომები, მეტადრე ლიტრა და კოკა იქნა გადიდებული. ლიტრის ოდენობის ზემომოყვანილი რიცხვეულად განსაზღვრის შემდგომ, შესაძლებელია ისიც გამორკვეულ იქნეს, თუ სახელდობრ რამდენად გაუდიდებიათ ლიტრა XV ს-ში. როგორც დავრწმუნდით გორული ლიტრა 1524 წ. 400 მისხლიანი ყოფილა. თუ XV ს. ლიტრასთან შედარებით 1524 წ. გორული ლიტრა კიდევ გადიდებული არ

იყო და XV ს. ლიტრის ოდენა დარჩა, მაშინ ცხადი ხდება, რომ თავდაპირველთან შედარებით XV ს. გადიდებული ლიტრა ექვსჯერ მოზრდილი ყოფილა. მაგრამ აქ ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ერთი ის, რომ გორული ლიტრა, ვითარცა ქალაქური საზომი, სოფლურზე უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ნამდვილი გადიდებული საზომები კი გადასახადებისათვის იყო შემოღებული სოფლად, მაშასადამე, ხალხის უმრავლესობა ქალაქურ ლიტრას კი არა, არამედ ამაზე უფრო მოზრდილსა ხმარობდა. ამიტომ ლიტრის გადიდების ზემოაღნიშნული ოდენობა ნამდვილზე ცოტა ნაკლები იქნება. მეორეც ის, რომ იმ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენად იქნა XVს-ში ლიტრა და კოკა გადიდებული XIII—XIV სს. შედარებით, უნდა აუცილებლად ვიცოდეთ, საზომების გადიდება მხოლოდ XV ს-ითგან დაიწყეს, თუ ამგვარი ხერხი წინათაც ყოფილა ოდესმე ნახმარი, და თუ იყო რამდენად იყო გადიდებული და რა ოდენობის იყო ლიტრა და კოკა XIV ს-ში. როდესაც ეს უკანასკნელი გარემოება გამორკვეული გვექნება, მხოლოდ მაშინ გვეცოდინება დანამდვილებით, თუ რამდენად იქნა XV ს. საზომები წინა საუკუნესთან შედარებით გადიდებული და თანაც გამოირკვევა, რამდენად მძიმე ტვირთი უნდა ყოფილიყო ხალხისათვის ეს თავისებური ფინანსიური საშუალება.

საზომების მოწესრიგების შესახებ ძველი ერთი საგულისხმო ცნობა არაბ ისტორიკოს ბელაძორისა აქვს. მისი სიტყვით ქ. ბარდავის მცხოვრებლებმა სომხეთის ამირას ალჯარრაჰ აბდალლაჰს (VIII ს. ქ. შ.) შესჩივლეს თურმე ქალაქში საწონისა და საწყაოს საზომები მრავალი და სხვადასხვანაირი ტრიალებსო და ამის შემდგომ ამირამ სწორე, ერთგვარი და სამართლიანი საზომები შემოიღოო (Sauvaire, Matériaux etc III, mesures: *Journal Asiatique* 1886 წ. févr-mars-avril, გვ. 155—6). იყო ამის მსგავსი რამე არაბთა ბატონობის დროს საქართველოშიაც თუ არა, ჯერ არა ვიცით რა. მოხდა თუ არა საზომების რაიმე ცვლილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ IX ს-ითგან მოყოლებული, პირდაპირი ცნობები ამაზე არ მოგვეპოება, მაგრამ რაკი XI—XIV სს. საბუთებში და ძეგლებში დიდი და „ცოტა ლიტრა და კოკა" არ იხსენიება, საფიქრებელია, რომ ამ დროს თითქოს საზომები გადიდებული არ უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა ამ შემთხვევაშიც მსჯელობის დროს, მაშინდელი საბუთების შედარებით სიმცირის გამო სიფრთხილე გვმართებს: იქნებ „მონასტრული დიდი კოკა", რომელიც გელათს, როგორც 1246—1250 წწ. სიგლითა მტკიცდება (ქ˝კჱი II, 129), ჰქონია, სწორედ საზომების საქართველოში გადიდების დასაწყისის ან უკვე მანამდეც არსებობის მომასწავებელი იყოს? თუმცა ესეცაა საფიქრებელი, რომ აქ ისეთსავე საზომთა დაპირისპირებასთან გვქონდეს საქმე, როგორიც ქალაქურსა და სოფლურს, ჩვეულებრივსა და სეფე საზომთა შორის ყოველთვის არსებობდა, და გელათის სიგელში ნახსენები მონასტრული დიდი კოკა შესაძლებელია გელათის მონასტრის სეფე კოკა იყო მხოლოდ. მაგრამ როგორც თავის ადგილას გამორკვეული იქნება, კოკის უკვე ძველად გადიდების უტყუარი ნიშნები მოიპოვება, ლიტრისა კი ჯერჯერობით მაინც არ ჩანს ისე, რომ ლიტრის გადიდების პროცესი თითქოს XIII ს. შემდგომ უნდა ვიგულისხმოთ.

კ ა ბ ი წ ი ს წონითი ოდენობის გამორკვევისათვის ძალიან ცოტა, სულ ორიოდე, ცნობა მოიპოვება. შეიძლება მაგ., 1520 წ. ქვათახევის სიგელი იქნეს ამ მიზნით გამოყენებული, სადაც ნათქვამია, რომ შეწირული ყმა აღაპის გა-

დასახლელად „მიიღებდეს ქვათაქევს ოთხასსა პურსა ერთისა კაბიწისა ნამცხუარსა ასრე, რომე თითო პური თითო გორული ჩარექი იყოს“-ო (ქ˝კბი II, 347—8 და ისტ. საბ. II, 30). თ..ჟორდანია ამისდა მიხედვით კაბიწის ოდენობის გამორკვევას ცდილობდა.

მაგრამ ამგვარი ცნობითა და იმგვარი გამოანგარიშებით ზედმიწევნითი რიცხვის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ჯერ ერთი პურის ფქვილის მატების რაოდენობა და გორული ჩარექის ოდენობაც არის გასათვალისწინებელ-გამოსარკვევი.

ზემომოყვანილ რთულ გამოანგარიშებას დავით მეფის 1524 წ. სიგელის მკაფიო ცნობა ემჯობინება, რადგან იქ პირდაპირ არის ნათქვამი „თხუთმეტი კაბიწი პური ათიანით ლიტრითა“-ო (ისტ. საბ. II 33). მაშასადამე, კაბიწში ათი ლიტრა ყოფილა. რასაკვირველია, მარტო ის გარემოებაც, რომ აქ კაბიწის ლიტრითი რაოდენობა განსაზღვრულია, ცხადყოფს, რომ ათლიტრიან კაბიწს გარდა სხვა ოდენობისაც არსებობდა მაშინ. მაგრამ ჩვენთვის ისიც ფრიად საყურადღებოა, ერთი ზომის კაბიწის ლიტრითი რაოდენობის შესახებ გარკვეული და უდავო ცნობა რომ მაინცა გვაქვს.

უნდა აღნიშნული იყოს, რომ კაბიწის შესახებ ცნობა საბა ორბელიანსაც მოეპოვება ლექსიკონში და იქ ნათქვამია, რომ „კაბიწი სამი კოდი, გინა სამი გრივი, სადამე ათს კოდს კაბიწად იტყვან“-ო. საბას უკანასკნელი სიტყვები, „სადამე“, ზოგან 10 კოდს კაბიწს უწოდებენ „იტყვიან“-ო, გვაფიქრებინებს, რომ ამ საზომის ოდენობა მას წიგნური გზით კი არ უნდა ჰქონოდა შეთვისებული, არამედ მისდროინდელ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ შერჩენილი ყოფილა და მისი სიდიდის შესახებ ზეპირი ცნობების შეკრებაც კი შეიძლებოდა. არც გასაკვირველია, რადგან კაბიწი დასტურლამალშიც კი იხსენიება. მაგრამ ამისდა მიუხედავად საბას ზემომოყვანილი ცნობა იმდენ შეუსაბამობას შეიცავს, რომ უეჭველია აქ რაიმე დამახინჯებული უნდა იყოს.

ერთი თვალის გადავლებითაც ადამიანი შეამჩნევს, რომ ათლიტრიანი კაბიწი და სამგრივიანი ან სამკოდიანი, მით უმეტეს ათკოდიანი კაბიწი ერთმანერთზე ძალიან შორიშორს უნდა ყოფილიყო. აკად. გულდენშტედტისაგან ვიცით, რომ 1772 წ. ათი ლიტრა 1 კოდს შეადგენდა, მაშასადამე, 1524 წ. კაბიწი სწორედ 1 კოდს უდრიდა. ამის გამო საბა ორბელიანის ცნობა კაბიწის სიდიდის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სამართლიანად იქმნეს მიჩნეული, თუ კაბიწი XVIII ს. დამდეგისათვის სამჯერ და ათჯერაც გადიდებულად ვიგულისხმეთ.

აბუ აბდალლაჰ მუჰამმედ იბნ-ახმედ იბნ-იუსუფ ალ-ქიატიბ ალ-ხვარეზმის ცნობით ერაყის „კაბიწი“, ანუ როგორც მას აქვს ნათქვამი „კაფიზი“ 25 რიტლს, ანუ ლიტრას შეიცავდა (Liber Mafâtîh al-olûm, G. van-Viloten-ის გამოც., გვ. ٩٧). ერაყის ლიტრა ქართულზე საგრძნობლად მოზრდილი 32 მისხლით უფრო დიდი იყო, როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, და თანაც ამგვარი დიდი ერაყული ლიტრიან ერაყულ კაბიწში, ათის მაგიერ, როგორც ქართულ კაბიწში ითვლებოდა, 25 ყოფილა, მაშასადამე, იგი ქართულ კაბიწს ძალიან დაშორებული ყოფილა.

იმავე ავტორის სიტყვით კუფასა და ბაღდადში კაბიწში 8 მაკკუკი, მაკუკში 3 ქილჯე, ქილჯეში 6 დირჰემი, ანუ დრამა ირიცხებოდა (გვ. ١٣). მაშასადამე, იქაურ კაბიწში 144 დრამა ყოფილა. ხოლო ქ. ბასრის კაბიწში 4 მაკ-

ქუკი ყოფილა, მაკკუკში კი 15 რიტლი, თითო რიტლში — 128 დრამა (იქვე). ბასრის კაბიწი ამგვარად 60 რიტლიანი, ანუ ლიტრიანი გამოდის და 6680 დრამიანი. ცხადია, არც ეს კაბიწი უდგება ქართულს ათ ლიტრიან კაბიწს.

ამ ქართულ ათლიტრიან კაბიწს მხოლოდ უძველესი სასანური კაბიწი შეიძლება შეედაროს. მავარდის შაჰი ხოსრო ანუ შირვანის (590—628) შესახებ აქვს ნათქვამი, რომ მან გადასახადთა სისტემა მოაწესრიგა და ერთ გრივზე ერთი კაბიწი სულადად და ერთი დირჰემი ფულად გადაჰკვეთაო. მაშინ კაბიწი რვა რიტლს, ანუ ლიტრას იწონიდაო (იხ. ეს ცნობა Alfred von Kremer-ის Culturgeschichte des Orients I,260 შენ. 1), ცხადია, ქართული 10-ლიტრიანი კაბიწი ამ სასანურ 8-ლიტრიან კაბიწს უდგება და არა 25, მით უმეტეს 60 ლიტრიან არაბულ კაბიწს. რაკი 1524 წ. ზემომოყვანილ საბუთში ხაზგასმით არის კაბიწის ათლიტრიანობა აღნიშნული, საფიქრებელია ამაზე მომცრო კაბიწიც იქნებოდა და ამგვარ კაბიწად ალბათ 8-ლიტრიანი ითვლებოდა.

გ რ ი ვ ი ს სიდიდის განსაზღვრისათვის ქართულ წყაროებში ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. რკონის 1259 წ. სიგლითგან მხოლოდ იმის გამორკვევა შეიძლება, რომ გრივი კაბიწზე მოზრდილი საზომი იყო, კაბიწი გრივის შემადგენელი ნაწილი ყოფილა. იქ ნათქვამია: „ხუთ-ხუთი გრივი ხუარბალი მიეცემოდეს... სეფითა კაბიწითა“-ო (ქ˝კბი II, 136). საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში აღნიშნული აქვს: „ეზეკიას თარგმანში ეწერა — „ოცდა ორი ქსესტი ერთი გრივია“, ხრონოგრაფში ეწერა — „ოცდაათი მოდი ერთი გრივია“. საწყეო თემითი-თემად უდიდესიც არის და უმეტესიცა, მაგრამ ოცდაორი ქსესტი უფრო სწორესა ჰგავს“-ო (გვ. 61). ამ სიტყვებითიან ირკვევა, რომ რადგან საბას დროს გრივი ცხოვრებაში სრულებით დავიწყებული სიტყვა იყო და წერილობით წყაროებშიც უთუო ცნობა ვერსად ამოუკითხავს, გრივის ოდენობა მას ზედმიწევნით ვერ გამოურკვევია.

საშუალო საუკუნეების სომეხთა მათემატიკოსს ანანია შირაქელსაც აღნიშნული აქვს 1 გრივი 22 ქსესტიაო. ერემიას სომხურ თარგმანშიც იგივე წერია (იხ. ავგერიანის ***Բացատրութիւն չափուց և կշռոց Նախնեաց*** გვ. 67).

საბა ორბელიანის ცნობების აღრეულობა ცხადი შეიქმნება ჩვენთვის თუ გავიხსენებთ, რომ მისივე სიტყვით მოდიც 22 ქსესტიანი საწყაო იყო (ლექსიკ. 192). მაშასადამე, ისე გამოდის, თითქოს გრივი და მოდი ერთი და იმავე ოდენობის საწონი ყოფილიყვნენ. ეს კი სრულებით ეწინააღმდეგება ხრონოგრაფის ზემომოყვანილ ცნობას, რომლის მიხედვით გრივში 30 მოდი უნდა ყოფილიყო. რკონის სიგელის ზემომოყვანილი ცნობით დანამდვილეზით შეგვიძლიან ეთქვათ, რომ გრივის შემადგენელ ნაწილად კაბიწი ყოფილა. გამოსარკვევია მხოლოდ თუ სახელდობრ რამდენ კაბიწს შეიცავდა გრივი. ქართულ წყაროებში ამის შესახებ ცნობები ჯერ არ მოგვეპოვება.

აბდალლაჰ მუჰამმედ იბნ აჰმედ იბნ ჲუსუფ ალ-ქიათიბ ალ-ხვარეზმის სიტყვით კი ხვარასნული „ჯერიბ“-ი, ანუ გრივი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ საერთოდ ერთი გრივი 10 კაბიწს შეიცავდა (Liber mifātih al-olum, გამოცემა G. von Viloten, Lugduni Batavorum 1895, გვ. ٩٧). ცნობილია, რომ „ჯერიბ“-ი, ანუ გრივი და კაბიწი სივრცის საზომებადაც იხმარებოდენ და აქაც იმავე ავტორის სიტყვით 1 კაბიწი ჯერიბის $^1/_{10}$ შეადგენდა (გვ. ٦٦).

დ ა ნ გ ი ს ოდენობაზე ვახტანგ მეფეს ნათქვამი აქვს, რომ „ოთხი ქერის მარცვალი ერთი ცერცვის მარცვლის წონა არის“ და „ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ქვიან“-ო. სწორედ „ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის“-ო (სამართლის წიგნი, კარი თეთრის გარიგებისა § 16). ამგვარად, დანგი 4 ყირათის, ანუ კერატის ოდენა ყოფილა. რადგან კერატი 0,189 გრამმს უდრიდა, 1 დანგი 0,756 გრამის წონა უნდა ყოფილიყო. საბა ორბელიანის სიტყვით კი „დანგი სამის კერატის წონა“ იყო (ლექსიკ), ე. ი. 1 ოვოლს უდრიდა და 0,568 გრამმი უნდა ყოფილიყო. ამავე ავტორს სიტყვა ლიტრის ქვეშე დანგის სიდიდეზე ნათქვამი აქვს: „ოცი დანგი ერთი სატირია“-ო, ხოლო „უნკია არს ორი სატირი“-ო. რაკი 20 დანგი=1 სატირს, 1 დანგი $^1/_{20}$ სატირი ყოფილა, ხოლო $^1/_2$ უნკია=1 სატირს. ამგვარად 1 დანგი=$^1/_2$ უნკია : 20 ანუ $^1/_{40}$ უნკიას. მაგრამ რათგან საბასივე სიტყვით 1 უნკია=144 კერატს უდრიდა, 1 დანგი ყოფილა 144 : 40, ანუ 3,6 კერატი. ეს ცნობა თვით საბა ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობისაგან განსხვავდება და ვახტანგ მეფისას უფრო უდგება.

„დ რ ა მ ა“ წყაროებში არსად არის განსაზღვრული და მის ოდენობაზე მხოლოდ საბა ორბელიანსა აქვს ცნობა. „ოთხი დანგი ერთი დრამია“-ო, ნათქვამია მის ლექსიკონში იქ, სადაც ძველ ლიტრაზე აქვს საუბარი (იხ. ლიტრა). რაკი ამავე ავტორის სიტყვით დანგი 3 კერატს უდრიდა, დრამა საბას აზრით თავდაპირველად თითქოს 12 კერატის წონა უნდა ყოფილიყო. იქ კი, სადაც საგანგებოდ დრამაზე აქვს საუბარი, საბას უწერია, რომ „დრამა ექვსის დანგის წონა“ არისო (ლექსიკ.). იქაც, სადაც ის „ახალ ლიტრა“-ზე მსჯელობს, ამბობს „ექვსი დანგი — ერთი დრამია“-ო (ლექსიკ. ლიტრა). მაშასადამე, დრამა 18 კერატიანი საზომი გამოდის და არა 12 კერატიანი, როგორც ეს ძველი ლიტრის ქვეშე მოყვანილ განმარტებაში არის აღნიშნული. 6 დანგიანი დრამის შესახები ცნობა სწორე, ოთხდანგიანი დრამის შესახები განმარტება კი შეცდომა უნდა იყოს. ხოლო, რადგან რომაული დრაქმაც, რომელიც უეჭველია ქართული დრამის წინაპარი უნდა იყოს, ქართული დრამავით 18 siliqua-ს, ანუ კერატს შეიცავდა ამის გამო ქართული დრამაც რომაულ დრახმავით ალბათ 3,411 გრამმს უდრიდა.

„ჩ ა გ ი რ დ ა გ ი“ ჯერჯერობით ქართულ საისტორიო და იურიდიული ან ეკონომიური ხასიათის ძეგლებში არსადა ჩანს და მხოლოდ საბა ორბელიანს აქვს შეტანილი ცნობა თავის ლექსიკონში, რომელშიაც ნათქვამია: „ჩაგირდაგი დრამის მეხუთედია“-ო (იხ. ლიტრა). ამავე საზომზე ჩვენს ლექსიკოგრაფს საგანგებოდაც აქვს განმარტება და იქ ამბობს, რომ „ჩაგირდაგი გინა ჩაგორდაგი სხუათა ენაა, ქართულად ვოილი ჰქვიან დანგისა მეხუთედია“-ო (ლექსიკ.) ვოილის განმარტებაში ნათქვამია: „ვოილნი (sic) დრამის მეექუსედია“-ო (იქვე).

ჩაგირდაკი მართლაც უცხო სიტყვაა, თურქულითგან არის შემოსული چكردك „ჩეკირდეკ“ იქ კურკას, თესლს და საწონს გრანსა ნიშნავს, რაკი უკანასკნელ განმარტებაში „ვოილი“ საბა ორბელიანს დრამის მეექვსედად აქვს აღნიშნული, საფიქრებელია, რომ ლექსიკონის ტექსტში ეს ტერმინი დამახინჯებულია და ვოილის მაგიერ უნდა „ოვოლი“ წერებულიყო, რადგან ბერძნულ დრახმაში მართლაც 6 ოვოლი (1 δραχμή=6 ὀβολοί: Nissen, op. cit. 847)

ითვლებოდა. თუ ჩვენი შესწორება სწორეა, მაშინ ირკვევა რომ ჩაგირდაგი იგივე „ოვოლი“ (ὀβολός obolus) იყო და დრამის, ანუ დრახმის 1/6 უდრიდა. ხოლო რაკი დრამა 18 კერატს შეიცავდა, ჩაგირდაგი, ანუ ოვოლი 3 კერატის წონა ყოფილა. რომაული ოვოლი მართლა=3 siliquae, ანუ 0,568 გრამმს (Nissen. op. cit. 848).

კ ო დ ი ს სიდიდის გამოსარკვევად XVI—XVII სს. ძეგლებში ჯერ ცნობები არა ჩანს.

ვახტანგ VI-ის ცნობით კი „ადგილია კოდი რვა-ლიტრიანია, ადგილია ათი, იქნების რომე თორმეტლიტრიანიც იყოს“-ო (სამართლის წიგნი, კარი ვალისა). მართლაც თვით დასტურლამალშიაც კი იხსენიება პური „ათლიტრიანითა კოდითა“ (გვ. 44) და ქერი „რვალიტრიანითა კოდითა“ (გვ. 31). რვალიტრიანი და ათლიტრიანი კოდი დავით გარეჯის მონასტრის 1712 წ. გუჯარშიც არის მოხსენებული (თ. ჟორდანიას ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 64 და 66).

საბა ორბელიანსაც აქვს აღნიშნული, რომ „კოდი ადგილითი-ადგილ მეტნაკლები იციან“-ო. მაგრამ ამასთანავე ნათქვამი აქვს, თუ „სწორი საწყავი“ რამდენ ლიტრიანი უნდა ყოფილიყო. „სწორ“ კოდად ისეთი კოდი ითვლება, რომელმაც „ახლითა ლიტრითა ათი ლიტრა შთაიტიოს“-ო (ლექსიკონი).

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ, თუ ამაზე უწინარეს არა, უკვე XVIII ს. დამდეგითგან მაინც წესიერ და კანონიერ კოდად 10-ლიტრიანი ითვლებოდა. აკად. გჳლდენშტედტსაც აღბეჭდილი აქვს, რომ 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოში კოდი 10 ლიტრას უდრიდა („Kot wiegt 10 Litra“: Reise, 359). მაშასადამე, 10-ლიტრიანი კოდი ისევე კანონიერ საზომად ყოფილა მიჩნეული. რვალიტრიანი ამ დროს, რასაკვირველია, პატარა კოდად, თორმეტლიტრიანი კი დიდ კოდად იქმნებოდა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში გჳლდენშტედტის ცნობისდა მიხედვით XVIII ს. მესამე მეოთხედში კოდი უკვე აღარა ჩანს.

ბუნებრივად იბადება საკითხი, რომელი ამ სამი ზომის კოდთაგანი უნდა იყოს თავდაპირველ კოდად მიჩნეული? ის გარემოება, რომ კოდი თავდაპირველად და XVI ს-მდე არ იყო, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია მას რომელიღაც წინანდელი საზომის ადგილი ჰქონდეს დაკავებული. საფიქრებელია, რომ „კოდმა“ სწორედ „კაბიწის“ ადგილი დაიკავა. ამას ჯერ ერთი ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მაშინ, როცა კოდი შემოდის, დასავლეთ საქართველოში კაბიწის ხსენება ქრება და სამთავნელის სარგოს გარიგებაც წიგნშიაც, როგორც დავრწმუნდით, კოდი სწორედ კაბიწის მაგიერ იყო შეტანილი.

მეორე გარემოება თვით კოდის წონითი ოდენობაა. კოდი რვა და ათლიტრიანი იყო. კაპიწიც, როგორც დავრწმუნდით, თავდაპირველად რვალიტრიანი იყო, მაგრამ უკვე XV ს. ათლიტრიანიც იხსენიება. მაშასადამე, კოდი თავისი წონითი ოდენობითაც, უეჭველია, კაბიწის შესატყვისობა ყოფილა. რაკი კოდის გაჩენის დროს კაბიწი რვალიტრიანიც იყო და ათიანიც, ამიტომ კოდი ვითარცა კაბიწის მოადგილე და ნაცვალი იმთავითვე რვიანიცა და ათიანიც იქნებოდა.

მაშ რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კაბიწს აღმოსავლეთ საქართველოში მაშინ, როდესაც კოდი უკვე იხმარებოდა და როცა საბუთებში ერთიცა და მეორე საზომიც გვხვდება? არსებობდაღა კაბიწი მხოლოდ ვითარცა წარსულის ნაშთი, თუ რაიმე განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა, ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

თავისდათავად ცხადია, რომ რაკი კოდის ძირითადი ერთეული ლიტრა ყოფილა, თვით კოდის ოდენობაც ლიტრის ოდენობასთან ერთად უნდა ან შესაძლებელია შეცვლილიყო და რამდენადაც ლიტრა იზრდებოდა, იმდენადვე კოდიც გადიდებულიყო.

ქ ი ლ ა დ ა ფ ო ხ ა ლ ი. საბუთებში და ძეგლებში სრული კოდის გარდა ნახევარი კოდიც იხსენიება ხოლმე. საბა ორბელიანის სიტყვით ამ ნახევარ კოდს თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონია, ერთის მაგიერ ორიც კი. მას ნათქვამი აქვს, რომ „ქილაკი არს ნახევარ კოდი, რომელ არს ფოხალი“-ო, „ფოხალი — ნახევარ კოდი“-აო (ლექსიკ. „კოდი“). ვახტანგ მეფის ერთი ცნობა საშუალებას გვაძლევს ფოხალის სიდიდე გამოვარკვიოთ. ყაიყულის მოურავის სარგოზე გიორგი მეფის გარიგებაში წერია: „მოურავისა არის სამი ფოხალი პური, სამი ფოხალი ქერი კომლის თავს წელიწადში უნდა მოსცენ, რომ იქნების სამი კოდი“-ო (დასტურლამალი 93). თუ 6 ფოხალი = 3 კოდს, ცხადია, 1 ფოხალი მართლაც ნახევარი კოდის წონა ყოფილა. ამგვარად, ეს ცნობა საბა ორბელიანისას ადასტურებს. განსვენებულ პ. უმიკაშვილს დასტურლამალისათვის დართულ ლექსიკონში ფოხალზე ნათქვამი აქვს „საწყაო ხუთი ლიტრა ანუ 45 გირვანქა“-ო, ხოლო არა ჩანს, საითგან აქვს მას ეს ცნობა ამოღებული. რაკი 1 ფოხალი ნახევარ კოდს უდრიდა, იგი მართლაც 5 ლიტრის წონა უნდა ყოფილიყო.

„ქ ი ლ ა“ თავრეჟული იყო განთქმული. მაგრამ მონღოლთა საყაენოში სხვადასხვა ზომისაც იყო მიღებული.

ყაზან-ყაენმა 1301 წ. ერთგვარი საზომები დააწესა ყველგან თავის საბრძანებელში და სათანადო წარწერებით შემკული კანონიერი საჴარბები გააკეთებინა, რომ ხალხი ვერავის მოეტყუებინა. სხვათა შორის „ქილას“ სიდიდეც იქმნა განსაზღვრული და დააწესა, რომ ქილაში 10 მენი, მენში 260 დრაჰმა უნდა ყოფილიყო (რაშიდედდინ: Hammer—Purgstall. Geschihte der Ilchane, II, 160—161).

თუ საბა არ სცდება, როდესაც „ქილაკი“ და „ფოხალი“ ტოლ საზომებად მიიჩნია, მაშინ ქილას, ანუ ქილაკის სიდიდეც ნახევარ კოდად, 5 ლიტრად უნდა ვიგულისხმოთ. თანამედროვე სამეგრელოში ქილა, ანუ ქია 36—40 გირვანქას უდრის (იოს. ყიფშიძე. მეგრ. გრამატიკა, ლექსიკ. 343—344), ე. ი. მართლაც XVIII ს. ნახევარ კოდის ოდენა არის. 2600 დრამის შემცველი ზემოხსენებული თავრეჟული ქილაც უდრის 18×2600 ე. ი. 46800 კერატს, ანუ მისხლად ქცეული, 46800 : 27 სწორედ 1733 მისხალს. რადგან კოდი XVI ს. შემოდის, 1733 მისხლის ლიტრებად გამოანგარიშებისათვის უნდა 400 მისხლიანი ლიტრა მაინც მივიღოთ სათვალავად და მაშინ თავრეჟული ქილა $4^{1}/_{3}$ ლიტრა გამოვა ე. ი. დაახლოებით მართლაც ნახევარ კოდს ეთანასწორებოდა.

„პ ი ნ ა ს“ ოდენობის შესახები ცნობა 1772 წ. აკად. გულდენშტედტსა აქვს შენახული, რომლის სიტყვითაც პინა 2 ლიტრას უდრიდა („Pina ist 2 Litra“: Reise, 359), ე. ი. კოდის მეხუთედს შეადგენდა.

„ბ ა თ მ ა ნ ი“ იხმარებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში ბოლო დრომდის. მაგრამ იმ დროს როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში აკად. გულდენშტედტის სიტყვით ბათმანი ლიტრის ოდენა საზომი იყო („Batman ist mit Litra gleich“: Reise, 359), დასავლეთ საქართველოში ბათმანში 9 ჩარექი ითვლებოდა („Ein Batman ist 9 Tscharek“: Reise, 393), ლიტრაში კი 4 ჩარექი იყო მხოლოდ. ამგვარად, ბათმანი ლიხთიმერეთში ორი ლიტრისა და 1 ჩარექის ოდენა გამოდის. საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „ბათმანი“ შეტანილი არა აქვს. მხოლოდ ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაში ერთგან „სტამბოლის ბათმანი“ აქვს მოხსენებული და თანაც განმარტებულია, რომ „თითო ბათმანი ორმოცდარვა თუხტი“, ანუ სტილი იყო (ს. ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. ცისკარი 1852 წ. № 4, გვ. 62). რაკი საბას თუხტი $33^1/_2$ მისხლად აქვს განსაზღვრული, გამოდის, რომ სტამბოლის ბათმანში 2948 მისხალი უნდა ყოფილიყო. ხოლო რადგან ლიტრაში 20 სტილი იყო, 48 თუხტიანი, ანუ სტილიანი სტამბოლის ბათმანი 2 ლიტრა და 1 ჩარექი და 3 სტილი ყოფილა. აქეთგან ცხადი ხდება, რომ დასავლეთ საქართველოში მიღებული 9 ჩარექიანი, ანუ 2 ლიტრა და 1 ჩარექიანი ბათმანი თითქმის სტამბოლის ბათმანი ყოფილა.

ნ ა ო თ ხ ა ლ ი ს ა დ ა ჩ ა რ ე ქ ი ს წონითი ოდენობის გამოსარკვევად საკმარისია საბას ორბელიანის სიტყვები გავიხსენოთ, რომ „სპარსნი ლიტრის ნაოთხალს ჩარექს უხმობენ“-ო. აქეთგან ცხადია, რომ ნაოთხალი და ჩარექი ლიტრის $^1/_4$-ს უდრიდა. მართლაც, აკად. გულდენშტედტიც ადასტურებს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთს საქართველოში ლიტრა 4 ჩარექს შეიცავდა („Litra wiegt 4 Tschareki“, „Ein Litra 4 Tscharek“: Reise, 359 და 393); რაკი ლიხთიმერეთში ლიტრა 1772 წ. რუსულ 8 გირვანქას უდრიდა, იქაური ჩარექი სწორედ 2 გირვანქის ოდენა ყოფილა. აღმოსავლეთ საქართველოში კი ამავე დროს ლიტრა $8^3/_4$ გირვანქას იწონიდა, ამერეთის ჩარექიც $2^3/_{16}$ გირვანქა უნდა ყოფილიყო.

უდრიდა თუ არა „ნაოთხალი“ დასავლეთ საქართველოშიაც ჩარექს ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევია. საქმე ის არის, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, 24 სანაოთხლო ურემი იხსენიება. ნაოთხალიც რომ ლიტრის მეოთხედად და ჩარექის შესატყვისობად ვიგულისხმოთ, რუსულ 2 გირვანქიანის ოდენად უნდა წარმოვიდგინოთ, მაშინ ქუთაისის დავთარში მოხსენებული 24 სანაოთხლო ურემი 48 გირვანქიან, ანუ ნახევარ კოდის ტვირთის ჩამტევ ერთეულად უნდა ვიგულისხმოთ. ურმისათვის ნახევარი კოდი ტვირთად მეტად მცირეა, თუ რომ აქ მთის პატარა ურემი არ იგულისხმება.

როგორც თავში გამორკვეული იყო XV ს. გუერდი კაბიწისა და კოკის (შესაძლებელია სხვა საზომისაც) ნახევარი უნდა ყოფილიყო. როგორც დაბადების ქართული თარგმანითგანა ჩანს, ძველ ქართულში „გუერდი“ ებრაული საზომის „პინ“-ის აღსანიშნავად იხმარება (რიცხუთაჲ 15^{5-7}). საბა ორბელიანს კი „გვერდი“ ლიტრის ნაოთხალად, ანუ ჩარექად, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, კოკის მეოთხედად, ანუ ჭარიკის ნახევრად და დორაკად აქვს აღნიშნული. დასავლეთ საქართველოში ამ საზომის ოდენობის გამოსარკვევად შესაძლებელია აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაღების დიდი დავთრის ცნობები იქნეს გამოყენებული.

თუ იქ ფარცმანაყანევის გამოსაღების ჯუმალის რიცხვითი ცნობები დაუმახინჯებლივ, სწორედ არის დაცული, მაშინ გვერდის ოდენობის გამორკვევა შეიძლება. ფარცმანაყანეველების ჯუმალში ნათქვამია, რომ საერთოდ ყველას „ორი გუერდი ღომი“ უნდა გამოეღოთ. თვითოეული მეკომურის შესახებს ცნობაში კი ღომი „ნაოთხალად“ არის ნაანგარიშევი. ყველა რიცხვებს რომ თავი მოვუყაროთ, 14 ნაოთხალი ღომი გამოდის (აფხაზ. კათალ. დავთარი გვ. 10—11). ჯუმალში მოყვანილი 2 გვერდი მაშასადამე = 14 ნაოთხალს. ამგვარად ირკვევა, რომ 1 გუერდში 7 ნაოთხალი ყოფილა. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ საბა ორბელიანის ცნობისდა საწინააღმდეგოდ გვერდი არამცთუ 1 ნაოთხალის ოდენა არა იყო, არამედ 7-ჯერ უფრო მოზრდილი ყოფილა.

„ქ ს ა ნ ი ს“ წონითი ოდენობის გამოსარკვევად ჩვენ ორი ცნობა მოგვეპოვება: ერთი საბა ორბელიანსა აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, მეორე აკად. გულდენშტედტს აქვს თავის მოგზაურობაში მოყვანილი. იქ, სადაც საბა ორბელიანს საზომებზე აქვს საერთო საუბარი და მათი წონითი ოდენობა და ურთიერთშორისი დამოკიდებულებაა განმარტებული, სახელოვან ქართველ ლექსიკოგრაფს აღნიშნული აქვს, რომ სპარსნი ლიტრის ნაოთხალს ჩარექს უხმობენ... ხოლო ქართულად — გვერდი, გინა ნაოთხალი ეწოდების. ხოლო გვერდის ნაოთხალსა — ქსანი ეწოდების“-ო (ლექსიკ. „ლიტრა“). ამგვარად ისე გამოდის, რომ ქსანი ლიტრის მეოთხედის, ანუ ჩარექის მეოთხედს, ე. ი. ლიტრის $^1/_{16}$ უდრიდა. საბას ეს უკანასკნელი ცნობა აკად. გულდენშტედტისას კარგად უდგება, რადგან მისი სიტყვითაც 1772 წ. იმერეთში ერთი ლიტრა 4 ჩარექი იყო, ხოლო ჩარექში 4 ქსანი („Ein Tscharek 4 Ksani... Ein Litra 4 Tscharek“. Reise, 393) ითვლებოდა. თუ ქსანი, როგორც საბა ამბობს, ჩარექის ნაოთხალი იყო, მაშინ ქსანი ლიხთ-იმერეთში 2 გირვანქა უნდა ყოფილიყო წონით. მართლაც გულდენშტედტის სიტყვით 1772 წ. ქსანს რუსული ნახევარი გირვანქის წონა ჰქონია. მაშასადამე, გულდენშტედტის ცნობის თანახმადაც ქსანი ლიტრის ერთი მეთექვსმეტედი ყოფილა. აღმოსავლეთ საქართველოში მაშასადამე, ქსანი რუსული წონით იქნებოდა $8^3/_4$ გირვანქა: 16, ანუ ნახევარ გირვანქაზე ცოტა ($^3/_{64}$-ით) მეტი.

მაგრამ საბას და გულდენშტედტის ეს უკანასკნელი ცნობა სრულებით ვერ უდგება საბას იმ განმარტებას ქსანის შესახებ, რომელიც მას საგანგებოდ აქვს ამ სიტყვის ქვეშე თავის ლექსიკონში ნათქვამი. მისი ამ ადგილას მოყვანილი განმარტებით „ქსანი ოთხი თუხტი და თუხტის ნაოთხალი“ უნდა ყოფილიყო“. ხოლო რადგან საბასივე ცნობით თუხტი „33 მიტყალი და ნახევარი“ ყოფილა, ამიტომ ქსანი უნდა $140^3/_8$ მიტყალად, ანუ მისხალად ვიგულისხმოთ. თუ გავიხსენებთ, რომ საბა ორბელიანის სიტყვით ლიტრა 661 მისხალს შეიცავდა. გამოდის რომ ქსანი ლიტრის $^1/_4$-ზე ცოტა მეტი ყოფილა, რაც სრულებით ეწინააღმდეგება მისსავე ცნობას ქსან-ჩარექ-ლიტრის ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ, რომ ქსანი ჩარექის $^1/_4$ და ლიტრის ერთი მეოთხედის მეოთხედი იყო. ამიტომ ცხადია აქ ან თვით საბას უნდა მოსვლოდა შეცდომა ან გადამწერისაგან უნდა იყოს ტექსტი დამახინჯებული.

„ჩ ა ნ ა ხ ი ს“ ოდენობის შესახებ ვახტანგ მეფის დასტურლამალში არავითარი ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ იმ ერთადერთი ადგილითგან, რომელშიაც ეს საზომი გვხვდება, საფიქრებელი ხდება, რომ ჩანახი თალარსა და ნახევარ თალარზე მომცრო ერთეული უნდა ყოფილიყო. ამას ის გარემოება

გვაფიქრებინებს, რომ ნაჯბადინის რუზე მყოფ მობეგრეთათვის გადაკვეულად არის აღნიშნული „თაღარი ას ოცდა ათი, ჩანახი ი“ (10), ხოლო შულავერის ბოლოს მყოფთათვის „თაღარი თერთმეტ ნახევარი“. 10 ჩანახი, რომ ნახევარი თაღარის ან მეტი ოდენობა ყოფილიყო, საფიქრებელია, რომ გარიგებაში ნაჯბადინელების შესახებაც ნათქვამი იქნებოდა, თაღარი ასოცდაათ ნახევარი, ან 130½ და ამდენი ჩანახიო. თაღარის სიდიდის გამორკვევის დროს დავრწმუნდით, რომ თაღარი 30 ლიტრაზე მოზრდილი საზომი უნდა ყოფილიყო დაახლოებით 40 ლიტრა, ანუ 4 კოდის ოდენა. თუ ჩანახ-თაღარის ურთიერთშორისი დამოკიდებულების ზემომოყვანილი მოსაზრება სწორეა, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ ჩანახი 20 ლიტრაზე მომცრო საზომი უნდა ყოფილიყო. ხოლო რადგან ჩანახი XVIII ს. მეორე ნახევრის ქსნის ხეობის ერთი შემოსავლის დავთარში იხსენიება და თვით საქართველოში გამოსაღები კოდობრივ იყო ხოლმე განსაზღვრული, ამიტომ საფიქრებელია, რომ ჩანახი კოდზე და ნახევარ კოდზე მომცრო საზომადაც, ე. ი. 5 ლიტრაზე ნაკლებად უნდა ვიგულისხმოთ.

საბა ორბელიანის სიტყვით კი ჩანახს ქართულად მოდი ჰქვიან; მოდი მისივე ცნობით 22 ქსესტიანი, ანუ 9000 დრაჰკნიანი საწყაო იყო (ლექსიკ.). ქსესტის ოდენობაზე სახელოვან ლექსიკოგრაფს ნათქვამი აქვს, რომ იგი სიდიდით „2 ძველი ლიტრა და ნახევარი“ იყო (ლექსიკ.). მაშასადამე, ჩანახ-მოდი 55 ძველი ლიტრის ოდენა საზომი უნდა ყოფილიყო, ე. ი. მერმინდელი 5½ ლიტრა გამოდის. რადგან მოდი საბას დროს არ იხმარებოდა, ეს ცნობა დაახლოებითი უნდა იყოს. თუ ზემომოყვანილსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩანახი დაახლოებით 5 ლიტრამდე უნდა ყოფილიყო. ამჟამად კი ჩანახი 2 ლიტრიან ან 20 გირვანქიან საზომად ითვლება.

„სტილის“ წონითი ოდენობის გამოსარკვევად შეიძლება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეტანილი ცნობა იყოს გამოყენებული. აქ ნათქვამია: „3 მინალთუნისა და 10 შაურის წონა 1 სტილი არის“-ო (კარი ვალისა § 123, 124) ვახტანგ მეფე 2½ შაურს ერთი მისხალის წონადა თვლიდა. 3 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 15 აბაზი და 10 შაური უდრის 70 შაურს. რაკი 2½ შაური 1 მისხალს იწონიდა, 1 შაური $^2/_5$ მისხალი ყოფილა. ხოლო, რადგან სტილი 70 შაურის წონა ყოფილა, 1 სტილის წონა $= {^2/_5} \times 70$, ანუ 28 მისხალს. მაშასადამე, ჩვეულებრივი სტილი 28 მისხალს იწონიდა.

ჩვეულებრივის გარდა „ქალაქური სტილი“-ც ყოფილა. ქიზიყის გამოსავლის გარიგების წიგნში, რომელიც ვითარცა უთარიღო, ე. თაყაიშვილისაგან დაახლოებთ 1750—1760 წწ. არის მიკუთვნილი, დ. ფურცელაძის რუსულ თარგმანს კი 1798 წ. უზის, რადგან ამ ძეგლს მაშინ ალბათ თარიღი ექნებოდა, საყურადღებო ცნობა გვხვდება ამ საზომის ოდენობის შესახებ. ეს გარიგების წიგნი ძველ დავთრებზეა დამყარებული და უეჭველია საზომთა ოდენობა წინანდელად უცვლელად ექმნებოდა დატოვებული. აბრეშუმზე დადებულ გადასახადის შესახებ იქ ნათქვამია: „დიდს მანჯანიკზე სამი სტილი აბრეშუმის მოურავისა არის, ქალაქური სტილი, რომელიც ოცდაცამეტი მისხლიანი არის, ბატონს საქმე არა აქვს“-ო (ს῀ქს სძ῀ველნი III, 137). ამ სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ ქალაქური სტილი ვითარცა 33 მისხლიანი ჩვეულებრივისაგან სიდიდით განსხვავდებოდა და ჩვეულებრივზე, რომელიც 28 მისხლიანი იყო, 5 მისხლით უფრო მოზრდილი ყოფილა.

საბა ორბელიანის სიტყვები ამტკიცებს, რომ ქალაქური სტილის ოდენა სტილი მის დროსაც, XVIII ს. დამდეგსაც ცნობილი ყოფილა, უფრო ოდნავ მოზრდილიც. მას ნათქვამი აქვს, რომ „ოცდაათცამეტი მიტყალი და ნახევარი — ერთი თუხტია, რომელ არს სტილი"-ო (იხ. ლექსიკონი „ლიტრა"). ეს 33½ მისხლიანი სტილი მას, როგორც ეტყობა, ქალაქურად კი არა, ჩვეულებრივად მიაჩნდა.

აკად. გჰლდენშტედტის სიტყვითგანა ჩანს, რომ 1772 წ. აღმოსავლეთ საქართველოში სტილი უფრო გადიდებული ყოფილა და მისი ცნობით სტილში უკვე 36 მისხალი ითვლებოდა. ამავე ავტორის ცნობით ჩარექში 5 სტილი ითვლებოდა, სტილი კი 36 მისხალს იწონიდა („Tschareki wiegt 5 Stil, Stili 36 Misgal"... Reise, 359). ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ლიტრა 1772 წ., როგორც დავრწმუნდით, 720 მისხალს შეიცავდა, 1 ჩარექი ვითარცა ლიტრის მეოთხედი, ამის გამო 180 მისხლის შემცველი იქნებოდა, ხოლო ჩარექის მეხუთედი — 1 სტილი. მართლაც 36 მისხალი გამოვიდოდა.

„თ უ ხ ტ ი" საბა ორბელიანის სიტყვით „33 მიტყალი და ნახევარი" იყო (ლექსიკონი). ახალი ლიტრის ოდენობის განსაზღვრის დროს აღნიშნულია, რომ „ოცდა ათცამეტი მიტყალი და ნახევარი — ერთი თუხტია, რომელ არს სტილი"-ო (ლექსიკონი) მაშასადამე, თუხტი და 33½ მისხლიანი სტილი ერთი და იმავე ოდენობის საწონი ყოფილა. თუხტი სპარსული ტერმინია. სპარსულად تخت თუხტი" 600 დირჰემის, ანუ დრამის შემცველი საწონი იყო.

„ს ი კ ი ლ ა", ანუ „შეკელ", როგორც ებრაულად ეწოდებოდა, ებრაელთა ანგარიშით ოც გერას უდრიდა, მაგრამ რადგან გერას ოდენობა დანამდვილებით გამორკვეული არ არის, ამიტომ სიკილა-„შეკელის" ოდენობის განსაზღვრა ზედმიწევნით ვერ ხერხდება (Prof. H. Guthe, Kurzes Bibelwörterbuch, იხ. Gewichte). ვახტანგ მეფის დროინდელი სიკილის ოდენობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ამ გამოკვლევის პირველ ნაწილში, როდესაც ფულის სისტემაზე გვქონდა საუბარი (იხ. თავი მესამე) და გამორკვეულია, რომ სიკილა 4,8 მისხალს უდრიდა.

ს ა პ ა ლ ნ ი ს სიდიდე ქართულ წყაროებში, თუ არ ვცდები, არსად განსაზღვრული არ არის. მაგრამ შარდენსა აქვს აღნიშნული, რომ საქართველოში საპალნე ღვინო 300 ლიტრას იწონიდაო (Voyage en Perse, პარიზი 1723, გამოც. I, 143)[18]. ფრანგი მოგზაური ცხენის საპალნეზე ლაპარაკობს (იქვე, I, 118)[19].

აბუ-ჰანიფას სიტყვით არაბეთში ერთი საპალნე 60 სა-ს უდრიდა, 1 სა-ი 5⅓ ერაყის რიტლს, ანუ ლიტრას შეიცავდა (A. von Kremer, Culturgeschichte d. Orients I, 427). ერაყული ლიტრით რომ ვიანგარიშოთ, ერთ საპალნეში ამგვარად 320 ლიტრა, ანუ რუსული წონით 8 ფუთი ყოფილა სახალიფოში ქართულ ლიტრაში ამგვარად 20 ლიტრით ნაკლები, 300 ლიტრა ყოფილა. საფიქრებელია, რომ აბუჰანიფა აქლემის საპალნეს გულისხმობს.

შემდეგ საბა ორბელიანს თავის ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაში ერთგან ნათქვამი აქვს: „ყათარი ოცდაათი სტამბოლის ბათმანი იქნებოდა,

[18] „Une charge de vin pese 300 livre".

[19] „a charge de cheval, qui est de trois cens pesant". პეზან ახლა=10 კილოგრ.

თითო ბათმანი ორმოცდა რვა თუხტი, რომ ხუთი ცხენის საპალნე უფრო მოვა"-ო (ცისკარი, 1852, № 4, გვ. 62). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ თუ 30 სტამბოლის ბათმანი=5 ცხენის საპალნეს, 1 ცხენის საპალნე 6 სტამბოლის ბათმანის ოდენა ყოფილა. ბათმანის ოდენობა სტამბოლში, როგორც თავის ალაგას გამორკვეულია, ქართულ 2 ლიტრას 1 ჩარექს და 3 სტილს უდრიდა. მაშასადამე, 6 სტამბოლის ბათმანის ოდენა 1 ცხენის საპალნე უნდა 14 ლიტრის 1 ჩარექისა და 3 სტილის წონა ყოფილიყო. ეს ოდენობა შარდენისაგან აღნიშნულ 300 ლიტრიან ცხენის საპალნისაგან იმდენად (21-ჯერ) დაშორებულია, რომ უეჭველია აქ რაიმე შეცდომა უნდა იყოს.

ქვევით, თავის ადგილას გამორკვეულია, რომ „ხარვალი", რომელიც სპარსულად ვირის, სახედრის ტვირთსა ნიშნავდა, პაპუნა ორბელიანის ცნობით ას ლიტრას იწონიდა. თუ ვირის ტვირთი 100 ლიტრას უდრიდა, ცხენის ტვირთი, რასაკვირველია, შესაძლებელია სამჯერ მეტი ყოფილიყო და როგორც შარდენსა აქვს აღნიშნული, მართლაც 300 ლიტრიანი ყოფილიყო.

მაგრამ საქმე ისაა, თუ რომელი ლიტრა იგულისხმება ფრანგი მოგზაურის ცნობაში. რაკი იგი საქართველოზე ლაპარაკობს, ამის გამო რომ გვეფიქრა, აქ ქართული ლიტრა არის ნაგულისხმევიო, გამოვიდოდა, რომ ქართული ცხენის საპალნე 836 კილოგრამი, რუსული წონით 51,64 ფუთი უნდა ყოფილიყო. ასეთი სიმძიმის დაძლევა არც ერთ ცხენს არ შეუძლიან. რაკი თხზულება ფრანგულად იყო დაწერილი, უფრო ბუნებრივი და სწორეც იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფრანგი მოგზაური თავის თანამემამულეებისათვის გასაგებ საზომს, ფრანგულს ლიტრას (libre) გულისხმობდა. ფრანგული ლიტრა ადგილისდა მიხედვით განსხვავდებოდა და 380—550 გრამამდე იწონიდა. 300 ფრანგული ლიტრა მაშასადამე, 114—165 კილოგრამამდე, ანუ რუსული წონით 7—10 ფუთამდე იქნებოდა. ამოდენა ტვირთის ტარება ცხენს მართლაც შეუძლიან.

„თ ა ღ ა რ ი", როგორც აღნიშნული გვქონდა, მონღოლთა ბატონობის ხანაში ჩნდება. იმ დროს ეს საწყაო 100 თავრეჟის მანს უდრიდა (იხ. Quatremère, Histoire des Mongols, 138 not. 17). ოსმალურში იხმარებოდა ეს საზომი და ტერმინი და იქ მხოლოდ 10 მანს უდრის (იხ. ცენკერის ლექსიკ.). ვახტანგ VI-ის დროს რა ოდენობისა იყო, ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ სახელოვანი მეცნიერი მეფის სიტყვებითგან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თაღარი დაახლოებით 30 ლიტრაზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო. კილგაუცლელი ბრინჯის „ჩალთუკის" წმინდა მოსავლის „ნახევარი პატრონისა არის და ნახევარი საბატონოა. ჩალთუკი ერთი თაღარი რომ დანაყონ იე (15) ლიტრა ზრინჯი თაღარზედ ბატონს უნდა მიართუან"-ო, ნათქვამია დასტურლამალში (გვ. 47). რაკი 15 ლიტრა საბატონო წილი მთელის მხოლოდ ნახევარს ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომ ცხადი ხდება, რომ კილიანი ბრინჯი 1 თაღარი 30 ლიტრა კილგაცლილ ბრინჯს იძლეოდა. თაღარი 30 ლიტრაზე მეტი უნდა ვივარაუდოთ, რადგან კილის ოდენობაც უნდა ვიანგარიშოთ. პ. უმიკაშვილის სიტყვით თაღარში „ყაზახ-ბორჩალოსკენ ჩვენს ჟამში რვა ფუთი პური, ან სხვა მოსავლის მარცვალი, ბრინჯი, ქერი და სხვა" ითვლებაო (დასტურლამალის ლექსიკონი 172). 30 ლიტრა, რომ რუსულ ფუთებად ვაქციოთ და გავიხსენოთ, რომ აკად. გულდენშტედტის ცნობით ქართული ლიტრა $8^3/_4$ რუსულ გირვანქას უდრიდა, 261 გირვანქაზე ცოტა მეტი გამოვა ანუ $6^1/_2$ ფუთი. თუ აქას

კილის წონა დაემატება, ვახტანგ მეფის დასტურლამლის თაღარი და აწინდელი თითქმის ტოლები გამოვლენ.

„ხ ა რ ვ ა ლ ი“ მარცვლეულობის საზომია. XVIII ს. ძეგლებში გვხვდება. ეს სიტყვა საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში არც კი აქვს შეტანილი. სპარსული ტერმინია და სპარსეთში خروار „ხარვარ“-ად გამოითქმის და ვირის, სახედრის ტვირთსა ნიშნავს. იქაური ანგარიშით 100 მენს უდრიდა. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანის სიტყვით „ხარვალი არს ასი ლიტრა“ (ამბავნი ქართლისანი 351). რადგან აქ სპარსულ საზომზეა საუბარი უნდა სპარსული ლიტრა ვიგულისხმოთ. ერაყული ლიტრა, როგორც ვიცით, ერთ რუსულ გირვანქას უდრიდა.

ამგვარად „ხარვალი“ რუსულ 100 გირვანქას, ე. ი. $2^1/_2$ ფუთს, ანუ 40,96624 კილოგრამს, ე. ი. ცხენის ტვირთის $^1/_3$-ს უდრის.

რა წონითი ოდენობად იყო „გ ო დ ო რ ი“ აღმოსავლეთ საქართველოში, ძეგლებითგან არა ჩანს. დასავლეთ საქართველოში კი ამის გამორკვევის საშუალებას აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდი დავთრის ს. ნავენახევის შესახები ცნობა გვაძლევს. იქ ღომის გადასახადი ერთ მეკომურს გოდრობით აქვს შეწერილი, დანარჩენებს კი ყველას წონობით ან საწონით „წონაჲ“, ან საწონი ამდენი და ამდენიო. ნავენახეველთა ღომის გამოსაღების საერთო ჯამი; „ჯუმალი“ კი „წონის“ საზომით არის აღნიშნული და ნათქვამია: „მართებს სულა ყველას ნავენახეველს... ღომის ჯუმალი არის ასოცდა თოთხმეტი წონაჲ“-ო (გვ. 6). ხოლო წონა-საწონით გადაკვეთილი და გოდრობით შეწერილი ღომის რაოდენობა რომ ცალ-ცალკე ვიანგარიშოთ, სულ 128 წონა ღომი და 18 გოდორი ღომი გამოდის. ჯუმალში კი, როგორც მოხსენებული გვქონდა, სულ 134 წონა ღომია ნავენახეველთა გამოსაღებად აღნიშნული, ცხადია, ამ ჯუმალში 128 წონასთან შედარებით ზედმეტი 6 წონა ღომი იმ 18 გოდორ ღომს უნდა უდრიდეს, რომელსაც ერთი მეკომური იხდიდა. ამგვარად ირკვევა, რომ 6 წონა=18 გოდორს, ანუ 1 წონა=3 გოდორს, ხოლო 1 გოდორი=$^1/_3$ წონას ან საწონს.

XIII ს. უ რ მ ი ს ოდენობის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, XVIII ს. მეოთხე მეოთხედში შედგენილი ქალაქის მოურავის ხელისუფლებისა და სარგოს გარიგების წიგნში კი ერთი ცნობაა, რომელიც „ურმის“, ვითარცა საზომის, წონითი ოდენობის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. იქ ნათქვამია, რომ ქალაქში ღვინო შევიდოდა თუ არა, „ურემზედ ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზედ ნახევარი თუნგი. ამას ჰქვიან ჰაშნიკი“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 523—524). ურემი და საპალნე აქ, ერთი მხრით, ღვინის რაოდენობის საზომებად არიან მოხსენებულნი, მეორე მხრით, გადასახადის შესაწერ ერთეულებად. ჰაშნიკად წოდებული სამოურაო გადასახადი ერთ შემთხვევაში ორ თუნგად არის განსაზღვრული, მეორე შემთხვევაში, როდესაც ღვინო ურმობლივ კი არა, არამედ საპალნით იყო შემოტანილი, ნახევარი თუნგი, ანუ ოთხჯერ ნაკლები უნდა გამოეღოთ. საფიქრებელია, რომ გადასახადის სიდიდე შესაწერ ერთეულის სიდიდის კვალობაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მართლაც „ურემი“ საპალნეზე გაცილებით მოზრდილი ოდენობა იყო. ზემომოყვანილი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ როგორც გადასახადი „ურემზე“ ოთხჯერ მეტი იყო დაწესებული, ვიდრე საპალნეზე, ამგვა-

რადგან თვით „ურემი“-ც საპალნეზე ოთხჯერ მოზრდილი ოდენობა უნდა ყოფილიყო. ეს იმასა ნიშნავს, რომ „ურემში“ ოთხი საპალნე ითვლებოდა.

თუ საპალნის ოდენობის შესახებ ზემომოყვანილი გამოანგარიშება სწორეა და საპალნე მართლაც 300 ლიტრას უდრიდა, მაშინ ცხადია ურმის წონითი ოდენობა უნდა 1200 ლიტრა ყოფილიყო, ანუ 32—36 ფუთი.

აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაღების დიდ დავთარში „ნახევარი ურემი“-ც იხსენიება (გვ. 10,15).

ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში იხსენიება „ღომის ურემი ოცდაოთხი სანაოთხლო“ (გვ. 35 § 256, §§ 258—267). აქედგან საფიქრებელი ხდება, რომ ურემში 24 ნაოთხალი ღომი ეტეოდა. თუ ნაოთხალი მართლა ჩარექს უდრიდა (იხ. ნაოთხალი), მაშინ, რაკი დასავლეთ საქართველოში ჩარექს რუსულ 2 გირვანქიანის წონა ჰქონდა, 24-ნაოთხლიანი ღომის ურემი 48 გირვანქის, ანუ ნახევარი კოდის ტვირთის დამტევი ურემი გამოდის. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის, ძალიან პატარა ურემი ყოფილა.

„ლ ო ღ ა რ ი კ ო ნ ი“ წინათ რას უდრიდა არ ჩანს. მაგრამ ეს ტერმინი და სიტყვა „ლაღანკონი“-ს სახით თანამედროვე მეგრულშიც ყოფილა შენახული და იოს. ყიფშიძის სიტყვით 14 კვერცხს, ანუ ორ გირვანქა წონით ერთეულს ეწოდება (მეგრ. გრამ. ლექსიკ. გვ. 271).

ფ ს ო მ ი ა რ ე ს, ქ უ ა ს, მ ა ხ ა თ ე ლ ი ს ა, კ ე ხ ი ს ა და კ უ ა ხ ი ს ოდენობის გამოსარკვევად ცნობები არ მოგვეპოვება. დასავლეთ საქართველოს 1628 წ. საბუთითგან მხოლოდ იმის გამორკვევა შეიძლება, რომ მახათელი ქილაზე მოზრდილი საზომი უნდა ყოფილიყო. იქ ნათქვამია: „ხუთი მახათელი მარილი... რომ გაგვიჩენია, ამისგან იმ სამს მწირველს ხუცებს ერთი ქილა მისცენ“-ო (დას. საქ. საბ. I, 41 და 42). როგორც გამორკვეული გვქონდა, ქილა 5 ლიტრას უდრიდა. ამიტომ მახათელი 5 ლიტრაზე მოზრდილ ერთეულად უნდა გვეგულებოდეს. სტუდენტ ს. მჭედლიძის ცნობით არაგვის ხეობაში „კ ე ხ ი“ ახლაც იხმარება პურის საწყაოდ და სამნაირი კეხი სცოდნიათ: ფუთნახევრიანი, ფუთიანი და ოცდაათ გირვანქიანი.

კ ო კ ი ს სიდიდის გამოსარკვევად რკონის 1259 წ. სიგელში ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. კახა ერისთავთერისთავს აღნიშნული აქვს: „კულუხი ძუელი იყო თორმეტი კოკა ოცდაოთხ-ლიტრიანითა კოკითა თითოსა მიწასა ზედა“-ო (ქ˝კბი II, 136). მაშასადამე, კოკა 24 ლიტრიანი ყოფილა. მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ კახას კოკის ოცდაოთხლიტრიანობის აღნიშვნის აუცილებლობა უგრძვნია, იმის დამამტკიცებელია, რომ სხვა სიდიდის კოკებიც არსებობდა. მაშინ უეჭველია ნაკლებლიტრიანი კოკებიც უნდა ყოფილიყო. მართლაც კოკა რომ სხვადასხვა ზომისა სცოდნიათ, საბუთებსა და შემოსავლის დავთრებში ამისი მრავალი დამამტკიცებელი ცნობებია შენახული. ავიღოთ მაგ., დასავლეთი საქართველოს ძეგლები: „რვიანითა ლიტრითა კოკა ოცი“-ო (1573 წ. სიგ., დას. საქ. საბ. I, 30), ან „კოკა ორმოცი რვიანითა“ (ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოს. დავთარი გვ. 14 § 99), „კოკა რვიანითაჲ ოცი“ (იქვე, გვ. 22, § 151), „კოკა რვიანითა თოთხმეტი“ (იქვე, გვ. 22, § 158, აგრეთვე § 161 სხვაგანაც). უფრო ხშირად კი მარტივად წერია ხოლმე „ღვინო რვიანითა“ ამდენი და ამდენიო (იქვე, გვ. 14, §§ 91, 99, 100, 101 და სხვაგანაც). ყოფილა კოკა ცხრა ლიტრიანიც, რომელიც გამოსავლის დავთრებში მარტივად „ცხრიანი კოკის“ სახელით არის ხოლმე აღნიშნული (ქუთაისის საყდრის გამოს. 1578 წ. დავთარი §§ 21, 22, 24, 25, 26 და ბევრგან სხვაგანაც). ამ ძეგ-

ლის მიხედვით ცხრიანი კოკა იმდენად ჩვეულებრივი კოკა უნდა ყოფილიყო, რომ ერთგან პირდაპირ არის ნათქვამი, „ღვნო ვისაც გუერდს არ უწერია, ცხრიანი კოკა მართებს"-ო (იქვე, გვ. 15).

ათლიტრიანი კოკაც, „ათიანი"-ს სახელით უფრო ცნობილი, გვხვდება მაშინდელ მეურნეობაში. 1570 წ. სიგელში მაგ., აღნიშნულია „ღვინო ათიანის კოკითა კოკა სამი (დას. საქ. საბ. I, 27). ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარშიაც გვხვდება ათიანი კოკა (§§ 117—119, 166 და სხვაგანაც).

ხშირი ყოფილა თორმეტიანი კოკაც: 29 ბაშელს მებეგრეს ღვინო სწორედ ამ კოკითა სდებიათ (გვ. 21), თუმცა თვითოეული მეკომურის გამოსაღებში კოკას რიანობა არ უწერია, მაგრამ ეს გარემოება ბაშელთა ჯუმალშია აღნიშნული: „მართებს აწ ამა ბაშელთა... ღვნო ყველასაგ თორმეტრანითა ლიტრის კოკითა"-ო (ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარი გვ. 21). ჩვეულებრივ საუბარსა და აღნიშნულობაში თორმეტ ლიტრიანი კოკაც მარტივად „თორმეტიანი კოკის" სახელით ყოფილა ცნობილი.

თოთხმეტლიტრიანი კოკის არსებობის შესახებაც შენახულია ცნობები. ქუთაისის საყდრის 1578 წ. დავთარში მაგ., ნათქვამია: „მართებს როკითს ვახტანგისაიშვილს გოგიჩასა ღვინო თოთხმეტიანით კოკითა ოცდარვა"-ო (§ 178, იხ. აგრეთვე §§ 305 და 310).

ერთგან ფრიად საყურადღებო ცნობაა შენახული „სამიანი"-ს შესახებ. 1550—1570 წწ. სიგელში წერია: „თვითოს სამიანს ღვინოს მისცემდენო"-ო (დას. საქ. საბ. I, 23). ჩვეულებრივ ამგვარი გამონათქვამი სამლიტრიან კოკად უნდა გვეგულისხმა, მაგრამ რადგან ასეთი პატარა კოკა არსად სხვაგან არ იხსენიება და თანაც ამ საბუთში და ამ ადგილას სულის მოსახსენებლად გამართულ ალაპის დროს შესანდობად დარიგებულ საჭმელ-სასმელზეა ლაპარაკი და ამის გამო დაუჯერებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ღვინო კოკობით დაერიგებინათ, ამიტომ აქ კოკისა და ლიტრის მაგიერ სხვა პატარა სასმისი უნდა იგულისხმებოდეს, ეგების კარასეული.

ამგვარად, საბუთებისა და შემოსავლის დავთრების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ კოკა იყო რვალიტრიანიც, ცხრიანიც, ათიანიც, თორმეტიანიც, თოთხმეტიანიც და ოცდაოთხლიტრიანიც კი.

ვახტანგ VI-ც ადასტურებს ამ გარემოებას და მისი სიტყვით იმდროინდელ საქართველოში „კოკა 8 ლიტრიანი არის, ადგილია — ათლიტრიანია. ადგილია — თორმეტი, ადგილი არის თექვსმეტი, ადგილია ოცდაოთხ ლიტრიანია"-ო (სამართლის წიგნი, კარი ვალისა). საბა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს, რომ ეს „საწყავიც" ყველგან ერთნაირი არ იყო, არამედ „თემითი თემად სხუადასხუა რიგი არს. რომელსამე ადგილსა ათ-თორმეტი ახალი ლიტრა დამტევნელი, რომელსამე ათი სხუაგან — რვა და რაჲცა". მაგრამ სახელოვან ლექსიკოგრაფს იქვე დამატებული აქვს „ხოლო სწორე — ათი ლიტრიანი არს"-ო (ლექსიკ. იხ „საწყავი").

აქეთგან ცხადი ხდება, რომ კოკის ძირითად ერთეულად ლიტრა ყოფილა დაწესებული და კოკის ოდენობაც იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენ ლიტრიანი იყო. ჩვეულებრივ, საქმიან საუბარში კოკის ოდენობის აღსანიშნავად მხოლოდ მისი რამდენიანობა იხსენიებოდა, თვით ძირითადი ერთეულის სახელი კი თავისდათავად იგულისხმებოდა.

ცხადია, რომ თავითგანვე შეუძლებელია ამდენი სხვადასხვა ზომის კოკა ყოფილიყო რვალიტრიანითგან მოყოლებული ოცდაოთხლიტრიანამდე და რომელიმე მათგანი თავდაპირველი კოკის ოდენობის გამომხატველი უნდა იყოს. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ უძველესი საზომი კაბიწი თავდაპირველად რვალიტრიანი ყოფილა და კოდიც კოკა-კაბიწივით რვა, ათი და თორმეტლიტრიანი იყო და უმცირესი კოდიც რვალიტრიანია, საფიქრებელია, რომ აქ ერთზომობა შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, არამედ შესაძლებელია ერთგვარი სისტემის მომასწავებელად და გამომხატველად იქნეს მიჩნეული. ამიტომვე ძირითადი, თავდაპირველი კოკა უფრო რვალიტრიანი უნდა ყოფილიყო.

რასაკვირველია, კოკის ოდენობის ზრდა თანდათანობით უნდა მომხდარიყო და ყველაზე გვიან ოცდაოთხლიტრიანი კოკა გაჩნდებოდა. ამ ოდენობის კოკის არსებობის დასათარიღებლად შეიძლება ის გარემოება იქნეს გამოყენებული, რომ ამგვარი საზომი უკვე 1259 წ. რკონის სიგელში იხსენიება და მაშინაც ეს ცნობა უკვე „ძუელი" კულუხის გარიგებას ეხებოდა. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ 24-ლიტრიანი კოკა, თუ უფრო ადრე არა, მეცამეტე საუკუნის დამდეგსავე უნდა ყოფილიყო საქართველოში.

რაკი თავდაპირველი კოკის სიდიდე რვალიტრიანად ყოფილა დაწესებული, ცხადი ხდება, რომ 24-ლიტრიანი კოკა პირვანდელთან შედარებით სამჯერ არის გადიდებული. რასაკვირველია, კოკის ამგვარი სამმაგი ზრდა თანდათანობით მოხდებოდა. საგულისხმოა, რომ ცხრალიტრიანი კოკის გარდა ყველა დანარჩენი სიდიდის კოკები 10, 12, 14 ლიტრიანი კოკები ერთი მეორეს ორ-ორი ლიტრით სჭარბობენ. იქნებ ეს გარემოება ამ თანდათანობითი ზრდის საფეხურების მომასწავებელი იყოს. მომავალში იქნებ ამ მოვლენის დასაწყისის და თანდათანი განვითარების თარიღებიც გამოირკვეს.

კოკის ლიტრითი ოდენობის ზრდის მიზანი იგვე უნდა ყოფილიყო XIII ს. პირველ ნახევრამდე, რა მიზანიც ჰქონდა ამ მოვლენას შემდეგში, სახელდობრ, XV ს-ში, როდესაც საზომების გადიდებამ ასეთი სიმწვავით იჩინა თავი, — უეჭველია კოკის ლიტრითი რაოდენობის მატებას უნდა შემოსავალი გაედიდებინა. აღსანიშნავია, რომ XIII ს. პირველ ნახევრამდე კოკის გადიდება მხოლოდ მისი ლიტრიანობის რაოდენობის მატებით ყოფილა განხორციელებული XV ს-ითგან მოყოლებული კი საზომების გადიდების საფუძვლად უკვე მათი ლიტრიანობის რაოდენობის მომატების მაგიერ მხოლოდ თვით ამ საზომების ძირითადი ერთეულის ლიტრის ოდენობა უდიდებიათ.

მეტად საყურადღებო გარემოებაა, რომ იმ დროს, როცა კაბიწი და კოდი მხოლოდ 8, 10 და 12 ლიტრიანი იყო, ე. ი. $^1/_4$-ითა და $^1/_2$-ით სჭარბობდა თავდაპირველ საზომს, XIII ს. პირველი ნახევრისათვის კოკა უკვე 24 ლიტრიანიც არსებობდა, ანუ უკვე ერთი სამად ყოფილა გადიდებული. ამგვარად, ღვინის საზომი გაცილებით უფრო სწრაფად და მეტად გაუდიდებიათ, ვიდრე მარცვლეულობისა. 8, 10 და 12 ლიტრიან კაბიწისა და კოდის ურთიერთშორისი განსხვავება ოდენობით იმდენად მცირეა, რომ იგი მხოლოდ სოფლურ და ქალაქურ საზომთა შორის მუდამ არსებულ განსხვავებად შეიძლება მიჩნეულ იქმნეს, ვიდრე ნამდვილ გადიდებად. თავისდათავად ცხადია, რომ რამდენადაც მატულობდა და იზრდებოდა ლიტრა, უნდა მოემატნა და გაზრდილიყო კოკაც.

ამიტომ მკვლევარს ეს გარემოება მუდამ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს და გამოანგარიშების დროს სათანადოდ გამოიყენოს.

მის შემდგომაც, რაც 8 ლიტრიანი კოკის მაგიერ 10, 12 და თვით 24 ლიტრიანი კოკები გაჩნდა, ყოველ მოზრდილ საწყაოს თავისი წინამორბედი არ მოუსპია, არამედ ყველა კვლავინდებურად არსებობდა. ამ მხრივ კოკისა და კოდის თავგადასავალი თვით ლიტრის თავგადასავალისაგან განსხვავდება. შემდეგ დამახასიათებელია, რომ გამოსაღები ზოგს 8, ზოგს 10, ზოგს 12 და უფრო მეტლიტრიანი საზომით ჰქონდა შეწერილი: თანასწორობა თითქოს დარღვეული იყო. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია, რადგან საზომის სიდიდის ძველებურად დატოვებისდა მიუხედავად, თვით ღალისა და კულუხის ან სხვა გამოსაღების გადიდებით შეეძლოთ იმავე მიზნისათვის მიეღწიათ. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს დავით კათალიკოსის 1454 წ. სიგელში აღბეჭდილი აღთქმა: „არას დაჭირვებისა და მიზეზისათვის არა გიმატოთ კულუხი და არცა კოკა გამოგიცვალოთ და გაგიდიდოთ“-ო (ისტ. საბ. III, 33).

„ჭ ა რ ი კ ი“ ს. ორბელიანის სიტყვით „არს ნახევარ კოკა“. რაკი ნორმალურ კოკად 10 ლიტრიანი იყო მიჩნეული, ამიტომ ჭარიკი 5-ლიტრიანი საწყაო ყოფილა.

„დ ო რ ა“-ც მისივე ცნობით ნახევარ კოკას უდრიდა: მაშ ისიც ხუთლიტრიანი ყოფილა.

„ჩ ა ფ ი“ სახელოვანი ლექსიკოგრაფის მოწმობით „არს... კოკის ნაოთხალი“, ე. ი. $2^1/_2$ ლიტრიანი საწყაო უნდა ყოფილიყო.

ჩაფს „დ ო რ ა კ ი“-ც ეწოდებოდა თურმე და ამიტომ დორაკი და გვერდიც $^1/_4$ კოკას უდრიდენ. ისიც $2^1/_2$ ლიტრიანი საზომი იყო.

„დ ო ქ ი“ საბას ცნობით „ჩაფის ნახევარი“-ა (იხ. კოკა), ე. ი. კოკის მერვედი გამოდის. მისი წონითი ოდენობა მაშასადამე, $1^1/_4$ ლიტრა უნდა ყოფილიყო. ამავე მეცნიერს დოქის სიდიდეზე განსაკუთრებული ცნობაც მოეპოვება და იქ ნათქვამი აქვს: „დოქი — 25 თუხტის წონა ღვინო ჩაიტიოს“-ო (ლექსიკ.). რაკი თუხტი იგივე სტილია, გამოდის რომ დოქში 25 სტილი ყოფილა, ე ი. მართლაც $1^1/_4$ ლიტრის ოდენა საწყაო ყოფილა. აკად. გულდენშტედტის სიტყვით დასავლეთ საქართველოში კოკაში 6 დოქი ითვლებოდა („Ein Koka hält 6 Doki“: Reise, 393). მაშ ლიხთიმერეთში დოქი კოკის $^1/_6$-დი ყოფილა. სამწუხაროდ, ამავე ავტორს მაშინდელი კოკის სიდიდე განსაზღვრული არა აქვს, რომ დოქის წონით ოდენობის ზედმიწევნით გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო. თუ ის აღმოსავლეთ საქართველოს კოკის ოდენა იყო და 10 ლიტრიანი იყო კანონიერ კოკად მიჩნეული, მაშინ ლიხთიმერული დოქი $1^2/_3$ ლიტრა ყოფილა.

დოქი ახლაც იხმარება როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში. იმერეთში დაახლოებით 4—5 ბოთლს უდრის.

„კ ა ს რ ი“ ს. ორბელიანის ცნობით „შთაიტევს რვა დოქსა“ (ლექსიკ.) ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში კოკას უდრიდა, დასავლეთ საქართველოში კი 1772 წ. კოკისა და კოკის $^1/_3$-ის ოდენა იქნებოდა.

„თ უ ნ გ ი“-ს ოდენობა აკად. გულდენშტედტსა აქვს განსაზღვრული, რომლის სიტყვითაც თუნგი წონით 1 ლიტრას უდრიდა („Das Maass der Flüssigkeiten Tuni (sic) beträgt nach Gewicht 1 Litra“: Reise, 359).

„ბორჩხულა“ საბას სიტყვით „დოქის ნახევარი“ იყო (იხ. კოკა), ანუ კოკის $^{1}/_{16}$-დ საწყაოდ უნდა ვიგულისხმოთ. მისი წონითი ოდენობა $^{5}/_{8}$ ლიტრა იქნებოდა.

„გორა“ საბა ორბელიანის სიტყვით „შთაიტევს 16 დოქსა“ (ლექსიკ. კოკა). რაკი დოქი კოკის მერვედი და ჩაფის ნახევარი ყოფილა, ე. ი. $1^{1}/_{4}$ ლიტრას უდრიდა წონით, მაშასადამე, გორა უნდა ყოფილიყო $1^{1}/_{4}$ ლიტრა × 16, ანუ 20 ლიტრა, რაც 2 კოკას შეადგენდა.

„გოზაური“ საბას განმარტებით თითქოს „გორას ტოლი“ უნდა ყოფილიყო, ე. ი. 2 კოკის ოდენა. მაგრამ მას იქვე დამატებული აქვს, გორას ტოლი და უმცროსი მისი — დიდი ჰურჰელი“-ო. გორაზე მომცრო გოზაურიც ყოფილა. ცალკე განმარტებაში მას ნათქვამი აქვს „გოზაური — დიდი სალვინე“-ო (ლექსიკ.) და ეს ცნობა უფრო მომცრო საწყაოს გულისხმობს ვიდრე დიდს.

„საწყავის“ სიდიდის გამოსარკვევად ქუთაისის საყდრის 1578 წ. გამოსავლის დავთარში ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება. ერთგან იქ ნათქვამია, რომ ხონში გოტია ყრინტაძეს გამოსაღებად მართებდა „ღომი ურემი ერთი, საწყავი ხუთი თოთხმეტ ჯამ შემავალი“-ო (გვ. 44 § 301). აქეთგან ცხადი ხდება, რომ საწყავის შემადგენელ ერთეულად „ჯამი“ ყოფილა და საწყავი 14 ჯამიანიც არსებობდა.

აკად. გჱლდენშტედტს კი 1772 წ. აღნუსხნული აქვს, რომ ლიხთიმერეთში დოქი 4 საწყაოს შეიცავდა („Ein Doki hält 4 Maass“, Reise, 393). მაშასადამე, საწყავი დოქის ნაოთხალი ყოფილა.

კოჰობისა და კარასეულის სიდიდეზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. საბა ორბელიანის სიტყვით კოჰობა „მცირე ქოთანი“ უნდა ყოფილიყო (ლექსიკ. 152). კარასეული კი არც კი აქვს შეტანილი. სომხურ წყაროებშიც მოიპოვება საზომი „კარას“ *կարաս* (*Աւգերեան*-ის ზემოხს. შრომა გვ. 110), მაგრამ იქაც მისი ოდენობის შესახებ გარკვეული არაფერია.

„კარჩხალის“ სიდიდის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს სამთავნელის სარგოს 1459 წ. გარიგების განახლებული პირის ერთი ცნობა, თუ რომ იქ ტექსტი დამახინჯებული არ არის. ერთგან იქ ნათქვამია: „სამი კარჩხალა ღვნო ხუთი ლიტრითა“-ო. აქეთგან საფიქრებელი ხდება, რომ კარჩხალაში ხუთი ლიტრა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ კარჩხალა საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში მოხსენებული არა აქვს და ისედაც ძეგლებში იშვიათი სანახავია. რაკი საბას განმარტების მიხედვით წესიერი კოკა 10 ლიტრიანი იყო და 5 ლიტრიანს საწყაოს, ანუ ნახევარ კოკას ჰირიკი, ანუ დორა ეწოდებოდა, მაშასადამე, კარჩხალი მერმინდელი ჰარიკისა, ანუ დორას შესატყვისობა ყოფილა.

თავი მეხუთე

მცენარეულობის საზომები

სასოფლო მეურნეობაში ადამიანს მარტო მარცვლეულობასა და სითხესთან არ ჰქონდა საქმე. სანამ მეურნე მოსავლის მარცვალს მიიღებდა, ყურძენს დასწურავდა და საზოგადოდ ყოველგვარ პირნახულს დააბინავებდა, მის ხელთ მცენარეულობა, ხილეულობა და ბოსტნეულობა იყო. წესიერ მეურნეობაში ამასაც, ნამკალს, ნათიბსა, ბოსტნეულობას და სასოფლო მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებსაც აღრიცხვა და ანგარიში ესაჭიროებოდა. ამისთვის კი, რადგან აქ საწონ-საწყაოებით მათი ოდენობის გაგება ან არ შეიძლებოდა ან მიზანშეწონილი არ იყო, განსაკუთრებული საზომები უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. ეკონომიური ისტორიის მკვლევარმა და შემსწავლელმა ამ საზომების ტერმინები და სიდიდეც უნდა იცოდეს.

საქართველოს სასოფლო მეურნეობაში მეხილეობას ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა. ხეხილის ოდენობის აღსანიშნავად „ძ ი რ ი" იხმარებოდა. ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში მაგ., ნათქვამია: „დაუწესეთ პანაშჳდი იოანე ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან ნამუშაევები მისი ოთხმოცდაათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა"-ო (ათონ. კრებ., გვ. 219).

ყოველგვარი ბოსტნეულობის საზომადა და ერთეულად „კ ო ნ ა" ჩანს, რომელიც სარისა და თივის ოდენობის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ვახტანგ მეფის დასტურლამალში ხშირად იხსენიება. მაგ., აღეკის საბატონო გამოსაღების გარიგებაში აღნიშნულია: „სამი დღე უნდა ზუარი იმუშაონ, თავზედ თითო კონა სარი აძეთ"-ო, კავთისხევის მცხოვრებლებს დავალებული ჰქონდათ „ზურის მუშაობაზედ მუშაობა, კომლზედ კონა სარი გ". ქსნის საერისთავოსაც „საკომლოზედ სარი კონა" ჰქონდათ დადებული (გვ. 8, 45, 85). „ჭალის მწუანილის" გარიგებისდა ძალით ბაღებითგან მეფის „ქარხანაში ყოველს წელიწადს თვრამეტს კონას ყოვლის ფერისაგან მისის ბოლოკით მისცემდენ"-ო (იქვე, 104). ამ დებულებაში ყოველგვარი მწვანილი და ბოსტნეულობა იგულისხმება. კავთისხევის საბატონო გამოსაღებში მოურავის სარგოში ნათქვამია „კომლზედ თივა კონალ" (30) მიუტანონო (იქვე 45).

„გ ა ლ ა" ნახმარია საორბელო-საბარათიანოს XVIII ს. დამდეგის გამოსავლის გარიგების წიგნში, რომელშიაც გადასახადად აღნიშნულია „ნიუკა გალა" ამდენი და ამდენი-ო (ი´ე ბატონიშვილისეული წიგნთსაცავის გრაგნილი № 338). საბა ორბელიანის განმარტებით „ნიუკა"-ი მცენარის სახელი იყო, რომელსაც ქართულად „ქალაკოდა" რქმევია. ხოლო თვით „გალა" საბა ორბელიანის სიტყვით იყო „მხალი დაწნული გასახმობელად" (ლექსიკ.). მართლაც თანამედროვე ქართულშიაც ქართლის სოფლებში ჩამოსაკიდებლად და შესანახავად დაწნული ხახვის თავებს გალას ეძახიან. ამგვარად, „გალა" ბოსტნეულის გარკვეული ოდენობის ნაწნავს წარმოადგენდა არც დასავლეთ საქართველოს და არც აღმოსავლეთის სხვა ძეგლებში ჩანს ეს ტერმინი.

„ზ ნ ა დ", ანუ „ძ ნ ა" ამერ-იმერეთში იხმარებოდა მომკულ-გაულეწავი პურისა, ქერისა და თივისათვისაც. ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში წერია: „მართებს გაბუნიას ორს განაყოფსა ი˝ეს და მისსა ძმასა თივა ზნად ცხრაასი" (გვ. 16 § 121). საბა ორბელიანს კი ძნა უკვე განმარტებული აქვს როგორც „ყანის კონა" და ესაიას თარგმანით (17) არის ამგვარი ახსნა დასაბუთებული. დაბადების ქართულ თარგმანში „ძნეული" (ისუ ნავედსი 2_6) გვხვდება.

„ზ ვ ი ნ ი" თივის საზომი იყო იმიერ-ამიერ საქართველოში უკვე დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება (ისუ ნავედსი 2_6 მსაჯულთაჲ 15_5, იობისი 5_{26}, რუთისი 3_7 ყანისათვის. ხოლო ლიხთიმერეთის 1573 წ. ერთ საბუთში აღნიშნულია: „მართებს... თივა ზვინი ერთი"-ო (დას. საქ. საბ. I, 29). საბა ორბელიანს ზვინი თივისა კი არა „ყანის ბრჯა"-დ აქვს განმარტებული, რის საბუთადაც მას გამოსლვათა 8. 14 აქვს დასახელებული (ლექსიკ.).

„ზ ა რ ი" ან „ძ ა რ ა" ამერ-იმერეთში იხმარებოდა. ბზისათვის არის ერთგვარ საზომად დასახელებული ვახტანგ მეფის დასტურლამალში, სადაც კოდის-პურის გარიგებაში ნათქვამია, რომ ზემოქართლელთ ედოთ „ბზე საკომლოზედ ზარია" (გვ. 44), საბარათაშვილოს მცხოვრებლებს კი „საკომლოზედ ბზე საქედრით" (გვ. 74). ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დიდ დავთარში ს. ნაგუაზაუში „კაკალი ღომი"-სათვის ერთი ძარა ამოკირული კაკალი ღომი", „ერთი ამოკირული ძარა ღომი", „ერთი დიდი ძარა ღომი"-ო, ნათქვამია სამი მოსახლე კაცის ბეგარის აღნუსხვილობაში (გვ. 18).

„ზარი" „ძარა" ახლა აღმოსავლეთ საქართველოში იმ შენობას ეწოდება, სადაც მოსავალს ინახავდენ ხოლმე, მაგრამ საბა ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ძარი დიდი ურემი ბზის მოსატანად ლასტებ-ამოკრული" არისო (ლექსიკ.). უეჭველია, დასტურლამალსა და აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის დიდ დავთარში სწორედ იმ მნიშვნელობით უნდა იყოს ეს ტერმინი ნახმარი, როგორც ჩვენს ლექსიკოგრაფსა აქვს განმარტებული.

„მ კ ლ ა ვ ი" ფეტვის საზომად არის მოხსენებული ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში, რომელშიაც წერია: „ფეტჳ მკლავი ოცდაათი"-ო (§ 178, იხ. აგრეთვე §§ 179—214 და სხვა).

„ზ უ რ გ ი" თივის საზომად არის ნახმარი იმიერ-ამიერ საქართველოში. იხსენიება სამთავნელის სარგოს 1459 წ. გარიგების წიგნში, რომელშიაც აღნიშნულია „სამი ზურგი თივა" და 1550—1570 წწ. ერთს ლიხთიმერეთის საბუთშიაც, სადაც ნათქვამია: ამა და ამას „მართებს... ათ-ათი ზურგი თივა"-ო (დას. საქ. საბ. I, 22). მაგრამ თავისდათავად ცხადია, რომ ზურგი მარტო თივისთვის კი არა, არამედ სხვა ბევრი რამისათვისაც შეიძლება ყოფილიყო ნახმარი.

„ს ა თ ა რ ი" ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება შეშის საზომად: ბოლნისის გამოსაღების გარიგებაში ნაცვლის სარგოდ სხვათა შორის „თითო სათარი შეშა"-ც არის აღნიშნული (გვ. 18). პ. უმიკაშვილს ამავე ძეგლის ლექსიკონში განმარტებული აქვს, რომ ეს ტერმინი „ერთის უღელის ხარით მოთრეული შეშა"-ს აღნიშნავდა. ჩვენს სახელოვან ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანსაც ეს ტერმინი დაახლოებით ამგვარადვე აქვს განმარტებული: „სათარი შეშა მოთრეული"-ო (ლექსიკ.). აქეთგან არა ჩანს, თუ როგორ იყოს შეშა მოთრეული, სახელდობრ რომ ერთი უღელი ხარით.

„მარხილი“ ლიხთიმერეთში იხმარებოდა თივის ოდენობის გამომხატველ ერთეულად. 1550—1570 წწ. ერთ საბუთში მაგ., ნათქვამია: „არის მისაცემი კუამლზედ... ორი მარხილი თივა“-ო (დას. საქ. საბ. I, 23). აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსაღების დიდ დავთარშიაც მარხილი ჩხარში თივის საზომად იხსენიება (გვ. 3—4).

„ჯინი“ პატივის ოდენობის გამოსახატავად მიღებული ერთეული ყოფილა. ვახტანგ მეფის დასტურლამალში ნათქვამია, რომ კავთისხეველთ ზვრისათვის „ნეხვი ჯინი სამი“ უნდა მიეტანათ ყოველწლიურად (გვ. 45). საბა ორბელიანის განმარტებით „ჯინი გოდორ-მარხილი“ ყოფილა (ლექსიკ.).

თავი მეექვსე

ნართისა და სამოსის საზომები და ერთეულები

ძველ ქართულ მეურნეობაში საპატიო ადგილი საფეიქრო ხელოვნებას და მასთან დაკავშირებულ საწარმოო დარგებსა ჰქონდათ: სელის მოყვანა, მებამბეობა და მეაბრეშუმეობა ჩვენი ერის ქონებრივი სახსარის ერთ-ერთ მთავარ წყაროთაგანს შეადგენდა. რაკი მეურნობის ამ დარგშიაც ანგარიში და ვარაუდი აუცილებელი იყო, აქაც განსაკუთრებული აღრიცხვის ერთეულები არსებობდა.

„ქუმი“ იმ ერთეულს ეწოდება, რომლის მიხედვითაც აბრეშუმის გადასახადს ჰკრეფდენ ხოლმე. ვახტანგ მეფის დასტურლამალში იხსენიება. ინდოს ლანჩპარის შესახებ გარიგებაში ნათქვამია: „აბრეშუმის ქუმზედ ვინც სახასო ქუმს შეკრავს, სამი ბატონისა არის მისი მოსავალი და ორი ლანჩბარისა“-ო (გვ. 47) ან კიდევ: „ამ აბრეშუმის მოსავალში რომელიც სახასო ქუმი არ შეიკრვის და ჰავაი ქუმები შეიკრვის,... იმისი ათისთავი სალთხუცისა და მდივნებისა არის“-ო (გვ. 48).

„ქუმი“ თურქული სიტყვა كم-ია, რაც როგორც პ. უმიკაშვილსაც აღნიშნული აქვს იმ ფიცარს ან ლასტს ეწოდებოდა, რომელზედაც აბრეშუმის ჭიას გამოიყვანდენ და გამოჰკვებავდენ ხოლმე.

„გ უ ლ ი“ აბრეშუმის საზომის ერთეული იყო და ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება. ინდოს ლანჩპარის გარიგებაში ნაბრძანებია, რომ აბრეშუმის გამოსავლითგან „ტარუღისა არის ქუმზედ ერთი გული აბრეშუმი“-ო (გვ. 47). „გული“ აბრეშუმი დასტურლამალის ცნობის მიხედვით ან იმ ცახს უნდა ნიშნავდეს, რომელზედაც აბრეშუმის ჭიები პარკს აკეთებდენ ან თვით აბრეშუმის პარკს.

„მ ა ნ ჯ ა ნ ი კ ი“ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში გვხვდება აბრეშუმის ოდენობის ერთეულად. ვახტანგ მეფის დასტურლამალში მაგ., შულავერისა და თეთრისოფლის გარიგებაში მოურავზე ნათქვამია: („მანჯანიკზედ თვთო სტილი აბრეშუმი, თუ მოვიდეს, თორემ ნუ სთხოვს“-ო გვ. 99).

ქიზიყის მოურავის სარგოს 1798 წ. გარიგებაში წერია: „დიდს მანჯანიკზე სამი სტილი აბრეშუმი მოურავისა არის“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი III, 137). აქეთგან ირკვევა, რომ იყო „დიდი მანჯანიკი“ და პატარაც.

„მანჯანიკი“ ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბული منجنيق منجنيك، რომელიც მანქანას, საომარ მანქანასა და აბრეშუმის, მატყლისა და სხვა ნართის ამოსახვევ მანქანას ეწოდებოდა. საბა ორბელიანის განმარტებითაც მანჯანიკი „ჩიგორგალის ამოსაღები ჰახრაკი“ იყო (ლექსიკ.).

„შ უ ლ ო“ ნართის საზომად იხმარებოდა იმიერ-ამიერ საქართველოში. დასავლეთში ბამბისათვის არის ნახმარი 1550—1570 წწ. ერთ საბუთში, „თვითო შულო ბამბის ნართი“ იხსენიება (დას. საქ. საბ. I, 23). წილკნელის სარგოს 1669 წ. გარიგების წიგნშიც „შულო“ ხშირადა გვხვდება (ა. ხახ. გუჯრები)). საბა ორბელიანიც ამბობს, რომ „შულო ნასთის ბოკელი“ იყო (ლექსიკ.).

„კვერცხი“ აბრეშუმის ყაჭის საზომად იხმარებოდა. ვახტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება. ბოლნისის გამოსაღებში ნათქვამია, რომ მოურავისათვის უნდა „კომლზედ ორი კვერცხი ყაჭი“ მიეცათ (გვ. 18). შულავერისა და თეთრსოფლის გამოსაღებშიც მოურავისათვის გადაკვეთილია „კვამლზედ თვთო კვერცხი ყაჭი, ვისაც ჭია ჰყუანდეს“-ო (გვ. 99), ხოლო შულავერის მამასახლისის სარგოში აღნიშნულია, რომ „ვინც ჭიას შეინახავს, ერთი კვერცხი ყაჭი“ უნდა გამოელო (გვ. 100).

„კოჭი“ ნართისათვის იხმარებოდა. ანნა დოლენჯიშვილის 1796 წ. მზითვის წიგნში გვხვდება (ს˝ქს სძ˝ელნი I, 404). იყო „დიდი კოჭი“ და „მომცრო“. დიდი კოჭი „ორ-სტილიანი“ ყოფილა (იქვე), მომცროს ოდენობა კი აღნიშნული არ არის.

„ქელი“ საზომად იხმარებოდა იმიერ-ამიერ საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა დანიშნულებისათვის. აღმოსავლეთში ტანისამოსის რიცხვის აღსანიშნავად გვხვდება ერთეულის ტერმინად. ვახტანგ მეფის დასტურლამალში მაგ., ნათქვამია „წელიწადში ერთი ქელი თავისი საკადრისი ტანისამოსი თავით ფეხამდი უნდა მიეცეს გერაქიარაღის მოხელესო“ (გვ. 21 და 59). ამგვარადვე „ერთი ქელი ტანისამოსი თავლიდარს“ ეკუთვნოდა (გვ. 69). ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნშიც წერია: გამდელი „ერთი კუერნით დაბეწვილი მისის თორმეტის ხელის ოქროსქსოვილისა კაბა საგულითა, ოქროსქსოვილის სარტყლებითა... კურდღლით დაბეწვილი... ქათიბითა და ტყავ-კაბითა ცხრის ხელის ოქრო-ქსოვილის კაბა-საგულითა, სარტყლითა“ და სხვაც ბევრი ამგვარი (ს˝ქს. სძ˝ელნი III, 489).

ამ სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ „ქელი ტანისამოსი“ ადამიანის თავით ფეხამდის შესამოსად საჭირო ყოველგვარ საცმელ-სამოსელს ეწოდებოდა.

ამავე ხელის მნიშვნელობის ტერმინია „დასტა“, მხოლოდ სპარსულითგან არის შემოსული دسته და მზითვის წიგნებში გვხვდება მაგ., ანნა დოლენჯიშვილის 1796 წ. მზითვის წიგნში იხსენიება „ჩახჩურ საკრავის ფირფიტები ერთი დასტა“, „ჩხირში ქისისტა ორი დასტა“, „ერთი დასტა ჩალის კოვზი“, „ერთი დასტა სურათი“ (ს˝ქს სძ˝ელნი I, 404, 405, 408).

„ცხრა“. საკმარისია ადამიანმა ძველი მზითვის წიგნები გადაშინჯოს, რომ დარწმუნდეს, რომ წინათ საქართველოში ტანისამოსსა და თეთრეულს, სამკაულსაც ცხრა-ცხრაობით აკეთებდენ და თვლიდენ კიდეც. „ერთი ცხრა“ სწორედ იმის მომასწავებელია, რომ „ცხრა“ ერთეულად იყო მიჩნეული. მაგ., ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნში ნათქვამია: სხვათა შორის მზითვად მოეცა „ღილი ორი ცხრა... იქნა არხალუხის ჯამი ორი ცხრა... კაბა ერთი... ერთის ცხრის მარგალიტის ღილითა და ხრიკებითა... იქნა კაბის ჯუმალი ექუსი ცხრა და სამი“ (ს˝ქს სძ˝ელნი III, 486 და 487).

„წყუილი“, „წყვილი“ ჩვეულებრივი სიტყვა და ტერმინია, დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანშიაც ორი საგნის თუ ცხოველის აღსანიშნავად, მეტადრე როდესაც ამ ორი ნივთისა თუ სულიერი არსების ერთადმყოფობის მუდმივობის გამოხატვა სურდათ. ხშირია, რასაკვირველია, ეს ტერმინი მზითვის წიგნებში, მაგ., 1712 წ. ანუკა ბატონიშვილისაში ნათქვამია: „ფრანგის ატლასის კაბა ჩალის ფერი ერთი ორის არშიითა, ცხრის წყუილის ოქროს ჩაფრასტებითა და ხრიკებითა“ (ს˝ქს. სძ˝ელნი III, 486—487) ან კიდევ „ტყავი ერთი მარგალიტის დიდის აშითა (sic)... სიასამურით დაბეწვილი ოთხის წყუილის ოქროს მურასას ქურთუბალითა“ (იქვე, 487—488).

თავი მეშვიდე

საჭმლის საზომი ერთეულები

ადამიანის კვება ყოველდღიური თუ განსაკუთრებული, საზეიმო შემთხვევისათვის სურსათის ხარჯს თხოულობდა. ადამიანის ბუნებისა და მადის მოთხოვნილებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამა და გამოცდილებამ გამოარკვია და წესად აქცია საჭმლის ის ოდენობა, რომელიც ჯანსაღი არსებობისათვის საჭიროა. ამგვარად, ყოველმა დიასახლისმა და სუფრაჯმა იცოდა, რამდენ სულს რამდენი საჭმელი დასჭირდებოდა და რომელ საჭმელს რამდენი მასალა მოუნდებოდა. შეიქმნა გარკვეული სიდიდის ჭურჭელი, როგორც სამზარეულოში სახმარებელი, ისევე ჭამის დროს. კულტურული და ეკონომიური ისტორიისათვის საჭიროა, რომ ამ ერთეულეზზეც მკაფიო ცნობები გვქონდეს.

„თ ა ს ი" გ. მთაწმიდელის თხზულებაში ღვინის სასმისის მნიშვნელობით არის ნახმარი. მას აღნიშნული აქვს: ეფთჳმე მთაწმიდელი „ტრაპეზსა ოდესაც დაჯდის, ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ ძმათა ღჳნისაგან ყოვლადვე თასითა ღჳნოსა დაუდგმოდეს"-ო (ც˝ა ი˝ესი და ეფთ˝მსი 40). ხოლო შემდეგში იხსენიება ბრინჯისა და საჭმლის ერთგვარ საზომად. ბოშაყაბების გარიგებაში ნათქვამია: „საჭმლის ბოშაყაბისა უწინ ასრე ყოფილა:.... ოსტატს თასი ა, საყას თასი ა, აუშტარს თასი ა, მეთეფშეს თასი, მუშრიბს ბოშყაბი" (გვ. 16 იხ აგრეთვე გვ. 91 ყაბეზის რიგისათვის, სადაც საჭმელისათვის არის ნახმარი). თასი ჭურჭლის სახელი იყო და არის. ბარათაშვილების 1523 წ. გაყრილობის წიგნში „თასები" სახლის ჭურჭელშია მოხსენებული (ქ˝კბი II, 350). სპარსულად طاس თას ამავე მნიშველობით იხმარებოდა, არაბულითგან ევროპულ ენებში მაგ., გერმანულსა და ფრანგულშია Tasse, tasse არის შესული ფინჯნის აღსანიშნავად. საბა ორბელიანის განმარტებით „თასი სასმისია" (ლექსიკ.) და ამ განმარტების ხაბუთად მამათა ცხოვრებას ასახელებს. შემდეგ უკვე აქ და ცხოვრებაში ერთგვარ საზომადაც იხმარებოდა. უეჭველია, ასეთ შემთხვევებში გარკვეული სიდიდის თასი იგულისხმებოდა და ალბათ მისი ოდენობაც ყველამ დაახლოებით მაინც იცოდა.

„ბ ა დ ი ა" ჭურჭლის სახელი იყო, მაგრამ ამავე დროს ერთგვარ საზომადაც იხმარებოდა საჭმლის მასალის ოდენობის აღსანიშნავად. ყაბების შესახებ გარიგებაში მაგ., ნათქვზამია, რომ „შეჭამადად ბადიაზედ ლიტრა ა ($1^1/_2$)... ბოღლამასათჳს ერთს ბადიას ი-ანი ლიტრა ერთ-ნახევარი"-ო (ვახტანგ მეფის დასტურლამალი, გვ. 91).

საბა ორბელიანის სიტყვით „ბადია დიდი ჯამია" (ლექსიკ.). ეს ტერმინი სპარსულშიაც იხმარება باديه „ბადიაჰ" და სპარსულ სიტყვად ითვლება. არაბულშიაც არის შესული და იქ باطيه-ად იწერება. სპარსულად ბადიაჰ ღვინის, სასმელის კოკას, ცხვირიან ჭურჭელსა ნიშნავდა. ქართულში ამ ტერმინს მნიშვნელობა შეცვლილი აქვს.

„ყ ა ბ ი" მოხარშული ბრინჯის და საერთოდ საჭმლის ოდენობის საზომად და ერთგვარ ერთეულად იხსენიება ვახტანგ მეფის დასტურლამალში. სასახლისა და მეჯლისის გარიგებაში გვხვდება ხშირად, მაგ., ალაყაფის აივანის შუასახლში მეჯლისისათვის „გააკეთონ ფლავი ყაბი თექვსმეტი, ამისგან სამი ყაბი ბატონის წინ დასადგმელად, და სხვა საჯაროდ"-ო (გვ. 5), ახალ სასახლეში კი რომ გაიმართებოდა წვეულება, „უნდა გაკეთდეს ფლავი ყაბი ორმოცი, ამისგან ხუთი ბატონის წინ დასადგმელი; ოცდა თუთხმეტი საჯაროდ" (გვ. 5).

„ყაბი" როგორც დასტურლამალის ტექსტითგან ირკვევა, იმ ჭურჭლის სახელი იყო, რომელშიაც საჭმელს აკეთებდნენ. ერთ ყაბში საჭმლის მასალის გარკვეულ ოდენობას ხმარობდენ ხოლმე და ამიტომ ყაბი ერთგვარ საზომს წარმოადგენდა. მაგ., მეფის, ანუ „ბატონის წინ დასადგმელის ყაბისათვის უნდა მიეცემოდეს ერთის ყაბისათვის ბრინჯი ლიტრა ბ, კორცი ლიტრა ა,O (ე. ი. 1½), ერბო თუ ხალასი იყოს ლიტრა ბრინჯზედ ჩარექი ა და თუ ხალასი არ იყოს — ჩარექ-ნახევარი" (გვ. 90). იმისდა მიხედვით, თუ რა საჭმელი მზადდებოდა, ყაბსაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და მასალის სათანადო ოდენობა მოეხმარებოდა ხოლმე. არსებობდა „ჩილავის ყაბი", „ქათმის ყაბი", „მუთანჯის ყაბი", „ბატკნის ყაბი", „იახნის ყაბი", „ბოარნის ყაბი", „საჯერგო ყაბი" და „სამარხო ყაბი" (გვ. 90—91).

ყაბი თურქული სიტყვაა. قاب ، قب „ყაბ" საზოგადოდ ჭურჭელს, ქოთანს, ქვაბს, პარკსა და საფენსაც ნიშნავს. ქართულში მხოლოდ ქვაბისა და საჭმლის ჭურჭლის მნიშვნელობით არის შემოსული.

„კ ე ნ ჭ ი" ყველის ოდენობის აღმნიშვნელი ერთეულის ტერმინად იხმარებოდა ლიხთიმერეთში. მაგ., საცაიშლოს დავთარში აღნიშნულია „სამოცი კენჭი ყველი" და ამის მსგავსი (გვ. 38—40). აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაღების დიდ დავთარშიაც საქუჩულარიოს ბეგარში იხსენიება ეს ტერმინი, მაგ., „ოცი კენჭი ყველი"-ო და სხვა (გვ. 18—19). კენჭი უეჭველია, აქ ყველის კვერეულს ნიშნავს. რომელიც, როგორც სახელითგანაც საფიქრებელი ხდება, პატარა და გამხმარი უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოში „ხელი" გამომცხვარი მჭადის ერთეულის აღსანიშნავად იხმარებოდა. ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარში წერია: „საჯინიბო მჭადი ხელი ოცდაათი (გვ. 16 §§ 122, 123 და სხვაგანაც).

„ხ ო ნ ჩ ა" ერთგვარ საზომის ერთეულად არის ნახმარი. XVIII ს. მეორე ნახევრის ქალაქის მოურავის ხელისუფლება-სარგოს გარიგების წიგნში შაქრისა და „ნუღლის"-ათვის (ს˝ქს სძ˝ველნი II, 524). იქ ნათქვამია: „ახალ წელიწადს... ქედხუდებმა ან სამის ხონჩით ან ორის ხონჩით ნუღლი და შაქარი უნდა მოართვან"-ო (ს˝ქს სძ˝ველნი II, 524). ხონჩა სპარსული სიტყვაა خوانچه პატარა მაგიდას ნიშნავს, აგრეთვე ძღვნის ერთეულსაც ეწოდებოდა.

„ლ ა ნ გ ა რ ი" ქალაქის მოურავის ხელისუფლება-სარგოს XVIII ს. მეორე ნახევრის გარიგების წიგნში თევზეულობისა, ზეთისხილისა და ხილეულობისათვის არის მოხსენებული საზომად (ს˝ქს სძ˝ველნი II, 525). იქა წერია: „ახალციხიდამ და აწყვერიდამ ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, ამისთვის ლანგრით უნდა მიერთვას მოურავს ნიხრის მიცემისათვის (ს˝ქს სძ˝ველნი II, 526). ლანგარი لنگری სპარსულშიც არსებობს იმავე მნიშვნელობით, როგორც ქართულში, სპილენძის ან სხვა ლითონის რგვალი კიდეებ-აწეული დიდი თეფშია.

„კ ა ლ ა თ ა“ ან „კ ა ლ ა თ ი“ დასავლეთ საქართველოს შემოსავლის წიგნებში გვხვდება მჭადისა და ღომისათვის. მაგ., ხონის საყდრის 1600 წ. ახლო ხანის გამოსავლის დავთარში ნათქვამია: „მართებს ამინადარას კუატუშაძეს... ერთი კალათი სამეჯინიბო მჭადი“ (გვ. 9). აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დიდ დავთარში ს. მათხოჯის მცხოვრებთ შეწერილი აქვთ ან „ერთი კალათი მჭადი“ ან „ერთი კალათი ღომი“ (გვ. 12—14). საბა ორბელიანისათვის „კალათა მცირე გოდორი“-ა მხოლოდ (ლექსიკ.).

თავი მერვე

სივრცის საზომები

სივრცის საზომები, რასაკვირველია, უფრო საგეოგრაფიო თხზულებებშია მოსალოდნელი. ძველი ქართული საგეოგრაფიო მწერლობის ძეგლი ვახუშტი ბატონიშვილის განთქმული ნაწარმოების გარდა არ მოგვეპოვება ჯერჯერობით მაინც. საისტორიო და იურიდიულ-ეკონომიური ხასიათის ძეგლებში სივრცის საზომები უფრო იშვიათია. ამის გამო სივრცის საზომების შესახებ ძველ საქართველოში ჯერ მცირე ცნობები გვაქვს. ამ დარგის ძველი ტერმინოლოგიის შესწავლა საღმრთო წერილის ქართული თარგმანის საშუალებით შეიძლება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც იქ მოიპოვება, საქართველოს ძველ ცხოვრებაში არ იხმარებოდა, არამედ ებრაელთა მწერლობის ამ ძეგლის თარგმანთან ერთად არის ქართულში შემოსული. დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანში სივრცის საზომთაგან გვხვდება:

1. „თ ი თ ი“, იერემიას მაგ., ნათქვამი აქვს — „სისქე ოთხთა თითთაჲ (52,21). „თითი“ უდრის ბერძნულს δάκτυλος და ლათინურს digitus, რომელთა სიგრძე მეტრული სისტემით 18,5 მილიმეტრად არის ნაანგარიშევი.

2. თუმცა XI—XVIII სს. საბუთებში არ გვხვდება, მაგრამ რადგან საღმრთო წერილსა და თანამედროვე ქართულშიც იხმარება, უეჭველია სიგრძის საზომთა შორის „გ ო ჯ ი“-ც უნდა ყოფილიყო. საბა ორბელიანს ეს ტერმინი განმარტებული აქვს, როგორც „თითით ნაწევარი“. მაგრამ უეჭველია აქ თავდაპირველი დედანი გადამწერისგან უნდა იყოს დამახინჯებული. საბას ეწერებოდა: გოჯი ცერის თითის ნაწევარი-ო. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს მეორე ტერმინის „გოჯეული“-ს განმარტებაც. „გოჯეული არს ორთავე ცერთა გოჯები შეყრით სიგრძეზედ“-ო (ლექსიკ.). „გოჯეული“ იეზეკიელს აქვს ნახმარი: „სწორი გოჯეულისაჲ“, „წყრთისა და გოჯეულისაჲ წიაღეული სიღრმე“-ო (XL, 5 და XLIII, 13) და აქ ბერძნულ ტექსტში გოჯეულის შესატყვისად წერია παλαιστή, რაც ორი გოჯის სიგრძეს კი არა, არამედ ოთხი თითის სიბრტყეს, ხელის სიგრძეს ნიშნავს, ნაბიჯის 1/4-ად ითვლებოდა და 74 მილიმეტრის ოდენა იყო.

„მ ტ კ ა ვ ე ლ ი“ საბას საზომად არა აქვს განმარტებული, არამედ ნათქვამი აქვს მხოლოდ „ცერი და ნეკი გაჭიმული“-ო. „მტკაველი“ დაბადების თარგმანში გვხვდება: „მტკაველი სიგრძე და სივრცე“ (გამოსლვათაჲ XXVIII, 16), „სიზრქე მისი მტკაველნი“ (2 ნეშტთაჲ III, 5). ბერძნულ დაბადებაში, ეს ტერმინი ბერძნულ ἡ σπιθαμή-ს უდრის, რაც ცერსა და ნეკს შორის მანძილს, ჩვენი მტკაველის აღმნიშვნელია და მეტრული სისტემით 222 მილიმეტრს ეთანასწორება.

„ბ ი ჯ ი“ საბა ორბელიანის ცნობით „იქმნების ხუთი ტერფი“ (ლექსიკ.). „ბიჯი“ უდრის ლათინურ passus-ს, ხოლო „ტერფი“ —pas-ს. მართლაც რომაული 1 passus-ი=5 pedes-ს. მეტრული სისტემით რომაული 1 ბიჯი 1,48 მეტრს უდრიდა.

„წ ყ რ თ ა“ ძველ ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივი სიგრძის საზომიადა დაბადების ქართულ თარგმანში ხშირადა გვხვდება: „იყო ცხედარი მისი...

ცხრა წყრთა სიგრძე მისი და ოთხი წყრთა სივრცე მისი წყრთითა მამაკაცისათა“ (მეორე შჯულისაჲ III, 11), „წყრთა ერთ“ (მათეჲს VI, 27, ლუკა XII 25). ბერძნულად აქ წერია ὁ πῆχυς, რაც იდაყვს და იდაყვითგან შუათითის სიგრძეს, წყრთას ნიშნავს, და 444 მილიმეტრს უდრიდა, ლათინურად cubitus-ი ეწოდებოდა. საისტორიო და სხვა ძეგლებში ეს ტერმინი იშვიათი შესახვედრია. ყანჩაეთის 1693 წ. ჟამნგულანში მის შემმზადებელს ზაქარიას წიგნის ანდერძში ნათქვამი აქვს სხვათა შორის, რომ ღამე გოდლითგან გამოსული ფეხდასხლეტილი გადმოვარდნილა და „გოდლისა მისთანა ზღუდე-გალავანისა სიმაღლე წყრთა კა“ (21) იყო“-ო (ქ˝კბი. II, 512). დასავლეთ საქართველოს გამოსავლის გარიგების წიგნებში და საბუთებშიც აქა-იქ იხსენიება. მაგ.: საცაიშლოს დავთარში წერია გამოსაღებად „სამასი წყრთა ტილო (გვ. 42). აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ დავთარშიც „მწყრთა“ ტილოს სიგრძის საზომად არის ს. ნაჲანეულის გამოსაღების აღნუსხულობაში ნახმარი (გვ. 25—28) XVIII ს. დასავლეთ საქართველოს ერთს საბუთშიაც აღნიშნულია: „მართებს ერთობით წივწივაძეებს თითო მწყთა ტილო“-ო (დას. საქ. საბ. II, 126).

„მ ქ ა რ ი“ სიგრძის საზომად როგორც აღმოსავლეთსა, ისევე დასავლეთ საქართველოში იხმარებოდა. ეს ტერმინი დაბადების ქართულ თარგმანშიც იხმარება. საქმე მოციქულთაში ნათქვამია: ნავითგან ზღვაში „გარდაათხევეს საზომი და პოვეს (სიღრმე) ოთხ მქარ“ შემდეგ „კუალად მოზომეს და პოვეს ათხუთმეტი მქარი“ (XXVII, 28). ბერძნულად აქ ὀργυιά არის ნახმარი, რაც ორთავე გაშვერილი ხელის შუა მანძილს ეწოდებოდა და 1,776 მეტრს უდრიდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, რომ ლიხის მთაზე ზამთარში დადებული თოვლის „სიმაღლე „მქარი სამი“ იყო“-ო (ც˝ა მფ˝თ მფ˝სა დ˝თსი, * გვ. 305). სამთავნელის სარგოს 1459 წ. გარიგების წიგნში წერია: „ხუცესს ტყავი მქარი“-ო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგნილი № 559). 1805 წ. დასავლეთ საქართველოს ერთ საბუთში ნათქვამია: „მოგყიდეთ ზმანით ქცევა ოცდაათ-ოცდაათი მხარი“-ო (დას. საქ. საბ. II, 149). წყრთის შესახებ საბა ამბობს, რომ „წყრთა არს იდაყვიდამ თითის წვერამდის, ხოლო ხრონოღრაფში მწყრთა მხარად აღუწერიათ მრუდად და სომეხნიცა აგრე იტყვიან“-ო (ლექსიკ.) „მქარი“-ს სიდიდეზე კი ნათქვამი აქვს: „ოთხი წყრთა ერთ მქარი არის, ვიდრე ორთავე კელთა სრულიად გაწუდა“-ო (იქვე). ბერძნებიც სწორედ ასევე ანგარიშობდენ და ერთი მქარი, 1 ὀργυιά = 4 πήχεις, ოთხ წყრთას. სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფის ზემომოყვანილი სიტყვებითგანა ჩანს, რომ გარკვეული დროითგან და, როგორც ეტყობა, მასზე უწინარეს, წყრთისა და მქარის სიდიდე საცილობლად შექმნილა. აზრთა სხვაობა თურმე იმაში მდგომარეობდა, რომ წყროა მხარის ოდენა სიდიდედ მიუჩნევიათ. რადგან „მქარი“ ოთხი წყრთის შემცველი საზომი იყო, წყრთას მხარის მნიშვნელობით ხმარება „მქარის“ ოთხჯერ გადიდებასა ნიშნავდა.

წყრთის ოდენობის გადიდების ცნობის დამადასტურებელი ერთი ადგილი საცაიშლოს გამოსაღების XVII ს. პირველი მეოთხედის დავთარშიც მოიპოვება. ჯგალის ორი მცხოვრების შესახებ იქ ნათქვამია: „თვითოს წელიწადსა სამასი (sic) წყრთა ტილოსა მოართმევდეს“-ო (გვ. 42), ხოლო დავთრის ბოლოში იქ, სადაც გამოსაღებების საერთო ჯუმალებია მოთავსებული, ჯგალის გამოსაღებზე ნათქვამია: „სამასი ადლი ტილო“-ო (გვ. 45). ცხადია აქეთგან, რომ

„წყრთა" და „ადლი" აქ თანასწორ ოდენობად არიან ნაგულისხმევი, ე. ი. წყრთის ოდენობა უკვე გადიდებულია.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ დავთარში ნაყანეულის გამოსაღებში ზოგან სიგრძის ზომის მოუხსენებლივაც, მარტო „ტილო" არის ხოლმე აღნიშნული, მაგ., „ბეგარაჲ: ტილო, ორი გობი ღომი, ორი ქათამი" და სხვა (გვ. 24—25). ჯერ კიდევ გამოსარკვევია, აქ დამწერს გამორჩენია ტილოს საზომისა და ოდენობის შესახები ცნობა, თუ ასეთ შემთხვევებში ქსოვილის გარკვეული სიგრძე-სიგანის ოდენობა იგულისხმებოდა და ამგვარად „ტილო" ერთნაირად საზომის აღმნიშვნელი ტერმინიც იყო?

„ადლი" სივრცის საზომი იყო და იხმარებოდა როგორც მიწისა, ისევე ფართლეულობისა და საქონლის ან საგნისათვის. 1705 წ. აღმოსავლეთ საქართველოს ერთს სიგელში წერია: „ჩრდილოს მხარეს ჩვენს სასახლემდინ ხუთი ადლი მიწა"-ო (ისტ. საბ. V, 7). ქალაქის მოურავის ხელისუფლება-სარგოს გარიგების წიგნში ადლი ვაჭრობაში, ფართლეულობის სიგრძე-სიგანის საზომად იხსენიება (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 527). დასავლეთ საქართველოში „ადლი" უკვე XVI ს. ძეგლში გვხვდება ტილოს სიგრძის საზომად, 1513 წ. გელათის შეწირულობის წიგნში აღნიშნულია: „მივეცით ათასი ტილო"-ო (დას. საქ. საბ. 1, 4). 1550—1570 წწ. საბუთში ნათქვამია „გამოიღებდეს საადღგომოდ... თექვსმეტს ადლს ტილოსა"-ო (დას. საქ. საბ. I, 25) „ადლი"-ს შესახებ საბა ორბელიანს ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „საზომი" იყო, მაგრამ მისი ოდენობა არა აქვს განსაზღვრული. აკად. გულდენშტედტის ცნობითგანა ჩანს, რომ იმიერ-ამიერ საქართველოში „ადლი" ერთნაირი ყოფილა. (Reisen, 359 და 393).

ამგვარად ირკვევა, რომ ადლი სივრცის საზომი იყო და იმიერ-ამიერ საქართველოში იხმარებოდა: დასავლეთ საქართველოში ეს ტერმინი და საზომი XVI ს. დამდეგითგან იხსენიება, ამიტომ, თუ უფრო ადრე არა, შესაძლებელია XV ს. დამლევსაც ყოფილიყო. ამერეთში XVIII ს. დამდეგზე უწინარეს, თუ არ ვცდები, ჯერ არა ჩანს.

ადლი იქნებ დაკავშირებული იყოს არაბულ სიტყვა عدل ადლი-სთან, რაც კანონიერს, სამართლიანს ნიშნავს. მაგრამ ამ სახელის მატარებელი სივრცის საზომი არც არაბულსა, არც სპარსულში და ოსმალურში არა ჩანს.

„ადლის" ოდენობაზე საბა ორბელიანს არაფერი აქვს ნათქვამი. მხოლოდ აკად. გულდენშტედტს მოეპოვება ამის შესახები ცნობა: მისი სიტყვით ადლი როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში ერთი ზომისა ყოფილა და ინგლისურ 3 ფუტსა და 4 დუიმს უდრიდა („Adeli (sic) ist 3 Fuss 4 Zoll engl. Maass", Reisen, 359 და 393), ანუ მეტრული სისტემით 1,0160 მეტრს. ამგვარად, ქართული ადლი სიგრძით ერთ მეტრს უდრიდა, მხოლოდ ოდნავ მასზე მოზრდილი ყოფილა.

ძველ ქართულში სიგრძის საზომად „უტევანი" და „მილიონი" იხმარებოდა. მაგრამ XV—XVIII სს. ძეგლებში აღარ გვხვდება. ჩვეულებრივია ტერმინი „უტევანი" სახარების ქართულ თარგმანში, სადაც იგი ბერძნული στάδιον სტადიონ-ის შესატყვისად არის ნახმარი (მათე XIV, 24 და ლუკა XXIV, 13). ბერძნული სტადიონი = 100 მხარს = 400 წყრთას, მეტრული სისტემით კი 177,6 მეტრს შეადგენდა, რომაული კი = 125 Passus-ს = 625 pedes = 165 მეტრს, ამდენივე უნდა ყოფილიყო ქართული უტევანიც.

„მილიონი"-ც სახარებაში გვხვდება (მათე V, 41), უდრის ბერძნული ტექ-

სტის Mίλιον-ს. გ. მთაწმიდელს აღნიშნული აქვს, რომ იოანე მახარებლის ეკლესია ააშენეს „ლავრისაგან განშორებულად ვითარ მილიონ ერთ“ (ც˝ვ ი˝ესი და ეფთ˝მსი 8-9). რომაული მილიონი = 1000 passus = 5000 pedes = 1480 მეტრს. მილიონი საბას მხოლოდ რიცხვით ოდენობად აქვს წარმოდგენილი, სიგრძის საზომად კი მარტო „მილი“ აქვს აღნიშნული და ისიც ფრანგულ საზომად მიაჩნია.

„უტევანის“ შესახებ ამბობს: „უტევანი არს სტადიონი, რომელსა სომეხნი ასპარეზს უწოდენ, ხოლო ლათინნი და ელინნი სტადისა, რომელსა 143 ბიჯი ექმნების“-ო. საითგან აქვს ეს ცნობა მას ამოღებული, არა ჩანს.

საბასვე უწერია: „მილი ფრანგულად ათასი ბიჯი გინა ორი ათასი წყრთა“-ო (ლექსიკ.). რომაული მილი მართლაც = 1000 passus, წყრთის ოდენობა კი სწორე არ არის.

„ე ჯ ი“ ძველ ქართულში ვეფხისტყაოსანში გვხვდება: „ადრე დავბრუნდით ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა“ (ი. აბულ. § 418). XVIII ს.-ში კი ხშირია. საბა ამბობს თავის ლექსიკონში, რომ „სამი მილი ერთი ეჯი არის“ (იხ. ეჯი). თავის ევროპის მოგზაურობაში ნათქვამი აქვს „ოცდა ერთი მილო შვიდი ეჯია“-ო („ცისკარი“ 1852 წ. № 4, გვ. 48). მაშასადამე, აქაც ერთი ეჯი სამი მილი გამოდის. რაკი 1 ეჯი 3 მილი ყოფილა, მაშ ეჯში 300 ბიჯი უნდა ყოფილიყო, ანუ 4440 მეტრის სიგრძე იქნებოდა.

„ფ ა რ ს ა რ ხ ი“ საბას არა აქვს, არამედ „ფ ა რ ს ა ნ გ ი“, რომლის შესახებ ნათქვამია: „სხუათა ენაა, ესეც ეჯია“-ო (ლექსიკ.). მართლაც სპარსული სიტყვაა فرسخ ،فرسنك (შეად. ნ. მარის TP XII).

„ა ღ ა ჯ ი“ პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებაში იხსენიება: „მიყვნენ ქართველნი ოთხს აღაჯზე, ასე გააქციევს მაჰმად-ხან“-იო (ამბავნი ქართლისანი, ჰიჰ. 165). აღაჯი თურქული ტერმინი და საზომი უნდა იყოს. ოსმალეთში ახლაც იხმარება და 5010 მეტრს უდრის.

„კ ე ფ ი“ ტყავის რაოდენობის საზომად გვხვდება მხოლოდ ერთგან, მაგრამ უეჭველია ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს. „ხუთი კეფითა ქალამანი“ ერთიო, ნათქვამია სამთავნელი-ს სარგოს 1459 წ. გარიგების წიგნში. კეფს საზომად საბა ორბელიანიც იხსენიებს და შემდეგი აქვს ნათქვამი: „წვრილთა ფურცელსა ეწოდების კეფი, ხოლო ფურცლისა ცალსა პირსა — კაბადონი“-ო (ლექსიკ. იხ. „კაბადონი“). მაშასადამე, აქ კეფად ტყავის ფურცელია ნაგულისხმევი. ცხადია, რომ სამთავნელის გარიგების წიგნში ტყავის ფურცელზე კი არა, არამედ საზომზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ ორი ცნობის შეთანხმება იმგვარად შეიძლება, რომ „კეფი“ განსაზღვრული, მაშინ ყველასთვის ცნობილი ოდენობის ტყავის ფურცელი, ანუ ნაჭერი უნდა ყოფილიყო. ხუთი ამ ზომის კეფი ტყავი უნდა გამოელო ერთ-ერთ სოფელს ერთ საქალამნე ტყავად.

„შ ო ლ ტ ი“ თითქოს ერთგვარ სივრცის საზომად მოჩანს ტყავეულობისათვის და ერწო-თიანეთის საეკლესიო გამოსაღების გარიგების წიგნში არის ნახმარი. იქ ნათქვამია: „უნდა მიერთმეოდეს“ ამა და ამ სოფლითგან ერთგან „ცხურის ტყავი მჭარი ქალამანი ა“, ჩვეულებრივ კი ან „შოლტი ქალამანი ერთი“, ან მარტივად „ქალამანი ა“, (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. გრაგნილი № 15). საბა ორბელიანსაც აქვს აღნიშნული, რომ შოლტი იყო აგრეთვე „ტყავის ნაჭერი გრძლად“ (ლექსიკ.). გამონათქვამი „შოლტი ქალამანი“ გვაფიქრებინებს, რომ ეს გრძელი ტყავის ნაჭერი მათრახ-შოლტივით

ვიწრო კი არ იყო, არამედ იმდენად ფართო, რომ ქალამნის გაკეთება შესაძლებელი ყოფილიყო.

„მიწაჲ" XI—XII სს. სიგლებში და შემდეგდროინდელ ძეგლებშიაც გვხვდება. მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგელში მაგ., ნათქვამია: „მიესცენ თემს გლეხნი სამნი ფოძითა სრულითა და ვენაკი ა, მიწა ა, წისქუილნი ა და ჴალა" (ქ˝კბი II, 34). ნიკორწმინდის XI ს. სიგელშიც წერია: „ვიყიდე ზახლეულს მიწაჲ ა", „ზნაკუას... საზღავად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი ბ", „იყიდა მიწაჲ ტყიანი" (ქ˝კბი II, 46).

მელქისედეკ კათალიკოსის სიტყვებითგან ისე გამოდის, რომ „მიწაჲ" და „ფოძე", ანუ ფუძე სხვადასხვა ერთეულები იყო. გამონათქვამი „მიწაჲ ერთი" გვაფიქრებინებს, რომ აქ შესაძლებელია გარკვეული ერთეული იგულისხმებოდეს, თუმცა „მიწაჲ ტყიანი" და „მიწაჲ ნაკუეთი ორი" ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ იქნებ „მიწაჲ" საზოგადოდ უძრავი ქონების ნაჭერს გულისხმობდეს.

აღსანიშნავია, რომ არც მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში და არც ნიკორწმინდის XI ს. სიგელში არც ერთხელ „დღისა" ან „დღიური" ნახმარი არ არის.

თამარ მეფის შიომღვიმისადმი ბოძებულს 1202 წ. სიგელში „მიწას" სრულებით გარკვეული ერთეულის მნიშვნელობა აქვს. მის სიგელში ნათქვამია, რომ სხალტბის „წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის მიწად ერთი და კუამლად ორი"-ო (შიომღვ. ისტ. საბ. გვ. 26 და შიომღვ. სამი სიგ. 7), ხოლო შიომღვიმის ლავრის კრებულისა და თვით მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის ანტონი ჭყონდიდელისაგან დაწერილ ამავე საბუთის მინამატში კი ნათქვამია: „ფუძედ ერთი, კუამლად ორი"-ო (იქვე 27 და 8 ოა 9). მაშასადამე, აქეთგან ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში და XII ს. „მიწაჲ" და „ფუძე" ერთი და იგივე იყო და „მიწაჲ" ფუძეს უდრიდა.

ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ტერმინ „მიწას" XIII—XIV სს-შიც. მონღოლთა დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელსაც აღნიშნული აქვს, რომ მონღოლები საქართველოში „ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი შეაგდიან"-ო (გვ. 664—665). როგორც „სრულისა ფუძისა მქონებელი" გლეხები იყვნენ, ისევეა და იმავე მნიშვნელობით ნახმარი აქ „სრულისა მიწის მქონებელი".

რადგან თამარ მეფის 1202 წ. სიგელში მიწის გარდა ტერმინი „დღისა"-ც გვხვდება, საფიქრებელია, რომ „დღისა" და მიწა-ფუძე ერთი მეორისაგან როგორც ოდენობით, ისევე მნიშვნელობით არსებითად განსხვავდებოდენ. „მიწაჲ" და „ფუძე" ამგვარად იმდენად სივრცის საზომის აღმნიშვნელი არ იყო, რამდენადაც საგლეხო მეურნეობისა და მოსახლეობის ოდენობის მაუწყებელი ტერმინი.

ერთგვარ საზომადა ჩანს აგრეთვე „ყანაჲ", რომელიც ნიკორწმიდის XI ს. სიგელში იხსენიება ხშირად: „ზნაკუას ვიყიდე... ვენაკი ა და ყანაჲ ა ...და მუნვე ზნაკუას. . . ვიყიდე ყანაჲ ა" და სხვაც ბევრი ამის მსგავსი (ქ˝კბი II, 467). სრულ ყანას გარდა „ყანისა ნახევარი"-ც არსებობდა. იმავე ძეგლში ნათქვამია: „კევკმელს მაღლა ყანისა ნახევარი შემოსწირა და ნახევარი ვიყიდე"-ო, „ვიყიდე ყაჩაეთს ყანისა ნახევარი"-ო (იქვე II, 46, 47). რაკი ამ საბუთში, ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ნახმარია ტერმინები მიწაჲ და ყანაჲ, ცხადი ხდება, რომ მათ სხვადასხვანაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

„ყანაჲ“ უეჭველია ნახნავ მიწას, დამუშავებულსა და კორდგატეხილს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ წარმოადგენდა თუ არა იმავე დროს იგი გარკვეულ მიწის ოდენობასაც, ეს ნათელი არ არის. ნიკორწმიდის XI ს. სიგლის ცნობა: „მოვიგე ყანაჲ გრივისა ერთისა სათესავი“ და კიდევ სხვა „ყანაჲ ექუსისა კაბიწისა სათესავი“ (ქ˝კბი II, 48) გვაფიქრებინებს, რომ „ყანაჲ“ სხვადასხვა სიდიდისა ყოფილა. ამიტომ ისე გამოდის, რომ იგი სივრცის ოდენობის აღმნიშვნელი ერთეული არ უნდა ყოფილიყო, მისი სიდიდის აღსანიშნავად სიგლის შემდგენელს იმის მეტი ვერაფერი მოუგონია, რომ მათი სათესავის დამტევობა აღენიშნა.

მიწის საზომად ძველ ქართულში „დ ღ ი ს ა“ იხმარებოდა. 1202 წ. თამარ მეფისა და ანტონ ჭყონდიდელის სიგელში მაგ. ნათქვამია: „ამათ გლეხთა ორთავე სწორად მივსცენით მიწანი... ბოტკოს და დიდვალს დღისა ათისაი და წყაროის სათავესა ორისა დღისაი“ (ჟორდ. შიომღვ. საბ. 28, კაკ. შიომღ. 3 სიგ. 10). შიომღვიმის 1250—1260 წწ. სიგელშიც წერია: „კვრიკაული მიწაჲ ველო საშენებლად... დღისა ერთისაჲ... კულა მასვე ზედა-მოკიდებით დღისა ერთისაჲ და ზედავე-მოკიდებით დღისა ერთისაჲ სტეფანეს ძისაგან. ესე სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო... კულა... ორისა დღისა მიწაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა“-ო (შიომღ. ისტ. საბ. 60). შემდეგშიც, XV—XVII სს. ეს ტერმინი იხმარებოდა, მაგ.: 1459 წ. სიგელში შეწირულად აღნიშნულია „მრგულივ თექუსმეტისა დღისა მიწა“ (ისტ. საბ. II, 13), 1520 წ. სიგელში — „ნაფუძარი... ორისა დღისა... და შუიდისა დღისა მიწა“ (ისტ. საბ. II, 31), 1560 წ. სიგელში — „აის (ე. ი. ერთის) დღის მიწა კულბითს (იქვე, II, 45), 1664 წ. ახლო ხანებში მცხეთის სიგელში — „სამის დღის ყანა, ორის დღის ქერი“ (ქ˝კბი II, 482).

„დ ღ ი უ რ ი“ ტერმინი საზომად ძველ ძეგლებში არ გვხვდება: მოიპოვება ეს ტერმინი მცხეთის 1546 წ. სიგელში, რომელშიაც ნათქვამია „გამოიღებს ახალქალაქელი თავი-კაცი... რასთენიცა (sic) დღისა ყანა უთქს, დღიურზედ ოთხი კოდი ღალა“-ო. (ქ˝კბი II, 387). ამგვარად ამ საბუთში ორივე ტერმინი „დღისა“ და „დღიური“ ერთად არის ნახმარი: ნათესის ერთეულად „დღისა“-ა აღნიშნული, ხოლო მიწის ერთეულად „დღიური“. XVIII ს. დამდეგის ძეგლში, ვახტანგ მეფის დასტურლამალშიც საზომად „დღიური“ და „დღისა“ იხმარება. „გუთნის ხუნისა მკისა და ლეწვის კარჯისათვს“ სათაურით შემკულ მუხლში ნათქვამია: „გუთანმა უნდა მოჯნას ერთმა დღიური ორმოცდაათი. დღიურში დაითესების ორ კოდ-ნახევარი... ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდა ათის დღისა ნახნავზედ უნდა ამ წესით მოვიდეს“-ო (გვ. 23).

„გ უ თ ა ნ ი“ მიწის საზომად არის ნახმარი შიომღვიმის 1250--1260 წ. სიგელში, რომელშიაც ნათქვამია: „შენ ოქროდ არ ძალ-გიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი მიწა“-ო (შიომღ. ისტ. საბ. 61). 1260 წ. სიგელშიც წერია: „მიუყენენით მიწანი ერთი გუთანი ვენაჴის ბოლოსა თრიალური, ორი ნავენაჴები თევდორული თხოთის აგარას და ორი გუთანი სარბიელთა“-ო (იქვე, 67). შემდეგ ეს ტერმინი თითქოს აღარა ჩანს, მაგრამ რომ შემდეგაც არსებობდა, ამას ვახტანგ VI-ის დასტურლამალში შენახული ცნობები ამტკიცებენ.

„გუთანი“ ვახტანგ მეფის დასტურლამალშიც ერთგვარ საზომად არის ნახმარი. მაგ., სომხითის მთის სოფლების გამოსაღებში სხვათა შორის ნათქვამია „ღალა ექვსზედ ერთი, გუთანზედ ორი დღე ხუნა, მკა, გალეწუა“-ო (გვ. 75-76). სომხითის მელიქის სარგოშიც იხსენიება „გუთანზედ პური კაბიწი ერთი“ (გვ. 77). ტაშირის სოფლებსაც სდებიათ: „ბატონის ღალა შვიდისაგან ერთი, საბა-

ტონოდ უნდა კნან გუთანზედ დღე გ, მკა, გალეწუა, ჩამოტანა“ (გვ. 82). ქეთკირის ლილოს დებულებაშიც ნათქვამია „გუთანზედ ორი დღე კუნა“ (გვ. 87). შულავრის მელიქის სარგოშიაც სხვათა შორის დაწესებული ყოფილა „გუთანზედ პური კაბიწი ა“. ხოლო ამავე შულავრის მამასახლისის სარგოში „რაც გუთანი არის, თარხანს გარდა, ერთს დღეს უხუნენ, ერთს დღეს უმკიან, ერთს დღეს უზიდვენ“-ო (იქვე გვ. 99). კავთისხევის მოსახლე სახასო გლეხებსაც „გუთანზედ სამი დღე კუნა, ფარცხუა, მორწყუა, გალეწვა და ჩამოტანა“ სდებიათ ვალად (გვ. 45).

„გუთანი“ XIII ს. საბუთების მიხედვით მიწის საზომს წარმოადგენდა, ალბათ, მიწის იმ ოდენობას, რომლის მოხვნაც გუთნეულს ერთი დღის განმავლობაში შეეძლო. ამგვარად „გუთანი“ და დღიური თითქოს ერთი და იმავე სიდიდის ოდენობად უნდა ვიგულისხმოთ. XVIII ს. დამდეგის ძეგლში დასტურლამალში კი ამ ტერმინს უკვე სხვა მნიშვნელობა აქვს: იგი წინანდებურად მიწის ზემოაღნიშნულ ოდენობას კი აღარ ეწოდება, არამედ გუთნეულს, საქონლის იმ ოდენობას, რომელიც გუთნის წესიერი მოქმედებისათვის საჭირო იყო. მართალია გამონათქვამი, „გუთანზედ“ ესა და ეს მოვალეობააო, გამოურკვეველია, მაგრამ შულავრის მამასახლისის სარგოს დებულება: „რაც გუთანი არის... ერთს დღეს უხუნენ“-ო, ცხადყოფს, რომ აქ იგულისხმება, „რამდენი გუთანიც არის“ და გუთანი ნამდვილად გუთნეულსა ნიშნავს.

ვახტანგ მეფის დასტურლამალითგან შესაძლებელია გუთნის ან „გუთნეულის“ ოდენობაც გამოარკვიოს ადამიანმა. თრიალეთის რიგისა და გამოსაღების გარიგებაში სახელოვან გვირგვინოსან მეცნიერს ნათქვამი აქვს: „ღალის ერთი გუთანი არის კარის უღელი ი“-ო (გვ. 35). მაშასადამე, როდესაც ძეგლში ღალაზეა საუბარი, მაშინ გუთნად ჩვენ 10 უღელი ხარი უნდა ვიგულისხმოთ.

„ს ა ქ ც ე ვ ი“ ვახტანგ მეექვსის დასტურლამალში შეტანილ ერთ გამიჯნულობის წიგნში გვხვდება. თრიალეთის სოფლების საზღვრების თავში იმ ძეგლში სხვათა შორის ნათქვამია: „ორს სამზღუარს შუა ოთხი დარგი მიწა იყო, ერთი საქცევი თეზელთ და ორი საქცევი ფარეხელთ, — ქვები ჩაგვისხამს“-ო (გვ. 37).

„ქ ც ე ვ ა“ აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში და ძეგლებში ძველად და შემდეგშიაც არ გვხვდება, დასავლეთ საქართველოს საბუთებშიაც გვიანა ჩნდება. მისი ოდენობის განსაზღვრისათვის გამოსადეგია 1805 წ. ნასყიდობისწიგნის ცნობა, რომელშიაც იხსენიება „ქცევა ოცდაათ-ოცდაათი მხარი“-ო (დას. საქ. საბ. II, 149). მაშასადამე, ქცევის სიგრძე-სიგანეს უნდა 30 მხარი ჰქონოდა. მაგრამ ყოველთვის, თუ არა? საფიქრებელია რომ არა: სიგრძისა ან სიგანის მეტნაკლებობა, ალბათ, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

„ჩ ა რ ე ქ ი“ ვახტანგ მეფის დასტურლამალის „წინწყაროს გარიგების“ თავში თითქოს მიწის საზომად არის ნახმარი. იქ წერია: „გასამყრელო აძეთ ამ ფასზედ და სამ-ჩარექზედ აბასი ხუთი, ორ ჩარექზედ შაური ათი, ერთს ჩარექზედ შაური ექვსი... ღალის პური ჩარექზედ შაური ერთი მამასახლისმა, ნაცუალმა და მეღალემ უნდა გაიყონ“-ო (გვ. 116). თუ ცნობაში ღალის პურის შესახებ „ჩარექი“ შეიძლება წონით საზომად ან საწყაოდ გვეჩვენოს, ან ნამდვილადაც ყოფილიყოს, გასამყრელოს შესახებ ცნობაში „ჩარექი“ უფრო მიწის საზომად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან გაყრის დროს უმთავრესი მნიშვნელობა მიწის გაყოფასა ჰქონდა. თუ აქ ჩარექი მართლაც მიწის საზომის ერთეულის ტერმინია, მაშინ იგი ალბათ დღიურის მეოთხედს უნდა ნიშნავდეს.

ბოლოსიტყვაობა

ქართული საფას-საზომთმცოდნეობის პირველი ნაწილი დამთავრებულია. ორასამდე საფას-საზომების ტერმინების შესახები ცნობები პირველწყაროებითგან ამოკრებილ-განხილული და ოდენობით განსაზღვრულია. მაგრამ არა ერთი საკითხია ჯერ კიდევ გამოსარკვევი.

ჩვენი უბედურებაა, რომ ქართველი ერის უძველესი კულტურული ყოფაცხოვრების შესახებ ქართული წყაროები V ს-ზე ადრინდელი ჯერ არ მოგვეპოვება და ყოველი სამეცნიერო საკითხის შესწავლას საფას-საზომების სფეროში ამის გამო უძველეს დროითგან კი არ ვიწყებთ, არამედ იძულებული ვართ მეხუთე საუკუნის ცნობებზე დავამყაროთ ჩვენი მსჯელობა. ეს გარემოება ყოველ ჩვენ დაკვირვებასა და დასკვნას უძველეს ხანისათვის მტკიცე საფუძველს აკლებს და დროებითად ხდის. ხელთნაწერების სრული აღწერილობის შეუდგენლობა და ჯერ კიდევ მრავალი სიგელ-გუჯრების გამოუცემლობაც აფერხებს ამ საქმის ჯეროვანი სიღრმე-სიფართოვით შესწავლას. კვლევა-ძიებას აძნელებს აგრეთვე ჩვენი წინანდელი მეზობლების, სპარსეთისა და ბიზანტიის, მეტადრე პირველის ისტორიის შეუსწავლელობა. მომავალი ამის გამო ჯერ კიდევ ბევრს რამეს ახალს გვიქადის და სინათლეს მოჰფენს ამჟამად ბუნდოვან საკითხებსაც. მაგრამ ორიოდე დამატების დართვა ახლავე მინდოდა.

საფასის შესახები ნაწილის პირველ თავში არისტარხ კოლხთა მეფის ფულის შესახებ არის ცნობა გამოტოვებული. იქვე აღნიშნული მაქვს, რომ თუ ამაზე უფრო ადრეც არა, XV ს. დამდეგითგანვე თანგა ფულად უნდა ყოფილიყო მიღებული. მართლაც არსებობს ათაბაგის მეუღლის ნესტარჯანის 1508 წ. ნასყიდობის წიგნის მინაწერი, რომელშიაც იხსენიება „კელის ჭასართავადი (sic)* (ოცდა[ათი] გიორგუალაი (sic) თანაგი (sic) აქა მონასტერსა“-ო (ს˝ქს სძ˝ვლნი II, 401). ამ უვიცად დაწერილ მინაწერში აღნიშნული საფასე, უეჭველია, „გიორგაული თანგი“, ანუ თანგა უნდა იყოს. თუ აქ XVII ს. დამწერის უნებლიეთი ანაქრონიზმი არ არის, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ თანგა საქართველოში უკვე XIV ს-შიც ყოფილა შემოსული.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფულის ათობითითი აღრიცხვის სისტემისა და 10 მინალთუნიანი თუმნის სადაურობის საკითხი. მეორე თავში უკვე აღნიშნული მქონდა, რომ სპარსეთის ნუმიზმატიკისა და ეკონომიური ისტორიის შესწავლა ამ საკითხის გამორკვევასაც შეგვაძლებინებს. ფრანგი მოგზაური შარდენის ცნობები საშუალებას გვაძლევენ ეს საკითხი ახლაც ნაწილობრივ მაინც გავაშუქოთ. მას აღნიშნული აქვს, რომ მის დროინდელ სპარსეთში თუმანი არასდროს არ იჭრებოდა და მხოლოდ ნომინალური, ე. ი. თეორიული ფულის

---

* აქ ნამდვილად ჩ-ინი იქნება იმის მსგავსი, რომელიც პროფ. აკ. შანიძეს აქვს აღნიშნული (მაჩხიტისძის ჩინი „ჩვენი მეცნიერება“ № 11—12 გვ. 11-12).

ანგარიშის სისტემისათვის აუცილებელი ოდენობა იყო და უდრიდა ორმოცდა ათ აბაზს[2]. საქართველოშიაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თუმანი 50 აბაზს, ანუ 10 მინალთუნს უდრიდა. შარდენს ამასთანავე ნათქვამი აქვს, რომ სპარსეთში ორგვარი დინარი არსებობდა: კანონიერი და საერთო სახმარებელი. კანონიერი დინარი უდრიდა ოქროს დუკატს, მაგრამ კანონიერ დინარებად მხოლოდ წიგნებში ანგარიშობენო. შემდეგ მას აღნიშნული აქვს, რომ ბისტში ათი დინარი, ანუ „დენიე“, თუმანში კი ათი ათასი დინარი იყოო[3].

ამ საგულისხმო ცნობის გასაგებად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს შარდენის აზრი, რომ ფრანგული Denier „დენიე“ უკნინეს ფრანგული ფულის სახელის, ტერმინ „დინარი“-საგან არის წარმომდგარი. ეს მართალიც არის და „დენიე“ ლათინური Dinarius დინარიუსისაგან არის წარმოშობილი. ამგვარად, როდესაც შარდენი სპარსულ 10000 დინარიან თუმანზე ლაპარაკობს, დინარი ოქროს დინარად კი არა აქვს ნაგულისხმევი, არამედ ფრანგულ-ლათინურ დინარ-დენიედ, უკნინეს ფულად. მაგრამ მისი სიტყვებითგან მაინც არა ჩანს, თუ როგორ იქცა ოქროს დინარი, ოქროს დუკატი, ფულის უკნინეს ერთეულად. ამ გარემოებას კი უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს. მისი განმარტებისათვის კი სპარსეთშიაც, თუ არ ვცდები, სხვა არავითარი განმარტების მოყვანა ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება იმას გარდა, რაც ქართული თუმნის შესახებ იყო მეორე თავში ნათქვამი.

შარდენის ცნობისაგან ირკვევა მაინც, რომ მონღოლური 10000 ოქროს დინარიანი თუმნის ამომცრობა სპარსეთშიაც უცნობი არ ყოფილა და პირველად იქნება სპარსეთში იყოს მომხდარი.

საზომთა შესახებ ნაწილშიაც ზოგიერთი ცნობის დამატება შეიძლება. სახელდობრ უნდა აღვნიშნო, რომ „დორაკი“ სომხურშიაც არსებობს და დაბადების სომხურ თარგმანში არის ნახმარი. სომხური თარგმანის *դորակ* ბერძნული ტექსტის „ჰეინ“, ანუ „ჰინ“-სა და ქართულის გუერდს უდრის (იხ. *Թուոց* $15_{5, 7, 10}$); მაგრამ დორაკი სომხურშიაც განმარტოებულადაა და მისი სადაურობა არა ჩანს: დორაკი თითქოს კნინობითი ფორმა უნდა იყოს და მართლაც ქართულში გვაქვს როგორც „დორა“, ისევე „დორაკი“ და პირველი მეორეზე ერთი ორად სჭარბობდა. აღსანიშნავია, რომ დაბადების ქართულ თარგმანში დორაკი სომხური ტექსტის შესატყვის ადგილას არა ჩანს და ამის მაგიერ „გუერდი“ წერია.

უეჭველია „ფსომიარე“, როგორც სვ. ყაუხჩიშვილმა ჩემთან საუბრის დროს აღნიშნა, ბერძნული ψωμίον „ფსომიონ“ ლუკმა პურისა, ახალ ბერძნულში პურის (ψωμί „ფსომი“) ერთადერთი სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ისე რომ ფსომიარე პურის სატარებელს უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ XVII—XVIII სს. საქართველოში მიღებული წონის სისტემის შესახებ სწორე თვალსაზრისის შესაქმნელად განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ შარდენის ცნობით მაშინდელ სპარსეთში ორგვარი წონის საზომები არ-

---

[2] Le Toman fait cinquante Abasis (Voyages en Perse ამსტერდამის 1711 წ. გამოცემის t. IV, 278).

[3] le Dinar cheray signifie... la valeur du Ducat d'or ou de l'écu d'or. On n'use de ce compte de Denier legal que dans les livres. Un Bisty fait dix Dinar ou Deniers et un Toman dix mille Dinar (იქვე 278).

